საერთაშორისო ურთიერთობები

ჯონ პივიჰაუსი

ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის
დამსახურებული პროფესორი

ჯოშუა გოლდსტაინი

ვაშინგტონის ამერიკული უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი,
მასაჩუსეტსის ამჰერსტის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი



თბილისი 2024 TBILISI

საერთაშორისო ურთიერთობები

ჯონ პივიჰაუსი და ჯოშუა გოლდსტაინი

წიგნი გამოცემულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ევროკავშირის პროექტის, Creation of the Graduate Curricula in the Peace Studies in Georgia (PESTUGE) ფინანსური მხარდაჭერით.

მთარგმნელები:
ანა მიქაუტაძე, ნინო ტიკარაძე, ლევან ჭრიალაშვილი

სამეცნიერო რედაქტორები:
დავით აფრასიძე, გიორგი გვალია

დამკაბადონებელი:
ქეთევან გოგავა

Copyright © 2021, 2017, 2013 by Pearson Education

ISBN 978-9941-18-463-5

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

მოკლე შინაარსი

■ თავი 1 საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაცია.....1

1.1 გლობალიზაცია, საერთაშორისო ურთიერთობები და ყოველდღიური ცხოვრება.....2

1.2 აქტორები და გავლენები.....16

1.3 გლობალური გეოგრაფია.....30

1.4 საერთაშორისო სისტემის განვითარება.....36

■ თავი 2 რეალიზმის თეორიები.....59

2.1 რეალიზმი.....60

2.2 ძალა.....63

2.3 საერთაშორისო სისტემა.....67

2.4 ალიანსები.....80

2.5 სტრატეგია.....90

■ თავი 3 ლიბერალური და სოციალური თეორიები.....103

3.1. ლიბერალური ტრადიციები.....104

3.2. შიდა გავლენები.....120

3.3 საგარეო პოლიტიკის შემუშავება.....133

3.4. სოციალური თეორიები.....147

3.5. მშვიდობის კვლევები.....158

3.6. გენდერული თეორიები.....162

■ თავი 4 კონფლიქტი, ომი და ტერორიზმი.....185

4.1 ომები მსოფლიოში.....186

4.2. იდეების კონფლიქტები.....195

4.3 ინტერესთა კონფლიქტები.....221

4.4 ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები.....233

4.5 ტექნოლოგიების განვითარება.....243

4.6 ტერორიზმი.....245

4.7 მასობრივი განადგურების იარაღი.....251

4.8 სახელმწიფოები და შეიარაღებული ძალები.....265

■ თავი 5 ვაჭრობა და ფინანსები.....275

5.1 ვაჭრობის თეორიები.....276

5.2 სავაჭრო რეჟიმები.....291

5.3 ეკონომიკური გლობალიზაცია.....309

5.4 გლობალიზაცია, ფინანსური ბაზრები და სავალუტო სისტემა.....317

5.5 სახელმწიფოს ფინანსური პოზიციები.....332

5.6 მრავალეროვნული ბიზნესი.....335

■ თავი 6 საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო სამართალი და ადამიანის უფლებები.....355

6.1 გლობალიზაცია და ინტეგრაცია.....356

6.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.....361

6.3 ევროკავშირი.....386

6.4 საერთაშორისო სამართალი.....409

6.5 ადამიანის უფლებები.....422

■ თავი 7 ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობები.....447

7.1 ვითარება სამხრეთში.....448

7.2 დაგროვების თეორიები.....468

7.3 იმპერიალიზმი.....471

7.4 განვითარების გამოცდილებები.....479

7.5 კაპიტალის მოძრაობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.....497

7.6 უცხოური დახმარება.....506

■ თავი 8 გარემო და ტექნოლოგია.....527

8.1 ურთიერთდამოკიდებულება და გარემო.....528

8.2 გარემოს მართვა.....531

8.3 ბუნებრივი რესურსები.....553

8.4 მოსახლეობა.....561

8.5 ინფორმაციის ძალა.....573

ინდექსი.....595

შინაარსი

წინასიტყვაობა ix
მე-8 გამოცემის სიახლეები x
წიგნის სტრუქტურა xiv
პედაგოგიური ელემენტი xv
საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები xv
პოლიტიკის პერსპექტივები xvi
მოდით ვიმსჯელოთ xvi
კარიერა საერთაშორისო ურთიერთობებში xvi
ავტორთა შესახებ xvii
ქართული გამოცემის წინასიტყვაობა xviii
რუკები xx

■ თავი 1 საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაცია 1
1.1 გლობალიზაცია, საერთაშორისო ურთიერთობები და ყოველდღიური ცხოვრება 2
1.1.1. ძირითადი პრინციპები 4
1.1.2 საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დარგი 13
1.2 აქტორები და გავლენები 16
1.2.1. სახელმწიფო აქტორები 16
1.2.2 არასახელმწიფო აქტორები 20
1.2.3 ანალიზის დონეები 23
1.2.4 გლობალიზაცია 26
1.3 გლობალური გეოგრაფია 30
1.4 საერთაშორისო სისტემის განვითარება 36
1.4.1 ცივი ომი, 1945-1990 36
1.4.2 ცივი ომის შემდგომი პერიოდი, 1990–2018 42

■ თავი 2 რეალიზმის თეორიები 59
2.1 რეალიზმი 60
2.2 ძალა 63
2.2.1 ძალის განსაზღვრება 63
2.2.2 ძალის შეფასება 65
2.2.3 ძალის ელემენტები 65
2.3 საერთაშორისო სისტემა 67
2.3.1 ანარქია და სუვერენიტეტი 68
2.3.2 ძალთა ბალანსი 71
2.3.3 დიდი და სამუალო სახელმწიფოები 73
2.3.4 ძალთა განაწილება 75
2.3.5 ჰეგემონია 77
2.4 ალიანსები 80
2.4.1 ალიანსების მიზნები 80
2.4.2 ნატო 82
2.4.3 სხვა ალიანსები 87
2.5 სტრატეგია 90
2.5.1 სახელმწიფოს მართვის ხელოვნება 90
2.5.2 რაციონალობა 93
2.5.3 ჰატიმრის დილემა 94

■ თავი 3 ლიბერალური და სოციალური თეორიები 103
3.1. ლიბერალური ტრადიციები 104
3.1.1. ომის მილევა 104
3.1.2. კანტი და მშვიდობა 107
3.1.3 ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი 108
3.1.4 საერთაშორისო რეჟიმები 111
3.1.5 კოლექტიური უსაფრთხოება 114
3.1.6 დემოკრატიული მშვიდობა 117
3.2. შიდა გავლენები 120
3.2.1. ბიუროკრატიები 121
3.2.2 ინტერესთა ჯგუფები 123
3.2.3 საზოგადოებრივი აზრი 125
3.2.4 საკანონმდებლო ორგანოები 131
3.3 საგარეო პოლიტიკის შემუშავება 133
3.3.1 გადაწყვეტილების მიღების მოდელები 134
3.3.2 ინდივიდუალური დონის გადაწყვეტილების მიმღებები 137
3.3.3 ჯგუფური ფსიქოლოგია 142
3.3.4 კრიზისული სიტუაციების მართვა 144
3.4. სოციალური თეორიები 147
3.4.1 კონსტრუქტივიზმი 147
3.4.2 ჰოსტმოდერნიზმი 152
3.4.3 მარქსიზმი 154
3.5. მშვიდობის კვლევები 158
3.6. გენდერული თეორიები 162
3.6.1 რატომ არის გენდერი მნიშვნელოვანი 162
3.6.2 რეალიზმის მასკულინურობა 165
3.6.3 გენდერი ომსა და მშვიდობაში 167
3.6.4 ქალები საერთაშორისო ურთიერთობებში 169
3.6.5 განსხვავების ფემინიზმი ლიბერალური ფემინიზმის წინააღმდეგ? 174
3.6.6 ჰოსტმოდერნული ფემინიზმი 176

■ თავი 4 კონფლიქტი, ომი და ტერორიზმი 185
4.1 ომები მსოფლიოში 186
4.1.1 ომის ტიპები 186
4.1.2 თეორიები ომის მიზეზების შესახებ 192
4.2. იდეების კონფლიქტები 195
4.2.1 ნაციონალიზმი 196
4.2.2 ეთნიური კონფლიქტი 198
4.2.3 რელიგიური კონფლიქტი 205
4.2.4 იდეოლოგიური კონფლიქტი 219
4.3 ინტერესთა კონფლიქტები 221
4.3.1 ტერიტორიული დავები 221
4.3.2 ხელისუფლებების კონტროლი 229
4.3.3 ეკონომიკური კონფლიქტი 230
4.4 ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები 233
4.4.1 სახმელეთო ძალები: ტერიტორიის კონტროლი 235
4.4.2 სამხედრო-საზღვაო ძალები: ზღვების კონტროლი 237
4.4.3 სამხედრო-საჰაერო ძალები: საჰაერო სივრცის კონტროლი 239
4.4.4 მკაცრად ორგანიზებული ძალები: ლოგისტიკა და დაზვერვა 241
4.5 ტექნოლოგიების განვითარება 243
4.6 ტერორიზმი 245
4.6.1 კონტრტერორიზმი 249
4.7 მასობრივი განადგურების იარაღი 251
4.7.1 ბირთვული იარაღი 251
4.7.2 ბალისტიკური რაკეტები და გადატანის სხვა სისტემები 254
4.7.3 ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი 256
4.7.4 პროლიფერაცია 258
4.7.5 ბირთვული სტრატეგია და შეიარაღების კონტროლი 262
4.8 სახელმწიფოები და შეიარაღებული ძალები 265
4.8.1 სამხედრო ეკონომიკები 265
4.8.2 შეიარაღებული ძალების კონტროლი 266

■ თავი 5 ვაჭრობა და ფინანსები 275
5.1 ვაჭრობის თეორიები 276
5.1.1 ლიბერალიზმი და მერკანტილიზმი 277
5.1.2 შედარებითი უპირატესობა 282
5.1.3 პოლიტიკური ჩარევა ბაზრებში 284
5.1.4 პროტექციონიზმი 287
5.2 სავაჭრო რეჟიმები 291
5.2.1 ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია 291
5.2.2 ორმხრივი და რეგიონული შეთანხმებები 296
5.2.3 კარტელები 301
5.2.4 ინდუსტრიები და ინტერესთა ჯგუფები 303
5.2.5 სავაჭრო წესების აღსრულება 307
5.3 ეკონომიკური გლობალიზაცია 309
5.3.1 მსოფლიო ეკონომიკა 1750 წლიდან დღემდე 309
5.3.2 წინააღმდეგობა ვაჭრობის მიმართ 315
5.4 გლობალიზაცია, ფინანსური ბაზრები და სავალუტო სისტემა 317
5.4.1 სავალუტო სისტემა 319
5.4.2 საერთაშორისო სავალუტო გაცვლა 320
5.4.3 რა განაპირობებს ვალუტების ზრდას და დაცემას? 326
5.4.4 ცენტრალური ბანკები 327
5.4.5 მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი 330
5.5 სახელმწიფოს ფინანსური პოზიციები 332
5.5.1 ეროვნული ანგარიშები 333
5.5.2 საერთაშორისო ვალი 333
5.6 მრავალეროვნული ბიზნესი 335
5.6.1 მრავალეროვნული კორპორაციები 335
5.6.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 337
5.6.3 ურთიერთობები მასპინძელი და მშობლიური ქვეყნის მთავრობებთან 339

■ თავი 6 საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო სამართალი და ადამიანის უფლებები 355
6.1 გლობალიზაცია და ინტეგრაცია 356
6.1.1. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი 358
6.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 361
6.2.1. გაეროს სისტემა 361
6.2.2. უშიშროების საბჭო 368
6.2.3. მშვიდობისმყოფელები 373
6.2.4 სამდივნო 378
6.2.5 გენერალური ასამბლეა 380
6.2.6 გაეროს პროგრამები 382
6.2.7 ავტონომიური სააგენტოები 384
6.3 ევროკავშირი 386

6.3.1 ინტეგრაციის თეორია 386
6.3.2 ერთიანი ევროპის ხედვა 389
6.3.3 რომის ხელშეკრულება 391
6.3.4 ევროკავშირის სტრუქტურა 393
6.3.5 ერთიანი ევროპული აქტი 396
6.3.6 მაასტრიხტის ხელშეკრულება 397
6.3.7 სავალუტო კავშირი 398
6.3.8. ევროკავშირის გაფართოება 402
6.3.9 ლისაბონის ხელშეკრულება 404
6.3.10 იმიგრაცია, ბრექსიტი და ევროპის მომავალი 405
6.4 საერთაშორისო სამართალი 409
6.4.1 საერთაშორისო სამართლის წყაროები 409
6.4.2 საერთაშორისო სამართლის აღსრულება 411
6.4.3 მსოფლიო სასამართლო 413
6.4.4 საერთაშორისო საქმეები ეროვნულ სასამართლოებში 415
6.4.5 დიპლომატიის კანონები 418
6.4.6 სამართლიანი ომის დოქტრინა 421
6.5 ადამიანის უფლებები 422
6.5.1 ინდივიდის უფლებები სუვერენიტეტის წინააღმდეგ 422
6.5.2 ადამიანის უფლებათა ინსტიტუტები 425
6.5.3 ომის დანაშაულები და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო 430

■ თავი 7 ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობები 447
7.1 ვითარება სამხრეთში 448
7.1.1 ადამიანის ძირითადი საჭიროებები 451
7.1.2 შიმშილობა მსოფლიოში 457
7.1.3 სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა 459
7.1.4 ქალების როლი განვითარებაში 460
7.1.5 მიგრაცია და ლტოლვილები 463
7.2 დაგროვების თეორიები 468
7.2.1 ეკონომიკური დაგროვება 469
7.2.2 მსოფლიო სისტემა 469
7.3 იმპერიალიზმი 471
7.3.1 კოლონიალიზმის შედეგები 473
7.3.2 პოსტკოლონიური დამოკიდებულება 475
7.4 განვითარების გამოცდილებები 479
7.4.1 ახალი ინდუსტრიული ქვეყნები 482
7.4.2 ჩინეთის გამოცდილება 483
7.4.3 ინდოეთი კრეფს სიჩქარეს 487
7.4.4 სხვა ექსპერიმენტები 490
7.4.5 იმპორტის ჩანაცვლება და ექსპორტით გამოწვეული ზრდა 491
7.4.6 კაპიტალის თავმოყრა წარმოებაში 492
7.4.7 კორუფცია 493
7.5 კაპიტალის მოძრაობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის 497
7.5.1 უცხოური ინვესტიცია 497
7.5.2 სამხრეთის ვალი ჩრდილოეთის მიმართ 499
7.5.3 საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პირობები 502
7.5.4 სამხრეთი საერთაშორისო ეკონომიკურ რეჟიმებში 504
7.6 უცხოური დახმარება 506
7.6.1 უცხოური დახმარების მოდელები 506
7.6.2 უცხოური დახმარების ტიპები 509
7.6.3 უცხოური დახმარების ჰოლიტიკა 513
7.6.4 უცხოური დახმარების შედეგი 518

■ თავი 8 გარემო და ტექნოლოგია 527
8.1 ურთიერთდამოკიდებულება და გარემო 528
8.1.1 მდგრადი განვითარება 530
8.2 გარემოს მართვა 531
8.2.1 ატმოსფერო 532
8.2.2 ბიომრავალფეროვნება 542
8.2.3 ტყეები და ოკეანეები 544
8.2.4 დაბინძურება 550
8.3 ბუნებრივი რესურსები 553
8.3.1 მსოფლიო ენერგია 553
8.3.2 სასარგებლო წიაღისეული 558
8.3.3 დავები წყლის რესურსების გამო 559
8.4 მოსახლეობა 561
8.4.1 დემოგრაფიული ტრანზიცია 562
8.4.2 დემოგრაფიული პოლიტიკები 565
8.4.3 დაავადებები 567
8.5 ინფორმაციის ძალა 573
8.5.1 მსოფლიოს დაკავშირება 573
8.5.2 ინფორმაცია, როგორც ინსტრუმენტი მთავრობების ხელში 578
8.5.3 ინფორმაცია, როგორც ინსტრუმენტი მთავრობის წინააღმდეგ 580
8.5.4 ტელეკომუნიკაციები და გლობალური კულტურა 582

ინდექსი 595

წინასიტყვაობა

ჩვენ მზარდად ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში ვცხოვრობთ. ამ კავშირებს ბევრი მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს, მათ შორის: შესაძლებლობა ვიქონიოთ სწრაფი კომუნიკაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით და სხვებს გავუზიაროთ საკუთარი კულტურა და ღირებულებები; შესაძლებლობა დავეხმაროთ მიწისძვრისგან დაზარალებულ ადამიანს გლობალური საქველმოქმედო ქსელების მეშვეობით და შევიძინოთ პროდუქტები, რომლებიც წარმოებულია სხვადასხვა ქვეყანაში დამზადებული ნაწილებისგან. ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოს ბევრი სხვა დადებითი მხარეც აქვს. თუმცა, ამ კავშირებმა ასევე შესაძლოა უკვე არსებული პრობლემებიც გააურესოს: მაგალითად, ტერორისტული ქსელები იყენებენ ინტერნეტს თავდასხმების კოორდინაციისა და განხორციელებისთვის, გლობალურმა ვაჭრობამ შესაძლოა ნეხის ქვეშ მოაქციოს ჩვენი ბუნებრივი გარემო. ამავდროულად, მილიონობით ადამიანი კვლავ ცხოვრობს იმ გლობალური კავშირების გარეშე, რაც უფრო მდიდარი ქვეყნების მოსახლეობისთვის არის ხელმისაწვდომი. ბოლო წლებში ამ ურთიერთკავშირებმა ზოგიერთს დაუცველობის შეგრძნება გაუჩინა და მათზე უარის თქმისკენ უბიძგა, უფრო ლოკალური და ეროვნული ურთიერთკავშირების სასარგებლოდ.

მიუხედავად ამ მზარდი ურთიერთკავშირებისა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე მათი გავლენისა, ბევრი სტუდენტი, რომელიც უნივერსიტეტში სწავლას იწყებს, არ არის ინფორმირებული საერთაშორისო ურთიერთობების ელემენტარული ფაქტების შესახებ, მათ შორის, როგორიც არის სიღარიბის მასშტაბები და განვითარებადი სამყაროსთვის გამოყოფილი დახმარების მოცულობა და ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ომების რაოდენობის შემცირების ტენდენცია. შესავალი წიგნი ასრულებს საკვანძო როლს საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ სტუდენტებისთვის ცოდნის მიცემის თვალსაზრისით და ჩვენ დიდი ძალისხმევა გავწიეთ, რომ *საერთაშორისო ურთიერთობების* მე-8, მოკლე გამოცემა ყოფილიყო თანადროული, ზუსტი, ვიზუალურად მიმზიდველი და ინტელექტუალურად მომხიბვლავი. ვიმედოვნებთ, რომ ეს წიგნი მოახერხებს დაეხმაროს სტუდენტების თაობას განივითარონ ცოდნა და კრიტიკული აზროვნება, რათა მათ შეძლონ საკუთარი ადგილი იპოვონ ცვალებად მსოფლიოში.

საერთაშორისო ურთიერთობები არა მხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ მთამბეჭდავი საგანიცაა. საერთაშორისო ინტერაქციების მდიდარი კომპლექსურობა, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული, წარმოადგენს ერთგვარ გამოცანას, რომლის გაგებაც მნიშვნელოვანია. ეს გამოცანა არამხოლოდ ინტელექტუალური გამოწვევაა, არამედ ემოციურადაც

ძლიერია. ის შეიცავს ადამიანურ ისტორიებს, რომლებშიც დარგის ისეთი დიდი თემები ვითარდება, როგორიც არის ომი და მშვიდობა, ჯგუფებს შორის კონფლიქტი და თანამშრომლობა, ინტეგრაცია და დაშლა, ადამიანები და მათი გარემო, სიღარიბე და განვითარება.

მე-8 გამოცემის სიახლეები

საერთაშორისო ურთიერთობების მოკლე მე-8 გამოცემა მნიშვნელოვან სიახლეებს შეიცავს, რათა მან შეინარჩუნოს თანადროულობა იმ ცვლილებებისადმი, რაც თანამედროვე საერთაშორის სისტემას ახასიათებს. გლობალიზაციასა და მის ინსტიტუტებზე უარყოფითი რეაქციების განხილვა ეს ის ერთ-ერთი თემაა, რომელიც წიგნში ფართოდ არის გაშლილი. ამ საპასუხო რეაქციების შედეგი იყო დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება, ასევე ამერიკის პრეზიდენტის არჩევა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა გლობალურ წესრიგს და მზარდი პოპულიზმი და ნაციონალიზმი მსოფლიოს გარშემო.

წიგნის ამ გამოცემის მნიშვნელოვანი სიახლეა ჩანართი „საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთოები", რომელიც ეთმობა საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალურ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის განხილვას. ზოგიერთ თავში, ეს ნაწილი მიმოიხილავს საზოგადოებრივ აზრს ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმ კონკრეტულ თავში განხილულ საკითხთან დაკავშირებით. ეს „ქვეყნის შიდა" განსხვავებები ასახავს, თუ როგორ იცვლება საზოგადოებრივი აზრი დროთა განმავლობაში ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ნატოს ან საგარეო დახმარებისადმი მხარდაჭერა. სხვა თავებში კი განხილულია განსხვავებები სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებების დამოკიდებულებებს შორის ისეთ საკითხებზე, როგორიც არის კიბერთავდასხმების საფრთხე ან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. იმის გათვალისწინებით, რომ მზარდი ნაციონალიზმი და პოპულიზმი ამ გამოცემის საკვანძო თემაა, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორია საზოგადოებრივი განწყობები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. მსოფლიოს მასშტაბით საზოგადოებრივი აზრის სანდო კვლევების მზარდი ხელმისაწვდომობა გვაძლევს შესაძლებლობას გავიგოთ თუ რა ტენდენციებია საზოგადოებრივ განწყობებში საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში თქვენ შეიძლება გაოცდეთ, თუ რამდენად განსხვავებულად უყურებენ ერთსა და იმავე საკითხს სხვადასხვა ქვეყნები და თუ რამდენად შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი ამერიკის შეერთებულ შტატებში დროთა განმავლობაში.

ამ გამოცემის კიდევ ერთი სიახლე არის ჩანართი „მოდით ვიმსჯელოთ". ეს ნაწილი სტუდენტებს ეხმარება იფიქრონ სხვადასხვა სადავო

საკითხზე. თითოეულ თავში მოცემულ ამ ჩანართში გამოტანილი საკითხი იმავე თავში განხილულ ცნებებს უფრო ფართოდ შლის. დებატების ფორმატი კი სტუდენტებს აძლევს საშუალებას სადავო საკითხის ორივე მხარე დაინახონ.

ასევე, წიგნის პოპულარული ჩანართი, „კარიერა საერთაშორისო ურთიერთობებში" დანართიდან რელევანტურ თავებში გადმოვიტანეთ. მაგალითად, რუბრიკა კარიერაზე ბიზნესში ახლა მე-5 თავის ნაწილია, სადაც საუბარია ვაჭრობასა და ფინანსებზე. კარიერის საკითხებზე ასევე ახალი ჩანართებიც დაემატა, მაგალითად, საერთაშორისო სამართალზე, მე-6 თავში. ვიმედოვნებთ, რომ ეს ჩანართები სტუდენტებისთვის გარკვეული გზამკვლევი იქნება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სამუშაო ადგილებთან და დასაქმებასთან დაკავშირებით.

თავი 1

- სრულად განახლებული ეკონომიკური და დემოგრაფიული მონაცემები
- განსხვავებული მსჯელობა ანალიზის დონეების შესახებ
- განახლებული ინფორმაცია დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირიდან დაგეგმილ გასვლაზე, აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე და ამ მოვლენების შედეგებზე საერთაშორისო ურთიერთობებისთვის
- განახლებული მონაცემები ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების სტატუსზე, მათ შორის სირიის, ლიბიის და იემენის კონფლიქტებზე და ამ კონფლიქტების შედეგად განვითარებულ მიგრანტთა კრიზისზე
- განახლებული ინფორმაცია ჩინეთის სამხედრო მცდელობებზე სამხრეთ ჩინეთის ზღვაში
- განახლებული ინფორმაცია ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამაზე და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობებზე

თავი 2

- ამერიკასა და ნატოს შორის არსებული დაძაბულობის განხილვა
- განახლებული ინფორმაცია ნატოს ავღანეთის მისიის თაობაზე
- რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შედეგად წარმოშობილი დაპირისპირებების განხილვა

თავი 3

- პოლიტიკის პერსპექტივების განახლებული ჩანართი
- განახლებული დისკუსია ომის მილევის შესახებ
- განახლებული ინფორმაცია ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით სირიასა და იემენში, ძალადობრივ პროცესებზე
- განახლებული დისკუსია ირანის ბირთვულ შეთანხმებასთან დაკავშირებით

თავი 4

- მსოფლიოში მიმდინარე ომების განახლებული ჩამონათვალი
- ისლამური ჯგუფების, მათ შორის ისლამური სახელმწიფოს გაძლიერების და დაცემის შესახებ შესწორებული დისკუსია
- პოლიტიკის პერსპექტივების განახლებული ჩანართი
- შესწორებული დისკუსია აღმოსავლეთ აზიაში საზღვაო დაძაბულობის შესახებ
- სრულიად განახლებული მონაცემები მსოფლიოს გარშემო არსებულ სამხედრო ძალებზე
- ახალი ნაწილი განვითარებად ტექნოლოგიებზე, მათ შორის დრონებსა და კიბერომზე
- განახლებული დისკუსია ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ კრიზისზე
- განახლებული რუბრიკა „მოდით ვიმსჯელოთ“

თავი 5

- განახლებული მონაცემები და დისკუსია 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევის შესახებ
- დისკუსია აშშ-ის მიერ ტრანსატლანტიკური და ტრანსწყნაროკეანური სავაჭრო მეთანხმებებიდან გასვლის შესახებ
- განახლებული დისკუსია სავაჭრო მოლაპარაკებების დოჰას რაუნდის მარცხზე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მანდატთან დაკავშირებით
- ტრამპის ადმინისტრაციის ტარიფების და მათზე სხვა ქვეყნების საპასუხო ნაბიჯების და ამ ტარიფების შედეგად დაწყებული გლობალური სავაჭრო ომების განხილვა
- პოლიტიკის პერსპექტივების განახლებული რუბრიკები
- ახალი და განახლებული მონაცემები საერთაშორისო ფინანსებში გლობალური ეკონომიკური ტენდენციების თაობაზე

- განახლებული დისკუსია ისეთი ვირტუალური ვალუტების შესახებ, როგორიც არის ბიტკოინი

თავი 6

- სრულიად განახლებული მონაცემები და დისკუსია გაეროს მიმდინარე სამშვიდობო მცდელობების შესახებ
- განახლებული მონაცემები გაეროს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების რატიფიკაციის შესახებ
- განახლებული მონაცემები საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დავების შესახებ
- დისკუსია იძულებითი გაუჩინარების შესახებ გაეროს ახალი ხელშეკრულების თაობაზე
- პოლიტიკის პერსპექტივების განახლებული ჩანართი
- დისკუსია დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილების და ევროკავშირის დიდი ბრიტანეთის გარეშე მომავლის შესახებ
- ევროკავშირის მიგრაციის კრიზისის და მასზე რეაგირების განხილვა

თავი 7

- სრულიად განახლებული მონაცემები გლობალური განვითარების შესახებ
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხილვა
- განხლებული დისკუსია გლობალური მიგრანტების რაოდენობის ზრდის შესახებ
- პოლიტიკის პერსპექტივების განახლებული ჩანართი
- BRIC-ის ქვეყნებში (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი) მიმდინარე პროცესების განხილვა
- აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის და განვითარებაში მისი როლის განხილვა

თავი 8

- პარიზის კლიმატის შეთანხმების და ტრამპის ადმინისტრაციის მიერ შეთანხმებიდან გასვლის განხილვა
- დისკუსია ჩინეთის მიერ „ერთი შვილის პოლიტიკის“ შემსუბუქების გარშემო

- სამხრეთ აფრიკის წყლის კრიზისის განხილვა
- პოლიტიკის პერსპექტივების ახალი ჩანართი
- გლობალური ციფრული დაყოფის განახლებული განხილვა
- ავტორიტარულ ქვეყნებში მთავრობების მიერ ინტერნეტის კონტროლის საკითხის განხილვა

ჩვენ ყველა თავში განვაახლეთ გრაფიკები და ცხრილები უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემებით. ეს ცვლილებები შეეხო ისეთ მონაცემებს როგორიც არის მშპ, სამხედრო ძალები, მიგრაცია და ლტოლვილები, ვალი, გზავნილები, საგარეო დახმარება, შიდსის ეპიდემია, გაეროს სამშვიდობო მისიები და სხვ.

და ბოლოს, *საერთაშორისო ურთიერთობების* მე-8 გამოცემაში მნიშვნელოვნად არის განახლებული ფოტო-სურათები. ათეულობთ ახალი ფოტოსურათი იპყრობს მიმდინარე მოვლენებისადმი ვიზუალურ ყურადღებას და აძლიერებს წიგნის საკვანძო კონცეფციებს.

წიგნის სტრუქტურა

ამ წიგნის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ თანამედროვე ცოდნის სრულყოფილად და გასაგებად გადმოცემა, ანუ დარგის ერთგვარი რუკის წარმოდგენა, რომელიც სხვადასხვა კვლევით მიმართულებებს ლოგიკური წესრიგით ალაგებს. ეს რუკა საერთაშორისო უსაფრთხოებისა და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის ქვედარგების ირგვლივაა შედგენილი. აღნიშნული ქვედარგები წიგნში გამიჯნულადაა მოცემული, თუმცა კონცეპტუალურად ისინი ერთმანეთს უკავშირდება და მათ შორის ბევრი გადაფარვაცაა. წიგნს კრავს საერთო ძირითადი პრინციპები – დომინირება, რეციპროკულობა (ორმხრივობა) და იდენტობა – და ნაჩვენებია, თუ როგორ ესადაგება ეს თეორიული მოდელები საერთაშორისო უსაფრთხოებისა და საერთაშორის პოლიტეკონომიის სხვადასხვა თემებს.

წიგნის ზოგადი სტრუქტურა მიჰყვება შინაარსობრივ საკითხებს, ჯერ საერთაშორისო უსაფრთხოებაში და შემდეგ საერთაშორისო პოლიტეკონომიაში. პირველი თავი წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების დარგს, ხსნის საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას და დომინირების, ორმხრივობის და იდენტობის ძირითად პრინციპებს. ის ასევე გვთავაზობს დარგის გეოგრაფიულ და ისტორიულ კონტექსტს. მეორე და მესამე თავები მიმოიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად თეორიულ მიდგომებს, როგორებიცაა რეალიზმი, ლიბერალური თეორიები, სოციალური თეორიები (კონსტრუქტივიზმი, პოსტმოდერნიზმი და მარქსიზმი), მშვიდობის კვლევები და გენდერის თეორიები.

მეოთხე თავს შემოაქვს საერთაშორისო კონფლიქტების ძირითადი წყაროები, ასევე პირობები და ფორმები, თუ როგორ მივყავართ ამ კონფლიქტებს ომებთან, ტერორიზმთან და ძალადობის სხვა გამოვლინებებთან.

მეხუთე თავი გვთავაზობს პოლიტიკური ეკონომიის თეორიულ კონცეფციებს (გვაჩვენებს, თუ როგორ ითარგმნება საერთაშორისო უსაფრთხოების თეორიები საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის სივრცეში) და მიმოიხილავს ამ ქვედარგის ყველაზე მნიშვნელოვან თემას, კერძოდ, საერთაშორისო ვაჭრობას. მეხუთე თავი ასევე განიხილავს გლობალური ფინანსებისა და მრავალეროვნული ბიზნესის საქმიანობის საკითხებს გლობალიზაციის ხანაში. მეექვსე თავი ეხება საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესს, რეგიონულ დონეზე ევროკავშირის და გლობალურ დონეზე გაეროს სახით. ის ასევე მიმოიხილავს საერთაშორისო სამართლის განვითარების ძირითად საკითხებს. მეშვიდე თავი ეძღვნება ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობებს, გლობალურ სამხრეთში არსებული სიღარიბის ჩათვლით. ის ასევე განიხილავს ეკონომიკური განვითარების ალტერნატივებს საერთაშორისო ბიზნესის, ვალების და უცხოური დახმარების კონტექსტში. და ბოლოს, მერვე თავი მიმოიხილავს ურთიერთდამოკიდებულების ორ წყაროს – გარემოს დაცვის პოლიტიკას და ტექნოლოგიების გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე.

პედაგოგიური ელემენტი

საერთაშორისო ურთიერთობების მსგავს დარგში, რომელმიც ცოდნა პირობითია და ემპირიული პროცესები წინ უსწრებს თეორიებს, კრიტიკული აზროვნება სტუდენტის მთავარი უნარ-ჩვევაა. წიგნის სხვადასხვა ადგილას დასკვნები განგებ არაა გამოტანილი, რათა სტუდენტმა თავად გაიაზროს საკითხი. თითოეული თავის ბოლოში მოცემული კრიტიკული აზროვნების კითხვებთან ერთად, ამავე მიზანს ემსახურება სხვადასხვა ჩანართები.

საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები

ეს ჩანართები მიმოიხილავს საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობას საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში. ზოგიერთ თავში მოცემულია საზოგადოებრივი აზრი შეერთებული შტატების შიგნით, ხოლო სხვა თავებში – სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით.

პოპულიზმისა და ნაციონალიზმის აღზევების პირობებში, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორია საზოგადოებრივი აზრი საკვანძო გლობალურ საკითხებზე. მსოფლიოს მასშტაბით საზოგადოებრივი გამოკითხვების სანდო მონაცემების ხელმისაწვდომობა შესაძლებლობას გვაძლევს, გავიგოთ მეტი იმის თაობაზე, თუ როგორ უყურებს მოსახლეობა საერთაშორისო ურთიერთობების თემებს.

პოლიტიკის პერსპექტივები

ეს ჩანართები ეხმარება სტუდენტებს, თავი წარმოიდგინონ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო ლიდერების ადგილას. ჩანართი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს პოლიტიკის პრობლემებთან აკავშირებს და აჩვენებს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ხშირად კომპრომისებს მოითხოვს, ხოლო საგარეო და საშინაო პოლიტიკა ურთიერთდაკავშირებულია.

მოდით ვიმსჯელოთ

ეს ჩანართები სტუდენტებს წინააღმდეგობრივი თემების გააზრებაში ეხმარება. ყოველ თავში შერჩეულია ისეთი საკითხი, რომელიც ამ თავში განხილულ კონცეფციების უფრო ფართოდ მლის. ამდენად, ის ემსახურება აღნიშნული თემის და ასევე, თავის ზოგადი თემატიკის უფრო სიღრმისეულ განხილვას.

კარიერა საერთაშორისო ურთიერთობებში

ეს ჩანართი ეხმარება სტუდენტებს, იფიქრონ დარგის ფარგლებში დასაქმების შესაძლებლობებზე. ჩანართი (შესაბამის თავებში) ეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, საერთაშორისო სამართალს, მთავრობას და დიპლომატიას, საერთაშორისო ბიზნესს, ასევე სწავლებასა და კვლევას. ის პასუხობს კითხვას – „როგორ დამეხმარება ეს საგანი სამსახურის პოვნაში?“ აქვე მოცემული საკითხთან დაკავშირებული წიგნებისა და ვებგვერდების ჩამონათვალი.

ბევრ ადამიანს ინფორმაციის, განსაკუთრებით აბსტრაქტული კონცეფციების, აღქმა სურათებთან ერთად უადვილდება. ამდენად, წიგნი ფართოდ იყენებს ფერად ფოტოებს მნიშვნელოვანი საკითხების ილუსტრირებისთვის. წარწერები ფოტოებზე ხაზს უსვამს თითოეული ქვეთავის ძირითად თემას და მას გამოსახულ სცენებთან აკავშირებს.

ვიზუალური გზით მოსწავლე სტუდენტებს გამოადგება არა მხოლოდ ფოტოები, არამედ მრავალი ფერადი გამოსახულებაც. რაოდენობრივი მონაცემების გამოყენება ასევე უწყობს ხელს კრიტიკულ აზროვნებას. მარტივად და სათანადოდ გადმოცემული ძირითადი გლობალური მონაცემები სტუდენტებს ეხმარება, ჩამოიყალიბონ საკუთარი მოსაზრებები და იმსჯელონ სხვადასხვა პოლიტიკისა და თეორიის გამოყენებით. წიგნი ეყრდნობა გლობალურ მონაცემებს (მთლიანი სურათის დასანახად), გამსხვილებული ციფრებით წარმოაჩენს ძირითადს და ინფორმაციას შეძლებისდაგვარად გრაფიკულად გადმოსცემს.

საერთაშორისო ურთიერთობები დიდი დარგია, რომელსაც ცალ-ცალკე საკვლევი ბევრი მიმართულება აქვს. შესაბამისად, შემოთავაზებულია სხვადასხვა საკითხზე დამატებით საკითხავი ლიტერატურის სია.

ავტორთა შესახებ

ჯონ პივიჰაუსი (Jon C. W. Pevehouse) არის ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი (უკავია უილიამ ვილასის სახელობის პროფესურა). იგი არაერთი ჯილდოს მფლობელი პედაგოგი და მეცნიერია. მისი კვლევითი ინტერესებია საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია, საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ორგანიზაციები. იგი იყო დარგის წამყვანი პროფესიული ჟურნალის – „საერთაშორისო ორგანიზაციები" (International Organization) რედაქტორი. ბაკალავრის ხარისხი მიღებული აქვს კანზასის უნივერსიტეტისგან, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხი – ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტისგან.

ჯოშუა გოლდსტაინი (Joshua S. Goldstein) არის ამერიკული უნივერსიტეტის (ქალაქი ვაშინგტონი) ემერიტუსი პროფესორი და მასაჩუსეტსის ამჰერსტის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი. ის მრავალი ჯილდოს მფლობელი მეცნიერია და ეკუთვნის არაერთი ნაშრომი თუ საჯარო გამოსვლა ომისა და საზოგადოების საკითხებზე, მათ შორის ომის გავლენაზე გენდერსა და ეკონომიკაზე, ასევე ფსიქოლოგიურ ტრავმაზე. მისმა წიგნმა „ომი და გენდერი" საერთაშორისო სწავლებების ასოციაციის ათწლეულის წიგნის ჯილდო მიიღო.

ქართული გამოცემის წინასიტყვაობა

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა დამოუკიდებელ საქართველოში 1992 წლიდან ისწავლება. იმ თაობის სტუდენტებს კარგად ახსოვთ ალექსანდრე რონდელის მიერ შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობების პირველი ქართული სახელმძღვანელო. ამ წიგნმა ბევრი თაობა აღზარდა, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც უცხოური გამოცემები ხელმისაწვდომი არ იყო, ხოლო ინტერნეტი ნელ-ნელა შემოდიოდა ჩვენს ცხოვრებაში.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობების ძალიან ბევრი სახელმძღვანელო არსებობს, განსაკუთრებით ინგლისურ ენაზე. რამდენიმე მათგანი ქართულადაც ითარგმნა. ამდენად, ამ დარგის სახელმძღვანელო სიახლე ნამდვილად არაა. მაშინ რატომ გთავაზობთ წინამდებარე წიგნს და რატომ იყო ღირებული მისი ქართულად თარგმნა?

ჯონ პივიჰაუსი და ჯოშუა გოლდსტაინი დარგის აღიარებული მკვლევრები, მაგრამ ასევე გამორჩეული პედაგოგები არიან. სწორედ მათი პედაგოგიური ნიჭისა და გამოცდილების დამსახურებაა, რომ წიგნში ძალიან მარტივად, გასაგებად და ამავდროულად სრულყოფილადაა გადმოცემული საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და პრაქტიკის ურთულესი საკითხები. თავად ავტორებიც მიუთითებენ, რომ წიგნი საერთაშორისო ურთიერთობების ერთგვარი რუკაა, რომელიც თვალსაჩინოდ აღგვიწერს დარგის ურთულეს ლანდშაფტს. ასევე, წიგნში წარმოჩენილია საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე პრობლემატიკა (გარემოს დაცვა, ტექნოლოგიები), მაგრამ არა ტრადიციული თემატიკის (ომები, ტერორიზმი, ვაჭრობა) დაჩრდილვის ხარჯზე. წიგნში მრავლადაა ჩანართი, ვიზუალური გამოსახულება, რაც სტუდენტს საკითხის აღქმასა და დამოუკიდებელ მსჯელობას უადვილებს.

ქართული თარგმანი შესრულებულია ორიგინალის მერვე გამოცემის მიხედვით. რვა გამოცემის არსებობა ასევე მიუთითებს წიგნის პოპულარობაზე. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ მერვე გამოცემა 2021 წელს გამოვიდა შეერთებულ შტატებში. საერთაშორისო ურთიერთობებში ბევრი რამ მოხდა მას მერე. ამიტომ, ქართულ გამოცემას დამატებით დავურთეთ განმარტებები, ძირითადად სქოლიოში, რათა ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, სულ მცირე 2023 წლის დასაწყისის მდგომარეობით გადმოგვეცა.

ყველა თარგმანს ახლავს თან გამოწვევები ცნებებისა და კერძო სახელების თარგმნის თვალსაზრისით. ამ წიგნზე მუშაობისასაც არაერთხელ წავაწყდით მსგავს პრობლემას. მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ყველა სიტყვა გაგვექართულებინა. ქართული შესატყვისების ძებნისას უხვად გავეცანით დარგობრივ ქართულ ტექსტებს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში


მაინც შევინარჩუნეთ ინგლისურენოვანი ვერსიები ან მივუთითეთ ორიგინალი დასახელება ინგლისურ ენაზე. ასე მოვიქეცით ტექსტის გვერდით ველზე მოცემული ტერმინების განმარტებითი ჩანართების შემთხვევაში. ასევე, ადგილ-ადგილ აქაც სქოლიოში დავამატეთ დამატებითი განმარტებები. დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ ჩვენს კოლეგებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომლებმაც არაერთი საგულისხმო რჩევა მოგვცეს. ცხადია, უშეცდომო მაინც არც ეს გამოცემა იქნება და დიდი სიამოვნებით მივიღებთ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

ქართული გამოცემის რედაქტორები

რუკები

სახელმწიფოები და ტერიტორიები






FINLAND
RUSSIA
SWEDEN
ESTONIA
DENMARK
NETHERLANDS
RUSSIA
LITHUANIA
BELGIUM
BELARUS
POLAND
GERMANY
UKRAINE
IRELAND
CZECH REPUBLIC
SLOVAKIA
BRITAIN
LUXEMBOURG
LIECHTENSTEIN
AUSTRIA
MOLDOVA
SWITZERLAND
HUNGARY
FRANCE
SLOVENIA
CROATIA
SERBIA
BULGARIA
MACEDONIA
SAN MARINO
ITALY
ANDORRA
MONACO
MONTENEGRO
SPAIN
BOSNIA-HERZEGOVINA
ALBANIA
GREECE
TURKEY
PORTUGAL
MALTA
ARCTIC OCEAN
RUSSIA
UZBEKISTAN
MONGOLIA
NORTH KOREA
SOUTH KOREA
JAPAN
KYRGYZSTAN
TAJIKISTAN
CHINA
KUWAIT
AFGHANISTAN
IRAN
NEPAL
BHUTAN
BURMA (MYANMAR)
PACIFIC OCEAN
PAKISTAN
BANGLADESH
LAOS
VIETNAM
UNITED ARAB EMIRATES
INDIA
TAIWAN
HONG KONG
MACAU
YEMEN
PHILIPPINES
GUAM/MARIANAS
THAILAND
DJIBOUTI
CAMBODIA
BRUNEI
PALAU
SRI LANKA
MALAYSIA
MARSHALL ISLANDS
SOMALIA
MICRONESIA
NAURU
MALDIVES
PAPUA NEW GUINEA
KIRIBATI
SEYCHELLES
SINGAPORE
SOLOMON ISLANDS
INDIAN OCEAN
TUVALU
AMERICAN SAMOA
MALAWI
EAST TIMOR
COMOROS ISLANDS
VANUATU
MAURITIUS
SAMOA
MADAGASCAR
FIJI
TONGA
AUSTRALIA
MOZAMBIQUE
NEW ZEALAND
ANTARCTICA

ჩრდილოეთ ამერიკა




ცენტრალური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი

სამხრეთ ამერიკა



აფრიკა


North Atlantic Ocean
South Atlantic Ocean
Indian Ocean
Mozambique Channel
Mediterranean Sea
Red Sea
Gulf of Aden
Gulf of Guinea
Equator
Tropic of Cancer
Tropic of Capricorn
RUSSIA
KAZAKHSTAN
UKRAINE
BELARUS
POLAND
GERMANY
FRANCE
SPAIN
PORTUGAL
ITALY
GREECE
TURKEY
IRAN
IRAQ
SYRIA
LEBANON
ISRAEL
JORDAN
SAUDI ARABIA
YEMEN
OMAN
UAE
QATAR
BAHRAIN
KUWAIT
ALGERIA
LIBYA
EGYPT
SUDAN
MOROCCO
TUNISIA
MAURITANIA
MALI
NIGER
CHAD
NIGERIA
BURKINA FASO
GUINEA
SENEGAL
THE GAMBIA
GUINEA-BISSAU
CAPE VERDE
COTE D'IVOIRE
GHANA
TOGO
BENIN
LIBERIA
SIERRA LEONE
CAMEROON
EQUATORIAL GUINEA
GABON
CONGO REP.
DEMOCRATIC CONGO
CENTRAL AFRICAN REPUBLIC
SOUTH SUDAN
ETHIOPIA
ERITREA
DJIBOUTI
SOMALIA
KENYA
UGANDA
RWANDA
BURUNDI
TANZANIA
ANGOLA
NAMIBIA
BOTSWANA
ZIMBABWE
MOZAMBIQUE
ZAMBIA
MALAWI
SOUTH AFRICA
LESOTHO
SWAZILAND
MADAGASCAR
COMOROS
SEYCHELLES
MAURITIUS
Scale 1:67,000,000
Azimuthal Equal-Area Projection
0 500 1000 Kilometers
0 500 1000 Nautical Miles
Boundary representation is not necessarily authoritative.

ჩრდილოეთ აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი

ევროპა


Greenland (DENMARK)
Jan Mayen (NORWAY)
Greenland Sea
Barents Sea
Norwegian Sea
Hammerfest
Murmansk
Arctic Circle
Reykjavik
ICELAND
NORWAY
Narvik
Kiruna
White Sea
Arkhangel'sk
Oulu
Umea
FINLAND
Lake Onega
Lake Ladoga
Gulf of Bothnia
Tórshavn
Faroe Islands (DENMARK)
Trondheim
SWEDEN
Tampere
Shetland Islands
Helsinki
St. Petersburg
Gulf of Finland
Bergen
Oslo
Gävle
Stockholm
Aland Islands
Rockall (U.K.)
Orkney Islands
Hebrides
ESTONIA
RUSSIA
North Atlantic Ocean
Aberdeen
Skagerrak
Göteborg
Gotland
Riga
LATVIA
North Sea
Baltic Sea
Edinburgh
UNITED
Belfast
Isle of Man (U.K.)
Newcastle
DENMARK
Copenhagen
Bornholm
Kaliningrad
RUSSIA
Vilnius
LITHUANIA
Minsk
BELARUS
Dublin
Irish Sea
Liverpool
IRELAND
KINGDOM
Cardiff
Amsterdam
NETHERLANDS
London
Hamburg
Berlin
Gdansk
Poznań
Warsaw
Brest
POLAND
GERMANY
Leipzig
Wrocław
Kyiv
UKRAINE
Brussels
Bonn
Frankfurt
English Channel
Guernsey (U.K.)
Jersey (U.K.)
BELGIUM
Le Havre
Paris
Prague
CZECH REPUBLIC
SLOVAKIA
MOLDOVA
Chişinău
Luxembourg
LUX.
Strasbourg
Stuttgart
Bratislava
Budapest
Odesa
Nantes
Loire
FRANCE
Munich
Vienna
AUSTRIA
HUNGARY
Cluj-Napoca
SWITZ.
Bern
LIECH.
Graz
ROMANIA
Bay of Biscay
Geneva
Lyon
Milan
Venice
Pécs
Bucharest
Constanța
SLOVENIA
Zagreb
Danube
Black Sea
Bordeaux
Turin
Genoa
Belgrade
Vienna
BOSNIA AND HERZEGOVINA
Sarajevo
SAN MARINO
CROATIA
Serbia
BULGARIA
Bilbao
Porto
PORTUGAL
MONACO
Marseille
Florence
Adriatic Sea
Sofia
ITALY
MONTENEGRO
Podgorica
Skopje
ANDORRA
SPAIN
Barcelona
Madrid
Corsica
Rome
MACEDONIA
Thessaloniki
TURKEY
Tagus
Lisbon
VATICAN CITY
Naples
ALB.
Valencia
Sardinia
Tyrrhenian Sea
Corfu
Aegean Sea
GREECE
Seville
Balearic Islands
Palermo
Ionian Sea
Sicily
Mediterranean Sea
Málaga
Strait of Gibraltar
Gibraltar (U.K.)
Ceuta (SPAIN)
Algiers
Tunis
Rhodes
Crete
Scale 1:19,500,000
Lambert Conformal Conic Projection, standard parallels 40°N and 56°N
Valletta
MALTA
Rabat
MOROCCO
ALGERIA
TUNISIA
Melilla (SPAIN)
300 Kilometers
300 Nautical Miles

ᲐᲖᲘᲐ


RUSSIA
KAZAKHSTAN
MONGOLIA
CHINA
INDIA
IRAN
SAUDI ARABIA
INDONESIA
Arctic Ocean
Norwegian Sea
Barents Sea
Kara Sea
Laptev Sea
East Siberian Sea
Bering Sea
North Pacific Ocean
Sea of Okhotsk
Sea of Japan
East China Sea
South China Sea
Philippine Sea
Arabian Sea
Bay of Bengal
Andaman Sea
Indian Ocean
Occupied by the Soviet Union in 1945, administered by Russia, claimed by Japan
Scale 1:50,000,000
Azimuthal Equal-Area Projection
Boundary representation is not necessarily authoritative.
1000 Kilometers
1000 Nautical Miles

თავი 1

საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაცია



NASA

ახლო აღმოსავლეთი საერთაშორისო კოსმოსური სადგურიდან, 2010

სასწავლო მიზნები

1.1 აღწერეთ კოლექტიური ქმედების პრობლემის მახასიათებლები და ამ პრობლემის გადაჭრის 3 ძირითადი პრინციპი

1.2 შეაფასეთ, არიან თუ არა სახელმწიფოები კვლავ ცენტრალური აქტორები საერთაშორისო ურთიერთობებში

1.3 გამოყავით მინიმუმ სამი მსგავსება გლობალური ჩრდილოეთისა და გლობალური სამხრეთის ქვეყნებს შორის

1.4 ახსენით ცივი ომისა და ცივი ომის შემდგომ ეპოქებს შორის არსებული სულ მცირე ორი განსხვავება

1.1 გლობალიზაცია, საერთაშორისო ურთიერთობები და ყოველდღიური ცხოვრება

აღწერეთ კოლექტიური ქმედების პრობლემის მახასიათებლები და ამ პრობლემის გადაჭრის 3 ძირითადი პრინციპი

საერთაშორისო ურთიერთობები საინტერესო დისციპლინაა, ვინაიდან მისი კვლევის სფეროს შეადგენს ხალხები და კულტურები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობების მასშტაბი და კომპლექსურობა საერთაშორისო ურთიერთობებს რთულ დისციპლინად აქცევს. დარგის შესახებ ყოველთვის უფრო მეტია სასწავლი. ეს წიგნი ამ მოგზაურობის მხოლოდ დასაწყისია.

საერთაშორისო ურთიერთობები (International Relations)

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა შეისწავლის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს და ამ ურთიერთობათა კავშირს სხვა აქტორებთან (როგორებიცაა: გაერო, მრავალეროვნული კორპორაციები და ინდივიდები), სოციალურ სისტემებთან (მათ შორის: ეკონომიკა, კულტურა და შიდა პოლიტიკა), გეოგრაფიულ და ისტორიულ ფაქტორებთან.

ვიწრო გაგებით, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს შეისწავლის. თუმცა, ეს ურთიერთობები არ შეიძლება იზოლირებულად აღვიქვათ. ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა აქტორებთან (როგორებიცაა: საერთაშორისო ორგანიზაციები, მრავალეროვნული კორპორაციები და ინდივიდები), სოციალურ სისტემებთან (მათ შორის, ეკონომიკა, კულტურა და შიდა პოლიტიკა), გეოგრაფიულ და ისტორიულ ფაქტორებთან. ყველა ამ ელემენტის ერთობლიობა კი ქმნის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალურ ტენდენციას – გლობალიზაციას.

ბოლო წლების ბევრი მოვლენა ასახავს მსოფლიოს სულ უფრო მზარდ ურთიერთკავშირს. ერთი შეხედვით შორს მდებარე ადგილებში, ლიბიასა და სირიაში დაწყებულმა კონფლიქტებმა ათასობით ლტოლვილი მიიყვანა ამერიკის და ევროპის საზღვრებთან. 2008-2009 წლების გლობალური ეკონომიკური რეცესია, რომელიც აშშ-ის იპოთეკური კრედიტების ბაზრის კოლაფსით დაიწყო, სწრაფად გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. მჭიდროდ ინტეგრირებულმა გლობალურმა ფინანსურმა ბაზრებმა დომინოს ეფექტი შექმნა, რამაც მსოფლიოს თითქმის ყველა ეკონომიკაზე იქონია გავლენა. ამერიკის შეერთებული შტატებს და ევროპას თითქმის მთელი ათწლეული დასჭირდათ დასაქმების და ეკონომიკური ზრდის კრიზისამდე არსებულ დონეებთან დასაბრუნებლად.

გლობალიზაციას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენაც აქვს.: გლობალური სავაჭრო ქსელები სამუალებას აძლევს ადამიანს შეუკვეთოს ახალი ტელეფონი, რომელიც დამზადებულია ერთ ქვეყანაში და რომლის ტრანსპორტირება ხდება მეორე ქვეყნის გავლით, რათა ამ ადამიანმა ის რამდენიმე დღეში საკუთარ სახლში მიიღოს. გლობალური კავშირები უზრუნველყოფს მყისიერ კავშირს მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, წვდომას ახალ ამბებთან მსოფლიოს თითქმის ყველა წერტილში. დაახლოებით 30 წლის წინაც კი ეს კავშირები ბევრად უფრო ნელი, იშვიათი და ძალიან ძვირი იყო. ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ მსოფლიო წლიდან წლამდე უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება. კომუნიკაციისა და ტრანსპორტირების

გაუმჯობესებული საშუალებები აფართოებს რიგითი ადამიანის კავშირებს ხალხებთან, პროდუქტებთან და იდეებთან სხვა ქვეყნებიდან. სხვანაირად რომ ვთქვათ, გლობალიზაცია ჩვენს ინტერნაციონალიზაციას იწვევს.

ამავდროულად, ისიც მართალია, რომ ბევრი ადამიანი განიცდის, თუ როგორ გავლენას ახდენს ეს გაზრდილი ურთიერთკავშირი მათ ცხოვრებაზე. 2016 წელს დიდი ბრიტანეთის მოქალაქეების მიერ ევროკავშირიდან გასვლის მხარდაჭერამ, რაც ბრექსიტის სახელწოდებით არის ცნობილი, წარმოაჩინა ის შიშები, რომელიც ამ ქვეყანაში ბევრ ადამიანს გაუჩნდა, იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკავშირში წევრობის გამო ისინი ნაკლებად აკონტროლებდნენ იმ პოლიტიკებს, რომელიც სავაჭრო და მიგრაციის საკითხებს ეხებოდა. ბევრი აღნიშნავდა, რომ 2016 წელს ამერიკის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევა ხაზს უსვამდა ამერიკელების უკმაყოფილებას გლობალიზაციის გამო, მათ შორის ვაჭრობის შედეგად სამუშაო ადგილების დაკარგვის და მიგრაციასთან დაკავშირებულ წუხილებს, და ასევე, სურვილს, რომ ამერიკის ინტერესები გლობალურ საკითხებზე უფრო პრიორიტეტული ყოფილიყო.

მოვლენებს, რომლებიც ერთი შეხედვით შორს არის და ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებულია, შეუძლია პირდაპირი გავლენა იქონიოს ჩვენს ყოველდღიურობაზე. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სამუშაო ადგილის მოვნაც გლობალურ ეკონომიკასა და საერთაშორისო ეკონომიკურ კონკურენციაზეა დამოკიდებული. ეს სამუშაოები კი, თავის მხრივ, მოიცავს საერთაშორისო მგზავრობას, გაყიდვებს ან კომუნიკაციას. მსოფლიო სავაჭრო სისტემის წესები კი იმ საქონელზე ახდენს გავლენას, რომელსაც სტუდენტები ყოველდღიურად მოიხმარენ, როგორიცაა ელექტროაპატურა, ტანსაცმელი და საწვავი.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე გლობალიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების გავლენასთან ერთად, რიგით მოქალაქესაც შეუძლია მსოფლიოზე გავლენის მოხდენა. ხშირად, საერთაშორისო ურთიერთობები წარმოდგენილია როგორც რიგითი მოქალაქისთვის შორეული და აბსტრაქტული პროცესი, რომელსაც პრეზიდენტების, გენერლებისა და დიპლომატებისგან შემდგარი მცირე ჯგუფები წარმართავენ. მართალია, ლიდერები საერთაშორისო ურთიერთობებში წამყვან როლს ასრულებენ, მაგრამ ამ პროცესში ბევრი სხვა ადამიანიც მონაწილეობს. ყოველთვის, როცა სტუდენტები და სხვა მოქალაქეები ხმას აძლევენ არჩევნებში ან ჩართულები არიან პოლიტიკურ კამპანიებში, ყიდულობენ პროდუქტს ან მომსახურებას მსოფლიო ბაზრებზე და უყურებენ ახალ ამბებს, ისინი თავისთავად მონაწილეობენ საერთაშორისო ურთიერთობებში. გადაწყვეტილებები, რომლებსაც ყოველდღიურად ვიღებთ, საბოლოო ჯამში იმ სამყაროზე ახდენს გავლენას, რომელშიც ვცხოვრობთ. ამ გადაწყვეტილებების მეშვეობით, თითოეულ ადამიანს შეაქვს მცირე, თუმცა უნიკალური წვლილი საერთაშორისო ურთიერთობების სამყაროში.

ამ წიგნის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის გაცნობა, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების მიერ საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ გამოყენებული ძირითადი თეორიების და ცნებების განხილვა. წიგნის პირველი თავი საერთაშორისო ურთიერთობებს, როგორც სამეცნიერო დარგს განსაზღვრავს, ასევე გაგვაცნობს საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ აქტორებს და განიხილავს გლობალიზაციის ისტორიულ და გეოგრაფიულ ასპექტებს.

1.1.1. ძირითადი პრინციპები

საზოგადოებრივი საქონლის პრობლემა (Collective Goods Problem)

ჯგუფის წევრების მიერ შექმნილი ხელშესახები ან უხილავი სარგებელი, რომელიც ხელმისაწვდომია ჯგუფის ყველა წევრისათვის მათი ინდივიდუალური წვლილის მიუხედავად. მონაწილეებს შეუძლიათ თავიანთი წვლილის შემცირება საზოგადოებრივ საქონელში, მაგრამ თუ ბევრი მონაწილე მოიქცევა ასე, ის უზრუნველყოფილი ვერ იქნება.

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა მსოფლიოს კომპლექსურობას ასახავს და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრები ბევრ თეორიას, კონცეფციას და სპეციფიკურ ტერმინს იყენებენ ამ ურთიერთობებების აღსაწერად და ასახსნელად. თუმცა, ამ კომპლექსურობას საფუძვლად რამდენიმე ძირითადი პრინციპი უდევს, რომელიც დარგს განსაზღვრავს. მე-2 და მე-3 თავებში ჩვენ განვიხილავთ თეორიებისა და მიდგომების სპექტრს, მაგრამ ამ თავში, მაქსიმალურად გამარტივებული ფორმით იქნება წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალური იდეები.

საერთაშორისო ურთიერთობები ერთი მთავარი პრობლემის გარშემო ტრიალებს: როგორ არის შესაძლებელი, რომ ორი ან მეტი ქვეყნისგან შემდგარი ჯგუფი საზოგადო ინტერესებს ემსახუროს, მაშინ როდესაც ამის გაკეთება ჯგუფის წევრებისგან მათი ინდივიდუალური ინტერესების დათმობას მოითხოვს? მაგალითად, ყველა ქვეყნის ინტერესია გლობალური დათბობის შეჩერება და ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ ერთიანი ძალისხმევითაა შესაძლებელი. ამავდროულად, ყველა ქვეყანას ასევე აქვს ინდივიდუალური ინტერესი გამოიყენოს წიაღისეული საწვავი საკუთარი ეკონომიკის მხარდასაჭერად. ან ამის მსგავსად, სამხედრო ალიანსის ყველა წევრი იღებს სარგებელს ალიანსის სიძლიერისგან, მაგრამ ცალკე აღებულ თითოეულ წევრს აქვს ალიანსში საკუთარი კონტრიბუციის (ფულისა და ჯარისკაცების) შემცირების ინტერესი. ცალკეულ სახელმწიფოებს შეუძლიათ თავიანთი მოკლევადიანი ინტერესები გაატარონ ტერიტორიების სამხედრო გზით დაპყრობით, სავაჭრო შეთანხმებების დარღვევით ან საერთაშორისო ძალისხმევებში, როგორებიცაა სამშვიდობო ოპერაციები ან ვაქცინაციის კამპანიები, მონაწილეობაზე უარის თქმით. თუმცა, ყველა ქვეყანა რომ ასე იქცეოდეს,



ომისგან დაზარალებული საერთაშორისო ურთიერთობები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე მრავალი გზით ახდენს გავლენას. ფოტოზე ასახულია ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სერჟანტის, ლა დევიდ ჯონსონის დაკრძალვის ცერემონია, რომელიც 2017 წელს ნიგერიში სამხედრო ოპერაციის დროს მოკლეს.

თვითონვე ჩავარდებოდნენ უარეს მდგომარეობაში, რადგან ამგვარ ქაოტურ და მანკიერ გარემოში უსაფრთხოებისა და ვაჭრობის საკითხებზე თანამშრომლობისგან მიღებული ორმხრივი მოგება აღარ იარსებებდა.

პრობლემას, როდესაც ჯგუფის საერთო ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის ჯგუფის წევრთა ინდივიდუალურ ინტერესებთან განსხვავებულ კონტექსტებში განსხვავებული სახელწოდებით ვხვდებით: კოლექტიური ქმედების პრობლემა, „უბილეთო მგზავრის“ პრობლემა, „ტვირთის განაწილების“ პრობლემა, „საერთო საკუთრების ტრაგედია“ ან „პატიმრის დილემა“. ჩვენ ამ პრობლემას ზოგადი სახით, საზოგადოებრივი საქონლის პრობლემად მოვიხსენიებთ. საზოგადოებრივი საქონლის პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უზრუნველვყოთ ჯგუფის ყველა წევრი სარგებლით, იმისდა მიუხედავად, თუ რა წვლილი მიუძღვით მათ ამ საზოგადოებრივი საქონლის შექმნაში.

ზოგადად, საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფა პატარა ჯგუფებში უფრო მარტივია, ვიდრე დიდ ჯგუფებში. პატარა ჯგუფში ერთი წევრის ტყუილი (ან უბილეთოდ მგზავრობა) უფრო რთული დასამალია, რადგან მას უფრო დიდი გავლენა აქვს საზოგადეობრივ საქონელზე და ამგვარი ქცევის დასჯაც უფრო იოლია. საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფის თვალსაზრისით პატარა ჯგუფის უპირატესობა გვეხმარება, ავხსნათ, თუ რატომ არის საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში ძლიერი სახელმწიფოების სისტემის და ეკონომიკურ საქმეებში ინდუსტრიალიზებული ქვეყნების „დიდი ოცეულის“ ჯგუფის არსებობა ასეთი მნიშვნელოვანი.

საზოგადოებრივი საქონლის პრობლემა ყველა ჯგუფსა და საზოგადოებაში არსებობს, მაგრამ ის განსაკუთრებით მწვავედ თავს საერთაშორისო ურთიერთობებში იჩენს, რადგან ყველა სახელმწიფო სუვერენულია, არ არსებობს მსოფლიო მთავრობის მსგავსი ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფოებს საჭირო ზომებს მიაღებინებდა საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველსაყოფად. ამის საპირისპიროდ, სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკაში, მთავრობას შესწევს ძალა, ინდივიდები აიძულოს, წვლილი შეიტანონ საერთო საქმეში და არ იმოქმედონ ინდივიდუალური ეგოისტური ინტერესების გასატარებლად. მაგალითად, გადაიხადონ გადასახადები საწარმოებსა და სატრანსპორტო სამუალებებზე ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო აღჭურვილობის დასამონტაჟებლად . თუკი ინდივიდები არ დაემორჩილებიან წესებს, ხელისუფლებას შესწევს ძალა, ისინი დასჯოს. მართალია, ხანდახან ისეც ხდება, რომ თაღლითებსა და კრიმინალებს არ იჭერენ და მთავრობები ბოროტად იყენებენ ძალაუფლებას, მაგრამ უმეტესწილად ეს პრინციპები საკმაოდ კარგად მუშაობს.

სამი ძირითადი პრინციპი – **დომინირების, ორმხრივობის და იდენტობის პრინციპები** – იმ ძირითადი პრობლემის შესაძლო გადაწყვეტას გვთავაზობს, როგორიცაა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იძუ-

ლების გარეშე ინდივიდების დარწმუნება, ითანამშრომლონ საერთო სარგებლის მისაღებად (იხილეთ ცხრილი 1.1). ეს სამი პრინციპი ფუნდამენტურია სოციალური მეცნიერებებისთვის და ისეთ განსხვავებულ დისციპლინებში გვხვდება, როგორებიცაა: ცხოველთა საზოგადოების კვლევები, ბავშვთა განვითარება, სოციალური ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, ეკონომიკა და რა თქმა უნდა, პოლიტიკის მეცნიერება. თითოეული ამ პრინციპის სრულფასოვნად ასახსნელად, გამოვიყენებთ მაგალითებს როგორც ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებიდან, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებიდან.

ცხრილი 1.1 საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის გადაჭრის ძირითადი პრინციპები

პრინციპი	უპირატესობა	ნაკლოვანება
დომინირება	წესრიგი, სტაბილურობა, პროგნოზირებადობა	ჩაგვრა, უკმაყოფილება
ორმხრივობის პრინციპი	მოტივები ურთიერთთანამშრომლობისთვის	დაღმავალი სპირალი, კომპლექსური გათვლები
იდენტობა	ჯგუფისთვის თავგანწირვა, ინტერესთა გადააზრება	ჯგუფის გარეთ მყოფთა დემონიზაცია

დომინირება (Dominance)
დომინირების პრინციპი გულისხმობს საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის იერარქიული გადაწყვეტილების მიღების გზით გადაჭრას.

დომინირება დომინირების პრინციპი ძალის იერარქიის ჩამოყალიბებით წყვეტს საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას. ამ იერარქიის მწვერვალზე მყოფი სახელმწიფო აკონტროლებს იერარქიაში ქვემოთ მყოფებს – ეს გარკვეულწილად ჰგავს მთავრობას რეალური ხელისუფლების გარეშე. შეზღუდული რესურსებისათვის ბრძოლის ნაცვლად ჯგუფის წევრებმა შეიძლება დროდადრო „სტატუსთა იერარქიაში“ პოზიციის მოსაპოვებლად იბრძოლონ. შედეგად, სოციალური კონფლიქტები, თუ ვინ მიიღებს რესურსებს, ავტომატურად წყდება იმ აქტორის სასარგებლოდ, ვინც უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე დგას. დომინანტური პოზიციისათვის ბრძოლას გაწერილი წესები აქვს, რომლებიც გარკვეულწილად ამცირებს ჯგუფის წევრებისათვის მიყენებულ ზიანს. დამორჩილებისა და დომინირების სიმბოლური აქტები განამტკიცებს არსებულ სტატუსთა იერარქიას. სტატუსთა იერარქიის სათავეში ყოფნა მხოლოდ სიძლიერეზე არ არის დამოკიდებული, თუმცა ეს მნიშვნელოვანი დამხმარე ფაქტორია. წამყვანი აქტორი შესაძლოა ყველაზე გამოცდილი/კომპეტენტური იყოს ჯგუფის უფრო უნარიან წევრთა შორის ალიანსების ფორმირებისა და შენარჩუნების საქმეში. დომინირება კომპლექსურია და ის მხოლოდ უხეშ ძალას არ ემყარება.

საერთაშორისო ურთიერთობებში დომინირების პრინციპი უდევს საფუძვლად დიდი სახელმწიფოების სისტემას, რომელშიც სახელმწიფოთა მცირე ჯგუფი სხვა დანარჩენებს კარნახობს ქცევის წესებს. ზოგჯერ, ე.წ.

ჰეგემონი ან ზესახელმწიფო დგას დიდი სახელმწიფოების ზემოთ, როგორც დომინანტი სახელმწიფო. გაეროს უშიშროების საბჭო, რომელშიც მსოფლიოს უდიდესი სამხედრო პოტენციალის მქონე სახელმწიფოებს აქვთ ვეტოს უფლება, ნათლად ასახავს დომინირების პრინციპს.

საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის დომინირების პრინციპით გადაწყვეტას აქვს ის უპირატესობა, რომ მსგავსად მთავრობისა, დომინანტი სახელმწიფო აიძულებს ჯგუფის სხვა წევრებს, თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი საქონლის შექმნაში. ის ამცირებს ჯგუფის შიგნით ღია კონფლიქტის ალბათობას. თუმცა, დომინირების პრინციპს თავისი ნაკლოვანებებიც გააჩნია. ეს ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ სტაბილურობა სტატუსთა იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგომი ნევრების მუდმივი ჩაგვრისა და მათი უკმაყოფილების ხარჯზე მიიღწევა. ამასთანავე, იერარქიაში მაღალი პოზიციისათვის ბრძოლამ ჯგუფის სტაბილურობა და კეთილდღეობა შესაძლოა დროდადრო ეჭვქვეშ დააყენოს და სერიოზულ ბრძოლებში გადაიზარდოს. საერთაშორისო ურთიერთობების შემთხვევაში დიდი სახელმწიფოების სისტემასა და ზესახელმწიფოს ჰეგემონიას შედარებითი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა შეუძლია ათწლეულების განმავლობაში, მაგრამ შემდეგ ამ იერარქიის ჩამოშლამ, შესაძლოა, დიდ სახელმწიფოებს შორის ძვირადღირებულ ომამდე მიგვიყვანოს.



უამრავი თევზი ზღვაში? **საზოგადოებრივი საქონელი, როგორიც არის გლობალური თევზსაჭერი რესურსები, დამოკიდებულია ჯგუფის წევრებს შორის თანამშრომლობაზე ამ საქონლის შენარჩუნების თვალსაზრისით. თუმცა, რამდენადაც წევრებს სურთ საზოგადოებრივი საქონლის დაცვა, მათ ასევე აქვთ ინდივიდუალური ინტერესი, რომ ის ჭარბად მოიხმარონ. ამათგან ერთ-ერთ თევზსაჭერ ნავს, რომელიც ნაჩვენებია ჩინეთის ნავსადგურში 2018 წელს, შესაძლოა სურდეს ცოტათი უფრო მეტი თევზის დაჭერა და ფიქრობდეს, რომ მათ მიერ დაჭერილი ცოტათი მეტი თევზი, დიდ გავლენას არ მოახდენს. თუმცა, თუკი ყველა ეს ნავი ასე მოიქცევა, შედეგი გადაჭარბებული თევზჭერა იქნება. შესაბამისად, ნავებმა უნდა ითანამშრომლონ თევზის მარაგების დასაცავად (საზოგადოებრივი საქონელი). ბევრ საკითხში, როგორიც არის გლობალური დათბობა, საერთაშორისო საზოგადოება მსგავსად ურთიერთდამოკიდებულია. თუმცა, საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფა ქმნის რთულ დილემას, რადგან მოთამაშეები მოგების შათი წილის გაზრდას ცდილობენ.**

ორმხრივობა ორმხრივობის პრინციპი საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას შემდეგნაირად აგვარებს: იგი აჯილდოვებს იმგვარ ქცევას, რომელიც ჯგუფის ინტერესებს შეესაბამება და სჯის, საპირისპირო, ჯგუფის ხარჯზე ეგოისტური ინტერესის დაკმაყოფილებისკენ მიმართულ ქცევას. ორმხრივობის პრინციპი აღსაქმელად ძალიან მარტივია და ის შეიძლება „აღსრულდეს“ ცენტრალური მთავრობის ჩარევის გარეშეც, რაც მას საზოგადოებრივი საქონლის შექმნის საიმედო გზად აქცევს.

ორმხრივობა (Reciprocity)

სხვა აქტორის ქმედებაზე მსგავსი საპასუხო რეაქცია. ორმხრივობის პრინციპი მოლაპარაკებებისას პოზიტიურ (ჯილდოს დაპირება) და ნეგატიურ (დასჯის მუქარა) ფორმებს იყენებს.

თუმცა ორმხრივობის პრინციპი მოქმედებს როგორც დადებით („ხელი ხელს ბანს“), ასევე უარყოფით („თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“) კონტექსტებში. საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის გადაჭ-

რისას ორმხრივობის პრინციპის მთავარი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ ის შესაძლოა დაღმავალ სპირალს დაემსგავსოს, რამეთუ ყველა მხარე სჯის სხვა მხარეს იმ მოქმედებების გამო, რასაც თავად ნეგატიურად აღიქვამს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანთა უმეტესობა გადაჭარბებით აფასებს საკუთარ კარგ განზრახვებს და სათანადოდ ვერ აფასებს თავიანთი ოპონენტებისა და მეტოქეების მოქმედებათა ღირებულებას. ურთიერთობების უარყოფითი მიმართულებით ესკალაციისგან თავიდან ასარიდებლად, ერთი ან ორივე მხარე არ უნდა იშურებდეს ძალისხმევას ურთიერთობების დადებითი მიმართულებით წარმართვისათვის.

საერთაშორისო ურთიერთობებში ორმხრივობის პრინციპი აყალიბებს საერთაშორისო სისტემაში არსებული ნორმების (ჩვეულებები, მოლოდინები) და ინსტიტუტების უმეტესობის საფუძველს. საერთაშორისო ურთიერთობებში ბევრი ცენტრალური შეთანხმება, როგორებიცაა მაგალითად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმებები მკაფიოდ აღიარებს ორმხრივობის პრინციპს, როგორც თანამშრომლობის საყრდენს. მაგალითად, როდესაც ერთი ქვეყანა ხსნის საიმპორტო ბაზრებს სხვა ქვეყნის საქონლისათვის, მეორეც, თავის მხრივ, ხსნის ბაზრებს პირველი ქვეყნისათვის. ნეგატიურ კონტექსტში კი, ორმხრივობის პრინციპი ახალისებს გამალებულ შეიარაღებას, რადგან თითოეული მხარე პასუხობს მეორე მხარის მილიტარიზაციას. თუმცა, ის ასევე შესაძლებელს ხდის შეიარაღების კონტროლის შესახებ შეთანხმებების გაფორმებასა და კონფლიქტის გადაწყვეტის სხვა ეტაპობრივი ზომების მიღებას, რამდენადაც კონფლიქტის მხარეები ერთმანეთის მსგავსად მოქმედებენ საომარი მოქმედებებისგან თავის არიდების თვალსაზრისით.

იდენტობა (Identity)
საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის გადაჭრა მონაწილეთა პრიორიტეტების შეცვლის გზით, რაც ეფუძნება საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის საერთო განცდას.

იდენტობა საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის გადაჭრის მესამე პოტენციური გზა მონაწილეების, როგორც საზოგადოების წევრების, იდენტობებში მდგომარეობს. მაშინ როცა დომინირების და ორმხრივობის პრინციპები ინდივიდუალური, ეგოისტური მიზნის მიღწევის იდეას ეყრდნობა (იმის მიღებით, რაც შეგიძლია ან ორმხრივად სასარგებლო შეთანხმებებით), იდენტობის პრინციპი ეგოისტურ ინტერესს არ ეყრდნობა. პირიქით, ჯგუფის წევრები იმდენად ზრუნავენ სხვა წევრების ინტერესებზე, რომ საჭიროების შემთხვევაში მზად არიან თავიანთი ინტერესები მათ კეთილდღეობას შესწირონ. ამ პრინციპის საფუძვლები ოჯახში, გაფართოებულ ოჯახსა და ნათესაურ ჯგუფში უნდა ვეძიოთ. თუმცა, ამ პრინციპის მოქმედება მხოლოდ ოჯახით არ შემოისაზღვრება, ის ასევე შეიძლება იმ საზოგადოებაზე განვაზოგადოთ, რომელსაც თავს მიაკუთვნებთ. ისევე, როგორც ოჯახის წევრები ზრუნავენ ერთმანეთზე, ეთნიკური, გენდერული, მსოფლიო მეცნიერთა ჯგუფების ან ერის წევრებიც ზრუნავენ ერთმანეთზე. თითოეულ ამ შემთხვევაში, ჯგუფის ინდივიდუალური წევრები საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას გადაჭრიან იმგვარად, რომ ეს მათთვის, როგორც ინდივიდებისთვის საუკეთესო გამოსავალი არ

იქნება, რადგან სარგებელი „საერთო იქნება მთელი ოჯახისთვის". მდიდარი ამერიკული უნივერსიტეტის ბიოლოგმა პენსიაში გასვლის შემდეგ თავისი აღჭურვილობა შესაძლოა უსახსოვროს ბიოლოგს ღარიბი ქვეყნიდან, რადგან მათ აქვთ მეცნიერის საერთო იდენტობა. ევროპაში მცხოვრებმა ებრაელმა შესაძლოა ფინანსური დახმარება გაუწიოს ისრაელს საერთო ებრაული იდენტობის გამო ან კომპიუტერული მეცნიერი ინდოეთიდან, კანადაში განათლების მიღების შემდეგ შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და უფრო დაბალანაზღაურებად სამსახურში იმუშაოს, რათა იმ საზოგადოებას დაეხმაროს, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანია. მილიონობით ადამიანი რიცხავს თანხებს ბუნებრივი კატასტროფებისაგან დაზარალებულთა საერთაშორისო ფონდებში ცუნამების, მიწისძვრების, ქარიშხლების შემდეგ, რადგან ისინი იზიარებენ **ადამიანთა საზოგადოების** საერთო იდენტობას.

საერთაშორისო ურთიერთობებში იდენტობის საზოგადოებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საზოგადოებრივი საქონლის რთული პრობლემის გადალახვაში: მათ შორის ისეთ საკითხებში, თუ ვის შეაქვს მეტი წვლილი განვითარებაში, მსოფლიო ჯანდაცვაში, გაეროს სამშვიდობო მისიებში. სკანდინავიური ქვეყნების შედარებით დიდი წვლილი უცხოურ დახმარებაში, კანადის უფრო აქტიური მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში, ვერ აიხსნება პირადი ინტერესების კონცეფციით: ეს გამომდინარეობს ამ ქვეყნების, როგორც საერთაშორისო საზოგადოების წევრების თვითგანსაზღვრული იდენტობებიდან. შეიარაღებულ ძალებსა და დიპლომატიაშიც კი (სადაც დომინირების და ორმხრივობის პრინციპები, შესაბამისად, წამყვანი პრინციპებია) სამხედრო პროფესიონალებისა და დიპლომატების გაზიარებულ იდენტობებს შეუძლია კონფლიქტების შერბილება. სამხედრო ალიანსებიც იდენტობის პოლიტიკისა და პირადი ინტერესის ერთგვარ ნაზავს ეყრდნობა, რაც კარგად ჩანს აშშ-ბრიტანეთის ალიანსის სიძლიერეში, რასაც ცალკე ვერც ალიანსის საზიარო ინტერესები ხსნის და ვერც გაზიარებული იდენტობა.

არასახელმწიფოებრივი აქტორები, როგორებიცაა, არასამთავრობო ორგანიზაციები ან ტერორისტული ქსელები, ასევე დიდწილად იდენტობის პოლიტიკას ემყარება. ბოლო წლებში ამ აქტორების, მათ შორის, ფემინისტური ორგანიზაციების, ეკლესიების, ჯიჰადისტების და მრავალეროვნული კორპორაციების მზარდმა როლმა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში იდენტობის პრინციპი უფრო თვალსაჩინო გახადა.

მაგალითი ყოველდღიური ცხოვრებიდან სამი ძირითადი პრინციპი რომ შევაჯამოთ, წარმოიდგინეთ, რომ გყავთ ორი კარგი მეგობარი: ქალი და მამაკაცი, რომლებსაც რომანტიკული ურთიერთობა აკავშირებთ. მათ უყვართ ერთმანეთი და სხვების გარემოცვაში ყოფნაც მოსწონთ, მაგრამ ერთ დღესაც მოდიან თქვენთან, და გთხოვენ პრობლემის გადაჭრაში დახმარებას. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ისინი ერთად დროის გატარებას გადაწყვეტენ, კაცს სურს ოპერაში წასვლა, ხოლო

ქალი კრივის მატჩებზე დასწრებას არჩევს (ეს სცენარი უკავშირდებოდა თამაშის თეორიას, სახელწოდებით „სქესთა ბრძოლა"). ვინაიდან თქვენ საერთაშორისო ურთიერთობებში გარკვეული ცოდნა გაქვთ, სწრაფად აცნობიერებთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საზოგადოებრივი საქონლის პრობლემასთან, რომელშიც საზიარო ინტერესი ერთად დროის გატარებაა, ხოლო ურთიერთსაწინააღმდეგო ინდივიდუალური ინტერესები ოპერაში სპექტაკლზე დასწრება და კრივის მატჩის ყურებაა (რასაკვირველია, თქვენ იცით, რომ სახელმწიფოთა ქცევა ინდივიდთა ქცევაზე გაცილებით რთულია, მაგრამ ამას დროებით ივიწყებთ). თქვენ შეიძლება ამ პრობლემას სამი გზით მიუდგეთ:

პირველი: თქვენ შეგიძლიათ თქვათ: „ტრადიციულად, ურთიერთობები უკეთ ყალიბდება, როდესაც მამაკაცს აქვს წამყვანი როლი. ათასწლეულების მანძილზე მამაკაცი იღებდა გადაწყვეტილებას და ქალი ამ გადაწყვეტილებას ემორჩილებოდა. გთავაზობთ, ახლაც ასევე მოიქცეთ და იყიდოთ ოპერის სეზონური ბილეთი." ეს იქნებოდა დომინირების პრინციპით პრობლემის გადაჭრა. ეს გზა შეიძლება საკმაოდ სტაბილური აღმოჩნდეს, თუ ქალი თავის ქმეშმარიტ სიყვარულთან დროის გატარებაზე უფრო ღელავს, ვიდრე ოპერის ან კრივის ყურებაზე. ეს შეიძლება იყოს მარტივი გადაწყვეტილება, რომელიც სამომავლო კონფლიქტებსაც მოაგვარებს. ეს გადაწყვეტილება ერთ მხარეს მისცემს ყველაფერს, რაც მას სურს, ხოლო მეორე მხარეს სურვილს ნაწილობრივ დაუკმაყოფილებს (სიყვარული, გარემოცვა, სტაბილური ურთიერთობა). ეს შესაძლოა მათთვის უკეთესიც იყოს, ვიდრე მთელი საღამოების გაყვანა იმაზე კინკლაობაში, სად ჯობია წასვლა. მეორე მხრივ, ამ გადაწყვეტილებამ ქალი შესაძლოა მუდმივად განაწყენებული დატოვოს შედეგის მკაფიოდ არათანაბარი ბუნების გამო. დროთა განმავლობაში მისი სიყვარული პარტნიორის მიმართ შეიძლება განელდეს პატივისცემისადმი მისწრაფებისა და კრივისადმი ნოსტალგიის გამო. შესაძლოა ის სხვა კაცსაც შეხვდეს, ვისაც კრივიც მოსწონს და თავად ეს ქალიც.

მეორე, თქვენ შეგიძლიათ მათ შესთავაზოთ: „კინკლაობის ნაცვლად უმჯობესია ჩამოაყალიბოთ კონკრეტული მოდელი და მოილაპარაკოთ, რომ ერთხელ კრივზე წახვალთ, შემდეგ ჯერზე კი ოპერაში." ეს იქნებოდა პრობლემის გადაჭრა ორმხრივობის პრინციპით. თქვენ შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ შეთანხმებები, შესაბამისი გათვლები და საზიარო მოლოდინები, რომ ერთი შეხედვით ამ მარტივი გამოსავლის აღსრულება მართოთ. მაგალითად: პარასკევ საღამოს ისინი შეიძლება წავიდნენ კრივის მატჩზე, ხოლო შაბათს დაესწრონ საოპერო წარმოდგენას. მაგრამ რა მოხდება, თუ საოპერო სეზონი უფრო მოკლეა, ვიდრე კრივის სეზონი? ამ შემთხვევაში, შესაძლოა ისინი საოპერო სეზონის დროს უფრო ხშირად დაესწრონ სპექტაკლებს. რა მოხდება, თუ ერთ-ერთი მათგანი ქალაქში არ იქნება პარასკევ საღამოს? ჩაითვლება თუ არა ეს საღამოდ თუ შემდეგში ანაზღაურდება? რა მოხდება, თუ ის, ვინც იმ დროს ქალაქშია, მარტო წავა

ოპერაში? რა მოხდება, თუ მამაკაცს სძულს კრივი, ხოლო ქალს უბრალოდ არ მოსწონს, მაგრამ არ სძულს ოპერა? გაუტოლებთ თუ არა ცხრილში ორ საოპერო წარმოდგენას ერთ კრივის მატჩს, რომ ორივე მხარე ერთნაირად ბედნიერი ან უბედური დატოვოთ? აშკარაა, რომ ორმხრივობის პრინციპით მიღებული გადაწყვეტილებებიც შეიძლება გართულდეს (მაგალითად იხილეთ მე-5 თავში განხილული მსოფლიო ვაჭრობის წესები), იგი შეიძლება მოითხოვდეს მუდმივ მეთვალყურეობას, სრულდება თუ არა ის ვალდებულებები, რომლებზეც მხარეები თავდაპირველად შეთანხმდნენ და ხომ არ იტყუება რომელიმე მათგანი. თქვენი მეგობრებისთვის შესაძლოა ურთიერთობაში გამაღიზიანებელი იყოს იმის თვლა, რომელს რომლის ვალი აქვს, ვინ ვის უნდა წაჰყვეს ოპერაში ან კრივზე.

მესამე: თქვენ შეგიძლიათ უთხრა: „ვის ანაღვლებს ოპერა ან კრივი? მთავარია, რომ გიყვართ ერთმანეთი და ერთად ყოფნა გსურთ. გვერდი აუარეთ ზედაპირულ პრობლემებს და გააძლიერეთ ის ძირითადი გრძნობები, რამაც დაგაკავშირათ. შემდეგ აღარ ექნება მნიშვნელობა, სად წახვალთ და რას უყურებთ". ეს იქნება იდენტობის პრინციპით პრობლემის გადაწყვეტა. ამ მიდგომამ შესაძლოა საიმედოდ გადაჭრას თქვენი მეგობრების კონფლიქტი და ისინი უფრო მეტად გააბედნიეროს კიდეც. დროთა განმავლობაში, მეტი ზემოქმედების შემდეგ ერთმა პარტნიორმა შესაძლოა მართლაც შეიყვაროს მეორეს საყვარელი საქმიანობა, რასაც იდენტობაში ცვლილებამდე მივყავართ. მეორე მხრივ, გარკვეული დროის შემდეგ შესაძლოა პირადმა ინტერესმაც უკან დაიხიოს, რადგან ოპერის ან კრივის მატჩის ყურება შეიძლება სულ უფრო და უფრო გაბედნიერებდეს. საბოლოოდ, ერთმა პარტნიორმა შეიძლება ჭკვიანურად გამოიყენოს მეორეს ერთგულება ზედაპირული კონფლიქტებისთვის თავის ასარიდებლად. ქალი ჯერ ამბობს: „რაც მთავარია, ჩვენ ერთად ვართ" და შემდეგ უცებ: „ოჰ, ნახე, ამაღამ კრივის კარგი მატჩი იმართება!" იდენტობის პრინციპი ზოგჯერ მოკლევადიან პერსპექტივაში უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე გრძელვადიანში: ჯარისკაცს, რომელიც ნებაყოფლობით იცავს სამშობლოს, ფრონტის წინა ხაზზე გატარებული რამდენიმე თვის ან წლის შემდეგ შესაძლოა გაუჩნდეს იმის შეგრძნება, რომ მას იყენებენ, ხოლო ამერიკელ სტუდენტს, რომელიც ერთხელ გაიღებს ცუნამით დაზარალებულთათვის გარკვეულ თანხას, შესაძლოა არ სურდეს წლიდან წლამდე მალარიის მსხვერპლთა დასახმარებლად თანხის დონაციის გაგრძელება.

მაგალითი საერთაშორისო ურთიერთობებიდან ახლა კი განვიხილოთ ბირთვული იარაღის გავრცელების პრობლემა. ყველა ქვეყნის ინტერესში შედის იმ საზოგადოებრივი საქონლით სარგებლობა, რასაც მშვიდობა და სტაბილურობა ჰქვია. თუმცა, მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევა რთულია იმ სამყაროში, სადაც უფრო და უფრო მეტი ქვეყანა აწარმოებს ბირთვულ იარაღს. თუკი სახელმწიფოს შიგნით კონკრეტული ინდივიდები ხელთ იგდებენ სახიფათო იარაღს, მთავრობას შეუძლია

მათი განიარაღება, რათა დანარჩენმა საზოგადოებამ თავი უსაფრთხოდ იგრძნოს. თუმცა სახელმწიფოთა საზოგადოებაში ასეთი ცენტრალური ხელისუფლება არ არსებობს. 2006 წელს ჩრდილოეთ კორეამ პირველად გამოსცადა ბირთვული ბომბი, ირანი კი დღემდე აგრძელებს ურანის გამდიდრებას, რომელიც შეიძლება ბირთვული იარაღის წარმოებისთვის იქნეს გამოყენებული – ორივე შემთხვევაში გაეროს რეზოლუციების სრული უგულებელყოფით.

ერთი მიდგომა ნაწილობრივ ამართლებს ბირთვული იარაღის გავრცელებას იმ შემთხვევაში, თუ მასზე წვდომა მხოლოდ რამდენიმე ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს ექნება. „დიდი ხუთეულის" ქვეყნებს, რომლებიც ყველაზე დიდ ბირთვულ არსენალს ფლობენ, გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლებაც აქვთ. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებისა და გაუვრცელებლობის შეთანხმების გამოყენებით მოქმედი ბირთვული სახელმწიფოები მაქსიმალურად ცდილობენ, შეინარჩუნონ ექსკლუზიური უფლება ბირთვულ იარაღზე და არ მისცენ პატარა სახელმწიფოებს ამ იარაღის დაუფლების შესაძლებლობა. ეს არის დომინირების პრინციპი. 2003 წელს, როდესაც აშშ ეჭვობდა, რომ ერაყის ლიდერი, სადამ ჰუსეინი ბირთვული იარაღის აქტიურ პროგრამას ახორციელებდა, როგორც 10 წლით ადრე, იგი შეიჭრა ერაყში და დაამხო მთავრობა. ამის მსგავსად, 1982 წელს, როდესაც ერაყმა დაიწყო მუშაობა ბირთვული ბომბის შექმნაზე, ისრაელმა რეაქტიული თვითმფრინავები გაგზავნა მათი ბირთვული ობიექტების დასაბომბად, რითაც ბირთვული პროგრამის განხორციელება წლობით დახია უკან. დომინირების პრინციპით პრობლემის გადაჭრას ერთი ნაკლოვანება ის აქვს, რომ პატარა ქვეყნებში უკმაყოფილებას იწვევს. ეს ქვეყნები გაუვრცელებლობის ხელშეკრულების არასავალდებულო ხასიათზე მიუთითებენ, აცხადებენ რა, რომ ბირთვულმა ძალებმაც უნდა გაანადგურონ თავიანთი ბირთვული არსენალი ისევე, როგორც სხვა ქვეყნები იკავებენ თავს ბირთვული იარაღის შექმნისგან. ისინი სვამენ კითხვას: ვინ მისცა ისრაელს უფლება, დაბომბოს სხვა ქვეყანა ან ვინ მისცა აშშ-ს უფლება, შეიჭრას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე? ისინი საუბრობენ ორმაგ სტანდარტზე, ძლიერებისთვის და სუსტებისთვის.

ორმხრივობის პრინციპი ბირთვული იარაღის გავრცელების პრევენციის სხვა გზას გვთავაზობს. მისი არსი გაუვრცელებლობის შეთანხმების იმ პირობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს, რომლის თანახმადაც არსებული ბირთვული სახელმწიფოები იღებენ ბირთვული განიარაღების ვალდებულებას პატარა ქვეყნების მიერ ბირთვული იარაღის განვითარებაზე უარის თქმის სანაცვლოდ . ორმხრივობის პრინციპი ედო საფუძვლად შეიარაღების კონტროლის შეთანხმებებს, რომლებიც ცივი ომის პერიოდში ფართოდ გამოიყენებოდა ზესახელმწიფოთა მიერ ბირთვული იარაღის განვითარების სამართავად და დღესაც გამოიყენება მათი არსენალის ორმხრივად შემცირების მიზნით. შეკავებაც ორმხრივობის პრინციპს

ეყრდნობა. 2006 წელს აშშ-მა გააფრთხილა ჩრდილოეთ კორეა, რომ თუ ეს უკანასკნელი გაყიდდა თავის ბომბებს (ეს ქმედება ჩრდილოეთ კორეის მოკლევადიან პირად ინტერესში შეიძლება შედიოდეს) და რომელიმე აქტორი ამ ბომბებს აშშ-ის წინააღმდეგ გამოიყენებდა, ამერიკა ჩრდილოეთ კორეაზე იძიებდა შურს. 2003 წელს, როდესაც ლიბიამ შეაჩერა ბირთვული პროგრამა, საერთაშორისო საზოგადოებამ ის სხვადასხვა გზით დააჯილდოვა, მათ შორის ეკონომიკური სანქციების მოხსნითაც.

ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ იდენტობის პრინციპი თანაბრად ეფექტიანი აღმოჩნდა. ბევრმა სახელმწიფომ, რომელთაც ბირთვული იარაღის განვითარების ტექნიკური უნარები გააჩნია, გადაწყვიტა, ასე არ მოქცეულიყო. მათ იმგვარად განსაზღვრეს თავიანთი ეროვნული იდენტობა, რომ ბირთვული იარაღის ფლობას არასასურველად მიიჩნევენ. ზოგიერთი ქვეყანა, შვედეთის მსგავსად, საერთოდ არ განიხილავს ომების წარმოების შესაძლებლობას. სხვანი კი, მაგალითად გერმანია, ისეთი ალიანსების წევრები არიან, რომ სხვა ქვეყნის ბირთვული „ქოლგის“ ქვეშ ექცევიან და არ დგანან საკუთარი ბირთვული იარაღის განვითარების საჭიროების წინაშე. სამხრეთ აფრიკამ, ფაქტობრივად საიდუმლოდ განავითარა ბირთვული იარაღი, მაგრამ შემდეგ აპარტეიდის დასრულებამდე დახურა პროგრამა, იარაღი ახალი მთავრობისათვის რომ არ ჩაეგდოთ ხელში. სამხრეთ აფრიკა არავინ აიძულა, ასე მოქცეულიყო (დომინირების პრინციპი), ეს არც რომელიმე სახელმწიფოს დაწესებულ ჯილდოზე/სასჯელზე საპასუხოდ გაუკეთებია (ორმხრივობის პრინციპი). უფრო მეტად სამხრეთ აფრიკის იდენტობა შეიცვალა. ამის მსგავსად, იაპონია, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა მილიტარიზმის კატასტროფული შედეგები, რისი კულმინაციაც 1945 წელს მისი ორი ქალაქის ატომური ბომბით განადგურება იყო, თაობების შემდეგაც განაგრძობს იდენტობის ფორმირების, როგორც ქვეყნისა, რომელსაც არ სურს ფლობდეს ბირთვულ იარაღს, მიუხედავად იმისა, რომ მის შესაქმნელად მას შესაბამისი ცოდნაც აქვს და პლუტონიუმის მარაგებიც.

საზოგადოებრივი საქონლის პრობლემა საგონებელში აგდებს სოციალურ მეცნიერებს, განსაკუთრებით, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებს სწორედ იმის გამო, რომ ამ პრობლემიდან არ არსებობს მარტივი გამოსავალი. შემდეგ თავებში ჩვენ ვნახავთ, როგორ პასუხობს ეს სამი ძირითადი პრინციპი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხთა ფართო სპექტრში წამოჭრილ საზოგადოებრივი საქონლის პრობლემებს.

1.1.2 საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დარგი

საერთაშორისო ურთიერთობები პოლიტიკის მეცნიერების ნაწილია და ის საერთაშორისო პოლიტიკას ეხება – კერძოდ, მთავრობების გადაწყვეტილებებს სხვა აქტორებთან, განსაკუთრებით სხვა ქვეყნების მთა-

საკითხთა არეალი (Issue Areas)
საერთაშორისო საქმიანობის განსხვავებული სფეროები (როგორიცაა გლობალური სავაჭრო მოლაპარაკებები), რომელთა ფარგლებშიც სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსები კონფლიქტს აწყდებიან ან თანამშრომლობენ.

კონფლიქტი და თანამშრომლობა (Conflict and Cooperation)
მოქმედებათა ტიპები, რომელთაც დროის მანძილზე სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ ახორციელებენ.

საერთაშორისო უსაფრთხოება (International Security)
საერთაშორისო ურთიერთობების ქვედარგი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ომისა და მშვიდობის საკითხებზე.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია (International Political Economy, IPE)
საერთაშორისო ურთიერთობების ქვედარგი, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოთა შორის ვაჭრობას, მონეტარულ და სხვა სახის ეკონომიკურ ურთიერთობებს და მათ კავშირს სხვა ტრანსნაციონალურ აქტორებთან.

ვრობებთან მიმართებაში. გარკვეული თვალსაზრისით, ეს დარგი ინტერდისციპლინურია, რამეთუ საერთაშორისო პოლიტიკას აკავშირებს ეკონომიკასთან, ისტორიასთან, სოციოლოგიასა და სხვა დისციპლინებთან. ზოგიერთი უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობებში დამოუკიდებელ დეპარტამენტებს ან პროგრამებს სთავაზობს. თუმცა, უფრო ხშირად, საერთაშორისო ურთიერთობებს პოლიტიკის მეცნიერების პროგრამების ფარგლებში ასწავლიან, სადაც აქცენტი კეთდება მაგალითად, ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკაზე ან გარემოს მენეჯმენტის პოლიტიკაზე. (საზღვარგარეთის ქვეყნების შიდა პოლიტიკაც, მართალია გარკვეულწილად ფარავს საერთაშორისო ურთიერთობებს, მაგრამ მას ზოგადად შედარებითი პოლიტიკის დარგს მიაკუთვნებენ).

სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ურთიერთობები ფართო სპექტრს ფარავს-დიპლომატიას, ომს, სავაჭრო ურთიერთობებს, ალიანსებს, კულტურულ ურთიერთობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობას და ა.შ. ამ სფეროებს შიგნით კონკრეტული აქტივობები ქმნის საკითხთა არეალს, რომლებზეც საგარეო პოლიტიკის მკვლევრები და პოლიტიკის შემქნელები ამახვილებენ ყურადღებას. ასეთ საკითხთა მაგალითებია: გლობალური ვაჭრობა, გარემოსდაცვა და არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მსგავსი სპეციფიკური კონფლიქტები. საკითხთა თითოეულ არეალში ან საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემურ საკითხთა მიმართ ერთი ქვეყნის პოლიტიკოსებმა შესაძლოა თანამშრომლობის ან კონფლიქტის გზას მიმართონ – გაატარონ მეგობრული ან მტრული პოლიტიკა სხვა სახელმწიფოს მიმართ. დარგის სპეციალისტები ხშირად საერთაშორისო ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის კონფლიქტისა და თანამშრომლობის ერთგვარ ნაზავად განიხილავენ.

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დარგის მასშტაბი იმ ქვედარგებითაც შეიძლება განვსაზღვროთ, რომლებსაც იგი მოიცავს. ზოგიერთი მკვლევარი საეთაშორისო სამართალს ან საერთაშორისო განვითარებას ქვედარგებად მიიჩნევს, მაგრამ აქ განვიხილავთ მხოლოდ ორ მაკრო დონის თემას. ტრადიციულად, საერთაშორისო ურთიერთობები ყურადღებას ამახვილებს ომისა და მშვიდობის საკითხებზე – საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევების ქვედარგზე. სამხედრო ძალების და დიპლომატების მოძრაობა, ხელშეკრულებების გაფორმება და ალიანსების შექმნა, სამხედრო შესაძლებლობების განვითარება და გამოყენება – საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის მთავარი საკითხები იყო წარსულში, განსაკუთრებით 1950 და 1960-იან წლებში და მათ დღესაც ცენტრალური ადგილი უჭირავთ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში. ცივი ომის პერიოდიდან მოყოლებული, რეგიონული კონფლიქტები და ეთნიკური ძალადობა მეტ ყურადღებას იქცევს, მაშინ როცა ინტერდისციპლინური მშვიდობის კვლევების პროგრამები და ფემინისტური კვლევები უსაფრთხოების კონცეფციის გაფართოებას ცდილობს.

პოლიტიკის პერსპექტივები

მიმოხილვა საერთაშორისო პოლიტიკის შემქმნელები ყოველდღიურად უამრავ პრობლემას აწყდებიან. ამ პრობლემების გადაჭრა რთულ გადაწყვეტილებების მიღებასა და არჩევანის გაკეთებას მოითხოვს. „პოლიტიკის პერსპექტივები" ყოველ თავში მოცემული ჩანართია, რომელიც კონკრეტული გადაწყვეტილების მიმღების ადგილას გაყენებთ (მაგ: ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის) და თქვენგან მოითხოვს საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვან საკითხზე რთული არჩევანის გაკეთებას.

ყველა ჩანართი დაყოფილია 4 სექციად. პირველი: ზოგადი სიტუაცია (background), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია იმ პოლიტიკური პრობლემის შესახებ, რომელსაც ლიდერი აწყდება. ეს ინფორმაცია რეალურ ფაქტებს ეყრდნობა და ასახავს ისეთ ვითარებას, რომელშიც ეს გადაწყვეტილების მიმღები პირები მართლაც აღმოჩნდნენ.

მეორე სექცია – შიდასახელმწიფოებრივი კონტექსტი, ასახავს ლიდერისთვის სიტუაციის შიდა პოლიტიკურ იმპლიკაციებს მთავრობის და საზოგადოების ჭრილში. რიგითი მოქალაქეების ცხოვრებაზე როგორ გავლენას იქონიებს ესა თუ ის გადაწყვეტილება?

მესამე სექცია – სცენარი, გვთავაზობს ახალ პრობლემას ან კრიზისს, რომელსაც ლიდერი ეჯახება. მართალია, ეს კრიზისები ჰიპოთეტურია, მაგრამ ყველა მათგანის განვითარება შესაძლებელია და მოითხოვს პოლიტიკური ლიდერისგან მისთვის და მისი ქვეყნისათვის რთული გადაწყვეტილებების მიღებას.

მეოთხე სექცია „აირჩიე შენი პოლიტიკა" გთხოვთ, წარმოდგენილი სცენარის მიხედვით მიიღოთ გადაწყვეტილება. ყველა გადაწყვეტილების შემთხვევაში იფიქრეთ თქვენს ხელთ არსებულ ალტერნატივებს შორის კომპრომისებზე. რა რისკი და უპირატესობა აქვს თითოეულ მათგანს სხვა ალტერნატივებთან შედარებით? რომელიმე ალტერნატივა მოკლევადიან პერსპექტივაში დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში დანახარჯი იცლებს? შეგიძლიათ დაიცვათ თქვენი გადაწყვეტილება კოლეგების, საზოგადოებისა და სხვა მსოფლიო ლიდერების წინაშე? რა გავლენას მოახდენს თქვენი არჩევანი მოქალაქეთა ცხოვრებაზე და თქვენს პოლიტიკურ მომავალზე?

თითოეული პრობლემის განხილვისას, რომელსაც ლიდერი აწყდება, ეცადეთ გაითავისოთ ის პროცესი და ლოგიკა, რომელმაც მიგიყვანათ ამ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე. რომელი ფაქტორები აღმოჩნდა უფრო მნიშვნელოვანი და რატომ? შიდა ფაქტორებმა უფრო იმოქმედეს თქვენი გადაწყვეტილების ფორმირებაზე თუ საერთაშორისო ფაქტორებმა? ის შეზღუდვები, რომელსაც აწყდებით, შეზღუდულ შესაძლებლობებს (მაგალითად: ფული ან სამხედრო ძალა) უკავშირდება თუ საერთაშორისო სამართალმა და ნორმებმა მოახდინა გავლენა თქვენს გადაწყვეტილებაზე? რა გავლენა მოახდინა ისეთმა ფაქტორმა, როგორიც დროის სიმცირე იყო?

თქვენ მალე აღმოაჩენთ, რომ ხშირად „სწორი" პასუხები არ არსებობს. ზოგჯერ რთულია ორ კარგ ალტერნატივას შორის არჩევანის გაკეთება, ზოგჯერ კი ლიდერს იმის გადაწყვეტა უწევს, რომელი ალტერნატივაა ნაკლებად უარესი.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია საერთაშორისო ურთიერთობების მეორე მთავარი ქვედარგია, რომელიც უკავშირდება ვაჭრობასა და ფინანსურ ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის და ყურადღებას ამახვილებს, როგორ თანამშრომლობენ ისინი პოლიტიკურად იმ ინსტიტუტების შესაქმნელად და შესანარჩუნებლად, რომლებიც საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ტრანზაქციების ნაკადებს არეგულირებენ. მართალია, ეს თემები ადრე მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების ურთიერთობების გარშემო ტრიალებდა, გლობალიზაციამ და ისეთი მრავალმხრივი ეკონომიკური ინსტიტუტების გაფართოებამ, როგორიცაა მაგ: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის მკვლევრებს უბიძგა, აქცენტი განვითარებად ქვეყნებზეც გაეკეთებინათ. ამასთანავე, ისინი მზარდ ყურადღებას უთმობენ განვითა-

საერთაშორისო ურთიერთობები (International Relations)
საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა შეისწავლის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს და ამ ურთიერთობათა კავშირს სხვა აქტორებთან (როგორებიცაა: გაერო, მრავალეროვნული კორპორაციები და ინდივიდები), სოციალურ სისტემებთან (მათ შორის: ეკონომიკა, კულტურა და შიდა პოლიტიკა), გეოგრაფიულ და ისტორიულ ფაქტორებთან.

რებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთობებს (ხშირად ამას ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობებსაც უწოდებენ), მათ შორის ისეთ თემებს, როგორებიცაა, ეკონომიკური დამოკიდებულება, ვალი, უცხოური დახმარება და ტექნოლოგიების ტრანსფერი. ასევე გლობალური გარემოსდაცვითი პროცესების მენეჯმენტი და გლობალური ტელეკომუნიკაციები ის მნიშვნელოვანი პრობლემებია, რომლებმაც ბოლო დროს იჩინეს თავი. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის ქვედარგიც შესაბამისად ფართოვდება.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის გაგებაშიც ის პრინციპები და თეორიები გვეხმარება, რომლებიც საერთაშორისო უსაფრთხოების აღქმას გვიმარტივებს. ეკონომიკა უსაფრთხოების საკითხებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ასევეა საპირისპირო შემთხვევაშიც.

1.2 აქტორები და გავლენები

შეაფასეთ, არიან თუ არა სახელმწიფოები კვლავ ცენტრალური აქტორები საერთაშორისო ურთიერთობებში.

საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ აქტორებს სახელმწიფოთა მთავრობები წარმოადგენენ. საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრები ტრადიციულად სწორედ ამ მთავრობების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს შეისწავლიან სხვა მთავრობების მიმართ. საერთაშორისო სისტემაში უამრავი დიდი და პატარა აქტორია, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ზემოაღნიშნული მთავრობების გადაწყვეტილებებთან. ეს აქტორები არიან ცალკეული ლიდერები და მოქალაქეები. ამ აქტორებს შორის არიან ბიუროკრატიული სააგენტოები საგარეო საქმეთა სამინისტროებში, მრავალეროვნული კორპორაციები და ტერორისტული დაჯგუფებები. მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორები სახელმწიფოები არიან.

1.2.1. სახელმწიფო აქტორები

სახელმწიფო (State)
მთავრობის მიერ კონტროლირებადი დასახლებული ტერიტორიული ერთეული, რომელზე იგი სუვერენიტეტს ახორციელებს.

სახელმწიფო დასახლებული ტერიტორიული ერთეულია, რომელსაც მთავრობა აკონტროლებს. თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოებისა და ტერიტორიების ადგილმდებარეობა ამ წიგნის შესავალში მოცემულ მსოფლიო რუკაზეა ნაჩვენები. ასევე მოცემულია დეტალური რეგიონული რუკები.

სახელმწიფოს მთავრობა პასუხისმგებელი არ არის ზემდგომი ხელისუფლების წინაშე. ის ახორციელებს სუვერენიტეტს თავის ტერიტორიაზე (კანონების შესაქმნელად და აღსასრულებლად, გადასახადების შესაგროვებლად და ა.შ.). მისი სუვერენიტეტი აღიარებულია სხვა ქვეყნების მიერ დიპლომატიური ურთიერთობებისა და როგორც წესი, გაეროს წევრობის გზით. სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა

ქმნის სამოქალაქო საზოგადოებას იმდენად, რამდენადაც ავითარებს ინსტიტუტებს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის. მთელი მოსახლეობა ან მისი ნაწილი, რომელიც იზიარებს საერთო ჯგუფურ იდენტობას, შესაძლოა საკუთარ თავს ერად განიხილავდეს (იხ. ნაციონალიზმი, თავი 4). სახელმწიფოს ხელისუფლება არის დემოკრატიული იმდენად, რამდენადაც ის კონტროლდება მოქალაქეების მიერ. პოლიტიკურ ცხოვრებაში და გარკვეულწილად საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიურ წრეებშიც, ტერმინებს სახელმწიფო, ერი და ქვეყანა სიცხადე აკლია და როგორც წესი, მათ ხშირად ურთიერთმონაცვლედ იყენებენ და მათში სახელმწიფოს მთავრობებს გულისხმობენ. (აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ინგლისურენოვანი სიტყვა „State" არ ნიშნავს შტატს, მაგალითად შტატი აშშ-ში).

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა სახელმწიფოს აქვს დედაქალაქი-მთავრობის ადგილსამყოფელი, საიდანაც მთელი ტერიტორიის ადმინისტრირება ხდება და ხშირად მის სათავეშია ინდივიდი, რომელიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებს. ამ პიროვნებას ჩვენ უბრალოდ „სახელმწიფოს ლიდერს" ვუწოდებთ. უმეტესწილად, ის მთავრობის (როგორიცაა, პრემიერ-მინისტრი) ან სახელმწიფოს მეთაურია (როგორიცაა: პრეზიდენტი, მეფე ან დედოფალი). ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოსა და მთავრობას ერთი და იმავე პირი უდგას სათავეში. სხვა ქვეყნებში კი, პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი ან სამეფო ოჯახი სიმბოლური პოზიციებია. ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფო ლიდერებზე საუბრისას ჩვენ ვგულისხმობთ ყველაზე ძლევამოსილ პოლიტიკურ ფიგურებს და ეს ფიგურები საერთაშორისო ურთიერთობებში წამყვანი **ინდივიდუალური დონის** აქტორები არიან, მიუხედავად იმისა, ეს ლიდერები დემოკრატიულად არიან არჩეულები თუ დიქტატორები არიან. სახელმწიფო აქტორი მოიცავს როგორც ცალკეულ ლიდერებს, ასევე ბიუროკრატიულ ორგანიზაციებს, როგორებიცაა: საგარეო საქმეთა სამინისტროები, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით (იმას, რასაც აშშ-ში დეპარტამენტებს უწოდებენ, სხვა ქვეყნებში, როგორც წესი, სამინისტროებს უწოდებენ. აშშ-ის მდივნები არიან მინისტრები და სახელმწიფო დეპარტამენტი კი საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციას ასრულებს).

საერთაშორისო სისტემა მსოფლიო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა ქსელს წარმოადგენს, რომელიც ურთიერთქმედებათა კონკრეტულ მოდელებსა და წესებზეა აგებული. ამ წესთაგან ზოგიერთი თვალსაჩინოა, ზოგიერთი კი ნაგულისხმევი (დაუწერელი). ეს წესები განსაზღვრავს, ვინ განიხილება სისტემის წევრად, რა უფლებები და ვალდებულებები აკისრია მას და სახელმწიფოთა შორის ჩვეულებრივ რა სახის ურთიერთობები ვითარდება.

თანამედროვე **საერთაშორისო სისტემა** მხოლოდ 500 წელია რაც არსებობს. მანამდე, ადამიანთა ჯგუფები უფრო შერეულ და ურთიერთგადამფარავ პოლიტიკურ ერთეულებად ქალაქ-სახელმწიფოებად, იმპერი-

საერთაშორისო სისტემა (International System)
მსოფლიო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა ქსელს წარმოადგენს, რომელიც ურთიერთქმედებათა კონკრეტულ მოდელებსა და წესებზეა აგებული.

ერი-სახელმწიფოები (Nation-states)
სახელმწიფო, რომლის მოსახლეობასაც ეროვნული იდენტობის საერთო გრძნობა აკავშირებს, რაც ხშირ შემთხვევაში საერთო ენასა და კულტურასაც გულისხმობს.



წამყვანი სახელმწიფოები სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი აქტორები არიან. რამდენიმე ძლევამოსილი სახელმწიფო დიდ სახელმწიფოდ განიხილება, ერთი უძლიერესი კი ზესახელმწიფოდ. ამ სურათზე დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის და გერმანიის ლიდერები ფოტოს იღებენ 2017 წელს დიდი ოცეულის შეხვედრის დაწყებისას.

ებად და საფეოდალოებად იყო ორგანიზებული. უკანასკნელი 200 წლის მანძილზე გავრცელდა იდეა, რომ ერს – ადამიანთა ჯგუფს, რომელიც იზიარებს ეროვნული იდენტობას, ხშირ შემთხვევაში ენასა და კულტურას – უნდა ჰქონოდა საკუთარი სახელმწიფო. დღეს არსებულ დიდ სახელმწიფოთა უმრავლესობა სწორედ ასეთი **ერი-სახელმწიფოებია**. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აზიასა და აფრიკაში მიმდინარე დეკოლონიზაციის პროცესის შედეგად ბევრი ახალი სახელმწიფო შეიქმნა, ზოგიერთი მათგანი ერ-სახელმწიფოს სულაც არ წარმოადგენს. დღესდღეობით კონფლიქტებისა და ომის მთავარი წყარო ერებსა და სახელმწიფოს ფაქტობრივ საზღვრებს შორის შეუსაბამობაა. როდესაც ხალხი საკუთარ თავს იმ ერთან აიდენტიფიცირებს, რომელსაც მათი სახელმწიფოს მთავრობა არ წარმოადგენს, მათ შეიძლება საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის დაიწყონ ბრძოლა და ამგვარად მოიპოვონ სუვერენიტეტი თავიანთ ტერიტორიასა და საქმეებზე. ამ სახის ნაციონალიზმი ერთ-ერთია იმ მრავალ ტენდენციას შორის, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო სისტემის დესტაბილიზაციის წინაპირობას ქმნის. სხვა ტენდენციებს შორისაა: ეკონომიკური გლობალიზაცია, ტელეკომუნიკაციების როლის ზრდა და ბალისტიკური რაკეტების გავრცელება.


ყოფილი კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ და მოგვიანებით დიდი, მრავალეროვნული სახელმწიფოების (საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია) პატარა ქვეყნებად დაშლამ მსოფლიოში სახელმწიფოთა რიცხოვნობა გაზარდა. მათი ზუსტი ჯამური რაოდენობა დამოკიდებულია კვაზი-სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე პოლიტიკური ერთეულების რაოდენობაზე და თავის მხრივ, მათი რაოდენობა იცვლება პოლიტიკური ერთეულების გაერთიანების ან დაყოფის კვალდაკვალ. 2018 წლის მონაცემებით გაეროში 193 სახელმწიფო იყო გაწევრიანებული.

მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნების მოსახლეობათა რაოდენობა მკვეთრად განსხვავდება: მაგალითად, თუ ჩინეთისა და ინდოეთის მოსახლეობა ცალ-ცალკე 1 მილიარდს აჭარბებს, სან-მარინოს მოსახლეობა მხოლოდ 32,000-ს შეადგენს. უკანასკნელ ათწლეულებში ბევრი პატარა სახელმწიფოს წარმოქმნის შედეგად სახელმწიფოთა უმეტესობაში მოსახლეობის რაოდენობა 10 მილიონზე ნაკლებია, ხოლო დანარჩენი სახელმწიფოების ნახევარზე მეტში მოსახლეობის რაოდენობა 10-დან 50

მილიონამდე მერყეობს. 16 სახელმწიფო, რომელთა მოსახლეობაც 80 მილიონს აჭარბებს, მსოფლიო მოსახლეობის 2/3-ს მოიცავს.

გრაფიკი 1.1 ყველაზე დიდი ქვეყნები 2017-2018 წწ.

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები, მშპ-ის მონაცემები მოცემულია 2017 წლის მდგომარეობით, მოსახლეობის მონაცემები – 2018 წლის მდგომარეობით.



შენიშვნა: მარცხენა სვეტი დალაგებულია მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მარჯვენა – მშპ-ის მონაცემების მიხედვით. შუა სვეტი – ორივე მაჩვენებლის მიხედვით.

სახელმწიფოები ასევე მკვეთრად განსხვავდებიან მათი წლიური ეკონომიკური საქმიანობის მთლიანი მოცულობით – **მთლიანი შიდა პროდუქტის[1] (მშპ)** მაჩვენებლით – აშშ-ის მშპ თუ 19 ტრილიონ დოლარს შეადგენს, ტუვალუს მშპ მხოლოდ 37 მილიონი დოლარია. მსოფლიო ეკონომიკაში რამდენიმე სახელმწიფო დომინირებს, ისევე როგორც მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით. გრაფიკზე 1.1 ჩამოთვლილია მოსახლეობისა და ეკონომიკის მაჩვენებლით 15 უდიდესი ქვეყანა. ყოველი მათგანი მნიშვნელოვანი აქტორია მსოფლიო პოლიტიკაში, განსაკუთრებით გრაფიკის ცენტრში წარმოდგენილი ის 9 სახელმწიფო, რომელიც უდიდესია როგორც მოსახლეობის, ასევე ეკონომიკის თვალსაზრისითაც.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) (Gross Domestic Product) (GDP)

სახელმწიფოს ტერიტორიაზე წლიური ეკონომიკური საქმიანობის მთლიანი მოცულობა.

1 მშპ არის სახელმწიფოს საზღვრებში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება. ის ძალიან ჰგავს მთლიან ეროვნულ პროდუქტს; სახელმწიფოებს შორის მშპ-ის მონაცემების შედარება ძალიან რთულია, რამეთუ მათ განსხვავებული ვალუტა, ეკონომიკური სისტემა და განვითარების დონე აქვთ. კერძოდ, მშპ-ის შედარებას კაპიტალისტურ და სოციალისტურ ეკონომიკებში, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში, მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ამ ტექსტში მოცემული მშპ-ის მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკიდან. მე-7 თავში ჩვენ განვიხილავთ მშპ-ს გაზომვის სხვა გზებს, რომლებიც ეყრდნობა ქვეყანაში ნაყიდი პროდუქტების შედარებით ფასს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან პროდუქტების ფასები, მათ შორის ისეთის, როგორიც არის საკვები, ქვეყნების მიხედვით დიდად განსხვავებული იქნება, რაც გულისხმობს, რომ მსგავს ეკონომიკურ საქმიანობას სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ღირებულება ექნება.
იხ. Feenstra Robert, C, Robert Inklaar, Marcel P. Timmer, The Next Generation of the Penn World Table. American Economic Review 105 (10), 2015: 3150–82. მშპ-ს მონაცემები 2017 წლისაა, თუ სხვა რამ არ არის აღნიშნული.

ამ დიდ სახელმწიფოთაგან მხოლოდ მცირე ნაწილი ფლობს განსაკუთრებით დიდ სამხედრო და ეკონომიკურ ძლიერებას და გავლენას; მათ დიდ სახელმწიფოებს უწოდებენ (იხილეთ თავი 2). მათგან კი ყველაზე ძლევამოსილებს, რომელთაც ჭეშმარიტად გლობალური გავლენა აქვთ, ზესახელმწიფოებად მოიხსენიებენ. ცივი ომის ეპოქაში ეს ტერმინი გულისხმობდა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს, ამჟამად კი, ზესახელმწიფოდ მხოლოდ აშშ მოიხსენიება.

ზოგიერთ პოლიტიკურ ერთეულს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც სახელმწიფოს ან ქვეყანას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფორმალურად სახელმწიფოებად არ არიან აღიარებულები. ტაივანი მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ერთეულია. ის პრაქტიკულად დამოუკიდებლად მოქმედებს, მაგრამ მასზე პრეტენია აქვს ჩინეთს (ეს პრეტენზია გარე ძალების მიერაც ლეგიტიმურადაა აღიარებული) და არ არის გაეროს წევრი. ფორმალური კოლონიები და სამფლობელოები დღემდე არსებობს; მათი სტატუსი სამომავლოდ შესაძლოა შეიცვალოს. მათ შორისაა პუერტო-რიკო (აშშ), ბერმუდი (დიდი ბრიტანეთი), მარტინიკა (საფრანგეთი), საფრანგეთის გვიანა, ნიდერლანდების ანტილები (ჰოლანდია), ფოლკლენდის კუნძულები (დიდი ბრიტანეთი) და გუამი (აშშ). 1997 წელს ჰონკონგი ბრიტანულიდან ჩინური მმართველობის სისტემას დაუბრუნდა. ის ამჟამად გარკვეულ განცალკევებულ იდენტობას წარმოადგენს ჩინეთის „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა“ ფორმულის ფარგლებში. ვატიკანის (წმინდა საყდარი) სტატუსი ისეთივე ბუნდოვანია, როგორც პალესტინის, რომელიც 2012 წელს ვატიკანის მსგავსად გაეროს „არაწევრი დამკვირვებელი სახელმწიფო“ გახდა. მანამდე ეს სტატუსი მხოლოდ ამ უკანასკნელს გააჩნდა. სხვადასხვა მსგავსი ტერიტორიული ერთეულის ჩათვლით, მსოფლიოში სახელმწიფოთა ან კვაზი-სახელმწიფო აქტორთა რიცხვი 200-ს აღწევს. სხვა პოტენციური სახელმწიფოები, მაგალითად, ქურთისტანი (ერაყი) აფხაზეთი (საქართველო) და სომალილენდი (სომალი) შესაძლოა სრულად აკონტროლებდნენ იმ ტერიტორიას, რომელზეც პრეტენციას აცხადებენ, თუმცა საერთაშორისოდ აღიარებულები არ არიან.

1.2.2 არასახელმწიფო აქტორები

არასახელმწიფო აქტორები (Non-state Actors)
აქტორები, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფო მთავრობებს და მოქმედებენ სახელმწიფო ან საერთაშორისო დონეზე.

ეროვნული მთავრობები, შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ ისინი თავადაც განიცდიან სხვადასხვა **არასახელმწიფო აქტორის** ზეგავლენას (იხილეთ ცხრილი 1.2). მათ ხშირად ტრანსნაციონალურ აქტორებსაც უწოდებენ, რადგან, როგორც წესი, მათი მოქმედების არეალი არ იზღუდება კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებით.

ცხრილი 1.2 არასახელმწიფო აქტორთა ტიპები

ტიპი	რას წარმოადგენენ ისინი?	მაგალითები
მთავრობათაშორისი ორგანიზაციები	მათი წევრები არიან ეროვნული მთავრობები	გაერო, ნატო, არაბული ქვეყნების ლიგა
არასამთავრობო ორგანიზაციები	მათი წევრები არიან ინდივიდები და ჯგუფები	საერთაშორისო ამნისტია, ლომების კლუბი, წითელი ჯვარი
მრავალეროვნული კორპორაციები	კომპანიები, რომელთა საქმიანობა ერთი სახელმწიფოს საზღვრებს სცდება	ექსონმობილი, ტოიოტა, უოლმარტი
სხვა	ინდივიდები, ქალაქები, ოლქები და ა.მ.	ბონო, ერაყის ქურთისტანი, ალ-ქაედა

მენიშვნა: მთავრობათაშორისი ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთად ქმნიან საერთაშორისო ორგანიზაციებს.

პირველი: სახელმწიფოები ხშირად მოქმედებენ მთავრობათაშორისი ორგანიზაციების ფარგლებში ან მათი გავლით – ეს ის ორგანიზაციებია, რომელთა წევრებიც ეროვნული მთავრობები არიან. მთავრობათაშორისი ორგანიზაციები სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ და მათი მასშტაბებიც განსხვავებულია. ზოგიერთი რამდენიმე სახელმწიფოს აერთიანებს, გაერო კი თითქმის ყველა სახელმწიფოს მოიცავს. ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია (ოპეკი), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია,სამხედრო ალიანსები, როგორიცაა: ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), და პოლიტიკური დაჯგუფებები, როგორიცაა მაგალითად: აფრიკის კავშირი – ყველა მათგანი მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა. სხვა ტიპის ტრანსნაციონალური აქტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო ორგანიზაციებია, ზოგიერთი მათგანი საკმაოდ დიდია და მნიშვნელოვან რესურსებსაც ფლობს. გაეროსა და სხვა ფორუმებზე არასამთავრობო ორგანიზაციები სახელმწიფოებთან ერთად უფრო და უფრო ხშირადაა აღიარებული ლეგიტიმურ აქტორებად, თუმცა მათთან გათანაბრებულები მაინც არ არიან. ზოგიერთ ამ ჯგუფს პოლიტიკური მიზანი აქვს, ზოგიერთს ჰუმანიტარული, ეკონომიკური ან ტექნიკური. ზოგჯერ არასამთავრობო ორგანიზაციები ტრანსნაციონალური ადვოკატირების ქსელთა გავლით აერთიანებენ ძალისხმევას. არ არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ერთი კონკრეტული მოდელი. მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთად საერთაშორისო ორგანიზაციებად მოიხსენიება. მსოფლიო მასშტაბით 50.000 არასამთავრობო და 5000 მთავრობათაშორის ორგანიზაციამდე არსებობს. საერთაშორისო ორგანიზაციები დეტალურად მე-6 თავშია განხილული.

მთავრობათაშორისი ორგანიზაცია (Intergovernmental Organization, IGO)
ორგანიზაცია (როგორიცაა მაგალითად: გაერო), რომლის წევრებიც სახელმწიფოთა მთავრობები არიან.

არასამთავრობო ორგანიზაცია (Non-governmental Organization)
ტრანსნაციონალური ჯგუფი ან ორგანიზაცია (როგორიცაა, მაგალითად: კათოლიკური ეკლესია, გრინპისი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი), რომელიც ურთიერთქმედებს სახელმწიფოებთან, მრავალეროვნულ კორპორაციებთან, სხვა არასამთავრობო და მთავრობათაშორის ორგანიზაციებთან.

მრავალეროვნული კორპორაციები ის კომპანიებია, რომლებიც რამდენიმე ქვეყანას მოიცავს. ამგვარი კომპანიის ინტერესები აწარმოოს ბიზნესსაქმიანობა გლობალური მასშტაბით, ცალკე აღებული ერთი რომელიმე სახელმწიფოს ინტერესებით და საზღვრებით არ შემოიფარგლება. მრავალეროვნული კორპორაციები უფრო მეტ რესურსს აკონტროლებენ და საერთაშორისო მასშტაბით უფრო ეფექტიანად მოქმედებენ, ვიდრე ბევრი პატარა სახელმწიფო. მათ შეუძლიათ მხარდაჭერა აღმოუჩინონ (ან შექმნან კიდეც) მეგობრულად განწყობილ უცხო ქვეყნის მთავრობებს, როგორც გაერთიანებულმა ხილის კომპანიამ გააკეთა ცენტრალური ამერიკის „ბანანის რესპუბლიკებში" საუკუნეზე დიდი ხნის წინ. თუმცა, მრავალეროვნული კორპორაციები ასევე უზრუნველყოფენ ღარიბ ქვეყნებს საჭირო უცხოური ინვესტიციებითა და საგადასახადო შემოსავლებით. მრავალეროვნული კორპორაციები, თავის მხრივ, დამოკიდებულები არიან სახელმწიფოებზე, რათა ამ უკანასკნელებმა უზრუნველყონ მათი დაცვა, კარგად რეგულირებული ბაზრები და სტაბილური პოლიტიკური გარემო. მრავალეროვნული კორპორაციები, როგორც საერთაშორისო აქტორები განსაკუთრებულ ყურადღებას წიგნის მე-5 და მე-7 თავებში იქცევენ.

ბევრი სხვა არასამთავრობო აქტორი ურთიერთქმედებს სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მრავალეროვნულ ორგანიზაციებთან. მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა თავდასხმებმა აჩვენა ის მზარდი ძალა, რასაც ტექნოლოგიები ანიჭებს ტერორისტებს, როგორც არასახელმწიფო აქტორებს. ისევე, როგორც გრინპისს შეუძლია შორეულ ლოკაციაზე იმოგზაუროს და შემდეგ მისი გარემოსდაცვითი მოქმედებების შესახებ ვიდეო გააშუქოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ასევე შეუძლია ისლამურ სახელმწიფოს თვითმკვლელი ტერორისტები გაგზავნოს მსოფლიოს დიდ ქალაქებში, კოორდინაცია გაუწიოს მათ მოქმედებებსა და ფინანსებს ინტერნეტისა და გლობალური საბანკო სისტემის მეშვეობით და სოციალურ ქსელებში მოწოდებებით, როგორიც არის Youtube და Twitter, მოიცვას გლობალური აუდიტორია. უკეთესია ეს თუ უარესი, ფაქტია, რომ გლობალურად მოქმედების პოტენციალი, რაც ადრე ძლიერი სახელმწიფოების ექსკლუზიურ შესაძლებლობას წარმოადგენდა, ახლა ბევრი სხვა აქტორისთვისაცაა ხელმისაწვდომი.

ზოგიერთი არასახელმწიფო აქტორი ქვესახელმწიფო აქტორებია: ისინი სახელმწიფოს შიგნით არსებობენ, მაგრამ ან ამ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე აქვთ გავლენა ან საერთაშორისო მასშტაბით მოქმედებენ, ან ორივეს ერთდროულად აკეთებენ. მაგალითად, პენსილვანიის შტატი მთლიანად აშშ-ის შემადგენლობაში შემავალი ერთეულია, მაგრამ ექსპორტისა და უცხოური ინვესტიციების ზახალისების მიზნით ფლობს საერთაშორისო ბიზნესის განვითარების განყოფილებას, რომელსაც 15 ოფისი აქვს მსოფლიოს გარშემო. ქვესახელმწიფო ეკონომიკური აქტორების – კომპანიების, მომხმარებლების, მუშების, ინვესტორების – მოქმედებებს შეუძლია შექმნას ეკონომიკური საქმიანობის კონტექსტი, რომე-

ლიც გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენებზე და რომელთა ფარგლებშიც უწევთ მთავრობებს მოქმედება.

გლობალიზაციის, ქვესახელმწიფო და ტრანსნაციონალურ აქტორთა სამყაროში სახელმწიფოები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით ისინი თანდათანობით თმობენ პოზიციებს, მას შემდეგ რაც კომპანიები, ჯგუფები და ინდივიდები სულ უფრო ხშირად, მთავრობების გვერდის ავლით, პირდაპირ ურთიერთობენ ერთმანეთთან. მსოფლიო ეკონომიკა კი სულ უფრო და უფრო ინტეგრირებული ხდება. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე საერთაშორისო ურთიერთობები ეროვნულ მთავრობებს შორის ურთიერთქმედებათა მიღმა ფართოვდება. როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო აქტორებზე საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ახალი საინფორმაციო სამყარო საერთაშორისო ურთიერთობების სიღრმისეულად გარდაქმნას გვპირდება. ტექნოლოგიური ცვლილებები აქტორების შედარებით შესაძლებლობებსა და მათ პრიორიტეტებზეც კი უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს. ტელეკომუნიკაციები და კომპიუტერიზაცია ეკონომიკას, პოლიტიკასა და კულტურას გლობალურ დონეზე ოპერირების აქამდე არარსებულ შესაძლებლობებს ანიჭებს.



მოქმედებაში არასახელმწიფო აქტორები საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობენ, მიუხედავად იმისა, რომ უფრო ნაკლებად ცენტრალურ როლს ასრულებენ. არასამთავრობო ორგანიზაციები სულ უფრო აქტიურები ხდებიან საერთაშორისო ურთიერთობებში. ფოტოზე ნაჩვენებია, თუ როგორ ურიგებენ თურქეთის ისლამური საქველმოქმედო ჯგუფის წარმომადგენლები ტანსაცმელს და ფეხსაცმელებს როჰინგიელ ბავშვებს ლტოლვილტა ბანაკში ბანგლადეშში 2017 წელს. ეს ბავშვები გამოექცნენ ძალადობრივ სამხედრო ქმედებებს, რომელიც ბევრის მიერ მათ მშობლიურ ქვეყანაში, ბურმაში (მიანმარი) ეთნიკურ წმენდად მეფასდა.

1.2.3 ანალიზის დონეები

საერთაშორისო ურთიერთობებში აქტორების სიმრავლე ურთიერთსაწინააღმდეგო ახსნებსა და თეორიებს კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის. საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებმა ანალიზის სხვადასხვა დონეებად მოახდინეს აქტორებისა და პროცესების კატეგორიზაცია (იხილეთ ცხრილი 1.3). ანალიზის დონე არის მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც საერთაშორისო პროცესების კლასიფიკაციას ახდენს გამოწვევი მიზეზების მსგავსების ლოგიკით და გვთავაზობს პასუხებს კითხვაზე „რატომ?“ საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრები გვთავაზობენ ანალიზის სხვადასხვა დონეებს, თუმცა უმეტესად მაინც სამ ძირითად დონეზე ამახვილებენ ყურადღებას (ზოგჯერ მათ შორის რამდენიმე ქვედონეცაა გამოყოფილი).

ანალიზის ინდივიდუალური დონე უკავშირდება კონკრეტული ადამიანების აღქმებს, მათ გაკეთებულ არჩევანს და ქმედებებს. ძლიერი ლიდერები

ისტორიის მსვლელობაზე ახდენენ გავლენას, ისევე როგორც ცალკეული მოქალაქეები, მოაზროვნეები, ჯარისკაცები და ამომრჩევლები. ნათქვამია, რომ ლენინის გარეშე შესაძლოა საბჭოთა კავშირს არც ეარსება. 1960 წლის არჩევნებში ცოტა მეტ ხალხს რომ მიეცა ხმა ნიქსონისა და არა კენედისათვის, კუბის სარაკეტო კრიზისი შეიძლება სხვანაირად დასრულებულიყო. საგარეო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის კვლევა, რომელიც მე-3 თავშია განხილული, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ურთიერთობების ინდივიდუალური დონის ახსნებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფსიქოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობის გათვალისწინებით.

ანალიზის შიდა (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი) დონე შეისწავლის სახელმწიფოთა შიგნით არსებული ინდივიდების გაერთიანებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს ქმედებებზე. ასეთი გაერთიანებებია: ინტერესთა-ჯგუფები, პოლიტიკური ორგანიზაციები და სამთავრობო უწყებები. ეს ჯგუფები განსხვავებულად მოქმედებენ (განსხვავებული საერთაშორისო შედეგებით) სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებსა და სახელმწიფოებში. დემოკრატიები დიქტატურებისგან განსხვავებულად შეიძლება მოქმედებდნენ და მათი ქცევა საარჩევნო წელს შესაძლოა განსხვავდებოდეს სხვა პერიოდებთან შედარებით. ეთნიკური კონფლიქტისა და ნაციონალიზმის პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოების შიგნით ყალიბდება, სულ უფრო და უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. სახელმწიფოთა შიგნით არსებულ ეკონომიკურ სექტორებს, მათ შორის: სამხედრო-ინდუსტრიულ წარმოებას, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საკუთარ მთავრობებზე, რომ ამ უკანასკნელებმა მიიღონ იმგვარი საგარეო გადაწყვეტილებები, რომელიც სასიკეთო იქნება ბიზნესისთვის. მთავრობების შიგნით, საგარეო საქმეებზე პასუხისმგებელი უწყებები ერთმანეთში ხშირად ბიუროკრატიულ ომებს აწარმოებენ პოლიტიკური გადაწყვეტილებებისათვის.

სისტემური (ან სახელმწიფოთაშორისი) ანალიზის დონე შეისწავლის საერთაშორისო სისტემის გავლენას შედეგებზე. ამგვარად, ის აქცენტს აკეთებს თავად სახელმწიფოთა ურთიერთქმედებებზე, უგულებელყოფს რა მათ შიდა მოწყობას და კონკრეტულ პირებს, რომლებიც სათავეში უდგანან ამ ქვეყნებს. ანალიზის ამ დონეზე ყურადღება ექცევა საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა პოზიციებს შედარებითი ძლიერების კონტექსტში და მათ შორის არსებულ ურთიერთქმედებებს (მაგალითად, ვაჭრობა). სისტემური ანალიზის დონე ტრადიციულად ყველაზე მნიშვნელოვან დონედ მიიჩნეოდა.

ცხრილი 1.3. ანალიზის დონეები

საერთაშორისო ურთიერთობებზე ბევრი რამ ახდენს გავლენას. ანალიზის დონეები ერთგვარი ანალიტიკური ჩარჩოა, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას მოვახდინოთ ამ ფაქტორების კლასიფიკაცია და განვსაზღვროთ საერთაშორისო მოვლენების გამომწვევი განსხვავებული მიზეზები და ახსნები. ამის მაგალითებია:

	სისტემური დონე	
ჩრდილოეთ-სამხრეთის ნაპრალი	რელიგიური ფუნდამენტალიზმი	ინფორმაციული რევოლუცია
ევროპული იმპერიალიზმი	გლობალური გარემო	გლობალური ტელეკომუნიკაციები
ნორმები	ტექნოლოგიური ცვლილებები	მსოფლიო ბიზნეს და სამეცნიერო საზოგადოებები
ძალის განაწილება	ომები	საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები
ძალთა ბალანსი	სამხედრო ალიანსები	სავაჭრო შეთანხმებები
	შიდა დონე	
ნაციონალიზმი	დიქტატურა	გენდერი
ეთნიკური კონფლიქტი	შიდა კოალიციები	ეკონომიკური სექტორები და ინდუსტრიები
მთავრობის ტიპი	პოლიტიკური პარტიები და არჩევნები	სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსები
დემოკრატია	საზოგადოებრივი აზრი	საგარეო პოლიტიკური ბიუროკრატია
	ინდივიდუალური დონე	
ძლიერი ლიდერები	აღქმისა და გადაწყვეტილებების ფსიქოლოგია	მოქალაქეთა მონაწილეობა (ხმის მიცემა, ამბოხი, საომრად წასვლა და ა.შ.)
შეშლილი ლიდერები	სწავლა	
გადაწყვეტილების მიღების პროცესი კრიზისის დროს	მკვლელობები პოლიტიკური მოტივებით, ისტორიული შემთხვევითობები	

მკვლევრების უმეტესობა ასევე ანალიზის სისტემურ დონეს მიაკუთვნებს ფაქტორებს, რომლებიც სცდება სახელმწიფოთა ინტერაქციას. ტექნოლოგიების, მსოფლიოში გავრცელებული რწმენების და იდეების ევოლუცია და გარემოს მიმართ ადამიანთა ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებები-ყველა სისტემური დონის პროცესებია, რომლებიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე. ანალიზის ეს დონე მოიცავს მსოფლიოს მასშტაბით ტრანსნაციონალური ინტეგრაციის პროცესებს სამეცნიერო, ტექნიკური და ბიზნეს საზოგადოებების მეშვეობით (იხილეთ თავი 8). ყოვლისმომცველი გლობალური გავლენის კიდევ ერთი მაგალითი ისტორიული ევროპული იმპერიალიზმის ხანგრძლივი ეფექტია.

მართალია, საერთაშორისო ურთიერობების მკვლევრები საკითხის შესწავლისას ძირითადად ანალიზის ერთ დონეზე ყეთებენ აქცენტს, ხშირად პრობლემა სხვა დონეებსაც უკავშირდება. არ არსებობს ერთი

„სწორი" დონე მოცემული კონკრეტული კითხვისათვის „რატომ". უფრო მეტად ანალიზის დონეები გვეხმარება ერთსა და იმავე მოვლენას რამდენიმე ახსნა და მიდგომა მოვუძებნოთ. ისინი შეახსენებენ მეცნიერებსა და სტუდენტებს, მოვლენის მყისიერი და ზედაპირული ასპექტების მიღმაც გაიხედონ და უფრო სიღრმისეული მიზეზებით განპირობებული ფაქტორები იკვლიონ. აღსანიშნავია, რომ პროცესები ანალიზის უფრო ზედა დონეებზე უფრო ნელა ვითარდება, ვიდრე პროცესები დაბალ დონეებზე. ინდივიდები ხშირად იკავებენ და ტოვებენ თანამდებობებს; საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა კი იშვიათად იცვლება.

1.2.4 გლობალიზაცია

გლობალიზაცია (Globalization) კომუნიკაციების, კულტურისა და ეკონომიკის თვალსაზრისით მსოფლიოს მზარდი ინტეგრაცია. ასევე შეიძლება ეხებოდეს სუბიექტური გამოცდილებების ცვლას დროსა და სივრცეში, რაც თან ახლავს ამ პროცესს.

გლობალიზაცია მრავალ მიმართულებას/ტენდენციას მოიცავს. მათ შორის: გაფართოებულ საერთაშორისო ვაჭრობას, ტელეკომუნიკაციებს, სავალუტო პროცესების კოორდინაციას, მრავალეროვნულ კორპორაციებს, ტექნიკური და სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობას, ახალი ტიპებისა და მასშტაბების კულტურულ გაცვლებს, მიგრაციას, დევნილთა ნაკადებს, მსოფლიოს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის მნიშვნელობა აშკარაა, მისი განსაზღვრება მაინც ბუნდოვანია და არ არსებობს ერთი რომელიმე თეორია, რომელიც მას სრულფასოვნად ახსნიდა. გლობალიზაციის ერთ-ერთი პოპულარული განმარტება შემდეგნაირია: „მსოფლიო მასშტაბით თანამედროვე სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტს შორის ურთიერთკავშირის ზრდა, გაღრმავება და დაჩქარება"[2]. თუმცა, ამავდროულად ამ პროცესის სულ მცირე სამი ურთიერთდაპირისპირებული კონცეფცია არსებობს.

ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, გლობალიზაცია ლიბერალური ეკონომიკური პრინციპების ნაყოფია (იხილეთ მე-5 თავი). გლობალურ ბაზრებს მოაქვს ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა (არა ყველა ქვეყნისათვის, არამედ მათთვის, ვინც მეტად ინტეგრირებულია გლობალურ ბაზართან). ამ ეკონომიკურმა პროცესმა ტრადიციული სახელმწიფოები მოძველებულ ეკონომიკურ ერთეულებად აქცია. ამგვარად, სახელმწიფოები თავიანთი ავტორიტეტის ნაწილს გადასცემენ ზეეროვნულ ინსტიტუტებს, როგორებიცაა მაგალითად: საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროკავშირი და ტრანსნაციონალურ აქტორებს, როგორებიცაა, მრავალეროვნული კორპორაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ტექნოკრატებისა და ელიტის, განათლებული მოქალაქეების ღირებულებები ლიბერალურ დემოკრატიებში გლობალურ ღირებულებებად იქცევა და ასახავს ახალ გლობალურ ცივილიზაციას. წარსულში აქტუალური ჩრდილოეთ-სამხრეთის დაყოფა დღეს ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩანს, რა-

2 Held, David, Anthony McGrew, David Goldblatt, and Jonathan Perraton. Global Transformations: Politics, Economics and Culture. Stanford, 1999: 2.

დგან გლობალური სამხრეთის ქვეყნები და რეგიონები განსხვავებული მიმართულებებით მოძრაობენ, რასაც მსოფლიო ბაზრებთან მათი ინტეგრაცია განაპირობებს .

მეორე ხედვა გლობალიზაციას უფრო სკეპტიკურად აფასებს. ამ სკეპტიციზმის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მსოფლიოს ძირითადი ეკონომიკები დღეს იმაზე მეტად ინტეგრირებულები არ არიან, ვიდრე ეს პირველ მსოფლიო ომამდე იყო (როდესაც ბრიტანული ჰეგემონია მოლოდინებისა და ინსტიტუტების საერთო ქსელს აყალიბებდა). გლობალიზაციის სკეპტიკოსები ასევე ეჭვს გამოთქვამენ, რომ რეგიონული და გეოგრაფიული განსხვავებები, როგორიც მაგალითად „ჩრდილოეთ-სამხრეთის დაყოფაა“ სულაც არ ქრება ერთიანი გლობალური ბაზრის სასარგებლოდ. პირიქით, სკეპტიკოსების აზრით, გლობალიზაციის ზრდასთან ერთად ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული ნაპრალიც იზრდება. ამასთანავე სახელმწიფოთა ეკონომიკურმა ინტეგრაციამ შესაძლოა სულაც არ მიგვიყვანოს ერთიან მსოფლიო თავისუფალ სავაჭრო ზონამდე და ამერიკაში, ევროპასა და აზიაში განცალკევებული და კონკურენტული რეგიონული ბლოკების ჩამოყალიბება გამოიწვიოს. ახალი მსოფლიო ცივილიზაციის ჩამოყალიბების შესახებ ვარაუდს აბათილებს ფართო სახელმწიფოებრივი ერთეულების (როგორიც იყო საბჭოთა კავშირი) უფრო მცირე ნაწილებად ფრაგმენტაცია ენობრივი და რელიგიური ნიშნით და სხვა მსგავსი კულტურული ფაქტორების მიხედვით.



ინტერესი გლობალურად მსოფლიო ეკონომიკა უფრო და უფრო ინტეგრირებული ხდება, ბაზრები და პროდუქცია კი უფრო გლობალური მასშტაბების. მანხაის აეროპორტში შემოსულ ამ კონტეინერს მთელი მსოფლიოდან მოაქვს და მიაქვს საქონელი, 2013 წ.

აზროვნების მესამე სკოლა აცხადებს, რომ გლობალიზაცია უფრო სიღრმისეულია, ვიდრე ამას სკეპტიკოსები მიიჩნევენ, თუმცა უფრო ბუნდოვანი, ვიდრე მას ლიბერალური ეკონომიკის მხარდამჭერები აღიქვამენ. ამ „ტრანსფორმაციონალისტების“ თვალსაზრისით, ევროკავშირი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვა ახალი ინსტიტუტები ძირს უთხრიან სახელმწიფო სუვერენიტეტს და შესაბამისად, სუვერენიტეტი არა აბსოლუტური, არამედ ერთ-ერთია მოლაპარაკებების ნარმოების ბერკეტთა სპექტრიდან, რომელსაც სახელმწიფოები ფლობენ. თავად მოლაპარაკებების პროცესში უფრო და უფრო იზრდება არასახელმწიფო აქტორების ჩართულობა. სახელმწიფოს ძალა გლობალიზაციამ კი არ შეასუსტა ან გაზარდა, არამედ ისე გარდაქმნა, რომ ახალ კონტექსტში ახალი ინსტრუმენტებით შეძლოს მოქმედება.

მაშინ, როდესაც მკვლევრები კამათობენ გლობალიზაციის ზემოაღნიშნულ კონცეფციებზე, პოპულარულ დებატებში აქცენტი კეთდება გლობალურად მოქმედი დიდი კორპორაციების მზარდ ძალაზე, მსოფლიო ბაზრებთან ინტეგრაციის დამანგრეველ ხარჯებზე (მაგალითად: სამუშაო ადგილების დაკარგვა და გარემოში მომხდარი ცვლილებები), აღქმებზე, რომ მდიდრებსა და ღარიბებს შორის სხვაობა სულ უფრო მზარდია და შეთქმულების თეორიაზე, თუ როგორი წვლილი შეაქვთ ამ უსამართლობებში ეროვნულ მთავრობებს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობით, როგორებიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და საერთაშორისო სავალუტო ფონდია. გლობალიზაციის მოწინააღმდეგეთა მთავარ ყურადღებას იქცევს ის პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც თავისუფალი სავაჭრო ზონის გაფართოებისკენაა მიმართული (იხ. თავი 5). ანტიგლობალისტების ქუჩის პროტესტებმა ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეებად აქცია ზემოაღნიშნული ინსტიტუციების სამიტების მასპინძელი ქალაქები: სიეტლი (1999 წელს), ვაშინგტონი (2000 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის შეხვედრების დროს), კვებეკი (2001 წელს სამიტის დროს, რომელზეც ამერიკის თავისუფალი სავაჭრო ზონა განიხილებოდა) და გენუა (2001 წელს დიდი რვიანის სამიტის დროს), როდესაც მომიტინგეები პოლიციას დაუპირისპირდნენ და ამ დაპირისპირებამ ერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. 2005 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჰონკონგის შეხვედრაზე დემონსტრანტებმა გადაკეტეს ყველა ახლომდებარე გზა და ზოგიერთმა მათგანმა ჰონკონგის ნავსადგურთან ცურვით მისვლაც კი სცადა მოლაპარაკებების ჩასაშლელად. მართალია ბოლო პერიოდში პროტესტები ნაკლებად ძალადობრივი გახდა, თუმცა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყოველწლიური შეხვედრები კვლავ ანტიგლობალისტების მნიშვნელოვანი სამიზნეა.

ანტიგლობალიზაციური რიტორიკა 2016 წელს გაძლიერდა, როდესაც ბრიტანელმა ამომრჩევლებმა მხარი არ დაუჭირეს ბრიტანეთის ევროკავშირის შემადგენლობაშ დარჩენას და ამერიკელებმა აირჩიეს პრეზიდენტი, რომელიც აკრიტიკებდა გლობალურ სავაჭრო შეთანხმებებს, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა სამხედრო ალიანსების საჭიროებას და პირობას დებდა, რომ შეზღუდავდა მიგრაციას სხვა ქვეყნებიდან. პრეზიდენტის პოსტის დაკავებიდან რამდენიმე კვირაში, ტრამპმა ამერიკა გაიყვანა აზიის ძირითადი სავაჭრო შეთანხმებიდან (ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობა), მოითხოვა, რომ სამხედრო მოკავშირეებს უფრო მეტი გადაეხადათ ნატოს წვერობისთვის და შეეცადა, რომ აეკრძალა მიგრაცია ცალკეული მუსლიმური ქვეყნებიდან. როგორც ბრიტანეთის, ასევე ამერიკის შემთხვევაში, ამ მოვლენების უკან მდგარი პოლიტიკური მოძრაობები ამტკიცებდნენ, რომ გლობალურმა ძალებმა საფრთხე შეუქმენს ამ ქვეყნების მოქალაქეებს.

ისევე როგორც მეცნიერები ვერ თანხმდებიან გლობალიზაციის ერთიან კონცეფციაზე, მისი მოწინააღმდეგეები ვერ თანხმდებიან თავი-

ანთ მიზნებსა და ტაქტიკებზე. ანტიგლობალისტებს გლობალური ჩრდილოეთის ქვეყნებიდან გლობალიზაციის შეჩერება უნდათ, რათა მათი სამუშაო ადგილების სამხრეთისკენ გადინება არ მოხდეს. თუმცა გლობალური სამხრეთის გაღატაკებული ქვეყნების მშრომელები უიმედოდ ისწრაფვიან ამ სამუშაო ადგილების დაკავებისაკენ, რასაც აღიქვამენ, როგორც პირველ ნაბიჯს ღირსეული ხელფასებისა და სამუშაო პირობებისაკენ (ამ ქვეყნებში არსებულ სხვა ალტერნატივებთან შედარებით). ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბევრმა როგორც დემოკრატიულ პარტიაში (საპრეზიდენტო კანდიდატი, ბერნი სანდერსი), ასევე რესპუბლიკურ პარტიაში (პრეზიდენტი ტრამპი) გამოხატა სკეპტიციზმი გლობალური ვაჭრობის მიმართ. ამავდროულად, ორივე პარტიას ასევე ბევრი წევრი ყავს, ვინც მხარს უჭერს თავისუფალ ვაჭრობას. და მაშინ როცა ტრამპის და სანდერსის მომხრეები შესაძლოა თანხმდებოდნენ სავაჭრო პოლიტიკაზე, სხვა პოლიტიკურ საკითხებში ისინი თითქის არაფერში თანხმდებიან. ამგვარად, არც გლობალიზაციის პროცესი და არც მისი საპასუხო რეაქციები მარტივი არ არის.

გლობალიზაცია ცვლის როგორც საერთაშორისო უსაფრთხოებას, ასევე საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიას, რასაც შემდეგ თავებში ვნახავთ. აღსანიშნავია, რომ ის საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიას უფრო სწრაფად და სიღრმისეულად ცვლის, ვიდრე უსაფრთხოებას. შემდეგ თავებში მრავალი თემატიკაა განხილული, ყველა მათგანზე გლობალიზაციამ მოახდინა გავლენა. მე-3 თავში ნაჩვენებია, თუ როგორ ახდენენ გავლენას არასახელმწიფო აქტორები სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაზე. მე-5 თავი მიმოიხილავს ეკონომიკურ გლობალიზაციას, ვაჭრობას, ფინანსებსა და ბიზნესს, სადაც გლობალიზაციის გავლენები უფრო თვალსაჩინოა. მე-6 თავში გლობალური ინსტიტუტების შესახებ არის საუბარი: საერთაშორისო სამართალი და ადამიანის უფლებები სულ უფრო და უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს გლობალიზაციის კვალდაკვალ. მე-7 თავი ფარავს მსოფლიოს დაყოფას გლობალურ ჩრდილოეთად და სამხრეთად, რომელიც გლობალიზაციის კონცეფციისათვის ცენტრალური საკითხია, ხოლო მე-8 თავში გლობალიზაცია საინფორმაციო ტექნოლოგიების ჭრილშია განხილული: მსოფლიო დღითითღე უფრო დაქსელილი ხდება, ამავე თავში ასევე მიმოხილულია გლობალიზაციის გავლენა ჩვენს ფიზიკურ გარემოზე.

მოცემული თავის დარჩენილ ნაწილში გლობალიზაციის ორი კონტექსტუალური ასპექტია აღებული, რომლებზეც შემდეგ ქვეთავებშია საუბარი. ესენია: ურთიერთობები მსოფლიოს მთავარ რეგიონებს, განსაკუთრებით მდიდარ ჩრდილოეთსა და ღარიბ სამხრეთს შორის; და უკანასკნელი საუკუნის, განსაკუთრებით ცივი ომის შემდგომი ეპოქის ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო სისტემის განვითარება.

1.3 გლობალური გეოგრაფია

გამოყავით მინიმუმ სამი მსგავსება გლობალური ჩრდილოეთისა და გლობალური სამხრეთის ქვეყნებს შორის


ჩრდილოეთ-სამხრეთის ნაპრალი (North-South Gap)
სხვაობა დასავლეთის (და ასევე ყოფილი აღმოსავლეთის) ინდუსტრიული, შედარებით მდიდარი ქვეყნებისა და აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის, აზიის უმეტესი ნაწილისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების რესურსებში (შემოსავალი, სიმდიდრე, ძალა).

მოცემული ტექსტი ანალიზის გლობალური დონის საფუძველზე მსოფლიოს ცხრა რეგიონად ჰყოფს. ეს რეგიონები ერთმანეთისგან განსხვავდება მასში შემავალი სახელმწიფოების რაოდენობით და ყველა რეგიონი გარკვეული კულტურების, გეოგრაფიული რეალიებისა და ენების ნაზავს მოიცავს. მაგრამ თითოეული მათგანი ერთგვარი გეოგრაფიულ არეალია და ისინი მსოფლიოს უფრო დიდ დაყოფებს ასახავენ.

გლობალური ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაპრალი – ჩრდილოეთის ინდუსტრიალიზებულ, შედარებით მდიდარ ქვეყნებსა და სამხრეთის ღარიბ ქვეყნებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ელემენტია ანალიზის გლობალურ დონეზე. მოცემულ ტექსტში რეგიონები გამოყენებულია მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად. ჩრდილოეთი მოიცავს როგორც დასავლეთს (ჩრდილოეთ ამერიკის მდიდარი ქვეყნები, დასავლეთ ევროპა და იაპონია), ასევე ძველ აღმოსავლეთს (ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მისი მოკავშირე ბლოკის ქვეყნებს)3. სამხრეთი კი მოიცავს ლათინურ ამერიკას, აფრიკას, ახლო აღმოსავლეთსა და აზიის უმეტეს ნაწილს. გლობალურ სამხრეთს ხშირად მესამე სამყაროსაც უწოდებენ (მესამე-დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემდეგ)-ტერმინი „მესამე სამყარო“ დღესაც ფართოდ გამოიყენება მიუხედავად იმისა, რომ მეორე სამყარო ჩამოიშალა. სამხრეთის ქვეყნებს ასევე „განვითარებად“ ან „ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებადაც“ მოიხსენიებენ, ჩრდილოეთის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. მსოფლიოს ყველა რეგიონი ნაჩვენებია გრაფიკზე 1.2.

3 აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული აღნიშვნები, როგორებიცაა „დასავლეთი“ და „ახლო აღმოსავლეთი“ ევროპაცენტრულია. კორეისთვის, მაგალითად რუსეთი და ჩინეთია დასავლეთი, იაპონია და აშშ კი-აღმოსავლეთი.

გრაფიკი 1.2 მსოფლიოს ცხრა რეგიონი



ამ რეგიონთა უმეტესობა ძირითადად გეოგრაფიულ სახელწოდებებს შეესაბამება, თუმცა რამდენიმე დამატებითი განმარტება შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს. აღმოსავლეთ აზია გულისხმობს ჩინეთს, იაპონიასა და კორეას, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია კი-ქვეყნებს ბირმიდან ინდონეზიის გავლით ფილიპინებამდე. მართალია რუსეთის დიდი ნაწილი (ციმბირი) აზიაში მდებარეობს, იგი მაინც ევროპულ სახელმწიფოდ მიიჩნევა. წყნარი ოკეანის სარტყელი (Pacific Rim) ხშირ შემთხვევაში ნიშნავს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ციმბირს, ჩრდილოეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროსა და ლათინურ ამერიკას. ცალკე აღებული სამხრეთ აზია ზოგჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ნაწილებსაც მოიცავს. ახლო აღმოსავლეთი, ვიწრო გაგებით გამორიცხავს როგორც ჩრდილოეთ აფრიკას, ასევე თურქეთსაც. ბალკანეთის ქვეყნებიც სამხრეთ ევროპის სახელმწიფოებია, რომელთაც ესაზღვრება სლოვენია, რუმინეთი და საბერძნეთი.

ცხრილი 1.4 სახელმწიფოები და ტერიტორიები მშპ-ის სავარაუდო მოცულობით, 2017 წ. (მონაცემები დათვლილია 2018 წლის აშშ დოლარში, მილიარდებში)

ჩრდილოეთ ამერიკა					
აშშ	19.000	კანადა	2.000	ბაჰამის კუნძულები	10
ევროპა					
გერმანია	3.500	ჩეხეთი	200	ლატვია	30
ბრიტანეთი	2.700	საბერძნეთი	200	ესტონეთი	20
საფრანგეთი	2.500	პორტუგალია	200	კვიპროსი	20
იტალია	1.900	ფინეთი	200	ბოსნია-ჰერცოგოვინა	20
ესპანეთი	1.200	რუმინეთი	200	ისლანდია	20
ნიდერლანდები	800	უნგრეთი	100	ალბანეთი	10
შვეიცარია	700	სლოვაკეთი	100	მაკედონია	10
პოლონეთი	500	ლუქსემბურგი	60	მალტა	10
ბელგია	500	ხორვატია	50	მონტენეგრო	5
შვედეთი	500	სლოვენია	50	ლიხტენშტეინი	4
ნორვეგია	400	ბულგარეთი	50	ანდორა	3
ავსტრია	400	სერბეთი	40	მონაკო	1
დანია	300	ლიეტუვა	40	სან-მარინო	1
ირლანდია	300				

იაპონია/ოკეანეთი

იაპონია	5.000	ფიჯი	5	ნაურუ	0
სამხრეთ კორეა	1.400	გუამი	4	მარშალის კუძულები	0
ავსტრალია	1.200	სოლომონის კუნძულები	1	პალაუ	0
ახალი ზელანდია	200	სამოა	1	კირიბატი	0
ჩრდილოეთ კორეა	40	ვანუატუ	1	ტუვალუ	0
პაპუა ახალი გვინეა	20	ტონგა	1	მიკრონეზია	0

რუსეთი/დსთ

რუსეთი	1.500	ბელარუსი	50	ტაჯიკეთი	10
ყაზახეთი	200	თურქმენეთი	40	ყირგიზეთი	10
უკრაინა	100	საქართველო	20	მოლდოვა	10
აზერბაიჯანი	70	სომხეთი	10	მონღოლეთი	10
უზბეკეთი	70				

ჩინეთი

ჩინეთი	11.000	ჰონკონგი	300	მაკაო	40
ტაივანი	500				

ახლო აღმოსავლეთი

თურქეთი	900	ერაყი	200	ლიბანი	50
საუდის არაბეთი	700	კატარი	200	ლიბია	40
ირანი	500	ქუვეითი	100	იორდანია	40
არაბთა გაერთიანებული საემიროები	500	მაროკო/ დასავლეთ საჰარა	100	ბაჰრეინი	30
ეგვიპტე	300	ომანი	70	იემენი	30
ისრაელი/პალესტინა	300	ტუნისი	50	სირია	20
ალჟირი	200				

ლათინური ამერიკა

ბრაზილია	1.800	პანამა	60	სურინამი	4
მექსიკა	1.100	ურუგვაი	50	გაიანა	4
არგენტინა	600	პარაგვაი	30	ბელიზი	3
კოლუმბია	300	სალვადორი	30	ვირჯინიის კუნძულები	2

ვენესუელა	300	ბოლივია	30	საფრანგეთის გვიანა	2
ჩილე	300	ჰონდურასი	20	წმ. ლუსია	2
პერუ	200	ტრინიდადი და ტობაგო	20	ანტიგუა და ბარბუდა	2
ეკვადორი	100	იამაიკა	10	გრენადა	1
პუერტო-რიკო	100	ნიკარაგუა	10	სენტ-ვინსენტი და გრენადინები	1
კუბა	90	ჰაიტი	10	სენტ-კიტსი და ნევისი	1
დომინიკის რეს-პუბლიკა	80	მარტინიკა	7	დომინიკა	1
გვატემალა	70	ბარბადოსი	5		
კოსტა-რიკა	60	ბერმუდი	5		
		სამხრეთ აზია			
ინდოეთი	2.300	ვიეტნამი	200	ავღანეთი	20
ინდონეზია	900	ბანგლადეში	200	ლაოსი	20
ტაილანდი	400	შრი-ლანკა	90	მალდივები	4
პაკისტანი	300	ბირმა (მია-ნმა)	70	ბუტანი	3
მალაიზია	300	ნეპალი	30	აღმოსავლეთ ტი-მორი	2
ფილიპინები	300	კამბოჯა	20		
სინგაპური	300	ბრუნეი	20		
		აფრიკა			
ნიგერია	500	ზიმბაბვე	20	სვაზილენდი	5
სამხრეთ აფრიკა	300	მოზამბიკი	10	ტოგო	5
ანგოლა	100	მადაგასკარი	10	სიერა-ლეონე	5
სუდანი	100	მავრიკი	10	ბურუნდი	4
ეთიოპია	80	ბურკინა-ფასო	10	ცენტრალური აფრი-კის რესპუბლიკა	3
კენია	70	ჩადი	10	ერიტრეა	3
განა	50	ნამიბია	10	ლესოთო	3
ტანზანია	50	ეკვატორული გვინეა	10	ჯიბუტი	3
კოტ-დივუარი	40	კონგოს რეს-პუბლიკა	10	რეუნიონი	3
კამერუნი	30	ნიგერი	10	გამბია	2

უგანდა	30	რუანდა	10	კაბო-ვერდე	2
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	30	ბენინი	10	ლიბერია	2
ბოტსვანა	20	გვინეა	10	სეიშელის კუნძულები	1
ზამბია	20	სამხრეთ სუდანი	10	გვინეა-ბისაუ	1
სენეგალი	20	მალავი	6	კომორის კუნძულები	1
გაბონი	20	მავრიტანია	6	სან-ტომე და პრინსიპი	0
მალი	20	სომალი	6		

ცხრილი 1.5 მსოფლიო რეგიონების შედარება, 2017

რეგიონი	მოსახლეობის რაოდენობა (მილიონი)	მშპ (ტრილიონი)	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი)
ჩრდილოეთი			
ჩრდ. ამერიკა	360	$21	$49.000
ევროპა	550	17	33.500
იაპონია/ოკეანეთი	250	8	31.000
რუსეთი/დსთ	290	2	9.000
სამხრეთი			
ჩინეთი	1.450	12	7.000
ახლო აღმოსავლეთი	500	4	7.600
ლათინური ამერიკა	650	5	8.300
სამხრეთ აზია	2.500	5	1.800
აფრიკა	1.050	2	1.500
ჩრდილოეთი	**1.450 (20%)**	**48 (63%)**	**30.500**
სამხრეთი	**6.150 (80%)**	**28 (37%)**	**5.200**
მსოფლიო	**7.600**	**$76**	**$10.100**

შენიშვნა: 2017 წლის მშპ-ის შეფასებები (2018 წლის ამშ დოლარში) აღებულია ცხრილიდან 1.4. რუსეთის, დსთ-ისა და ჩინეთის შემთხვევაში მონაცემებს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

წყარო: მსოფლიო ბანკი

ცხრილი 1.4. აჩვენებს თითოეული ქვეყნის მშპ-ს მონაცემებს რეგიონების მიხედვით. ცხრილი 1.5. მიახლოებით აჩვენებს თითოეული რეგიონის მოსახლეობასა და ეკონომიკურ პოტენციალს (მშპ-ის თვალსაზრისით) მთლიან მსოფლიოსთან მიმართებით. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, საერთო ჯამში ჩრდილოეთში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 5-ჯერ მეტია, ვიდრე სამხრეთის ქვეყნებში. გლობალურ ჩრდილოეთში მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 20% ბინადრობს, მაგრამ ისინი მოიხმარენ ჯამური საქონლისა და მომსახურების 60%-ს. მსოფლიო მოსახლეობის დანარჩენი 80 %, გლობალურ სამხრეთში, საერთო

საქონლისა და მომსახურების 40%-ზე ნაკლებს მოიხმარს. საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებს არ აქვთ შეჯერებული ახსნა იმის შესახებ, თუ რა იწვევს ჩრდილოეთ-სამხრეთის შემოსავლებს შორის ამ უზარმაზარ ნაპრალს (იხილეთ თავი 7).

გეოგრაფია გვთავაზობს ერთ კონტექსტს, რომელშიც საერთაშორისო ურთიერთობები ვითარდება, ისტორია კი მეორეს. მოცემული თავის დარჩენილ ნაწილში განხილულია მეორე მსოფლიო ომის პერიოდის შემდგომ საერთაშორისო სისტემის ისტორიული განვითარება.

1.4 საერთაშორისო სისტემის განვითარება

ახსენით ცივი ომისა და ცივი ომის შემდგომ ეპოქებს შორის არსებული სულ მცირე ორი განსხვავება.

საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად სტრუქტურებსა და პრინციპებს ღრმად აქვს ფესვი გადგმული ისტორიულ მოვლენებში. უკანასკნელი 500 წლის განმავლობაში, რასაც ჩვენ „თანამედროვე ეპოქას“ ვუწოდებთ, სუვერენულ სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბების მომსწრენი გავხდით. ეს ეპოქა გამოირჩეოდა პერიოდული ომებით ძლიერ სახელმწიფოებს შორის ევროპის კონტინენტზე მათ შორის, 30-წლიანი ომი (1618-1648), ნაპოლეონური ომები (1803-1815), ასევე, პირველი და მეორე მსოფლიო ომები (1914-1918, 1939-1945 წწ). მსოფლიოს უძლიერეს არმიებს შორის ასეთი ყოვლისმომცველი ომები, რომლებიც მთელს კონტინენტებს ნანგრევებად აქცევდა, უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში არც მომხდარა და შეიძლება არც სამომავლოდ მოხდეს. ბოლო 70 წლის ისტორია დღევანდელი საერთაშორისო სისტემისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

1.4.1 ცივი ომი, 1945-1990


ცივი ომი (Cold War)
მტრული ურთიერთობები- გაუმჯობესებათა პერიოდული ეპიზოდებით ან დეტანტით -ორ ზესახელმწიფოს, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის 1945-1990 წლებში.

შეკავება (Containment)
1940-იანი წლების ბოლოს შემუშავებული პოლიტიკა, რომლითაც აშშ ცდილობდა სსრკ-ის გლობალური ექსპანსიისთვის ხელის შეშლას სამხედრო, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ეკონომიკურ ფრონტებზე.

აშშ და საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ორ ზესახელმწიფოს წარმოადგენდნენ (იხ. გრაფიკი 1.3). თითოეულს ჰქონდა საკუთარი იდეოლოგიური მისია (კაპიტალისტური დემოკრატია VS კომუნიზმი), ალიანსთა ქსელები, კლიენტი ქვეყნები მესამე სამყაროდან და ბირთვული იარაღის ლეტალური არსენალი. ევროპა ორად იყო გაყოფილი, აშშ-ის სამხედრო ძალები და ნატოს მოკავშირეები ერთ მხარეს და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები და ვარშავის პაქტის მოკავშირეები მეორე მხარეს. თავად გერმანიაც დანაწევრებული იყო-ქვეყნის და დედაქალაქის, ბერლინის სამი მეოთხედი აშშ-ის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის კონტროლის ქვეშ იყო, ხოლო დარჩენილი ნაწილი-დასავლეთ ბერლინის შემოგარენი ტერიტორია საბჭოთა კავშირს ჰქონდა ოკუპირებული. ბერლინის 1947-1948 და 1961 წლების კრიზისებმა გამოიწვია შეიარაღებული დაპირისპირება, მაგრამ ომში არ გადაზრდილა.

გრაფიკი 1.3 ცივი ომი, 1945-1990

წყარო: Based on Gaddis, John Lewis. We Now Know: Rethinking Cold War History. Oxford, 1997. Zubok, Vladislav, and Constantine Pleshakov. Inside the Kremlin's Cold War: From Stalin to Khrushchev. Harvard, 1996. Garthoff, Raymond. Détente and Confrontation: American-Soviet Relations from Nixon to Reagan. Brookings, 1985. Larson, Deborah Welch. Anatomy of Mistrust: U.S.-Soviet Relations During the Cold War. Cornell, 1997. Trachtenberg, Marc. A Constructed Peace: The Making of the European Settlement, 1945–1963. Princeton, 1999.



1961 წელს აღმოსავლეთ გერმანიამ ბერლინის კედელი ააგო, რომელმაც აღმოსავლეთი დასავლეთ ბერლინისგან გამოყო. ის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა ევროპის გაყოფის, რასაც უინსტონ ჩერჩილი „რკინის ფარდას" უწოდებდა.

სინო-საბჭოთა განხეთქილება (Sino-Soviet Split)

1960-იან წლებში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის კომუნისტურ ძალებს შორის მომხდარი განხეთქილება, რაც გაამწვავა ჩინეთის წინააღმდეგობამ საბჭოთა კავშირის სწრაფვის მიმართ, მშვიდობიანად თანაარსებობა აშშ-თან.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული მტრული დამოკიდებულების მიუხედავად, ცივი ომის დროს შედარებით სტაბილური ურთიერთობები ნარჩუნდებოდა და კონფლიქტები იმდენად არ გამწვავებულა, რომ დიდ სახელმწიფოებს შორის ყოვლისმომცველ ომებში გადაზრდილიყო. 1945 წელს აშშ-ს, ბრიტანეთის და საბჭოთა კავშირის მონაწილეობით იალტაში გამართული სამიტზე, როდესაც გერმანიის მარცხი გარდაუვალი იყო, დასავლურმა ძალებმა აღიარეს საბჭოთა არმიის აღმოსავლეთ ევროპაში ყოფნის ფაქტი და ფაქტობრივად დაუშვეს აღმოსავლეთ ევროპის საბჭოთა გავლენის ქვეშ დარჩენა. მართალია საბჭოთა ბლოკი არ შეუერთდა დასავლურ ეკონომიკურ ინსტიტუტებს, როგორიც იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიოს ყველა ძირითადი სახელმწიფო გაწევრიანდა გაეროში. გაერომ, განსხვავებით უიღბლო ერთა ლიგისგან, მოახერხა შეენარჩუნებინა თითქმის უნივერსალური წევრობა და ძირითადი სტრქუტურების და წესების შესაბამისად მოქმედება მთელი ცივი ომის პერიოდში.

ცივი ომის პერიოდში დასავლეთის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა, რომ საბჭოთა კავშირს დასავლეთ ევროპაზე კონტროლი არ მოეპოვებინა პირდაპირი შემოჭრის ან დასავლეთ ევროპის გაღატაკებულ და ომისგან გადაღლილ ქვეყნებში კომუნისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების გზით. ეს გამოიწვევდა ევრაზიის კონტინენტის სრული ინდუსტრიული პოტენციალის ერთი სახელმწიფოს მფლობელობის ქვეშ მოქცევას. *მარშალის გეგმა* – აშშ-ის ფინანსური დახმარება ევროპული ეკონომიკების ასაღორძინებლად – და ნატოს შექმნა ერთგვარი პასუხი იყო ამ შიშებზე. მთელი მსოფლიოს ნახევრის სამხედრო დანახარჯები ევროპული წინააღმდეგობის გაძლიერებისაკენ იყო მიმართული. ასევე, დანახარჯების დიდი ნაწილი გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას ხმარდებოდა, რომლის ფარგლებშიც ზესახელმწიფოები ათობით და ათასობით ბირთვულ იარაღს აწარმოებდნენ (იხ. თავი 4).

აშშ შეკავების პოლიტიკის გზით, რომლის გატარებაც 1940-იანი წლების ბოლოს დაიწყო, ცდილობდა საბჭოთა გლობალური ექსპანსიის შეჩერებას ერთდროულად რამდენიმე, სამხედრო, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ეკონომიკურ ფრონტებზე. აშშ სამხედრო ბაზებისა და ალიანსების მთელს ქსელს ინარჩუნებდა მსოფლიო მასშტაბით. აშშ-ის ნებისმიერი საგარეო პოლიტიკა შემდგომ ათწლეულებში, დაწყებული უცხოური დახმარებიდან და ტექნოლოგიური ტრანსფერიდან, დამთავრებული სამხედრო ინტერვენციითა და დიპლომატიით, საბჭოთა კავშირის და კომუნიზმის შეკავების მიზანს ემსახურებოდა.

1949 წლის ჩინეთის კომუნისტურმა რევოლუციამ საფუძველი და-

უდო საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ალიანსის ჩამოყალიბებას. თუმცა 1960-იან წლებში, **სინო-საბჭოთა განხეთქილების** შემდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი შეეწინააღმდეგა საბჭოთა კავშირის მიერ აშშ-თან მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს, ჩინეთმა საბჭოთა კავშირისგან მკაფიოდ დამოუკიდებელი კურსის გატარება დაიწყო. 1960-იანი წლების ბოლოს, ახალგაზრდა რადიკალებმა, რომლებიც ორივე ზესახელმწიფოს ეწინააღმდეგებოდნენ, ქვეყანა ქაოტურ და დესტრუქციულ კულტურულ რევოლუციაში ჩაფლეს. საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხის განცდამ ჩინეთის ლიდერები აიძულა, 1970-იან წლებში აშშ-თან მზარდი თანამშრომლობა განევითარებინათ, ეს ყველაფერი კი 1972 წელს ჩინეთში აშშ-ის პრეზიდენტის, რიჩარდ ნიქსონის ვიზიტით დაიწყო. ცივი ომის ეპოქაში, ჩინეთი ძირითადად ცდილობდა დამაბალანსებლის როლი ეთამაშა იმ ზესახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც იმ დროისთვის უფრო სამიში ჩანდა.


1950 წელს კორეის ომი დაიწყო მას შემდეგ, რაც კომუნისტურმა ჩრდილოეთ კორეამ შეუტია და დაიპყრო აშშ-ის მოკავშირე, სამხრეთ კორეის ტერიტორიის დიდი ნაწილი. აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა (გაეროს მანდატის ქვეშ, რომელიც მოიპოვეს მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა უშიშროების საბჭოს სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა) საპასუხოდ შეუტიეს და დაიპყრეს ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიის დიდი ნაწილი. ჩინეთმა „მოხალისეები“ გაგზავნა ჩრდილოეთ კორეის დასახმარებლად და ომი საწყის საზღვრებთან შეფერხდა 1953 წლის ზავამდე. კორეის ომმა კიდევ უფრო გაამყარა აშშ-ის დამოკიდებულება კომუნიზმის მიმართ.

1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ცივი ომის დაპირისპირება დროებით შერბილდა. 1955 წელს ჟენევაში, შვეიცარიაში ზესახელმწიფოთა ლიდერებს შორის პირველი უმაღლესი რანგის შეხვედრა გაიმართა. მაგრამ 1956 წელს საბჭოთა კავშირის მიერ ტანკების გაგზავნამ უნგრეთის აჯანყების ჩასახშობად (იგივე გაიმეორა მან 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში) და 1957 წელს საბჭოთა სარაკეტო პროგრამამ და ხელოვნური თანამგზავრის („სპუტნიკის“) კოსმოსში გაშვებამ, აშშ-ის შეშფოთება გამოიწვია. 1959 წელს კუბაში ფიდელ კასტროს კომუნისტური რევოლუციის შემდეგ, აშშ-მა სცადა კონტრრევოლუციის მოწყობა, 1961 წლის „ღორების ყურის“ წარუმატებელი ოპერაციის გზით.

ამ დაპირისპირებამ კულმინაციას 1962 წელს კუბის სარაკეტო კრიზისის დროს მიაღწია, როდესაც საბჭოთა კავშირმა კუბაზე საშუალო-რადიუსის ბირთვული რაკეტები განათავსა. საბჭოთა კავშირის მიზანს საკუთარი სტრატეგიული ბირთვული პოზიციების შედარებითი სისუსტის დაძლევა, აშშ-ის რაკეტების საბჭოთა კავშირის საზღვართან, თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ამ უკანასკნელის კუბაში შეჭრის კიდევ ერთი მცდელობის თავიდან აცილება წარმოადგენდა. აშშ-ის ლიდერები, თავის მხრივ, საბჭოთა კავშირის ქმედებას მუქარად და პროვოკაციად განიხილავდნენ. როგორც ისტორიულ დოკუმენტებში მო-

სამიტები (Summit Meeting)
სახელმწიფოთა ლიდერებს შორის შეხვედრა, ხშირ შემთხვევაში ტერმინი გამოიყენება დიდი სახელმწიფოების შეხვედრების აღსანიშნავად. სამიტები იმართებოდა ცივი ომის პერიოდში აშშ-სა და სსრკ-ის ლიდერთა შორის. ასეთი შეხვედრები დღესაც იმართება ეკონომიკური კოორდინაციის საკითხზე დიდი ოცეულის ფარგლებში.

კუბის სარაკეტო კრიზისი (Cuban Missile Crisis) (1962)
ზესახელმწიფოთა კრიზისი, რომელიც გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის მიერ კუბაზე საშუალო რადიუსის რაკეტების განთავსებით. ამ მომენტში აშშ და სსრკ ბირთვული ომის ზღვარზე მივიდნენ.



რაინის ფარდა ცივი ომის პერიოდში აშშ და სსრკ გავლენის სფეროს გაფართოებას ცდილობდნენ. ევროპა და თავად გერმანია დედაქალაქითურთ ორად გაიყო. 1961 წელს კომუნისტებმა აღმართეს ბერლინის კედელი, რათა მოსახლეობის დასავლეთ გერმანიაში გადინება აღეკვეთათ. ბერლინის კედელი 1989 წელს დაეცა და ცივი ომის დასრულდა

გვიანებით გამოჩნდა, ბირთვული ომის დაწყება სავსებით შესაძლებელი იყო. ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი სამხედრო დარტყმების განხორციელებას უჭერდა მხარს, მანამ სანამ ბომბები ექსპლუატაციაში შევიდოდა. თუმცა, ამ დროისთვის კუბაზე განთავსებული ბირთვული იარაღის ნაწილი უკვე საბრძოლო მდგომარეობაში იყო მოყვანილი და სამხედრო მეთაურებს, აშშ-ის თავდასხმის შემთხვევაში, მინიჭებული ჰქონდათ მათი გამოყენების უფლებამოსილება. ნაცვლად ამისა, პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ კუბის საზღვაო ბლოკადაში მოქცევის გადაწყვეტილება მიიღო. საბჭოთა კავშირმა უკან დაიხია და აშშ-მაც პირობა დადო, რომ კუბაში აღარ შეიჭრებოდა. თუმცა, ორივე ქვეყნის ლიდერებმა კარგად გაიაზრეს ბირთვული ომის საშიშროება. 1963 წელს მათ ხელი მოაწერეს ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებას, რომელიც კრძალავდა ატმოსფერულ ბირთვულ ცდებს და დაიწყეს თანამშრომლობა კულტურული გაცვლების, კოსმოსური კვლევების, ავიაციისა და სხვა სფეროებში.

ორი ზესახელმწიფო ხშირად უპირისპირდებოდა ერთმანეთს მესამე სამყაროში პოზიციის მოსაპოვებლად, მხარს უჭერდა მარიონეტულ ომებს რომლებშიც, როგორც წესი, სამოქალაქო ომის დაპირისპირებულ მხარეებს უწევდნენ კონსულტირებას და იარაღით ამარაგებდნენ. ალიანსები ხშირ შემთხვევაში ცვალებადი იყო. მაგალითად, 1970-იან წლებში აშშ მხარს უჭერდა ეთიოპიის მთავრობას, საბჭოთა კავშირი კი მის მეტოქეს, მეზობელ სომალის რესპუბლიკას. თუმცა, როდესაც ეთიოპიის რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში პრო-საბჭოთა ძალები მოვიდნენ, აშშ-მა სომალისკენ მიმართა თავისი მხარდაჭერა.

ამერიკის ცივი ომის დროინდელი პოლიტიკის ერთი ნაკლი იყო ყველა რეგიონული კონფლიქტის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული დაპირისპირების კონტექსტში დანახვა. კომუნიზმის მთავარ საფრთხედ აღქმამ განაპირობა ამერიკის მიერ არაპოპულარული პრო-დასავლური მთავრობების მხარდაჭერა მთელ რიგ ღარიბ ქვეყნებში. ყველაზე კატასტროფული შედეგები ამ პოლიტიკას მოყვა ვიეტნამის ომში 1960-იან წლებში. ომმა ორად გაყო ამერიკული საზოგადოება და საბოლოო ჯამში, ამერიკამ ვერ შეძლო კომუნისტების მიერ ძალაუფლების მოპოვებისთვის ხელი შეეშალა. სამხრეთ ვიეტნამის დაცემა აღქმული იყო როგორც აშშ-ს სისუსტის გამოვლინება, განსაკუთრებით ამერიკის ახლოაღმოსავლური

მარიონეტული ომები (Proxy Wars)

გლობალურ სამხრეთში მიმდინარე ხშირად სამოქალაქო ხასიათის ომები, რომლებშიც აშშ და სსრკ დაპირისპირებულ მხარეებს უწევდნენ კონსულტირებას და იარაღით ამარაგებდნენ.

წარუმატებლობების ფონზე – 1973 წლის ნავთობის კრიზისი და 1979 წლის ირანის რევოლუცია, რამაც ამერიკის მიერ მხარდაჭერილი შაჰის რეჟიმის დამხობა გამოიწვია.

1979 წელს, როდესაც აშშ-ის სისუსტე თვალსაჩინო იყო, საბჭოთა კავშირი ავღანეთში შეიჭრა. ისევე, როგორც აშშ-მა ვიეტნამში, საბჭოთა კავშირმაც ავღანეთში ვერ ჩაახშო მეამბოხეთა ჯარები, რომელთაც მოწინააღმდეგე ზესახელმწიფო ამარაგებდა იარაღით. თითქმის 10-წლიანი ომის შემდეგ საბჭოთა კავშირმა დატოვა ავღანეთი. ამ ომმა მნიშვნელოვნად შეასუსტა საბჭოთა კავშირი. უფრო მეტიც, პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა აშშ-ის შეიარაღებული ძალების რეკორდულ მაჩვენებლებამდე გაძლიერება და საჭოთა მოკავშირე ქვეყნებში, ნიკარაგუაში, ანგოლასა და ასევე ავღანეთშიც მეამბოხე არმიების მხარდაჭერა დაიწყო. 1985 წლიდან, რეფორმატორი მიხეილ გორბაჩოვის საბჭოთა კავშირის სათავეში მოსვლის შემდეგ ზესახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესება დაიწყო. თუმცა მესამე სამყაროში, ცალკეულ ქვეყნებში (განსაკუთრებით ავღანეთსა და ანგოლაში) სისხლიანი სამოქალაქო ომები შემდგომ საუკუნეშიც გაგრძელდა.

1989 წლის ივნისში, ჩინეთის კომუნისტურმა მთავრობამ სასტიკად ჩაახშო პეკინში, ტიანანმენის მოედანზე მასიური პროდემოკრატიული დემონსტრაციები. დაახლოებით 1990 წლისათვის, როცა საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ერთი მეორეს მიყოლებით ანაცვლებდნენ კომუნისტურ მთავრობებს მასობრივი დემონსტრაციების შედეგად. ამ პროცესის დაგვირგვინება იყო 1989 წლის ბოლოს ბერლინის კედლის დაცემა, რაც ცივი ომის დასრულების სიმბოლოდ იქცა. 1990 წელს გერმანია ოფიციალურად კვლავ გაერთიანდა. საბჭოთა ლიდერმა, მიხეილ გორბაჩოვმა დაუშვა საბჭოთა კავშირის სტრატეგიული პოზიციების დათმობა იმ იმედით, რომ სახელმწიფო უფრო მეტად კონცენტრირდებოდა შიდა ცვლილებებზე ე.წ. „პერესტროიკისა“ (ეკონომიკური რეფორმა) და „გლასნოსტის“ (პოლიტიკური ღიაობა) პირობებში. ჩინეთის სათავეში კვლავ კომუნისტური, ავტორიტარული მთავრობა დარჩა, მაგრამ ჩინეთმა ეკონომიკის ლიბერალიზაცია მოახდინა და თავიდან აიცილა შეიარაღებული კონფლიქტები. ცივი ომის ეპოქისგან განსხვავებით, ჩინეთმა ახლო კავშირები დაამყარა როგორც აშშ-სთან, ასევე რუსეთთან და მსოფლიოს ლიბერალურ სავაჭრო რეჟიმს შეუერთდა.

მკვლევრები ერთიან პოზიციას ვერ გვთავაზობენ კითხვაზე, თუ რატომ დასრულდა ცივი ომი. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, პრეზიდენტ რეიგანის მმართველობის პერიოდში აშშ-ის სამხედრო სიძლიერემ ეკონომიკურად ძლიერ დაასუსტა საბჭოთა კავშირი, რადგან ეს უკანასკნელი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა აშშ-სა და ფეხდაფეხ მიყოლოდა გამალებული შეიარაღების პროცესში. სხვები კი ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირი ათწლეულების მანძილზე განიცდიდა შიდა სტაგნაციას და მას ძირი სწორედ შიდა სისუსტემ გამოუთხარა და საგარეო ზეწოლას მისი დაშლის პროცესში ნაკლები წვლილი მიუძღვის.

1.4.2 ცივი ომის შემდგომი პერიოდი, 1990–2018

ცივი ომის შემდგომი ეპოქა იმ დროს დაიწყო, როცა საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ დაშლის პროცესში იმყოფებოდა. 1990 წელს, ერაყმა, იმის რწმენით, რომ ცივი ომის დასრულებამ რეგიონში ძალის ვაკუუმი შექმნა, ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე კონტროლის დასამყარებლად მისი მეზობელი სახელმწიფოს, ქუვეითის ოკუპაცია მოახდინა. დასავლური ძალები მღელვარებამ მოიცვა, ერთი მხრივ, ახალ ეპოქაში აგრესიის დაუსჯელობის მაგალითის შექმნის რისკის, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიო ეკონომიკის ენერგომომარაგების საფრთხის ქვეშ დაყენების გამო. აშშ-მა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები შემოიკრიბა გარშემო და ერაყის წინააღმდეგ კოალიციას ჩაუდგა სათავეში. გაეროს მანდატით მოქმედმა ზემოაღნიშნულმა კოალიციამ ერაყს მწვავე სანქციები დაუწესა.

მას შემდეგ, რაც ერაყმა არ გაიყვანა ჯარები ქუვეითიდან გაეროს მიერ დაწესებულ ვადებში, აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა მარტივად გაანადგურეს ერაყის სამხედრო ძალები და ქუვეითიდან გააძევეს. თუმცა, კოალიციამ არ დაიკავა ერაყი და არც მისი მთავრობა დაამხო. სპარსეთის ყურის ომის დანახარჯები კოალიციის წევრებს შორის გადანაწილდა, ბრიტანეთი და საფრანგეთი სამხედრო ვალდებულებებს იღებდნენ, ხოლო იაპონიამ და გერმანიამ მნიშვნელოვანი ფინანსური კონტრიბუცია შეიტანეს კოალიციის საქმიანობაში. დაფინანსების გაზიარების ეს პრინციპი ინოვაცია იყო, რომელმაც საკმაოდ კარგად იმუშავა.

საბჭოთა კავშირი საბოლოოდ სპარსეთის ყურის ომიდან რამდენიმე თვეში დაიშალა. საბჭოთა კავშირის 15-მა რესპუბლიკამ (რუსეთი მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი იყო) დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლებიდან გადმოილოცა ძალაუფლება და სუვერენულ სახელმწიფოებად გამოაცხადა თავი. ამ პროცესმა კომპლექსური პრობლემების მთელი კასკადი შექმნა: დაწყებული ეროვნული თვითგამორკვევის საკითხებიდან, დამთავრებული საკუთრების ხელახალი გადანაწილებით. 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა. 1990-იან წლების განმავლობაში რუსეთი და ბევრი სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა ეკონომიკურ და ფინანსურ კრახს, ინფლაციას, კორუფციას, ომსა და სამხედრო სისუსტეს ებრძოდა, თუმცა პოლიტიკურად ისინი დემოკრატიებად რჩებოდნენ 1991 წელს სამხედრო გადატრიალების წარუმატებელმა მცდელობამ და რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის როლმა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა სამხედრო გადატრიალებას, დააჩქარა საბჭოთა კავშირის ჩამოშლა. ძალიან მალე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში კაპიტალიზმი და დემოკრატია ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების საფუძვლად იქნა აღიარებული. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ და ჩამოაყალიბეს სუსტი კოორდინაციის მქონე სტრუქტურა – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ).

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნები და საქართველო არ არიან განევრიანებული დსთ-ში.

დასავლეთს რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებთან 1990-იან წლებში არაერთგვაროვანი ურთიერთობები ჰქონდა. გამომდინარე იქედან, რომ დასავლეთის ქვეყნები იმ პერიოდში თავადაც ეკონომიკურ სირთულეებს განიცდიდნენ და მიაჩნდათ, რომ რუსეთს შიდა რეფორმის საჭიროება უფრო ჰქონდა, ვიდრე უცხოური დახმარებისა, მათ მხოლოდ შეზღუდული დახმარება გასწიეს რეგიონის რთული ეკონომიკური ტრანზიციის პროცესში, რომელმაც ცხოვრების სტანდარტების მკვეთრი ვარდნა გამოიწვია. 1995 და 1999 წლებში რუსეთის სასტიკმა ქმედებებმა ჩეჩნეთის პროვინციაში სეცესიონისტური პროცესების ჩასახშობად დასავლეთში შიშები აღძრა. რუსეთის ლიდერებს, თავის მხრივ, ნატოს აღმოსავლეთ ევროპაში გაფართოება და დასავლეთის სამხედრო ძალების რუსეთის საზღვართან მიახლოება აშინებდათ. დაძაბულობა დასავლეთის სახელმწიფოებთან გაიზარდა რუსეთის მიერ 2014 წელს ყირიმის ანექსიის და კრემლის მიერ უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში მთავრობის წინააღმდეგ ამბოხებულების მხარდაჭერის შემდეგ. ასევე, იმ ფაქტის გამოაშკარავებამ, რომ 2010-იან წლებში რუსეთი პირდაპირ ცდილობდა რამდენიმე დასავლურ სახელმწიფოში დემოკრატიულ არჩევნებზე გავლენა მოეხდინა, რუსეთის მოტივების და ქმედებების მიმართ მზარდი უნდობლობა გამოიწვია.

მიუხედავად ამ პრობლემებისა, ცივ ომთან შედარებით, ცივი ომის შემდგომ პერიოდში ძლიერ სახელმწიფოებს შორის მაინც უფრო მეტი თანამშრომლობა შეინიშნებოდა. რუსეთი და აშშ დათანხმდნენ თავიანთი ბირთვული ძალების მნიშნელოვნად შემცირებას და განახორციელეს ეს შეთანხმებები 1990 იან წლებში. სამხედრო დაპირისპირება ძლიერ სახემწიფოებს შორის, დიპლომატიური უთანხმოებების და რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებული ეკონომიკური სანქციების ჩათვლით, ისტორიული სტანდარტებით თუ შევხედავთ, მაინც შედარებით დაბალ ნიშნულზე რჩება.

სპარსეთის ყურის ომის დასრულებისთანავე, 1991 წელს ყოფილი იუგოსლავია დაიშალა და მასში შემავალმა რამდენიმე რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეთნიკურმა სერბებმა, რომლებიც ხორვატიასა და ბოსნიაში უმცირესობას წარმოადგენდნენ, დაიპყრეს ტერიტორიები „დიდი სერბეთის“ შესაქმნელად. სერბეთის დახმარებით, რომელიც იუგოსლავიის არმიას აკონტროლებდა, მათ მოკლეს ასობით ათასობით არასერბი ბოსნიელი და ხორვატი და გააძევეს მილიონობით ადამიანი, რათა მონოეთნიკური სახელმწიფო შეექმნათ.

საერთაშორისო საზოგადოებამ ხორვატიისა და ბოსნიის დამოუკიდებლობა აღიარა, დაუშვა ისინი გაეროში და უშიშროების საბჭომ ათობით რეზოლუცია მიიღო მათი ტერიტორიული მთლიანობისა და მოქალაქეების დასაცავად. თუმცა, სპარსეთის ყურის ომისგან განსხვავებით,

დიდი სახელმწიფოები არ გამოთქვამდნენ მზაობას ბოსნიის დასაცავად გაწეული ხარჯები საკუთარ თავზე აეღოთ. პირიქით, ისინი ცდილობდნენ მშვიდობისმყოფელისა და შუამავლის ნეიტრალური როლი ეთამაშათ და ამგვარად შეეკავებინათ კონფლიქტი. გაეროს 40000-მდე მშვიდობისმყოფელი გაგზავნა ბოსნიასა და ხორვატიაში, ეს კი ყოველწლიურად მილიარდიან დანახარჯს უკავშირდებოდა. ნატო სამხედრო ინტერვენციითაც იმუქრებოდა, მაგრამ უკან დაიხია მას შემდეგ, რაც დაინახა, თუ რამხელა დანახარჯებთან იქნებოდა ეს დაკავშირებული.

1995 წელს სერბეთის ძალები შეიჭრნენ აღმოსავლეთ ბოსნიაში გაეროს მიერ „უსაფრთხო რაიონებად“ განსაზღვრულ ტერიტორიებზე, გამოაძევეს ქალები და დახოცეს ათასობით მამაკაცი. საბოლოოდ, ნატოს ორკვირიანი საჰაერო თავდასხმების (ეს იყო ალიანსის პირველი სამხედრო კამპანია) და სახმელეთო დაპირისპირებაში ხორვატიული მხარის მნიშვნელოვანი დანაკარგების ფონზე, სერბეთის შეიარაღებული ძალები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. შეთანხმებამ ომის დასრულების შესახებ ფორმალურად გააერთიანა ბოსნია, თუმცა სერბეთის ძალებს მათი ტერიტორიის ნახევარზე ავტონომია მიანიჭა, და ამავდროულად 60.000-მდე მძიმედ შეიარაღებული სამხედრო პირი (ძირითადად ნატოს ძალებიდან) იქნა განთავსებული ბოსნიაში ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველსაყოფად. უფრო მეტიც, სერბეთის ლიდერი, სლობოდან მილოშევიჩი გაეროს სამხედრო ტრიბუნალზე გაასამართლეს ომში ჩადენილი დანაშაულებების გამო და 2001 წელს გადასცეს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს. 2006 წელს, ხანგრძლივი სასამართლო პროცესის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, მილოშევიჩი გარდაიცვალა.

ბოსნიის კრიზისის საწყის ეტაპზე დასავლური ძალების მერყევი პოზიციისგან განსხვავებით, 1999 წელს, როდესაც სერბეთის ძალებმა, სერბეთის ყოფილ პროვინციაში, კოსოვოში, რომელიც ძირითადად ეთნიკური ალბანელებით იყო დასახლებული, ეთნიკური წმენდა განახორციელეს, მათ ბევრად უფრო მტკიცე და გაბედული პოზიცია დაიკავეს. ნატომ საჰაერო ომი დაიწყო, რომელიც 10 კვირის განმავლობაში მაღალი ინტენსივობით მიმდინარეობდა, რის შედეგადაც ის რუსეთისა და ჩინეთის კრიტიკის ობიექტად იქცა სერბეთის შიდა საქმეებში ჩარევისა და გაეროს ავტორიზაციის გარეშე მოქმედების გამო (ბოსნიისაგან განსხვავებით, საერთაშორისო საზოგადოება და გაერო კოსოვოს სერბეთის ნაწილად განიხილავდა). საბოლოოდ, სერბეთის ძალებმა დატოვეს კოსოვო და ამ დროიდან მოყოლებული ნატოს ძალები იცავენ ტერიტორიას. 2008 წელს, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭო კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ჩიხში იყო მოქცეული, კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამან სერბეთისა და მისი მოკავშირეების მხრიდან პროტესტი გამოიწვია. 2010 წელს გაეროს საერთაშორისო სასამართლომ კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია სამართლებრივად ცნო, თუმცა მისი რეალური სტატუსი ჯერ კიდევ კამათის საგნად რჩება.

1990 წლის შემდეგ დასავლეთის მიერ განხორციელებული სხვა სამხედრო ინტერვენციები ნაკლებად ეფექტიანი იყო. სომალიში, კოალიციამ აშშ-ის თაოსნობით ათობით ათასი სამხედრო გაგზავნა ფრაქციებს შორის დაპირისპირების ჩასახშობად და ჰუმანიტარული დახმარება გაუწია მოსახლეობის დიდ ნაწილს, რომელიც შიმშილობდა. თუმცა, როდესაც ეს ძალები ბრძოლაში იქნენ ჩათრეულნი და მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადეს, აშშ-მა სომალიდან მოულოდნელად გაიყვანა სამხედრო შენაერთები. 1994 წელს რუანდის გენოციდი, რომელმაც რამდენიმე კვირაში ნახევარი მილიონი ადამიანი შეიწირა, საერთაშორისო საზოგადოებამ ფაქტობრივად უგულებელჰყო. დიდმა სახელმწიფოებმა, რომლებმაც სომალისა და ბოსნიაში მარცხი იწვნიეს, გადაწყვიტეს, რომ რუანდაში მათი სასიცოცხლო ინტერესები რისკის ქვეშ არ იყო. 1997 წელს, რუანდას კონფლიქტი მეზობელ ზაირის რესპუბლიკაშიც (ახლანდელი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა) გავრცელდა, სადაც მეამბოხეებმა დაამხეს კორუმპირებული დიქტატორი. მეზობელი ქვეყნებიც ჩათრეული იქნენ ბრძოლებში, თუმცა საერთაშორისო საზოგადოება, მიუხედავად მილიონობით ადამიანის შიმშილითა და დაავადებებით სიკვდილისა, თავს არიდებდა პროცესებში ჩართვას .

მთავარი ცვლილება მსოფლიო პოლიტიკაში 2001 წელს მოხდა, როდესაც 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებზე ტერორისტული თავდასხმა განხორციელდა. ოთხი კოორდინირებული თავდასხმის შედეგად ტერორისტებმა დაანგრიეს მსოფლიო სავაჭრო ცენტრი ნიუ იორკში და პენტაგონის შენობის ერთი ფრთა, ვაშინგტონში, ხოლო ერთი თვითმფრინავი ჩამოვარდა სომერსეთის მხარეში, პენსილვანიის შტატში, მას შემდეგ რაც თვითმფრინავის მგზავრებმა ტერორისტებისთვის ხელის შეშლა სცადეს. ათასობით ამერიკის და 60 მდე სხვა ქვეყნის მოქალაქე დაიღუპა.

აშშ-ის მხარდასაჭერად სახელმწიფოთა ფართო კოალიციის მობილიზება მოხდა. პრეზიდენტმა ბუშმა გამოაცხადა „ომი ტერორიზმის წინააღმდეგ", რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა და მოედო კონტინენტებს. ამ ომში გამოყენებული იქნა როგორც კონვენციური, ასევე არაკონვენციური საშუალებები. 2001 წლის ბოლოს აშშ-ისა და ბრიტანეთის შეიარაღებულმა ძალებმა ავღანელ მოკავშირეებთან ერთად თალიბანის რეჟიმი ჩამოაგდეს. სწორედ ეს რეჟიმი სთავაზობდა ალ-ქაიდას ქსელს თავშესაფარს (ალ-ქაიდას კი ოსამა ბინ ლადენი ხელმძღვანელობდა).

დიდ სახელმწიფოებს შორის უთანხმოებამ კვლავ იჩინა თავი, როდესაც 2003 წელს ბრიტანეთმა და აშშ-მა სცადეს კოალიცია შემოეკრიბათ ერაყში სადამ ჰუსეინის დასამხობად. საფრანგეთი და გერმანია (რუსეთსა და ჩინეთთან ერთად) სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ომის დაწყებას ისევე, როგორც მილიონობით დემონსტრანტი მსოფლიო მასშტაბით. გარკვეული დროის მანძილზე ეს დავა ატლანტიკურ ალიანსს ხელს უშ-

ლიდა ფუნქციონირებაში, მან ასევე დაასუსტა გაეროს როლი, რამდენადაც აშშ-ის თაოსნობით შექმნილმა კოალიციამ, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოპიოვა გაეროს უშიშროების საბჭოს მხარდაჭერა, მაინც წამოიწყო სამხედრო მოქმედებები.

ერაყში შეჭრა, თავის მხრივ, სწრაფი და შედეგიანი გამოდგა. 250000 სამხედროსგან შემდგარმა აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობით 3 კვირაში დაძლიეს ერაყის არმიის წინააღმდეგობა. ბევრი ერაყელი მიესალმებოდა დიქტატორული რეჟიმის დასრულებას, ისევე, როგორც ავღანელთა უმეტესობა 2001 წლის ბოლოს, თუმცა ომმა გაამწვავა ანტიამერიკული განწყობები, განსაკუთრებით ისლამურ ქვეყნებში, როგორებიცაა: ეგვიპტე და პაკისტანი. ამერიკული ოკუპაცია წლების მანძილზე გაიწელა, რის შედეგადაც ერაყის მეამბოხე ჯგუფებმა ძალების მოკრება შეძლეს. ასევე, ამერიკული საზოგადოებაც უარყოფითად განეწყო გაჭიანურებულ ომთან მიმართებაში. 2007 წელს აშშ-ის სამხედრო ძალების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდისა და სუნიტური თემების შეიარაღების შემდეგ, რომელთაც აღარ სურდათ შეგუებოდნენ რადიკალურ ისლამისტურ ჯგუფებს, ერაყში ძალადობის დონემ იკლო. აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა ერაყი 2009-2011 წლებში დატოვეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის ძალადობრივი პროცესები ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე აღმოფხვრილი. სხვადასხვა შეფასებით ერაყში ომის მსხვერპლთა რაოდენობა ათობით ათასიდან 600.000-მდე მერყეობს. 2010 და 2014 წლების არჩევნები შედარებით მშვიდ ვითარებაში წარიმართა, თუმცა მათ შედეგად ქვეყანა ეთნიკური ნიშნით დაყოფილი დარჩა. პერიოდული ძალადობა და არეულობა გაგრძელდა 2011-2013 წლებში, მანამ სანამ სირიის კონფლიქტი 2014 წელს ერაყში არ გავრცელდა. ძლიერმა ისლამისტურმა დაჯგუფებამ, რომელიც ცნობილია ერაყსა და სირიაში ისლამური სახელმწიფოს სახელწოდებით დაიწყო დიდი ქალაქების დაპყრობა ცენტრალურ და ჩრდილოეთ ერაყში. ერაყის პრემიერ მინისტრი გადადგა და ტრადიციულმა მტრებმა ირანმა და აშშ-მა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დაიწყეს ერაყისთვის მხარდაჭერის გაწევა ისლამური სახელმწიფოს ძალების წინააღმდეგ. 2017 წლის ბოლოსთვის, ერაყმა გამოაცხადა გამარჯვება ისლამურ სახელმწიფოზე და დაიბრუნა კონტროლი ისლამური სახელმწიფოს მიერ დაკავებულ ყველა ტერიტორიაზე.

ავღანეთში საბრძოლო მოქმედებები 2007 წელს, მას შემდეგ გართულდა, რაც თალიბებმა პაკისტანის ბაზებიდან მეამბოხეთა კამპანია დაიწყეს. სადავო არჩევნებმა, კორუფციამ და ავღანეთის უშიშროების ძალების რიგებიდან ნატოს შენაერთებზე განხორციელებულმა „შიდა“ დარტყმებმა საქმე გაართულა. 2009 წელს ნატომ ათობით ათასი დამატებითი შენაერთი წარგზავნა, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა მათ დაიწყეს ქვეყნის დატოვება, რის შედეგადაც 2018 წლისათვის აშშ-ის შეიარაღებული ძალების ოდენობა დაახლოებით 11.000-მდე შემცირდა. ნატოს ძალები

დღეს ძირითადად ავღანეთის შეიარაღებულ ძალებს წვრთნიან, რომლებიც იბრძვიან თალიბანის მოსაგერიებლად. ავღანეთში ინტერვენციის ერთი მიზანი 2011 წელს იქნა მიღწეული, როდესაც აშშ-ის სპეციალურმა ძალებმა პაკისტანში მოკლეს ოსამა ბინ ლადენი. აშშ-ის საჰაერო თავდასხმებმა უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით პაკისტანსა და მის გარეთ ალ-ქაიდა შეასუსტა, მაგრამ წინ მწვავე სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხები წამოწია. 2018 წლისთვის, თალიბანის ძალები კვლავ იკავებენ ტერიტორიებს და ახორციელებენ თავდასხმებს ავღანეთის სამხედრო და სამოქალაქო სამიზნეებზე. სამშვიდობო მოლაპარაკებების რამდენიმე მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და 2018 წელს ამერიკამ პაკისტანს, თალიბანის ლიდერების მფარველობის გამო, შეუწყვიტა 900 მილიონიანი უსაფრთხოების მხარდაჭერა.

ამასობაში, ჩრდილოეთ კორეისა და ირანის ბირთვულმა პროგრამებმა განგაში გამოიწვია. ჩრდილოეთ კორეამ რამდენიმე ბირთვული ბომბი აწარმოა და 6 მათგანი გამოსცადა კიდეც 2006 წლის შემდეგ. 2012 წელს, გაეროს უშიშროების საბჭოს აკრძალვის მიუხედავად, მან წარმატებით გამოსცადა ტექნოლოგიურად დახვეწილი შორი რადიუსის რაკეტა. 2017 წელს მან გამოსცადა კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა, რომელსაც ქონდა პოტენციალი ამერიკის შეერთებულ შტატებამდე მიეღწია. მისი მეექვსე ბირთვული ტესტი, ასევე 2017 წელს, სავარაუდოდ წყალბადის ბომბი იყო, ბევრად უფრო მძლავრი, ვიდრე მანამ გამოცდილი ბომბები (იხ. თავი 4). ამ ტესტების პასუხად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაეროს მხარდაჭერით დამატებითი სანქციები დაუწესა ჩრდილოეთ კორეას. აშშ-მა ასევე მნიშვნელოვნად გაზარდა მისი სამხედრო პოტენციალი კორეის ნახევარკუნძულის მიმდებარედ.

2004 წლის შემდეგ ირანმა გააფორმა და დაარღვია რამდენიმე ხელშეკრულება ურანის გამდიდრების შეწყვეტის შესახებ, რომელიც შესაძლოა ბირთვული იარაღის საწარმოებლად იყოს გამოყენებული. ამის საპასუხოდ, გაეროს უშიშროების საბჭომ სანქციათა სერია დააწესა ირანის წინააღმდეგ, მოითხოვდა რა მისგან ურანის გამდიდრების პროგრამის შეჩერებას. 2010 წელს, ცენტრიფუგებმა, რომლებსაც ეყრდნობოდა ურანის გამდიდრების პროგრამა, მოულოდნელად დაიწყეს თვითგანადგურება. მოკვლევამ დაადგინა, რომ პრობლემა უკავშირდებოდა Stuxnet კომპიუტერულ ვირუსს, რომელიც აშკარად ისრაელისა და ამერიკის თავდაცვის მეცნიერთა მიერ იყო შექმნილი. ამან ირანის ბირთვული პროგრამა რამდენიმე წლით დახია უკან. 2015 წლის ზაფხულში, წამყვანი სახელმწიფოები და ირანი შეთანხმდნენ, რომ თეირანს შეეკვეცა ბირთვული პროგრამა. ეს შეთანხმება ზოგიერთმა დიდ გამარჯვებად მიიჩნია, რადგან მათი აზრით ის მნიშვნელოვნად შეაყოვნებდა ირანის მიერ ბირთვული იარაღის წარმოების პროცესს, მაშინ როცა სხვები უფრო კრიტიკულად იყვნენ განწყობილები და აღნიშნავდნენ, რომ შეთანხმება მაინც აძლევდა ირანს შესაძლებლობას, რომ საბოლოო ჯამში მას ბირთვული



მომზადება ყველაზე ცუდი სცენარისთვის ცივი ომის შემდგომ პერიოდს მშვიდობიანი ხასიათი აქვს, მაგრამ ძალადობა და ტერორიზმი დღემდე იჩენს თავს. სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის ალბათობა ყველაზე მაღალია კორეის ნახევარკუნძულის გარშემო, სადაც ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, მათ შორის ომის დასრულებიდან 65 წელია მტრულ ურთიერთობაში რჩებიან. ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის და ბალისტიკური რაკეტების განვითარება მასსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის დაძაბულობის მთავარი წყაროა, განსაკუთრებით მეზობლებთან, სამხრეთ კორეასა და იაპონიასთან ურთიერთობებში. ფოტოზე იაპონელი სკოლის მოსწავლეები ვარჯიშობენ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, ჩრდილოეთ კორეის მხრიდან სარაკეტო თავდასხმის დაწყების შემთხვევაში. 2017 წ.

იარაღი შეექმნა. პრეზიდენტმა ტრამპმა აშშ გაიყვანა ამ შეთანხმებიდან 2018 წელს. ამის შემდეგ ევროპულმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ირანთან მოლაპარაკებები შეთანხმების გაგრძელების მიზნით. ამასობაში, 2018 წელს მასობრივი საპროტესტო ტალღა აგორდა ირანში მთავრობის წინააღმდეგ, რაც საფრთხეს უქმნიდა პოლიტიკურ სტაბილურობას.

არაბული გაზაფხულის ამბოხებათა სერია 2011 წელს ტუნისსა და ეგვიპტეში არაძალადობრივი პროტესტებით დაიწყო, ორივეგან პროტესტი დიქტატორთა დამხობითა და თავისუფალი არჩევნების ჩატარებით დასრულდა. ეგვიპტემ ისლამური საძმოს ლიდერი აირჩია პრეზიდენტად, რომელიც სამხედრო გადატრიალების გზით ჩამოაგდეს 2013 წელს. ლიბიასა და სირიაში დემონსტრანტების სასტიკი რეპრესიები ძალადობრივ ამბოხში გადაიზარდა, რაც საბოლოოდ ნატოს საჰაერო ძალების დახმარებით ლიბიის ლიდერის სისხლიანი დამხობით დასრულდა, სირიაში კი დროში გაწელილ და მტანჯველ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. სირიის სამოქალაქო ომის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების პოზიციები ორად გაიყო, შესაბამისად, მათი საპასუხო რეაქციაც არაეფექტური აღმოჩნდა. საბოლოოდ სირიის ომი მეზობელ ერაყსაც გადაედო და ერაყის მთავრობის დეტსბალიზაცია გამოიწვია. სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებამ სირიის მთავრობის მსოფლიოს მასშტაბით დაგმობა გამოიწვია. რუსეთი ჩაერთო სირიაში საჰაერო დარტყმებით (ბომბავდა ანტისამტავრობო მეამბოხეებს და ისლამურ სახელმწიფოს) და ამით ცდილობდა მხარში ამოდგომოდა ახლო აღმოსავლეთში მის ერთადერთ მოკავშირეს, მაშინ ორდესაც აშს და დასავლელი მოკავშირეები ცდილობდნენ დახმარებოდნენ მეამბოხეებს და ქურთ მებრძოლებს (ეთნიკური უმცირესობა სირიასა და ერაყში) ისლამური სახელმწიფოს და მასთან დაკავშირებული ჯგუფების წინააღმდეგ. ამავდროულად, ძალადობა ლიბიაში 2018 წელსაც გაგრძელდა.

იემენს საკუთარი რევოლუცია ჰქონდა-მშვიდობიანი პროტესტის, ძალადობრივი რეპრესიის, ეთნიკური კონფლიქტის და პოლიტიკური კომპრომისის ერთგვარი ნაზავი, რამაც ქვეყანა გარდამავალ მთავრობამდე მიიყვანა. 2015 წლისათვის, გარდამავალი მთავრობა (რომელსაც დახმარებას უწევდნენ საუდის არაბეთი და მოკავშირეები დასავლეთიდან) სის-

ხლიან ბრძოლაში იყო ჩაბმული მეამბოხე ჯგუფების წინააღმდეგ (ერთს ირანი ეხმარებოდა, მეორეს ალ-ქაიდა). 2017 წლისთვის, ომის ესკალაცია მოხდა, რადგან მეამბოხე ჯგუფები აკონტროლებდნენ ქვეყნის დიდ ნაწილს, ხოლო საზღვაო ბლოკადა ამწვავებდა შიმშილობის შედეგებს და მებრძოლები რეგიონიდან თავს იყრიდნენ იემენში, რათა ებრძოლათ მთავრობის წინააღმდეგ ან მის დასაცავად.

მოვლენათა ცენტრიდან შორს, ბირმაში (მიანმა) მრავალწლიანმა სამხედრო რეჟიმმა მას შემდეგ რაც მან ორგანიზებულად, თუმცა ნელი ტემპებით დაიწყო გადასვლა დემოკრატიაზე, განახორციელა ეთნიკური წმენდა უმცირესობის წინააღმდეგ 2017 წელს და შექმნა ჰუმანიტარული კატასტროფა.

ცივი ომის შემდგომი ეპოქა შესაძლოა კონფლიქტებისაკენ მიდრეკილი ჩანდეს, რომელშიც დროდადრო სასტიკი ძალადობა მოულოდნელი ინტენსივობით ამოხეთქავს ხოლმე მთელი მსოფლიოს გარშემო, მათ შორის ისეთ ადგილებში, როგორებიცაა, რუანდა და სირია, ნიუ-იორკიც კი. და მაინც, ცივი ომის შემდგომი ეპოქა უფრო მშვიდობიანია, ვიდრე ცივი ომის ეპოქა (იხ. თავი 4). ძველი ომები უფრო სწრაფად სრულდებოდა, ვიდრე ახლები იწყებოდა. ლათინურმა ამერიკამ და აფრიკის ნაწილებმა თითქმის ჩააქრეს ომის კერები თავიანთ რეგიონებში და უერთდებიან მშვიდობის ზონას, რომელიც უკვე მოიცავს ჩრდილოეთ ამერიკას, ევროპას, იაპონიას, ოკეანეთსა და ჩინეთს.

საომარი მოქმედებები მცირდება კონფლიქტების რკალშიც აფრიკიდან ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის ჩათვლით. 1990 წლის შემდეგ გრძელი, სისხლიანი ომები დასრულდა სამხრეთ აფრიკაში, მოზამბიკში, ანგოლაში, სამხრეთ სუდანში, ეთიოპიასა და ერიტრეაში, ასევე მოხდა ცენტრალურ ამერიკაში მიმდინარე სხვადასხვა კონფლიქტისა და შრი-ლანკას სამოქალაქო ომის შემთხვევაშიც. ომები დასავლეთ აფრიკაში, რუანდასა და ინდონეზიაში ასევე დასასრულისკენ მიდის. ცივი ომის შემდეგ მსოფლიო წესრიგი კონტროლიდან არ გამოსულა და არ ჩაფლულა უკონტროლო, ყოვლისმომცველ აგრესიასა და ომში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი, რომელიც 1990-იან წლებში მშვიდობის დამყარების მზარდ მოლოდინს ბადებდა, კიდევ უფრო გაუარესდა 2000 წელს, როდესაც შემოთავაზებული შეთანხმება ვერ შედგა. 2006 წელს პალესტინის არჩევნებში სამხედრო ისლამისტური პარტია „ჰამასის“ გამარჯვების შემდეგ, რომელსაც არაერთი სასტიკი თავდასხმა ჰქონდა განხორციელებული ისრაელზე, გრძელვადიანი მშვიდობის დამყარების იმედი გაქრა. 2006 წელს ისრაელმა მცირე, მაგრამ ინტენსიური ომი აწარმოა ჰეზბოლას პარტიზანთა წინააღმდეგ სამხრეთ ლიბანში, ხოლო სასტიკი შეტაკებები ისრაელსა და ჰამასს შორის 2009-2014 წლებში გრძელდებოდა. 2018 წელს ისრაელი განაგრძობდა უფრო მეტი დასახლების აშენებას სადავო მიწებზე, მაშინ როცა პალესტინელები ითხოვდნენ საერთაშორისო აღიარებას, როგორც და-

მოუკიდებელი სახელმწიფო. თითოეული მხარის გადადგმული ნაბიჯები იწვევდა მოწინააღმდეგე მხრიდან დაგმობას, რაც დამატებით ამცირებდა მშვიდობის პერსპექტივებს. 2017 წლის ბოლოს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ ის საელჩოს თელავივიდან იერუსალიმში გადაიტანდა, რამაც დამატებით დაძაბა მდგომარეობა რეგიონში.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ცივი ომის შემდგომი ეპოქა გლობალიზაციას უკავშირდება. ეკონომიკური ზრდის ახალი კვანძები ჩნდება, განსაკუთრებით ეს აღსანიშნავია აზიის იმ ნაწილებში, სადაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა შეინიშნება. ამავდროულად, გლობალიზაციამ გარკვეული სირთულეებიც წარმოშვა. 2007-2008 წლებში, დიდმა ეკონომიკურმა რეცესიამ დაღი დაასვა აშშ-ს, ევროპის და აზიის განვითარებულ ეკონომიკებს – რამაც შედეგად ფართო უმუშევრობა, საერთაშორისო ვაჭრობის მკვეთრი შემცირება და უზარმაზარი ეკონომიკური შფოთვები გამოიწვია. მართალია დიდი რეცესია ტექნიკური თვალსაზრისით დასრულდა, ბევრ ეკონომიკას აღდგენისთვის წლები დასჭირდა. მაგალითისთვის, დასაქმების მაჩვენებელი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში 2016 წლამდე ვერ დაუბრუნდა 2007 წლამდე არსებულ მდგომარეობას. ევროპაში, დიდმა რეცესიამ არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური კრიზისიც განაპირობა. რეცესიის დროს, რამდენიმე სამხრეთ ევროპულ ქვეყანას (ესპანეთი, პორტუგალია, იტალია და საბერძნეთი) გაუძნელდა შეენარჩუნებინათ ის ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც ევროზონის წევრობისთვის იყო აუცილებელი. საბერძნეთმაშემდეგ აღიარა, რომ მან მოატყუა ევროკავშირი მისი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რის შედეგადაც ინვესტორებმა გაიტანეს თავიანთი ინვესტიციები საბერძნეთიდან, რამაც იქ კიდევ უფრო გააღრმავა რეცესია. ევროკავშირმა, გერმანიის ლიდერობით, გადაწყვიტა, რომ დახმარებოდა საბერძნეთს, რათა ის დარჩენილიყო ევროზონაში (იხ. თავი 6). ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობების ზრდა ევროპის ცალკეულ ნაწილებში. ეს პოლიტიკური დაძაბულობა გაუარესდა 2015 წელს, როდესაც 10 ათასობით ლტოლვილი, რომლებიც გაურბოდნენ ძალადობას ლიბიასა და სირიაში, ცდილობდნენ ევროპაში შეღწევას. ეკონომიკური რეცესიიდან ჯერ კიდევ აღდგენის ფაზაში მყოფი ევროპის მოქალაქეები ვერ თანხმდებოდნენ, მიეცათ თუ არა ლტოლვილებისთვის დარჩენის უფლება.

დამატებით, გლობალიზაციამ უკმაყოფილება გამოიწვია იმ ხალხში, რომელზეც ის უარყოფითად მოქმედებს, ან რომელსაც მიაჩნია, რომ საგარეო გავლენები საფრთხეს უქმნის მათ იდენტობებს. ნაციონალიზმის აღორძინება და ეთნიკურ-რელიგიური კონფლიქტი, რომელიც ზოგჯერ სასტიკი ფორმებით არის გამოხატული, ნაწილობრივ ამ უკმაყოფილებიდან გამომდინარეობს. ასევე არსებობს სერიოზული საპროტესტო მოძრაობა კაპიტალისტების მართული გლობალიზაციის წინააღმდეგ. ეს

უკმაყოფილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2016 წლის 2 არჩევნებში: ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში და ბრიტანეთის რეფერენდუმში ევროკავშირში დარჩენასთან დაკავშირებით. ორივე არჩევნებში, წამყვანი თემები იყო ღია საზღვრებთან და მზარდ საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული საფრთხეები. უკმაყოფილების მთავარი ხაზი იყო, მოწოდებები, რომ დაბრუნებოდნენ ისეთ პოლიტიკებს, სადაც პრიორიტეტი ქვეყნის ინტერესებს მიენიჭებოდა. ეს მიდგომა კი თავისმხრივ უფრო მეტად შეესაბამებოდა ნაციონალისტურ საგარეო პოლიტიკას, ვიდრე გლობალისტურს (იხ. რუბრიკა. საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები).

გლობალიზაციის ზრდის კვალდაკვალ, უფრო თვალსაჩინო ხდება ტრანსნაციონალური პრობლემები, როგორებიცაა, გარემოს დეგრადაცია და დაავადებები. გლობალური დათბობა, რომელსაც კიდევ უფრო აჩქარებს არქტიკული ყინულის დნობა და წყალდიდობები სანაპიროებზე მთელი მსოფლიოს გარშემო, უფრო და უფრო მზარდ საფრთხედ მოსჩანს. 2014-2015 წლებში ებოლას ვირუსმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა დასავლეთ აფრიკაში და მსოფლიოს მასშტაბით მისი გავრცელების აღსაკვეთად დიდი ძალისხმევა იქნა გაწეული. 2010 წელს მექსიკის ყურესა და ჩინეთში დიდი რაოდენობით ნავთობის ჩაღვრამ საერთაშორისო ყურადღება გარემოსა და მისი დაბინძურების საკითხებისაკენ მიმართა, განსაკუთრებით ბუნებრივი რესურსებისთვის გლობალური შეჯიბრის კონტექსტში.

ახალ საუკუნეში ჩინეთი მსოფლიო პოლიტიკაში უფრო ცენტრალურ პოზიციას იკავებს. მისი ზომისა და სწრაფად მზარდი ეკონომიკის გათვალისწინებით ჩინეთი „მზარდ სახელმწიფოდ“ გვევლინება – ამ სიტუაციას ზოგიერთი მეცნიერი ერთი საუკუნით ადრე გერმანიის გაძლიერებას ადარებს. ისტორიულად, ძალთა განაწილებაში ასეთი ცვლილებები საერთაშორისო სისტემაში არასტაბილურ გარემოს ქმნიდა. ჩინეთი ერთადერთი ძლიერი სახელმწიფოა, რომელიც დემოკრატია არ არის. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ჩინეთში არსებული არასახარბიელო სიტუაცია, ამ უკანასკნელს დასავლეთის კრიტიკის საგნად აქცევს როგორც მთავრობების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

გაეროს უშიშროების საბჭოში ჩინეთი ვეტოს უფლებას ფლობს (თუმცა, იშვიათად იყენებს), მას ბირთვული არსენალიც აქვს. ჩინეთი რამდენიმე კონფლიქტურ რეგიონს ესაზღვრება და ბირთვული იარაღისა და რაკეტების გლობალურ გავრცელებაზეც ახდენს გავლენას. მას პრეტენზია აქვს რამდენიმე სადავო ტერიტორიაზე რესურსებით მდიდარ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში და იაპონიას ედავება სამხრეთ ჩინეთის ზღვაში რამდენიმე კუნძულის გარშემო. თუმცა ბოლო 25 წლის მანძილზე მას შეიარაღებული ბრძოლა არ გაუმართავს. ჩინეთი ერთადერთი დიდი სახელმწიფოა გლობალურ სამხრეთში. მისი მოსახლეობის ოდენობა და სწრაფი ინდუსტრიალიზაცია ჩინეთს მომავალში მნიშვნელოვან ფაქტორად აქ-

ცევს გლობალურ გარემოსდაცვასთან დაკავშირებულ ისეთ პროცესებში, როგორიცაა, მაგალითად, გლობალური დათბობა. 2015 წლის ეკონომიკურმა რყევებმა (ჩინური აქციების ფასების მაღალი ცვალებადობა, სანარმოო სიმძლავრის დაქვეითება და ინვესტიციების შემცირება) ზოგიერთ მკვლევარს კითხვები გაუჩინა ჩინეთის ეკონომიკის მდგრადობასთან დაკავშირებით. ზოგიერთი ექსპერტი კი ვარაუდობს, რომ ეს რყევები იყო უბრალოდ მცირე წინაღობები ჩინეთის ეკონომიკური დომინირებისკენ მიმავალ გზაზე. ყველა ეს ელემენტი ჩინეთს მნიშვნელოვან აქტორად აქცევს მომავალ ათწლეულებში.

ცივი ომის შემდგომ ეპოქაზე გადასვლა მღელვარებით აღსავსე პერიოდში მოხდა, რომელიც სავსე იყო როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ცვლილებებითა და ახალი შესაძლებლობებით. მოსალოდნელია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი წესები და პრინციპები, რომელთა გაგებასაც მკვლევრები დიდი ხანია ცდილობდნენ, არ შეიცვლება, თუმცა მათი გამოყენების კონტექსტი და შედეგები შესაძლოა შეიცვალოს. ამ წესებსა და პრინციპებში მთავარი ადგილი ძალის კონცეფციას უჭირავს, რომელსაც შემდეგ თავში განვიხილავთ.


საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები

თითოეულ თავში, ეს რუბრიკა განიხილავს საზოგადოების დამოკიდებულებას/ხედვებს საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხთან დაკავშირებით. როგორც გასულმა რამდენიმე წელმა აჩვენა, საზოგადოებები გლობალურად სულ უფრო მეტად გამოხატავენ საკუთარ პოზიციას საერთაშორისო ურთიერთობების ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, მიგრაცია, ტერორიზმი, ვაჭრობა და ა.შ. ზოგიერთ ამ საკითხზე, საზოგადოებრივი აზრი ძალიან გაყოფილია, რაც იწვევს პოლიტიკურ დაძაბულობას.თითოეული ეს რუბრიკა ფოკუსირებული იქნება ან ამერიკის შეერთებულ შტატებზე ან ბევრ ქვეყანაზე, სადაც საზოგადოებრივი აზრის კვლევები ხელმისაწვდომი და სანდოა. თუ მონაცემები მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეხება, ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ იცვლებოდა ეს განწყობები დროთა განმავლობაში. თუ მონაცემები ქვეყნების უფრო დიდ χგუფს ეხება, ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ განსხვავდება საზოგადოებრივი აზრი ქვეყნების მიხედვით. პირველ რუბრიკაში, ჩვენ განვიხილავთ საზოგადოებრივ აზრს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენად უნდა იყოს აშშ აქტიურად ჩართული გლობალურ საქმეებში თუ მხოლოდ საკუთარ საქმეებს უნდა მიხედოს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში ბევრი წლის განმავლობაში იყო შეკითხვები ამ საკითხზე, თუმცა, არარეგულარული ინტერვალებით. გრაფიკი 1.4 გრაფიკულად წარმოგვიდგენს ამ გამოკითხვებს. სამი ტენდენცია იჩენს თავს ამ მონაცემებზე დაკვირვებისას. პირველი, ცივი ომის პიკში, 1950-1960-იან წლებში, ამერიკელებს მასიურად მიაჩნდათ, რომ აშშ აქტიური უნდა ყოფილიყო გლობალურ საქმეებში. ეს განწყობები განპირობებული იყო საბჭოთა კავშირთან კონკურენციით, რომელიც, ბევრი ამერიკელის აზრით, საფრთხეს უქმნიდა აშშ-ს. საზოგადოება მიიჩნევდა, რომ ერთადერთი გზა ამ საფრთხესთან გასამკლავებლად მის წინააღმდეგ აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება იყო. მეორე, 1970-იანმა წლებმა მოიტანა ამერიკის შეერთებულ შტატებში იზოლაციონისტური სენტიმენტების ზრდა. აქტიური საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერის შემცირება ნაწილობრივ ვიეტნამის ომითაც აიხსნებოდა, რომელიც არაპო-

პულარული გახდა ამერიკაში და ბევრი ამერიკელისთვის ცივი ომის დროს აქტიური საგარეო პოლიტიკის გადაჭარბებული შედეგებთან ასოცირდებოდა. ამ მხარდაჭერის შემცირება ასევე აშშ-ის ეკონომიკური სირთულეებითაც აიხსნებოდა ადრეულ 1970-იან წლებში, რაც მოიცავდა ოქროს სტანდარტზე უარის თქმას და ნავთობის ემბარგოს. მესამე, ახალი იზოლაციონისტური სენტიმენტები წარმოიშვა ბოლო პერიოდში. როგორც ამ თავის სხვა ნაწილებში განვიხილეთ, ეს წარმოადგენს მზარდ უკმაყოფილებას გლობალიზაციის ძალების წინააღმდეგ, როგორიც არის გლობალური ვაჭრობა და მზარდი მიგრაცია. და ნამდვილად, პირველად ბევრი წლის განმავლობაში, ეს გამოკითხვები თანაბრად არის გაყოფილი აქტიური და იზოლაციონისტური საგარეო პოლიტიკის მხარდამჭერებს შორის. აქვს კი საზოგადოებრივ აზრს გავლენა იმ ლიდერებზე, ვინც ქმნიან საგარეო პოლიტიკას? ჩვენ ამ საკითხს ჩავუღრმავდებით მე-3 თავში, მაგრამ მეცნიერებს შორის ფართოდ გავრცელებული აზრია, რომ დემოკრატიებში, საზოგადოებრივი აზრი სულ მცირე ლიდერების ქმედებების შეზღუდვის მექანიზმია: ნაკლებად მოსალოდნელია, რომ პრეზიდენტი ან პრემიერ მინისტრი აირჩევს ისეთ პოლიტიკას, რომელიც არაპოპულარული იქნება. მეცნიერები ნაკლებად დარწმუნებულები არიან, თუ რამდენად აქტიურად ფიქრობენ ლიდერები საზოგადოებრივ აზრზე, როდესაც საქმე სპეციფიკურ პოლიტიკებს ეხება (მაგ, ეკონომიკური სანქციებს, მიგრაციას, თავისუფალი ვაჭრობას). და ბოლოს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი აზრი შესაძლოა იყოს როგორც მედეგი, ასევე მიზეზი. შესაძლებელია, რომ საზოგადოებრივი აზრი ასახავდეს იმას, რასაც ლიდერები ამბობენ საერთაშორისო ურთიერთობებზე. მაგალითად ცივი ომის დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ორივე პოლიტიკური პარტია მხარს უჭერდა აქტიურობას გლობალურ დონეზე. ეს იყო მუდმივი გზავნილი, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტი და სხვა ლიდერები აჟღერებდნენ: აქტიური საგარეო პოლიტიკა ეხმარება ამერიკის შეერთებულ შტატებს. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ბევრი ამერიკელი მხარს უჭერდა ამერიკის აქტიურ გლობალურ როლს. გაგრძელდება იზოლაციონისტური სენტიმენტების ზრდა თუ ამერიკული საზოგადოება უფრო მეტად აქტიურ საგარეო პოლიტიკას დაუჭერს მხარს? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ ვიწინასწარმეტყველებთ მომავალს დიდი სიზუსტით, მოსალოდნელია, რომ ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებული იქნება როგორც საერთაშორისო მოვლენებზე, ასევე ამერიკელი ლიდერების პოზიციებზე გლობალურ საკითხებთან დაკავშირებით.

გრაფიკი 1.4. საზოგადოებრივი განწყობები აშშ-ში, გლობალურ ჩართულობასთან დაკავშირებით

წყარო: Roper Center for Public Opinion Research, 2017



შეჯამება

- საერთაშორისო ურთიერთობები სიღრმისეულ გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე; ჩვენ ყველანი ვმონაწილეობთ საერთაშორისო ურთიერთობებში.
- საერთაშორისო ურთიერთობები პოლიტიკის მეცნიერების დარგია, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებისა და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის პოლიტიკური შედეგების ახსნითაა დაკავებული.
- თეორიები აღწერით ნარატივებს გვთავაზობენ საერთაშორისო მოვლენებისა და შედეგების ახსნისას და მართალია, მეცნიერები ერთ თეორიაზე ან მეთოდზე ვერ თანხმდებიან, სამი ძირითადი პრინციპი აყალიბებს საერთაშორისო ურთიერთობებში საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზას.
- სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორები არიან; საერთაშორისო სისტემა 200-მდე დამოუკიდებელ, განსხვავებული ზომის ტერიტორიულ სახელმწიფოებს ეფუძნება.
- არასახელმწიფო აქტორები, როგორებიცაა, მთავრობათაშორისი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მრავალეროვნული კორპორაციები საერთაშორისო ურთიერთობებზე მზარდ გავლენას ახდენენ.
- ანალიზის 3 დონე-ინდივიდუალური, შიდა და სისტემური – გვთავაზობს საერთაშორისო ურთიერთობების შედეგების მრავალ განმარტებას.
- სხვადასხვა მეცნიერი გლობალიზაციას განსხვავებულად აღიქვამს, მაგრამ ზოგადად გლობალიზაცია აღნიშნავს მსოფლიო მასშტაბით თანამედროვე სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტს შორის კავშირების ზრდას, გაღრმავებასა და დაჩქარებას. ეს პროცესი შესაძლოა ასუსტებდეს, აძლიერებდეს ან გარდაქმნიდეს სახელმწიფოების ძლიერებას. ანტიგლობალისტები ერთსულოვნად ეწინააღმდეგებიან კორპორაციების გავლენის ზრდას, თუმცა ვერ თანხმდებიან მიზნებსა და ტაქტიკებზე.
- პირველი და მეორე მსოფლიო ომები დომინირებდა მეოცე საუკუნეში, თუმცა, როგორც ჩანს, მათი გამოცდილება საწინააღმდეგო დასჯვნების გაკეთების შესაძლებლობას ქმნის საერთაშორისო პოლიტიკაში უკომპრომისო თუ უფრო დამთმობი მიდგომების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან დაახლოებით 50 წლის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკა ცივი ომის პირობებში დასავლურ-აღმოსავლური დაპირისპირების გარშემო ტრიალებდა. ამ დაპირისპირებამ შექმნა ერთგვარი სტაბილურობა, მოახერხა რა დიდ სახელმწიფოებს შორის ომების, მათ შორის ბირთვული ომის თავიდან აცილება, თუმცა ღარიბი სახელმწიფოები მარიონეტულ საბრძოლო ველებად აქცია.
- ცივი ომის შემდგომი ეპოქა დიდ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის იმედს აღძრავს მიუხედავად ახალი ეთნიკური და რეგიონული კონფლიქტების აღმოცენებისა.
- ერაყის სამხედრო კამპანიამ აშშ-ის თაოსნობით დაამხო დიქტატორი ლიდერი, მაგრამ მან დიდი სახელმწიფოები ორად გაყო, ანტიამერიკანიზმის ზრდა გამოიწვია და ამბოხებებისა და რელიგიური ნიშნით ძალადობის წლები მოიტანა.
- ნატოს ავღანური კამპანია თალიბანის წინააღმდეგ 2014 წელს დასრულდა, თუმცა ნატოს ზოგიერთი შენაერთი ავღანეთში დღემდე რჩება (2018 წლის მდგომარეობით). აშშ-ის სპეციალურმა ძალებმა 2011 წელს პაკისტანში მოკლეს ოსამა ბინ ლადენი, სადაც უპილოტო თვითმფრინავების სამიზნეს სხვა მებრძოლები წარმოადგენდნენ.
- არაბული გაზაფხულის ამბოხებების სერიამ 2011 წელს ტუნისში, ეგვიპტეში, ლიბიასა და

იემენში მთავრობების დამხობა გამოიწვია და ბიძგი მისცა სასტიკი სამოქალაქო ომის დაწყებას სირიაში.

- ორი მოვლენა უსვამს ხაზს გლობალიზაციით უკმაყოფილებას: ბრექსიტი და დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევა. ორივე ამ მოვლენამ აჩვენა, რომ ეროვნული საკითხები უფრო პრიორიტეტულია ბევრი მოქალაქისთვის, ვიდრე გლობალური საკიტხები.

ძირითადი ცნებები

საერთაშორისო ურთიერთობები
საზოგადოებრივი საქონლის პრობლემა
დომინირება
ორმხრივობის პრინციპი
იდენტობა
საკითხთა არეალი
კონფლიქტი და თანამშრომლობა
საერთაშორისო უსაფრთხოება
საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია
სახელმწიფო
საერთაშორისო სისტემა
ერი-სახელმწიფოები
მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)
არასახელმწიფო აქტორები
მთავრობათაშორისი ორგანიზაციები
არასამთავრობო ორგანიზაციები
გლობალიზაცია
ჩრდილოეთ-სამხრეთის ნაპრალი
ცივი ომი
შეკავება (containment)
სინო-საბჭოთა განხეთქილება
სამიტები
კუბის სარაკეტო კრიზისი
მარიონეტული ომები

კითხვები კრიტიკული აზროვნებისთვის

1. აირჩიეთ რეგიონი, სადაც ამჟამად საინტერესო საერთაშორისო მოვლენები ვითარდება. შეგიძლიათ ამ მოვლენების ახსნა ანალიზის თითოეული დონის ჭრილში? (იხილეთ ცხრილი 1.3). გვეხმარება თუ არა სხვადასხვა დონის ახსნები ზემოაღნიშნულ მოვლენათა სხვადასხვა ასპექტის გააზრებაში?
2. ცივი ომი დიდი ხნის წინ დასრულდა, მაგრამ მისი გავლენა დღემდე იგრძნობა. შეგიძლიათ მოიყვანო სამი მაგალითი იმისა, რომ ცივი ომის გამოცდილება დღემდე აყალიბებს სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკას?
3. როგორ ახდენს გავლენას საერთაშორისო ეკონომიკა ჩვენ ყოველდღიურობაზე? ეს ასეა ყველა ხალხის შემთხვევაში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში? თუ ისეთი ეკონომიკური პროცესები როგორიცაა გლობალიზაცია გავლენას ახდენს უფრო მეტად ცალკეულ რეგიონებზე, ვიდრე სხვებზე?
4. პირველი და მეორე მოსფლიო ომების ურთიერთსაწინააღმდეგო გაკვეთილებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ თუ არა თქვათ, დღევანდელ მსოფლიოში რა შემთხვევაში იქნებოდა დაშოშმინება/დათმობა საუკთესო არჩევანი? რა შემთხვევაში იქნებოდა უკომპრომისო შეკავების პოლიტიკა უკეთესი? რატომ?
5. თქვენი აზრით, როგორი იქნება მსოფლიო XXI საუკუნეში? მშვიდობიანი თუ ომისკენ მიდრეკილი? ქაოტური თუ მოწესრიგებული? რატომ გაქვთ ასეთი მოლოდინები და მსოფლიოში განვითარებული რომელი მოვლენები გაკარნახობთ, რომ შესაძლოა თქვენი ვარაუდები სწორი იყოს?

მოდით ვიმსჯელოთ:

გლობალიზაცია: სახელმწიფოს ძალაუფლების შემცირება?

მიმოხილვა

300 წელზე მეტი ხნის მანძილზე, ერი-სახელმწიფო წარმოადგენს მსოფლიოს პოლიტიკური ორგანიზების წამყვან პრინციპს. სახელმწიფოთა მთავრობები აწარმოებენ ომებს, იცავენ საკუთარ მოქალაქეებს, აგროვებენ გადასახადებს და უზრუნველყოფენ ყოველდღიური ცხოვრებისთვის აუცილებელი მომსახურებების გაწევას (ტრანზიტული სისტემების მართვით დაწყებული ნაგვის შეგროვებით დასრულებული). სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკის ორგანიზების წამყვანი პრინციპის იდეა, ასეულ წელიწადს ითვლის. პოლიტიკური ფილოსოფოსები, როგორიც იყო თომას ჰობსი მიიჩნევდა, რომ მთავრობა, ინდივიდებს სთავაზობდა უსაფრთხოებას ბუნებით მდგომარეობაში (სადაც ცხოვრება სახელმწიფოს გარეშე იყო: „ეული, ღარიბი, მწარე, ცხოველური და მოკლე``) და დაცვას ადამიანთა სხვა ჯგუფებისგან. ერი-სახელმწიფოს იდეა ევროპული იდეა იყო. კოლონიზაციამდე, აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის დიდი ნაწილები განსხვავებულად იყო ორგანიზებული: ოჯახებად, კლანებად ან სხვა ჯგუფებად. თუმცა, მას შემდეგ რაც ევროპელებმა მოახდინეს მსოფლიოს უმეტესი ნაწილების კოლონიზაცია და ახალ მიწებზე დასახლება, მათ ამ ახალ ტერიტორიებზე ერი-სახელმწიფოს იდეაც შეიტანეს. დროის საკმაოდ მცირე პერიოდში, მსოფლიო ორგანიზებული გახდა სახელმწიფოებად, რომლებიც ერთმანეთთან ინტერაქციაში იყვნენ. სახელმწიფოები გახდნენ ცენტრალური აქტორები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ინდივიდებისთვის მომსახურებების გაწევას და ერმანეთთან ან თანამშრომლობდნენ ან კონფლიქტში იყვნენ. თუმცა, გლობალიზაციის ეპოქაში, სახელმწიფოს ძალაუფლება გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. გლობალიზაციასთან ერთად მოხდა ტექნოლოგიების განვითარება, არასახელმწიფო აქტორების ზრდა, სახელმწიფოთა საზღვრები უფრო მყიფე გახდა, გაიზარდა საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა. ეს ყველაფერი ერთად კი ამცირებს სახელმწიფოს უნარს აკონტროლოს პროცესები როგორც მის საზღვრებს შიგნით, ასევე საზღვრებს გარეთ. შესაძლებელია თუ არა, რომ ჩვენ მოწმენი ვხდებით ერი-სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზების პრინციპის დასასრულის დაწყების?

არგუმენტი 1

სახელმწიფოს ძალაუფლება მცირდება

არასახელმწიფო აქტორები დღეს ისეთივე მნიშვნელოვანი არიან, როგორც სახელმწიფო.

არასახელმწიფო აქტორები, არასამთავრობო ორგანიზაციები იქნებიან თუ მრავალეროვნული კორპორაციები, სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ მსოფლიო პოლიტიკაში. არასამთავრობო ორგანიაციები ზეწოლებს ახდენენ მთავრობებზე, რათა მათ შეცვალონ მიდგომები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, მრავალეროვნული კორპორაციები აიძულებენ სახელმწიფოებს მიიღონ მათი ბიზნესზე მორგებული კანონები, და ტერორისტული ჯგუფები ძირს უთხრიან სახელმწიფოს უსაფრთხოებას. სახელმწიფოს ძალაუფლების წინაშე არსებული ეს გამოწვევები გაიზარდა გასულ ათწლეულში და გააგრძელებს ზრდას გლობალიზაციის შედეგად მოქალაქეებს შორის უფრო მეტი კავშირების გაჩენის პარალელურად. სახელმწიფოები ჩამყვანი ეკონომიკური აქტორებიც აღარ არიან. ეკონომიკურად უდიდესი სახელმწიფოების გამოკლებით, როგორიც არის აშშ და იაპონია, მრავალეროვნული კორპორაციები და კერძო ინვესტორები აკონტროლებენ უფრო მეტ რესურსს და კაპიტალს, ვიდრე ბევრი ერი-სახელმწიფო. მიამატეთ ამ სიას ისეთი გავლენიანი საერთაშორისო მთავრობათშორისი ორგანიზაციები, როგორიც არის მსოფლიო ბანკი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და საერთაშორისო სავალუტო ფონდი და გამოჩნდება, რომ სახელმწიფოები მხოლოდ ერთი ტიპის ეკონომიკური მოთამა-

შეები არიან გლობალურ ეკონომიკურ თამაშში. ნაციონალიზმის ბევრი ჩამნაცვლებელიც გამოჩნდა. თუ ნაციონალიზმი იყო იდეა, რომელიც აძლიერებდა სახელმწიფოს წარსულში, დღეს სხვა იდეებიც გაჩნდა, რომლებიც მას გამოწვევას უქმნიან. ზოგიერთისთვის რელიგიამ ჩაანაცვლა სახელმწიფოსადმი ლოიალობა, და ასევე, ძლიერი ეთნიკური კავშირებიც გამოწვევას უქმნის სახელმწიფოსადმი ლოიალობას. თუკი უფრო მეტი ადამიანის ლოიალობის წამყვანი წყარო გახდება სხვა რამ, ვიდრე მათი სახელმწიფო, სახელმწიფოს ძალაუფლება გააგრძელებს შემცირებას.

არგუმენტი 2
სახელმწიფოები დასუსტდნენ, თუმცა არ გამქრალან

სახელმწიფოები ყოველთვის განიცდიდნენ გამოწვევებს, მაგრამ ისინი ყოველთვის ახერხებდნენ არსებობის შენარჩუნებას. სახელმწიფოები საუკუნეების განმავლობაში იდგნენ საფრთხის წინაშე. მიუხედავად იმისა, ეს საფრთხე მომდინარეობდა არასახელმწიფო აქტორებისგან (მეკობრეები), არასამთავრობო ორგანიზაციებისგან (მონობის საწინააღმდეგო მოძრაობა) თუ მრავალეროვნული კორპორაციებისგან (ბრიტანეთის აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია), სახელმწიფო მაინც საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალურ აქტორად ჩამოყალიბდა. სახელმწიფოს წარმატებული ალტერნატივა ჯერ არ გამოჩენილა. სახელმწიფოებს შეუძლიათ იმგვარი ფუნქციების შესრულება, რომელსაც სხვა აქტორები ვერ შეძლებენ. მიუხედავად არასახელმწიფო აქტორების ზრდისა, გარკვეული ფუნქციები, მათ შორის როგორიც არის გადასახადების აკრეფა, კანონების მიღება და მოქალაქეების დაცვა საგარეო საფრთხეებისგან, ყოველთვის სახელმწიფოს განკარგულებაში დარჩება. სახელმწიფოებს ყოველთვის დასჭირდებათ დახმარება ამ ფუნქციების შესრულებისას, თუმცა ვერცერთი სხვა ერთეული ვერ შეძლებს მათ სრულყოფილად შესრულებას. ნაციონალიზმი კიდევ დიდხანს დარჩება როგორც მძლავრი იდეოლოგიური იარაღი. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმის ალტერნატივები არსებობს, არცერთი არ არის ასე ფართოდ მიღებული. ინდივიდებს კვლავ აქვთ მძლავრი ლოიალობა საკუთარი ქვეყნების მიმართ. დააკვირდით რამდენი სეპარატისტული ჯგუფია, რომელსაც კვლავ სურს საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. სახელმწიფოს რომ არ ჰქონოდა ასეთი განსაკუთრებული უპირატესობები, რატომ გასწევდნენ ადამიანები ამხელა ძალისხმევას, რომ სახელმწიფოებრიობა მოეპოვებინათ?

კითხვები

- რა როლს ასრულებს გლობალიზაცია სახელმწიფოს ძალაუფლების შემცირების თვალსაზრისით? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევებიდან, რომელი შეიძლება მიეწეროს გლობალიზაციას და რომელი ისეთ გლობალიზაციის საწინააღმდეგო ძალებს, როგორიც რელიგიაა?
- არსებობს ერი-სახელმწიფოს ალტერნატივა? არსებობს უფრო ბუნებრივი გზები პოლიტიკის ორგანიზებისთვის? იფიქრეთ ალტერნატივებზე, რომელბიც უფრო პატარაა (ეთნიკური ჯგუფები, ტომები, რეგიონები) და უფრო დიდი (რამდენიმე ქვეყნისგან შემდგარი კოალიციები, მაგალითად ევროკავშირი ან მსოფლიო მთავრობა)
- ერთ-ერთი გზა ვიფიქროთ ევროკავშირზე, არის როგორც ბუნებრივი პროგრესი უფრო დიდი პოლიტიკური ერთეულის მიმართულებით. საუკუნეების წინ, ევროპა ქალაქ-სახელმწიფოებისგან შედგებოდა, შემდეგ შედარებით უფრო დიდი სამთავროებისგან, სამეფოებისგან, ერი-სახელმწიფოებისგან და დღეს კი, უფრო დიდი გაერთიანებისგან. შესაძლებელია თუ არა მსგავსი ევოლუცია მოხდეს მსოფლიოს სხვა რომელიმე რეგიონში, როგორიც არის ლათინური ამერიკა ან აფრიკა?

დამატებითი საკითხავი:

- Bhagwati, Jagdish. In Defense of Globalization. Oxford, 2007.
- Cameron, David. Globalization and Self-Determination: Is the Nation-State under Siege? Routledge, 2006.
- Fukuyama, Francis. Political Order and Political Decay: From the Industrial Revolution to the Globalization of Democracy. Farrar, Straus and Giroux, 2014.
- Stiglitz, Joseph E. Globalization and Its Discontents. Norton, 2003ю

თავი 2
რეალიზმის თეორიები



Kyodo/AP Images

სამხედრო წვრთნები საბრძოლო მასალის გამოყენებით დემილიტარიზებულ ზონასთან, სამხრეთი კორეა, 2017 წ.

სასწავლო მიზნები

2.1 განსაზღვრეთ რეალიზმის თეორიის სულ მცირე სამი დაშვება
2.2 აღწერეთ ძალის კონცეპტუალიზაციისა და გაზომვის ორი სხვადასხვა გზა
2.3 განსაზღვრეთ ანარქია და ახსენით მისი მნიშვნელობა საერთაშორისო თანამშრომლობის შეფერხებაში
2.4 ახსენით ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) მიზანი და როგორ შეიცვალა ის ისტორიულ პერსპექტივაში
2.5 აღწერეთ პატიმრის დილემა და ახსენით, როგორ არის ის საერთაშორისო სისტემის ანალოგი

2.1 რეალიზმი

რეალიზმი (realism)
ფართო ინტელექტუალური ტრადიცია, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს მტნილად ძალის კატეგორიებით აღწერს. იხ. ასევე იდეალიზმი და ნეორეალიზმი.

განსაზღვრეთ რეალიზმის თეორიის სულ მცირე სამი დაშვება.

ცალკე აღებული ვერცერთი თეორია სათანადოდ ვერ ხსნის საერთაშორისო ურთიერთქმედებათა ფართო სპექტრს, თუმცა ერთმა თეორიულმა ჩარჩომ საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ისტორიულად ცენტრალური ადგილი დაიკავა. ამ მიდგომას, რომელსაც რეალიზმის სახელით ვიცნობთ, საერთაშორისო ურთიერთობების ბევრი მკვლევარი უჭერს მხარს, მაგრამ ბევრიც მტკიცედ ეწინააღმდეგება, თუმცა თითქმის ყველა მათგანი აღიარებს მის მნიშვნელობას.

თანამედროვე რეალისტური თეორია აღმოცენდა ლიბერალური თეორიული ტრადიციის საპასუხოდ, რომელსაც რეალისტები **იდეალიზმს** უწოდებდნენ (ცხადია, იდეალისტები საკუთარ მიდგომას არ მიიჩნევენ არარეალისტურად). საერთაშორისო მოვლენების ახსნისას იდეალიზმი უფრო აქცენტს აკეთებს საერთაშორისო სამართლის, მორალისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენაზე, ვიდრე მხოლოდ ძალაზე. იდეალიზმის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ადამიანის ბუნება საერთო ჯამში კეთილია. ისინი საერთაშორისო სისტემას აღიქვამენ, როგორც სახელმწიფოთა თანამეგობრობაზე დაფუძნებულ ერთობას, სადაც სახელმწიფოებს საერთო სირთულეების გადასალახად თანამშრომლობის უნარი შესწევთ (იხ. თავი 3). იდეალისტებისთვის საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპები მორალიდან უნდა გამომდინარეობდეს.

იდეალიზმი (idealism)
მიდგომა, რომელიც აქცენტს აკეთებს საერთაშორისო სამართალზე, მორალსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე, ვიდრე მხოლოდ ძალაზე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებზე გავლენის მქონე მთავარ ფაქტორებზე.

მიუნხენის შეთანხმება (Munich Agreement)
მარცხით დასრულებული დამოშმინების პოლიტიკის სიმბოლო. შეთანხმებას 1938 წელს მოაწერეს ხელი და მან საშუალება მისცა ნაცისტურ გერმანიას, ჩეხოსლოვაკიის ნაწილების ოკუპაცია მოეხდინა. გერმანიის სწრაფვების დაშოშმინების ნაცვლად, ამან ხელი შეუწყო მის შემდგომ გაფართოებას, რამაც მეორე მსოფლიო ომი გამოიწვია.

იდეალისტები განსაკუთრებით პირველიდან მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდში აქტიურობდნენ. პირველი მსოფლიო ომის მტკივნეული გამოცდილებიდან გამომდინარე, აშშ-ის პრეზიდენტი, ვუდრო ვილსონი და სხვა იდეალისტები დიდ იმედებს უკავშირებდნენ **ერთა ლიგას**, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) წინამორბედს. თუმცა, ეს იმედები დასამარდა, როდესაც ეს სტრუქტურა ჯერ ვერ აღუდგა გერმანიის, იტალიისა და იაპონიის აგრესიას 1930-იან წლებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რეალისტები ადანაშაულებდნენ იდეალისტებს იმაში, რომ ეს უკანასკნელნი ძალიან დიდ დროს უთმობდნენ იმას, თუ როგორი *უნდა* ყოფილიყო სამყარო და არა იმას, როგორი იყო ის *რეალურად*. მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებით გამოფხიზლებულმა რეალისტებმა მიზნად დაისახეს ძალის პოლიტიკის პრინციპების გაგება, სასურველის რეალობად მიღების გარეშე. რეალისტებმა შექმნეს თეორიული საფუძვლები ცივი ომის დროის შეკავების (containment) პოლიტიკისათვის, რათა აშშ-ს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ჰქონოდათ მზაობა, რომ არ დაეშოშმინებინათ საბჭოთა კავშირი და ჩინეთი ისევე, როგორც ამას დასავლეთი შვრებოდა ჰიტლერთან მიმართებით 1938 წელს, **მიუნხენის შეთანხმების** დროს, რამაც ჰიტლერს ჩეხოსლოვაკიის ნაწილების ოკუპაციის საშუალება მისცა.

რეალისტები დიდი ხნის ტრადიციას ეყრდნობიან. ჩინელი სტრატეგი *სუნ ძი*, რომელიც 2000 წლის წინ ცხოვრობდა, სახელმწიფოს მმართველებს აძლევდა რჩევებს, თუ როგორ გადარჩენილიყვნენ იმ ეპოქაში, როდესაც პირველად ისტორიაში ომი იქცა ძალაუფლების სისტემატურ ინსტრუმენტად. სუნ ძი ამტკიცებდა, რომ მორალზე დაფუძნებული მსჯელობა არც თუ ისე სასარგებლო იყო იმდროინდელი სახელმწიფო მმართველებისთვის, რადგან მათ შეიარაღებულ და სახიფათო მეზობლებთან გამკლავება უწევდათ. ის მმართველებს აჩვენებდა, როგორ გამოეყენებინათ ძალა თავიანთი ინტერესების დასაკმაყოფილებლად და თავის გადასარჩენად.

დაახლოებით იმავე დროს საბერძნეთში *თუკიდიდემ* დაწერა პელოპონესის ომის (ძვ. წ. 431-404) ქრონიკები, სადაც იგი აქცენტს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის არსებულ ძალათა თანაფარდობაზე აკეთებდა. მან აღნიშნა, რომ „ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი ძალაც შესწევთ, ხოლო სუსტნი ურიგდებიან იმას, რასაც იძულებულნი არიან, რომ შეურიგდნენ".[1] გაცილებით გვიან, რენესანსის ეპოქის იტალიაში (დაახლოებით 1500 წელს) *ნიკოლო მაკიაველი* არწმუნებდა მთავრებს, ყურადღება გაემახვილებინათ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის მიზანშეწონილ ქმედებებზე, მათ შორის სამოქალაქო და სამხედრო ალიანსებით მანიპულირებაზე. დღეს სიტყვა მაკიაველიზმი გულისხმობს ძალით განსაკუთრებულ მანიპულირებას.


მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მეცნიერი *ჰანს მორგენთაუ* ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო პოლიტიკა იმართება ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული ობიექტური, უნივერსალური კანონებით (და არა გადაწყვეტილების მიმღებთა ფსიქოლოგიური მოტივებით). ის ამობდა, რომ არცერთი ერის მხარეზე არ იყო „ღმერთი" (უნივერსალური მორალი) და ყველა ერს თავისი მოქმედებები კეთილგონიერებასა და პრაქტიკულობაზე უნდა დაეფუძნებინა. ის ეწინააღმდეგებოდა ვიეტნამის ომს და 1965 წელს ამტკიცებდა, რომ კომუნისტური ვიეტნამი ვერ დააზიანებდა აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს.

ანალოგიურად, 2002 წელს, აშშ-ის ერაყში შეჭრამდე, წამყვანი რეალისტები შეადგენდნენ უმრავლესობას საერთაშორისო ურთიერთობების იმ 33 მკვლევარს შორის, რომლებმაც *ნიუ-იორკ ტაიმსში* ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს და ამტკიცებდნენ, რომ „ერაყთან ომი არ შედის აშშ-ის ეროვნულ ინტერესებში". ამგვარად, რეალისტები ყოველთვის არ ანიჭებენ უპირატესობას ძალის გამოყენებას, თუმცა აღიარებენ ამის საჭიროებას დროდადრო. საერთაშორისო ურთიერთობების ზემოხსენებული მკვლევრების განცხადების სამიზნეს წარმოადგენდა ბუშის ადმინისტრაციაში საგარეო პოლიტიკის შემოქმედთა *ნეოკონსერვატორების* სახელით ცნობილი გუნდი. ნეოკონსერვატორები მხარს უჭერდნენ ამერი-

1 Thucydides. *History of the Peloponnesian War.* თარგმნილი Rex Warner-ის მიერ, M.I. Finley-ს წინასიტყვაობითა და კომენტარებით. 1972, გვ. 402.

კის ძალის, განსაკუთრებით სამხედრო ძალის უფრო აქტიურ გამოყენებას ისეთი ამბიციური და მორალისტური მიზნების მისაღწევად, როგორიც ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიზაცია იყო.

გრაფიკი 2.1 საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები



ამგვარად, რეალიზმის საფუძველია დომინირების პრინციპი. ალტერნატივებს, რომლებიც ეფუძნება ორმხრივობას და იდენტობას, მე-3 თავში განვიხილავთ. გრაფიკზე 2.1 მოცემულია საერთაშორისო ურთიერთობების დარგის სხვადასხვა თეორიულ მიდგომები, რომლებიც განხილულია ამ და მე-3 თავებში.

რეალისტები პოლიტიკურ ძალას ცალკე მდგომ ფორმად განიხილავენ, რომელიც მორალზე, იდეოლოგიასა და ცხოვრების სხვა სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებზე მაღლა დგას. რეალისტებისთვის იდეოლოგიებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ისევე როგორც რელიგიას და სხვა კულტურულ ფაქტორებს, რომლებითაც სახელმწიფოები თავიანთ ქმედებას შეიძლება ამართლებდნენ. რეალისტები განსხვავებული რელიგიის, იდეოლოგიისა და ეკონომიკური სისტემების მქონე სახელმწიფოებს აღიქვამენ როგორც საკმაოდ ერთგვარებს, ეროვნულ ძალასთან მიმართებაში მათი ქმედებებიდან გამომდინარე. ამდენად, რეალისტებს მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება ყველაზე კარგად (თუმცა არა ექსკლუზიურად) აიხსნას სახელმწიფოთა არჩევნით, რომლებიც ავტონომიური აქტორების სახით მოქმედებენ და რაციონალურად მისდევენ საკუთარ ინტერესებს სუვერენულ სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემაში, სადაც არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება.

ცხრილი 2.1 მოკლედ აჯამებს რეალიზმისა და იდეალიზმის დაშვებებს შორის არსებულ ძირითად განსხვავებებს.

ცხრილი 2.1 რეალიზმისა და იდეალიზმის დაშვებები

საკითხი	რეალიზმი	იდეალიზმი
ადამიანის ბუნება	ეგოისტური	ალტრუისტული
ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორები	სახელმწიფოები	სახელმწიფოები და სხვები, ინდივიდების ჩათვლით
სახელმწიფოთა ქცევის მიზეზები	პირადი ინტერესისკენ რაციონალური სწრაფვა	გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ფსიქოლოგიური მოტივები
საერთაშორისო სისტემის ბუნება	ანარქია	თანამეგობრობა

2.2 ძალა

აღწერეთ ძალის კონცეპტუალიზაციისა და გაზომვის ორი სხვადასხვა გზა.

ძალა საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალური კონცეფციაა, განსაკუთრებით რეალისტებისთვის, მაგრამ მისი განსაზღვრა და გაზომვა გასაოცრად დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

2.2.1 ძალის განსაზღვრება

ძალას ხშირად განსაზღვრავენ, როგორც ერთი აქტორის უნარს, აიძულოს მეორეს იმის გაკეთება, რასაც ის სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა (ან იმის არგაკეთება, რასაც სხვა შემთხვევაში გააკეთებდა). ამ იდეის სახესხვაობაა, რომ აქტორები არიან ძლიერები იმდენად, რამდენადაც შესწევთ უნარი, რომ გავლენა მოახდინონ სხვებზე იმაზე მეტად, ვიდრე სხვებს შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ მათზე. ზემოაღნიშნული განსაზღვრებები ძალას გავლენასთან აიგივებს. თუკი აქტორს უმეტესწილად თავისი გააქვს, ის ძლიერი უნდა იყოს. ამ განსაზღვრების ერთი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ იშვიათად ვიცით, რას გააკეთებდა მეორე აქტორი მაშინ, თუკი პირველს ძალა არ ექნებოდა. აქ იმალება ნრიული ლოგიკის საფრთხე: ძალა ხსნის გავლენას და გავლენა ზომავს ძალას.



ჭრილობაზე მარილის დაყრა. ძალა არის სხვების მოქმედებაზე გავლენის მოხდენის უნარი. სამხედრო ძალა და ეკონომიკური სანქციები ყველაზე გავრცელებულია იმ ხერხებს შორის, რასაც სახელმწიფოები და არასახელმწიფო აქტორები იყენებენ ერთმანეთზე გავლენის მოსახდენად. ევროკავშირმა და მეერთებულმა შტატებმა არაერთი სანქცია დაადეს რუსეთს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უკრაინის მიმართ მისი პოლიტიკის შესაცვლელად და დასავლური ქვეყნების არჩევნებში ჩარევისაგან შესაკავებლად. პასუხად, რუსეთმა ევროპიდან და შეერთებული შტატებიდან აკრძალა გარკვეული საქონლის იმპორტი, მათ შორის მარილის. სურათზე, რუსი მომხმარებელი იმარაგებს მარილს აკრძალვის ამოქმედებამდე, 2017 წ.

ძალა (power)

სხვის ქცევაზე გავლენის მოხდენის უნარი ან პოტენციალი, რომელიც იზომება გარკვეული მატერიალური და არამატერიალური მახასიათებლების ფლობით.

ძალა თავისთავად არ არის გავლენა, არამედ ეს არის სხვებზე გავლენის მოხდენის უნარი ან პოტენციალი. საერთაშორისო ურთიერთობების ბევრ მკვლევარს სჯერა, რომ ასეთი პოტენციალი ეფუძნება სახელმწიფოს სპეციფიკურ (მატერიალურ და არამატერიალურ) მახასიათებლებს, როგორებიცაა მაგალითად მათი სიდიდე, შემოსავლის დონე და შეიარაღებული ძალები. ანუ ამ შემთხვევაში ძალა განსაზღვრულია, როგორც *შესაძლებლობა*. შესაძლებლობების გაზომვა უფრო ადვილია, ვიდრე გავლენის და ამ შემთხვევაში წრიული ლოგიკის საფრთხეც ნაკლებია.

თუმცა, ადვილი არ არის შესაძლებლობების გაზომვა იმის ასახსნელად, თუ როგორ ახდენს ერთი სახელმწიფო გავლენას მეორეზე. ეს მოითხოვს სხვადასხვა სახის პოტენციალის დაკმაებას. სახელმწიფოებს აქვთ განსხვავებული სიდიდის მოსახლეობა, ტერიტორია, სამხედრო ძალები და ა.შ. სახელმწიფო ძალის ცალკე აღებული საუკეთესო ინდიკატორი შეიძლება იყოს მისი მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), რაც აერთიანებს მის ზომას, ტექნოლოგიური განვითარების დონეს და სიმდიდრეს. თუმცა, მშპ-იც კი მიახლოებითი მაჩვენებელია და ეკონომისტები ხმირად ვერც კი თანხმდებიან იმაზე, როგორ გაზომონ ის. წინამდებარე წიგნში გამოყენებული მშპ-ის მაჩვენებლები ძირითადად ტრადიციული მეთოდითაა გამოთვლილი, თუმცა ალტერნატიული მეთოდის მიხედვით[2] გლობალური ჩრდილოეთის ქვეყნების მშპ შეიძლება საშუალოდ 50%-ით ნაკლები იყოს, ხოლო გლობალური სამხრეთის ქვეყნებისა – 50%-ით მეტი. ამგვარად, მშპ მატერიალური შესაძლებლობების შეფასებისათვის კარგი, თუმცა არა ბოლომდე ზუსტი ინსტრუმენტია.

ძალა არამატერიალურ ელემენტებზეცაა დამოკიდებული. სახელმწიფოს საკუთარი შესაძლებლობები იმდენად აძლევს სხვა ქვეყნებზე ზეგავლენის პოტენციალს, რამდენადაც პოლიტიკურ ლიდერებს შეუძლიათ ეფექტიანად და სტრატეგიულად მოახდინონ ამ შესაძლებლობების მობილიზება და გამოყენება. ეს დამოკიდებულია ეროვნულ სულისკვეთებაზე, დიპლომატიურ უნარებზე, ხელისუფლებისადმი ხალხის მხარდაჭერაზე (მის ლეგიტიმურობაზე) და ა.შ. ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს *იდეების ძალას*, რაც წარმოადგენს შესაძლებლობების ზეგავლენის გაზრდის უნარს ფსიქოლოგიური პროცესის გზით. ეს პროცესი მოიცავს შესაძლებლობების შიდა მობილიზაციას – ხშირ შემთხვევაში რელიგიის, იდეოლოგიის ან (განსაკუთრებით) ნაციონალიზმის გზით. საერთაშორისო გავლენა ასევე მოიპოვება ქცევის ისეთი წესების ჩამოყალიბებით, რომლებიც ცვლიან სხვა სახელმწიფოების მიერ თავიანთი ეროვნული ინტერესების აღქმას. თუ რომელიმე სახელმწიფოს ღირებულებებს ფართოდ იზიარებენ სხვა ქვეყნებიც, ეს სახელმწიფო მარტივად შეძლებს მათზე გავლენის მოხდენას. ამას უწოდებენ *რბილ ძალას*. მაგალითად, შეერთებულმა შტატებმა ბევრ სახელმწიფოზე მოახდინა გავლენა, მიეღოთ თავისუფალი ბაზრებისა და თავისუფალი ვაჭრობის იდეა.

2 იგულისხმება მსყიდველობის უნარიანობის პარტიტეტი. იხ. თავი 7. *რედ. შენ.*

ამდენად, დომინირება არ არის ძალის გამოვლენის (სხვებზე გავლენის მოხდენის) ერთადერთი გზა. ორმრხივობისა და იდენტობის ძირითადმა პრინციპებმაც შეიძლება ასევე იმოქმედოს (რბილი ძალის შემთხვევაში). მაგალითად, მამას, რომელსაც უნდა, რომ ბავშვმა სუპერმარკეტში ყვირილი შეწყვიტოს, შეუძლია მას დაემუქროს ან ყურიც კი აუწიოს (დომინირება); მას შეუძლია ბავშვს ტკბილეულს დაპირდეს კარგად მოქცევის სანაცვლოდ (ორმხივობა); ან მან შეიძლება ასეთ თემებზე გაამახვილოს მისი ყურადღება – „მოიქეცი, როგორც დიდი ბიჭი/გოგო“ ან „ხომ გინდა, რომ მამას დაეხმარო?“ (იდენტობა). მართალია, რეალისტები დომინანტურ მიდგომებს უსვამენ ხაზს, მაგრამ ისინი არ უარყოფენ, რომ სახელმწიფოები ზოგჯერ სხვა გზებითაც აღწევენ თავიანთ მიზნებს. რეალისტებიც კი აღიარებენ, რომ ძალა დამდგარი შედეგების მხოლოდ ზოგად გაგებას გვთავაზობს. რეალურ სამყაროში შედეგები დამოკიდებულია ბევრ სხვა ელემენტზე, მათ შორის შემთხვევითობასა და იღბალზეც.

გამომდინარე იქედან, რომ ძალა ფარდობითი ცნებაა, სახელმწიფოს შეიძლება გააჩნდეს ძალა მხოლოდ სხვა ქვეყნის ძალასთან შედარებით. *შედარებითი ძლიერება* არის იმ ძალების თანაფარდობა, რომელიც ორ სახელმწიფოს შეუძლია ერთმანეთის წინააღმდეგ გამოიყენოს. რეალისტებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს შესაძლებლობები იზრდება თუ იკლებს აბსოლუტურ მაჩვენებლებში, არამედ მათთვის ის არის საინტერესო, ჩამოუვარდება თუ აღემატება იგი მეტოქე სახელმწიფოების შესაძლებლობებს. მაგალითად, ინდოეთი შეიძლება სწრაფად ზრდიდეს საკუთარ სამხედრო ძლიერებას, მაგრამ თუ მისი მეტოქე ჩინეთი ამას უფრო სწრაფი ტემპით აკეთებს, ინდოეთი მაინც არასახარბიელოდ მიიჩნევს თავის მდგომარეობას.

2.2.2 ძალის შეფასება

ძალის ლოგიკის თანახმად, ომში ძირითადად ძლიერი სახელმწიფო იმარჯვებს. ამგვარად, ორ ანტაგონისტ სახელმწიფოს შორის შედარებითი ძალის შეფასება ომის შედეგების ახსნაში უნდა დაგვეხმაროს. ამ შეფასებებში, სხვა ფაქტორებთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს დაპირისპირებულ სახელმწიფოთა შედარებითი სამხედრო შესაძლებლობები და თითოეულის ხელისუფლებისადმი ხალხის მხარდაჭერა. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ქვეყნის ეკონომიკის სიდიდე ანუ მშპ-ს მოცულობაა. საკმარისად ჯანსაღი ეკონომიკით სახელმწიფოს დიდი არმიის შენახვა, ხალხის მხარდაჭერის მოპოვება (სამომხმარებლო საქონლის მიწოდებით) და მოკავშირეების შეძენაც შეუძლია.

2.2.3 ძალის ელემენტები

სახელმწიფოს ძალა ბევრი სხვადასხვა ინგრედიენტისგან შედგება. ელემენტები, რომლებიც აქტორმა *გრძელვადიან პერიოდში* შეიძლება



ძალის ეკონომიკა სამხედრო ძალა, როგორიცაა ტანკები, ეკონომიკურ სიძლიერეს ეფუძნება, რაც მიახლოებით მშპ-ით იზომება. აშშ-ის დიდი ეკონომიკა ქვეყანას სამხედრო დომინირებაში ეხმარება. 2003 წელს აშშ-ის ერაყში შეჭრისას, სახელმწიფოს ჰქონდა ფართომასშტაბიანი და მაღალტექნოლოგიური სამხედრო ძალების ახლო აღმოსავლეთში გაგზავნის საშუალება. ფოტოზე ნაჩვენებია აშშ-ის შეიარაღებული ძალების შესვლა ერაყში, მარტი, 2003 წ.

გამოიყენოს არის მშპ, მოსახლეობა, ტერიტორია, გეოგრაფია და ბუნებრივი რესურსები. ეს მახასიათებლები დროთა განმავლობაში ნელა იცვლება. ძალის ნაკლებად ხელშესახები, გრძელვადიანი რესურსები მოიცავს პოლიტიკურ კულტურას, პატრიოტიზმს, მოსახლეობის განათლებას, სამეცნიერო და ტექნოლოგიური საფუძვლების სიძლიერეს. ასევე, სახელმწიფოსათვის ძალის გრძელვადიან ბაზისს წარმოადგენს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სანდოობა (ე.წ. „სიტყვის შემსრულებლის“ რეპუტაცია). ასეთივეა სახელმწიფოს კულტურისა და ღირებულებების უნარი, სხვა ქვეყნის აზროვნება თანმიმდევრულად შეცვალოს და ჩამოაყალიბოს (იდეების ძალა).

სხვა შესაძლებლობები საშუალებას აძლევს აქტორებს, თავისი ზეგავლენა *მოკლევადიან პერიოდში* განახორციელოს. სამხედრო ძალა ყველაზე მნიშვნელოვანია სწორედ ასეთი ტიპის შესაძლებლობათა შორის. სამხედრო კონფრონტაციის დროს ორი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ზომას, შემადგენლობასა და მზაობას მოკლევადიან პერსპექტივაში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მათ ეკონომიკებსა თუ ბუნებრივ რესურსებს. კიდევ ერთი შესაძლებლობაა სამხედრო-ინდუსტრიული სიმძლავრე, ანუ ქვეყნის უნარი, სწრაფად აწარმოოს შეიარაღება. ბიუროკრატიის ხარისხი კიდევ ერთი ტიპის შესაძლებლობაა, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, შეაგროვოს ინფორმაცია, მართოს საერთაშორისო ვაჭრობა ან მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციებში. მოკლევადიანი პერსპექტივის ნაკლებად ხელშესახები შესაძლებლობებია, როდესაც აქტორი ამომრჩევლებისა და მოკავშირეებისაგან იღებს *მხარდაჭერასა* და *ლეგიტიმაციას*, რისი გამოყენებაც მას გავლენის მოსაპოვებლად შეუძლია. ასეთივეა ეროვნული არმიისა და პოლიტიკოსების *ერთგულება* ლიდერისადმი.

ვინაიდან ნებისმიერი აქტორი მხოლოდ შეზღუდულ რესურსებს განკარგავს, ამიტომ ხდება შესაძლებლობებს შორის გაცვლა. მაგალითად, შეიარაღებული ძალების გაძლიერებაში ჩადებული რესურსები შესაძლოა მოაკლდეს საგარეო დახმარებას. ამის მსგავსად, სამომხმარებლო საქონლის მიწოდებით ხალხის ერთგულების ყიდვა ამცირებს შეიარაღებული ძალების განვითარებისთვის საჭირო რესურსებს. თუ ძალის ერთი ელემენტი შეიძლება კონვერტირდეს სხვა ელემენტად, მას *ურთიერთშემცვლელი* ეწოდება. ზოგადად, ფული ამ თვალსაზრისით ძალის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან ფულით შეიძლება სხვა შესაძლებლობების შეძენა.

რეალისტები *შეიარაღებულ ძალას* ეროვნული ძალის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტად განიხილავენ მოკლევადიან პერსპექტივაში, სხვა ელემენტებს კი, როგორებიცაა ეკონომიკური სიძლიერე, დიპლომატიური უნარები, მორალური ლეგიტიმაცია, იმდენ მნიშვნელობას ანიჭებენ, რამდენადაც ისინი ურთიერთშემცვლელია სამხედრო ძალასთან მიმართებაში. თუმცა, კონკრეტული კონფლიქტის ბუნებიდან გამომდინარე, სამხედრო ძალა შეიძლება ძალის სხვა ელემენტებს შორის მხოლოდ ერთ-ერთი აღმოჩნდეს.

საკითხის მორალურობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ძლიერების ზრდას, რადგან ამან შეიძლება გაზარდოს ძალის გამოყენების ნება და მოკავშირეებიც მოიზიდოს. სახელმწიფოები თავიანთ აგრესიულ ქმედებებს რიტორიკაში ხშირად მშვიდობიან და თავდაცვით ზრახვებად ნიღბავენ ხოლმე. რა თქმა უნდა, თუკი სახელმწიფო გადაჭარბებით იყენებს მორალისტურ რიტორიკას მისი პირადი ინტერესების გადასაფარად, ის საკუთარ მოსახლეობაშიც კი კარგავს ნდობას.

გეოგრაფიის, როგორც ძალის ელემენტის გამოყენებას **გეოპოლიტიკა** ეწოდება. ის ხშირად უკავშირდება სამხედრო ძალების ლოგისტიკურ საჭიროებებს. გეოპოლიტიკაში, ისევე როგორც უძრავ ქონებაში, სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია: მდებარეობა, მდებარეობა და მდებარეობა. სახელმწიფოები ზრდიან თავიანთ ძალას იმ დონემდე, სადამდეც მათ გეოგრაფიული ფაქტორი სამხედრო პოტენციალის გაუმჯობესების საშუალებას აძლევს. ამის მაგალითებია მოწინააღმდეგე ძალასთან ახლომდებარე მოკავშირეებისა და ბაზების დაცვა ან ძირითად ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის დაწესება. დღეს მთავარი გეოპოლიტიკური საკითხია ნავთობსადენების მარშრუტების კონტროლი, განსაკუთრებით ცენტრალურ აზიაში. სამხედრო სტრატეგებმა უკვე აღნიშნეს, რომ შელფური ყინულის დნობა (იხ. თავი 8) სამხედრო მიზნებისთვის ახალი საზღვაო გზების გამოყენების საშუალებას აჩენს, რაც რუსეთისა და აშშ-სთვის ახალი გეოპოლიტიკური საკითხი ხდება.

გეოპოლიტიკა (geopolitics)
გეოგრაფიის, როგორც ძალის ელემენტის გამოყენება. ასევე, პოლიტიკური ლიდერებისა და მეცნიერების იდეები ამის თაობაზე.

2.3 საერთაშორისო სისტემა

განსაზღვრეთ ანარქია და ახსენით მისი როლი საერთაშორისო თანამშრომლობის შეფერხებაში

სახელმწიფოები ურთიერთქმედებენ დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული „თამაშის წესებით", რომლებიც არეგულირებს, თუ რა მიიჩნევა სახელმწიფოდ და როგორ ეპყრობიან ისინი ერთმანეთს. ამ წესთა ერთობლიობა განსაზღვრავს საერთაშორისო სისტემას.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემის დასაბამად ხშირად ასახელებენ 1648 წლის ვესტფალიის ზავს, რომლითაც დასრულდა ოცდაათწლიანი ომი. მან ჩამოაყალიბა ძირითადი წესები, რამაც განსაზღვრა საერთაშორისო სისტემის შემდგომი ხასიათი, კერძოდ სახელმწიფოე-

ბის, როგორც საერთაშორისო სისტემის თანასწორი და დამოუკიდებელი წევრების, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. მას შემდეგ, სახელმწიფოებს, რომლებიც ომში მარცხდებოდნენ, შესაძლოა ტერიტორიის ნაწილი ჩამორთმეოდათ, მაგრამ ისინი ძირითადად აგრძელებდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არსებობას და არ ხდებოდნენ გამარჯვებული ქვეყნის ნაწილი. ამ სისტემის ძირითადი მახასიათებელი იყო ის, რომ ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კოალიციას შესწევდა უნარი, დაებალანსებინა სხვა სახელმწიფოს ძალა ისე, რომ მას არ შეძლებოდა უფრო პატარა ერთეულების ჩაყლაპვის გზით მსოფლიო იმპერიის შექმნა.

2.3.1 ანარქია და სუვერენიტეტი

ანარქია (anarchy)
საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში გულისხმობს არა სრულ ქაოსს, არამედ ცენტრალური ხელისუფლების არარსებობას, რომელსაც შეუძლია წესების აღსრულება.

რეალისტების აზრით, საერთაშორისო სისტემა ანარქიულ მდგომარეობაშია. ამ შემთხვევაში ტერმინი **ანარქია** გულისხმობს არა ქაოსს ან სტრუქტურისა და წესების არარსებობას, არამედ ცენტრალური ხელისუფლების არარსებობას, რომელსაც შეუძლია წესების აღსრულება. სახელმწიფოების შიგნით არსებულ საზოგადოებებში ხელისუფლებებს შეუძლიათ აღასრულონ საზოგადოებრივი ხელშეკრულება, აიძულონ მოქალაქეებს წესების შესრულება და ბოლომდე უზრუნველყონ კანონის ცხოვრებაში გატარება. როგორც დემოკრატიაში, ასევე დიქტატურაში ცენტრალური ხელისუფლება აღასრულებს წესების მთელ სისტემას. რეალისტების თქმით, საერთაშორისო სისტემაში არ არსებობს ამგვარი ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც წესების აღსრულებასა და ქცევის ნორმების დაცვას უზრუნველყოფდა. სწორედ ეს ამწვავებს განსაკუთრებულად საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას საერთაშორისო ურთიერთობებში. ერთი სახელმწიფოს ძალას მხოლოდ სხვა სახელმწიფოების ძალა უპირისპირდება. ამგვარად, სახელმწიფოები მხოლოდ *თვითდახმარების* იმედად არიან, რასაც ისინი ავსებენ მოკავშირეებით და (ზოგჯერ) საერთაშორისო ნორმების შემზღუდველი ძალით. ამ ანარქიულ სამყაროში, რეალისტები ხაზს უსვამენ კეთილგონიერებას, როგორც უდიდეს სიქველეს საგარეო პოლიტიკაში. ამგვარად, სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ სხვა სახელმწიფოების არა იმდენად *განზრახვებზე*, რამდენადაც მათ *შესაძლებლობებზე*.

მიუხედავად ანარქიულობისა, საერთაშორისო სისტემა ქაოსური არ არის. სახელმწიფოთა უმრავლესობის ურთიერთქმედებები ახლოსაა ქცევის **ნორმებთან**, რომლებშიც იგულისხმება გაზიარებული მოლოდინები იმის შესახებ, თუ როგორი ქცევა მიიჩნევა სათანადოდ. ნორმები დროთა განმავლობაში ნელ-ნელა იცვლება, თუმცა საერთაშორისო სისტემის ყველაზე ძირითადმა ნორმებმა მხოლოდ მცირედი ცვლილება განიცადა უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე.

ნორმები (norms)

გაზიარებული მოლოდინები იმის შესახებ, თუ როგორი ქცევა მიიჩნევა სათანადოდ.

სუვერენიტეტი (sovereignty)

სახელმწიფოს უფლება, პრინციპის დონეზე მაინც, საკუთარ ტერიტორიაზე გააკეთოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს. ტრადიციულად, სუვერენიტეტი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ნორმაა.

სუვერენიტეტი, ტრადიციულად ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმა, ნიშნავს, რომ ხელისუფლებას პრინციპში აქვს უფლება, საკუთარ ტერიტორიაზე გააკეთოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს. სახელმწიფოები განცალკევებული და ავტონომიური ერთეულები არიან და მათ ზემოთ უფრო მაღალი ხელისუფლება არ დგას. პრინციპულად, ყველა სახელმწიფო თანაბარია სტატუსით, თუმცა არა ძალით. სუვერენიტეტი იმასაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოები არ უნდა ერეოდნენ ერთმანეთის შიდა საქმეებში. მართალია, სახელმწიფოები ცდილობენ ერთმანეთზე გავლენის მოხდენას (ძალის გამოყენებას) ვაჭრობის, ალიანსების, ომისა და სხვა საკითხებზე, მაგრამ, წესით, ისინი არ უნდა ერეოდნენ ერთმანეთის შიდაპოლიტიკურ საქმეებსა და გადაწყვეტილებებში. უფრო წინააღმდეგობრივია ზოგიერთი ქვეყნის მიერ იმის მტკიცება, რომ სუვერენიტეტი მას აძლევს უფლებას, ისე მოექცეს თავის მოსახლეობას, როგორც მოესურვება, მათ შორის ისეთი შემთხვევები, რასაც სხვა სახელმწიფოები გენოციდს უწოდებენ.

საერთაშორისო შეთანხმებების აღსრულებას ართულებს „მსოფლიო პოლიციელის“ არარსებობა, რომელიც სახელმწიფოებს შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში დასჯიდა. მაგალითად, 1990-იან წლებში ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ სხვა სახელმწიფოებს აღარ დაუშვებდა საკუთარი ბირთვული ობიექტების ინსპექტირებაზე, რაც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების დარღვევას წარმოადგენდა. საერთაშორისო საზოგადოება წახალისებისა და მუქარის ერთგვარ ნაზავს იყენებდა ჩრდილოეთ კორეის დასარწმუნებლად, რომ მას ბირთვული მასალების წარმოება შეეწყვიტა. თუმცა, 2002 წელს ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულება დატოვა და რამდენიმე ბირთვული ბომბი შექმნა, რომელთაგან ერთ-ერთი 2006 წელს გამოსცადა კიდეც. 2008 წელს, ბირთვული იარაღის შექმნის შეწყვეტის თაობაზე აშშ-თან შეთანხმების მიღწევის შემდეგ, ჩრდილოეთ კორეა მაინც ეწინააღმდეგებოდა მისი ზოგიერთი ბირთვული ობიექტის ფიზიკურ შემოწმებას და არგუმენტად მოჰყავდა, რომ „ეს ქვეყნის სუვერენიტეტის შემლახველი ქმედება იქნებოდა.“ აღნიშნული მაგალითები ნათლად წარმოაჩენს საერთაშორისო ნორმების აღსრულების სირთულეს სუვერენიტეტზე დამყარებულ საერთაშორისო სისტემაში.

რეალობაში, სახელმწიფოების უმრავლესობას სულ უფრო უჭირს, რომ არ დაუშვას სხვების ჩარევა თავის საქმეებში. „შიდა“ საქმეები, როგორებიცაა ადამიანის უფლებები ან თვითგამორკვევა, უფრო და უფრო



პასპორტი, თუ შეიძლება. სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა სახელმწიფოთა ქცევის წარმმართველი ცენტრალური ნორმებია. ტერორიზმი და სეცესიონისტური მოძრაობები ორ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ამ ნორმებისთვის, თუმცა მსოფლიოში ძირითადად სტაბილური საზღვრები ამ ნორმებს უფრო განამტკიცებს. ყოველდღიურად მილიონობით ადამიანი კვეთს საერთაშორისო საზღვრებს, უმეტეს შემთხვევაში ლეგალურად და მშვიდობიანად, სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემით. ფოტოზე ასეულობით უკრაინელი დგას რიგში პოლონეთში შესასვლელად ევროკავშირსა და უკრაინას შორის უვიზო მიმოსვლის პირველ დღეს 2007 წ.

ხშირად ხდება საერთაშორისო საზოგადოების ზრუნვის საგანი. მაგალითად, საერთაშორისო დამკვირვებლები ხშირად აკვირდებიან საშინაო არჩევნებს გაყალბების ნაწილში, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები მეთვალყურეობენ ეთნიკურ კონფლიქტებს. ასევე, გლობალური ეკონომიკური ბაზრებისა და სატელეკომუნიკაციო სისტემების ინტეგრაცია ამარტივებს იდეების შეღწევას სახელმწიფო საზღვრებში.

სახელმწიფოები ტერიტორიაზეა დაფუძნებული. ყველა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა აღიარებულ საზღვრებში საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი პრინციპია. ბევრი დღევანდელი საზღვარი წარსული ომების შედეგია ან თვითნებურადაა თავსმოხვეული კოლონიალიზმის შედეგად.

სახელმწიფოთაშორისი სისტემის ტერიტორიული ბუნება დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა, როდესაც აგრარული საზოგადოებები სიმდიდრის დაგროვებას სოფლის მეურნეობის საშუალებით ახდენდნენ. დღევანდელ სამყაროში, როდესაც მიწაზე მეტად ვაჭრობა და ტექნოლოგიები ქმნის სიმდიდრეს, ტერიტორია ნაკლებად მნიშვნელოვანია. ინფორმაციაზე დაფუძნებული ეკონომიკები საზღვრების გადაკვეთით მყისიერად უკავშირდება ერთმანეთს და იდეა, რომ სახელმწიფო თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი, არქაულად გამოიყურება. საინფორმაციო ტექნოლოგიების დაჩქარებულმა რევოლუციამ შესაძლოა დრამატული გავლენა მოახდინოს ტერიტორიულ სახელმწიფოთა სისტემაზე უახლოეს წლებში.

სახელმწიფოებმა დიპლომატიური ნორმები იმისთვის შეიმუშავეს, რომ ურთიერთქმედება წაეხალისებინათ. თუმცა, დიპლომატიური ნორმები შესაძლოა დაირღვეს. 1979 წელს, ირანელმა სტუდენტებმა დაიკავეს აშშ-ის საელჩო თეირანში და 444 დღის განმავლობაში ამერიკელ დიპლომატებს ტყვეობაში ამყოფებდნენ. ამ შემთხვევამ ამერიკულ-ირანული ურთიერთობები ძალიან დააზიანა.

უსაფრთხოების დილემა (security dilemma)

ვითარება, როდესაც სახელმწიფოთა მიერ თავიანთი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები სხვა სახელმწიფოების მიერ აღიქმება როგორც მუქარა მათი უსაფრთხოების მიმართ.

რეალისტები აღიარებენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების წესები ხშირად ქმნის **უსაფრთხოების დილემას** – ვითარებას, როდესაც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები (მაგალითად, სამხედრო ძლიერების გაზრდა) სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებას ემუქრება. ამ სხვა სახელმწიფოთა საპასუხო ქმედებები (როგორიცაა, მათი შეიარაღებული ძალების ზრდა) კი ემუქრება პირველ სახელმწიფოს. აღნიშნული დილემა საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულობის ნეგატიური შედეგია. მსოფლიო მთავრობას რომ შეეძლოს, გამოავლინოს და დასაჯოს აგრესორები, სახელმწიფოებს აღარ დასჭირდებოდათ თავის ამგვარად დაცვა. თვითდახმარების სისტემა კი მოითხოვს, რომ სახელმწიფოები მოემზადონ ყველაზე უარესი სიტუაციისათვის. რეალისტები ამ დილემას გადაუჭრელ პრობლემად ხედავენ, ხოლო ლიბერალები ფიქრობენ, რომ ნორმებისა და ინსტიტუტების განვითარების გზით მისი გადაწყვეტა შესაძლებელია (იხ. თავები 3 და 6).

2.3.2 ძალთა ბალანსი

საერთაშორისო სისტემის ანარქიაში ერთი სახელმწიფოს ძალისთვის ყველაზე სანდო მუხრუჭს სხვა სახელმწიფოთა ძალა წარმოადგენს. ტერმინი „ძალთა ბალანსი“ ზოგადი კონცეფციაა და გულისხმობს ერთი ან მეტი სახელმწიფოს ძალის გამოიყენებას სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის დასაბალანსებლად. ძალთა ბალანსი შეიძლება აღნიშნავდეს ძალის შესაძლებლობებს შორის ნებისმიერ შეფარდებას სახელმწიფოების ან ალიანსების შემთხვევაში, ან ნიშნავდეს უბრალოდ ძალის შედარებით თანაბარ გადანაწილებას. ამის გარდა, ძალთა ბალანსი შეიძლება აღნიშნავდეს პროცესს, როდესაც ისტორიის მანძილზე მრავალგზის ჩამოყალიბდა ერთმანეთის საპირწონე კოალიციები, რომელთა მიზანი რეგიონში ერთი სახელმწიფოს გაბატონებისთვის ხელის შეშლა იყო. ძალთა ბალანსის თეორია ამტკიცებს, რომ ასეთი გაწონასწორებები რეგულარულად ხდება და საერთაშორისო სისტემას სტაბილურობას უნარჩუნებს. სისტემა სტაბილურია, რადგან უცვლელია მისი წესები და პრინციპები: სახელმწიფო სუვერენიტეტი არ იკარგება მსოფლიო იმპერიაში. თუმცა, სტაბილურობა არ გულისხმობს მშვიდობას. პირიქით, ეს სტაბილურობა შენარჩუნებულია განმეორებადი ომების საშუალებით, რაც არეგულირებს ძალთა შორის შეფარდებას.

ალიანსები (მოკლედ რომ განვიხილოთ) გადამწყვეტ როლს ასრულებს ძალთა ბალანსში. ერთი ქვეყნის შესაძლებლობების გაზრდა მეტოქის წინააღმდეგ ძალის დაბალანსების ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ ალიანსის ჩამოყალიბება იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლიდანაც მოდის მუქარა, ხშირ შემთხვევაში უფრო სწრაფი, იაფი და ეფექტური გზაა. ზოგჯერ, კონკრეტული სახელმწიფო განზრახ იქცევა დამაბალანსებლად (თავის რეგიონში ან მსოფლიოში), როდესაც ის საკუთარ მხარდაჭერას იმ სახელმწიფოს ან ალიანსის წინააღმდეგ მიმართავს, რომელიც ყველაზე ძლიერია მოცემულ მომენტში. ბრიტანეთი ასეთ როლს ასრულებდა ევროპის კონტინენტზე საუკუნეების განმავლობაში, ხოლო ჩინეთმა ეს როლი ცივი ომის დროს შეასრულა.

ცივი ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც საერთაშორისო სისტემაში აშშ დომინირებდა, ძალთა ბალანსის თეორიის მიხედვით, რუსეთი, ჩინეთი და ევროპაც კი უნდა დაახლოებოდნენ ერთმანეთს აშშ-ის ძალის დასაბალანსებლად. მართლაც, რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობები არსებითად გაუმჯობესდა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა იარაღით ვაჭრობა და საზღვრის დემილიტარიზაცია. ფრანგი ლიდერები კი აკრიტიკებდნენ აშშ-ის „ჰიპერძალას.“ თუმცა, ბოლო წლებში აშშ-ის ძალა მნიშვნელოვნად შემცირდა ავღანეთისა და ერაყის ოპერაციების გამო და მისი ეკონომიკაც დასუსტდა, ხოლო ჩინეთის ძალა ზრდის პროცესშია. შესაბამისად, ახლა უფრო მეტი ქვეყანა ცდილობს ჩინეთის დაბალანსებას, ვიდრე აშშ-ს. 2012 და 2013 წლებში იაპონიამ არაერთი სამხედრო ხელშეკრუ-


ძალთა ბალანსი
alance of power)

ზოგადი კონცეფციაა, რომლის მიხედვითაც ერთი ან მეტი სახელმწიფოს ძალა გამოიყენება სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის დასაბალანსებლად. ტერმინი შესაძლოა გულისხმობდეს: (1) ძალის შესაძლებლობების ნებისმიერ შეფარდებას სახელმწიფოებს ან ალიანსებს შორის; (2) ძალის შედარებით თანაბარ გადანაწლებას; (3) პროცესს, რომელსაც ერთმანეთის საპირწონე კოალიციები მრავალგზის იმეორებდნენ ისტორიის მანძილზე, რათა ხელი შეეშალათ რეგიონში ერთი სახელმწიფოს გაბატონებისათვის.

ლება გააფორმა ყოფილ მეტოქეებთან, სამხრეთ კორეასა და ფილიპინებთან, ასევე, კიდევ უფრო განამტკიცა საკუთარი კავშირები აშშ-სთან და ეს ყველაფერი ჩინეთის მზარდ ძალაზე საპასუხოდ.

გრაფიკი 2.2 აშშ-ის მიმართ დამოკიდებულება ექვს ქვეყანაში, 2002-2017 (დადებითი დამოკიდებულება პროცენტებში)

წყარო: Pew Global Attitudes Project. 2000 წლის მონაცემები აღებულია State Department surveys.



მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი ასევე ასახავს ძალთა ბალანსში მომხდარ ცვლილებებს. 2003 წელს, როდესაც ერაყის ომი დაიწყო, ისლამურ ქვეყნებში ანტიამერიკულმა განწყობებმა იჩინა თავი. ინდონეზიაში, პაკისტანში, თურქეთსა და ნიგერიაში – ანუ იმ ქვეყნებში, სადაც მსოფლიო მუსლიმთა ნახევარი ცხოვრობს – მოსახლეობის 70%-ზე მეტს აშფოთებდა, რომ აშშ შესაძლოა მათ ქვეყნებსაც დამუქრებოდა. ასეთივე წუხილს იზიარებდა რუსეთის მოსახლეობის 71%. 44 ქვეყანაში გამოკითხული 38 ათასი რესპონდენტის კვლევამ აჩვენა, რომ 2002-დან 2003 წლამდე მნიშვნელოვნად შემცირდა აშშ-ის მიმართ მხარდაჭერა. როგორც გრაფიკი 2.2 გვიჩვენებს, მსოფლიოს მასშტაბით ამერიკის მიმართ დადებითი დამოკიდებულების კლების ტენდენცია 2007 წლამდე გაგრძელდა, ხოლო 2008 წლის შემდეგ, როდესაც აშშ-მა სხვადასხვა ომებიდან გამოსვლა და ძალის ნაკლებად დემონსტრირება დაიწყო, მის მიმართ დამოკიდებულება ისევ შეიცვალა. საზოგადოებრივი აზრის ამგვარი ცვლილება შეიძლება იყოს როგორც მიზეზი, ასევე შედეგი საერთაშორისო პოლიტიკისა. საზოგადოებრივმა აზრმა შესაძლოა შესაბამისი ქვეყნების მთავრობები აიძულოს, მეტად ან ნაკლებად ითანამშრომლონ აშშ-სთან მსოფლიო არენაზე და ასევე, საზოგადოებრივი აზრი ამ ქვეყნებში

შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თანამშრომლობს თუ მტრულ დამოკიდებულებაშია იგი აშშ-სთან.

2.3.3 დიდი და საშუალო სახელმწიფოები

მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ საერთაშორისო მოვლენებზე და ამიტომაც, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა მხრიდანაც ყველაზე მეტ ყურადღებას ისინი იქცევენ. მართალია, მკვეთრი გამყოფი ხაზი არ არსებობს, მაგრამ **დიდ სახელმწიფოებად** ზოგადად განიხილება დაახლოებით ხუთი-ექვსი ძლიერი ქვეყანა. მე-20 საუკუნემდე დიდი სახელმწიფოების კლუბი მხოლოდ ევროპული ქვეყნებისგან შედგებოდა. ზოგჯერ დიდი სახელმწიფოს სტატუსს ფორმალურად აღიარებს საერთაშორისო სტრუქტურა, მაგალითად, მე-19 საუკუნის ევროპის კონცერტი ან თანამედროვე გაეროს უშიშროების საბჭო. ზოგადად, დიდ სახელმწიფოს ხშირად განსაზღვრავენ როგორც ქვეყანას, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით შეიძლება მხოლოდ სხვა დიდმა სახელმწიფომ დაამარცხოს. დიდი სახელმწიფოებისთვის ასევე დამახასიათებელია გლობალური ხედვა, დაფუძნებული ეროვნულ ინტერესებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად სცდება მათი ტერიტორიების საზღვრებს.

დიდი სახელმწიფოები (great powers)
როგორც წესი, დაახლოებით ექვსი ყველაზე ძლიერი ქვეყანა. მე-20 საუკუნემდე დიდი სახელმწიფოების კლუბი მხოლოდ ევროპული ქვეყნებისგან შედგებოდა.

დიდ სახელმწიფოებს, როგორც წესი, მსოფლიოში უძლიერესი შეიარაღებული ძალები და მის შესანახად საჭირო დიდი ეკონომიკა აქვთ. ეს ეკონომიკა, თავის მხრივ, ეფუძნება დიდი მოსახლეობის, უხვი ბუნებრივი რესურსების, მოწინავე ტექნოლოგიებისა და მომზადებული სამუშაო ძალის კომბინაციას. გამომდინარე იქედან, რომ ძალა დამოკიდებულია ამგვარ რესურსებზე, დიდ სახელმწიფოთა სისტემაში ცვლილებები ნელა ხდება. დიდი სახელმწიფო იშვიათად კარგავს ამ სტატუსს, მაშინაც კი, როცა იგი ფართომასშტაბიან ომში მარცხდება. ეს იმიტომ ხდება, რომ მისი ზომა და გრძელვადიანი ეკონომიკური პოტენციალი დროში ნელა იცვლება. ამიტომაცაა, რომ მეორე მსოფლიო ომში განადგურებული გერმანია და იაპონია დღეს ისევ ძლიერი სახელმწიფოებია.

ევროპის კონცერტში, ანუ მე-19 საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, ხუთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო ცდილობდა (გარკვეული წარმატებითაც), ერთმანეთთან ეთანამშრომლა ძირითად საკითხებში, რაც ომის თავიდან ასაცილებლად იყო საჭირო. ეს შეიძლება გაეროს უშიშროების საბჭოს პრეცედენტად მივიჩნიოთ. იმ პერიოდში ბრიტანეთი დამაბალანსებელ ძალას წარმოადგენდა – იგი იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ შექმნილ ალიანსს უერთდებოდა, რომელიც ევროპაში ყველაზე მეტად ძლიერდებოდა მოცემულ მომენტში.


მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიასთან მებრძოლი მოკავშირეები, აშშ და საბჭოთა კავშირი, ერთმანეთის მოწინააღმდეგეებად იქცნენ ცივი ომის მომდევნო 40 წლის განმავლობაში. ევროპა ორ დაპირისპირებულ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბლოკად გაიხლიჩა, გერ-

მანია კი ორ სახელმწიფოდ გაიყო. დანარჩენი მსოფლიო იქცა სადავო ტერიტორიად, სადაც ორივე ბლოკი ცდილობდა, გაეჩინა მოკავშირეები ან გავლენის სფეროები, რაც ხშირად რეგიონულ და სამოქალაქო ომებში დაპირისპირებული მხარეების მხარდაჭერით ხდებოდა. 1990 წლისთვის ცივი ომის დასრულებით, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, საერთაშორისო სისტემა უფრო თანამშრომლობაზე ორიენტირებულ, ევროპის კონცერტის მსგავს დიდ სახელმწიფოთა წესრიგს დაუბრუნდა.

რომელი ქვეყნებია დღეს დიდი სახელმწიფოები? მართალია, განსაზღვრებები განსხვავდება, მაგრამ დღესდღეობით შვიდი ქვეყანა აკმაყოფილებს დიდი სახელმწიფოს კრიტერიუმებს: აშშ, ჩინეთი, რუსეთი, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და ბრიტანეთი. ერთად აღებული, ამ ქვეყნების მშპ მსოფლიოს მთლიანი მშპ-ის ნახევარზე მეტია და სამხედრო ხარჯების 2/3 (იხ. ცხრილი 2.3). მათ შორისაა გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი, რომლებიც ასევე ბირთვული „კლუბის" წევრებიც არიან, ანუ ღიად ფლობენ ბირთვული იარაღის ფართო არსენალს.

გრაფიკი 2.3 დიდი სახელმწიფოების წილი მსოფლიო მშპ-ში, 2017 წ. და სამხედრო ხარჯებში, 2016 წ.

წყაროები: World Bank Development Indicators, 2017; SIPRI Yearbook, 2016.



ამ სიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ და ჩინეთი. აშშ მიჩნეულია მსოფლიოს ერთადერთ ზესახელმწიფოდ, გამომდინარე მსოფლიო ლიდერობაში მისი ისტორიული როლიდან (განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროსა და მის შემდგომ პერიოდში) და მისი უპირატესი სამხედრო ძლიერებიდან. ჩინეთს მსოფლიოში ყველაზე დიდი მოსახლეობა ჰყავს, მისი ეკონომიკის ზრდის ტემპები მაღალია (8-10% ყოვე-

ლწლიურად უკანასკნელი 30 წლის მანძილზე)[3] და იგი ფლობს დიდ და მოდერნიზების პროცესში მყოფ სამხედრო ძალას, მათ შორის, მნიშვნელოვან ბირთვულ არსენალს. მოსალოდნელია, რომ ჩინეთი არსებით გავლენას მოახდენს მსოფლიოზე მომდევნო 20 წლის განმავლობაში, ალბათ, ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან შედარებით. იაპონია და გერმანია წარმოადგენენ დიდ სახელმწიფოებს ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორივე მათგანი შეზღუდულ როლს ასრულებდა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში. მიუხედავად ამისა, ორივე სახელმწიფოს ჰყავს დიდი და ძლიერი სამხედრო ძალები და მათ უკვე დაიწყეს ამ ძალების განთავსება საზღვარგარეთ, განსაკუთრებით სამშვიდობო ოპერაციებში. რუსეთი, საფრანგეთი და ბრიტანეთი მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებულები არიან და მას შემდეგ აქტიურ სამხედრო ძალებად გვევლინებიან. მართალია, თავიანთ კოლონიურ წარსულთან შედარებით, მათი მდგომარეობა დაჯნინდა, მაგრამ ისინი დღემდე ინარჩუნებენ დიდი სახელმწიფოს სტატუსს.

საშუალო სახელმწიფოებს მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებზე დიდ სახელმწიფოებთან შედარებით ნაკლები გავლენა აქვთ. საშუალო სახელმწიფოების სიას (რომელსაც ყველა არ დაეთანხმებოდა) შეიძლება მივაკუთვნოთ გლობალური ჩრდილოეთის საშუალო ზომის ქვეყნები, როგორებიცაა – კანადა, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, პოლონეთი, უკრაინა, სამხრეთ კორეა და ავსტრალია. აქვე შეიძლება მოვიაზროთ გლობალური სამხრეთის დიდი ან გავლენიანი ქვეყნები, როგორებიცაა – ინდოეთი, ინდონეზია, ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა, ნიგერია, სამხრეთ აფრიკა, ისრაელი, თურქეთი, ირანი და პაკისტანი. საშუალო სახელმწიფოები არ იქცევენ ისეთივე ყურადღებას საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში, როგორსაც დიდი სახელმწიფოები.

საშუალო სახელმწიფოები (middle powers)
სახელმწიფოები, რომლებიც ჩამორჩებიან დიდ სახელმწიფოებს მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებზე მათი გავლენის თვალსაზრისით (მაგალითად, ბრაზილია და ინდოეთი).

2.3.4 ძალთა განაწილება

გამომდინარე იქიდან, რომ ყოველი სახელმწიფოს ძალას სხვა სახელმწიფოები აბალანსებენ, ზოგიერთი რეალისტის თვალსაზრისით, საერთაშორისო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი სახელმწიფოთა შორის ძალთა განაწილებაა. ძალთა განაწილების კონცეფცია შესაძლოა მოერგოს როგორც მთელს მსოფლიოს, ასევე ერთი კონკრეტული რეგიონის ქვეყნებს, თუმცა ყველაზე ხშირად ის ეხება დიდი სახელმწიფოების სისტემას.

ნეორეალიზმი, იგივე *სტრუქტურული რეალიზმი*, საერთაშორისო მოვლენების ხასიათს უფრო სისტემის სტრუქტურიდან, ანუ ძალთა საერთაშორისო განაწილებიდან გამომდინარე ხსნის, ვიდრე ინდივიდუალური სახელმწიფოების შიდა ბუნებიდან. რეალიზმის კლასიკურ თეო-


ნეორეალიზმი (neorealism)
რეალიზმის თეორიის ვერსია, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოს ქცევაზე სისტემის სტრუქტურის, განსაკუთრებით ძალთა საერთაშორისო განაწილების, გავლენას.

3 2023 წლიდან მოსახლეობის რაოდენობით ჩინეთს ინდოეთმა გადაასწრო. *რედ. შენ.*

რიასთან შედარებით, ნეორეალიზმი უფრო „მეცნიერული“ ხასიათისაა, რადგან მოვლენების ასახსნელად ზოგად კანონებს გვთავაზობს, თუმცა მან დაკარგა კლასიკური რეალიზმის რამდენიმე სიმდიდრე, კერძოდ, ვეღარ ითვალისწინებს ბევრ რთული ელემენტს (გეოგრაფიას, პოლიტიკურ ნებას, დიპლომატიას და ა.შ.). ბოლო დროს *ნეოკლასიკური რეალიზმის* წარმომადგენლები ცდილობენ ზოგიერთი ამ დაკარგული ასპექტის დაბრუნებას.

ძალთა საერთაშორისო (მსოფლიო ან რეგიონული მასშტაბით) განაწილების პოლარულობა აღწერს სისტემაში არსებული ძალის დამოუკიდებელი ცენტრების რაოდენობას. ეს კონცეფცია მოიცავს როგორც სისტემის სხვადასხვა მონაწილეების, ასევე მათ შორის ალიანსების ძალებს. გრაფიკი 2.4 ასახავს დიდი სახელმწიფოების პოტენციური კონფიგურაციის რამდენიმე ვარიანტს.

გრაფიკი 2.4 ძალთა განაწილება საერთაშორისო სისტემაში



შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მშვიდობა ყველაზე უკეთ მაშინაა უზრუნველყოფილი, როდესაც სისტემაში ყველა სახელმწიფო შედარებით თანაბარ ძალას ფლობს (მულტიპოლარული სისტემა), რადგან არცერთს აქვს იოლად გამარჯვების უნარი. თუმცა, ამ თეორიას არ აქვს ძლიერი ემპირიული დადასტურება. რეალურად, მის საპირისპირო დებულებას უფრო მეტი ემპირიული მხარდაჭერა აქვს, ანუ მშვიდობა უკეთ ნარჩუნდება ჰეგემონიის პირობებში, ხოლო ამის შემდგომი საუკეთესო ვარიანტია ბიპოლარული სისტემა.

ძალის ტრანზიციის თეორია ამტკიცებს, რომ ყველაზე დიდი ომები სტატუსთა იერარქიაში უმაღლესი პოზიციისთვის ბრძოლის შედეგია, როდესაც მზარდი სახელმწიფო გადაასწრებს (ან არსებობს საფრთხე, რომ გადაასწროს) უძლიერეს სახელმწიფოს. ასეთ დროს, ძალა შედარებით თანაბრადაა გადანაწილებული და ეს ყველაზე სახიფათო დროა დიდი ომებისთვის. სტატუს კვო სახელმწიფოები, რომლებიც ძველი წესების პირობებში თავს კარგად გრძნობენ, ეცდებიან მათ შენარჩუნებას, ხოლო ე.წ. „ჩელენჯერები,"[4] რომლებიც თავს უგულებელყოფილად გრძნობენ ამ წესების პირობებში, ეცდებიან მათ შეცვლას. როდესაც მზარდი სახელმწიფოს სტატუსი (ფორმალური პოზიცია იერარქიაში) არ თანხვდება მის რეალურ ძალას, ის შესაძლოა აღმოჩნდეს შედარებითი დეპრივაციის მდგომარეობაში, ანუ მისი მოსახლეობა შეიძლება ფიქრობდეს, რომ ისინი სხვებივით კარგად არ არიან ან ისე კარგად არ არიან, როგორც ამას იმსახურებენ, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური თვალსაზრისით მათი მდგომარეობა გაუმჯობესებულია. გერმანიის აღზევებამ მე-19 საუკუნეში მას დიდი ძალის შესაძლებლობები მისცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის კოლონიების გარეშე იყო და არც დიდი ძალის სტატუსისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები ჰქონდა. შესაძლოა, ამ დაძაბულობამ თავისი წვლილი შეიტანა ორი მსოფლიო ომის გაჩაღებაში.

ძალის ტრანზიციის თეორია (power transition theory)
თეორია, რომლის მიხედვითაც ყველაზე დიდი ომები სტატუსთა იერარქიაში უმაღლესი პოზიციისთვის ბრძოლის შედეგია, როდესაც მზარდი სახელმწიფო გადაასწრებს (ან არსებობს საფრთხე, რომ გადაასწროს) უძლიერეს სახელმწიფოს.

შესაძლებელია, რომ ჩინეთი და აშშ მსგავსი დინამიკის წინაშე აღმოჩნდნენ მომავალში. ჩინეთისთვის შესაძლოა კიდევ უფრო მიუღებელი გახდეს საერთაშორისო წესები და ნორმები, რომლებიც, მისი აზრით, აშშ-ს ინტერესებს ემსახურება. თავის მხრივ, აშშ შეიძლება შეშინდეს, რომ ჩინეთი თავის მზარდ ეკონომიკურ და სამხედრო ძალას ამერიკას დაუპირისპირებს. 2010 წლის აშშ-ის სამხედრო სტრატეგიული მიმოხილვის მიხედვით, ჩინეთის „გრძელვადიანი ზრახვები" ბადებს კითხვებს ძალის ტრანზიციაზე მომავალში.

2.3.5 ჰეგემონია

ჰეგემონია არის ერთი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სისტემაში ძალის უპირატესობის ფლობა, რაც მას საშუალებას აძლევს, ერთპიროვნული დომინირება მოიპოვოს იმ წესებსა და შეთანხმებებზე, რომელთა საშუალებითაც საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები წარიმართება. ასეთ სახელმწიფოს ეწოდება *ჰეგემონი*. (როგორც წესი, ჰეგემონია ნიშნავს მსოფლიო დომინირებას, თუმცა ზოგჯერ რეგიონულსაც ეხება). იტალიელი მარქსისტი თეორეტიკოსი ანტონიო გრამში ამ ტერმინს იყენებდა იმ რთული იდეების აღსაწერად, რომელთაც მმართველები მიმართავენ ლეგიტიმურობის მოსაპოვებლად და ქვეშევრდომთა თანხმობის უზრუნველსაყოფად, რითაც ამცირებენ იმავე

ჰეგემონია (hegemony)
ერთი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სისტემაში ძალის უპირატესობის ფლობა, რაც მას საშუალებას აძლევს, ერთპიროვნული დომინირება მოიპოვოს იმ წესებსა და შეთანხმებებზე, რომელთა საშუალებითაც საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები წარიმართება.

4 სიტყვასიტყვით ნიშნავს „გამომწვევს" ან „პრეტენდენტს", თუმცა საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვან ლიტერატურაში დამკვიდრებულია ტერმინი ჩელენჯერი. *რედ. შენ.*

მიზნის მისაღწევად ძალის გამოყენების საჭიროებას. საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში ამგვარი მნიშვნელობა აქვს ისეთი იდეების ჰეგემონიას, როგორებიცაა დემოკრატია, კაპიტალიზმი და აშშ-ის კულტურის გლობალური დომინირება.



ჩინეთის აღზევება რეალისტები ომსა და მშვიდობას შედარებითი ძალის კონცეფციით ხსნიან. ჩინეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია, სწრაფად მზარდ ეკონომიასთან კომბინაციაში, გაზრდის მის ძალას მომავალ ათწლეულებში. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ აზიაში დესტაბილიზაციაა მოსალოდნელი, თუკი რეგიონში ძალთა ბალანსი სწრაფად შეიცვლება. ფოტოზე ჩინეთის მოქალაქეები აღნიშნავენ მეორე ჩინური ავიამზიდის წყალში გაშვებას 2017 წელს.

ჰეგემონიის შესახებ კვლევების უმეტესობაში მოყვანილია ორი მაგალითი – მე-19 საუკუნის ბრიტანეთი და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი აშშ. ბრიტანეთის დომინირება მოჰყვა მისი მთავარი მეტოქის, საფრანგეთის დამარცხებას ნაპოლეონის ომებში. მსოფლიო ვაჭრობა და საზღვაო ძალები ბრიტანეთის ხელში მოექცა, როგორც იტყოდნენ, „ბრიტანეთი მართავდა ტალღებს.“ აშშ-ის დომინირება მეორე მსოფლიო ომის გამანადგურებელ შედეგებს მოჰყვა. გვიან 1940-იან წლებში, აშშ-ის მშპ მსოფლიო მშპ-ის ნახევარს აჭარბებდა, ამერიკულ გემებზე მოდიოდა მსოფლიო ნაოსნობის უდიდესი ნაწილი, ამერიკის შეიარაღებულ ძალებს მარტო შეეძლოთ ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის დამარცხება და მხოლოდ აშშ ფლობდა ბირთვულ იარაღს. აშშ-ს მრეწველობა სათავეში ედგა მსოფლიოს ტექნოლოგიებსა და წარმადობას, ხოლო ამერიკის მოქალაქეებს ჰქონდათ ცხოვრების ყველაზე მაღალი სტანდარტები.

დროთა განმავლობაში ომის შედეგად გაჩენილი უთანასწორობა ქრება (სახელმწიფოები ძალებს აღიდგენენ წლების და ათწლეულების განმავლობაში) და შეიძლება დაიწყოს ჰეგემონის დაკნინება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის მეტისმეტად გადაიტვირთება ძვირადღირებული სამხედრო ვალდებულებებით. საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევრები ვერ თანხმდებიან, რამდენად შორსაა წასული ან რამდენად სწრაფია აშშ-ის დაკნინება, ან სულაც აქვს კი მას ადგილი და გამოიწვევს თუ არა ეს საერთაშორისო არასტაბილურობას.

ჰეგემონური სტაბილურობის თეორია (hegemonic stability theory)

ამ თეორიის მიხედვით, საერთაშორისო რეჟიმი ყველაზე უფრო ქმედითია მაშინ, როდესაც საერთაშორისო სისტემაში ძალა ყველაზე მეტად კონცენტრირებულია.

ჰეგემონური სტაბილურობის თეორია ამტკიცებს, რომ ჰეგემონი ცენტრალური ხელისუფლების მსგავსად ამყარებს წესრიგს საერთაშორისო სისტემაში: ამცირებს ანარქიას, აკავებს აგრესიას, ხელს უწყობს თავისუფალ ვაჭრობას, იძლევა მყარ ვალუტას, რომელიც შეიძლება გამოიყენონ მსოფლიო სტანდარტად. ჰეგემონს შეუძლია მოაგვაროს ან სულ მცირე, აკონტროლოს კონფლიქტები საშუალო ან პატარა სახელმწიფოებს შორის. როდესაც მსოფლიოში ერთი სახელმწიფოს ძალა დომინირებს, მას ცალმხრივად შეუძლია აღასრულოს წესები და ნორმები, რითაც გვერდს უვლის საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას. კერძოდ, ამ თვალსაზ-

რისით ჰეგემონს შესწევს უნარი, შეინარჩუნოს თავისუფალი ვაჭრობა და ხელი შეუწყოს მსოფლიო ეკონომიკურ ზრდას.

მასზე ნაკლებად ძლიერი სახელმწიფოების პერსპექტივიდან კი, ჰეგემონია შეიძლება ჩანდეს როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელყოფა, ხოლო წესრიგი, რომელსაც ჰეგემონი ქმნის – უსამართლო და არალეგიტიმური. მაგალითად, 1949 წლიდან 20 წლის განმავლობაში ჩინეთს აღიზიანებდა აშშ-ის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები. იმ დროს აშშ-ის ძალა ზენიტში იმყოფებოდა და ჩინეთი გარშემორტყმული იყო ამერიკული სამხედრო ბაზებითა და აშშ-ის მიერ შექმნილი, ჩინეთისთვის მტრული ალიანსებით. დღესაც, ჩინეთის ლიდერები *ჰეგემონიას* შეურაცხმყოფელ ტერმინად იყენებენ და ჰეგემონური სტაბილურობის თეორია მათ საერთოდ არ ხიბლავთ.

აშშ-ის მსოფლიო ჰეგემონიასთან დაკავშირებით შეერთებულ შტატებშიც კი ამბივალენტური დამოკიდებულება აქვთ. ისტორიულად აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ხან *ინტერნაციონალისტური* და ხანაც *იზოლაციონისტური* ხასიათის იყო. ის დაარსდა ევროპაზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემისგან მოშორებულად და მე-19 საუკუნეში იზრდებოდა ინდუსტრიალიზაციისა და ჩრდილოეთ ამერიკის შიგნით გაფართოების ხარჯზე. შეერთებულმა შტატებმა შეიძინა კოლონიები ფილიპინებისა და პუერტო-რიკოს სახით, მაგრამ არ შესულა იმპერიული ძალის როლში. აშშ-მ სამი წელი იცადა პირველ მსოფლიო ომში ჩაბმამდე, ხოლო ომის დასრულების შემდეგ უარი განაცხადა ერთა ლიგაში გაწევრიანებაზე. აშშ-ის იზოლაციონიზმმა პიკს 1930-იან წლებში მიაღწია. საზოგადოებრივი აზრის კვლევებმა 1930-იანი წლების ბოლოს აჩვენა, რომ მოსახლეობის 95% ეწინააღმდეგებოდა სამომავლოდ მასშტაბურ ევროპულ ომებში ჩართვას, ხოლო დაახლოებით 70% წინააღმდეგი იყო ერთა ლიგაში შესვლის ან აგრესიის შესაჩერებლად სხვა ქვეყნებთან გაერთიანების.

ინტერნაციონალისტები, როგორებიც იყვნენ პრეზიდენტები თეოდორ რუზველტი და ვუდრო ვილსონი, მსოფლიო საქმეებში აშშ-ის ლიდერობას და აქტიურობას ემხრობოდნენ. ინტერნაციონალისტების ხედვები ნაწილობრივ იმით იყო გამყარებული, რომ იზოლაციონიზმის პოლიტიკამ ვერ შეძლო მეორე მსოფლიო ომის შეჩერება ან თავიდან აცილება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელ ლიდერებს საბჭოთა (და მერე ჩინეთის) კომუნიზმი აშინებდათ და ცივი ომის პერიოდში ამერიკულ საზოგადოებრივ აზრს ძლიერი ინტერნაციონალიზმისკენ უბიძგებდნენ. ამერიკის შეერთებული შტატები გადაიქცა აქტიურ, გლობალურ ზესახელმწიფოდ.

მეორე საკითხი, რაც აშშ-ში ამბივალენტურ დამოკიდებულებას იწვევს, ესაა საერთაშორისო მოვლენებში ჩართვისას *უნილატერალიზმი* თუ *მულტილატერალიზმი*. მულტილატერალური მიდგომები, ანუ საერთაშორისო ინსტიტუტების გავლით მოქმედება, აშშ-ის ძალას ზრდის და ხარჯებს ამცირებს, მაგრამ ამასთანავე მას მოქმედების თავისუფლებას უზღუდავს. 1990-იან წლებში აშშ-ს გაეროს მიმართ 1 მილიარდ დოლარზე

მეტი დავალიანება დაუგროვდა. შეერთებულმა შტატებმა შეამცირა ისეთ საერთაშორისო ძალისხმევებში მონაწილეობა, როგორებიც იყო ხელშეკრულება გლობალური დათბობის შესახებ (იხ. თავი 8), რასიზმისადმი მიძღვნილი კონფერენცია და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (იხ. თავი 6). 2003 წლის ერაყის ომი, რომელშიც აშშ-ს ძალიან ცოტა მოკავშირე ჰყავდა და არც გაეროს მხრიდან ჰქონდა მხარდაჭერა, ამერიკის უნილატერალიზმის ყველაზე მძაფრი გამოხატულება იყო.

თუმცა, ეს შეიცვალა 2000-იანი წლების ბოლოს, როდესაც ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ხაზი გაუსვა მულტილატერალიზმის მნიშვნელობას ისეთ საერთაშორისო კონფლიქტებში, როგორებიც იყო ლიბია, სირია და ირანი. ნატომ ახალი მნიშვნელობა შეიძინა ავღანეთში და 2011 წლის ლიბიის კამპანიაში და გაეროს მიმართ დავალიანებაც დაიფარა. ამავდროულად, კონგრესის წევრები (მათი სულ უფრო მზარდი რაოდენობა) და დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია მუდმივად გამოთქვამდნენ სკეპტიციზმს გაეროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების თაობაზე და უფრო უნილატერალურ მიდგომებს ემხრობოდნენ (იხ. ჩანართი „საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები“).

2.4 ალიანსები

ახსენით ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) მიზანი და როგორ შეიცვალა იგი ისტორიულ პერსპექტივაში.

ალიანსი არის კოალიცია სახელმწიფოებისა, რომლებიც საკუთარი მოქმედებების კოორდინაციას ახდენენ საერთო მიზნის მისაღწევად. ალიანსების უმრავლესობა ფორმდება წერილობითი ხელშეკრულებების სახით, ეხება საერთო საფრთხესა და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, ასევე გამძლეობას იჩენს პრობლემების ფართო სპექტრთან მიმართებით და დროის გარკვეულ პერიოდში. შედარებით მოკლევადიან გაერთიანებებს, მაგალითად აშშ-ს წინამძღოლობით მოქმედ სამხედრო ძალებს ერაყში, შეიძლება უფრო *კოალიცია* ეწოდოს. თუმცა, ეს ტერმინები გარკვეულწილად ბუნდოვანია. ორ ქვეყანას შესაძლოა ჰქონდეს ფორმალური ალიანსი, მაგრამ მაინც ერთმანეთის სასტიკი მტრები იყვნენ, მაგალითად, საბჭოთა კავშირი და ჩინეთი 1960-იან წლებში, ან ნატოს წევრი საბერძნეთი და თურქეთი. ასევე, შეიძლება რომ ორმა ქვეყანამ შექმნას ალიანსის პრაქტიკული ეკვივალენტი ფორმალური ხელშეკრულების გარეშე.

2.4.1 ალიანსების მიზნები

ალიანსების ძირითადი მიზანი მისი წევრების ძალის გაზრდაა მათი შესაძლებლობების გაერთიანების გზით. შედარებით პატარა ქვეყნებისთვის ალიანსები მათი ძალის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს შეი-

ძლება წარმოადგენდეს, დიდი სახელმწიფოებისთვის კი, ალიანსების სტრუქტურა განსაზღვრავს სისტემაში ძალთა კონფიგურაციას. ძალის არცერთი ელემენტი არ შეიძლება ისე სწრაფად და გადამწყვეტად შეიცვალოს, როგორც ალიანსები. ალიანსების უმრავლესობა აღქმულ საფრთხეზე საპასუხოდ იქმნება. როდესაც სახელმწიფოს ძალა იზრდება და საფრთხეს უქმნის მის მოწინააღმდეგეებს, ეს უკანასკნელნი ხშირად ქმნიან ალიანსს ზემოაღნიშნული სახელმწიფოს ძალის შესაზღუდად. ასე მოხდა ერაყის შემთხვევაში, როდესაც იგი 1990 წელს შეიჭრა ქუვეითში, ასევე დაემართა ჰიტლერის გერმანიას 1940-იან წლებში და ნაპოლეონის საფრანგეთს 1800-იან წლებში.



ქორწინება ანგარებით ალიანსები ზოგადად პრაქტიკული ინტერესების შერწყმის შედეგად იქმნება და არა სენტიმენტალური ან იდეოლოგიური მიზეზებით. ფოტოზე ასახულია, როგორ ესალმება ამერიკელი გენერალი მონინააღმდეგე ავღანელ სამხედრო მეთაურს, რათა გაუმჯობესონ ურთიერთობები. 2002 წ.

რეალისტები ხაზს უსვამენ ალიანსების ცვალებადობას. ალიანსი სიყვარულზე დაფუძნებული ქორწინება არაა. ის უფრო ანგარებიანი ქორწინებაა. ალიანსები ემყარება ეროვნულ ინტერესებს და შეიძლება შეიცვალოს ამ ინტერესების ცვლილებების კვალდაკვალ. ეს ცვალებადობა ძალთა ბალანსის პროცესის ეფექტურად წარმართვას ეხმარება.

ალიანსების ცვალებადობის ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. ანტიკომუნისტ რიჩარდ ნიქსონს შეეძლო ეთანამშრომლა კომუნისტ მაო ძედუნთან 1972 წელს. იოსებ სტალინს შეეძლო თავდაუსხმელობის აქტი გაეფორმებინა ფაშისტ ადოლფ ჰიტლერთან და შემდეგ დასავლურ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეთანამშრომლა ჰიტლერის წინააღმდეგ. 1980-იან წლებში აშშ-ს შეეძლო მხარი დაეჭირა ავღანეთში ისლამისტი მებრძოლებისთვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და შემდეგ, 2001 წელს თავად დასხმოდა მათ თავს. ყოველ ჯერზე, როცა ისტორიაში ხდება საერთაშორისო ალიანსების ასეთი ცვლილება, ეს ბევრ ადამიანს აკვირვებს. თუმცა, რეალისტებისთვის აქ გასაოცარი არაფერია.

ალიანსების ცვალებადობა აღრმავებს უსაფრთხოების დილემა. მხოლოდ ორი სახელმწიფო რომ არსებობდეს, თითოეული ისე მოაწყობდა საკუთარ შესაძლებლობებს, რომ ჰქონოდა ადეკვატური თავდაცვა, მაგრამ მოკლებული ყოფილიყო მეორე სახელმწიფოზე წარმატებული თავდასხმის უნარს. მაგრამ თუ სისტემაში არსებობს მესამე ქვეყანა, რომელსაც შეუძლია მიემხროს რომელიმე სახელმწიფოს, მაშინ თითოეულ მათგანს უკვე სჭირდება ადეკვატური თავდაცვის მექანიზმის განვითარება მისი მტრისა და მესამე სახელმწიფოს პოტენციური ალიანსის წინააღმდეგ. რაც მეტია საფრთხე, მით უფრო რთულია უსაფრთხოების დილემისგან თავის დაღწევა.

ალიანსის შეკავშირებულობა არის ის, რითაც წევრები მას ინარჩუნებენ. შეკავშირებულობის დონე უფრო მაღალია მაშინ, როცა ქვეყნების

ალიანსის შეკავშირებულობა (Alliance cohesion)
ამით წევრები ინარჩუნებენ ალიანსს. შეკავშირებულობის დონე უფრო მაღალია მაშინ, როცა ქვეყნების ეროვნული ინტერესები ერთმანეთთან თავსებადია და როცა მოკავშირეთა შორის თანამშრომლობა ინსტიტუციონალიზებულია.

ეროვნული ინტერესები ერთმანეთთან თავსებადია და როცა ალიანსის შიგნით თანამშრომლობა ინსტიტუციონალიზებული და ჩვევაში გადასულია. როდესაც განსხვავებული ინტერესების მქონე ქვეყნები ქმიან ალიანსს საერთო მტრის წინააღმდეგ, იგი შეიძლება დაიშალოს საფრთხის გაქრობასთან ერთად. მაგალითად, ასე მოუვიდა მეორე მსოფლიო ომის დროინდელ აშშ-სსრკ-ის ალიანსს. მაშინაც კი, როდესაც ალიანსის შეკავშირებულობის დონე მაღალია, როგორც ეს ცივი ომის პერიოდის ნატოს შემთხვევაში იყო, შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი **ტვირთის განაწილების** (ვინ იტვირთავს ალიანსის შენახვის ხარჯებს) საკითხზე.

ტვირთის განაწილება (burden sharing)
ალიანსთან დაკავშირებული ხარჯების განაწილება წევრებს შორის. ტერმინი ასევე ასახავს იმ კონფლიქტს, რომელიც ამ საკითხზე შეიძლება წარმოიშვას.

დიდი სახელმწიფოები ხშირად ქმნიან ალიანსებს (ან იღებენ ნაკლებად ფორმალურ ვალდებულებებს) უფრო მცირე ქვეყნებთან, რომელთაც ზოგჯერ კლიენტ სახელმწიფოებს უწოდებენ. გაფართოებული შეკავება ეწოდება ძლიერი სახელმწიფოს მიერ მუქარის გამოყენებას მის უფრო სუსტ კლიენტებზე თავდასხმის შესაკავებლად, როგორიც იყო, მაგალითად, აშშ-ის მუქარა, რომ თავს დაესხმოდა სსრკ-ს, თუ იგი შეიჭრებოდა დასავლეთ ევროპაში. დიდი სახელმწიფოები დგანან ერთმანეთის წინააღმდეგ ომში ჩათრევის რეალური საფრთხის წინაშე, რაც შეიძლება მოხდეს ნაკლებად მნიშვნელოვანი რეგიონული საკითხის გამო იმ შემთხვევაში, თუ მათი კლიენტი სახელმწიფოები დაიწყებენ ერთმანეთთან ომს. თუკი დიდი სახელმწიფოები თავიანთი "კლიენტების" დასაცავად არაფერს მოიმოქმედებენ, შესაძლოა მათ სხვა კლიენტების ნდობა დაკარგონ, საპირისპირო შემთხვევაში კი შესაძლოა ისინი ძვირადღირებულ ომში აღმოჩნდნენ ჩათრეულები.

2.4.2 ნატო

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) (North Atlantic Treaty Organization (NATO))
აშშ-ის ხელმძღვანელობით 1949 წელს ჩამოყალიბებული სამხედრო ალიანსი, რომელიც დაარსებისას ძირითადად დასავლეთ ევროპის ქვეყნებისგან შედგებოდა და რომლის მიზანიც ევროპაში საბჭოთა ძალის შეკავება და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა იყო. დღესდღეობით ნატო ყოფილ საბჭოთა ბლოკის ქვეყნებსაც მოიცავს.

დღესდღეობით საერთაშორისო უსაფრთხოების არენაზე ორი მნიშვნელოვანი ფორმალური ალიანსი დომინირებს. ბევრად უფრო ძლიერია **ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)**, რომელიც მოიცავს დასავლეთ ევროპას და ჩრდილოეთ ამერიკას. მეორეა აშშ-იაპონიის ალიანსი. თუკი ძალის საზომად მშპ-ს ავიღებთ, ნატოს 29 წევრი სახელმწიფო მსოფლიო მშპ-ს დაახლოებით ნახევარს ფლობს (რაც თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე აშშ-ის ძალა ცალკე აღებული). ნატოს წევრებია: აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, დანია, ნორვეგია, ისლანდია, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, თურქეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, ლიეტუვა, ესტონეთი, ლატვია, სლოვენია, სლოვაკეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ალბანეთი, ხორვატია და მონტენეგრო.[5] ნატოს შტაბბინაში, ბრიუსელში, წევრი სახელმწიფოების სამხედრო პერსონალი ერთმანეთთან ათანხმებს თავიანთ გეგმებს. ისინი პერიოდულად

5 2023 წლის ივნისის მდგომარეობით, ნატოში გაწევრიანებულია 31 სახელმწიფო. ამ სიას დაემატა ჩრდ. მაკედონია (2020 წ.) და ფინეთი (2023 წ.). ასევე, მიმდინარეობს შვედეთის გაწევრიანება. *რედ. შენ.*

მართავენ საველე წვრთნებს. ნატოს მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების მთავარსარდალი ყოველთვის აშშ-ის გენერალია. ნატოში ყველა სახელმწიფოს თავისი სამხედრო შენაერთებით შეაქვს წვლილი და ამას თან ახლავს თავისი ეროვნული კულტურა, ენა და აღჭურვილობის განსაკუთრებული მახასიათებლები.

ნატო 1949 წელს შეიქმნა ევროპაში საბჭოთა კავშირის შეკავებისა და მისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით. აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს საპირწონე ცივი ომის დროს იყო საბჭოთა კავშირის მიერ შექმნილი **ვარშავის პაქტი,** რომელიც 1955 წელს დაარსდა და 1991 წელს დაიშალა. ცივი ომის პერიოდში აშშ-ს 300 ათასამდე ჯარისკაცი ჰყავდა ევროპაში, ასევე ჰქონდა განთავსებული მაღალტექნოლოგიური თვითმფრინავები, ტანკები და სხვა შეიარაღება. ცივი ომის დასრულების შემდეგ ამერიკის შეიარაღებული ძალების რაოდენობა ევროპაში 100 ათასამდე შემცირდა. თუმცა, ნატო არ დაიშალა, რადგან მის წევრ სახელმწიფოებს სჯეროდათ, რომ ნატო უზრუნველყოფდა სტაბილურობას, მიუხედავად იმისა, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ ორგანიზაციის მისია ბუნდოვანი გახდა. პირველად ნატომ ძალა 1994 წელს, ბოსნიაში გამოიყენა გაეროს მისიის მხარდასაჭერად.

ვარშავის პაქტი (Warsaw Pact)
საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით 1955 წელს დაარსებული აღმოსავლეთევროპული სამხედრო ალიანსი, რომელიც 1991 წელს დაიშალა. იგი ნატოს უპირისპირდებოდა.

ნატოს წევრი რამდენიმე ქვეყნის შენაერთები თალიბებს უპირისპირდებოდნენ ავღანეთში. 2003-დან 2014 წლამდე, ეს შენაერთები ნატოს ხელმძღვანელობის ქვეშ იბრძოდნენ „საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების“ (ISAF) სახელით. 2010-2012 წლებში ISAF-ის მისიაში 100 ათასამდე სამხედრო მსახურობდა. მათ ძირითად ნაწილს ნატოს ქვეყნების შეიარაღებული ძალები წარმოადგენდნენ. ISAF-ის მისიაში ასევე მონაწილეობდნენ ნატოს არაწევრი ქვეყნები, მაგალითად ავსტრალია, ახალი ზელანდია და იორდანია. 2015 წელს ISAF ჩაანაცვლა ნატოს ხელმძღვანელობით მიმდინარე „მტკიცე თანამშრომლობის მისიამ“ (Resolute Support), რომლის მიზანი ავღანეთის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა და გაძლიერება იყო. შესაბამისად, ნატოს სამხედრო შენაერთების რაოდენობა 13 ათასამდე შემცირდა.[6]

ნატოს მიღმა, ევროკავშირმა შექმნა საკუთარი სწრაფი რეაგირების ძალები. ეს გადაწყვეტილება ნაწილობრივ მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც ევროპის სამხედრო სისუსტე თვალსაჩინო გახდა 1999 წლის კოსოვოს ომის დროს, რომელშიც აშშ-მ ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა სამხედრო თვალსაზრისით. მართალია, აღნიშნული ევროპული შენაერთები ძირითადად ნატოსთან თანამშრომლობენ, მაგრამ ისინი ევროპას აშშ-ზე უფრო ნაკლებად დამოკიდებულს ხდიან. 2003 წელს ევროკავშირმა სამშვიდობო ძალები გაგზავნა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – ეს იყო პირველი მრავალეროვნული ევროპული სამხედრო ოპერაცია, რომელიც ნატოს მიღმა განხორციელდა. 2004 წელს, ნატოსა და აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა ცხრაწლიანი საქმიანობის შემდეგ

6 მისია დასრულდა 2021 წლის სექტემბერში. *რედ. შენ.*

დატოვეს ბოსნია და სამშვიდობო მისია ევროკავშირს გადააბარეს. თუმცა, ნატოს ძალები, მათ შორის, ამერიკელი ჯარისკაცები იქვე მეზობლად, კოსოვოში რჩებიან.

საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები

აშშ-ის საზოგადებრივი აზრი და ნატო

დაახლოებით 70 წელია, რაც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, როგორც სამხედრო ალიანსი, იცავს დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ინტერესებსა და უსაფრთხოებას. ცივი ომის განმავლობაში ნატო უმეტესად ძლიერი საზოგადოებრივი მხარდაჭერით სარგებლობდა. თუმცა, ცივი ომის დასრულებასთან ერთად, ბევრმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ალიანსის ფასი, განსაკუთრებით აშშ-სთვის. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მოკავშირეებს უფრო მეტი კონტრიბუციისკენ მოუწოდა ნატოს მესანახად, ხოლო საარჩევნო კამპანიის დროს ალიანსს „დრომოჭმული" უწოდა.

და მაინც, ნატოს მომავალთან დაკავშირებული ამ ეჭვების მიუხედავად, ალიანსი ძალიან პოპულარულია შეერთებული შტატების საზოგადოებაში. ნატოსთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე აშკარა უმრავლესობა აფიქსირებს პასუხებს „უფრო დადებითი" და „ძალიან დადებითი". ცივი ომის შემდგომ პერიოდში ეს მაჩვენებელი შენარჩუნდა 60 პროცენტის მიდამოებში ან ზემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ნატო უფრო პოპულარული იყო უშუალოდ ცივი ომის დასრულების შემდეგ, ალიანსთან დაკავშირებით ამერიკის საზოგადოების დამოკიდებულება დიდად არ შეცვლილა. მართლაც, ერთადერთ გამოკითხვაში უყურებდა ამერიკელების 50 პროცენტზე ნაკლები ნატოს დადებითად.

რა თქმა უნდა, ამერიკელებს შეიძლება ჰქონდეთ ნატოს მიმართ დადებითი დამოკიდებულება და იმავდროულად, სურდეთ მოკავშირეების მეტი კონტრიბუცია სამხედრო ძალებისა და ფულის სახით. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას ხშირია, რომ რესპონდენტები მანამ უჭერენ მხარს კონკრეტულ პოლიტიკას, ვიდრე საქმე ხარჯებს შეეხება. სამწუხაროდ, მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის გამოკითხვა ჩატარდა ამერიკელების დამოკიდებულების შესაფასებლად ალიანსის სამხედრო ხარჯებთან დაკავშირებით.


თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ ნატოს სხვა წევრი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი დადებითია ალიანსის მიმართ.[1] 2017 წელს რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამ ქვეყნების უმრავლესობაში, აშშ-ის მსგავსად, ნატო პოპულარული ალიანსია. ყველა ქვეყანაში მყარი უმრავლესობა უჭერს მხარს ალიანსს, გარდა ესპანეთისა, სადაც უბრალო უმრავლესობა დადებითადაა განწყობილი, ვიდრე უარყოფითად (45 პროცენტი და 40 პროცენტი შესაბამისად).

და ბოლოს, როგორც ნაჩვენებია გრაფიკ 2.5-ზე, ნატოს მიმართ მზარდი კრიტიკის ფონზე საზოგადოება თითქოსდა უფრო აფასებს ალიანსს. Gallup-ის 2017 წლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამერიკელების ყველაზე დიდი პროცენტი უჭერდა მხარს ალიანსს მას შემდეგ, რაც ამ კითხვის დასმა დაიწყეს 1989 წლიდან.[2] მეტიც, 2011 წლის შემდეგ სტაბილურად მცირდება იმ ამერიკელების რაოდენობა, რომლებსაც უარყოფითი შეხედულება აქვთ ნატოზე. შეიძლება მზარდი დისკუსიები ნატოს შესახებ ზრდის დასავლური ალიანსის მხარდაჭერას.

1 Pew Research Center. NATO's Image Improves on Both Sides of the Atlantic. May 23, 2017. https://www.pewresearch.org/global/2017/05/23/natos-image-improves-on-both-sides-of-atlantic/

2 Gallup.com. Most Americans Support NATO Alliance. February 17, 2017

გრაფიკი 2.5. აშშ-ის საზოგადოებრივი აზრი ნატოს მიმართ
წყარო: Roper Center for Public Opinion Research.



დღეს ნატოს წინაშე მდგარ ყველაზე დიდ საკითხს წარმოადგენს გაფართოება აღმოსავლეთით, ცივი ომის გამყოფი ხაზის მიღმა (იხ. გრაფიკი 2.6). 1999 წელს ალიანსს შეუერთდა საბჭოთა ბლოკის ყოფილი ქვეყნები: პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი. 2004 წელს იგივე გააკეთა ესტონეთმა, ლატვიამ, ლიეტუვამ, სლოვაკეთმა, სლოვენიამ, რუმინეთმა და ბულგარეთმა. 2009 წელს ნატოში ალბანეთი და ხორვატია გაწევრიანდა, 2017 წელს – მონტენეგრო და წევრი სახელმწიფოების რიცხვმა 29 შეადგინა. საქართველო, ბოსნია და მაკედონია ნატოს წევრობისაკენ მიისწრაფვიან.[7] ნატოს გაფართოებას ამართლებენ ახალი დემოკრატიების გაძლიერებით და ასევე, ამ ქვეყნების დაცვით შესაძლო რუსული აგრე-

7 2023 წლის ივნისის მდგომარეობით, ნატო-ში გაწევრიანებულია 31 სახელმწიფო. ალიანსს დაემატა ჩრდ. მაკედონია (2020 წ.) და ფინეთი (2023 წ.). ასევე, მიმდინარეობს შვედეთის გაწევრიანება. *რედ. შენ.*

სიისგან. 2003 წლის ერაყის ომმა ერთგვარად გვერდი აუარა ნატოს და მის წევრებს შორისაც განხეთქილება შეიტანა. ორგანიზაციის ძველი წევრები, საფრანგეთი და გერმანია მკაცრად ეწინააღმდეგებოდნენ ამ ომს, ხოლო თურქეთმა აშშ-ის სახმელეთო ძალებს ერაყში შეჭრისთვის საკუთარი ტერიტორიის გამოყენებაზე უარი უთხრა.

გრაფიკი 2.6. ნატოს გაფართოება გვ. 51

Sources: U.S. Department of Defense.



რუსი ლიდერები ეწინააღმდეგებიან ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთ ევროპაში და მას აგრესიულ და ანტირუსულ ქმედებად აღიქ-

ვამენ. ნატოს გაფართოებას ისინი უყურებენ, როგორც ევროპის რუკაზე გამყოფი ხაზების ხელახლა გავლებას, ამჯერად რუსეთის საზღვრებთან უფრო ახლოს. ეს კიდევ უფრო აძლიერებს რუსეთის ნაციონალისტურ და ანტიდასავლურ პოლიტიკურ ძალებს. ამ პრობლემის შესამსუბუქებლად ნატომ შექმნა სიმბოლური წევრობის კატეგორია „პარტნიორობა მშვიდობისათვის", რომელსაც თითქმის ყველა აღმოსავლეთევროპული და პოსტსაბჭოთა ქვეყანა, მათ შორის რუსეთიც, შეუერთდა. თუმცა, ნატოს მიერ სერბეთის დაბომბვამ 1999 წელს კიდევ უფრო გააძლიერა აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებული რუსული შიშები. უფრო მოგვიანებით, ნატოს თანამშრომლობამ უკრაინასა და საქართველოსთან, რომელსაც 2008 წელს მცირე ომი ჰქონდა რუსეთთან, ასევე განარისხა რუსეთი. ნატო-რუსეთის ურთიერთობები კიდევ უფრო დაძაბა მოსკოვის მიერ ყირიმის ანექსიამ და აღმოსავლეთ უკრაინაში ამბოხებულთა მხარდაჭერამ. ნატოს გაფართოების საპასუხოდ, რუსეთმა სამხედრო თანამშრომლობა გააღრმავა ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა ვენესუელა, რომლის მთავრობაც კრიტიკულადაა განწყობილი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მიმართ და ჩინეთი, რომელთანაც ერთადაც რუსეთი ერთობლივ სამხედრო წვრთნებს ატარებს, მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და ჩრდ. კორეის სიახლოვეს 2017 წელს. 2016 წელს რუსეთმა სწრაფად იმოქმედა და დაიცვა სირიის ხელისუფლება, რომელიც მისი დიდი ხნის მოკავშირეა, ხოლო ამ ქვეყანაში რუსეთის ახლო აღმოსავლეთის ერთადერთი სამხედრო ბაზაა განთავსებული.[8]

2.4.3 სხვა ალიანსები

მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ალიანსია აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულება, მათი ორმხრივი ალიანსი. მის ფარგლებში აშშ-ს დაახლოებით 50 ათასი სამხედრო ჰყავს დისლოცირებული იაპონიაში (შეიარაღებით, აღჭურვილობით და ლოგისტიკური მხარდაჭერით). იაპონია ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდ დოლარს უხდის აშშ-ს, რაც ამ სამხედრო შენაერთების შენახვის ხარჯების დაახლოებით ნახევარს ფარავს. ალიანსი 1951 წელს (კორეის ომის დროს) შეიქმნა საბჭოთა კავშირისგან მომავალი პოტენციური საფრთხის საპირისპიროდ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის მიერ იაპონიის სამხედრო ოკუპაციიდან გამომდინარე, ალიანსი საკმაოდ ასიმეტრიული ხასიათისაა. აშშ-მა აიღო იაპონიის დაცვის ვალდებულება ამ უკანასკნელზე თავდასხმის შემთხვევაში, მაგრამ იაპონიას ასეთივე ვალდებულება არ გააჩნია ამერიკის მიმართ. აშშ-ის სამხედრო ძალები განლაგებულია იაპონიაში, იაპონიას კი არ ჰყავს სამხედრო შენაერთები აშშ-ში. აშშ რამდენიმე სხვა ალიანსის წევრიცაა, იაპონიას კი მთავარი ალიანსი აშშ-სთან აქვს შექმ-

აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულება (U.S.-Japanese Security Treaty)

ორმხრივი ალიანსი შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის. შეიქმნა 1951 წელს საბჭოთა კავშირისგან მომავალი პოტენციური საფრთხის საპირისპიროდ. აშშ-ს იაპონიაში განთავსებული ჰყავს სამხედრო ძალები და ვალდებულებას იღებს, დაიცვას ქვეყანა თავდასხმის შემთხვევაში. იაპონია ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდ დოლარს უხდის აშშ-ს, რაც ამ სამხედრო შენაერთების შენახვის ხარჯების დაახლოებით ნახევარს ფარავს.

8 ნატო-რუსეთს შორის დაძაბულობამ ახალ პიკს მიაღწია რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომის დაწყებით 2022 წლის თებერვალში. *რედ. შენ.*

ნილი. აშშ-ის წილი ამ ალიანსის მთლიან სამხედრო ძალაში გაცილებით დიდია, ვიდრე მისი წილი ნატოში.

იაპონიის კონსტიტუცია (რომელიც ამერიკელმა გენერალმა დუგლას მაკარტურმა დაწერა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ) უარს ამბობს ომის დაწყებისა და სამხედრო ძალების ყოლის უფლებაზე, თუმცა დროთა განმავლობაში ამ აკრძალვის ინტერპრეტაცია სულ უფრო შერბილდა. მაგალითად, 2015 წელს იაპონიის პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომელიც შეიარაღებული ძალების საზღვარგარეთ გამოყენების უფლებას იძლევა. იაპონიას აქვს შეიარაღებული, ე.წ. თავდაცვის ძალები, რომელიც საკმაოდ ძლიერია საკუთარი ტერიტორიის დასაცავად, მაგრამ არა თავდასხმისთვის. იაპონიის არმია საკმაოდ ძლიერია მსოფლიო სტანდარტების მიხედვით, მაგრამ ბევრად მცირე იმასთან შედარებით, რისი შენახვაც იაპონიის ეკონომიკას შეუძლია. იაპონიის საზოგადოებრივი აზრი ზღუდავს მილიტარიზმს და გამორიცხავს ბირთვული იარაღის შექმნას (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იაპონური ქალაქები ბირთვული იარაღით განადგურდა მეორე მსოფლიო ომის დროს). თუმცა, იაპონიის ზოგიერთ ლიდერს მიაჩნია, რომ იაპონიის ფორმალური როლი უსაფრთხოებაში მისი ეკონომიკური შესაძლებლობების შესაბამისად უნდა გაიზარდოს.

თავის მხრივ, აშშ-მა იაპონიასთან ალიანსი აზიაში ამერიკის ძალის გასავრცელებლად გამოიყენა, განსაკუთრებით კორეისა (1950-1953) და ვიეტნამის (1965-1975) ომების დროს, როდესაც იაპონია მთავარ პლაცდარმს წარმოადგენდა. აშშ-ის მუდმივი სამხედრო ყოფნა იაპონიაში (ისევე, როგორც ევროპაში) წარმოაჩენს მის ვალდებულებას, რომ დარჩეს ჩართული აზიის უსაფრთხოების საქმეებში.


აშშ-იაპონიის ხელშეკრულების პარალელურად, ამერიკას სამხედრო ალიანსი რამდენიმე სხვა ქვეყანასთანაც აქვს, მათ შორის, ავსტრალიასთან და სამხრეთ კორეასთან. ამ უკანასკნელში 35 ათასი ამერიკელი სამხედროა განთავსებული კორეის ომისდროინდელი ორმხრივი ალიანსის საფუძველზე. აშშ-ის მჭიდრო თანამშრომლობა სამხედრო ძალებთან სხვა ქვეყნებში, როგორიცაა მაგალითად ისრაელი, მათ აშშ-ის დე ფაქტო მოკავშირეებად აქცევს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ცხრა სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა წარმოადგენს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. თანამეგობრობაში არასდროს გაწევრიანებულა ბალტიისპირეთის ქვეყნები – ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა. რუსეთი, საბჭოთა კავშირის ოფიციალური სამართალმემკვიდრე, ორგანიზაციის ლიდერის როლს ასრულებს. მართალია, დსთ-ის ფარგლებში გარკვეული ტიპის სამხედრო კოორდინაცია ხდება, მაგრამ თავდაპირველი გეგმები ერთობლივი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების შესახებ ჩავარდა. დსთ-ის დიდი წევრი სახელმწიფოებიდან ყაზახეთი და ბელარუსი რუსეთის ყველაზე ახლო მოკავშირეები არიან, ხოლო უკრაინა (სიდიდით მეორე) მისგან ყვე-

ლაზე დამოუკიდებელია (და დსთ-ის ხელშეკრულების ოფიციალური რატიფიკაცია არც არასდროს მოუხდენია). რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის გამო 2009 წელს საქართველომ დატოვა დსთ.[9]

გრაფიკი 2.7 დიდი და სამუალო სახელმწიფოების თანამედროვე ალიანსები

წყარო: აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი



დღესდღეობით, როგორც სამხედრო ისე სავაჭრო საერთაშორისო ბლოკების ცენტრში დგას აშშ (იხ. გრაფიკი 2.7). მართალია, რამდენიმე სხვაგვარად მოფიქრალი სახელმწიფო, როგორებიცაა ჩინეთი და რუსეთი, ზღუდავს აშშ-ის ჰეგემონიას, მაგრამ ჯერ არ გამოჩენილა ისეთი შეკავშირებული და ფორმალიზებული მოწინააღმდეგე დაჯუფება, რომელიც აშშ-ის გამოწვევას შეძლებდა.

9 უკრაინამ, რომელიც ფორმალურად არც ყოფილა ორგანიზაციის წევრი, 2014 წლიდან შეწყვიტა დსთ-ის შეხვედრებში მონაწილეობა, ხოლო 2018 წლიდან გაიწვია წარმომადგენლები. ასევე, მოლდოვამ შეაჩერა ორგანიზაციაში საქმიანობა 2022 წლიდან. დღეს დსთ-ს წევრები არიან რუსეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ხოლო თურქმენეთს დამკვირვებლის სტატუსი აქვს. *რედ.შენ.*

2.5 სტრატეგია

აღწერეთ პატიმრის დილემა და ახსენით, როგორ არის ის საერთაშორისო სისტემის ანალოგი

აქტორები იყენებენ სტრატეგიას, რათა ერთ ან რამდენიმე აქტორთან მოლაპარაკებებით თავისთვის კარგი შედეგები მიიღონ. სახელმწიფოები ძალის შესაძლებლობებს ერთმანეთის მოქმედებებზე ზეგავლენის ბერკეტად იყენებენ. ეს პროცესი არის ინტერაქციული ხასიათის და თითოეული აქტორისაგან მოითხოვს სხვების ინტერესების მხედველობაში ქონას მაშინაც კი, როცა ის საკუთარ ინტერესებს ატარებს. ამგვარი მოლაპარაკებების დროს კომუნიკაცია ზოგჯერ ქმედებებით უფრო ხდება, ვიდრე სიტყვებით.

2.5.1 სახელმწიფოს მართვის ხელოვნება

კლასიკური რეალისტები აქცენტს აკეთებენ *სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაზე*, ანუ სახელმწიფოს საქმეების მართვასა და მის ეფექტურ მანევრირებაზე სუვერენულ სახელმწიფოთა ძალისმიერი პოლიტიკისგან შემდგარ მსოფლიოში. ძალის სტრატეგია არის ის გეგმა, რომელსაც აქტორები იყენებენ ძალის შესაძლებლობების განვითარებისა და გამოყენებისათვის, რათა თავიანთ მიზნებს მიაღწიონ.

ჩინეთის სტრატეგიული მოქმედებები უკანასკნელ წლებში სტრატეგიის კონცეფციის, როგორც ძალის შესაძლებლობების რაციონალური გამოყენების კარგი მაგალითია. ჩინეთის ცენტრალური საგარეოპოლიტიკური მიზანი ტაივანის დამოუკიდებლობის პრევენციაა, რომელსაც ჩინეთი თავისი ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს (ასევე მიიჩნევს გაეროც და სულ მცირე, თეორიულად მაინც, აშშ-ც). შესაძლოა, ჩინეთს არ ჰქონდეს საკმარისი სამხედრო ძალა, რათა წარმატებით შეიჭრას ტაივანში, მაგრამ მან არაერთხელ განაცხადა, რომ ომს დაიწყებს იმ შემთხვევაში, თუ ტაივანი დამოუკიდებლობას გამოაცხადებს. ეს ომი ჩინეთისთვის შესაძლოა ირაციონალური იყოს, მაგრამ სწორედ ჩინეთის მუქარა აიძულებს ტაივანს, თავი შეიკავოს დამოუკიდებლობის ფორმალური გამოცხადებისგან. გარდა ამისა, ჩინეთი დიპლომატიურ ურთიერთობებს შეწყვეტს იმ ქვეყნებთან, რომლებიც ტაივანის დამოუკიდებლობას აღიარებენ. ჩინეთის სტრატეგია მდგომარეობს სხვადასხვა შესაძლებლობის მობილიზებაში, მათ შორის, რაკეტების, დიპლომატების, ინდუსტრიული კონგლომერატების და ა.შ. და ეს ყველაფერი ერთიანობაში წარმოადგენს ჩინეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხის შედეგზე გავლენის მოხდენისკენ მიმართულ ძალისხმევას. ამგვარად, სტრატეგია უფრო ზრდის ჩინეთის ძალას.

პოლიტიკის პერსპექტივები

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი, ნარენდრა მოდი



პრობლემა როგორ შეხვდებით უსაფრთხოების ცვალებად გარემოს ახლანდელ და ფორმალურ მეტოქეებთან ურთიერთობების მართვით?

ნინაისტორია თქვენი ქვეყანა, მსოფლიოს უდიდესი დემოკრატია, დგას უამრავი გამოწვევის წინაშე როგორც სახლში ისე გარეთ. კერძოდ, ბოლო 60 წლის განმავლობაში თქვენ ომობდით ორ დიდ მეზობელთან, ჩინეთთან და პაკისტანთან. ორივე ფლობს ბირთვულ იარაღს, ისევე, როგორც თქვენ. ჩინეთი და პაკისტანი წარსულში თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, მათ შორის, ვაჭრობდნენ მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიებით, მაგალითად რაკეტებით.


თქვენი მტრული დამოკიდებულება პაკისტანთან მომდინარეობს ქაშმირის რეგიონთან დაკავშირებული ტერიტორიული დავიდან. მასზე ორივეს აქვს პრეტენზია, მაგრამ ინდოეთი აკონტროლებს. ეს ტერიტორია სურთ როგორც შესაბამის მთავრობებს, ისე ორივე ქვეყნის ხალხს. მართალია, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობაც ყოფილა, მაგრამ დაძაბულობა ჯერაც ძალიან დიდია ქაშმირის გამო. 2008 წელს მუმბაიში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ ბევრი თქვენს ქვეყანაში პაკისტანს ადანაშაულებდა, რადგან იქ ისლამისტური დაჯგუფებები არსებობს.

თქვენი მტრობა ჩინეთთან ჩაცხრა დროთა განმავლობაში, მაგრამ ჩინეთი რჩება თქვენს მთავარ მეტოქედ რეგიონში და ჯერაც გაქვთ კონფლიქტური ტერიტორიული პრეტენზიები. თქვენი ქვეყნის მსგავსად, ჩინეთიც დიდია ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით და ცდილობს, ძლიერ ლიდერად წარმოჩინდეს რეგიონში. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, თქვენმა ქვეყანამ გაზარდა კავშირები ჩინეთთან. 2015 წელს თქვენ ეწვიეთ ჩინეთს, მას მერე, რაც ჩინეთის ლიდერი ეწვია ინდოეთს სავაჭრო და საინვესტიციო მეთანხმებების ხელმოსაწერად. თქვენმა არმიებმა (ორი ყველაზე დიდი მსოფლიოში) ერთობლივი წვრთნები გამართეს, თუმცა ერთმანეთს კვლავ დებენ ბრალს საზღვრის დარღვევაში.

წინდა ფაქტორები თქვენს ქვეყანაში არც პაკისტანი და არც ჩინეთი არაა პოპულარული არჩევანი მოკავშირისთვის. თქვენი საზოგადოება ჯერაც გაბრაზებულია 1962 წლის ჩინეთ-ინდოეთის ომში ჩინეთის გამარჯვებისა და იმ სადავო სასაზღვრო ტერიტორიის გამო, რამაც კონფლიქტს დაუდო სათავე. თქვენი, ძირითადად ინდუსი, მოსახლეობა ასევე გაბრაზებულია მუსლიმი პაკისტანის მუდმივი მცდელობით, ხელში ჩაიგდოს ქაშმირის კონტროლი. მრჩევლები იმასაც გახსენებენ, რომ ჩინეთს ისევ ჯანსაღი ურთიერთობები აქვს პაკისტანთან, მიყიდის დიდძალ შეიარაღებას და უწევს სამხედრო დახმარებას ამ ქვეყანას. მართლაც, ძირითადი ოპოზიციური პარტიები ირწმუნებიან, რომ თქვენ მეტისმეტად „რბილი" ხართ პაკისტანთან და ჩინეთთან მიმართებით. ნებისმიერი საზოგადოებრივი უკურეაქცია თქვენს საგარეო პოლიტიკაზე ამ საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება სწრაფად გავრცელდეს და გადაიზარდოს ახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნებში, რამაც შეიძლება დაასრულოს თქვენი მმართველობა.

სცენარი წარმოიდგინეთ, რომ პაკისტანის ხელისუფლება ფართომასშტაბიან დესტაბილიზაციაში აღმოჩნდა. ისლამისტური შეიარაღებული რაზმები სადაცაა ჩამოაგდებენ მთავრობას, რაც მათ პაკისტანის ბირთვულ იარაღზე კონტროლის საშუალებას მისცემს. ისინი ასევე მოუწოდებენ ქაშმირელ მუსლიმებს ინდოეთის წინააღმდეგ აჯანყებისკენ და ღიად პირდებიან დახმარებას იარაღისა და სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდების გზით. თქვენივე სპეცსამსახურები მიიჩნევენ, რომ პაკისტანის არსებული მთავრობის კოლაფსი „დიდი ალბათობით" მოხდება.

პირჩევთ პოლიტიკა ნახვალთ ჩინეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობებზე პაკისტანში არასტაბილურობის გამო? შეგიძლიათ ენდოთ ჩინეთს, რომ ის თქვენ დაგიჭერთ მხარს პაკისტანთან დავაში, გამომდინარე მათ შორის ახლო ურთიერთობებიდან? თხოვთ ჩინეთს შუამავლობას თქვენსა და პაკისტანს შორის დაპირისპირების შემთხვევაში? თუ გააგრძელებთ თქვენს კურსს შეძლებისდაგვარად დამოუკიდებლად და არ ენდობით ჩინეთის განზრახვებს თქვენი ქვეყნის მიმართ?



ძალის მაზრდა თანმიმდევრული სტრატეგია ეხმარება სახელმწიფოს მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი ძალა. ჩინეთის საგარეო პოლიტიკა, როგორც ჩანს, მიმართულია მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონული ინტერესებისკენ, პირველ რიგში, ეს არის ტაივანის ფორმალური დამოუკიდებლობის არდაშვება. რამდენიმე მეზობელთან კონფლიქტის მიუხედავად, ჩინეთი ბოლო 40 წლის განმავლობაში არ ჩართულა სამხედრო დაპირისპირებაში. სურათზე, ჩინეთი მხოლოდ მეხუთედ იყენებს ვეტოს უფლებას გაეროს უშიშროების საბჭოში, რათა დაასრულოს სამშვიდობო მისია მაკედონიაში, რომელმაც მანამდე კავშირები დაამყარა ტაივანთან. 1999 წ.

შეკავების სტრატეგია[10] იყენებს სასჯელით მუქარას სხვა აქტორის მიმართ, თუ ეს უკანასკნელი რაიმე ნეგატიურ მოქმედებას განახორციელებს (განსაკუთრებით, თუკი თავს დაესხმის ამ სახელმწიფოს ან მის მოკავშირეებს). თუკი ეს სტრატეგია მუშაობს, მისი ეფექტი თითქმის უხილავია. მისი წარმატება იმ თავდასხმებით იზომება, რომლებიც არ ხდება.

ზოგადად, შეკავების სტრატეგიის მომხრეებს სჯერათ, რომ კონფლიქტების ომში გადაზრდის ალბათობა მეტია მაშინ, როდესაც კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე უფრო სუსტია. ამ თვალსაზრისით, სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერება, როგორც წესი, არწმუნებს უფრო ძლიერ მხარეს, რომ სამხედრო ბერკეტის გამოყენება წარმატებული ვერ იქნება. შესაბამისად, კონფლიქტების ძალადობამდე გამწვავება ნაკლებად მოსალოდნელია. **იძულების** სტრატეგია, რომელიც ზოგჯერ შეკავების სტრატეგიის მარცხის შემდეგ გამოიყენება, გულისხმობს ძალის გამოყენებით მუქარას, რათა მეორე აქტორს ქმედების განხორციელება აიძულოს (და არა ქმედების ჩადენისგან შეკავოს). ზოგადად, უფრო რთულია, სხვა ქვეყანას კურსის შეცვლა აიძულო (იძულების მიზანი), ვიდრე კურსის შეცვლისგან თავი შეკავებინო (შეკავების მიზანი).

ერთი სტრატეგია, რომელიც სხვა სახელმწიფოს იძულებისთვის გამოიყენება, არის *ესკალაცია*. ესკალაცია გულისხმობს მზარდი სიმწვავის ნეგატიური სანქციების დაწესებას მეორე აქტორის რაიმე ქმედების განხორციელებისკენ წაქეზების მიზნით. თეორიის მიხედვით, ნაკლებად მწვავე ქმედებები აჩენს სანდოობას, აჩვენებს რა პირველი აქტორის მზაობას, რიგ საკითხებთან მიმართებით გამოიყენოს ძალა, ხოლო ესკალაციის მოდელი ადგენს სამომავლო სანქციებით გამოწვეულ მაღალ ხარჯებს, თუკი მეორე აქტორი არ მოდის თანამშრომლობაზე. ამ ქმედებებმა უნდა განაწყოს მეორე აქტორი დათანხმებისკენ, მიიჩნევს რა, რომ სავარაუდო ესკალაციის შემთხვევაში ხარჯები გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე დამორჩილების შემთხვევაში. თუმცა, ესკალაცია საკმაოდ სახიფათოც შეიძლება აღმოჩნდეს. ცივი ომის პერიოდში, საერთაშორისო ურთიერთობების ბევრი მკვლევარი მიიმბდა, რომ კონვენციურ ომს შეიძლება ბირთვულ ომამდე მიეყვანა, თუ ზესახელმწიფოები ესკალაციის სტრატეგიას აირჩევდნენ.

შეკავება (deterrence)

მუქარა, რომ აქტორი დაისჯება, თუ იგი რაიმე ცუდს მოიმოქმედებს (განსაკუთრებით, თუკი თავს დაესხმის ამ კონკრეტულ სახელმწიფოს ან მის მოკავშირეებს).


იძულება (compellence)

ძალის გამოყენებით მუქარა, რათა სხვა აქტორმა კონკრეტული ქმედება განხორციელოს (და არა თავი შეიკავოს მოქმედებისგან, როგორც შეკავების შემთხვევაშია).

გამალებული შეიარაღება არის ორმხრივი პროცესი, რომელშიც ორი ან მეტი სახელმწიფო ერთამენთის საპასუხოდ ავითარებს სამხედრო შე-

10 შეიძლება ითარგმნოს როგორც „დაშინება" ან „მუქარა„, თუმცა ქართულში დამკვიდრდა „შეკავება". არ უნდა აგვერიოს „შეკავება" containment-თან. იხ. თავი 1

საძლებლობებს. გამომდინარე იქედან, რომ ორივე მხარეს სურს, წინდახედულად იმოქმედოს საფრთხის წინაშე, ნაცვალგების პრინციპს ორივე მათგანი შეიარაღების შეუჩერებელ წარმოებამდე მიჰყავს. საფრთხეების ორმხრივი ესკალაცია ძირს უთხრის ნდობას, ამცირებს თანამშრომლობას და ისეთ ვითარებას ქმნის, სადაც კრიზისს (ან შემთხვევითობას) შეუძლია ერთ-ერთი მხარე აიძულოს, პირველი დარტყმა განახორციელოს და ომი დაიწყოს, ვიდრე დაელოდოს მეორე მხრიდან დარტყმას. ეს პროცესი ნათლად გამოჩნდა აშშ-სსრკ-ის ბირთვული გამალებული შეიარაღების დროს, რამაც თითოეული მხარე ათობით ათასობით ბირთვული იარაღის არსენალის ფლობამდე მიიყვანა.


SAFIN HAMED/AFP/Getty Images

შიდა დაყოფა აღქმა აქტორის უნიტარულობის შესახებ გულისხმობს, რომ სახელმწიფოები მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ ისე, თითქოს ცალკე აღებული ინდივიდები იყვნენ, რომლებსაც რაციონალურად მოქმედება შეუძლიათ. სინამდვილეში, სხვადასხვა ინტერესების მქონე ფრაქციები და ორგანიზაციები ერთმანეთის საწინააღმდეგო წნეხს ახდენენ სახელმწიფოს ლიდერებზე. ერაყი დაყოფილია შიიტებად, სუნიტებად და ქურთებად, რაც მართვას ართულებს. სურათზე, ქურთული სამხედრო ბატალიონის წევრები ხმას აძლევენ 2017 წლის ე.წ. დამოუკიდებლობის არჩევნებში. ქურთებს დიდი ხანია დამოუკიდებლობა სურთ, მაგრამ ერაყის მთავრობამ ამ არჩევნების შედეგები არ აღიარა.

2.5.2 რაციონალობა

რეალისტის უმრავლესობა (და ბევრი არარეალისტი) ვარაუდობს, რომ ისინი, ვინც ძალაუფლებას ფლობს და სახელმწიფოს მართავს, მოქმედებენ როგორც რაციონალური აქტორები, როდესაც სხვებზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ. ამ თვალსაზრისს საერთაშორისო ურთიერთობებისთვის ორი შედეგი აქვს.

პირველი, რაციონალობის შესახებ დაშვება გულისხმობს, რომ სახელმწიფოებს და სხვა საერთაშორისო აქტორებს თავიანთი ინტერესების იდენტიფიცირება და მათ შორის პრიორიტეტების გამოკვეთა შეუძლიათ: სახელმწიფოს მოქმედებები მისი ინტერესების გატარებას ისახავს მიზნად. ბევრი რეალისტი ვარაუდობს, რომ აქტორი (როგორც წესი, სახელმწიფო), რომელიც იყენებს ძალას, არის ერთი მთლიანობა, რომელსაც თავის ქმედებებზე თანმიმდევრულად შეუძლია ფიქრი და არჩევნის გაკეთება. ამას ეწოდება *უნიტარული აქტორის* ან ზოგჯერ *ძლიერი ლიდერის* დაშვება. ეს დაშვება გამარტივებულია, რადგან სინამდვილეში კონკრეტული პოლიტიკოსების, პარტიების, ეკონომიკური სექტორების, ქვეყნის რეგიონების ინტერესები ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. თუმცა, რეალისტები მაინც ვარაუდობენ, რომ ძალის გამოყენება **ეროვნული ინტერესების,** ანუ მთლიანად სახელმწიფოს ინტერესების გატარების მცდელობაა.

მაგრამ რა არის სახელმწიფოს ინტერესები? მთავრობის რომელიმე დაწესებულების ინტერესები ხომ არაა? არის თუ არა ის სახელმწიფოს შიდა ჯგუფების ინტერესები (იხ. თავი 3)? თუ კონფლიქტებში სხვა სახელმწიფოებზე უპირატესობის მოპოვების საჭიროებაა (იხ. თავი 4)? ან საერთაშორისო საზოგადოებასთან თანამშრომლობის უნარი საერთო სარგებლის მისაღებად (იხ. თავი 6)? ამ კითხვებზე მარტივი პასუხი არ არსებობს. ზოგიერთი რეალისტი სახელმწიფოს ინტერესს მარტივად გა-

რაციონალური აქტორი (rational actor)
აქტორი, რომელიც ნაგულისხმევია ერთ მთლიანობად. მას თავის მოქმედებაზე შეუძლია თანმიმდევრულად ფიქრი, არჩევნის გაკეთება, ინტერესების იდენტიფიცირება და მათი პრიორიტეტებად დალაგება.

ეროვნული ინტერესი (national interest)
მთლიანად სახელმწიფოს ინტერესები (განსხვავებით სახელმწიფოს შიგნით, კონკრეტული პარტიის ან ჯგუფის ინტერესებისაგან).

ნმარტავს და მას მატერიალური ძალის მაქსიმიზაციასთან აიგივ„ას – ეს საკმაოდ სადავო ვარაუდია. სხვანი კი საერთაშორისო ურთიერთობებში ძალას მნიშვნელობას ადარებენ ეკონომიკაში ფულის მნიშვნელობას – უნივერსალურ საზომს. ამ თვალსაზრისით, ისევე როგორც ფირმები კონკურირებენ ფულისთვის ეკონომიკურ ბაზრებზე, სახელმწიფოებიც კონკურირებენ ძალისთვის საერთაშორისო სისტემაში.

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი (cost-benefit analysis)
შესაძლო მოქმედებასთან დაკავშირებული ხარჯების შეფარდება მისგან მისაღებ სავარაუდო სარგებელთან.

მეორე, რაციონალობა გულისხმობს, რომ აქტორებს შეუძლიათ მოქმედება **ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზზე** დაყრდნობით, ანუ მოქმედების ხარჯებისა და მისგან სავარაუდო სარგებლის გამოთვლით. ძალის გამოყენება გულისხმობს ხარჯის გაწევას და შესაბამისი მოგებაც უნდა მოიტანოს. ისევე, როგორც ძალის შეფასებასთან დაკავშირებულ პრობლემაში, ამ შემთხვევშიც ასეთმა გამოთვლებმა სხვადასხვა განზომილება უნდა მოიცვას. მაგალითად, სახელმწიფოები, სავარაუდოდ, არ წამოიწყებენ ისეთ ომებს, რომლებშიც დამარცხებას მოელიან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ელიან პოლიტიკური სარგებლის მიღებას შიდა ან საერთაშორისო დონეზე, რისი მოცულობაც აღემატება ომის წაგებისგან მიყენებულ ზარალს. თუმცა, რთულია არახელშესახები პოლიტიკური სარგებლის დათვლა ომის ხელშესახებ დანახარჯებთან მიმართებაში. ზოგჯერ ომში გამარჯვებაც კი შეიძლება არ ღირდეს გაწეულ დანახარჯად. რაციონალურმა აქტორებმა შეიძლება არასწორად გამოთვალონ სარგებელი და დანახარჯი, განსაკუთრებით მაშინ, როცა არასრულ ინფორმაციას ეყრდნობიან (თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ირაციონალურები არიან). და ბოლოს, ადამიანის ქცევა და იღბალი არაპროგნოზირებადი რამაა.

ზემოაღნიშნული დაშვებები რაციონალობისა და აქტორების შესახებ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალიან გამარტივებულია და დარგის ყველა მკვლევრისთვის მისაღები არ არის. თუმცა, რეალისტები მიიჩნევენ, რომ ეს გამარტივებული მოდელები სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც საშუალებას აძლევს მეცნიერებს, სხვადასხვა აქტორების ქმედებები ზოგადად ახსნან.

2.5.3 პატიმრის დილემა

თამაშის თეორია (game theory)
მათემატიკის ერთ-ერთი ქვედარგი, რომელიც მოლაპარაკებების შედეგების პროგნოზირებითაა დაკავებული. ისეთი თამაშები, როგორებიცაა „პატიმრის დილემა“ და „წინილის თამაში“ სხვადასხვა სახის საერთაშორისო ინტერაქციათა გასაანალიზებლად გამოიყენება.

თამაშის თეორია მათემატიკის ერთ-ერთი ქვედარგია, რომელიც მოლაპარაკებების შედეგების პროგნოზირებითაა დაკავებული. თამაში არის მოცემულობაა, რი,მელშიც ორი ან მეტი მოთამაშე ალტერნატიულ სვლებს შორის აკეთებს არჩევანს, რასაც ერთჯერადი ან განმეორებითი ხასიათი აქვს. მოთამაშეების სვლათა ყოველ კომბინაციას გარკვეული ჯილდო (სარგებელი) მოაქვს ყველა მოთამაშისათვის. ეს ჯილდო შეიძლება იყოს როგორც ხელშესახები, მაგალითად, ფული, ასევე არახელშესახები ღირებულების მქონე რამ. თამაშის თეორია მიზნად ისახავს სავარაუდო შედეგების პროგნოზირებას (ანუ, რას მოიმოქმედებენ მოთამაშეები), ითვალისწი-

ნებს რა მოთამაშეთა პრეფერენციებს და მათ წინაშე არსებულ შესაძლო სვლებს. თამაშებს ზოგჯერ ფორმალურ მოდელებსაც უწოდებენ.

მეცნიერებმა თამაშის თეორია საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში პირველად ფართოდ გამოიყენეს 1950-60-იან წლებში, აშშ-სსრკ-ს შორის ბირთვული ომის გარემოებების გასაგებად. თამაშში „სვლები“ გაიგივებული იყო გადაწყვეტილებებთან ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ, ხოლო „სარგებელი“ – ომის შედეგებთან. თამაშის თეორიის საერთაშორისო ურთიერთქმედებების შესასწავლად გამოყენება კიდევ უფრო გავრცელდა მცვლევართა შორის უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით რეალისტებში, რომლებიც ეთანხმებიან დაშვებებს აქტორების რაციონალობის შესახებ. თამაშის მათემატიკურად გაანალიზებისთვის, კეთდება დაშვება, რომ ყველა მოთამაშე სვლას რაციონალურად ირჩევს, რათა გაზარდოს საკუთარი სარგებელი.

ნულოვანჯამიანი თამაშები (zero-sum games)

სიტუაცია, რომელშიც ერთი აქტორის მოგება უტოლდება მეორეს წაგებას. ამის საწინააღმდეგოა არანულოვანჯამიანი თამაშები, რომელშიც შესაძლებელია ორივე მოთამაშემ ნახოს მოგება (ან ორივე წაგებული დარჩეს).

განსხვავებული სიტუაციები წარმოდგენილია განსხვავებული კლასის თამაშებით, რაც განისაზღვრება მოთამაშეთა რაოდენობით და სარგებლის სტრუქტურით. ძირითადი განსხვავებაა ნულოვანჯამიანი თამაშებს, სადაც ერთი მონაწილის მოგება უტოლდება მეორეს წაგებას და არანულოვანჯამიან თამაშებს შორის, რომელშიც შესაძლებელია ორივე მოთამაშემ ნახოს მოგება (ან ორივე წაგებული დარჩეს). ნულოვანჯამიან თამაშებში აზრი არ აქვს მოთამაშეებს შორის კომუნიკაციას ან თანამშრომლობას, რადგან მათი ინტერესები დიამეტრულად ურთიერთსაპირისპიროა. მაგრამ, არანულოვანჯამიან თამაშში, სვლების კოორდინაციით მოთამაშეებს შეუძლიათ მთლიანი სარგებლის მაქსიმიზაცია, თუმცა თითოეული მათგანი შესაძლოა ისევ ცდილობდეს ამ მთლიანი მოგებიდან უფრო დიდი წილის მიღებას.

პატიმრის დილემა (Prisoner's Dilemma (PD)

თამაშის თეორიის მოდელირებული სიტუაცია, როდესაც რაციონალური აქტორები, რომლებიც მისდევენ თავის ინდივიდუალურ ინტერესებს, მთლიანობაში აღწევენ უფრო ცუდ შედეგს, ვიდრე თანამშრომლობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი.

თამაში, სახელად „პატიმრის დილემა“ ასახავს საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას, რაც დამახასიათებელია საერთაშორისო ურთიერთობებისთვის. ამ სიტუაციაში რაციონალური მოთამაშეები ირჩევენ სვლებს, რომლებსაც ყველა მოთამაშისთვის უფრო ცუდი შედეგი მოაქვს, ვიდრე სვლების სხვა კომბინაციის შემთხვევაში იქნებოდა. მათ შეეძლოთ უკეთესი შედეგიც მიეღოთ, მაგრამ როგორც ინდივიდუალურ რაციონალურ აქტორებს, არ ძალუძთ ამის მიღწევა. ასე როგორ ხდება?

თავდაპირველი ამბავი ეხება ორ პატიმარს, რომელთაც ცალ-ცალკე დაკითხავს გამომძიებელი. გამომძიებელმა იცის, რომ მათ გაძარცვეს ბანკი, მაგრამ მას საკმარისი მტკიცებულება მხოლოდ იმისთვის აქვს, რომ ისინი იარაღის უკანონო ფლობაში დაადანაშაულოს, თუკი ერთ-ერთი მათგანი არ აღიარებს დანაშაულს. გამომძიებელი ორივე პატიმარს ეუბნება, რომ აღიარებითი ჩვენების მიცემის შემთხვევაში და თუ მისი პარტნიორი არ აღიარებს დანაშაულს, მას გაათავისუფლებენ; თუ მისი პარტნიორი მისცემს აღიარებით ჩვენებას და ის არა, მას ერგება ხანგრძლივი პატიმრობა ბანკის ძარცვისთვის (მისი პარტნიორი კი გათავისუფლდება); თუკი ორივე აღიარებს დანაშაულს, პატიმრობის ვადა გარკვეულწილად

შემცირდება; თუ არცერთი აღიარებს, ისინი გასამართლდებიან იარაღის უკანონო ფლობის გამო და მოკლევადიან სასჯელს მოიხდიან. ამ ამბავში გაკეთებულია შემდეგი დაშვებები: არცერთ პატიმარს მოგვიანებით სამაგიეროს გადახდის საშუალება არ ექნება, მხოლოდ დაუყოვნებლივ შედეგებს აქვს მნიშვნელობა და რომ ორივე პატიმარი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს.

ამ თამაშს ერთადერთი გადაწყვეტა აქვს: ორივე პატიმარი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. თითოეული იმსჯელებს შემდეგნაირად: „თუკი ჩემი პარტნიორი აღიარებს დანაშაულს, მეც უნდა ვაღიარო, რომ ამ გზით ნაკლები სასჯელი მივიღო; თუკი ჩემი პარტნიორი არ აპირებს დანაშაულის აღიარებას, მე მაინც უნდა ვაღიარო, რადგან ამ შემთხვევაში მე გამათავისუფლებენ და მცირე სასჯელის მოხდაც არ მომიწევს". მეორე პატიმარიც იმავე ლოგიკას მისდევს. დილემა მდგომარეობს იმაში, რომ ორივე პატიმარის მიერ ინდივიდუალურად რაციონალური არჩევნის გაკეთებით, შედეგად ორივე იღებს უფრო ხანგრძლივ სასჯელს მაშინ, როცა თანამშრომლობის (უბრალოდ გაჩუმების) შედეგად ორთავე უფრო მოკლევადიან სასჯელს მოიხდიდა.

პატიმრის დილემის მსგავსი სიტუაციები ხშირად ხდება საერთაშორისო ურთიერთობებში. ერთი კარგი მაგალითია გამალებული შეიარაღება. განვიხილოთ ინდოეთისა და პაკისტანის გადაწყვეტილებები, შექმნან თუ არა ბირთვული იარაღის მნიშვნელოვანი არსენალები. ორივეს აქვს ამის უნარი. არცერთმა მხარემ დაზუსტებით არ შეიძლება იცოდეს, ავითარებს თუ არა მეორე მხარე საიდუმლოდ არსენალს, თუკი არ მიაღწევენ იარაღის კონტროლის შესახებ შეთანხმებას, გადამოწმების მკაცრი მექანიზმით. თამაშის გასაანალიზებლად, ყოველ შესაძლო შედეგს მივანიჭოთ მნიშვნელობა თითოეული მოთამაშისთვის – რასაც ხშირად პრეფერენციების დალაგებას უწოდებენ. ეს მარტივი არ არის: თუ ჩვენ არასწორად ვაფასებთ იმ მნიშვნელობას, რასაც მოთამაშე კონკრეტულ შედეგს ანიჭებს, შესაძლოა არასწორი დასკვნები გამოვიტანოთ თამაშიდან.

შესაძლო შედეგებთან დაკავშირებული ქვემოთ ჩამოთვლილი პრეფერენციები დამაჯერებლად ჟღერს: თითოეული მხარისთვის საუკეთესო შედეგი იქნებოდა, თუ მხოლოდ ის შექმნიდა ბირთვულ არსენალს და მეორე მხარე – არა (ამ შემთხვევაში ბირთვულ იარაღის წარმოების ხარჯი გამართლებული იქნებოდა, რამდენადაც მოცემულ აქტორს მისი ბერკეტად გამოყენების საშუალება მიეცემოდა); მეორე საუკეთესო შედეგი იქნებოდა, თუ არცერთ მხარეს ექნებოდა ბირთვული შეიარაღება (არც ბერკეტი ექნებოდა, მაგრამ არც დანახარჯი); მესამე საუკეთესო შედეგი იქნებოდა, თუკი ორივე განავითარებდა ბირთვულ არსენალს (სერიოზული დანახარჯი ბერკეტის მოპოვების გარეშე); ყველაზე უარესი შედეგი კი თითოეული მოთამაშისთვის იქნებოდა, თუ თავად იტყოდა უარს ბირთვულ იარაღზე მაშინ, როცა მეორე მხარე შექმნიდა მას (და ამგვარად შანტაჟის სუბიექტი გახდებოდა).

თამაში შეიძლება შევაჯამოთ ე.წ. სარგებლის მატრიცაში (იხ. გრაფიკი 2.8). პირველი ციფრი თითოეულ უჯრედში არის ინდოეთის სარგებელი, ხოლო მეორე – პაკისტანის. რომ გავამარტივოთ, 4 აღნიშნავს ყველაზე დიდ სარგებელს, ხოლო 1 – ყველაზე მცირეს. ბირთვული იარაღის განვითარებისგან თავის შეკავება არის „თანამშრომლობა" და გადაწყვეტილება ბირთვული არსენალის განვითარების შესახებ არის „განდგომა". ეს დილემა ზემოთ განხილული პატიმრების შემთხვევის მსგავსია. თითოეული სახელმწიფოს ლიდერი მსჯელობს შემდეგნაირად: „თუ ისინი ბირთვულ იარაღს ავითარებენ, ჩვენც იგივე უნდა გავაკეთოთ; თუ ისინი არ ავითარებენ, სულელები ვიქნებით, რომ ჩვენ რომ არ განვავითაროთ". წარმოდგენილი მოდელის მიხედვით, ინდოეთი-პაკისტანის ბირთვული გამალებული შეიარაღების თავიდან აცილება გარდაუვალია, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სახელმწიფოსთვის უკეთესი იქნებოდა მისი თავიდან აცილება.

გრაფიკი 2.8 სარგებლის მატრიცა ინდოეთ-პაკისტანის პატიმრის დილემის თამაშში

		პაკისტანი	
		თანამშრომლობა	**განდგომა**
ინდოეთი	**თანამშრომლობა**	(3,3)	(1,4)
	განდგომა	(4,1)	(22)

შენიშვნა: პირველი ციფრი თითოეულ უჯრედში აღნიშნავს ინდოეთის სარგებელს, მეორე – პაკისტანისას; 4 არის ყველაზე დიდი სარგებელი, ხოლო 1 – ყველაზე მცირე.

1998 წელს ინდოეთმა ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდები მოაწყო, რასაც მალევე პაკისტანიც მიჰყვა. 2002 წელს ამ სახელმწიფოებს შორის საქმე ლამის ომამდე მივიდა. ომის მსხვერპლთა სავარაუდო რაოდენობა 12 მილიონამდე შეფასდა. ძვირადღირებული და სახიფათო გამალებული შეიარაღება კვლავ გრძელდება. ამჟამად ორივე მხარე ათეულობით ბირთვულ რაკეტას ფლობს. გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებით, როგორც საზოგადოებრივი სიკეთით, ორივე მხარე იხეირებდა, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პირობებში, არ აძლევს მათ ამ პოტენციური სარგებლის მიღების შესაძლებლობას. ეს მაგალითი ნათლად ასახავს, თუ რატომ არიან რეალისტები პესიმისტურად განწყობილნი პატიმრის დილემის თამაშში გამოხატული კოლექტიური სიკეთის პრობლემის თანამშრომლობის გზით გადაჭრის მიმართ.

საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრები აანალიზებენ თამაშების თეორიის კიდევ ბევრ სხვა მაგალითს. ერთ-ერთია „წიწილის თამაში", რომელშიც ორი მძღოლი ერთმანეთთან შეტაკების კურსს ადგას. ეს თა-

მაში ნათელს ჰფენს შეკავების კონცეფციას. შეკავება გულისხმობს მეორე აქტორის დარწმუნებას, არ მოიმოქმედოს ის, რასაც სხვა შემთხვევაში გააკეთებდა. ისევე, როგორც წიწილის თამაშში, როდესაც ერთი მძღოლი ირწმუნება, რომ არ გადაუხვევს გზიდან, სახელმწიფოს ლიდერებიც ცდილობენ, დაარწმუნონ სხვები, რომ ისინი სასტიკად უპასუხებენ მათზე (ან მათ მოკავშირეზე) თავდასხმას. მართალია, კურსიდან არგადახვევა ორივე მხარისთვის კატასტროფის რისკს ბადებს, მაგრამ რთულია ერთი მოთამაშისთვის მეორეს დარწმუნება, რომ ეს უკანასკნელი შეუხვების (ომის) საფრთხის წინაშეა, თუკი გზიდან არ გადაუხვევს. თამაშის თეორია ხშირად შეისწავლის ურთიერთდამოკიდებულ გადაწყვეტილებებს, როცა თითოეული მოთამაშისთვის დამდგარი შედეგი დამოკიდებულია მეორეს მოქმედებებზე.

მოცემული თავი ეძღვნებოდა რეალისტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს – სახელმწიფოთა ინტერესებს, სახელმწიფოებს შორის ძალის განაწილებას, მათ შორის ვაჭრობა-მოლაპარაკებებს და ალიანსებს. ამ თავში სახელმწიფოები განხილულ იქნენ როგორც უნიტარული აქტორები, თითქმის ისე, როგორც ინდივიდებს შორის ურთიერთქმედებას გავაანალიზებდით. სახელმწიფო ლიდერების ქცევას შევხედეთ ასე – მათ ძალის მაქსიმიზაცია სურთ განსაზღვრებას დაქვემდებარებული ინტერესების დაკმაყოფილების გზით და ამისთვის მოლაპარაკებების თანმიმდევრულ სტრატეგიებს იყენებენ. თუმცა, რეალიზმი არ არის საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი საკითხების ორგანიზების ერთადერთი გზა. მესამე თავი კიდევ ერთხელ განიხილავს ამ თემებს კრიტიკულად, ნაკლებად ეყრდნობა რა დომინირების ძირითად პრინციპს და ყურადღებას უფრო ამახვილებს ნაცვალგებასა და იდენტობაზე.

შეჯამება

- რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებს ძალის კონცეფციით ხსნის.
- რეალისტები და იდეალისტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ადამიანის ბუნებასთან, საერთაშორისო წესრიგთან და მშვიდობის პონეტციალთან დაკავშირებული დაშვებებით.
- ძალა შეიძლება გავიგოთ, როგორც გავლენა, ან შესაძლებლობები, რითაც გავლენის მოპოვება შეიძლება.
- სახელმწიფოს ძალის ყველაზე მნიშვნელოვანი ცალკე აღებული ინდიკატორია მისი მთლიანი შიდა პროდუქტი.
- მოკლევადიანი ძალის შესაძლებლობები დამოკიდებულია გრძელვადიან რესურსებზე, როგორც მატერიალურზე ასევე არამატერიალურზე.
- რეალისტები სამხედრო ძალას ყველაზე მნიშვნელოვან შესაძლებლობად მიიჩნევენ.
- საერთაშორისო ანარქია – მსოფლიო მთავრობის არარსებობა – ნიშნავს, რომ თითოეული სახელმწიფო სუვერენული და ავტონომიური აქტორია და ატარებს საკუთარ ეროვნულ ინტერესებს.
- საერთაშორისო სისტემა ტრადიციულად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოების სუვერენიტეტს, მათ უფლებას, აკონტროლონ საქმეები საკუთარ ტერიტორიაზე და მათ ვალდებულებას, პატივი სცენ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს.
- შვიდ დიდ სახელმწიფოზე მოდის მსოფლიოს მშპ-ის ნახევარზე მეტი, შეიარაღებული ძალებისა და ძალის სხვა შესაძლებლობების უდიდესი წილი.
- ძალის ტრანზიციის თეორია აცხადებს, რომ ომები ხშირად საერთაშორისო სისტემაში შედარებითი ძალის გადანაწილებაში მომხდარი ცვლილებების შედეგია.
- ჰეგემონია – საერთაშორისო სისტემაში ერთი სახელმწიფოს ბატონობა – შეიძლება დაეხმაროს საერთაშორისო სისტემაში მშვიდობასა და სტაბილურობას, თუმცა გარკვეული ხარვეზებით.
- დიდი სახელმწიფოების სისტემა შედგება დაახლოებით ხუთი-ექვსი ქვეყნისგან (დროთა განმავლობაში შემადგენლობა იცვლება ცალკეული სახელმწიფოების ძლიერების გაზრდითა და შემცირებით).
- სახელმწიფოები ქმნიან ალიანსებს თავიანთი ძალის გასაზრდელად სხვა ქვეყნებსა და ალიანსებთან მიმართებაში.
- მსოფლიოს ძირითადი ალიანსების, ნატოსა და აშშ-იაპონიის ალიანსის, როლი არამდგრადია ცვალებად მსოფლიოში.
- საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება დავინახოთ სახელმწიფოთა შორის ურთიერთქმედების სერიად, რომელშიც სახელმწიფოები ძალის შესაძლებლობებს იყენებენ როგორც ბერკეტს შედეგებზე გავლენის მოსახდენად. თუმცა, ეს შედეგები ასევე დამოკიდებულია სტრატეგიასა და გამართლებაზე.
- რაციონალური აქტორის მიდგომა სახელმწიფოებს აღიქვამს თავიანთი ინტერესების მაქსიმიზაციის მიზნით მოქმედ ინდივიდებად. ეს გამარტივება სადავოა, მაგრამ ის საშუალებას აძლევს რეალისტებს, შექმნან ლაკონური ზოგადი მოდელები და ახსნები.
- თამაშის თეორია ეყრდნობა ურთიერთქმედების გამარტივებულ მოდელებს. „პატიმრის დილემის“ თამაში განასახიერებს კოლექტიური სიცეთის რთულ პრობლემას.

ძირითადი ცნებები

რეალიზმი
იდეალიზმი
მიუნხენის შეთანხმება
ძალა
გეოპოლიტიკა
ანარქია
ნორმები
სუვერენიტეტი
უსაფრთხოების დილემა
ძალთა ბალანსი
დიდი სახელმწიფო
საშუალო სახელმწიფო
ნეორეალიზმი
ძალის ტრანზიციის თეორია
ჰეგემონია
ჰეგემონური სტაბილურობის თეორია
ალიანსის შეკავშირებულობა
ტვირთის განაწილება
ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)
ვარშავის პაქტი
აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულება
შეკავება (detterence)
იძულება
გამალებული შეიარაღება
რაციონალური აქტორები
ეროვნული ინტერესი
ხარჯსარგებლიანობის ანალიზი
თამაშის თეორია
ნულოვანჯამიანი თამაშები
პატიმრის დილემა

კითხვები კრიტიკული აზროვნებისთვის

1. ცხრილ 1.4-ს (სადაც მმპ ძალის საზომადაა გამოყენებული) და წიგნის დასაწყისში მოცემულ რუკებზე დაყრდნობით, შეარჩიეთ სახელმწიფო და იფიქრეთ, რომელი ახლომდებარე სახელმწიფოების კოალიციას შეუძლია საკმარისი ძალა შეკრიბოს ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუ ის აგრესიული გახდა?
2. აირჩიე ერთ-ერთი ბოლო ხნის საერთაშორისო მოვლენა და ჩამოთვალე ძალის ის ფაქტორები, რომლებიც მონაწილეებმა ბერკეტად გამოიყენეს ამ ეპიზოდში. რომელი მათგანი აღმოჩნდა ეფექტური, რომელი არა და რატომ?
3. თანამედროვე საერთაშორისო სისტემა იმ დროიდან არსებობს, როცა აგრარული საზოგადოებები სიმდიდრე შესაქმნელად ძირითადად ეყრდნობოდნენ სასოფლო-სამეურნეო მიწებს. ახლა, როდესაც სიმდიდრე დიდწილად აღარ იქმნება სოფლის მეურნეობის გზით, ხომ არ მოძველდა სახელმწიფოთა ტერიტორიული ბუნება? როგორ შეიძლება შეცვალოს ტერიტორიის ეკონომიკური ღირებულების კლებამ სახელმწიფოთა ურთიერთქმედების გზები?
4. თქვენ რომ იყოთ პატარა აფრიკული ქვეყნის ლიდერი და მოლაპარაკება გქონდეთ დიდი სახელმწიფოებთან საკითხზე, რომელშიც განსხვავებული ინტერესები გაქვთ, რა ბერკეტებსა და სტრატეგიებს გამოიყენებდით, რათა უკეთესი შედეგები მიგეღოთ თქვენი ქვეყნისთვის?
5. ნულოვანჯამიან და არანულოვანჯამიან თამაშებს შორის განსხვავების გათვალისწინებით, გახსენდებათ მიმდინარე საერთაშორისო მოვლენა, რომელიც ნულოვანჯამიან კონფლიქტს განასახიერებს? არანულოვანჯამიანს?

მოდით ვიმსჯელოთ:

შეუძლიათ შეერთებულ შტატებს და ჩინეთს მშვიდობიანი თანაარსებობა?

მიმოხილვა

ამ თავში აღინიშნა, რომ რეალისტები ხაზს უსვამენ ძალთა ბალანსის იდეას – სახელმწიფოები შეიძლება ერთმანეთს შეეკრან, რათა არ დაუშვან სხვა სახელმწიფოს დომინირება. თუმცა, დღევანდელ სისტემაში შეერთებულ შტატებს არ ჰყავს ანალოგი სამხედრო და ეკონომიკური ძალის თვალსაზრისით. ზოგი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ჩინეთი იქნება ის სახელმწიფო, რომელიც გახდება აშშ-ს ლიდერობის „ჩელენჯერი" მომავალში.

ისტორიულად, ჩინეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთობები ცვალებადი იყო. ცივი ომის დროს, როდესაც აშშ-მა გახსნა ურთიერთობები ჩინეთთან, ორი ქვეყანა თანამშრომლობდა საერთო მტრის, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ცივი ომის დასრულების შემდეგ, ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად იცვლებოდა ჩინეთის ეკონომიკურ და სამხედრო გაფართოებასთან და მის მიერ საბჭოთა კავშირის დაშლით გაჩენილი გლობალური ვაკუუმის შევსებასთან ერთად.

ჩინეთი ჯერ ისევ უფრო სუსტია ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით, ვიდრე ამერიკა, მაგრამ თუკი მისი ამჟამინდელი ზრდა გაგრძელდება, ის საბოლოოდ გადაასწრებს შეერთებულ შტატებს ეკონომიკური ძალით. დიდი ეკონომიკის პირობებში, ჩინეთს დიდი დრო არ დასჭირდება, რომ დაეწიოს აშშ-ს სამხედრო ძალაში. ამ ცვლილებას ძალიას ტრანზიციას ვუწოდებთ (იხ. ამ თავში). ზოგჯერ ასეთი ტრანზიცია ძლიერ სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანად ხდება (შეერთებულმა შტატებმა ჩაანაცვლა დიდი ბრინატეთი), ხოლო ზოგჯერ – არა (გერმანიის მცდელობა, დაეძლია დიდი ბრიტანეთი პირველ და მეორე მსოფლიო ომებში). თუკი ჩინეთი ისე გაიზარდა, რომ შეეძლება აშშ-ს გამოწვევა, რა შედეგი ექნება ამას ორი დიდი ქვეყნის ურთიერთობებისთვის? იქნება ის მშვიდობიანი თუ მტრული?

არგუმენტი 1

შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს გაუჭირდებათ მშვიდობიანი თანაარსებობა

აშშ-ს და ჩინეთის მოკავშირეები ქმნიან კონფლიქტებს მათ შორის. ჩინეთის კავშირები ჩრდ. კორეასთან, ირანთან და სუდანთან გაძლიერდა ბოლო ათწლეულში. შეერთებული შტატები თითოეულ ამ სახელმწიფოს მტრად განიხილავს, ხოლო ჩინეთი მათ კარგად ეპყრობა ეკონომიკური და სტრატეგიული გათვლების გამო. რაც შეეხება აშშ-ს მხარეს, მართალია არ არსებობს ფორმალური ალიანსი, მაგრამ ამერიკის კეთილგანწყობა ტაივანის მიმართ, რომელსაც ჩინეთი საკუთარ, განდგომილ პროვინციად განიხილავს, ასევე ძაბავს ვითარებას.

ჩინეთი უკვე მოქმედებს საკუთარი ინტერესებით აშშ-თან კონფლიქტში. ჩინეთი ხელოვნურად ინარჩუნებს საკუთარი ვალუტის კურსს, რათა მისი საქონელი იაფი დარჩეს ამერიკულ ბაზარზე. ამგვარი პოლიტიკის მიმართ არაერთი პროტესტის მიუხედავად, ჩინეთი აგრძელებს ვალუტის კონტროლს, რაც აზარალებს ამერიკის შიდა მწარმოებლებს.

ჩინეთი უკვე ცდილობს, გაეუჯიბროს შეერთებულ შტატებს გლობალური ზესახელმწიფოს რანგში. ჩინეთმა გაზარდა უცხოური დახმარება აფრიკისთვის (მათ შორის, აშშ-ს მიერ სანქცირებული სახელმწიფოებისთვის). ჩინეთმა გაზარდა იარაღით გლობალური ვაჭრობა. ჩინეთი კეთილგანწყობით ეპყრობა შეერთებულ შტატებთან დაპირისპირებულ სახელმწიფოებს – ვენესუელასა და ირანს. ყველა ნიშანი მიუთითებს, რომ ჩინეთი ცდილობს შეერთებულ შტატებს გლობალურ ბატონობაში შეეცილოს.

არგუმენტი 2

შეერთებულ შტატებს და ჩინეთს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა

შეერთებული შტატები და ჩინეთი ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე თანხმდებიან. ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ტერორიზმი და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, ჩინეთს შეერთებული შტატების მსგავსი ხედვა აქვს. როგორც აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ცივი ომის დროს, აქაც არის სივრცე სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე შეთანხმებისთვის, რაც ქმნის ორ დიდ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის საფუძველს. ასევე, ჩინეთმა „მშვიდობიანი აღზევების" სტრატეგიით თავი აარიდა აშშ-თან კონფლიქტს ბოლო სამოცი წლის განმავლობაში.

ურთიერთობების სტაბილურობას უზრუნველყოფს ბირთვული შეკავება. ორივე სახელმწიფოს აქვს დიდი და სანდო ბირთვული ძალები, რომლებსაც ძალუძთ, მეტოქეს თავდასხმისაგან თავი შეაკავებინოს. მართალია, ეს არ გამორიცხავს გაშუალებულ ომებს (ცივი ომის მსგავსად), მაგრამ გულისხმობს, რომ შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ურთიერთობები ცივილური და სტაბილური დარჩება.

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ურთიერთობებს მშვიდობიან ხასიათს შეუნარჩუნებს. შეერთებული შტატები და ჩინეთი ერთმანეთზე არიან დამოკიდებული ეკონომიკურად. ამერიკა დამოკიდებულია მისაღები ფასის მქონე ჩინური საქონლის მიწოდებაზე, ხოლო ჩინეთი დამოკიდებულია აშშ-ის ბაზარზე მისი საექსპორტო ზრდის სტრატეგიით. ორმხრივი დამოკიდებულების ამგვარი ვითარება უზრუნველყოფს თბილი ურთიერთობების შენარჩუნებას, რადგან დაპირისპირებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ვაჭრობას.

კითხვები

- არის კონფლიქტი შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის გარდაუვალი? თუ ჩინეთი დემოკრატია გახდება, კონფლიქტის შესაძლებლობა უფრო მეტი იქნება თუ ნაკლები?
- თუ მომავალში კონფლიქტები გაჩნდება, არსებობს გზები მათი თავიდან ასაცილებლად? თუ კონფლიქტი უბრალოდ დიდი სახელმწიფოების გლობალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია? შეუძლია საერთაშორისო ორგანიზაციებს (როგორიცაა გაერო), დიდ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის პოტენციალი შეამცირონ?
- ტაივანი შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის დაძაბულობის მნიშვნელოვანი წყაროა. აშშ ოფიციალურად არ აღიარებს ტაივანს, მაგრამ მას კუნძულთან გაფორმებული აქვს მეგობრობის ხელშეკრულება. უნდა დააყენოს რისკის ქვეშ შეერთებულმა შტატებმა ჩინეთთა ურთიერთობა, რათა დაიცვას ტაივანის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები? თუ ჩინეთი აშშ-ს აიძულებს, არჩევანი გააკეთოს ტაივანსა და ნაკლებ დაძაბულობას შორის, რომელი უნდა აირჩიოს შეერთებულმა შტატებმა?

დამატებითი საკითხავი:

- Allison, Graham. Destined for War: Can America and China Escape Thucydides's Trap? Houghton Mifflin Harcourt, 2017.
- Hachigian, Nina. Debating China: The U.S.–China Relationship in Ten Conversations. Oxford, 2014.
- Mearsheimer, John J. The Tragedy of Great Power Politics. Norton, 2003.
- Shirk, Susan L. China: Fragile Superpower. Oxford, 2008

თავი 3

ლიბერალური და სოციალური თეორიები



Adam Berry/Getty Images

ანტი-ბირთვული საპროტესტო გამოსვლის მონაწილეები გერმანიაში, 2017 წელი.

სასწავლო მიზნები

3.1 გაარჩიეთ ორი განსხვავებული თეორია, თუ რატომ არ ეომებიან დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთს

3.2 შეადარეთ საზოგადოებრივი აზრისა და ინტერესთა ჯგუფების გავლენა საგარეო პოლიტიკის პროცესზე

3.3 ახსენით სამი ფაქტორი, რომლებსაც შეუძლიათ შეაფერხონ საერთაშორისო კრიზისის დროს ინდივიდუალ დონეზე გადაწყვეტილების მიღება

3.4 აღწერეთ, თუ როგორ ხსნიან სოციალური თეორიები ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების გარდაქმნას მეტოქეობიდან მოკავშირეობად

3.5 აღწერეთ საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტის მოსაგვარებლად მედიაციის გამოყენების გზები

3.6 გამოყავით საერთაშორისო ურთიერთობების ორი პრობლემა, სადაც გენდერი მნიშვნელოვანი ფაქტორია აღნიშნული პრობლემების გასაგებად ან გადასაჭრელად

3.1. ლიბერალური ტრადიციები

გაარჩიეთ ორი განსხვავებული თეორია, თუ რატომ არ ეომებიან დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთს.

თუ რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის მოსაგვარებლად დომინირების პრინციპს გვთავაზობს, როგორც გამოსავალს, მოცემულ თავში განხილული ალტერნატიული თეორიული მიდგომები ძირითადად ორმხრივობის და იდენტობის პრინციპებს ემყარება (იხ. გრაფიკი 2.1. მე-2 თავში). სხვა საერთო ელემენტებთან ერთად, ამ მიდგომებს რეალიზმთან შედარებით ზოგადად უფრო ოპტიმისტური დამოკიდებულება აქვთ მშვიდობის პერსპექტივასთან დაკავშირებით.

3.1.1. ომის მილევა

მიუხედავად იმისა, რომ რეალისტების თვალთახედვით ძალის პოლიტიკის კანონები მეტნაკლებად მუდმივი და უცვლელია, ლიბერალური თეორიის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების წესები დროთა განმავლობაში ნელა და თანდათანობით განიცდის ევოლუციას და სავარაუდოდ სულ უფრო მეტად მშვიდობიან ხასიათს იძენს. აღნიშნული ევოლუცია პირველ რიგში საერთაშორისო ორგანიზაციების ეტაპობრივად მომრავლების და ორმხრივი თანამშრომლობის (ორმხრივობის პრინციპი) გაფართოების შედეგია, ხოლო მეორე რიგის მიზეზებს შორის ასევე მიუთითებენ საზოგადოებრივი აზრისა და ნორმების ცვლილებებს (იდენტობის პრინციპი). ამ თავში განხილული ყველა ძირითადი თეორია მიიჩნევს, რომ ჩვენ არ ვართ მუდმივად საომარ მდგომარეობაში მყოფი სამყაროსთვის განწირულნი და შეგვიძლია უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს მიღწევა.

უკანასკნელ წლებში, მკაფიოდ გამოიკვეთა სულ უფრო მცირე და ნაკლებად მასშტაბური ომების ტენდენცია. ბევრისთვის მსოფლიო დღეს უფრო მეტად არის მიდრეკილი ომისა და ძალადობისკენ, ვიდრე აქამდე ყოფილა. ამ შეხედულების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მსოფლიოს მასშტაბით ძალადობის კადრები ხშირად ჩნდება მათი ტელევიზორების და ტელეფონების ეკრანებზე. თუმცა, ზოგადად მსოფლიოსთვის, დღეს ომიანობისკენ ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად მიდრეკილი პერიოდია.

თავდაპირველად განვიხილოთ გრძელვადიანი ტენდენცია. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, მსოფლიო ომებს ათობით მილიონი ადამიანი ემსხვერპლა და შედეგად მთელი კონტინენტების ნგრევა მოიტანა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, ცივი ომის მიმდინარეობისას, მარიონეტულ ომებში მილიონობით ადამიანი დაიღუპა, მსოფლიოში კი ბირთვული ომის შიშმა დაისადგურა, რომელიც შესაძლოა ადამიანური რასის მოსპობით დასრულებულიყო. დღევანდელ დღეს, 21-ე საუკუნის დასა-

წყისში, სირიისა და ავღანეთის მსგავსი ომების მსხვერპლთა რაოდენობა ათეულობით ან ასეულობით ათას ადამიანს აღწევს. ჩვენ დღეს გვეშინია ტერორისტული თავდასხმის, რომელსაც შეუძლია დაანგრიოს ქალაქი, მაგრამ ვერ მოსპობს სიცოცხლეს დედამიწაზე. თაობიდან თაობამდე, მსოფლიო წინ წავიდა და ომში დაღუპულთა რაოდენობა არათანაბრად, თუმცა შეუქცევადად შემცირდა ათეული მილიონებიდან მილიონებამდე და ასეულ ათასებამდე. ეს ჯერ კიდევ დიდი რიცხვია და ომების შედეგები დღესაც კატასტროფულ ხასიათს ატარებს. თუ მოვახერხებთ ამ ტენდენციის უკეთესად გაგებას და შენარჩუნებას, დიდი ომები ალბათ საერთოდ გაქრება, თუმცა მცირე ომებსა და ტერაქტებში ალბათ კვლავაც ათასობით ადამიანი დაიღუპება.

ცივი ომის დასრულების შემდგომ გაგრძელდა მცირემასშტაბიანი ომებისკენ გადასვლის გრძელვადიანი ტენდენცია. მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში დასრულდა ცივი ომის პერიოდის ისეთი კონფლიქტები, როგორებიც იყო ანგოლაში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, გვატემალაში და სამხრეთ სუდანში მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირებები (შედარებით უფრო ადრე, 1990-იან წლებში დასრულდა კონფლიქტები სამხრეთ აფრიკასა და მოზამბიკში). ასევე დასრულდა ცივი ომის შემდეგ დაწყებული ომების უმრავლესობა, მათ შორის ბოსნიაში, კოსოვოში, ალჟირში, რუანდაში, ბურუნდისა და უგანდაში. ლიბერიამ და მოზამბიკმა, სიერა-ლეონეს მსგავსად (რომელმაც 2003 წელს დემოკრატიული არჩევნები ჩაატარა) ძალაუფლების დანაწილების პრინციპით მოქმედი მთავრობები ჩამოაყალიბეს და საკუთარ ტერიტორიებზე საერთაშორისო სამშვიდობო ძალები განათავსეს. 2005 წელს, ირლანდიის რესპუბლიკურმა არმიამ შეწყვიტა შეიარაღებული ბრძოლა. 2015 წელს, კოლუმბიის მთავრობამ და მეამბოხეთა ყველაზე დიდმა დაჯგუფებამ ნინასწარ სამშვიდობო შეთანხმებას მიაღწიეს, რომელზეც მოლაპარაკებები 2016 წელს უნდა დასრულებულიყო.

დღეს არსებულ ყველაზე სერიოზულ კონფლიქტებში ძირითადად შეტაკებები ფიქსირდება და არა დიდი ბრძოლები. ორივე მხარეს მძიმე შეიარაღების (მაგალითად, არტილერია, ტანკები და სამხედრო ავიაცია) მქონე ჯარებს შორის ბრძოლებს უკანასკნელად 2003 წელს ერაყში შეჭრის და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჰქონდა ადგილი, სადაც ორივე დაპირისპირება ერთი მხარის აშკარა უპირატესობით წარიმართა და მალევე დასრულდა. ბოლო გაჭიანურებული სახელმწიფოთაშორისი ომი ეთიოპიასა და ერითრეას შორის 2000 წელს დასრულდა. დიდ სახელმწიფოებს შორის ბოლო ომის (სადაც დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს უშუალოდ ეომებოდნენ) დასრულებიდან 60 წელზე მეტი დრო გავიდა.


2018 წელს, მსოფლიოში ყველაზე დამანგრეველი ომი სირიაში მიმდინარეობდა, სადაც დაწყებულმა აჯანყებამ და ხელისუფლების მხრიდან ამ აჯანყების განსაკუთრებული სისასტიკით ჩახშობის მცდელობამ ხუთი წლის მანძილზე 200 ათასამდე ადამიანი იმსხვერპლა. ომი მეზო-

ბელ ერაყშიც გავრცელდა, სადაც სირიასა და ერაყში ისლამური სახელმწიფოს სახელით ცნობილმა ისლამისტმა მებრძოლებმა მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავეს, თუმცა, შემდეგ სამთავრობო ძალების იერიშის და ქურთი მებრძოლების წინააღმდეგობის შედეგად ამ ტერიტორიების დათმობა მოუხდათ. სამხედრო ძალები რამდენიმე ქვეყნიდან, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან და რუსეთიდან, ინტენსიურად უტევდნენ ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფებებს 2015-2017 წლებში. იემენში, შეფასებების თანახმად, 10 ათასზე მეტი დაიღუპა იმ სამხედრო მოქმედებებში, რომელიც შემდეგში ირანსა და საუდის არაბეთს შორის მარიონეტულ ომში გადაიზარდა. უკრაინაში მიმდინარე სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, უკრაინის შეიარაღებულ ძალებსა და პრო-რუსულ (რუსეთის მხარდაჭერით მოქმედ) სეპარატისტებს შორის, საფრთხეს უქმნის ევროპასა და რუსეთს შორის არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობებს. ავღანეთში კვლავ მიმდინარეობდა ხანგრძლივი ომი (თუმცა, შემცირებული იყო საერთაშორისო მისიაში მონაწილე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების ჯარისკაცების რაოდენობა) და ბრძოლები გრძელდება სომალიში. ნიგერიის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს მოქმედებები ქვეყნის ჩრდილოეთით მოქმედი ისლამისტი მებრძოლების წინააღმდეგ. ისტორიული სტანდარტებით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კონფლიქტი მცირე ომების კატეგორიას განეკუთვნება.

ყველა ტიპის ომისგან გამოწვეული სიკვდილიანობა, მათ შორის ისეთი მოქმედებებით, როგორიც არის საარტილერიო ცეცხლი, ავტომობილების აფეთქებები და საჰაერო დარტყმები (თუმცა არა არაპირდაპირი სიკვდილიანობა, რომლის გამომწვევი დაავადებები იყო), საკმაოდ დრამატულად შემცირდა ბოლო 70 წელიწადში. გრაფიკი 3.1 აჩვენებს კლებას ომთან დაკავშირებულ სიკვდილიანობის მაჩვენებელში მე-2 მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ წლებში ეს მაჩვენებლები მაღალია ან დაბალი, ამ მაჩვენებელში სტაბილური კლებაა ბოლო ათწლეულების მანძილზე, რაც თავის მხრივ, აჩვენებს, რომ საერთაშორისო სისტემა ნაკლები ომიანობის მიმართულებით მოძრაობს. მართალია ბოლო 6 წელიწადში მსხვერპლის რაოდენობა გაიზარდა, უმეტესწილად სირიისა და იემენის კონფლიქტების ხარჯზე, ჩვენ ჯერ მაინც შედარებითი მშვიდობის ეპოქაში ვცხოვრობთ.

გრაფიკი 3.1 ომში საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა რაოდენობა, 1946-2016

წყარო: Human Security Report Project. Human Security Brief 2012. Vancouver: HSRP, 2012, and Uppsala University Conflict Data Program.



3.1.2. კანტი და მშვიდობა

საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალური თეორიები ხსნიან, თუ როგორ არის შესაძლებელი მშვიდობის და თანამშრომლობის მიღწევა. ორასი წლის წინ მოღვაწე გერმანელმა ფილოსოფოსმა იმანუელ კანტმა ამ შეკითხვას სამი პასუხი გასცა. პირველი პასუხი ორმხრივობის პრინციპს ემყარება და მიუთითებს, რომ სახელმწიფოებს შეეძლოთ შეექმნათ თანამშრომლობის ხელშემწყობი წესები და ორგანიზაციები, კონკრეტულად კი ჩამოეყალიბებინათ დღევანდელი გაეროს მსგავსი მსოფლიო ფედერაცია. აღნიშნული პასუხი დღევანდელი ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის საფუძველს წარმოადგენს, რომელსაც მალე მიმოვიხილავთ.

კანტის მეორე პასუხი, რომელიც ანალიზის ქვედა დონეზეა, ამბობს რომ მშვიდობა დამოკიდებულია მთავრობების შიდა ხასიათზე. კანტს მიაჩნდა, რომ რესპუბლიკები, სადაც საკანონმდებლო მტოს შეეძლო მონარქის კონტროლი, უფრო მეტად იყვნენ მშვიდობისკენ მიდრეკილნი, ვიდრე ავტოკრატიული სახელმწიფოები. აღნიშნული პასუხი, კანტის მიერ ჩამოყალიბებულ და მასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ პრინციპთან ერთად, რომლის თანახმადაც ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეები, ნებისმიერ სხვა ქვეყანაში პატივისცემით მოპყრობას იმსახურებენ, თანხვე-

დრაშია ორმხრივობის პრინციპთან, მაგრამ ასევე ეყრდნობა იდენტობის პრინციპსაც. მოცემულ თავში შემდგომ განხილული სოციალური თეორიების მსგავსად, ხსენებული პასუხი სახელმწიფოთა პრიორიტეტებს განმარტავს სახელმწიფოს შიდა სოციალურ ურთიერთქმედებაზე (ინტერაქცია) დაყრდნობით. კანტის პასუხის ერთ-ერთი ვარიანტი, კერძოდ მოსაზრება, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთს არ ეომებიან, თანამედროვე დემოკრატიული მშვიდობის თეორიის საფუძველია, რომელიც ასევე მოცემულ თავშია განხილული (თავად კანტი არ ენდობოდა დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რადგან მიაჩნდა, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკას რაციონალურობის ნაცვლად ბრბოს მმართველობა განსაზღვრავდა. აღნიშნული შეხედულება კანტს საფრანგეთის რევოლუციაზე დაკვირვებით ჩამოუყალიბდა).

კანტის მესამე პასუხი, რომლის თანახმადაც ვაჭრობა ხელს უწყობს მშვიდობას, ემყარება იმ დაშვებას, რომ ვაჭრობა ზრდის სიმდიდრეს, თანამშრომლობას და გლობალურ კეთილდღეობას და ამასთან ერთად გრძელვადიან პერსპექტივაში ამცირებს კონფლიქტების მოხდენის ალბათობას, რადგან მთავრობებს არ სურთ სახელმწიფოს სიმდიდრის ზრდის პროცესის შეფერხება. გარდა ამისა, სახელმწიფოები სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების პარალელურად, გააცნობიერებენ, რომ სავაჭრო საქონლის თვალსაზრისით ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი. სახელმწიფოთა შორის ასეთ ორმხრივ დამოკიდებულებას ეკონომიკურ **ურთიერთდამოკიდებულებას** უწოდებენ. მეცნიერები ერთმანეთისგან განასხვავებენ სენსიტიურობის მდგომარეობას, როდესაც ერთი სახელმწიფო დამოკიდებულია მეორეზე მნიშვნელოვანი სავაჭრო საქონლის თვალსაზრისით, მაგრამ შეუძლია ალტერნატიული მიმწოდებლის მოძიება და მოწყვლადობის მდგომარეობას, როდესაც ალტერნატიული მიმწოდებლების რაოდენობა მცირეა ან საერთოდ არ არსებობს.

ურთიერთდამოკიდებულება (interdependence)

პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, როდესაც ორი სახელმწიფო ერთდროულადაა დამოკიდებული ერთმანეთზე საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით. ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს ზოგჯერ აღნიშნავენ ტერმინებით „სენსიტიურობა“ ან „მოწყვლადობა“.

რეალისტები აღნიშნულ მსჯელობას სკეპტიკურად უყურებენ და ამტკიცებენ, რომ ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოზე დამოკიდებულება მოკლევადიან პერსპექტივაში უფრო მეტ დაძაბულობას იწვევს, რადგან სახელმწიფოები უფრთხიან სხვა მოთამაშის ხელში მათზე გავლენის მნიშვნელოვანი ბერკეტის არსებობას. რეალისტები ხშირად მიუთითებენ ფაქტზე, რომ არგუმენტები ურთიერთდამოკიდებულებასა და მშვიდობის შორის კავშირის შესახებ საკმაოდ გავრცელებული იყო პირველი მსოფლიო ომამდეც, თუცა, მიუხედავად ამისა ომი მაინც მოხდა.

3.1.3 ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი

ამჯერად დავუბრუნდეთ კანტის პირველ პასუხს შეკითხვაზე, თუ როგორ შეიძლება აღმოცენდეს მშვიდობა. კერძოდ, როგორ შეუძლიათ სახელმწიფოებს ისეთი ორმხრივად ხელსაყრელი წესების შემუშავება, რომელთა გაკონტროლება და აღსრულება საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ

განხორციელდება. ლიბერალური თეორიების მიხედვით, აქტორებს შეუძლიათ მოკლევადიანი, ინდივიდუალური ინტერესების დათმობა გრძელვადიან პერსპექტივაში იმ საზოგადოების კეთილდღეობის სანაცვლოდ, რომელსაც მიეკუთვნებიან და ამ მხრივ შეუძლიათ ირიბად უზრუნველყონ საკუთარი კეთილდღეობაც. აღნიშნული მიდგომის ქვაკუთხედს ორმხრივობის პრინციპი წარმოადგენს, რადგან საერთაშორისო ინსტიტუტები ოფიციალურად თანასწორ წევრებს შორის ორმხრივი ხელშეწყობისა და დათმობების საფუძველზე მოქმედებენ. მართლაც, ზოგიერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ინსტიტუტში, როგორებიცაა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და ევროკავშირი გადაწყვეტილების მისაღებად ყველა წევრს შორის კონსენსუსია საჭირო, რაც მათ მმართველობის თანაბარ უფლებას ანიჭებს. კანტი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოებს, ავტონომიურობის მიუხედავად, შეეძლოთ გაწევრებულიყვნენ გაეროს მსგავს მსოფლიო ფედერაციაში და გარკვეული მოკლევადიანი მოგების დათმობის ფასად დაეცვათ და გაეზიარებინათ ამ ორგანიზაციის პრინციპები. კანტისთვის, სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობა უფრო რაციონალური გამოსავალი იყო, ვიდრე ომი. შესაბამისად, რაციონალურობის რეალისტურ კონცეფციებში, ომი და ძალადობა რაციონალურია (რადგან ხშირად ეს ხელს უწყობს სახელმწიფოს მოკლევადიანი ინტერესების რეალიზებას), მაგრამ ლიბერალურ თეორიებში ომი და ძალადობა არარაციონალური გადახრაა, რომელიც არასწორი აზროვნების შედეგია და აზიანებს მეომარი სახელმწიფოების (კოლექტიურ, გრძელვადიან) ინტერესებს.

ნეოლიბერალური მიდგომა ადრეული ლიბერალური მიდგომებისგან იმით განსხვავდება, რომ რეალიზმს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტში ეთანხმება – მათ შორის იმაშიც, რომ სახელმწიფოები უნიტარული აქტორები არიან, რომლებიც ანარქიულ სისტემაში რაციონალურად ცდილობენ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას. ამავდროულად, ნეოლიბერალები აფრთხილებენ რეალისტებს, რომ „თუ ვიზიარებთ თქვენს მოსაზრებებს სახელმწიფოების ბუნებისა და მოტივების შესახებ, ეს არ ნიშნავს, რომ მათგან ის პესიმისტური დასკვნები გამომდინარეობს, რასაც აკეთებთ“ სახელმწიფოები ერთმანეთთან იმიტომ თანამშრომლობენ, რომ ეს მათ ინტერესებშია და მათ შეუძლიათ ისწავლონ ინსტიტუტების გამოყენება ორმხრივი მოგების ადვილად მიღწევის, ასევე მოტყუების ან სხვა სახელმწიფოს ექსპლუატაციის შემთხვევების შემცირების მიზნით.

ორმხრივობის პრინციპი საერთაშორისო ურთიერთობებში იძლევა საერთაშორისო თანამშრომლობის ჩამოყალიბების საშუალებას ცენტრალური მმართველობის არარსებობის პირობებშიც. შესაბამისად, ნორმებისა და წესების აღსრულება ხორციელდება ორმხრივობის პრინციპის და არა მსოფლიო მთავრობის მეშვეობით. საერთაშორისო უსაფრთხოებაში, ორმხრივობის პრინციპი უდევს საფუძვლად ურთიერთობების თანდათანობით გაუმჯობესებას იარაღის კონტროლის შეთანხმებების და სამშვიდობო მისიების გზით. საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიაში, სადაც

თანამშრომლობამ ვაჭრობის გზით დიდი სარგებელი შეიძლება შექმნას, უსამართლო პრაქტიკებზე საპასუხოდ ვაჭრობის შეზღუდვის მუქარა ძლიერ სტიმულს ქმნის, რომ აქტორები წესებს და ნორმებს დაემორჩილონ. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და მისი წინამორბედი, გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ, ამ პრინციპის საფუძველზე მოქმედებს – სახელმწიფოები, რომლებიც დაარღვევენ ნაკისრ ვალდებულებებს ტარიფების გაზრდით, უნდა დაისაჯონ საპასუხო ნაბიჯებით სხვა სახელმწიფოების მხრიდან, რომლებსაც ასევე ეძლევათ უფლება, რომ ტარიფები დაუწესონ წესების დამრღვევი სახელმწიფოს პროდუქციას.

ნეოლიბერალები ამტკიცებენ, რომ ორმხრივობა შესაძლოა ეფექტიანი სტრატეგია იყოს კონფლიქტური ინტერესების პირობებში თანამშრომლობის მისაღწევად. თუ ერთი მხარე გამოხატავს თანამშრომლობის ინტერესს და პირობას დადებს, რომ სხვის თანამშრომლობით თუ კონფლიქტურ ქცევაზე შესაბამისი საპასუხო რეაქცია ექნება, მეორე მხარეს უჩნდება ინტერესი, რომ თანამშრომლობითი შეთანხმება შეიმუშავონ. რადგანაც ორმხრივობის ინტერპრეტაცია შედარებით ადვილია, მომავალშიც ორმხრივობის პრინციპით მოქმედებას, ხშირად ღიად დაფიქსირება არც სჭირდება. თუმცა, თანამშრომლობის სურვილის აღძვრის გარდა, ორმხრივობის პრინციპი მტრული განწყობების სწრაფად ზრდის საფრთხესაც შეიცავს. როდესაც ორი სახელმწიფო იყენებს ორმხრივობის პრინციპს, მაგრამ ამასთან ვერ ახერხებს ურთიერთობების თანამშრომლობის კალაპოტში გადაყვანას, შედეგად შესაძლოა მივიღოთ დროში გაწელილი, მკაცრი და ორმხრივი სადამსჯელო ზომები. მაგალითად, უკვე წლების მანძილზე ასეთი ვითარებაა ისრაელის ურთიერთობებში პალესტინელ მებრძოლებთან.

ნეოლიბერალიზმი (Neoliberalism) („ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმის“ შემოკლებული ვერსია)

წარმოადგენს ისეთ მიდგომას, რომელიც ხაზს უსვამს საერთაშორისო ინსტიტუტების მნიშვნელობას რეალისტების თვალსაზრისით საერთაშორისო სისტემის თანდაყოლილი კონფლიქტურობის შერბილების საკითხში. აღნიშნული მიდგომა ემყარება საკვანძო ლიბერალურ იდეას, რომლის თანახმადაც გრძელვადიან ორმხრივ მოგებაზე გაწეული ძალისხმევა ხშირად უფრო რაციონალურია, ვიდრე ინდივიდუალური მოკლევადიანი მოგების მაქსიმიზაცია. იხილეთ ასევე ეკონომიკური ლიბერალიზმი

თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ საკუთარი არგუმენტების საილუსტრაციოდ ნეოლიბერალები პატიმრის დილემას იყენებენ. აღნიშნულ დილემაში, ერთმანეთის გაცემით, თითოეულ აქტორს შეუძლია ინდივიდუალური მოგების მიღება, მაგრამ ორივე აგებს მაშინ, როდესაც ორივე გასცემს ერთმანეთს. ანალოგიურად, საერთაშორისო ურთიერთობებში, სახელმწიფოებს ხშირად თანმხვედრი და ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების ნაზავი გააჩნიათ. აღნიშნული დილემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ თამაშის რამდენჯერმე გამეორების შემთხვევაში, რაც საერთაშორისო ურთიერთობების ზუსტ მოდელს წარმოადგენს, რადგან სახელმწიფოები ერთმანეთთან მუდმივად ურთიერთქმედებენ. ასეთ შემთხვევაში, თანამშრომლობაზე ორიენტირებული საწყისი ნაბიჯის შემდეგ, ურყევი ორმხრივობის პრინციპზე დაფუძნებულმა სტრატეგიამ (მას უწოდებენ როგორც „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“) პატიმრის დილემის რამდენჯერმე გათამაშებაში შესაძლოა შედეგად ორმხრივი თანამშრომლობა მოიტანოს, რადგან მეორე მოთამაშე დაასკვნის, რომ პარტნიორის გაცემა მეორე მხრიდან საპასუხოდ მსგავსი ტიპის გაცემას მოიტანს.

ორმხრივობის პრინციპზე დაყრდნობით, მრავალი ნორმა გამოიყენება სახელმწიფოთა ურთიერთქმედებაში. მაგალითად, დიპლომატიურ პრაქტიკასა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობაზე დიდ გავლენას ახდენს სწორი ქცევის წესებზე არსებული მოლოდინები. საერთაშორისო ურთიერთობებში საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის გაჩენისას, სახელმწიფოები ეყრდნობიან წესების, ნორმების, ჩვეულებებისა და ინსტიტუტების კონტექსტს იმისთვის, რომ თავიდან აირიდონ უარყოფითი შედეგები, რაც თან სდევს ვიწრო, მოკლევადიანი ეგოისტური ინტერესების დაკმაყოფილებისკენ სწრაფვას. ნეოლიბერალები საერთაშორისო ურთიერთობებში სწავლობენ ისტორიულ და თანამედროვე შემთხვევებს და ცდილობენ გააანალიზონ, თუ როგორ ზეგავლენას ახდენენ ინსტიტუტები და ნორმები დილემების გადალახვის და საერთაშორისო თანამშრომლობის მიღწევის შესაძლებლობებზე (როგორც ვნახავთ, ზოგიერთი კონსტრუქტივისტი ხაზს უსვამს, რომ ეს ნორმები საბოლოო ჯამში სახელმწიფოების მიერ საკუთარ ინტერესებზე ფიქრის გარეშეც ფუნქციონირებენ). შესაბამისად, ნეოლიბერალებისთვის საერთაშორისო ინსტიტუტების არსებობა მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ როგორ ახერხებენ სახელმწიფოები აღმატებული რაციონალური შედეგის მიღწევას, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიანი და არა უბრალოდ მყისიერი ინტერესები.

3.1.4 საერთაშორისო რეჟიმები


თუმცა, კარგი შედეგების მიღწევა იოლი არ არის. კონფლიქტის შესახებ დაპირისპირებული მხარეების, როგორც წესი, ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, რთულია კონფლიქტების მოგვარება მესამე მხარის ყოვლისმომცველი არბიტრაჟის გარეშე, რომელსაც შეუძლია ყველა ჩართულ მხარეს საერთო მოლოდინებიშეუქმნას. სწორედ ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას.

საერთაშორისო რეჟიმი (International Regime)
არის წესების, ნორმების და პროცედურების ერთობლიობა, რომლის გარშემოც ხდება აქტორთა მოლოდინების თანხვედრა კონკრეტული საკითხების შემთხვევაში.

საერთაშორისო რეჟიმი წარმოადგენს წესების, ნორმებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომლის გარშემოც ხდება აქტორთა მოლოდინების თანხვედრა კონკრეტული საკითხების შემთხვევაში (ეს შესაძლოა იყოს შეიარაღების კონტროლი, საერთაშორისო ვაჭრობა ან ანტარქტიდის კვლევა). მოლოდინების თანხვედრა გულისხმობს, რომ საერთაშორისო სისტემის მონაწილეები, ერთნაირად ფიქრობენ, თუ რომელ წესებს დაექვემდებარება მათი ორმხრივი მონაწილეობა: თითოეული მოელის, რომ ერთი და იგივე წესებით იმოქმედებენ (მოცემულ შემთხვევაში, რეჟიმის მნიშვნელობა განსხვავდება იმ რეჟიმისგან, რომელსაც სახელმწიფოთა შიდა მმართველობის ფორმის აღწერისთვის ვიყენებთ, განსაკუთრებით იმ მთავრობების შემთხვევაში, რომელიც არალეგიტიმურად მიიჩნევა, როგორც მაგალითად რეჟიმის ცვლილების შემთხვევაში).

გამჭვირვალობის გაზრდით, რეჟიმებს შეუძლიათ საზოგადოებრივი საქონლის პრობლემების მოგვარება, რადგან ყველამ იცის, თუ სხვა რას აკეთებს და შესაბამისად მოტყუება სარისკოა. რეჟიმებს აღნიშნულ ასპექტში განსაკუთრებით აძლიერებს დღევანდელი რევოლუცია საინფორმაციო ტექნოლოგიებში. ამასთან, უკეთესი საერთაშორისო კომუნიკაციის პირობებში, სახელმწიფოებს რეჟიმების მეშვეობით გაცილებით ეფექტიანად შეუძლიათ კონფლიქტების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზებზე საუბარი.

რეჟიმების ყველაზე გავრცელებული კონცეფცია რეალიზმისა და ლიბერალიზმის ელემენტების გაერთიანებას ახდენს. სახელმწიფოები მიიჩნევიან ავტონომიურ ერთეულებად, რომლებიც ანარქიულ კონტექსტში ცდილობენ საკუთარი ინტერესების მაქსიმიზებას. რეჟიმები არავითარ როლს არ თამაშობენ ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების რეალიზება პირდაპირ, ბერკეტების ცალმხრივი გამოყენებით. ნაცვლად ამისა, რეჟიმები ყალიბდებიან საზოგადოებრივი საქონლის დილემის გადაწყვეტის მიზნით ცალკეული სახელმწიფოების ქმედებების კოორდინირების გზით. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები კვლავაც განაგრძობენ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას, ისინი ასევე ქმნიან სტრუქტურებს, საკუთარი ქმედებების სხვა სახელმწიფოების ქმედებებთან კოორდინაციის მიზნით, მაშინ როდესაც ასეთი კოორდინაცია საჭიროა საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად (ანუ, საზოგადოებრივი საქონლის დილემის კონტექსტში).



ჯანდაცვის რეჟიმი საერთაშორისო რეჟიმი არის წესების, ნორმების და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც ყოველთვის არ არის კოდიფიცირებული საერთაშორისო ურთიერთობების აქტორების ქცევის წარმმართველ ინსტიტუტებში. მსოფლიო ჯანდაცვის რეჟიმი მოიცავს სახელმწიფოებს, საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციებს (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია), არაკომერციულ ორგანიზაციებს როგორიცაა გეიტსის ფონდი და სხვებს, რომლებიც საკუთარ ძალისხმევას მიმართავენ ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და ეპიდემიების აღკვეთის მიმართულებით. ამ ფოტოზე, განაში, 2013 წელს ბილ გეიტსი, Microsoft-ის ყოფილი ხელმძღვანელი და გეიტსის ფონდის თანახელმძღვანელი, ბავშვს აძლევს როტავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას დიარეისგან დასაცავად.

რეჟიმები არ ანაცვლებენ სახელმწიფოთა მიერ ძირითადი ხარჯსარგებლიანობის გათვლებს. ნაცვლად ამისა, რეჟიმები წარმოაჩენენ ახალ შესაძლებლობებს, სადაც ხარჯსარგებლიანობის შეფარდება უფრო ხელსაყრელია. რეჟიმები ეხმარებიან და ხელს უწყობენ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომლებსაც ისეთ საკითხებთან უწევთ გამკლავება, სადაც საზოგადოებრივი საქონლის პრობლემა სხვა შემთხვევაში ხელს შეუშლიდა მთავრობებს მიზნის მიღწევაში. რეჟიმები შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ერთგვარი „შუალედური ცვლადები“, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად კაუზალურ ძალებს (რეალისტებისთვის ეს სახელმწიფო აქტორების შედარებითი სიძლიერეა) – და ისეთ შედეგებს შორის ოპერირებენ, როგორიცაა საერთაშორისო თანამშრომლობა

(ან ასეთი თანამშრომლობის არარსებობა). განსაკუთრებით რეალისტებისთვის, რეჟიმები არ გამორიცხავენ ძალის გავლენას და უფრო ხშირად, რეჟიმების მეშვეობით ხორციელდება არსებული ძალის ურთიერთობების კოდიფიცირება და ნორმალიზება დომინირების პრინციპის შესაბამისად. მაგალითად, ბირთვული გაუვრცელებლობის რეჟიმი იცავს სტატუს-კვოს, სადაც მხოლოდ ძალიან ცოტა ქვეყანა ფლობს ბირთვულ შეიარაღებას.

გამომდინარე იქიდან, რომ რეჟიმების ფუნქციონირება სახელმწიფოს ძლიერებაზეა დამოკიდებული, საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ რეჟიმი ყველაზე ეფექტიანი მაშინ არის, როდესაც საერთაშორისო სისტემაში ადგილი აქვს ძლიერების უკიდურეს კონცენტრაციას, ანუ საერთაშორისო სისტემაში ჰეგემონის არებობას წესრიგის დასაცავად (იხ. ჰეგემონია მე-2 თავში). თუმცა, რეჟიმების შემქმნელი ჰეგემონის დასუსტება ყოველთვის არ იწვევს ამ რეჟიმების დასუსტებასაც. პირიქით, მათ შესაძლოა დამოუკიდებლადაც განაგრძონ არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ ჰეგემონია რეჟიმების შექმნისთვის შესაძლოა გადამწყვეტი იყოს, მისი ფაქტორი მათ შენარჩუნებაში აუცილებელი არ არის. რეჟიმის წესებთან დაკავშირებით აქტორების მოლოდინების თანხვედრის შემდეგ, აქტორები აცნობიერებენ, რომ რეჟიმები მათ ინტერესებს ემსახურება. რეჟიმის ფარგლებში მუშაობა ჩვევად ყალიბდება და სახელმწიფო ლიდერებმა შესაძლოა სერიოზულად აღარ განიხილონ უკვე დამტკიცებულ წესებზე უარის თქმა. რეჟიმების გამძლეობის მაგალითი იყო 1970-იან წლებში აშშ-ის ძლიერების შემცირება, 1945 წლიდან ამერიკის ჰეგემონიის ათწლეულების შემდეგ. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ეკონომიკური რეჟიმები გარკვეულწილად ადაპტირდნენ და გადარჩნენ.

რეჟიმების არსებობა ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხერხდება მათი ინტეგრირება ისეთი მუდმივი ინსტიტუტების ცხოვრებაში, როგორებიც არის გაერო, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ეს ინსტიტუტები გაზიარებული მოლოდინების თვალსაჩინო გამოვლინებებია და ამ მოლოდინების საფუძველზე საერთაშორისო ქმედებების კოორდინირების მექანიზმებია. საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები გვთავაზობენ კონფლიქტების გადაჭრის სტაბილურ ჩარჩოს (თავი 6). საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია კიდევ უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებულია, საქმიანობის უფრო დიდი მოცულობისა და იმ კეთილდღეობის გამო, რომელიც შესაძლოა მიღწეულ იქნას თანამშრომლობის შედეგად.

ფორმალური ინსტიტუტები გაცილებით უფრო მეტ სტაბილურობას და გავლენას იძენენ, ვიდრე არაინსტიტუციონალიზებული რეჟიმები. საერთაშორისო ინსტიტუტს, რომელსაც გააჩნია საკუთარი შტაბბინა და პერსონალი, შეუძლია აქტიურად შეუწყოს ხელი პოლიტიკურ და ეკონომი-

კურ ცხოვრებაში საკუთარი წესებისადმი მორჩილებას. თუმცა, ამ ბიუროკრატიებს ამავდროულად შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ისეთ პოლიტიკებს, რომლებიც ამ ინსტიტუტების შემქმნელი სახელმწიფოების გეგმებში არ შედიოდა.

მე-4 და მე-5 თავებში არის განხილული საერთაშორისო უსაფრთხოების და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელოვანი ინსტიტუტები. ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო სამართალს, რომელიც მე-6 თავშია განხილული. ამ დრომდე, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის კულმინაციას ევროკავშირი წარმოადგენს, რომელიც სიღრმისეულად არის განხილული მე-6 თავში. საუკუნოვანი დამანგრეველი ომების შემდეგ, ევროპულ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან ძლიერი საერთაშორისო ინსტიტუტებით არიან დაკავშირებულები, დღეს სტაბილური მშვიდობაა შენარჩუნებული.

3.1.5 კოლექტიური უსაფრთხოება

კოლექტიური უსაფრთხოება (Collective Security)
გულისხმობს საერთაშორისო სისტემის ძირითად აქტორთა უმრავლესობას შორის ფართო ალიანსის ჩამოყალიბებას, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს ნებისმიერი აქტორის მხრიდან განხორციელებულ აგრესიაზე ერთობლივი წინააღმდეგობის გაწევა. ზოგჯერ განიხილება ისეთი უნივერსალური ორგანიზაციის (მაგალითად გაერო) არსებობის საფუძვლად, რომლის წევრებიც არიან როგორც აგრესორი, ისე აგრესორის მოწინააღმდეგე აქტორები. იხ. ასევე ერთა ლიგა.

კოლექტიური უსაფრთხოების ცნება, რომელიც ლიბერალური ინსტიტუციონალიზმიდან ამოიზარდა, გულისხმობს საერთაშორისო სისტემის ძირითად აქტორთა უმრავლესობას შორის ფართო ალიანსის ჩამოყალიბებას, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენს ნებისმიერი აქტორის მხრიდან განხორციელებულ აგრესიაზე ერთობლივი წინააღმდეგობის გაწევა. აღნიშნული მიდგომის საფუძველი კანტმა ჩამოაყალიბა. გამომდინარე იქიდან, რომ წარსულში დიდ სახელმწიფოებს შორის ომის დასრულების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები არასდროს ატარებდნენ მუდმივ ხასიათს, კანტმა წამოაყენა მსოფლიო სახელმწიფოების ფედერაციის (ლიგის) იდეა. კანტის შეხედულებით, ასეთი ფედერაციის გამოყენებით, სახელმწიფოთა უმრავლესობას შეეძლო გაერთიანება აგრესორი აქტორის წინააღმდეგ და ყველა სახელმწიფოს კოლექტიური ინტერესების დაცვა და მცირე ერების თვითგამორკვევის უფლების უზრუნველყოფა, რომლებიც დიდი სახელმწიფოების თამაშებში ხშირად პაიკის როლს ასრულებდნენ.

პირველი მსოფლიო ომის საშინელებების შემდეგ, კოლექტიური უსაფრთხოების მხარდასაჭერად ერთა ლიგა ჩამოყალიბდა. თუმცა, ერთა ლიგას ორი მნიშვნელოვანი ნაკლი გააჩნდა. ყველა დიდი სახელმწიფო (მათ შორის ყველაზე ძლიერი, ამერიკის შეერთებული შტატები) არ იყო ერთა ლიგის წევრი და მის წევრებს არ გააჩნდათ სურვილი საკუთარ თავზე აეღოთ კოლექტიური ქმედების ხარჯები, რათა დაპირისპირებოდნენ აგრესიას, რომელსაც 1930-იანი წლებში ჰქონდა ადგილი, მათ შორის, იტალიის და იაპონიის ქმედებებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაერო ჩამოყალიბდა ერთა ლიგის მემკვიდრედ კოლექტიური უსაფრთხოების მხარდაჭერის მიზნით (იხ. მე-6 თავი). ზოგიერთი რეგიონული მთავრო-

ბათაშორისი ორგანიზაცია დღეს ასევე ასრულებს როგორც კოლექტიური უსაფრთხოების (აგრესიის შეკავება), ისე ეკონომიკურ და კულტურულ ფუნქციებს. ასეთი ორგანიზაციებია ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია (OAS) არაბული ქვეყნების ლიგა და აფრიკის კავშირი (AU)

კოლექტიური უსაფრთხოების წარმატებულობა ორ ასპექტს ეფუძნება. პირველ რიგში, წევრებმა უნდა შეინარჩუნონ χგუფის მიმართ სამოკავშირეო ვალდებულებები (რაც ნიშნავს, რომ წევრებმა თვითონაც უნდა შეიტანონ წვლილი და არ იყვნენ მხოლოდ სხვა წევრი-სახელმწიფოების ძალისხმევაზე დამოკიდებულნი). როდესაც ძლიერი სახელმწიფო ახორციელებს აგრესიას სუსტი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხშირად სხვა ძლიერი სახელმწიფოების აუცილებელ ინტერესებში არ შედის ამ საკითხის გამო ომის დაწყება. მოტივირებული აგრესორის დაძლევა შესაძლოა ძალიან დანახარჯიანი აღმოჩნდეს.

კოლექტიური უსაფრთხოების მეორე წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ წევრების სათანადო რაოდენობა უნდა თანხმდებოდეს, თუ რა წარმოადგენს აგრესიას. გაეროს უშიშროების საბჭო ისეა სტრუქტურულად ორგანიზებული, რომ აგრესია განისაზღვრება იმის შესაბამისად, თუ რაზე შეთანხმდება ხუთივე მუდმივი წევრი კიდევ სულ მცირე ათიდან ოთხ არამუდმივ წევრთან ერთად (იხ. უშიშროების საბჭო, თავი 6). ასეთი ტიპის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა ვერ მუშაობს დიდი სახელმწიფოს მიერ ჩადენილი აგრესიის წინააღმდეგ. როდესაც საბჭოთა კავშირი შეიჭრა ავღანეთში, ან აშშ-მა დანაღმა ნიკარაგუას ნავსადგურები, ან საფრანგეთმა ააფეთქა „გრინფისის“ ხომალდი „Rainbow Warrior“, გაეროს ვერაფრის გაკეთება შეძლო, რადგან ამ სახელმწიფოებს შეუძლიათ ვეტო დაადონ უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს.

კოლექტიურმა უსაფრთხოებამ იმუშავა 1990-1991 წლებში ქუვეითში შეჭრილი ერაყის განდევნის საქმეში, რადგან ერაყის აგრესიამ ყველა დიდი სახელმწიფო გააერთიანა და ამ სახელმწიფოებს არ აფრთხობდათ იმ საფასურის გადახდა, რაც ერაყისთვის წინააღმდეგობის გაწევას უკავშირდებოდა. გაეროს შექმნის შემდეგ, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც გაეროს ერთი წევრი სახელმწიფო შეიჭრა მეორე სახელმწიფოში, მოახდინა მისი ოკუპაცია და ანექსია და სცადა მისი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს გაქრობა. ერაყის შეჭრა ქუვეთის სუვერენულობისა და ტერიტორიული მთლიანობის იმდენად უხეშ დარღვევას წარმოადგენდა, რომ უშიშროების საბჭომ მას უყოყმანოდ უწოდა აგრესია და გასცა მრავალეროვნული კოალიციის მიერ ძალის გამოყენების ნებართვა. ერაყის მიერ მსოფლიო ნავთობმომარაგებისთვის შექმნილმა საფრთხემ უბიძგა კოალიციის წევრებს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად საკუთარი ფულადი ან სამხედრო წვლილი შეეტანათ.

აღნიშნულის საპირისპიროდ, 2002-2003 წლებში უშიშროების საბჭო დიდი ხნის მანძილზე მსჯელობდა სპარსეთის ყურის ომის დასრულების შემდეგ ერაყის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე,

განსაკუთრებით ბაღდადის მიერ დადებულ პირობაზე მის ხელთ არსებული მასობრივი განადგურების იარაღის სრულად დეკლარირებისა და განადგურების შესახებ. თუმცა, დიდმა სახელმწიფოებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და საფრანგეთის მიერ ვეტოს გამოყენების მუქარის შემდეგ, აშშ-ბრიტანეთის ერთობლივი რეზოლუცია სამხედრო ძალის გამოყენების ნებართვის შესახებ უკან იქნა გახმობილი. სამხედრო ძალის გამოყენებას ასევე მტკიცედ ეწინააღმდეგებოდნენ გერმანია, რუსეთი და ჩინეთი. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, განსაკუთრებით მუსლიმურ ქვეყნებში, ასევე ომის წინააღმდეგ იყო. როდესაც გაერომ უარი თქვა მოქმედებაზე, აშშ-მა, ბრიტანეთმა და ავსტრალიამ დამოუკიდებლად შეიყვანეს საკუთარი შეიარაღებული ძალები ერაყში სადამ ჰუსეინის ძალის გამოყენებით დამხობის მიზნით და გაერო არაეფექტურ ერთა ლიგას შეადარეს (იხ. თავი 2). თუმცა, აშშ-მა ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი ვერ აღმოაჩინა და შემდეგ დიდი ხნით ჩაეფლო ანტიპარტიზანულ ომში, რომელიც ძალიან არაპოპულარული გახდა საზოგადოებაში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა ყოველთვის ეფექტურობით ვერ გამოირჩევა, მისი გვერდის ავლით სამხედრო მოქმედებების წარმოება ასევე საფრთხის შემცველია.

საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები


ამერიკის შეერთებული შტატები და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ინსტიტუტი, რომელიც განასახიერებს კოლექტიურ უსაფრთხოებას და გლობალური მშვიდობის შენარჩუნების მცდელობებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა (გაერო). მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის როლი გადამწყვეტი იყო გაეროს შექმნაში და გაეროს შტაბბინის მასპინძლის ფუნქციას ასრულებს, ამერიკული საზოგადოების დამოკიდებულება გაეროს მიმართ ყოველთვის გაყოფილი იყო. გაეროსადმი კრიტიკულად განწყობილთა კონკრეტული არგუმენტები დროთა განმავლობაში იცვლებოდა, თუმცა, გაეროთი მთავარი იმედგაცრუება ბევრი ამერიკელისთვის იმაში მდგომარეობს, რომ ის ყოველთვის არ უწყობს ხელს ამერიკის ინტერესების გატარებას. არგუმენტის თანახმად, თუკი ამერიკამ უნდა უმასპინძლოს ინსტიტუტს და ასევე იხადოს დიდი საფასური მისი ფუნქციონირებისთვის, გაერომ მხარი უნდა დაუჭიროს ამერიკის და მისი მოკავშირეების საგარეო პოლიტიკურ მიზნებს. ის ამერიკელები კი ვინც უფრო მეტად უჭერენ მხარს გაეროს, ამტკიცებენ რომ ის დამოუკიდებელი ინსტიტუტია, რაც გულისხმობს, რომ ის უნდა ემსახუროს ყველა ქვეყნის და არა მხოლოდ ამერიკის ინტერესებს. და მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან გაერო მოქმედებს იმგვარად, რომ არ შეესაბამება ამერიკის ინტერესებს, მისი მომხრეები ამბობენ, ის ასევე უდგება ჩინეთს, რუსეთს ან საფრანგეთს. როგორ შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი ამერიკაში გაეროსთან დაკავშირებით? საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 30 წელიწადში განწყობებში ცვლილებები მოხდა, არცერთი ეს ცვლილება არსებითად დიდი არ არის. გაეროსადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით გრაფიკი 3.2. რესპონდენტები 4 კატეგორიად არიან დაყოფილი . კერძოდ, ისინი, რომელთა ხედვები გაეროსთან მიმართებაში არის: (1) ძალიან არაკეთილგანწყობილი; (2) გარკვეულწილად არაკეთილგანწყობილი; (3) გარკვეულწილად კეთილგანწყობილი; (4) ძალიან კეთილგანწყობილი. 1980-იანი წლების შუა ხანებიდან ამერიკაში გაეროსადმი დამოკიდებულება უმეტესად გარკვეულწილად კეთილგანწყობილი იყო. დროთა განმავლობაში ეს მცირედით შემცირდა, სამუალოდ 55 პროცენტიდან 45 პროცენტამდე. იმავე პერიოდში, მათი რაოდენობა ვინც გაეროს მიმართ ძალიან კეთილგანწყობილი იყო გაიზარდა საშუალოდ 12 პროცენტიდან თითქმის 20 პროცენტამდე. მათი რიცხვი, ვინც გაეროსადმი გარკვეულწილად არაკეთილგანწყობილია ასევე გაი-

ზარდა ამ პერიოდში, დაახლოებით 8 პროცენტიდან 17 პროცენტამდე (თითქმის 10 პროცენტიანი ზრდა). თუმცა, მათი რიცხვი, ვინც გაეროსადმი ძალიან არაკეთილგანწყობილია შემცირდა – დაახლოებით 18 პროცენტიდან 12 პროცენტამდე. ერთად აღებული, ეს დინამიკა აჩვენებს, რომ ამერიკელების აშკარა უმრავლესობა გაეროსადმი კეთილგანწყობილია. რომ შევაჯამოთ, გაეროს მიმართ დაახლოებით 65 პროცენტი კეთილგანწყობილია, მაშინ როცა დაახლოებით 30 პროცენტი არაკეთილგანწყობილი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენ რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეგვიძლია. პირველი, დამოკიდებულება გაეროს მიმართ დროთა განმავლობაში დიდად არ შეცვლილა: მასიური ცვლილება გაეროსადმი მოსახლეობის დამოკიდებულებაში არ შეინიშნება, მიუხედავად მუდმივი დებატებისა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში გაეროს როლთან დაკავშირებით. მეორე, აცვეთება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის მოქალაქეები იზიარებენ გაეროთი გარკვეულ იმედგაცრუებას, საერთო ჯამში, ისინი მაინც მხარს უჭერენ ინსტიტუტს და მის მისიას.

გრაფიკი 3.2 ამერიკელების დამოკიდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

წყარო: Roper Center for Public Opinion Research, 2017



3.1.6 დემოკრატიული მშვიდობა


კანტი ამტკიცებდა, რომ მუდმივი მშვიდობის მისაღწევად, სახელმწიფოები უნდა ყოფილიყვნენ რესპუბლიკები, სადაც საკანონმდებლო ორგანოებს შეეძლებოდათ მონარქების (ან პრეზიდენტების) მიერ ომის დაწყების უფლების გაკონტროლება. მას მიაჩნდა, რომ მთავრობაში შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმს შესაძლოა სამხედრო ძალის გამოყენების შემაკავებელი ბერკეტის ფუნქცია შეესრულებინა, მაშინ როდესაც ავტოკრატიულ მთავრობებში, ერთ ცალკე აღებულ პიროვნებას (ან

მცირე მმართველ ჯგუფს) შეეძლო ომის დაწყება მთელ მოსახლეობაზე ამ ომის შესაძლო ზეგავლენის გაუთვალისწინებლად.

დემოკრატიული მშვიდობა (Democratic Peace)
ემპირიულად მტკიცედ გამყარებული დებულება, რომლის თანახმადაც დემოკრატიული სახელმწიფოები თითქმის არასდროს ეომებიან ერთმანეთს (თუმცა ომობენ ავტორიტარული სახელმწიფოების წინააღმდეგ).

აღნიშნულის მსგავსად, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებმა დემოკრატია ისეთი სახის საგარეო პოლიტიკასთან დააკავშირეს, რომელიც ფუნდამენტურად განსხვავდება ავტორიტარული მმართველობის საგარეო პოლიტიკისგან. ერთ-ერთი ასეთი თეორიის თანახმად, დემოკრატიული მთავრობები უფრო მიდრეკილები არიან მშვიდობისკენ (ომობენ ნაკლებად ან აწარმოებენ უფრო მცირე ომებს), ვიდრე ავტორიტარული. აღმოჩნდა, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება. დემოკრატიული სახელმწიფოები ისეთივე სიხშირით ომობენ, როგორც ავტორიტარული სახელმწიფოები. მართლაც, გასული ორი საუკუნის მანძილზე ომისკენ ყველაზე მეტად მიდრეკილი სამი სახელმწიფო (იმ პოლიტიკური მეცნიერების თანახმად, რომლებიც ომების აღრიცხვას აწარმოებენ) იყო საფრანგეთი, რუსეთი და ბრიტანეთი. ბრიტანეთი მთელი ეს პერიოდი დემოკრატიული სახელმწიფო იყო, საფრანგეთი გარკვეული პერიოდით და რუსეთი საერთოდ არა.

დემოკრატიულ სახელმწიფოებთან დაკავშირებით სიმართლეა ის, რომ ავტორიტარულ სახელმწიფოებთან ომების მიუხედავად, დემოკრატიული ქვეყნები თითქმის არასდროს ეომობიან ერთმანეთს. აღნიშნულ განზოგადოებას არ ეწინააღმდეგება არც ერთი ძირითადი ისტორიული შემთხვევა და ეს ფენომენი **დემოკრატიული მშვიდობის** სახელით არის ცნობილი. რატომ ხდება ასე, ბოლომდე გარკვეული არ არის. გამომდინარე იქიდან, რომ დიდი ხნის მანძილზე არ არსებობდა ბევრი დემოკრატიული სახელმწიფო, ეს შესაძლოა უბრალოდ დამთხვევა იყოს, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა. შესაძლოა ამის მიზეზს წარმოადგენდეს ის, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებს ერთმანეთთან მწვავე კონფლიქტები არ აქვთ, რადგანაც კაპიტალისტური ქვეყნებია, რომელთა შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობები მყარ ურთიერთდამოკიდებულებას ქმნის (ომი ძალიან ძვირი დაუჯდებათ, რადგან ამით ვაჭრობა მოირღვევა). ასევე შესაძლოა, რომ დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეები (რომელთა მხარდაჭერა აუცილებელია ომის საწარმოებლად), უბრალოდ არ განიხილავენ სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების მოქალაქეებს მტრების რანგში. აღნიშნულის საპირისპიროდ, სხვა სახელმწიფოების ავტორიტარული მთავრობები



დემოკრატიული მოქცევა უკანასკნელ წლებში მსოფლიოში დემოკრატიული მოძრაობების აღმასვლა ადასტურებს დემოკრატიის, როგორც იდეის სიძლიერეს. გამომდინარე იქიდან, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები იშვიათად ეომებიან ერთმანეთს, მსოფლიო დემოკრატიზაციამ შესაძლოა მუდმივ მშვიდობამდე მიგვიყვანოს. ამ ფოტოზე გამბიელები ხმას აძლევენ საპარლამენტო არჩევნებში, დემოკრატიაზე გადასვლის შემდეგ, 2017 წელს.

შესაძლოა მტრებად მიიჩნეოდნენ. საგულისხმოა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის მშვიდობა, ემპირიულად ამყარებს ლიბერალურ მტკიცებას. კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ დემოკრატიული მშვიდობა ანალიზის შიდა დონეს განეკუთვნება, ამით წინააღმდეგობაში მოდის რეალისტების მტკიცებასთან, რომლის თანახმადაც ყველაზე მნიშვნელოვანი ახსნები სისტემურ დონეზე უნდა ვეძიოთ.

გასული ორი საუკუნის მანძილზე, დემოკრატია როგორც მმართველობის ფორმა უფრო ფართოდ გავრცელდა და ეს ტენდენცია მსოფლიოს მასშტაბით ცვლის საგარეო პოლიტიკური პროცესის ხასიათსაც. ბევრ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ ჰყავს დემოკრატიული მთავრობა (მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ჩინეთია). ამასთან, არსებული დემოკრატიებიც გარკვეული ასპექტებით არასრულყოფილები არიან, იქნება ეს პოლიტიკური აპათია აშშ-ში, კორუფცია იაპონიაში თუ ავტოკრატიული ტრადიციები რუსეთში. მიუხედავად ამისა, მსოფლიო რეგიონების დიდ ნაწილში შეინიშნება დემოკრატიზაციის ტენდენცია. ბოლო ათწლეულებში ეს ტენდენცია რამდენიმე მიზეზით დაჩქარდა. ახალი დემოკრატიული მთავრობები ჩამოყალიბდა ყოფილი საბჭოთა ბლოკის რამდენიმე (თუმცა არა ყველა) სახელმწიფოში. თითქმის მთელ ლათინურ ამერიკაში, ასევე ზოგიერთ აფრიკულ და აზიურ სახელმწიფოში, სამხედრო მთავრობებმა გზა დაუთმეს დემოკრატიულად არჩეულ სამოქალაქო მთავრობებს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რომელიც თეთრების მიერ მართული ბოლო აფრიკული ქვეყანა იყო, უმრავლესობის მმართველობა 1994 წელს დამკვიდრდა. 1990-იანი წლების მიწურულს, დემოკრატიამ ჩაანაცვლა დიდი ხნის განმავლობაში მოქმედი დიქტატურები ორ დიდ რეგიონულ სახელმწიფოში – ინდონეზიასა და ნიგერიაში. გარდა ამისა, 2011-2013 წლებში, „არაბული გაზაფხულის“ რევოლუციებმა შედეგად მოიტანეს რეჟიმების ცვლილება ტუნისში, ეგვიპტეში, ლიბიასა და იემენში. ტუნისი წარმატებული გამოდგა დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, თუმცა სხვა სახელმწიფოებს დემოკრატიული მმართველობის დასამყარებლად მნიშვნელოვან სირთულეებთან მოუხდათ გამკლავება. სამხედრო გადატრიალებები მოხდა გვინეა-ბისაუსა და მალიში 2012 წელს, ეგვიპტეში 2013 წელს, ტაილანდში 2014 წელს და ზიმბაბვეში 2017 წელს. ირანის მთავრობამ 2009 წლის არჩევნები გააყალბა და ქუჩაში გამოსულ დემონსტრანტებს უხეში ძალისმიერი მეთოდებით გაუსწორდა. და გარდა ამისა, ბევრ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ ყავს დემოკრატიული მთავრობა (ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ჩინეთია).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის საწინააღმდეგო ბოლოდროინდელმა რეაქციებმა აღძრა შიშები, რომ დემოკრატია საფრთხეშია თურქეთიდან დაწყებული, ფილიპინების და რუსეთის ჩათვლით, სადაც პოლიტიკური ოპოზიცია გააჩუმეს. დრო სჭირდება იმის გარკვევას, ეს ცვლილებები, რომლებიც ძირს უთხრის დემოკრატიას, როგორ გავლენას იქონიებს საგარეო პოლიტიკაზე. თუ კანტი სწორია, დემოკრატიის გაძლიერების შეფერხებამ შესაძლოა მეტ კონფლიქტთან მიგვიყვანოს.

მართალია, რომ მომწიფებული დემოკრატიები თითქმის არასდროს ომობენ ერთმანეთში, დემოკრატიაზე ტრანზიციის პერიოდში, სახელმწიფოები შესაძლოა უფრო მეტად იყვნენ ომებისკენ მიდრეკილი, ვიდრე სტაბილური დემოკრატიული ან სტაბილური ავტორიტარული რეჟიმები. შესაბამისად, დემოკრატიზაციის პროცესი მოკლევადიან პერსპექტივაში მშვიდობისთვის შესაძლოა აუცილებლად კარგი არც იყოს. ამ თეორიამ მხარდაჭერა მოიპოვა როდესაც 2006 წლის დასაწყისში, ერაყში ჩატარებულ პირველ არჩევნებს რელიგიურ ნიადაგზე ძალადობის მატება მოჰყვა, ხოლო პალესტინაში ჩატარებული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში რადიკალური დაჯგუფება „ჰამასი" მოვიდა, რომელიც უარყოფს ისრაელის უფლებას არსებობაზე. 2017 წელს, ბირმის არჩეულმა მთავრობამ წამოიწყო ძალადობრივი კამპანია ეთნიკური უმცირესობის წინააღმდეგ, რომელიც ზოგიერთმა გენოციდად შერაცხა.

დასასრულს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დემოკრატიის მშვიდობასთან და თანამშრომლობასთან ხშირი ასოცირების მიუხედავად, დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა შესაძლოა უფრო გაართულონ თანამშრომლობა. მაგალითად, დემოკრატიულად არჩეული საკანონმდებლო ორგანოები ხშირად ახორციელებენ ზეწოლას სავაჭრო ტარიფების გაზრდის მოთხოვნით. ზოგიერთი დემოკრატიული სახელმწიფო შესაძლოა ვერ გაწევრიანდეს საერთაშორისო ორგანიზაციებში. შიდა ოპოზიციის მიზეზით, როგორც მოხდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-სა და ერთა ლიგის შემთხვევაში (იხ. 1-ლი თავი). საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობამ შესაძლოა სახელმწიფოებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან არსებული თანამშრომლობების შეწყვეტა აიძულოს, ისევე როგორც ეს მოხდა ბრექსიტის შემთხვევაში, როდესაც ბრიტანელმა ამომრჩევლმა მხარი დაუჭირია ევროკავშირიდან გასვლას (იხ. თავი 6). ასე რომ, მაშინ როცა ლიბერალი მეცნიერები ხშირად ხოტბას ასხამენ დემოკრატიის ღირსებებს, იმავე დემოკრატიულმა შიდა ინსტიტუტებმა შესაძლოა საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესი გაართულონ.

3.2. შიდა გავლენები

შეადარეთ საზოგადოებრივი აზრისა და ინტერესთა ჯგუფების გავლენა საგარეო პოლიტიკის პროცესზე

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი ანალიზის სახელმწიფოთაშორის დონეზე ოპერირებს, მაგრამ დემოკრატიული მშვიდობა საერთაშორისო ურთიერთობების მოვლენათა ახსნისთვის ანალიზის შიდასახელმწიფოებრივ დონეს ეყრდნობა. რეალურად, სახელმწიფოს ქმედებებს ადამიანების, მათ შორის მოქალაქეთა ჯგუფების, პოლიტიკური ლიდერების, დიპლომატებისა და ბიუროკრატების ინდივიდუალური არჩევანი განაპირობებს, რომლებიც სახელმწიფოების შიდა სტრუქტურების გავლენით ყალიბდება. ჩვენ ვეცდებით ის სტრუქტურები და პროცესები

გავიგოთ, რომლებიც სახელმწიფოს *შიგნით* არსებობს და განაპირობებენ მათ საგარეო ქცევას.

3.2.1. ბიუროკრატიები

მრავალი ქვესახელმწიფო აქტორიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა ქმედებებზე საერთაშორისო ასპარეზზე, ყველაზე ახლოს ამ ქმედებებთან ბიუროკრატიული ორგანოები დგანან, რომელთაც სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების მიზნით იყენებს. სხვადასხვა სახელმწიფოებს განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ბიუროკრატიული აპარატი გააჩნიათ, მაგრამ ყველას გააჩნია საერთო ელემენტები. თითქმის ყველა სახელმწიფოს აქვს „საგარეო სამსახური", რომელიც დაკომპლექტებულია უცხო ქვეყნების დედაქალაქებში მდებარე საელჩოებში (და სხვა უცხო ქალაქებში მდებარე საკონსულოებში) მომუშავე დიპლომატებით და მათი კოლეგებით ქვეყნის შიგნით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პოლიტიკის კოორდინირებაზე. სახელმწიფოები ელჩებს ნიშნავენ სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ოფიციალური წარმომადგენლების რანგში. დიპლომატიური საქმიანობა ხორციელდება საგარეო საქმეთა.სამინისტროს, ან მსგავსი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს მიერ (მაგ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი). ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში დიპლომატების ნაწილი პოლიტიკური თანამდებობის პირია და ქვეყანაში მთავრობის მეთაურის ცვლილებასთან ერთად ინიშნებიან და ტოვებენ თანამდებობას, ხოლო მეორე ნაწილი კარიერულ დიპლომატთა ნაწილს განეკუთვნება, რომლებიც საგარეო საქმეთა სამსახურის რიგებიდან მოდიან და სახელისუფლებო ცვლილებების მიუხედავად რჩებიან საკუთარ ადგილებზე.

დიპლომატები უზრუნველყოფენ საკუთარი ხელისუფლებებისთვის იმ ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილის მიწოდებას, რომელიც საგარეო პოლიტიკის შესამუშავებლად გამოიყენება, თუმცა მათ ძირითად ფუნქციას პოლიტიკის გატარება წარმოადგენს და არა შემუშავება. მიუხედავად ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროში მომუშავე ბიუროკრატები იმდენად რუტინულ კალაპოტში აქცევენ საგარეო ურთიერთობებს, რომ უმაღლესი ხელმძღვანელობა და პოლიტიკური თანამდებობების პირები იცვლებიან ისე, რომ ქვეყნის საგარეო ურთიერთობები ფაქტობრივად უცვლელი რჩება. ბიუროკრატები მიიჩნევენ, რომ ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის უმჯობესია საერთო ეროვნული მიზნებისა და საერთაშორისო საქმეებში პოზიციების სტაბილურობა.

სახელმწიფოს ლიდერებსა და საგარეო პოლიტიკის ბიუროკრატებს შორის ხშირად აქვს ადგილი დაძაბულობას. კარიერული დიპლომატები ცდილობენ მიმართულება მისცენ ახალ ლიდერებს და მათ დანიშნულ პირებს და აკონტროლონ ლიდერებისთვის განკუთვნილი საინფორმა-

ციო ნაკადი (უზრუნველყონ ინფორმაციის სკრინინგი). პოლიტიკოსები ცდილობენ ძალაუფლება დაამყარონ ოფიციალურ ბიუროკრატიულ უწყებებზე, რადგან ამ უკანასკნელებმა შესაძლოა ძალიან „ბიუროკრატიული“ (მოუქნელი, რუტინული, კონსერვატიული) ხასიათი შეიძინონ, რაც შეუძლებელს გახდის მათ მარტივად გაკონტროლებას. გარდა ამისა, ეს უწყებები ხშირად დაკომპლექტებულია (ქვედა დონეებზე) ძირითადად კარიერული თანამდებობის პირებით, რომლებიც შესაძლოა სულაც არ მიიჩნევდნენ, რომ პოლიტიკური ლიდერების მიმართ ერთგულების ვალდებულება აქვთ.

სახელმწიფოს ლიდერები საგარეო პოლიტიკური ბიუროკრატიის მმართველად ზოგჯერ ახლო მეგობარს ან მთავარ მრჩეველს ნიშნავენ. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშმა პრეზიდენტობის მეორე ვადაში სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დანიშნა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ყოფილი მრჩეველი და ნდობით აღჭურვილი პირი კონდოლიზა რაისი. ჩინეთის ლიდერმა მაო ძე დუნმა, მის ერთგულ მოკავშირე ჯოუ ენლაის მიანდო საგარეო პოლიტიკა. არსებობს განსხვავებული შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს ლიდერი ამ პოსტზე განსხვავებული საგარეო პოლიტიკური შეხედულებების მქონე მეტოქეს ნიშნავს, როგორც ეს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ყოფილი პოლიტიკური მეტოქის, ჰილარი კლინტონის შემთხვევაში გააკეთა.

საგარეო პოლიტიკის ფორმულირებაზე ასევე გავლენას ახდენს უწყებათაშორისი დაძაბულობა. ზოგიერთი უწყება ტრადიციულად დაპირისპირებულია ერთმანეთთან და საგარეო პოლიტიკა ამ დაუსრულებელი „ბაგირის გადაძალვის“ პროცესში ყალიბდება. უწყებათაშორისი მეტოქეობის უკიდურეს მაგალითს წარმოადგენს 1960 წელს ლაოსში მიმდინარე სამოქალაქო ომის შემთხვევა, როდესაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, დაპირისპირებულ მხარეებს უწევდნენ დახმარებას. ზოგადად, ბიუროკრატიები მხარს უჭერენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის ბიუროკრატიის შესაძლებლობებს და გაზრდის მათ ძალაუფლებას. ამ მხრივ, ბევრ ღარიბ ქვეყანაში განსაკუთრებული შეშფოთების საგანს წარმოადგენს სამხედრო ოფიცრების მიერ ძლიერი სამხედრო ინსტიტუტის შენარჩუნების ინტერესი. თუ სამოქალაქო სახელმწიფო ლიდერები დაუშვებენ ოფიცერთა ანაზღაურების შემცირებას ან შეიარაღებული ძალების შეკვეცას, ისინი შესაძლოა შეიარაღებული ძალების ინსტიტუციურ წინააღმდეგობას გადააწყდნენ, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში შესაძლოა სამხედრო გადატრიალებით დასრულდეს (იხ. თავი 4). აღნიშნულმა ფაქტორებმა (სხვა საკითხებთან ერთად) მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს უკანასკნელ წლებში ტაილანდში, ჰონდურასსა და ეგვიპტეში მომხდარ სამხედრო გადატრიალებებში.

ზოგადად, ბიუროკრატიული მეტოქეობა, რომელიც გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკაზე, წინააღმდეგობაში მოდის ცნებასთან, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემაში უნიტარული

აქტორები არიან. ასეთი სახის მეტოქეობა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოებს მიზნების ერთობლიობა (ეროვნული ინტერესი) კი არ გააჩნიათ, არამედ მათი ქმედებები წარმოადგენს რიგ ქვე-ერთეულებს შორის ურთიერთვაჭრობის შედეგს, რომელთაგან თითოეულს საკუთარი მიზნების ერთობლიობა აქვს. გარდა ამისა, აღნიშნული პერსპექტივა მხოლოდ ბიუროკრატიულ ორგანოებს არ მოიცავს, რადგან სხვა ქვესახელმწიფო აქტორებსაც გააჩნიათ საკუთარი მიზნები, რომელთა მიღწევასაც საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენით ცდილობენ.

3.2.2 ინტერესთა ჯგუფები

საგარეო პოლიტიკის შემქმნელები არ ოპერირებენ პოლიტიკურ ვაკუუმში და საკუთარ საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური დებატების კონტექსტში უწევთ მოქმედება. ყველა ქვეყანაში, საზოგადოებრივი ზეწოლა გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკაზე, თუმცა ამ ზეწოლების გაერთიანება და მათი ეფექტიანობის გაზრდა, სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებული არხების მეშვეობით ხორციელდება. პლურალისტური დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებში, დაინტერესებული მხარეები საგარეო პოლიტიკაზე გავლენას ახდენენ ინტერესთა ჯგუფებისა და პოლიტიკური პარტიების საშუალებით. დიქტატორულ სახელმწიფოებში, მსგავსი სახის გავლენები მაინც ხორციელდება, თუმცა შედარებით შეუმჩნევლად. შესაბამისად, სახელმწიფოების მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა ზოგადად ასახავს შიდა კოალიციების ფორმირების გარკვეულ პროცესს. რა თქმა უნდა, საერთაშორისო ფაქტორებიც ზემოქმედებს შიდა პოლიტიკაზე.

ინტერესთა ჯგუფები წარმოადგენენ ადამიანების ერთობას, რომელთაც ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხთან მიმართებაში საერთო ინტერესი გააჩნიათ და ორგანიზდებიან ამ საკითხზე სასურველი შედეგის მისაღწევად. მაგალითად, ფრანგი ფერმერებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის თანამეგობრობის (რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას) შიგნით მიმდინარე საერთაშორისო მოლაპარაკებები და მსოფლიო სავაჭრო თემების განხილვა (სადაც დგინდება სოფლის მეურნეობის ტარიფები). ფერმერები საფრანგეთის მთავრობაზე ზეწოლას დიდი ხნის წინ დაფუძნებული და პოლიტიკურად გამოცდილი ასოციაციების და ორგანიზაციების მეშვეობით ახორციელებენ. ისინი სასურველი კანონების ლობირებას ეწევიან და წვლილი შეაქვთ პოლიტიკურ კამპანიებში. 1992 წელს აშშ-სა და ევროპას შორის არსებული სავაჭრო უთანხმოების დროს, როდესაც მათი ინტერესები საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ფრანგი ფერმერების მსხვილმა ჯგუფებმა გადაკეტეს გზები, მოაწყვეს ქუჩის ძალადობრივი აქციები და იმუქრებოდნენ ეროვნული ეკონომიკის განვითარების დამუხრუჭებით, თუკი მთავრობა მათ პოზიციას არ გაითვალისწინებდა. ამის მსგავსად (თუმცა ხშირად უფრო

ინტერესთა ჯგუფები (Interest Groups)
ინტერესთა ჯგუფები წარმოადგენენ ადამიანების ერთობას, რომელთაც ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხთან მიმართებაში საერთო ინტერესი გააჩნიათ და ორგანიზდებიან ამ საკითხზე სასურველი შედეგის მისაღწევად.

ნაკლებად დრამატულად), ინტერესთა ჯგუფები ყალიბდება სხვადასხვა ბიზნესის, პროფკავშირის, ეკლესიის, ვეტერანების, ხანდაზმული მოქალაქეების, პროფესიული ნიშნით გაერთიანებული პირების ან მოქალაქეთა ჯგუფების გარშემო, რომელთაც გარკვეული საკითხი (მაგალითად გარემოს დაცვა) აღელვებთ.

ლობირება არის კანონმდებლებთან ან სხვა ოფიციალურ პირებთან მოლაპარაკებების წარმოება გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მათ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის მიზნით. წარმატებული ლობირების სამი ძირითადი ელემენტია: დატვირთული რეჟიმის მქონე თანამდებობის პირებთან აუდიენციის მოპოვების შესაძლებლობა, საკუთარი პოზიციის გამამყარებელი თანმიმდევრული არგუმენტაციის წარდგენის შესაძლებლობა და ლობირების საკითხთან დაკავშირებით დადებითი შედეგის მიღწევის შემთხვევაში, საპასუხო ხელშეწყობის (სამაგიეროს დაბრუნების) შესაძლებლობა. ასეთი ხელშეწყობა (როგორც კანონიერი, ისე უკანონო) შეიძლება იყოს შეწირულობა საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის, სადილი ძვირადღირებულ რესტორნებში, გართობა გოლფის სათამაშო მოედნებზე, არალეგალური სექსუალური კავშირები და ქრთამი. ბევრ სახელმწიფოში, სამთავრობო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთავარ პრობლემას კორუფცია წარმოადგენს (იხ. თავი 7) და ინტერესთა ჯგუფებმა შესაძლოა უკანონო საშუალებებით უბიძგონ სამთავრობო თანამდებობის პირებს გარკვეული ქმედებების განხორციელებისკენ.

სახელმწიფოს შიგნით მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები ხშირად ყალიბდებიან ინტერესთა ჯგუფებად, რომლებიც ზრუნავენ ამ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მდებარე მათი სამშობლოს ბედზე. ეთნიკური ჯგუფის მრავალ წევრს გააჩნია მძლავრი ემოციური კავშირი სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ნათესავებთან და გამომდინარე იქიდან, რომ დანარჩენ მოსახლეობას დიდად არ ადარდებს ასეთი საკითხები, მცირე ეთნიკურ ჯგუფსაც კი შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კონკრეტული ქვეყნის მიმართ გატარებულ საგარეო პოლიტიკაზე. ასეთი სახის ეთნიკური კავშირები ძლიერ გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკაზე ღარიბ რეგიონებში არსებულ სხვადასხვა ეთნიკურ კონფლიქტებთან მიმართებაში. აღნიშნული განსაკუთრებით ნათლად იგრძნობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც მრავალეთნიკური და პლურალისტული დემოკრატიის მქონე სახელმწიფოა. მაგალითად, კუბელი ამერიკელები ცდილობენ გავლენა მოახდინონ აშშ-ის პოლიტიკაზე კუბასთან მიმართებით. იგივეს ცდილობენ ბერძენი ამერიკელები საბერძნეთთან დაკავშირებით, ებრაელი ამერიკელები ისრაელთან დაკავშირებით, აფრიკელი ამერიკელები აფრიკასთან დაკავშირებით. მაგრამ მიუხედავად იმისა, ჰყავს თუ არა უცხო სახელმწიფოს ფართო ეთნიკური კონტინგენტი სხვა ქვეყანაში, მას მაინც შეუძლია ლობისტური საქმიანობის წარმოება ამ ქვეყნის მთავრობასთან.

აშკარაა, რომ ინტერესთა ჯგუფებს გააჩნიათ ისეთი მიზნები და ინტერესები, რომლებიც შეიძლება მოდიოდნენ ან არ მოდიოდნენ თანხვედრაში ქვეყნის ეროვნულ ინტერესთან (თუ ასეთი ინტერესის დადგენა საერთოდ შესაძლებელია). ისევე როგორც ბიუროკრატიული ორგანოების შემთხვევაში, აქაც ჩნდება კითხვის ნიშანი, სახელმწიფოს როგორც უნიტარულაქტორთან დაკავშირებით. ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკის დამცველების მტკიცებით, განსხვავებული ინტერესთა ჯგუფები განსხვავებული მიმართულებებით ახორციელებენ ძალისხმევას და საბოლოო გადაწყვეტილება როგორც ნესი მთლიანი საზოგადოების ინტერესების ამსახველია. თუმცა, საერთაშორისო ურთიერთობების მარქსისტული თეორიის თანახმად, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში საგარეო პოლიტიკაზე შიდა გავლენას უმთავრესად მსხვილი ბიზნესის მფლობელები ახორციელებენ. მაგალითად, ბანკებმა და მსხვილმა ბიზნესმა ისარგებლეს ევროპული იმპერიალიზმით და დიდი მოგება ნახეს საზღვარგარეთ მდებარე კოლონებში იაფი მუშახელის და რესურსების ექსპლუატაციით. ეს არის ჩინეთის მთავრობის ოფიციალური ხედვა (თუმცა შესაძლოა მის თანახმად ყოველთვის არ მოქმედებდეს) დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოების მიმართ. მარქსისტები ასევე ამტკიცებდნენ, რომ ცივი ომის დროს, დასავლეთის საგარეო პოლიტიკას განაპირობებდა იარაღის მწარმოებელთა მოგების მოხვეჭის სურვილი.

3.2.3 საზოგადოებრივი აზრი

საზოგადოებრივი აზრი (Public Opinion)
სახელმწიფოს მოქალაქეებში არსებული შეხედულებათა სპექტრი საგარეო პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

მრავალი შიდა აქტორი ცდილობს გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც საგარეო პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მოქალაქეთა შეხედულებათა სპექტრია (იხ. რუბრიკა-საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები). საზოგადოებრივი აზრი გაცილებით დიდ გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკაზე დემოკრატიულ ქვეყნებში, ვიდრე ავტორიტარულ სახელმწიფოებში. თუმცა, დიქტატორებსაც უწევთ ყურადღება მიაქციონ იმას, თუ რას ფიქრობენ მოქალაქეები. არცერთ მთავრობას არ შეუძლია მართოს მხოლოდ ძალის გამოყენებით: არსებობისთვის მას ლეგიტიმაცია სჭირდება. მან უნდა შეძლოს ხალხის დარწმუნება, რომ გაიზიარონ (თუ არ მოიწონებენ) მისი პოლიტიკა, რადგან საბოლოო ჯამში, პოლიტიკას ჩვეულებრივი ხალხი, ჯარისკაცები, მუშები და ბიუროკრატები ატარებენ.

საზოგადოებრივი მხარდაჭერის საჭიროებიდან გამომდინარე, საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერის მოსაპოვებლად ავტორიტარული მთავრობებიც არ იშურებენ ძალისხმევას პროპაგანდაზე, ანუ ოფიციალური ხაზის საჯარო პოპულარიზაციაზე. ამ მიზნის მისაღწევად, სახელმწიფოები იყენებენ ტელევიზიას, გაზეთებს და სხვა საინფორმაციო მედია საშუალებებს. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო ფლობს ან აკონტროლებს ნამყვან მასმედიას, როგორებიცაა ტელევიზია და პრესა და ფილტრავს



გაყოფილი პალატა საგარეო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა შიდა აქტორს შორის კონკურენცია. კანონმდებლები რეაგირებენ ამ ჯგუფებზე, ამომრჩევლებზე, ლობისტებსა და მედიაზე. ფოტოზე, ისრაელის პრემიერ-მინისტრი, ბენიამინ ნეთანიაჰუ საკამათო მიმართვით გამოდის კონგრესის გაერთიანებულ სესიაზე 2015 წელს. ნეთანიაჰუ სესიაზე არა პრეზიდენტმა ობამამ, არამედ რესპუბლიკელმა კონგრესმენებმა მიიწვიეს, რამაც დაძაბულობა შექმნა ისრაელსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

მოქალაქეებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას. თუმცა, ამას ართულებს ახალი, მრავალარხიანი (ისეთი, როგორიც არის ინტერნეტი) საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოსვლა.

ჟურნალისტები საგარეო პოლიტიკური ელიტებიდან საზოგადოებისკენ წამოსული ინფორმაციის გუშაგის ფუნქციას ასრულებენ. პრესის ტრადიციული როლიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს მთავრობის საქმიანობის და ძალაუფლების მონიტორინგსა და კრიტიკას, მედია და მთავრობა ხშირად უპირისპირდებიან ერთმანეთს. მედია ცდილობს გამოაჩინოს და გაასაჯაროვოს ის, რასაც მთავრობა მალავს. საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიმღებებიც ეყრდნობიან მედიას საგარეო საქმეებზე ინფორმაციის მისაღებად.

თუმცა, მედიაც ეყრდნობა მთავრობას ინფორმაციის მისაღებად, რადგან საგარეო პოლიტიკური ბიუროკრატიის ზომა და რესურსები მნიშვნელოვანწილად აღემატება პრესის შესაძლებლობებს. აღნიშნული უპირატესობა, მთავრობას აძლევს ჟურნალისტებით მანიპულირების შესაძლებლობას, რომელთაც აწვდის ინფორმაციას ახალ ამბებზე და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად. სახელისუფლებო გადაწყვეტილებების მიმღებებს შეუძლიათ დრამატული ისტორიების შექმნა საგარეო ურთიერთობებზე სამიტის შეხვედრების, კრიზისების და ა.შ. მეშვეობით. ბიუროკრატებს ასევე შეუძლიათ უზრუნველყონ საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვა პრესაში საკუთარი პოზიციების გამყარებისა და ბიუროკრატიული ბრძოლების მოგების მიზნით. დასასრულს, შეიარაღებულ ძალებსა და პრესას მუდმივი ბრძოლა აქვთ სამხედრო ოპერაციებზე ჟურნალისტების წვდომასთან დაკავშირებით, თუმცა 2003 წელს, ერაყში მოქმედ აშშ-ის სამხედრო ძალებზე ჟურნალისტების „მიმაგრებით“ ორივე მხარე მოგებული დარჩა.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც მთავრობებს არჩევნების მეშვეობით ირჩევენ, არაპოპულარულმა ომმა, შესაძლოა ლიდერის ან პარტიის ხელისუფლებიდან წასვლა გამოიწვიოს, როგორც ეს მოხდა აშშ-ის პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის შემთხვევაში 1968 წელს, ვიეტნამის ომის დროს. მეორე მხრივ, პოპულარულმა ომმა, შესაძლოა უზრუნველყოს ძალაუფლების გახანგრძლივებისთვის საჭირო მანდატი, როგორც ეს მოხდა მარგარეტ ტეტჩერის შემთხვევაში, 1982 წლის ფოლკლენდის კუნძულების ომის დროს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნები, პირად საუბრებში აღნიშნავდნენ, რომ ბოსნიის ომის დროს აშშ-ის პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ამ კონფლიქტის აშშ-ის გაზეთების


საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები

ეროვნული ინტერესი და საგარეო პოლიტიკა

როგორც ჩვენ ამ თავში განვიხილეთ, საზოგადოებრივი აზრი შესაძლოა ჩამყვან როლს ასრულებდეს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში. ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოების წინაშე ერთ-ერთი ფუნდამენტური შეკითხვაა, თუ რამდენად უნდა დათმოს ქვეყანამ საკუთარი ინტერესები ისეთი საერთაშორისო მიზნების მხარდასაჭერად, როგორიც მოკავშირეების ინტერესებია. რა თქმა უნდა, ზოგიერთ შემთხვევაში, ქვეყნის ინტერესები მოკავშირეების ინტერესების შესაბამისი იქნება. მაგალითად, ნატოს ყველა წევრ სახელმწიფოს ჰქონდა ძლიერი ეროვნული და კოლექტიური ინტერესი, რომ შეეკავებინათ საბჭოთა აგრესია ევროპაში. მაგრამ სხვა შემთხვევებში, საგარეო პოლიტიკური არჩევანი გულისხმობს გარკვეულ ვაჭრობას ქვეყნის პრიორიტეტებსა და სხვების ინტერესებს შორის. გაიხსენეთ დისკუსია საზოგადოებრივი საქონლის შესახებ: უბილეთოდ მგზავრობა შესაძლოა სასარგებლო იყოს ერთი აქტორის ეროვნული ინტერესებისთვის, თუმცა მოკავშირეების ინტერესების ხარჯზე. მაგალითად, ნატომ სთხოვა წევრ სახელმწიფოებს, სამხედრო ძალებით ჩართულიყვნენ ავღანეთის კონფლიქტში, თუმცა ნაწილმა ეს არ გააკეთა, ხოლო ნაწილმა კი ჯარები გაიყვანა პოლიტიკური ზეწოლის შედეგად. 2016 წელს, Pew საზოგადოებრივი აზრის კვლევების ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს დაუსვეს შეკითხვა, თუ რამდენად უნდა ეხელმძღვანელათ მათ ლიდერებს საგარეო პოლიტიკაში მხოლოდ საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე დაყრდნობით თუ მოკავშირეების ინტერესებიც უნდა მიეღოთ მხედველობაში. შედეგებმა აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავება სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობას შორის (იხ. გრაფიკი 3.3. ქვეყნების მიხედვით პასუხების შესადარებლად).

გრაფიკი 3.3 ეროვნული ინტერესის განსაზღვრა 12 ქვეყანაში

წყარო: Pew Research center



როგორც ეს პირველ თავში განვიხილეთ, გლობალიზაციით უკმაყოფილების ბოლოდროინდელი ტალღა ნაციონალიზმთან დაბრუნებასაც მოიცავდა. ამ მონაცემებში ერთი საინტერეო ტენდენცია ის არის, რომ სახელმწიფოებს, რომელთაც ბოლო პერიოდში გლობალიზაციის ზეწოლა განიცადეს – ფინანსური კრიზისი (საბერძნეთი, იტალია და ესპანეთი) ან გა-

ზრდილი მიგრაცია სირიის ან ლიბიის კონფლიქტების შედეგად (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და უნგრეთი) – უფრო მეტი ყავთ ისეთი მოსახლეობა, რომელსაც სურს, რომ მხოლოდ ეროვნული ინტერესები იყოს გათვალისწინებული. თუმცა, გამონაკლისებიც არის. გერმანიის მოქალაქეების უმრავლესობა, რომლებსაც შეეხოთ როგორც ფინანსური კრიზისი და მიგრაციის ზეწოლა, მიიჩნევენ, რომ მოკავშირეების ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული საგარეო პოლიტიკაში. ამ მონაცემებიდან გამომდინარე მეორე დაკვირვებაა, რომ გერმანიის, საბერძნეთის და ინდოეთის გამოკლებით, ქვეყნების მოსახლეობები ამ კითხვასთან მიმართებაში მეტნაკლებად თანაბრად არიან დაყოფილები – თითქმის არსად გვხდება 10 პროცენტზე მეტი სხვაობა. ეს კი აჩვენებს განსხვავებებს ამ ქვეყნების შიგნით იმ საკითხზე, თუ რამდენად უნდა ახდენდეს ეროვნული ინტერესი თუ მოკავშირეების ინტერესები გავლენას საგარეო პოლიტიკაზე. ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვების გადაწყვეტილების, საბერძნეთში ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობების, საფრანგეთში, პოლონეთსა და უნგრეთში ნაციონალისტური პარტიების გაძლიერების და ამერიკაში პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევის გათვალისწინებით, ეს მიგნებები ძალიან მოულოდნელიც არ უნდა იყოს. მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საზოგადოებები უფრო შიდა პრობლემებზე ხდებიან ფოკუსირებულები, ვიდრე გლობალურზე.

პირველი გვერდებიდან მოშორება (როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ეს საკმაოდ მიუღწეველი მიზანი იყო).

დემოკრატიულ სახელმწიფოებში, საზოგადოებრივ აზრს როგორც წესი უფრო ნაკლები გავლენა აქვს საგარეო პოლიტიკაზე, ვიდრე შიდა პოლიტიკაზე. ქვეყნის მმართველებს, ტრადიციულად გააჩნიათ დამატებითი სამანევრო სივრცე საერთაშორისო ასპარეზზე გადაწყვეტილების მისაღებად. ამას განაპირობებს როგორც სახელმწიფოების საჭიროება, რომ საერთაშორისო სისტემაში ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის იმოქმედონ ერთიანი პოზიციით, ისე დიპლომატიისა და საიდუმლოების არსებული ტრადიციები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებს მიჯნავს ჩვეულებრივი შიდა პოლიტიკისგან. დემოკრატიულ სახელმწიფოში, ყურადღებიან საზოგადოებას წარმოადგენს მოსახლეობის უმცირესობა, რომელიც ინფორმირებულია საერთაშორისო საკითხებზე. აღნიშნული სეგმენტი ვარირებს საგარეო პოლიტიკური საკითხიდან საკითხამდე, მაგრამ არსებობს ადამიანთა ძირითადი ჯგუფი, რომელთაც ზოგადად აინტერესებთ საგარეო ურთიერთობები და ყურადღებით აკვირდებიან განვითარებულ მოვლენებს. ყურადღებიანი საზოგადოების ყველაზე აქტიურ წევრებს საგარეო საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგენს საგარეო პოლიტიკური ელიტა, ანუ ძლიერ და გავლენიან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკაზე. აღნიშნული ელიტა მოიცავს არა მხოლოდ მთავრობის წევრებს, არამედ გარეშე პირებსაც, მათ შორის ბიზნესმენებს, ჟურნალისტების, ლობისტებს და პოლიტიკის მეცნიერების პროფესორებს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები გვაჩვენებს, რომ ელიტის შეხედულებები ზოგჯერ (თუმცა არა ყოველთვის) მნიშვნელოვნად განსხვავდება ძირითადი მოსახლეობის აზრისგან და რიგ შემთხვევებში მთავრობის მოსაზრებებისგანაც.

მთავრობები ზოგჯერ საგარეო პოლიტიკას ირჩევენ კონკრეტულად საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვების და შესაბამისად შიდა ლეგიტიმურობის უზრუნველყოფის მიზნით. ეს ხდება მაშინ, როდესაც შიდა

პოლიტიკის პერსპექტივები

იაპონიის პრემიერ-მინისტრი სინძო აბე

პრობლემა როგორ აირჩევდით, თუ რომელი საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტით იქნება ყველაზე უკეთ შესაძლებელი შიდა და საერთაშორისო ინტერესების დაბალანსება?



Takehiko Kobayashi/AP Images

ნინაისტორია წარმოიდგინეთ, რომ ხართ იაპონიის პრემიერ-მინისტრი. 1953 წელს, კორეის ომის დასრულების შემდეგ, დაძაბულია ურთიერთობები დასავლეთ მეზობელთან ანუ ჩრდილოეთ კორეასთან. სამხედრო დაძაბულობის შენარჩუნებას განაპირობებს ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით დადებული შეთანხმებების დარღვევა. ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იარაღი ექვსჯერ გამოსცადა 2006 წლის შემდეგ და ყველაზე ბოლოს 2017 წელს. ოფიციალური ტოკიოს შესაშინებლად ასევე განახორციელა მცირე რადიუსის ბალისტიკური რაკეტების სატესტო რეჟიმში გაშვება პირდაპირ იაპონიის თავზე. 2017 წელს, საერთაშორისო გაფრთხილებების მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეამ გამოსცადა ახალი შორი რადიუსის რაკეტა. 2012 წელს, არჩევნები მოიგეთ ხისტი პოზიციით ჩრდილოეთ კორეისგან მომდინარე საფრთხესთან დაკავშირებით, გამოდიოდით რა თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდისა და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების მოწოდებით საკუთარი ქვეყნის ჩრდილოეთ კორეის რაკეტებისგან დასაცავად.

მოლაპარაკებები ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის და რაკეტების მოსაშორებლად წინ არ წასულა. ჩრდილოეთ კორეის ლიდერს, კიმ ჩენ ინსა და ამერიკის პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს შორის სიტყვიერმა დაპირისპირებამ და დაძაბულობის ესკალაციამ, გაიძულათ მეგეძინათ ანტი-სარაკეტო თავდაცვის სისტემები ამერიკის შეერთებული შტატებისგან ჩრდილოეთ კორეისგან მომდინარე საფრთხოსგან დასაცავად. 2018 წლის სამშვიდობო მოლაპარაკებებმა კიმ ჩენ ინსა და დონალდ ტრამპს შორის დაძაბულობა მნიშვნელოვნად შეარბილა.

1967 წელს იაპონიამ მიიღო, სამი არაბირთვული პრინციპი, რომელიც გულისხმობდა რომ იაპონია არ შექმნიდა, არ ექნებოდა და არ დაუშვებდა საკუთარ ტერიტორიაზე ბირთვულ იარაღს. ამ პოლიტიკის შედეგი ის არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ შენს ქვეყანას გააჩნია ტექნოლოგია საკუთარი ბირთვული იარაღის შესაქმნელად, შენ თავს იკავებ ამის გაკეთებისგან. იაპონიამ ზემოაღნიშნული სამი პრინციპის გამო საკუთარ ტერიტორიაზე ამერიკის ბირთვული იარაღის განთავსებაზეც განაცხადა უარი. თუმცა, ჩრდილოეთ კორეისგან მომდინარე მზარდ საფრთხესთან ერთად, ზოგიერთმა სამხედრო ლიდერმა იპაონიაში მხარი დაუჭირა სამი პრინციპის გაუქმებას და ბირთვული იარაღის შექმნას.

შიდა ფაქტორები იაპონიაში არსებული საზოგადოებრივი აზრი ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში ძალიან სენსიტიურია. ბევრი იაპონელი შეშფოთებულია ჩრდილოეთ კორეისგან მომდინარე საფრთხით, 2002 წელს, ჩრდილოეთ კორეამ აღიარა 1970-იან და 1980-იან წლებში იაპონიის მოქალაქეების ფარულად მოტაცებისა და ჩრდილოეთ კორეაში გადაყვანის ფაქტები, რომელთაც შემდგომ ჩრდილოეთ კორეელი ჯაშუშების მოსამზადებლად იყენებდნენ. თქვენმა ქვეყანამ მოითხოვა, რომ ჩრდილოეთ კორეას დაებრუნებინა გატაცებულთა ცხედრები. და მაშინ როცა ეს გატაცებები სენსიტიური საკითხია იაპონელი საზოგადოებისთვის, ასევეა ბირთვული იარაღის საკითხიც. იაპონელების უმრავლესობა მხარს არ უჭერს ბირთვული იარაღის შექმნას და ფლობას.

სცენარი ახლა წარმოიდგინეთ, რომ ჩრდილოეთ კორეა განაგრძობს მისი ბირთვული პროგრამის განვითარებას და აწარმოებს უფრო მეტ მძლავრ იარაღს. ის ასევე განაგრძობს რაკეტების წარმოებას, მათ შორის განაგრძობს რაკეტების გამოცდას შენი კუნძულის თავზე. აშშ-მა გკითხა, თუ რამდენად განიხილავდი მისი ბირთვული რაკეტების შენი ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებას შესაძლებლად ჩრდილოეთ კორეის შესაკავებლად. ეს იარაღი არ იქნება იაპონიის საკუთრებაში და მათი გამოყენების გადაწყვეტილებაც აშშ-ის ხელთ იქნება, თუმცა ამერიკელმა სამხედრო ოფიციალურმა პირებმა პირობა დაღეს, რომ მათი გამოყენების საჭიროების შემთხვევაში, თქვენთან კონსულტაციას გაივლიდნენ.

ᲐᲘᲠᲘᲩᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ როგორ უპასუხებთ აშშ-ის ზეწოლას მისი ბირთვული იარაღის თქვენ ტერიტორიაზე განთავსებასთან დაკავშირებით? გარისკავთ თუ არა მოქალაქეების უკმაყოფილების გამოწვევას, რომელიც ძირითადად არაბირთვულ იაპონიას ემხრობა? შეეწინააღმდეგებით თქვენ ძირითად მოკავშირეს და უარს იტყვით ბირთვული იარაღის განთავსებაზე? როგორ ფიქრობთ, ჩრდილოეთ კორეა უფრო აგრესიული ხომ არ გახდება, თუკი თქვენ გექნებათ ეს იარაღი? თუ პირიქით, ეს იარაღი გააძლიერებს პოტენციური აგრესორის შეკავების შესაძლებლობას? როგორ დააბალანსებთ შიდა საზოგადოებრივ განწყობებს, ზეწოლას მოკავშირეებისგან და საერთაშორისო უსაფრთხოების წინაშე არსებულ საფრთხეებს ერთმანეთთან?

„დროშის გარშემო დარაზმვის" სინდრომი (Rally around the flag syndrome)


ომის დროს, სულ მცირე მოკლევადიან პერსპექტივაში საზოგადოებაში სახელმწიფო ლიდერების გაზრდილი მხარდაჭერა.

პრობლემების დროს, სახელმწიფო იწყებს საგარეო სამხედრო ინტერვენციას, რაც მიმართულია ყურადღების გადასატანად და საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ასეთი სტრატეგია ეყრდნობა „დროშის გარშემო დარაზმვის" სინდრომს, როდესაც ომიანობის დროს, როგორც მინიმუმ მოკლევადიან პერსპექტივაში იზრდება ხელისუფლების მიმართ საზოგადოების მხარდაჭერა. მოქალაქეები, რომლებიც მზად არიან გააკრიტიკონ მთავრობის განათლების ან ჯანდაცვის პოლიტიკა, ხშირად თავს იკავებენ კრიტიკული აზრების გამოთქმისგან ომის მიმდინარეობისას, როდესაც სახელმწიფოს ჯარისკაცების სიცოცხლე საფრთხეშია. ასეთი სახის პოლიტიკას ხშირად ყურადღების გადატანის საგარეო პოლიტიკას უწოდებენ. სამწუხაროდ, ყოველთვის რთულია იმის მტკიცება, თუ როდის ირჩევს სახელმწიფო საზოგადოების ყურადღების გადატანის პოლიტიკას, რადგან ლიდერები არასოდეს აღიარებენ საზოგადოების ყურადღების გადატანის მცდელობას.

გრაფიკი 3.4 „დროშის გარშემო დარაზმვის" სინდრომი

პრეზიდენტ ბუშის მოწონების რეიტინგი აჩვენებს „დროშის გარშემო დარაზმვის" სინდრომს, როდესაც ომი განაპირობებს მოწონების რეიტინგის მოკლევადიან მატებას.

წყარო: Gallup poll



ამასთან, გაჭიანურებულმა ან ნაკლებად წარმატებულმა ომებმა შესაძლოა საზოგადოებრივი აზრი ხელისუფლების წინააღმდეგ შემოაბრუნოს და მთავრობის დასამხობად სახალხო აჯანყებაც კი გამოწვიოს. არგენტინაში მოქმედმა სამხედრო ხუნტამ 1982 წელს ფოლკლენდის კუნძულების გამო ბრიტანეთთან ომი დაიწყო. თავდაპირველად, არგენტინელები დაირაზმნენ დროშის გარშემო, მაგრამ ომში დამარცხების შემდეგ უკვე სამხედრო ხუნტის მოშორების და ლიდერების დასჯის მოთხოვნების გარშემო გაერთიანდნენ. პრეზიდენტ ბუშის პოპულარობამ, რომელიც გაიზარდა ერაყის ომის საწყის ფაზაში, ომის გაჭიანურებასთან ერთად მნიშვნელოვნად დაიკლო (იხ. გრაფიკი 3.4) და არჩევნების შემდეგ მისმა პარტიამ კონგრესში უმრავლესობა დაკარგა.

3.2.4 საკანონმდებლო ორგანოები

ერთ-ერთი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ინტერესთა ჯგუფებსა და საზოგადოებრივ აზრს ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, საკანონმდებლო ორგანოებია. ზოგიერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, მაგალითად აშშ-ში, საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა მოქმედებს, სადაც საკანონმდებლო ორგანოებს პრეზიდენტისგან (ასევე მოიხსენიება როგორც აღმასრულებელი) ცალკე ირჩევენ. ასეთ სისტემებში, საკანონმდებლო ორგანოები პირდაპირ როლს თამაშობენ საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში ბიუჯეტების დამტკიცების, ბიუროკრატიული წესების რეგულირებით, სავაჭრო კანონების შექმნის და საიმიგრაციო პოლიტიკის კონტროლის მეშვეობით. სამიტებსა და მოლაპარაკებებს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებიან, თუმცა მათ მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი შეთანხმება შიდა საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებას საჭიროებს.

მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ვინმე თუ მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო სისტემის მქონე დემოკრატიულ სახელმწიფოებში საკანონმდებლო ორგანოები საგარეო პოლიტიკაზე ზოგადად გავლენას არ ახდენენ, სამხედრო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, შესაძლოა განსხვავებული წესები მოქმედებდეს. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ საკანონმდებლო ორგანოები, საზოგადოებრივი აზრის მსგავსად, ირაზმებიან დროშის გარშემო საერთაშორისო კრიზისების დროს. მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ, აშშ-ის კონგრესმა პრეზიდენტ ბუშს ავღანეთის ომის წარმართვის სრული უფლებამოსილება მიანიჭა. 2002 წლის ოქტომბერში კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ერაყში ძალის გამოყენების ნებას რთავდა. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოები იშვიათად ან არასდროს ეწინააღმდეგებიან აღმასრულებელ ხელისუფლებას მნიშვნელოვან სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით. ამ მხრივ მნიშვნელოვან გამონაკლისს წარმოადგენდა, როდესაც 2015 წელს „რესპუბლიკური პა-

რტიის“ წევრმა კონგრესმენებმა მოითხოვეს, რომ კონგრესს განეხილა ირანთან გაფორმებული ბირთვული იარაღის შეთანხმება. კონგრესი შეეცადა შეეჩერებინა ბირთვული შეთანხმება, ობამამ შეთანხმების ძალაში დასატოვებლად საპრეზიდენტო ვეტო გამოიყენა.

სხვები მიუთითებენ განსხვავებულ დინამიკაზეც, როდესაც საკანონმდებლო ორგანოები ეწინააღმდეგებიან აღმასრულებელ ხელისუფლებას სამხედრო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგალითად, გამომდინარე იქიდან, რომ კანონმდებლები „საფულის შესაკრავს“ აკონტროლებენ (იგულისხმება ახალი ხარჯების დამტკიცების ან უარყოფის უფლება), მათ ომის მიმდინარეობის შეწყვეტა შეუძლიათ. აშშ-ში, ვიეტნამის ომის დასასრულს მიღებული „ომის გამოცხადების უფლებამოსილების აქტი“ მოითხოვს, რომ პრეზიდენტმა კონგრესს აცნობოს, თუ როდის გაიგზავნება ამერიკული ჯარები სამხედრო მოქმედებებში ჩასართავად. ამ შეტყობინების შემდეგ, პრეზიდენტს ეძლევა 60 დღიანი ვადა (შესაძლებელია კიდევ 30 დღით გაგრძელებაც) ჯარების უკან გამოსახმობად, იმ შემთხვევაში თუ კონგრესი აშკარად არ დაუჭერს მხარს სამხედრო ქმედებას.

2011 წლის ლიბიაზე საჰაერო დარტყმების დროს, ობამას ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ „ომის გამოცხადების უფლებამოსილების აქტის“ ამოქმედების საფუძველი არ არსებობდა, რადგან აღნიშნული ქმედება არ წარმოადგენდა ომს. თუმცა, 2014-2015 წლებში, ერაყის ტერიტორიაზე მოქმედი „ისლამური სახელმწიფოს“ ძალების წინააღმდეგ მიმდინარე აშშ-ის სამხედრო ოპერაციისას, ობამას ადმინისტრაციამ სცადა ძალის გამოყენებაზე კონგრესის თანხმობის მოპოვება. ბუშის, ობამას და ტრამპის ადმინისტრაციები ასევე აცხადებდნენ, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტიდან სამ დღეში კონგრესის მიერ დამტკიცებული აქტი, ავტორიზაცია სამხედრო ძალის გამოყენებაზე, პრეზიდენტს ანიჭებს უფლებამოსილებას გამოიყენოს სამხედრო ძალა ტერორიზმთან დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხის წინააღმდეგ. და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების ცალკეული ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ პრეზიდენტები უფრო მეტად არიან მიდრეკილი სამხედრო ძალის გამოყენებისკენ, როდესაც კონგრესში მათი პარტიაა ხელისუფლებაში. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ შიდა პოლიტიკა ხშირად ერთვება საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებებში.

ისეთ საპარლამენტო სისტემებში, როგორიც დიდ ბრიტანეთში მოქმედებს, აღმასრულებელ ხელისუფლებას (მაგალითად პრემიერ-მინისტრებს) ირჩევენ საკანონმდებლო ორგანოებში უმრავლესობით წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები. პარლამენტის მიერ არჩეულ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ხშირად არ სჭირდებათ ხელშეკრულებების ან პოლიტიკის დასამტკიცებლად საკანონმდებლო ორგანოს ოფიციალური თანხმობა, თუმცა საკანონმდებლო ორგანოები მაინც ინარჩუნებენ უფლებამოსილებას საგარეო პოლიტი-

კასთან დაკავშირებით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, პარლამენტს არ მოეთხოვება კენჭი უყაროს პრემიერ-მინისტრის მიერ შეთანხმებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, თუმცა, მან უნდა დაამტკიცოს ბრიტანეთის შიდა კანონმდებლობის ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც ეს ხელშეკრულება მოიცავს. რადგან საერთაშორისო შეთანხმებების უმრავლესობა მსგავსი ტიპის ცვლილებებს გულისხმობს, პარლამენტი ახორციელებს საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიცირების უფლებამოსილებას. ბევრ საპარლამენტო სისტემაში, თუკი საგარეო (ან შიდა) პოლიტიკის საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, პარტიებმა, რომლებიც არ ფლობენ უმრავლესობას საკანონმდებლო ორგანოში, შესაძლოა სცადონ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა – რაც გულისხმობს, რომ ქვეყანა კიდევ ერთხელ ატარებს არჩევნებს იმის განსასაზღვრად თუ ვინ დაიკავებს ადგილებს პარლამენტში. თუკი საპარლამენტო ადგილების უმრავლესობას სხვა პარტიები მიიღებენ, ახალი აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირება მოხდება. ასე რომ, საპარლამენტო სისტემებში, საკანონდმებლო ორგანოები წამყვან როლს თამაშობენ საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

3.3 საგარეო პოლიტიკის შემუშავება

ახსენით სამი ფაქტორი, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ინდივიდუალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღებას საერთაშორისო კრიზისის დროს.

საგარეო პოლიტიკის პროცესი (Foreign Policy Process)
პროცესი, რომლის მეშვეობითაც ხდება საგარეო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

საგარეო პოლიტიკა არის სტრატეგიები, რომელსაც მთავრობები იყენებენ საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი მოქმედებების წარმართვისთვის. საგარეო პოლიტიკაში გადმოცემულია მიზნები, რომლებსაც სახელმწიფოს ლიდერებმა უნდა მიაღწიონ კონკრეტულ ურთიერთობასა თუ ვითარებაში. თუმცა ზოგადად, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებს ნაკლებად აინტერესებთ კონკრეტული პოლიტიკა და უფრო მეტად დაინტერესებულები არიან საგარეო პოლიტიკური პროცესით. კერძოდ, თუ როგორ ხდება პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით სახელმწიფოები აყალიბებენ სხვადასხვა ორგანიზაციულ სტრუქტურებსა და ფუნქციურ ურთიერთობებს. თანამდებობის პირები და ორგანოები ვითარების შესახებ ინფორმაციას იღებენ სხვადასხვა არხებიდან, ამზადებენ მემორანდუმებს, სადაც გადმოცემულია მოქმედების შესაძლო ვარიანტები, ატარებენ თათბირებს, სადაც განიხილავენ საკითხებს და ზოგჯერ მართავენ დახურულ თათბირებს, სადაც იღებენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ წარმართონ შეხვედრები. ფართო განმარტებით, სწორედ ასეთ აქტივობებს მოიცავს ფრაზა „საგარეო პოლიტიკური პროცესი“. საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებს განსაკუთრებით აინტერესებთ შეისწავლონ მოსდევს თუ არა კონკრეტული სახის პოლიტიკის პროცესს,


კონკრეტული სახის გადაწყვეტილებები, ანუ იწვევს თუ არა კონკრეტული პროცესი უკეთეს შედეგს (სახელმწიფო ინტერესებისთვის) სხვა პროცესებთან შედარებით.

საგარეო პოლიტიკური შედეგები დგება ანალიზის სხვადასხვა დონეზე მოქმედი ძალების ურთიერთქმედებით. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ სახელმწიფო დონის ინსტიტუტები, ახლა კი შევისწავლით ინდივიდუალურ გადაწყვეტილების მიმღებებს და იმ ჯგუფებს, რომელთა ფარგლებშიც ისინი მოქმედებენ. საგარეო პოლიტიკის პროცესის ანალიზის ინსტიტუციურ თუ ინდივიდუალურ დონეზე შესწავლა წინააღმდეგობაში მოდის რეალიზმის პრინციპთან, რომ სახელმწიფო უნიტარულ აქტორს წარმოადგენს.

3.3.1 გადაწყვეტილების მიღების მოდელები

საგარეო პოლიტიკის პროცესი გადაწყვეტილების მიღების პროცესია. სახელმწიფოები მოქმედებენ იმიტომ, რომ მთავრობაში მყოფმა ადამიანებმა, ანუ გადაწყვეტილების მიმღებმა, ასეთი ქმედების განხორციელება გადაწყვიტეს. გადაწყვეტილების მიღება არის მართვის პროცესი, როდესაც გარესამყაროსთან უკუკავშირის შედეგად პროცესში გარკვეული დაზუსტებები შედის. გადაწყვეტილებები ხორციელდება გარესამყაროს შეცვლისკენ გამიზნული ქმედებებით და შემდეგ ხდება გარესამყაროდან მიღებულ ინფორმაციაზე დაკვირვება ამ ქმედებების ეფექტის შეფასების მიზნით. აღნიშნული შეფასებები, სამოქმედო გარემოში მომხდარ სხვა, დამოუკიდებელი ცვლილებების შესახებ არსებულ ინფორმაციასთან ერთად, გამოიყენება გადაწყვეტილებების მორიგი რაუნდისთვის (იხ. გრაფიკი 3.5).


გრაფიკი 3.5 გადაწყვეტილების მიღება როგორც მართვა



გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესწავლის საწყის წერტილს წარმოადგენს **რაციონალური მოდელი**. ამ მოდელში, გადაწყვეტილებების მიმღებები სახავენ მიზნებს, აფასებენ მათ შედარებით მნიშვნელობას, ითვლიან თითოეული სამოქმედო გეგმის ხარჯსარგებლიანობას და შემდეგ ირჩევენ მოქმედებას, რომელსაც მინიმალური დანახარჯები და მაქსიმალური სარგებელი გააჩნია (იხ. გრაფიკი 3.6.).

რაციონალური მოდელი (Rational Model)
მოდელი, რომელშიც გადაწყვეტილების მიმღებები აწგარიშობენ თითოეული სამოქმედო გეგმის ხარჯსარგებლიანობას და შემდეგ ირჩევენ მოქმედებას მინიმალური დანახარჯებით და მაქსიმალური სარგებლით.

გრაფიკი 3.6 გადაწყვეტილების მიღების რაციონალური მოდელი



არჩევანი შესაძლოა გაართულოს გაურკვევლობამ თითოეული მოქმედების ხარჯებთან და სარგებელთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღებმა ქმედების თითოეული შესაძლო შედეგის ალბათობა უნდა განსაზღვროს. მაგალითად, წარმატებული იქნება ზეწოლა მეტოქე სახელმწიფოზე მოლაპარაკებებში დათმობის მიღწევის მიზნით, თუ უკუშედეგს გამოიღებს? ზოგიერთი გადაწყვეტილების მიმღები შედარებით უფრო მიდრეკილია რისკისკენ, მაშინ როდესაც სხვები რისკის არიდებას ცდილობენ. აღნიშნული ფაქტორები გავლენას ახდენს თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ გადაწყვეტილების მიმღ ებები ქმედებების სხვადასხვა ალტერნატიულ შედეგებს.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია გვჯეროდეს, რომ გადაწყვეტილების მიმღებები რაციონალურები არიან, მაგრამ არ ვიზიარებდეთ რეალიზმის შეხედულებას, რომ სახელმწიფოები უნიტარული აქტორების რანგში უნდა განვიხილოთ. სახელმწიფოები ინდივიდებისგან შედგება, რომლებიც შესაძლოა რაციონალურად მიისწრაფვიან საკუთარი მიზნების მისაღწევად. თუმცა, გადაწყვეტილების მიღებისას, სხვადასხვა ინდივიდების, ისევე როგორც სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიზნები შესაძლოა ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს. მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო მდივანს შესაძლოა თავდაცვის მდივნისგან განსხვავებული მიზანი გააჩნდეს, ისევე როგორც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (CIA) შესაძლოა ვითარებას ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსგან (NSC) განსხვავებულად აფასებდეს. გადაწყვეტილების მიღების რაციონალურ მოდელს

გარკვეულწილად ართულებს გაურკვევლობა და გადაწყვეტილების მიმღებთა მიზნების სიმრავლე. შესაბამისად, რაციონალური მოდელი შესაძლოა გულისხმობდეს, რომ გადაწყვეტილების მიღება უფრო მარტივია, ვიდრე ეს რეალურად არის.

ორგანიზაციული პროცესის მოდელი (Organizational Process Model)
გადაწყვეტილების მიღების მოდელი, რომელშიც პოლიტიკის შემქმნელები ან ქვედა რგოლის თანამდებობის პირები ძირითადად სტანდარტულ პასუხებს ან სტანდარტულ სამოქმედო პროცედურებს ეყრდნობიან.

გადაწყვეტილების მიღების რაციონალური მოდელის ალტერნატივას წარმოადგენს **ორგანიზაციული პროცესის მოდელი**. ამ მოდელში, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებები გამოტოვებენ მიზნებისა და ალტერნატიული ქმედებების განსაზღვრის შრომატევად პროცესს და აღნიშნულის სანაცვლოდ გადაწყვეტილებების უმრავლეს შემთხვევაში ეყრდნობიან სტანდარტულ რეაქციებს ან სტანდარტულ სამოქმედო პროცედურებს. მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოქმედი ამერიკული საელჩოებისგან ყოველდღიურად ათასზე მეტ ანგარიშს ან შეკითხვას იღებს და ამ საელჩოებში ათასზე მეტ მითითებას ან პასუხს აგზავნის. უმაღლეს დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებს (სახელმწიფო მდივანი ან პრეზიდენტი) უმრავლეს შემთხვევაში მათთან შეხება არ აქვთ. ამის ნაცვლად, აღნიშნულ საკითხებს აგვარებენ ქვედა დონის გადაწყვეტილების მიმღებები, რომლებიც ზოგად პრინციპებს ეყრდნობიან ან ცდილობენ რომ ყველაზე უფრო ნაკლებად სადავო ან ყველაზე სტანდარტული გადაწყვეტილება მიიღონ. ეს ქვედა დონის გადაწყვეტილებები შესაძლოა საერთოდ არ ასახავდეს ლიდერების მიერ უმაღლეს დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და მოქმედების საკუთარი ლოგიკა გააჩნდეთ. ასე რომ, ორგანიზაციული მოდელი გულისხმობს, რომ საგარეო პოლიტიკა ძირითადად მმართველობის ჩახლართული პროცესის შედეგია.

სამთავრობო ვაჭრობის მოდელი (Government Bargaining Model)
მოდელი, რომლის მიხედვითაც, საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებები მიიღება სხვადასხვა სამთავრობო უწყებას შორის ვაჭრობის შედეგად, რომელთაც შედეგთან დაკავშირებით გარკვეულწილად განსხვავებული ინტერესები გააჩნიათ („რა პოზიციაზე დგახარ დამოკიდებულია იმაზე, საიდ ზიხარ"). ამ მოდელს ასევე *ბიუროკრატიული პოლიტიკის* მოდელს უწოდებენ.

რაციონალური მოდელის კიდევ ერთი ალტერნატივა არის **სამთავრობო ვაჭრობის** მოდელი (ან ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელი), სადაც საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება სხვადასხვა სამთავრობო უწყებებს შორის ვაჭრობის შედეგად, რომელთაც შედეგთან მიმართებაში გარკვეულწილად განსხვავებული ინტერესები გააჩნიათ. 1992 წელს, იაპონიის მთავრობას უნდა მიეღო გადაწყვეტილება კალიფორნიიდან სუშის იმპორტზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, რაც შეასუსტებდა იაპონიაში ტრადიციულად მოქმედ აკრძალვას ბრინჯის შემოტანასთან დაკავშირებით (აღნიშნული მიზნად ისახავს ქვეყანაში ამ ძირითადი საკვების თვითკმარობის უზრუნველყოფას). იაპონიის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც იაპონელი ფერმერების ინტერესებს იცავდა, ეწინააღმდეგებოდა იმპორტზე ნებართვის გაცემას. საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლის მიზანსაც აშშ-თან კეთილგანწყობილი ურთიერთობების შენარჩუნება წარმოადგენდა, მხარს უჭერდა იმპორტის იდეას. საბოლოო გადაწყვეტილება სუშის იმპორტთან დაკავშირებით მიღებულ იქნა ამ ორ სამინისტროს შორის გამართული ჭიდილის შედეგად. ამგვარად, სამთავრობო ვაჭრობის მოდელის თანახმად, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები ასახავს სახელმწიფო უწყებების ინტერესებს (მათ ნაზავს).

3.3.2 ინდივიდუალური დონის გადაწყვეტილების მიმღებები

თითოეული საერთაშორისო მოვლენა, განზრახული თუ უნებლიე, ინდივიდების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგს წარმოადგენს. საერთაშორისო ურთიერთობები თავისთავად არ ხდება. პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს, რომელმაც 1945 წელს მიიღო გადაწყვეტილება ორ იაპონურ ქალაქში ატომური ბომბის ჩამოგდების შესახებ, მაგიდაზე ჰქონდა წარწერა „საბოლოო პასუხიმგებლობა ჩერდება აქ ". იგი, როგორც მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ქვეყნის ლიდერი, პასუხისმგებლობას ვერავის გადააბარებდა. თუ ტრუმენი მიიღებდა ატომური ბომბის გამოყენების გადაწყვეტილებას (რაც გააკეთა კიდეც), მაშინ 100,000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპებოდა. თუ ტრუმენი გადაწყვეტდა, რომ არ გამოეყენებინა ატომური ბომბი, მაშინ ომი კიდევ თვეობით გაგრძელდებოდა და ათი ათასობით ამერიკელ სამხედროს იმსხვერპლებდა. ტრუმენს უნდა აერჩია. ზოგიერთი ადამიანი მიესალმება მის გადაწყვეტილებას, ზოგიერთი კი გმობს. თუმცა, ავად თუ კარგად, ტრუმენს, როგორც ინდივიდს უნდა მიეღო გადაწყვეტილება და ეტვირთა შედეგებზე პასუხისმგებლობა. ამის მსგავსად, მოქალაქეთა გადაწყვეტილებები, რომლებიც ცალ ცალკე აღებული შესაძლოა მნიშვნელოვანი არ ჩანდეს, საერთო ჯამში მსოფლიო ისტორიის დიდ ძალებს ქმნიან.

ინდივიდუალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების შესწავლა რაციონალურობის საკითხის გარშემო ტრიალებს. რამდენად შეუძლიათ სახელმწიფო ლიდერებს (ან მოქალაქეებს) რაციონალური გადაწყვეტილების მიღება ეროვნულ ინტერესების ჭრილში – თუ რა თქმა უნდა ასეთი ინტერესების განსაზღვრა შესაძლებელია – და ამით გარკვეულწილად დაადასტურონ რეალიზმის ხედვები საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ? ინდივიდუალური რაციონალურობა სახელმწიფო რაციონალურობის ეკვივალენტური არ არის. სახელმწიფოებს შეუძლიათ გაფილტრონ ინდივიდების არარაციონალური გადაწყვეტილებები და რაციონალურ არჩევნამდე მივიდნენ, ან შეუძლიათ დაამახინჯონ ინდივიდუალურად რაციონალური გადაწყვეტილებები და შედეგად არარაციონალური სახელმწიფო არჩევანი მიიღონ. თუმცა, რეალისტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოც და ინდივიდებიც რაციონალურები არიან და სახელმწიფოს მიზნები და ინტერესები თანხვედრაშია მათივე ლიდერების მიზნებთან და ინტერესებთან.

რაციონალური აქტორის მოდელის ყველაზე გამარტივებული ვერსია მოიაზრებს, რომ აქტორიდან აქტორამდე ინტერესები უცვლელია. ეს რომ ასე იყოს, ინდივიდები ერთმანეთს სხვადასხვა როლებში ჩაანაცვლებდნენ ისე, რომ ისტორია ძალიან არ შეიცვლებოდა. სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ უცვლელ ქცევას განაგრძობდნენ (ან, მათ შორის არსებული განსხვავები ასახავდა განსხვავებას რესურსებსა და გეოგრაფიაში



ცეცხლი გახსნილია საგარეო პოლიტიკა ხშირად სცილდება რაციონალურობას გადაწყვეტილების მიმღებებისა და მოსახლეობების მიკერძოებული შეხედულებებისა და არასწორი აღქმების შედეგად. ამ სურათზე, ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინი სამხედროებთან ერთად აკვირდება სამუალოდ რადიუსის ბალისტიკური რაკეტის გამოცდას 2017 წელს. ჩრდილოეთ კორეის ბირთვული შეიარაღების პროგრამა და ბირთვული ქობინების მატარებლები დასავლეთისთვის შემფოთების საგანს წარმოადგენს. აღნიშნული იარაღი გაცილებით უფრო დიდი საფრთხის შემცველი იქნება, თუ გაირკვევა რომ კიმი, რომელიც ხელისუფლებაში 2011 წელს მოვიდა, ირაციონალური შემლილია, ვიდრე იმ შემთხვევაში თუკი აღმოჩნდება, რომ ის გამჭრიახი და რაციონალური აქტორია.

და არა განსხვავებას ეროვნულ ინტერესებში). ეს დაშვება საუკეთესო შემთხვევაში, რეალობის უკიდურესი გამარტივებაა. ინდივიდუალური გადაწყვეტილებები ასახავს გადაწყვეტილების მიმღების რწმენებს და ღირებულებებს.

ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიმღებებს არა მხოლოდ განსხვავებული ფასეულობები და მრწამსი გააჩნიათ, არამედ უნიკალური პიროვნული თვისებებიც – კერძოდ, მათ განასხვავებთ პირადი გამოცდილება, ინტელექტუალური შესაძლებლობები და გადაწყვეტილების მიღების ინდივიდუალური სტილი. საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი მკვლევარი ინდივიდის ფსიქოლოგიას იმიტომ სწავლობს, რომ დაადგინოს, რა გავლენას ახდენს პიროვნული თვისებები გადაწყვეტილების მიღებაზე.

მიზნებში ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში პიროვნული სახასიათო ნიშნების გარდა, ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება რაციონალური მოდელისგან სულ მცირე კიდევ სამი სისტემური ასპექტით განსხვავდება. პირველ რიგში, გადაწყვეტილების მიმღებებს, საკუთარი არჩევანის შესაძლო შედეგებზე ინფორმაციის შეგროვებისას, **არასწორი აღქმის** ან **სელექციური აღქმის** (მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის მხედველობაში მიღება) პრობლემა აქვთ. გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა განხორციელდეს შემოსული ინფორმაციის შეკვეცა და გაფილტვრა და გადაწყვეტილება მასზე დაყრდნობით უნდა იქნას მიღებული, თუმცა პრობლემას ის წარმოადგენს, რომ ასეთი სახის ფილტრაცია ხშირად ტენდენციური ხასიათისაა. **ინფორმაციის სკრინინგი ქვეცნობიერი ფილტრია**, რომელშიც ადამიანები მათ გარშემო სამყაროდან შემოსულ ინფორმაციას ატარებენ. ხშირად ადამიანები უგულებელყოფენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ არის მათ მოლოდინებთან თანხვედრაში. ინფორმაციის სკრინინგი ასევე ხორციელდება მაშინაც, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ის ერთი ადამიანიდან მეორეს გადაეცემა. მაგალითად, 2001 წლის სექტემბრის ტერორისტულ აქტებამდე, აშშ-ის სადაზვერვო უწყებებმა ვერ შეძლეს მათ ხელთ არსებული მტკიცებულებების სათანადოდ გაანალიზება, რადგან ძალიან ცოტა ანალიტიკოსი ფლობდა არაბულ ენას სრულყოფილად.

არასწორი და სელექციური აღქმები (Misperceptions and Selective Perceptions)

გადაწყვეტილების შესახებ არსებული ინფორმაციის მცდარი დამუშავება. აფექტურ და კოგნიტურ მიკერძოებულობასთან ერთად წარმოადგენს ერთ-ერთ გზას, როდესაც ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება განსხვავდება რაციონალური მოდელისგან. იხ. ასევე *ინფორმაციის სკრინინგი.*

არასწორმა აღქმებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს როგორც დაბალი რანგის თანამდებობის პირების მიერ პოლიტიკის განხორციელებაზე, ასევე ამ პოლიტიკის შემუშავებაზე მაღალი რანგის თანამდებობე-

ბის პირების მიერ. მაგალითად, 1988 წელს სპარსეთის ყურეში მცურავი ამერიკული სამხედრო გემის ოფიცრებმა ირანული სამოქალაქო თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რადგან ეგონათ, რომ ეს სამხედრო თვითმფრინავი იყო, რომელიც მათზე იერიშს აპირებდა. ოფიცრები ცდილობდნენ სახელმწიფოს ლიდერების მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკის გატარებას, მაგრამ არასწორი აღქმების გამო, მათმა მოქმედებამ პირიქით დააზარალა სახელმწიფოს ინტერესები.

მეორე ასპექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ინდივიდუალურ ხარჯსარგებლიანობის გათვლებს აზარალებს ემოციები, რომლებსაც გადაწყვეტილების მიმღებები განიცდიან, როდესაც საკუთარი ქმედებების შედეგებზე ფიქრობენ. ამ მოვლენას აფექტური მიკერძოება ეწოდება (პოზიტიური ან ნეგატიური აფექტით აღინიშნება ვიღაცის მოწონების ან არმოწონების გრძნობები). როგორ მტკიცედაც არ უნდა ცდილობდეს გადაწყვეტილების მიმღები რაციონალურობის შენარჩუნებას გადაწყვეტილების მიღებისას, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მაინც ახდენს გავლენას ის მკაფიოდ გამოკვეთილი გრძნობები იმ პიროვნების ან სახელმწიფოსთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული.

მესამე ასპექტი, კოგნიტური მიკერძოება, წარმოადგენს რაციონალური გათვლების სისტემურ დამახინჯებას არა ემოციური გრძნობებიდან გამომდინარე, არამედ უბრალოდ არჩევანის გაკეთებისას ადამიანის გონების შეზღუდულობის მიზეზით. ყველაზე მნიშვნელოვან მიკერძოებას წარმოადგენს *კოგნიტური ბალანსის* მიღწევის ან *კოგნიტური დისონანსის* შემცირების მცდელობა. აღნიშნული ტერმინებით მოიაზრება, რომ ადამიანები მიდრეკილნი არიან შეინარჩუნონ სამყაროს ის მენტალური მოდელები, რომლებიც ლოგიკურად თანმიმდევრულია (ეს იშვიათად არის სრულად წარმატებული).

კოგნიტიური ბალანსის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს ის, რომ გადაწყვეტილების მიმღებები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ მიზნებს, რომლის მისაღწევადაც დიდი ძალისხმევა გასწიეს. ამას ძალისხმევის გამართლება ეწოდება. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება დემოკრატიულ სახელმწიფოში, როდესაც მოქალაქეთა განაჩენი პოლიტიკოსთა რეიტინგებში აისახება და ამიტომაც ამ უკანასკნელთ წარუმატებლობის აღიარება არ უნდათ. ამერიკელი გადაწყვეტილების მიმღებები ამ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ვიეტნამის ომის დროს, 1960-იან წლებში. ნახევარი მილიონი სამხედრო მოსამსახურის დედამიწის მეორე ნახევარსფეროში გაგზავნის შემდეგ, აშშ-ის ლიდერებს ძალიან გაუჭირდათ აღიარება, რომ ომის დანახარჯი აღემატებოდა მიღებულ სარგებელს.

გადაწყვეტილების მიმღებები კოგნიტურ ბალანსს ასევე აღწევენ „სასურველი აზროვნებით“, რომელიც გულისხმობს სასურველი შედეგის ალბათობის გადაჭარბებით შეფასებას. სასურველი აზროვნების მაგალითს მიეკუთვნება ვარაუდი, რომ მოვლენა რომლის მოხდენის ალბათობაც

ინფორმაციის ფილტრები (Informatrion Screens)

ქვეცნობიერი ან არაცნობიერი ფილტრები, რომლებშიც ადამიანები მათ გარშემო არსებული სამყაროს შესახებ შემომავალ ინფორმაციას ატარებენ. იხ. ასევე არასწორი და სელექციური აღქმები.

დაბალია, საერთოდ არ მოხდება. ასეთი აზროვნება სახიფათოა კატასტროფულ მოვლენებთან, მაგალითად შემთხვევით ბირთვულ ომთან ან ტერორისტულ თავდასხმასთან მიმართებით.

კოგნიტური ბალანსი ხშირად უბიძგებს გადაწყვეტილების მიმღებებს მტრის ნეგატიური ხატის შენარჩუნებისა და მტრის ნებისმიერი ქმედების უარყოფით ჭრილში განხილვისკენ (რადგან ცუდი ადამიანების მიერ კარგი საქმის კეთების იდეამ შესაძლოა კოგნიტური დისონანსი გამოიწვიოს). სარკისებური გამოსახულება გულისხმობს ორ დაპირისპირებულ მხარეს, რომლებსაც ერთმანეთთან დაკავშირებით ერთნაირ მტრის ხატს წარმოიდგენენ („ჩვენ თავს ვიცავთ, ისინი აგრესიულები არიან“ და ა.შ.). ასევე შესაძლოა, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა საკუთარი ფსიქოლოგიური გრძნობები სხვა აქტორზე გადაიტანოს.

კოგნიტური მიკერძოების განსხვავებული, კოგნიტურ ბალანსთან დაკავშირებული კიდევ ერთი ფორმა არის ისტორიული ანალოგიების გამოყენება გადაწყვეტილების თაობაზე ფიქრის სტრუქტურირების მიზნით. ეს შესაძლოა ძალიან სასარგებლო იყოს ან შეცდომაში შემყვანიც, იმის მიხედვით, თუ რამდენად მართებულია ანალოგია. თითოეული ისტორიული ვითარება გარკვეულწილად უნიკალურია და როდესაც გადაწყვეტილების მიმღები ეჭიდება ანალოგიას და ამით ცდილობს შეამციროს გადაწყვეტილებამდე მისასვლელი გზა, სწორედ ამ დროს შეიძლება წარმოიშვას ხარჯებისა და სარგებლის არასაკმარისად გათვლის საფრთხეც. კერძოდ, ორი სხვადასხვა ვითარების მსგავსების სრულყოფილი ანალიზის გარეშე, გადაწყვეტილების მიმღებები ხშირად მიიჩნევენ, რომ გამოსავალი, რომელმაც წარსულში იმუშავა, კვლავაც გამოდგება. მაგალითად, აშშ-ის ლიდერებმა არასწორად გამოიყენეს 1938 წლის მიუნხენის ანალოგია და დაარწმუნეს საკუთარი თავი, რომ ვიეტნამის ომში კომუნიზმის დაშოშმინება შედეგად აზიაში კომუნისტური აგრესიის გაფართოებას მოიტანდა. დღევანდელი გადმოსახედიდან, განსხვავებამ ჩრდილოეთ კორეასა და ნაცისტურ გერმანიას შორის ამ ანალოგიის ხარვეზები აჩვენა (ძირითადად იმის გამო, რომ ვიეტნამის კონფლიქტს სამოქალაქო ომის ბუნება ედო საფუძვლად) . თავის მხრივ, ვიეტნამიც ძლიერ ანალოგიად იქცა და მასზე დაყრდნობით, აშშ-ის ლიდერები უფრთხოდნენ სხვა ქვეყნების კონფლიქტებში (მაგალითად ბოსნიაში) ჩარევას, რასაც სახელად „ვიეტნამის სინდრომი“ ეწოდა.

ყველა ზემოხსენებული ფსიქოლოგიური პროცესი, იქნება ეს არასწორი აღქმა, აფექტური თუ კოგნიტური მიკერძოებულობა, გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებისას ხარჯსარგებლიანობის რაციონალურად შეფასებაზე. აღნიშნული ფსიქოლოგიურ რეალობებზე მოსარგებად, შემოტანილ იქნა გადაწყვეტილების მიღების რაციონალურ მოდელში ორი კონკრეტული მოდიფიკაციის განხორციელების წინადადება.

პირველი, ანუ შეზღუდული რაციონალურობის მოდელი, ითვალისწინებს ინფორმაციის მოძიებასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. არავის შეუძლია განიხილოს ყველა შესაძლო სამოქმედო კურსი გადაწყვეტილების მიღებისას. ოპტიმიზების ან საუკეთესო ვარიანტის შერჩევის ნაცვლად, ადამიანები, როგორც წესი, პრობლემაზე იქამდე მუშაობენ, სანამ „საკმარისად კარგ" ვარიანტს არ მოძებნიან, რომელიც მინიმალურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, რასაც „დაკმაყოფილება" (დამაკმაყოფილებელი გამოსავლის მოძებნა) ეწოდება. საერთაშორისო ურთიერთობებში ზედა რგოლის გადაწყვეტილების მიმღებების (რომლებსაც ყოველთვის კრიზისებთან გამკლავება უწევთ) წინაშე არსებული დროის მუდმივი დეფიციტი ზოგადად ართულებს მათ მიერ არსებულ ვითარებაზე საუკეთესო პასუხის მოძებნის შესაძლებლობას. 1997 წელს, აშში-ის თავდაცვის მდივანმა უილიამ კოენმა, ხსენებული დროის დეფიციტი შემდეგნაირად აღწერა: „ინფორმაციის დაუსრულებელი დინება და ინფორმაციის ყოველწუთიერად გადამუშავების საჭიროება ძალიან განსხვავდება იმისგან, რასთანაც აქამდე მქონია შეხება... მსჯელობისთვის დრო არ არის და უმეტესად სულ მოქმედებაა."[1]

მეორე მხრივ, პერსპექტივის თეორია რისკის ან გაურკვევლობის დროს მიღებული გადაწყვეტილებების ალტერნატიულ ახსნას (არა უბრალოდ მარტივ რაციონალურ ოპტიმიზაციას) გვთავაზობს. აღნიშნული თეორიის თანახმად, გადაწყვეტილების მიმღებები ორ ფაზას გადიან. *რედაქტირების ფაზაში*, ისინი აყალიბებენ არსებულ ვარიანტებს და თითოეულ ვარიანტიდან გამომდინარე სხვადასხვა შედეგის შესაძლებლობებს. ამის შემდეგ, *შეფასების ფაზაში*, გადაწყვეტილებების მიმღებები აფასებენ ვარიანტებს და ირჩევენ ერთს. პერსპექტივის თეორია მიიჩნევს, რომ შეფასება ხორციელდება ათვლის წერტილთან შედარებით, რომელიც ხშირად არსებული სტატუს-კვოა, თუმცა შესაძლოა იყოს წარსულში არსებული ან მოსალოდნელი სიტუაცია.

შესაბამისად, ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება, საუკეთესო შემთხვევაში არასრულყოფილ და მიკერძოებულ რაციონალურობას მიყვება. არა მხოლოდ სხვადასხვა ინდივიდების მიზნები განსხვავდება, არამედ გადაწყვეტილების მიმღებებსაც უწევთა დაბრკოლებათა მთელი სერიის გადალახვა ზუსტი ინფორმაციის მოსაპოვებლად, სამყაროს სწორი მოდელის შესამუშავებლად და საკუთარი მიზნების მისაღწევად გადაწყვეტილებების მისაღებად. საუკეთესო შემთხვევაში რაციონალური მოდელი მხოლოდ გამარტივებაა და უნდა შეივსოს ინდივიდუალური ფსიქოლოგიური პროცესის გაგებით, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე.

ოპტიმიზება (Optimizing)

ყველაზე კარგი ვარიანტის არჩევა, განსხვავებით დაკმაყოფილებისგან ან პრობლემის დამაკმაყოფილებელი მაგრამ საუკეთესოზე ცუდი გამოსავლის მოძებნისგან. „შეზღუდული რაციონალურობის" მოდელი გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიმღებები ძირითადად ირჩევენ „დაკმაყოფილებას" და არა ოპტიმიზებას

დაკმაყოფილება (Satisficing)

პრობლემის დამაკმაყოფილებელი ან „საკმარისად კარგი" გამოსავლის მოძებნა.

პერსპექტივის თეორია (Prospect Theory)

გადაწყვეტილების მიღების თეორია, რომლის თანახმადაც ვარიანტების შეფასება ხორციელდება ათვლის წერტილთან შედარებით, რომელიც ხშირად არსებული სტატუს-კვოა, თუმცა შესაძლოა ასევე იყოს წარსულში არსებული ან მოსალოდნელი ვითარება. მოდელი ასევე მოიაზრებს, რომ გადაწყვეტილების მიმღებებში უფრო ძლიერია დანაკარგების შიში, ვიდრე მოგების მიღების სურვილი.

1 Bradley Graham, March 5, 1997. On First Trip as Pentagon Chief, Cohen Discusses Bosnia Endgame. Washington Post, A22.

3.3.3 ჯგუფური ფსიქოლოგია

რა მნიშვნელობა აქვს ჯგუფურ ფსიქოლოგიას საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისთვის? გარკვეული თვალსაზრისით, ჯგუფები ხელს უწყობენ რაციონალურობას, აბალანსებენ რა ცალკეული ინდივიდების მიკერძოებულობას და ინფორმაციის ნაკლებობას. მრჩევლებმა ან საკანონმდებლო კომიტეტებმა, შესაძლოა სახელმწიფოს ლიდერს გადაუფიქრებინონ ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო ჯგუფში მყოფ სხვადასხვა ინდივიდებს შორის ურთიერთქმედებამ, შესაძლოა მიზნების ისეთ ფორმულირებამდე მიგვიყვანოს, რომლებიც უფრო მეტად ასახავენ სახელმწიფო ინტერესებს, ვიდრე პიროვნულ თავისებურებებს. თუმცა, ჯგუფურ დინამიკას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ასევე შემოაქვს ირაციონალურობის ახალი წყაროები.

ჯგუფური აზროვნება (Groupthink)


ჯგუფების მიდრეკილება ზედმეტი თვითდაჯერებულობითა და რისკების შეუფასებლობით მოახდინონ არასწორი გადაწყვეტილებების ვალიდაცია.

ჯგუფური აზროვნება აღნიშნავს ჯგუფების მიდრეკილებას მიიღონ გადაწყვეტილებები შედეგების სწორად შეფასების გარეშე, რადგან ინდივიდუალური წევრები ეთანხმებიან იდეებს, რომლებსაც მათი აზრით ჯგუფის სხვა წევრები იზიარებენ. აღნიშნულ ფენომენს წარმოაჩენს უბრალო ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი. ექვსი ადამიანისგან დაკომპლექტებულ ჯგუფს სთხოვენ შეადარონ ეკრანზე გამოსახული ორი ხაზის სიგრძე. როდესაც ხუთ ადამიანს აქვთ ფარული მითითება დაადასტურონ, რომ A ხაზი უფრო გრძელია, თუმცა ყველა ხედავს, რომ B ხაზი რეალურად უფრო გრძელია, მოსალოდნელია რომ მეექვსე ადამიანი ჯგუფს დაეთანხმება და საკუთარ თვალებს ნაკლებად დაუჯერებს.

ინდივიდებისგან განსხვავებით, ჯგუფები მეტად ოპტიმისტურად არიან განწყობილნი წარმატების შანსებთან დაკავშირებით და შესაბამისად უფრო მეტად არიან მზად რისკების გასაწევად. მონაწილეები ცდილობენ დათრგუნონ ექვები სადავო წამოწყებებთან დაკავშირებით, რადგან ყველა სხვა მიიჩნევს, რომ ეს იდეა იმუშავებს. გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან რომ ჯგუფები ინდივიდებიდან პასუხისმგებლობის ჯგუფზე გადატანას ახდენენ, ქმედებებზე ანგარიშვალდებულად ცალკე აღებული თავს არავინ მიიჩნევს.

ჯგუფური აზროვნების განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ახლო მეგობრის და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის ქმედებები, რომელიც საკუთარ უწყებაზე გვერდის ავლით თეთრი სახლის სარდაფიდან სამ კონტინენტზე აწარმოებდა ფარულ ოპერაციებს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს თანამშრომლების მეშვეობით. ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ ირანს მიჰყიდა შეიარაღება ლიბანში მძევლად მყოფი აშშ-ის მოქალაქეების გათავისუფლების სანაცვლოდ და შემდეგ ირანისგან მიღებული თანხა ნიკარაგუელ მეამბოხეთა მოძრაობა „კონტრა“-ს დასაფინანსებლად გამოიყენა. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს დაბალი რანგის მუშაკის, ოლივერ ნორთის მიერ მართული ამ ოპერაციების გასაჯაროებას შედეგად ირან-კონტრას სკანდალი მოჰყვა.

გრაფიკი 3.7 გადაწყვეტილების მიღების ზოგიერთი ფსიქოლოგიური ხაფანგი



** შენიშვნა: კონფლიქტლენდი შესაძლოა იყოს 1968 წლის ვიეტნამში, 1994 წლის ბოსნია ან 2006 წლის ერაყი*


აშშ-ის ომი ერაყში გამაფრთხილებელი მაგალითია მომავალი თაობებისთვის მაღალი მნიშვნელობის საგარეო პოლიტიკური ინიციატივის მართვისას არასწორი ინფორმაციის, არასწორი აღქმის, სასურველი აზროვნების და ჯგუფური აზროვნების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების თვალსაზრისით. პოლიტიკის პროცესში ინდივიდუალური და ჯგუფური ფსიქოლოგიის ზოგიერთი პრობლემა, ვიეტნამთან, ბოსნიასთან თუ ერაყთან დაკავშირებით, წარმოდგენილია გრაფიკზე 3.7.

გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურამ – გადაწყვეტილების მიმღებთა წესებმა, თუ როგორ ხდება კენჭისყრა და ა.შ. – შესაძლოა გავლენა მოახდინოს შედეგზე, განსაკუთრებით მაშინ თუ მონაწილეთა უმრავლესობას არცერთი არსებული ალტერნატივა არ ხიბლავს. საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში გამოცდილი მონაწილეები ფლობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესების მანიპულაციის ტექნიკას მათთვის სასურველი შედეგის მისაღწევად. გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა ასევე ასახავს გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის შემადგენლობას.

სახელმწიფო ლიდერები საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას ხშირად ეყრდნობიან მრჩეველთა შიდა წრეს. შიდა წრის შემადგენლობა და მოქმედება სხვადასხვა მთავრობებში განსხვავებულია. ზოგიერთი ლიდერი ე.წ. „სამზარეულოს კაბინეტს“ აყალიბებს, რომელიც გულისხმობს ლიდერის ნდობით აღჭურვილ მეგობართა ჯგუფს, რომლებიც ლიდერთან ერთად განიხილავენ პოლიტიკის საკითხებს, მიუხედავად იმისა რომ მთავრობაში ოფიციალურ თანამდებობებზე არ იმყოფებიან. რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი ეყრდნობოდა საკუთარი პირადი მცველის რჩევებს, რომელიც ამავდროულად მისი სანდო მეგობარი იყო.

3.3.4 კრიზისული სიტუაციების მართვა

რაციონალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სირთულეები, როგორც ინდივიდებისთვის ისე ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით კრიზისების დროს მწვავდება. კრიზისი არის საგარეო პოლიტიკური სიტუაცია, რომელშიც შედეგები ძალიან მნიშვნელოვანია და დროითი ვადები შეზღუდულია. კრიზისული გადაწყვეტილების მიღება გასაგებად და პროგნოზირებისთვის უფრო რთულია, ვიდრე ჩვეულებრივი საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება.




სტრესულ სიტუაციებში მუშაობა – კრიზისის მენეჯმენტი დიდ ფსიქოლოგიური და ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე 1992 წლის (საქართველოში სამოქალაქო ომის და პერმანენტული კრიზისის დასაწყისი) ამ ფოტოზე ასეთი დაძაბულობის ნიშნებს ამჟღავნებს. საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე თავის მმობლიურ საქართველოში საბჭოთა კავშირის დამლის შემდეგ დაბრუნდა. შევარდნაძე თანამდებობიდან 2003 წელს, კორუფციის წინააღმდეგ დაწყებული სახალხო გამოსვლების შედეგად გადადგა.

კრიზისულ სიტუაციებში, გადაწყვეტილებების მიმღებები უდიდესი დროითი წნეხის ქვეშ მოქმედებენ. ასეთ პერიოდში შესაძლოა ვერ იმუშავოს არაგონივრულ გადაწყვეტილებებზე სხვა დროს არსებულმა კონტროლის მექანიზმებმა. კომუნიკაცია შესაძლოა შემცირდეს და სტერეოტიპული ხასიათი შეიძინოს, ხოლო ინფორმაცია რომელიც არ ჯდება გადაწყვეტილების მიმღების მოლოდინებში, სავარაუდოდ უბრალოდ უგულებელყოფილი იქნება, რადგან მისი განხილვის დრო არ არის. ვარიანტების ჩამოყალიბებისას, გადაწყვეტილების მიმღებები მიდრეკილები არიან არჩევანის შეზღუდვისკენ დროის დაზოგვის მიზნით, უგულებელყოფენ კრეატიულ ვარიანტებს და ძირითადად ყურადღებას აქცევენ ყველაზე მკაფიო ვარიანტებს. (ამერიკის შეერთებულ შტატებში დროითი წნეხის გაზომვა შესაძლებელია სამთავრობო სააგენტოების მიერ პიცის გაორმაგებული ან გასსამაგებული შეკვეთებით, რადგან გადაწყვეტილების მიმღებ პირებს სადილისთვის დრო არ რჩებათ).

ჯგუფური აზროვნება ყველაზე მარტივად კრიზისების დროს იჩენს თავს. 1962 წლის კუბის სარაკეტო კრიზისის დროს, პრეზიდენტმა ჯონ ფ. კენედიმ ჩამოაყალიბა მრჩეველთა ვიწრო, დახურული წრე, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში გარესამყაროსთან მოწყვეტილები შეუჩერებლად მუშაობდნენ. პრეზიდენტ კენედის საბჭოთა ლიდერ ნიკიტა ხრუშჩოვთან კომუნიკაციაც კი სახელმწიფო დეპარტამენტის გვერდის ავლით, პრეზიდენტის ძმის, რობერტ კენედის და საბჭოთა კავშირის ელჩის მეშვეობით ხორციელდებოდა. კენედი აცნობიერებდა რა ჯგუფური აზროვნების საფრთხეს, დროდადრო ოთახიდან გადიოდა, რითაც ჯგუფს ჩამოაცილებდა ავტორიტეტულ პიროვნებას და ამით ხელს უწყობდა ღია დისკუსიას. ამ და სხვა მეთოდებით, ჯგუფმა საკუთარ თავდაპირველ ორ ვარიანტს (ბირთვული ობიექტების დაბომბვა

ან არაფრის გაკეთება) შორის შეძლო გამოსავლის (საზღვაო ბლოკადა) მონახვა.



კრიზისულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღების მონაწილეები არა მხოლოდ დროში არიან შეზღუდულები, არამედ მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის გადატანაც უწევთ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ზემოთ განხილულ მიდრეკილებებს. გადაწყვეტილებების მიმღებები ზედმეტად აფასებენ მოწინააღმდეგეების მტრულ განწყობას და ნაკლებად აფასებენ საკუთარ მტრულ განწყობას მოწინააღმდეგეების მიმართ. არმოწონება ადვილად გარდაიქმნება სიძულვილად, და შფოთვა შიშად. გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან სულ უფრო მეტი არასასურველი ინფორმაცია გამოირიცხება.

მიუხედავად იმისა, გადაწყვეტილების მიმღებები კრიზისულ მდგომარეობაში არიან თუ ჩვეულებრივ რუტინულ ვითარებაში, მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს აყალიბებს ის ხელისუფლება და საზოგადოება, რომელშიც მუშაობა უწევთ. საგარეო პოლიტიკას ზღუდავენ და აყალიბებენ ქვესახელმწიფო აქტორები, მაგალითად სახელმწიფო უწყებები, პოლიტიკური ინტერესთა ჯგუფები და ბიზნესები. საგარეო პოლიტიკა კომპლექსური პროცესის კომპლექსურ შედეგს წარმოადგენს. საგარეო პოლიტიკა არის კონკურენტულ თემებს, კონკურენტულ მიდა ინტერესებს და კონკურენტულ სამთავრობო უწყებებს შორის ბრძოლის შედეგი. ვერც ერთი ცალკე აღებული ინდივიდი, უწყება ან გზამკვლევი პრინციპი ვერ განსაზღვრავს შედეგებს.

რეალიზმისადმი ლიბერალური თეორიების და საგარეო პოლიტიკური ანალიზის მიერ შექმნილი გამოწვევების გარდა, გაჩნდა კიდევ რამდენიმე ფართო კრიტიკული მიმდინარეობა. მათ შორისაა კონსტრუქტივიზმი, პოსტმოდერნიზმი, მარქსისტული თეორიები, მშვიდობის კვლევები და საერთაშორისო ურთიერთობების გენდერული თეორიები.

კარიერა საერთაშორისო ურთიერთობებში: მთავრობა და დიპლომატია

შეჯამება

სამუშაოები მთავრობასა და დიპლომატიაში გუნდურ მოთამაშეებს პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის მანსს სთავაზობს, მაგრამ ასეთი სამსახურები მოთმინების უნარს მოითხოვს, მათი ბიუროკრატიული ხასიათის გამო.

სარმეებელი და საზღაური როგორც მთავრობები, ისე სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საერთაშორისო ურთიერთობებში და ამ სფეროთი დაინტერესებულ მილიონობით ადამიანს ასაქმებენ.

მიუხედავად სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებსა და მთავრობებს შორის პროფესიულ საქმიანობაში არსებული განსხვავებებისა, არსებობს ბევრი მსგავსებაც. ორივე იერარქიული ორგანიზაციაა, კონკურენტული და მკაცრად დარეგულირებული სამუშაო გარემოთი. იქნება ეს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარატამენტი თუ გაერო, ამ ორგანიზაციებში მუშაობის დაწყება და დაწინაურება რეგულირდება გამოცდების ჩაბარებით, მუშაობის ეფექტურობის შეფასებითა და თანამდებობაზე ყოფნის დადგენილი ვადებით.

კიდევ ერთი მსგავსებაა გამოწვევები, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა სტრატეგიით მუშაობის აუცილებლობას. ხელისუფლებები საზოგადოებრივი აზრის, ამომრჩევლისა და ინტერესთა ჯგუფების მხრიდან ზეწოლას განიცდიან – თან ამ ჯგუფების სტრატეგიული ხედვები ერთმანეთისგან განსხვავებულია. სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები შედგებიან სახელმწიფოებისგან და ეს სახელმწიფოები უმეტეს შემთხვევაში არ ეთანხმებიან ერთმანეთს, მაშინ როცა, მათ ისეთ ინტერესთა ჯგუფებთან ჭიდილი უწევთ, როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები.

სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების და სამთავრობო უწყებების ბევრი თანამშრომელი გაიბრწყინებს ხოლმე გადაწყვეტილებით, რომელიც პოლიტიკაზე ახდენს გავლენას. ორივე სამუშაო გარემო ასევე იზიდავს თანამშრომლებს, რომელთაც ღრმა ინტერესები აქვთ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, შედეგად ჩამოყალიბებულ კონტაქტების ქსელს პროფესიონალური და ინტელექტუალური სარგებლის მოტანა შეუძლია. და ბოლოს, მთავრობასა თუ მთავრობათაშორის ორგანიზაციებში სამსახურები შეიძლება მოიცავდეს საზღვარგარეთ მოგზაურობას ან ცხოვრებას, რაც უმრავლესობისთვის სასიამოვნო პროცესია.

თუმცა, დაწინაურების პროცესი შესაძლოა მიმდინარეობდეს ნელა და გამაღიზიანებლად. როგორც წესი, მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის და ტექნიკური ჩვევების მქონე ადამიანები ახერხებენ მაღალ თანამდებობებზე დაწინაურებას. ორგანიზაციაში კარიერულ წინსვლას შეიძლება, წლები დასჭირდეს და



ამ პროცესში შესაძლოა, მოგიწიოთ იმ დეპარტამენტებში მუშაობა, რომელიც არ შეესაბამება თქვენს თავდაპირველ ინტერესებს. გარდა ამისა, სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები და სამთავრობო უწყებები წარმოადგენენ ბიუროკრატიულ სტრუქტურებს ფორმალური წესებითა და პროცედურებით, რაც დიდ მოთმინებას მოითხოვს. დასაქმებულები ხშირად გამოხატავენ იმედგაცრუებას იმის გამო, რომ ხშირად მათი ინიციატივა და „არასტანდარტული აზროვნება“ უყურადღებოდ რჩება.

უნარ-ჩვევების დახვეწა. სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებში ან ხელისუფლებაში მუშაობის გასაღებია პირველი ეტაპის წარმატებით გადალახვა. იყავით მოქნილი და მზად იმისთვის, რომ იმუშაოთ დაბალ პოზიციებზე, რაც მაინცდამაინც არ შედის თქვენი ინტერესების სფეროში. მაგალითად, სახელმწიფო დეპარტამენტი აშშ-ს მთავრობის მრავალი უწყებიდან ერთ-ერთია, რომელსაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობები. ნუ ივარაუდებთ, რომ აუცილებლად დიპლომატობაა საჭირო იმისთვის, რომ საგარეო ურთიერთობების სფეროში იმუშაოთ.

ასევე მნიშვნელოვანია უცხო ენების შესწავლა, განსაკუთრებით, მსხვილ სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებში სამუშაოდ, რომელსაც ბევრი რეგიონული წარმომადგენლობა აქვს. გუნდური მუშაობა და ორგანიზაციაში თუ მის ფარგლებს გარეთ ადამიანებთან კონტაქტის უნარი მნიშვნელოვანი უპირატესობაა. ადამიანებს, რომლებიც ახერხებენ ძლიერი კომუნიკაციური ბმების დამყარებას ორგანიზაციის სხვადასხვა იერარქიაში შეუძლიათ ჰქონდეთ მხარდაჭერის მიღების იმედი.

და ბოლოს, უაღრესად მნიშვნელოვანია ძლიერი ანალიტიკური და წერითი უნარები. სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებს კოლოსალური რაოდენობის ინფორმაციის დამუშავება უწევთ ყოველდღიურად. ინფორმაციის ანალიზის (მათ შორის, მათემატიკური ან გამოთვლითი ანალიზის) ასევე აზრის გარკვევით წერილობით გადმოცემის თუ ლაკონური ინტერპრეტიციების უნარი ადამიანს ფასადაუდებელ თანამშრომლად გადააქცევს.

წყაროები:

Shawn Dorman. *Inside a U.S. Embassy: Diplomacy at Work*. 3rd ed. Washington, DC: Potomac Books, 2011.
Linda Fasulo. *An Insider's Guide to the UN*. 3rd ed. New Haven, CT: Yale University Press, 2015.
http://jobs.un.org
http://careers.state.gov
http://jobsearch.usajobs.opm.gov/a9st00.aspx

3.4. სოციალური თეორიები

აღწერეთ, თუ როგორ ხსნიან სოციალური თეორიები ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების გარდაქმნას მეტოქეობიდან მოკავშირეობად.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში რამდენიმე განსხვავებული მიდგომა შესაძლოა დაჯგუფდეს როგორც „სოციალური თეორიები", რაც გულისხმობს, რომ ინდივიდების და სახელმწიფოების პრიორიტეტების ასახსნელად ისინი სოციალურ ურთიერთქმედებას ეყრდნობიან. აღნიშნული თეორიები უპირისპირდებიან რეალიზმზე (სახელმწიფოებს სურთ მეტი ძალაუფლება) და ლიბერალიზმზე (სახელმწიფოებს, ინტერესთა ჯგუფებს და ინდივიდებს სურთ მშვიდობა და კეთილდღეობა) დაფუძნებული თეორიების უმრავლესობაში გადმოცემულ ფიქსირებული და მუდმივი პრიორიტეტების არსებობის დაშვებას.

3.4.1 კონსტრუქტივიზმი

კონსტრუქტივიზმი (Constructivism)
მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, რომელიც სწავლობს თუ როგორ აყალიბებს ცვალებადი საერთაშორისო ნორმები და აქტორების იდენტობები სახელმწიფოს ინტერესებს.

კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობების სწრაფად მზარდი მიდგომაა, რომელიც ინტერესდება, თუ როგორ ქმნიან სახელმწიფოები საკუთარ ინტერესებს ერთმანეთთან ურთიერთქმედების შედეგად. კონსტრუქტივიზმს თეორიის ნაცვლად მიდგომას უწოდებენ, რადგან თუ ღრმად ჩავიხედებით მის სათავეებთან, იგი არაფერს ამბობს უშუალოდ საერთაშორისო ურთიერთობებზე. თუმცა კონსტრუქტივიზმის გაკვეთილებმა ნორმების, იდენტობებისა და სოციალური ურთიერთქმედების ხასიათის შესახებ, შესაძლოა სიღრმისეულად დაგვანახოს საერთაშორისო ურთიერთობების სამყარო. რეალურად, საერთაშორისო ქცევის ახსნისთვის კონსტრუქტივიზმის დიდი ნაწილი ფართოდ იყენებს იდენტობის პრინციპს.

კონსტრუქტივიზმი ინტერესდება, თუ როგორ განსაზღვრავენ აქტორები საკუთარ ეროვნულ ინტერესებს, ამ ინტერესებისადმი არსებულ საფრთხეს და ერთმანეთთან ურთიერთობებს. რეალისტები (და ნეოლიბერალები) მიდრეკილები არიან, რომ სახელმწიფო ინტერესები უკვე არსებულ მოცემულობად მიიჩნიონ. შესაბამისად, კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობებს სოციალური ურთიერთობების უფრო ფართო კონტექსტში ათავსებს. სახელმწიფოები არა მხოლოდ მატერიალურ საჭიროებებიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებას თუ რა უნდათ, არამედ „სოციალური" ურთიერთქმედების საფუძველზეც. ზუსტად ისევე, როგორც მყიდველმა შეიძლება შეიძინოს კონკრეტული, უახლესი მოდელის მაჯის საათი, რადგან სხვები ჩათვლიან რომ „მაგარია" (ანუ, სოციალურად უფრო მისაღებია), ანალოგიურად სახელმწიფოებმაც შესაძლოა აირჩიონ პოლიტიკა იმის მიხედვით, თუ მათი აღქმით, რა უფრო „პოპულარული" იქნება სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. თუმცა, ისევე როგორც მყიდველს ექნება შეზღუდვა, თუ რომელი მაჯის საათის შეძენა შეუძლია (შეზღუდული რესურსები), კონსტრუქტივისტებიც აცნობიერებენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობები ძალის გარეშე არ არსებობს.

კონსტრუქტივიზმს ბევრი მიმართულება აქვს. ერთ-ერთი ცნობილი მიმართულება იკვლევს, თუ როგორ არის სახელმწიფოების ინტერესები და იდენტობები ურთიერთდაკავშირებული, ასევე, თუ როგორ აყალიბებს ამ იდენტობებს ინტერაქცია სხვა სახელმწიფოებთან. მაგალითად, რატომ აწუხებს აშშ-ს როდესაც ჩრდილოეთ კორეა ქმნის ბირთვული ბომბებს და არ აწუხებს როდესაც დიდ ბრიტანეთი მუშაობს ამ საკითხზე? რეალისტები დაუყოვნებლივ გვიპასუხებენ, რომ ჩრდილოეთ კორეა უფრო დიდი საფრთხეა, თუმცა რეალურად, წმინდა სამხედრო სიძლიერის თვალსაზრისით, დიდი ბრიტანეთი გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ჩრდილოეთ კორეა. ამასთან, რამდენი ბირთვული ბომბიც არ უნდა შექმნას დიდმა ბრიტანეთმა, ან როგორი ღრმაც არ უნდა იყოს საგარეო პოლიტიკური განსხვავებები ლონდონსა და ვაშინგტონს შორის, არავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ დიდი ბრიტანეთი აშშ-თვის საფრთხეს წარმოადგენს. კონსტრუქტივისტი მკვლევრები შენიშნავენ, რომ ამას განაპირობებს აშშ-ის და ბრიტანეთის საერთო ისტორია, ერთობლივი ალიანსები და საზიარო ნორმები, რომელთა შედეგად ორი ქვეყანა ერთმანეთს საფრთხედ არ აღიქვამს, მუხედავად იმისა, რომ ისინი სამხედრო თვალსაზრისით ძალიან ძლიერები არიან.

პოტენციური მოწინააღმდეგის იდენტობაა მნიშვნელოვანი და არა მხოლოდ მისი სამხედრო შესაძლებლობები და ინტერესები. ეს ერთგვარი უარყოფაა რეალიზმის ორი ფუნდამენტური დაშვების. პირველი, რომ სახელმწიფოებს ყოველთვის მეტი, და არა ნაკლები, ძლიერება და სიმდიდრე სურთ და მეორე, რომ სახელმწიფოთა ინტერესები მათ შორის არსებული ინტერაქციების კონტექსტისგან დამოუკიდებლად არსებობს. კონსტრუქტივისტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოების იდენტობები კომ-

პლექსური და ცვალებადია და მათი ჩამოყალიბება სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთქმედებით – ხშირად *სოციალიზაციის* პროცესის მეშვეობით ხორციელდება. ზოგიერთი კონსტრუქტივისტი მკვლევრის მტკიცებით, დროთა განმავლობაში სახელმწიფოები შეძლებენ ერთმანეთის ისეთ კონცეპტუალიზაციას, რომ მათ შორის ურთიერთობებში აღარ იარსებებს უსაფრთხოების დილემის, გამალებული შეიარაღების და საერთაშორისო სისტემის ანარქიულობიდან გამომდინარე სხვა საფრთხეები. ამის მაგალითად კონსტრუქტივისტები ევროპას ასახელებენ, რომელიც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ორი უდიდესი სისხლისმღვრელი კონფლიქტის ეპიცენტრი იყო, სადაც მილიონობით ადამიანი დაიღუპა. თუმცა, საუკუნის მიწურულს ომი უკვე წარმოუდგენელ რამედ იქცა. ევროპული იდენტობები ახლა ევროკავშირთანაა გადაჯაჭვული და არა ძალადობრივ ნაციონალიზმთან, რომელმაც ორი მსოფლიო ომი გამოიწვია. კონსტრუქტივისტები მიიჩნევენ, რომ ძალის პოლიტიკა, ანარქია და სამხედრო ძალა ამ ცვლილების ამხსნელად ვერ გამოდგება და მას უკეთესად ინსტიტუტები, რეჟიმები, ნორმები და იდენტობის ცვლილება განმარტავს.

დროთა განმავლობაში ასევე იცვლება საზოგადოებების აღქმა საფრთხესთან დაკავშირებით. ორასი წლის წინ, მეკობრეები ღია ზღვების უბედურება იყო. ეს არასახელმწიფო აქტორები იჭრებოდნენ ნავსადგურებში, იტაცებდნენ საქონელს, ხოცავდნენ ადამიანებს და უგულებელყოფდნენ ყველა საერთაშორისო ნორმას. ასეთი ქცევა მარტივად შეიძლება დახასიათდეს როგორც ტერორიზმი, მიუხედავად იმისა, რომ მეკობრეების ძალადობას პოლიტიკური სარჩული არ ჰქონდა. თუმცა, მნიშვნელობა არ აქვს, იყო თუ არა მეკობრეების ქცევა ტერორიზმი, რადგან არავინ უარყოფდა მეკობრეობასთან დაკავშირებით არსებულ დანაკარგებს. ბევრი სახელმწიფო, მათ შორის აშშ, საკუთარი ფლოტით იბრძოდა მეკობრეების გასანადგურებლად. თუმცა, ამ აქტორების მიერ ისტორიის მანძილზე შექმნილი საფრთხეებისა და გამოწვეული ზარალის მიუხედავად, დღეს ჩვენ პატივს ვცემთ მეკობრეებს, ვქმნით მათი ფორმის სპორტულ თილისმებს, ატრაქციონებს ვარქმევთ მათ სახელებს და ფილმებში მათ პოპულარიზებას ვეწევით.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ მეკობრეობა უკვე აღარ წარმოადგენს საფრთხეს, მიუხედავად იმისა, რომ ღია ზღვებში კვლავ ხშირია მეკობრეობის ფაქტები. 2008-2009 წლებში, სომალის სიახლოვეს მეკობრეობის გახმაურებელი შემთხვევებიც რომ არ გავიხსენოთ, მეკობრეობიდან წამოსული საფრთხე დიდი ხნის მანძილზე საკმაოდ მაღალი იყო. თუმცა, ჩვენთვის მისაღებია, რომ მეკობრეობა პოპკულტურის ნაწილად ვაქციოთ და ამით დავაკნინოთ მეკობრეობასთან დაკავშირებული საშიშროება. ეჭვგარეშეა, რომ ორი საუკუნის წინ მცხოვრებ ადამიანს, მეკობრეობის მიმართ ასეთი მიმღებლობა უცნაურად მოეჩვენებოდა.

რამდენად უცნაურად? წარმოიდგინეთ, რომ 200 წლის შემდეგ, თქვენი შვილიშვილის შვილიშვილის შვილიშვილი დისნეილენდში ტე-



იდენტობების კონსტრუირება და ცვლილება კონსტრუქტივისტული მიდგომები იდენტობის საკვანძო პრინციპზე არის დაფუძნებული და მიიჩნევს, რომ აქტორების პრიორიტეტები თავად აქტორების მიერ არის შექმნილი და არა „ობიექტურად" მოცემული. აღნიშნული მიდგომები შესაძლოა რეალიზმსა და ლიბერალიზმზე უკეთ ხსნის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში მიზნების და მსოფლიოში იმიჯის მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც უფრო მეტად შიდა ცვლილებების და ახლებური თვითკონცეპტუალიზაციის შედეგია, ვიდრე გარე შეზღუდვების ან შესაძლებლობების. საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაზე მისი როგორც კონსერვატიული, უმეტესად მუსლიმური სახელმწიფოს იდენტობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. თუმცა, კონსტრუქტივისტები ხაზს უსვამენ, რომ ნორმები და იდენტობები დროთა განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს. ამ ფოტოზე, საუდელი ქალები ყიდულობენ ავტომობილებს ჯედაში, მას შემდეგ რაც 2017 წელს საუდის მთავრობამ გააუქმა მეზღუდავი ქალების მიერ ავტომობილის მართვაზე. საუდის არაბეთი ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელიც ქალებს ავტომობილის მართვას უკრძალავდა.

რორისტების ფიგურებით მორთულ ატრაქციონზე ერთობა ან „ტერორისტები სპარსეთის ყურეში" ფილმის ბოლო სერიას უყურებს. კონსტრუქტივისტები დაუყოვნებლივ შენიშნავენ, რომ რასაც საზოგადოებები და სახელმწიფოები საფრთხედ განიხილავენ უნივერსალური ან მუდმივი არ არის. სოციალური ნორმები და შეთანხმებები იცვლება და ამ ცვლილებებს შესაძლოა უდიდესი ზეგავლენა აქვთ საგარეო პოლიტიკაზე.

სახელმწიფოები ასევე შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ სტატუსს და რეპუტაციას, რომლებიც სოციალური და არა მატერიალური ცნებებია. შვეიცარია, მაგალითად, მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მის როლს, როგორც ნეიტრალური, მიუმხრობელი სახელმწიფო (ის არ არის არც ევროკავშირის და არც ნატოს წევრი და გაეროს მხოლოდ 2002 წელს შეუერთდა). ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსი შვეიცარიას ანიჭებს პრესტიჟს და ძლიერებას – არა მატერიალურ ძალას, როგორიც არის ფულის ან იარაღის ფლობა – არამედ ნორმატიულ ძალას, რომ დიპლომატიური გზებით ჩაერიოს მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებში. მსგავსად ამისა, კანადის საგარეო პოლიტიკა, აგებულია მისი იდენტობით ნაკარნახევ იმპერატივებზე, რაც, როგორც წესი, სამშვიდობო და ჰუმანიტარული ოპერაციების გარშემო ტრიალებს.

კონსტრუქტივიზმის კვლევების კიდევ ერთი სფერო ფართოდ ეყრდნობა საერთაშორისო ნორმებს და მათ შემზღუდველ ძალას სახელმწიფოს ქმედებებზე. მიუხედავად იმისა, რომ რეალისტები (და ნეოლიბერალები) ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოები გადაწყვეტილებებს *შედეგების ლოგიკიდან* („რა მომივა მე, თუ ასე მოვიქცევი?") გამომდინარე იღებენ, კონსტრუქტივისტი მკვლევრები შენიშნავენ, რომ არსებობს ძლიერი *მართებულობის ლოგიკა* („როგორ უნდა მოვიქცე ამ ვითარებაში?"). მაგალითად, ჰუმანიტარული ინტერვენციის (სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის სამხედრო ინტერვენცია სხვა სახელმწიფოს მოქალაქეების დასაცავად) ზოგიერთი შემთხვევა რთულად აიხსნება რეალიზმის ან ლიბერალიზმის პრიზმით. მაგალითად, რატომ შეიყვანა აშშ-მა 1992 წელს სამხედრო მოსამსახურეები სომალიში, რომელიც აშშ-ისთვის სტრატეგიულად და ეკონომიკურად უმნიშვნელო ქვეყანა იყო, მაშინ როდესაც სომალი პოლიტიკურ ქაოსში ჩაიძირა და მასობრივი შიმშილობის

საფრთხის წინაშე აღმოჩნდა? კონსტრუქტივისტებმა ეს შესაძლოა ახსნან ნორმების ცვლილებებით იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ადამიანები იმსახურებენ დაცვას. მე-19 საუკუნეში, ევროპული სახელმწიფოები პერიოდულად ახორციელებდნენ ინტერვენციებს ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტისგან დასაცავად, მაგრამ, როგორც წესი, ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ არაქრისტიან მსხვერპლებს. თუმცა, მას შემდეგ რაც დეკოლონიზაციის პროცესში მნიშვნელობა შეიძინა თვითგამორკვევამ და რაც ადამიანის უფლებების დაცვამ მსოფლიოს მასშტაბები შეიძინა, ჰუმანიტარული ინტერვენციის ფარგლებიც გაფართოვდა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოება ყოველთვის ეფექტურად ვერ პასუხობს ჰუმანიტარულ კრიზისებს, დღეს უკვე მიუღებელია დაცვის ღირსებად მხოლოდ ქრისტიანების განხილვა.

იდენტობის პრინციპის მაგალითები განვითარებად მსოფლიოშიც მოიძებნება. ზოგიერთი კონსტრუქტივისტის მოსაზრებით, ლათინური ამერიკის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა საერთაშორისო ნორმების საპასუხოდ დაიწყეს ან შეცვალეს პოლიტიკა. ამ ქვეყნებმა ეს გააკეთეს არა მნიშვნელოვანი სარგებლის მიღების მოლოდინის საფუძველზე, არამედ იმიტომ, რომ ასეთი ქცევა მისაღებ სამოქმედო ნაბიჯად აღიქვეს. მაგალითად, ბევრმა განვითარებადმა სახელმწიფომ დაიწყო სამეცნიერო ბიუროკრატიის შექმნა და/ან საკუთარი შეიარაღებული ძალების ტექნოლოგიური მოდერნიზება. კონსტრუქტივისტები მიუთითებენ, რომ განვითარებადი სახელმწიფოების გადაწყვეტილებას, ასეთ პროექტებზე დახარჯონ საკუთარი შეზღუდული რესურსები, საფუძვლად უდევს სურვილი, რომ საერთაშორისო სისტემაში ისინი „თანამედროვეებად“ აღიქვან. „თანამედროვე“ სახელმწიფოებს ყავთ სამეცნიერო ბიუროკრატიები და განვითარებული სამხედრო ძალები. პარადოქსულია, მაგრამ ბევრ ისეთ სახელმწიფოს, რომლებიც სამეცნიერო ბიუროკრატიას აყალიბებენ, ძალიან ცოტა მეცნიერი ჰყავს და ბევრ ისეთ სახელმწიფოს რომელიც მოწინავე შეიარაღებული ძალების შექმნას ცდილობს, ძალიან ცოტა მტერი ჰყავს. შესაბამისად, კონსტრუქტივისტები ხაზს უსვამენ, რომ ამ ერთი შეხედვით უცნაური ქცევის ამხსნელად იდენტობები და ნორმები უნდა გამოვიყენოთ.

როგორ ხდება ამ საერთაშორისო ნორმების მსოფლიოს მასშტაბით გავრცელება? გლობალური კომუნიკაციებისა და გაადვილებული სატრანსპორტო მიმოსვლის ეპოქაში, ამის მრავალი შესაძლებლობა არსებობს. კონსტრუქტივისტები გამოყოფენ ბევრ აქტორს, რომლებიც ნორმების გავრცელებას უწყობენ ხელს. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ინდივიდები, რომლებსაც „ნორმების მეწარმეებს“ უწოდებენ, მოგზაურობის, წერის და ელიტებთან შეხვედრის მეშვეობით ახორციელებენ იდეების გაცვლას და ხელს უწყობენ გარკვეული ტიპის ნორმების დამკვიდრებას. ზოგიერთი მიუთითებს ფართო სოციალური მოძრაობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლზე, როგორიც იყო ანტი-აპარტეიდული მოძრაობა, რომელიც

ლობირებდა რასობრივი თანასწორობის გლობალური ნორმის გავრცელებას. სხვები გვაჩვენებენ, თუ როგორ შეუძლიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს (მაგ. გაეროს და ნატოს) მისაღები და მიუღებელი ქცევის ნორმების გავრცელება. თითოეულ შემთხვევაში, სახელმწიფოს ქცევას განაპირობებს ახალი იდეები და ნორმები და არა ძალა და საკუთარი ინტერესი.

კონსტრუქტივისტული კვლევები უკანასკნელ წლებში საკმაოდ გაფართოვდა. მეცნიერებმა შეისწავლეს ევროკავშირის როლი ახალი წევრი სახელმწიფოების ელიტების სოციალიზაციის თვალსაზრისით და ძალის გამოყენებაზე ლეგიტიმაციის მინიჭებაზე გაეროს როლი, როგორც ამ უკანასკნელის ძალაუფლების წყარო. სხვა მკვლევრებმა ასევე შეისწავლეს თუ როგორ იძენენ საერთაშორისო ორგანიზაციები ავტორიტეტს ექსპერტული ცოდნიდან გამომდინარე (მაგალითად საერთაშორისო სავალუტო ფონდი საერთაშორისო ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით) ისეთ გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლების წევრი სახელმწიფოების სურვილებს ეწინააღმდეგება. ბოლოს, კონსტრუქტივისტმა მკვლევრებმა დაიწყეს შესწავლა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იდენტობისა და სიმბოლიზმის ცნებები ტერორისტული მოძრაობებისა და კონტრტერორისტული პოლიტიკის გასაგებად.

საერთაშორისო ურთიერთობების ნებისმიერი მიდგომის ან თეორიის მსგავსად, რა თქმა უნდა კონსტრუქტივიზმსაც ჰყავს თავისი კრიტიკოსები. რეალისტები ამტკიცებენ, რომ ნორმები უბრალოდ სახელმწიფო (ან პირადი) ინტერესების საფარია. ლიბერალები მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი კონსტრუქტივისტი მკვლევარი ძალიან მცირე ყურადღებას უთმობს ოფიციალურ ინსტიტუტებს და მათ შიგნით არსებულ პოლიტიკას. გარდა ამისა, რეალისტებიც და ლიბერალებიც ერთობლივად აკრიტიკებენ იმ გარემოებას, რომ რთულია განსაზღვრო როდის არის პიროვნების იდენტობა ან მრწამსი ჭეშმარიტი და როდის სტრატეგიული მიზეზების გამო მორგებული, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით (მაგალითად უფრო მეტი დახმარების მიღება ან წევრობა რომელიმე გამორჩეულ ორგანიზაციაში). აღნიშნული კრიტიკის მიუხედავად, კონსტრუქტივისტული ხედვები და ხაზგასმა იდენტობის პრინციპზე კიდევ მრავალი წლის მანძილზე დაიკავებს ცენტრალურ ადგილს საერთაშორისო ურთიერთობების კვლევებში.

3.4.2 პოსტმოდერნიზმი

პოსტმოდერნიზმი არის კვლევის ფართო მიდგომა, რომელმაც საკუთარი კვალი დაამჩნია სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინას, განსაკუთრებით კი ლიტერატურის კვლევებს. ლიტერატურული ფესვებიდან გამომდინარე, პოსტმოდერნისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ტექსტებს და დისკურსებს, ანუ როგორ წერენ და საუბრობენ ადამიანები კონკრეტულ საგანზე (ამ შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობები).

შესაბამისად, რეალიზმის პოსტმოდერნისტი კრიტიკოსები ძირითადად დაკავებულები არიან რეალისტების სიტყვებისა და არგუმენტების ანალიზით. პოსტმოდერნიზმის ძირითად იდეას წარმოადგენს დებულება, რომლის მიხედვითაც არ არსებობს ერთი, ობიექტური რეალობა და არსებობს გამოცდილებების და პერსპექტივების სიმრავლე, რომელთა მარტივი კლასიფიცირება შეუძლებელია. ამ მიზეზით, რთულია უშუალოდ პოსტმოდერნიზმის მარტივად ან ერთმნიშვნელოვნად წარმოდგენა. საერთაშორისო ურთიერთობების პოსტმოდერნისტული სკოლა წინ უძღოდა და ნიადაგი მოუმზადა კონსტრუქტივიზმს, რომელმაც დიდწილად ჩაანაცვლა კიდეც პოსტმოდერნიზმი.

პოსტმოდერნიზმი (Postmodernism)

მიდგომა, რომელიც უარყოფს ერთი, ფიქსირებული ჭეშმარიტების არსებობას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტექსტებს და დისკურსებს, ანუ როგორ საუბრობენ და წერენ ადამიანები კონკრეტული საგნის შესახებ.

პოსტმოდერნისტული პერსპექტივით, რეალიზმი ვერ ასაბუთებს მტკიცებას, რომ სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი აქტორები არიან და მოქმედებენ როგორც თანმიმდევრული და ობიექტური ინტერესების (რომელთა რეალიზებასაც საერთაშორისო ძალის პოლიტიკის მეშვეობით ცდილობენ) მქონე უნიტარული აქტორები. რეალიზმის პოსტმოდერნისტი კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო ინტერესები ობიექტურად განსაზღვრული და მით უმეტეს უნივერსალური არ არის (იმ თვალსაზრისით, რომ ფასეულობებისა და ინტერესების ერთი წყება ყველა სახელმწიფოს ერგება).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ პოსტმოდერნისტები კითხვის ქვეშ აყენებენ სახელმწიფოების, როგორც აქტორების ცნებას. სახელმწიფოებს ხელშესახები რეალობა არ გააჩნიათ; ისინი არსებობენ „წარმოსახვითი“ ფორმით, რომელსაც ჩვენ (როგორც მკვლევრები და მოქალაქეები) ვქმნით დიდი რაოდენობით ინდივიდების ქმედებების გასააზრებლად. პოსტმოდერნისტებისთვის სახელმწიფოს ქმედებებისა და პოლიტიკის შესახებ არსებული ამბები მხოლოდ ამბებია. ამ პერსპექტივიდან, პირობითი დაყოფის შედეგია, რომ წიგნის მაღაზიები ჯაშუშებზე ნოველებს ათავსებენ მხატვრული ლიტერატურის თაროზე, ხოლო ბიოგრაფიები და ისტორიები დოკუმენტური ლიტერატურის თაროზე ხვდება. ეს ამბები გადიან ინტერპრეტირების პროცესს, რომელიც ამახინჯებს ამბების უშუალო მონაწილეთა რეალურ გამოცდილებას.

რეალიზმის საპირისპიროდ, რომელიც სახელმწიფოებს უნიტარულ აქტორებად მიიჩნევს, პოსტმოდერნისტები რეალისტების მიერ შექმნილი ფიქციური ერთეულების (სახელმწიფოები) ზედაპირის ქვემოთ, მრავალ რეალობას და გამოცდილებას ხედავენ. მაგალითად, რეალისტები საბჭოთა კავშირს ერთობლივად განსაზღვრული ობიექტური ინტერესების მქონე ერთ აქტორად აღიქვამდნენ. მართლაც, საბჭოთა კავშირის მსოფლიოს რიგით მეორე ყველაზე მნიშვნელოვან აქტორად იყო მიჩნეული. რეალისტებს ძალიან გაუკვირდათ, როდესაც საბჭოთა კავშირი 15 ნაწილად დაიშალა, საიდანაც თითოეული ნაწილი საკუთარ დაპირისპირებულ ჯგუფებსა და ელემენტებს შეიცავდა. ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირად წოდებული „უნიტარული სახელმწიფო“, თავის თავში მა-

ლავდა (და რეალისტებს აძლევდა უგულებელყოფის საშუალებას) მისი შემადგენელი რესპუბლიკების, ეთნიკური ჯგუფების და ინდივიდების განსხვავებულობას.

ქვეტექსტი (Subtext)
ტექსტში დაფარული ან ნაგულისხმევი მნიშვნელობები, რომლებიც ღიად არ არის წარმოჩენილი. იხ. ასევე პოსტმოდერნიზმი.

პოსტმოდერნისტები ცდილობენ ისეთი კონსტრუქტების „დეკონსტრუქციას“, როგორებიცაა სახელმწიფოები, საერთაშორისო სისტემა და მათთან დაკავშირებული ამბები და არგუმენტები (ტექსტები და დისკურსები), რომელთა გამოყენებითაც რეალისტები საერთაშორისო ურთიერთობების ბუნებას წარმოაჩენენ. ტექსტის *დეკონსტრუქცია*, რომელიც ლიტერატურული კრიტიკიდან ნასესხები ტერმინია, ნიშნავს დაფარული მნიშვნელობის გასამჟღავნებლად სიტყვების დაშლას და დაკვირვებას, რა შეიძლება იყოს გამოტოვებული ან ნაგულისხმევი. ფარულ მნიშვნელობებს, რომლებიც ტექსტში ღიად არ გვხვდება წარმოჩენილი, ხშირად **ქვეტექსტს** უწოდებენ. გამოტოვება ქვეტექსტის ნაწილად მოიაზრება, მაგალითად მაშინ, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური თეორიები გამოტოვებენ ქალებს ან გენდერს. სახელმწიფოებზე აქცენტირებით, რეალიზმი ახდენს ინდივიდების, შიდა პოლიტიკის, ეკონომიკური კლასების, მრავალეროვნული კორპორაციების და სხვა არასახელმწიფო აქტორების როლების გამოტოვებას. დიდ სახელმწიფოებზე ფოკუსირებით, რეალიზმი გამოტოვებს ღარიბი ქვეყნების გამოცდილებას. ზენოლის სამხედრო ფორმებზე ყურადღების გამახვილებით, რეალიზმი თვალთახედვის მიღმა ტოვებს ზენოლის სხვადასხვა არასამხედრო ფორმას. აღნიშნულის საპირისპიროდ, პოსტმოდერნისტები ხაზს უსვამენ საერთაშორისო ურთიერთობების შემადგენელი გამოცდილებების სიმრავლეს, ისე, რომ მათ გასააზრებლად არ სჭირდებათ ამ გამოცდილებების გამარტივება და კატეგორიზება.

3.4.3 მარქსიზმი

ეკონომიკური კლასები (Economic Classes)
ინდივიდების კლასიფიკაცია მათი ეკონომიკური სტატუსის შესაბამისად.

სოციალურ თეორიებს შორის ისტორიულად ყველაზე მნიშვნელოვანი, მარქსისტული მიდგომა, მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებიც და შიდა პოლიტიკაც **ეკონომიკურ კლასებს** შორის არსებული უთანასწორო ურთიერთობებიდან მომდინარეობს. კლასებზე ხაზგასმა, რაც გულისხმობს რომ საზოგადოებების შიდა და ეკონომიკური მახასიათებლები განსაზღვრავენ სხვა სახელმწიფოებთან საგარეო ურთიერთობებს, უპირისპირდება საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტურ მიდგომას, რომელიც ერთმანეთისგან აცალკევებს შიდა და საერთაშორისო პოლიტიკას. საერთაშორისო ურთიერთობების მარქსისტულ თეორიებს მე-7 თავში განვიხილავთ, რადგან ეს თეორიები ძირითადად იმპერიალიზმის ისტორიის შედეგად ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის გაჩენილ გლობალურ დაყოფას იკვლევენ. ამ თავში მოკლედ განვიხილავთ, თუ სოციალური თეორიების რანგში როგორ უპირისპირდებიან მარქსისტული თეორიები რეალისტურ პარადიგმას.

მარქსიზმი სოციალიზმის განშტოებაა, რომელიც მიიჩნევს, რომ ძლიერი კლასები ჩაგრავენ და ექსპლუატაციას უწევენ სუსტ კლასებს და ისაკუთრებენ ამ უკანასკნელთა მიერ შექმნილი მოგების კუთვნილ წილს. ჩაგრული კლასები ცდილობენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას სიმდიდრის მოსაპოვებლად. ეს პროცესი, რომელსაც *კლასობრივი ბრძოლა* ეწოდება, მდიდარ და ღარიბ ადამიანებს და საბოლოო ჯამში მდიდარ და ღარიბ რეგიონებს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობების გაანალიზების ერთ-ერთი გზაა.

მარქსიზმი (Marxism)
სოციალიზმის განშტოება, რომელიც აქცენტს აკეთებს ექსპლუატაციასა და კლასობრივ ბრძოლაზე და მოიცავს კომუნიზმს და სხვა მიდგომებს.

მარქსიზმი აერთიანებს კომუნიზმს და სხვა მიდგომებსაც. მე-19 საუკუნის შუა ხანებში, კარლ მარქსმა ყურადღება გაამახვილა შრომაზე, როგორც ეკონომიკური ჭარბწარმოების წყაროზე. იმ დროს, ინდუსტრიულ რევოლუციას, თან მოყვა განსაკუთრებული სირთულეები ევროპის საწარმოებში დასაქმებული მუშებისთვის (მათ შორის ბავშვებისთვის). მარქსისტებს კვლავაც სწამთ, რომ შრომით შექმნილი მოგება პოლიტიკური ბრძოლის მეშვეობით მუშებმა უნდა დაისაკუთრონ. დღეს მარქსიზმი განსაკუთრებით გავლენიანი გლობალური სამხრეთის ქვეყნებშია, სადაც კაპიტალი მწირია და სამუშაო პირობები უკიდურესად ცუდი.

გასულ საუკუნეში მომხდარ რევოლუციებში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლასი (მარქსის მოლოდინების საპირისპიროდ) გლეხობა იყო. მარქსისტები გლეხობას ტრადიციულად მიიჩნევდნენ ჩამორჩენილ, უცოდინარ, ინდივიდუალისტურ და პოლიტიკურად პასიურ სეგმენტად უკეთესი განათლების და კლასობრივი თვითშეგნების მქონე პროლეტარიატთან შედარებით. თუმცა რეალურად, მესამე სამყაროში მომხდარი წარმატებული რევოლუციები, სწორედ გლეხების აჯანყებები იყო (რომელთაც ხშირად პროლეტარიატზე მოლაპარაკე მარქსისტები ედგნენ სათავეში). მათგან ყველაზე მასშტაბური იყო 1930-1940-იან წლებში ჩინეთში მომხდარი რევოლუცია.

მარქსის თეორიები კლასობრივი ბრძოლის შესახებ ორიენტირებული იყო მის დროს არსებული ინდუსტრიული სახელმწიფოების შიდა საზოგადოებებზე და არა ღარიბ ქვეყნებზე ან საერთაშორისო ურთიერთობებზე. ტრადიციული მარქსისტები მიიჩნევდნენ, რომ რევოლუცია და სოციალიზმზე გადასვლა განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში მოხდებოდა, რასაც კაპიტალიზმი გამოიწვევდა. მარქსისტების შეხედულებით, მესამე სამყარო ეტაპობრივად უნდა განვითარებულიყო ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმამდე, სოციალიზმის მიმართულებით რევოლუციური ნაბიჯების გადადგმამდე. რეალურად, მოვლენები ამის საპირისპიროდ განვითარდა. ინდუსტრიულ ქვეყნებში მცხოვრებ პროლეტარ მუშებს აკმაყოფილებდათ ცხოვრების მზარდი სტანდარტები და რევოლუციებს არ აწყობდნენ. ამავდროულად, მესამე სამყაროს ჩამორჩენილ ქვეყნებში, ჩაგრულმა მუშებმა და გლეხებმა რევოლუციების მთელი სერია მოაწყვეს, რომელთან ზოგი წარმატებით, ზოგიც კი კრახით დამთავრდა.

რატომ მოხდა რევოლუციები ჩამორჩენილ და არა განვითარებულ ქვეყნებში? ამაზე პასუხი დიდწილად განსაზღვრავს, თუ როგორ აღვიქვამთ ჩრდილოეთი-სამხრეთის ურთიერთობებს დღეს. მარქსისტები ძირითადად (თუმცა არა მხოლოდ) მიჰყვებიან საბჭოთა კავშირის დამაარსებლის, ვ.ი.ლენინის მიერ 1917 წლის რუსეთის რევოლუციამდე ჩამოყალიბებულ არგუმენტაციას. მაშინდელი რუსეთი, დღევანდელი გლობალური სამხრეთის მსგავსად შედარებით ჩამორჩენილი სახელმწიფო იყო და მარქსისტების უმრავლესობა რუსეთში რევოლუციის ალბათობას მინიმალურად აფასებდა (ამის ნაცვლად, რევოლუციას გერმანიაში ელოდნენ).

ლენინის თეორია იმპერიალიზმის შესახებ ამტკიცებდა, რომ ევროპელი კაპიტალისტები ინვესტიციებს ახორციელებდნენ კოლონიებში, სადაც უდიდეს მოგებას ნახულობდნენ და ამ მოგების ნაწილს შემდეგ საკუთარ ქვეყნებში მუშების მოსასყიდად იყენებდნენ. თუმცა, ლენინი ხედავდა, რომ 1890-იან წლებში კოლონიების დაუფლებისთვის ატეხილი ბრძოლების შემდეგ, მსოფლიოში კოლონიზებისთვის ცოტა ადგილი იყო დარჩენილი. იმპერიალისტური ექსპანსია შესაძლებელი იყო მხოლოდ სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების ხარჯზე, რაც შიდაიმპერიალისტურ კონკურენციას და პირველი მსოლიო ომის მსგავს კონფლიქტებამდე მიგვიყვანდა. ლენინმა გამოიყენა რუსეთის სისუსტე პირველი მსოფლიო ომის დროს და 1917 წელს იქ პირველი წარმატებული კომუნისტური რევოლუცია განახორციელა.

ლენინის ძირითადი იდეა დღესაც ცენტრალურ ადგილს იკავებს ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობებში. ეს არის იდეა, რომ ინდუსტრიალიზებული სახელმწიფოები ექსპლუატაციას უწევენ ღარიბ ქვეყნებს (ფორმალური და არაფორმალური კოლონიზაციის მეშვეობით) და აქედან მიღებული მოგებით ახორციელებენ საკუთარი მუშათა კლასის მოსყიდვას. კლასობრივი ურთიერთობების გლობალიზაციის შედეგად, სიმდიდრის კონცენტრირება დედამიწის მდიდარ ნაწილებში ხდება და სიმდიდრეს ართმევს ღარიბ ნაწილებს. შესაბამისად, რევოლუციები ღარიბ რეგიონებშია მოსალოდნელი.

ღარიბი ქვეყნების ბევრი რევოლუციონერი ცდილობდა ევროპელი კოლონიზატორების ექსპლუატაციიდან თავის დაღწევას. ევროპული კოლონიალიზმის დასრულების შემდეგ, აშშ, როგორც მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანა (გლობალურ სამხრეთში მსხვილი ინვესტიციებით და გლობალური მასშტაბის სამხედრო ყოფნით) იქცა ღარიბი ქვეყნების ექსპლუატაციის წინააღმდეგ მოქმედი რევოლუციონერების სამიზნედ. რამდენიმე სახელმწიფოში, დაამხეს იმპერიალისტების მმართველობა (ზოგჯერ ძალადობრივად, ზოგჯერ კი არა) და ხელისუფლებაში რევოლუციონერი ნაციონალისტები მოვიდნენ.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასეთ რევოლუციას ადგილი ჰქონდა ჩინეთში, სადაც მაო ძე დუნის კომუნისტებმა, უმეტესწილად გლეხურ

რევოლუციური მოძრაობაზე მორგებული ლენინისტური პლატფორმით, 1949 წელს ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება. მაომ განაცხადა, რომ ჩინეთი „ფეხზე წამოდგა“ და დაძლია უცხოელთა მმართველობა და ექსპლუატაცია. ამავე პერიოდის ინდოეთში, მაჰათმა განდის მოძრაობამ, განსხვავებული (არაძალადობრივი) მეთოდების გამოყენებით შეძლო იგივე მიზნის, კოლონიალიზმისგან თავისუფალი ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა. ინდონეზიამ ჰოლანდიელთა მმართველობის გადაგდება შეძლო, ლიბანმა ფრანგები მოიშორა, კუბამ კი ამერიკელები გააძევა. აღნიშნული მოდელი, სხვადასხვა ვარიაციებით, კიდევ რამდენიმე ქვეყანაში განმეორდა.

ამ ქვეყნებში მოქმედი რევოლუციონერების თანახმად, მდიდარი ქვეყნების მიერ ღარიბი ქვეყნების ექსპლუატაციის შედეგად, ხდება ეკონომიკური სიმდიდრის გადინება გლობალური სამხრეთიდან, რომელიც თავს იყრის მსოფლიოს მდიდარ ნაწილებში. აღნიშნული ექსპლუატაციიდან თავის დაღწევით, ღარიბი სახელმწიფოები შეძლებენ საკუთარი ეკონომიკური მოგების შენარჩუნებას და დაიწყებენ სიმდიდრის დაგროვებას. საბოლოოდ, ისინი შეძლებენ საკუთარი თვითკმარი დაგროვების ციკლების შექმნას და შეძლებენ სიღარიბიდან ამოსვლას. თუმცა, ასეთი მიდგომა კარგად ვერ მუშაობს. თვითკმარობის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას (იხ. ავტარკია მე-5 თავში) და ცალკე აღებულ ღარიბ ქვეყნებში, ყოველთვის ჩნდება დილემა სიმდიდრის დაგროვებასა და განაწილებას შორის. ყოფილი კოლონიებისთვის დამოუკიდებლობის შემდგომი ეკონომიკური განვითარების პროცესები რთულად წარიმართა. ამ პროცესებს მე-7 თავში განვიხილავთ.

ყველა მარქსისტული მიდგომა არ ემხრობა რევოლუციის შემდგომი თვითკმარობის პოლიტიკას. რუს რევოლუციონერ ლევ ტროცკის მიაჩნდა, რომ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთი ვერ შეძლებდა სოციალიზმის მშენებლობას მხოლოდ საკუთარი ძალებით და მსოფლიო ალიანსის შესაქმნელად პრიორიტეტად რევოლუციის სხვა ქვეყნებში ექსპორტი უნდა გაეხადა. ტროცკის მთავარ მოწინააღმდეგე სტალინს, სურდა „სოციალიზმის მშენებლობა ერთ ქვეყანაში“ და საბოლოოდ თავისი გაიტანა (და ტროცკიც მოაკვლევინა)[2]. მესამე სამყაროს რევოლუციების უმრავლესობას (მათ შორის ჩინეთის) ამის შემდეგ ძლიერი ნაციონალისტური ელფერი დაჰკრავს.


მარქსისტული თეორიები საერთაშორისო ურთიერთობებში ნაკლებად შესამჩნევი გახდა საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩინეთის კაპიტალიზმზე გადასვლის შემდეგ – მოვლენები, რომლებმაც მარქსისტული მიდგომების დისკრედიტაცია მოახდინა. თუმცა, უკანასკნელ წლებში, მარქსისტებმა და ყოფილმა მარქსისტებმა კვლავ მოიპოვეს ძალაუფლება რიგ ლათინურ ამერიკულ ქვეყნებში. შედეგად, ვენესუელა და ბოლივია

2 Mandel, Ernest. From Stalinism to Eurocommunism: The Bitter Fruits of "Socialism in One Country." Translated by Jon Rothschild. N. L. B., 1978

კუბას აქტიურ მოკავშირეებად ჩამოყალიბდნენ და ანტი-ამერიკული კოალიცია შექმნეს (თუმცა, 2015 წელს აშშ-კუბის ურთიერთობების ნორმალიზებამ, შესაძლოა ამ კოალიციაში დაძაბულობა შეიტანოს). ნიკარაგუაში, ყოფილმა კომუნისტმა ლიდერმა, რომელსაც 1980-იან წლებში აშშ-ის მხარდაჭერით მოქმედი მეამბოხეები ებრძოდნენ 2006 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. აღნიშნული მოვლენები, ისევე როგორც ჩინეთის მიერ ოფიციალური მარქსისტული იდეოლოგიის შენარჩუნება მიუთითებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მარქსისტული თეორიები ცივი ომის შემდგომ პერიოდშიც ინარჩუნებენ აქტუალობას.

3.5. მშვიდობის კვლევები

აღწერეთ საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტის მოსაგვარებლად მედიაციის გამოყენების გზები.



ომის ჩრდილი კულტურაში მილიტარიზმის არსებობამ ან პირიქით მისმა ნაკლებობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს საგარეო პოლიტიკაზე. საომარ მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებებში ბავშვების ფსიქოლოგიური ტრავმა ხელს უწყობს შიდაჯგუფურ კონფლიქტებს ათწლეულების მერე. პალესტინელთა თაობები ძალადობრივი კონფლიქტით დაღდასმულ საზოგადოებაში აღიზარდნენ. ეს პალესტინელი გოგოები, რომლებიც დგანან საკუთარ სახლთან ქალაქ ღაზაში, რომელიც ისრაელის სამხედროებმა დაარბიეს 2014 წელს, მთელ ცხოვრებას, საკუთარი მშობლების და ბებია-ბაბუის მსგავსად, ძალადობრივი კონფლიქტის გარემოში ატარებენ.

მშვიდობის კვლევები უპირისპირდება როგორც რეალიზმის, ისე ნეოლიბერალიზმის ფუნდამენტურ კონცეფციებს. კერძოდ, მშვიდობის კვლევების მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების ფოკუსი ანალიზის სისტემური დონიდან ანალიზის ინდივიდუალურ და შიდა დონეებზე სოციალური ურთიერთობების უფრო ფართო კონცეფციაზე გადაიტანოს. მშვიდობის კვლევები ომსა და მშვიდობას ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან, ეკონომიკურ უთანასწორობასთან, გენდერულ ურთიერთობებთან, კულტურათაშორის ურთიერთგაგებასთან და სოციალური ურთიერთობების სხვა ასპექტებთან აკავშირებს. ასევე, მშვიდობის კვლევები ცდილობს მშვიდობის პოტენციალი დაინახოს არა სახელმწიფოთა ლიდერების ურთიერთობებში, არამედ მთლიანი საზოგადოებების ტრანსფორმაციაში (სოციალური რევოლუციის გზით) და ტრანსნაციონალურ საზოგადოებებში (სახელმწიფოების გვერდის ავლით და საზღვრების უგულებელყოფით ადამიანების და ჯგუფების გლობალურ დონეზე დასაკავშირებლად). მშვიდობის კვლევები ძიების ფოკუსის გაფართოების კიდევ ერთ გზად ტრადიციულ მიდგომებში (რეალიზმი და ლიბერალიზმი) ნაგულისხმევი ობიექტურობის უარყოფას მიიჩნევს. მშვიდობის კვლევების მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ცოდნის შეძენის საუკეთესო გზა ქმედებაში მონაწილეობა და არა მხოლოდ ობიექტური დამკვირვებლის როლში ყოფნაა. სხვებმა ობიექტურობის ეს ნაკლებობა გააკრიტიკეს, როგორც *ნორმატიულ მიკერძოებულობა*, რადგან მშვიდობის მკვლევრები შეს-

წავლის საგანზე პირად შეხედულებებსა და ღირებულებებს განავრცობენ. მშვიდობის კვლევების მეცნიერები კი პასუხობენ, რომ რეალიზმს თავად გააჩნია ნორმატიული მიკერძოებულობა და პოლიტიკურ მითითებებს იძლევა.

კონფლიქტის მოგვარება (Conflict Resolution)
კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით სამშვიდობო სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება

კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების სტრატეგიების შემუშავებას და განხორციელებას, ანუ ზენოლის ძალადობრივი ფორმების ალტერნატივების გამოყენებას, **კონფლიქტის მოგვარების** ტერმინით მოიხსენიებენ. აღნიშნული მეთოდები გამოიყენება თითქმის ყველა საერთაშორისო კონფლიქტში და კონკურენციას უწევს ძალადობრივ მეთოდებს. უკანასკნელ წლებში გაიზარდა კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიების გამოყენების შემთხვევები, მოხდა მათი დახვეწა და ისინი უფრო ხშირად აღწევენ წარმატებას.

მედიაცია (Mediation)
კონფლიქტის მოგვარების პროცესში მესამე მხარის (ან მხარეების) გამოყენება.

კონფლიქტის მოგვარების უმრავლეს შემთხვევაში გამოიყენება მესამე მხარე, რომლის როლსაც წარმოადგენს **მედიაცია** დაპირისპირებულ მხარეებს შორის. თუ ორივე მხარე წინასწარ შეთანხმდება, რომ დაემორჩილება მედიატორის მიერ შემუშავებულ გადაწყვეტას, მაშინ ამ პროცესს „არბიტრაჟი" ეწოდება. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე წარუდგენს საკუთარ არგუმენტებს არბიტრს, რომელიც ახორციელებს „სამართლიან" გადაწყვეტას. არბიტრაჟი ხშირად იყენებს სამი ადამიანისგან დაკომპლექტებულ პანელებს, სადაც თითო წევრს დაპირისპირებული მხარეები არჩევენ, ხოლო მესამეზე ორივე ეს მხარე თანხმდება.

დაპირისპირებულმა მხარეებმა (და მედიატორებმა) ნდობის ეტაპობრივად გასაზრდელად შესაძლოა ნდობის აღდგენის ზომები გამოიყენონ. ამის საპირისპიროდ, დაკავშირება ერთად აჯგუფებს განსხვავებულ საკითხებს, რაც იძლევა საერთო შეთანხმებაში კომპრომისების გაცვლის შესაძლებლობას.

მშვიდობის კვლევების მეცნიერთა მტკიცებით, ომი მხოლოდ ძალის ბუნებრივი გამოხატულება არ არის და ის მჭიდროდ არის დაკავშირებული მილიტარიზმთან ზოგიერთ კულტურაში. მილიტარიზმი არის ომის, სამხედრო ძალისა და ძალადობის განდიდება ტელევიზიის, ფილმების, წიგნების, პოლიტიკური გამოსვლების, სათამაშოების, თამაშების, სპორტის და სხვა მსგავსი საშუალებების მეშვეობით. მილიტარიზმით ასევე აღინიშნება საზოგადოების სტრუქტურირება ომის გარშემო – მაგალითად, ეროვნულ ეკონომიკაში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისთვის წამყვანი როლის მინიჭება ან ეროვნული უსაფრთხოების საკითხების დომინირება შიდა პოლიტიკაში. მილიტარიზმი შესაძლოა საფუძვლად ედოს პოლიტიკური ლიდერების მიდრეკილებას ძალის გამოყენებაზე. ისტორიულად, მილიტარიზმს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საზოგადოებების ევოლუციაზე. ომს ხშირად განადიდებდნენ როგორ „კაცურ" საქმეს, რომელიც აკეთილშობილებდა ადამიანის სულს (განსაკუთრებით პირველ მსოფლიო ომამდე, რომელმაც აღნიშნულ თემაზე არსებული შეხედულებები შეცვალა). ომში ადგილი აქვს არა მხოლოდ

სიბოროტეს, არამედ ჰუმანურობის სამაგალითო აქტებს – თავგანწირვას, ღირსებას, სიმამაცეს, საყვარელი ადამიანებისთვის თავდადებას და საზოგადოებასთან მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას.

ნაკლებად მილიტარიზებული კულტურების მაგალითი ცხადყოფს, რომ რეალიზმის აქცენტირება სამხედრო ძლიერებაზე, სულაც არ არის უნივერსალური ან აუცილებელი. კოსტა რიკას 70 წლის მანძილზე არმია არ ჰყოლია (მხოლოდ მსუბუქად შეიარაღებული ძალები), 1980-იან წლებში მეზობელ ნიკარაგუასა და პანამაში მიმდინარე ომების დროსაც კი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იაპონიამ ძლიერი ნორმები დანერგა ომისა და ძალადობის წინააღმდეგ ჩინეთიდან და ჩრდილოეთ კორეიდან მომდინარე საფრთხის ფონზეც კი.

პოზიტიური მშვიდობა (Positive Peace)

შვიდობა, რომელიც აგვარებს ომის ფუძემდებლურ მიზეზებს. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს არა უბრალოდ ცეცხლის შეწყვეტას, არამედ ურთიერთობების ტრანსფორმაციას, მათ შორის ეკონომიკური ექსპლუატაციის და პოლიტიკური ჩაგვრის შემცირებას ან მოსპობას.

პოზიტიური მშვიდობა აღნიშნავს ისეთი სახის მშვიდობას, რომელიც აგვარებს ომის ფუძემდებლურ მიზეზებს, ანუ მშვიდობას, რომლის შემთხვევაში ადგილი აქვს არა უბრალოდ ცეცხლის შეწყვეტას, არამედ კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთობების ტრანსფორმაციას. პოზიტიური მშვიდობის დროს, სახელმწიფო არმიები არა მხოლოდ ერთმანეთთან ბრძოლას წყვეტენ, არამედ წყვეტენ შეიარაღებას, წყვეტენ სიკვდილის ბრიგადების ფორმირებას მიდა პროსტესტების ჩასახშობად და წყვეტენ ეკონომიკურ ექსპლუატაციასა და პოლიტიკურ ჩაგვრას, რომლებიც მშვიდობის კვლევების მეცნიერთა აზრით, იწვევენ ომისკენ მიმავალ სოციალური კონფლიქტებს.

აღნიშნული მიდგომის მომხრეები ხედავენ, რომ ფართო სოციალური და ეკონომიკური კავშირები, რომლებიც რეალისტებს შედარებით უმნიშვნელოდ მიაჩნიათ, მჭიდროდ არის გადაჯაჭვული პოზიტიურ მშვიდობასთან. ზოგიერთი მეცნიერი სიღარიბეს, შიმშილს და ყველა ფორმის ჩაგვრას ძალადობის ფორმად მიიჩნევს. ამას *სტრუქტურულ ძალადობას* უწოდებენ, რადგან მას სოციალური ურთიერთობების სტრუქტურა განაპირობებს და არა ისეთი პირდაპირი ქმედებები, როგორიც ადამიანებზე სროლაა. ასეთი განსაზღვრებით, სტრუქტურული ძალადობით ყოველწლიურად უფრო მეტი ადამიანი იღუპება და ზარალდება, ვიდრე ომების და პირდაპირი პოლიტიკური ძალადობის სხვა ფორმების შედეგად. პოზიტიური მშვიდობის განსაზღვრებაში აუცილებლად ხაზგასმულია, რომ იგი მოიცავს სტრუქტურული ძალადობის აღმოფხვრას.



მიეცით მშვიდობას შანსი სამშვიდობო დემონსტრაციები როლს ბევრ კონფლიქტში თამაშობენ. ამ ფოტოზე დემონსტრანტები 2017 წელს ლონდონში აპროტესტებენ ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის პირობას უფრო მეტი ბირთვული იარაღის შექმნასთან დაკავშირებით და ასევე, მის მუქარას ჩრდილოეთ კორეის მისამართით.

პოზიტიური მშვიდობა სოციალური ცვლილების მიდგომების რამდენიმე ნაირსახეობას აერთიანებს. აღნიშნული მოიცავს ომის ჩასანაცვლებლად კონფლიქტის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს, როგორიცაა, სამშვიდობო მოძრაობებისა და

პოლიტიკური აქტივიზმის მეშვეობით მთავრობებზე განხორციელებულ საზოგადოებრივ ზეწოლას, ძალადობრივი მეთოდების გამოყენების საწინააღმდეგო ნორმების გაძლიერებას, საერთაშორისო ან გლობალური იდენტობის ჩამოყალიბებას, რომელიც სცდება ეროვნულ, ეთნიკურ და რელიგიურ დაყოფას და საზოგადოებებს შიგნით ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში ეგალიტარული ურთიერთობების ხელშეწყობას ახდენს (მათ შორის ცვლილებებს გენდერულ როლებში)

მსოფლიო მთავრობა **(World Government)**
ცენტრალიზებული მსოფლიოს მმართველი ორგანო, რომელიც აღჭურვილია აღსრულების ძლიერი მექანიზმებით.

მსოფლიო მთავრობის შექმნა დიდი ხანია მეცნიერთა მსჯელობის და აქტივისტების მისწრაფების საგანია. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბების გზაზე თანდათანობით წინ მივიწევთ (გაეროს სახით). სხვები ფიქრობენ, რომ ეს იდეა არაპრაქტიკული და არასასურველიცაა (რადგან ცენტრალიზებული კონტროლის კიდევ ერთი შრის დამატებას გულისხმობს, მაშინ როდესაც მშვიდობა დეცენტრალიზაციას და თავისუფლებას მოითხოვს).

სამშვიდობო მოძრაობები **(Peace Movements)**
კონკრეტული ომების ან ზოგადად ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობები, რომლებიც, როგორც წესი, მოიცავს ადამიანების დიდ რაოდენობას და ქუჩის აქციების მსგავს პირდაპირ ქმედებებს

მშვიდობის კვლევების მეცნიერები ასევე შეისწავლიან პოზიტიური მშვიდობის მიღწევის გზებს. მშვიდობის კვლევის მეცნიერთა უმრავლესობა იზიარებს სკეპტიციზმს, რომ სახელმწიფოს ლიდერები, თუ მათ თავის ნებაზე დავტოვებთ, ოდესმე შეძლებენ პოზიტიურ მშვიდობის მიღწევას. ამის ნაცვლად, მეცნიერებს სჯერათ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკა შეიცვლება მხოლოდ ინდივიდებისა და ჯგუფების ზეწოლის შედეგად. ყველაზე ფართოდ შესწავლილ მეთოდს წარმოადგენს ასეთი ზეწოლის **სამშვიდობო მოძრაობების** მეშვეობით განხორციელება, როდესაც ადამიანები ქუჩაში გამოდიან ომისა და მილიტარიზმის გასაპროტესტებლად.

არაძალდობრივი წინააღმდეგობისა და პაციფიზმის ფილოსოფია ემყარება ცალმხრივად აღებულ ვალდებულებას მხარეებს შორის ურთიერთობებში ძალადობის ნებისმიერი ფორმების ბერკეტად გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ. დღეს ამ სტრატეგიას არც ერთი სახელმწიფო არ იყენებს, თუმცა ქვესახელმწიფოებრივი აქტორები მიმართავენ მას. მაჰათმა განდი, რომელიც ხელმძღვანელობდა ინდოეთის ბრიტანეთის იმპერიისგან გათავისუფლების და დამოუკიდებლობის მოძრაობას 1948 წლამდე, ყურადღებას ამახვილებდა, რომ არაძალადობრივი წინააღმდეგობა აქტიურად უნდა ცდილობდეს ძალადობის პრევენციას, კონფლიქტების ძალადობის გარეშე მოგვარებას და განსაკუთრებით უსამართლოდ განხორციელებული ძალადობისთვის წინააღმდეგობის გაწევას. ამერიკის შეერთებულ შტატებში არაძალადობრივი ფილოსოფია ფართოდ გავრცელდა 1960 იან წლების სამოქალაქო უფლებების მოძრაობისას და განსაკუთრებით მართინ ლუთერ კინგის გავლენით. 2011 წლის „არაბული გაზაფხულის“ დემონსტრანტები მიყვებდნენ დოქტორი კინგის მაგალითს და ასევე, ამერიკელი ჯინ შარპის მიერ რეკომენდებულ სტრატეგიებს, რომლის იდეებს ახალგაზრდა არაბ აქტივისტებს ევროპაში მანამ გამართულ სემინარებზე ასწავლიდნენ. აღნიშნულმა არაძალადობრივმა

მიდგომებმა განსაკუთრებით კარგად იმუშავა ტუნისსა და ეგვიპტეში, თუმცა, ვერ შეეწინააღმდეგა ძალადობრივ ამბოხს ლიბიაში და ომს სირიაში, სადაც 2011-2018 წლებში ომმა დაახლოებით 200,000 სიცოცხლე იმსხვერპლა და იემენში, სადაც იმავე პერიოდში მიმდინარე ომისა და ამბოხის შედეგად 10,000 ადამიანი დაიღუპა.

3.6. გენდერული თეორიები

გამოყავით საერთაშორისო ურთიერთობების ორი პრობლემა, სადაც გენდერი მნიშვნელოვანი ფაქტორია აღნიშნული პრობლემების გასაგებად ან გადასაჭრელად.

გენდერის კვლევამ სხვადასხვა აკადემიური დისციპლინების, მათ შორის ლიტერატურის, ფსიქოლოგიისა და ისტორიის ყურადღება დაიმსახურა. უკანასკნელ წლებში გენდერის თეორიამ შეაღწია საერთაშორისო ურთიერთობებშიც, რომელიც გენდერული არგუმენტებისადმი ერთ-ერთ ყველაზე შეუვალ დისციპლინად განიხილებოდა.

3.6.1 რატომ არის გენდერი მნიშვნელოვანი

გენდერის კვლევები მრავალ მიმართულებას მოიცავს, მაგრამ მათგან ყველას აერთიანებს საერთო ხედვა, რომ გენდერი მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ როგორ მუშაობს საერთაშორისო ურთიერთობები, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რომლებიც ომსა და საერთაშორისო უსაფრთხოებას უკავშირდება. ფემინისტური კვლევები სხვადასხვა დისციპლინებში მიზნად ისახავს საგნის შესწავლის პროცესში გენდერზე არსებული ფარული ვარაუდების გამოაშკარავებას. ის რაც მეცნიერების მტკიცებით უნივერსალურია, ხშირად აღმოჩნდება ხოლმე, რომ მხოლოდ მამაკაცებზეა მორგებული. საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი ფემინისტი მკვლევარი ამტკიცებს, რომ რეალიზმის საკვანძო პრინციპები, განსაკუთრებით ანარქიისა და სუვერენიტეტის შესახებ, მამაკაცების ერთმანეთთან ურთიერთქმედების და სამყაროს აღქმის გზებს ასახავს. ამ თვალთახედვით, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების, სახელმწიფოს სუვერენიტეტის ან სამხედრო ძალის გამოყენებაზე საუბრისას რეალისტური მიდგომა მხოლოდ მამაკაც მონაწილეებს მოიაზრებს.

ეს კრიტიკა გარკვეულწილად კომპლექსურია. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს მეთაურების, დიპლომატების და ჯარისკაცების დიდი უმრავლესობა მამაკაცია, რეალისტური იქნებოდა მათი, როგორც მამაკაცების რანგში შესწავლა. ის რასაც ფემინისტი კრიტიკოსები ითხოვენ არის მკვლევრების მიერ საერთაშორისო ურთიერთობების გენდერული ხასიათის მკაფიოდ აღიარება (და არა უბრალოდ იმის ირიბად დაშვება, რომ ყველა აქტორი მამაკაცია). ამ თვალთახედვით, საერთაშორისო

ურთიერთობებში მამაკაცი აქტორების გაგება გაუმჯობესდება, თუ დავაკვირდებით როგორ გავლენას ახდენს მათი გენდერული იდენტობა მათ შეხედულებებსა და გადაწყვეტილების პროცესებზე. ასევე ქალებიც ახდენენ გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე (კაცებთან შედარებით უფრო ხშირად არასახელმწიფო არხების გამოყენებით), რომელიც რეალისტების მიერ ხშირად უგულებელყოფილია.ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ქალი მეცნიერები უფრო დაინტერესებულები არიან ამ როლებით და ეფექტებით, ვიდრე მათი მამაკაცი კოლეგები, რომლებსაც დიდწილად არ აინტერესებთ გენდერული თემები. საერთაშორისო ურთიერთობების „50 წამყვანი მოაზროვნის“ ერთ-ერთ სიაში ოთხი ქალია, საიდანაც სამი გენდერის მკვლევარია, მაშინ როდესაც 46 მამაკაციდან არც ერთი არის გენდერის მკვლევრად მითითებული. და როდესაც 2014 წლის გამოკითხვით გამოვლინდა საერთაშორისო ურთიერთობების 20 ყველაზე გავლენიანი მეცნიერი, მათგან მხოლოდ სამი იყო ქალი.



ქალების საქმე სხვადასხვა თეორიული ტრადიციის მომხრე ფემინისტები თანხმდებიან, რომ საერთაშორისო სამიტებისა და სახელმწიფო მთავრობების გენდერული შემადგენლობა მნიშვნელოვანია. ამ ფოტოზე ჩინეთის ახალი მმართველი ჯგუფი ძალაუფლების გადმობარებას აღნიშნავს 2017 წელს.

კვლევების სფეროში გენდერზე ფარული მოსაზრებების გამოვლენის გარდა, ფემინისტი მკვლევრები ასევე ხშირად უპირისპირდებიან გენდერზე არსებულ ტრადიციულ კონცეფციებს. საერთაშორისო ურთიერთობებში ეს ტრადიციული კონცეფციები ტრიალებს იმ დაშვების გარშემო, რომ მამაკაცები ანარმოებენ ომებს და მართავენ სახელმწიფოებს, ხოლო ქალები საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში არარელევანტურები არიან. ასეთი გენდერული როლები ეფუძნება მასკულინურობის ფართო კონსტრუქტს, რომელიც შესაფერისია საჯარო და პოლიტიკური სივრცისთვის, ხოლო ფემინურობა ასოცირდება პრივატულობასა და შიდა სფეროებთან.

რეალისტების მსგავსად (იხ. თავი 2), გენდერის თეორეტიკოსებიც ხანგრძლივ ტრადიციას მიჰყვებიან.[3] თუკიდიდემდე მცირე ხნით ადრე, ძველი ბერძენი ქალი პოეტი, საფო კუნძულ ლესბოსზე ქალებს სასიყვარულო ლექსებს უძღვნიდა. მაკიაველიმდე, იტალიაში დაბადებული მწერალი ქრისტინე დე პისანი ხოტბას ასხამდა ქალების მშვიდობისმყოფელობის ნიჭს. ჰობსიდან ერთი საუკუნის შემდეგ, მერი უოლსტონკრაფტი ბრიტანეთში ქალებისთვის თანაბარ უფლებებს მოითხოვდა და მორგენთაუს მიერ ამერიკული რეალიზმის შექმნამდე ასი წლის ადრე, ამერიკელი სიუზან ბ. ენტონი, დაუღალავად იღწვოდა პაციფიზმის, აბოლიციონიზმის და სუფრაჟიზმის იდეებისთვის.

ძირითადი შეთანხმების გარდა, რომ გენდერი მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ურთიერთობებში მხოლოდ ერთი ფემინისტური მიდგომა

3 ამ იდეისთვის მადლობას ვუხდით ფრენჩინ დ'ამიკოს.

არ არსებობს. ამის ნაცვლად გვხვდება კვლევისა და თეორიის რამდენიმე ნაირსახეობა. მათი ურთიერთდაკავშირებულობის მიუხედავად (ყველა ყურადღებას ამახვილებს გენდერზე და ქალების სტატუსზე), ისინი ხშირად სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობენ. ზოგიერთ საკვანძო საკითხზე, ფემინიზმის სხვადასხვა მიმართულებებს ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრებები გააჩნია, რაც ფემინიზმის შიგნით საინტერესო დებატებს იწვევს.

განსხვავების ფემინიზმი (Difference Feminism)

ფემინიზმის მიმართულება, რომელსაც მიაჩნია, რომ გენდერული სხვაობები მხოლოდ სოციალურად კონსტრუირებული არ არის და თვლის, რომ ქალები, ბუნებრივად გაცილებით ნაკლებად არიან ომისკენ მიდრეკილები, ვიდრე მამაკაცები (სამუალოდ).

ერთ-ერთი მიმართულება, **განსხვავების ფემინიზმი** ფოკუსირებულია ფემინურობის მნიშვნელობის ხაზგასმაზე, რაც გულისხმობს, იმ გამორჩეული ღვლილის დაფასებას, რომელიც ქალებს ქალების რანგში მიუძღვით. განსხვავების ფემინისტები არ ფიქრობენ რომ ქალები ყველაფერს ისევე კარგად აკეთებენ როგორც კაცები, ან პირიქით. იმის გამო რომ მათ ადამიანური ურთიერთობების და მზრუნველობის უფრო დიდი გამოცდილება აქვთ ისინი კონფლიქტების მოგვარებასა და ჯგუფური გადაწყვეტილების მიღებაში პოტენციურად უფრო ეფექტურებად მიიჩნევიან, ვიდრე კაცები (საშუალოდ). განსხვავების ფემინისტებს სჯერათ, რომ ღებები მხოლოდ სოციალური კონსტრუქტი და კულტურული ინდოქტრინაციის შედეგი არ არის (თუმცა გენდერული როლების ჩამოყალიბებაში ესეც თავის როლს თამაშობს). განსხვავების ფემინიზმის ზოგიერთ მომხრეს მიაჩნია, რომ არსებობს მამაკაცად ან ქალად ყოფნის ძირითადი ბიოლოგიური არსი (რასაც ზოგჯერ ესენციალიზმს უწოდებენ), თუმცა უმრავლესობა ფიქრობს, რომ გენდერული განსხვავებები უფრო კულტურულად არის განპირობებული, ვიდრე ბიოლოგიურად. ორივე შემთხვევაში, ფემინისტური პერსპექტივები ქმნის ხედვას, რომლის მეშვეობითაც ხდება საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული პერსპექტივებზე დაკვირვება, ანალიზი და კრიტიკა.

ლიბერალური ფემინიზმი (Liberal Feminism)

ფემინიზმის მიმართულება, რომელიც აქცენტს აკეთებს გენდერულ თანასწორობაზე და ქალებსა და მამაკაცების შესაძლებლობებს ან შეხედულებებს შორის „არსებით" განსხვავებებს ტრივიალურად ან არარსებულად მიიჩნევს.

კიდევ ერთი მიმართულება, **ლიბერალური ფემინიზმი**, უარყოფს ამ მტკიცებებს და მათ სტერეოტიპულ გენდერულ როლებზე დამყარებულად მიიჩნევს. ლიბერალი ფემინისტებისთვის განსხვავებები ქალებისა და მამაკაცების შესაძლებლობებში ან შეხედულებებში ტრივიალური ან არარსებულია, რადგან ქალი და მამაკაცი თანასწორია. ისინი გმობენ საერთაშორისო ურთიერთობების ძალაუფლების პოზიციებიდან ქალების გარიყვას, მაგრამ არ მიაჩნიათ, რომ ქალების ჩართვა საერთაშორისო სისტემის ხასიათს შეცვლის. ლიბერალი ფემინისტები ცდილობენ კვლევის სუბიექტების რანგში ქალების, კერძოდ ქალი სახელმწიფო ლიდერების, ქალი სამხედრო მოსამსახურეების და საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული გენდერული როლების მიღმა მოქმედი სხვა ქალების უფრო ხშირად ჩართვას.

პოსტმოდერნული ფემინიზმი (Postmodern Feminism)

ფემინისტური და პოსტმოდერნისტული პერსპექტივების გაერთიანების მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობებში გენდერის ფარული გავლენის აღმოჩენას და გენდერული როლების ჩამოყალიბების პირობითობის ჩვენებას.

მესამე მიდგომა ფემინიზმს ამ თავის წინა ფურცლებზე განხილულ პოსტმოდერნიზმთან აერთიანებს. **პოსტმოდერნული ფემინიზმი** უარყოფს განსხვავების ფემინისტებში და ლიბერალ ფემინისტებში გენდერზე არსებულ მოსაზრებებს. მაშინ როდესაც განსხვავების ფემი-

ნისტები თვლიან, რომ გენდერული განსხვავებები მნიშვნელოვანი და უცვლელია, ხოლო ლიბერალი ფემინისტები ამ განსხვავებებს ტრივიალურად მიიჩნევენ, პოსტმოდერნული ფემინისტებისთვის ეს განსხვავები მნიშვნელოვანი, თუმცა პირობითი და მოქნილი ბუნებისაა.

3.6.2 რეალიზმის მასკულინურობა

განსხვავების ფემინიზმი რეალიზმის საკვანძო პრინციპების გადასინჯვის პერსპექტივას გვთავაზობს – განსაკუთრებით ავტონომიურობის დაშვებას, საიდანაც რეალიზმის ისეთი საკვანძო ცნებები გამომდინარეობს, როგორიც არის სუვერენიტეტი და ანარქია. რეალისტებისთვის, საერთაშორისო სისტემა შედგება ავტონომიური აქტორებისგან (სახელმწიფოები) რომლებიც აკონტროლებენ საკუთარ ტერიტორიას და არ აქვთ უფლება სხვისი ტერიტორიის ხელყოფა მოახდინონ. განსხვავების ფემინიზმის ზოგიერთი წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ რეალიზმი იმიტომ აკეთებს აქცენტს ავტონომიურობასა და განცალკევებულობაზე, რომ მამაკაცები განცალკევებას უფრო ადვილად ართმევენ თავს, ვიდრე ურთიერთდაკავშირებულობას.

აღნიშნული მოსაზრება ემყარება ფსიქოლოგიურ თეორიას, რომლის თანახმადაც ბიჭები და გოგონები ადრეული ასაკიდანვე განცალკევებულობასა და კავშირზე განსხვავებული შეხედულებებით იზრდებიან. აღნიმნული თეორიის მიხედვით, რადგანაც ადრეულ წლებში ბავშვზე უმთავრესი მზრუნველი თითქმის ყოველთვის ქალია, გოგონების გენდერული იდენტობა მათზე მზრუნველთან მსგავსების აღქმით (და იმ გარემოსთან კავშირში, სადაც ისინი ცხოვრობენ) ყალიბდება, მაშინ როდესაც ბიჭები საკუთარ მზრუნველთან განსხვავებულობას აღიქვამენ. ამ გამოცდილების საფუძველზე, ბიჭები სოციალურ ურთიერთობებს ავითარებენ ინდივიდუალურ ავტონომიურობაზე დაყრდნობით, ხოლო გოგონების ურთიერთობები კავშირს ემყარება. შედეგად, მიიჩნევა, რომ სავარაუდოდ ქალებს უფრო მეტად აშინებთ მიტოვება, ვიდრე მამაკაცებს, მაშინ როდესაც მამაკაცები უფრო მეტად უფრთხიან მჭიდრო კავშირებს.

ამავე თეორიის თანახმად, მორალურ ჭრილში აზროვნების კონტექსტში, ბიჭები მიდრეკილები არიან აბსტრაქტული წესების გამოყენებისკენ და აქცენტს აკეთებენ ინდივიდუალურ უფლებებზე, ხოლო გოგონები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სხვადასხვა სიტუაციების კონკრეტულ კონტექსტს და ჯგუფის წევრების ურთიერთპასუხისმგებლობას. თამაშების დროს, ბიჭები სადავო სიტუაციებს წესების შესახებ კამათის საფუძველზე აგვარებენ და შემდეგ თამაშს აგრძელებენ, მაგრამ გოგონებში მაღალია იმის ალბათობა, რომ მათ შესაძლოა თამაშის შეწყვეტა ამჯობინონ წესების შესახებ კამათს და საკუთარი ჯგუფის სოციალური შეკავშირებულობის რისკის ქვეშ დაყენებას. სოციალურ ურთიერთობებში ბიჭები უფრო მარტივად აყალიბებენ და წყვეტენ მეგობრულ კავშირებს,

ვიდრე გოგონები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ უფრო მტკიცედ მიეჯაჭვებიან მეგობრებს (გენდერული განსხვავებების შესახებ არსებული ამ თეორიული დაშვებების ემპირიული მტკიცებულებები ფსიქოლოგიურ კვლევებში, საუკეთესო შემთხვევაში, სხვადასხვაგვარია).


რა თქმა უნდა, რეალიზმი ეყრდნობა კონცეფციას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები განცალკევებული, ავტონომიური აქტორები არიან, რომლებიც საკუთარი ინტერესების რეალიზების პროცესში თავისუფლად ქმნიან და შლიან ალიანსებს (თუმცა ერთმანეთის შიდა საქმეებში არ ერევიან). ავტონომიურობის ასეთი კონცეფცია თანხვედრაშია ზემოთ აღწერილ მასკულინურ ფსიქოლოგიასთან. შესაბამისად, ზოგიერთი ფემინისტი მკვლევარი რეალიზმში მასკულინურობის დაფარულ იდეას ხედავს. გარდა ამისა, რეალისტების მიერ გავლებული მკაფიო წყალგამყოფი საერთაშორისო პოლიტიკას (ანარქიულ) და შიდა პოლიტიკას (წესრიგზე დაფუძნებული) შორის საჯარო (მასკულინური) და კერძო (ფემინური) სფეროებში გენდერულ როლებს შორის არსებულ მსგავსებას წააგავს. ასე რომ, რეალიზმი ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც მამაკაცების სამყაროს კონსტრუირებას.

ამის საპირისპიროდ, ფემინურ პრინციპებზე დაფუძნებულმა საერთაშორისო სისტემამ, შესაძლოა მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებას, ვიდრე მათ ავტონომიურობას და ხაზი გაუსვას ადამიანების ერთმანეთის მიმართ ზრუნვის პასუხისმგებლობას, სახელმწიფოებისა და საზღვრების მიუხედავად. ადამიანის უფლებებსა და სუვერენიტეტის (შიდა საქმეებში ჩაურევლობა) პრინციპს შორის ბრძოლაში პრიორიტეტი ადამიანის უფლებებს მიენიჭება. სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში ზეწოლის ფორმის არჩევისას ძალადობა ნაკლებად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

რეალიზმის აქცენტირება ანალიზის სისტემურ დონეზე ემყარება დაშვებას, რომ თავად ომის ლოგიკა ავტონომიურია და მისი სხვა სოციალური ინტერაქციებისგან, როგორიც არის ეკონომიკა, შიდა პოლიტიკა, სექსიზმი და რასიზმი, განცალკევება შესაძლებელია. თუმცა, განსხვავების ფემინიზმი გამოააშკარავებს ამ ფენომენების კავშირს ომთან. ის გვთავაზობს ანალიზის შიდა და ინდივიდუალურ დონეებზე ომის გაგების ახალ მიდგომებს, რასაც რეალიზმი, როგორც წესი, უარყოფს. განსხვავების ფემინიზმის პერსპექტივით, ნეოლიბერალიზმი წარმოადგენს ტრადიციული ლიბერალიზმიდან უკანდახევას, რადგან იგი იზიარებს რეალიზმის შეხედულებას ცალკეული უნიტარული სახელმწიფოების, როგორც მნიშვნელოვანი აქტორების შესახებ და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ქვესახელმწიფო და ტრანსნაციონალურ აქტორებს, მათ შორის ქალებს. თანამშრომლობის ნეოლიბერალიზმის კონცეფცია, რომელიც თანამშრომლობას ავტონომიურ აქტორებს შორის წესებზე დაფუძნებულ ურთიერთქმედებად მოიაზრებს, ასევე მასკულინური იდეების ამსახველია.

3.6.3 გენდერი ომსა და მშვიდობაში

ავტონომიურობასა და ანარქიულობაზე აქცენტირების გარდა, რეალიზმი ყურადღებას ამახვილებს სამხედრო ძალაზე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტზე. ამ შემთხვევაშიც, განსხვავების ფემინისტები რეალიზმში მასკულინურობის ფარულ იდეას ხედავენ. განსხვავების ფემინისტებისთვის ომი უბრალოდ მამაკაცების საქმე კი არა, არსებითად მამაკაცური საქმეა. აღნიშნული თვალთახედვით, მამაკაცები თანდაყოლილად უფრო მიდრეკილები არიან ომისკენ, ხოლო ქალები უფრო მშვიდობისმოყვარულები არიან. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ რეალიზმი შესაძლოა ზუსტად წარმოაჩენდეს საერთაშორისო ურთიერთობებში ომისა და სამხედრო ძალის მნიშვნელობას, ის უბრალოდ ასახავს დღევანდელ დღემდე საერთაშორისო სფეროში მამაკაცების დომინირებას, რაც სულაც არ არის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების აუცილებელი, მუდმივი ან გადაულახავი ლოგიკა.



ქალის ძალა განსხვავების ფემინისტებს მიაჩნიათ, რომ მამაკაცებთან შედარებით ქალებს ბუნებრივად ნაკლები მიდრეკილება გააჩნიათ ომის მიმართ და უფრო მეტად მესწეთ მშვიდობის მიღწევა დედობის პოტენციური ან რეალური გამოცდილების გათვალისწინებით. აღნიშნული თვალთახედვით, ქალები განსხვავებულ როლს თამაშობენ პოლიტიკაში და განსხვავებული საჭიროებებიც გააჩნიათ. ავღანეთში და პაკისტანის გარკვეულ ნაწილებში თალიბანის მმართველობის დროს, ქალებს სკოლაში სიარული უკრძალებოდათ. მალალა იუსაფზაი პაკისტანში იბრძოდა ადამიანის უფლებებისთვის, კერძოდ კი ქალების განათლების უფლებისთვის. 2012 წელს ის გადაურჩა მკვლელობის მცდელობას და მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელი გახდა 2014 წელს.

განსხვავების ფემინისტები ბევრ მტკიცებულებებს პოულობენ ომის, როგორც მასკულინური მისწრაფების იდეის მხარდასაჭერად. ანთროპოლოგებმა დაადგინეს, რომ ყველა ცნობილ კულტურაში, ამ კულტურებს შორის მრავალ ასპექტში განსხვავებულობის მიუხედავად, ომში მამაკაცები მთავარი (და როგორც წესი ერთადერთი) მებრძოლები არიან. ომსა და მასკულინურობას შორის ერთ-ერთ სავარაუდო დამაკავშირებლად მოიაზრება მამაკაცის ჰორმონი, ტესტოსტერონი (სხვა მასთან დაკავშირებულ ჰორმონებთან ერთად), რომელსაც ზოგიერთი ბიოლოგი ცხოველებში აგრესიულ ქცევას უკავშირებს. თუმცა, შეუძლებელია ვთქვათ, რომ ისეთი კომპლექსური ქცევები, როგორებიცაა აგრესიულობა და ომი, ბიოლოგიურად მართული ან წინასწარ განპირობებული იყოს, რადგან ადამიანური რასის ყველაზე გასაოცარი ბიოლოგიური შესაძლებლობა მოქნილობაა.

ბიოლოგიურად და ანთროპოლოგიურად არ არსებობს მყარი მტკიცებულება, რომელიც ქალების მზრუნველობის ფუნქციებს (ორსულობა და ძუძუთი კვება) რაიმე კონკრეტულ ქცევასთან, მაგალითად შემრიგებლობასთან ან არაძალადობრივობასთან დააკავშირებდა – თუმცა, ქალები ნაკლებად არიან შესწავლილები, ვიდრე კაცები. ქალების როლი განსხვავდება ერთი საზოგადოებიდან მეორემდე. მიუხედავად იმისა, რომ ქალები იშვიათად მონაწილეობენ უშუალო საბრძოლო მოქმედებებში, ისინი ხშირად უწევენ ლოგისტიკურ მხარდაჭერას მამაკაც მებრძოლებს და ზოგჯერ ცეკვით, ომისთვის თავის ამრიდებელი მამაკაცების შერცხვე-

ნით ან სხვა ომის მხარდამჭერი ქმედებებით მამაკაცებში ომის სურვილს აღძრავენ. თუმცა, სხვა კულტურებში, ქალები ხელს უშლიან მამაკაცებს ომში მონაწილეობაში და ომების დასასრულებლად განსაკუთრებულ როლებს ასრულებენ, როგორც მედიატორები.

ქალების როგორც მშვიდობისმყოფელების იდეას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ანტიკურ ათენში, (მამაკაცი) დრამატურგი არისტოფანე, მსჯელობს თუ როგორ შეიძლება დაასრულონ ქალებმა არაპოპულარული პელოპონესის ომი სპარტასთან, რომელიც იმ პერიოდში მიმდინარეობდა. (მისი პიესა „ლისისტრატა" 1000 ადგილზე წაიკითხეს 56 ქვეყანაში, 2003 წლის 3 მარტს, მოახლოებული ერაყის ომის გასაპროტესტებლად.) პიესაში, ახალგაზრდა ქალი, სახელად ლისისტრატა, შეკრებს ათენელ და სპარტელ ქალებს და მოუწოდებს მათ, რომ კაცებთან სექსუალური კავშირი გაწყვიტონ, მანამ სანამ ეს უკანასკნელნი ომს არ შეწყვეტენ. მალევე, კაცები გონს მოეგებიან და დაზავდებიან. ბევრ შემთხვევაში ქალებმა მშვიდობის მისაღწევად საკუთარი ორგანიზაციებიც ჩამოაყალიბეს. 1852 წელს ქალთა მშვიდობის საზოგადოებებისთვის ბიულეტენი *დების ხმები (Sisterly Voices)* გამოქვეყნდა. 1892 წელს ბერტა ფონ ზუტნერმა დაარწმუნა ალფრედ ნობელი, დაეარსებინა ნობელის მშვიდობის პრემია (რომელიც ზუტნერმა მიიღო 1905 წელს). პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, ჯეინ ადამსმა და სხვა ფემინისტებმა ქალთა მშვიდობის საერთაშორისო კონფერენცია ჩაატარეს ჰააგაში. მათ ასევე მშვიდობის ქალთა პარტია დააარსეს. (ამჟამად მას ეწოდება „ქალების საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და სამართლიანობისთვის").

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სუფრაჟისტულმა მოძრაობამ ქალებს ხმის მიცემის უფლება მოუპოვა. განსხვავების ფემინისტები მიიჩნევდნენ, რომ ქალები მხარს დაუჭერდნენ მშვიდობას, ხმას მისცემდნენ ომის წინააღმდეგ და ამით შეცვლიდნენ საგარეო პოლიტიკის ხასიათს, თუმცა ქალები ძირითადად ხმას საკუთარი ქმრების მსგავსად აძლევდნენ. მიუხედავად ამისა, აშშ-ის საზოგადოებრივი აზრი 1930 იანი წლების შემდეგ საგარეო პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ნაწილობრივ ამყარებს განსხვავების ფემინისტების მოსაზრებებს. გამოკითხვებში არსებული **გენდერული ნაპრალი** აჩვენებს, რომ სამხედრო მოქმედებების მხარდაჭერა ქალებში დაახლოებით ათი პროცენტული პუნქტით უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცებში. თუმცა, სამხედრო მოქმედებებზე ფართო კონსენსუსის არსებობის შემთხვევაში გენდერული ნაპრალი მცირდება, როგორც ეს მოხდა მაგალითად 2001 წლის მიწურულს, ავღანეთში მოქმედი ტერორისტების წინააღმდეგ აშშ-ის მიერ ომის დაწყებისას. 1995 წელს, გაეროს დაფინანსებით პეკინში გაიმართა ქალთა კონფერენცია, რომელმაც თავი მოუყარა ქალ აქტივისტებს მთელი მსოფლიოდან და ხელი შეუწყო ფემინისტების ჩართულობის გაზრდას ისეთ გლობალურ საკითხებში, როგორიც არის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული უთანასწორობა.

გენდერული ნაპრალი (Gender Gap)
აღნიშნავს გამოკითხვის შედეგებს, რომელთა თანახმადაც, სამხედრო მოქმედებებთან, ასევე სხვა საკითხებთან და კანდიდატებთან დაკავშირებით ქალების მხარდაჭერა საშუალოდ უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცების.

2000 წელს, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1325, რომელიც მოითხოვდა გაეროს სამშვიდობო და რეკონსტრუქციის მისიებში გენდერულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას და ქალების ჩართულობის გაზრდას. თუმცა, ზოგიერთ ადგილებში, გაეროს მშვიდობისმყოფელები თვითონ მონაწილეობდნენ ადგილობრივი პროსტიტუციის, გაუპატიურების და სექსუალური ტრეფიკინგის დანაშაულებში. 2004 წელს, გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა „სამარცხვინო" უწოდა გაეროს ჯარისკაცების (რამდენიმე ქვეყნიდან) ქცევას კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. გამომძიებლებმა გაეროს მისიის წევრების მიერ იქ ჩადენილი ასობით სექსუალური ხასიათის დანაშაული გამოავლინეს (იხ. ასევე თავი 6).

რეზოლუცია 1325-ის შედეგად, საერთაშორისო სამშვიდობო და დახმარების ოპერაციებს „გენდერის მრჩევლები" მიამაგრეს, რომელთა ამოცანა იყო, უფრო ეფექტური ოპერაციების განსახორციელებლად პრაქტიკული რჩევების მიცემა ლოკალური კულტურების გენდერული ურთიერთობების გათვალისწინებით. მაგალითად, შრი ლანკაში ხიდის ასაშენებლად გაგზავნილი შვედი მამაკაცების ჯგუფის მეთაურმა თავიდან განაცხადა, „ჩვენი მოვალეობა ხიდის აშენებაა და გენდერული საკითხებზე არ უნდა ვიდარდოთ". როდესაც ჰკითხეს, თუ როგორ მოხდებოდა ხიდის გამოყენება, მან უპასუხა „ძირითადად მანქანით", მაგრამ როდესაც ჰკითხეს „ქალებიც ივლიან მანქანით?", ჯგუფის მეთაურმა უპასუხა, რომ „არა, მათ ალბათ ფეხით სიარული მოუწევთ". აღნიშნული გენდერული პერსპექტივიდან გამომდინარე, ხიდი ახლიდან დაპროექტდა და მას ფეხით მოსიარულეთა ნაწილიც დაემატა[4].

ამ სხვადასხვა მოქმედების გზით, განსხვავების ფემინისტებმა დაიწყეს საერთაშორისო ურთიერთობების ფემინისტური პრაქტიკის განვითარება, რომელიც შესაძლოა რეალიზმის მასკულინური პრაქტიკების ალტერნატივას წარმოადგენდეს. იუნესკოს დევიზია, „რადგან ომი იწყება კაცების გონებაში, ასევე კაცების გონებაში უნდა გაჩნდეს მშვიდობის საფუძვლები". განსხვავების ფემინისტებისთვის, ომი ნამდვილად კაცების გონებაში იწყება, თუმცა მშვიდობის საფუძვლები უკეთესია ქალების გონებაში გაჩნდეს.

3.6.4 ქალები საერთაშორისო ურთიერთობებში

ლიბერალური ფემინისტები სკეპტიკურად უყურებენ განსხვავების ფემინისტების მიერ რეალიზმის კრიტიკას. ლიბერალ ფემინისტებს მიაჩნიათ, რომ როდესაც ქალებს საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის საშუალება ეძლევათ, ისინი პრაქტიკულად მამაკაცების მსგავსად მოქმედებენ და მსგავს შედეგებს აღწევენ. ისინი ფიქრობენ, რომ

4 Margot Wallström (Octobe 16, 2008). Women's Forum Global Meeting. Deauville, France. In "Women and European politics: time for change," European Commission Press Release [http://europa.eu/ rapid/press-release_SPEECH-08-536_en.htm]

ქალებსაც ზუსტად ისევე შეუძლიათ იყვნენ ავტონომიურობაზე, სუვერენულობაზე, ანარქიაზე, ტერიტორიაზე, სამხედრო ძალაზე და სხვა დანარჩენზე დაფუძნებული რეალიზმის მიმდევრები, როგორც მამაკაცებს. შესაბამისად, ლიბერალი ფემინისტები უარყოფენ რეალიზმის, როგორც მასკულინური თეორიის კრიტიკას. (რეალურად, ბევრი ფემინისტი მეცნიერი, სხვადასხვა პროპორციით, ეყრდნობა როგორც ლიბერალური ფემინიზმის, ასევე განსხვავების ფემინიზმის შეხედულებებს)

ქალი ლიდერები მამაკაც ლიდერებთან შედარებით მეტად მშვიდობისმოყვარე ან საკუთარი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ნაკლებად დამცველები არ არიან (იხ. ცხრილი 3.1). ზოგიერთმა მკვლევარმა წამოაყენა მოსაზრება, რომ ხელისუფლებაში მყოფი ქალები უფრო მეტად მიდრეკილები არიან ომისკენ, რათა დააკომპენსირონ რომ არიან ქალები ტრადიციულ, მამაკაცურ როლში. თუმცა, საერთო ჯამში, სახელმწიფოს ქალ ლიდერებს, მამაკაცების მსგავსად შეუძლიათ უხელმძღვანელონ ქვეყანას მშვიდობასა და ომში, როგორც ამას გარემოებები მოითხოვს.

ცხრილი 3.1. უკანასკნელი ათწლეულების გამორჩენილი ქალი სახელმწიფო ლიდერები

ლიდერი	სახელმწიფო	ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი მოვლენა	პერიოდი
ინდირა განდი	ინდოეთი	ხელმძღვანელობდა ომს პაკისტანის წინააღმდეგ 1971 წელს; მოკლული იქნა 1984 წელს	1966–1977; 1980–1984
გოლდა მეირი	ისრაელი	ხელმძღვანელობდა ომს ეგვიპტისა და სირიის წინააღმდეგ 1973 წელს	1969–1974
მარგარეტ ტეტჩერი	ბრიტანეთი	პირველი ქალი მეოცე საუკუნეში, რომელიც სათავეში ჩაუდგა დიდ სახელმწიფოს; დაიწყო ომი ფოლკლენდის კუნძულების არგენტისგან დაბრუნების მიზნით, 1982 წელს	1979–1990
კორასონ აკინო	ფილიპინები	ცდილობდა საკუთარ შეიარაღებულ ძალებზე კონტროლის შენარჩუნებას	1986–1992
ბენაზირ ბჰუტო	პაკისტანი	ცდილობდა საკუთარ შეიარაღებულ ძალებზე კონტროლის შენარჩუნებას; მოკლეს 2007 წელს	1988–1990; 1993–1996
ვიოლეტა ჭამორო	ნიკარაგუა	სამოქალაქო ომის შემდეგ უზრუნველყო დაპირისპირებულ მხარეებს შორის მშვიდობის შენარჩუნება	1990–1997
თანსუ ჩილერი	თურქეთი	ხელმძღვანელობდა სისხლისმღვრელ ომს ქურთი მეამბოხეების წინააღმდეგ	1993–1996
ჩანდრიკა კუმარატუნგა	შრი-ლანკა	შეეცადა სეპარატისტებთან სამშვიდობო შეთანხმების მიღწევას, მაგრამ ომს დაუბრუნდა	1994–2005

მეგავატი სუკარნოპუტრი	ინდონეზია	ცდილობდა ქვეყანაში მშვიდობის მენარჩუნებას, წააგო არჩევნები.	2001–2004
ანგელა მერკელი	გერმანია	შეზღუდვები დააწესა გერმანელ სამხედროებზე ავღანეთში განლაგებული ნატოს ჯარების შემადგენლობაში	2005-2021
ელენ ჯონსონ-სირლიფი	ლიბერია	პირველი ქალი პრეზიდენტი აფრიკაში; სამოქალაქო ომის შემდეგ ცდილობდა ქვეყანაში დაძაბულობის განმუხტვას	2006-2018
შეიხ ჰასინა ვაჯედი	ბანგლადეში	ცდილობდა დემოკრატიული ტრანზიციის კონსოლიდაციას	2008-
როზა ოტუნბაიევა	ყირგიზეთის რესპუბლიკა	ყოფილი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აზიური სახელმწიფოს პირველი ქალი პრეზიდენტი. ხელი შეუწყო ეთნიკური დაძაბულობის განმუხტვას	2010-2011
ჯულია გილარდი	ავსტრალია	განალაგა აშშ-ის საზღვაო ქვეითების ბაზა	2010-2013
ინგლაკ შინავატრა	ტაილანდი	დაძაბულობა შეიარაღებულ ძალებთან; სეცესიონისტური ომი	2011-2014
პაკ კინ ჰე	სამხრეთ კორეა	ჩართული იყო ჩრდილოეთ კორეასთან კონფლიქტის საკითხებში	2013-2017
სი ინ ვენი	ტაივანი	დაძაბულობა ჩინეთთან	2016-
ონ სენ სიუ ჩი	ბურმა	მართავდა პრემიერ-მინისტრის რანგში სამხედროებთან ერთად; აკრიტიკებდნენ, რადგან ხელი არ შეუმალა ეთნიკურ წმენდას	2016-2021
ტერეზა მეი	დიდი ბრიტანეთი	ანარმოებდა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის მოლაპარაკებებს	2016-2019

Leader Country Record in Office Time Frame

შენიშვნა: სხვა სახელმწიფოებს, მაგალითად ფინეთს, ნორვეგიას, ახალ ზელანდიას, დანიას, ბრაზილიას, ტაილანდს და ისლანდიას ჰყავდათ ქალი ლიდერები მაშინ, როდესაც ამ ქვეყნებში ომი და მშვიდობა ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს შორის არ ფიგურირებდა.

აშშ-ის კონგრესში რთულია შეადარო, თუ როგორ აძლევენ ხმას ქალები და მამაკაცები საგარეო პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, რადგანაც აშშ-ის ისტორიაში კონგრესში ძალიან ცოტა ქალი იყო არჩეული. აშშ-ის სენატში, რომელიც ამტკიცებს ხელშეკრულებებს და საგარეო პოლიტიკურ დანიშვნებს, 1992 წლამდე წევრების 98-99% მამაკაცები შეადგენდნენ (2013 წლისთვის ეს მაჩვენებელი 80%-მდე შემცირდა; 2018 წელს 22 ქალი სენატორი იყო). 2011 წლამდე, ქალები არასოდეს ყოფილან საგარეო პოლიტიკის კომიტეტების (შეიარაღებული სამსახურების ან საგარეო ურთიერთობების) თავმჯდომარეები სენატში ან წარმომადგენელთა პალატაში – თუმცა ნენსი პელოსი სენატის პირველი ქალი სპიკერი იყო 2007-2010 წლებში.



ბრძოლის მმირი ქალი სამხედრო მოსამსახურეები მამაკაცებივით კარგად ასრულებენ სხვადასხვა სამხედრო ამოცანას, როგორც ამას ლიბერალი ფემინისტები პროგნოზირებდნენ. თუმცა, შეიარაღებულ ძალებში, ქალებს თითქმის არსად რთავენ ქვეით საბრძოლო ქვედანაყოფებში მსახურების უფლებას. უფრო ხშირად ქალ მებრძოლებს ვხვდებით პარტიზანულ დაჯგუფებებში და ქალებით დაკომპლექტებული ამერიკული სამხედრო პოლიცია ხშირად მონაწილეობს ბრძოლებში. წარმოდგენულ სურათზე, 2005 წელს კენტუკის ეროვნული გვარდიის სერჟანტი ერაყში უეცარი თავდასხმისას წარმოებულ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისთვის ჯილდოვდება „ვერცხლის ვარსკვლავით".

გლობალური მასშტაბით, საკანონმდებლო ორგანოებში წარმოდგენილი ქალების რაოდენობა იზრდება. 2017 წლის საპარლამენტთაშორისი კავშირის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ ქალები წარმოადგენდნენ პარლამენტის წევრთა 24 პროცენტს მსოფლიოს მასშტაბით, რაც 1995 წელთან შედარებით 7 პროცენტიანი ზრდა იყო. 2018 წლისთვის, ცხრა ქალი მოღვაწეობდა სახელმწიფოს მეთაურის პოზიციაზე და რვა მთავრობის მეთაურის პოზიციაზე. ზოგიერთი სახელმწიფო პარლამენტში ქალებისთვის ცალკე კვოტებს გამოყოფს. თუმცა, ხშირად ქალი კანდიდატები უფრო მეტ ადგილს იკავებენ, ვიდრე გამოყოფილია. მაგალითად, რუანდაში ქალები პარლამენტის ქვედა პალატის ადგილების 60%-ზე მეტს იკავებენ, თუმცა კანონი მხოლოდ 30%-იან ქალთა წარმომადგენლობას მოითხოვს.

ლიბერალ ფემინისტებს ასევე სჯერათ, რომ ქალ სამხედრო მოსამსახურეებს, ისევე როგორც ქალ პოლიტიკოსებს, მამაკაცების მსგავსი მთელი რიგი უნარები და შესაძლებლობები აქვთ. აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში დაახლოებით 200,000 ქალი მსახურობს (საერთო რაოდენობის 15%) და ქალი ვეტერანების რაოდენობა 2 მილიონს აღწევს. ქალები კარგად ასრულებენ სხვადასხვა სამხედრო ფუნქციას, მათ შორის ლოგისტიკური და სამედიცინო დახმარება, წვრთნები და მეთაურობა. 2015 წელს, აშშ-ის არმიის ელიტარული რეინჯერის სკოლა პირველმა ორმა ქალმა დაამთავრა. ქალებმა წარმატებას მიაღწიეს სხვა ქვეყნებშიც, სადაც მათ შეიარაღებულ ძალებში მსახურობის შესაძლებლობა მიიღეს (ან ზოგიერთ შემთხვევაში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში).

მიუხედავად იმისა, რომ ქალები წარჩინებით მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში, როგორც წესი, უმეტესად ისინი მოკლებული არიან საბრძოლო როლების შერსულების შესაძლებლობას. ზოგიერთ ქვეყანაში, სამხედრო მოსამსახურე ქალებს განსაზღვრული აქვთ ტრადიციული ქალური როლები, როგორებიცაა ექთანი ან მბეჭდავი. მაშინაც კი, როდესაც ქალებს შეუძლიათ ისეთი არატრადიციულ როლების შესრულება, როგორებიცაა მექანიკოსი და მფრინავი (მაგალითად აშშ-ში), ქალების უმეტესობა მაინც ტრადიციულ როლებში რჩება. ამის შეცვლა უკვე დაწყებულია. 2013 წელს, აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში გაუქმდა აკრძალვა საბრძოლო ქვედანაყოფებში ქალების მსახურობის შესახებ.

გამორჩეული სამხედრო მსახურობის შემთხვევები მოიცავს იმ ქალების ისტორიულ მაგალითებს, ვინც ბრძოლებში იღებდნენ მონაწილეობას (ზოგჯერ მამაკაცად გადაცმულები, ზოგჯერ კი არა). მე-15 საუკუნეში,

ჟანა დ'არკმა ფრანგი სამხედროები ინგლისის დასამარცხებლად დარაზმა და ამით ასწლიან ომში გარდატეხა შეიტანა (ინგლისელებმა ის შეპყრობის შემდეგ კოცონზე დაწვეს კუდიანობის ბრალდებით). ქალები ხშირად მონაწილეობდნენ ბრძოლებში პარტიზანული დაჯგუფებების შემადგენლობაში ვიეტნამში, ნიკარაგუაში და სხვაგან, ისევე როგორც იყვნენ ტერორისტული ან გასამხედროებული დაჯგუფებების წევრები ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა პერუ, გერმანია, იტალია და პალესტინა. ერიტრეას პარტიზანული დაჯგუფებების წევრი ქალები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს შეუერთდნენ და 1990-იან წლებში, ერიტრეასა და ეთიოპიას შორის მიმდინარე სანგრების ომში ფრონტისპირა საბრძოლო ქვედანაყოფებში მსახურობდნენ.

უკანასკნელ წლებში, ამერიკელი ქალი სამხედროებიც აღმოჩნდნენ ბრძოლის ველზე (თანამედროვე მობილური ტაქტიკა და სწრაფად ცვალებადი ფრონტის ხაზი, ართულებს განსხვავებას საბრძოლო და მხარდამჭერ როლებს შორის). 2003 წლის ერაყის ომში, ქალები მართავდნენ ნებისმიერი სახის თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს და ომის საწყის პერიოდში პირველ ამერიკელ სამხედრო ტყვეთა შორის ერთი ქალიც იყო. ერაყის ომის მომდევნო წლებში, ქალებით დაკომპლექტებულმა ამერიკულმა სამხედრო პოლიციამ თავი არა ერთ შეიარაღებულ ბრძოლაში გამოიჩინა. ყველა ეს შემთხვევა მიუთითებს, რომ ქალებს (როგორც მინიმუმ ზოგიერთ ქალს მაინც) შეუძლიათ ბრძოლაში მონაწილეობა.

მთავარი მიზეზი, რის გამოც შეიარაღებული ძალები ქალებს საბრძოლო დანაყოფებში მსახურობის უფლებას არ აძლევენ შესაძლოა არის იმის შიში, თუ რა გავლენას მოახდენს მათი ყოფნა მამაკაც სამხედროებზე, რომელთა დისციპლინა და ერთგულება მიჩნეულია, რომ ემყარება მამაკაცებს შორის შეკავშირებულობას და საერთო მიზნის მიღწევაზე ფოკუსირებას. ლიბერალი ფემინისტები უარყოფენ ამ არგუმენტებს და ამტკიცებენ, რომ ჯგუფური შეკავშირებულობა სამხედრო ძალებში გენდერულ სეგრეგაციაზე არ არის დამოკიდებული (ბოლოს და ბოლოს, ანალოგიურ არგუმენტებს ერთ დროს აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში რასობრივი სეგრეგაციის დასაბუთების მიზნითაც იყენებდნენ).

მზარდი ყურადღება ეთმობა ომის გავლენას არამებრძოლ ქალებზე. ალჟირში, რუანდაში, ბოსნიაში, ავღანეთში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სუდანში ქალებზე განხორციელებული თავდასხმები მიუთითებს ქალების სამხედრო სამიზნეებად გამოყენების ახალ შესაძლო ტენდენციაზე. ბოსნიასა და რუანდაში ტერორისტულ ტაქტიკად გამოიყენებოდა სისტემატიური გაუპატიურებები, ხოლო მეორე მსოფლიო ომში იაპონიის არმია მართავდა სექს მონების საერთაშორისო ქსელს, რომელშიც ჩართულ ქალებს „კომფორტის ქალების" სახელით მოიხსენიებდნენ. გაუპატიურება დიდი ხნის მანძილზე მიიჩნეოდა ომის ნორმალურ, თუმცა სამწუხარო გვერდით ეფექტად, მაგრამ ბოლო ხანებში გაუპატიურების გარკვეული შემთხვევები სამხედრო დანაშაულად იქნა გამოცხადებული (იხ. თავი 6).

საერთო ჯამში, ლიბერალი ფემინისტები უარყოფენ არგუმენტებს, რომ ქალებს საგარეო და სამხედრო საქმეებში განსაკუთრებულად ფემინური ასპექტები შემოაქვთ. ლიბერალი ფემინისტები არ აკრიტიკებენ რეალიზმს, როგორც არსობრივად მასკულინურს, მაგრამ აკრიტიკებენ სახელმწიფო პრაქტიკებს, რომელიც ქალებს არ აძლევს საერთაშორისო პოლიტიკაში და ომში მონაწილეობის საშუალებას.

3.6.5 განსხვავების ფემინიზმი ლიბერალური ფემინიზმის წინააღმდეგ?


განსხვავების ფემინისტებისა და ლიბერალი ფემინისტების არგუმენტები ერთი შეხედვით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია. განსხვავების ფემინისტები ამტკიცებენ, რომ რეალიზმი ასახავს სოციალური ურთიერთობების მასკულინურ აღქმას, მაშინ როდესაც ლიბერალური ფემინიზმი მიიჩნევს, რომ ქალები შესაძლოა ისევე იყვნენ რეალისტები, როგორც კაცები. ლიბერალურ ფემინიზმს სჯერა, რომ საგარეო პოლიტიკასა და სამხედრო საქმეებში ქალების მონაწილეობა გააძლიერებს სახელმწიფოს შესაძლებლობებს, მაგრამ განსხვავების ფემინისტები ფიქრობენ, რომ ქალების უნიკალური უნარები უფრო საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციას (ფემინიზაციას) უნდა მოხმარდეს, ვიდრე რომ ქალებმა კაცების თამაში ითამაშონ.

თუმცა, შესაძლოა ორივე ამ პოზიციის მხარდამჭერი მტკიცებულებების გარკვეულწილად ურთიერთშეთანხმება, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ ინდივიდის ხასიათი და შესაძლებელობა არ არის მისი ჯგუფის ხასიათისა და შესაძლებობის იდენტური. ამის ნაცვლად, ინდივიდების ხასიათი თანხვედრაშია ზარის მრუდის განაწილებასთან, როდესაც ადამიანთა უმრავლესობა თავმოყრილია შუაში და შედარებით მცირე ადამიანი გვხვდება მრუდთან შედარებით ძალიან მაღლა ან ძალიან დაბლა.

განსხვავების ფემინისტების მიერ წარმოდგენილი გენდერული განსხვავებები გულისხმობს, რომ ერთი ზარის მრუდი, მეორისგან დაშორებულია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორმა ერთმანეთი შესაძლოა მცირედით მაინც გადაკვეთონ (იხ. გრაფიკი 3.8.). მარტივი მაგალითით რომ ავხსნათ, არსებობს რამდენიმე ქალი, რომელიც ფიზიკურად თითქმის ყველა მამაკაცზე დიდია და არსებობს რამდენიმე მამაკაცი, რომელიც თითქმის ყველა ქალზე პატარაა. მაგრამ, საშუალოდ მამაკაცები ქალებზე გარკვეულწილად დიდები არიან. შესაძლებლობების სხვა განზომილებებში, ქალების მრუდი საშუალოდ მამაკაცების მრუდზე მაღლაა, მაგრამ გადაკვეთა მაინც ბევრგან ხდება.

გრაფიკი 3.8 ურთიერთგადამკვეთი ზარის მრუდები

ზარის მრუდები აჩვენებს, რომ ინდივიდები განსხვავდებიან შესაძლებლობებით, როგორიცაა ფიზიკური სიძლიერე ან მშვიდობისმყოფლობის უნარი. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები და ქალები ერთმანეთისგან საშუალოდ განსხვავდებიან, ინდივიდთა უმეტესობისთვის (გადაკვეთის მხარეებში) ეს განსხვავებები თავს არ იჩენს. ლიბერალური ფემინისტები აქცენტს აკეთებენ მრუდების გადაკვეთის ადგილებზე, განსხვავების ფემინისტები ყურადღებას ამახვილებენ საერთო ჯგუფურ განსხვავებებზე.



ლიბერალი ფემინისტები აქცენტს აკეთებენ ორი ზარის მრუდის გადაკვეთაზე. ისინი ამბობენ, რომ ინდივიდუალური ქალები, ანუ ქალების უმრავლესობა რელევანტური განზომილებების უმრავლესობაში, მამაკაცთა მრუდის შიგნით არიან და შესაბამისად შეუძლიათ მამაკაცების თანასწორად შეასრულონ ნებისმიერი ამოცანა. მართლაც, არატრადიციულ გენდერულ როლებში ქალებმა შესაძლოა მამაკაც კოლეგებსაც აჯობონ, რადგან სავარაუდოდ, ქალები რომლებიც თვითონ ირჩევენ ასეთ როლებს (ანუ მიდიან ჯარში ან სურთ მთავრობის ხელმძღვანელობა) ქალების ზარის მრუდის ზედა წერტილში არიან, მაშინ როდესაც მამაკაცები მამაკაცების ზარის მრუდის შუა წერტილის სიახლოვეს იმყოფებიან (რადგან უფრო მეტი მიდის ჯარში). ანალოგიურად, ქალები, ვინც ხდებიან სახელმწიფოს ლიდერები არიან სავარაუდოდ უფრო უნარიანები საგარეო პოლიტიკაში, ვიდრე ქალების (ან კაცების) უმრავლესობა, რადგან პოლიტიკური პროცესი მიდრეკილია იმ ქალების სელექცია მოახდინოს, რომლებიც რეალიზმის იდეების გაზიარების თვალსაზრისით ზარის მრუდის ზედა ნაწილში იმყოფებიან.

განსხვავების ფემინისტებს უფრო მეტად აინტერესებთ ორი ზარის მრუდს შორის არსებული დაშორებები და არა ურთიერთგადაკვეთა. აღ-

ნიმნული პერსპექტივით, ქალები საერთაშორისო ურთიერთობებს მამაკაცებისგან გარკვეულწილად განსხვავებულად აღიქვამენ. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდები, რომლებიც საგარეო პოლიტიკაში მონაწილეობისთვის და შეიარაღებულ ძალებში მსახურობისთვის შეირჩნენ შესაძლოა არ განსხვავდებოდნენ მამაკაცი კოლეგებისგან, ქალები როგორც ჯგუფი განსხვავდება მამაკაცთა ჯგუფისგან. ქალი ამომრჩევლები საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით მამაკაცებისგან განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ (როგორც ამას ადასტურებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში და არჩევნებში დაფიქსირებული გენდერული ნაპრალი).

შესაბამისად, ამ ლოგიკით, საერთაშორისო ურთიერთობებში სიღრმისეულ ცვლილებები და სახელმწიფო ქცევის ასახსნელად რეალიზმის სარგებლიანობისგან დისტანცირება მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ საკვანძო საგარეო პოლიტიკურ თანამდებობებზე ბევრი ქალი იქნება წარმოდგენილი. მცირე რაოდენობით ქალი პოლიტიკოსი ან ქალი სამხედრო მოსამსახურე ვერ ცვლის საერთაშორისო ურთიერთობების მასკულინურ საფუძვლებს. მაგრამ მსოფლიო, სადაც პოლიტიკოსებისა და სამხედროების უმრავლესობას ქალები შეადგენენ, შესაძლოა ძალიან განსხვავებული ადგილი აღმოჩნდეს. რასაკვირველია, განსხვავების ფემინისტების ეს თეორიები პრაქტიკაში არასოდეს გამოცდილა, რადგან ქალებმა ჯერ ვერც ერთ ცალკე აღებულ სახელმწიფოში ვერ მოიპოვეს დომინანტური პოზიციები საგარეო პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რომ აღარაფერი ვთქვათ მთლიანად საერთაშორისო სისტემაზე.

ლიბერალური და განსხვავების ფემინიზმის მიმართულებებთან ერთად, ფემინიზმის მესამე, პოსტმოდერნული მიმართულება, სოციალურ მეცნიერებებში პოსტმოდერნიზმის აღმასვლას უკავშირდება.

3.6.6 პოსტმოდერნული ფემინიზმი

რეალიზმის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკის ერთი განშტოება ერთმანეთთან აერთიანებს ფემინიზმსა და პოსტმოდერნიზმს. პოსტმოდერნული ფემინიზმი ცდილობს რეალიზმის დეკონსტრუქციას და მის გამოხატულ მიზანს საერთაშორისო ურთიერთობებში გენდერის ყოვლისმომცველი ფარული გავლენის მიგნება და გენდერული როლების შექმნის პირობითობის ჩვენება წარმოადგენს. პოსტმოდერნისტი ფემინისტები ეთანხმებიან განსხვავების ფემინისტებს, რომ რეალიზმი გენდერულ როლებზე ფარული მნიშვნელობების მატარებელია, მაგრამ უარყოფენ რომ არსებობს მამრობითი ან მდედრობითი გენდერის უცვლელი, თანდაყოლილი მნიშვნელობა. ამის ნაცვლად, ფემინისტი პოსტმოდერნისტები გენდერის და ძალაუფლების ურთიერთქმედების უფრო ღია დაკვირვებას ახორციელებენ. პოსტმოდერნული ფემინისტები აკრიტიკებენ ლიბერალ ფემინისტებს, რომ ისინი უბრალოდ ომისა და სა-

გარეო პოლიტიკის ტრადიციულ სტრუქტურებში ქალების ინტეგრირების მცდელობით შემოიფარგლებიან. პოსტმოდერნული ფემინისტები ასევე აკრიტიკებენ განსხვავების ფემინისტების, ამ უკანასკნელთა მიერ ტრადიციული ფემინური ღირსებების განდიდების მიზეზით.

პოსტმოდერნისტმა ფემინისტებმა სცადეს რეალიზმის ენის დეკონსტრუქცია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის გენდერისა და სქესის გავლენას ასახავს. მაგალითად პირველი ატომურ ბომბებს მამრობითი გენდერი გააჩნდათ (ბომბებს სახელად „მსუქანი კაცი“ და „პატარა ბიჭი“ ერქვათ); კოდირებული ტელეგრამაში, რომელმაც ამცნო ვაშინგტონს, რომ პირველმა წყალბადის ბომბმა იმუშავა, მარტივად ეწერა „ბიჭია“ (სავარაუდოდ, გოგო რომ ყოფილიყო, მარცხის ნიშანი იქნებოდა) თვითმფრინავს, რომელმაც ჰიროშიმას თავზე ატომური ბომბი ჩამოაგდო, მდედრობით გენდერი ჰქონდა და პილოტის დედის სახელს ატარებდა („ენოლა გეი“). ყველა ამ შემთხვევაში, პოსტმოდერნული ფემინისტები შენიშნავდნენ, რომ სატრანსპორტო საშუალებების, სამიზნეების ან დეკორაციების ფემინური გენდერი აძლიერებს უშუალოდ იარაღის მასკულინობას.

ფემინისტური თეორიების სამივე მიმდინარეობა გვთავაზობს ახსნებს, რომლებიც ხშირად განსხვავდება როგორც რეალიზმის, ისე ლიბერალიზმის თეორიებისგან. მაგალითად, აგრესიაზე რეაგირების შემთხვევაში, ფემინისტებმა შესაძლოა შეისწავლონ სახელმწიფოს ლიდერების წინაშე არსებული საჭიროება, საკუთარი მამაკაცურობის დასამტკიცებლად წინ აღუდგნენ ცუდ ადამიანებს. ეს უკავშირდება მამაკაცის როლს, რომლის ფუნქციაა მოწესრიგებული შიდა სფერო (სახლი, ოჯახი, ქვეყანა) დაიცვას ანარქიული და საშიში გარესამყაროსგან. 2001 წლიდან, გენდერული როლი აშკარად შესამჩნევი გახდა „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ ორივე მხარეს, სადაც ქალების პოზიციები საზოგადოებაში და მამაკაცების მასკულინობის კონცეფციები დასავლეთსა და შეიარაღებულ ისლამისტურ ჯგუფებს შორის სადავო საკითხებად იქცა. საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციულ თეორიებს, რომლებიც უგულებელყოფენ ამ საკითხებს, შესაძლოა საკმარისი ამხსნელობითი ძალა არ ჰქონდეთ.

რეალიზმის თითოეულ ამ ალტერნატივას მსოფლიო მოვლენების ახსნის მცდელობისას კონკრეტული უპირატესობა და ნაკლი გააჩნია. თუმცა, ყველა ეს თეორია და მიდგომა უნდა შეეცადოს, საერთაშორისო კონფლიქტების და სამხედრო ძალის გამოყენების გაგებას. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა მე-4 თავში გრძელდება.

შეჯამება

- ლიბერალები ეწინააღმდეგებიან რეალიზმის კონცეფციას, რომ ვიწრო ინტერესები უფრო რაციონალურია, ვიდრე ორმხრივად მომგებიანი თანამშრომლობა. ნეოლიბერალიზმი ამტკიცებს, რომ ავტონომიური რაციონალური სახელმწიფოების ანარქიულ სისტემაშიც კი შესაძლებელია თანამშრომლობა ნორმების, რეჟიმებისა და ინსტიტუტების მშენებლობის მეშვეობით.
- ორმხრივობის პრინციპი შესაძლოა ეფექტური სტრატეგია იყოს მიმდინარე ურთიერთობებში თანამშრომლობის მისაღწევად, თუმცა თან ახლავს მტრული განწყობების სწრაფად ზრდის ან გამალებული შეიარაღების საფრთხე.
- საზოგადოებრივი საქონელი ჯგუფის თითოეული წევრის მიერ, ინდივიდუალურად შეტანილი წვლილის მიუხედავად მიღებული სარგებელია. საზიარო ნორმები და წესები მნიშვნელოვანია, რომ წევრებმა საზოგადოებრივი საქონლისთვის ხარჯი გაიღონ
- საერთაშორისო რეჟიმები, რომლებშიც ხდება საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებთან დაკავშირებით არსებულ წესებზე სახელმწიფო ლიდერების მოლოდინების თანხვედრა, ხელს უწყობს მსოფლიო მთავრობის არარსებობის პირობებში სტაბილურობის შენარჩუნებას.
- კოლექტიური უსაფრთხოების ფარგლებში, სახელმწიფოთა ჯგუფი თანხმდება კოლექტიურ რეაგირებაზე ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს აგრესიის წინააღმდეგ; გაერო და სხვა მთავრობათშორისო ორგანიზაციები ასრულებენ ამ ფუნქციებს
- საგარეო პოლიტიკა არის სტრატეგია, რომელსაც მთავრობები იყენებენ სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში მოქმედებების წარმართვისთვის. საგარეო პოლიტიკური პროცესი არის პროცედურებისა და სტრუქტურების ერთობლიობა, რომელსაც სახელმწიფოები იყენებენ საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.
- გადაწყვეტილების მიღების რაციონალურ მოდელში, თანამდებობის პირები ირჩევენ ქმედებას, რომლის შედეგებიც ყველაზე უკეთ შეესაბამება სახელმწიფოს გაცხადებულ მიზნებს. ამის საპირისპიროდ, ორგანიზაციული პროცესის მოდელში, გადაწყვეტილებები მიიღება რუტინული ადმინისტრაციული პროცედურებიდან გამომდინარე, სამთავრობო ვაჭრობის (ან ბიუროკრატიული პოლიტიკის) მოდელში, გადაწყვეტილებები მიიღება სამთავრობო უწყებებს შორის მოლაპარაკებებით, რომელთაც შედეგთან მიმართებით განსხვავებული ინტერესები გააჩნიათ. ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიმღებთა მოქმედებებზე გავლენას ახდენს მათი ინდივიდუალური თავისებურებები, ფასეულობები და რწმენები, ასევე ზოგადი ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც განსხვავდება რაციონალურობისგან.
- საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ასევე გავლენას ახდენს ჯგუფების ფსიქოლოგია (მათ შორის ჯგუფური აზროვნება), ამ გადაწყვეტილების მიღების პროცედურები და მონაწილეთა როლები. კრიზისების დროს განსაკუთრებით იზრდება არასწორი აღქმისა და შეცდომის დაშვების ალბათობა.
- შიდა ამომრჩევლებს (ინტერესთა ჯგუფებს) გააჩნიათ გამოკვეთილი ინტერესები საგარეო პოლიტიკაში და ხშირად ცდილობენ პოლიტიკურ ორგანიზებას ამ ინტერესების რეალიზებისთვის
- საზოგადოებრივი აზრი გავლენას ახდენს მთავრობების საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე (უფრო მეტად დემოკრატი-

ულ ქვეყნებში, ვიდრე ავტორიტარულ სახელმწიფოებში). ამავდროულად, მთავრობებიც ახდენენ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას.

- საკანონმდებლო ორგანოები ასრულებენ საზოგადოებრივი აზრისა და ინტერესთა ჯგუფების გამტარი არხის ფუნქციას საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად. აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შესაძლოა განსხვავებული მოსაზრება გააჩნდეთ, თუ როგორ უნდა უზრუნველყონ სახელმწიფოს ინტერესი საუკეთესოდ.
- დემოკრატიულ სახელმწიფოებს ისტორიულად იმდენივე ომში მიუღიათ მონაწილეობა, რამდენშიც ავტორიტარულ სახელმწიფოებს, მაგრამ დემოკრატიული ქვეყნები თითქმის არასდროს ეომებიან სხვა დემოკრატიულ ქვეყნებს. ამას დემოკრატიული მშვიდობა ეწოდება.
- კონსტრუქტივისტები უარყოფენ რეალიზმის პრინციპებს სახელმწიფო ინტერესების შესახებ და აღნიშნულ ინტერესებს ნაწილობრივ სოციალურ ურთიერთქმედებასა და ნორმებს უკავშირებენ
- პოსტმოდერნისტი კრიტიკოსები მთლიანად უარყოფენ რეალიზმის ჩარჩოსა და ენას, უნიტარული სახელმწიფო აქტორების ჩათვლით. პოსტმოდერნისტები ამტკიცებენ, რომ მარტივი კატეგორიებით შეუძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა მრავალი გამოცდილების ასახვა.
- მარქსისტები საერთაშორისო ურთიერთობებს, მათ შორის გლობალური ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურთიერთობებს ეკონომიკურ კლასებს (განსაკუთრებით მუშებსა და მესაკუთრეებს) შორის ბრძოლის ჭრილში განიხილავენ, რომელთაც განსხვავებული საზოგადოებრივი როლები და ძალაუფლებასთან წვდომის განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნიათ.
- მედიაცია და კონფლიქტის მოგვარების სხვა გზები მოლაპარაკებებში ჩართული მხარეებისთვის ზეწოლის განსახორციელებლად ალტერნატიული ბერკეტის ფუნქციას ასრულებენ
- საერთაშორისო ურთიერთობების ფემინისტი მკვლევრები თანხმდებიან, რომ საერთაშორისო ურთიერთობების გასაგებად გენდერი მნიშვნელოვანია, მაგრამ იყოფიან ფემინიზმის სხვადასხვა მიმდინარეობად იმის მიხედვით, თუ როგორ უყურებენ გენდერის როლს;
- განსხვავების ფემინისტები მიიჩნევენ, რომ საშუალოდ მამაკაცები უფრო არიან ომისკენ მიდრეკილები, ვიდრე ქალები. ისინი თვლიან, რომ მართალია ინდივიდუალური ქალი მონაწილეები (როგორების არიან სახელმწიფოს ლიდერები) შესაძლოა ამ განსხვავებას არ ასახავდნენ, თუმცა, დიდი რაოდენობით ქალის მონაწილეობა საერთაშორისო სისტემას უფრო მშვიდობიანს გახდის. ლიბერალი ფემინისტები არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ქალებს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეებს, მნიშვნელოვნად განსხვავებული შესაძლებლობები ან მიდრეკილებები გააჩნიათ. ისინი ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ნებისმიერ როლში ქალები მამაკაცების თანასწორნი არიან. აღნიშნულის მტკიცებულებად ლიბერალ ფემინისტებს მოჰყავთ ისტორიული ან დღევანდელი ქალი ლიდერები და ქალი ჯარისკაცები.
- პოსტმოდერნული ფემინისტები ცდილობენ რეალისტურ დისკურსში არსებული გენდერთან დაკავშირებული ნაგულისხმევი ქვეტექსტების, მათ შორის ძალაუფლების კონცეფციასთან დაკავშირებული სექსუალობის თემების გამოაშკარავებას.

ძირითადი ცნებები

ურთიერთდამოკიდებულება
ნეოლიბერალი
საერთაშორისო რეჟიმი
კოლექტიური უსაფრთხოება
დემოკრატიული მშვიდობა
ინტერესთა ჯგუფები
საზოგადოებივი აზრი
„დროშის გარშემო დარაზმვის“ სინდრომი
საგარეო პოლიტიკური პროცესი
რაციონალური მოდელი
ორგანიზაციული პროცესის მოდელი
სამთავრობო ვაჭრობის მოდელი
არასწორი და სელექციური აღქმები
ინფორმაციის ფილტრები
ოპტიმიზება
დაკმაყოფილება
პერსპექტივის თეორია
ჯგუფური აზროვნება
კონსტრუქტივიზმი
პოსტმოდერნიზმი
ქვეტექსტი
ეკონომიკური კლასები
მარქსიზმი
კონფლიქტის მოგვარება
მედიაცია
პოზიტიური მშვიდობა
მსოფლიო მთავრობა
სამშვიდობო მოძრაობები
განსხვავების ფემინიზმი
ლიბერალური ფემინიზმი
პოსტმოდერნული ფემინიზმი
გენდერული ნაპრალი

კითხვები კრიტიკული აზროვნებისთვის

1. რამდენადაც დემოკრატიული სახელმწიფოები თითქმის არასდროს ეომებიან ერთმანეთს, შედის თუ არა დემოკრატიული სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებში ჩინეთში და სხვა ავტორიტარულ სახელმწიფოებში დემოკრატიზაციის ტალღის გავრცელება? თუ ეს ასეა, მაშინ როგორ შეიძლება ეს ინტერესი შევუთავსოთ დიდი ხნის განმავლობაში არსებულ ნორმას სხვა სუვერენული სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის შესახებ?
2. შეგიძლიათ გაიხსენოთ შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს ქმედებები მკაფიოდ მიყვებოდა კონსტრუირებულ იდენტობას, ვიდრე ობიექტურ ეროვნულ ინტერესებს? სად გაჩნდა ამ იდენტობის საკვანძო იდეები და როგორ მოახდინეს მათ გავლენა სახელმწიფოს ქცევაზე?
3. ინდოეთი და პაკისტანი მეზობლები და მტრები არიან. არასწორი აღქმისა და საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიკერძოებულობის პრობლემების გათვალისწინებით, რა ნაბიჯების გადადგმას შესთავაზებდით თითოეულ მთავრობას, რომ ამ პრობლემებმა ხელი არ შეუშალონ ეროვნული ინტერესების რეალიზებისკენ რაციონალურ სწრაფვას?
4. შეიცვლებოდა თუ არა საერთაშორისო ურთიერთობები სახელმწიფოს ლიდერთა უმრავლესობა ქალი რომ იყოს? რა იქნებოდა განსხვავებული? რა მტკიცებულებები (გენდერული სტერეოტიპების გარდა) ამყარებს თქვენს მოსაზრებას?

მოდით ვიმსჯელოთ:

ქალთა კვოტები საკანონმდებლო ორგანოებში: თანასწორობის ეფექტური ინსტრუმენტი?

მიმოხილვა

დღეს ბევრი ქვეყანა იყენებს გენდერულ კვოტებს საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებისას. ეს განსაკუთრებით ასეა განვითარებადი სამყაროს ახალი დემოკრატიების შემთხვევაში. 2013 წლისთვის, 34 ქვეყანა კანონით ითხოვდა, რომ ქალებმა ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს ერთ-ერთ პალატაში მაინც გარკვეული რაოდენობის ადგილები დაიკავონ და 60 ქვეყანა ითხოვს, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ქალები საპარლამენტო არჩევნების სიებში შეიყვანონ. ქალებისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, მაგალითად, 2 პროცენტია ბანგლადეშში (რომელმაც ასევე ქალი აირჩია პრემიერ მინისტრად, 2009 წელს), ხოლო თითქმის 30 პროცენტი რუანდაში, პარლამენტის ქვედა პალატაში.

ეს კვოტები განსხვავებულია არამხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობის მიხედვით, არამედ იმის მიხედვითაც, თუ როგორ ხდება მათი აღსრულება. ზოგიერთმა ქვეყანამ შეცვალა საკუთარი კონსტიტუციები, რათა უფრო თანაბარი წარმომადგენლობა უზრუნველეყო. ცალკეულმა ქვეყნებმა მიიღეს კანონები (რომელთა შეცვლა უფრო ადვილია, ვიდრე კონსტიტუციის), რათა განესაზღვრათ ქალებისთვის საკანონმდებლო კვოტების მინიმალური რაოდენობა, მაშინ როცა სხვა ქვეყნები ამ პასუხისმგებლობას ძირითადად პოლიტიკურ პარტიებს აკისრებენ. ამ უკანასკნელ შემთხვევებში, პარტიებმა უნდა დაანომინირონ ქალთა გარკვეული რაოდენობა, ვინც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. ეს მეთოდი გარანტირებულ ადგილებს არ უზრუნველყოფს ქალებისთვის (რადგან ისინი შესაძლოა დამარცხდნენ არჩევნებში) თუმცა, ის უზრუნველყოფს ადგილის მოპოვების შესაძლებლობას.

დასავლეთის სახელმწიფოები (განსაკუთრებით ევროპა) და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები ხშირად მხარს უჭერენ გენდერული კვოტების მზარდ პრაქტიკას. დასავლურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ჩართულები არიან დემოკრატიის მხარდაჭერის პროცესებში, უნდა წაახალისონ (ან მოითხოვონ) თუ არა ეს კვოტები? კვოტები ხელს უწყობს თუ პირიქით აზიანებს ქალების თანასწორობის მიზანს განვითარებად სამყაროში?

არგუმენტი 1

საკანონმდებლო კვოტები მნიშნელოვანია თანასწორობისა და განვთარებისთვის

თანაბარი წარმომადგენლობა მნიშვნელოვანია დემოკრატიული მმართველობისთვის. ქალები უმრავლესი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ. შესაბამისად, მათ თანაბარი როლი უნდა ჰქონდეთ პოლიტიკურ პროცესში. ჯანსაღი დემოკრატია მოითხოვს, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს პოლიტიკურ პროცესში ჩართულობის განცდა.

კვოტირების სისტემის გარეშე ქალები დისკრიმინაციის წინაშე აღმოჩნდებიან და მათი პოლიტიკური ჩართულობა დროში გაჭიანურდება. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, მიუხედავად საარჩევნო ხმის უფლების ქონისა, წლები დასჭირდა, რომ ქალები მრავალრიცხოვნად ყოფილიყვნენ წარმოდგენილები საკანონმდებლო ორგანოებში. არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ შეიძლება განვითარებადი სამყარო ამ კუთხით განსხვავებული იყოს. კვოტები დააჩქარებს ქალების ჩართულობას პოლიტიკურ სამყაროში და მისცემს მათ მეტ შესაძლებლობას ჩაერთონ საჯარო პოლიტიკის საკითხებში.

ქალების პოლიტიკური გაძლიერება ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას. კვლე-

ვები აჩვენებს, რომ ქალების გაძლიერებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას განვითარებად სამყაროში (იხ. თავი 7). კვოტებმა შესაძლოა დააჩქაროს ქალების გაძლიერების პროცესი. გარდა ამისა, ეკონომიკური რეფორმის ტვირთი ხშირად არაპროპორციულად ქალებს აწვებათ. შესაბამისად, ჰქონდეთ ქალებს უფრო მეტი ხმა, თუ როგორ ხორციელდება ეს რეფორმა, მნიშვნელოვანია.

არგუმენტი 2

საკანონმდებლო კვოტები არ შეუწყობს ხელს თანასწორობას და არადემოკრატიულია

კვოტებმა შესაძლოა ქალების მიმართ მტრული განწყობები გამოიწვიოს. საკანონმდებლო ორგანოებში ადგილების გამოყოფამ შესაძლოა ნეგატიური შედეგები გამოიწვიოს ქალთა უფლებების თვალსაზრისით. სხვა ჯგუფებმა (ეთნიკურმა, რელიგიურმა, და სხვებმა) შესაძლოა ასევე კვოტები მოითხოვონ და ამით მტრული პოლიტიკური გარემო შექმნან. შედეგი შეიძლება იყო პოლიტიკური არასტაბილურობა, რადგან სხვადასხვა ჯგუფები მოითხოვენ სამართლებრივად გარანტირებულ ადგილებს საკანონმდებლო ორგანოში.

კვოტები არადემოკრატიულია. დემოკრატიის პრინციპია, რომ ყველას ჰყავდეს წარმომადგენელი, მიუხედავად რასის, გენდერის, ეთნიკურობის ან სხვა პიროვნული თვისებებისა. გენდერული კვოტები, თავისი არსიდან გამომდინარე, არღვევს ამ იდეას, რადგან ადგილებს გამოყოფს ერთი კონკრეტული ჯგუფისთვის ისეთ პიროვნულ მახასიათებლებზე დაყრდნობით, რაც არაელევანტურია ამ პიროვნების კვალიფიკაციის კონტექსტში;

კვოტები უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას, რაც დასავლური პრინციპია. ინდივიდუალური უფლებების იდეა ადამიანის უფლებების დასავლური ტიპის კონცეფციაა. გენდერული კვოტების წახალისების ნაცვლად, ადგილობრივ კულტურებთან უფრო მეტად თავსებადი პოლიტიკების მხარდაჭერა უნდა მოხდეს.

კითხვები

- უნდა წახალისდნენ თუ არა განვითარებადი ქვეყნები, რომ გამოიყენონ გენდერული კვოტები პოლიტიკურ პროცესში უფრო მეტი ქალის ჩართვის მიზნით? არღვევს თუ არა ეს იდეა დემოკრატიული წარმომადგენლობის იდეას? საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ძირითადად კაცებით არის დაკომპლექტებული ასევე არღვევს თუ არა დემოკრატიული წარმომადგენლობის პრინციპს?
- გაქვთ თუ არა მოლოდინი, რომ საკანონმდებლო ორგანოები ქალების განსხვავებული რაოდენობით განსხვავებულ ან მსგავს პოლიტიკებს გაატარებენ? გაიხსენეთ ლიბერალური და განმასხვავებელი ფემინისტების არგუმენტები. რა პრობლემებს გააკეთებენ ამ თეორიების მხარდამჭერები?
- საკანონმდებლო კვოტების გარდა, კიდევ სხვა რა გზები შეიძლება არსებობდეს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდასაჭერად? საჭიროა თუ არა ეს ნაბიჯები მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომელთაც დემოკრატიის გამოცდილება არ აქვთ, თუ ძველ დემოკრატიებშიც?

დამატებითი საკითხავი:

- Goetz, Anne Marie. Governing Women: Women's Political Effectiveness in Contexts of Democratization and Governance Reform. Routledge, 2008.
- Hartmann, Heidi. Gendering Politics and Policy: Recent Developments in Europe, Latin America, and the United States. Routledge, 2006.
- Irving, Helen. Gender and the Constitution: Equity and Agency in Comparative Constitutional Design. Cambridge, 2008.
- Tremblay, Manon. Women and Legislative Representation: Electoral Systems, Political Parties, and Sex Quotas. Palgrave, 2008.

თავი 4

კონფლიქტი, ომი და ტერორიზმი



Hani Al-Ansi/picture-alliance/dpa/AP Images

ჰუსიტი ამბოხებული იემენში, 2017 წ.

სასწავლო მიზნები

4.1 განასხვავეთ ორი სხვადასხვა თეორია ომის მიზეზების შესახებ ანალიზის ორ სხვადასხვა დონეზე

4.2 გამოყავით სულ მცირე ოთხი საერთაშორისო კონფლიქტი, რომლის წარმოქმნაში ან გამწვავებაში რელიგიამ ითამაშა როლი

4.3 მიმოიხილეთ ორი საერთაშორისო ტერიტორიული დავა და შეაფასეთ მათი მშვიდობიანი მოგვარების პერსპექტივები

4.4 შედარეთ ერთმანეთს გავლენის მოხდენის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები

4.5 შეაფასეთ ახალი ტექნოლოგიების მნიშვნელობა ომის ბუნების ტრანსფორმირებაში

4.6 შეაფასეთ კონტრტერორიზმის ორი სხვადასხვა მიდგომის შესაძლო უპირატესობები და ნაკლოვანებები

4.7 შეადარეთ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის გლობალური რეჟიმის ეფექტიანობა ქიმიური იარაღის გაუვრცელებლობის გლობალური რეჟიმის ეფექტიანობას

4.8 ახსენით, როგორ შეიძლება დააზარალოს სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობებში არსებულმა დაძაბულობამ სამხედრო ოპერაციები და პოლიტიკურ სტაბილურობასაც კი შეუქმნას საფრთხე

4.1 ომები მსოფლიოში

განასხვავეთ ორი სხვადასხვა თეორია ომის მიზეზების შესახებ ანალიზის ორ სხვადასხვა დონეზე.

მე-3 თავში მსოფლიოში ომების რაოდენობისა და მასშტაბის შემცირების ტენდენცია განვიხილეთ. წინამდებარე თავი ეძღვნება მიმდინარე ომებს და ისტორიულ შემთხვევებს, რათა ავხსნათ საერთაშორისო კონფლიქტების მიზეზები.

გრაფიკი 4.1. გვიჩვენებს 2018 წლის მაისის მდგომარეობით მიმდინარე 14 ომს. აქედან ყველაზე მასშტაბურია ომები სირიაში, ავღანეთსა და ერაყში. 14 ომიდან 13 მიმდინარეობს გლობალურ სამხრეთში. უკრაინისა და ფილიპინების გარდა, ყველა ეს ომი მოქცეულია ე.წ აქტიური ომების ზონაში (გამოყოფილია რუკაზე), რომელიც აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის ნაწილებს მოიცავს.[1]


ოთხ უფრო პატარა ზონაში (რუკაზე აღნიშნულია წერტილოვანი ხაზების სახით) მოქცეულია უკანასკნელ ათწლეულებში დასრულებული ომები. ამ ზონებში მყოფი ზოგიერთი სახელმწიფო კვლავაც ომისშემდგომ რთულ ვითარებაშია და იქ ძალადობის განახლების ალბათობა ისევ არსებობს. მაგალითად, სიერა-ლეონეში ათწლიანი სამოქალაქო ომი 2002 წელს დასრულდა, მაგრამ პერიოდული პოლიტიკური არასტაბილურობა კვლავაც შეიცავს კონფლიქტის ხელახლა გაღვივების საფრთხეს. კოლუმბიაში ამბოხებულთა ყველაზე დიდმა ჯგუფმა განიარაღება დაიწყო 2016 წელს, მაგრამ ზოგი შიშობს, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში შეიძლება მოვიდეს ისეთი მთავრობა, რომელიც სამშვიდობო შეთანხმების წინააღმდეგი იქნება. ასევე, მართალია, ფილიპინებზე ბოლო წლებში გამწვავდა კონფლიქტი, მაგრამ სამხრეთი აზიის უდიდესი ნაწილი მშვიდობიანია. მართლაც, ომგამოვლილ ადგილებში სამშვიდობო შეთანხმებების უმრავლესობა კვლავ ძალაშია.

4.1.1 ომის ტიპები

ტერმინი ომი ბევრ განსხვავებულ ქმედებას აღნიშნავს. შესაბამისად, ადვილი არ არის იმის თქმა, თუ რამდენი ომი მიმდინარეობს ამჟამად მსოფლიოში. თუმცა, ომების სიის შედგენისას უმრავლეს შემთხვევაში ითვალისწინებენ გარკვეულ მინიმალურ კრიტერიუმს, მაგალითად სულ მცირე 1 000 დაღუპულს ბრძოლის ველზე. ამის მიზანია, ომი განვასხვავოთ სხვა, შედარებით მცირე დონის ძალადობისგან, მაგალითად ძალადობრივი გაფიცვების ან არეულობისგან.

1 2022 წლიდან უკრაინს ომიც აქტიურ ფაზაშია. რედ. შენ.

გრაფიკი 4.1 მსოფლიოში მიმდინარე ომები, 2018 წლის მაისის მდგომარეობით



ერთი წლის განმავლობაში დაღუპულთა რაოდენობა >1000

ერთი წლის განმავლობაში დაღუპულთა რაოდენობა <1000

აქტიური ომების ზონა

პოსტსაომარი ტრანზიციის ზონები ბოლო ათწლეულებში

ომები ძალიან მრავალფეროვანია. ომები შეიძლება სხვადასხვა ვითარებაში დაიწყოს და კონფლიქტებშიც განსხვავებული როლი შეასრულოს. დავიწყოთ მასშტაბური ომებიდან, სადაც შემდეგი კატეგორიები შეიძლება გამოვყოთ.

ჰეგემონური ომი (hegemonic war)
ომი მთელი მსოფლიო წესრიგის, ანუ მთლიანად საერთაშორისო სისტემის წესების საკონტროლოდ. ასევე უწოდებენ *მსოფლიო ომს, გლობალურ ომს, ძირითად ომს ან სისტემურ ომს.*

ჰეგემონური ომი არის ომი მთელი მსოფლიო წესრიგის, მთლიანად საერთაშორისო სისტემის წესების საკონტროლოდ, ანუ ომი მსოფლიო ჰეგემონობისთვის (იხ. თავი 2). ამ ტიპის ომს ასევე უწოდებენ *მსოფლიო ომს, გლობალურ ომს, ძირითად ომს* ან *სისტემურ ომს*. უკანასკნელი ჰეგემონური ომი იყო მეორე მსოფლიო ომი. თანამედროვე შეიარაღების გამანადგურებელი ძალის გათვალისწინებით, ასეთი ტიპის ომი, ალბათ, უკვე ისე ვეღარ მოხდება, რომ ცივილიზაციაა არ მოსპოს.

ტოტალური ომი (total war)
ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს დაპყრობისა და ოკუპაციისკენ მიმართული საომარი მოქმედება. თანამედროვე ტოტალური ომი სათავეს იღებს ნაპოლეონის ომებიდან, რომლებიც ეყრდნობოდა საყოველთაო მობილიზაციას.

ტოტალური ომი არის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს დაპყრობისა და ოკუპაციისკენ მიმართული საომარი მოქმედება. ასეთი ომის მიზანს წარმოადგენს მოწინააღმდეგის დედაქალაქამდე მიღწევა, ხელისუფლების დანებებაზე იძულება და მისი ჩაანაცვლება გამარჯვებულის მიერ შერჩეული ხელისუფლებით. ჩვენთვის ნაცნობი სახით ტოტალური ომი სათავეს იღებს ნაპოლეონის ომებიდან, რომლის დროსაც პირველად შემოიღეს ჯარში საყოველთაო გაწვევა და საფრანგეთის მთლიანი ეკონომიკა ომზე გადაერთო. ტოტალურ ომში მთელი საზოგადოება საბრძოლოდაა მობილიზებული და მოწინააღმდეგის მთელი საზოგადოებაც ლეგიტიმურ სამიზნედ განიხილება.

შეზღუდული ომი (limited war)
ომი შეზღუდული ამოცანებით, რომელიც არ ისახავს მიზნად მოწინააღმდეგის დანებებას და მის ოკუპაციას.

შეზღუდული ომი მოიცავს სამხედრო მოქმედებებს გარკვეული ამოცანების მისაღწევად, რომელიც არ ითვალისწინებს მოწინააღმდეგის დანებებას ან მის ოკუპაციას. მაგალითად, 1991 წელს ერაყის წინააღმდეგ ომში აშშ-ის თაოსნობით მოქმედმა კოლიციამ გაათავისუფლა ქუვეითის ტერიტორია, მაგრამ აღარ გაულაშქრია ბაღდადზე სადამ ჰუსეინის მთავრობის დასამხობად. ბევრი სასაზღვრო ომი სწორედ ასეთ ხასიათს ატარებს. სასურველი ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ, სახელმწიფომ შეიძლება შეაჩეროს შეტევა და გადაერთოს უკვე მოპოვებულის დაცვაზე, როგორც ეს რუსეთმა გააკეთა 2008 წელს, როდესაც ქართულ ჯარს აიძულა, დაეტოვებინა საქართველოს სადავო რეგიონები.

რეიდი შეზღუდული ომია, რომელიც ერთი საბრძოლო მოქმედებისგან შედგება – ეს შეიძლება იყოს დაბომბვა ან სწრაფი სახმელეთო ოპერაცია. 2007 წელს ისრაელის სამხედრო ავიაციამ დაბომბა სირიაში მდებარე ადგილი, სადაც, ისრაელის ინფორმაციით, ბირთვული კვლევის ობიექტი იყო განთავსებული. რეიდები „ომსა" და „არაომს" შორის ექცევა, რადგან მისი დამანგრეველი ძალა შეზღუდულია და თავადაც სწრაფად სრულდება. რეიდი, რომელიც მეორდება, ან სამაგიეროს მიზღვის ციკლში გადადის, შეზღუდულ ომად ან *მცირე ინტენსივობის კონფლიქტად* გარდაიქმნება.

სამოქალაქო ომი აღნიშნავს ომს სახელმწიფოს შიგნით მოქმედ დაჯგუფებებს შორის, რომლებიც ცდილობენ, შექმნან ახალი მთავრობა

ან არ დაუშვან ახალი მთავრობის ჩამოყალიბება, მთელი ქვეყნის მასშტაბით ან მის კონკრეტულ ტერიტორიაზე. (მიზანი შეიძლება იყოს მთლიანი მმართველობითი სისტემის შეცვლა, მმართველი პირების ჩანაცვლება ან რეგიონის გამოყოფა ცალკე სახელმწიფოდ). 1860-იანი წლების აშშ-ის სამოქალაქო ომი სეცესიონისტური სამოქალაქო ომის კარგი მაგალითია, ისევე როგორც ომი ეთიოპიის პროვინცია ერიტრიაში (ამჟამად საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო). 1980-იან წლების სალვადორის ომი მთელი ქვეყნის კონტროლის მიზნით მიმდინარე სამოქალაქო ომის (და არა სეცესიონისტურის) მაგალითია. სამოქალაქო ომები ხშირად ყველაზე სასტიკი ომებია. სალვადორის სამოქალაქო ომში 50 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის მასობრივი ხოცვა-ჟლეტისა და სიკვდილის ბრიგადების გამო. ეს მსხვერპლი არ იყო განპირობებული ეთნიკური განსხვავებებით. რა თქმა უნდა, ბევრი დღევანდელი სამოქალაქო ომი სწორედ ეთნიკური ან კლანური კონფლიქტის ნიადაგზეა დაწყებული. მაგალითად, პრეზიდენტის მოწინააღმდეგე კლანებისგან შემდგარმა მეამბოხეთა ჯგუფმა კინაღამ დაამხო მთავრობა ჩადში 2007 წელს. სამოქალაქო ომის წარმოებისთვის მეამბოხეებს უნდა ჰქონდეთ მხარდაჭერის წყარო, რომელიც შეიძლება მოდიოდეს მეზობელი სახელმწიფოებისგან, სხვა ქვეყნებში მცხოვრები დიასპორისგან, ასევე ბუნებრივი რესურსების რეალიზაციიდან ან ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობით მიღებული შემოსავლიდან.

სამოქალაქო ომი (civil war)
ომი სახელმწიფოს შიგნით მოქმედ დაჯგუფებებს შორის, რომლებიც ცდილობენ, შექმნან ახალი მთავრობა ან არ დაუშვან ახალი მთავრობის ჩამოყალიბება, მთელი ქვეყნის მასშტაბით ან მის კონკრეტულ ტერიტორიაზე.

პარტიზანული ომი, რომელიც გარკვეული ტიპის სამოქალაქო ომებს მოიცავს, გულისხმობს ფრონტის ხაზების გარეშე მიმდინარე საომარ მოქმედებებს. პარტიზანული ომის დროს, არარეგულარული შეიარაღებული ძალები მოქმედებენ მშვიდობიან მოსახლეობაში, ხშირად მათ საფარქვეშ ან მათი დაცვით. ასეთი ომის მიზანს წარმოადგენს არა უშუალო დაპირისპირება მოწინააღმდეგის არმიასთან, არამედ ამ უკანასკნელის შევიწროება და დასჯა, ამ გზით მისი სამოქმედო არეალის თანდათანობით შეზღუდვა და მის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გათავისუფლება. მეამბოხეები ასეთ მეთოდებს იყენებენ სამოქალაქო ომების უმრავლესობაში. აშშ-ის შეიარაღებული ძალები 1960-1970-იან წლებში სამხრეთ ვიეტნამში ვიეტკონგის პარტიზანების წინააღმდეგ იბრძოდნენ, რაც მზარდი იმედგაცრუების ფონზე ხდებოდა (პარტიზანული არმიის წინააღმდეგ ბრძოლა, ანუ ანტიპარტიზანული ომი განხილულია ქვემოთ). ფიქსირებული ფრონტის ხაზის გარეშე, არსებობს ფართო ტერიტორია, რომელსაც ვერც ერთი მხარე ვერ აკონტროლებს, ანუ ორივე მხარე ერთი და იგივე ტერიტორიაზე იყენებს სამხედრო ბერკეტებს. ხშირად, მთავრობა აკონტროლებს დასახლებას დღის განმავლობაში, ხოლო პარტიზანები – ღამით. შედეგად, პარტიზანული ომები დიდ დარტყმას აყენებს მშვიდობიან მოსახლეობას, რომელიც ყველაზე მეტად ზარალდება, როდესაც კონკრეტულ ადგილს ვერც ერთი სამხედრო ძალა ვერ აკონტროლებს, რადგან ეს ხელს უწყობს ყაჩაღობას, პირად შურისძიებას, სექსუალურ ძა-

პარტიზანული ომი (guerrilla war)
საომარი მოქმედებები ფრონტის ხაზების გარეშე, არარეგულარული შეიარაღებული ძალებით, რომლებიც მოქმედებენ მშვიდობიან მოსახლეობაში, ხშირად ამ უკანასკნელთა საფარქვეშ ან მათი დაცვით.

ლადობას და სხვა უკანონო ქმედებებს. ვითარებას ორმაგად მტკივნეულს ხდის ის, რომ პარტიზანების წინააღმდეგ მებრძოლი კონვენციური არმია ხშირად ერთმანეთისაგან ვერ არჩევს პარტიზანებსა და მშვიდობიან მოსახლეობას და ორივეს წინააღმდეგ ახორციელებს სადამსჯელო ღონისძიებებს. სამხრეთ ვიეტნამში მომხდარი ერთი გახმაურებული შემთხვევის დროს, აშშ-ის არმიის ოფიცერმა მთელი სოფლის გადაწვის ბრძანება გასცა, რათა ვიეტკონგს ის თავშესაფრად არ გამოყენებინა. საკუთარ საქციელს მან ასეთი განმარტება მისცა: „სოფელი იმიტომ უნდა გაგვენადგურებინა, რომ გადაგვერჩინა.“[2] საომარი მოქმედებები სულ უფრო იძენს არარეგულარულ და პარტიზანულ ხასიათს. დიდ არმიებს შორის კონვენციური შეტაკებები სულ უფრო და უფრო იშვიათად ხდება.

ნებისმიერი ტიპის ომის შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა თეორიები და აბსტრაქციები სრულად ვერ აღწერს იმ საშინელებებს, რომლის გამოვლაც უწევთ უშუალო მონაწილეებს – ჯარისკაცებსა და სამოქალაქო პირებს. ომი ნორმალური ქცევის ყველა ელემენტარულ ნორმას აჩერებს და დროთა განმავლობაში მონაწილეთა და ამბის შემსწრეთა ტრავმირებას იწვევს. ჯარისკაცები საკუთარი თვალით ხედავენ, თუ როგორ იღუპებიან მათი საუკეთესო მეგობრები, თვითონაც უწევთ ადამიანების მოკვლა და დასახიჩრება. ამის შედეგად მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმა ზოგიერთს ცხოვრების ბოლომდე მიჰყვება. მშვიდობიან მოსახლეობას უწევს ტერორის, ძალადობის და გაუპატიურების გადატანა. ისინი კარგავენ საყვარელ ადამიანებს და საცხოვრებელ სახლებს. ძალიან ხშირად ისინიც ტრავმირებულები რჩებიან. ომის ძალადობა არ ჰგავს ომის შესახებ ფილმებში ნაჩვენებს. დამთგრუნველი გაუკრველობა, ხმაურის, შიშის და ადრენალინის ერთობლიობა თითქმის ფსიქოზურ განცდას ქმნის. პროფესიული არმიების ჯარისკაცები ასეთ პირობებში ქმედუნარიანობის შესანარჩუნებლად სპეციალურ წვრთნებს გადიან, მაგრამ მაინც უჭირთ ამ რთული ამოცანის შესრულება. სამოქალაქო ომებში ჩართულ არარეგულარულ შეიარაღებულ ძალებსა და მშვიდობიან მოსახლეობას კი ამ ვითარებასთან გამკლავების ძალიან მცირე შანსი აქვთ. ომის საშინელებები კიდევ უფრო იზრდება გენოციდისა და მასობრივი ხოცვა-ჟლეტის დროს, ბავშვი ჯარისკაცების გამოყენებისას



იარაღის ჩაბარება მას შემდეგ რაც შეიარაღებული დაჯგუფებები ცეცხლს შეწყვეტენ, იწყება ომისშემდგომი ტრანზიციის ხანგრძლივი პროცესი. ამ ტრანზიციის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს შეიარაღებული დაჯგუფებების განიარაღება და დემობილიზაცია, რაც ამავდროულად ყველაზე რთული საკითხია, რადგან განიარაღებული ჯგუფები მოწყვლადი ხდებიან. წარმოდგენილ სურათზე ნაჩვენებია, როგორ აბარებს იარაღს კოლუმბიის ყველაზე მთავარი მეამბოხეთა დაჯგუფის წევრი იარაღს დემობილიზაციის ბანაკში, 2016 წ.

2 „მაიორი ხსნის გადაწყვეტილებას“. ნიუ-იორკ ტაიმსი, 8 თებერვალი, 1968

და წლობით მიმდინარე სისხლისმღვრელი საომარი მოქმედების შემთხვევაში.

უკანასკნელ წლებში, მკვლევრები და პოლიტიკის შემოქმედნი უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ომიდან მშვიდობისკენ მიმართულ რთულ ტრანზიციებს, იქნება ეს ომისშემდგომი შერიგება, კონფლიქტის გადაწყვეტა, დაპირისპირებული ჯგუფების მონაწილეობით გარდამავალი მთავრობების ფორმირება, ეკონომიკური რეკონსტრუქცია თუ სხვა. ეს საკითხები ხშირად დაკავშირებულია მხარეთა შორის საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის მოგვარებასთან. მაგალითად, 2007 წელს სომალის კლანთა უხუცესები შეთანხმდნენ, რომ ყველასთვის უმჯობესი იქნებოდა ახალი ცენტრალური ხელისუფლებისთვის იარაღის ჩაბარება, მაგრამ არავის უნდოდა, რომ პირველი ყოფილიყო. ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, საერთაშორისო სამშვიდობო ძალები და არასამთავრობო ორგანიზაციები ყურადღებას ამახვილებენ უსაფრთხოების სექტორის რეფორმაზე, რომლის მიზანიც შეიარაღებული დაჯგუფებების ადგილზე პროფესიონალური შეიარაღებული და საპოლიციო ძალების შექმნაა. განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესი[3] ეხება სწორედ ამ საერთო პრობლემას, თუ რა უყონ არარეგულარულ შეიარაღებულ ძალებს სამოქალაქო ომის შემდეგ.

რამდენიმე ქვეყანაში, სადაც ხანგრძლივმა საშინაო ომებმა 1990-იან წლებში დეჰუმანიზაცია და მასობრივი ხოცვა-ჟლეტა გამოიწვია (განსაკუთრებით აღსანიშნავია სამხრეთ აფრიკა), ახალმა მთავრობებმა საზოგადოებრივი იარების მოშუშებისა და აქცენტების მომავალზე გადატანის მიზნით, **სიმართლის დამდგენი კომისიები** შექმნეს. კომისიების დანიშნულებას წარმოადგენდა გულახდილი ჩვენებების მოსმენა, რეალურად მომხდარი მოვლენების დღის სინათლეზე გამოტანა და ამის სანაცვლოდ, მონაწილეთა უმრავლესობის სასჯელისგან გათავისუფლება. ზოგჯერ ამ პროცესს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმარებოდნენ. თუმცა, ადამიანის უფლებათა დამცველმა ჯგუფებმა გააპროტესტეს 1999 წელს სიერა-ლეონეში მიღწეული შეთანხმება, რის შედეგადაც ქვეყნის მთავრობაში მოხვდა ჯგუფი, რომელიც, დაშინების მიზნით, რეგულარულად იყენებდა მშვიდობიანი მოსახლეობისთვის თითების მოკვეთის პრაქტიკას (დაპირისპირება საბოლოოდ 2001 წელს დასრულდა). 2006 წელს, ციხეში მყოფმა კოლუმბიის მემარჯვენე შეიარაღებული დაჯგუფებების ლიდერებმა მოითხოვეს სიმართლის დამდგენი კომისიის შექმნა, რომლის წინაშეც ისინი შეძლებდნენ ხანგრძლივ სამოქალაქო ომში საკუთარ როლზე საუბარს, მაგრამ ასევე აიძულებდნენ მთავრობას, ეღიარებინა, რომ მათაც აზარალეს სამოქალაქო მოსახლეობა. კოლუმბიის 2017 წლის სამშვიდობო შეთანხმების ფარგლებში სიმართლის დამდგენმა კომისიამ მუშაობა დაიწყო იმავე წლის დეკემბერში. ამდენად, სასტიკი ეთნიკური კონფლიქტების დასრულების შემდეგ იწყება რთული პოლიტიკური

3 ჟარგონზე DDR – Disarmament, Demobilization, and Reintegration. *რედ. შენ.*

დარეგულირების პროცესი, რა დროსაც მთავრობების უმრავლესობა ცდილობს დაიცვას ბალანსი, ერთი მხრივ, სამართლიანობასა და სიმართლის დადგენის საჭიროებას და მეორე მხრივ, ყველა ჯგუფს შორის თანხმობის შენარჩუნებას შორის.

სიმართლის დამდგენი კომისიები (truth commissions)
ზოგიერთ სახელმწიფოში სამინაო ომების შემდეგ შექმნილი სამთავრობო ორგანოები, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს ომის პერიოდის მიუკერძოებელი აღწერა და მომხდარი მოვლენების დღის სინათლეზე გამოტანა, რის საწაცვლოდაც ომში მონაწილეთა უმრავლესობა სასჯელისგან თავისუფლდება.

ექსპერტებს შორის არ არსებობს კონსენსუსი, თუ რა დოზითაა სიმართლე და შერიგება საჭირო ხანგრძლივი კონფლიქტის შემდეგ. ზოგიერთის მტკიცებით, ტრანზიციულ სახელმწიფოებში ტრიბუნალებმა და წარსულში ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად მთავრობის ხელშეწყობით ჩამოყალიბებულმა კომისიებმა რიგ შემთხვევაში შესაძლოა პოლიტიკურ არასტაბილურობას შეუწყოს ხელი. აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმებიან სხვა ექსპერტები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ასეთი ორგანოების საქმიანობა არსებითია ნდობის აღდგენის პროცესში, რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიისთვის.

4.1.2 თეორიები ომის მიზეზების შესახებ

დაახლოებით 2000 წლის წინ, რომაელმა მოაზროვნე სენეკამ თქვა: „ადამიანებს ომის შედეგი აინტერესებთა და არა მიზეზი.“[4] ეს გამონათქვამი პოლიტიკის მეცნიერებზე არ ვრცელდება, რადგან მათ აინტერესებთ, თუ რატომ ომობენ სახელმწიფოები.

კონფლიქტი (conflict)
სადავო სიტუაციის სასურველ გამოსავალთან დაკავშირებით არსებული უთანხმოება.

საერთაშორისო ურთიერთობებში ტერმინი **კონფლიქტი (conflict)** ზოგადად შეიარაღებული კონფლიქტის აღსანიშნავად გამოიყენება. თავის მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტი მუდამ არსებობს, რადგან ეს არის გარემოება, რომლის გარშემოც მიმდინარეობს დავა და ვაჭრობა. კონფლიქტებთან დაკავშირებით ურთიერთქმედების დროს, სახელმწიფოები ივითარებენ შესაძლებლობებს, რაც მათ უფრო ხელსაყრელი შედეგის მიღწევის საშუალებას აძლევს, ვიდრე სხვაგვარად მიაღწევდნენ. ამ პროცესის საბოლოო შედეგი, მიუხედავად იმისა, სამართლიანია ის თუ უსამართლო, კონკრეტული კონფლიქტის გადაჭრაა. თუმცა, კონფლიქტებს იშვიათად მივყევართ ძალადობამდე.

საკითხს, თუ როდის ხდება კონფლიქტი ძალადობრივი, შესაძლოა რამდენიმე მხრიდან მივუდგეთ. დესკრიფციული მიდგომები, რასაც ისტორიკოსები ანიჭებენ უპირატესობას, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებს ომის დაწყების კონკრეტულ, უშუალო მიზეზებზე, რომლებიც ომიდან ომამდე ერთმანეთისგან განსხვავდება. მაგალითად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ პირველი მსოფლიო ომი „გამოიწვია“ერცჰერცოგ ფრანც ფერდინდის მკვლელობამ 1914 წელს. უფრო თეორიული მიდგომები, რომელთაც პოლიტიკის მეცნიერები იზიარებენ, ეძიებს უფრო ზოგადად ახსნებს, რომლებიც შეიძლება მოერგოს განსხვავებულ კონტექსტებს, ანუ რატომ იწყება ომები ზოგადად. მაგალითად, ზოგიერთმა პირველი

4 Seneca, Hercules Furens. *In Seneca's Tragedies.* Vol. 1. Translated by Frank Justus Miller. Heinemann, 1917

მსოფლიო ომის მიზეზად შეიძლება დაასახელოს ევროპულ სახელმწიფობს შორის ძალთა ბალანსის ცვლილება, ხოლო ერცჰერცოგის მკვლელობამ, მათი აზრით, მხოლოდ კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა.

ერთ-ერთი გზა, თუ როგორ დავაჯგუფოთ პოლიტიკის მეცნიერთა მიერ ომების დაწყების შესახებ შემოთავაზებული მრავალი თეორია, არის პირველ თავში განხილული ანალიზის დონეების კონცეფცია. აღნიშნული ჩარჩოს გამოყენება გვახსენებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი მოვლენები განპირობებულია ანალიზის სხვადასხვა დონეებზე არსებული სხვადასხვა მიზეზებით.

ინდივიდუალური დონე. ანალიზის ინდივიდუალურ დონეზე ომის თეორიები რაციონალურობის გარშემოა კონცენტრირებული. რეალიზმთან თანხვედრაში მყოფი ერთ-ერთი თეორია ამტკიცებს, რომ საერთაშორისო კონფლიქტებში ომისა და ზეწოლის სხვა ძალადობრივი ბერკეტების გამოყენება ნორმალურია და სახელმწიფო ლიდერების *რაციონალურ* გადაწყვეტილებებს ასახავს.

საპირისპირო თეორია კი მიიჩნევს, რომ კონფლიქტების ომებად ესკალაცია ხდება სახელმწიფო ლიდერების მიერ ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინფორმაციული ნაკადის მართვისას რაციონალურობიდან დევიაციის გამო (იხ. თავი 3), რისი მაგალითებიცაა – კოგნიტური მიკერძოება, ჯგუფური აზროვნება და ა.შ. ამ თეორიასთან დაკავშირებული თეორია კი ამბობს, რომ კონფლიქტების ძალადობაში გადასვლა დამოკიდებულია ინდივიდების განათლებასა და მენტალობაზე. ამ ხედვის თანახმად, საჯარო ნაციონალიზმმა ან ეთნიკურმა სიძულვილმა, ან თუნდაც ადამიანის ბუნებაში თანდაყოლილად არსებულმა ძალადობისკენ მიდრეკილებამ, შეიძლება ლიდერებს კონფლიქტების ძალადობრივი გადაწყვეტისკენ უბიძგოს.

არც ერთი ეს თეორია სრულყოფილი არ არის. ზოგიერთი ომი ნამდვილად გამოხატავს სახელმწიფო ლიდერების რაციონალურ გადაწყვეტილებებს, ხოლო ზოგიერთი ომი ნამდვილად შეცდომების შედეგი იყო და რაციონალურად ვერ ჩაითვლება. ზოგიერთი ლიდერი მართლაც მიდრეკილია სამხედრო ძალის გამოყენებისკენ კონფლიქტების სასურველი შედეგით გადასაწყვეტად. თუმცა, ომის შემოქმედი შეიძლება მშვიდობის შემოქმედადაც იქცეს, როგორც ეს ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ სადათის შემთხვევაში მოხდა. ასევე, ომები დაუწყიათ სხვადასხვა კულტურული ფესვებისა და რელიგიური აღმსარებლობის მქონე ლიდერებს და მათ შორის იყვნენ როგორც კაცები ისე ქალები.

შიდა დონე. ანალიზის შიდა დონე ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოების ან საზოგადოებების ისეთ მახასიათებლებზე, რომლებმაც შეიძლება ისინი უფრო მეტად ან ნაკლებად მიდრეკილი გახადოს კონფლიქტების ძალადობრივი გზით გადაწყვეტისკენ. ცივი ომის დროს, მარქსისტები ხშირად აცხადებდნენ, რომ აგრესიულ და ხარბ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ახასიათებდათ საერთაშორისო კონფლიქტებში ძალა-

დობის გამოყენებისკენ მიდრეკილება, ხოლო დასავლელი ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ კომუნისტური სახელმწიფოების ექსპანსიონისტური, იდეოლოგიური და ტოტალიტარული ბუნება განაპირობებდა მათ განსაკუთრებულ მიდრეკილებას ძალადობისაკენ. რეალურად, ორივე ტიპის საზოგადოება რეგულარულად აწარმოებდა ომებს.

ანალოგიურად, ომებში ერთვებიან როგორ მდიდარი და ინდუსტრიული, ისე ღარიბი და აგრარული სახელმწიფოები. ანთროპოლოგებმა გამოიკვლიეს, რომ წინააგრარული, მონადირე-შემგროვებელი საზოგადოებები გაცილებით უფრო მეტად იყვნენ ომისკენ მიდრეკილნი, ვიდრე დღევანდელი საზოგადოებები. შესაბამისად, ნათელია, რომ ომისკენ მიდრეკილება საყოველთაოა და არსებობს ნებისმიერ კულტურაში, საზოგადოების ტიპსა თუ დროის პერიოდში. თუმცა, ომის მნიშვნელობა და სიხშირე მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა შემთხვევაში.

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ საშინაო პოლიტიკური ფაქტორები განსაზღვრავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ომისა და მშვიდობის მიმართ. მაგალითად, დემოკრატიული მშვიდობის თეორია ამბობს, რომ დემოკრატიები თითქმის არასდროს ეომებიან სხვა დემოკრატიებს (იხ. თავი 3), მაგრამ დემოკრატიული და ავტორიტარული სახელმწიფოები ერთმანეთში ომობენ. მეცნიერთა ბოლო დროის კვლევების მიხედვით, ზოგიერთი ავტორიტარული სახელმწიფო (მაგალითად, ერთი პარტიის მიერ მართული), შეიძლება შედარებით უფრო მშვიდობიანი იყოს, ვიდრე სხვა ტიპის (მაგალითად, დიქტატორების მიერ მართული). სხვები ირწმუნებიან, რომ პოლიტიკური პარტიები, ინტერესთა ჯგუფები და კანონმდებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო კონფლიქტების საერთაშორისო ომებად გადაქცევაში.

ცოტაა ისეთი სასარგებლო განზოგადება, რომელსაც შეუძლია მიგვითითოს, თუ რომელი საზოგადოებებია უფრო მეტად ან ნაკლებად მიდრეკილი ომისკენ. ერთი და იგივე საზოგადოება შეიძლება ძალიან შეიცვალოს დროთა განმავლობაში. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომამდე იაპონია მიდრეკილი იყო საერთაშორისო კონფლიქტებში ძალადობის გამოყენებისკენ, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის ძალადობისკენ ასე მიდრეკილი აღარაა. თუკი არსებობს ზოგადი პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია აიხსნას, რატომ არიან ზოგიერთი საზოგადოებები გარკვეულ დროს სხვებთან შედარებით უფრო მშვიდობიანი და რა განაპირობებს მათ ცვლილებას, მაშინ პოლიტიკის მეცნიერებს ჯერაც არ დაუდგენიათ ეს პრინციპები.

სისტემური დონე. ანალიზის ამ დონის თეორიები ომებს საერთაშორისო სისტემაში მოქმედ მთავარ აქტორებს შორის ძალების თანაფარდობაზე დაყრდნობით ხსნიან. რამდენიმე მსგავსი თეორია განხილულია მეორე თავში. მაგალითად, *ძალის ტრანზიციის თეორიის* თანახმად, კონფლიქტები მასშტაბურ ომებად გარდაიქმნება მაშინ, როდესაც ძალა მეტნაკლებად თანაბრად არის განაწილებული და მზარდი სახელმწიფო

საფრთხეს უქმნის დასუსტებულ ჰეგემონს. ანალიზის ამ დონეზეც ერთმანეთს უპირისპირდება ურთიერთშეუთავსებელი თეორიები. შეკავების თეორიის თანახმად, ძალის გაზრდას და ამ ძალის გამოყენებით მუქარას უნდა შეეძლოს ომების შეჩერება. გამალებული შეიარაღების თეორია კი მიუთითებს, რომ ასეთი ქმედებები ომების დაწყებას და არა შეჩერებას განაპირობებს. ამ დრომდე არ არსებობს ზოგადი ფორმულა, რომელიც გვეტყოდა, თუ რა პირობებშია თითოეული ეს პრინციპი ჭეშმარიტი. კიდევ ერთი მოსაზრება დიდ ომებს უკავშირებს მსოფლიო წესრიგის შექმნისა და დარღვევის ასწლიან ციკლებს (იხ. ჰეგემონია მე-2 თავში). ამ ციკლურ თეორიებსაც, საუკეთესო შემთხვევაში, შეუძლია საერთაშორისო სისტემაში დროთა განმავლობაში ომების გაჩენის ზოგადი ტენდენციის ახსნა.



რატომ ომი? პოლიტიკის მეცნიერები ვერ თანხმდებიან, თუ რატომ ხდება მეორე მსოფლიო ომის მსგავსი დიდი ომები და არ შეუძლიათ ინფინასწარმეტყველონ, მოხდება თუ არა კიდევ ასეთი ომი. გერმანიის საბჭოთა კავშირში შექრის შედეგად განადგურებული ქალაქი სტალინგრადი (ვოლგოგრადი), 1943 წ.

ზოგიერთი მეცნიერი ომს სტატისტიკის პერსპექტივიდან შეისწავლის, ანუ აანალიზებს მონაცემებს ომების ტიპებისა და მათი დაწყების გარემოებების შესახებ. თანამედროვე კვლევები სახელმწიფოებს შორის სამხედრო დავების ესკალაციის ან გადაჭრის ასახსნელად ყურადღებას ამახვილებს ისეთი ფაქტორების გავლენაზე, როგორებიცაა დემოკრატია, სახელისუფლებო სტრუქტურა, ვაჭრობა, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა მსგავსი.

ამდენად, ანალიზის სამივე დონეზე კონკურენტული თეორიები გვთავაზობს განსხვავებულ ახსნებს, თუ რატომ იძენს ზოგიერთი კონფლიქტი ძალადობრივ ხასიათს, ზოგიერთი კი არა. პოლიტიკის მეცნიერებს ხერხერობით არ შეუძლიათ იმის დამაჯერებლად პროგნოზირება, თუ მსოფლიოში არსებული მრავალი საერთაშორისო კონფლიქტიდან რომელი გარდაიქმნება ომად. თუმცა, ამ მხრივ ცოდნის თვალსაწიერის გაფართოება შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის კონფლიქტების შესწავლით, რაც საშუალებას მოგვცემს, უკეთ გავიგოთ, თუ რისთვის ომობენ სახელმწიფოები.

4.2. იდეების კონფლიქტები

გამოყავით სულ მცირე ოთხი საერთაშორისო კონფლიქტი, რომლის წარმოქმნაში ან გამწვავებაში რელიგიამ ითამაშა როლი.

შემდგომ ქვეთავებში განხილულია საერთაშორისო კონფლიქტის ექვსი ტიპი: ეთნიკური, რელიგიური, იდეოლოგიური, ტერიტორიული, სამთავრობო და ეკონომიკური. ჩამოთვლილთაგან პირველი სამი განე-

კუთვნება კონფლიქტებს იდეების შესახებ, მეორე სამი კი კონფლიქტებს ინტერესებთან დაკავშირებით. აღნიშნული ექვსი ტიპის კონფლიქტი ურთიერთგამომრიცხავი არ არის და პრაქტიკაში ერთმანეთთან მნიშვნელოვანი გადაკვეთის წერტილები აქვს. მაგალითად, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთსა და უკრაინას შორის წარმოქმნილი კონფლიქტი კომპლექსური ხასიათისაა. უკრაინაში მცხოვრებ ეთნიკურ რუსებს და რუსეთში მცხოვრებ ეთნიკურ უკრაინელებს ეთნიკური კონფლიქტების გამოვლა მოუხდათ. განსხვავებები არსებობს ქრისტიანობის რუსულ და უკრაინულ ფორმებს შორის. ამას გარდა, ახალჩამოყალიბებული სახელმწიფოები დაობდნენ ყირიმის ნახევარკუნძულთან დაკავშირებით, რომელიც 1950-იან წლებში, საბჭოთა კავშირის ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა უკრაინას გადასცა. ორი სახელმწიფო ასევე ჩართული აღმოჩნდა ვაჭრობასა და ფულთან დაკავშირებულ ეკონომიკურ კონფლიქტში, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიქმნა ახალი საზღვრები და ვალუტები. თუმცა, ამ მრავალმხრივ კონფლიქტებს 2014 წლამდე სამხედრო ძალის გამოყენება არ მოჰყოლია. საპროტესტო აქციების შედეგად უკრაინის პრორუსი პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ კი რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა. რუსეთმა ასევე ხელი შეუწყო ამბოხებას ეთნიკური რუსებით დასახლებულ უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში. შესაბამისად, კონფლიქტების ზემოხსენებული ტიპები უკრაინაში ერთგვარ ურთიერთქმედებაში გვხვდება და არა განცალკევებულად.

თავდაპირველად ყველაზე რთული ტიპის კონფლიქტებს განვიხილავთ, ანუ იდეების კონფლიქტებს – მათში მოქმედებენ ისეთი არამატერიალური ელემენტები, როგორებიცაა ეთნიკური სიძულვილი, რელიგიური გრძნობები ან იდეოლოგია. საერთაშორისო კონფლიქტების იდენტობაზე დამყარებული მიზეზების ჩამოყალიბებას ისტორიულად განაპირობებდა ნაციონალიზმი, როგორც კავშირი იდენტობასა და საერთაშორისოდ აღიარებულ სახელმწიფოებრიობას შორის. შესაბამისად, იდეების კონფლიქტების სამი ტიპის განხილვამდე, მოკლედ გავაანალიზებთ ნაციონალიზმის განვითარებას.

4.2.1 ნაციონალიზმი

ნაციონალიზმი (Nationalism)
საკუთარი ერის ინტერესებთან იდენტიფიკაცია და ამ ინტერესების ერთგულება. როგორც წესი, მოიცავს ადამიანთა დიდ ჯგუფს, რომელთაც საერთო ეროვნული იდენტობა, ხშირ შემთხვაში კი საერთო ენა, კულტურა და მემკვიდრეობა აქვთ.

ნაციონალიზმი სხვა სახელმწიფოების ინტერესებთან მიმართებაში საკუთარი ერის ინტერესების განსაკუთრებულ ერთგულებას გულისხმობს და იგი გასული ორი საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ძალაა. ერი (ნაცია) არის საერთო იდენტობის მქონე მოსახლეობა, რომელიც, როგორც წესი, ასევე მოიცავს საერთო ენას და კულტურას. თუმცა, ეროვნულობის ცნების ზუსტად განსაზღვრა რთულია. გარკვეულწილად, პოლიტიკური კონტროლის გავრცელებამ ისეთ ფართო ტერიტორიებზე როგორიც მაგალითად საფრანგეთია, შექმნა ერის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი საერთოობის ფენომენი, ანუ სახელმწი-

ფოებმა შექმნეს ერები. თუმცა, ამავდროულად, აღქმა ერის არსებობის თაობაზე ასევე ხშირად განაპირობებდა სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, როდესაც ხალხი მოიპოვებდა საკუთარ საქმეებზე სუვერენტიტეტს, ანუ ერები ქმნიდნენ სახელმწიფოებს.

დაახლოებით 1500 წელს, ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორებიც იყვნენ საფრანგეთი და ავსტრია, დაიწყეს ერების გაერთიანება ერთიან სახელმწიფოებში. ახალჩამოყალიბებული ერი-სახელმწიფოები ძალიან დიდები და ძლიერები იყვნენ და ადვილად ჩაგრავდნენ პატარა მეზობლებს. დროთა განმავლობაში მათ დაიპყრეს და მიიერთეს მრავალი მცირე ზომის ტერიტორიული ერთეული. საბოლოოდ, ნაციონალიზმის იდეა თავისთავად ჩამოყალიბდა გავლენიან ძალად და შედეგად ხელი შეუწყო ისეთი დიდი და მრავალეროვნული სახელმწიფოების დაშლას, როგორებიც იყვნენ ავსტრია-უნგრეთი (პირველი მსოფლიო ომის დროს), საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია.

თვითგამორკვევის პრინციპი გულისხმობს, რომ ხალხს, რომელიც თავს ერად მიიჩნევს, უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს ჩამოყალიბების და საკუთარი საქმეების სუვერენულად წარმართვის უფლება. დღეს (მაგრამ არა ისტორიულად) თვითგამორკვევა საერთაშორისო ურთიერთობებში ფართოდ აღიარებულ პრინციპს წარმოადგენს. თუმცა, თვითგამორკვევა, როგორც წესი, სუვერენიტეტის (სხვა სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩაურევლობა) და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებზე უკან დგას. ის ამ პრინციპებთან ხშირად დაპირისპირებაშია. თვითგამორკვევა ჯგუფებს არ ანიჭებს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების შეცვლის უფლებას საერთო ეროვნული იდენტობის მქონე ჯგუფთან გაერთიანების მიზნით, თუნდაც ეს საზღვრები კოლონიალიზმის შედეგად თვითნებურად იყოს დაწესებული. ზოგადად, თუმცა არა ყოველთვის, თვითგამორკვევას ძალის გამოყენებით აღწევენ. როდესაც (აღქმული) ერების საზღვრები არ შეესაბამება სახელმწიფოს საზღვრებს, კონფლიქტების გაჩენა თითქმის გარდაუვალია. დღესდღეობით, ასეთი სახის კონფლიქტები ფართოდ არის გავრცელებული – ჩეჩნეთში, ქვებეკში, ისრაელ-პალესტინაში, ინდოეთ-პაკისტანში, შრი-ლანკაში, ტიბეტში და ბევრ სხვა ადგილას.

სახალხო მობილიზაცია განსაკუთრებით გაძლიერდა საფრანგეთის რევოლუციისა და მისი შემდგომი ნაპოლეონის ომების ეპოქაში, როდესაც საფრანგეთმა საყოველთაო სამხედრო გაწვევა და ცენტრალიზებულად მართული, „მბრძანებლური“ ეკონომიკა შემოიღო. მოტივირებული მოქალაქეებისგან შემდგარ არმიებს, რომლებიც ეროვნებით ფრანგებით და არა დაქირავებული მებრძოლებით იყვნენ დაკომპლექტებული, უფრო შორ მანძილებზე და უფრო სწრაფად გადაადგილება შეეძლო. ამ პროცესში ადამიანები მონაწილეობდნენ გარკვეულწილად იმიტომ, რომ პატრიოტები იყვნენ. ერი-სახელმწიფო ამ ადამიანების მისწრაფებებს განასახიერებდა და მათ საერთო ეროვნულ იდენტობაში აერთიანებდა.

იმავე პერიოდში, ამშ ნიდერლანდების მაგალითს მიჰყვა და 1776 წელს ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ლათინური ამერიკის სახელმწიფოებმა დამოუკიდებლობა მე-19 საუკუნის დასაწყისში მოიპოვეს, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიამ და იტალიამ გააერთიანეს მათი ერები მრავალი პოლიტიკური ერთეულის შერწყმის გზით (ომის მეშვეობით).

პირველ მსოფლიო ომის წინ სხვადასხვა ევროპული ქვეყნის სოციალისტი მუშები მუშათა უფლებებისთვის საბრძოლველად გაერთიანდნენ. თუმცა, პირველ მსოფლიო ომში მუშების უმრავლესობამ უარყო სოციალისტური სოლიდარობა და ამის სანაცვლოდ, საკუთარი ერისთვის ბრძოლა აირჩია. ამდენად, ნაციონალიზმი სოციალიზმზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მეორე მსოფლიო ომის წინ, ნაციონალიზმმა ხელი შეუწყო გერმანიაში, იტალიაში და იაპონიაში ფაშიზმზე (ეროვნულ შოვინიზმთან გადაჯაჭვული უკიდურესი ავტორიტარიზმი) დაფუძნებული პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებას. მეორე მსოფლიო ომშიც სწორედ ნაციონალიზმმა და პატრიოტიზმმა (და არა კომუნიზმმა) დარაზმა საბჭოთა ხალხი, რომლებმაც მილიონობით სიცოცხლის ფასად უკუაგდეს გერმანელები.

განვლილი 70 წლის მანძილზე, ათეულობით ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა. ებრაელებმა დაუღალავად იშრომეს მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ისრაელის სახელმწიფოს დასაარსებლად და პალესტინელები მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში პალესტინის სახელმწიფოს შექმნისკენ მიისწრაფოდნენ. საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და სხვა, მსგავსი მრავალეროვნული სახელმწიფოების დაშლასთან ერთად, დამოუკიდებელ ერ-სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ ისეთი ეთნიკური და ტერიტორიული ერთეულები, როგორებიცაა უკრაინა, სლოვენია და აღმოსავლეთ ტიმორი. სხვები, მათ შორის ქურთისტანი, ამისკენ მიისწრაფვიან ან ფაქტობრივად განაგებენ საკუთარ საქმეებს. ნაციონალიზმის განგრძობადი გავლენა დღევანდელ მსოფლიოში ნათელია. იგი ზემოქმედებს კონფლიქტების რამდენიმე ძირითად ტიპზე, რომლებიც წინამდებარე თავის შემდგომ ნაწილებშია განხილული.

4.2.2 ეთნიკური კონფლიქტი

ეთნიკური კონფლიქტი, ალბათ, მსოფლიოს მასშტაბით ამჟამად მიმდინარე უამრავი ომის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. ეთნიკური ჯგუფი წარმოადგენს ადამიანთა ფართო ჯგუფს, რომელსაც აქვს საერთო წარსული, ენა, კულტურული ან რელიგიური კავშირები და საერთო იდენტობა (ინდივიდები ჯგუფთან ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას). მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტები ხშირად მატერიალურ ნიადაგზე წარმოებს, მათ შორის ტერიტორიისა და სახელმწიფოს კონტროლის გამოც, ეთნიკური კონფლიქტი თავისთავად

ეთნიკური ჯგუფები (ethnic groups)
ადამიანთა ფართო ჯგუფები, რომლებსაც აქვთ საერთო წარსული, ენა, კულტურული ან რელიგიური კავშირები და საერთო იდენტობა.

მოიცავს ანტიპათიას ან სიძულვილს, რასაც ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრები სისტემატურად გრძნობენ სხვა ეთნიკური ჯგუფის მიმართ. ამ თვალსაზრისით, ეთნიკური კონფლიქტი განპირობებულია არა „ხელშესახები" (რასაც აკეთებს ვიღაც), არამედ „არახელშესახები" მიზეზებით (ვინ არის ის ვიღაც).

ეთნიკური ჯგუფები ხშირად ქმნიან ნაციონალისტური გრძნობების საფუძველს. ყველა ეთნიკური ჯგუფი არ ახდენს საკუთარი თავის ერად იდენტიფიცირებას. მაგალითად, აშშ-ში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები თანაცხოვრობენ (ზოგჯერ რთულად) და მათი საერთო ეროვნული იდენტობა ამერიკელია. მაგრამ ისეთ ადგილებში, სადაც ერთი ეთნიკური ჯგუფის მილიონობით წარმომადგენელი ცხოვრობს საკუთარ წინაპართა მიწაზე როგორც უმრავლესობა, ისინი, როგორც წესი, საკუთარ თავს ერად მიიჩნევენ. ასეთი შემთხვევების უმრავლესობაში, ეთნიკური ჯგუფის წევრები მიისწრაფვიან, ჰქონდეთ საკუთარი სახელმწიფო, რომელსაც ექნება ოფიციალური საერთაშორისო სტატუსი და ტერიტორიული საზღვრები.

ტერიტორიული კონტროლი მჭიდროდაა გადაჯაჭვული ეთნიკური ჯგუფების სახელმწიფოებრიობისადმი მისწრაფებასთან. ყველა სახელმწიფოს საზღვრები გარკვეულწილად (ზოგჯერ მნიშვნელოვნად) განსხვავდება ეთნიკური ჯგუფების განსახლების რეალური ადგილებისგან. ეთნიკური ჯგუფის წევრები ზოგჯერ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ რჩებიან და ზოგჯერ სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრები ამ სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით აღმოჩნდებიან. ამის შედეგად შექმნილი სიტუაცია, როდესაც ეთნიკური ჯგუფის ერთი ნაწილი სახელმწიფოს აკონტროლებს, ხოლო სხვა ნაწილი უმცირესობის სტატუსით, მეტოქე ეთნიკური ჯგუფის მიერ კონტროლირებად სახელმწიფოში ცხოვრობს, შესაძლოა ხიფათის შემცველი აღმოჩნდეს.

ზოგიერთ ეთნიკურ ჯგუფს მშობლიური სახელმწიფო არ გააჩნია. ქურთებს აქვთ საერთო კულტურა და ბევრი ქურთი მიისწრაფვის ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნისკენ. ქურთები ოთხ სახელმწიფოში – თურქეთში, ერაყში, ირანსა და სირიაში ცხოვრობენ, მაგრამ ოთხივე ქვეყანა მტკიცედ ეწინააღმდეგება საკუთარი ტერიტორიის დათმობას ახალი ქურთული სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად (იხ. გრაფიკი 4.2). 1990-იან წლებში ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრები ქურთები ავტონომიით სარგებლობდნენ აშშ-ის დაცვის ქვეშ, ხოლო სადამ ჰუსეინის შემდგომ ერაყში მათ კვაზი-ავტონომიური სტატუსი აქვთ. ერაყის 2010 წლის არჩევნებში მიღწეული წარმატებით ქურთებმა ამ სტატუსის შესანარჩუნებლად პოზიციები გაიმყარეს. სირიაში 2011 წელს დაწყებული სამოქალაქო ომშის დროს იქაურმა ქურთებმა საგრძნობი ავტონომია მოიპოვეს სამთავრობო ძალებთან და მეამბოხეებთან დროებითი პოლიტიკური ალიანსების მეშვეობთ. ქურთმა მებრძოლებმა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამხედრო დახმარება მიიღეს „სირიასა და ერაყში ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მნიშვნელოვან ტერიტორიებს

გრაფიკი 4.2
ქურთული ტერიტორიები

ეთნიკური ჯგუფის განსახლების ადგილები ხშირად არ ემთხვევა საერთაშორისო საზღვრებს. გამუქებული ფერით ნაჩვენებია ქურთული დასახლებების მიახლოებითი არეალი.



აკონტროლებდა ჩრდილოეთ ერაყსა და სირიაში. წლების განმავლობაში მათ ეხმარებოდა შეერთებული შტატებიც, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ერაყში. თუმცა, 2017 წლის ბოლოსთვის, თურქეთი სამხედრო ოპერაციებს ახორციელებდა როგორც ქურთების, ისე ისლამური სახელმწიფოს მებრძოლების წინააღმდეგ, მათ შორის, საჰაერო იერიშების ჩათვლით. ამ ეტაპზე უცნობია, შეძლებენ თუ არა ქურთები რეგიონში დამოუკიდებელი ტერიტორიული ერთეულის ჩამოყალიბებას.

ეთნიკური კონფლიქტები ხშირად აჩენს საზღვრების ძალის გამოყენებით შეცვლის მცდელობას. როდესაც ეთნიკური ჯგუფები მეტოქე ეთნიკური ჯგუფების კონტროლირებად ტერიტორიებზე უმცირესობას წარმოადგენენ, ისინი შეიძლება გააძევონ საკუთარი მიწებიდან ან (უფრო იშვიათ შემთხვევებში) მათი სისტემატური ხოცვა დაიწყონ. უმცირესობაში მყოფი ეთნიკური ჯგუფების გაძევებით უმრავლესობას შეუძლია შექმნას უფრო ერთიანი და უფრო შეკრული ერი-სახელმწიფო და თან უფრო ფართო ტერიტორიით. სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდათ ეთნიკურ სერბებს იუგოსლავიის დაშლის შემდეგ განხორციელებულ „ეთნიკური წმენდებისას“.

გარე სახელმწიფოებს ხშირად აღელვებთ მეზობელ სახელმწიფოში უმცირესობის სტატუსით მცხოვრები „მათი ხალხის“ ბედი. მაგალითად, ალბანეთს ანაღვლებდა ეთნიკური ალბანელების ბედი, რომლებიც სერბეთის კოსოვოს რეგიონში უმრავლესობას შეადგენდნენ. როდესაც კოსოვო სერბეთისგან დამოუკიდებლობისკენ გზას დაადგა, ახლა უკვე სერბები გამოთქვამენ შეშფოთებას კოსოვოში უმცირესობის სახით მცხოვრებ ეთნიკურ სერბებთან დაკავშირებით. ანალოგიურმა პრობლემებმა გამოიწვია ომები სომხეთსა და აზერბაიჯანს, ასევე ინდოეთსა და პაკისტანს შორის. ეთნიკური კონფლიქტისა და ტერიტორიული დავების სახიფათო კომბინაციამ სამომალოდ შესაძლოა კიდევ უფრო მეტი ომი გამოიწვიოს.

გენოციდი (genocide)

ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის სრულად ან ნაწილობრივ განადგურების დაგეგმილი და სისტემატური მცდელობა. გენოციდი აღიარებულია საერთაშორისო სამართლის დანაშაულად გაეროს კონვენციით გენოციდის შესახებ (1948 წ.). იხ. ასევე *კაცობრიობის წინაშე დანაშაულები* და *დეჰუმანიზაცია*.

უკიდურეს შემთხვევებში, სახელმწიფოები ახორციელებენ **გენოციდს** – ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფების სისტემატურ განადგურებას, მთლიანად ან ნაწილობრივ. ასეთ დროს ეს ჯგუფები ან პოლიტიკური მეტოქეები განტევების ვაცის როლში აღმოჩნდებიან. ნაცისტური გერმანიის რასობრივი სიწმინდის ფანატიკურ პოლიტიკას 6 მილიონი ებრაელი და მილიონობით სხვა ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ჰომოსექსუალები, ბოშები და კომუნისტები. ებრაელების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რომელსაც ჰოლოკოსტის სახელით ვიცნობთ და ნაცისტური აგრესიის შედეგად დაწყებული მასშტაბური ომი, ისტორიის მანძილზე კაცობრიობის წინაშე ჩადენილ უდიდეს დანაშაულებად მიიჩნევა. ამ დანაშაულებზე პასუხისმგებელი გერმანელი მაღალჩინოსნები მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ ნიურნბერგის ტრიბუნალზე მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ. მსოფლიოს ლიდერების დაპირება, რომ ჰოლოკოსტის შემდეგ „აღარასოდეს“ დაეშვათ გენოციდი, ფუჭი აღმოჩნდა, რადგან გენოციდი

კვლავ განმეორდა 1990-იანი წლების ბოსნიასა და რუანდაში, ხოლო უახლოეს წარსულში – სუდანის დარფურში.

1994 წელს რუანდაში, სადაც ჰუტუს ეთნიკური ჯგუფი უმრავლესობაა, ტუტსის კი უმცირესობა, ჰუტუს ნაციონალისტურმა მთავრობამ ბოლო ათწლეულების უსაშინლესი გენოციდი მოაწყო. ტუტსის უმცირესობა ადრე ფლობდა ძალაუფლებას და ბელგიის კოლონიური მმართველობა ამ ადგილობრივ დაპირისპირებებს სათავისოდ იყენებდა. 1994 წელს ჰუტუს ექსტრემისტულმა ძალებმა მთავრობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით გასცეს ბრძანება, დაეხოცათ ტუტსის წარმომადგენლები და ასევე ის ეთნიკური ჰუტუები, ვინც ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლებას. მოკლე დროში დაახლოებით 800 ათასი კაცი, ქალი და ბავშვი დახოცეს, უმრავლესობა მაჩეტებით, ხოლო მათი გვამები მდინარეებში გადაყარეს. ათასობით დაღუპულის გვამი გამოირიყა მეზობელ უგანდაში მდებარე ტბების სანაპიროებზე. ჰუტუს რადიკალმა ნაციონალისტებმა სწრაფად დაკარგეს ხელისუფლება მას მერე, რაც აჯანყებული ტუტსის რაზმებმა დაამარცხეს სამთავრობო ძალები. ომი გადაედო მეზობელ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, სადაც ულტრანაციონალისტთა დაჯგუფებებმა შეაფარეს თავი. დაპირისპირებები იქ დღემდე გრძელდება.

სუდანში ათწლეულების მანძილზე მიმდინარე სამოქალაქო ომის დაპირისპირებულმა მხარეებმა (ძირითადად ჩრდილოელმა მუსლიმებმა და სამხრეთელმა ქრისტიანებმა) 2003 წელს ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას, რითაც დასრულდა ომი, რომელშიც მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა. შეთანხმება ითვალისწინებდა სამთავრობო ძალების გაყვანას ქვეყნის სამხრეთიდან, ერთობლივი გარდამავალი მთავრობისა და არმიის ჩამოყალიბებას და ექვსი წლის ვადაში ამბოხებულ რეგიონებში რეფერენდუმის ჩატარებას. აღნიშნული პროცესები 2011 წელს სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობის გამოცხადებით დამთავრდა. თუმცა, სამშვიდობო შეთანხმების გაფორმების შემდეგ, დასავლეთ დარფურის რეგიონში მცხოვრებმა მეამბოხეებმა გააპროტესტეს შეთანხმებაში მათი უგულებელყოფა. პასუხად, მთავრობა დაეხმარა არაბ (მუსლიმ) შეიარაღებულ ჯგუფებს, თავს დასხმოდნენ შავკანიანი (ასევე მუსლიმი) აფრიკელებით დასახლებულ სოფლებს. ისინი უმიზეზოდ კლავდნენ, აუპატიურებდნენ მოსახლეობას და წვავდნენ სოფლებს. 2004 წელს სუდანის ხელისუფლებამ და დარფურის მეამბოხეების ნაწილმა წინასწარ სამშვიდობო შეთანხმებას მიაღწიეს და 2007 წელს აფრიკის კავშირმა და გაერომ ერთობლივი სამშვიდობო მისია შეიყვანეს რეგიონში. სუდანის მთავრობის მიერ დროის გაჭიანურებისა და სხვა ხელშემშლელი ფაქტორების დაძლევის შემდეგ, 2011 წელს მისიის უნიფორმიანი წევრების რაოდენობა 23 ათას სამხედრო მოსამსახურეს შეადგენდა და 2018 წლის მდგომარეობით ეს რაოდენობა დიდად არ შეცვლილა. 1994 წლის რუანდის მსგავსად, საერთაშორისო თანამეგობრობის არაეფექტური პასუხი დარფურში მომხდარ მასობრივ მკვლელობებზე აჩვენებს საერთა-



მზადება გარე ჯგუფის წინააღმდეგ საბრძოლველად ეთნიკურ კონფლიქტებს მრავალ საერთაშორისო კონფლიქტში ვხვდებით. შიდაჯგუფურ მიკერძოებაზე დაფუძნებულ ეთნოცენტრიზმს შეუძლია ხელი შეუწყოს გარე ჯგუფის მიმართ შეუწყნარებლობას და საბოლოოდ მის დეჰუმანიზაციას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დარფურში (სუდანი), რუანდასა და ბოსნიაში ჩადენილ გენოციდებში, სამხრეთაფრიკულ აპართეიდში, ნაცისტურ გერმანიაში ებრაელების და სხვა უმცირესობების დევნის შემთხვევაში და ამშ-ში მონობის დროს. 2014 წელს უკრაინაში ძალადობრივმა პროცესებმა იფეთქა, რომელშიც ერთმანეთს პროევროპელი დასავლეთუკრაინელები და აღმოსავლეთ უკრაინაში მცხოვრები პრორუსი მეამბოხეები დაუპირისპირდნენ. სურათზე ბავშვები პრორუსულ ქალაქში სკოლის შემდგომ გადიან სამხედრო მომზადებას, 2017 წ.

შორისო ნორმების გავლენის შეზღუდულობას თანამედროვე, სახელმწიფოებზე დაფუძნებულ საერთაშორისო სისტემაში.

გენოციდის ან „განტევების ვაცად" ქცევის უფრო ნაკლებად მძაფრ შემთხვევებშიც, ეთნიკური სიძულვილი მხოლოდ ბუნებრივად არ ღვივდება. რეალურად, პოლიტიკოსები საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად ახდენენ სიძულვილის პროვოცირებას და სხვებისკენ მიმართვას. ეთნიკურად დაყოფილ ქვეყნებში ხშირად პოლიტიკური პარტიები ეთნიკური ნიშნით იქმნება და პარტიების ლიდერები საკუთარ მომხრეებში პოზიციებს მეორე ჯგუფის მხრიდან მომდინარე საფრთხეების გაზვიადებით იმყარებენ. „გარე ჯგუფიდან" მომდინარე საფრთხის არსებობა ხელს უწყობს „შიდა ჯგუფის" შეკრულობას, რითაც ბადებს ეთნიკური დაყოფის გარკვეულწილად თვითმკვებავ პროცესს.


ეთნიკური მტრობის მიზეზები. რატომ არ მოსწონთ ხშირად ეთნიკურ ჯგუფებს ერთმანეთი? ხანგრძლივი ისტორიული კონფლიქტები უმეტესად კონკრეტულ ტერიტორიას ან რესურსებს უკავშირდება ან ერთი ეთნიკური ჯგუფის მიერ მეორე ეთნიკური ჯგუფის ეკონომიკური ექსპლუატაციისა და მასზე პოლიტიკური დომინირების დამყარების მიზეზებითაა გამოწვეული. მათი ჩამოყალიბება ხდება არა ხელშესახები წყენის გამო (თუმცა ასეთიც შესაძლოა არსებობდეს), არამედ ისეთი პროცესების შედეგად, რომლებიც აღწერილია სოციალური ფსიქოლოგიის მიერ. ეთნიკური ჯგუფი გარკვეულწილად გაფართოებული სანათესაო ჯგუფია, ანუ ეს არის საერთო წინაპრების მქონე ურთიერთდაკავშირებულ ინდივიდთა ჯგუფი. მაშინაც კი, როდესაც ნათესაური კავშირები არც ისე მჭიდროა, ჯგუფური იდენტობა ინდივიდს უბიძგებს, მოიქცეს ისე, თითქოს ჯგუფის დანარჩენი წარმომადგენლები მისი ოჯახის წევრები იყვნენ. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები გაფანტულ ჯგუფებს კიბერსივრცეში შეკრების საშუალებას აძლევს, მომავალში შეიძლება შემცირდეს ფსიქოლოგიური ზეწოლა ეთნიკური ჯგუფების ტერიტორიულ ერ-სახელმწიფოში ფიზიკურ თავმოყრასთან დაკავშირებით.

ეთნოცენტრიზმი (ethnocentrism)
საკუთარი ჯგუფის (შიდა ჯგუფი) მიმართ მიკერძოებისა და სხვა ჯგუფის (გარე ჯგუფი) მიმართ არაკეთილგანწყობის ტენდენცია.

ეთნოცენტრიზმი, ანუ შიდაჯგუფური მიკერძოება არის მიდრეკილება, რომ შენი საკუთარი ჯგუფი აღიქვა პოზიტიურად, ხოლო გარე ჯგუფი – ნეგატიურად. ჯგუფური იდენტობის პროცესის, მათ შორის შიდაჯგუფური მიკერძოების გამოსაწვევად არ არსებობს მსგავსების ან ნათესაური კავშირის რაიმე მინიმალური კრიტერიუმი. ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებში, ტრივიალურ განსხვავებასაც კი შეუძლია ამგვარი პროცესების გამოწვევა. თუ

პოლიტიკის პერსპექტივები

ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრი შეიხ ჰასინა ვაზედი



Open Government Licence sourced by/
Alamy Stock Photo

პრობლემა როგორ მოახდენთ სამოქალაქო კონფლიქტის პრევენციას ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებისას?

ნინაისტორია წარმოიდგინეთ, რომ ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრი ხართ. ეს თქვენი სამხრეთ აზიის ხალხმრავალი ქვეყნის მთავრობის მეთაურის პოსტზე ყოფნის მესამე ვადაა. თქვენ პოპულარული ლიდერი ხართ და მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ქალად განიხილებით.

თუმცა, 2017 წელს მნიშვნელოვანი გამოწვევა გაჩნდა. მეზობელი ბირმის რაჟჰაინის შტატში ძალადობის აფეთქების გამო, ასეულობით ათასი ლტოლვილი მოაწყდა ბანგალდეშს. ლტოლვილები – როჰინგას ხალხი, გამოექცნენ ეთნიკურ ძალადობას, რაც ბევრმა დამკვირვებელმა ეთნიკურ წმენდად შეაფასა. თქვენა მთავრობამ სასწრაფოდ მოაწყო ლტოლვილთა ბანაკები, რათა მეუჩერებინა პოტენციური ჰუმანიტარული კატასტროფა. საერთაშორისო თანამეგობრობა დაგეხმარათ ბირმელი ლტოლვილებისთვის საჭირო ფულით და საკვებით. თუმცა, ამოცანა უზარმაზარია – ერთ-ერთი შეფასებით, თქვენს სასაზღვრო რეგიონებში მდებარე ბანაკებში ახლა 500 ათასი ლტოლვილი ცხოვრობს.

შიდა ფაქტორები ბანგლადეში სტაბილური და მშვიდობიანი ქვეყანაა, მაგრამ ის საკმაოდ ღარიბია. თქვენი მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. თქვენი ინფრასტრუქტურული სისტემა სუსტია და ითვლება, რომ დედაქალაქი, დაკა, გადატვირთულია მოსახლეობით. თუმცა, ცოტა ხნის წინ ეკონომიკამ ზრდა დაიწყო – 2016 წელს კი ბოლო მვიდ ათწლეულში ზრდის ყველაზე დიდი მაჩვენებელი ჰქონდა. უკანასკნელ ათწეულში შემცირდა უმუშევრობა და სიღარიბე. პოლიტიკურად გიპირისპირდებათ გამოკვეთილი ოპოზიციური პარტია. მისი წევრები (ხშირად) მიუთითებენ, რომ თქვენი მესამე ვადით არჩევით დაირღვა ბანგლადეშის კონსტიტუცია, რადგან პრემიერ-მინისტრად მხოლოდ ორი ვადით შეიძლება აირჩიონ.

სცენარი ახლა წარმოიდგინეთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სახით, გთხოვთ, როჰინგას ხალხი თქვენს ტერიტორიაზე უფრო დიდი ხნით დატოვოთ. ისინი არ დაგრთავენ ნებას, რომ ეს ხალხი ძალით დააბრუნოთ უკან, რადგან მათ ბირმაში დაბრუნების შემთხვევაში კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრებათ.

ეკონომიკაში თქვენი მრჩევლები ნერვიულობენ. დამატებით ნახევარი მილიონი ადამიანის შენახვა თქვენს ტერიტორიაზე ხარჯიანი საქმეა. ისინი დარდობენ, რომ ეს ხარჯი საფრთხეს შეუქმნის ეკონომიკურ ზრდას, რომელიც ქვეყანას რამდენიმე წელი ჰქონდა. მართალია, საერთაშორისო თანამეგობრობა – საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები – გეხმარებიან, მაგრამ ეს დახმარება ძალიან ცოტაა იმასთან შედარებით, რაც ბანაკების შესანახად გჭირდებათ. მეტიც, ბევრი ბანაკი სასოფლო-სამეურნეო არეალებშია განთავსებული, რამაც ან დააზიანა სავარგულები ან მოსავლის აღება გაართულა.

ბირმაში კონფლიქტი გრძელდება. როჰინგას ხალხისთვის ჯერაც არაა უსაფრთხო უკან დაბრუნება – მათ გენოციდი ემუქრება. არც საერთაშორისო ინტერვენციის ნიშნები ჩანს, რომელიც ბირმაში ძალადობას დაასრულებდა.

პირჩევი პოლიტიკა როგორ მართავთ ლტოლვილებთან დაკავშირებულ ვითარებას? მოთხოვთ საერთაშორისო თანამეგობრობას უფრო მეტ დახმარებას? რა იქნება, თუ ეს დახმარება საკმარისი არ იქნება? დააყენებთ რისკის ქვეშ ბოლო დროის ეკონომიკურ წარმატებას ლტოლვილების დატოვებით და მათ მიერ იმ რესურსების გამოყენებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში თქვენს ხალხს მოხმარდებოდა? აიძულებთ როჰინგას ხალხს, რომ დაბრუნდეს ბირმაში და გარდაუვალი ძალადობის წინაშე აღმოჩნდეს? როგორ გაართმევთ თავს ამ ჰუმანიტარულ კრიზისს ისე, რომ არ დაკარგოთ კონტროლი თქვენს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე?

ადამიანებს გადავანაწილებთ ჯგუფებში, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან წინასწარ ცნობილი, მაგრამ უმნიშვნელო მახასიათებლით (მაგალითად, ერთ ჯგუფს ურჩევნია წრეები და მეორეს სამკუთხედები), ძალიან მალე თითოეულ ჯგუფში მყოფი ადამიანები დაიწყებენ შიდაჯგუფური მიკერძოებისა და სხვა ჯგუფის წევრების მიმართ ანტიპათიის გამოხატვას. როგორც ორმხრივობის პრინციპს აქვს ურაყოფითი მხარები (იხ. თავი 1), ასევე მოქმედებს იდენტობის პრინციპიც. იგივე ძალა, რომელიც შესაძლებელს ხდის საკუთარი თავის შენირვას ჯგუფის იდენტობისთვის, ასევე განაპირობებს შიდაჯგუფური მიკერძოების ჩამოყალიბებას.

შიდაჯგუფური მიკერძოება უფრო ძლიერია მაშინ, თუ სხვა ჯგუფი განსხვავებულად გამოიყურება, სხვა ენაზე საუბრობს ან განსხვავებული აღმსარებლობისაა (ანაც სამივე ერთადაა მოცემული). ძალიან მარტივად შესაძლებელია, მოხდეს გარე ჯგუფის დეჰუმანიზაცია და მისთვის ადამიანის ყველა უფლების წართმევა. ამგვარი დეჰუმანიზაცია მოიცავს გარე ჯგუფის წევრების მიმართ ცხოველთა სახელების გამოყენებას, მაგალითად „ღორები", „ძაღლები" და ა.შ. მეორე მსოფლიო ომის დროს, ამერიკული პროპაგანდა იაპონელებს მაიმუნებად წარმოაჩენდა. დეჰუმანიზაციამ განსაკუთრებით მძიმე ფორმები ომის დროს შეიძლება შეიძინოს. ეთნიკური ომების დროს მარტივად უგულებელყოფენ სახელმწიფოთაშორის ომებში დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ შეზღუდვებს, მაგალითად მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვის აკრძალვას (იხ. თავი 6).

დასავლეთ ევროპის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ განათლების მეშვეობით დროთა განმავლობაში შესაძლებელია ეთნიკური შუღლის დაძლევა ტრადიციულად ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს, მაგალითად საფრანგეთსა და გერმანიას შორის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამ ქვეყნების მთავრობებმა ახალი თაობებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოები შეცვალეს. ადრე, თითოეულ ქვეყანაში გამოცემული სახელმძღვანელოები განადიდებდა საკუთარ წარსულს, თვალს ხუჭავდა ცუდზე და ტრადიციულ მოწინააღმდეგეებს უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდა. შემდეგ მთელი კონტინენტის მასშტაბით დაიწყეს პროექტი, რომლის ფარგლებშიც გამოცემულ ახალ სახელმძღვანელოებში წარსული შედარებით ობიექტურად და სამართლიანადაა შეფასებული. ამის საპირისპირო მაგალითია დღევანდელი იაპონური სახელმძღვანელოები, რომლებიც გვერდს უვლის იაპონიის დანაშაულებს მეორე მსოფლიო ომში და აგრძელებს ჩინეთთან და კორეასთან ურთიერთობების დაძაბვას.

ეთნიკური ჯგუფები ნათესაური ურთიერთობების სპექტრის მხოლოდ ერთი წერტილია. აღნიშნულ სპექტრზე ვხვდებით ნუკლეარულ ოჯახებს, ფართო ოჯახებს, სოფლებს, რეგიონებს, ერებს და ბოლოს მთლიანად ადამიანთა რასებს. ადამიანები ამ სპექტრზე წარმოდგენილი სხვადასხვა წერტილის მიმართ არიან ლოიალურები.

უცნობია, თუ რა განაპირობებს ადამიანის მიერ იდენტობის კონკრეტული ჯგუფისთვის თავის მიკუთვნებას. სომალიში ადამიანები კლანის ერთგულები არიან, სერბეთში – ეთნიკური ჯგუფის, ხოლო აშშ-ში და სხვაგან ადამიანები ძირითადად მრავალეთნიკურ სახელმწიფოს ერთგულებენ. სახელმწიფოები მოქალაქეთა სახელმწიფოსთან იდენტიფიკაციას დროშებით, ჰიმნებით, ფიცის დადებითა და ა.შ. განმტკიცებენ. შესაძლებელია, ოდესმე ადამიანებმა ისევ შეიცვალონ ერთგულების ორიენტირები და შექმნან გლობალურ იდენტობა, სადაც ისინი ჯერ ადამიანები იქნებიან და მხოლოდ ამის შემდეგ – სახელმწიფოებისა და ეთნიკური ჯგუფების წევრები.

4.2.3 რელიგიური კონფლიქტი

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ეთნიკური კონფლიქტები ხშირად სცილდება მატერიალურ წყენას, არის ის, რომ ისინი გამოხატულებას რელიგიურ კონფლიქტებში ჰპოვებს. გამომდინარე იქიდან, რომ რელიგია საზოგადოების ღირებულებათა სისტემის ბირთვია მსოფლიოს დიდ ნაწილში, განსხვავებული რელიგიური მრწამსის ადამიანებს ხშირად ეპყრობიან უდიერად და ზოგჯერ უვარგისად ან არაადამიანადაც კი მიიჩნევენ. თუკი ეთნიკურ ან ტერიტორიულ კონფლიქტებში რელიგიის ფაქტორიც შემოდის, მაშინ იგი ხშირად ჯგუფებს შორის მთავარ და ყველაზე ხილულ წყალგამყოფად იქცევა. მაგალითად, აზერბაიჯანელების უმრავლესობა მუსლიმია, სომხების უმრავლესობა კი ქრისტიანი.

რელიგიაში არაფერია ისეთი თანდაყოლილი ასპექტი, რაც კონფლიქტისკენ უბიძგებს. მრავალ ადგილზე განსხვავებული რელიგიური ჯგუფები ერთმანეთთან მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. თუმცა, რელიგიურ განსხვავებულობას აქვს არსებული კონფლიქტების უფრო გართულების პოტენციალი, რადგან რელიგიებს აქვს ძირითადი ღირებულებები, რომლებიც აბსოლუტური ჭეშმარიტების რანგშია აყვანილი. ამაზე მკაფიოდ მიუთითებს უკანასკნელ ათწლეულებში ფუნდამენტალისტური მოძრაობების გაძლიერება (ფუნდამენტალიზმის მიზეზებზე კონსენსუსი არ არსებობს, თუმცა ეს აშკარად გლობალური ფენომენია). ფუნდამენტალისტური მოძრაობების წევრები საკუთარ და საკუთარი თემების ცხოვრებას რელიგიური რწმენის შესაბამისად აწესრიგებენ და ბევრი მათგანი მზადაა, თავი შესწიროს ან მოკლას რწმენის გამო. უკანასკნელ ათწლეულებში ფუნდამენტალისტური მოძრაობები გაფართოვდა და გაძლიერდა ქრისტიანობაში, ისლამში, იუდაიზმში, ინდუიზმში და სხვა რელიგიებში. ასეთი მოძრაობები უპირისპირდება **სეკულარული**, ანუ რელიგიური დაწესებულებებისაგან განცალკევებით შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციების ღირებულებებსა და საქმიანობას.

სეკულარული (secular)
რელიგიური დაწესებულებების მიღმა შექმნილი, რელიგიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის განცალკევების მაღალი ხარისხის მქონე.

ფუნდამენტალისტური მოძრაობების სამიზნედ ქცეულ სეკულარულ პრაქტიკებს შორისაა საერთაშორისო სისტემის წესები, რომლებიც სახელმწიფოებს ფორმალურად თანასწორად და სუვერენულად აღიარებს,

მათი „მორწმუნეობისა“ თუ „ურწმუნოებისგან“ დამოუკიდებლად. ფუნდამენტალისტები რელიგიას და მის კანონებს, როგორც ტრანსნაციონალურ რწმენით სისტემას, ხშირად უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე სახელწიფოს კანონებს და საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სისტემის ნორმებთან და რეალიზმის დაშვებებთან.

ისლამისტური მოძრაობები დღესდღეობით ძალადობრივი კონფლიქტები მიმდინარეობს ყველა წამყვანი რელიგიის სახელით. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფლიქტებს, სადაც ჩართულები არიან ისლამური ჯგუფები და სახელმწიფოები. 2018 წლის მდგომარეობით მიმდინარე 14 ომიდან (იხ. გრაფიკი 4.1 ამ თავის დასაწყისში) 12-ში ისლამისტი აქტორები მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, აშშ-ის „ომი ტერორიზმის წინააღმდეგ“ მიმართულია ისლამისტური ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ. თუმცა, ისლამური მოძრაობების უმრავლესობა არ არის ძალადობრივი.

ისლამი (Islam)
ფართო და მრავალფეროვანი მსოფლიო რელიგია, რომლის მიმდევრებს შორის არიან სუნიტი მუსლიმები, შიიტი მუსლიმები და კიდევ მრავალი სხვა მცირე განშტოება და სექტა, განფენილი ნიგერიიდან ინდონეზიამდე. ისლამის ცენტრია ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთ აზია.

მუსლიმები (Muslims)
იხ. ისლამი.


ისლამისტური (Islamist)
პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც გულისხმობს ისლამური პრინციპებისა და სამართლის სახელმწიფო მმართველობაში დანერგვას. იგი მოიცავს ჯგუფების ფართო სპექტრს, რომლებიც მიზნის მისაღწევად განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ.

ისლამი, რომლიც **მუსლიმების** რელიგიაა, ფართო და მრავალფეროვანია. ისლამის მიმდევრებს შორის არიან სუნიტი მუსლიმები (უმრავლესობა), შიიტი მუსლიმები (ძირითადად ირანში, სამხრეთ ერაყში, სამხრეთ ლიბანსა და ბაჰრეინში) და მრავალი მცირე განშტოებისა და სექტის წევრები. ისლამური ქვეყნების უმრავლესობა გაერთიანებულია მთავრობათაშორის ორგანიზაციაში „ისლამური კონფერენცია.“ მსოფლიოში ისლამური ქვეყნების გავრცელების არეალია ნიგერიიდან ინდონეზიამდე, ხოლო ისტორიული ცენტრია ახლო აღმოსავლეთი (იხ. გრაფიკი 4.3). თუმცა, რაოდენობრივად ისლამური მოსახლეობა ყველაზე დიდი სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშია. გეოგრაფიული და ისტორიული გარემოებების, მათ შორის კოლონიალიზმისა და ნავთობის გამო, აღნიშნულ ორ ზონაში ბევრი საერთაშორისო კონფლიქტია, სადაც ერთ მხარეს დგანან მუსლიმები, მეორე მხარეს კი არამუსლიმები.

ისლამისტები მოითხოვენ მთავრობებისა და საზოგადოებების ისლამურ სამართალზე დაფუძნებას. აღნიშნული ჯგუფები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან იმით, თუ რა მეთოდებს იყენებენ ამ მიზნის მისაღწევად. მათი უმრავლესობა არაძალადობრივია, მათ შორისაა საქველმოქმედო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები. ზოგიერთი ჯგუფი ძალადობრივია – შეიარაღებული დაჯგუფებები და ტერორისტული ქსელები. 1990-იან წლებში ისლამისტურმა პარტიებმა პოზიციები გაიმყარეს თურქეთში, რომელიც სეკულარული სახელმწიფოა და რომლის შეიარაღებული ძალებიც წარსულში ხშირად ერეოდა პოლიტიკაში რელიგიური დაჯგუფებების გაძლიერების არდასაშვებად. 2003 წლიდან კი თურქეთის ლიდერი ყოფილი ისლამისტია, რამაც თურქეთი ზომიერი ისლამის მნიშვნელოვან მოდელად აქცია. ისლამისტურ პარტიებს ასევე წამყვანი როლი აქვთ ერაყის მთავრობაში 2003 წლის შემდეგ და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არაბული გაზაფხულის ქვეყნებში.

გრაფიკი 4.3 „ისლამური კონფერენციის" წევრი ქვეყნები და კონფლიქტების ადგილები

გაფერადებულია ორგანიზაცია „ისლამური კონფერენციის" წევრი ქვეყნები. რიცხვებით აღნიშნულია რეგიონები, სადაც კონფლიქტებია მუსლიმებსა და არამუსლიმებს ან სეკულარულ ხელისუფლებებს შორის.



1) ევროპა
2) ბოსნია-ჰერცეგოვინა
3) სერბეთი/კოსოვო
4) თურქეთი
5) კვიპროსი
6) საქართველო
7) სამხრეთი რუსეთი/ჩეჩნეთი
8) სომხეთი/აზერბაიჯანი
9) ავღანეთი
10) ტაჯიკეთი
11) დასავლეთი ჩინეთი
12) ფილიპინები
13) ინდონეზია
14) ბირმა/ბანგლადეში
15) ინდოეთი
16) პაკისტანი
17) ლიბანი
18) სირია
19) სომალი
20) ისრაელი/პალესტინა
21) ეგვიპტე
22) ალჟირი/ტუნისი
23) სუდანი
24) ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა
25) ნიგერია/მალი

მათ თავდაპირველად მოიგეს არჩევნები ტუნისსა და ეგვიპტეში. 2013 წლიდან ისლამისტური დაჯგუფებები ძირითადი მოთამაშეები გახდნენ სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომში. 2014 წელს ყველაზე მეტად გაძლიერდა ერთ-ერთი ისლამისტური დაჯგუფება – „ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო", რომელმაც სირიასა და მეზობელ ერაყში მნიშვნელოვანი ტერიტორიების ხელში ჩაგდება შეძლო. ისლამური სახელ-

მწიფოს სწრაფმა ექსპანსიამ ორივე ქვეყანაში გამოიწვია საპასუხო სამხედრო ქმედებები ნატო-ს ზოგიერთი წევრი ქვეყნის, რუსეთის და სხვა რეგიონული სახელმწიფოების მხრიდან.

თუკი ისლამური მოძრაობები ძირითადად შიდა პოლიტიკის შეცვლისკენ მიისწრაფვიან, მაშინ რატომაა ისინი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ურთიერთობებისთვის? ისლამისტურმა პოლიტიკამ შეიძლება საგარეო პოლიტიკის შეცვლა განაპირობოს, თუმცა უფრო არსებითი პასუხი ამ კითხვაზე არის ის, რომ ისლამისტური მოძრაობები იქცნენ ტრანსნაციონალურ ძალებად, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებასა და ჩრდილოეთი-სამხრეთის გლობალურ ურთიერთობებზე.

ზოგიერთ ქვეყანაში, ისლამისტები უარყოფენ დასავლეთზე ორიენტირებულ, სეკულარულ სახელმწიფო წყობას და უპირატესობას ანიჭებენ ისლამურ ღირებულებებზე უფრო ღიად ორიენტირებულ მთავრობებს. ამგვარი ისლამისტური მოძრაობები ასახავს ამ ქვეყნებში არსებულ დიდი ხნის ანტიდასავლურ განწყობებს, რომლებიც ქრისტიანი, ძველი ევროპელი კოლონიზატორების წინააღმდეგაა მიმართული და გარკვეულწილად, რელიგიური გზებით გამოხატულ ეროვნულ მოძრაობებს წარმოადგენს. ავტორიტარული მმართველობის მქონე ზოგიერთ ახლოაღმოსავლურ სახელმწიფოში რელიგიური ინსტიტუტები (მეჩეთები) პოლიტიკური ოპოზიციის ერთადერთი შესაძლო ფორმაა. შესაბამისად, რელიგია პოლიტიკასა და კულტურაში სტატუს-კვოს მიმართ წინააღმდეგობის გამოხატვის საშუალებად იქცა.

მუსლიმურ და არამუსლიმურ ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები ნათლად წარმოაჩენს არსებულ მცდარ შეხედულებებსა და განსხვავებებს (იხ. გრაფიკი 4.4.). ისლამისტი რადიკალების მიმართ მხარდაჭერა ძალიან განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. 2011 წლის გამოკითხვა აჩვენებს ე.წ. „სარკისებური გამოსახულების“ არსებობას აღქმებში (იხ. თავი 5). დასავლეთის, არამუსლიმური უმრავლესობის მქონე ქვეყნებში გამოკითხულთა 58 პროცენტი მიიჩნევდა, რომ მუსლიმები „ფანატიკოსები“ არიან და მხოლოდ 20 პროცენტი ფიქრობდა, რომ მუსლიმები ქალებს პატივს სცემენ. იმავდროულად, მუსლიმური უმრავლესობის მქონე ქვეყნებში, გამოკითხულთა 53 პროცენტი მიიჩნევდა, რომ არამუსლიმები „ფანატიკოსები“ არიან და 42 პროცენტი თვლიდა, რომ არამუსლიმები ქალებს პატივს სცემენ.

უფრო რადიკალური ისლამისტური მოძრაობები საფრთხეს უქმნიან არა მხოლოდ ცალკეულ მთავრობებს, განსაკუთრებით მათ, რომლებსაც დასავლეთთან სამოკავშირეო ურთიერთობები აქვთ, არამედ ისინი ასევე ძირს უთხრიან სახელმწიფო სუვერენიტეტის ტრადიციულ ნორმებს. ამგვარი მოძრაობები უარყოფენ სახელმწიფოს შესახებ დასავლურ პოლიტიკურ კონცეფციებს (რომლებიც ინდივიდის ავტონომიურობას ემყარება) და უპირატესობას ანიჭებენ ტრადიციულ ისლამურ მოსაზრებებს, სადაც

უმთავრესი როლი თემს ეკუთვნის. ზოგიერთი ეს მოძრაობა მიისწრაფვის ერთიანი სახელმწიფოს შექმნისკენ, რომელიც ახლო აღმოსავლეთის დიდ ნაწილს გააერთიანებდა, 600-1200 წლებში არსებული სახალიფოს მსგავსად. მოვლენათა ასეთმა განვითარებამ შესაძლოა უდიდესი გამოწვევა შეუქმნას არსებულ საერთაშორისო სისტემას, განსაკუთრებით მის სტატუს-კვო ძალებს და შესაბამისად, მას ყოველმხრივ შეეწინააღმდეგებიან მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები.


ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოქმედი ისლამისტები, სხვა რევოლუციონერების მსგავსად, მდიდარი ელიტების წინააღმდეგ ღარიბი მასების გულშემატკივრობით საზრდოობენ. გლობალური სამხრეთის სხვა რევოლუციონერებივით, ისლამისტური მოძრაობები ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა თურქეთი, ეგვიპტე და ლიბანი, მხარდაჭერას სწორედ ღარიბებით დასახლებულ ადგილებში პოულობენ. აქ ისინი მოსახლეობას ზოგჯერ იმ მომსახურებას აწვდიან, რომლის მიწოდებასაც მთავრობები ვერ უზრუნველყოფენ.


2010 წელს მაროკოსა და საუდის არაბეთში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობამ საკუთარი თავი ჯერ მუსლიმად დაასახელა და მხოლოდ ამის შემდეგ – საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქედ ან არაბად. თუმცა, იორდანიაში, ლიბანში, ეგვიპტესა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში საპირისპირო სურათი შეიქმნა და დიდი უმრავლესობა საკუთარ თავს პირველ რიგში თავისი ქვეყნის მოქალაქედ მიიჩნევდა. ისლამისტური მოძრაობები ცდილობენ გამოიყენონ საზოგადოების წევრების დამოკიდებულება ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომლებსაც არ აქვს მათთვის მატერიალური მნიშვნელობა, მაგრამ ეხება მათი, როგორც მუსლიმების იდენტობას. მაგალითად, ასეთ საკითხს წარმოადგენს არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი. მუსლიმური ქვეყნების მოსახლეობას ასევე ადარდებდა 1990-იან წლებში ბოსნიაში, აზერბაიჯანსა და ჩეჩნეთში მიმდინარე ომები, სადაც ქრისტიანთა შეიარაღებული ძალები თავს ესხმოდნენ მუსლიმ მშვიდობიან მოსახლეობას. ისლამისტები ყველა ამ კონფლიქტს განიხილავენ დასავლური, ქრისტიანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ რეგიონული (ანაც გლობალური) ბრძოლის ნაწილად, რომელიც დაახლოებით 1000 წლის წინანდელი ჯვაროსნული ლაშქრობებიდან იღებს სათავეს. გარედან დამკვირვებლის პერსპექტივიდან, ისლამური სახელმწიფოების საზღვრების გასწვრივ მდუღარე კონფლიქტები ექსპანსიონიზმის საფრთხეს უფრო წააგავს, რომელიც შეკავებას მოითხოვს. შიგნიდან დანახული პერსპექტივა კი უფრო ალყაშემორტყმულობას და გარედან ჩაგვრას წარმოაჩენს (იხ. ჩანართი საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები).

გრაფიკი 4.4 საზოგადოებრივი აზრი მუსლიმურ და არამუსლიმურ ქვეყნებში

წყარო: Pew Global Attitudes Survey-ის მიხედვით, 2005, 2010 და 2014

რამდენად გამართლებულია თვითმკვლელთა ტერორიზმი ან ძალადობა მოქალაქეების მიმართ ისლამის დასაცავად?





საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები

ისლამური ექსტრემიზმი


რამდენიმე ისლამისტურმა დაჯგუფებამ განახორციელა ან მხარი დაუჭირა თავდასხმებს სხვადასხვა ქვეყანაში. ისეთი ისლამისტური ჯგუფები, როგორებიცაა ალ-ქაიდა და ისლამური სახელმწიფო იმუქრებიან სამოქალაქო სამიზნეებზე ახალი თავდასხმებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ მუქარის მიზანი, ცხადია, შიშის დათესვაა და სამიზნე სახელმწიფოებისგან პოლიტიკის შეცვლას ემსახურება, როგორც წესი ახლო აღმოსავლეთის ხანგრძლივ კონფლიქტებთან მიმართებაში.

საინტერესოა, რომ სხვადასხვა მოსახლეობა განსხვავებულად აღიქვამს ამ საფრთხეებს. გრაფიკი 4.5 გვაჩვენებს 23 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს ისლამური ექსტრემიზმისგან მომდინარე საფრთხეების აღქმებთან დაკავშირებით. გამოკითხვის დროს რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, რამდენად აშფოთებდათ მათ ისლამური ექსტრემიზმი. ეს მონაცემები რამდენიმე ტენდენციას აჩვენებს.

პირველ რიგში, უმრავლესობა 23-ვე ქვეყანაში გამოთქვამს გარკვეულ შეშფოთებას („ისე რა" და

გრაფიკი 4.5 შეხედულებები ისლამური ექსტრემიზმის შესახებ 23 ქვეყანაში

წყარო: Pew Research Center



„ძალიან") ისლამური ექსტრემიზმის შესახებ, დამოუკიდებლად ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისგან. მეორე, შეშფოთების ყველაზე დაბალი დონის ორი ქვეყანა არის მუსლიმური უმრავლესობის მქონე ინდონეზია და თურქეთი. თუმცა, ასევე მუსლიმური უმრავლესობის ლიბანსა და პაკისტანში შეშფოთების დონე უფრო მაღალია. ამდენად, საქმე ნამდვილად არაა ისე, რომ მუსლიმები უფრო დაცულად გრძნობენ თავს ამ სახის ძალადობისგან. თუ შიიტებად და სუნიტებად დაყოფას გავითვალისწინებთ, ეს, ალბათ, სულაც არაა გასაკვირი.

და ბოლოს, მხოლოდ ხუთი ქვეყანაა, სადაც გა-

მოკითხულთა მნიშვნელოვანი სეგმენტი (10 პროცენტზე მეტი) ამბობს, რომ ისლამური ექსტრემიზმის საფრთხე საერთოდ არ აშფოთებს. ეს ხუთი ქვეყანაა კანადა, ინდონეზია, სენეგალი, ტუნისი და თურქეთი. მათგან ორს (კანადას და სენეგალს) ისლამური ექსტრემისტული დაჯგუფებების ძალადობის მცირე გამოცდილება აქვთ წარსულში. დანარჩენებს ამ ტიპის ძალადობის მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ.

საკითხავია, მოქმედებს თუ არა ეს შეშფოთება ინდივიდების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. რადგან ტერორიზმის მიზანი ყოველდღიური ცხოვრების მოშლა და პოლიტიკის ცვლილებაა, საინტერესოა, ვიცოდეთ, თუ რაში ითარგმნება ეს შეშფოთება. ასევე შეიძლება დაგვაინტერესოს იმან, მოქმედებს თუ არა შეშფოთება საარჩევნო ქცევაზე იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული არჩევნები ტარდება. ექსტრემისტულმა თავდასხმებმა და ტერორიზმმა შეიძლება გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე, რამაც, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკის შეცვლა, რაც ექსტრემისტებს სურთ. თუმცა, ექსტრემიზმთან დაკავშირებულმა შეშფოთებამ შეიძლება ასევე განაპირობოს იმ პარტიებისა და ლიდერების არჩევა, რომლებიც მეტს გააკეთებენ ექსტრემისტული ჯგუფების გასანადგურებლად.

2003 წელს დაწყებულმა ერაყის ომმა ძალიან გაამძაფრა ანტიამერიკული განწყობები და ხელი შეუწყო პოლიტიკის რადიკალიზებას მუსლიმურ სამყაროში, განსაკუთრებით კი არაბულ სახელმწიფოებში, რომლებმაც აშშ-ის ინტერვენცია არაბთა ღირსების შეურაცხყოფად აღიქვეს. ბარაქ ჰუსეინ ობამას პრეზიდენტობამ, რომლის შუა სახელი კენიური, მუსლიმური ოჯახის ფესვების ამსახველია და რომელიც ნაწილობრივ მუსლიმურ ინდონეზიაში გაიზარდა, თავდაპირველად შეძლო ამ დინამიკის შეცვლა. რეგიონში მოიმატა ამერიკის მიმართ კეთილგანწყობამ, მათ შორის პრეზიდენტ ობამას ეგვიპტეში სიტყვის გამოსვლის წყალობით, სადაც მან ისაუბრა ამერიკის ურთიერთობებზე მუსლიმურ ქვეყნებთან და მოუწოდა „ახალი დასაწყისისკენ". მიუხედავად ამისა, 2010 წლისთვის კეთილგანწყობის მაჩვენებლებმა კვლავ შემცირება დაიწყო, ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებული იმედგაცრუებისა და ავღანეთში დარჩენის თაობაზე აშშ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფონზე. 2018 წლისთვის, არაბულ სამყაროში აშშ-ის მიმართ კეთილგანწყობის ისედაც დაბალი მაჩვენებლები კიდევ უფრო ქვევით წავიდა, როცა პრეზიდენტმა ტრამპმა აშშ-ს საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადატანის შესახებ განაცხადა – ამ ნაბიჯს ყველა არაბული სახელმწიფო აპროტესტებდა.

შეიარაღებული ისლამისტური დაჯგუფებები ისლამურ ქვეყნებში ანტიამერიკული და ანტიდასავლური განწყობების მატებამ ძალადობრივი ისლამისტური ჯგუფების ზრდა დააჩქარა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ჯგუფები უმცირესობაში არიან, მათ არაპროპორციულად დიდი გავლენა აქვთ საერთაშორისო ურთიერთობებზე და საზოგადოებრივ ყურადღებასაც უმეტესად ისინი იქცევენ.

ცხრილი 4.1 ძირითადი შეიარაღებული ისლამისტური დაჯგუფებები

დაჯგუფება	ქვეყანა	ისლამის განმტკიცება	შენიშვნები
ირანის ისლამური რესპუბლიკა	ირანი	შიიზმი	ერთადერთი ისლამური რევოლუცია, რომელიც სახელმწიფოზე კონტროლის დამყარებით დასრულდა (1979); სეკულარულ ერაყთან ომი 1980-იან წლებში; ამჟამად ცდილობს ბირთვული იარაღის შექმნას.
ჰეზბოლა	ლიბანი	შიიზმი	იბრძოდა ისრაელის არმიის წინააღმდეგ 2006 წელს; შედის ლიბანის მმართველ კოალიციაში.
მაჰდის არმია	ერაყი	შიიზმი	ებრძოდა ამშ-ის ჯარებს ერაყში; შედის ერაყის მთავრობაში; ებრძოდა ისლამურ სახელმწიფოს.
ან-ნუსრას ფრონტი	სირია	სუნიზმი	წამყვანი შეიარაღებული ჯგუფი სირიის სამოქალაქო ომში.
ანსარ-დინი	მალი	სუნიზმი	აკონტროლებდა ქვეყნის ჩრდილოეთს 2012 წელს. 2013 წელს ალჟირში აიყვანა მძევლები.
ჰამასი	პალესტინა (ღაზა)	სუნიზმი	ჰამასის ძალებმა მოკლეს ისრაელის ასობით მშვიდობიანი მოქალაქე და 2008 და 2014 წლებში ანარმოეს ომი ისრაელის წინააღმდეგ; 2006 წელს გაიმარჯვეს პალესტინის არჩევნებში; აკონტროლებს ღაზას სექტორს.
ალ-შაბაბი	სომალი	სუნიზმი	2007-2012 წლებში აკონტროლებდა ქვეყნის ძირითად ნაწილს; იყო ალ-ქაიდას მოკავშირე; 2012 წელს ხელისუფლებიდან განდევნეს აფრიკის კავშირის ძალებმა; 2017 წლისთვის აგრძელებდა თავდასხმებს სომალიში.
მოროს ისლამური გათავისუფლებისფრონტი	ფილიპინები	სუნიზმი	სუნიტური ძალები სამხრეთ ფილიპინის კუნძულების მუსლიმებით დასახლებულ რიგ რეგიონებში იბრძოდნენ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.
ალ-ქაიდა	მსოფლიო (პაკისტანი?)	სუნიზმი	სუნიტების ორგანიზებული ტერაქტები ამშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს და ასევე ევროპაში; დასუსტდა წამყვანი ლიდერების დაღუპვის შემდეგ.
თალიბანი	ავღანეთი	სუნიზმი	უცხოური ძალების წინააღმდეგ მებრძოლი ძირითადი მეამბოხე ჯგუფი; 1996-2001 წლებში მართავდა ავღანეთს.[5]
ისლამური სახელმწიფო	სირია-ერაყი	სუნიზმი	შეიქმნა ერაყში მოქმედი შეიარაღებული დაჯგუფებების გაერთიანებით; სირიის სამოქალაქო ომში იქცა წამყვან აქტორად; 2014-2015 წლებში იყო საერთაშორისო კოალიციის მიერ განხორციელებული საჰაერო იერიშების სამიზნე.
ჰუსიტები	იემენი	შიიზმი	2014 წელს კონტროლი დაამყარეს იემენის დიდ ნაწილზე; მხარდაჭერას იღებენ ირანისგან; მათ წინააღმდეგ იბრძვის საუდის არაბეთი.
ბოკო ჰარამი	ნიგერია	სუნიზმი	მისმა თავდასხმებმა გამოიწვია მილიონობით ადამიანის იძულებით გადაადგილება ჩრდილოეთ ნიგერიაში; ცნობილია ადამიანთა გატაცებებით და მკვლელობებით.

ისლამისტი პარტიზანი მებრძოლები/ტერორისტები ასევე მოქმედებენ ჩეჩნეთში (რუსეთი), ქაშმირში (ინდოეთი), ცენტრალურ აზიაში, ლიბიაში, მალიში, ინდონეზიასა და ევროპაში.

წყარო: U.S. Department of Defense

5 2021 წლიდან დაიბრუნა ხელისუფლება ავღანეთში. *რედ. შენ.*

შეიარაღებული ისლამისტური ჯგუფები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან და ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი ერთმანეთსაც კი უპირისპირდებიან ძალადობრივად (იხ. ცხრილი 4.1.). კერძოდ, ძალადობის გამომწვევია ისლამის სუნიტურ და შიიტურ ფრთებს შორის არსებული დაყოფა. აღნიშნული დაპირისპირება განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ერაყის შემთხვევაში, სადაც სუნიტი სადამ ჰუსეინი შიიტურ უმრავლესობას მართავდა. მან სასტიკად ჩაახშო შიიტების აჯანყება 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის შემდეგ, ხოლო მანამდე, 1980-იან წლებში შიიტურ ირანთან ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი გააჩაღა. 2003 წელს ამშ-ის მიერ სადამ ჰუსეინის დამხობის შემდეგ, ძალაუფლება ხელთ იგდეს შიიტურმა პარტიებმა, ხოლო შიიტურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა შურისძიება დაიწყეს. ზოგიერთმა სუნიტურმა ჯგუფმა ამას ამბოხებით უპასუხა, რაც რელიგიურ ნიადაგზე სისხლისმღვრელი ძალადობის ტალღებში გადაიზრდა. მას შემდეგ ერაყში ძალადობამ შედარებით იკლო, მაგრამ სუნიტურ-შიიტური ურთიერთობები აქ კვლავაც დასალაგებელია.

2011 წლიდან, სუნიტურ-შიიტური დაპირისპირების ეპიცენტრს სირია წარმოადგენს, სადაც მმართველი ოჯახი ალავიტია (შიიზმის განშტოება), ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა – სუნიტი. სამოქალაქო ომმა სირიაშიც შეიძინა რელიგიურ-სექტანტური ელფერი, რასაც გარე მხარდაჭერებიც უწყობენ ხელს, კერძოდ, შიიტური ირანი შიიტურ ჰეზბოლასთან ერთად ხელისუფლებას უჭერს მხარს, ხოლო სუნიტური თურქეთი, სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოებთან ერთად, მეამბოხეებს.


2014 წლისთვის, სირიაში მოქმედი ისლამისტი მეამბოხეები ერაყელ სუნიტებთან გაერთიანდნენ და ჩამოყალიბეს „ისლამური სახელმწიფო ერაყსა და სირიაში“. დაჯგუფებამ მალევე შეიძინა მომხრეები და სწრაფ სამხედრო გამარჯვებებსაც მიაღწია, განსაკუთრებით ერაყის სუნიტებით დასახლებულ ადგილებში. დაჯგუფებამ მსოფლიოს ყურადღებაც მიიქცია, როდესაც მძევლების თავის მოკვეთის ამსახველი ვიდეორგოლები გაავრცელა. მათმა სწრაფმა სამხედრო წინსვლამ და თავის მოკვეთის კადრების გავრცელებამ საერთაშორისო თანამეგობრობას უბიძგა, რომ ერაყის ტერიტორიებზე სამთავრობო კონტროლის აღსადგენად და ისლამური სახელმწიფოს დასამარცხებლად მნიშვნელოვანი სამხედრო ძალისხმევა გაეწია. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს სხვადასხვა აქტორებმა, როგორებიც არიან ქურთი მეამბოხეები, ირანი, იორდანია და აშშ. 2015 წელს ლიბიაში, იემენსა და ეგვიპტეში ტერაქტები განახორციელეს ისლამისტურმა ჯგუფებმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ისლამური სახელმწიფოს მოკავშირეები იყვნენ. 2017 წელს ერაყის მთავრობამ და რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა განაცხადეს ისლამური სახელმწიფოს დამარცხების შესახებ. მართალია, ეს დაჯგუფება უკვე აღარ აკონტროლებს ვრცელ ტერიტორიებს სირიასა და ერაყში, მაგრამ ის მაინც ცდილობს ტერორისტული თავდასხმების ორგანიზებას ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპაში.

რეგიონულ დონეზე, შიიზმსა და სუნიზმს შორის განხეთქილება გამოხატულია ირანსა და საუდის არაბეთს შორის არსებულ დაპირისპირებაში სპარსეთის ყურეში (სპარსეთის ყურეს არაბეთის ყურესაც უწოდებენ). ორივე მხარე გამალებულ შეიარაღებაშია ჩართული – საუდის არაბეთი ავიაციისა და რაკეტების რაოდენობას ზრდის, ირანი კი ბირთვული იარაღის შექმნისკენ მიისწრაფვის. რუსეთი ირანულ-შიიტური მხარისკენ იხრება, ხოლო აშშ და მისი მოკავშირეები მხარს უჭერენ საუდი-სუნიტურ გაერთიანებას. თუმცა, ვერც ერთი მხარე ვერ ნახულობს საერთო ენას ისრაელთან, რაც კონფლიქტს სამკუთხედის ფორმატს ძენს.

1979 წელს ირანში, სახალხო აჯანყების შედეგად, დაემხო აშშ-ის მოკავშირე შაჰის რეჟიმი და მის ნაცვლად დამყარდა ისლამური ხელისუფლება, სადაც უმაღლეს რელიგიურ ხელმძღვანელობას (აიათოლებს) შეუძლიათ პარლამენტის მიერ მიღებული კანონების შეცვლა. ზოგიერთი ისლამისტის მიერ საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფა მძაფრად გამოვლინდა 1979 წელს, როდესაც ირანმა უარი თქვა ირანში მყოფი ამერიკელი დიპლომატების დაცვის უზრუნველყოფაზე. გაეროს უშიშროების საბჭოს უგულებელყოფით, ირანი ავითარებს ბირთვულ ტექნოლოგიებს, რითაც რამდენიმე წელიწადში ბირთვული იარაღის შექმნას შეძლებს. 2009 წელს ჩატარებული სადავო საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ირანის ხელისუფლება უმკაცრესად გაუსწორდა საპროტესტო აქციების მონაწილეებს. 2012 წელს, მკაცრი საერთაშორისო სანქციების შედეგად, ირანის ვალუტა ნახევრად გაუფასურდა, ხოლო ირანის ბირთვული ამბიციების შესაჩერებლად, ისრაელი ღიად ემუქრებოდა მას სამხედრო იერიშებით. 2016 წელს სანქციების დიდი ნაწილის მოხსნის მიუხედავად, ირანის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები იმართებოდა 2017 წელს და შემდეგაც.

ირანი ძლიერ უჭერს მხარს (ფულით, იარაღით და წვრთნით) ლიბანში მოქმედ ჰეზბოლას შეიარაღებულ დაჯგუფებას. ჰეზბოლა ასობით სკოლას, საავადმყოფოს და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებას მართავს, თუმცა, ამავდროულად, აშშ-ის მიერ ტერორისტული ორგანიზაციების სიაშია შეყვანილი. ჰეზბოლა წლების მანძილზე ებრძვის ისრაელს და ამის გამო არაბულ სამყაროში, მათ შორის სუნიტებში, სახალხო მხარდაჭერით სარგებლობს. 2011 წელს ჰეზბოლა ლიბანის მთავრობის წამყვან ძალას წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ მის წევრებს 2005 წელს ლიბანის პრემიერ-მინისტრის მკვლელობაში დასდო ბრალი ამ საქმესთან დაკავშირებით შექმნილმა გაეროს ტრიბუნალმა.

სუნიტების მხარეზე, როგორც მთავარ შეიარაღებულ ისლამისტურ ჯგუფებს, ისე ნაკლებად ძალადობრივი ჯგუფებს წარმოადგენენ სალაფიტები. სალაფიტები ვაჰაბიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობის მიმდევრები არიან, რომელიც ისლამური სამართლის ფუნდამენტალისტურ ინტერეპრეტაციას წარმოადგენს და საუდის არაბეთში ჩაისახა. აღნიშნული ფუნდამენტალისტური მიმდინარეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი



ისლამური სახელმწიფო? ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში ისლამი ასრულებს პოლიტიკურად გამაერთიანებელ ფუნქციას, განსაკუთრებით ავტორიტარულ სახელმწიფოებში, სადაც მეჩეთი ის იშვიათი ადგილია, სადაც საჯარო შეკრება ნებადართულია. ზოგიერთი ისლამისტი პოლიტიკოსი მმართველობის ახალი მოდელის შემუშავებას ცდილობს, რომელშიც შერწყმული იქნება დემოკრატია და ისლამური ტრადიციები. ეს ეხება იმ ქვეყნებს, სადაც არაბულმა გაზაფხულმა იქონია გავლენა. სხვა ისლამისტური ჯგუფები, როგორიცაა ისლამური სახელმწიფო, ისლამურ სამართალზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ძალადობრივი მეთოდებით ცდილობენ. 2017 წლამდე ისლამური სახელმწიფო ერაყისა და სირიის მნიშვნელოვან ტერიტორიებს აკონტროლებდა. სურათზე ერაყის არმიის მებრძოლები ხსნიან ისლამური სახელმწიფოს დროშას ახლადგათავისუფლებულ ქალაქში, 2017 წ.

დღეს ავღანეთი და მასთან მოსაზღვრე დასავლეთ პაკისტანის ტომობრივი დასახლებებია. ამავე ფილოსოფიის მიმდევარი მებრძოლები 2015 წლისთვის ასევე მოქმედებდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში, განსაკუთრებით კი ნიგერიაში, მალიში, ლიბიასა და სომალიში.

ავღანეთში, სამოქალაქო ომის და ათწლიანი ნარუმატებელი საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, 1992 წელს ისლამისტური მთავრობა შეიქმნა. ამის შემდეგ, რამდენიმე წლის მანძილზე, ურთიერთდაპირისპირებულმა ისლამისტურმა დაჯგუფებებმა კიდევ უფრო ინტენსიურად გააგრძელეს ომი ერთმანეთთან. 1997 წელს ავღანეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე კონტროლი თალიბანის სახელით ცნობილმა დაჯგუფებამ დაამყარა და ქვეყანას თავს მოახვია ისლამური სამართლის ექსტრემისტული ინტერპრეტაცია. სხვადასხვა რეპრესიული ღონისძიებებით, მათ შორის ცემითა და სიკვდილის დასჯით, მათ აიძულეს ქალები თავიდან ფეხებამდე შემოსილიყვნენ, გოგონებს – არ ევლოთ სკოლაში და მამაკაცებს – მოეშავათ წვერი.

ისეთი ფეთქებსადამიში ფაქტორების კომბინაციამ, როგორებიც იყო დაუსრულებელი ომი, მწვავე სიღატაკე, ისლამური ფუნდამენტალიზმი და იდეოლოგიურად მოტივირებული მთავრობა, 1990-იანი წლების ავღანეთი საერთაშორისო ტერორისტული ოპერაციების ბაზად გადააქცია, რასაც შედეგად 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები მოჰყვა. აღნიშნულის საპასუხოდ, აშშ-მა ძალის გამოყენებით დაამხო თალიბანის ხელისუფლება და ქვეყანაში მოქმედი ალ-ქაიდას ტერორისტული ქსელის განადგურება დაიწყო. აშშ-ის და ნატო-ს წარმატების მიუხედავად, თალიბანი ნატო-ს ძალებზე და მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმებს განაგრძობდა.

2001 წელს თალიბანის დამარცხებამ ორგანიზაციის წევრები აიძულა, რომ თანამოაზრე პაკისტანელ მებრძოლებთან ერთად შექმნათ სამხედრო ბაზები დასავლეთ პაკისტანის ტომებით დასახლებულ და რთულად კონტროლირებად რეგიონებში (პაკისტანი ავღანეთზე გაცილებით უფრო დიდი და ბირთვული შეიარაღების მქონე ქვეყანაა). ფართოდ გაზიარებული მოსაზრებით, პაკისტანის სპეცსამსახურები ისლამისტ მებრძოლებს ავღანეთზე და ქაშმირზე (პაკისტანსა და ინდოეთს შორის სადავო ტერიტორია) ზეგავლენის მოსახდენად იყენებენ. 2008 წლის

ბოლოს, პაკისტანში არსებულმა ტერორისტულმა ჯგუფებმა ტერაქტები განახორციელეს ინდოეთის ქალაქ მუმბაიში, რის შედეგადაც 150-მდე მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა. პაკისტანის პროდემოკრატიულმა ძალებმა შეძლეს პაკისტანის სამხედრო ხელისუფლების გადაყენება და 2008 წელს არჩეული მთავრობა ჩამოაყალიბეს, თუმცა მანამდე მოკლეს ამ მოძრაობის ლიდერი ბენაზირ ბჰუტო.

ავღანეთის ომმა დაძაბა პაკისტანის ურთიერთობები აშშ-სა და ამერიკის მოკავშირე ნატო-ს წევრ ქვეყნებთან. აღნიშნული დაძაბულობა კიდევ უფრო გამწვავდა 2011 წელს, როდესაც აშშ-ის სპეცდანიშნულების ძალებმა პაკისტანის ერთ-ერთ ქალაქში მიაგნეს ოსამა ბინ ლადენს და მისი ლიკვიდაცია მოახდინეს. პაკისტანელებმა პროტესტი გამოთქვეს ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვის გამო, ამერიკელები კი ცდილობდნენ დაედგინათ, ეხმარებოდნენ თუ არა პაკისტანის შეიარაღებული ძალები ოსამა ბინ ლადენს დამალვაში.

ალ-ქაიდა ტრანსნაციონალური დაჯგუფებაა (უკანასკნელ წლებში უფრო ქსელი ან მოძრაობა, ვიდრე ცენტრალიზებული ორგანიზაცია), რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ახდენს მებრძოლების რეკრუტირებას, აქეზებს მათ, ხანდახან წვრთნის კიდეც და ეხმარება სხვადასხვა კონფლიქტებში საბრძოლველად ჩართვაში (ავღანეთი 1980-იან წლებში, ერაყი 2003 წლის შემდეგ, ან სირია და იემენი დღეს).

მიუხედავად იმისა, რომ ალ-ქაიდამ, როგორც „ბრენდმა" უკანასკნელ წლებში მიმდევრები ჩრდილოეთ აფრიკაშიც გაიჩინა, მისი მხარდამჭერების რაოდენობა შემცირდა აზიასა და ევროპაში. ამ რეგიონებში 2001 წლის შემდეგ ტერაქტები მოხდა ბალიზე, მაროკოში, საუდის არაბეთში, რუსეთში, ფილიპინებში, ერაყსა და თურქეთში. 2004 წელს მადრიდის რკინიგზაზე მომხდარ აფეთქებებს ასობით ადამიანი ემსხვერპლა და სავარაუდოდ, არჩევნებში პროამერიკულ მთავრობის წაგებაზეც იქონია გავლენა. საბოლოოდ, ესპანეთმა ჯარები გაიყვანა ერაყიდან. მომდევნო წელს ტერორისტების სამიზნე ლონდონის მეტრო გახდა.

ალ-ქაიდა დიდი ხანია ცდილობს მონარქიის დამხობას საუდის არაბეთში, რომელიც მსოფლიოს ყველაზე დიდ ნავთობრეზერვებს ფლობს, სადაც ისლამის ყველაზე წმინდა ადგილები მდებარეობს და საიდანაც ვაჰაბიზმი იღებს სათავეს.

საუდის არაბეთის სამხრეთელ მეზობელ იემენში ალ-ქაიდასთან დაკავშირებული ჯგუფის მებრძოლები მოქმედებენ. მათ რამდენჯერმე სცადეს აშშ-სკენ მიმავალი თვითმფრინავების აფეთქება, ხოლო 2011-2012 წლებში, როდესაც დედაქალაქში მიმდინარე არეულობის გამო (არაბული გაზაფხული) ცენტრალური მთავრობა პარალიზებული იყო, შეძლეს ქვეყნის სამხრეთის დაკავება. იემენი ახლო აღმოსავლეთის უღარიბესი სახელმწიფოა და მნიშვნელოვნად ზარალდება ათწლეულების მანძილზე მიმდინარე სამოქალაქო კონფლიქტით. აშშ 2010 წლიდან აქტიურად იყენებს მოიერიშე უპილოტო საფრენ აპარატებს იემენში მოქმედ დაჯ-

გუფებებზე თავდასხმების განსახორციელებლად. 2015 წლისთვის იემენში სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. ჰუსიტების სახელით ცნობილი ერთ-ერთი ჯგუფი, რომელიც ირანის მოკავშირეა და უპირისპირდება ალ-ქაიდას, ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად იბრძოდა და 2017 წელს დაიკავა დედაქალაქი. საპასუხოდ, საუდის არაბეთმა (ირანის მეტოქემ) შეუტია ჰუსიტებს, რათა მთავრობას კონტროლის აღდგენაში დახმარებოდა. ამ ქაოსში, ახალმა ისლამისტმა მებრძოლებმა, რომლებიც თავს ისლამურ სახელმწიფოსთან აკავშირებდნენ, თვითმკვლელთა ტერორისტული აქტების განხორციელება დაიწყეს. 2018 წლისთვის ჰუსიტები ინარჩუნებდნენ დედაქალაქზე კონტროლს და დროდადრო საუდის არაბეთზე ახორციელებდნენ თავდასხმებს რაკეტების გამოყენებით. ომი მძვინვარებდა მთელს ქვეყანაში.[6]

აფრიკის კავშირის ძალებმა 2012 წელს სომალის დიდი ქალაქებიდან და მსხვილი დასახლებული პუნქტებიდან განდევნეს ალ-ქაიდასთან ასოცირებული ალ-შაბაბის მებრძოლები, თუმცა იქამდე ტერორისტებმა მოასწრეს შურისძიების აქტების განხორციელება ეთიოპიისა და უგანდის წინააღმდეგ, რომლებიც სომალის მთავრობას მებრძოლებით უწევდნენ დახმარებას. უგანდაში ალ-შაბაბმა სისხლიანი ტერაქტები განახორციელა 2010 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მიმდინარეობისას. 2011 წელს აფრიკის კავშირის ძალებს უკვე განდევნილი ჰყავდათ ალ-შაბაბი სომალის დედაქალაქიდან, მაგრამ ტერორისტების კონტროლქვეშ არსებულ ტერიტორიებზე ომითა და გვალვით გამოწვეული საშინელი შიმშილობის გამო, ლტოლვილების ნაკადი მიაწყდა კენიას. საპასუხოდ, კენიამაც შეიყვანა საკუთარი შეიარაღებული ძალები სომალიში ალ-შაბაბთან საბრძოლველად. ამან დაასუსტა დაჯგუფება, მაგრამ ის მაინც აგრძელებდა თავდასხმებს სომალის შიგნით.

ლიბიაში (ნატო-ს ხელშეწყობით) დიქტატორის დამხობამ 2011 წელს გააძლიერა მანამდე შევიწროებული შეიარაღებული ისლამისტური დაჯგუფებები. 2012 წელს ამ დაჯგუფებების წევრებმა მოკლეს აშშ-ის ელჩი ქვეყანაში და დიდი ოდენობის შეიარაღებით აღჭურვილები შეუერთდნენ ჩრდილოეთ მალის დასაკავებლად მებრძოლ ადგილობრივ მეამბოხე ეთნიკურ ჯგუფებს. თავის დროზე, ისინი ლიბიის დიქტატორს დაქირავებული მებრძოლების რანგში ემსახურებოდნენ. ისლამისტებმა მალევე დაჯაბნეს მეამბოხეები და ძალაუფლება საკუთარ ხელში აიღეს, მაგრამ 2013 წელს ისინი დამარცხდნენ საფრანგეთისა და მალის მეზობელი აფრიკული სახელმწიფოების ერთობლივი ინტერვენციის შედეგად, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილზე მალის ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის აღდგენას.

დასავლეთ აფრიკის სახელმწიფო ნიგერიაში, „ბოკო ჰარამის“ სახელით ცნობილი ისლამისტური დაჯგუფება 2009 წლიდან ახორციელებს

6 2022-2023 წლებში დაიწყო მხარეთა შორის მოლაპარაკებები გაეროს და ჩინეთის მონაწილეობით. ჩინეთი შუამავლობდა ირანსა და საუდის არაბეთს შორის. *რედ. შენ.*

თავდასხმებს ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მშვიდობიან მოსახლეობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014 წელს ჯგუფის თავდასხმები გოგონათა რამდენიმე სკოლაზე, რასაც შედეგად ახალგაზრდა გოგონების მძევლად აყვანა მოჰყვა. ნიგერიის მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და ათასობით სამხედრო შეიყვანა ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონებში, სადაც ეს დაჯგუფება განსაკუთრებით ძლიერი იყო.

პალესტინაში მოქმედი რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება ჰამასი კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუნიტური ისლამისტური ორგანიზაციაა, თუმცა მას ალ-ქაიდასთან ან თალიბანთან კავშირები არ აქვს. ჰამასი ღაზას სექტორშია კონცენტრირებული. იგი ორგანიზებას უწევდა თვითმკვლელი ტერორისტების ისრაელში გადასვლას, რომელთა ქმედებებს 2000 წლის შემდეგ ისრაელის ასობით მოქალაქე ემსხვერპლა. 2006 წელს ჰამასმა პალესტინის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, რადგან ამომრჩევლებს ის მმართველ პარტიაზე ნაკლებად კორუმპირებულად მიაჩნდათ. პალესტინა კვლავაც გაყოფილი რჩება – პალესტინის ხელისუფლება მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს, ხოლო ჰამასი ღაზას სექტორს აკონტროლებს.

რუსეთი და ჩინეთია ის ორი დიდი სახელმწიფო, რომლებიც ისლამისტური დაჯგუფებების ძალადობის წინაშე საკუთარი საზღვრების შიგნით დგანან. პირველს ეს პრობლემა ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში შეექმნა, მეორეს – უკიდურეს დასავლეთში. რუსეთის შემადგენლობაში შემავალმა, ძირითადად სუნიტი მუსლიმებით დასახლებულმა ჩეჩნეთის რესპუბლიკამ 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთისგან გამოყოფა სცადა. 1994-1995 და 1999-2000 წლების დამანგრეველი ომების შემდეგ ეს საფრთხე შემცირდა, მაგრამ ჩეჩენმა პარტიზანებმა ამის მერე თვითმფრინავების გატაცება, მძევლების აყვანა და თვითმკვლელი ტერორისტების გამოყენება დაიწყეს. 2004 წელს ჩეჩენი ტერორისტების სკოლაში შეჭრას და მოსწავლეების მძევლად აყვანას ასობით ბავშვი ემსხვერპლა. 2005 წელს რუსეთის ძალებმა ჩეჩენი სეპარატისტების ლიდერი მოკლეს და ამჟამად პოლიტიკური ძალადობა ჩეჩნეთში შედარებით იშვიათია.


საერთო ჯამში, ისლამისტური დაჯგუფებების მონაწილეობით მიმდინარე კონფლიქტები უფრო კომპლექსურია, ვიდრე მხოლოდ რელიგიური კონფლიქტები, რადგან საქმე გვაქვს ძალაუფლებასთან, ეკონომიკურ ურთიერთობებთან, ეთნიკურ შოვინიზმთან და ასევე, წარსულში არსებული იმპერიების მემკვიდრეობასთან.

4.2.4 იდეოლოგიური კონფლიქტი

მთლიანობაში, იდეოლოგიაც რელიგიასავითაა: ჯგუფებსა და სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების გამომწვევაზე მეტად, ის ამ კონფლიქტების სიმბოლიზებას და გამწვავებას ახდენს. თუმცა, რელიგიასთან შე-

დარებით, უფრო სუსტია იდეოლოგიის ამბიცია ძირითად ღირებულებებსა და აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე. შესაბამისად, ის უფრო ნაკლებ პრობლემას უქმნის საერთაშორისო სისტემას.

რეალისტებისთვის სახელმწიფოებს შორის არსებულ იდეოლოგიურ განსხვავებებს არ აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან საერთაშორისო სისტემის ყველა წევრი ცდილობს საკუთარი ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას ცვალებადი ალიანსების სისტემაში. გრძელვადიან პერსპექტივაში, ისეთი ქვეყნებიც კი, სადაც ძლიერი იდეოლოგიის საფუძველზე მოხდა რევოლუცია, კარგავენ იდეოლოგიურ ჟინს, იქნება ეს ირანის ისლამური ფუნდამენტალიზმი 1979 წელს, ჩინეთის მაოისტური კომუნიზმი 1949 წელს, რუსეთის ლენინისტური კომუნიზმი 1917 წელს თუ ამერიკული დემოკრატია 1776 წელს. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში, რევოლუციონერები მოელოდნენ, რომ ხელისუფლებაში მათი მოსვლა მყვეთრად შეცვლიდა მათი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკას, რადგან თითოეულ ამ იდეოლოგიას საკმაოდ ფართო საერთაშორისო განზომილება ჰქონდა. თუმცა, რამდენიმე ათწლეულის გავლის შემდეგ, ყველა რევოლუციურმა მთავრობამ იდეოლოგიური ინტერესების ნაცვლად ეროვნული ინტერესების გატარება დაიწყო.



იდეოლოგიური განხეთქილება საერთაშორისო კონფლიქტების უმრავლესობაში იდეოლოგია მხოლოდ შეზღუდულ როლს ასრულებს. რევოლუციების შემდეგ, ისეთმა იდეოლოგიებმა, როგორიცაა მარქსიზმი, შესაძლოა გავლენა მოახდინოს საგარეო პოლიტიკაზე, თუმცა შემდგომ ათწლეულებში, ჩინეთის ან საბჭოთა კავშირის მსგავსი სახელმწიფოები, როგორც წესი, უბრუნდებიან არა იდეოლოგიაზე, არამედ ეროვნულ ინტერესებზე დამყარებულ საგარეო პოლიტიკას. მიუხედავად ამისა, იდეოლოგიური შეტაკებები მაინც ხდება, მაგალითად თავისუფლების მოყვარულ აშშ-სა და ავტორიტარულ ჩრდილოეთ კორეას შორის. სურათზე ნაჩვენებია ამ ორი სახელმწიფოს ერთმანეთისგან განსხვავებული სტილი ჩრდილოეთ კორეაში ნიუ-იორკის ფილარმონიული ორკესტრის მიერ ჩატარებული იშვიათი კონცერტის მაგალითზე, 2008 წელი.

ზოგჯერ დეკლარირებული იდეოლოგიური ბრძოლაც კი არ არის რეალურად იდეოლოგიური. 1980-იანი წლების ანგოლაში, აშშ ეხმარებოდა უნიტა-ს სახელით ცნობილ მეამბოხეთა ჯგუფს, რომელიც საბჭოთა კავშირთან დაახლოებულ მთავრობას ებრძოდა. ერთი შეხედვით, ეს იყო დემოკრატიის ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ. რეალურად, იდეოლოგიური განსხვავები საკმაოდ ხელოვნური იყო. ანგოლის მთავრობა მარქსისტულ რიტორიკას საბჭოთა კავშირისგან დახმარების მიღების მიზნით ახმოვანებდა (საბჭოთა დახმარების შეწყვეტასთან ერთად, ეს პოლიტიკაც შეიცვალა). მეამბოხეები დემოკრატიულ რიტორიკას იყენებდნენ აშშ-ის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, არადა მანამდე ისინი ჩინეთის დახმარებას იღებდნენ და შესაბამისად, მაოისტური რიტორიკა ჰქონდათ. აღნიშნულ კონფლიქტს, რომელიც 2002 წელს დასრულდა, რეალურად იდეოლოგიასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ეს იყო ძალაუფლებისთვის ბრძოლა ორ შეიარაღებულ, ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბე-

ბულ ჯგუფს შორის. ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ ანგოლის ნავთობზე, ალმასებსა და სხვა სიმდიდრეზე კონტროლის დასამყარებლად.

მოკლევადიან პერსპექტივაში, რევოლუციები ცვლის საერთაშორისო ურთიერთობებს. რევოლუციები ომის ალბათობას ზრდის, მაგრამ არა იდეოლოგიის მიზეზით. რეალურად, მთავრობების უეცარმა ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს ალიანსების და ძალთა ბალანსის ცვლილება. ყველა მხარე ახდენს ძალთა ბალანსის ახლიდან გამოთვლას და ასეთ დროს, იზრდება მცდარი გათვლების ან არსებული საფრთხეების გაზვიადების შანსი. თუმცა. რევოლუციების ექსპორტი სხვა სახელმწიფოებში იშვიათად ხდება.

4.3 ინტერესთა კონფლიქტები

მიმოიხილეთ ორი სხვადასხვა ტერიტორიული დავა და შეაფასეთ მათი მშვიდობიანი მოგვარების პერსპექტივები.

თუკი იდეათა კონფლიქტები ძნელად დასალაგებელია ფსიქოლოგიური და ემოციური ფაქტორების გამო, მატერიალურ საკითხებზე არსებული კონფლიქტების მოგვარება გარკვეულწილად უფრო მარტივია ორმხრივობის პრინციპის გამოყენებით. თეორიულად, პოზიტიური ზეწოლის სათანადო ბერკეტის არსებობის შემთხვევაში, რაც გარკვეული ფორმის ანაზღაურებას გულისხმობს, ნებისმიერი სახელმწიფო დათანხმდება სხვა სახელმწიფოს პირობებს სადავო საკითხზე.

4.3.1 ტერიტორიული დავები

სახელმწიფოს ტერიტორიული ბუნებიდან გამომდინარე, მატერიალურ „საქონელთან“ დაკავშირებულ საერთაშორისო კონფლიქტებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერიტორიული დავები (იხ. თავი 2). ტერიტორიის კონტროლთან დაკავშირებით არსებული კონფლიქტები ორი სახისაა: ტერიტორიული დავები (სად უნდა გაივლოს საზღვრები) და მოცემულ საზღვრებში არსებული მთელი სახელმწიფოს კონტროლთან დაკავშირებული კონფლიქტები (განხილულია შემდეგ ქვეთავში – ხელისუფლებების კონტროლი). თავდაპირველად განვიხილოთ საზღვრების გავლებასთან დაკავშირებული სხვადასხვაობები, ანუ ვინ უნდა გააკონტროლოს მიწის სადავო ნაწილი. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოები ფანატიკურად დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთარ ტერიტორიას, სასაზღვრო დავები ერთ-ერთი ყველაზე რთულად მოსაგვარებელია საერთაშორისო ურთიერთობებში. სახელმწიფოები იშვიათად თმობენ ტერიტორიას ფულის ან სხვა საზღაურის სანაცვლოდ. ამასთან, სახელმწიფოებს არ ავიწყდებათ ის ტერიტორიები, რომლებიც მათ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ დაკარგეს. მაგალითად, 2002 წელს ბოლივიაში საზოგადოება ეწინააღმდეგებოდა ოკეანესთან დამაკავშირებელი გაზ-

ირედენტიზმი (irredentism) ნაციონალიზმის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს სხვა სახელმწიფოს სასარგებლოდ დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებას. მან შეიძლება პირდაპირ გამოიწვიოს სახელმწიფოთაშორისი ძალადობრივი კონფლიქტი.

სადენის მშენებლობას ჩილეს გავლით, რადგან ჩილემ ბოლივიას სანაპირო ტერიტორია წაართვა 1879 წელს. სხვა სახელმწიფოს სასარგებლოდ დაკარგული მიწის დაბრუნების მიზანს **ირედენტიზმი** ეწოდება. ნაციონალიზმის ეს ფორმა ხშირად სერიოზული სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების პირდაპირ მიზეზად გვევლინება.

სახელმწიფოს მთლიანობასთან კავშირის გამო, ტერიტორიებს მათ რეალურ ეკონომიკურ ან სტრატეგიულ ღირებულებაზე ბევრად უფრო ფასეულად მიიჩნევენ. მაგალითად, 1978 წელს ისრაელსა და ეგვიპტეს შორის სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის შემდეგ, მათ კიდევ ათი წელი დასჭირდათ სანაპირო ზოლთან მდებარე პატარა დასახლებულ პუნქტ ტაბასთან საზღვრის შესათანხმებლად, სადაც ებრაულ სამშენებლო კომპანიას ზუსტად ძველი საზღვრის გადაღმა ჰქონდა სასტუმრო აშენებული. ორივე სახელმწიფომ საბოლოოდ საკითხის გადაწყვეტა სავალდებულო არბიტრაჟს მიანდო და ტერიტორია ეგვიპტეს მიაკუთვნეს. ეგვიპტისთვის თითოეული გოჯი მიწის დაბრუნებას ეროვნული ღირსების მნიშვნელობა ჰქონდა და სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა.


ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, ტერიტორიის უშუალო ღირებულების გარდაუვალი შემცირების მიუხედავად, უცვლელი რჩება მნიშვნელობა, რასაც სახელმწიფოები საკუთარ ტერიტორიას ანიჭებენ. ისტორიულად ტერიტორია ეკონომიკური წარმოების, ანუ სოფლის მეურნეობისა და ნედლეულის მოპოვების საფუძველს წარმოადგენდა. ომებში გამარჯვების მოპოვება ნიშნავდა ტერიტორიების შემოერთებას, რაც, თავის მხრივ, გაზრდილ სიმდიდრეს გულისხმობდა. დღეს გაცილებით მეტი სიმდიდრე მიიღება ვაჭრობიდან და ტექნოლოგიებიდან, ვიდრე სოფლის მეურნეობიდან. ტერიტორიულ დავასთან დაკავშირებული დანაკარგები უმეტესად აღემატება სადავო ტერიტორიიდან მისაღები შესაძლო ეკონომიკური სარგებლის მოცულობას. არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად ზოგიერთ აფრიკულ სახელმწიფოში ალმასის საბადოების დაკავება მეამბოხეების მიერ, რომლებიც ალმასის რეალიზებიდან მიღებულ შემოსავალს ომის დასაფინანსებლად იყენებენ. თუმცა, 2002 წელს ორმოცმა სახელმწიფომ შექმნა ლეგიტიმური ალმასის გაეროს სერტიფიცირების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო ბაზარზე „სისხლიანი ალმასის“ მოხვედრის პრევენციას. დღეს 80-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს კიმბერლის პროცესის სახელით ცნობილ ამ პროგრამაში.

სეცესია. არსებული სახელმწიფოდან მისი მხარის ან რეგიონის გამოყოფის მცდელობა საზღვრებთან დაკავშირებული კონფლიქტის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. ასეთ დროს საქმე გვაქვს არა ორ სახელმწიფოს შორის არსებულ სასაზღვრო დავასთან, არამედ ახალი სახელმწიფოს გამო საერთაშორისო საზღვრის გავლებასთან. მსოფლიოში ათეულობით სეცესიური მოძრაობა არსებობს, რომლებიც ერთმანეთისგან მოცულობითა და პოლიტიკური ეფექტიანობის ხარისხით განსხვავდება,

თუმცა გამოყოფის მცდელობა წარმატებით იშვიათად სრულდება. არსებული სახელმწიფო თითქმის ყოველთვის ცდილობს სადავო ტერიტორიის შენარჩუნებას. მაგალითად, 1990-იან წლებში მუსლიმებით დასახლებულ კოსოვოს სერბეთიდან გამოყოფის მიზნით ომის წარმოება მოუხდა. ნატოს ინტერვენციის, მათ შორის, სერბეთის (გაეროსგან არასანქცირებული) სისტემატური დაბომბვის შედეგად, სერბეთის არმია კოსოვოდან გავიდა და მის ნაცვლად იქ ევროპული და ამერიკული სამშვიდობო ძალები განთავსდნენ, რომლებიც დღემდე კოსოვოში რჩებიან. კოსოვოს მოსახლეობის უმრავლესობას გამოყოფა და საერთაშორისოდ აღიარებულ სახელმწიფოში ცხოვრება სურს, მაგრამ სერბები ამტკიცებენ, რომ კოსოვოზე ისტორიულად და დღესაც სერბეთის სუვერენიტეტი ვრცელდება. მაშინ, როცა გაერო და დიდი სახელმწიფოები კოსოვოს მომავალთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, ხოლო რუსეთი მოითხოვდა, რომ კოსოვოსთვის არ მიეცათ დამოუკიდებლობის დაპირება, კოსოვოელებმა საქმეს თვითონ მოჰკიდეს ხელი და 2008 წელს გაეროს ნებართვის გარეშე გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. ცალკეულმა ქვეყნებმა, მათ შორის აშშ-მა და ევროკავშირის დიდმა სახელმწიფოებმა, აღიარეს კოსოვოს დამოუკიდებლობა, რითაც გააღიზიანეს სერბეთი, რუსეთი და ჩინეთი. 2011 წელს სამხრეთ სუდანმა მოიპოვა დამოუკიდებლობა და გაეროს წევრობაც, ამ შემთხვევაში სუდანის თანხმობით.

სეცესიური ომები შეიძლება დიდი და სისხლისმღვრელი იყოს, ასევე ადვილად გასცდეს საერთაშორისო საზღვრებს და სხვა ქვეყნებსაც გადაედოს. გავრცელების ალბათობა განსაკუთრებით მაღალია, თუ ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფი საზღვრის ორივე მხარეს ცხოვრობს – ერთ სახელმწიფოში უმრავლესობას შეადგენს, ხოლო მეორე სახელმწიფოში უმცირესობაშია, მაგრამ მოსაზღვრე რეგიონში – უმრავლესობაში. კოსოვოს შემთხვევაში, ალბანელი მუსლიმები უმრავლესობაში არიან ალბანეთში და კოსოვოში, მაგრამ სერბეთში უმცირესობას წარმოადგენენ. ანალოგიური ვითარებაა ბოსნია-სერბეთის, მოლდოვა-რუსეთის და ინდოეთ-პაკისტანის შემთხვევებში. ზოგჯერ სეცესიონისტებს საკუთარი ტერიტორიების მეზობელ სახელმწიფოსთან მიერთება უნდათ, რაც საერთაშორისო საზღვრების შეცვლის ტოლფასია. საერთაშორისო ნორმები არ მიესალმება ასეთ რამეს.

სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ძლიერი საერთაშორისო ნორმები სეცესიურ მოძრაობებს შიდა პოლიტიკურ პრობლემად განიხილავს, რომელიც ნაკლებადაა სხვა სახელმწიფოების საქმე. ზოგადი პრინციპი ასე ჟღერს: „ჩვენ, არსებულ სახელმწიფოებს, ყველას გვაქვს ჩვენი შიდა პრობლემები, ისევე როგორც უკმაყოფილო ჯგუფები და რეგიონები. შესაბამისად, უნდა გავერთიანდეთ სუვერენიტეტისა და ტერიტორიული პრინციპების გარშემო“. ამდენად, რუსეთი და ჩინეთი ეწინააღმდეგებოდნენ სერბეთიდან კოსოვოს გამოყოფას, ჩეჩნეთსა და ტაივანზე შესაძლო გავლენის გათვალისწინებით.



დავრჩე თუ წავიდე? რეგიონის სახელმწიფოსგან გამოყოფის მცდელობა ხშირად იწვევს საერთაშორისო კონფლიქტს, მაგრამ საერთაშორისო ნორმები ასეთ კონფლიქტს, როგორც წესი, ქვეყნის საშინაო საქმეებს მიაკუთვნებს მანამ, სანამ იგი საზღვრებს მიღმა არ გავრცელდება. სურათზე დამოუკიდებლობის მომხრეები მართავენ მიტინგს ბარსელონაში, ესპანეთის კატალონიის რეგიონში, რომელმაც მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას 2017 წლის რეფერენდუმში. ესპანეთმა უარი თქვა კატალონიელების მოთხოვნის აღიარებაზე და რეფერენდუმი უკანონოდ გამოაცხადა

თუმცა, ამ პრინციპსაც აქვს საკუთარი ჩარჩოები. 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და საქართველოში შემავალი სამხრეთ ოსეთის რეგიონს შორის დაწყებული ბრძოლის დროს რუსეთი კონფლიქტში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მხარეს ჩაერია, რასაც შედეგად რუსეთსა და საქართველოს შორის ხანმოკლე ომი მოჰყვა. ამის შემდეგ რუსეთმა აღიარა საქართველოს ორივე სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობა. ეს ნაბიჯი დაგმო აშშ-მ და ევროკავშირმა და არც გაეროს უღიარებია.

რთული სასაზღვრო პრობლემები წარმოიქმნება მრავალეროვნული სახელმწიფოების დაშლისას. ასეთ დროს მანამდე არსებული შიდა საზღვრები საერთაშორისო საზღვრებად გარდაიქმნება და რადგან ეს ახალი საზღვრებია, მათი დავის საგნად გადაქცევის ალბათობაც უფრო მაღალია. ყოფილ იუგოსლავიაში, ეთნიკურ ჯგუფებს შორის ხშირი იყო აღრევისა და შერეული ქორწინებების შემთხვევები, რის შედეგადაც იუგოსლავიის თითქმის ყველა რესპუბლიკაში შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა. 1991-1992 წლებში, როდესაც იუგოსლავია დაიშალა, რამდენიმე რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მათგან ორ სახელმწიფოში, ხორვატიასა და ბოსნიაში უმცირესობის რანგში აღმოჩნდნენ ეთნიკური სერბები. სერბეთმა ძალის გამოყენებით მოიპოვა კონტროლი ხორვატიისა და ბოსნიის ეთნიკური სერბებით დასახლებულ ადგილებზე და ამ მოსახლეობასთან გეოგრაფიული წვდომა უზრუნველყო. აღნიშნულ ადგილებში მოხდა არასერბი მოსახლეობის გაძევება ან ხოცვა, რასაც **ეთნიკურ წმენდას** უწოდებენ. მოგვიანებით, როდესაც 1995 წელს ხორვატიამ აღადგინა კონტროლი საკუთარი ტერიტორიის დიდ ნაწილზე, სერბი მოსახლეობა ამ ადგილებიდან გაიქცა. ოპორტუნისტი პოლიტიკოსების მიერ გაღვივებული ეთნიკური ნაციონალიზმი უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე სერბეთსა და ხორვატიაში არსებული მრავალეთნიკური ტოლერანტობა.

ეთნიკური წმენდა (ethnic cleansing)

ევფემიზმი, რომელიც ასახავს ეთნიკური ჯგუფის ან ჯგუფების ტერიტორიიდან ძალადობით განდევნას, რასაც თან ახლავს ხოცვა-ჟლეტა და ადამიანის უფლებების დარღვევები. ასეთი რამ ხდება მრავალეროვნული სახელმწიფოების დაშლისას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოფილი იუგოსლავიის შემთხვევა.

თუმცა, სახელმწიფოს დაშლა ყოველთვის არ იწვევს ძალადობას. სერბეთი და მონტენეგრო (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა) მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს 2006 წელს. ჩეხოსლოვაკია თანამშრომლობის გზით გაიყო ჩეხეთად და სლოვაკეთად. საბჭოთა კავშირის დაშლასაც დიდწილად არ მოჰყოლია ძალადობრივი ტერიტორიული დავები რესპუბლიკებს შორის, მაშინაც კი, როდესაც ეთნიკური ჯგუფები ახალი საერთაშორისო საზღვრების გასწვრივ აღმოჩნდნენ გაბნეულნი.

საზღვრების შეცვლის საწინააღმდეგო ნორმა არ მოქმედებს დეკოლონიზაციის შემთხვევებში. საერთაშორისო ნორმებით დაცულია მხოლოდ არსებული და აღიარებული სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა. ისტორიულად კოლონიები და სხვა ტერიტორიული საკუთრებები მიჩნეული იყო ქონებად, რომელიც შეიძლება მოგებოვებინა, დაგეკარგა, გაგეყიდა ან გამოგეყენებინა სავაჭროდ პოლიტიკურ გარიგებებსა და ომებში. 1997 წელს ბრიტანეთის მიერ ჰონკონგის ჩინეთისთვის გადაცემისას ნათლად გამოჩნდა, რამდენად არაარსებითია კოლონიის ტერიტორია (ბრიტანელების პერსპექტივიდან) მაშინ, როდესაც მშობლიური ტერიტორია ლამის სიწმინდის რანგშია აყვანილი (ჩინეთის პერსპექტივიდან). ადგილობრივი მოსახლეობის აზრი კი არც ერთი მხარის პერსპექტივაში დიდად გათვალისწინებული არაა.

ცენტრალური მთავრობის სრული კონტროლის ქვეშ ყოფნასა და გამოყოფას შორის რეალისტურ კომპრომისად სულ უფრო ხშირად განიხილება რეგიონული ავტონომიის ვარიანტი. 2005 წელს, ნაწილობრივ ერთი წლით ადრე მომხდარი დამანგრეველი ცუნამის გამო, ინდონეზიის აჩეჰის პროვინციაში მოქმედმა სეპარატისტებმა უარი თქვეს დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე და ამის ნაცვლად, მონაწილეობა მიიღეს 2006 წლის რეგიონულ არჩევნებში. ინდონეზიის მთავრობამ აჩეჰიდან გაიყვანა 24 ათასიანი არმია და რეგიონს შესთავაზა შეზღუდული თვითმმართველობა იქ მოპოვებული ნავთობის, გაზის და სხვა ნიაღისეულისგან მიღებული შემოსავლის 70%-თან ერთად.

სახელმწიფოთაშორისი საზღვრები საერთაშორისო თანამეგობრობა უფრო სერიოზულად უდგება სასაზღვრო დავებს არსებულ სახელმწიფოებს შორის, მაგრამ ასეთი დავები სეცესიურ კონფლიქტებთან შედარებით ნაკლებად გავრცელებულია. ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო ნორმიდან გამომდინარე, ხანგრძლივი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი სასაზღვრო კონფლიქტები ცოტაა. ერთ დროს, სახელმწიფოდან სახელმწიფოზე დიდი ტერიტორიები კალმის ერთი მოსმით გადაიცემოდა. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, არსებულ სახელმწიფოებს შორის ძალიან მცირე ფართობის ტერიტორიებმა შეიცვალა კუთვნილება ძალის გამოყენებით (ეს არ ეხება ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას და ძველი სახელმწიფოების დაშლას).

ამას გარდა, როდესაც ტერიტორიულ დავებს ადგილი აქვს ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებს შორის, შესაძლებელია მათი მშვიდობიანი გზით მოგვარება. 2006 წელს ნიგერიამ ჯარები გაიყვანა პოტენციურად ნავთობით მდიდარი ბაკასის ნახევარკუნძულიდან, რომელიც კამერუნს გადაეცა. აღნიშნული დავა სათავეს კოლონიური ხანიდან იღებდა და მის გადაჭრას წინ უძღოდა ათ წელზე მეტი დაუღალავი შრომა საერთაშორისო სასამართლოში, გაეროს გენერალური მდივნის პირადი შუამავლობა მას მერე, რაც ნიგერიამ უარი თქვა სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებაზე და გარე აქტორების დაპირება, რომ შეთანხმების

იმპლემენტაციას დააკვირდებოდნენ. რატომ უნდა დაეთმო ტერიტორია ნებაყოფლობით ნიგერიას, რომელიც მოსახლეობით ცხრაჯერ აღემატება კამერუნს, სამჯერ უფრო დიდი მთლიანი შიდა პროდუქტი აქვს და გაცილებით უფრო ძლიერი შეიარაღებული ძალები ჰყავს? ერთი შეხედვით, აღნიშნული ნაბიჯი ეწინააღმდეგება რეალიზმის ვარაუდებს და ზოგადად, დომინირების პრინციპს. ლიბერალური თეორიები უკეთ ხსნის ამ შედეგს: ნიგერია მოქმედებდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან დავის საერთაშორისო სასამართლოსთვის გადაცემა და შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში გაეროს ჩართვა ხელს უწყობდა სტაბილურობას, რომელიც საჭირო იყო უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და აღნიშნულ მხარეში რესურსების, განსაკუთრებით ნავთობის მოპოვების განსავითარებლად.

გაჭიანურებული დავები დღეს არსებული მცირე რაოდენობის სახელმწიფოთაშორისი სასაზღვრო დავები მნიშვნელოვან საერთაშორისო კონფლიქტებს იწვევს. ყველაზე რთულ შემთხვევებს განეკუთვნება ისრაელის საზღვრები. 1948 წელს, ისრაელის დამოუკიდებლობის ომის შედეგად მიღებული ცეცხლის შეწყვეტის ხაზები 1967 წლის ომის შემდეგ შეიცვალა და ისრაელი გაფართოვდა. მართალია, ისრაელმა დაუბრუნა ეგვიპტეს სინაის ნახევარკუნძული, მაგრამ არაბეთ-ისრაელის კონფლიქტში მთავარი ადგილი უკავია 1967 წელს ოკუპირებულ დანარჩენ ტერიტორიებს – იორდანიის მოსაზღვრე მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს, ეგვიპტის მოსაზღვრე ღაზას სექტორს და სირიის გოლანის მაღლობებს. კერძოდ, დაპირისპირების საგანს წარმოადგენს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების მშენებლობა, რასაც ძალიან ეწინააღმდეგებიან პალესტინელები, ხოლო საერთაშორისო აქტორების უმრავლესობა უკანონოდ მიიჩნევს. 1993 წლის შემდეგ ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებების შედეგად დასავლეთ სანაპიროსა და ღაზაში შეიქმნა პალესტინური ავტონომია და ისე ჩანდა, რომ მოლაპარაკებები პალესტინური სახელმწიფოს შექმნისკენ მიდიოდა. აღნიშნული ძალისხმევა მთლიანად შეჩერდა 21-ე საუკუნეში, 2012 წელს პალესტინისთვის გაეროს არაწევრი „სახელმწიფოს“ სტატუსის მინიჭების მიუხედავად, რაც დიდწილად სიმბოლურ ჟესტს წარმოადგენდა.



Bullit Marquez/ AP Images

წყლიდან ამოზრდილი სპარტლის კუნძულების არქიპელაგი სამხრეთ ჩინეთის ზღვაში პოლიტიკური და სამხედრო დაძაბულობის მნიშვნელოვანი წყაროა აზიაში. ახლო წარსულში ჩინეთმა დაიწყო მცირე რიფებზე კუნძულების მშენებლობა, რათა იქ სამხედროები განთავსებინა. სურათზე ნაჩვენებია ხელოვნური კუნძული და ზედ განლაგებული ჩინური სამხედრო ბაზა, 2017 წ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სასაზღვრო დავა ქაშმირის მხარეშია, სადაც ინდოეთის, პაკისტანის და ჩინეთის ინტერესები იკვეთება ერთმანეთთან. ქაშმირის ინდოეთის მიერ გაკონტროლებული ნაწილი ძირითადად მუსლიმებითაა დასახლე-

ბული. მუსლიმები პაკისტანში უმრავლესობას შეადგენენ, ხოლო ინდოეთში უმცირესობაში არიან. საკონტროლო ხაზი ერთმანეთისგან ჰყოფს სადავო პროვინციის ორ ნაწილს. პაკისტანი ინდოეთს ადანაშაულებს ქაშმირელების შევიწროებასა და საერთაშორისო შეთანხმების შეუსრულებლობაში, რომელიც ქაშმირის სამომავლო სტატუსის განსაზღვრას სახალხო რეფერენდუმის გზით ითვალისწინებს. ინდოეთი პაკისტანს ბრალს სდებს ისლამისტი რადიკალების ხელშეწყობაში, რომლებიც ინდოეთის ქაშმირში თავდასხმებს ახორციელებენ. ინდოეთმა და პაკისტანმა უკვე ორჯერ იომეს აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად და 2002 წელს ახლოს იყვნენ მესამე ომთან, ამჯერად უკვე ბირთვული სახელმწიფოების რანგში. 2003 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებამ წარმატებით იმუშავა და კონტროლის ხაზის გასწვრივ მანამდე თითქმის უწყვეტად მიმდინარე მცირე ბრძოლები ფაქტობრივად შეჩერდა, თუმცა პერიოდული შეტაკებები მაინც ხდებოდა და 2014 წლის შემდეგ ისევ ჰქონდა ადგილი საკმაოდ მწვავე ბრძოლებს.

მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთაშორისი ტერიტორიული დავები (ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ სერიოზული) ეხება მცირე კუნძულებს, რომლებსაც ან სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ან ბუნებრივი რესურსები (მაგალითად ოფშორული ნავთობსაბადოები), ანაც თევზჭერის უფლებები უკავშირდება. საერთაშორისო სამართალი კუნძულის მფლობელ ქვეყანას 200 საზღვაო მილის რადიუსზე ანიჭებს თევზჭერისა და მინერალური რესურსების მოპოვების უფლებას. სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მდებარე მცირე ზომის სპრატლის კუნძულებზე, რომელთა სიახლოვეს ნავთობსაბადოები შეიძლება იყოს, ექვსი სახელმწიფო აცხადებს სრულ ან ნაწილობრივ პრეტენზიას (იხ. გრაფიკი 4.5). საკუთარი პრეტენზიის დემონსტრირებისთვის ყველა მათგანმა, ბრუნეის გარდა, მიმართა სამხედრო ძალებს. სამხრეთ ჩინეთის ზღვას გაივლის მსოფლიო საზღვაო ვაჭრობის თითქმის ნახევარი, მათ შორის სპარსეთის ყურის ნავთობი და სხვა საკვანძო რესურსები, რომლებიც იაპონიის, ჩინეთის, სამხრეთ კორეისა და ტაივანის მიმართულებით გადააქვთ.

ბოლო ხანებში ჩინეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა სამხედრო ყოფნა სპარტლის კუნძულებსა და რიფებზე. მან ხელოვნურად გააფართოვა კუნძულები, რაც ჩინელ სამხედროებს ასაფრენ-დასაფრენი ზოლების და ბაზების მშენებლობის საშუალებას აძლევს. მეზობელი ქვეყნები აპროტესტებენ ამ მშენებლობას, რადგან ზოგიერთი კუნძულისა და რიფის კუთვნილების საკითხი ჯერაც სადავოა.

იაპონია და ჩინეთი ასევე ედავებიან ერთმანეთს მცირე კუნძულებს, ისევე როგორც იაპონია და სამხრეთი კორეა. ამ კონფლიქტებს ნაკლები ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ორივე მხრიდან ნაციონალისტური სენტიმენტების ფოკუსშია მოქცეული, რასაც ნაწილობრივ აღვივებს მეორე მსოფლიო ომის მოგონებები, როცა იაპონიას დაპყრობილი ჰქონდა ჩინეთი და კორეა. ყველაზე სერიოზულია კონფლიქტი

გრაფიკი 4.6 სადავო კუნძულები

სპრატლის კუნძულები ტერიტორიისა და მასთან დაკავშირებული ბუნებრივ რესურსების კონტროლის თაობაზე თანამედროვე კონფლიქტის მაგალითია. კუნძულებზე ნაწილობრივ ან სრულ პრეტენზიას აცხადებენ ჩინეთი, ვიეტნამი, მალაიზია, ბრუნეი, ფილიპინები და ტაივანი.



აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში მდებარე მცირე კუნძულის ირგვლივ, რომელსაც აკონტროლებს იაპონია, მაგრამ პრეტენზია აქვს ჩინეთს და ასევე, მისი კონტროლი ჩინეთის წყალქვემა ნავებს პირდაპირ გზას გაუხსნიდა წყნარი ოკეანისკენ. ორივე ქვეყნის ფლოტი და ავიაცია რამდენჯერმე დაუპირისპირდა ერთმანეთს ხსენებულ ადგილზე, თუმცა ძალის გამოყენების გარეშე. 2015 წელს იაპონიამ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად, მისი ყველაზე დიდი საზღვაო ხომალდი (ვერტმფრენმზიდი) შეიყვანა აღნიშნული ადგილის გასაკონტროლებლად. 2017 წელს ჩინეთმა თავისი სამხედრო გემები მიიყვანა ძალიან ახლოს სადავო კუნძულთან, რამაც იაპონიის მხრიდან პროტესტი და მუქარა გამოიწვია.

ტერიტორიული წყლები (territorial waters)
სახელმწიფოს სანაპიროსთან არსებულ წყლებს, როგორც წესი, ეროვნული ტერიტორიის ნაწილად განიხილავენ. გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ აწესებს 12 საზღვაო მილის ტერიტორიულ ზღვას და 200 საზღვაო მილის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას, რომელიც თევზჭერისა და მინერალური რესურსების მოპოვების ექსკლუზიური უფლებებს მოიცავს (თუმცა ყველა სახელწიფოს ანიჭებს თავისუფალი ნაოსნობის უფლებას).

ტერიტორიული წყლები სახელმწიფოები მათ ნაპირებთან არსებულ წყლებს ეროვნულ ტერიტორიად განიხილავენ. ტერიტორიული წყლების საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია არ არსებობს, მაგრამ უკანასკნელ წლებში შეიმუშავეს გარკვეული ნორმები, განსაკუთრებით აღსანიშნავია *გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ* (იხ. თავი 8). ტრაციულად ქვეყნის ტერიტორიად მიიჩნევა სანაპიროდან სამი საზღვაო მილის რადიუსში არსებული წყლები, თუმცა არსებობს დავა, რა მანძილზე და რა მიზნებით ვრცელდება ეროვნული სუვერენიტეტი. გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ აწესებს კიდევ 12 საზღვაო მილის სატრანსპორტო ზონას და 200 საზღვაო მილის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას, რომელიც თევზჭერისა და მინერალური რესურსების მოპოვების უფლებებს იძლევა (მაგრამ ამასთანავე ადგენს თავისუფალი ნაოსნობის უფლებას). ერთად აღებული ყველა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა მსოფლიო ოკეანეების მესამედს შეადგენს. 2010 წელს, ნავთობისა და გაზის მოპოვების მიზნით, რუსეთმა და ნორვეგიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების გაყოფის შესახებ, რითაც ამ სახელმწიფოებს შორის ორმოცწლიანი დავა დასრულდა.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ფაქტორის გათვალისწინებით, ერთი მცირე კუნძულის ფლობამ შესაძლოა მის გარშემო ოკეანის 100 ათასი კვადრატული მილის ფართობზე ეკონომიკური უფლებები მოიტანოს. თუმცა ზონები ხშირად ერთმანეთს კვეთს და არც სანაპირო ზოლებია სწორხაზოვანი. შესაბამისად, ჩნდება მრავალი კითხვა და ინტერპრეტაცია, თუ როგორ უნდა დადგინდეს ტერიტორიული და ეკონომიკური ზონის წყლები. რუსეთის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა თითქმის მთლიანად მოიცავს ოხოტის ზღვას და შუაში დარჩენილია ერთი ბეწო საერთაშორისო წყლები. თუმცა, არარუსული გემები ინტენსიურ თევზჭერას სწორედ ამ წყლებში ეწევიან, რითაც მცირდება რუსეთის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული თევზის მარაგები.

საჰაერო სივრცე სახელმწიფოს თავზე არსებული საჰაერო სივრცე სახელმწიფოს ტერიტორიად განიხილება. სახელმწიფოს ტერიტორიაზე

გადაფრენისას, თვითმფრინავს ამ სახელმწიფოს ნებართვა უნდა ჰქონდეს. მაგალითად, 1986 წელს ლიბიის დაბომბვის დროს, ბრიტანეთში განლაგებულ ამერიკულ ბომბდამშენებს უწევდათ გრძელი წრის შემოვლა ატლანტის ოკეანეზე, რადგან საფრანგეთი (რომელიც ბრიტანეთსა და ლიბიას შორის მდებარეობს), აშშ-ის თვითმფრინავებს არ აძლევდა საკუთარი საჰაერო სივრცის გამოყენების ნებართვას.

საჰაერო სივრცე (airspace)
სახელმწიფოს თავზე არსებული სივრცე, რომელიც მის ტერიტორიად განიხილება. საჰაერო სივრცე განსხვავდება კოსმოსისგან, რომელიც საერთაშორისო ტერიტორიად არის მიჩნეული.

აღნიშნულისგან განსხვავებით, კოსმოსი, ოკეანეების მსგავსად, საერთაშორისო ტერიტორიად განიხილება. საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ზუსტი განსაზღვრება, თუ სად მთავრდება საჰაერო სივრცე და სად იწყება კოსმოსი. თუმცა დედამიწის გარშემო მბრუნავი ხელოვნური თანამგზავრები თვითმფრინავებზე ბევრად მაღლა არიან, ძალიან სწრაფად გადაადგილდებიან და ადვილად ვერ შეიცვლიან მიმართულებას, რომ გვერდი აუქციონ კონკრეტულ ქვეყანას. ამასთან, ძალიან ცოტა ქვეყანას თუ შეუძლია მათი ჩამოგდება. გამომდინარე იქიდან, რომ ხელოვნური თანამგზავრები დიდი სახელმწიფოების მიერ სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოიყენება, ხოლო მათ ერთმანეთის თანამგზავრების ჩამოგდება შეუძლიათ, შეიმუშავეს ღია კოსმოსის დემილიტარიზაციის ნორმა. დღემდე არც ერთ სახელმწიფოს არ განუხორციელებია თავდასხმა სხვა სახელმწიფოს კუთვნილ თანამგზავრზე.

4.3.2 ხელისუფლებების კონტროლი

მსოფლიოში დღეს არსებული უამრავი მცირე სასაზღვრო დავის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში ტერიტორიის კონტროლის მიზნით ბრძოლები არ მოიცავს საზღვრების ცვლილებებს ან კუნძულების გამო ომებს. რეალურად, ყველაზე გავრცელებულია კონფლიქტები იმის თაობაზე, თუ რომელმა ხელისუფლებამ უნდა აკონტროლოს მთლიანი სახელმწიფო მის არსებულ საზღვრებში.

თეორიულად, სუვერენულობის ნორმის გათვალისწინებით, სახელმწიფოები არ ერევიან სხვა სახელმწიფოების მმართველობის საქმეებში. პრაქტიკულად კი სახელმწიფოებს ხშირად საკმაოდ დიდი ინტერესი გააჩნიათ სხვა ქვეყნის მმართველობასთან დაკავშირებით და ცდილობენ, ზეგავლენა მოახდინონ მათზე, ვინც ამ სახელმწიფოებში ძალაუფლებას ფლობს. კონფლიქტმა ხელისუფლების შესახებ შესაძლოა მრავალი ფორმა მიიღოს, ზოგიერთმა მსუბუქი და ზოგმაც მწვავე, ზოგიერთში შესაძლოა მჭიდროდ იყოს ჩართული მესამე მხარე, ხოლო ზოგიერთი მეტნაკლებად ორმხრივ ხასიათს ატარებდეს. ზოგჯერ სახელმწიფო მხოლოდ მსუბუქ ზეგავლენის ახდენს მეორე სახელმწიფოში ჩატარებულ არჩევნებზე. სხვა შემთხვევაში, ერთი სახელმწიფო მხარს უჭერს სხვა სახელმწიფოში მოქმედ მეამბოხე ელემენტებს, რომლებსაც ხელისუფლების დამხობა სურთ.

ცივი ომის დროს ორივე ზესახელმწიფო აქტიურად ცდილობდა ხელისუფლებების ცვლილებას გლობალური სამხრეთის ქვეყნებში და

ამისთვის მიმართავდა საიდუმლო ოპერაციებსა და მეამბოხეთა მხარდაჭერას. სამოქალაქო ომები ანგოლაში, ავღანეთში და ნიკარაგუაში ამის კარგი მაგალითებია. ორივე ზესახელმწიფო იძლეოდა იარაღს, ფულს, სამხედრო მრჩევლებს და ა.შ., იმის იმედად, რომ გავლენა ექნებოდათ მათზე, ვინც ქვეყნის მთავრობას აკონტროლებდა.

ასეთი ტიპის კონფლიქტი დაიწყო 2013-2014 წლებში, როდესაც უკრაინის მაშინდელმა პრორუსმა პრეზიდენტმა პროდასავლური საპროტესტო აქციების მონაწილეები დაარბია. ოპოზიციურმა ძალებმა უკრაინის პრეზიდენტს გადადგომა აიძულეს, მაგრამ მისმა მხარდამჭერებმა აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის დახმარებით ახალი პროდასავლური ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა დაიწყეს. ამავდროულად, რუსეთმა მოახდინა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია და ამის მიზეზად დაასახელა ნახევარკუნძულის მაცხოვრებელთა რუსეთთან გაერთიანების სურვილი. 2018 წლის მდგომარეობით, უკრაინის შეიარაღებულ ძალებსა და პრორუს მეამბოხეებს შორის რამდენჯერმე დაირღვა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება და ძალადობას დასასრული არ უჩანდა.[7]

ზოგჯერ, ერთი სახელმწიფო შეიჭრება მეორეში ხელისუფლების შესაცვლელად. ასე მოიქცა საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს. აშშ-ს ასე არ უქნია ერაყთან მიმართებაში 1991 წელს, მაგრამ 2003 წელს მან უკვე შეცვალა ერაყის ხელისუფლება. ხალხი, როგორც წესი, არ მიესალმება ხელისუფლების უცხოელების მიერ შეცვლას, მაშინაც კი, როცა ძველი ხელისუფლება არ მოსწონს. საერთაშორისო საზოგადოებაც უარყოფითად აღიქვამს ეროვნული სუვერენიტეტის ასეთ უხეშ დარღვევებს.

4.3.3 ეკონომიკური კონფლიქტი

ეკონომიკური კონკურენცია საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა, ეკონომიკური ტრანსაქციების საყოველთაო გავრცელებიდან გამომდინარე. სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის მიღწეული თითოეული გარიგება ან შეთანხმება კონფლიქტური ინტერესების გადაწყვეტას გულისხმობს. კოსტა-რიკას სურს, გაიზარდოს ყავის ფასი, რომელიც მისი საექსპორტო საქონელია, ხოლო კანადას, რომელიც ყავის იმპორტიორია, ამ ნედლეულზე ფასის შემცირება უნდა. ანგოლას ურჩევნია, რომ მისი ნავთობის მწარმოებელმა უცხოურმა კომპანიებმა უფრო ნაკლები მოგება ნახონ, ხოლო ამ კომპანიების მშობლიურ ქვეყნებს უნდათ, რომ მათ მეტი მოგება წამოიღონ სახლში. გლობალურ კაპიტალისტურ ბაზარზე ნებისმიერი ეკონომიკური გაცვლა გარკვეულ ინტერესთა კონფლიქტს გულისხმობს.

7 2022 წლის თებერვალში რუსეთმა სრულმასშტაბიანი აგრესია დაიწყო უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც უკვე უკრაინის ხელისუფლების შეცვლას ისახავდა მიზნად. *რედ. შენ.*

თუმცა, ასეთი სახის ეკონომიკური ტრანსაქციები, კონფლიქტური ინტერესების გარდა, დამატებით ორმხრივი ეკონომიკური მოგების ძლიერ ელემენტსაც შეიცავს (იხ. თავები 3 და 5). ეს ორმხრივი მოგება წარმოადგენს ყველაზე სასარგებლო ბერკეტს ეკონომიკური გაცვლების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებში. სახელმწიფოები და კომპანიები იმიტომ ახორციელებენ ეკონომიკურ ტრანსაქციებს, რომ ამით სარგებელს ნახულობენ. ძალის გამოყენება, როგორც წესი, ამცირებს ასეთ სარგებელს. შესაბამისად, ეკონომიკური კონფლიქტები ყოველთვის არ გულისხმობს სამხედრო ძალის გამოყენებას და ომს.

კიდევ ერთი სახის ეკონომიკური კონფლიქტი, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოებაზე ახდენს გავლენას, ეხება სამხედრო მრეწველობას, რაც მოიცავს სამხედრო ტექნიკის, განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური შეიარაღების, გამანადგურებელი თვითმფრინავების ან რაკეტების წარმოების შესაძლებლობას. მსოფლიოში იარაღით ვაჭრობა ფართოდ არის გავრცელებული, თუმცა სახელმწიფოების მთავრობები ცდილობენ (ხანდახან წარუმატებლად) ასეთი წარმოების კონტროლს და იარაღის მწარმოებლების ინტერესებზე წინ ეროვნული ინტერესების დაყენებას და იმას, რომ სახელმწიფო სამხედრო თვალსაზრისით თვითმარი იყოს ომის შემთხვევაში. ეკონომიკური კონკურენცია (ვინ იღებს მოგებას იარაღით ვაჭრობისგან) გადაჯაჭვულია უსაფრთხოების საკითხებთან (ვის უჩნდება წვდომა შეიარაღებაზე). 2009 წელს, აშშ-ის საავტომობილი წარმოების ფინანსური დახმარების მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ საავტომობილო წარმოებას ომის დროს (მეორე მსოფლიო ომის მსგავსად) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქციის წარმოება შეუძლია. მაღალტექნოლოგიური შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიის შესახებ ცოდნის პოტენციურად მოწინააღმდეგე ქვეყნებისთვის გადაცემაც ამავე პრობლემას უკავშირდება.

სხვა სახის ეკონომიკური კონფლიქტი ეხება სიმდიდრის გადანაწილებას ქვეყნებს შიგნით და ქვეყნებს შორის. როგორც მე-7 თავში განვიხილავთ, დღევანდელ მსოფლიოში არსებული უზარმაზარი უთანასწორობა სიმდიდრის თვალსაზრისით აჩენს მრავალფეროვან საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემებს, რომლებსაც ძალადობის პოტენციალი აქვთ. მათ შორის, ესაა ღარიბი ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან ტერორისტული თავდასხმები მდიდარ ქვეყნებზე. რევოლუციები ღარიბ ქვეყნებში ხშირად გამოწვეულია სიმდიდრის არათანაბარი განაწილებით ქვეყნის შიგნით, ასევე სიღარიბის დონით სხვა ქვეყნებთან შედარებით. ეს რევოლუციები, თავის მხრივ, ითრევს სხვა ქვეყნებს, რომლებიც სამოქალაქო ომის ერთი ან მეორე მხარის მხარდამჭერები ხდებიან.

ნარკოტიკებით ვაჭრობა გამომდინარე იქიდან, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობა გულისხმობს საერთაშორისო საზღვრების გადაკვეთით მიმდინარე უკანონო ვაჭრობას, იგი კონტრაბანდული საქმიანობაა, რომელიც სახელმწიფოებს შემოსავლებს ართმევს და საკუთარი საზღვრების ლეგალური

კონტროლის უფლებას ურღვევს. ზოგადად, კონტრაბანდა ეკონომიკური პრობლემაა და არა უსაფრთხოების. თუმცა, სხვა კონტრაბანდული საქონლისგან განსხვავებით, ნარკოტიკები უსაფრთხოების გამოწვევად განიხილება, ეროვნულ (და სამხედრო) მორალსა და ეფექტიანობაზე მისი გავლენის გათვალისწინებით. ნარკოტიკებით ვაჭრობა იმითაც დაუკავშირდა უსაფრთხოების საკითხებს, რომ შეიარაღებული ძალები რეგულარულად მონაწილეობენ კარგად შეიარაღებული ნარკომოვაჭრეების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საერთაშორისო განზომილება ჩანს იმაშიც, რომ აშშ-ის მთავრობა ცდილობს აღკვეთოს კოლუმბიაში მოქმედი *კოკაინის კარტელების* მიერ ამერიკულ ქალაქებში ნარკოტიკების მეტანა. ასეთი სახის კოკაინს ძირითადად იღებენ პერუს, ბოლივიის და კოლუმბიის მთიანეთში, ადგილობრივი გლეხების მიერ გაშენებული კოკას პლანტაციებიდან. ღარიბი გლეხებისთვის კოკაინით ვაჭრობა ღირსეული შემოსავლის მიღების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის, მეამბოხეთა არმიებს საკუთარი ოპერაციების დაფინანსება უკანონო ნარკოვაჭრობის კონტროლით შეუძლიათ. ავღანეთი, რომელიც ისლამისტური ექსტრემიზმის ერთ-ერთი ცენტრია (თალიბანი), მსოფლიოს აწვდის ჰეროინის უდიდეს ნაწილს. მექსიკაში, რომელიც უკანონო ნარკოტიკების მთავარი მიმწოდებელია აშშ-ში, ნარკომოვაჭრე ბანდებს შორის დაპირისპირება უკანასკნელ ათწლეულებში უკიდურესად გამწვავდა და უკვე ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ლათინურ ამერიკაში, წარსულში განხორციელებული აშშ-ის სამხედრო ინტერვენციების ფაქტორიდან გამომდინარე, აშშ-ის შეიარაღებულ ძალებთან თანამშრომლობა მგრძნობიარე პოლიტიკური საკითხია. რამდენიმე ქვეყანაში მთავრობები ხალხის მხრიდან კრიტიკის ობიექტები გახდნენ, რადგან მათ ამერიკელებს ნარკოოპერაციებში ჩარევის ნება დართეს. 1989 წელს აშშ-ის ჯარები შევიდნენ პანამაში და დააპატიმრეს ქვეყნის ლიდერი, დიქტატორი მანუელ ნორიეგა, რომელიც მემდეგ ამერიკულ სასამართლოში პანამის გავლით ნარკოვაჭრობის ხელშეწყობის ბრალდებით გაასამართლეს და პატიმრობა მიუსაჯეს.

აღნიშნულ თავში განხილული ექვსივე ტიპის კონფლიქტში შესაძლებელია როგორც მშვიდობიანი, ისე ძალადობრივი მეთოდებით მოქმედება. თავის დარჩენილ ნაწილში განხილულია, თუ როგორ იყენებენ სახელმწიფოები და არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფები ძალადობის მატერიალურ შესაძლებლობებს საერთაშორისო კონფლიქტებში საკუთარი მიზნების მისაღწევად.


4.4 ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები

შედარეთ ერთმანეთს გავლენის მოხდენის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

სახელმწიფოს ლიდერმა კონფლიქტში სასურველი შედეგის მისაღწევად შესაძლოა მრავალი სახის ზეწოლის ბერკეტი გამოიყენოს (იხ. გრაფიკი 4.7). ზეწოლის ინსტრუმენტთა ერთ წყებას წარმოადგენს სხვა სახელმწიფოებზე ზეგავლენის არაძალადობრივი საშუალებები, როგორებიცაა უცხოური დახმარება, ეკონომიკური სანქციები და პირადი დიპლომატია (ნაკლებად ხელშესახები საშუალებებია ნორმების, მორალის და სხვა იდეების გამოყენება). ზეგავლენის ბერკეტთა მეორე წყება, რომელსაც ამ თავის შემდგომ ნაწილში განვიხილავთ, ძალისმიერ ქმედებებს მოიცავს. ამ მეთოდების გამოყენებას მოსდევს არმიების იერიშზე გადასვლა, თვითმკვლელი ტერორისტების ამოქმედება ან რაკეტების გამშვება.

გრაფიკი 4.7 ზეგავლენის სამხედრო და არასამხედრო ბერკეტები

ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები ზეწოლის ყველაზე ფართოდ გამოყენებული სამხედრო ფორმაა



დიდი სახელმწიფოები კვლავაც დომინირებენ მსოფლიოს შეიარაღებულ ძალებში. ცხრილში 4.2. წარმოდგენილია დიდი სახელმწიფოების ყველაზე მნიშვნელოვანი ძალები. საერთო ჯამში, დიდ სახელმწიფოებზე მოდის მსოფლიოს სამხედრო ხარჯების 65 პროცენტი, სამხედრო მოსამ-

სახურეების 30 პროცენტი, ჩვეულებრივი შეიარაღების თითქმის 50 პროცენტი, ბირთვული იარაღის 97 პროცენტი და შეიარაღების ექსპორტის 90 პროცენტი. (ცხრილში ასევე ნაჩვენებია გერმანიისა და იაპონიის საკმაოდ დიდი შეიარაღებული ძალები, რომლებსაც ეს სახელმწიფოები ფლობენ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო უსაფრთხოებაში არატრადიციული როლების მიუხედავად).

სამხედრო შესაძლებლობები სამ ძირითად ტიპად იყოფა: ჩვეულებრივი ძალები, არარეგულარული ძალები (ტერორიზმი, შეიარაღებული დაჯგუფებები) და მასობრივი განადგურების იარაღი (ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი).

ცხრილი 4.2 დიდი სახელმწიფოების სამხედრო შესაძლებლობები (შეფასება), 2017 წ.

	მძიმე შეიარაღება[a]						
	საბრძოლო ტანკები (ძირითადი დანიშნულების)	მოქმედი ბირთვული ბომბდამშენები (მილიონი ტონიანი)	ტანკები	ავიაბრიგადები// სამხედრო ხომალდები// წყალქვეშა ნავები	საბრძოლო თვითმფრინავები// მძიმე დრონები	ბირთვული იარაღი[b]	შეიარაღების ექსპორტი[c] (ბილიონ აშშ დოლარში)
აშშ	610	1.3	2800	10/93/14	3500/640	6600	10
რუსეთი	70	1.0	2950	1/32/13	1050/0	6800	6
ჩინეთი	215	2.2	6700	1/78/4	1900/4	270	2
საფრანგეთი	55	0.2	200	1/23/4	275/7	300	2
ბრიტანეთი	50	0.2	225	0/19/4	200/10	215	2
გერმანია	40	0.2	400	0/15/0	120/0	0	3
იაპონია	50	0.2	700	0/47/0	400/0	0	0
დაახლოებით წილი მსოფლიოში (%)	65%	30%	70%	93/70/50%	40% / 90%	97%	90%

პრობლემური მონაცემები: რუსეთის და ჩინეთის სამხედრო დანახარჯების სხვადასხვა შეფასებები განსხვავებულია. აშშ-ს და რუსეთის ბირთვული ქობინები მოიცავს საბრძოლო მორიგეობაზე მყოფ სტრატეგიულ შეიარაღებას (აშშ – 1,800, რუსეთი – 1,710). დანარჩენი ქობინები ან რეზერვშია ან ვადაგასულია (განადგურების მოლოდინში).

ინფორმაცია სამხედრო მოსამსახურეების შესახებ არ ითვალისწინებს რეზერვისტებს. ტანკებში შესულია მხოლოდ 1980 წლის შემდეგ გამოსული მთავარი საბრძოლო ტანკები. სამხედრო ხომალდებს განეკუთვნება კრეისერები, გამანადგურებლები და ფრეგატები. წყალქვეშა ნავებში შედის მხოლოდ ბალისტიკური რაკეტების გადამტანი და ბირთვულ საწვავზე მომუშავე ნავები. ავიაცია მოიცავს მეოთხე თაობის და შემდგომ თვითმფრინავებს. ბირთვული ქობინები მოიცავს როგორც სტრატეგიულს ისე ტაქტიკურს. იარაღის ექსპორტი გულისხმობს 2016 წ. შეკვეთებს.

წყაროები: შეფასებები ეყრდნობა შემდეგ წყაროებს:

a სტოკჰოლმის მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის 2017 წლის მონაცემები

b საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის 2017 წლის მონაცემები. The Military Balance, 2017.

c ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის მონაცემები 2018 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით.

4.4.1 სახმელეთო ძალები: ტერიტორიის კონტროლი

განსხვავებული მიზეზებისა და მიზნების მიუხედავად, ომების უმრავლესობა გულისხმობს ტერიტორიის კონტროლს. ტერიტორიას მთავარი ადგილი უკავია ომში, საერთაშორისო სისტემაში მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე და პირიქით. საზღვრები ადგენს, თუ სად შეუძლიათ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს და მეტოქე სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებს თავისუფლად გადაადგილება.

არმიები მორგებულნი არიან ამ ამოცანებს. შეიარაღებულ ძალებს ქვეითი სამხედრო მოსამსახურეების მეშვეობით შეუძლიათ ტერიტორიის სამხედრო ოკუპაცია. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია მნიშვნელოვანი უსიამოვნება შეუქმნას სამხედროებს ძალადობრივი თუ არაძალადობრივი მეთოდების გამოყენებით, ოკუპანტი ძალის განდევნა მხოლოდ სხვა ორგანიზებულ სამხედრო ძალას ძალუძს.

სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ფეხით გადაადგილდება *ქვეითი* ეწოდება. ქვეითები, როგორც წესი, აღჭურვილნი არიან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით და სხვა მსუბუქი შეიარაღებით (როგორიცაა ნაღმები და ტყვიამფრქვევები), ასევე სხვადასხვა ტიპის მძიმე არტილერიით. არტილერია უკიდურესად დამანგრეველი იარაღია, რომელიც სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებს ერთნაირად ანადგურებს და როგორც წესი, ომებში ყველაზე მეტ ზარალსა და მსხვერპლს იწვევს. *ჯავშანტექნიკით* აღინიშნება ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. ღია სივრცეში, როგორიცაა უდაბნო, მექანიზებულ სახმელეთო ძალებში, როგორც წესი, შედის ჯავშანტექნიკა, არტილერია და ქვეითი ქვედანაყოფები. დახურულ სივრცეში, როგორიცაა ჯუნგლები და ქალაქები, უფრო მნიშვნელოვანია ქვეითად მოძრავი ჯარისკაცები.

ანტიპარტიზანულ ომს უკანასკნელ წლებში მზარდი ყურადღება ეთმობა, ძირითადად ერაყისა და ავღანეთის გამოცდილების გათვალისწინებით, თუმცა ის მსოფლიოს მასშტაბით დღეს მიმდინარე თითქმის ყველა ომში მთავარ ადგილს იკავებს. ეს მეთოდები ხშირად მოიცავს მოსახლეობის „გულებისა და გონების მოგების“ მცდელობას, რათა მათ შეწყვიტონ პარტიზანებისთვის თავშესაფრის მიცემა. გარკვეულწილად, გამომდინარე იქიდან, რომ ანტიპარტიზანული სამხედრო მოქმედებებისას სამხედრო სტრატეგიაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ასპექტებია, იგი ომის ყველაზე რთულ ტიპს განეკუთვნება. მეამბოხეთა შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ბრძოლის პარალელურად, მთავრობამ უნდა ჩაატაროს საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია, რათა დაარწმუნოს მოსახლეობა, რომ უარი თქვან მეამბოხეთა მხარდაჭერაზე და უნდა უზრუნველყოს ის საზოგადოებრივი სერვისებით (განათლება და სოციალური დაცვა), რათა მოსახლეობას დაანახოს მათზე ზრუნვა. გარდა ამისა, მთავრობა უნდა იყოს ძლიერი სამხედრო თვალსაზრისით,

ანტიპარტიზანული ომი (Counterinsurgency)
პარტიზანულ არმიებთან ბრძოლის ძალისხმევა, რომელიც ხშირად მოიცავს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის „გულებისა და გონების მოგებაზე“ მიმართულ ღონისძიებებს, რათა მათ შეწყვიტონ პარტიზანებისთვის თავშესაფრის მიცემა.

მაგრამ ძალის გამოყენებისას თავშეკავებულობა გამოიჩინონ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობის უფრო მეტი ნაწილი დაუჭერს მხარს მეამბოხეებს.

აშშ-ის შეიარაღებული ძალები რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდნენ ანტიპარტიზანულ ოპერაციებს ერაყსა და ავღანეთში. აღნიშნული ოპერაციები მოიცავდა ლეტალური სამხედრო ძალის გამოყენებას, ტომის წამყვანი ლიდერებისთვის ფულის მიცემას ამერიკელთა ძალისხმევის მხარდასაჭერად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობას და მეამბოხეებთან საბრძოლველად ახალი საპოლიციო და სამხედრო ძალების გაწვრთნას. ჩამოთვლილი ქმედებები შეიარაღებული ძალებისთვის უდიდეს ტვირთს წარმოადგენს, რადგან ისინი მომზადებულები არიან საომრად და არა შორეულ ქვეყნებში ხელისუფლების ახლიდან ასაშენებლად.

ანტიპარტიზანული კამპანიები ძვირადღირებული და შრომატევადია. მაგალითად, აშშ-ის არმიის ანტიპარტიზანული ბრძოლის გზამკვლევი მიუთითებს, რომ მეამბოხეებისგან დასაცავად ყოველ 1 000 მოქალაქეზე 20 სამხედრო მოსამსახურეა საჭიროა. ძალიან ცოტა სახელმწიფოს შეუძლია ასეთი კამპანიის წარმოება დიდი ხნის მანძილზე. მართლაც, მოკავშირეთა ძალებთან ერთადაც კი, აშშ-მა ვერასდროს მოახერხა ერაყსა და ავღანეთში მშვიდობიან მოქალაქეებსა და სამხედრო მოსამსახურეებს შორის ხსენებული თანაფარდობის მიღწევა. ასეთი თანაფარდობის მისაღწევად ავღანეთში საჭირო იქნებოდა 600 ათასი ჯარისკაცი, მაშინ როდესაც ომის პიკში, 2010 წელს ავღანეთში მოქმედი ჯარების საერთო რაოდენობა 130 ათასს აღწევდა.

ნაღმები (landmines)

შენიღბული ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომლებიც ხშირად რჩება ტერიტორიიდან არარეგულარული ძალების გასვლის შემდეგ და ომების დამთავრების მერეც იწვევს მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვას ან დასახიჩრებას. ასეთი ტიპის ნაღმების რაოდენობა 100 მილიონს აჭარბებს, ძირითადად ანგოლაში, ბოსნიაში, ავღანეთში და კამბოჯაში. არსებობს მოძრაობა ნაღმების აკრძალვის მოთხოვნით და უკვე 100-ზე მეტმა სახელმწიფომ დაუჭირა მხარი ამ იდეას.

პარტიზანები, მეამბოხეები და მათთან მებრძოლი მთავრობები ფართოდ იყენებენ **ნაღმებს**. ნაღმები ფეთქებადი ნივთიერებების შემცველი მცირე ზომის, მარტივი და იაფი მოწყობილობებია, რომლებიც შეხებით ან სენსორის გამოყენებით მოდის მოქმედებაში. ნაღმები საზოგადოების ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით 1990-იან წლებში მოექცა, როდესაც ანგოლაში, ავღანეთში, კამბოჯაში და ბოსნიაში მოქმედი არარეგულარული შეიარაღებული ძალები აქტიურად იყენებდნენ მათ და არასდროს ახდენდნენ ტერიტორიის განაღმვას. ომების დამთავრების შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში, ნაღმებზე აფეთქების შედეგად იღუპებიან და სახიჩრდებიან მშვიდობიანი მოქალაქეები, რომლებიც ყოფილ საომარ ზონებში ახალი ცხოვრების დაწყებას ცდილობენ. საზოგადოებრივი აზრისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთქმედებით მთავრობებზე ხორციელდება ზეწოლა ნაღმების სამომავლო გამოყენების შეზღუდვის მიზნით. 1997 წელს, კანადის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე 100-ზე მეტმა ქვეყანამ მოაწერა ხელი შეთანხმებას ნაღმების აკრძალვის შესახებ. თუმცა, ჩინეთმა და აშშ-მა უარი განაცხადეს ხელმოწერაზე (აშშ-ის თქმით, ნაღმები საჭიროა სამხრეთ კორეაში ჩრდილოეთ კორეის შეჭრის შემთხვევაში ამ უკანასკნელის ჯარების შესაფერხებლად). აღნიშნული

ხელშეკრულების საფუძველზე, 2018 წლისთვის 50 მილიონზე მეტი ნაღმი განადგურდა და 87-მა ქვეყანამ უარი თქვა მათ შენახვაზე.[8]

4.4.2 სამხედრო-საზღვაო ძალები: ზღვების კონტროლი

სამხედრო ფლოტის ძირითად დანიშნულებას ზღვებში გასასვლელების კონტროლი და სანაპიროების გასწვრივ მდებარე ტერიტორიაზე შეტევა წარმოადგენს. საომარი ვითარებისას ზღვების კონტროლი სახელმწიფოებს საკუთარი ტვირთებისა და შეიარაღებული ძალების ზღვებით ტრანსპორტირების საშუალებას აძლევს, ხოლო მოწინააღმდეგეს ხელს უშლის ამაში.

2008-2012 წლებში, დასავლეთის სახელმწიფოების ფლოტებმა სწრაფად მზარდი მეკობრეობის საპასუხო ნაბიჯები გადადგეს მსოფლიოს სამ ყველაზე მნიშვნელოვან სატრანსპორტო მარშრუტზე – სომალის გასწვრივ სუეცის არხის სამხრეთით, ინდოეთის ოკეანის აღმოსავლეთ აზიასთან დამაკავშირებელ მალაკის სრუტეებში (ინდონეზია) და დასავლეთ აფრიკის სანაპიროებთან. სომალელმა მეკობრეებმა, რომლებმაც ქვეყანაში არსებული ფაქტობრივი ანარქიის მდგომარეობით ისარგებლეს, სანაპიროებზე ნავთსაყუდელები მოიწყვეს და ხელში იგდებდნენ ათეულობით გემს. ისინი ხომალდებს, ტვირთსა და ეკიპაჟის წევრებს გამოსასყიდის მიღების მიზნით აკავებდნენ. გადამზიდავი კომპანიები, როგორც წესი, ერთ გემზე რამდენიმე მილიონი დოლარის გამოსასყიდს იხდიდნენ, რადგან ეს ერჩივნათ ფასეული ტვირთისა და ადამიანების დაკარგვას. მეკობრეები ზღვარს გადავიდნენ მაშინ, როდესაც ჯერ ტანკებისა და იარაღის გადამზიდავი უკრაინული სატრანსპორტო ხომალდი, ხოლო შემდეგ კი 100 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ნავთობით დატვირთული საუდის არაბეთის ტანკერი შეიპყრეს. სომალელი მეკობრეები ძალიან პატარა და სწრაფ ნავებს იყენებენ, შეიარაღებულები არიან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღითა და ყუმბარმტყორცნებით, კაუჭების გამოყენებით აღწევენ გემბანზე და დაახლოებით 10 წუთში ახერხებენ ეკიპაჟის დამორჩილებას.


მეკობრეობის აღკვეთის მიზნით, ხსენებულ ტერიტორიაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფლოტებმა დაიწყეს პატრულირება (იხ. გრაფიკი 4.8). 2008 წელს, გემების გატაცების რაოდენობის მკვეთრად მატების ფონზე, გაეროს უშიშროების საბჭომ ერთსულოვნად მოუწოდა სახელმწიფოებს საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებისკენ. ბევრი სახელმწიფო გამოეხმაურა ამ მოწოდებას, მათ შორის, უშიშროების საბჭოს ხუთივე მუდმივი წევრი. 2012 წელს ევროკავშირის ძალებმა

8 ოტავას კონვენცია ეხება ნაღმების კონკრეტული ტიპის – ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვას. 2022 წლის მდგომარეობით, ხელშეკრულების მონაწილეა 164 სახელმწიფო. მათ შორის არაა აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, პაკისტანი. შეთანხმებისთვის ხელი არ მოუწერიათ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. *რედ. შენ.*

სამხედრო ვერტმფრენებით იერიში მიიტანეს მეკობრეთა სახმელეთო ბაზაზე. ბევრმა სატვირთო გემმა აიყვანა შეიარაღებული დაცვა. ამ და სხვა ზომების შედეგად, 2012 წლიდან სომალელი მეკობრეების აქტიურობა მკვეთრად შემცირდა. 2017 წლიდან მეკობრეობამ იმატა დასავლეთ აფრიკასა და აღმოსავლეთ აზიაში, რადგან ახლა აქ გააქტიურდნენ მეკობრეთა ჯგუფები, მსოფლიოს საზღვაო ძალების სომალიზე ფოკუსირების პირობებში. ამ პრობლემის გადაჭრას ართულებს ოკეანეების მოცულობა და მეკობრეთა პოტენციური სამიზნეების დიდი რაოდენობა.

გრაფიკი 4.8 მეკობრეთა თავდასხმები მსოფლიოში, 2017 წ.

წყარო: Pirate Attacks Around the World, 2017, მომზადებულია შემდეგი წყაროს მიხედვით ICC-CCS map, 2017. https://www.icc-ccs.org/index.php/piracy-reporting-centre/live-piracy-map/piracy-map-2017.



ავიამზიდები მოიერიშე თვითმფრინავების მობილური პლატფორმებია, რომელებიც **ძალის პროექციის** ინსტრუმენტებს წარმოადგენენ და მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოზე შეუძლიათ იერიშის მიტანა. საერთაშორისო კონფლიქტის ზონის სიახლოვეს ავიამზიდის უბრალოდ გაგზავნაც კი ძალის გამოყენების მუქარას ნიშნავს და მე-19 საუკუნის ე.წ. „ქვემეხიანი გემების დიპლომატიის“ თანამედროვე ვარიანტს წარმოადგენს. ავიამზიდები უკიდურესად ძვირადღირებულია და როგორც წესი, დაცვისა და მომარაგების უზრუნველსაყოფად 20-25 ხომალდი სჭირდება. ძალიან ცოტა სახელმწიფოს აქვს ავიამზიდის ფუფუნება. აშშ-ის შეიარაღებაზე არსებობს 10 ავიამზიდი და თითოეულის ფასი 5 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. 2017 წელს აშშ-ის ფლოტმა მიიღო ახალი მოდელის 14 მილიარდიანი ავიამზიდი. ასევე, ჩინეთმა შეიძინა და გაარემონტა

ძალის პროექცია (power projection)
შეიარაღებული ძალების ქვეყნის უშუალო რეგიონიდან ან გავლენის სფეროდან მორ მანძილზე გამოყენების შესაძლებლობა.

ერთი ავიამზიდი და 2012 წელს შეიარაღებაზეც მიიღო. 2017 წელს მან დაიწყო პირველი საკუთარი წარმოების ავიამზიდის მშენებლობა. კიდევ რვა სახელმწიფოს (საფრანგეთი, ინდოეთი, რუსეთი, ესპანეთი, ბრაზილია, იტალია, ტაილანდი და გაერთიანებული სამეფო) აქვს მცირე ზომის ავიამზიდები, რომლებზეც ვერტმფრენები ან მცირე ზომის თვითმფრინავებია განლაგებული.

წყლის ზედაპირზე მცურავი გემები, რომლებიც სამხედრო ხომალდების უმრავლესობას შეადგენს, ძირითადად მართვადი რაკეტებით არის აღჭურვილი და თავის მხრივ, მოწყვლადია სარაკეტო შეტევების მიმართ (ხომალდებიდან, თვითმფრინავებიდან, წყალქვეშა ნავებიდან ან ხმელეთიდან). გამომდინარე იქიდან, რომ მცირე ზომის რაკეტების მოქმედების რადიუსი შესაძლოა რამდენიმე ასეულ მილს აღწევდეს, საზღვაო ბრძოლისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეტოქის დიდ სიშორეზე აღმოჩენას საკუთარი ფარულობის შენარჩუნებით, რაც წააგავს კატათაგვობანას თამაშს რადიოლოკაციური სისტემებისა და რადიოელექტრონული კონტრზომების გამოყენებით.

4.4.3 სამხედრო-საჰაერო ძალები: საჰაერო სივრცის კონტროლი

სამხედრო-საჰაერო ძალებს რამდენიმე დანიშნულება აქვთ: საზღვაო ან სახმელეთო სამიზნეების სტრატეგიული დაბომბვა, „მჭიდრო საჰაერო მხარდაჭერა“ (ბრძოლის ველის საცეცხლე დამუშავება), სხვა თვითმფრინავების გადაჭერა, რეკოგნოსცირება და ტვირთის, იარაღისა და ჯარისკაცების ტრანსპორტირება. განსაკუთრებით იზრდება რაკეტების მნიშვნელობა, გაშვების ადგილის მიუხედავად (ჰაერიდან, ხმელეთიდან, ზღვიდან). საჰაერო ძალებმა შეიმუშავეს ამგვარი რაკეტების „მოტყუების“ სხვადასხვა მეთოდები, თუმცა შედეგები არაა ცალსახა. ავღანეთში სსრკ-ის ომის დროს, აშშ-ის წარმოების „სტინგერის“ ტიპის მობილურმა საზენიტო კომპლექსებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალებს. 2003 წელს, გადასატანი საზენიტო კომპლექსების გამოყენების საფრთხის მიზეზით, ბაღდადის აეროპორტი ერთ წელზე დიდხანს იყო დახურული კომერციული რეისებისთვის.



ძალის პროექცია სხვადასხვა ტიპის სამხედრო ძალები სხვადასხვა მიზნებს ემსახურება. ავიამზიდები გამოიყენება შორეულ რეგიონებში ძალის პროექციისთვის. ამერიკისთვის ასეთი იყო, მაგალითად, ავღანეთისა და ერაყის კამპანიები.

ადრეც და გარკვეულწილად ახლაც, საჰაერო დაბომბვა საარტილერიო ცეცხლს წააგავს იმ თვალსაზრისით, რომ იწვევს მასშტაბურ ნგრევას სამიზნეების განურჩევლად. ჭკვიანი ბომბების სიზუსტის გაუმჯობესებასთან ერთად, ეს მოცემულობა შედარებით შეიცვალა. ლაზერული დამიზნების ბომბები

მიჰყვება სენსორს, რომელიც ჰაერიდან ან ხმელეთიდან მიუთითებს სამიზნეს. სხვა ბომბები, სამიზნემდე ღრუბლების, კვამლის ან ქვიშის ქარიშხლის გასავლელად ნავიგაციის გლობალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელ სისტემას (GPS) იყენებენ. 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის დროს, უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა ხალიჩისებური დაბომბვა მაღალი სიმაღლიდან უმართავი ჭურვების გამოყენებით. 2003 წლის ერაყის ომის ადრეულ პერიოდში მიმდინარე საჰაერო კამპანიისას კი უკვე გამოიყენებოდა მართვადი ჭურვები, რითაც შესაძლებელი გახდა ნაკლები რაოდენობის ბომბებით უფრო მეტი სამიზნის განადგურება.

ელექტრონული მოწყობილობების მუდმივი დახვეწის პროცესი და მოიერიშე თვითმფრინავებისთვის წაყენებული მაღალი ეფექტურობის მოთხოვნები, მნიშვნელოვად ზრდის სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის საჭირო დანახარჯებს და ზოგიერთი სახელმწიფოსთვის სამხედრო-საჰაერო ძალების შენახვა მიუწვდომელი ფუფუნებაა. შესაბამისად, მდიდარ სახელმწიფოებს ღარიბ სახელმწიფოებთან საჰაერო ბრძოლაში უდიდესი უპირატესობა აქვთ. დანახარჯებისგან დამოუკიდებლად, ჰაერში უპირატესობა ხშირად გადამწყვეტია სახმელეთო ოპერაციების წარმატებისთვის, განსაკუთრებით ღია რელიეფზე. აშშ-ის მიერ ერაყის (1991 და 2003 წლებში), სერბეთის (1999) და ავღანეთის (2001) დაბომბვებმა აჩვენა საჰაერო ძალის ახალი სახის ეფექტიანობა პირდაპირ საბრძოლო პოზიციების განადგურების თვალსაზრისით და არა მოწინააღმდეგის მოსახლეობის დათრგუნვის გზით (როგორც ეს მეორე მსოფლიო ომში ხდებოდა). აშშ-ის შესაძლებლობები, გაანადგუროს შორს მდებარე სამხედრო ძალები ძალიან მცირე დანაკარგებით, ისტორიულად უპრეცედენტოა. 2003 წლის ერაყის ომმა აჩვენა საჰაერო ძალის სარგებელი, მაგრამ ასევე მისი შეზღუდვებიც. ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში განხორციელდა ბაღდადის მასიური და ზუსტი დაბომბვა, რის შედეგადაც სადამ ჰუსეინის მთავრობისთვის ღირებული ასობით ობიექტი განადგურდა. აღნიშნული დაბომბვით აშშ მიზნად ისახავდა მეტოქის სამეთაურო რგოლში „შოკისა და შიშის“ დათესვას, რასაც მეთაურების დანებება უნდა მოჰყოლოდა. თუმცა, აშშ-ის ჯარებს მაინც ხმელეთზე ბრძოლით მოუხდათ ბაღდადის აღება. აშკარად გამოჩნდა, რომ შეუძლებელი იყო ამ ომის ჰაერიდან მოგება. როგორც ქვეითი სამხედროები აღნიშნავენ, „ჯერ არავინ დანებებია თვითმფრინავს.“[9]

სამხედრო-საჰაერო ძალები, სავარაუდოდ, ყურადღებას იმსახურებს აშშ-ჩინეთს შორის გამალებული შეიარაღების ნებისმიერ სამომავლო სცენარში. გასული 15 წლის განმავლობაში ჩინეთმა დიდი თანხები დახარჯა მოძველებული სამხედრო-საჰაერო ძალების განახლების მიზნით. აშშ აგრძელებს მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას საკუთარ სამხედრო-საჰაერო ძალებში და ახალ ტექნოლოგიებზე მუშაობას ჩინეთზე უპირატესობის შესანარჩუნებლად. მიუხედავად იმისა, რომ

9 Pape, Robert A. The True Worth of Air Power. Foreign Affairs 83 (2), 2004: 116–31.

მცირე მასშტაბის ომში საჰაერო ძალა ნაკლებად გამოსადეგია, სახელმწიფოები განაგრძობენ სამხედრო-საჰაერო ძალების გაძლიერებას შესაძლო ფართომასშტაბიან კონფლიქტებში გამოყენების მიზნით.

4.4.4 მაკოორდინირებელი ძალები: ლოგისტიკა და დაზვერვა

ყველა სახის სამხედრო ოპერაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ლოგისტიკურ მხარდაჭერაზე, რომელიც მოიცავს სურსათს, საწვავს და აღჭურვილობას (შეიარაღება და საბრძოლო მასალა). სამხედრო ლოგისტიკა მასშტაბური ოპერაციაა და უმეტეს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეების უმრავლესობა არ არის საბრძოლო ქვედანაყოფების წევრები. გლობალური წვდომის შესაძლებლობა წარმოადგენს შორ მანძილზე ლოგისტიკური უზრუნველყოფისა და ძალის პროექციის საშუალებების ერთობლიობას. აღნიშნული შესაძლებლობები დიდ სახელმწიფოებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ძალის პროექციის და მსოფლიო რეგიონების უმეტეს ნაწილში ერთდროული სამხედრო ყოფნის შენარჩუნების საშუალებას აძლევს. დღევანდელ დღეს, სამხედრო ალიანსების, საჰაერო და საზღვაო ბაზების, საზღვარგარეთ დისლოცირებული ჯარებისა და ავიამზიდების მეშვეობით, ასეთი შესაძლებლობა სრულად მხოლოდ აშშ-ს გააჩნია.

კოსმოსური ძალები შეიარაღებული ძალების ნაწილია, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს იერიში კოსმოსში ან კოსმოსიდან. ბალისტიკური რაკეტები, რომლებიც ფრენისას მცირე ხნით გაივლიან კოსმოსს, როგორც წესი, ამ კატეგორიაში არ გადის. მნიშვნელოვან სამხედრო-კოსმოსურ შესაძლებლობებს მხოლოდ რუსეთი და აშშ ფლობენ. ჩინეთმა 2003 წელს შეძლო ორბიტაზე ასტრონავტის გაყვანა, 2007 წელს წარმატებით გაუშვა მთვარის თანამგზავრი და 2019 წლის დასაწყისში მთვარეზე მოდულიც დასვა. თუმცა, საერთო ჯამში, მას უფრო შეზღუდული კოსმოსური შესაძლებლობები აქვს, ვიდრე აშშ-ს. ჩინეთი ჩამორჩენას სწრაფად ფარავს. ამასთან, კოსმოსური შეიარაღების განვითარებას აფერხებს როგორც ტექნოლოგიური სირთულეები და კოსმოსურ ოპერაციებთან დაკავშირებული დანახარჯები, ისე კოსმოსის მილიტარიზაციის წინააღმდეგ არსებული საერთაშორისო ნორმები.

შეიარაღებული ძალები კოსმოსს უფრო ხშირად მართვისა და კოორდინირების დანიშნულებით იყენებენ. თანამგზავრები ფართოდ გამოიყენება სამხედრო მიზნებისთვის, მაგრამ დღემდე ეს არ მოიცავს შეტევით ამოცანებს. თანამგზავრები ასრულებენ სათვალთვალო, კარტოგრაფიულ, საკომუნიკაციო, ამინდის პროგნოზირების და ბალისტიკური რაკეტების გაშვების შესახებ ადრეული გაფრთხილების ფუნქციებს. თანამგზავრებით ასევე ხორციელდება სანავიგაციო ინფორმაციის მოპოვება შეიარაღებული ძალებისთვის – არმიის ქვედანაყოფების, ხომალდების,

თვითმფრინავების და გაშვებული მართვადი რაკეტების შესახებ. ადგილმდებარეობა 15 მეტრის რადიუსის სიზუსტით გამოითვლება მცირე მიმღებების მეშვეობით, რომლებიც „გლობალური ადგილმდებარეობის სისტემის“ (GPS) სახელით ცნობილი, 24 ამერიკული თანამგზავრისგან შემდგარი ქსელისგან წამოსულ სიგნალებს იღებენ. გადასატანი მიმღებების შეძენა ყველას შეუძლია და შესაბამისად, სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალები უფასოდ იყენებენ თანამგზავრული ნავიგაციის სიგნალებს. ღარიბ სახელმწიფოებს შეუძლიათ თანამგზავრული გამოსახულებები კომერციულ ბაზარზე შეიძინონ, მათ შორის მაღალი გაფართოებით, რასაც რუსეთი ყიდის ვალუტის სანაცვლოდ. რეალურად, ასეთი სახის ინფორმაციაზე წვდომა იმდენად გაიზარდა, რომ ტერორისტებმა, რომლებმაც 2008 წელს ინდოეთის ქალაქ მუმბაიში ტერაქტები განახორციელეს, ოპერაციები Google Earth-ის თანამგზავრული გამოსახულებების გამოყენებით დაგეგმეს და ტერაქტების დროს მოქმედებების კოორდინირებას პაკისტანიდან, თანამგზავრული ტელეფონების გამოყენებით ახორციელებდნენ. 2006 წელს ლიბანში ჰეზბოლასა და ისრაელს შორის ომის დროს, ჰეზბოლას ძალები, ისრაელის საჰაერო მხარდაჭერისა და სამიზნეების ამოცნობის ოპერაციების გართულების მიზნით, GPS-ის ხარვეზების შემქმნელ მოწყობილობებს იყენებდნენ. მიუხედავად ამისა, დიდ სახელმწიფოებს, პატარა ან ღარიბ სახელმწიფოებთან მიმართებაში, დიდი უპირატესობა გააჩნიათ კოსმოსში.

სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად ასევე გამოიყენება სხვადასხვა საშუალებები, მათ შორის სატელეფონო ხაზებისა და კავშირგაბმულობის ელექტრონული მონიტორინგი, საელჩოებში მომზადებული ანგარიშები და ღია წყაროებში გასული ინფორმაცია. გარკვეული სახის მონაცემები მოიპოვება უცხო ქვეყანაში აგენტურის დახმარებით. ისინი იყენებენ სხვადასხვა ხრიკებს (ასევე ფულსა და ტექნოლოგიებს) უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საკუთარი გეგმებისა და შესაძლებლობების დასაფარად აღმართულ კედლებში შესაღწევად. აშშ-ის ყველაზე დიდი სამხედრო სადაზვერვო უწყებაა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო (NSA), რომლის მოვალეობასაც წარმოადგენს ამერიკული საკომუნიკაციო ქსელის დაშიფვრა და უცხოურ საკომუნიკაციო ქსელებში შეღწევა. სააგენტოში თავს იყრის ელექტრონულ კომუნიკაციებში გამავალი უზარმაზარი ინფორმაცია, საიდანაც ხდება მნიშვნელოვანი საუბრების გამოხშირვა. ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოში მუშაობს მათემატიკაში დოქტორის ხარისხის მქონე უფრო მეტი პირი, ვიდრე სადმე სხვაგან მსოფლიოში. ის მერილენდის შტატში ელექტროენერგიის რიგით მეორე მომხმარებელია, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოზე (CIA) დიდი ბიუჯეტი აქვს და მიიჩნევა, რომ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი კომპიუტერული შესაძლებლობები გააჩნია. საინფორმაციო რევოლუციის ფონზე და ტერორიზმთან ომში ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ფუნქციის მნიშვნელობის როლის გაზრდასთან ერთად, იზრდება სადაზვერვო ოპე-


რაციების მასშტაბი და მნიშვნელობა. ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საქმიანობის მოცულობის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნდა 2013 წელს, როდესაც სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა მილიონობით დოკუმენტი გაავრცელა, საიდანაც გაირკვა, რომ სააგენტო საიდუმლოდ მოიპოვებდა დიდი მოცულობის ინფორმაციას, მათ შორის ამერიკის მოქალაქეებისა და უცხოელი დიპლომატების სატელეფონო და ინტერნეტ-კომუნიკაციის ჩანაწერებს. აღნიშნული პროგრამების გამოაშკარავებამ აშშ-ის მოკავშირეებში აღშფოთება გამოიწვია, ხოლო ამერიკულ საზოგადოებაში გაიზარდა მოწოდებები აშშ-ის სადაზვერვო სააგენტოებზე ზედამხედველობის მექანიზმების გაძლიერებასთან დაკავშირებით.

4.5 ტექნოლოგიების განვითარება

შეაფასეთ ახალი ტექნოლოგიების მნიშვნელობა ომის ბუნების ტრანსფორმირებაში.

ტექნოლოგიურმა განვითარებამ რამდენიმე გზით შეცვალა სამხედრო ძალის გამოყენების ხასიათი. პირველ რიგში, საერთაშორისო კონფლიქტებში ძალის გამოყენებას ახლა უფრო მნიშვნელოვანი ხარჯები და შედეგები მოჰყვება. განსაკუთრებით, დიდ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ერთმანეთში დავების მოსაგვარებლად ძალის გამოყენება მასობრივი განადგურებისა და ეკონომიკური კოლაფსის რისკის გარეშე. გარდა ამისა, სამხედრო შეტაკებები ახლა დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიდი დაშორებით ხდება. ყველა ტიპის რაკეტა ამ ტენდენციას კიდევ უფრო აჩქარებს. აღნიშნული ტექნოლოგიური წინსვლა საფუძველს აცლის ომის ტერიტორიულობას და სახელმწიფოს „შეუღწევადობას."

უკანასკნელ წლებში ეს ტენდენცია დააჩქარა აშშ-ის მიერ უპილოტო საფრენი აპარატების, მათ შორის რაკეტებით აღჭურვილი დრონების გამოყენებამ პაკისტანში, იემენსა და ლიბიაში. ამერიკის შეიარაღებაზე არსებული ათასობით უპილოტო საფრენი აპარატის გარდა, სხვა სახელმწიფოებიც გამალებით ცდილობენ მათ შეძენას. ჩინეთს, რუსეთს, ინდოეთს, პაკისტანს, თურქეთს, იტალიას, გერმანიას, საფრანგეთს და ირანს ასევე აქვთ შეიარაღებაზე მძიმე და საშუალო ზომის მოიერიშე დრონები. 2012 წელს ისრაელის საჰაერო სივრცეში ჩამოაგდეს ირანში დამზადებული დრონი. ბრიტანეთი და ისრაელიც იყენებენ უპილოტო საფრენ აპარატებს თავდასხმებისთვის. თუმცა, მსოფლიოს მასშტაბით დრონების უმეტესობა



ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲨᲘ დღეს თითქმის ყველა მთავრობა იყენებს დრონებს სამხედრო მიზნებით. ეს დრონები, უბრალო მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომი დრონების მსგავსად, შესაძლებელს ხდის სადაზვერვო ინფორმაციის ეფექტიან მოპოვებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა აღნიშნული სამხედრო მოსამსახურეებისთვის საფრთხის შემცველია. სურათზე, 2017 წელს ერაყის სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენლები იყენებენ დრონს ქალაქ მოსულში, რომელიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ ისლამურ სახელმწიფოს ჰქონდა დაპყრობილი. დრონი სამხედროებს დაეხმარება იმ შენობების დათვალიერებაში, სადაც ისლამური სახელმწიფოს მეიარაღებული პირები აფარებენ თავს.

ბას თვალთვალის მიზნით იყენებენ. გერმანიაში დამზადებული აშშ-ის წყალქვეშა დრონები, რომლებსაც განაღმვისთვის იყენებენ, 2012 წელს გააგზავნეს სპარსეთის ყურეში ირანთან ურთიერთობების გამწვავების დროს. ამჟამად დრონებს ბიზნესკომპანიები და კერძო მოქალაქეებიც იყენებენ. 2014 წელს, სერბეთსა და ალბანეთს შორის მიმდინარე საფეხბურთო მატჩის დროს სათამაშო მოედანზე გაუშვეს დრონი, რომელსაც ე.წ. დიდი ალბანეთის ნაციონალისტური დროშა ჰქონდა შებმული, რასაც მატჩის შეწყვეტა მოჰყვა. აღნიშნულმა ინციდენტმა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია.

რადიოელექტრონული ბრძოლა (ელექტრონული ომი)

რადიოელექტრონული ბრძოლა (უფრო ფართო გაგებით, *საინფორმაციო ბრძოლა*) აღნიშნავს ომში ელექტრომაგნიტური სპექტრის (რადიოტალღები, რადარები, ინფრაწითელი სხივები და ა.შ.) გამოყენებას და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ყველა ტექნოლოგიურად განვითარებული შეიარაღებული ძალისთვის. *სტელსის ტექნოლოგია* იყენებს გამოსხივების შთამნთქმელ მასალას და არაორდინალურ ფორმებს, რათა მოწინააღმდეგის რადარებისთვის უხილავი გახადოს თვითმფრინავები, რაკეტები და ხომალდები. თუმცა, სტელსი უკიდურესად ძვირია (B-2 ტიპის სტელსის ბომბდამშენი დაახლოებით 2 მლრდ. აშშ დოლარი ჯდება) და ტექნიკური პრობლემებიც აქვს. *კიბერომის სტრატეგიამ*, რომელიც მოწინააღმდეგის მართვისა და კონტროლის სისტემების დასაზიანებლად ან ხანდახან საბანკო ანგარიშებზე ელექტრონული შეღწევისთვის კომპიუტერული სისტემების დაზიანებას მოიცავს, შესაძლოა დიდი როლი ითამაშოს სამომავლო ომებში, თუმცა დღეს ასეთი ვითარება არ არის. 2011 წელს აშშ-მა უარი თქვა ლიბიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის გათიშვის მიზნით კიბერშეტევების ორგანიზებაზე, რადგან შიშობდა, რომ ეს შესაძლოა სახიფათო პრეცედენტი გამხდარიყო. სამომავლოდ, ტერორისტების სამიზნედ შესაძლოა იქცეს კომპიუტერული ქსელები, მათ შორის ინტერნეტი და კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურა (მაგალითად, ელექტროგადამცემი ხაზები).

რადიოელექტრონული ბრძოლა (electronic warfare) ელექტრომაგნიტური სპექტრის (რადიო ტალღები, რადარი, ინფრაწითელი სხივები და ა.შ.) გამოყენება ომში. მაგალითად, ელექტრომაგნიტური სიგნალების გამოყენება მენსასარგებლოდ და მოწინააღმდეგის ამავე შესაძლებლობის ჩახშობა.



კატარა მშვენიერია საინფორმაციო რევოლუციის შედეგად იარაღი უფრო პატარა, ხოლო მცირე ზომის ქვედანაყოფები უფრო ძლიერი ხდება. „რევოლუცია სამხედრო საქმეებში“ ცვლილებების ჩარმმართველია მთელ მსოფლიოში, რაც ასევე მოიცავს დრონების გამოყენების ზრდას. სურათზე, 2016 წელს საუდელი პრინცი ფაისალი და იორდანიის სამხედრო შტაბის ხელმძღვანელი ათვალიერებენ მიკროდრონს.

ჩინელი, რუსი და ამერიკელი ჰაკერების მიერ ერთმანეთის სისტემაში შეღწევის მუდმივი მცდელობების ფონზე, კიბერთავდასხმები საერთაშორისო ურთიერთობებში მზარდ მნიშვნელობას იძენს. 2010 წელს აშშ-ისრაელის Stuxnet ვირუსის გამოყენებით თავდასხმა განახორციელეს ირანის ბირთვულ ცენტრიფუგებზე, ხოლო 2012 წელს ვირუსი სახელად Flame აღმოაჩინეს ახლო აღმოსავლეთის ათასობით კომპიუტერზე, მათგან უმრავლესობა ირანში იყო. აღნიშნულ ვირუსს შეეძლო, კომპიუტერის ეკრანისთვის გადაეღო სურათი, აემოქმედებინა კლავიატურა, ჩაერთო მიკროფონი და ამით ვირუსის შემქმნელე-

ბისთვის (სავარაუდოდ ამერიკისა ან ისრაელისთვის) შესაძლებლობა მიეცა, ფარულად ედევნებინათ თვალი ირანის ბირთვული პროგრამის მიმდინარეობისთვის. რამდენიმე თვის შემდეგ, სავარაუდოდ ამ ვირუზე პასუხად, ახალმა ვირუსმა წამალა საუდის არაბეთის მთავარი ნავთობკომპანიის ფაილები და მათ ნაცვლად ამერიკის ალმოდებული დროშის სურათები ატვირთა. დრონები და რადიოელექტრონული ტექნოლოგიები, შედარებით მისაღები ფასიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომი ხდება არა მხოლოდ დიდი სახელმწიფოებისთვის, არამედ ბევრი სხვა ქვეყნისთვისაც. უფრო დამაფიქრებელია იმის წარმოდგენა, რომ რევოლუცია სამხედრო საქმეში შეიძლება წაადგეთ არასახელმწიფო აქტორებს, მათ შორის ტერორისტებს.

4.6 ტერორიზმი

შეაფასეთ კონტრტერორიზმის ორი სხვადასხვა მიდგომის შესაძლო უპირატესობები და ნაკლოვანებები.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სიაში 61 უცხოური ტერორისტული ორგანიზაცია იყო შეყვანილი 2018 წლის მდგომარეობით. ამ ორგანიზაციებიდან ზოგიერთს რელიგიური მიზნები ამოძრავებს (მაგალითად ალ-ქაიდას), თუმცა სხვების მოტივაციას კლასობრივი იდეოლოგია (მაგალითად პერუში მოქმედი „ნათელი გზა"), ან ეთნიკური კონფლიქტი და ნაციონალიზმი წარმოადგენს (მაგალითად „ბასკების სამშობლო და თავისუფლება", იგივე ეტა). ამ თავში უკვე განვიხილეთ კონფლიქტები ისლამისტური შეიარაღებული დაჯგუფებების და ტერორისტული ქსელების მონაწილეობით. ამ ქვეთავში განვიხილავთ ტერორიზმს, როგორც ტაქტიკას. 2001 წლის სექტემბრიდან მოყოლებული სახელმწიფოები და მოქალაქეები გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ ტერორიზმს. თუმცა თავად ტერორიზმი ახალი ფენომენი არაა.

ტერორიზმი არის პოლიტიკური ძალადობა, რომელიც განზრახ და მსხვერპლის განურჩევლად ახორციელებს თავდასხმებს მშვიდობიან მოსახლეობაზე. ამ საბაზისო განსაზღვრების გარდა, შესაძლებელია სხვა კრიტერიუმების მორგებაც, თუმცა ასეთი განსაზღვრებები შესაძლოა პოლიტიკურად მოტივირებული აღმოჩნდეს: ის, ვინც ერთი ადამიანისთვის თავისუფლებისთვის მებრძოლია, მეორე ადამიანისთვის ტერორისტია. ტერორიზმი უფრო მეტია ვიდრე პარტიზანული ბრძოლა. ტერორიზმი არის უსახო მტრების იატაკქვეშა სამყარო, რომელიც იყენებს არაორდინალურ ტაქტიკას და უკიდურესი დაუნდობლობით გამოირჩევა.

ტრადიციულად, ტერორიზმის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო მოსახლეობის დემორალიზება, რათა შექმნილი უკმაყოფილება შემდეგ სახელმწიფოს ხელისუფლებაზე ან კონფლიქტის სხვა მხარეებზე ზეწოლისთვის გამოიყენონ. ამ მიზანს ასევე უკავშირდება დრამატული სცენის შექმნა მედიის ყურადღების მისაქცევად და საკუთარი იდეის პოპულარიზებისთვის. ტერორიზმი იშვიათ შემთხვევაშია გაუაზრებელი. როგორც

წესი, ძალადობის ზეწოლის ბერკეტად გამოყენების კარგად გათვლილ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. თუმცა, ტერორიზმის მოტივები და საშუალებები მნიშვნელოვნად განსხვავდება და საერთო მხოლოდ ის რჩება, რომ კონკრეტული აქტორი ძალადობას სხვა აქტორებზე ზეგავლენის მოსახდენად იყენებს.

შესაბამისად, ტერორიზმის ძირითადი შედეგი ფსიქოლოგიურია. ტერორიზმის ეფექტიანობას ყურადღების მიქცევის თვალსაზრისით ნაწილობრივ განაპირობებს მომხდარი ინციდენტის დრამატული ხასიათი, განსაკუთრებით თუ ის ტელევიზიით გადაიცემა. ტერორიზმი ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ მსხვერპლი შემთხვევითია. მართალია, მაღაზიაში ჩადებული ბომბის აფეთქებით შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი დაშავდეს, მაგრამ მილიონობით ადამიანი ფიქრობს, რომ „ეს შეიძლება მე ვყოფილიყავი“, რადგან მაღაზიაში ისინიც დადიან. ტერაქტები თვითმფრინავებზე ამ შიშს აძლიერებს, რადგან ბევრ ადამიანს ფრენის ისედაც ეშინია. შესაბამისად, ტერორიზმი აძლიერებს მცირე ზომის ძალას ადამიანთა ფართო მასებზე ფსიქოლოგიური ეფექტის მოხდენის გზით. სწორედ ამიტომ არის ტერორიზმი სუსტების იარაღი. თუმცა, ალ-ქაიდას თავდასხმები გარკვეულწილად განსხვავებული სახის იყო და ორიენტირებული არა იმდენად შიშის დათესვაზე, რამდენადაც რაც შეიძლება მეტი ამერიკელის და ამერიკელთა მოკავშირის დახოცვაზე, რასაც ბოლოს ისეთი აპოკალიფსური ძალადობა უნდა გამოეწვია, რასაც, ალ-ქაიდას მიმდევრების რწმენით, ღმერთის ჩარევა მოჰყვებოდა. ალ-ქაიდას თავდასხმების ფსიქოლოგიური ეფექტის ძირითად სამიზნეს წარმოადგენდა მსოფლიოს მუსლიმი მოსახლეობა და არა ამერიკელები.

მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განხორციელებული, გამაოგნებლად დამანგრეველი თავდასხმით მიყენებული ზარალი, ანუ ათასობით დაღუპული ადამიანი და ათეულობით მილიარდი აშშ დოლარის დანაკარგი, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე წარსულში განხორციელებული ტერაქტებით გამოწვეული ზიანი. ფიზიკურ ზარალზე უფრო ძლიერი იყო ფსიქოლოგიური ეფექტი, რამაც მყისიერად შეცვალა აშშ-ის პოლიტიკური და კულტურული ლანდშაფტი. აღსანიშნავია, რომ იგივე ტერორისტული ქსელი ცდილობდა ბირთვული იარაღის ხელში ჩაგდებას და ამით არა ათასობით, არამედ ასეულობით ათასი ამერიკელის განადგურებას.

ტერორიზმის კლასიკური შემთხვევები, 1970-იანი წლებიდან 2001 წლის ტერაქტებამდე, გამოირჩეოდა შემდეგი ნიშნებით: არასახელმწიფო აქტორი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებდა საერთაშორისო საზღვრების გადაკვეთით მოქმედი, საიდუმლო, არაუნიფორმიანი ძალების მიერ განხორციელებულ თავდასხმებს სახელმწიფო აქტორებზე ზეწოლის განხორციელების მიზნით. რადიკალური პოლიტიკური დაჯგუფებები ან სეპარატისტული ჯგუფები იტაცებდნენ ან აფეთქებდნენ თვითმფრინავებს ან ნაღმავდნენ კაფეებს, კლუბებს და სხვა ხალხმრავალ ადგილებს. მაგალითად, 2004 წელს ჩეჩენმა რადიკალებმა

დაიკავეს ბესლანის (პატარა ქალაქი კავკასიაში) სკოლა. სამი დღის განმავლობაში, საკვებისა და სასმელი წყლის გარეშე მძევლად ჰყავდათ აყვანილი 1 200-მდე ბავშვი, მშობელი და მასწავლებელი. რუსული ძალების სკოლაში შეჭრას 300-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის 172 ბავშვი. აღნიშნული ტაქტიკა იძლევა ხმაურიანი ინციდენტის ორგანიზების და ტერორისტების მიზნებზე მედიის ყურადღების მიქცევის საშუალებას. მაგალითად, 2013 წლის ბოსტონის მარათონის ტერაქტი, ორი ძმის მიერ საკმაოდ მარტივად იყო ორგანიზებული, თუმცა ტერაქტის შემდეგაც კი რამდენიმე კვირის განმავლობაში მედიის ყურადღების ცენტრში რჩებოდა. ხშირ შემთხვევაში ტერორიზმი სასოწარკვეთილების ტაქტიკაა და თითქმის ყოველთვის თავდამსხმელის სისუსტეზე მიუთითებს.


თუმცა, გარკვეულწილად გამოცანაა, თუ როგორ განაგრძობს ტერორიზმი არსებობას, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ტაქტიკა ყოველთვის წარმატებით არ სრულდება. 1983 წელს, აშშ-ის ჯარების ლიბანიდან გასაყვანად თვითმკვლელი ტერორისტების გამოყენება ეფექტური გამოდგა, მაგრამ ჩეჩენი ტერორისტების მიერ 2004 წელს ბესლანის სკოლაზე განხორციელებულმა თავდასხმამ ჩეჩნეთში მათი გავლენა დაასრულა. პალესტინელებმა ვერ შეძლეს ტერორიზმით სახელმწიფოებრიობის მოპოვება. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების მიერ მძევლებისთვის თავების მოკვეთის კადრებმა საერთაშორისო ძალისხმევა დარაზმა ამ ორგანიზაციის დასამარცხებლად. ასევე, თვითმკვლელი ტერორისტების მთელი არმიაც არ არის საკმარისი თამილებისთვის ცალკე სახელმწიფოს მოსაპოვებლად შრი-ლანკაში ან ჰამასის და ისლამისტი ჯიჰადისტების მიერ ისრაელზე ზეწოლის მოსახდენად. აშკარაა, რომ ტერორისტული ქმედებებით პოლიტიკური შედეგების მიღწევა გარანტირებული არ არის.

ზოგიერთ კვლევაში მოცემულია სისტემატური ანალიზის მცდელობა, თუ როდის არის კონკრეტული ტიპის ტერორიზმი, მაგალითად თვითმკვლელი ტერორიზმი, ეფექტური ტერორისტული ორგანიზაციის მიზნის მიღწევის თვალსაზრისით. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, თვითმკვლელი ტერორიზმი სულაც არ არის ტერორისტული ჯგუფების მიერ ძალადობის ირაციონალური გამოყენება და რეალურად სტრატეგიულ სქემას მიჰყვება (იხ. გრაფიკი 4.9). კერძოდ, თვითმკვლელი ტერორიზმის შემთხვევები უფრო ხშირად ფიქსირდება დემოკრატიულ და არა ავტოკრატიულ ქვეყნებში, რადგან მიიჩნევა, რომ ამგვარი თავდასხმები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. თუმცა, იმავე კვლევის დასკვნის თანახმად, ხსენებული ტერორისტული ტაქტიკა მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად განსაკუთრებით ეფექტური არ არის.

ტერორისტები სახელმწიფოებზე უფრო მეტად არიან მზად, დაარღვიონ საერთაშორისო სისტემის ნორმები, რადგან სახელმწიფოებისგან განსხვავებით, მათ ამ სისტემაში არაფერი აქვთ დასაკარგი. შესაბამისად, როდესაც პოლიტიკური ჯგუფი ახერხებს გარკვეული ძალაუფლების ან ლეგიტიმაციის მოპოვებას, მისი მხრიდან ტერორისტული მეთოდების გამოყენება მცირდება.

გრაფიკი 4.9 თვითმკვლელთა ტერორისტული თავდასხმები 1974-2016 წწ.

წყარო: Chicago Project on Security and Terrorism (CPOST). 2016. Suicide Attack Database (October 12, 2016 Release). Retrieved from http://cpostdata.uchicago.edu/.



Alejandro A. Alvarez/Rapport Press/Newscom

სახელმწიფოები თავადაც ახორციელებენ ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავს საკუთარი ან სხვა სახელმწიფოების მოსახლეობის დაშინებას, მაგრამ მკვლევრები ამჯობინებენ, რომ ასეთ ქმედებებს ტერორიზმის ნაცვლად ომი ან რეპრესია უწოდონ. სინამდვილეში, სამოქალაქო ან საერთაშორისო ომის დროს მეომარი მხარის მიერ ან მის მიმართ ჩადენილი ვერც ერთი ძალადობრივი აქტი ტერორიზმის კატეგორიაში ზუსტად ვერ ჯდება. რა თქმა უნდა, ტერორიზმის განსაზღვრა ისევე რთულია, როგორც ომის. მეომარი მხარეები ხშირად ერთმანეთს ტერორისტებს უწოდებენ. ტერორიზმის ყველაზე ვიწრო განსაზღვრება გამორიცხავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც უნიფორმიანი შეიარაღებული ძალების მიერ ან მათ წინააღმდეგ არის ჩადენილი და არა სამოქალაქო პირების მიერ ან მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. აღნიშნული განსაზღვრებით, ტერაქტად არ კვალიფიცირდება 1983 წელს მანქანაში დამონტაჟებული ბომბის აფეთქებით ლიბანში 243 ამერიკელი საზღვაო ქვეითის დახოცვა ან 2001 წელს პენტაგონზე განხორციელებული ტერაქტი, რადგან ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სამხედრო სამიზნესთან. აღნიშნული განსაზღვრებით ასევე გამოირიცხება მეორე მსოფლიო ომში გერმანული ქალაქების დაბომბვები, თუმცა ამ დაბომბვების მიზანს სწორედ მშვიდობიანი მოსახლეობის დატერორება წარმოადგენდა. გამო-

უცხადებელი ომების, პარტიზანული ომების, სამოქალაქო ომებისა და ეთნიკური ძალადობის დღევანდელ ეპოქაში, ტერორიზმის მკაფიო შემთხვევებს დიდ რუხი ზონა აკრავს გარშემო.

სახელმწიფო ტერორიზმი აღნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან (როგორც წესი, მისი სადაზვერვო უწყების მიერ) გაკონტროლებული ტერორისტული ჯგუფების გამოყენებას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. 1988 წელს, ბომბის აფეთქების შედეგად შოტლანდიის თავზე კატასტროფა განიცადა ავიარეისმა Pan Am 103. ავიაკატასტროფის ადგილის შესწავლისას გამოძიებამ აღმოაჩინა ხმის ჩამწერის ფრაგმენტები, რომელზეც მიმაგრებული იყო მაღალტექნოლოგიური პლასტიკური ბომბი. აშშ-ის და ბრიტანეთის მთავრობებმა ტერაქტში ლიბიის სპეცსამსახურების თანამშრომლების ბრალეულობა დაადგინეს და 1992 წელს, გაეროს უშიშროების საბჭოს მხარდაჭერით ლიბიას მოსთხოვეს აგენტების გადაცემა სასამართლოს წინაშე წარსადგენად. თავდაპირველად ლიბიამ უარი განაცხადა მოთხოვნის შესრულებაზე და გაერომ ეკონომიკური სანქციების დაწესების გადაწყვეტილება მიიღო. 1999 წელს ლიბიამ გადასცა ეჭვმიტანილები. ორ მათგანს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, ხოლო ერთი გამართლდა. გაერომ ლიბიაზე დაწესებული სანქციები გააუქმა. 2003 წელს, ლიბიამ ოფიციალურად აიღო პასუხისმგებლობა ტერაქტზე და მსხვერპლთა ოჯახებთან მრავალი მილიარდი დოლარის საკომპენსაციო შეთანხმება გააფორმა.

სახელმწიფო ტერორიზმი (state-sponsored terrorism)
სახელმწიფოს მიერ ტერორისტული ჯგუფების გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, როგორც წესი, ამავე სახელმწიფოს სადაზვერვო უწყების მეშვეობით.

2018 წლის მდგომარეობით, აშშ საერთაშორისო ტერორიზმის ხელშეწყობაში ბრალს სდებდა ოთხ სახელმწიფოს – ირანს, სირიას, სუდანს და ჩრდილოეთ კორეას. ყველა ეს სახელმწიფო უკვე ათ წელიწადზე მეტ ხანს იმყოფება საერთაშორისო ტერორიზმის ხელშემწყობთა სიაში. აშშ-ის მთავრობა ამერიკულ კომპანიებს აღნიშნულ ქვეყნებში საქმიანობას უკრძალავს. თუმცა, აშშ-ის მხრიდან მსგავსი სახის ცალმხრივი სანქციების შემოღებას შეზღუდული ეფექტი აქვს. სირიას შეუძლია საქმიანობა აწარმოოს ეგვიპტესთან, ისევე როგორც ირანს რუსეთთან. ჩრდილოეთ კორეა აღნიშნული სიიდან 2008 წელს, ბირთვული იარაღის პროგრამის შეჩერების დაპირების სანაცვლოდ ამოიღეს, მაგრამ 2017 წელს უკან დააბრუნეს ბირთვული იარაღის გამოცდის გამო. 2015 წელს, აშშ-კუბის ურთიერთობების ნორმალიზების შედეგად, აღნიშნული სიიდან ასევე ამოიღეს კუბა.[10]

4.6.1 კონტრტერორიზმი

უკანასკნელ ათწლეულებში ტერორისტების მიერ გამოყენებული მეთოდების გამრავალფეროვნებასთან ერთად, იგივე მოხდა ტერორისტული ინციდენტების პრევენციის პოლიტიკაშიც. ტერორიზმის პრევენციის საუკეთესო მეთოდების შესახებ დებატები ხშირად ცხარეა, რა-

10 1923 წლის იანვრის მდგომარეობით, ამ სიაში შედიან შემდეგი ქვეყნები – კუბა (უკან დააბრუნეს 2021 წელს), ჩრდილოეთ კორეა, ირანი და სირია. *რედ. შენ.*

დგან ის ასევე ეხება იმას, თუ, პირველ რიგში, რატომ იღებენ ადამიანები ტერაქტების ორგანიზების გადაწყვეტილებას.

ტერორიზმთან ბრძოლის პოლიტიკა შესაძლებელია განთავსდეს სპექტრზე, რომლის ერთ ბოლოს ტერორიზმისა და ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ არაძალადობრივი მეთოდებია, მეორე მხარეს კი ძალადობრივი. სპექტრის არაძალადობრივ მონაკვეთზე გვხვდება მოწოდება ეკონომიკური განვითარებისკენ. აღნიშნულის მომხრეები მიუთითებენ, რომ ძალიან ღარიბ სახელმწიფოებში ადამიანები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ტერორისტულ ორგანიზაციებში რეკრუტირების თვალსაზრისით. ასეთი ადამიანები ვერ ხედავენ ნათელ მომავალს, არ აქვთ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა და ამიტომ, ისინი ბუნებრივად კარგავენ იმედს, ემატებათ სიბრაზე და ხშირად ირაციონალურ ქმედებებს სჩადიან, რადგან მიაჩნიათ, რომ დასაკარგი არაფერი აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბესა და ტერორიზმს შორის პირდაპირი კავშირის მცირე მტკიცებულება არსებობს, ნათლად ჩანს, რომ ძალიან ღარიბი სახელმწიფოები, სადაც ცენტრალური მთავრობა სუსტია, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების წევრების რეკრუტირების ადგილებად ჩამოყალიბდნენ.

სპექტრის შუაშია საპოლიციო ქმედებები. აღნიშნული მოიცავს პოლიციის ძალისხმევას, როგორც წესი, სხვა ქვეყნების საპოლიციო ძალებთან თანამშრომლობით, რომლის მიზანია ტერორისტების დაჯავება ან ლიკვიდაცია და ტერორისტული ორგანიზაციების განადგურება. ეფექტური კონტრტერორისტული საპოლიციო ღონისძიებების ერთ მაგალითს წარმოადგენს პერუს მთავრობის ეროვნული საპოლიციო ძალების ელიტური საგამოძიებო ჯგუფის მიერ „ნათელი გზის“ ლიდერის დაპატიმრება. იგი ერთ დროს დაახლოებით 20 ათასი მებრძოლით დაკომპლექტებულ, კარგად შეიარაღებულ დაჯგუფებას აკონტროლებდა და რამდენიმე პერუელი პოლიტიკური ლიდერის მკვლელობაზე იყო პასუხისმგებელი. პოლიციამ მოძრობის ლიდერი მას შემდეგ დააპატიმრა, რაც თვალთვალი დააწესა ცეკვის სტუდიაზე (რომლის თავზეც ლიდერი ცხოვრობდა) და სტუდიიდან გამოტანილ ნაგავში შეძლო ხელჩასაჭიდი სამხილების მოპოვება. ლიდერის დაპატიმრების შემდეგ, „ნათელი გზის“ მოძრაობა დიდწილად დაიშალა.

კონტრტერორიზმის სპექტრის მეორე ბოლოშია ორგანიზებული სამხედრო კონფლიქტი. სახელმწიფოებმა ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ შეიძლება მცირე ან ფართომასშტაბიანი ომი წამოიწყონ. 1998 წელს აშშ-მა ფრთოსანი რაკეტებით დაარტყა სუდანში მდებარე ქარხანას, რომელიც, მიიჩნევდნენ, რომ ალ-ქაიდასთვის ქიმიური იარაღს ამზადებდა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ რეალურად ქარხანა ჩვილების ხელოვნური კვების პროდუქტებს აწარმოებდა. გარდა ამისა, აშშ-ის თაოსნობით დაწყებული ომი ავღანეთში წარმოადგენდა პასუხს აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებულ ტერაქტებზე.

ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც კონტრტერორისტულ პოლიტიკას აწარმოებს, რა თქმა უნდა, ყველა ამ მეთოდის გარკვეულ კომბინაციას იყენებს. მაგალითად, აშშ-ში უცხოური დახმარების დასასაბუთებლად აცხადებენ, რომ იგი ხელს უწყობს განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას, რაც ამცირებს ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ღარიბი და გაუნათლებელი მოსახლეობის ადვილად გადაბირების შესაძლებლობას. გამოძიების ფედერალური ბიურო და სამართალდამცავი ორგანოები თანამშრომლობენ მრავალ საერთაშორისო პარტნიორთან ექვმიტანილი ტერორისტების აღმოჩენისა და დაკავების მიზნით, ხოლო ამერიკელი სამხედროები სხვა სახელმწიფოებს დახმარებას უწევენ ტერორიზმთან ბრძოლაში წვრთნისა და შეიარაღების მიწოდების გზით. ბოლოს, ავღანეთის ომი იყო მასშტაბური ომი თალიბანის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ალ-ქაიდას მფარველობდა.

4.7 მასობრივი განადგურების იარაღი

შეადარეთ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის გლობალური რეჟიმის ეფექტიანობა ქიმიური იარაღის გაუვრცელებლობის გლობალური რეჟიმის ეფექტიანობას.

მასობრივი განადგურების იარაღი სამი ძირითადი ტიპისგან შედგება: ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი. მასობრივი განადგურების იარაღს ჩვეულებრივი იარაღისგან განასხვავებს ძალიან მაღალი ლეტალობა, მცირე ზომისა და საშუალო დანახარჯის გათვალისწინებით. ასევე, მასობრივი განადგურების იარაღს ახასიათებს სამიზნეების განურჩევლობა. ბალისტიკური რაკეტების მასობრივი განადგურების იარაღით აღჭურვის შემთხვევაში, შეიძლება მათი გაშვება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიიდან და დიდი ნგრევის გამოწვევა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამ დრომდე ეს ჯერ არ მომხდარა. თუმცა, ასეთი ქმედების საფრთხეც კი ძირს უთხრის საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოების უსაფრთხოებას და ტერიტორიულ მთლიანობას. დღევანდელ დღეს მთავარ პრობლემას მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების პერსპექტივა წარმოადგენს, რაც გულისხმობს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფოს ან არასახელმწიფო აქტორის ხელში აღმოჩნდეს.

მასობრივი განადგურების იარაღი (Weapons of mass destruction (WMDs))

ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი, რომლებიც განსხვავდება ჩვეულებრივი იარაღისგან ძალიან მაღალი ლეტალობით და აგრეთვე იმით, რომ განურჩევლად ანადგურებს სამიზნეებს.

4.7.1 ბირთვული იარაღი

აფეთქების ძალის გათვალისწინებით, ბირთვული იარაღი სახელმწიფოების შეიარაღებაში არსებული ყველაზე გამანადგურებელი იარაღია. მაცივრის ზომის ბომბს ერთი ქალაქის განადგურება შეუძლია. ბირთვული იარაღისგან თავდაცვა, საუკეთესო შემთხვევაში, უკიდურესად რთულია. ბირთვული იარაღის გავრცელების პოტენციალის გასაგებად,

საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ მოქმედებს იგი. არსებობს ორი ტიპის ბირთვული იარაღი – *ატომბირთვის ხლეჩის იარაღი* (ატომური ბომბი) შედარებით უფრო მარტივი და იაფია, ვიდრე *ატომბირთვის შერწყმის იარაღი* (ასევე უწოდებენ თერმობირთვულ ბომბს და წყალბადის ბომბს).

ატომბირთვის ხლეჩის იარაღის აფეთქებისას, ერთი ტიპის ატომი (ელემენტი) იყოფა ახალი ტიპის ატომებად, რომელთაც ნაკლები საერთო მასა აქვთ. დაკარგული მასა გარდაიქმნება ენერგიად ალბერტ აინშტაინის ცნობილი ფორმულის $E=mc^2$, რაც მიუთითებს, რომ მცირე მასა დიდი ენერგიის ეკვივალენტურია. 1945 წელს იაპონიის ქალაქ ნაგასაკიში ჩამოგდებულმა ატომურმა ბომბმა, რომელმაც მთელი ქალაქი გაანადგურა, ენერგიად დაახლოებით მცირე მონეტის ზომის მასა გარდაქმნა.

ხლეჩადი მასალა (fissionable material)

ურანი-235 და პლუტონიუმი, რომელთა ატომები იხლიჩება და ჯაჭვური რეაქციით გამოყოფს ენერგიას ატომური ბომბის აფეთქებისას.

ორი ელემენტი, რომლებიც შეიძლება ასე გაიხლიჩოს, კერძოდ ურანი-235 (U-235) და პლუტონიუმი, **ხლეჩადი მასალების** სახელითაა ცნობილი. ატომბირთვის ხლეჩის იარაღი იყენებს ხლეჩადი მასალის ქვეკრიტიკულ მასას, რომელსაც ჯაჭვური რეაქციის დასაწყებად საკმარისი სიმჭიდროვე არ აქვს, ახდენს მის კრიტიკულ მასამდე შეკუმშვას და აფეთქებას. ყველაზე მარტივი მოდელით, ურანის ბირთვი (ჩვეულებრივი ამფეთქით) ღრუ მილის გავლით გაიტყორცნება ურანის სხვა ბირთვებთან დასაჯახებლად. შედარებით უფრო ეფექტურ, თუმცა ტექნიკურად რთულ მოდელში, ამფეთქები ზუსტად პლუტონიუმის ღრუ სფეროს ირგვლივ თავსდება ამ სფეროს აფეთქებისა და კრიტიკული მასის წარმოქმნის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილული დახვეწილ საინჟინრო სამუშაოებს მოითხოვს, მსგავსი საშუალება მრავალ სახელმწიფოს და ზოგიერთ კერძო ჯგუფსაც აქვს. ამ შემთხვევაში მთავარ დაბრკოლებას ხლეჩადი მასალის მოპოვება წარმოადგენს. თითოეული ბომბის დასამზადებლად 5-დან 50 კგ-მდე ასეთი მასალაა საჭიროა, მაგრამ ეს მცირე რაოდენობაც არ არის ადვილად მოსაპოვებელი. განსაკუთრებით რთულია ურანი-235-ის დამზადება, რომელიც ატომური ბომბის ყველაზე მარტივ მოდელებში გამოიყენება. ხლეჩადი ურანი-235-ის მიღების პროცესი, რომელსაც ურანის ბირთვული იარაღის შექმნის დონემდე (ან მაღალ დონემდე) გამდიდრებას უწოდებენ, დროში გაწელილ, ძვირადღირებულ და ტექნიკურად კომპლექსურ სამუშაოებს მოითხოვს, რაც ბირთვული იარაღის გავრცელების მთავარ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა, უკანასკნელ წლებში ჩრდილოეთ კორეამ, ირანმა, ერაყმა და ლიბიამ მოახერხეს ამისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა. ჩრდილოეთ კორეამ პირობა დადო, რომ დახურავდა ურანის გამდიდრების პროგრამას და მოახდენდა ბირთვული კომპლექსის დემონტაჟს (2006 და 2009 წლებში პლუტონიუმის ბომბების გამოცდის შემდეგ), მაგრამ ამის ნაცვლად განაახლა პროგრამა და 2016-2017 წლებში სამი გამოცდა ჩაატარა. 2015 წელს, ირანმა და გაეროს უშიშროების ხუთმა მუდმივმა წევრმა (და გერმანიამ) მიაღწიეს შეთანხმებას, რომელიც ირანს აძლევდა ურანის

დაბალ დონეზე გამდიდრების საშუალებას და ამავდროულად, ითვალისწინებდა ირანის ბირთვული ობიექტების ინსპექციას. აღნიშნული შეთანხმების სკეპტიკოსთა შეფასებით, ირანი არ დაიცავდა შეთანხმების პირობებს, ხოლო მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობის გაგრძელების შემთხვევაშიც, მუშაობის ტემპი მრავალი წლით შენელდებოდა. 2018 წელს აშშ-მა დატოვა შეთანხმება, რითაც მისი მომავალი ბუნდოვანი გახდა.[11]

პლუტონიუმი შედარებით ადვილად იწარმოება და მისი მიღება ატომური ელექტროსადგურების დაბალი დონის ურანიდან შეიძლება. თუმცა, ურანის ბომბთან შედარებით, პლუტონიუმის ბომბის დამზადება შედარებით რთულია, რაც ბირთვული იარაღის გავრცელების კიდევ ერთი შემაკავებელი ფაქტორია. პლუტონიუმი ასევე გამოიყენება კომერციულ რეაქტორ-გამამრავლებლებში, რომლებიც უკანასკნელ წლებში იაპონიამ და სხვა ქვეყნებმა ააშენეს და რომელიც ხლეჩადი მასალის კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენს.

ატომბირთვის შერწყმის (თერმობირთვული) იარაღის წარმოება უკიდურესად ძვირი და ტექნიკურად რთულია და ასეთ იარაღზე წვდომა მხოლოდ ყველაზე მდიდარ, დიდ და ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებს აქვთ. თერმობირთვული რეაქციის დროს ხდება ორი მცირე ატომის (წყალბადის ვარიანტები) სინთეზი უფრო დიდ ატომად და ენერგიის გამოყოფა. აღნიშნული რეაქცია მხოლოდ ძალიან მაღალ ტემპერატურაზე ხდება (ასე „იწვის“ მზეც და გამოყოფს ენერგიას). ასეთი სიმძლავრის ენერგიის შესაქმნელად და ფეთქებადი სინთეზური რეაქციის გამოსაწვევად იყენებენ ხლეჩად იარაღს. ხლეჩადი იარაღის აფეთქების ძალა 1-დან 200 კილოტონამდეა (ერთი კილოტონა უდრის ჩვეულებრივი ასაფეთქებლის 1000 ტონას), ხოლო თერმობირთვულისა შეიძლება 20 მეგატონამდეც კი იყოს (1 მეგატონა უდრის 1000 კილოტონას). ცივი ომის შემდგომ პერიოდში, ასეთი მეგაბომბები ფაქტობრივად უსარგებლოა, რადგან თერმობირთვული ბომბების სიმძლავრიდან გამომდინარე, დიდ სახელმწიფო აქტორებს არ შეუძლიათ მათი პროდუქტიულად გამოყენება, ხოლო ტერორისტებისთვის და პატარა სახელმწიფოსთვის ასეთი ბომბების დამზადება უკიდურესად რთულია.



ბირთვული ბომბი ჩემოდანში ბირთვული იარაღი მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიგონეს და ორი იაპონური ქალაქის ნინააღმდეგ გამოიყენეს 1945 წელს. მას შემდეგ შექმნეს ათიათასობით ბომბი, რომლებსაც დღეს ცხრა სახელმწიფო ფლობს. ბომბის შესაქმნელად ყველაზე რთული ხლეჩადი მასალის მოპოვებაა. უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ამისკენ მიმართული ტერორისტების მცდელობები. სურათზე, 1999 წელს ამერიკელი კონგრესმენი ახდენს საბჭოთა კავშირში დამზადებული „ჩემოდანი ბომბის“ მოდელის დემონსტრირებას. ამ ჩემოდანს შეუძლია ათიათასობით ადამიანის მოკვლა, თუკი ის არასასურველი ადამიანების ხელში მოხვდება.

11 სხვადასხვა შეფასებით, ჩრდილოეთ კორეას 2020 წლის მდგომარეობით 30-40 ბირთვული ბომბი ჰქონდა, ხოლო ირანი, სავარაუდოდ, აგრეძელებს ბირთვულ იარაღზე მუშაობას. *რედ. შენ.*

4.7.2 ბალისტიკური რაკეტები და გადატანის სხვა სისტემები

სახელმწიფოების ბირთვული არსენალის და სტრატეგიის (ქვემოთ განხილულია მოკლედ) საფუძველს, უშუალოდ ბირთვული იარაღზე მეტად, ამ იარაღის სამიზნემდე *გადატანის სისტემები* წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ ბირთვული ქობინები შესაძლოა საკმაოდ მცირე ზომის იყოს (100-150 კგ. ან უფრო ნაკლები), მათი მორგება გადატანის სისტემების ფართო სპექტრზეა შესაძლებელი.

ცივი ომის დროს, ბირთვული იარაღის გადატანის სისტემები ორ კატეგორიად იყოფოდა. *სტრატეგიული შეიარაღებით* შესაძლებელია დარტყმების განხორციელება უშუალოდ მეტოქის ტერიტორიაზე. *ტაქტიკური ბირთვული შეიარაღება* განკუთვნილია ბრძოლის ველზე გამოსაყენებლად. ცივი ომის დროს ორივე ზესახელმწიფომ მოახდინა ტაქტიკური ბირთვული იარაღის ჩვეულებრივ (კონვენციურ) საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ძალებთან ინტეგრირება გადატანის სხვადასხვა სისტემების, მათ შორის გრავიტაციული ბომბების, საარტილერიო ჭურვების, მცირე რადიუსის რაკეტების, ნაღმების და სიღრმისეული ბომბების (წყალქვეშა სამიზნეებისთვის) გამოყენებით. ზესახელმწიფოთა ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებში ინტეგრირებულ ათეულ ათასობით ბირთვულ ქობინთან დაკავშირებით არსებობდა მოჰარვის ან გაუთვალისწინებელი შემთხვევის საფრთხე. ტაქტიკური ბირთვული შეიარაღების გამოყენება ქმნიდა სტრატეგიულ ბირთვულ ომში გადაზრდის და საკუთარი ქალაქების განადგურების საფრთხეს. შესაბამისად, ცივი ომის დასრულების შემდეგ, ორივე ზესახელმწიფომ თითქმის მთლიანად ამოიღო არსენალიდან ტაქტიკური ბირთვული შეიარაღება.

ბალისტიკური რაკეტა (ballistic missiles)
ბირთვული იარაღის ძირითადი სტრატეგიული გადამტანი. ბალისტიკურ რაკეტას ქობინი გადააქვს ფრენის ტრაექტორიაზე (როგორც წესი, ადის 80 კმ-ის სიმაღლეზე) და შემდეგ ეცემა სამიზნეს.

კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები (intercontinental ballistic missiles (ICBMs))
ყველაზე დიდი რადიუსის ბალისტიკური რაკეტები, რომელთა ფრენის სიშორე 8 ათას კმ. შეადგენს.

ფრთოსანი რაკეტა (cruise missile)
ფრთების მქონე მცირე ზომის რაკეტა, რომელსაც სამიზნემდე მისაღწევად შეუძლია ფრინავსწარ მონიშნულ მარშრუტზე ათასობით კმ-ის მანძილზე ნავიგაცია. ფრთოსანი რაკეტა შესაძლებელია აღჭურვილი იყოს ბირთვული ან ჩვეულებრივი ქობინით.

ბალისტიკური რაკეტები ძირითადი სტრატეგიული გადამტანი საშუალებებია, რომელთაგან თავდაცვა, თვითმფრინავებისგან განსხვავებით, უკიდურესად რთულია. ბალისტიკურ რაკეტას ქობინი გადააქვს მოძრაობის ტრაექტორიაზე და როგორც წესი, ადის სულ მცირე 80 კმ-ის სიმაღლეზე, რა დროსაც ტოვებს ატმოსფეროს, ხოლო შემდეგ იწყებს დაშვებას. გარდა ამისა, ზოგიერთი რაკეტის გაშვება შესაძლებელია სტაციონარული ობიექტებიდან (სპეციალური ორმოებიდან), ზოგიერთი კი უფრო მობილურია და მათი გაშვება რკინიგზიდან ან დიდი სატვირთო ავტომობილებიდან შეიძლება (რაც ართულებს მათი აღმოჩენის შესაძლებლობას). ყველაზე დიდი რადიუსისაა **კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები**, რომელთა ფრენის სიშორე 8 ათას კმ-ს შეიძლება შეადგენდეს. 2017 წელს ჩრდილოეთ კორეამ რამდენჯერმე წარმატებით გამოსცადა ბალისტიკური რაკეტები, მათ შორის კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა, რომელმაც 4500 კმ-ზე იფრინა. მართალია, ექსპერტებს ეჭვი შეაქვთ ჩრდილოეთ კორეის რაკეტების სანდოობაში, სიზუსტესა და დიდი ქობინის გადატანის უნარში, მაგრამ ფაქტია, რომ

ამ ქვეყნის სარაკეტო პროგრამამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ბოლო ათწლეულებში.

დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მცირე რადიუსის ბალისტიკური რაკეტები (SRBM), რომელთა მოქმედების სიშორე 1 000 კმ-ზე ნაკლებია. რეგიონული მასშტაბის კონფლიქტებში შორი რადიუსის ძლიერი რაკეტები შეიძლება საერთოდ არ იყოს საჭირო. მაგალითად, სირიისა და ისრაელის ყველაზე დიდ ქალაქებს შორის მანძილი დაახლოებით 200 კმ-ს შეადგენს, ხოლო ერაყისა და ირანის, ისევე როგორც ინდოეთისა და პაკისტანის დედაქალაქებს ერთმანეთისგან 700 კმ. აშორებთ. ყველა ეს სახელმწიფო შედის იმ 32 ქვეყნის სიაში, რომლებიც შეიარაღებაზე ბალისტიკურ რაკეტებს ფლობენ.

მცირე რადიუსის ბალისტიკური რაკეტებიდან ბევრი საკმაოდ არაზუსტია, თუმცა მათგან თავდაცვა მაინც ძალიან რთულია. კონვენციური ქობინებით აღჭურვილ ბალისტიკურ რაკეტებს სამხედროზე მეტად ფსიქოლოგიური გამოყენება აქვთ (მოწინააღმდეგის მოსახლეობის დემორალიზება). თუმცა, ბალისტიკური რაკეტების ბირთვული, ქიმიური ან ბიოლოგიური ქობინებით აღჭურვის შემთხვევაში, ამ რაკეტების ლეტალობა ძალიან დიდია. **ფრთოსან რაკეტას** სამიზნის გასანადგურებლად ნინასწარ მონიშნულ მარშრუტზე ათასობით კმ-ის დაფარვა შეუძლია. ფრთოსანი რაკეტების გაშვება შესაძლებელია გემებიდან, წყალქვეშა ნავებიდან, თვითმფრინავებიდან და ხმელეთიდან.

ბალისტიკური რაკეტების გავრცელების კონტროლი რთულია. **სარაკეტო ტექნოლოგიების კონტროლის რეჟიმის** მეშვეობით, ინდუსტრიული სახელმწიფოები ცდილობენ გლობალური სამხრეთის სახელმწიფოებში სარაკეტო ტექნოლოგიების გავრცელების შეზღუდვას, თუმცა მათი ძალისხმევა ზოგჯერ წარუმატებლად მთავრდება. ნათელია, რომ ირანი, ისრაელი, საუდის არაბეთი, პაკისტანი, ინდოეთი და ჩრდილოეთ კორეა, სავარაუდოდ არგენტინაც და ბრაზილიაც, ქმნიან მცირე და საშუალო რადიუსის (3000 კმ-მდე) რაკეტებს. 2009 წელს დასავლეთის შეშფოთება გამოიწვია ირანული რაკეტის გამოცდამ, რომელსაც შეუძლია მიწვდეს ისრაელს, ეგვიპტეს და ევროპის ნაწილებს.

პატარა ქვეყნებს ან ტერორისტებს, ბირთვულ იარაღზე წვდომის შემთხვევაში, მათი გადატანა სხვადასხვა გზებით, მათ შორის მანქანით, ნავით ან დიპლომატიური ჩანთით შეუძლიათ. 2001 წლიდან აშშ ახორციელებს შეკავების უსაფრთხოების ინიციატივას, რომლის მიზანია, აღკვეთოს მასობრივი განადგურების იარაღის აშშ-ის ტერიტორიაზე შეღწევა საზღვაო გადამზიდავი კონტეინერების მეშვეობით. თუმცა, ამის გაკეთება შეუძლებელია საერთაშორისო ვაჭრობის ნაკადის შეფერხების გარეშე.

სარაკეტო ტექნოლოგიების კონტროლის რეჟიმი (Missile Technology Control Regime)

შეთანხმებების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც ინდუსტრიული სახელმწიფოები ცდილობენ, შეზღუდონ განვითარებადი ქვეყნების წვდომა სარაკეტო ტექნოლოგიებზე.



მოწყვლადი სამოქალაქო მოსახლეობა, სამხედროებთან შედარებით, ქიმიური იარაღის მიმართ უფრო მოწყვლადია. სურათზე, ისლამური სახელმწიფოს მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების მსხვერპლნი მკურნალობენ ჩრდილოეთ ერაყის საავადმყოფოში, 2016 წ.

4.7.3 ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი

ქიმიური იარაღი გამოყოფს ქიმიურ ელემენტებს, რომლებიც ადამიანების პარალიზებას ან სიკვდილს იწვევს. ქიმიური ელემენტები განსხვავდება და მოიცავს მომაკვდინებელ ნერვულ აგენტებსა თუ უბრალოდ შემაწუხებელ ცრემლსადენ გაზებს. სხვადასხვა ქიმიური ელემენტები ზემოქმედებენ ადამიანის ნერვულ სისტემაზე, სისხლის მიმოქცევაზე, სუნთქვაზე და სხვა სასიცოცხლო ფუნქციებზე. ზოგიერთი ელემენტი კანში შეიწოვება, ზოგიერთი კი სასუნთქ აპარატში აღწევს. ზოგიერთი გამოყენებიდან დიდი ხნის მანძილზე რჩება დაბინძურების ზონაში, ზოგიერთი კი სწრაფად იფანტება.

უმეტესი სახის ქიმიური იარაღისგან ჯარის დაცვა შესაძლებელია სპეციალური დამცავი ეკიპირების, გაზის ნიღბებისა და დეგაზაციის მოწყობილობის ზედმიწევნით სწორად გამოყენების შემთხვევაში. თუმცა, დამცავი ეკიპირება ცხელია და ქიმიური თავდაცვის ზომები ჯარების ეფექტურობას ამცირებს. ქიმიური თავდასხმების შემთხვევაში, მეტია ალბათობა, რომ სამოქალაქო მოსახლეობა უფრო ნაკლებ იქნება თავდაცვის ზომებით აღჭურვილი, ვიდრე შეიარაღებული ძალები. ქიმიური იარაღის გამოყენების დროს, მისი მოქმედების ხასიათიდან გამომდინარე, მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ვინმე განურჩევლად. რამდენიმე შემთხვევაში, ქიმიური იარაღი შეგნებულად გამოიყენეს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ (მათ შორის, აღსანიშნავია 1980-იან წლებში ერაყის მთავრობის მიერ ერაყელი ქურთების წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი).

ქიმიური იარაღი იშვიათად გამოუყენებიათ ომებში. პირველ მსოფლიო ომში ფართოდ გამოიყენებოდა მდგოვის გაზი (იპრიტი). აღნიშნული ომის საშინელებების შემდეგ, 1925 წლის ჟენევის ოქმით ქიმიური იარაღის გამოყენება აიკრძალა და ეს აკრძალვა დღემდე ძალაშია. მეორე მსოფლიო ომში ორივე მხარეს ჰქონდა ქიმიური შეიარაღება, თუმცა საპასუხო დარტყმის შიშით, ვერც ერთმა მხარემ ვერ გაბედა მისი გამოყენება (იგივე მოხდა სპარსეთის ყურის პირველ ომში). ამის შემდეგ (სავარაუდოდ რამდენიმე ბუნდოვანი გამონაკლისის გარდა), აღნიშნული ხელშეკრულება მხოლოდ ერაყმა დაარღვია 1980-იან წლებში ირანის წინააღმდეგ ომისას. სამწუხაროდ, ერაყის ქმედებებმა არა მხოლოდ დაარღვია ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ბარიერიები, არამედ აჩვენა, რომ ასეთი იარაღის გამოყენება დამცავი ეკიპირების გარეშე მებრძოლი მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის წინააღმდეგ იაფი და ეფექტურია. აღნიშნულმა ძალიან ბევრ ღარიბ ქვე-

ყანას გაუჩინა ქიმიური იარაღის დაუფლების სურვილი. ქიმიური იარაღი სახელმწიფოებისთვის მასობრივი განადგურების იარაღის დაუფლების იაფ გზას წარმოადგენს. ქიმიური იარაღის დასამზადებლად ისეთივე პირობები და ობიექტებია საჭირო, როგორიც პესტიციდების, წამლების და სხვა სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოებისთვის. აღნიშნული ართულებს როგორც საექვო ქვეყნებში ქიმიური იარაღის ობიექტების აღმოჩენას, ისე ამ ქვეყნებისთვის საჭირო ქიმიურ მასალებსა და მოწყობილობაზე წვდომის შეზღუდვას.

1925 წლის ჟენევის ოქმით აიკრძალა მხოლოდ ქიმიური იარაღის გამოყენება და არა მისი დამზადება ან ფლობა. შედეგად, რამდენიმე ქვეყანამ ქიმიური იარაღის ფართო მარაგები შექმნა. ცივი ომის დროს აშშ და საბჭოთა კავშირი ქიმიური იარაღის დიდ არსენალს ფლობდნენ, თუმცა გასულ ათწლეულებში მკვეთრად შეამცირეს ეს მარაგები. 1993 წლის **ქიმიური იარაღის შესახებ კონვენციას**, რომელიც ითვალისწინებს ქიმიური იარაღის წარმოებისა და ფლობის აკრძალვას, ხელი ყველა დიდმა სახელმწიფომ და თითქმის ყველა სხვა ქვეყანამ მოაწერა რამდენიმე გამონაკლის გარდა, რომელთა შორის არიან ეგვიპტე, ანგოლა და ჩრდილოეთ კორეა. აღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებს მკაცრ საზედამხედველო ზომებს და დამრღვევთა წინააღმდეგ სანქციების გამოყენებას, მათ შორის იმ სახელმწიფოების მიმართ (ეს დათქმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია), რომლებიც არ არიან შეთანხმების ხელმომწერები. 1997-2016 წლებში, ხელშეკრულების ფარგლებში განადგურდა მსოფლიოში არსებული ქიმიური იარაღის ნახევარზე მეტი (დაახლოებით 60 ათასი მეტრული ტონა).

ქიმიური იარაღის შესახებ კონვენცია (Chemical Weapons Convention) 1993)

შეთანხმება, რომელიც კრძალავს ქიმიური იარაღის დამზადებას და ფლობას, ითვალისწინებს მკაცრი ვერიფიკაციის ზომებს და ხელშეკრულების დამრღვევი (როგორც შეთანხმებაზე ხელმომწერი, ისე არახელმომწერი) სახელმწიფოების სანქცირებას.

2013 წელს სირიამ აღიარა, რომ ფლობდა ქიმიურ იარაღს, რომელსაც, როგორც ჩანს, სამოქალაქო ომში მებრძოლი მეამბოხეების წინააღმდეგ იყენებდა და განაცხადა, რომ გაანადგურებდა მას. სამწუხაროდ, 2013 წლის შემდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების რამდენიმე საექვო შემთხვევა დაფიქსირდა სირიასა და მეზობელ ერაყში. 2016 წელს გაერომ ბრალი დასდო სირიის ხელისუფლებას, რომ მან ქიმიური იარაღი გამოიყენა 2014 და 2015 წლებში, ხოლო ისლამურ სახელმწიფოს, რომ მან მდოგვის გაზი გამოიყენა 2015 წელს. მოგვიანებით, 2018 წელს აშშ-მა დაბომბა სამიზნეები სირიაში ამ ქვეყნის მთავრობის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე პასუხად.

ბიოლოგიური იარაღი[12] ქიმიური იარაღის მსგავსია, მაგრამ მასში მომაკვდინებელი მიკროორგანიზმები ან ბიოლოგიური მეთოდით მიღებული ტოქსინები გამოიყენება. ზოგიერთი ტიპის ბიოლოგიური იარაღში გამოიყენება ჩუტყვავილას, შავი ჭირის ან ციმბირის წყლულის მსგავსი სასიკვდილო დაავადებების გამომწვევი ვირუსები და ბაქტერიები. სხვები არ იწვევს სიკვდილს, მაგრამ ახდენს ადამიანის პარალიზებას ან

ბიოლოგიური იარაღის შესახებ კონვენცია (Biological Weapons Convention (1972)

მეთანხმება, რომელიც კრძალავს ბიოლოგიური იარაღის შემუშავებას, დამზადებას და ფლობას, თუმცა არ ითვალისწინებს ინსპექციის შესაძლებლობას.

12 იგივე რაც *„ბიოლოგიური და ტოქსიური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენცია.“ რედ. შენ.*

დასნეულებას, ანაც აჩენს მსხვილფეხა პირუტყვის მომაკვდინებელ დაავადებას. თეორიულად, ერთ ბიოლოგიურ იარაღს დედამიწის მთელი მოსახლეობის მომცველი ეპიდემიის გამოწვევა შეუძლია, მაგრამ ეს ძალიან დიდი საფრთხის შემცველია და შესაბამისად, უპირატესობას ანიჭებენ ნაკლებად გადამდებ მიკროორგანიზმებს. ბიოლოგიური იარაღის ომში გამოყენების შემთხვევები იშვიათია (მეორე მსოფლიო ომში იაპონიამ სცადა ბიოლოგიური იარაღის გამოყენება რამდენიმე ჩინურ სოფელში). მრავალი პოლიტიკური ლიდერი აცნობიერებს, რომ ბიოლოგიური იარაღის გამოყენებას შესაძლოა პანდორას ყუთის გახსნის ეფექტი ჰქონდეს და უკონტროლო პროცესების დაწყება განაპირობოს.

შესაბამისად, 1972 წლის **კონვენციით ბიოლოგიური იარაღის შესახებ**, რომელსაც ხელი ასზე მეტმა ქვეყანამ, მათ შორის დიდმა სახელმწიფოებმა მოაწერეს, იკრძალება ბიოლოგიური იარაღის შემუშავება, დამზადება და ფლობა. ზესახელმწიფოებმა გაანადგურეს ბიოლოგიური იარაღის არსენალი და ბიოლოგიური იარაღის კომპლექსებს, იარაღის განვითარების ნაცვლად, ფუნქციად თავდაცვითი კვლევების წარმოება განუსაზღვრეს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ინსპექტირებაზე და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ქიმიური იარაღის პროგრამის მსგავსად, ბიოლოგიური იარაღის პროგრამის დამალვაც ადვილად არის შესაძლებელი, ზოგიერთ სახელმწიფოზე კვლავაც არსებობს ეჭვი, რომ ისინი ბიოლოგიურ იარაღს ფლობენ. 1990-იან წლებში ერაყში ჩატარებულმა გაეროს ინსპექციამ ბიოლოგიური იარაღის აქტიური პროგრამა აღმოაჩინა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ასევე გამოჩნდა მტკიცებულებები, რომ მოსკოვიც ახორციელებდა ბირთვული იარაღის საიდუმლო პროგრამას. დღევანდელ დღეს, აშშ და ალბათ, კიდევ რამდენიმე ქვეყანა ინარჩუნებენ ბიოლოგიურ იარაღთან დაკავშირებული კვლევების შესაძლებლობას (ამას ხელშეკრულება არ კრძალავს). მკვლევრები კი ცდილობენ, ზუსტად დაადგინონ, თუ რა შედეგებს იქონიებს ბიოტექნოლოგიური წინსვლა სამხედრო სფეროზე.

4.7.4 პროლიფერაცია

პროლიფერაცია (proliferation)
მასობრივი განადგურების იარაღის (ბირთვული, ქიმიური ან ბიოლიგიური იარაღი) გავრცელება უფრო მეტი აქტორის ხელში.

პროლიფერაცია არის მასობრივი განადგურების იარაღის, კერძოდ ბირთვული იარაღის, ბალისტიკური რაკეტების, ასევე ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გავრცელება უფრო მეტ აქტორის ხელში. საერთაშორისო ურთიერთობებისთვის პროლიფერაციის შედეგების განჭვრეტა რთულია, თუმცა ნათელია, რომ ის საკმაოდ ღრმა შეიძლება იყოს. მასობრივი განადგურების იარაღით აღჭურვილი ბალისტიკური რაკეტები უსარგებლოს ხდის სახელმწიფოს საზღვრებით გარანტირებულ უსაფრთხოებას და თითოეულ სახელმწიფოს ერთმანეთის მიმართ მოწყვლადად აქცევს. ზოგიერთი რეალისტი, რომელსაც რაციონალობის სწამს, მიაჩნია,

რომ მსოფლიოში, სადაც სამხედრო ძალის გამოყენებამ ორმხრივ განადგურებამდე შეიძლება მიგვიყვანოს, ომების რაოდენობა შემცირდება – ზუსტად ისევე, როგორც ცივი ომის დროს მიმდინარე გამალებული შეიარაღების დროს, როდესაც ზესახელმწიფოებს არ გაუნადგურებიათ ერთმანეთი. არსებობენ საერთაშორისო ურთიერთობების სხვა მკვლევრები, რომლებსაც შედარებით ნაკლებად სჯერათ სახელმწიფო ლიდერების რაციონალობის და შიშობენ, რომ ბირთვული (ან ქიმიური ან ბიოლოგიური) აქტორების რიცხვის გაზრდასთან ერთად, იზრდება არასწორი გათვლის, შემთხვევითობის ან ფანატიკური ტერორიზმის და შესაბამისად, კატასტროფის ალბათობაც.

დიდი სახელმწიფოების ლიდერები მეორე ჯგუფის მკვლევართა შეხედულებებისკენ იხრებიან. ისინი ცდილობენ, რომ მასობრივი განადგურების იარაღის მფლობელები მხოლოდ დიდი სახელმწიფოები იყვნენ. პროლიფერაცია ძირს უთხრის დიდი სახელმწიფოების უპირატესობას საშუალო სახელმწიფოებზე. ასევე, არსებობს აღიარებული საფრთხე, რომ ასეთი იარაღი შესაძლოა ტერორისტების ან სხვა არასახელმწიფო აქტორების ხელში აღმოჩნდეს, რომელთაც არ ექნებათ საპასუხო დარტყმის შიში (გამომდინარე იქიდან, რომ მათ არ აქვთ ტერიტორია ან ქალაქები, რომლებიც უნდა დაიცვან). 2001 წელს, ავღანეთის ომის დროს მოპოვებულ იქნა მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც ალ-ქაიდა ცდილობდა მასობრივი განადგურების იარაღის ხელში ჩაგდებას და გამოყენებას. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმოფანტული ფართო ბირთვულ კომპლექსზე არსებული სუსტი უსაფრთხოების ზომები ასევე ზრდიდა შიშს ტერორისტების მიერ ბირთვული მასალების ხელში ჩაგდების თაობაზე.



რაღას იმალება ბირთვული იარაღის დასამზადებლად ყველაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს წვდომა ხლეჩად მასალებზე (პლუტონიუმი და ურანი). ირანი ურანის გამდიდრების პროგრამით შეიძლება მოკლე დროში დაუფლებოდა ბირთვულ იარაღს. ირანი არ მიესალმებოდა საერთაშორისო ინსპექტორების ბირთვულ ობიექტებზე დამვებას, რითაც კიდევ უფრო ამძაფრებდა დასავლეთის ეჭვებს. 2004 წელს, ინსპექტორების დამვებამდე, ირანმა მიწასთან გაასწორა სურათზე ნაჩვენები დიდი ტერიტორია და მოხსნა ნიადაგის ზედა ფენა. დასავლურმა სახელმწიფოებმა და გაეროს უშიშროების საბჭომ ირანის წინააღმდეგ სანქციები დააწესეს. 2015 წელს კი ხელი მოეწერა ბირთვულ შეთანხმებას, რომელიც ბევრისთვის მიუღებელი იყო.

ბირთვული პროლიფერაცია შეიძლება მოხდეს ერთი რომელიმე სახელმწიფოს ან არასახელმწიფო აქტორის მიერ ერთი ან მეტი ბირთვული იარაღის, ან მისი დამზადებისთვის საჭირო კომპონენტების შეძენის (ან მოპარვის) შემთხვევაში. აღნიშნულის აღსაკვეთად გამოიყენება ფარული სადაზვერვო საქმიანობა, უსაფრთხოების მკაცრი ზომები და მოპარული იარაღის გამოყენების საწინააღმდეგო მექანიზმები. 2007 წელს შეიარაღებულ თავდამსხმელთა ორი ჯგუფი შეიჭრა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მდებარე ბირთვულ ობიექტზე, სადაც წარსულში ხდებოდა ბირთვული იარაღის შემუშავება და დამზადება. მართვის ოთახამდე მიღწევის და დაცვის ერთი წევრის მოკვლის შემდეგ, მოხერხდა მათი მოგერიება. ამან გააჩინა არა მხოლოდ კითხვები, არამედ მსგა-

ვსი ბირთვული ობიექტების დაცულობასთან დაკავშირებული ექვებიც. ბირთვულ სახელმწიფოებში პოლიტიკური მღელვარებების დროს, განსაკუთრებით აღსანიშნავია პაკისტანი, ბირთვული იარაღის უსაფრთხოება მნიშვნელოვანი საფიქრალი ხდება.

ბირთვული პროლიფერაციის უფრო ძლიერ ფორმას წარმოადგენს სახელმწიფოების მიერ საკუთარი ბირთვული კომპლექსების შექმნა, რითაც მათ ბირთვული იარაღის მუდმივად დამზადების საშუალება ეძლევათ. ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს უფრო დიდი რაოდენობის იარაღთან და შესაბამისად, იზრდება გამალებული შეიარაღების ალბათობა რეგიონულ კონფლიქტებსა და მეტოქეობაში. მესაბამის მაგალითებს წარმოადგენს კონფლიქტები ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის, ირანსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის, ინდოეთსა და პაკისტანს შორის, ორ კორეას შორის და შესაძლოა, ჩინეთსა და ტაივანს შორის. ინდოეთი და პაკისტანი რამდენიმე ათეულ ბირთვულ იარაღსა და მის გადამტან რაკეტებს ფლობენ. ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული ბომბები გამოსცადა 2006 და 2009 წლებში და შემდეგაც. 1993 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ განაცხადა, რომ მას წარსულში შექმნილი ჰქონდა რამდენიმე ბირთვული ბომბი, მაგრამ 1980-იან წლებში (თეთრი უმცირესობის მმართველობის დასრულებამდე) მათი დემონტაჟი განახორციელა.

ისრაელს ოფიციალურად არასდროს უღიარებია, რომ ბირთვულ იარაღს ფლობს, თუმცა ზოგადად მიიჩნევა, რომ ისრაელის ბირთვულ არსენალში 100 ან მეტი ბირთვული ბომბია. ისრაელს ბირთვული შესაძლებლობების ქონა იმიტომ სურს, რომ არაბული სახელმწიფოები დაარწმუნოს ისრაელის დაპყრობის შეუძლებლობაში. 2007 წელს ისრაელის სამხედრო ავიაციამ გაანადგურა სავარაუდოდ ჩრდილოეთ კორეის მიერ დაპროექტებული ბირთვული რეაქტორი სირიაში. ისრაელის საჰაერო თავდასხმების შემდეგ, სირიამ სწრაფად მოსპო ობიექტის ყველა კვალი.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება (Non-Proliferation Treaty (NPT) 1968)

ხელშეკრულება, რომელმაც შექმნა ბირთვული მასალებისა და ცოდნის გავრცელების კონტროლის ჩარჩო, მათ შორის, ქალაქ ვენაში მდებარე გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია ხელშეკრულების ხელმომწერ ქვეყნებში ბირთვული ინდუსტრიების ინსპექციაზე, რათა მოახდინოს ბირთვული მასალების სამხედრო მიზნებისთვის საიდუმლოდ გამოყენების პრევენცია.

1968 წლის **ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებამ** შექმნა ბირთვული მასალებისა და ცოდნის გავრცელების კონტროლის ჩარჩო. ქალაქ ვენაში მდებარე გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA) პასუხისმგებელია ჩვრი ქვეყნების ბირთვული ინდუსტრიების ინსპექციაზე, რათა მოახდინოს ბირთვული მასალების სამხედრო მიზნებისთვის საიდუმლოდ გამოყენების პრევენცია. თუმცა, მთელი რიგი, პოტენციურად ბირთვული სახელმწიფოები (მაგალითად ისრაელი), არ აწერენ ხელს გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, ხოლო ხელმომწერი სახელმწიფოებიც, ზოგიერთი ობიექტის გასაიდუმლოების გზით, ცდილობენ გვერდი აუარონ ხელშეკრულების ცალკეულ დებულებებს (ერაყისა და ირანის მსგავსად). 2006 წელს აშშ-სა და ინდოეთს შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ ბირთვული ტექნოლოგიების გაზიარების შესახებ, ბევრი სახელმწიფო დააეჭვა ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ვარგისიანობაში, რადგან ასეთი

უფლებით მხოლოდ ხელმომწერ სახელმწიფოებს უნდა ესარგებლათ.[13] მიუხედავად ამისა, 2008 წელს შეთანხმება დაამტკიცა როგორც ამერიკულმა ისე ინდურმა მხარემ.

ჩრდილოეთ კორეამ ატომური ენერგიისა საერთაშორისო სააგენტო 1993 წელს დატოვა. შემდეგ, ბირთვული პროგრამის გაყინვის სანაცვლოდ, დასავლურ სახელმწიფოებს შეუთანხმდა ეკონომიკური დახმარების, მათ შორის შედარებით უსაფრთხო რეაქტორების მიღებასთან დაკავშირებით. შეთანხმების მიღწევიდან რამდენიმე თვეში ჩრდილოეთ კორეის ლიდერი გარდაიცვალა, თუმცა კომპრომისული შეთანხმება მაინც ძალაში დარჩა. 1999 წელს ჩრდილოეთ კორეამ მიწისქვეშა ბირთვული კომპლექსის ინსპექციის ნებართვა გასცა და ეკონომიკური დახმარების, ასევე აშშ-ის სავაჭრო სანქციების ნაწილობრივ მოხსნის სანაცვლოდ, რაკეტების გამოცდის შეწყვეტაზე დათანხმდა. მოგვიანებით, 2002 წელს მას აშშ დაუპირისპირდა ურანის გამდიდრების საიდუმლო პროგრამასთან დაკავშირებით, რომლის არსებობა ჩრდილოეთ კორეამაც აღიარა. ამის შემდეგ, ჩრდილოეთ კორეა გამოვიდა შეთანხმებიდან, აამუშავა ბირთვული რეაქტორი და არსებული პლუტონიუმით მომდევნო თვეებში რამდენიმე ბომბი დაამზადა, რომელთაგან ერთი 2006 წელს გამოსცადა. 2008 წელს ჩრდილოეთ კორეა კიდევ ერთხელ დათანხმდა პროგრამის შეწყვეტას, თუმცა 2009 წელს მორიგი ატომური ბომბის გამოცდის შემდეგ, კვლავ გააგრძელა ბირთვული მასალების გადამუშავება. საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით აშშ-ის მხრიდან ზეწოლის შემდეგ, ჩრდილოეთ კორეა მოლაპარაკებების განახლებას დათანხმდა 2017 წელს.[14]

ირანი უარყოფს, თუმცა, როგორც ჩანს, მუშაობს ბირთვული იარაღის შექმნაზე. 2003 წლიდან, ირანი ჯერ დათანხმდა ურანის გამდიდრების პროგრამის შეწყვეტასა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექციებზე, მაგრამ შემდეგ განაახლა ურანის გამდიდრება, შემდეგ ისევ შეაჩერა და ისევ განაახლა. 2005 წელს აშშ-ის მხარდაჭერით მოქმედი ევროპული სახელმწიფოების ძალისხმევა შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებით წარუმატებლად დასრულდა. 2006 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო ირანის მოქმედებები და მსუბუქი სანქციები დაუწესა მას. ირანმა გააგრძელა აპელირება ურანის გამდიდრების უფლებაზე, რაც თეირანის მტკიცებით, მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის იყო განკუთვნილი. 2008 წელს ირანის ქცევამ გაეროს უშიშროების საბჭოს დამატებითი სანქციების დაწესებისკენ უბიძგა. 2009 წელს, საიდუმლო მიწისქვეშა გადამამუშავებელი ობიექტის აღმოჩენის შემდეგ, ირანმა

13 ინდოეთი არაა ხელშეკრულების ხელმომწერი, ისევე, როგორც პაკისტანი და ისრაელი, ხოლო ჩრდილოეთ კორეამ ხელშეკრულება დატოვა. *რედ. შენ.*

14 ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებები ამის შემდეგაც გაგრძელდა. აღსანიშნავია, აშშ-ის პრეზიდენტსა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერს შორის გამართული ისტორიული შეხვედრები 2018 და 2019 წლებში, რომლებიც საბოლოოდ უშედეგოდ დასრულდა. *რედ. შენ.*

დაიწყო მოლაპარაკებები დასავლურ სახელმწიფოებთან პროგრამის შეჩერებასთან დაკავშირებით. შუალედური შეთანხმება მიღწეულ იქნა 2013 წლის ბოლოს, როდესაც ირანი დათანხმდა ურანის გამდიდრების პროცესის შენელებას სანქციების შემსუბუქების სანაცვლოდ. საბოლოო შეთანხმება მიღწეულ იქნა 2015 წლის შუა პერიოდში, რომლის შესაბამისადაც ირანს მიეცა ურანის გამდიდრების უფლება, თუმცა მხოლოდ დაბალ დონეზე, რაც ვერ იქნებოდა გამოყენებული ბირთვული იარაღის დასამზადებლად. ირანი ასევე დათანხმდა საკუთარ ბირთვულ ობიექტებზე ინსპექციების რაოდენობის გაზრდას. აღნიშნულის სანაცვლოდ, დასავლური სახელმწიფოები შეთანხმდნენ ირანზე დაწესებული სანქციების მოხსნაზე, თუმცა ყველა სანქცია არ გაუქმდებოდა ირანის ბირთვული პროგრამის ზოგიერთი ნაწილის დემონტაჟამდე. ეს შეთანხმება წინააღმდეგობრივად მიიღეს აშშ-ში და საბოლოოდ პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციამ დატოვა იგი.[15]

4.7.5 ბირთვული სტრატეგია და შეიარაღების კონტროლი

ორმხრივად გარანტირებული განადგურება (mutuall assured destruction (MAD))

საპასუხო დარტყმის ბირთვული შესაძლებლობების ფლობა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ვერც ერთი დაპირისპირებული მხარე ვერ შეძლებს თავი დაიცვას სრული განადგურებისგან საყოველთაო ომში.

სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა (Strategic Defense Initiative (SDI))

„ვარსკვლავური ომის“ სახელით ცნობილი ამერიკული ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს თავდაცვის სისტემების შემუშავებას აშშ-ისკენ გაშვებული ბალისტიკური რაკეტებისგან თავდაცვის მიზნით. აღნიშნული იდეის განხორციელება პრეზიდენტ რონალდ რეიგანის დროს, 1983 წელს დაიწყო. კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ეს იქნება ძვირადღირებული მარცხი, რადგან სისტემა ვერ იქნება ეფექტური.

ტერმინი ბირთვული სტრატეგია მოიცავს გადაწყვეტილებებს საბრძოლო მორიგეობაზე დაყენებული ბირთვული იარაღის რაოდენობის განსაზღვრის, მათი გადამტანი სისტემების შერჩევის და ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენების თაობაზე პოლიტიკის შემუშავების შესახებ. ბირთვული იარაღის ფლობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს სხვა სახელმწიფოს შეკავება ბირთვული ან კონვენციური თავდასხმისგან, საპასუხო გამანადგურებელი დარტყმის მიყენების მუქარით. **ორმხრივად გარანტირებული განადგურების** პირობებში, არც ერთ მხარეს არ შეუძლია, ხელი შეუშალოს მეორეს განადგურებაში. აღნიშნული ინგლისური აკრონიმი გულისხმობს, რომ ეს სტრატეგია, მისი „რაციონალობის“ მიუხედავად, „გიჟურია“ (mad), რადგან ორივე მხარის განადგურება შეუძლია.

ამ დრომდე, ბირთვულ სტრატეგიაში თავდაცვა ნაკლებ როლს თამაშობს, რადგან სარაკეტო თავდასხმისგან ეფექტური თავდაცვა არ არსებობს. თუმცა, აშშ ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს ხარჯავს თავდაცვითი სისტემების შესამუშავებლად, რომელსაც შეეძლება აშშ-სკენ წამოსული ბალისტიკური რაკეტის ჩამოგდება. აღნიშნულ პროგრამას **სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა,** „ვარსკვლავური ომები“ ან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა ეწოდება.

2010 წლისთვის აშშ-მა აამოქმედა მრავალშრიანი სისტემა, რომელიც მოიცავს ალასკაზე და კალიფორნიაში განთავსებულ სახმელეთო ბაზირების 24 გადამჭერ რაკეტას (რომლებიც მიმართულია ჩრდილოეთ კორეიდან წამოსულ საფრთხეზე), 21 საზღვაო ბაზირების გადამჭერ რა-

15 ამის შემდეგ ირანმა შეთანხმების ცალკეული დებულებების შესრულებაზე თქვა უარი. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები შეთანხმების ახალი ვერსიის ასამოქმედებლად. *რედ. შენ.*

კეტას, „პატრიოტის“ სისტემის დაახლოებით 500-მდე რაკეტას მცირე რადიუსის ბალისტიკური რაკეტების გასანეიტრალებლად და რადარებისა და საკონტროლო ცენტრების მთელ რიგს. აშშ-ში ასევე გამოცდის ფაზაშია საჰაერო ბაზირების ლაზერული სისტემა, ხოლო პოლონეთთან და ჩეხეთთან არსებობდა შეთანხმება სარაკეტო თავდაცვის სისტემების განლაგების შესახებ. თუმცა, აშშ-მა შეცვალა ეს გეგმა და ირანიდან ნამოსული საფრთხისგან თავდასაცავად უპირატესობა მიანიჭა საზღვაო ბაზირების სისტემებს, რომელთა სარადარო სისტემა თურქეთშია განთავსებული. 2012 და 2014 წლებში, ჰამასის მიერ ნასროლი დიდი რაოდენობით მცირე რადიუსის რაკეტების ჩამოსაგდებად ისრაელმა „რკინის გუმბათის“ ტიპის ახალი თავდაცვითი სისტემა გამოიყენა.



თავდასვითი ნაბიჯი ზესახელმწიფოებს შორის გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას ცივი ომის დროს მოჰყვა სტრატეგიებისა და შეიარაღების კონტროლის შეთანხმებების შექმნა, რომლებმაც შესაძლებელი გახადა ბირთვულ იარაღთან და რაკეტებთან დაკავშირებით ნორმებისა და მოლოდინების გაჩენა. ინდოეთმაც და პაკისტანმაც გამალებული შეიარაღების მსგავსი გზა გაიარეს, რამაც ისინი ორმხივ მეკავებამდე მიიყვანა. ახლახანს სტრატეგიულ კათვლებს დაეშატა ანტისარაკეტო თავდაცვა. სურათზე, ისრაელის „რკინის გუმბათი“ აგდებს ღაზადახ ნასროლ მცირე რადიუსის რაკეტას, 2014 წ.

ცივი ომის დროს გაიზარდა ზესახელმწიფოების ბირთვული ძალები და განვითარდა შესაბამისი ტექნოლოგიები. ძალთა ამ ცვალებადი სტრუქტურების კოდიფიცირება მოხდა ზესახელმწიფოებს შორის გაფორმებული შეიარაღების კონტროლის შეთანხმებებით. შეიარაღების კონტროლი ეწოდება ორი ან მეტი სახელმწიფოს ძალისხმევას, ოფიციალური შეთანხმების გზით არეგულირონ შეიარაღების ფლობა, რა დროსაც გამოიყენება ორმხრივობის პრინციპი, რათა გადაიჭრას ნებისმიერი მხარისთვის არახელსაყრელი, ძვირადღირებული გამალებული შეიარაღების კოლექტიური პრობლემა (იხ. თავი 1). შეიარაღების კონტროლი უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დიდი სახელმწიფოები სამხედრო ფლოტების ზომის შემცირებაზე შეთანხმდნენ. თუმცა, ცივ ომში შეიარაღების კონტროლის ძირითად საგანს სწორედ ბირთვული იარაღი წარმოადგენდა. შეიარაღების კონტროლის შეთანხმებებს, როგორც წესი, წინ უძღვის ხანგრძლივი და ოფიციალური მოლაპარაკებები, სადაც შეთანხმებას ხელი მრავალი ტექნიკური განხილვის შემდეგ ეწერება. შეიარაღების კონტროლის ზოგიერთი შეთანხმება მრავალმხრივია, მაგრამ ცივი ომის დროს ასეთი შეთანხმებები ორმხრივ ხასიათს ატარებდა (აშშ და საბჭოთა კავშირი). ზოგიერთი შეთანხმება ძალაში რჩება განუსაზღვრელი ვადით, ზოგიერთს კი განსაზღვრული ვადა აქვს.

1970-იანი წლებში გაფორმებულმა ზოგიერთმა ხელშეკრულებამ გაამყარა ზესახელმწიფოებს შორის ბირთვული შესაძლებლობების პარიტეტი ორმხრივად გარანტირებული განადგურების პირობებში. აშშ-ის ბირთვულმა არსენალმა პიკს 1960-იან წლებში მიაღწია და 30 ათასზე მეტ

ქობინს მოიცავდა, ხოლო საბჭოთა არსენალში პიკზე 1980-იან წლებში 40 ათასზე მეტი ქობინი იყო. 1991 წელს გაფორმებული სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შეთანხმებით (START) ქობინების რაოდენობა შემცირდა თითოეულ მხარს 6 ათასამდე. 2002 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ (SORT), თითოეულ მხარეს საკუთარ შეიარაღებაზე არსებული ბირთვული ქობინების რაოდენობა კიდევ 2 200-მდე უნდა შეემცირებინა 2012 წლამდე. ამასთან, ეს ხელშეკრულება იყენებდა წინა ხელშეკრულების ვერიფიკაციის მექანიზმს. 2010 წელს, მხარეებმა ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას (New START), რომელიც ითვალისწინებდა ქობინების რაოდენობის 1 550-მდე შემცირებას და დამატებითი ვერიფიკაციის მექანიზმების შემოღებას. ორმხრივობის პრინციპმა, რომელმაც ხელი შეუწყო გამალებული შეიარაღების ინტენსიფიკაციას, ამჯერად ხელი შეუწყო ამ პოლიტიკის ეტაპობრივად შეცვლას.[16]

ჩინეთს, საფრანგეთს და ბრიტანეთს თითოეულს ასეულობით ბირთვული იარაღი აქვთ. საფრანგეთის და ბრიტანეთის ბირთვული ბომბები ძირითადად წყალქვეშა ნავებზეა განთავსებული, ჩინეთის კი სტრატეგიულ ბომბდამშენებზე და საშუალო რადიუსის რაკეტებზე.

ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის შესახებ ხელშეკრულება (Comprehensive Test Ban Treaty (CTBT) 1996)

ხელშეკრულება, რომელიც კრძალავს ბირთვული იარაღის ყველა სახის გამოცდას. აღნიშნული ხელშეკრულებით ფართოვდება 1963 წელს ბირთვული იარაღის ატმოსფეროში გამოცდებზე დაწესებული აკრძალვა.

1996 წელს, ათწლეულების მანძილზე არსებული ჩიხური ვითარების დაძლევის შემდეგ, ხელი მოეწერა **ხელშეკრულებას ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის შესახებ.** აღნიშნული ხელშეკრულება მიზნად ისახავს, ხელი შეუშალოს ახალი ტიპის ბირთვული იარაღის შემუშავებას. თუმცა, ხელშეკრულება არ შევა ძალაში მანამ, სანამ მას ხელს არ მოაწერს და მის რატიფიცირებას არ მოახდენს ის 44 სახელმწიფო, რომლებსაც შესწევთ, სულ მცირე, ყველაზე მარტივი ბირთვული იარაღის შექმნის უნარი. ინდოეთმა ხელი არ მოაწერა ამ ხელშეკრულებას და უგულებელყო კიდეც მისი არსებობა, როდესაც 1998 წელს ხუთი ბირთვული გამოცდა განახორციელა. ინდოეთს პაკისტანმაც მიბაძა საკუთარი ბირთვული ბომბების გამოცდით. 1999 წელს, აშშ-ის სენატმა უარი თქვა ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიცირებაზე. რუსეთმა ხელშეკრულების რატიფიცირება 2000 წელს მოახდინა. 1999-2005 წლებში მსოფლიოს მასშტაბით ბირთვული გამოცდები აღარ დაფიქსირებულა, მაგრამ ხელშეკრულებას მორიგი დარტყმა მიაყენა ჩრდილოეთ კორეამ, როდესაც 2006, 2009, 2013 და 2017 წლებში ჩაატარა ბირთვული გამოცდები.

ნებისმიერი სახის მასობრივი განადგურების იარაღის შექმნა შედარებით რთული და ძვირადღირებულია. თანაც, ასეთი იარაღის ფლობით სახელმწიფო იღებს ისეთ სპეციფიკურ შესაძლებლობებს, რომლებიც იშვიათად ან საერთოდ არ გამოიყენება. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო-

16 უკრაინაში რუსეთის შეჭრამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ბირთვული შეიარაღების კონტროლისეფექტიანობა. რუსეთმაშეაჩერა2010წლისშეთანხმებაშიმონაწილეობა, თუმცა განაცხადა, რომ გააგრძელებს შეთანხმებით გათვალისწინებული ქობინების ზედა ზღვრის დაცვას. *რედ. შენ.*

ების უმრავლესობამ, რომელთაც ტექნოლოგიურად შეუძლიათ ასეთი იარაღის შექმნა, უარი თქვეს ამაზე. ხარჯ-სარგებლიანობის ამგვარი აზროვნება ესადაგება უფრო ფართო საკითხსაც, სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას, იქონიონ ნებისმიერი სახის შეიარაღებული ძალები.

4.8 სახელმწიფოები და შეიარაღებული ძალები

ახსენით, როგორ შეიძლება დააზარალოს სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობებში არსებულმა დაძაბულობამ სამხედრო ოპერაციები და პოლიტიკურ სტაბილურობასაც კი შეუქმნას საფრთხე.

სახელმწიფოებისათვის (სხვადასხვა ფასად) ხელმისაწვდომი სამხედრო შესაძლებლობების გათვალისწინებით, რამდენი და რა სახის სამხედრო შესაძლებლობები უნდა აირჩიონ სახელმწიფოს ლიდერებმა? აღნიშნული შეკითხვა ყველა სახელმწიფოს ეხება, თუმცა ქვეყნებს განსხვავებული პასუხები აქვთ მასზე.

4.8.1 სამხედრო ეკონომიკები

სახელმწიფოები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან სამხედრო ხარჯების მიხედვით. მაგალითად, ერთ მხარესაა კოსტა-რიკა, რომელსაც თითქმის არ აქვს სამხედრო ხარჯები, ხოლო მეორე მხარესაა ჩრდილოეთ კორეა, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის 20%-ს ან მეტს ხარჯავს სამხედრო მიზნებისთვის. თუ სამხედრო ბიუჯეტი ძალიან მცირეა, მაშინ სახელმწიფოები შეიძლება მოუმზადებლები აღმოჩნდნენ საფრთხის წინაშე. თუმცა, თუ სახელმწიფოს ლიდერები სამხედრო ბიუჯეტს ძალიან გაზრდიან, მაშინ ეს მძიმე ტვირთად დააწვება ეროვნულ ეკონომიკას გრძელვადიან პერსპექტივაში.

მსოფლიო სამხედრო ხარჯები მსოფლიო ეკონომიკის საქონლისა და მომსახურების 2.2 პროცენტს შეადგენს, რაც ყოველწლიურად 1.8 ტრილიონ აშშ დოლარს, ანუ ყოველ 20 წამში 1 მილიონ აშშ დოლარს უტოლდება.[17] სამხედრო ხარჯების უმეტესობა დიდ სახელმწიფოებზე მოდის, მათ შორის 40 პროცენტი მხოლოდ აშშ-ზე. მსოფლიო სამხედრო დანახარჯები ფულის მასშტაბური ნაკადებია, რომლებსაც თუ სხვა დანიშნულებით მივმართავდით, მსოფლიოს მკვეთრად შეცვლა და სამყაროს ძირითადი პრობლემების მოგვარება იქნებოდა შესაძლებელი. რა თქმა უნდა, ამ ფულს „მსოფლიო“ არ ხარჯავს და არც ის წარმართავს ნაკადებს. ამას სახელმწიფოები აკეთებენ.

მსოფლიოში იარაღით ვაჭრობის დიდი ნაწილი გლობალურ სამხრეთში ხდება. უკანასკნელ ათწლეულებში, შეიარაღების იმპორტის თითქმის ნახევარი ახლო აღმოსავლეთში განხორციელდა, თუმცა ბოლო

17 სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, 2021 წელს მსოფლიო სამხედრო ხარჯებმა 2.1 ტრილიონს გადააჭარბა. *რედ. შენ.*



ქუჩებში მართვის იერარქიული ჯაჭვის მეშვეობით, სახელმწიფოები აკონტროლებენ მილიონობით ინდივიდუალური ჯარისკაცის ქმედებებს, რაც სახელმწიფოს ლიდერების ხელში გავლენის ბერკეტებს აჩენს. თუმცა, ზოგჯერ შეიარაღებული ძალები არ ემორჩილება სამოქალაქო კონტროლს. სურათზე, ტანკი იკავებს პოზიციას ზიმბაბვეს დედაქალაქ ჰარარეს ცენტრში მაშინ, როცა სამხედროებმა დააპატიმრეს ქვეყნის დიდი ხნის ლიდერი და აიძულეს იგი, დაეთმო ძალაუფლება, 2017 წ.

პერიოდში ინდოეთისა და ჩინეთის წილიც გაიზარდა. შეიარაღების ექსპორტის დიდი ნაწილი მოდის აშშ-ზე, რომელსაც მოსდევენ რუსეთი, საფრანგეთი და ბრიტანეთი. უშუალოდ ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში, იარაღით გლობალური ვაჭრობის მოცულობა შემცირდა, მაგრამ მალევე დაუბრუნდა თითქმის ცივი ომის დონეს.

სამოქალაქო აქტივისტები ითხოვენ ყურადღების მიქცევას მცირე შეიარაღების, განსაკუთრებით ავტომატური შაშხანების გაყიდვაზე არასტაბილურ კონფლიქტურ ზონებში, სადაც არარეგულარული არმიები უამრავ სისასტიკეს სჩადიან. 2001 წელს 140 სახელმწიფო ნებაყოფლობით შეთანხმდა კონფლიქტის ზონებში მცირე შეიარაღების გაყიდვების მოცულობის შეკვეცაზე. 2009 წლის შემოდგომაზე გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად დაუჭირა მხარი შეიარაღებით ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების თაობაზე მუშაობის დაწყებას. გენერალურმა ასამბლეამ აღნიშნული ხელშეკრულება მიიღო 2013 წელს და მის წინააღმდეგ ხმა მხოლოდ ირანმა, ჩრდილოეთ კორეამ და სირიამ მისცეს. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2014 წლის დეკემბერში. 94-მა სახელმწიფომ მოახდინა ხელშეკრულების რატიფიცირება, მაგრამ აშშ-ის სენატის მხრიდან რატიფიცირება ნაკლებად მოსალოდნელია.[18]

4.8.2 შეიარაღებული ძალების კონტროლი

მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული ძალები სახელმწიფო ძალაუფლების ინსტრუმენტია, ბევრ სახელმწიფოში შეიარაღებული ძალები თავად აკონტროლებენ ხელისუფლებას. ასეთ **სამხედრო მთავრობებს** უმეტესად გლობალურ სამხრეთში ვხვდებით, სადაც შეიარაღებული ძალები ზოგჯერ ქვეყანაში მოქმედი ერთადერთი დიდი და მოდერნული ინსტიტუტია.

სამხედრო მთავრობები (military governments)
გვხვდება სახელმწიფოებში, სადაც ხელისუფლებას შეიარაღებული ძალები აკონტროლებენ. ასეთი მთავრობები განსაკუთრებით გავრცელებულია ღარიბ ქვეყნებში, სადაც შეიარაღებული ძალები, ალბათ, ერთადერთი დიდი და მოდერნული ინსტიტუტია.

სახელმწიფო გადატრიალება არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღება, ანუ პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლა სახელმწიფოში მოქმედი კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებს მიღმა. 2017 წელს ზიმბაბვეში შეიარაღებული ძალების მეთაურებმა გადააყენეს ქვეყნის დიდი ხნის ლიდერი. ასეთ დროს, გა-

18 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 113-მა ქვეყანამ მოახდინა ხელშეკრულების რატიფიცირება. მათ შორის არაა აშშ (ხელმომწერი), რუსეთი და ინდოეთი (კენქისყრისას თავი შეიკავეს). *რედ. შენ.*

დატრიალების მეთაურები სწრაფად იკავებენ ძალაუფლების ცენტრებს, კერძოდ ოფიციალურ სახელმწიფო შენობებს, ტელესადგურებსა და გადამცემებს, იქამდე, სანამ სხვა სამხედრო ნაწილები ამბოხის ჩახშობას ან სამოქალაქო ომის დაწყებას მოასწრებდნენ. ხელისუფლებაში მყოფ სამოქალაქო პოლიტიკოსებსა და გადატრიალების მოწინააღმდეგე სამხედრო ოფიცრებს აპატიმრებენ ან კლავენ. გადატრიალების მეთაურები ცდილობენ შექმნან ხელისუფლების ცვლილების გარდაუვალობის განცდა და პარალელურად ამტკიცებენ, რომ მათი ქმედებები გრძელვადიან სტაბილურობას მოიტანს.

სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები. სხვადასხვა სირთულეების გადალახვის გარდა, სახელმწიფოს ლიდერებს ხანდახან საკუთარი შეიარაღებული ძალებისგან წამოსულ გამოწვევებთან გამკლავებაც უწევთ. ბევრი სახელმწიფო, განსაკუთრებით დემოკრატიული ქვეყნები, იცავენ *სამოქალაქო ხელისუფლების აღმატებულობის* პრინციპს, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო ხელმძღვანელობა (არჩეული ან დანიშნული) დგას სამეთაურო ჯაჭვის თავში. სწორედ სამოქალაქო პირები და არა სამხედროები წყვეტენ, თუ როდის ან სად უნდა გამოიყენონ სამხედრო ძალა. აღნიშნულის საპირისპიროდ, ოფიცრებს ევალებათ გააკონტროლონ, თუ როგორ იბრძვიან შეიარაღებული ძალები.

სამოქალაქო და სამხედრო ლიდერებს შორის პასუხისმგებლობის ასეთი დანაწილება აუცილებლად იწვევს დაძაბულობას. სამოქალაქო პირების სამხედრო მეთაურებთან ურთიერთქმედება, რომელსაც **სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები** ეწოდება, ბევრ სახელმწიფოში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სამხედრო ძალის გამოყენების თვალსაზრისით. სამხედრო მეთაურებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზარალონ სამოქალაქო ხელმძღვანელობის ავტორიტეტი, თუკი თავად დაიწყებენ საგარეო პოლიტიკის გატარებას ან საერთაშორისო კონფლიქტებში გარკვეული ქმედებებით შეიძლება საერთოდ საფრთხე შეუქმნან სამოქალაქო ხელისუფლების აღმატებულობის პრინციპს. ამასთან, სამხედრო ოფიცრები ითხოვენ ავტონომიას მას შემდეგ, რაც მიღებულია გადაწყვეტილება სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ და ამგვარად ცდილობენ თავიდან აირიდონ ვიეტნამის ომის მსგავსი პრობლემები, როდესაც პრეზიდენტი ჯონსონი თეთრი სახლიდან თავად არჩევდა დასაბომბ ობიექტებს. კიდევ უფრო გართულებული იყო 1999 წელს ნატო-ს მიერ იუგოსლავიის დაბომბვა, როდესაც კონკრეტულ სამიზნეებზე საჭირო იყო შეთანხმების მიღწევა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებთან. 2010 წელს ავღანეთში განლაგებული ძალების მეთაურმა, ამერიკელმა გენერალმა იმიტომ დაკარგა სამსახური, რომ საჯაროდ გააკრიტიკა პრეზიდენტ ობამას ავღანური პოლიტიკა.

სამოქალაქო და სამხედრო ლიდერებს შორის არსებულმა განსხვავებამ შეიძლება დაძაბულობამდე მიგვიყვანოს მიმდინარე ბრძოლების გარეშეც. ჩატარებული გამოკითხვები სტაბილურად აჩვენებს, რომ ამე-

რიცხელ სამხედრო ოფიცრებს, საშუალოდ, სამოქალაქო პირებისგან განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ გარკვეულ საკითხებზე, მაგალითად სამხედრო ძალის ზეწოლის ბერკეტად გამოყენებასთან დაკავშირებით. მკვლევრები სწავლობენ, თუ რატომ არსებობს სამოქალაქო და სამხედრო პირებს შორის ეს განსხვავება და რა შედეგები შეიძლება იქონიოს ამან აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე.

მსგავსი ვითარება არსებობს სხვა დემოკრატიულ ქვეყნებშიც. თურქეთში დაძაბულობა იზრდებოდა ისლამისტურ მთავრობასა და შეიარაღებულ ძალებს შორის. უახლესი ისტორიის მანძილზე შეიარაღებულ ძალებს ბევრჯერ ჩამოურთმევიათ ძალაუფლება არჩეული სამოქალაქო ხელისუფლებისთვის, როდესაც ოფიცრებს მიუჩნევიათ, რომ მთავრობა საფრთხეს უქმნიდა თურქეთის სეკულარულ წყობას. თუმცა, უკანასკნელ ხანებში სამოქალაქო მთავრობა აგრესიულად აპატიმრებს ყველა იმ ოფიცერს, რომელიც, მისი აზრით, სამხედრო გადატრიალებას შესაძლოა გეგმავდეს.[19] 2011 წლის არაბული გაზაფხულისას ეგვიპტის შეიარაღებულმა ძალებმა უარი განაცხადეს, ცეცხლი გაეხსნათ მომიტინგეებისთვის, თუმცა 2013 წელს დაამხეს ეგვიპტის ისლამისტი პრეზიდენტი და თვითონ მოვიდნენ ხელისუფლებაში.

საერთო ჯამში, სახელმწიფოებს რთული არჩევნის გაკეთება უწევთ საკუთარი შეიარაღებული ძალების მოწყობის თაობაზე. კონფლიქტის ან ომის საფრთხის და უსაფრთხოების საკითხების განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, საერთაშორისო ურთიერთობებში სულ უფრო ნამყვან როლს ასრულებს ვაჭრობა, ფული და ბიზნესი. მომდევნო თავში ჩვენ საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის პოლიტიკას, მსოფლიო სავალუტო სისტემას და მსოფლიო ეკონომიკაში კერძო კომპანიების, როგორც არასახელმწიფო აქტორების როლს განვიხილავთ.

19 2016 წელს თურქი სამხედროების ნაწილი სამხედრო გადატრიალების მოწყობას შეეცადა. მარცხის შემდეგ, სამოქალაქო მთავრობამ ძირეული წმენდა ჩაატარა შეიარაღებულ ძალებში. *რედ. შენ.*

შეჯამება

- საერთაშორისო კონფლიქტებში ძალადობრივი საშუალებების გამოყენების შედეგია სხვადასხვა ტიპის ომები. ომები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან მასშტაბით და ხასიათით – პარტიზანული ომებიდან და რეიდებიდან საერთაშორისო სისტემის ლიდერობისთვის ჰეგემონურ ომამდე. ძალადობის ამ სპექტრის გასწვრივ რთულია ომის ზუსტად განსაზღვრა.
- მრავალი თეორია იქნა წამოყენებული ომის მიზეზების ასახსნელად, ანუ თუ როდის აქვს ადგილი გავლენის მოხდენის ამ კონკრეტულ ფორმას. ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიები წარმოიშვა ანალიზის ყველა დონეზე და ორის გარდა, უმრავლეს მათგანს ძლიერი ემპირიული დასაბუთება არ აქვს. ამდენად, პოლიტიკის მეცნიერებს არ შეუძლიათ ომის დაწყების სანდოდ წინასწარმეტყველება.
- ნაციონალიზმი ძლიერ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე. კონფლიქტები ხშირად მომდინარეობს ეროვნულობის შესახებ წარმოდგენებიდან, რაც იწვევს მოთხოვნებს სახელმწიფოებრიობის ან სახელმწიფო საზღვრების მისადაგების თაობაზე.
- ეთნიკური კონფლიქტები, განსაკუთრებით ტერიტორიულ დავასთან კავშირში, ძალიან რთული მოსაგვარებელია ფსიქოლოგიური მიკერძოებებიდან გამომდინარე. რთულია ასახსნელია, რატომ მიემართება ხალხის ლოიალობა ზოგჯერ ეთნიკური ჯგუფისკენ ხოლო ზოგჯერ მრავალეთნიკური ერისკენ.
- ფუნდამენტალისტური რელიგიური მოძრაობები ფართო გამოწვევას უქმნის ზოგადად საერთაშორისო სისტემის წესებს და კონკრეტულად სახელმწიფოების სუვერენიტეტს.
- ტერიტორიული დავები საერთაშორისო კონფლიქტებში ყველაზე სერიოზულია, რადგან სახელმწიფოები ტერიტორიულ მთლიანობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მცირე გამონაკლისების გარდა, ამჟამად მსოფლიოს ყველა საზღვარი მკაფიოდ არის განსაზღვრული და საერთაშორისოდ აღიარებული.
- სამხედრო ხარჯები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას მოკლევადიან პერსპექტივაში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ამცირებს მას. 1990-იან წლებში შემცირდა დიდი სახელმწიფოების სამხედრო ხარჯები და მოხდა მათი რესტრუქტურიზაცია. ამის შემდეგ, აშშ-ის სამხედრო ხარჯები ცივი ომის პერიოდში არსებულ დონეს დაუბრუნდა.
- ტერიტორიის კონტროლი სახელმწიფო სუვერენიტეტის ქვაკუთხედია და ძირითადად სახმელეთო ძალების გამოყენებით მიიღწევა.
- საჰაერო ომი და მართვადი ბომბების გამოყენება ბრძოლის ველის სამიზნეების გასანადგურებლად განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა აშშ-ის კამპანიებში – 1991 წელს ერაყში, 1999 წელს სერბეთში, 2001 წელს ავღანეთში და 2003 წელს ერაყში.
- დრონები და ომის წარმოების ელექტრონული საშუალებები სულ უფრო მნიშვნელოვანი ბერკეტი ხდება სახელმწიფოებისა და არასახელმწიფო აქტორების ხელში.
- ტერორიზმი ეფექტურია, თუკი ის ახერხებს მოსახლეობის მორალის მორყევას და მიიპყრობს მედიის ყურადღებას.
- ბირთვული იარაღის დამზადება ტექნიკურად ბევრ სახელმწიფოს და ზოგიერთ არასახელმწიფო აქტორსაც შეუძლია, თუმცა საჭირო ხლეჩადი მასალა (ურანი-235 ან პლუტონიუმი) ძალიან რთულად მოსაპოვებელია.
- უფრო და უფრო მეტ სახელმწიფოს აქვს ბალისტიკური რაკეტა, რომლითაც შეუძლია სხვა სახელმწიფოს რამდენიმე ასეული კილომეტრის დისტანციიდან (ზოგჯერ მეტიც, გააჩნია რაკეტის რადიუსს) ესროლოს. თუმცა

ჯერ არცერთი სახელმწიფო დასხმია სხვას თავს ბალისტიკურ რაკეტაზე განთავსებული მასობრივი განადგურების იარაღით.

- გლობალურ სამხრეთში ბალისტიკური რაკეტებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შენელება დიდი სახელმწიფოების მთავარი საზრუნავია.
- აშშ-ში გამოცდის რეჟიმშია ბალისტიკური რაკეტებისგან თავდაცვის სისტემები, თუმცა ამ სისტემების ეფექტურობა ჯერ დადასტურებული არ არის. ამ პროგრამაზე მუშაობის მიზნით, აშშ 2002 წელს გავიდა რუსეთთან გაფორმებული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან (ABM).
- აშშ-სა და რუსეთის არსენალებში ათასობით, ხოლო ჩინეთის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის არსენალებში ასობით ბირთვული იარაღია. ისრაელი, ინდოეთი და პაკისტანი ათეულობით ბირთვულ იარაღს ფლობენ. ბირთვული იარაღის მართვა ხდება ბირთვული სტრატეგიით, რომელიც შეკავების კონცეფციას ეფუძნება.

ძირითადი ცნებები

ჰეგემონური ომი
ტოტალური ომი
შეზღუდული ომი
სამოქალაქო ომი
პარტიზანული ომი
სიმართლის დამდგენი კომისიები
კონფლიქტი
ნაციონალიზმი
ეთნიკური ჯგუფები
გენოციდი
ეთნოცენტრიზმი
სეკულარული
ისლამი/მუსლიმები
ისლამისტი
ირედენტიზმი
ეთნიკური წმენდა
ტერიტორიული წყლები
საჰაერო სივრცე
ანტიპარტიზანული ბრძოლა
ნაღმები
ძალის პროექცია
რადიოელექტრონული ბრძოლა
სახელმწიფო ტერორიზმი
მასობრივი განადგურების იარაღი
ხლეჩადი მასალა
ბალისტიკური რაკეტა
კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა
ფრთოსანი რაკეტა
სარაკეტო ტექნოლიგიების კონტროლის რეჟიმი
ქიმიური იარაღის შესახებ კონვენცია
ბიოლოგიური იარაღის შესახებ კონვენცია
პროლიფერაცია
ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება
ორმხრივად გარანტირებული განადგურება
სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა
ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის ხელშეკრულება
სამხედრო მთავრობები
სახელმწიფო გადატრიალება
სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები

კითხვები კრიტიკული აზროვნებისთვის

1. მსოფლიოს წამყვან რელიგიებში ფუნდამენტალიზმის გაძლიერება გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფო სუვერენიტეტის ტრადიციული კონცეფციისთვის. როგორ შეუძლია ამ ტენდენციას გააძლიეროს ან დაასუსტოს გაეროს და სხვების ზენაციონალური

ხელისუფლების მექმნისკენ მიმართული ძალისხმევა (რომელიც ასევე გამოწვევას უქმნის სახელმწიფო სუვერენიტეტს)?

2. ამ თავში განხილული ექვსი ტიპის საერთაშორისო კონფლიქტიდან რამდენი შეგიძლიათ დაუკავშიროთ ამავე თავში წარმოდგენილ ნაციონალიზმის ფენომენს? რა სახის კავშირებია თითოეულ შემთხვევაში?
3. წარმოიდგინეთ მსოფლიო, რომელშიც სახელმწიფოების უმრავლესობა (და არა მხოლოდ ზოგი) ფლობს ბირთვულ იარაღს და შორი რადიუსის ბალისტიკურ რაკეტებს. იქნება ეს სამყარო უფრო მშვიდობიანი თუ უფრო ომისკენ მიდრეკილი და რატომ?
4. დიდი სახელმწიფოების უმრავლესობა ცივი ომის შემდგომ ეპოქაში საკუთარი შეიარაღებული ძალების გარდაქმნას ახდენს. თქვენი აზრით, როგორი სამხედრო შესაძლებლობები სჭირდება თქვენს ქვეყანას ამ პერიოდში და რატომ?

მოდით ვიმსჯელოთ:

მოლაპარაკებები ჩრდილოეთ კორეასთან: პროგრესი განიარაღებისკენ თუ დროის ფუჭი კარგვა?

მიმოხილვა

ორ ათწლეულზე მეტია, რაც ჩრდილოეთ კორეა არად აგდებს საერთაშორისო თანამეგობრობას და აგრძელებს თავის ბირთვული იარაღის პროგრამას. რამდენჯერმე ის დათანხმდა, რომ უარს იტყოდა ამ პროგრამაზე და ყოველ ჯერზე არ შეასრულა პირობა. 2006 წელს ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული ბომბი გამოსცადა. მართალია, გამოცდამ დიდი შედეგი ვერ ანახა, მაგრამ ქვეყანა ფლობს ცოდნას, რესურსებს და შესაძლებლობას, შექმნას ბირთვული იარაღი.

2007 წელს მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ჩრდილოეთ კორეამ პირობა დადო, რომ შეაჩერებდა ბირთვულ პროგრამას საერთაშორისო დახმარების, მათ შორის საწვავისა და საკვების, სანაცვლოდ. მან გაანადგურა ბირთვული ობიექტების ნაწილი, მაგრამ განაახლა პროგრამა მას მერე, რაც შეერთებულმა შტატებმა დააყოვნა ჩრდილოეთ კორეის ამოღება ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნების სიიდან. ჩრდილოეთ კორეა ამოიღეს ამ სიიდან 2008 წლის შემდგომაზე და ის დათანხმდა, რომ საერთაშორისო ინსპექტორებს მისცემდა საშუალებას, გადაემოწმებინათ პროგრამის შეჩერება. თუმცა, როდესაც შეთანხმების წერილობით გაფორმებაზე მიდგა საქმე, ჩრდილოეთ კორეამ უარი თქვა. 2017 წლისთვის მან სრულად აღადგინა ბირთვული და სარაკეტო გამოცდების პროგრამები. 2018 წელს პრეზიდენტი ტრამპი და ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ მხოლოდ ზოგად პრინციპებზე განცხადება შეათანხმეს.

ჩაფლავებული შეთანხმებებისა და მძიმე მოლაპარაკებების გამოცდილების ფონზე, ზოგმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საერთოდ დაესრულებინათ ჩრდილოეთ კორეასთან ამ საკითხზე მოლაპარაკებები. სხვები მიუთითებენ იმ საფრთხეებზე, რაც ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის გაგრძელებას უკავშირდება და საუბრების გაგრძელებას ემხრობიან. უნდა გააგრძელოს შეერთებულმა შტატებმა მრავალმხრივი მოლაპარაკებები, რომლის მიზანიც ჩრდილოეთ კორეის განიარაღება იქნება?

არგუმენტი 1

შეერთებულმა შტატებმა უნდა გააგრძელოს მოლაპარაკებები ჩრდილოეთ კორეასთან

აშშ-ის მოკავშირეები ემხრობიან მოლაპარაკებებს. სამხრეთი კორეა და იაპონია ემხრობიან მოლაპარაკებების გაგრძელებას, თუმცა მათაც არ სურთ, რომ ჩრდილოეთ კორეის ცუდი ქცევა წახალისდეს. მოკავშირეებს არ უნდათ

მიზნის მიღწევა ნებისმიერ ფასად, რადგან კონფლიქტი ჩრდილოეთ კორეასთან მათ ძალიან ძვირად დაუჯდებათ. ამიტომ, ისინი პრობლემის დიპლომატიურ გადაწყვეტას ამჯობინებენ.

ჩრდილოეთ კორეის პროგრამის გამო ომი კატასტროფული იქნება. ირონიაა, მაგრამ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღი არაა ყველაზე დიდი საფრთხე მისი სამხრეთელი მეზობლისთვის. ექსპერტთა შეფასებით, კონვენციური არტილერია, რომელიც დამიზნებულია სამხრეთის დედაქალაქ სეულზე, სერიოზულ ზიანს გამოიწვევს შედარებით მოკლე ვადაში.

ჩრდილოეთ კორეის იზოლირება ყველაზე საშიში პოლიტიკა იქნება. კუთხეში მომწყვდეული ჩრდილოთ კორეის ხელმძღვანელობა არის ის სავარაუდო სცენარი, რა დროსაც იგი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს. მოლაპარაკებებზე უარის თქმა და ჩრდილოეთ კორეის სრული იზოლირება სწორედ ამ შედეგს გამოიღებს. ასეთ დროს, ჩრდილოეთ კორეა შეიძლება თავს დაესხას სამხრეთ კორეასა და იაპონიას, აშშ-ის ორ მოკავშირეს.

არგუმენტი 2

შეერთებულმა შტატებმა უნდა დაივიწყოს ჩრდილოეთ კორეასთან შეთანხმების მიღწევა

ჩრდილოეთ კორეას არასდროს შეუსრულებია პირობა. 1990-იან წლებში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შემდეგ, ჩრდილოეთ კორეა არათუ არად აგდებდა ვალდებულებებს, არამედ აშკარად იტყუებოდა და აგრძელებდა საკუთარ ბირთვულ პროგრამას. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაშიც კი, არ არსებობს გარანტია, რომ ის ისევ არ მოიტყუება.

ჩრდილოეთ კორეის რეჟიმი არაა სანდო. ჩრდილოეთ კორეის ლიდერებს არად ადარდებთ საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობა და კიდევ უფრო ნაკლებად ფიქრობენ საერთაშორისო რეპუტაციაზე. მართალია, ჩრდილოეთ კორეას სჭირდება საერთაშორისო დახმარება, რათა თავი შეინახოს, მაგრამ კიდევ უფრო მეტ დახმარებას გამოსტყუებს სხვებს, თუკი წარმატებული ბირთვული პროგრამა ექნება.

მხოლოდ ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის კოლაფსი გამოიწვევს ნამდვილ ცვლილებას. ჩრდილოეთ კორეაში არაფერი შეიცვლება მანამ, სანამ ახლანდელი რეჟიმი იქნება ხელისუფლებაში. რაც უფრო სწრაფად გამოუთხრის ძირს რეჟიმს საერთაშორისო იზოლაცია, მით უკეთესი. აშშ-სა და მეზობელი ქვეყნებისგან საწვავითა და საკვებით დახმარების გარეშე რეჟიმი უფრო სწრაფად შეიძლება დასრულდეს.

კითხვები

- ფიქრობთ, რომ ჩრდილოეთ კორეა სანდო პარტნიორია მოლაპარაკებებში? რამდენი მანში უნდა მიეცეს მას შეთანხმებების შესასრულებლად? რა რეალური ალტერნატივა აქვს მოლაპარაკებებს?
- რა სიტყვა უნდა ეთქმოდეთ აშშ-ს მოკავშირეებს მოლაპარაკებებში? ჩრდილოეთ კორეასთან სიახლოვის გამო, სამხრეთ კორეისა და იაპონიის ინტერესები უფრო გასათვალისწინებელია ასეთ დროს თუ შეერთებული შტატების?
- რა შესაძლო პრობლემები უნდა მოჰყვეს შეერთებული შტატების მიერ ჩრდილოეთ კორეის განსაიარაღებლად გადადგმულ უნილატერალურ ნაბიჯებს? ეს უნილატერალური ნაბიჯები შეიძლება მოიცავდეს სანქციებს, ომს ან, მეორე უკიდურესობას – მასიურ ფინანსურ დახმარებას, რათა ჩრდილოეთმა კორეამ უარი თქვას პროგრამაზე.

დამატებითი საკითხავი:

- Cha, Victor, and David Kang. *Nuclear North Korea: A Debate on Engagement Strategies.* Columbia, 2005.
- O'Hanlon, Michael, and Mike Mochizuiki. *Crisis on the Korean Peninsula: How to Deal with a Nuclear North Korea.* McGraw-Hill, 2003.
- Rozman, Gilbert. *Strategic Thinking About the Korean Nuclear Crisis: Four Parties Caught Between North Korea and the United States.* Palgrave Macmillan, 2007.
- Wit, Joel S. *Going Critical: The First North Korean Nuclear Crisis.* Brookings, 2005.

თავი 5

ვაჭრობა და ფინანსები



Toby Melville/Reuters

მსოფლიოში ყველაზე დიდი კონტეინერმზიდი შედის დიდი ბრიტანეთში, 2015 წ.

სასწავლო მიზნები

5.1 აღწერეთ სამი პოლიტიკა, რომლებიც ეხება საქონლითა და მომსახურებით თავისუფალ ვაჭრობას საერთაშორისო ბაზრებზე

5.2 განსაზღვრეთ სულ მცირე ერთი ფაქტორი, რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებებში შექმნილი ჩიხური ვითარების მიზეზია

5.3 აღწერეთ სულ მცირე ორი გზა, რომლითაც ქვეყნები ან ცალკეული მოქალაქეები ეწინააღმდეგებიან გლობალურ ვაჭრობას

5.4 შეაჯამეთ გაცვლითი კურსების სამი სისტემა, რომლებსაც სახელმწიფოები იყენებენ

5.5 ახსენით სამი მიზეზი, თუ რატომ ეფლობიან ქვეყნები ვალში

5.6 განსაზღვრეთ ორი რისკი ფირმებისთვის, რომლებიც ახორციელებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და ორი რისკი ქვეყნებისთვის, რომლებიც იღებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს

5.1 ვაჭრობის თეორიები

აღწერეთ სამი პოლიტიკა, რომლებიც ეხება საქონლითა და მომსახურებით თავისუფალ ვაჭრობას საერთაშორისო ბაზრებზე.

საერთაშორისო ვაჭრობა მსოფლიოს მთლიანი ეკონომიკური აქტივობის დაახლოებით ერთ მეექვსედს შეადგენს. ყოველწლიურად საერთაშორისო საზღვრებს თითქმის 21 ტრილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი და მომსახურება გადაკვეთს. ეს ძალიან დიდი რიცხვია და მაგალითად, რამდენჯერმე აღემატება მსოფლიოს სამხედრო დანახარჯებს. საერთაშორისო ვაჭრობის დიდი მასშტაბები ცხადყოფს, რომ ვაჭრობა მომგებიანია.

ეკონომიკაში ვაჭრობის როლი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება, მაგრამ საერთო ჯამში ვაჭრობა თითქმის ისევე მნიშვნელოვანია გლობალურ სამხრეთში, როგორც ინდუსტრიალიზებულ ჩრდილოეთში. გლობალურ სამხრეთზე მსოფლიო ეკონომიკაში ვაჭრობის შედარებით მცირე წილი მოდის, მაგრამ ამას ის ფაქტორი განაპირობებს, რომ გლობალური სამხრეთის ეკონომიკური აქტივობა მსოფლიოს ეკონომიკური აქტივობის მხოლოდ 40 პროცენტს შეადგენს (იხ. თავი 1).

ვაჭრობა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ მნიშვნელოვანწილად პოლიტიკური საკითხია. ვაჭრობა გადაკვეთს სახელმწიფოთა დადგენილ საზღვრებს, რეგულირდება სახელმწიფოების მიერ, მათზე ინტერესთა ჯგუფების ზეწოლით და ხორციელდება სავაჭრო რეჟიმებში, რომლებსაც სახელმწიფოები ქმნიან და ინარჩუნებენ.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის (პოლიტეკონომიის) მკვლევრები საერთაშორისო ეკონომიკური აქტივობების პოლიტიკას შეისწავლიან. აღნიშნული აქტივობებიდან ყველაზე ხშირად კვლევის საგანს ვაჭრობა, სავალუტო ურთიერთობები და მრავალეროვნული კორპორაციები წარმოადგენს. საერთაშორისო პოლიტეკონომიის მკვლევრების უმრავლესობა ფოკუსირებულია მსოფლიოს ინდუსტრიალიზებულ რეგიონებზე, სადაც მსოფლიოს ეკონომიკური აქტიურობის დიდი ნაწილი ხდება. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში გლობალურ სამხრეთსაც მზარდი ყურადღება ეთმობა, გლობალიზაციის შედეგად სამხრეთის რეგიონების მსოფლიო ეკონომიკაში უფრო ინტენსიური ინტეგრაციის ფონზე (იხ. თავი 7).

პირველ თავში გადმოცემული საკვანძო პრინციპები და მეორე თავში წარმოდგენილი ძალისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთქმედების ცნებები საერთაშორისო პოლიტეკონომიასაც ერგება. საერთაშორისო პოლიტეკონომიაში სახელმწიფოები ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორები არიან, თუმცა არა იმდენადვე მნიშვნელოვანი, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოებაში. საერთაშორისო პოლიტეკონომიის აქტორები, უსაფრთხოების სფეროს მსგავსად, საკუთარი ინტერესებით მოქმედებენ. როგორც ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა 2001 წელს,

მისი ქვეყანა დასავლეთ ნახევარსფეროში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით აშშ-სთან იზიარებდა მთავარ პრინციპს: „რა არის ჩვენი სარგებელი?“

5.1.1 ლიბერალიზმი და მერკანტილიზმი

საერთაშორისო პოლიტეკონომიაში არსებული ორი მთავარი მიდგომა ერთმანეთისგან განსხვავდება ვაჭრობასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. ერთი მიდგომა, რომელსაც **მერკანტილიზმი** ეწოდება, ზოგადად, რეალიზმის მსგავსად, მიიჩნევს, რომ თითოეულმა სახელმწიფომ უნდა დაიცვას საკუთარი ინტერესები სხვა ქვეყნების ხარჯზე და არ უნდა დაეყრდნოს საერთაშორისო ორგანიზაციებს ორმხრივი სარგებლის მექანიზმის შესაქმნელად. შესაბამისად, მერკანტილიზმი (რეალიზმის მსგავსად) აქცენტს აკეთებს ფარდობით ძალაზე: მნიშვნელოვანია არა იმდენად სახელმწიფოს კეთილდღეობის აბსოლუტური დონე, არამედ მეტოქე სახელმწიფოებთან შედარებით არსებული მდგომარეობა.

მერკანტილიზმი (mercantilism)
ეკონომიკური თეორია და პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ეწინააღმდეგება თავისუფალ ვაჭრობას. რეალიზმთან ერთად იზიარებს შეხედულებას, რომ ნებისმიერმა სახელმწიფომ უნდა დაიცვას საკუთარი ინტერესები, საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ორმხრივი სარგებლის ძიების გარეშე.

გარდა ამისა, მერკანტილიზმი (რეალიზმის მსგავსად), მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ტრანსაქციების მნიშვნელობას განაპირობებს ამ ტრანსაქციების შედეგები სამხედრო სფეროსთვის. სახელმწიფოებს ფარდობითი სიმდიდრის მოხვეჭა და ვაჭრობა იმიტომ აინტერესებთ, რომ ის შეიძლება პირდაპირ გარდაქმნან სამხედრო ძალად. ამდენად, მართალია, ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკებებისთვის სამხედრო ძალა არაა მნიშვნელოვანი, მაგრამ მერკანტილისტებს სჯერათ, რომ ეკონომიკური მოლაპარაკებების შედეგები მნიშვნელოვანია სამხედრო ძლიერებისთვის.

ეკონომიკური ლიბერალიზმი წარმოადგენს ალტერნატიულ მიდგომას, რომელიც ლიბერალურ ინტერნაციონალიზმთან იზიარებს მოსაზრებას, რომ საერთო მოგების მისაღწევად თანამშრომლობა შესაძლებელია (იხ. თავი 3). ეკონომიკური ლიბერალიზმის თანახმად, საერთაშორისო ორგანიზაციების, ინსტიტუტების და ნორმების შექმნის გზით, სახელმწიფოებს შეუძლიათ ეკონომიკური გაცვლიდან ორმხრივი სარგებელი ნახონ. ლიბერალებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ერთი სახელმწიფო უფრო მეტ მოგებას ნახულობს სხვა სახელმწიფოსთან შედარებით თუ ნაკლებს. მათთვის მნიშვნელოვანია, იზრდება თუ არა სახელმწიფოს სიმდიდრე აბსოლუტურ მაჩვენებლებში.


ეკონომიკური ლიბერალიზმი (economic liberalism)
საერთაშორისო პოლიტეკონომიის კონტექსტში, მიდგომა, რომელიც ზოგადად იზიარებს ანარქიულობის იდეას (მსოფლიო მთავრობის არარსებობას), მაგრამ ამ გარემოებას ეკონომიკური გაცვლიდან საერთო სარგებლის მისაღებად აქტიური თანამშრომლობისთვის ხელშემშლელ ფაქტორად არ მიიჩნევს. ეკონომიკური ლიბერალიზმი აქცენტს აკეთებს აბსოლუტურ და არა ფარდობით სარგებელზე, რაც პრაქტიკაში თავისუფალი ვაჭრობის, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების და „გახსნილი“ მსოფლიო ეკონომიკის მხარდაჭერაა.

ლიბერალიზმი და მერკანტილიზმი არის როგორც ეკონომიკური თეორიები, ისე იდეოლოგიები, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფოების პოლიტიკას. ლიბერალიზმი წამყვანი მიდგომაა დასავლურ ეკონომიკებში, თუმცა უფრო მეტად *მიკროეკონომიკაში* (ფირმებისა და შინამეურნეობების შესწავლა) ვიდრე *მაკროეკონომიკაში* (ეროვნული ეკონომიკების შესწავლა). მერკანტილიზმთან და ლიბერალიზმთან ერთად, საერთაშორისო პოლიტეკონომიაში მესამე თეორიულ-იდეოლოგიური მიდგომის რანგში ხშირად განიხილავენ მარქსიზმს (იხ. თავი 3). მარქსისტული მი-

დგომა მორგებულია ეკონომიკურ ექსპლუატაციაზე, როგორც პოლიტიკური ურთიერთობების განმსაზღვრელ ძალაზე. მარქსისტული თეორიები დეტალურად მე-7 თავშია განხილული, რადგან ამ თეორიების ამხსნელი ძალა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩრდილოეთი-სამხრეთის ურთიერთობებში ვლინდება.

გრაფიკი 5.1 საერთო და ინდივიდუალური სარგებელი

ნებისმიერი შეთანხმება, მაგალითად A წერტილზე, თითოეულ აქტორს აძლევს გარკვეულ სარგებელს (წყვეტილი ხაზები). საერთო სარგებლის მაქსიმიზება შეიძლება პარეტოს ოპტიმუმის ზღვარზე, მაგრამ ამ სარგებლის განაწილება, მაგალითად B თუ C წერტილებზე (რომლებიც ორივე მხარისთვის უმჯობესია A-სთან შედარებით), მოლაპარაკების საგანია. ლიბერალიზმს უფრო მეტად საერთოდ სარგებელი აინტერესებს, მერკანტილიზმს კი ფარდობითი განაწილება.



საერთაშორისო ეკონომიკური გაცვლების უმეტესობა (ისევე, როგორც ურთიერთობები უსაფრთხოების სფეროში) შეიცავს როგორც ორმხრივი ინტერესების, ანუ თანამშრომლობის გზით მიღწევადი ერთობლივი სარგებლის, ისე დაპირისპირებული ინტერესების გარკვეულ ელემენტებს. თამაშის თეორეტიკოსები ამას „შერეული ინტერესების“ თამაშს უწოდებენ. მაგალითად, თამაშში სახელად „წიწილა“ (იხ. თავი 2), ორი მძღოლი იზიარებს ინტერესს, რომ თავიდან აიცილონ შეჯახება, მაგრამ მათი ინტერესები განსხვავებულიცაა, რადგან ერთის „გმირობა“ ნიშნავს მეორეს „წიწილობას“. საერთაშორისო ვაჭრობაში, მაშინაც კი, როდესაც ორივე სახელმწიფო ნახულობს სარგებელს ვაჭრობისგან (საერთო ინტერესი), ერთი ან მეორე უფრო მეტ სარგებელს იღებს (კონფლიქტური ინტერესი).

ლიბერალიზმი ხაზს უსვამს ეკონომიკურ გაცვლაში არსებულ საერთო ინტერესებს, მერკანტილიზმი კი აქცენტს კონფლიქტურ ინტერესებზე აკეთებს. ლიბერალებისთვის ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური საერთო სიმდიდრის შექმნა ოპტიმალური ეფექტიანობის (პროდუქციის მაქსიმიზება, დანაკარგების მინიმიზება) მიღწევით. მერკანტილისტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს სიმდიდრის შესაძლოდან ყველაზე ხელსაყრელი გადანაწილების მიღწევა (იხ. გრაფიკი 5.1).

ლიბერალიზმი ინდივიდუალურ შინამეურნეობებს და ფირმებს ეკონომიკის წამყვან აქტორებად განიხილავს და ხელისუფლების ყველაზე სასარგებლო როლად ეკონომიკაში ჩაურევლობას მიიჩნევს, როდესაც გამონაკლისს მხოლოდ ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონერების ხელშესაწყობად საჭირო რეგულირება წარმოადგენს (და ინფრასტრუქტურის, მაგალითად გზების მშენებლობა, რაც ასევე უწყობს ხელს ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას). ამ თვალთახედვით, პოლიტიკა ეკონომიკური ეფექტიანობის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ბაზრებისგან მთავრობის ხელის მოშორებით, მოთხოვნა-მიწოდების „უხილავი ხელი“ (ფასების მექანიზმის მეშვეობით) წარმოების, გაცვლისა და მოხმარების ყველაზე ეფექტიანი მოდელების შექმნას უზრუნველყოფს. ქვეყნებს შორის **თავისუფალი ვაჭრობის** სარგებლიანობიდან გამომდინარე, ლიბერალები უგულებელყოფენ რეალისტების აკვიატებას საერთაშორისო საზღვრებით, რადგან ლიბერალებისთვის საზღვრები ზღუდავს გაცვლის მაქსიმალურ ეფექტიანობას.

თავისუფალი ვაჭრობა (free tade)

სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთით საქონლისა და მომსახურების ტარიფებისგან და სხვა ბარიერებისგან შეუზღუდავი გადაადგილება. იდეაში (თუ პრაქტიკაში ყოველთვის არა), თავისუფალი ვაჭრობა 1846 წლის შემდეგ ბრიტანეთის და 1945 წლის შემდეგ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკვანძო ასპექტს წარმოადგენს.

ვაჭრობიდან მიღებული სარგებელი შეიძლება ვაჭრობაში ჩართულ ყველა სახელმწიფოზე თანაბრად არ გადანაწილდეს. ლიბერალ ეკონომისტებს უფრო მეტად გაცვლიდან მიღებული მთლიანი (საერთო) მოგების მაქსიმიზება აინტერესებთ, ვიდრე სარგებლის განაწილება მხარეებს შორის (იხ. გრაფიკი 5.1). როდესაც ორი ან მეტი სახელმწიფო ერთდროულად არის დამოკიდებული ერთმანეთზე, მათ ურთიერთდამოკიდებული სახელმწიფოები ეწოდებათ. **ურთიერთდამოკიდებულება** არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ფენომენიცაა. ვაჭრობაში ჩართული ქვეყნები ერთმანეთთან პოლიტიკურ თანამშრომლობაზე ორმხრივად დამოკიდებულნი ხდებიან ვაჭრობიდან მიღებული სარგებლის მიღწევის თვალსაზრისით. საერთაშორისო პოლიტეკონომიაში ურთიერთდამოკიდებულება შედარებით ნაკლებად მოიაზრებს ორმხრივ (ბილატერალურ) ურთიერთდამოკიდებულებას და უფრო ხშირად გულისხმობს მრავალმხრივ (მულტილატერალურ) დამოკიდებულებას, სადაც თითოეული ქვეყანა დამოკიდებულია თითქმის ყველა სხვა დანარჩენ ქვეყანასთან პოლიტიკურ თანამშრომლობაზე მსოფლიო ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

ვაჭრობით შექმნილი სიმდიდრე საერთაშორისო პოლიტიკურ თანამშრომლობაზეა დამოკიდებული და ძალადობა, როგორც წესი, ხელს

არ უწყობს ამგვარი სიმდიდრის შექმნას. შესაბამისად, ზემოთ გაჟღერებული იდეის მსგავსად (იხ. თავი 3), ლიბერალები ამტკიცებენ, რომ ურთიერთდამოკიდებულება ბუნებრივად უწყობს ხელს მშვიდობას (აქვე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების მსგავსი ტენდენცია შეინიშნებოდა პირველ მსოფლიო ომამდეც, მაგრამ ომი მაინც მოხდა).

მერკანტილისტები უპირატესობას ანიჭებენ ხელსაყრელ სავაჭრო ბალანსს, რათა ვაჭრობა სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდეს, თუნდაც იმ გარკვეული სიმდიდრის დაკარგვის ხარჯზე, რაც თავისუფალი ბაზრის პირობებში შეიქმნებოდა. **სავაჭრო ბალანსი** არის ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა. სახელმწიფოს, რომელსაც უფრო მეტი გააქვს ექსპორტზე, ვიდრე იმპორტით შემოაქვს, *დადებითი სავაჭრო ბალანსი*, ანუ *სავაჭრო პროფიციტი* აქვს. წლების განმავლობაში ჩინეთი მნიშვნელოვან სავაჭრო პროფიციტს ინარჩუნებს და აღნიშნულმა მონაცემმა 2017 წელს 440 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. ის იღებს უფრო მეტ ფულს ექსპორტირებული საქონლისგან, ვიდრე თავად ხარჯავს ნედლეულსა და სხვა იმპორტირებულ პროდუქტებზე (იხ. გრაფიკი 5.2). სახელმწიფოს, რომელშიც იმპორტი ექსპორტს აღემატება, *უარყოფითი* **სავაჭრო ბალანსი** *(სავაჭრო დეფიციტი)* აქვს. სავაჭრო დეფიციტი განსხვავდება *ბიუჯეტის დეფიციტისგან*, რომელიც მთავრობის ხარჯებს ეხება (იხ. თავი 5). 1990-იანი წლების ბოლოდან აშშ-ის სავაჭრო დეფიციტი მუდმივად იზრდება წელიწადში რამდენიმე ასეული მილიარდი აშშ დოლარით და 2017 წლისთვის 560 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, საიდანაც თითქმის მეოთხედი ჩინეთზე მოდის, ხოლო კიდევ ერთი მეოთხედი – ნავთობის იმპორტზე.

სავაჭრო ბალანსი (balance of trade)
სახელმწიფოს ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა.



Justin Chin/Getty Images


ძალა და დოვლათი მერკანტილისტები ხაზს უსვამენ, რომ ვაჭრობა უნდა ემსახურებოდეს პოლიტიკურ მიზნებს, მათ შორის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების გაზრდას. ჩინეთი იყენებს სავაჭრო პროფიციტს თავდაცვის ხარჯების გაზრდისა და სამხედრო ძალების მოდერნიზებისთვის. სურათზე, ჩინეთის ახალი ავიამზიდი შედის ჰონ-კონგის ნავსადგურში, ხოლო დიდ საკონტეინერო გემს გეში უქირავს ღია ზღვისკენ, რათა კიდევ უფრო გაზარდოს ჩინეთის სავაჭრო ნამატი.

სახელმწიფოებს საბოლოო ჯამში უწევთ სავაჭრო ბალანსის მოწესრიგება. სავაჭრო ბალანსის ფინანსური კონტროლი ხდება ეროვნული ანგარიშების სისტემით. მოკლევადიან პერსპექტივაში, სახელმწიფოს შეიძლება რამდენიმე წლის მანძილზე სავაჭრო დეფიციტი ჰქონდეს და შემდეგი რამდენიმე წლის მანძილზე პროფიციტი. დისბალანსი სახელმწიფოს ანგარიშების სისტემაში სესხის სახით აისახება. თუმცა, წლების განმავლობაში მუდმივი დეფიციტი შესაძლოა პრობლემა გახდეს. უკანასკნელ წლებში, სავაჭრო დეფიციტის დასაბალანსებლად, აშშ-მ დაიწყო ვალუტის (დოლარების) „ექსპორტი“ ჩინეთში, იაპონიაში, ევროპაში და სხვა ქვეყნები, რომლებიც დოლარს სხვადასხვა რამის, მათ შორის ამერიკული კომპანიების აქციების, აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების ან ამერიკაში

უძრავის ქონების შესაძენად იყენებენ. ეკონომისტები წუხან, რომ თუ უცხოელები აშშ-ში ინვესტირების სურვილს დაკარგავენ, ამან შესაძლოა აშშ-ის ეკონომიკა აზარალოს.

გრაფიკი 5.2 ჩინეთის მზარდი სავაჭრო პროფიციტი

წყარო: ჩინეთის სტატისტიკის სახელმწიფო ბიურო




სწორედ ეს წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს, თუ რატომ ანიჭებენ მერკანტილისტები უპირატესობას ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკას სავაჭრო პროფიციტის მისაღწევად. ასეთ შემთხვევაში, კრიზისის ან ომის დროს, სახელმწიფო არ აღმოჩნდება გამოუვალ მდგომარეობაში ფინანსების მოძიების თვალსაზრისით. მის ხელთ არის ფულის მასა, რაც პოტენციურ ძლიერებას ნიშნავს. ისტორიულად მერკანტილიზმი სიტყვა-სიტყვით ნიშნავდა (სავაჭრო პროფიციტის შედეგად) ოქროს მარაგების, როგორც ძალის ურთიერთშემცვლელი ელემენტის დაგროვებას (იხ. გრაფიკი 5.3). აღნიშნული სტრატეგია თანხვედრაშია რეალიზმის დებულებებთან ფარდობითი ძალისა და დომინირების პრინციპის შესახებ. ერთი სახელმწიფოს სავაჭრო პროფიციტი მეორე სახელმწიფოს სავაჭრო დეფიციტს ნიშნავს.

5.1.2 შედარებითი უპირატესობა

შედარებითი უპირატესობა (comparative advantage)
პრინციპი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები უნდა სპეციალიზდნენ იმ საქონლით ვაჭრობაში, რომელსაც ისინი ყველაზე ეფექტიანად და დაბალი დანახარჯებით აწარმოებენ სხვებთან შედარებით (იგულისხმება ამავე სახელმწიფოს სხვა ნაწარმიც).

ლიბერალური ეკონომიკების ზოგად წარმატებას განაპირობებს ის მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელიც ვაჭრობის მეშვეობით მიიღება. აღნიშნული მოგება გამომდინარეობს **შედარებითი უპირატესობიდან**, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოებს სხვადასხვა საქონლის წარმოების თვალსაზრისით აქვთ (აღნიშნული კონცეფცია პირველად ეკონომისტებმა ადამ სმითმა და დევიდ რიკარდომ განავითარეს 200 წლის წინ). სახელმწიფოებს კონკრეტული საქონლის საწარმოებლად განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნიათ, ბუნებრივი რესურსების, სამუშაო ძალის მახასიათებლების, ტექნოლოგიებისა და სხვა ფაქტორების განსხვავებულობის გამო. სიმდიდრის შექმნის მაქსიმიზების მიზნით, თითოეული სახელმწიფო სპეციალიზებული უნდა იყოს იმ საქონლის წარმოებაზე, რომელშიც მას შედარებითი უპირატესობა აქვს და შემდეგ აღნიშნული ნაწარმი გამოიყენოს იმ საქონლის შესაძენად, რომელსაც უფრო კარგად სხვა სახელმწიფოები აწარმოებენ. პროდუქტის წარმოების ხარჯებში, რა თქმა უნდა, შედის ტრანსპორტირებისა და სავაჭრო ინფორმაციის დამუშავების ხარჯები (*ტრანსაქციული ხარჯები*). თუმცა, გლობალიზაციის წინსვლასთან ერთად, აღნიშნული ხარჯები მცირდება სხვადასხვა ადგილებში პროდუქციის წარმოების ხარჯებში განსხვავებებთან შედარებით.

გრაფიკი 5.3 სავაჭრო ბალანსი



(მერკანტილისტების მიერ დაგროვებული ფული)

მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობის ორი საქონელია ნავთობი და ავტომობილები. საუდის არაბეთში გაცილებით უფრო იაფი ჯდება ნავთობის (ან ენერგიის სხვა წყაროს) წარმოება, ვიდრე იაპონიაში, ხოლო მანქანების წარმოება იაპონიაში უფრო იაფია, ვიდრე საუდის არაბეთში. იაპონიას მრეწველობისთვის (მათ შორის ავტოინდუსტრიისთვის) ნავთობი ესაჭიროება, ხოლო საუდის არაბეთს საკუთარ ვრცელ ტერიტორიაზე გადასაადგილებლად (მათ შორის, შორეულ ნავთობსაბადოებამდე მისასვლელად) მანქანები სჭირდება. ტრანსპორტირებისა და ტრანსაქციული ხარჯების გათვალისწინებითაც, იაპონური მანქანების შეტანა საუდის არაბეთში და საუდის არაბეთის ნავთობის ტრანსპორტირება იაპონიაში ძალიან დიდ თანხებს ზოგავს იმასთან შედარებით, რაც ამ ორ სახელმწიფოს დასჭირდებოდა, მხოლოდ საკუთარი თავის ამარა რომ ყოფილიყო.

სპეციალიზაციის ასპექტის გამოსაყენებლად სახელმწიფოს არ სჭირდება აბსოლუტური უპირატესობის ქონა (ანუ მსოფლიოში ყველაზე მეტად ეფექტიანობა) კონკრეტული საქონლის დამზადების საქმეში. ამისთვის მას სჭირდება იმ საქონლის წარმოებაში სპეციალიზება, რომელიც სხვა საქონლის წარმოებასთან შედარებით ნაკლებად დანახარჯიანია. წარმოიდგინეთ, რომ იაპონიამ აღმოაჩინა სინთეტური ნავთობის წარმოების გზა შრომისა და კაპიტალის ზუსტად ისეთივე კომბინაციის გამოყენებით, როგორც ამას ახლა მანქანების წარმოებაში იყენებს. ასევე წარმოიდგინეთ, რომ სინთეტური ნავთობის წარმოება ოდნავ უფრო იაფია, ვიდრე ბუნებრივი ნავთობის წარმოება უჯდება საუდის არაბეთს, მაგრამ იაპონიას მაინც შეუძლია მანქანების გაცილებით უფრო იაფად წარმოება, ვიდრე საუდის არაბეთს. ერთი შეხედვით, შესაძლოა ჩანდეს, რომ იაპონია სინთეტურ ნავთობს უნდა აწარმოებდეს და დამატებით თანხებს არ უხდიდეს საუდის არაბეთს. თუმცა, ეს არასწორია. მკაცრად ეკონომიკური თვალსაზრისით, იაპონიამ უნდა განაგრძოს მანქანების წარმოება (სადაც მას დიდი შედარებითი უპირატესობა გააჩნია) და კაპიტალი და სამუშაო ძალა არ გადართოს სინთეტური ნავთობის წარმოებაზე (სადაც მას მხოლოდ მცირედი უპირატესობა გააჩნია). მეტი სარგებელი, რასაც იაპონია მიიღებს უფრო მეტი მანქანის ექსპორტისგან, გადაფარავს იმ ოდნავ მეტ ფასს, რასაც ის ნავთობის იმპორტში გადაიხდის.

შესაბამისად, საერთაშორისო ვაჭრობა გლობალურ რესურსებს მიმართავს იმ სახელმწიფოებში, რომლებსაც ყველაზე დიდი შედარებითი უპირატესობა აქვთ კონკრეტული სახის საქონლის საწარმოებლად. შედეგად, ფასები ზოგადად უფრო დაბალი და სტაბილურია მსოფლიოს მასშტაბით. წარმოება სულ უფრო ორიენტირებულია მსოფლიო ბაზრისკენ.

თუმცა, ვაჭრობით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს თან ახლავს პოლიტიკურად უარყოფითი მხარეები. პირველი, გრძელვადიანი სარგებელს შეიძლება თან ახლდეს მოკლევადიანი დანახარჯები. როდესაც სახელმწიფო იწყებს იმ საქონლის იმპორტს, რომელსაც აქამდე ქვეყნის

შიგნით აწარმოებდა, შესაძლოა პრობლემები შეექმნას მის ეკონომიკას: მუშებს შეიძლება მოუწიოთ გადამზადება და ახალი სამსახურების მოძებნა, ასევე გართულდეს კაპიტალის კონვერტაცია ახალი დანიშნულებით გამოყენებისთვის. ამდენად, სახელმწიფოს ლიდერები შეიძლება მოექცნენ პოლიტიკური წნეხის ქვეშ, რათა ჩაერიონ ეკონომიკურ პოლიტიკაში. გარდა ამისა, სარგებელი და დანახარჯი სახელმწიფოს შიგნითაც არათანაბრად ნაწილდება. ზოგიერთი სამრეწველო დარგი ან საზოგადოების ნაწილი სხვების ხარჯზე ნახულობს მოგებას. მაგალითად, თუ ამერიკულ კომპანიას საკუთარი ქარხანა მექსიკაში გადააქვს, რათა იქაური იაფი მუშახელი გამოიყენოს და ნაწარმი შემდეგ უკან, ამერიკაში შეიტანოს, მაშინ ამერიკული ქარხნის მუშები უმუშევრები რჩებიან, მაგრამ ამერიკელ მომხმარებლებს საქონლის შეძენა უფრო იაფად შეუძლიათ. ასეთი ნაბიჯი მძიმედ აწვება შედარებით მცირე რაოდენობის მუშებს, ხოლო მცირედი სარგებელი ნაწილდება ბევრ მომხმარებელზე.

იგივე ლოგიკით, პროტექციონისტული ზომებით მეტად სარგებლობს მოსახლეობის მცირე ნაწილი, ხოლო მისი მცირე ხარჯი ნაწილდება ბევრზე. ერთ-ერთი შეფასებით, 2002-2003 წლებში ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაციის მიერ შემოღებული ფოლადის 20 პროცენტიანი ტარიფი მომხმარებელს დაუჯდა შვიდი მილიარდი აშშ დოლარი, მაგრამ შენარჩუნდა 7 300 სამუშაო ადგილი (ერთ ადგილი უდრიდა 326 ათასი აშშ დოლარს). ანუ, 7 300-მა მუშამ (მათმა პროფკავშირებმა და ფირმებმა) ძალიან იხეირეს, ხოლო დაახლოებით 20 დოლარიანი ხარჯი აშშ-ს თითოეულ მოქალაქეზე სულაც არ იგრძნობოდა. ანალოგიურად, ტრამპის ადმინისტრაციამ შემოიღო 30 პროცენტიანი ტარიფი მზის პანელებზე 2018 წელს, რასაც ამ დარგში სამუშაო ადგილები უნდა დაეცვა. თუმცა, ამბობდნენ, რომ ზოგადად ამით უფრო მეტი სამუშაო ადგილი დაიკარგებოდა, რადგან მზის პანელებზე ფასების გაზრდა შეამცირებდა გაყიდვებს, რაც, თავის მხრივ, გააქრობდა სამუშაო ადგილებს მზის პანელების დამონტაჟების მიმართულებით. ხარჯებისა და სარგებლის ამგვარი უთანასწორო გადანაწილება ხშირად აჩენს პოლიტიკურ პრობლემას თავისუფალი ვაჭრობისთვის, მაშინაც კი, როცა საერთო ეკონომიკური სარგებელი აღემატება კონკრეტულ ხარჯებს. მუშათა ან სამრეწველო ინტერესთა ჯგუფები უფრო მობილიზდებიან „კონცენტრირებული“ ხარჯების წინააღმდეგ (სამუშაო ადგილების დაკარგვა), ვიდრე მომხმარებელთა ჯგუფები ფართო ფენებზე გადანაწილებული დანაკარგების გამო.

5.1.3 პოლიტიკური ჩარევა ბაზრებში

თავისუფალი და ეფექტიანი ბაზარი მოითხოვს მრავალი გამყიდველისა და მყიდველის არსებობას, რომლებსაც მეტნაკლებად სრულყოფილი ინფორმაცია აქვთ ბაზრის შესახებ. გარდა ამისა, მონაწილეთა მიერ ერთმანეთთან საქმის დაჭერის სურვილზე ზეგავლენას არ უნდა

ახდენდეს პირადი (ან პოლიტიკური) პრეფერენციები და ამის ნაცვლად, ის უნდა იმართებოდეს მხოლოდ ფასისა და ხარისხის შესახებ მოსაზრებებით. ამ პირობებიდან გადახრა, რასაც *ბაზრის არასრულყოფილებასაც* უწოდებენ, ამცირებს ეფექტიანობას.


საერთაშორისო ვაჭრობა უფრო ხშირად ხორციელდება მსოფლიო საბაზრო ფასებში, ვიდრე შიდაეკონომიკური გაცვლები. არ არსებობს მსოფლიოს მთავრობა, რომელიც ფლობს მრეწველობის დარგებს, გამოყოფს სუბსიდიებს ან არეგულირებს ფასებს. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ბაზრებზე ხშირად ახდენს გავლენას პოლიტიკა. როდესაც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი მონაწილეები სახელმწიფოები არიან, მონაწილეთა რაოდენობა ხშირად მცირეა. როდესაც კონკრეტული ნაწარმის მხოლოდ ერთი მომწოდებელი არსებობს, რასაც *მონოპოლია* ეწოდება, მაშინ მომწოდებელს შეუძლია საკუთარ ნაწარმზე ძალიან მაღალი ფასი დააწესოს. მონოპოლიის ერთ-ერთი ფორმაა *ოლიგოპოლია*, როდესაც მონოპოლიური მდგომარეობა რამდენიმე მსხვილ მოთამაშეს აქვს, რაც მათ სამუალებას აძლევს, ფარულად ან ღიად მოახდინონ მოქმედებების კოორდინირება ფასების გაზრდის მიზნით. სახელმწიფოების მიხედვით კომპანიების დაჯგუფების კვალდაკვალ იზრდება მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების ჩამოყალიბების ალბათობა.

საერთაშორისო ვაჭრობაში ბაზრის კიდევ ერთ არასრულყოფილებას წარმოადგენს *კორუფცია*, რაც გულისხმობს, რომ ინდივიდებმა შეიძლება შემოსავალი მიიღონ არასაბაზრო ფასებით ვაჭრობისგან. ვაჭრობაში ჩართულმა სახელმწიფომ ან კომპანიამ შესაძლოა დაჯარგოს გარკვეული სარგებელი, მაგრამ კონკრეტულმა თანამდებობის პირმა ან კომპანიის წარმომადგენელმა უფრო გაზარდოს პირადი მოგება. პოლიტიკა ადგენს სამართლებრივ ჩარჩოს ბაზრებისთვის, რაც უზრუნველყოფს მონაწილეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას, მყიდველთა მიერ შეძენილი საქონლისთვის თანხის გადახდას, ყალბი ფულის გამოყენების პრევენციას და ა.შ. უსაფრთხოების პოლიტიკის მსგავსად, წესების კოდიფიცირება შეიძლება მოხდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებში, თუმცა მათი აღსრულება დამოკიდებულია ნაცვალგების პრინციპის პრაქტიკაში განხორციელებაზე (იხ. თავი 3).

გადასახადები ბაზრებზე პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენის კიდევ ერთი სახეა. გადასახადების მეშვეობით სახელმწიფო იღებს შემოსავალს და სტიმულების დაწესებით არეგულირებს ეკონომიკურ აქტიურობას. მაგალითად, სახელმწიფომ შესაძლოა დაბალი გადასახადები დაუწესოს უცხოურ კომპანიებს იმაზე გათვლით, რომ უცხოური კომპანიები ქვეყანაში შემოვლენ და ინვესტიციებს განახორციელებენ. უშუალოდ საერთაშორისო ვაჭრობაზე დაწესებული გადასახადები, რასაც *ტარიფები* ეწოდება, ხშირად საერთაშორისო კონფლიქტის გამომწვევ მიზეზად გვევლინება (იხ. პროტექციონიზმი).

სანქციები პოლიტიკური ჩარევა თავისუფალ ბაზარში განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც სახელმწიფოები აწესებენ სანქციას გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობაზე ან გარკვეული ეკონომიკური აქტორების წინააღმდეგ. ასეთ დროს პოლიტიკური ძალა კრძალავს ეკონომიკურ გაცვლას, რომელიც სხვა შემთხვევაში შესაძლოა ორმხრივად სასარგებლო ყოფილიყო. 2018 წლის მდგომარეობით, აშშ-ს 16 ქვეყანასთან მიმართებაში ჰქონდა დაწესებული სავაჭრო შეზღუდვები ამ ქვეყნების პოლიტიკურ ქმედებებზე, მაგალითად ადამიანის უფლებების დარღვევებზე, პასუხად.

სანქციების აღსრულება ყოველთვის რთული ამოცანაა, რადგან მონაწილეებს აქვთ ფინანსური სტიმული, რომ სანქციებს გვერდი აუარონ შავი ბაზრების ან სხვა გზების გამოყენებით. ფართო, მრავალმხრივი მხარდაჭერის გარეშე, სანქციების დაწესება, როგორც წესი, წარუმატებლად მთავრდება. მაგალითად, 2012 წელს, ინდოეთმა, ირანული ნავთობის მთავარმა მომხმარებელმა, ირანში სავაჭრო დელეგაცია მიავლინა, რათა ირანზე დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად შექმნილი შესაძლებლობებით ესარგებლა. სანქციების აღსრულების პრობლემა ეხმიანება ზემოთ უკვე გამოთქმულ ზოგად მოსაზრებას, რომ ძალა საერთაშორისო პოლიტეკონომიაში უფრო გაბნეულია ქვეყნებს შორის ვიდრე საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ურთიერთსასარგებლო ეკონომიკურ ვაჭრობაში მონაწილეობაზე უარი ხშირად უფრო აზიანებს მის ავტორს, ვიდრე სამიზნე ქვეყანას, თუკი მის აღსრულებაში არ მონაწილეობს თითქმის ყველა სხვა ქვეყანა (სანქციების აღსრულება კოლექტიური საქონლის პრობლემის ერთ-ერთი ფორმაა). ირანის შემთხვევაში ნლები დასჭირდა, ვიდრე ევროპელები და სხვა წამყვანი სახელმწიფოები აშშ-ს პოზიციას გაიზიარებდნენ (რომ არაფერი ვთქვათ ინდოეთზე) ისეთი სანქციების დაწესების თაობაზე, რომელიც ირანის ეკონომიკას დააზარალებდა. ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც უკავშირდებოდა 2015 წელს დასავლურ სახელმწიფოებსა და ირანს შორის მიღწეული ბირთვულ შეთანხმებას (რომლითაც ირანს სანქციები მოეხსნა მის ბირთვულ პროგრამაზე შეზღუდვების დაწესების სანაცვლოდ), იყო ის, რომ თუკი ირანი დაარღვევდა შეთანხმებას, სანქციების ახლიდან დაწესება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, ამ საკითხზე საერთაშორისო თანამშრომლობის მიღწევის სირთულიდან გამომდინარე.



სანქციები „იძბინება" ეკონომიკური სანქციები, ანუ ვაჭრობისა და ბიზნესის წარმოებაზე დაწესებული საერთაშორისო შეზღუდვები, ბაზრებში პოლიტიკური ჩარევის ყველაზე ამყარა გზას წარმოადგენს. სანქციების აღსრულება რთულია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ყველა სახელმწიფო არ უჭერს მხარს, რადგანაც ბიზნესის კეთება მოგებიანია. აშშ-მ და ევროპამ ვენესუელას დაუწესეს მკაცრი სანქციები, რამაც წვლილი შეიტანა ამ ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისში. კრიზისთან გასამკლავებლად ვენესუელამ ახალი ფული დაბეჭდა 2017 წელს. სურათზე, ადამიანები ცვლიან ძველ ფულს ახალში, იმ იმედით, რომ ახალი ძალას არ დაკარგავს.

ავტარკია (autarky)
საკუთარ თავზე დამოკიდებულების პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ვაჭრობის მინიმუმამდე შემცირებას და ყველა საქირო (ან სასიცოცხლო მნიშვნელობის) პროდუქტის ქვეყანამივე, საკუთარი ძალებით წარმოებას.

ავტარკია სხვა სახელმწიფოებზე დამოკიდებულების თავიდან არიდების ერთ-ერთ ყველაზე ამკარა გზას, განსაკუთრებით სუსტი სახელმწიფოსთვის, რომლის სავაჭრო პარტნიორებიც უფრო ძლიერები არიან, წარმოადგენს ვაჭრობაზე უარის თქმა და ამის სანაცვლოდ ყველაფრის ქვეყნის შიგნით წარმოება. ასეთ სტრატეგიას საკუთარ თავზე დამოკიდებულებას ან **ავტარკიას** უწოდებენ. თუმცა, ამგვარი პოლიტიკა არაეფექტურია. საკუთარ თავზე დამოკიდებულ სახელმწიფოს ძალიან ძვირი უჯდება იმ საქონლის წარმოება, რომელშიც შედარებითი უპირატესობა არ გააჩნია. სხვა სახელმწიფოების ურთიერთთანამშრომლობის ფონზე, რომლებიც ცდილობენ სიმდიდრის ერთობლივად გაზრდას, ავტარკიული სახელმწიფოს ფარდობითი სიძლიერე საერთაშორისო სისტემაში სულ უფრო მცირდება.

ავტარკიასთან დაკავშირებული პრობლემების ნათელ მაგალითს წარმოადგენს ჩინეთის გამოცდილება. 1950-იან და 1960-იან წლებში აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ ჩინეთზე დაწესებული ეკონომიკური ემბარგოს შედეგად გამოწვეული ეკონომიკური იზოლაცია კიდევ უფრო გაღრმავდა 1960-იანი წლების ბოლოს დაწყებული კულტურული რევოლუციის დროს, როდესაც ჩინეთმა საბჭოთა კავშირთანაც გაწყვიტა ურთიერთობა. იმ პერიოდში ჩინეთმა უარი თქვა ყველაფერ უცხოურზე. აღნიშნული მოდელი შეიცვალა 1980-იან წლებში, როდესაც ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკისთვის გაიხსნა. ვაჭრობის სწრაფმა გაფართოებამ, ისევე როგორც ქვეყნის შიგნით გატარებულმა საბაზრო-ეკონომიკურმა რეფორმებმა, ჩინეთს შედეგად სწრაფი ეკონომიკური ზრდა მოუტანა.

5.1.4 პროტექციონიზმი

პროტექციონიზმი (protectionism)
შიდა მრეწველობის დაცვა საერთაშორისო კონკურენციისგან სავაჭრო ტარიფების და სხვა მეთოდების გამოყენებით.

მიუხედავად იმისა, რომ ავტარკიის სტრატეგიას ცოტა ქვეყანა თუ მისდევს, ბევრი სახელმწიფო ცდილობს საერთაშორისო ვაჭრობის მანიპულირებას საკუთარი წარმოების გასაძლიერებლად და მსოფლიო ბაზრებისგან დასაცავად. ასეთი ტიპის პოლიტიკას ფართო გაგებით **პროტექციონიზმი,** ანუ შიდა მრეწველობის საერთაშორისო კონკურენციისგან დაცვა ეწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი ფართო სპექტრის სავაჭრო პოლიტიკურ მიდგომებს აერთიანებს, რომელთაც სხვადასხვა საფუძველი გააჩნიათ, ყველა მათგანი უპირისპირდება ლიბერალიზმს, რადგან მიზნად ისახავს სახელმწიფოს (ან მის შიგნით არსებული აქტორების) უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას თავისუფალ ბაზარში ჩარევის გზით, რაც, როგორც წესი, გულისხმობს კონკურენტული პროდუქციის ან მომსახურების იმპორტის შეზღუდვას.

სახელმწიფოს მიერ შიდა მრეწველობის დაცვის მოტივაციას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. ხშირად მთავრობები უბრალოდ ცდილობენ დააკმაყოფილონ მნიშვნელოვანი შიდა მრეწველობის დარგების და ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკური მოთხოვნები, საერთო-ეროვ-

ნული ინტერესების გათვალისწინების გარეშე. მრეწველობის კონკრეტულმა დარგმა შესაძლოა ლობირება მოახდინოს ან ფული შესწიროს შესაბამისი პოლიტიკური სუბიექტის საარჩევნო კამპანიას, სპეციალური საგადასახადო შეღავათების და სუბსიდიების მოპოვების, ან კონკურენტულ იმპორტულ საქონელზე შეზღუდვების დაწესების სანაცვლოდ. ზოგჯერ სახელმწიფოები ცდილობენ, დაიცვან „ჩანასახოვანი ინდუსტრია“, რომელიც სახელმწიფოში პირველად იწყებს ფუნქციონირებას, ვიდრე ის მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი არ გახდება. პროტექციონიზმის კიდევ ერთ საფუძველს წარმოადგენს შიდა მრეწველობისთვის „სულის მოთქმის“ საშუალების მიცემა, როდესაც საბაზრო პირობები იცვლება ან ახალი კონკურენტები ჩნდებიან.



უბრალოდ შაქრით სავსე სატვირთო მანქანა პროტექციონიზმი მიმართავს სხვადასხვა გზებს, რათა არ დაუშვას უცხოური იმპორტის საშინაო პროდუქტებთან კონკურენცია. სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლები გლობალურ სამხრეთში ჩივიან, რომ ევროპასა და შეერთებულ შტატებში გამოყენებული სუბსიდიები და სხვა პროტექციონისტული ზომები ღარიბ ფერმერებს განვითარებადი ქვეყნებიდან ხელს უშლის პროდუქციის მსოფლიო ბაზრებზე გატანაში. სურათზე, შაქრის ლერწამი გადამუშავების მოლოდინში ტაილანდში, სადაც შაქარზე დაბალმა ფასებმა ძალიან აზარალა ფერმერები, 2016 წ.

სახელმწიფოები ასევე იცავენ ისეთ წარმოებებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ეროვნული უსაფრთხოებისთვის. 1980-იან წლებში, აშშ-ის მთავრობა ცდილობდა, იაპონელი კონკურენტებისგან დაეცვა აშშ-ის ელექტრონული და კომპიუტერული მოწყობილობების წარმოება, რადგან ამ ტიპის პროდუქციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო ინდუსტრიისთვის. აშშ-ის მთავრობის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა აშშ-ის კომპიუტერული ჩიპების მწარმოებელი კომპანიების კონსორციუმი (სხვა შემთხვევაში, მთავრობა ხელს შეუშლიდა ასეთი კონსორციუმის ჩამოყალიბებას ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე დაყრდნობით), რომელიც მიზნად ისახავდა იაფი ჩიპების წარმოების შესაძლებლობების განვითარებას. ეკონომიკური საქმიანობის უმეტეს ასპექტში ავტარკია არამომგებიანია, მაგრამ სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოების მიზნით, სახელმწიფოები მზად არიან, დათმონ გარკვეული ეკონომიკური ეფექტიანობა, ომის შემთხვევაში საკუთარ თავზე დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად და მოწყვლადობის შესამცირებლად.

და ბოლოს, პროტექცია შეიძლება მოტივირებული იყოს უცხოური კომპანიების ან სახელმწიფოების მტაცებლური პრაქტიკისგან თავდაცვის სურვილით. ზოგადად, მტაცებლობა გულისხმობს მსოფლიო ბაზრის დიდი ნაწილის, ან თითქმის მონოპოლური მდგომარეობის უსამართლოდ ხელში ჩაგდებას, რის შედეგადაც „მტაცებელს“ ეძლევა კონკურენციის გარეშე ფასების თვითნებურად გაზრდის შესაძლებლობა. უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი მცდელობის დროს ხდება უცხოურ ბაზრებზე

პროდუქციის **დემპინგი**, ანუ პროდუქციის შეტანა მოგების მისაღებად საქირო მინიმალურ საბაზრო ფასზე დაბალ ფასად. არსებობს აზრთა დიდი სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, ამგვარი ფასები მტაცებლურია თუ უბრალოდ კონკურენტული. ასეთი კონფლიქტების მოგვარება ამჟამად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მეშვეობით ხდება (იხ. სავაჭრო რეჟიმები).

დემპინგი (dumping)
პროდუქტის გაყიდვა უცხოურ ბაზრებზე მოგების მისაღებად საქირო ფასზე უფრო იაფად (ან პროდუქტის თვითღირებულებაზე იაფად).

პროტექციონიზმის განსხვავებული მოტივატორების მსგავსად, მთავრობები პროტექციონისტული პოლიტიკის გასატარებლადაც სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებენ. ყველაზე მარტივი ინსტრუმენტია **ტარიფი** (ან ბაჟი), რომელიც ზოგიერთი ტიპის იმპორტულ საქონელზე დაწესებული გადასახადია (როგორც წესი, ამ საქონლის ღირებულების გარკვეული პროცენტი). მას იმპორტიორი საქონლის ქვეყანაში შეტანისას იხდის. ტარიფები არა მხოლოდ ზღუდავს იმპორტს, არამედ სახელმწიფოს შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროსაც შეიძლება წარმოადგენდეს. თუ სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას აპირებს, საერთაშორისო ნორმებისთვის უფრო მისაღებია ტარიფების დაწესება, რადგან ისინი ღიად დადგენილია და არა ფარული. სახელმწიფოთა უმრავლესობას ტარიფების ვრცელი და კომპლექსური ნუსხები აქვს ათასობით კატეგორიისა და ქვეკატეგორიის საქონელზე, რომლებიც წარმოებების მიხედვითაა დახარისხებული.

ტარიფი (tariff)
ზოგიერთი ტიპის იმპორტული საქონლის ქვეყანაში შეტანაზე დაწესებული ბაჟი ან მოსაკრებელი (როგორც წესი, მისი ღირებულების გარკვეული პროცენტი).

იმპორტის შეზღუდვის კიდევ ერთ მეთოდს წარმოადგენს ვაჭრობისთვის **არასატარიფო ბარიერების** დაწესება. იმპორტი შესაძლოა შეიზღუდოს კვოტირებით. კვოტა არის დადგენილი მაქსიმუმი, თუ კონკრეტული ტიპის საქონლის რა მოცულობის იმპორტია ნებადართული. ის ამ კონკრეტული ტიპის საქონლის იმპორტის შეზღუდვის მიზნით გამოიყენება. აღნიშნული მიდგომის ექსტრემალურ ვარიანტს წარმოადგენს კონკრეტული ტიპის საქონლის (ან კონკრეტულ ქვეყანაში წარმოებული საქონლის) პირდაპირი აკრძალვა. აშშ-ის მთავრობა კვოტებს იყენებდა ამერიკულ ბაზრებზე იაპონური მანქანების იმპორტის შესაზღუდად 1980-იან წლებში, როდესაც, იაპონელ კონკურენტებთან შედარებით, მკვეთრად გაუარესდა აშშ-ის საავტომობილო ინდუსტრიის პოზიციები. ამ კვოტების უმრავლესობა ნებაყოფლობითი იყო იმ გაგებით, რომ იაპონიამ და აშშ-მ შეძლეს შეთანხმების მიღწევა ორივე მხარისთვის ხელსაყრელ ზღვრებთან დაკავშირებით.

არასატარიფო ბარიერები (nontariff barriers)
იმპორტის შეზღუდვის არასატარიფო ფორმა, მაგალითად კვოტები (კონკრეტული ტიპის საქონლის იმპორტზე დაწესებული ზედა ზღვარი).

ორი არასატარიფო ბარიერი, რომელთან დაკავშირებით ყველაზე ხშირია დავები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, არის სუბსიდიები და რეგულაციები. *სუბსიდია* წარმოადგენს შიდა ინდუსტრიის დაფინანსებას, რომელიც მას აძლევს ფასების დაწევის შესაძლებლობას მოგების შემცირების გარეშე. ასეთი სუბსიდიები ვრცელდება სახელმწიფო საწარმოებზე, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით. ახალშექმნილი ან რთულ უცხოურ კონკურენციაში ჩაბმული ინდუსტრიებისთვის განკუთვნილი სუბსიდიები მოიცავს *საგადასახადო შეღავათებს, კრედიტებს* (ან

დაზღვეულ კერძო სესხებს) ხელსაყრელი პირობებით ან მთავრობების მიერ გადახდილ მაღალ *გარანტირებულ ფასებს*. სავაჭრო მოლაპარაკებების დოჰას რაუნდზე მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის უთანხმოების მთავარ საგანს წარმოადგენდა ფერმერებისთვის განკუთვნილი სუბსიდიები. 2010 წელს, აშშ-მ და ბრაზილიამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შეძლეს ამერიკელი ბამბის მწარმოებლების სუბსიდირების შესახებ არსებული დავის მოგვარება. აღნიშნული დავის მოგვარებამდე, ბრაზილია, ორგანიზაციის თანხმობით, აშშ-ისთვის დაახლოებით 830 მლნ აშშ დოლარის მოცულობის სანქციების დაწესებას აპირებდა.

სუბსიდიები აშშ-ევროპის დაპირისპირების ხშირი საფუძველია და ეხება ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკას (იხ. თავი 6). სუბსიდიები სოფლის მეურნეობის სფეროს მიღმაც პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხია. ევროპული საჰაერო-კოსმოსური კომპანია, რომელიც ევროკავშირისგან იღებს დაფინანსებას, ხშირად მონაწილეობს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში. ამერიკული კომპანიები ჩივიან, რომ ევროკავშირის კომპანიასთან კონკურენცია რთულია, რადგან სუბსიდიების მეშვეობით, ევროპულ კომპანიას უფრო კონკურენტული ფასის შეთავაზება შეუძლია. შესაბამისად, სუბსიდიების საკითხმა სავაჭრო პოლიტიკიდან უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროშიც გადაინაცვლა.

იმპორტი შეიძლება შეიზღუდოს *რეგულაციებითაც*, რომლებიც მაშინაც კი ართულებს პროდუქციის დისტრიბუციას და მარკეტინგს, როდესაც იმპორტზე აკრძალვა არ მოქმედებს. ამერიკული პროდუქციის იაპონიაში მარკეტინგთან დაკავშირებით, ამერიკელი მწარმოებლები უჩივიან რთულ ბიუროკრატიულ რეგულაციებსა და კორპორაციული ალიანსების მჭიდრო სისტემას, რომელიც ხელს უწყობს იაპონური წარმოებების უზრუნველყოფას იაპონელი მწარმოებლებისვე დამზადებული ნაწილებით. არასატარიფო ბარიერების როლი ასევე შეიძლება შეასრულოს გარემოს დაცვის და შრომის რეგულაციებმა. ამან მნიშვნელოვანი დაპირისპირება გამოიწვია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, როდესაც ევროკავშირმა აკრძალა ძირითადად აშშ-დან ექსპორტირებული გენმოდიფიცირებული კულტურების შეტანა. ბოლოს, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც სახელმწიფო ახდენს მთლიანი დარგის, მაგალითად ნავთობწარმოების ან საბანკო სექტორის, ნაციონალიზებას, უცხოური კონკურენცია მთლიანად ისპობა.

ზოგიერთ შემთხვევაში, იმპორტისთვის ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის კულტურა და არა ქვეყნის ქმედება. მოქალაქეები შესაძლოა იზიარებდნენ (მთავრობის წახალისებით ან მის გარეშე) ეკონომიკური ნაციონალიზმის ფილოსოფიას, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის გამოყენებას საერთაშორისო სიძლიერის გასაზრდელად და საერთაშორისო სისტემაში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (რაც მერკანტილიზმის ფორმას წარმოადგენს). მაგალითად, ამერიკელი მოქალა-

ქვეები ზოგჯერ არ ითვალისწინებენ ლიბერალი ეკონომისტების რჩევას საუკეთესო პროდუქტის საუკეთესო ფასად შეძენის შესახებ და ამის ნაცვლად „ყიდულობენ ამერიკულს“, თუნდაც ამისთვის ოდნავ უფრო მეტის გადახდა იყოს საჭირო. ასეთი მიკერძოებულობა ამცირებს მსოფლიო ნარმოების საერთო ეფექტიანობას, მაგრამ ხელს აძლევს ამერიკელ მუშებს.

პროტექციონიზმს ეკონომიკაზე აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გავლენა. ის ხშირად ხელს უწყობს მწარმოებლებს, მაგრამ ზარალებს მომხმარებლებს. მაგალითად, 1980-იან წლებში იაპონურ იმპორტზე შეზღუდვით იხეირეს აშშ-ს ავტომწარმოებლებმა, მაგრამ ავტომომხმარებლებმა მანქანებში გადაიხადეს უფრო მეტი (რამდენიმე ასეული დოლარით მეტი ერთ სულზე). პროტექციონიზმის კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ შიდა ინდუსტრიამ შესაძლოა ისარგებლოს პროტექციონიზმით და არ მოახდინოს საჭირო გაუმჯობესება, შედეგად კი დარჩეს არაეფექტიანი და არაკონკურენტუნარიანი, განსაკუთრებით მაშინ, როცა პროტექციონისტული პოლიტიკა წლების მანძილზე გრძელდება.

5.2 სავაჭრო რეჟიმები

განსაზღვრეთ სულ მცირე ერთი ფაქტორი, რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებებში შექმნილი ჩიხური ვითარების მიზეზია.

ტექნოლოგიების მიერ მსოფლიოს სივრცული ურთიერთდაკავშირების ფონზე, მსოფლიო ეკონომიკურ დღის წესრიგს განსაზღვრავს თავისუფალ ვაჭრობაზე დაფუძნებული გლობალური ინტეგრაციული პროცესი. ამ პროცესში წამყვან როლს ასრულებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.

5.2.1 ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) არის გლობალური, მრავალმხრივი მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს, მონიტორინგს უწევს და არეგულირებს საერთაშორისო ვაჭრობას. რეგიონულ და ორმხრივ მექანიზმებთან ერთად, რომელსაც მოკლედ შევეხებით, იგი ქმნის სახელმწიფოების საერთო მოლოდინებს და პრაქტიკას საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით. ორგანიზაცია არის 1947 წელს მიღებული **ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT)** მემკვიდრე, რომელიც მიზნად ისახავდა თავისუფალი მრავალმხრივი ვაჭრობის ხელშეწყობას. აღნიშნული შეთანხმება უფრო მეტად მოლაპარაკებების ჩარჩოს წარმოადგენდა, ვიდრე ადმინისტრაციულ ინსტიტუტს და რეალურად ვაჭრობას არ არეგულირებდა. შეთანხმების მიღებამდე, უარყოფილ იქნა წინადადებები უფრო ძლიერი ინ-

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (World Trade Organization (WTO))

1995 წელს შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც გააფართოვა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების ტრადიციული ფოკუსი ნაწარმ საქონელზე და შექმნა მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმები.

გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (General Agreement on Tariffs and Trade (GATT))

ჩამოყალიბდა 1947 წელს და მიზნად ისახავდა თავისუფალი მრავალმხრივი ვაჭრობის ხელშეწყობას. ის უფრო მეტად მოლაპარაკებების ჩარჩოს წარმოადგენდა, ვიდრე ადმინისტრაციულ ინსტიტუტს. 1995 წელს გარდაიქმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციად.

სტიტუციური უწყების შექმნასთან დაკავშირებით, რადგან აშშ შიშობდა, რომ ზედმეტი რეგულაცია თავისუფალ ვაჭრობას შეაფერხებდა. მოლაპარაკებების ფორუმის ფუნქციის შესრულების გარდა, გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ხელს უწყობდა სავაჭრო დავების არბიტრაჟს, წესების განმარტებას და სახელმწიფოების მიერ ამ წესების დაცვას.

1995 წელს გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გარდაიქმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციად, რომელმაც შეითავსა მის ფარგლებში არსებული შეთანხმებები ნაწარმ საქონელთან დაკავშირებით და ასევე მოიცვა მომსახურებით ვაჭრობისა და ინტელექტუალური საკუთრების საკითხები. ორგანიზაციას აქვს აღსრულების გარკვეული უფლებამოსილება და საერთაშორისო ბიუროკრატიული აპარატი (600-ზე მეტი ადამიანი), რომელიც მონიტორინგს უწევს თითოეული წევრი სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკას და პრაქტიკას და აგვარებს წევრ სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილ დავებს. ორგანიზაციას გარკვეული გავლენა გააჩნია სახელმწიფოებზე, მაგრამ სხვა ბევრი საერთაშორისო ინსტიტუტის მსგავსად, ეს გავლენა შეზღუდული ხასიათისაა. საზოგადოებრივი უკმაყოფილება საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით (იხ. ქვემოთ) ასახავს იმ მიუღებლობას, რაც ჩნდება უცხოური და არაგამჭვირვალე ორგანიზაციის მიმართ, რომელსაც შეუძლია დემოკრატიულად მიღებულ ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებებისკენ იძულება. თუმცა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია წამყვანი საერთაშორისო ინსტიტუტია, რომელიც ვაჭრობას არეგულირებს და შესაბამიდ, თითქმის ყველა სახელმწიფოს სურს მასში გაწევრიანება და მისი განვითარება.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა დროთა განმავლობაში გაიზარდა. 2018 წლისთვის, ორგანიზაციის წევრი იყო 164 ქვეყანა, მათ შორის, მსოფლიოს ყველა მთავარი სავაჭრო ქვეყანა. რუსეთის განაცხადი წევრობაზე დაკმაყოფილდა 17-წლიანი ლოდინის შემდეგ, 2011 წელს, როდესაც მეზობელი საქართველო დათანხმდა, არ დაებლოკა მისი გაწევრიანება (რისთვისაც ყველა წევრის თანხმობაა საჭირო). პოლიტიკურად არასტაბილური ავღანეთი ორგანიზაციას 2016 წელს შეუერთდა. ამჟამად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებას 20-ზე მეტი სახელმწიფო ცდილობს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ირანი და ერაყია. ათ წელზე მეტი ხნის მოლაპარაკებების შემდეგ, ჩინეთი ორგანიზაციაში გაწევრიანდა 2001 წელს. აშშ და სხვა ქვეყნები წევრობის სანაცვლოდ ითხოვენ გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილებას, მათ შორის პოტენციური წევრების სავაჭრო პრაქტიკის ლიბერალიზაციას. აღნიშნულმა ახალი ტიპის პრაქტიკამ გავლენა იქონია ჩინეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე (იხ. თავი 7).

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საქმიანობა ნაცვალგების პრინციპს ეფუძნება, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფოები თანასწორად ამცირებენ სავაჭრო ბარიერებს ერთმანეთთან მიმართებაში. გარდა

ამისა, ორგანიზაცია ასევე იყენებს არადისკრიმინაციის, იგივე **უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის** პრინციპს, რომელიც გულისხმობს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრმა ქვეყანამ, როდესაც ის სავაჭრო შეღავათებს აწესებს მისთვის ყველაზე სასურველი სავაჭრო პარტნიორისთვის, იგივე უნდა გააკეთოს ორგანიზაციის ყველა სხვა წევრი სახელმწიფოსთვისაც. თუ ავსტრალია საფრანგეთიდან შეტანილ ავტომობილების ნაწილებზე აწესებს 20 პროცენტიან ტარიფს, მაშინ მან აშშ-დან შეტანილ ნაწილებზე არ უნდა დააწესოს 40 პროცენტიანი ტარიფი. ამდენად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია არ სპობს სავაჭრო ბარიერებს, მაგრამ ხელს უწყობს მათ გათანაბრებას გლობალური მასშტაბით, ყველა წევრი სახელმწიფოსთვის თანასწორი პირობების შესაქმნელად. სახელმწიფოებს კვლავ შეუძლიათ საკუთარი წარმოებების დაცვა, მაგრამ არ შეუძლიათ სავაჭრო პარტნიორებში ფავორიტების გამოყოფა. სახელმწიფოებს შეუძლიათ აღნიშნული რეჟიმი გაავრცელონ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის არაწევრ სახელმწიფოებზეც, როგორც ამას აშშ აკეთებდა ჩინეთის შემთხვევაში მის ორგანიზაციაში გაწევრებამდე.

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (most-favored nation (MFN))

პრინციპი, რომლის თანახმადაც ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოსთვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დადგენით, ვალდებულებას იღებს, რომ იგი ამ სახელმწიფოს დაუწესებს იგივე პირობებს, რაც მას მისთვის ყველაზე სასურველი სავაჭრო პარტნიორისთვის აქვს დაწესებული.

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს **პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა**, რომლითაც მდიდარი სახელმწიფოები გარკვეულ სავაჭრო შეღავათებს უდგენენ ღარიბ სახელმწიფოებს ამ უკანასკნელთა ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით. შეღავათები გულისხმობს მდიდარი ქვეყნების დაპირებას ღარიბი ქვეყნებიდან იმპორტის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ფარგლებში გათვალისწინებულ ტარიფებზე კიდევ უფრო დაბალი ტარიფებით განხორციელების შესახებ.

პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა (Generalized System of Preferences (GSP))

მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც 1970-იანი წლებიდან მდიდარმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ღარიბი სახელმწიფოებისთვის სატარიფო შეღავათების დაწესება გარკვეული ტიპის იმპორტზე, რაც უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პრინციპიდან გადახვევას წარმოადგენს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია აგრძელებს ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმებით გათვალისწინებული ფუნქციის შესრულებას, ანუ წარმოადგენს სამართლიანი ნაცვალგების საფუძველზე სავაჭრო ბარიერების შემცირების შესახებ მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების ირგვლივ გამართული მოლაპარაკებების ფორუმს. ასეთ მოლაპარაკებებზე მიღწეულ დეტალურ და კომპლექსურ შეთანხმებებში ზუსტად არის გაწერილი თითოეული სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები, თუ რამდენით და რა დროში უნდა შემცირდეს კონკრეტული სავაჭრო ბარიერები. თითქმის ყველა ასეთი ვალდებულება შიდა პოლიტიკური საფასურის გადახდასთან არის დაკავშირებული, რადგან სახელმწიფოში მოქმედი ინდუსტრიები უცხოური კონკურენციისგან დაცვის გარეშე რჩებიან. მაშინაც კი, როდესაც სხვა სახელმწიფოებიც იღებენ ანალოგიურ ვალდებულებებს, სავაჭრო ბარიერების შემცირება მთავრობებისთვის ხშირად სირთულეს წარმოადგენს.

შედეგად, ასეთ მრავალმხრივ შეთანხმებებზე გამართული მოლაპარაკებები ხანგრძლივად და რთულად მიმდინარეობს და როგორც წესი, წლების მანძილზე, მოლაპარაკებათა რაუნდებად გრძელდება. 1947-1995 წლებში ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების

ეგიდით ჩატარებულ მოლაპარაკებათა ხუთ რაუნდში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო *ურუგვაის რაუნდი*, რომელიც 1986 წელს დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ახალი შეთანხმების ზოგადი კონტურები უკვე რამდენიმე წელიწადში გამოიკვეთა, მოლაპარაკებების დასრულება 1990-1994 წლებში გამართულ დიდი შვიდეულის ხუთ სამიტზე მაინც ვერ მოხერხდა. ურუგვაის რაუნდის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მსოფლიო ეკონომიკის მოგება ყოველწლიურად დამატებით 100 მილიარდი აშშ დოლარით გაიზრდებოდა. თუმცა, ეს ფული კოლექტიურ საქონელს წარმოადგენდა, რომლითაც ერთნაირად ისარგებლებდნენ როგორც ის სახელმწიფოები, რომლებიც დათმობაზე მიდიოდნენ მოლაპარაკებებისას, ისევე ისინიც, რომლებიც ამას არ აკეთებდნენ. საბოლოოდ, შეთანხმებას მიაღწიეს 1994 წლის დასასრულს.

1947 წლიდან გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ მოუწოდებდა ქვეყნებს საკუთარი ინდუსტრიების დასაცავად არასატარიფო ბარიერების ნაცვლად სატარიფო ბარიერების დაწესებისკენ და დროთა განმავლობაში ამ ტარიფების შემცირებისკენ. შეთანხმება ძირითადად ფოკუსირებული იყო ნაწარმ საქონელზე და წარმატებასაც მიაღწია ტარიფის საშუალო მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით – საქონლის ღირებულების 40 პროცენტიდან რამდენიმე ათწლეულის წინ 3 პროცენტამდე 2002 წლისთვის (ურუგვაის რაუნდის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებით). სატარიფო განაკვეთები გაცილებით მაღალია გლობალურ სამხრეთში და დაახლოებით 30 პროცენტს აღწევს (სავარაუდოდ, აღნიშნული მიუთითებს გლობალურ სამხრეთში არსებული ინდუსტრიების უფრო მეტი დაცვის საჭიროებაზე).

სამრეწველო საქონლით ვაჭრობაზე უფრო მეტად პოლიტიკურად მგრძნობიარეა ვაჭრობა სოფლის მეურნეობის დარგში, რომელიც განხილვის საგანი მხოლოდ ურუგვაის რაუნდის დროს გახდა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ამჟამად ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მომსახურებით ვაჭრობას, მაგალითად საბანკო და დაზღვევის სფეროებში. ამ ტიპის ვაჭრობა 2017 წლისთვის მსოფლიო ვაჭრობის მთლიანი მოცულობის ერთ მეოთხედს მიუახლოვდა.

ამ და სხვა მგრძნობიარე სფეროებში ვაჭრობის გაფართოებასთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა 1999 წელს ქ. სიეტლში გამართულ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონფერენციაზე, სადაც ქვეყნების სავაჭრო წარმომადგენლებს იმედი ჰქონდათ, რომ სავაჭრო მოლაპარაკებების ახალ, პოსტ-ურუგვაის რაუნდს დაიწყებდნენ. ღარიბი ქვეყნების წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ მათ ვაჭრობა შემოსავლების გასაზრდელად სჭირდებოდათ და არ შეეძლოთ ინდუსტრიალიზებული ქვეყნების სტანდარტების დაკმაყოფილება (მართლაც, ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში, ინდუსტრიალიზაციის საწყის ეტაპზე ასევე არსებობდა დაბალი ანაზღაურება, მძიმე შრომის პირობები და ხდებოდა გარემოსთვის ზიანის მიყენება). გარემოს დამცველებმა

და შრომის პირობების გაუმჯობესებისთვის მებრძოლმა აქტივისტებმა, რომლებსაც ფანჯრების მსხვრეველი ანარქისტებიც შეუერთდნენ, ქუჩის აქციები გამართეს და კონფერენციის გახსნა ერთი დღით შეაყოვნეს. კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა.

სიეტლის შემდეგ, 2001 წელს სავაჭრო წარმომადგენლები უკვე კატარის დედაქალაქ დოჰაში შეიკრიბნენ და სავაჭრო მოლაპარაკებების ახალი, **დოჰას რაუნდი** დაიწყეს. მოლაპარაკების საკითხებს შორის იყო სოფლის მეურნეობა, მომსახურება, მრეწველობა, ინტელექტუალური საკუთრება, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესები (მათ შორის, ანტიდემპინგური შემთხვევების რეგულირების საკითხები), დავების მოგვარება და ვაჭრობასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. მთავარ დაბრკოლებად კვლავ რჩებოდა ინდუსტრიალიზებული დასავლეთის წინააღმდეგობა, შეემცირებინა სოფლის მეურნეობის დარგში სუბსიდიები, როგორც ამას გლობალური სამხრეთის ქვეყნები ითხოვდნენ.

დოჰას რაუნდი (Doha Round)
ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებების სერია, რომელიც ურუგვაის რაუნდის შემდეგ, კატარის დედაქალაქ დოჰაში დაიწყო 2001 წელს. დოჰას რაუნდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სოფლის მეურნეობის სუბსიდირების, ინტელექტუალური საკუთრების და სხვა საკითხებს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიღწეული, შედარებით მცირე შეთანხმებები იმედს იძლეოდა, რომ დოჰას რაუნდი ახალი გლობალური სავაჭრო შეთანხმებით დასრულდებოდა. 2014 წელს აშშ-სა და ინდოეთს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ სურსათის მარაგების პროგრამისთვის სოფლის მეურნეობის სუბსიდირების შესახებ კიდევ უფრო გაზარდა ამ მხრივ გარღვევის მიღწევის იმედები, მაგრამ ისინი საბოლოოდ დასამარდა 2015 წელს, როცა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ შეაჩერა დოჰას რაუნდი. ორგანიზაცია აგრძელებს ყოველწლიური შეხვედრების გამართვას მინისტრების დონეზე, მაგრამ მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმების მიღწევის დიდი იმედი აღარ არსებობს, თუ გავითვალისწინებთ წევრ ქვეყნებს შორის არსებულ ღრმა განსხვავებებს. მსგავს შეხვედრაზე 2017 წელს ბევრმა ქვეყანამ განაცხადა, რომ დრო იყო მცირე, „ერთნაირად მოაზროვნე" ქვეყნების ჯგუფებში მუშაობისთვის, რათა მიეღწიათ რამდენიმე თემის ირგვლივ პროგრესისთვის. თუმცა, ღიად რჩება კითხვა, როგორ უნდა გადაიქცეს მცირე შეთანხმებები (თუკი ისინი მიიღწა) დიდ, გლობალურ სავაჭრო შეთანხმებად.

ზოგადად, სახელმწიფოები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში საქმიანობას განაგრძობენ იმიტომ, რომ სარგებელი, კერძოდ გლობალური სიმდიდრის შექმნა, აღემატება ხარჯებს, რაშიც იგულისხმება შიდა ინდუსტრიისთვის მიყენებული ზარალი და ახალ რეალობასთან სახელმწიფოს ეკონომიკის შეგუების მტკივნეული პროცესი. მოლაპარაკებების პროცესში სახელმწიფოები წესების თავისთვის სასარგებლოდ შეცვლას ცდილობენ და მოლაპარაკებების რაუნდებს შორის შესაძლოა წესებს დაცვას მცირედით თავიც კი აარიდონ. თუმცა, საერთო სარგებელი ძალიან დიდია იმისთვის, რომ სახელმწიფოებმა მას საფრთხე შეუქმნან მონაწილეობაზე უარის თქმით ან ხშირი სავაჭრო ომებით.

5.2.2 ორმხრივი და რეგიონული შეთანხმებები

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია წარმოადგენს მსოფლიო ბაზრებზე მრავალმხრივი ვაჭრობის საერთო პლატფორმას, საერთაშორისო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი ხორციელდება კონკრეტული საერთაშორისო შეთანხმებების – ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებების ან რეგიონული თავისუფალი ვაჭრობის ზონების მეშვეობით.

ორმხრივი შეთანხმებები ეს შეთანხმებები ორ ქვეყანას შორის ბარიერების ორმხრივი შემცირების მექანიზმებია, რომლებიც, როგორც წესი, ძალიან კონკრეტული ხასიათისაა. მაგალითად, ერთმა ქვეყანამ შეიძლება შეამციროს შეზღუდვა X პროდუქტის იმპორტზე (რომლის ექსპორტსაც მეორე ქვეყანა კონკურენტულ ფასში ახორციელებს), ხოლო მეორე ქვეყანამ შეამციროს ტარიფი Y პროდუქტის იმპორტზე (რომელიც ექსპორტზე პირველ ქვეყანას გააქვს). ყოვლისმომცველი შეთანხმება, როგორიც მაგალითად კანადას და ინდოეთს შორის გაფორმდა 2007 წელს, როგორც წესი, კონკრეტული ინდუსტრიებისა და ნაწარმის შესახებ უკიდურესად ვრცელ დეტალიზაციას მოიცავს. ორმხრივობის პრინციპზე დაფუძნებული შეთანხმებების უმრავლესობის მსგავსად, სავაჭრო ხელშეკრულებები ძალიან კომპლექსურია და მუდმივ მონიტორინგს საჭიროებს. აშშ-ის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები სამხრეთ კორეასთან, პანამასთან და კოლუმბიასთან ძალაში 2011 წელს შევიდა.

ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმებისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებების ლაბირინთებიდან თავის დაღწევა და ტარიფებისა და პრეფერენციების სისტემის გამარტივება. აღნიშნული მიზანი მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა, რადგან ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებები კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. აღნიშნული ტიპის შეთანხმებების უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ისინი ამცირებს მრავალმხრივი მოლაპარაკებებისთვის დამახასიათებელი კოლექტიური სიჯეთის პრობლემას და თანამშრომლობის მისაღწევად ხელს უწყობს ორმხრივობის პრინციპს. როდესაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მოლაპარაკებები ჩიხში შედის, ვაჭრობას ბიძგს სწორედ ორმხრივი შეთანხმებები აძლევს. უკანასკნელ ათწლეულში ორმხრივი შეთანხმებების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მათი რაოდენობა მკვეთრად აღემატება ერთად აღებული ყველა სხვა ტიპის შეთანხმებების რაოდენობას.

თავისუფალი ვაჭრობის ზონები მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურაში ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული თავისუფალი ვაჭრობის ზონები. ასეთ ზონებში, მეზობელ ქვეყანათა ჯგუფი თანხმდება სავაჭრო ბარიერების უმეტესი ნაწილის ან სრულად გაუქმებას. ვაჭრობის ზონების მიღმა, სახელმწიფოებმა შეიძლება შეამცირონ სავაჭრო ბარიერები და ერთიანი ტარიფები დაუწესონ შეთანხმების გარეთ მყოფ სახელმწიფოებს. აღნიშნულ

მექანიზმს საბაჟო კავშირი ეწოდება. თუ საბაჟო კავშირის წევრები გადაწყვეტენ სხვა სფეროების, მაგალითად სავალუტო გაცვლის კოორდინირებას, მაშინ საბაჟო კავშირი ერთიან ბაზრად გარდაიქმნება. ნებისმიერი ტიპის რეგიონული სავაჭრო შეთანხმების გაფორმება სახელმწიფოთა ჯგუფს შესაძლებლობას აძლევს, ითანამშრომლონ საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად და არ დაელოდონ დანარჩენ მსოფლიოს.

ყველაზე მნიშვნელოვანი თავისუფალი ვაჭრობის ზონა ევროპაშია, რომელიც ევროკავშირის ფარგლებში შეიქმნა, მაგრამ მასში მონაწილე ქვეყნების რიცხვი უფრო დიდია. ევროპაში მრავალი პატარა, ინდუსტრიალიზებული სახელმწიფოა, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ. შესაბამისად, ერთიანი ინტეგრირებული ბაზრის შექმნა ამ სახელმწიფოებს ისეთივე ეკონომიკური უპირატესობის მოპოვების საშუალებას აძლევს, რომელიც აშშ-ის მსგავს დიდ სახელმწიფოს ბუნებრივად გააჩნია. საერთო ჯამში, ევროპული თავისუფალი ვაჭრობის ექსპერიმენტი საკმაოდ წარმატებული გამოდგა და ხელი შეუწყო ევროპაში სიმდიდრის დაგროვებას (იხ. თავი 6).

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (North American Free Trade Agreement (NAFTA))

თავისუფალი ვაჭრობის ზონა, რომელიც 1994 წლიდან აერთიანებდა აშშ-ს, კანადას და მექსიკას. 2020 წლიდან ჩაანაცვლა აშშ-მექსიკა-კანადის შეთანხმებამ (United States–Mexico–Canada Agreement (USMCA).

1994 წელს, აშშ-მ, კანადამ და მექსიკამ ხელი მოაწერეს **ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას**, რომელსაც წინ უძღოდა 1988 წელს აშშ-სა და კანადას შორის გაფორმებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. აღნიშნული სამმხრივი შეთანხმების ხელმოწერიდან პირველ ათწლეულში, აშშ-ის იმპორტი მექსიკიდან და კანადიდან ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა და შემდეგ გარკვეულწილად შემცირდა (1999 წლიდან). კანადა და მექსიკა წარმოადგენდნენ აშშ-ის რიგით პირველ და მესამე სავაჭრო პარტნიორებს (მეორე ადგილს იაპონია იკავებდა). თავდაპირველად, 1994-95 წლებში, მექსიკის ვალუტა ძალიან გაუფასურდა დოლართან მიმართებით. შეთანხმების მოწინააღმდეგეები აშშ-ში, მათ შორის პროფკავშირები, აკრიტიკებდნენ მექსიკაში არსებულ დაბალ ხელფასებს და სუსტ შრომით კანონმდებლობას. ისინი შიშობდნენ, რომ ეს დაბლა დაწევდა ამერიკულ შრომის სტანდარტებს. გარემოს დამცველები ასევე აკრიტიკებდნენ მექსიკის მყიფე გარემოსდაცვით კანონებს (აშშ-თან შედარებით) და შეთანხმებას განიხილავდნენ როგორც კორპორაციულ ლიცენზიას ამერიკისთვის, დაებინძურებინა გარემო სამხრეთ საზღვრების მიღმა. თუმცა, შემდეგი წლების განმავლობაში არ გამართლდა არც შეთანხმების მხარდამჭერების მოლოდინები დიდი სარგებლის შესახებ და არც მისი მოწინააღმდეგეების პროგნოზები კატასტროფის თაობაზე.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების პოლიტიკოსები უკვე დიდი ხანია საუბრობენ დასავლეთ ნახევარსფეროში ერთიანი თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნაზე ალასკიდან არგენტინამდე, რომელსაც *ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა* ეწოდება. ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონაზე მოლაპარაკებები 2003 წელს დაიწყო და სამიზნე თარიღად 2005 წელი განისაზღვრა. თუმცა, 2001 წლის რეცესიამ და 11 სექტემბრის შემდგომმა უსაფრთხოების ზომებმა გამოიწვია ვაჭრობის შემცი-

რება, ამერიკული კომპანიებისთვის იაფი მუშახელის თვალსაზრისით ჩინეთი უფრო ხელსაყრელი წყარო აღმოჩნდა, ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობაში ხელისუფლებაში მემარცხენე ძალები მოვიდნენ. აღნიშნულ ქვეყნებს ყველაზე მეტად ტარიფებისგან თავისუფალი ვაჭრობა აინტერესებდათ, მაშინ როდესაც აშშ აქცენტს აკეთებდა საკითხთა ფართო სპექტრზე, მათ შორის მომსახურებაზე, ინტელექტუალურ საკუთრებაზე და ფინანსურ გახსნილობაზე. ამჟამად მოლაპარაკებები შეჩერებულია, თუმცა აშშ-მ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანასთან გააფორმა.

2007 წელს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ასეანი (ASEAN)) ათმა სახელმწიფომ შეხვედრა გამართა ჩინეთის, იაპონიის, ინდოეთის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენლებთან აღმოსავლეთაზიური თავისუფალი ვაჭრობის ზონის თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად. აზია-წყნარი ოკეანეთის ზოგიერთი სხვა მთავრობათაშორისი ორგანიზაციებისგან განსხვავებით, აშშ ამ ჯგუფის წევრი არ არის, თუმცა ის აერთიანებს მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარს და რამდენიმე ყველაზე დინამიკურად განვითარებად ეკონომიკას. ასოციაციის წევრ სახელმწიფოებსა და ჩინეთს შორის გამართული მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და 2010 წელს ამ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ზონა ამოქმედდა. ასეან-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მსოფლიოში სიდიდით მესამე თავისუფალი ვაჭრობის ზონაა, ევროკავშირისა და ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული თავისუფალი ვაჭრობის ზონის შემდეგ.

ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონაზე წარუმატებელი მოლაპარაკებების შემდეგ, აშშ-მ დაიწყო მოლაპარაკებები ე.წ. „თავისუფალი ვაჭრობის მეგაზონების“ ჩამოყალიბებისთვის ნიადაგის მოსასინჯად. ევროკავშირის და აშშ-ის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ტრანსატლანტიკური ვაჭრობისა და საინვესტიციო პარტნიორობის შესახებ (T-TIP), რომელსაც აშშ-სა და ევროკავშირს შორის უნდა უზრუნველეყო ტარიფების და საინვესტიციო ბარიერების შემცირება. გარდა ამისა, აშშ ჩართული იყო მოლაპარაკებებში ტრანსწყნაროკეანური პარტნიორობის (TPP) შესახებ, რომელიც აერთიანებდა ისეთი განსხვავებული ეკონომიკების მქონე ქვეყნებს, როგორებიცაა იაპონია, ჩილე, ახალი ზელანდია, ვიეტნამი, კანადა, მალაიზია, სინგაპური და სხვები. მართალია, ტრანსწყნაროკეანური პარტნიორობის მოლაპარაკებები 2015 წელს დასრულდა, მაგრამ ვიდრე შეთანხმებას კონგრესი განიხილავდა, პრეზიდენტმა ტრამპმა აშშ გამოიყვანა ამ შეთანხმებიდან და ასევე განაცხადა, რომ ქვეყანა არც ტრანსატლანტიკურ შეთანხმებაში მიიღებდა მონაწილეობას. ტრანსწყნაროკეანური პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებმა, იაპონიის მეთაურობით, გააგრძელეს საქმიანობა. 2018 წლის დასაწყისში ტრამპის ადმინისტრაციამ მოინდომა ტრანსატლანტიკურ შეთანხმებაზე მუშაობის განახლება, მაგრამ ევროკავშირმა (საფრანგეთის მეთაურო-

ბით), განაცხადა, რომ არ აწარმოებდნენ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებს იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ შეუერთდნენ კლიმატის ცვლილების პარიზის შეთანხმებას (საიდანაც აშშ გავიდა ტრამპის ადმინისტრაციის დროს. იხ. თავი 8).

ლათინურმა ამერიკამ თავისუფალი ვაჭრობისკენ მიხვეულ-მოხვეული გზით იარა. 1990-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა საერთო ბაზარი მერკოსური (MERCOSUR), რომელიც აერთიანებდა ბრაზილიას, არგენტინას, ურუგვაის და პარაგვაის და ეწინააღმდეგებოდა ორგანიზაციაში ვენესუელას მიღებას. 2012 წელს, პარაგვაის პრეზიდენტის ნაჩქარევი იმპიჩმენტის შემდეგ, ბრაზილიამ მიაღწია მერკოსურში 10 თვით პარაგვაის წევრობის შეჩერებას და დროის ამ მონაკვეთში ვენესუელას გაწევრიანებას. მერკოსურს ასოცირებული წევრების რანგში შეუერთდნენ ჩილე, ბოლივია, კოლუმბია, ეკვადორი და პერუ. აღნიშნული ორგანიზაციის წევრები აშშ-სთან უფრო მეტს ვაჭრობენ, ვიდრე ერთმანეთთან. მიუხედავად ამისა, მათ მაინც წამყვანი როლი ითამაშეს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ერთობლივი სავაჭრო ზონის შექმნის დაბლოკვაში. 2002 წელს, ეს სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ საკუთარი 250 მილიონი მოქალაქისთვის თავისუფალი გადაადგილებისა და ცხოვრების ნებართვა მიეცათ. კარიბის ზღვის აუზის საერთო ბაზარი (კარიბის გაერთიანება (CARICOM)) შეიქმნა 1973 წელს, მაგრამ აღნიშნული ზონა არც საკმარისად დიდია და არც მდიდარი იმისთვის, რომ რეგიონული თავისუფალი ვაჭრობა ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ხელშემწყობად აქციოს. 1969 წელს კოლუმბიამ, ეკვადორმა, პერუმ და ბოლივიამ დააარსეს ამჟამად ანდების ქვეყნების თანამეგობრობის სახელით ცნობილი ჯგუფი, რომელიც მეტნაკლებად წარმატებული გამოდგა. მერკოსურის ქვეყნები დღეს მისი ასოცირებული წევრები არიან. და ბოლოს, 2008 წელს ჩამოყალიბება დაიწყო კონტინენტური მასშტაბის კავშირმა (სამხრეთ ამერიკის ერთა კავშირი (UNASUR)), რომელიც, ევროკავშირის მაგალითით, ცდილობდა მერკოსურისა და ანდების ქვეყნების თანამეგობრობის შერწყმას. კავშირი ოფიციალურად ამოქმედდა 2010 წელს, ურუგვაის მიერ ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ.[1]

თუ ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში არსებული თავისუფალი ვაჭრობის ზონების მსგავსი გაერთიანებები შეძლებენ გაძლიერებას და ახალი ზონების ჩამოყალიბება გაგრძელდება, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია შესაძლოა დასუსტდეს. სახელმწიფოები რაც უფრო მეტად დაიკმაყოფილებენ ეკონომიკური ზრდის პოლიტიკურ მოთხოვნებს ორმხრივი და რეგიონული შეთანხმებების მეშვეობით, მით უფრო ნაკლებად დამოკიდებული იქნებიან ისინი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში შექმნილ გლობალურ შეთანხმებებზე.[2]

1 ბოლო წლებში ორგანიზაცია კრიზისმა მოიცვა და ის ბევრმა წევრმა დატოვა. 2022 წლის მდგომარეობით, კავშირში დარჩა მხოლოდ 4 წევრი – ბოლივია, გაიანა, სურინამი და ვენესუელა. *რედ. შენ.*

2 იხ. შენიშვნა ზემოთ.

საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება


1994 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. შეთანხმების მთავარი მიზანი იყო კანადას, მექსიკასა და შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო და საინვესტიციო ბარიერების აღმოფხვრა. მან ჩაანაცვლა შეერთებულ შტატებსა და კანადას შორის 1988 წლიდან მოქმედი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება.

შეთანხმებასთან თავიდანვე იყო დაკავშირებული წინააღმდეგობები. გარემოს დამცველები, შრომის საკითხებზე მომუშავე ჯგუფები და წარმოების ზოგიერთი დარგი შეერთებულ შტატებში სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ მას. ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ, მექსიკაში შესაბამისი სტანდარტების არარსებობის გამო, შეთანხმება გამოიწვევდა სამუშაო ადგილების შემცირებას აშშ-ში, ასევე ადამიანის უფლებებთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამასთან, შეთანხმებას მხარდამჭერებიც საკმაოდ ჰყავდა ბევრ ბიზნესჯგუფში, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ მისი შედეგი იქნებოდა დაბალი ფასები ამერიკელებისთვის, უკეთესი ეკონომიკური ზრდა და გრძელვადიან პერსპექტივაში, მეტი სამუშაო ადგილები შეერთებულ შტატებში. აშშ-ის თემთა პალატამ და სენატმა დიდი უპირატესობით დაამტკიცეს შეთანხმება, ვინაიდან პრეზიდენტმა კლინტონმა მიაღწია შეთანხმების ორი დამატებითი პროტოკოლის გაფორმებას – ერთი შრომით უფლებებზე და მეორეც გარემოს სტანდარტებზე.

წინააღმდეგობები ჩაცხრა 1990-იანი წლების ბოლოს, როცა აშშ-ს ეკონომიკა წარმატებით იზრდებოდა. თუმცა, 2000-იანების შუაში შეთანხმების კრიტიკოსებმა ისევ აიმაღლეს ხმა – ნაკლებად შრომით უფლებებსა და გარემოს დაცვის პრობლემებზე და უფრო დაკარგული სამუშაო ადგილების გამო, განსაკუთრებით წარმოების სექტორში. 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს ორი კანდიდატი მთავარი პარტიებიდან, რესპუბლიკელი დონალდ ტრამპი და დემოკრატი ბერნი სანდერსი

გრაფიკი 5.4 აშშ-ს საზოგადოებრივი აზრი ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ

წყარო: **Roper Center for Public Opinion**



ირწმუნებოდნენ, რომ შეთანხმება ცუდი იყო შეერთებული შტატებისთვის და მისი დადება შეცდომას წარმოადგენდა.

რას ფიქრობდა ამერიკის საზოგადოება იმავე დროს? გრაფიკი 5.4 გვაჩვენებს, რომ მოსაზრებები შეთანხმების თაობაზე ძალიან იცვლებოდა. საინტერესოა, რომ უშუალოდ მისი ძალაში შესვლის შემდეგ, წინააღმდეგობების მიუხედავად, ბევრ ამერიკელს არ ჰქონდა ჩამოყალიბებული აზრი (დაკვირდით, ადრეულ გამოკითხვებში ორი პასუხის ჯამი ძალიან შორსაა 100 პროცენტისგან). თუმცა, 2005 წლის შემდეგ მოსაზრებები საკმაოდ აღრეულია – ისინი, ვისაც მიაჩნდა, რომ შეთანხმება კარგი იყო შეერთებული შტატებისთვის, ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენდნენ 2005 წელს და კვლავ 2016 წლის შემდეგ.

2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროისთვის თვალსაჩინოა ცვლილება საზოგადოებრივ აზრში – შეთანხმება უფრო პოპულარული ხდება. ეს ცვლილება წინააღმდეგობაში მოდის პრეზიდენტ ტრამპის პოზიციასთან, რომ შეთანხმება ცუდია შეერთებული შტატებისთვის. საზოგადოებრივი განწყობის ამ ცვლილების ერთი შესაძლო ახსნა შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ პრეზიდენტ ტრამპის თავდასხმებმა შეთანხმებაზე აიძულა მისი მომხრეები, უფრო ხმამაღლა ესაუბრათ შეთანხმების სარგებელზე.

წინააღმდეგობები აღნიშნული შეთანხმების შესახებ კვლავ გრძელდება შეერთებულ შტატებში. მიუხედავად პრეზიდენტ ტრამპის დაპირებისა, რომ დაასრულებდა შეთანხმებას, თუკი ვერ მოხერხდებოდა ახალ პირობებზე მოლაპარაკება, ბიზნესისა და წარმოებების დიდი ჯგუფები ეწინააღმდეგებოდნენ ამ პოზიციას. 2018 წელს მოლაპარაკებები გრძელდებოდა.

5.2.3 კარტელები

კარტელი არის კონკრეტული პროდუქტის მწარმოებელთა ან მომხმარებელთა (ან ორივე ერთად) ასოციაცია, რომელიც იქმნება მსოფლიო ბაზარზე ამ პროდუქტზე არსებული ფასის მანიპულირების მიზნით. კარტელი სავაჭრო რეჟიმის უჩვეულო, თუმცა საინტერესო ფორმას წარმოადგენს. მომხმარებლებზე უფრო ხშირად კარტელებს მწარმოებლები ქმნიან, რადგან, როგორც წესი, მწარმოებელთა რაოდენობა მომხმარებელთა რაოდენობაზე გაცილებით ნაკლებია და მათ შეუძლიათ უზრუნველყონ მაღალი ფასების შესანარჩუნებლად საჭირო კოორდინაცია. ფასებზე ზეგავლენის მოსახდენად კარტელები სხვადასხვა მეთოდს იყენებენ, რომელთაგან ყველაზე ეფექტური კარტელის თითოეული წევრის მიერ პროდუქტის წარმოების შეკვეცა და შესაბამისად, მოთხოვნასთან მიმართებაში მიწოდების მოცულობის შემცირებაა.

კარტელი (cartel)

კონკრეტული პროდუქტის მწარმოებელთა ან მომხმარებელთა (ან ორივე ერთად) გაერთიანება, რომელიც ყალიბდება მსოფლიო ბაზარზე აღნიშნულ პროდუქტზე ფასის მანიპულირების მიზნით.

საერთაშორისო ეკონომიკაში ყველაზე ცნობილი კარტელია ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია (ოპეკი). ოპეკის წევრი სახელმწიფოები ყოველწლიურად ასობით მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ნავთობის ექსპორტს ახორციელებენ, რაც მსოფლიო ექსპორტის 43 პროცენტს შეადგენს და საკმარისია ფასებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოსახდენად. (ფასებზე ზეგავლენის მოსახდენად, კარტელს პროდუქტის წარმოებაზე მონოპოლია არ სჭირდება.) ოპეკის ძლიერების ზენიტში, 1970-იან წლებში, მისი ნილი ნავთობით მთლიან ვაჭრობაში კიდევ უფრო დიდი იყო. ოპეკის შტაბბინა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მდებარეობს, სადაც წელიწადში რამდენჯერმე წევრი სახელმწიფოები მოლაპარაკებებს მართავენ თითოული ქვეყნისთვის ნავთობმოპოვების

ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია („ოპეკი". Organization of Petroleum Exporting Countries (OPEC))

საერთაშორისო ეკონომიკაში ყველაზე ცნობილი კარტელი, რომლის წევრებიც მსოფლიოს ნავთობექსპორტის თითქმის ნახევარს აკონტროლებენ, რაც საკმარისია ნავთობის მსოფლიო ფასებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოსახდენად.

კვოტების დასადგენად, რომლის მეშვეობითაც ისინი უზრუნველყოფენ ნავთობზე მსოფლიო ფასების სასურველ ნიშნულზე შენარჩუნებას. ყველაზე მსხვილი ნავთობექსპორტიორი სახელმწიფო საუდის არაბეთია (თუმცა, ნავთობის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი აშშ-ია) და შესაბამისად, მსოფლიო ეკონომიკაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს (იხ. ცხრილი 5.1).

ცხრილი 5.1 ოპეკის წევრი ქვეყნები და ნავთობის წარმოება, 2018 წ.

წევრი სახელმწიფო	მილიონი ბარელი დღეში
საუდის არაბეთი	10.0
ირანი	3.8
ვენესუელა	1.8
ერაყი	4.4
ქუვეითი	2.7
არაბთა გაერთიანებული საამიროები	2.9
ნიგერია	1.7
ანგოლა	1.6
ლიბია	0.5
ალჟირი	1.0
კატარი	0.6
ეკვადორი	0.5
ოპეკის წევრი ქვეყნები ერთად	32.0
წილი მსოფლიოს მასშტაბით	43%

შენიშვნა: ოპეკის არაწევრი წამყვანი ნავთობექსპორტიორი ქვეყნებია რუსეთი, ყაზახეთი, მექსიკა, ჩინეთი, ბრიტანეთი და ნორვეგია. გაბონი ოპეკიდან გავიდა 1995 წელს.[3]

წყარო: მონაცემები აღებულია OPEC Monthly Oil Market Report.

ოპეკი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა პოტენციალი აქვს კარტელს კოლექტიური საქონლის პრობლემის თვალსაზრისით. ოპეკის ცალკეულ წევრებს შეუძლიათ ფარულად დაარღვიონ შეთანხმება ნავთობმოპოვების კვოტების გადაჭარბებით და ამავდროულად, კვლავაც ისარგებლონ ნავთობზე მაღალი ფასის კოლექტიური სიკეთით. კოლექტიური სიკეთე ირღვევა მაშინ, როდესაც ძალიან ბევრი წევრი აჭარბებს კვოტას, როგორც ამას ხშირად აქვს ხოლმე ადგილი ოპეკში. ამის შემდეგ ნავთობზე მსოფლიო ფასები ეცემა. 1990 წელს ოპეკის წევრ ქუვეითში ერაყის შეჭრის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენდა ერაყის ბრალდებები, რომ ქუვეთი აჭარბებდა მოპოვების კვოტას და ამით ნავთობის ფასებს ამცირებდა.

3 2023 წლის მდგომარეობით, ოპეკში 13 ქვეყანაა გაწევრიანებული. გაბონი ოპეკს ისევ დაუბრუნდა 2016 წელს. 2017 წელს კარტელში შევიდა ეკვატორული გვინეა, ხოლო 2018 წელს – კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ამასთან, გავიდნენ ეკვადორი (1992-2007 წლებში და შემდეგ 2020 წელს) და კატარი (2019 წელს). ინდონეზია წევრი იყო 1962-2009 და 2016 წლებში.

ოპეკის გამართულ ფუნქციონირებას განაპირობებს ის გარემოება, რომ ერთ წევრ სახელმწიფოს, კერძოდ კი საუდის არაბეთს საკმარისი ნავთობი აქვს მომარაგების მანიპულირებით ფასების ასაწევ-დასაწევად – აღნიშნული წარმოადგენს ჰეგემონური სტაბილურობის ფორმას კარტელის ფარგლებში (იხ. თავი 2). საუდის არაბეთს შეუძლია დააბალანსოს მსგავსი მაქინაციები ოპეკში და შეინარჩუნოს ფასები მაღალ დონეზე, ხოლო თუ კვოტებთან დაკავშირებულ შეთანხმებას ოპეკის ძალიან ბევრი წევრი დაარღვევს, მას შეუძლია დამრღვევები დასაჯოს ბაზრის ნავთობით გაჯერებით და ფასების დაბლა დაწევით იქამდე, სანამ ოპეკის წევრები გონს არ მოეგებიან.

ზოგადად, კარტელების იდეა ლიბერალურ ეკონომიკას ეწინააღმდეგება, რადგან კარტელები განზრახ ახდენენ თავისუფალი ბაზრების დეფორმაციას. როგორც წესი, მსოფლიო ფასების დონის განსაზღვრისას კარტელებს იმდენი ზეგავლენა არ აქვთ, რამდენიც საბაზრო ძალებს. კარტელი ბაზარს იმიტომ ვერ დაიმორჩილებს, რომ არსებობს მრავალი მწარმოებელი და მიმწოდებელი და ძალიან ბევრი ჩამნაცვლებელი საქონლით შეიძლება შეიცვალოს ის პროდუქტი, რომლის ფასმაც მეტისმეტად მოიმატა.

5.2.4 ინდუსტრიები და ინტერესთა ჯგუფები

ინდუსტრიები და სხვა მიდა პოლიტიკური აქტორები ხშირად ცდილობენ სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენას (იხ. თავი 3). აღნიშნული ტიპის ზეწოლა ყოველთვის პროტექციონიზმს არ გულისხმობს. განვითარებული და მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტული ინდუსტრიები ცდილობენ საკუთარ მთავრობებზე ზეგავლენის მოხდენას თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის ლობირების მიზნით. აღნიშნული სტრატეგია ხელს უწყობს გლობალური თავისუფალი ვაჭრობის სისტემას, სადაც ასეთ ინდუსტრიებს წარმატებით შეუძლიათ საქმიანობა. ამის საპირისპიროდ, ინდუსტრიები, რომლებიც ჩამორჩებიან გლობალურ კონკურენტებს, სახელმწიფო პროტექციას ესწრაფვიან.

საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე გავლენის საშუალებები მოიცავს ლობირებას, ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბებას, ქრთამის მიცემას და სახელმწიფო გადატრიალების წახალისებასაც კი. აქტორებს შორის შესაძლოა იყვნენ ინდუსტრიის მიერ მხარდაჭერილი ჯგუფები, კომპანიები, პროფკავშირები და ინდივიდები. კონკრეტული ინდუსტრიის შიგნით, ასეთი ტიპის ძალისხმევა ძირითადად საერთო მიმართულებისაა, რადგან როგორც კომპანიებს შორის, ისე მენეჯმენტსა და მშრომელთა შორის არსებული კონკურენციის მიუხედავად, სავაჭრო პოლიტიკის თაობაზე ყველას საერთო ინტერესი გააჩნია. თუმცა, სხვადასხვა ინდუსტრია შესაძლოა სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებდეს ძალისხმევას. მაგალითად, ზოგიერთი ამერიკული ინდუსტრია მხარს უჭერს თავისუ-

ფალი ვაჭრობის ზონას ჩრდილოეთ ამერიკაში, ზოგიერთი კი ეწინააღმდეგება.

ინტერესთა ჯგუფებს, რომლებიც ინდუსტრიასთან არ არიან დაკავშირებული, ასევე აქვთ განსაკუთრებული ინტერესები სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკის მიმართ. მაგალითად, ამერიკელ გარემოსდამცველებს არ სურთ, რომ ამერიკულმა კომპანიებმა ჩრდილოეთ ამერიკაში თავისუფალი ვაჭრობა გამოიყენონ გარემოს დაბინძურებაზე კონტროლისგან თავის ასარიდებლად ნავთობმოპოვების მექსიკაში გადატანით (სადაც გარემოს დაცვის კონტროლი ნაკლებად მკაცრია). აშშ-ის პროფკავშირებს ასევე არ უნდათ კომპანიების მიერ თავისუფალი ვაჭრობის ზონის გამოყენება მაღალი ხელფასების გადახდისგან თავის ასარიდებლად. თუმცა, აშშ-ში მოქმედი ამერიკის მექსიკელ მოქალაქეთა ჯგუფები მხარს უჭერენ თავისუფალი ვაჭრობის ზონას მექსიკაში მცხოვრებ ნათესავებთან არსებული კავშირების გასაღრმავებლად.

თანამედროვე სავაჭრო მოლაპარაკებებში რამდენიმე ტიპის ინდუსტრია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სიის თავშია სოფლის მეურნეობის სექტორი. ტრადიციულად, სოფლის მეურნეობა ყოველთვის პროტექციის საგანია, რადგან სურსათით თვითკმარობა ეროვნულ მოწყვლადობას ამცირებს (განსაკუთრებით ომის დროს). მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა ასეთმა შიშებმა ბოლო დროს გარკვეულწილად იკლო, ფერმერები ევროპაში, აშშ-ში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში კვლავაც კარგად ორგანიზებულ და მძლავრ შიდა პოლიტიკურ აქტორს წარმოადგენენ. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დოჰას რაუნდის მოლაპარაკებებში განხეთქილების ძირითად საფუძველს სოფლის მეურნეობის დარგში არსებული სუბსიდიები წარმოადგენდა. 2003 წელს მექსიკის ქ. კანკუნში მიმდინარე მოლაპარაკებები ამის გამო ჩაიშალა, თუმცა მომავალ წელს ისევ განახლდა, მას შემდეგ, რაც აშშ-მ სოფლის მეურნეობის სუბსიდიების 20%-ით შეკვეცის პირობა დადო. 2005 წელს ჰონ-კონგში გამართულ მოლაპარაკებებზე, მდიდარი ქვეყნები შეთანხმდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტზე სუბსიდიების სრულად გაუქმებაზე 2013 წლისთვის, მაგრამ ეს მიზანი არ შესრულებულა.

უკანასკნელ წლებში ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საფეიქრო და სამკერვალო წარმოებას. 2005 წლისთვის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად, ყველგან გაუქმდა კვოტები საფეიქრო ნაწარმზე. ამავდროულად, მსოფლიოს სამკერვალო წარმოების ბაზარზე დომინირება დაიწყო ჩინეთმა, სადაც ტანსაცმლის კონკრეტული ტიპის წარმოებაზე მთლიანი ქალაქებია სპეციალიზებული. ისინი ტანსაცმელს მასობრივი ექსპორტისთვის, უმსხვილესი საცალო მოვაჭრეებისთვის აწარმოებენ. იაფი და დისციპლინირებული მუშახელის წყალობით, ჩინეთი ბაზარიდან განდევნით ემუქრებოდა ამერიკულ საფეიქრო და სამკერვალო კომპანიებს და დიდ კონკურენციას უწევდა პაკისტანისა და ბანგლადეშის მსგავს ექს-

პორტიორ ქვეყნებს, სადაც საფეიქრო ნაწარმი საერთო ექსპორტის 70%-ს აღემატება. მოგვიანებით, 2005 წელს, აშშ-მა და ევროკავშირმა ჩინეთთან ცალ-ცალკე მიაღწიეს ორმხრივ შეთანხმებებს საფეიქრო ნაწარმზე კვოტების რამდენიმე წლით აღდგენასთან დაკავშირებით. დღეს ამ ბიზნესში ჩინეთს წამყვან პოზიციას ეცილებიან სხვა ქვეყნები, მაგალითად ვიეტნამი, სადაც წარმოების დანახარჯები კიდევ უფრო დაბალია.

სავაჭრო მოლაპარაკებებში მესამე სადავო სფეროს წარმოადგენს **ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.** ინტელექტუალური საკუთრების უფლება არის წიგნების, ფილმების, კომპიუტერული პროგრამების და მსგავსი პროდუქტების ავტორთა უფლებები, რომ მათ საკუთარი პროდუქტის გაყიდვისგან ჰონორარი მიიღონ. აშშ-ის გლობალური სამხრეთის რამდენიმე სახელმწიფოსთან დაპირისპირება აქვს კომპიუტერული პროგრამების, მუსიკის, ფილმების და სხვა შემოქმედებითი ნამრომის პირატული გზით დაუფლებასთან დაკავშირებით. ჩამოთვლილი პროდუქტების ასპექტში აშშ-ის მძლავრი შედარებითი უპირატესობა აქვს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასეთი ნამუშევრების ასლის გადაღება და გაყიდვა, საავტორო უფლებების, პატენტის ან სავაჭრო ნიშნის გარეშე, ტექნიკურად ადვილი და იაფია. გამომდინარე იქიდან, რომ ამერიკული კანონების უცხო ქვეყნებში აღსრულება შეუძლებელია, აშშ დაინტერესებულია, რომ უცხო ქვეყნების მთავრობებმა უზრუნველყონ ამგვარი დარღვევების პრევენცია და დამნაშავეთა დასჯა. ქვეყნები რომლებიც რეგულარულად ახორციელებენ პირატულ ქმედებებს დიდი რაოდენობით კომპიუტერული პროგრამების, მუსიკისა და გასართობი პროდუქტების დაუფლების მიზნით, არიან ჩინეთი, ტაივანი, ინდოეთი, ტაილანდი და ბრაზილია.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები (intellectual property rights)
გამომგონებლების, ავტორების, შემოქმედებისა და შემსრულებლების ორიგინალური ნამუშევრების სამართლებრივი დაცვა საპატენტო, საავტორო უფლების და სავაჭრო ნიშნის კანონმდებლობით. 1990-იან წლებში მიმდინარე სავაჭრო მოლაპარაკებებში ინტელექტუალური საკუთრების უფლებები უთანხმოების საგნად იქცა.



პრობლემების მრავალ ინტელექტუალური საკუთრების უფლებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამედროვე სავაჭრო მოლაპარაკებებში. ბევრ ქვეყანაში, ვიდეოების, მუსიყისა და კომპიუტერული პროგრამების პირატული ასლები იაფად იყიდება ქუჩებში, საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. სურათზე ფილიპინების ქვეითთა საბრძოლო მანქანა ანადგურებს არალეგალურ ციფრულ ვიდეოდისკებს პირატობის წინააღმდეგ მიმდინარე სამთავრობო კამპანიის ფარგლებში.

რა თქმა უნდა, რთულია პირატული ქმედებების ინდივიდუალური შემთხვევების შეჩერება, არადა ეს ძალიანაა გავრცელებული. მაგალითად, 2017 წლის გამოკითხვის მიხედვით, ინდონეზიასა და ეგვიპტეში გამოკითხულთა 16-მა პროცენტმა აღიარა, რომ ერთი კვირის განმავლობაში მრავალჯერ მიუმართავს პირატობისთვის. 2017 წლის 33 ქვეყნის მომცველ გამოკითხვაში (მათ შორის აშშ-ც იყო), რესპოდენტთა 57-მა პროცენტმა აღიარა, რომ პირატულად ჰქონდა მოპოვებული მისი კომპიუტერის ერთი პროგრამა მაინც. ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევები გავრცელებულია გლობალური სამხრეთის ბევრ ქვეყანაში ისეთ პროდუქტებზე, როგორებიცაა ციფრული ვიდეოდისკები (DVD) და სარეცეპტო მედიკამენტები.

მომსახურების სექტორი (service sector)
ეკონომიკის ნაწილი, რომელიც მოიცავს მომსახურებას (ხელმესახები საქონლის წარმოებისგან განსხვავებით). საერთაშორისო ვაჭრობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბანკო საქმეს, დაზღვევას და სხვა მსგავს ფინანსურ სერვისებს.

აღნიშნულზე საპასუხოდ, საერთაშორისო თანამეგობრობამ შექმნა გაეროს 186 წევრი სახელმწიფოსგან შემდგარი მთავრობათაშორისი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO), რომელიც ცდილობს საერთაშორისო მასშტაბით მოაწესრიგოს პატენტთან და საავტორო უფლებების სამართალთან დაკავშირებული საკითხები. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ზედამხედველობას უწევს მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან მრავალმხრივ შეთანხმებას ინტელექტუალურ საკუთრებაზე, სახელად „შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS)". 2001 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში, ქალაქ დოჰაში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს დეკლარაცია, რომლის თანახმადაც, მნიშვნელოვანი ჯანდაცვის კრიზისის დროს, მაგალითად შიდსის ეპიდემიის შემთხვევაში, სახელმწიფოებს შეუძლიათ ზოგიერთ მედიკამენტზე შეთანხმების წესები არ გაავრცელონ (აშშ-ის მთავრობამ ამ ნაბიჯს მხარი მას შემდეგ დაუჭირა, რაც 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, ანთრაქსის თავდასხმებით გამოწვეული შიშის დროს, ძლიერი ანტიბიოტიკის, ციპროს წარმოების საკუთარ ხელში აღებით დაიმუქრა). აღნიშნული ტიპის გამონაკლისებისთვის შემუშავებული პროცედურების მიუხედავად, ის მხოლოდ რამდენიმე განვითარებადმა ქვეყანამ გამოიყენა. რამდენიმე წლის განმავლობაში, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებულმა დავებმა შეაფერხა მედიკამენტების მიწოდება შიდსით დაავადებული მილიონობით აფრიკელისთვის, თუმცა 2004 წლიდან ამ მხრივ ვითარება გაუმჯობესდა.

მეოთხე საკვანძო სავაჭრო საკითხი ეხება ქვეყნების ღიაობას ეკონომიკის მომსახურების სექტორში ვაჭრობასთან დაკავშირებით. აღნიშნული სფერო მრავალი ტიპის მომსახურებას მოიცავს, განსაკუთრებით ინფორმაციასთან დაკავშირებით, თუმცა საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებებში მთავარი აქცენტი კეთდება საბანკო საქმეზე, დაზღვევაზე და სხვა ფინანსურ სერვისებზე. ზოგადად, ტელეკომუნიკაციების გაიაფებისა და მასზე წვდომის გაზრდის პარალელურად, კომპანიების მიერ ერთი ქვეყნის მომხმარებლებისთვის შეთავაზებული მომსახურებით შესაძლოა ისარგებლონ სხვა ქვეყნის მომხმარებლებმაც. ამერიკელი მომხმარებლები, რომლებიც ამერიკული კომპანიების კლიენტთა სატელეფონო მომსახურების სერვისებით სარგებლობენ, ზარებს ახორციელებენ ინდოეთში ან სხვა ინგლისურად მოსაუბრე განვითარებად ქვეყნებში და ამით ერთვებიან მომსახურებით შორეულ ვაჭრობაში.

საერთაშორისო ვაჭრობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დარგია იარაღით ვაჭრობა, რომელიც, ეროვნული უსაფრთხოებაზე მისი გავლენიდან გამომდინარე, დიდწილად ჩვეულებრივი კომერციული ტრანსაქციების ჩარჩოს მიღმა ხორციელდება. ინდუსტრიალიზებული სახელმწიფოების მთავრობები დაინტერესებული არიან, რომ დაიცვან საკუთარი იარაღის მწარმოებლები და შეიარაღებასთან დაკავშირებული საჭიროე-

ბის დასაკმაყოფილებლად იმპორტზე არ იყვნენ დამოკიდებული. თავის მხრივ, ხსენებული ადგილობრივი იარაღის მწარმოებლები პროდუქციის ექსპორტით (ასევე ამ პროდუქციის საკუთარი მთავრობისთვის მიწოდებით) ძლიერდებიან და ეკონომიკურად ვითარდებიან. მთავრობები, როგორც წესი, აქტიურად არიან ჩართული ეკონომიკის სამხედრო-სამრეწველო სექტორში, აშშ-ის მსგავს ქვეყნებშიც კი, სადაც სხვა ეკონომიკურ სექტორებში ოფიციალური ინდუსტრიული პოლიტიკა არ არსებობს. მაგალითად, მოიერიშე თვითმფრინავების წარმოებაში აშშ-ს შედარებითი უპირატესობა აქვს მსოფლიოს მასშტაბით. 1990-იან წლებში აშშ-ის იარაღის წარმოება, თამბაქოს ინდუსტრიის მსგავსად, საერთაშორისო ბაზრებზე იყო ორიენტირებული ახალი კლიენტების მოსაზიდად, რათა დაებალანსებინა შიდა მოთხოვნის შემცირება. გლობალურ სამხრეთში იარაღის ყველაზე მსხვილი იმპორტიორი რეგიონია ახლო აღმოსავლეთი, თუმცა უკანასკნელ პერიოდში იზრდება ინდოეთისა და ჩინეთის წილიც.

განსხვავებულ პრობლემას წარმოადგენს არალეგალური ვაჭრობის „ინდუსტრია", ანუ *კონტრაბანდა*. არალეგალური ვაჭრობა ხშირად წარმოქმნის სახელმწიფოთა შორის ინტერესთა კონფლიქტს და განაპირობებს რთულ პოლიტიკურ ურთიერთქმედებას მთავრობებს შორის, სადაც თითოეული მათგანი საკუთარი ინტერესის დაკმაყოფილებას ცდილობს.

5.2.5 სავაჭრო წესების აღსრულება

ზოგადად საერთაშორისო სამართლის მსგავსად, სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური შეთანხმებები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აღსრულების ორმხრივობაზე (იხ. თავი 6). თუ ერთი სახელმწიფო პროტექციას უწევს საკუთარ წარმოებას ან ტარიფებს აწესებს სხვა სახელმწიფოების საქონელზე, ანაც სხვა ქვეყნებში შექმნილ ნამუშევრებზე საავტორო უფლებებს არღვევს, მაშინ დანარჩენი სახელმწიფოების მთავარ საპასუხო ნაბიჯს წარმოადგენს ანალოგიური ზომების მიღება დამრღვევი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ვაჭრობის თანაბარი პირობების აღსრულებას ართულებს „სამართლიანობის" განსხვავებული ინტერპრეტაცია. ზოგადად, სახელმწიფოები თავად წყვეტენ, თუ სხვა სახელმწიფოს რომელ პრაქტიკას მიიჩნევენ უსამართლოდ (ამაზე გავლენას ხშირად დაზარალებული შიდა ინდუსტრიები ახდენენ) და შემდეგ ამ პრაქტიკაზე სამაგიეროს მიზღვის ქმედებებს მიმართავენ (ან ამით იმუქრებიან). ამერიკაში მოქმედი კანონები (ვაჭრობის აქტის 301-ე მუხლი, ე.წ. „სუპერ 301") ითვალისწინებს საპასუხო ნაბიჯებს იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც საკუთარ ბაზრებზე წვდომას ზღუდავენ. ორმხრივობის ერთ-ერთი ნაკლი არის ის, რომ შედეგად თანამშრომლობაზე უარის თქმის დაღმავალი სპირალი შეიძლება მივიღოთ, რასაც პოპულარულ ენაზე სავაჭრო ომს უწოდებენ. სავაჭრო დავების მოგვარება მესამე მხარის არბიტრაჟით არის შესაძლე-

ბელი. ამჟამად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია იხილავს საჩივრებს და ადგენს საპასუხო ზომების დასაშვებ ზღვარს. ზოგიერთ შემთხვევაში, საჩივრების განხილვისა და მოგვარების მექანიზმები რეგიონული სავაჭრო შეთანხმებებითაა გათვალისწინებული.

უსამართლო სავაჭრო პრაქტიკაზე საპასუხო ნაბიჯი, როგორც წესი, მიზნად ისახავს დარღვევაზე თანაბარზომიერი ტიპისა და მასშტაბის რეაგირებას. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესების თანახმად, სახელმწიფოს მიერ დაწესებული საპასუხო ტარიფები უნდა უტოლდებოდეს სხვა სახელმწიფოს უსამართლო სავაჭრო საქმიანობის შედეგად მიყენებულ ზარალს (ეს დადგინდა ორგანიზაციაში გამართულ მოსმენებზე). თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ საპასუხო ზომები მხოლოდ იმავე სექტორით შემოიფარგლოს. მაგალითად, 2013 წელს ანტიგუა და ბარბუდამ მიიღო აშშ-ის წინააღმდეგ საპასუხო ნაბიჯების გადადგმის ნებართვა, მას შემდეგ რაც ამ უკანასკნელმა ანტიგუა და ბარბუდას აზარტული თამაშების ვებგვერდები დაბლოკა, რამაც ეს პატარა კარიბული სახელმწიფო წელიწადში 21 მილიონი აშშ დოლარით აზარალა (გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-ში აზარტული თამაშების ბევრი, განსხვავებული ფორმაა ნებადართული, აშშ-ის მთავრობამ ვერ ახსნა, თუ რატომ უნდა დაეცვა საკუთარი მოქალაქეები „იმპორტული" ონლაინ აზარტული თამაშებისგან). ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ დაადგინა, რომ ანტიგუას და ბარბუდას უფლება ჰქონდა, აშშ-ისთვის ყოველწლიურად „მოეპარა" 21 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ინტელექტუალური საკუთრება და მაგალითად, ფილმები და სატელევიზიო შოუები საავტორო უფლებების მფლობელთათვის შესაბამისი საფასურის გადახდის გარეშე ეჩვენებინება.

დემპინგის შემთხვევებში, საპასუხო ზომების მიზანს წარმოადგენს მსოფლიო საბაზრო ფასებზე დაბალი ღირებულებით იმპორტირებული საქონლიდან მიღებული უპირატესობის გაქვითვა. საპასუხო ზომების სახით დაწესებულ ტარიფებს საფასური კვლავ საბაზრო ნიშნულამდე აჰყავს. 2001 წელს, აშშ-ის დასუსტებულმა ფოლადის ინდუსტრიამ აშშ-ის მთავრობას ანტიდემპინგურ კონტექსტში იაფი უცხოური ფოლადის წინააღმდეგ პროტექციონისტული ზომების გატარების შესახებ თხოვნით მიმართა. ტარიფების შემოღებამდე, აშშ-ის სახელმწიფო უწყებამ, საერთაშორისო ვაჭრობის კომისიამ, უნდა გადაწყვიტოს, რეალურად დააზარალა თუ არა აშშ-ის წარმოება იაფმა იმპორტმა. ამ შემთხვევაში, კომისიამ დაადგინა, რომ აშშ-ის ფოლადის მწარმოებლებმა მართლა იზარალეს და 2002 წელს აშშ-ის მთავრობამ 30 პროცენტიანი ტარიფი შემოიღო. თუმცა, 2003 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ აშშ-ის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოიტანა და სხვა ქვეყნებს ამერიკის წინააღმდეგ 2 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის საპასუხო ზომების გადადგმის ნება დართო. როდესაც ევროპელებმა ტარიფების საკუთარი სია შეიმუშავეს, რომელიც 2004 წლის არჩევნებისთვის განსაკუთრებულად დააზარა-

ლებდა ე.წ. „მერყევ" მტატებს, პრეზიდენტმა ბუშმა უკან დაიხია და ფოლადზე ტარიფები გააუქმა (მან თქვა, რომ ტარიფებმა შედეგს მიაღწია და აღარ იყო საჭირო). შესაბამისად, ტარიფებიდან მიღებულ სარგებელთან შედარებით ტარიფების გამო საფასურის გაზრდის გზით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ ფაქტობრივად შეცვალა აშშ-ის პოლიტიკა, რაც ამ ორგანიზაციის მზარდ სიძლიერეზე მიუთითებს.

სახელმწიფოები ვაჭრობის თანდათანობით გაფართოებას ღირებულად მიიჩნევენ და ამისთვის იყენებენ სხვადასხვა რეჟიმსა და ინსტიტუტს, იქნება ეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, თავისუფალი ვაჭრობის ზონები, ორმხრივი შეთანხმებები თუ კარტელები. მთლიანობაში, მზარდი ურთიერთდამოკიდებულების გამო სახელმწიფო სუვერენიტეტის გარკვეულწილად დათმობის მიუხედავად, ამ ქმედებებმა ახეირა მონაწილე ქვეყნები. ვაჭრობის მარეგულირებელი სტაბილური პოლიტიკური წესები სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, რომ მიიღონ უფრო მეტი ეკონომიკური სარგებელი საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლისგან.

5.3 ეკონომიკური გლობალიზაცია

აღწერეთ სულ მცირე ორი ჭხა, რომლითაც ქვეყნები ან ცალკეული მოქალაქეები ეწინაღმდეგებიან გლობალურ ვაჭრობას.

პირველ თავში ჩვენ ზოგადად გავეცანით გლობალიზაციის პროცესს და ამჯერად მის ზოგიერთ კონკრეტულ ეკონომიკურ ასპექტს განვიხილავთ. ვაჭრობის გაფართოება საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიაში გლობალიზაციის მთავარი, თუმცა არა ერთადერთ ასპექტია. გლობალიზაცია არა მხოლოდ ვაჭრობის, არამედ ფულის, ბიზნესის, ინტეგრაციის, კომუნიკაციის, გარემოს მართვისა და ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტრანსფორმაციაა, რაზეც ამ წიგნის დარჩენილ თავებში ვიმსჯელებთ. ეკონომიკური აქტიურობის დღევანდელი მზარდი ტემპი მსოფლიო ეკონომიკური ექსპანსიის ხანგრძლივი ისტორიიდან მომდინარეობს, რომელიც გლობალიზაციის საფუძველს წარმოადგენს.

5.3.1 მსოფლიო ეკონომიკა 1750 წლიდან დღემდე

1750 წელს, დიდი ბრიტანეთის, როგორც მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნის, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 1 200 აშშ დოლარს შეადგენდა (დღევანდელი დოლარებით). აღნიშნული მაჩვენებელი დღეს გლობალური სამხრეთის ქვეყნების უმრავლესობის მშპ-ის დონეს ჩამოუვარდება. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად დიდი ბრიტანეთი აწარმოებს ათჯერ უფრო მეტს ერთ სულ მოსახლეზე (გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან მოსახლეობაზე გათვლით, ვიდრე 1750 წელს იყო). აღნიშნული წარმატება **ინდუსტრიალიზაციის** დამსახურებაა, რომელიც ითვალისწინებს მან-

ინდუსტრიალიზაცია (Industriallzation)
ნიაღისეული საწვავის ენერგიის გამოყენება მანქანა-დანადგარების სამუშაოდ და ასეთი დანადგარების დაგროვება მათ მიერ წარმოებულ პროდუქციასთან ერთად.


ქანა-დანადგარების სამუშაოდ ენერგიის გამოყენებას და ასეთი დანადგარების დაგროვებას მათ მიერ წარმოებულ პროდუქციასთან ერთად. ინდუსტრიული რევოლუცია დიდ ბრიტანეთში მე-18 საუკუნეში დაიწყო, საფუძველი შეუქმნა ბრიტანეთის მსოფლიო ეკონომიკის წამყვან პოზიციებზე გადასვლას და გავრცელდა სხვა განვითარებულ ეკონომიკებში (იხ. გრაფიკი 5.5).

1850 წლისთვის წინა საუკუნეების ხის გემებმა გზა დაუთმეს უფრო დიდ და სწრაფ, ქვანახშირზე მომუშავე რკინის ხომალდებს. ქვანახშირის საწვავზე მომუშავე ორთქლის ძრავები ასევე გამოიყენებოდა ქარხნებში, რომლებიც ქსოვილებსა და სხვა საქონელს აწარმოებდნენ. იწყებოდა სარკინიგზო მშენებლობის დიდი ეპოქა. აღნიშნულმა მოვლენებმა არა მხოლოდ გაზარდა მსოფლიო წარმოებისა და ვაჭრობის მოცულობა, არამედ ეკონომიკურად დააკავშირა ერთმანეთისგან დაშორებული ადგილები. საფრანგეთში ერთდღიანი სარკინგიზო მგზავრობისთვის ასი წლის წინ სამი კვირა იყო საჭირო. თუმცა, მექანიზაციის ამ პერიოდში, ქარხანაში არსებული პირობები უკიდურესად მძიმე იყო, განსაკუთრებით დაზგებზე მომუშავე ქალებისა და ბავშვებისთვის.

აღნიშნულ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობაში დიდი ბრიტანეთი დომინირებდა. გამომდინარე იქიდან, რომ ბრიტანეთის ეკონომიკა ტექნოლოგიურად ყველაზე მეტად იყო განვითარებული, მისი პროდუქცია მსოფლიო მასშტაბით უფრო მეტი კონკურენტუნარიანობით სარგებლობდა. შესაბამისად, ბრიტანეთი თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერ პოლიტიკას ატარებდა. მსოფლიო ვაჭრობაში წამყვანი როლის გარდა, ბრიტანეთი სამყაროს ფინანსური დედაქალაქის ფუნქციასაც ასრულებდა და მე-19 საუკუნეში ვაჭრობისა და მომსახურების მზარდი მსოფლიო ბაზრის მართვას ახორციელებდა. ბრიტანეთის ვალუტა – ფუნტი სტერლინგი (ვერცხლი) მსოფლიო სტანდარტად დამკვიდრდა. საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები კვლავაც ძვირფას ლითონებზე იყო დამყარებული, მე-16 საუკუნის მსგავსად, როდესაც ესპანეთი საკუთარ არმიებს მექსიკური ოქრო-ვერცხლით ქირაობდა.

გრაფიკი 5.5 მსოფლიო ეკონომიკა: 1750-2000 გვ. 179

წყარო: North, Douglass C., and Robert Paul Thomas. *The Rise of the Western World: A New Economic History*. Cambridge, 1973. Hobsbawm, E. J. *Industry and Empire: From 1750 to the Present Day*. Penguin-Pelican, 1969. Tracy, James D., ed. *The Political Economy of Merchant Empires: State Power and World Trade, 1350–1750*. Cambridge, 1991.



თუმცა, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის ბრიტანეთი აღარ იყო მსოფლიოს ყველაზე დიდი და განვითარებული ეკონომიკა, რადგან ეს ადგილი აშშ-მა დაიკავა. ამერიკული ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციას ხელი შეუწყო მე-19 საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ტერიტორიულმა ექსპანსიამ, რამაც აშშ-ს დიდძალი რესურსების დასაკუთრების საშუალება მისცა. გარდა ამისა, აშშ-ის ეკონომიკამ მშრომელ ემიგრანტთა დიდი მასებიც მიიზიდა ევროპიდან. აშშ იყო მსოფლიოს მოწინავე ქვეყანა ქვანახშირის ნავთობით ჩანაცვლების და საცხენოსნო ტრანსპორტიდან მექანიკურზე გადასვლის თვალსაზრისით. ახალი ტექნოლოგიური მიღწევები, ელექტროენერგიიდან დაწყებული თვითმფრინავებით დამთავრებული, ასევე განაპირობებდა აშშ-ის ეკონომიკის მსოფლიოს მოწინავე პოზიციაზე გადასვლას.

1930-იან წლებში აშშ-ის და მსოფლიო ეკონომიკებმა მძიმე დარტყმა მიიღო დიდი დეპრესიის სახით. აშშ-ის მიერ 1930 წელს მიღებულმა პროტექციონისტულმა სმით-ჰოულის აქტმა, რომლითაც იმპორტულ პროდუქციაზე ტარიფები დაწესდა, დეპრესია კიდევ უფრო გაამწვავა, რადგან საპასუხო ტარიფები სხვა სახელმწიფოებმაც შემოიღეს და მსოფლიო ვაჭრობა კიდევ უფრო შემცირდა. აშშ-ის მთავრობამ ვითარებიდან გამოსასვლელად კეინზიანური (იხ. ქვემოთ, ამავე თავში) ეკონომიკის პრინციპების გამოყენება დაიწყო, ანუ ეკონომიკის სტიმულირებისთვის დეფიციტურ ხარჯვას მიჰყო ხელი, ხოლო შემდეგ აღნიშნული ხარჯები ეკონომიკური გაჯანსაღების პროცესში შექმნილი სიმდიდრიდან დაფარა. მეორე მსოფლიო ომის დროს მთავრობის როლი ეკონომიკაში კიდევ უფრო გაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიოს კაპიტალისტური ეკონომიკების რესტრუქტურიზაცია აშშ-ის მოდელის მიხედვით მოხდა. თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტები, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს. აშშ-მა მასშტაბური დახმარება გამოყო როგორც დასავლეთ ევროპის (მარშალის გეგმა), ისე იაპონიის ეკონომიკის ასაღორძინებლად. მსოფლიო ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა და საჰაერო ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების მეშვეობით, მსოფლიო ბაზარი უფრო ურთიერთგადაჯაჭვული გახდა. ეკონომიკის ახალ წამყვან დარგად ელექტრონული მოწყობილობები იქცა და მე-20 საუკუნეში ტექნოლოგიური პროგრესი კიდევ უფრო დაჩქარდა.

გეგმიური ეკონომიკა (centrally planned economy)

ეკონომიკა, სადაც ფასებს პოლიტიკური ხელისუფლება ადგენს, რომელიც გრძელვადიანი გეგმის შესაბამისად ასევე განსაზღვრავს თითოეული ტიპის საქონლის წარმოებისა და მოხმარების კვოტებს.

მსოფლიოს კაპიტალისტური ეკონომიკისგან განსხვავებული გზა აირჩიეს საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკებმა, რომლებიც ცენტრალური დაგეგმვისა და სახელმწიფო საკუთრების პრინციპებს მიჰყვებოდნენ. **გეგმიურ ეკონომიკაში** (იგივეა რაც მბრძანებლური ეკონომიკა), ფასებს ადგენს პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც, გრძელვადიანი გეგმის შესაბამისად, ასევე აწესებს თითოეული საქონლის წარმოებისა და მოხმარების კვოტებს. საერთაშორისო ვაჭრობა

მიმდინარეობს მთავრობის მიერ გაკონტროლებული ფასებით. გეგმიური ეკონომიკის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ეს მიდგომა ეკონომიკას უფრო რაციონალურსა და სამართლიანს გახდიდა. ეკონომიკის კონტროლით მთავრობას შეეძლებოდა მოსახლეობის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილება და სახელმწიფოს სრული მობილიზაცია ომიანობის შემთხვევაში. ისინი ასევე იმედოვნებდნენ, რომ რესურსებისა და საჭიროებების გრძელვადიანი ხედვის წყალობით, მთავრობა შეამსუბუქებდა კაპიტალისტური ეკონომიკებისთვის დამახასიათებელ „ბუმისა და დეპრესიის“ რყევებს (რასაც ციკლებს ვუწოდებთ).

საბჭოთა ეკონომიკამ რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მათ შორის, 1930-იან წლებში მოხერხდა ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია, ეკონომიკამ გაუძლო გერმანიის თავდასხმას 1940-იან წლებში და 1950-1960-იან წლებში მსოფლიო კლასის საჰაერო-კოსმოსური და სამხედრო წარმოება შექმნა. საბჭოთა კავშირმა 1957 წელს მსოფლიოს პირველი თანამგზავრი („სპუტნიკი“) გაუშვა კოსმოსში და 1960-იან წლების დასაწყისში სსრკ-ის ლიდერები ტრაბახობდნენ, რომ რამდენიმე ათწლეულში კომუნისტური ეკონომიკა უკან მოიტოვდა კაპიტალისტურ ეკონომიკას. ამის ნაცვლად, საბჭოთა ბლოკის ეკონომიკას ბიუროკრატიული წნეხის, იდეოლოგიური სიმკაცრის, გარემოს განადგურების, კორუფციისა და უკიდურესად მაღალი სამხედრო დანახარჯების პირობებში სტაგნაცია დაეწყო. გამოჩნდა, რომ ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკები უკიდურესი არაეფექტურობით გამოირჩეოდნენ.

ამჟამად, თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა და აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფო **ტრანზიციული ეკონომიკების** ჯგუფს განეკუთვნება და მსოფლიო კაპიტალისტურ ეკონომიკასთან დაკავშირებულ საბაზრო ეკონომიკებზე გადასვლას ცდილობენ. გარდამავალი პროცესი რთული აღმოჩნდა. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, ხსენებული რეგიონის მშპ დაახლოებით 35% შემცირდა, რაც თავისი მასშტაბით უფრო უარესი იყო, ვიდრე 1930-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის დიდი დეპრესია. მკვეთრად დაეცა ცხოვრების დონე. ბორის ელცინის პრეზიდენტობის დროს (1991-1999), რუსეთის ეკონომიკა ვერ ფუნქციონირებდა, რასაც განაპირობებდა დეპრესია, კორუფცია, გადასახადების გადაუხდელობა და ძველ კომუნისტურსა და ახალ კაპიტალისტურ მოდელებს შორის არსებული დიდი სხვაობა. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი (2000-2008 და ისევ 2012-დან) ახალი ენერგიით შეუდგა ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, ხოლო რუსულ მთავარ საექსპორტო ნედლეულზე – ნავთობზე მაღალმა ფასებმა 21-ე საუკუნეში რუსეთის ეკონომიკა გამოაცოცხლა. თუმცა, პუტინის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრალიზებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეაფერხოს კაპიტალისტური განვითარება.

ჩინეთი, რომლის მთავრობა კვლავაც მარქსისტულ პოლიტიკურ ხაზს მიჰყვება (კომუნისტური პარტიის ცენტრალიზებული კონტროლი), მნიშ-

ტრანზიციული ეკონომიკები (transitional economies)

რუსეთი და სხვა აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოები, რომლებიც კომუნიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლას ცდილობენ, ვარიაციების სხვადასხვა ხარისხით.

ვნელოვნად გადაიხარა საბაზრო ეკონომიკისკენ (სახელმწიფო ჯერ ისევ აკონტროლებს ძირითად ინდუსტრიებს). ამ გადასვლამ ძალიან შეუწყო ხელი ჩინეთის ეკონომიკურ ზრდას 1980-იანი წლებიდან. ეკონომიკური ზრდის წლიურმა მაჩვენებელმა სტაბილურ 10 პროცენტს მიაღწია 1990-იან წლებში და ტემპი შემდეგშიც შეინარჩუნა (იხ. თავი 7).

დღეს მსოფლიოს ეკონომიკური აქტიურობა უფრო თავისუფალი ბაზრის პრინციპით მიმდინარეობს, ვიდრე ცენტრალური დაგეგმვის, მაგრამ ხშირად ამ ორი უკიდურესობის შუაშია. ბევრი სახელმწიფოს მთავრობა ინარჩუნებს კონტროლს გარკვეული საქონლის ფასებზე (მაგალითად, პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად ახორციელებს ზოგიერთი პროდუქტის სუბსიდირებას). ბევრი სახელმწიფო ფლობს (მთლიანად ან ნაწილობრივ) სახელმწიფო ეკონომიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონედ მიჩნეულ საწარმოებს. კერძოდ, **სახელწიფო საწარმო** შეიძლება იყოს ნავთობმწარმოებელი კომპანიები ან ეროვნული ავიახაზები. სახელმწიფო სექტორი (სამხედრო დანახარჯები, გზების მშენებლობა, სოციალური უსაფრთხოება და ა.შ.) ინდუსტრიალიზებული ქვეყნების ეკონომიკაშიც საკმაოდ დიდ წილს იკავებს. გამომდინარე იქიდან, რომ ერთმანეთის პარალელურად არსებობს როგორც სახელმწიფო კონტროლი, ისე კერძო საკუთრება, ინდუსტრიალიზებული დასავლეთის ქვეყნებში არსებულ ეკონომიკებს ხშირად **შერეულ ეკონომიკებს** უწოდებენ.

სახელმწიფო საწარმო (state-owned industries)
სახელმწიფოს სრულ ან ნაწილობრივ მფლობელობაში არსებული საწარმოები, რომლებსაც სახელმწიფო ეკონომიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევენ, მაგალითად ნავთობმწარმოებელი კომპანიები ან ავიახაზები.

ამჟამად არსებობს ერთიანი, ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკა, რომელში მონაწილეობაზე უარის თქმაც თითქმის არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია. ამავდროულად, მსოფლიო ეკონომიკის ნაკლოვანებები და პრობლემები მკაფიოდ ვლინდება პერიოდული კრიზისებისა და რეცესიების დროს, ასევე მსოფლიოს უმდიდრეს და უღარიბეს რეგიონებს შორის უთანასწორობის ზრდის თვალსაზრისით. ყველაზე მკაფიოდ ეს ნაკლოვანებები გამოჩნდა 2008-2009 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და მისი თანმდევი მსოფლიო რეცესიის დროს. აღნიშნული კრიზისის დროს, რომელიც აშშ-ში სუბსტანდარტული იპოთეკური სესხების კოლაფსით დაიწყო, ეკონომიკური პრობლემები სწრაფად გავრცელდა ევროპაშიც, ხოლო წამყვანმა ბანკებმა და საინვესტიციო კომპანიებმა ასეულობით მილიარდი აშშ დოლარი დაკარგეს. აღნიშნულმა დანაკარგებმა განაპირობა მსოფლიო სამომხმარებლო ხარჯვის და წარმოების შემცირება, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა უმუშევრობის მნიშვნელოვნად მატება აშშ-ში, ჩინეთში და ინდოეთში. პროდუქტებზე სამომხმარებლო მოთხოვნის დაცემას შედეგად ასევე მოჰყვა მსოფლიო ვაჭრობის 9 პროცენტით შემცირება, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი ვარდნა იყო.[4]

შერეული ეკონომიკები (mixed economies)
ინდუსტრიალიზებული დასავლეთის ეკონომიკები, სადაც გვხვდება როგორც სამთავრობო კონტროლი, ისე კერძო საკუთრება.

4 დაახლოებით მსგავსი ვარდნა მოჰყვა კოვიდ 19-ის პანდემიას 2020 წელს, თუმცა მსოფლიო ვაჭრობა სწრაფად აღდგა მომდევნო წელს. *რედ. შენ.*

5.3.2 წინააღმდეგობა ვაჭრობის მიმართ

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ ნაციონალიზმის საპასუხო ტენდენციის გაღვივებას შეუწყო ხელი მსოფლიოს რამდენიმე რეგიონში, სადაც ადამიანებს სწამთ, რომ უცხოური ზეგავლენა საფრთხეს უქმნის მათ იდენტობას და საზოგადოებას. გარდა ამისა, გლობალიზაციით გამოწვეული ფიზიკური გადაადგილებები პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნების მოსახლეობის გარკვეული სეგმენტების ინტერესებზე.

თავისუფალი ვაჭრობა განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში მცხოვრებ მუშებზე, რომლებიც ისეთ სფეროებში არიან დასაქმებულნი, სადაც განსაკუთრებით მზარდია კონკურენცია გლობალური სამხრეთის დაბალხელფასიანი ქვეყნებიდან. ასეთ სფეროებს შორის არის ფოლადის, ავტომობილების, ელექტრონული მოწყობილობების და სამკერვალო ინდუსტრიები. დაბალშემოსავლიანი ქვეყნებიდან წამოსული კონკურენცია ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში ხსენებულ დარგებში ხელფასებს დაბლა სწევს. აღნიშნული კონკურენცია ასევე ქმნის ზეწოლას შრომითი რეგულაციების ისეთი სტანდარტების შესამსუბუქებლად, როგორიცაა შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კონკურენციამ შესაძლოა გამოიწვიო სამუშაოს ადგილების დაკარგვა მაშინ, როდესაც ქარხნის მფლობელები მაღალშემოსავლიან ქვეყნებში წარმოების შეჩერებას და საქმიანობის გლობალურ სამხრეთში გადატანას გადაწყვეტენ. გასაკვირი არ არის, რომ შეუფერხებელი თავისუფალი ვაჭრობის ყველაზე შეურიგებელ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებად პროფკავშირები გვევლინებიან (მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის დებატების ეპიცენტრი ამერიკაშია, ანალოგიური პრობლემები სხვა ინდუსტრიალიზებულ სახელმწიფოებსაც აწუხებთ).



ძვირადღირებული შრომა შრომის, გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები ერთობლივად აკრიტიკებენ შეუზღუდავ თავისუფალ ვაჭრობას. მათი მტკიცებით, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები მრავალეროვნულ კორპორაციებს აძლევს პროდუქციის უსამართლო და არაჯანსაღ პირობებში წარმოების საშუალებას, მათ შორის ბავშვთა შრომის გამოყენებით. სურათზე, ქალი გლოვობს 2013 წელს ბანგლადეშში რვასართულიანი ქარხნის ნგრევის შედეგად ოჯახის წევრის დაკარგვას. ქარხნის ნგრევას დაახლოებით 1 100 მუშა ემსხვერპლა.

ადამიანის უფლებების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები მხარს უჭერენ პროფკავშირებს, რომ დაბალშემოსავლიან ქვეყნებთან სავაჭრო შეთანხმებებში ჩაიდოს მოთხოვნები სამუშაო პირობების გაუმჯობესების შესახებ, სადაც იგულისხმება მინიმალური ხელფასი, ბავშვთა შრომის აკრძალვა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აშშ კრძალავს სამხრეთ აზიაში მცხოვრები 17 მილიონი ბავშვის მონური შრომით დამზადებული საქონლის (უმეტესად ეს ხალიჩებს ეხება) იმპორტს. კომპანიები, რომლებიც აზიაში მდებარე საწარმოებში არსებული პირობების მიზეზით კრიტიკის ობიექტად იქცნენ, ცდილობენ ნებაყოფლობითი ზომების მიღებით გამოასწორონ ვითარება განსაკუთრებით

პრობლემურ ასპექტებში. ასეთი ნაბიჯი გადადგა კომპანია ეფლმა 2012 წელს, როდესაც მის ჩინურ მომმარაგებელ კომპანია ფოქსკონში არსებული მძიმე სამუშაო პირობების გამო მუშებმა საპროტესტო გამოსვლები დაიწყეს და კომპანია მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. შრომის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გლობალურ სამხრეთში 14 წელზე ნაკლები ასაკის 200 მილიონამდე ბავშვი მუშაობს, მათ შორის ნახევარზე მეტი სახიფათო სამუშაოს ასრულებს. კოტ დ'ივუარში, რომელიც მსოფლიოში კაკაოს (რომელიც გლობალურ ჩრდილოეთში მოხმარებული შოკოლადის დასამზადებლად გამოიყენება) ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია, კაკაოს პლანტაციებში ათი ათასობით ბავშვი უკიდურესად დაბალ ხელფასზე, ან სულაც მონურად მუშაობს.

შეუზღუდავ თავისუფალ ვაჭრობას ასევე აქტიურად ეწინააღმდეგებიან გარემოს დამცველი ჯგუფები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ თავისუფალი ვაჭრობა ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში ძირს უთხრის გარემოს დაცვის კანონმდებლობას და ხელს უწყობს გარემოს დამაზიანებელ პრაქტიკას მთელი მსოფლიოს მასშტაბით (იხ. თავი 8). მაგალითად, ამერიკაში მოქმედი რეგულაციები კომერციულ გემებს ავალდებულებს, რომ კრევეტების დაჭერისას გამოიყენონ მოწყობილობები, რითაც შესაძლებელი იქნება კრევეტების საჭერ ბადეებში გადაშენების ზღვარზე მყოფი ზღვის კუების მოხვედრის პრევენცია. 1998 წელს ინდონეზიამ, მალაიზიამ, ტაილანდმა და პაკისტანმა, რომელთაც აშშ-მა აუკრძალა აშშ-ში კრევეტების ექსპორტი, რადგან ისინი კრევეტების დაჭერისას ხსენებულ მოწყობილობებს არ იყენებდნენ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შეტანილი საქმე მოიგეს, რადგან ამ უკანასკნელმა დაადგინა, რომ აშშ ამ ქვეყნების მიმართ უსამართლო დისკრიმინაციას ეწეოდა. ზღვის კუ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიმართ გარემოს დამცველთა წინააღმდეგობის სიმბოლოდ იქცა (2001 წელს, აშშ-ის კანონში შეტანილი გარკვეული ცვლილებების შემდეგ, რამაც კანონის გამოყენება უფრო დაბალანსა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ აღნიშნული კანონის მართებულობა დაადგინა).

შრომის, გარემოს დაცვისა და მომხმარებელთა ჯგუფები ერთობლივად წარმოაჩენენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას საიდუმლო ბიუროკრატიულ ორგანიზაციად, რომელიც დემოკრატიულ კონტროლს არ ექვემდებარება და დიდი კორპორაციების ინტერესებს ემსახურება გლობალურ ჩრდილოეთსა და სამხრეთში მცხოვრები ჩვეულებრივი ხალხის ხარჯზე. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული კრიტიკოსები უნდობლობას უცხადებენ კორპორაციების მიერ წარმართულ გლობალიზაციას, სადაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მხოლოდ ერთი ასპექტია. აშშ-ში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ მცირდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც სჯერათ, რომ ვაჭრობა ეკონომიკისთვის კარგია. 2017 წლის გამოკითხვის თანახმად, 72 პროცენტი მიიჩნევდა, რომ ვაჭრობა აშშ-ისთვის იყო „შესაძლებლობა", მაშინ როდესაც 28 პროცე-

ნტისთვის ის „საფრთხეს“ წარმოადგენდა (ვაჭრობის მოწინააღმდეგეთა რიცხვი რამდენიმე პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი წინა წლებთან შედარებით). თუმცა, მსოფლიოს მასშტაბით საზოგადოებრივი აზრი ვაჭრობის მხარდამჭერია: 2014 წელს 44 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტების საშუალოდ 81 პროცენტისთვის საერთაშორისო ვაჭრობა დადებითი მოვლენაა, კულტურასა და გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად. განსაკუთრებით მაღალი მხარდაჭერა დაფიქსირდა ექსპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებში – მაგალითად 90 პროცენტზე მეტი მხარდაჭერა ვიეტნამში, ისრაელში, სამხრეთ კორეასა და გერმანიაში.

თავისუფალი ვაჭრობის სარგებელი უფრო ნაკლებად თვალსაჩინოა, ვიდრე დანაკარგი. ამერიკელ მომხმარებლებს საშუალება აქვთ, იაფად შეიძინონ დაბალხელფასიანი ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონელი. შესაბამისად, მომხმარებლებს შეუძლიათ უფრო მეტი დახარჯონ სხვა პროდუქტებსა და მომსახურებაზე, რაც, საბოლოო ჯამში, უფრო მეტი ამერიკელის დასაქმებას განაპირობებს. იაფი იმპორტი ასევე ხელს უწყობს დაბალი ინფლაციის შენარჩუნებას, რომელიც ხელს აძლევს როგორც მოქალაქეებს, ისე პოლიტიკოსებს. თუმცა, ეს დიდი ვერაფერი შეღავათია, როცა თქვენ ერთ-ერთი მათგანი ხართ, ვინაც სამუშაო დაკარგა.

5.4 გლობალიზაცია, ფინანსური ბაზრები და სავალუტო სისტემა

შეაჯამეთ გაცვლითი კურსების სამი სისტემა, რომლებსაც სახელმწიფოები იყენებენ.

გლობალიზაციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობების მრავალი მიმართულებით გამოწვია. აქამდე ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს გლობალიზაცია მსოფლიო უსაფრთხოებასა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებზე. გლობალიზაციამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა სახელმწიფოების, ბიზნესისა და ინდივიდების ფინანსურ ბაზრებთან ურთიერთქმედების გზებზეც მოახდინა.

დღეს მსოფლიო ფინანსური ბაზრების ინტეგრაცია ისეთი მაღალია, როგორც არასდროს. ინვესტორს ტელეფონზე რამდენიმე დაწკაპუნებით შეუძლია აქტივების ყიდვა-გაყიდვა ან ვალუტის გადაცვლა. ბანკების საინვესტიციო პორტფელები ხშირად სხვადასხვა ქვეყანაში მდებარე ასეულობით მილიონი აშშ დოლარის ღირებულების აქტივებისგან შედგება (უძრავი ქონება, მიწა, აქციები). მსოფლიო სავალუტო ბაზრებზე ყოველდღიურად დაახლოებით 3 ტრილიონი აშშ დოლარის ღირებულების ვალუტის გადაცვლა ხდება. აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ ინვესტორებს სხვადასხვა ქვეყნებში ბიზნესის საწარმოებლად სხვა-

დასხვა ვალუტა სჭირდებათ. ისინი ასევე ფსონს აკეთებენ ვალუტების კურსის ცვლილებაზე, რასაც ძალიან მალე შევეხებით.

ფინანსურ ინტეგრაციას უდიდესი უპირატესობა აქვს. ის ინვესტორებს და ბიზნესს სთავაზობს წვდომას უცხოურ ბაზრებზე ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად. ის ასევე იძლევა ამონაგებს, რაც ადამიანებმა შეიძლება ჩადონ საუნივერსიტეტო განათლებაში ან გამოიყენონ როგორც საპენსიო დანაზოგი. თუმცა, ფინანსურ ინტეგრაციას თან ახლავს რისკებიც. ერთ სახელმწიფოში განვითარებული ეკონომიკური კრიზისი შეიძლება სწრაფად გავრცელდეს მეორეში და შემდეგ კიდევ სხვაგან. ეკონომიკური პრობლემების გავრცელებამ შესაძლოა სწრაფად გამოიწვიოს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დიდ და პატარა ეკონომიკებზე თანაბარ გავლენას ახდენს.

ასეთი იყო 2008 წლის შემთხვევაც. აშშ-ში დაწყებული ეკონომიკური დაღმასვლისას ბევრმა ამერიკელმა, რომელთაც სახლის შესაძენად სესხი ჰქონდათ გამოტანილი, ამ სესხების დაფარვა ვერ შეძლეს. ამავდროულად დაიწყო შეძენილი სახლების ღირებულის ვარდნაც. შესაბამისად, სახლის დაპატრონების შემთხვევაშიც კი, ბანკებს არ შეეძლოთ ამ სახლების გაყიდვით სესხად გაცემული თანხის ამოღება. ვითარება იმანაც დაამძიმა, რომ ბანკებმა ეს სესხები ხშირ შემთხვევაში ინვესტიციების სახით მიჰყიდეს საზღვარგარეთ მდებარე სხვა ბანკებსა და ბიზნესებს. ამის შემდეგ, რამდენიმე მსხვილმა ამერიკულმა ბანკმა გამოაცხადა, რომ ამგვარ იპოთეკურ სესხებში ჩადებული დიდი რაოდენობით თანხების გამო, გაკოტრების ზღვარზე იდგნენ. აღნიშნული პრობლემას წარმოადგენდა არა მხოლოდ ბანკებისთვის და ინდივიდებისთვის, რომელთაც იპოთეკური სესხების გადახდა არ შეეძლოთ, არამედ იმ ბიზნესებისთვისაც, რომელთაც ეს სესხები ინვესტიციების სახით ჰქონდათ შეძენილი.

ფინანსური ბაზრების გლობალური ინტეგრაციიდან გამომდინარე, იპოთეკურმა კრიზისმა მალევე გამოიწვია მსოფლიო საბანკო კრიზისი. შედეგად, რამდენიმე ბრიტანულმა ბანკმა გამოაცხადა, რომ გაკოტრების ზღვარზე იდგნენ. აშშ-ის მთავრობამ კრიზისულ ვითარებაზე პასუხად რთულ მდგომარეობაში მყოფი ბანკების დასახმარებლად 800 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის დახმარების პაკეტი გამოყო. ანალოგიური, 450 მილირადი აშშ დოლარის ღირებულების დახმარების პაკეტი გამოყო დიდმა ბრიტანეთმაც. ისლანდიაში მთავრობამ საბანკო სექტორის სრული ნაციონალიზაცია განახორციელა და ეკონომიკურად ძლიერ ამ ქვეყანას, მთავრობის გაკოტრების თავიდან ასარიდებლად, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან სესხის აღება დასჭირდა.

აღნიშნული ფინანსური კრიზისის შედეგად მნიშვნელოვანი დარტყმა მიიღეს მსოფლიო საფონდო ბირჟებმა: შემცირების მასშტაბი ზოგან მესამედი, ზოგან ნახევარი, ხოლო ჩინეთში ორი მესამედიც კი იყო. მსოფლიოს მასშტაბით გაიზარდა უმუშევრობა. აშშ-ის იპოთეკურ ბაზა-

რზე შექმნილი პრობლემები, საბოლოო ჯამში, მსოფლიო ფინანსურ ვარდნაში გადაიზარდა.

2008 წლის შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკამ შეძლო კრიზისის დაძლევა, თუმცა მალევე მოუხდა ევროპის ვალის კრიზისის ტალღურ ეფექტებთან გამკლავება. ევროპის ვალის კრიზისი საბერძნეთში დაიწყო და ესპანეთში, პორტუგალიასა და იტალიაში გავრცელდა. ამან საფრთხე შეუქმნა მთლიანად ევროკავშირს და ამავდროულად, შეაფერხა ეკონომიკური ზრდა აშშ-ში. ფინანსური პრობლემების სწრაფად გავრცელება ნათლად წარმოაჩენს დღევანდელ სამყაროში არსებულ ფინანსურ ურთიერთდამოკიდებულებას.

5.4.1 სავალუტო სისტემა

თითქმის ყველა სახელმწიფო საკუთარ ფულს ბეჭდავს. სახელმწიფო სუვერენიტეტის ხასიათიდან გამომდინარე, საერთაშორისო ეკონომიკა ეროვნულ ვალუტებს ემყარება და არა მსოფლიო ვალუტას. მთავრობების ერთ-ერთი მთავარ ძალაუფლებას ფულის ბეჭდვა წარმოადგენს, რომელიც ამ მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალებაა. ეროვნულ ვალუტებს სხვა ქვეყნებში პირდაპირი ღირებულება არ გააჩნიათ, თუმცა შესაძლებელია ვალუტების ერთმანეთში გაცვლა.

საუკუნეების მანძილზე, ევროპულ სახელმწიფოთა სისტემა გლობალურ ვალუტად იყენებდა ძვირფას ლითონებს, რომლებსაც ღირებულება ყველა ქვეყანაში გააჩნდათ. ძვირფას ლითონებში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ოქრო, ხოლო მნიშვნელობით მეორე იყო ვერცხლი. ამ ლითონებს თანდაყოლილი ღირებულება ჰქონდათ და მარტივად იყო შესაძლებელი მათი გადადნობა საიუველირო ან სხვა მსგავს ნაწარმად. ეს ლითონები შედარებით იშვიათობას წარმოადგენდა და ახალი ოქროსა და ვერცხლის საბადოებში მოპოვება შედარებით ხანგრძლივი პროცესი იყო. ასევე, ისინი დიდხანს ძლებდნენ და რთული იყო მათი გაზავება ან გაყალბება.

დროთა განმავლობაში ოქრომ და ვერცხლმა ღირებულება შეიძინა იმის გამო, რომ მათ მსოფლიო ვალუტად იყენებდნენ – მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში მცხოვრებ ხალხს სჯეროდა, რომ ამ ლითონების გადაცვლა სამომავლოდ შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვა პროდუქტზე. ამ დამოკიდებულებამ გადაფარა ოქროს ან ვერცხლის ბუნებრივი ღირებულება. სახელმწიფოები ოქროსა და ვერცხლის ზოდებს საერთაშორისო ვალუტაში დენომინირებული საბანკო ანგარიშების მსგავსად აგროვებდნენ.

უკანასკნელ წლებში, მსოფლიო აღარ იყენებს ასეთ **ოქროს სტანდარტს.** ჩამოყალიბდა საერთაშორისო სავალუტო სისტემა, სადაც აღარ ფიგურირებს ძვირფასი ლითონების მსგავსი მატერიალური გაცვლის საშუალება. დღესაც, პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში, ზო-

ოქროს სტანდარტი (gold standard)
საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების სისტემა 1970-იან წლებამდე ერთი საუკუნით ადრე, რომელშიც ეროვნული ვალუტების ღირებულება მიბმული იყო ოქროს ან სხვა ძვირფასი ლითონის ღირებულებაზე.

გაცვლითი კურსი (exchange rate)
კურსი, რომლითაც ერთი სახელმწიფოს ვალუტა შესაძლოა გაიცვალოს მეორე სახელმწიფოს ვალუტაზე. 1973 წლიდან, საერთაშორისო სავალუტო სისტემა ძირითადად ეფუძნება მცურავ და არა ფიქსირებულ გაცვლით კურსებს.

გიერთი კერძო ინვესტორი ყიდულობს ოქროს ან ვერცხლს, რადგან მიიჩნევენ, რომ ამ ლითონებს გარანტირებულად ექნებათ სამომავლო ღირებულება. თუმცა, ოქრო და ვერცხლი ახლა სხვა დანარჩენ საგნებს დაემსგავსნენ და მათზე ფასები ასევე მერყეობს. მსოფლიო ეკონომიკის გადასვლა ოქროს ზოდებიდან აბსტრაქტულ ფულზე ზრდის საერთაშორისო ეკონომიკების ეფექტურობას. მისი ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ ოქროსავით ხელშესახები გარანტიის გარეშე, ადამიანების თვალში ვალუტები ნაკლებად საიმედოდ გამოიყურება.

დღესდღეობით ეროვნულ ვალუტების ღირებულება ერთმანეთთან და არა ოქროსთან ან ვერცხლთან მიმართებით განისაზღვრება. თითოეული სახელმწიფოს ვალუტა შესაძლებელია გაიცვალოს სხვა სახელმწიფოს ვალუტაზე **სავალუტო კურსის** შესაბამისად – რომელიც აჩვენებს, მაგალითად, რამდენი კანადური დოლარი შეესაბამება ერთ აშშ დოლარს. აღნიშნული გაცვლითი კურსი ზეგავლენას ახდენს თითქმის ყველა ეკონომიკურ ტრანსაქციაზე – ვაჭრობაზე, ინვესტიციებზე, ტურიზმზე და ა.შ.

5.4.2 საერთაშორისო სავალუტო გაცვლა

სავალუტო კურსების უმრავლესობა გამოსახულია მსოფლიოს წამყვან ვალუტებში, იქნება ეს აშშ დოლარი, იაპონური იენი თუ ევროკავშირის ევრო. შესაბამისად, დანიური კრონის გაცვლითი კურსი ბრაზილიურ რიალთან მიმართებაში დამოკიდებულია ამ ორი ვალუტის მსოფლიოს წამყვან ვალუტებთან გაცვლით კურსზე. მსოფლიო ეკონომიკაზე ყველაზე დიდ ზეგავლენას დიდი ეკონომიკური სახელმწიფოების ვალუტებს (აშშ დოლარი, ევრო, იენი, ბრიტანული ფუნტი და კანადური დოლარი) შორის არსებული გაცვლითი კურსი ახდენს.

ვალუტების ფარდობითი ღირებულება დროის რომელიმე მოცემულ მომენტში პირობითია. არსებითია მხოლოდ დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილება. მაგალითად, ღირებულებით ევრო აშშ დოლართან საკმაოდ ახლოს დგას, ხოლო ერთი იაპონური იენი თითქმის 1 ცენტს (0.01 აშშ დოლარი) უტოლდება. თავისთავად ეს არაფერს გვეუბნება ამ ვალუტების სასურველობაზე ან მათი სახელმწიფოების ფინანსურ პოზიციებზე. თუმცა, როდესაც ევროს ღირებულება დოლართან მიმართებაზე იზრდება (ან ეცემა), რადგან ევროს უფრო (ან ნაკლებად) ღირებულად მიიჩნევენ, მაშინ ამბობენ რომ ევრო ძლიერია (ან სუსტია). ძლიერი ვალუტა იმპორტს უწყობს ხელს, ხოლო სუსტი ვალუტა ექსპორტს უფრო კონკურენტულს ხდის. მაგალითად, როცა აშშ დოლარის ღირებულება დაეცა 2001-06 წლებში, აშშ-ის 200 მსხვილი კომპანიის საგარეო გაყიდვების წილი მთლიან გაყიდვებში 32-დან 44 პროცენტამდე გაიზარდა.

ზოგიერთ სახელმწიფოს კონვერტირებადი ვალუტა არ გააჩნია. ასეთი ვალუტის მფლობელს არ აქვს გარანტია, რომ საკუთარი ვალუტის

სხვა ვალუტაზე გადაცვლას შეძლებს. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკისგან მოწყვეტილ ქვეყნებში, მაგალითად ასე იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. რეალურად, შესაძლებელია არაკონვერტირებადი ვალუტის გაყიდვაც, შავ ბაზრებზე ან პირდაპირ ამ ვალუტის მბეჭდავ სახელმწიფოსთან მოლაპარაკებით, თუმცა ამ ვალუტის ღირებულება მაინც ძალიან დაბალი იქნება.

ზოგიერთი ვალუტა პრაქტიკულად არაკონვერტირებადია, რადგან მათი ინფლაცია იმდენად სწრაფია, რომ ასეთი ვალუტების მცირე ხნით შენარჩუნებაც კი ფულის დაკარგვას ნიშნავს. 1980-იანი წლებიდან ინდუსტრიალიზებული დასავლეთი ინფლაციას შედარებით დაბალ ნიშნულზე, ძირითადად წლიურ 5 პროცენტზე ქვემოთ ინარჩუნებს. გლობალურ სამხრეთში ინფლაცია დღეს უფრო დაბალია, ვიდრე ორი ათწლეულის წინ (იხ. ცხრილი 5.2). ლათინურმა ამერიკამ ინფლაცია 750 პროცენტიდან 15 პროცენტამდე შეამცირა, ხოლო ჩინეთსა და სამხრეთ აზიის სახელმწიფოებში ინფლაცია 5 პროცენტზე დაბლაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსეთისა და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მაგალითი, როდესაც ინფლაციის დონე 1000 პროცენტიდან 8 პროცენტზე ქვემოთ ჩამოვიდა. უკიდურესად მაღალ, უკონტროლო ინფლაციას, რომელიც აღემატება თვეში 50 პროცენტს ან წლიური 13 000 პროცენტს, **ჰიპერინფლაცია** ეწოდება. ზიმბაბვეში არსებული 200 მილიონიანი წლიური ჰიპერინფლაციის გამო, 2009 წელს გამოშვებულმა 100 ტრილიონი ზიმბაბვური დოლარის ბანკნოტებმა (დაახლოებით 30 აშშ დოლარი) მალევე დაკარგა საწყისი ღირებულება. 2017 წლის შემოდგომაზე ვენესუელას წლიურმა ინფლაციამ 4 000 პროცენტი შეადგინა, რის გამოც მთავრობამ ახალი ბანკნოტები დაბეჭდა და გამოუშვა ელექტრონული ფული ქვეყნის ნავთობრეზერვების იმედად. ზომიერად მაღალი ინფლაციის პირობებშიც კი, ფული ყოველკვირეულად კარგავს ღირებულებას, რაც უფრო ართულებს ბიზნესის საქმიანობას.

ჰიპერინფლაცია (hyperinflation)
ფასების უკიდურესად სწრაფი და უკონტროლო ზრდა, როგორსაც ადგილი ჰქონდა 1920-იანი წლების გერმანიაში და მესამე სამყარო ზოგიერთ ქვეყანაში უფრო ახლო წარსულში.

ცხრილი 5.2 ინფლაციის დონე რეგიონების მიხედვით, 1993-2018 წწ.

რეგიონი	ინფლაციის დონე (წლიური პროცენტი)		
	1993	2009	2018[a]
ინდუსტრიალიზებული დასავლეთი	3	0.1	2
რუსეთი/ყოფილი საბჭოთა კავშირი	1,400	11	5
ჩინეთი	15	-0.5	3
ახლო აღმოსავლეთი	27	4	4
ლათინური ამერიკა	750	6	5
სამხრეთ აზია	6	7	9
აფრიკა	112	11	6

a ეყრდნობა 2017 წელს არსებულ არასრულ მონაცემებს

შენიშვნა: ცხრილში მოცემული რეგიონები არ არის ნიგნში სხვაგან წარმოდგენილი რეგიონების იდენტური

წყარო: World Economic Situation and Prospects 2018. United Nations, 2017.

მყარი ვალუტა (hard currency)
ფული, რომელიც შესაძლოა ადვილად კონვერტირდეს მსოფლიოს ნამყვან ვალუტებად.

არაკონვერტირებადი ვალუტებისგან განსხვავებით, **მყარი ვალუტა** ისეთი ფულია, რომელიც შესაძლებელია მარტივად გადაიცვალოს მსოფლიოს ნამყვან ვალუტებში (რომელთა ინფლაციის დონე ამჟამად დაბალია). მაგალითად, ჩინეთში კომპიუტერების მწარმოებელმა შესაძლებელია საკუთარი პროდუქციის ექსპორტის საფასური მიიღოს დოლარებში, ევროებში და სხვა მყარ ვალუტაში, რომელსაც საზღვარგარეთ საჭირო ნაწილების შესაძენად გამოიყენებს. თუმცა, ჩინელი ფერმერი, რომელიც ბრინჯის გაყიდვიდან შემოსავალს ჩინურ ვალუტაში იღებს, ასე მარტივად ვერ შეძლებს იმპორტული საქონლის შეძენას. ამისთვის საჭირო იქნება ჩინეთის მთავრობის მიერ დადგენილი კურსით ვალუტის გადაცვლა, რა პროცესსაც ასევე ჩინეთის მთავრობა აკონტროლებს.

რეზერვები (reserves)
სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული მყარი ვალუტის მარაგები.

სახელმწიფოები მყარი ვალუტის რეზერვებს ინახავენ, რაც იგივეა, რაც გასულ საუკუნეებში ოქროს მარაგების შექმნა. ეროვნული ვალუტები გამყარებულია მყარი ვალუტის და არა ოქროს **რეზერვებით**. თუმცა, ზოგიერთი სახელმწიფო ოქროს მარაგებსაც ინარჩუნებს. 2010 წელს, საუდის არაბეთმა განაცხადა, რომ დაახლოებით 300 ტონა ოქროს მარაგი გააჩნდა, რომლის ღირებულება 10 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებდა. 20018 წლისთვის ჩინეთსაც და რუსეთსაც დაახლოებით 2-2 ათასი ტონა ოქროს მარაგები ჰქონდათ. ინდუსტრიალიზებული ქვეყნები ფლობენ საკუთარი ეკონომიკების ზომის შესაბამის ფინანსურ რეზერვებს.

ფიქსირებული გაცვლითი კურსი (fixed exchange rates)
მთავრობების მიერ დანესებული ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსი. 1973 წლიდან ფიქსირებული გაცვლითი კურსი საერთაშორისო სავალუტო სისტემაში სავალუტო გაცვლის მთავარ მექანიზმად აღარ გამოიყენება.

სავალუტო გაცვლის ერთი ფორმა **ფიქსირებული სავალუტო კურსის** გამოყენებას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში, მთავრობები ერთობლივად ან ცალ-ცალკე აწესებენ საკუთარი ვალუტების ოფიციალურ გაცვლით კურსს. მრავალი წლის განმავლობაში, ამერიკულ და კანადურ დოლარს ერთნაირი ღირებულება გააჩნდათ და ერთი-ერთში იცვლებოდა (ეს ასე აღარ არის). სახელმწიფოებს ასეთი ფიქსირებული გაცვლითი კურსების შენარჩუნების ან მოდიფიცირების სხვადასხვა ინსტრუმენტი გააჩნიათ ცვალებადი ეკონომიკური გარემოს პირობებში (იხ. ქვემოთ ამავე თავში).

მცურავი გაცვლითი კურსი (floating exchange rates)
გლობალურ სავალუტო ბაზრებზე განსაზღვრული გაცვლითი კურსი, რა დროსაც კერძო ინვესტორები და მთავრობები ერთნაირად ყიდულობენ და ყიდიან ვალუტებს.

დღეს უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს **მცურავი გაცვლითი კურსი**, რომელიც მსოფლიოს ნამყვანი ვალუტებისთვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში კურსი მსოფლიო სავალუტო ბაზრებზე განისაზღვრება, სადაც კერძო ინვესტორები და მთავრობები ერთნაირად ახორციელებენ ვალუტის ყიდვა-გაყიდვას. თითოეული სახელმწიფოს ვალუტასთან დაკავშირებით მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმი მოქმედებს, როდესაც ფასები მუდმივად ზუსტდება საბაზრო პირობების შესაბამისად. ინვესტორები ყიდულობენ „ეფლის“ ან „ვოლმარტის“ აქციებს, როდესაც არსებობს ამ კომპანიების აქციათა ღირებულების გაზრდის მოლოდინი. იგივე მოქმედებს ვალუტის შემთხვევაშიც და ინვესტორებმა შესაძლოა დიდი რაოდენობით იაპონური იენი შეიძინონ, თუ მოელიან, რომ სამომავლოდ ამ ვალუტის ღირებულება გაიზრდება. საერთაშორისო ვალუტებით მოკლევადიანი სპეკულაციური ვაჭრობის მეშვეობით, გაცვლითი კურსები მიესადაგება ვალუტებზე გრძელვადიან მოთხოვნა-მიწოდებაში მომხდარ ცვლილებებს.

წამყვანი საერთაშორისო სავალუტო ბაზრები ფუნქციონირებს სულ რამდენიმე ქალაქში – მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ნიუ-იორკის, ლონდონის, ციურიხის, ტოკიოს და ჰონ-კონგის ბაზრები – რომლებსაც ერთმანეთთან მომენტალური, კომპიუტერული კავშირი აქვთ. ამ ბაზრებს მოკლევადიან პერსპექტივაში მხოლოდ ერთი საკითხი ამოძრავებთ: როგორი იქნება კონკრეტული ქვეყნის ვალუტის ღირებულება სამომავლოდ დღევანდელ ღირებულებასთან შედარებით? საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე დიდი რაოდენობით, დღეში დაახლოებით 3 ტრილიონი აშშ დოლარის ღირებულების ფული ტრიალებს, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოძრაობს (რა თქმა უნდა, რეალურად მოძრაობს მხოლოდ კომპიუტერიზებული მონაცემები). საერთაშორისო სავალუტო ბაზრები კერძო ბაზრებია, რომლებსაც მთავრობები საფონდო ბირჟებივით მკაცრად არ არეგულირებენ.

სახელმწიფოთა მთავრობები პერიოდულად ერევიან ფინანსურ ბაზრებში – ყიდულობენ და ყიდიან ვალუტებს მათი ღირებულებების მანიპულირების მიზნით (აღნიშნული ჩარევა შესაძლოა ასევე გულისხმობდეს მთავრობის მიერ დაწესებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას (იხ. ცენტრალური ბანკების შესახებ ამავე თავში)). ზოგადად თავისუფლად მცურავი სავალუტო გაცვლითი კურსის მართვის მიზნით აღნიშნული ტიპის სამთავრობო ინტერვენციებს **რეგულირებული მცურავი რეჟიმის** სისტემა ეწოდება. წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოები ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, ერთობლივად მუშაობენ ასეთი ჩარევის დროს. მაგალითად, თუ აშშ დოლარის ფასი მნიშვნელოვნად ეცემა სხვა ძირითად ვალუტებთან მიმართებაში (პოლიტიკური შეფასება), მთავრობებმა შესაძლოა განახორციელონ ჩარევა სავალუტო ბაზრებზე კერძო ინვესტორებთან ერთად და დოლარი შეისყიდონ. ასეთი გზით დოლარზე მოთხოვნის გაზრდით დოლარის ღირებულება სტაბილურდება და შესაძლოა გაიზარდოს კიდეც (თუ დოლარის გაცვლითი კურსი ძალიან აიწევს, მაშინ მთავრობები დოლარს გაყიდიან, მიწოდებას გაზრდიან და ამ გზით დოლარის ღირებულებას შეამცირებენ). ასეთი სახის ინტერვენციები, როგორც წესი, სწრაფად ხორციელდება და სასურველი შედეგის მისაღწევად, შესაძლოა რამდენჯერმე გაიმეორონ. საერთაშორისო სავალუტოო ბაზრებზე ჩარევის მიუხედავად, მთავრობები მაინც არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან, რადგან ერთობლივად მოქმედების შემთხვევაშიც კი, ისინი ასეთ ბაზრებზე მიმოქცევაში არსებული ფულის მხოლოდ მცირე ნაწილს აკონტროლებენ, ფულის დიდი ნაწილი კი კერძო მფლობელობაში რჩება.

რეგულირებული მცურავი რეჟიმი (managed float)
სავალუტო ბაზრებში პერიოდული, მრავალეროვნული, სამთავრობო ჩარევების სისტემა, სხვა მხრივ მცურავი გაცვლითი კურსების სამართავად.

წარმატებული ჩარევის შემთხვევაში მთავრობებმა შეიძლება ფული კერძო გადამყიდველების ხარჯზე იშოვონ. მაგალითად, თუ დიდი ოცეულის (G20) მთავრობები შეთანხმდებიან, რომ გაზარდონ დოლარის ღირებულება, დაიწყებენ მთელ მსოფლიოში დოლარის შეძენას (სხვა მყარი ვალუტების გაყიდვას) და თუ წარმატებით განახორციელებენ ამ გეგმას,

მაშინ შეეძლებათ დაგროვილი დოლარების უფრო ძვირად გაყიდვა და მოგების მიღება. თუმცა, თუ ჩარევა წარუმატებლად დამთავრდება და დოლარის ღირებულება ვარდნას განაგრძობს, მაშინ მთავრობები ფულს დაკარგავენ და შესაძლოა დოლარის ვარდნის შესაჩერებლად ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების გაგრძელებაც მოუხდეთ. რეალურად, თუ ინვესტორები შეიტყობენ ასეთი ნაბიჯის შესახებ, ეს შესაძლოა აღიქვან როგორც სამიზნე ვალუტის სისუსტის ნიშანი, რაც კიდევ უფრო დააგდებს ამ ვალუტის ფასს. უკიდურეს შემთხვევაში, მთავრობებს შესაძლოა მიზნის მიღწევამდე ამოეწუროთ მყარი ვალუტის მარაგები და შედეგად მძიმე დანაკარგები განიცადონ. შესაბამისად, მთავრობები უნდა აცნობიერებდნენ, თუ რამდენად შეზღუდული ზეგავლენა აქვთ ვალუტის ფასებზე.

აღნიშნული შეზღუდვები მკაფიოდ გამოვლინდა 2001 წლის არგენტინის ფინანსური კრიზისის დროს. 1990-იან წლებში, არგენტინის ეროვნული ვალუტა ფიქსირებული გაცვლითი კურსით იყო მიბმული აშშ დოლარზე, რაც საკმაოდ ეფექტური მეთოდი იყო სწრაფად მზარდი ინფლაციის შესაჩერებლად, რამაც ახლო წარსულში უდიდესი ზიანი მიაყენა არგენტინის ეკონომიკას. თუმცა, პესოს დოლარზე მიბმა ნიშნავდა სუვერენიტეტის დაკარგვას სავალუტო პოლიტიკის საკითხებში, რაც ეკონომიკის კონტროლის ერთ-ერთ საკვანძო ბერკეტს წარმოადგენს. არგენტინის საერთაშორისო დავალიანებამ 132 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია და ქვეყანას ვალის მომსახურება აღარ შეეძლო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გაწეული დახმარება ვალის რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით დამოკიდებული იყო მკაცრი ფინანსური პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც ითვალისწინებდა გადასახადების გაზრდას და ხარჯვის შემცირებას, რაც კრიტიკოსების აზრით მრავალწლიანი რეცესიის პირობებში შეცდომა იყო. 2001 წელს, აშშ-ისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩაურევლობის პირობებში, არგენტინის ეკონომიკა ჩამოიშალა, დროის მოკლე პერიოდში თანამდებობიდან ორი პრეზიდენტი გადადგა და ხელისუფლებაში მოვიდა პოპულისტი, რომელმაც საგარეო ვალებზე დეფოლტი გამოაცხადა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად პესოს დევალვაცია გადაწყვიტა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის იმედგამაცრუებელი, ხოლო არგენტისთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა. 2003 წელს, არგენტინამ დეფოლტი გამოაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის 3 მილიარდი აშშ დოლარის გადახდაზე, რომელიც ფონდის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ დეფოლტს წარმოადგენდა. შემდგომში არგენტინის ეკონომიკამ შეძლო შემობრუნება და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დავალიანება 2006 წელს გაისტუმრა.

კიდევ ერთი ლათინურ ამერიკული ქვეყნის, ვენესუელის შემთხვევა ნათლად წარმოაჩენს არასწორი სავალუტო პოლიტიკის მავნე შედეგებს. 2003 წლის დასაწყისში, ვენესუელამ დიფერენცირებული გაცვლითი კურსი დააწესა, რომლის ფარგლებშიც ოფიციალური გაცვლითი კურსი გასაყიდი საგნების მიხედვით იცვლებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ

ზოგიერთი იმპორტული საქონლის შეძენა შედარებით ხელსაყრელი გაცვლითი კურსით ხდებოდა, ზოგიერთი „ძვირადღირებული" პროდუქტი საკმაოდ გაიაფდა (მდიდრული მანქანები და სასმელები), ხოლო ძირითადი პროდუქტები (რძე), პირიქით, გაძვირდა. 2015 წლისთვის, ვენესუელას ეკონომიკა ახლოს იდგა ჰიპერინფლაციასთან.

უფრო ახლო ისტორიის მაგალითს წარმოადგენს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ქვეყნის, ჩინეთის ვალუტის შემთხვევა. 2001 წლის არგენტინის მსგავსად, ჩინეთის ვალუტის აშშ დოლარზე მიბმამ ვერ უზრუნველყო ორ ქვეყანაში არსებულ განსხვავებულ ეკონომიკურ პირობებზე მორგება. ჩინეთს ძალიან დიდი სავაჭრო პროფიციტი აქვს, აშშ-ის კი ძალიან დიდი სავაჭრო დეფიციტი – 2017 წლის მონაცემებით, მხოლოდ ჩინეთთან 375 მილიარდ დოლარზე მეტი, საერთო ჯამში კი 500 მილიარდ დოლარზე მეტი. კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ დოლარიუანის შეფარდება ხელოვნურად არის შეცვლილი, რის შედეგადაც ჩინეთის ექსპორტი აშშ-ში იაფია, რაც ხელს უწყობს სავაჭრო დისბალანსს და აშშ-ში მანუფაქტურული სამუშაოების დაკარგვას. ეს კი აშშ-ისთვის მნიშვნელოვანი შიდაპოლიტიკური საკითხია. ამ მიზეზით 2017-18 წლებში აშშ-მა ტარიფები გაზარდა ჩინეთის ზოგიერთ საქონელზე, მათ შორის მზის პანელებზე, სარეცხ მანქანებსა და ფოლადზე. გაიზარდა ზეწოლა ჩინეთზე სავალუტო რეფორმის განხორციელების მოთხოვნით. თუმცა, ჩინეთი პირველ რიგში შიდა სტაბილურობის შენარჩუნებით არის დაინტერესებული, რადგან მაღალი დასაქმებისთვის ჩინეთს პროდუქციის ექსპორტი ესაჭიროება. ჩინეთის დევალვირებული ვალუტა ხელს უწყობს საექსპორტო საქონლის სიიაფეს და სამუშაო ადგილების შენარჩუნებას. შედეგად, ჩინეთმა საკუთარი ვალუტის მხოლოდ ნელი და ზომიერი გამყარება დაუშვა. აშშ-ის ფედერალური რეზერვის საბჭოს 2017 წლის კვლევის მიხედვით, ჩინეთის ვალუტის კურსი იცვლებოდა ისე, თითქოს ის მცურავი ყოფილიყო, მაგრამ სწრაფად შეიძლებოდა შეცვლილიყო ჩინეთის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ამ ცურვას შესაძლებელს ხდიდა.

2006 წელს ჩინეთმა, იაპონიამ და სამხრეთ კორეამ განაცხადეს, რომ გეგმავდნენ მუშაობას საკუთარი სავალუტო პოლიტიკის კოორდინირების მიზნით. 2017 წელს სამხრეთ კორეამ გაახანგრძლივა 50 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის სავალუტო გაცვლის რეჟიმი ჩინეთთან, მიუხედავად იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური დავა იყო სამხრეთ კორეის მიერ ამერიკული ანტისარაკეტო სისტემების საკუთარ ტერიტორიაზე განთავსების გამო. ასეანის ქვეყნებთან ერთად ჩინეთი, იაპონია და სამხრეთ კორეაც განიხილავენ აზიური სავალუტო ერთეულის შემოღების პერსპექტივას. ზემოხსენებული პროცესი ევროს მსგავსი აზიური ვალუტის საბოლოო შემოღებისკენ გადადგმული საწყისი ნაბიჯები შეიძლება იყოს. თუმცა, საუკეთესო შემთხვევაში, ეს მხოლოდ საწყისი ეტაპია.

5.4.3 რა განაპირობებს ვალუტების ზრდას და დაცემას?

მოკლევადიან პერსპექტივაში, გაცვლითი კურსები დამოკიდებულია სპეკულაციებზე ვალუტების სამომავლო ღირებულების თაობაზე. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, სახელმწიფოს ვალუტის ღირებულება სხვა ვალუტებთან მიმართებით მასზე გრძელვადიანი მოთხოვნა-მიწოდების ცვლილების შესაბამისად იზრდება ან მცირდება. ფულის დაბეჭდვა მთავრობებისთვის შემოსავლის მიღების სწრაფი გზაა, მაგრამ რაც უფრო მეტი ფული დაიბეჭდება, მით უფრო გაუფასურდება მისი ღირებულება. ვალუტაზე არსებული მოთხოვნა დამოკიდებულია სახელმწიფოს ეკონომიკურ სიჯანსაღესა და პოლიტიკურ სტაბილურობაზე. ადამიანებს არ სურთ არასტაბილური ქვეყნის ვალუტა, რადგან პოლიტიკური არასტაბილურობა ეკონომიკური ეფექტურობის შემცირებას და ვალუტის მიმართ ნდობის გაქრობას იწვევს.

სახელმწიფოები იზიარებენ საერთო ინტერესს სავალუტო სტაბილურობასთან მიმართებით, რადგან სავალუტო სტაბილურობა ეხმარება საერთაშორისო ვაჭრობას, ხოლო არასტაბილურობა ახეირებს გადამყიდველებს ცენტრალური ბანკების ხარჯზე. სავალუტო სტაბილურობის მიმართ საერთო ინტერესების მიუხედავად, სახელმწიფოებს მაინც მოსდით კონფლიქტი სავალუტო გაცვლებთან დაკავშირებით. სახელმწიფოებს ხშირად ურჩევნიათ საკუთარი ვალუტის დაბალი გაცვლითი კურსი სხვა ვალუტებთან მიმართებაში, რადგან დაბალი კურსი ხელს უწყობს ექსპორტს და სავაჭრო დეფიციტს სავაჭრო პროფიციტად აქცევს, რასაც განსაკუთრებით ემხრობიან მერკანტილისტები.

გაცვლითი კურსები, ისევე როგორც სავაჭრო პროფიციტი ან დეფიციტი, ავტომატურად ნახულობს წონასწორობას (ამ შედეგს ლიბერალები მიესალმებიან). გადამეტებული ღირებულებისაა ისეთი ვალუტა, რომლის გაცვლითი კურსი ძალიან მაღალია, რაც ქრონიკულ სავაჭრო დეფიციტს იწვევს. აღნიშნული დეფიციტის დაფარვა შესაძლებელია ფულის ბეჭდვით, რაც ამცირებს ვალუტის ღირებულებას და გაცვლით კურსს (თუ ვალუტა თავისუფალ ცურვაშია). გამომდინარე იქიდან, რომ ლიბერალებისთვის სავალუტო კურსის მისადაგება უწყინარი მოვლენაა, ლიბერალები მნიშვნელობას არ ანიჭებენ გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რასაც ისინი მსოფლიო ეკონომიკაში არაეფექტურობის აღმოფხვრისა და ეკონომიკური ზრდის მაქსიმიზების მექანიზმად განიხილავენ.

დევალვაცია (devaluation)
ფიქსირებული ან ოფიციალური გაცვლითი კურსის შეცვლით სახელმწიფო ვალუტის გასაუფასურებლად გადადგმული ცალმხრივი ნაბიჯი.

ფიქსირებული ან ოფიციალური გაცვლითი კურსის შეცვლით სახელმწიფო ვალუტის გასაუფასურებლად გადადგმულ ცალმხრივ ნაბიჯს **დევალვაცია** ეწოდება. ზოგადად, დევალვაცია მოკლევადიან პერსპექტივაში ფინანსური პრობლემების მოგვარების სწრაფი საშუალებაა, თუმცა მან შესაძლოა ახალი პრობლემებიც გამოიწვიოს. ამ ნაბიჯით ზარალს ნახულობენ უცხოელები, რომლებიც აღნიშნულ ვალუტას ფლობენ (და რომელიც მოულოდნელად უფასურდება). ეს ასევე ამცირებს ვალუტის

მიმართ ადამიანების ნდობას. შედეგად, ვალუტაზე მოთხოვნა კიდევ უფრო დაბლა ეცემა. ინვესტორებს აწუხებთ შემდგომი დევალვაციის პერსპექტივა და არასტაბილურ ეკონომიკებში ასეთი დევალვაციები მართლაც ხშირად მოსდევს ერთმანეთს. 2009 წლის პირველი სამი კვირის მანძილზე, რუსეთმა ექვსჯერ მოახდინა რუბლის დევალვაცია, მას შემდეგ რაც ფასები ნავთობზე (რუსეთის მთავარი საექსპორტო საქონელი) მნიშვნელოვნად დაეცა. ვალუტის გაუფასურება შესაძლებელია ფიქსირებული გაცვლითი კურსიდან თავისუფალ ცურვაზე გადაყვანით, რომელიც ხშირად ერთჯერად, მაგრამ მნიშვნელოვან ვარდნას იწვევს.

უკანასკნელ წლებში, მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო ელექტრონული ვალუტების სახელით ცნობილმა ახალმა ფენომენმა. არც ერთი ასეთი ვალუტა ფიზიკური ფორმით არ არსებობს. მათგან ყველაზე ფართოდ გამოყენებულ ბიტკოინს დღეს მსოფლიოს მასშტაბით ბევრი ბიზნესი იყენებს. ელექტრონული ვალუტების ტრადიციულ ვალუტებში გადაცვლა და პირიქით შესაძლებელია ინტერნეტში არსებული რამდენიმე სავაჭრო პლატფორმის მეშვეობით. ბიტკოინი, რომლის ღირებულება შექმნისას 0.05 აშშ დოლარს არ აღემატებოდა, 2014 წლის ზაფხულში თითქმის 1 000 დოლარამდე გაძვირდა, 2015 წელს 300 დოლარზე ჩამოვიდა, ხოლო 2018 წლისთვის 11 000 დოლარს გადააჭარბა. ელექტრონული ვალუტების უნიკალურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ მათ სახელმწიფოები არ უშვებენ, თუმცა ინდივიდები საქონლის ყიდვა-გაყიდვის მიზნით იყენებენ (თავდაპირველად ბიტკოინი ძირითადად გამოიყენებოდა საერთაშორისო ბაზრებზე არალეგალური ნაწარმის შესაძენად). ამ ეტაპზე უცნობია, შეძლებს თუ არა ელექტრონული ვალუტები მსოფლიო ვაჭრობაში უფრო მნიშვნელოვანი როლის თამაშს (იხ. თავი 8).

5.4.4 ცენტრალური ბანკები

მთავრობები ფულის ბეჭდვას აკონტროლებენ. ზოგიერთ სახელმწიფოში, პოლიტიკოსები ან მთავრობის სათავეში მყოფი სამხედროები პირდაპირ ადგენენ დასაბეჭდი ფულის რაოდენობას. გასაკვირი არ არის, რომ ასეთ სახელმწიფოებში ინფლაცია უფრო მაღალია, რადგან პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის გზად ხშირად ფულის დაბეჭდვას იყენებენ. თუმცა, ინდუსტრიალიზებულ სახელმწიფოებში პოლიტიკოსებმა იციან, რომ ფულის დაბეჭდვის შესახებ ყოველდღიური გადაწყვეტილებები საკუთარ თავს არ უნდა ანდონ. თვითდისციპლინის ამაღლებისა და ფულის ღირებულების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდის მიზნით, აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება **ცენტრალურ ბანკს** აქვს.[5]

ცენტრალური ბანკი (central bank)
ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული ინსტიტუტი, რომლის მთავარ ამოცანასაც წარმოადგენს ქვეყნის ვალუტის ღირებულების შენარჩუნება და ინფლაციის კონტროლი.

ცენტრალური ბანკის მმართველ რგოლში მყოფი ეკონომისტები და ტექნიკური ცოდნის მქონე ექსპერტები ცდილობენ შეინარჩუნონ სახელმ-

5 ზოგან მას ეროვნული ბანკი ეწოდება. *რედ. შენ.*



დაადე და გადაიხადე იზრდება ვირტუალური ვალუტების, მაგალითად ბიტკოინის, პოპულარობა, თუმცა მათზე ეკონომიკური ტრანსაქციების მხოლოდ მცირე ნაწილი მოდის. ვირტუალური ვალუტა სულ უფრო ხშირად გამოიყენება ქვეყნებში, სადაც სავალუტო პრობლემებია. სურათზე, მომხმარებელი ბიტკოინით იხდის ყავის საფასურს ათენის კაფეში, 2018 წელს. ბიტკოინის პოპულარობა გაიზარდა საბერძნეთში, რადგან მთავრობას კონტროლი ჰქონდა დაწესებული ევროს მიმოქცევაზე, ხოლო ვირტუალური ვალუტები არ რეგულირდებოდა.

ნიფო ვალუტის ღირებულება ფულის დაბეჭდვის შეზღუდვისა და მაღალი ინფლაციის პრევენციის გზით. ბანკის მმართველებს პოლიტიკოსები ნიშნავენ, თუმცა ხანგრძლივი ვადით, რაც პოლიტიკოსების ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს არ ემთხვევა. გამომდინარე აქედან, ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი პირები ბანკის მართვას ეროვნული ინტერესების შესაბამისად ახორციელებენ და ცდილობენ პარტიული პოლიტიკისგან დისტანცირებას. თუ სახელმწიფოს მეთაური გასცემს ბრძანებას სამხედრო ჩარევისკენ, გენერლები მას ემორჩილებიან, მაგრამ თუ ლიდერი სავალუტო ბაზარზე ჩარევის ბრძანებას გასცემს, ცენტრალური ბანკი არ არის ვალდებული, მას დაემორჩილოს. რეალობაში, ცენტრალური ბანკების ავტონომიურობის ხარისხი განსხვავდება. მაგალითად, ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი თანამდებობიდან გაათავისუფლა საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული დავის გამო 2001 წელს.

აშშ-ში ცენტრალური ბანკია ფედერალური რეზერვი, რომელსაც ხშირად ფედ-ის სახელით მოიხსენებენ. ფედერალურ რეზერვს ეკონომიკაზე ზეგავლენის მოხდენა ეკონომიკაში ფულის მასის შეშვებით ან შეჩერებით შეუძლია. საერთაშორისო დონეზე ფედერალური რეზერვი ამას სავალუტო ბაზრებზე ჩარევის გზით ახორციელებს. მრავალმხრივი ჩარევა, როგორც წესი, კოორდინირებულია წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების და სახაზინო (ფინანსთა) უწყებების ხელმძღვანელ პირებს შორის. ცენტრალური ბანკი მმართველთა გრძელვადიანი და შედარებით არაპარტიული ხედვა, სახელმწიფოებისთვის უფრო აადვილებს სტაბილური მსოფლიო სავალუტო სისტემის კოლექტიური სიკეთის მიღწევას.

აშშ-ის შიგნით, ფედერალური რეზერვი საკუთარ უფლებამოსილებას ძირითადად **საპროცენტო განაკვეთის** დაწესებით ახორციელებს, რომელიც მთავრობის მიერ კერძო ბანკებზე გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთია. რეალურად, სწორედ ამ განაკვეთით კონტროლდება, თუ რამდენად სწრაფად ხორციელდება ფულის ინექცია ეკონომიკაში. თუ საპროცენტო განაკვეთი მაღალია, მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა შემცირდება და როგორც მომხმარებლებს, ისე ბიზნესმენებს გაურთულდებათ კერძო ბანკებიდან იგივე რაოდენობით, ან იაფად ფულის სესხება. შემცირდება ეკონომიკური ზრდაც.

ეროვნული ბანკის საპროცენტო განაკვეთი (discount rate)
სახელმწიფოს მიერ კერძო ბანკებზე გაცემულ სესხებზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთი. ამ განაკვეთს ქვეყნის მთავარი ბანკი ადგენს.

ცენტრალური ბანკების მიერ სავალუტო რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილის კონტროლის მიუხედავად, ეს მსოფლიოში არსებული ფულის მხოლოდ მცირე ნაწილია, რაც ცენტრალურ ბანკებისთვის შემზღუდველი ფაქტორია. სიმდიდრის უდიდეს ნაწილს კერძო ბანკები და კორპორაცი-

პოლიტიკის პერსპექტივები

ტაივანის პრეზიდენტი ცაი ინ-ვენი

პრობლემა *როგორ დაბალანსებთ საერთაშორისო პოლიტიკურ ზეწოლას შიდა ეკონომიკურ საკითხებთან?*



ინსტრუქცია წარმოიდგინეთ, რომ ტაივანის პრეზიდენტი ხართ. თქვენი ეკონომიკა სწრაფად გაიზარდა ბოლო ათწლეულში, თანამედროვე მრეწველობის წყალობით, რომელიც მაღალტექნოლოგიურ ნაწარმს უშვებს. მართალია სახელმწიფოების უმრავლესობა არ აღიარებს თქვენს ქვეყანას დიპლომატიურად, მაგრამ ისინი თქვენთან ვრცელ სავაჭრო ურთიერთობებში არიან ჩართული. თქვენ პატარა, კუნძულოვანი სახელმწიფო ხართ, მაგრამ მსოფლიოში მეთხუთმეტე ადგილზე ხართ მთლიანი ექსპორტის თვალსაზრისით. თქვენ გაქვთ ჩინებული სავაჭრო ბალანსი და ფართო სავალუტო რეზერვები – ერთ-ერთი შეფასებით, მხოლოდ ხუთ ქვეყანას აქვს უფრო მეტი რეზერვი, ვიდრე ტაივანს.

ვინაიდან ექსპორტი ასეთი მნიშვნელოვანი ნაწილია თქვენი ეკონომიკისთვის, გაცვლითი კურსი არსებითია ქვეყნის საერთო ეკონომიკური სიჯანსაღისთვის. იაფი ახალი ტაივანური დოლარი (NTD) თქვენს საქონელს უფრო ხელმისაწვდომს ხდის, რაც ეხმარება ექსპორტს. თქვენი ვალუტა ინარჩუნებს სტაბილურობას სხვა მნიშვნელოვან ვალუტებთან მიმართებით, როგორებიცაა ჩინური იუანი და აშშ დოლარი. თუმცა, 2016 წელს აშშ-ის მთავრობამ თქვენს მთავრობას ბრალი დასდო, რომ ის მეტისმეტად ერევა სავალუტო ბაზარზე, რათა NTD-ის ღირებულება დაბალ ნიშნულზე შეინარჩუნოს. შეერთებულმა შტატებმა თქვენს ქვეყანას გაფრთხილება მისცა და დაემუქრა, რომ შეუმცირებს უცხოურ დახმარებას, თუკი ვალუტით ზედმეტ მანიპულირებას გააგრძელებთ.

შიდა ფაქტორები თქვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდა, რომელსაც ექსპორტი განაპირობებს. თქვენ პრეზიდენტად აგირჩიეს, რადგან ეკონომიკური ზრდის გაგრძელებისა და პოლიტიკური კორუფციის შემცირების პირობა დადეთ. ტაივანში შედარებით დიდია ახალგაზრდების უმუშევრობა. ხელფასები არ გაზრდილა ქვეყანაში, რამაც განაპირობა უკმაყოფილება თქვენი მთავრობის მიმართ, რომ თქვენ არ შეგიძლიათ ეკონომიკის მართვა.

ტაივანი შედარებით მდიდარი ეკონომიკის ქვეყანაა ერთ სულზე გაანგარიშებით (დაახლოებით 50 ათასი აშშ დოლარი წელიწადში). მოქალაქეების უმრავლესობა პოლიტიკურად ძალიან აქტიურია და მყისიერად აყენებს ლიდერის პასუხსმგებლობას ეკონომიკის მდგომარეობის გამო. ექსპორტის მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნება ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად იყო მნიშვნელოვანი პირობა, რაც თქვენ მიეცით ამომრჩეველს, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა.

სცენარი ახლა წარმოიდგინეთ, რომ გლობალური ეკონომიკის ნელი ზრდის გამო, თქვენი ექსპორტი ჩინეთსა და შეერთებულ შტატებში დრამატულად მცირდება. ეს კიდევ უფრო ართულებს ხელფასების სტაგნაციას და ზრდის უმუშევრობას, რადგან წარმოების სექტორში უფრო ნაკლები სამუშაო ადგილია. ერთი გზა, რამაც შეიძლება გამოაცოცხლოს თქვენი ექსპორტი, არის რეზერვების გამოყენება და თქვენი ვალუტის ღირებულების შემცირება, რაც თქვენს საქონელს უფრო მიმზიდველს გახდის.

ცხადია, ამ პოლიტიკას რისკებიც ახლავს თან. პირველი, არის შანსი, რომ მან არ იმუშაოს. სახელმწიფოებისთვის რთულია, მოახდინონ საკუთარი ვალუტის ღირებულების მანიპულაცია. მეორე, თუ შეერთებული შტატები მიხვდება, რომ თქვენ განგებ ასუსტებთ თქვენს ვალუტას, ის შეიძლება შეეცადოს თქვენს დასჯას დახმარების შეკვეცით ან საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის მიმართვით, რომ გამოიძიოს თქვენი ეკონომიკური პოლიტიკა.

ალტერნატიული პოლიტიკა ჩაერევით საერთაშორისო სავალუტო ბაზრებში, რათა შეამციროთ თქვენი ვალუტის ღირებულება? თუკი ასე მოიქცევით, როგორ გაუმკლავდებით შეერთებული შტატების მუქარას დასჯის შესახებ, თუკი ის შეამჩნევს თქვენს მოქმედებას? თუ არ მოიქცევით ასე, როგორ გაუმკლავდებით თქვენი ქვეყნის მზარდ ეკონომიკურ პრობლემებს და საფრთხეს, რომლის წინაშეც ექსპორტი დგას? როგორ დააბალანსებთ თქვენი ქვეყნის საჭიროებებს სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ეკონომიკისგან მომდინარე ზეწოლასთან?

ები აკონტროლებენ. სახელმწიფოები, როგორც ეკონომიკური აქტორები, არ წარმართავენ მსოფლიო ეკონომიკას და დიდწილად არსებულ ტენდენციებს მიჰყვებიან, როგორც მინიმუმ გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა, როგორც უკანასკნელი ეკონომიკური კრიზისების დროს ვნახეთ, სახელმწიფოები გლობალურ ეკონომიკაში კვლავაც საკვანძო როლს თამაშობენ. მოკლევადიან პერსპექტივაში, სახელმწიფოებს შეუძლიათ მასშტაბური ხელშემწყობი პაკეტების მიღება, გაკოტრების ზღვარზე მყოფი კერძო ბანკებისა და კორპორაციების გადარჩენა და უკანონო ქმედებების ჩამდენი და ეკონომიკური პრობლემების გამომწვევი პირების დასჯა.

5.4.5 მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი

მსოფლიო სავალუტო სისტემის სტაბილურობისთვის საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობისა და კოლექტიური სიკეთის პრობლემის მოგვარების საჭიროებიდან გამომდინარე, სავალუტო ურთიერთობებში ქცევის ნორმების ირგვლივ ჩამოყალიბდა საერთაშორისო რეჟიმები და ინსტიტუტები. გაეროს მსგავსად, რომელიც ინსტიტუციურ დონეზე მხარს უჭერს საერთაშორისო უსაფრთხოების ნორმების დამცველ რეჟიმებს, ანალოგიური პრინციპი მოქმედებს მსოფლიო სავალუტო რეჟიმშიც.

უსაფრთხოების სფეროს მსგავსად, ძირითადი საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტებიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა. 1944 წელს, გამარჯვებული სახელმწიფოების კონფერენციაზე (კონფერენცია ნიუ-ჰემპშირის შტატის ქალაქ ბრეტონ-ვუდსში ჩატარდა) შემოიღეს ბრეტონ-ვუდსის სისტემა. აღნიშნული სისტემის ფარგლებში დაარსდა განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი (IBRD), რომელსაც მსოფლიო ბანკს უწოდებენ და რომლის ფუნქციასაც ომისშემდგომი ევროპული ეკონომიკების რეკონსტრუქციისთვის საჭირო სესხების გამოყოფა და სახელმწიფოების სამომავლო ფინანსური

პრობლემების დაძლევაში ხელშეწყობა წარმოადგენდა (მოგვიანებით, მთავარი მსესხებლები გახდნენ განვითარებადი ქვეყნები და 1990-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოები). მსოფლიო ბანკთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ფონდი კოორდინაციას უწევს საერთაშორისო სავალუტო გაცვლებს, საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსს და ეროვნულ ანგარიშებს (იხ. ქვემოთ). მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი საერთაშორისო ფინანსური სისტემის საყრდენი სვეტებია (საერთაშორისო განვითარებაში მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი განხილულია მე-7 თავში).

ოქროს სტანდარტზე უარი თქვეს 1971 წელს. ამ მოვლენას ხშირად „ბრეტონ-ვუდის კოლაფსს" უწოდებენ. თუმცა, ეს ტერმინი ბოლომდე სწორი არაა. ინსტიტუტები გადარჩა, ხოლო სავალუტო რეჟიმმა უფრო ცვლილება განიცადა, ვიდრე კოლაფსი. მსოფლიო სტანდარტის რანგში ოქროს ჩანაცვლების მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შექმნა ახალი მსოფლიო ვალუტა, სახელად **სესხის სპეციალური უფლებები**. მას „ქაღალდის ოქროს" სახელითაც მოიხსენებდნენ. ფონდმა ის შეზღუდული რაოდენობით გამოუშვა და ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ მყარი ვალუტის რეზერვის სახით ინახება, რომლის გადაცვლაც ნებისმიერ საერთაშორისო ვალუტაზეა შესაძლებელი. იგი დღეს მსოფლიო ვალუტის სტატუსთან ყველაზე ახლოს დგას, მაგრამ ამ ვალუტით პროდუქტების ყიდვა შეუძლებელია და მხოლოდ სხვა ვალუტების შესაძენად გამოდგება. ამასთან, მას მხოლოდ სახელმწიფოები (ცენტრალური ბანკები) ფლობენ და არა ინდივიდები ან კომპანიები. ღირებულებით იგი რამდენიმე წამყვანი საერთაშორისო ვალუტის კალათთან არის მიბმული. 1970-იანი წლებიდან ყველა მთავარი საერთაშორისო ვალუტა მართულ მცურავ სისტემაში იმყოფება. დოლარი-ოქროს რეჟიმიდან რეგულირებულ მცურავ რეჟიმზე გადასვლა რთული აღმოჩნდა. დიდი ექვსიანის (G6) შეხვედრებზე სახელმწიფოებს ვალუტის გაცვლითი კურსების სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით პოლიტიკური ვაჭრობა მოუხდათ. დიდი ექვსეული მოგვიანებით გაფართოვდა და კანადისა (1976 წელს) და რუსეთის (1997 წელს) დამატებით დიდი რვიანის (G8) ფორმა მიიღო (დიდ რვიანში რუსეთს წევრობა 2014 წელს, ყირიმის ანექსიის მიზეზით შეუწყდა). 2009 წელს გამოცხადაა, რომ მთავარი ფინანსური საკითხების დარეგულირების თვალსაზრისით დიდ რვიანს ეტაპობრივად ჩაანაცვლებდა დიდი ოცეული (G20), რომელიც უფრო მეტ განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოს აერთიანებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მექანიზმი ეფუძნება თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ ფინანსური რეზერვის ფონდში დეპონირებას. ფონდში გაწევრიანების შემდეგ, სახელმწიფოს განესაზღვრება ამ რეზერვის კვოტა, ნაწილობრივ მყარ ვალუტაში და ნაწილობრივ თავად ამ ქვეყნის ვალუტაში (ეს კვოტა არაა კავშირში სავაჭრო

ბრეტონ-ვუდსის სისტემა (Bretton Woods system)

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო ეკონომიკის მართვის მიზნით ჩამოყალიბებული მექანიზმი, რომელიც 1944 წელს, ნიუ-ჰემპშირის შტატის ქალაქ ბრეტონ-ვუდსში გამართულ შეხვედრაზე შეიქმნა. ბრეტონ-ვუდსის სისტემის მთავარი ინსტიტუციური კომპონენტებია მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

მსოფლიო ბანკი (World Bank)

ოფიციალური სახელია განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი (IBRD). ესაა ორგანიზაცია, რომელიც 1944 წელს ევროპული ეკონომიკების რეკონსტრუქციის მიზნით საკრედიტო მექანიზმის რანგში შეიქმნა. მოგვიანებით, მსოფლიო ბანკის მთავარი მსესხებლები მესამე სამყაროს ქვეყნები გახდნენ, ხოლო 1990-იანი წლებიდან აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund (IMF))

მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც ახდენს საერთაშორისო სავალუტო გაცვლების, საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსის და ეროვნული ანგარიშების კოორდინაციას. მსოფლიო ბანკთან ერთად, იგი წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური სისტემის ერთ-ერთ საყრდენ სვეტს.

სესხის სპეციალური უფლებები (Special Drawing Right (SDR))

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მსოფლიო სტანდარტის რანგში ოქროს ჩასანაცვლებლად შექმნილი მსოფლიო **ვალუტა.** სსუ-ს ღირებულება განისაზღვრება ეროვნული ვალუტების „კალათით" და მას „ქაღალდის ოქროს" უწოდებენ.

კვოტებთან, რომელიც იმპორტის შეზღუდვის მექანიზმია). კვოტა შეესაბამება ამ სახელმწიფოს ეკონომიკის ზომასა და სიძლიერს. შემდეგ, სახელმწიფოს შეუძლია, რთულ პერიოდში ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით, ისესხოს ფული და ვალი შემდეგ წლებში დააბრუნოს. 2009 წელს, მსოფლიოს ლიდერებმა დადეს ფონდისთვის დამატებით 1 ტრილიონი აშშ დოლარის გამოყოფის პირობა, რომლითაც იგი შეძლებდა განვითარებადი ქვეყნების დახმარებას მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების დაძლევაში.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა ან გაეროს გენერალური ასამბლეისგან განსხვავებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი შეწონილი ხმის მიცემის სისტემას იყენებენ, როდესაც თითოეული სახელმწიფოს ხმა მის მიერ დეპონირებული თანხის ეკვივალენტურია. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის წევრი მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოა, ფონდს განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები აკონტროლებენ. ყველაზე მეტი ხმა (17 პროცენტი) აშშ-ს ეკუთვნის, რომლის დედაქალაქშიც (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი) მდებარეობს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სათავო ოფისები. 2006 და 2008 წლებში სავალუტო ფონდმა დააზუსტა კვოტები და მცირედით გაზარდა ჩინეთის და სხვა განვითარებადი ქვეყნების ხმების წონა.[6]

1944 წლის შემდეგ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა სამი მთავარი ამოცანის შესრულება სცადეს. პირველ რიგში, ისინი ცდილობდნენ სტაბილურობის მიღწევას და მეორე მსოფლიო ომის შედეგად განადგურებული ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით იაპონიისა და დასავლეთ ევროპული სახელმწიფოებისთვის, კაპიტალზე წვდომის უზრუნველყოფას. აღნიშნული ამოცანა დიდი წარმატებით შესრულდა და ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა და აღორძინება განაპირობა. ამის შემდეგ, განსაკუთრებით 1970-იან და 1980-იან წლებში, მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას შეეცადნენ. აღნიშნული მისია გაცილებით ნაკლებად წარმატებული გამოდგა, რასაც გლობალური სამხრეთის დიდ ნაწილში არსებული სიღარიბე მოწმობს (იხ. თავი 7). მესამე მისია 1990-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის მსოფლიო კაპიტალისტურ ეკონომიკაში ინტეგრირებას ისახავდა მიზნად. აღნიშნულ ძალისხმევას თავისი მიღწევები და ჩავარდნები ჰქონდა, თუმცა, საერთო ჯამში, მაინც წარმატებული გამოდგა.

5.5 სახელმწიფოს ფინანსური პოზიციები

ახსენით სამი მიზეზი, თუ რატომ ეფლობიან ქვეყნები ვალში.

სავალუტო კურსების ცვლილებებსა და სახელმწიფო ეკონომიკების

6 2023 წლის მდგომარეობით, აშშ-ს აქვს ხმების 16.5 პროცენტი, იაპონიას და ჩინეთს შესაბამისად 6.14 და 6.08 პროცენტი. *რედ. შენ.*

ზრდასთან ერთად იცვლება სახელმწიფოების საერთო პოზიციები ერთმანეთთან მიმართებაში.

5.5.1 ეროვნული ანგარიშები

საერთაშორისო სავალუტო ფონდში მოქმედებს ეროვნული ანგარიშების სტატისტიკური აღრიცხვის სისტემა, რაც თითოეული სახელმწიფოს საერთო სავალუტო პოზიციაზე თვალყურის დევნების საშუალებას იძლევა. სახელმწიფოს **საგადამხდელო ბალანსი** კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტის მსგავსია, რადგან მასში შეჯამებულია ქვეყანაში შემავალი და ქვეყნიდან გამავალი ფულადი ნაკადები. თავისი არსით აღნიშნული სისტემა ტექნიკური და არა პოლიტიკური ხასიათისაა. ძირითადად, საგადამხდელო ბალანსში აღირიცხება სამი ტიპის საერთაშორისო ტრანსაქცია: მიმდინარე ანგარიში, კაპიტალის ნაკადები და რეზერვების ცვლილება.

საგადამხდელო ბალანსი (balance of payments)
ქვეყანაში შემომავალი და ქვეყნიდან გამავალი ყველა ფულადი ნაკადის შეჯამება. საგადამხდელო ბალანსი მოიცავს სამი სახის საერთაშორისო ტრანსაქციას: მიმდინარე ანგარიშს (მოიცავს სავაჭრო ბალანსს), კაპიტალის ნაკადებს და რეზერვის ცვლილებებს.

მიმდინარე ანგარიში ძირითადად იგივეა რაც ადრე განხილული სავაჭრო ბალანსი. კაპიტალის ნაკადები გულისხმობს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის მიერ განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციებს. რეზერვების ცვლილებით ხდება ეროვნული ანგარიშების დაბალანსება. ნებისმიერი განსხვავება ქვეყანაში შემომავალ და ქვეყნიდან გამავალ ფულად ნაკადებს შორის (მიმდინარე ანგარიშები და კაპიტალის ნაკადები ერთად) ბალანსდება სახელმწიფო რეზერვის თანაბარზომიერი, მაგრამ საპირისპირო ცვლილებით. შესაბამისად, შესაბამისად, საბოლოო ჯამში ეროვნული ანგარიშები ყოველთვის დაბალანსებულია.

5.5.2 საერთაშორისო ვალი

ერთი მხრივ, ეკონომიკა მუდმივ მოძრაობაში, გამომდინარე იქიდან, რომ ფული მუდმივად გადაადგილდება წარმოების, ვაჭრობისა და მოხმარების პროცესში. თუმცა ეკონომიკა ასევე მოიცავს შედარებით მდგრად სიმდიდრეებს. სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული მყარი ვალუტის მარაგები მდგრადი სიმდიდრის ერთი ფორმაა, თუმცა არა ყველაზე მნიშვნელოვანი. მდგრადი სიმდიდრის უდიდეს ნაწილს შეადგენს სახლები და მანქანები, ფერმები და ქარხნები, ნავსადგურები და რკინიგზები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კაპიტალური საქონელი (მაგალითად ქარხნები), ანუ ისეთი პროდუქტები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდგომი წარმოებისთვის. სამუდამო არაფერი არსებობს, თუმცა მდგრადი სიმდიდრე საკმაოდ დიდი ხანი ძლებს და მას სწრაფად მოხმარებადი საქონლისგან განსხვავებულად ვეპყრობით. მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალის გამოყენებით უფრო მეტი სიმდიდრის შექმნაა შესაძლებელი: ქარხნები აწარმოებენ საქონელს, რკინგიზები ხელს უწყობენ ვაჭრობას და ა.შ. მდგრადი სიმდიდრე ახალ სიმდიდრეს ქმნის და ეკონომიკა დროთა განმავლობაში



ვალი მტკივნეულია როდესაც სახელმწიფო ვერ ახერხებს საერთაშორისო დავალიანების დაფარვას, ამას დეფოლტი ეწოდება. დეფოლტი ძალიან სერიოზული რამაა, რადგან ამით ქვეყანას შეიძლება სამომავლო ინვესტიციებსა და სესხებზე ჭედომა შეუჩერდეს. მიუხედავად ამისა, საბიუჯეტო ხარჯების შეკვეცის მტკივნეული ნაბიჯის გადადგმას, რაც მოსახლეობას აზარალებს, ზოგიერთმა სახელმწიფომ ვალების გადახდაზე დეფოლტის გამოცხადება არჩია. 2011-2012 წლებში, საბერძნეთმა ძლივს შეძლო დეფოლტის თავიდან არიდება და ევროკავშირის ფინანსური დახმარების პროგრამას დათანხმდა. საბერძნეთი დღესაც უმკლავდება ვალის პრობლემას და ბევრი სოციალური პროგრამის დახურვა მოუწია, რათა ვალის გადასახდელი ფული დაეზოგა. სურათზე ბერძენი დემონსტრანტები პოლიციის პირისპირ აპროტესტებენ საბერძნეთის მთავრობის ახალ ანტიკრიზისულ ზომებს, 2018 წ.

იზრდება. ეკონომიკის ზრდასთან ერთად იქმნება დამატებითი მდგრადი სიმდიდრე. კაპიტალისტურ ეკონომიკაში ფული აკეთებს მეტ ფულს.

თუ სახელმწიფოს ჯანსაღი ეკონომიკა აქვს, მას შეუძლია უცხო ქვეყნის მთავრობებისგან, ბანკებისგან ან კომპანიებისგან ფულის სესხება და იმდენი ახალი სიმდიდრის შექმნა, რაც საკმარისი იქნება რამდენიმე წლის შემდეგ ამ ვალების დასაფარად. თუმცა სახელმწიფოები, ბიზნესების მსგავსად, ხანდახან წაგებას ნახულობენ და შედეგად მათი დავალიანება იზრდება. ასეთ მოჯადოებულ წრეში, მათი შემოსავლის სულ უფრო დიდი ნაწილი ხმარდება საპროცენტო განაკვეთის გადახდას და სახელმწიფოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭირო ხდება კიდევ უფრო მეტი ფულის სესხება.

რატომ ეფლობიან ქვეყნები ვალში? ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სავაჭრო დეფიციტია. საგადამხდელო ბალანსში საქიროა სავაჭრო დეფიციტის რაიმე ფორმით დაბალანსება. სავაჭრო დეფიციტის დაბალანსების გავრცელებულ ფორმას ფულის სესხება წარმოადგენს. მეორე მიზეზია საოჯახო მეურნეობებსა და ბიზნესებში შემოსავლისა და ხარჯვის თანაფარდობაა. თუ ადამიანები და ფირმები იმაზე მეტს ხარჯავენ, ვიდრე გამოიმუშავებენ, მაშინ მათ ფულის სესხება უწევთ. ისინი შესაძლოა ადგილობრივი ბანკის საკრედიტო ბარათით სარგებლობდნენ, თუმცა მათთვის სესხად გასაცემ ფულს ეს ბანკი შეიძლება უცხოელი კრედიტორებისგან იღებდეს.

სახელმწიფო ვალის დაგროვების მესამე მიზეზს მთავრობის ხარჯებისა და გადასახადების ფარდობა წარმოადგენს. **კეინზიანური ეკონომიკის** (რომელმაც სახელი ეკონომისტ ჯონ მეინარდ კეინზიდან მიიღო) პრინციპების თანახმად, ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად ცალკეულ პროგრამებზე მთავრობების მიერ გაწეული ხარჯი აღემატება საგადასახადო შემოსავლებს, რასაც დეფიციტური ხარჯვა ეწოდება. აღნიშნული სტრატეგია ბევრმა სახელწიფომ, მათ შორის აშშ-მა გამოიყენა 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს. თუ ეს სტრატეგია გაამართლებს, გაზრდილ ეკონომიკაში საბოლოო ჯამში ასევე გაიზრდება საგადასახადო შემოსავლებიც, რომლითაც შესაძლებელი იქნება დეფიციტის დაბალანსება. თუ სტრატეგია წარუმატებლობას განიცდის, სახელმწიფოს ეკონომიკა კიდევ უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდება და დავალიანებაც უფრო გაეზრდება.

კეინზიანური ეკონომიკა (Keynesian economics)

ბრიტანელი ეკონომისტის, ჯონ მეინარდ კეინზის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები, რომლებიც წარმატებით გამოიყენეს 1930-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ დროს. ერთ-ერთი პრინციპის თანახმად, მთავრობამ ზოგჯერ დეფიციტურ ხარჯვას უნდა მიმართონ ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად.

მთავრობის გადაწყვეტილებებს ხარჯვისა და გადასახადების შესახებ **ფისკალური პოლიტიკა** ეწოდება, ხოლო გადაწყვეტილებებს ფულის დაბეჭდვისა და მიმოქცევის შესახებ – **მონეტარული პოლიტიკა.** მთავრობას ეკონომიკის სამართავად ეს ორი მთავარი ინსტრუმენტი გააჩნია. უფასო ლანჩი არ არსებობს: მაღალი გადასახადები აბრკოლებს ეკონომიკურ ზრდას, ზედმეტი ფულის ბეჭდვა იწვევს ინფლაციას, ხოლო დეფიციტის დასაფარად ფულის სესხება იპოთეკით ტვირთავს სახელმწიფოს მდგრად სიმდიდრეს. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის და საერთაშორისო ეკონომიკური ტრანსაქციების კომპლექსურობის მიუხედავად, სახელმწიფოს სიმდიდრე და სიძლიერე საბოლოო ჯამში დამოკიდებულია სხვა არაფერზე თუ არა სახელმწიფოს ეკონომიკის სიჯანსაღის მთავარ ფაქტორებზე – სამუშაო ძალის განათლებასა და კვალიფიციურობაზე, კაპიტალური საქონლის რაოდენობასა და თანამედროვეობაზე, მოსახლეობის მორალზე და მენეჯერების უნარჩვევებზე. გრძელვადიან პერსპექტივაში, საერთაშორისო ვალი ამ მთავარი რეალობების ამსახველია.

ფისკალური პოლიტიკა (fiscal policy)

მთავრობის გადაწყვეტილებები ხარჯვისა და გადასახადების შესახებ. მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ორი მთავარი ინსტრუმენტიდან ერთ-ერთი (მეორე ინსტრუმენტია მონეტარული პოლიტიკა).

მონეტარული პოლიტიკა (monetary policy)

მთავრობის გადაწყვეტილებები ფულის ბეჭდვისა და მიმოქცევის შესახებ. მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ორი მთავარი ინსტრუმენტიდან ერთ-ერთი (მეორე ინსტრუმენტია ფისკალური პოლიტიკა).

5.6 მრავალეროვნული ბიზნესი

განსაზღვრეთ ორი რისკი ფირმებისთვის, რომლებიც ახორციელებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და ორი რისკი ქვეყნებისთვის, რომლებიც იღებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

მიუხედავად იმისა, რომ სავალუტო გაცვლის და სხვა საერთაშორისო ეკონომიკური ტრანსაქციის წესებს უმთავრესად სახელმწიფოები ადგენენ, ეს ტრანსაქციები მთავრობების მაგივრად ძირითადად კერძო ფირმებისა და ინდივიდების მიერ ხორციელდება. ასეთ კერძო აქტორებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალეროვნული კორპორაციები.

5.6.1 მრავალეროვნული კორპორაციები

მრავალეროვნული კორპორაციები ისეთი კომპანიებია, რომელთა სათავო ოფისი ერთ სახელმწიფოში მდებარეობს, ხოლო ფილიალები და შვილობილი კომპანიები სხვა სახელმწიფოებში ფუნქციონირებენ. მოცემული განსაზღვრება ზუსტი არ არის, თუმცა მრავალეროვნული კორპორაციის ყველაზე მკაფიო მაგალითი იქნება მსხვილი კორპორაცია, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ერთდროულად მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს და თითოეულ ამ ქვეყანაში საკუთარი დაწესებულებები და დასაქმებულები გააჩნია. მრავალეროვნული კორპორაციების ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა არსებული შეფასებების უმეტესობის თანახმად, მსოფლიოს მასშტაბით რამდენიმე ათეული ათასი მრავალეროვნული კორპორაცია არსებობს.

მრავალეროვნული კორპორაციები (multinational corporation)

ერთ სახელმწიფოში არსებული კომპანია, რომლის ფილიალები ან შვილობილი კომპანიები სხვა სახელმწიფოებშიც ფუნქციონირებენ.

მრავალეროვნულ კორპორაციებში ყველაზე მნიშვნელოვანია ინდუსტრიული კორპორაციები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში მდებარე ქარხნებში ამზადებენ საქონელს და შემდეგ ამ საქონელს სხვა ქვეყნების ბიზნესებსა და მომხმარებლებზე ჰყიდიან. ავტომობილების, ნავთობისა და ელექტრონული ნაწარმის ინდუსტრიებს ყველაზე დიდი მრავალეროვნული კორპორაციები აქვთ. თითქმის ყველა უდიდესი მრავალეროვნული კორპორაციის სათავო ოფისი დიდი რვიანის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე მდებარეობს. მრავალეროვნული ფორმატით ასევე მოქმედებენ ფინანსური კორპორაციები (მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ბანკები არიან), თუმცა მათ ხშირად უფრო მეტი შეზღუდვა აქვთ, ვიდრე ინდუსტრიულ მრავალეროვნულ კორპორაციებს. ზოგიერთი მრავალეროვნული კორპორაცია მომსახურებით ვაჭრობს. აღნიშნულის კარგი მაგალითებია მაკდონალდსის სწრაფი კვების ქსელი და „ამერიკული ტელეფონი და ტელეგრაფი“ (AT&T).

ზოგიერთი მკვლევარი მრავალეროვნულ კომპანიებს ფაქტობრივად საკუთარი ქვეყნების მთავრობების დაკვეთის შემსრულებლებად მიიჩნევს. აღნიშნული შეხედულება ეხმიანება მერკანტილიზმს, რომლის თანახმადაც ეკონომიკური აქტიურობა საბოლოო ჯამში პოლიტიკურ ხელისუფლებას ემსახურება. გამომდინარე აქედან, მრავალეროვნულ კორპორაციებს მკაფიოდ გამოხატული ეროვნული იდენტობა გააჩნიათ და საკუთარი ეროვნული საზოგადოების წევრებივით იქცევიან. მსგავსი მოსაზრების ერთ-ერთი ვარიანტი (უფრო რევოლუციური თვალთახედვის), სახელმწიფოთა მთავრობებს მიიჩნევს მრავალეროვნული კორპორაციების დაკვეთის შემსრულებლებად, ხოლო სახელმწიფო ჩარევა (ეკონომიკური და სამხედრო) კერძო, მდიდარი ფენის ინტერესებს ემსახურება.

მკვლევართა კიდევ ერთი ჯგუფი მრავალეროვნულ კორპორაციებს განიხილავს მსოფლიო მოქალაქეებად, რომლებიც არც ერთი მთავრობის წინაშე არ არიან ანგარიშვალდებულნი. Dow Chemical-ის ხელმძღვანელმა ერთხელ თქვა, რომ ოცნებობდა ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიის მიღმა არსებული კუნძულის შეძენაზე, სადაც Dow-ს მსოფლიო სათავო ოფისს განათავსებდა. აღნიშნული თვალთახედვით, მრავალეროვნული კორპორაციები მოქმედებენ გლობალურად, საკუთარი (საერთაშორისო) აქციონერების ინტერესებში და არც ერთ სახელმწიფოს არ ემორჩილებიან. ნებისმიერ შემთხვევაში, მრავალეროვნულ კორპორაციებს მოგების მაქსიმიზების საჭიროება ამოძრავებთ. მხოლოდ სახელმწიფო მფლობელობაში არსებული მრავალეროვნული კორპორაციების შემთხვევაში (რაც მნიშვნელოვანი გამონაკლისია და მსოფლიოს მასშტაბით არსებული კომპანიების ძალიან მცირე ნაწილს შეადგენს) აისახება მრავალეროვნული კორპორაციების ქმედებაში სახელმწიფო ინტერესები. ამ შემთხვევაშიც კი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მრავალეროვნული კორპორაციების მმართველებმა, მოგებაზე ორიენტირების მიზნით, შეძლეს უფრო მეტი ავტონომიის მოპოვება უკანასკნელ წლებში (ბევრ ქვე-

ყანაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების ფარგლებში). ხშირ შემთხვევაში ხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მრავალეროვნული კორპორაციების გაყიდვა (პრივატიზება).

მრავალეროვნული კორპორაციები, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედი დამოუკიდებელი აქტორები, სულ უფრო ძლიერები ხდებიან. ათეულობით ინდუსტრიული მრავალეროვნული კორპორაციის ცალკე აღებული წლიური გაყიდვების მოცულობა ათობით მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს (ტოპ-კორპორაციების შემთხვევაში ასობით მილიარდ აშშ დოლარს). 2017 წელს მსოფლიოს მხოლოდ 25 სახელმწიფოს ჰქონდა უფრო მეტი ეკონომიკური აქტიურობა (მშპ), ვიდრე ყველაზე მსხვილ კორპორაცია ვოლმარტს, რაც 500 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. თუმცა, ყველაზე დიდი მთავრობის (აშშ) შემოსავლები 3 ტრილიონ აშშ დოლარს აჭარბებდა, ანუ ექვსჯერ აღემატებოდა ვოლმარტის შემოსავლებს. მესაბამისად, მრავალეროვნული კორპორაციების სიძლიერე კონკურენციას ვერ უწევს ყველაზე დიდ სახელმწიფოებს, მაგრამ ბევრ, შედარებით ღარიბ ქვეყანას ჯობნის. ეს აისახება მრავალეროვნული კორპორაციების საქმიანობაზე გლობალურ სამხრეთში.



ბიზნესის ქვეშება მსოფლიოს მასშტაბით მრავალეროვნული კორპორაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო ურთიერთობებში. ისინი ფლობენ არსებით რესურსებს და წარმოადგენენ ანგარიშგასაწევ აქტორებს მთავრობებთან მოლაპარაკებებში. სურათზე, ევროპულ მრავალეროვნულ კორპორაციაში შემავალი Airbus სინგაპურის ავიაშოუზე წარადგენს ახალ ფართოფიუზელაჟიან თვითმფრინავს.

გიგანტური მრავალეროვნული კორპორაციები ხელს უწყობენ გლობალურ ურთიერთდამოკიდებულებას. აღნიშნული კორპორაციები იმდენად მჭიდროდ არიან გადაჯაჭვულნი ბევრ სახელმწიფოსთან, რომ უკიდურესად არიან დაინტერესებულნი საერთაშორისო სისტემის სტაბილური ფუნქციონირებით, როგორც უსაფრთხოების ასპექტებში, ისე ვაჭრობასა და სავალუტო ურთიერთობებში. მრავალეროვნული კორპორაციები ეკონომიკურ წარმატებას აღწევენ სტაბილურ საერთაშორისო ატმოსფეროში, რომელიც იძლევა თავისუფალი ვაჭრობის, გადაადგილებისა და კაპიტალის მოძრაობის (ინვესტიციების) საშუალებას, რომელთაგან ყველა საბაზრო ძალებით, მინიმალური სამთავრობო ჩარევით იმართება. გამომდინარე აქედან, მრავალეროვნული კორპორაციები, საერთო ჯამში, მსოფლიო ეკონომიკაში ლიბერალიზმის მხარდამჭერ ძალას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ დარგებში მოქმედი ზოგიერთი მრავალეროვნული კორპორაცია საკუთარი ინტერესების დასაცავად გარკვეული მერკანტილისტური პოლიტიკის გატარებას ლობირებს.

5.6.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


მრავალეროვნული კორპორაციები უცხო ქვეყნებში მხოლოდ ფუნქციონირებით არ შემოიფარგლებიან. ამ ქვეყნებში ისინი ფლობენ საკუთარ

უცხოური ინვესტიციები (forelgn direct investment)
ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ახალი ან მოქმედი ბიზნესის შეძენა. ასევე უწოდებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

კაპიტალს – შენობა-ნაგებობებს, ქარხნებს, მანქანებს და ა.შ. მაგალითად, ამერიკული და გერმანული მრავალეროვნული კორპორაციები გარკვეულ კაპიტალს ფლობენ იაპონიაში, ხოლო იაპონური მრავალეროვნული კორპორაციები გარკვეულ კაპიტალს ფლობენ აშშ-სა და გერმანიაში. მრავალეროვნული კორპორაციების საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი და პოლიტიკურად სენსიტიური ნაწილი უცხო ქვეყნებში ინვესტირებაა. გრაფიკი 5.6 გვიჩვენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას.

გრაფიკი 5.6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, მთლიანად მსოფლიოში, 1990-2016

წყარო: UNCTAD მონაცემები



პორტფელური ინვესტიციებისგან (ფასიან ქაღალდებში) განსხვავებით, **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების** შემთხვევაში საქმე გვაქვს ხელმესახებ ქონებასთან, როგორებიცაა ქარხნები, ოფისის შენობები (ასევე მნიშვნელოვანი წილი კომპანიის საერთო აქციებში). ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა მსოფლიო ბაზარზე შედარებით თავისუფალია, მაგრამ პირობების შეცვლის შემთხვევაში პირდაპირი ინვესტიციების ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში მარტივად გადატანა შეუძლებელია. პირდაპირი ინვესტიციები გრძელვადიანია და უფრო ხილვადია, ვიდრე პორტფელური ინვესტიცია. მანუფაქტურულ სექტორში განხორციელებული ინვესტიციებისას, როგორც წესი, ყველაზე მეტი თანხის ჩადებას ხდება ფიქსირებულ ობიექტებში, ასევე მუშებისა და მენეჯერების მომზადებაში. მომსახურების სექტორში განხორციელებული ინვესტიციები შედარებით უფრო ნაკლებხარჯიანია და გარემოებების შეცვლის შემთხვევაში, საქმიდან გასვლაც უფრო მარტივია.

მერკანტილისტები საკუთარ ქვეყანაში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციებს ეჭვის თვალით უყურებენ. განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხშირად იწვევს სუვერენიტეტის დაკარგვის შიშს, რადგან მთავრობა შეიძლება უძლური აღმოჩნდეს ქვეყანაში ინვესტიციის ჩამდები მრავალეროვნული კორპორაციის წინაშე. აღნიშნული შიშები ასევე გამომდინარეობს იმ ისტორიული ფაქტიდან, რომ გლობალურ სამხრეთში განხორციელებული ინვესტიციების უდიდესი ნაწილი ერთ დროს ყოფილ კოლონიზატორებზე მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ინვესტიციებით სამუშაო ადგილები იქმნება, ხშირად ასევე ადგილი აქვს ცხოვრების ტრადიციული წესისა და კულტურის ცვლილებას (იხ. ჩანართი საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები).

ბევრ ღარიბ და გარდამავალ სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად აუცილებლად ესაჭიროება კაპიტალის მიზიდვა ნებისმიერი წყაროდან, შესაბამისად, ეკონომიკური ნაციონალისტების შიშების მიუხედავად, სახელმწიფოები ზოგადად ახალისებენ და ხელს უწყობენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (ჩრდილოეთ-სამხრეთის ინვესტიციებზე იხ. ქვემოთ ამავე თავში). თუმცა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი (პორტფელური ინვესტიციების მსგავსად) არა გლობალურ სამხრეთში, არამედ ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში ხორციელდება.

5.6.3 ურთიერთობები მასპინძელი და მშობლიური ქვეყნის მთავრობებთან

სახელმწიფოს, რომელშიც უცხოური მრავალეროვნული კორპორაცია ფუნქციონირებს, მასპინძელი ქვეყანა ეწოდება, ხოლო სახელმწიფოს, სადაც მრავალეროვნული კორპორაციის სათავო ოფისი მდებარეობს – მშობლიური ქვეყანა. გამომდინარე იქიდან, რომ მასპინძელ ქვეყნების მთავრობებს საკუთარ ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებების რეგულირება შეუძლიათ, მრავალეროვნული კორპორაცია სახელმწიფოში მასპინძელი ქვეყნის მთავრობის სურვილის საწინააღმდეგოდ ვერ იფუნქციონირებს. ამის მსგავსად, გამომდინარე იქიდან, რომ მრავალეროვნულ კორპორაციას სახელმწიფოთა ფართო არჩევანი აქვს, მასპინძელ ქვეყანას არ შეუძლია, აიძულოს მრავალეროვნული კორპორაცია, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ აწარმოოს ბიზნესი ამ ქვეყანაში. ურთიერთობებით სარგებელს ნახულობს როგორც მრავალეროვნული კორპორაცია, ისე მასპინძელი ქვეყანა. კერძოდ, მრავალეროვნული კორპორაცია იღებს მოგებას, ხოლო მასპინძელი პირდაპირი სარგებლის სახით იღებს გადასახადებს და არაპირდაპირი სარგებლის სახით – ეკონომიკურ ზრდას (რაც სამომავლოდ გაზრდის შემოსულ გადასახადებს და პოლიტიკურ მხარდაჭერას).

საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები


უცხოური ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეიძლება ინვევდეს წინააღმდეგობებს მასპინძელ ქვეყნებში, სადაც მრავალეროვნული კორპორაციები ინვესტიციებს დებენ. იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქცევა კონკრეტული კომპანია ადგილობრივ პირობებთან და მაცხოვრებლებთან მიმართებაში, ასეთი ინვესტიცია შეიძლება გახდეს პოპულარულიც და არაპოპულარულიც. ამ ბიზნესებთან კავშირი კარგი.

გამოკითხვის შედეგები წარმოდგენილია გრაფიკზე 5.7. თითოეულ ქვეყანაში გამოკითხულთა უმრავლესობა უცხოურ ბიზნესებთან დაკავშირებით საკუთარ დამოკიდებულებას უწოდებს „უფრო კარგს" და „ძალიან კარგს". ფაქტობრივად, ამ ორი პასუხის გაერთიანებით მოსახლეობის უმრავლესობა ყველა გამოკი-

გრაფიკი 5.7 საზოგადოებრივი აზრი უცხოური ბიზნესის შესახებ 43 ქვეყანაში

წყარო: Pew Research Center.



2014 წელს 43 ქვეყნის მოსახლეობა გამოკითხეს მათი დამოკიდებულების შესახებ უცხოურ ბიზნესებთან მიმართებაში და იმაზე, იყო თუ არა თხულ ქვეყანაში მიიჩნევს, რომ უცხოურ ბიზნესებთან კავშირები რაღაც გზით სასარგებლოა მათი ქვეყნისთვის. ზოგიერთ ქვეყანაში

მოსახლეობის შედარებით დიდი სეგმენტები სკეპტიკურად არიან განწყობილი უცხოური ბიზნესების მიმართ და მათ „ძალიან ცუდად“ და „უფრო ცუდად“ აფასებენ. საინტერესოა, რომ ამგვარი ქვეყნები საკმაოდ ჭრელია – იტალია, ეგვიპტე, თურქეთი და ტაილანდი.

რით შეიძლება აიხსნას უცხოური ბიზნესების მხარდაჭერის მაღალი დონე სხვადასხვა ქვეყანაში? ერთი შესაძლებელი პასუხია, რომ ინდივიდებმა მთელს მსოფლიოში გაითავისეს გლობალიზაცია: ყველა ქვეყანა მეტნაკლებად დამოკიდებულია სხვა ქვეყნებში ნაწარმოებ საქონელსა და მომსახურებაზე. ბევრი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უცხოური კომპანიების ყოფნა საერთო კამში დადებითია ადგილობრივი მასპინძლებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს კომპანიები დაკავშირებულია ისეთ პოპულარულ ბრენდებთან, როგორებიც, მაგალითად, ეპლი, სამსუნგია ან გეპია. ამასვე ებმის რესპონდენტების ცოდნა, რომ ინვესტიციები ქმნის სამუშაო ადგილებს და ეკონომიკურ ზრდას.

ვიცით რა, თუ როგორ წინააღმდეგობებს იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, უნდა შევიტანოთ თუ არა ეჭვი ამ მონაცემებში? დამატებითი ინფორმაციის გარეშე, რთულია ვიცოდეთ, კერძოდ რა ესმის ტიპურ რესპონდენტს „უცხოურ ბიზნესთან კავშირების“ ქვეშ. ეს შეიძლება იყოს სამუშაო ადგილები და ეკონომიკური ზრდა. ეს შეიძლება იყოს კულტურული იმპერიალიზმი. ეს შეიძლება მხოლოდ უცხოური ნაწარმის ადგილზე შეძენის შესაძლებლობას ნიშნავდეს. ამ მონაცემებით იმის თქმა შეგვიძლია, რომ ბევრი ქვეყნის მოსახლეობა მსოფლიოში არ არის უცხოურ ეკონომიკურ კავშირების მიმართ იმთავითვე სკეპტიკურად განწყობილი.

თუმცა, კონფლიქტები შესაძლოა ამ ურთიერთობებშიც გაჩნდეს. ერთ-ერთი აშკარა კონფლიქტი ეხება ახალი დოვლათის განაწილებას მრავალეროვნულ კორპორაციასა და მასპინძელ ქვეყანას შორის. აღნიშნული განაწილება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იბეგრება მრავალეროვნული კორპორაციის საქმიანობა და მოგება, ასევე მრავალეროვნული კორპორაციის საქმიანობის წარმართვის წესებზე. მრავალეროვნული კორპორაცია, მასპინძელ ქვეყანაში შვილობილი კომპანიის შექმნამდე ან ინვესტიციის განხორციელებამდე, აღნიშნული საკითხების გასარკვევად მოლაპარაკებებს აწარმოებს მასპინძელი ქვეყნის მთავრობასთან. ძალადობრივი ზეწოლის მუქარა ამ შემთხვევაში დიდწილად უსარგებლოა. ამის ნაცვლად, მთავრობის მთავარ ბერკეტს წარმოადგენს ბიზნესის კეთებისა და ფულის გამოსამუშავებლად ხელსაყრელი გარემოს დაპირება, ხოლო მრავალეროვნული კორპორაციის მთავარი ბერკეტი არის კაპიტალის სხვა ქვეყანაში გადატანის მუქარა.

მთავრობებს მრავალეროვნული კორპორაციებისთვის ინვესტიციების წამახალისებელი მრავალი პირობის შეთავაზება შეუძლიათ. მათ შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია დაბეგვრისა და რეგულირების სპეციალური პირობები. სახელმწიფომ ან ადგილობრივმა მთავრობამ მრავალეროვნულ კორპორაციას შესაძლოა სახელმწიფოს ხარჯზე შესთავაზოს ბიზნესის ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, რომელშიც შედის გზები, აეროპორტები ან სატელეფონო ხაზები.



ეს სამსახურია მასპინძელი ქვეყნები ხშირად დაინტერესებული არიან პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, რადგან ეს ქმნის სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა, ისეთი ანაზღაურებით, რაც მიუღებელი იქნებოდა მრავალეროვნული კორპორაციის მშობლიურ ქვეყანაში. სურათზე, ქალები ამზადებენ სანტა კლაუსის თოჯინას აღმოსავლეთ ჩინეთში. აღსანიშნავია, რომ ინვესტიციებთან ერთად, მრავალეროვნული კორპორაცია მასპინძელ ქვეყანაში გარკვეული კულტურული ასპექტებიც შეაქვს, ამ შემთხვევაში სანტა კლაუსი და ქრისტიანული დღესასწაული მეტწილად არაქრისტიანულ ქვეყანაში.

მრავალეროვნული კორპორაციების მასპინძელ ქვეყნებთან ურთიერთობები პოტენციური კონფლიქტის რამდენიმე საფუძველს შეიცავს. ერთ-ერთი მათგანი არის მთავრობების მიერ მრავალეროვნულ კორპორაციებთან გადასახადების, რეგულაციების ან სხვა პირობების შესახებ გაფორმებული შეთანხმებების დარღვევა. უკიდურეს შემთხვევას წარმოადგენს ნაციონალიზაცია, როდესაც მასპინძელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე მრავალეროვნული კორპორაციის ობიექტებისა და აქტივების საკუთრება მასპინძელი ქვეყნის ხელში გადადის (კომპენსაციით, ან კომპენსაციის გარეშე). თუმცა, მთავრობები ცდილობენ, თავი შეიკავონ მრავალეროვნულ კორპორაციებთან გაფორმებული შეთანხმების დარღვევისგან, რადგან სხვა მრავალეროვნულმა კორპორაციებმა შეიძლება სამომავლოდ ამ ქვეყანაში ინვესტირებაზე უარი თქვან. დღესდღეობით უცხოური აქტივების ნაციონალიზების შემთხვევები იშვიათია.

კონფლიქტის კიდევ ერთი წყარო მასპინძელი ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკაა. მთავრობის მიერ ვაჭრობაზე დაწესებული შეზღუდვები იშვიათად თუ უწყობს ხელს უცხოურ მრავალეროვნულ კორპორაციებს და უმეტეს შემთხვევაში მასპინძელი ქვეყნის წარმოების დასახმარებლადაა გამიზნული, რომელიც ხშირად პირდაპირ კონკურენციაშია უცხოურ მრავალეროვნულ კორპორაციებთან. საგულისხმოა, რომ თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერის მიუხედავად, მრავალეროვნულმა კორპორაციებმა პირდაპირი ინვესტიციები შეიძლება მიმართონ ისეთ სახელმწიფოებში, რომლებიც ექსპორტს ზღუდავენ, რადგან მასპინძელ ქვეყანაში წარმოებით (მშობლიური ქვეყნიდან ექსპორტის ნაცვლად) მათ შეეძლებათ თავიდან აირიდონ იმპორტზე დაწესებული შეზღუდვები.

მრავალეროვნულ კორპორაციებსა და მასპინძელ ქვეყნებს შორის კონფლიქტის შესაძლოა გამომწვევია მონეტარული პოლიტიკაც. სახელმწიფოს ვალუტის დევალვაციის შემთხვევაში, ძვირდება იმპორტული საქონელი. მრავალეროვნულ კორპორაციას, რომელიც მასპინძელ ქვეყანაში იმპორტულ პროდუქციას (ან იმპორტირებული ნაწილებით აწყობილ პროდუქციას) ჰყიდის, ამ ცვლილებით შესაძლოა მნიშვნელოვანი დარტყმა მიადგეს. შესაბამისად, მრავალეროვნული კორპორაცია, რომელიც მასპინძელ ქვეყანაში გრძელვადიან ინვესტიციას ახორციელებს, დაინტერესებულია ამ ქვეყნის ვალუტის სტაბილურობით.

და ბოლოს, მრავალეროვნულ კორპორაციებს მასპინძელ ქვეყნებთან კონფლიქტი შეიძლება მოუვიდეთ როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების, ისე მიდა პოლიტიკური საკითხების გამო. როდესაც მრავალეროვ-

ნული კორპორაცია ქვეყანაში ინვესტიციას ახორციელებს, მიიჩნევს, რომ მისი ობიექტები ამ ქვეყანაში მომგებიანად იმუშავებს მრავალი წლის მანძილზე. როდესაც ომის ან რევოლუციის შედეგად მრავალეროვნული კორპორაციას ობიექტს ართმევენ, მაშინ კომპანია კარგავს არა მხოლოდ შემოსავალს, არამედ კაპიტალს. კერძოდ, კომპანია კარგავს მდგრად სიმდიდრეს, რომელიც ამ ობიექტში იყო ინვესტირებული. 2003 წელს, ნიგერიაში ეთნიკურ ნიადაგზე მიმდინარე ძალადობამ ქვეყანაში რამდენიმე კვირით გამოიწვია ChevronTexaco-ს, Shell-ის და TotalFinaElf-ის კუთვნილი ნავთობსაბადოების დახურვა, რამაც ეს კომპანიები მნიშვნელოვნად დააზარალა.

ამ სხვადასხვა ტიპის კონფლიქტების მოსაგვარებლად მოლაპარაკებების წარმოებისას, მრავალეროვნული კორპორაციები მასპინძელ ქვეყნებზე ზეგავლენის მოხდენის მრავალ საშუალებას იყენებენ. კერძოდ, ქირაობენ ლობისტებს, აქვეყნებენ განცხადებებს საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსაპოვებლად და მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკოსებს ხელსაყრელ წინადებებს სთავაზობენ (მაგალითად ობიექტების ამ პოლიტიკოსების საარჩევნო რაიონებში განთავსებას). აღნიშნული ქმედებები პოლიტიკურად სენსიტიურია, რადგან მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეები და პოლიტიკოსები შესაძლოა გააღიზიანოს უცხოელების მიერ მათზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობამ.

მასპინძელი ქვეყნის მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენის კიდევ ერთი გზა კორუფციაა და ის არ უნდა დაგვავიწყდეს. სრულად არავინ იცის, თუ როგორ იყენებენ მრავალეროვნული კორპორაციები ქრთამის, მოსყიდვის, საჩუქრების და მსგავს მეთოდებს მათთვის ხელსაყრელი პოლიტიკის გასატარებლად მთავრობის ცალკეული მაღალჩინოსნების თანხმობის მოსაპოვებლად. ეს ხშირად ხდება მასპინძელ ქვეყნებში გლობალურ სამხრეთში (სადაც მთავრობის მოხელეები შეიძლება უფრო ეძიებდნენ შემოსავალს), მაგრამ კორუფციის შემთხვევები რეგულარულად ხდება მდიდარ, ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებშიც.

მრავალეროვნულ კორპორაციებს შეიძლება მშობლიური ქვეყნების მთავრობებთანაც (სადაც მათი სათაო ოფისია) ჰქონდეთ კონფლიქტების მთელი რიგი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საგადასახადო და სავაჭრო პოლიტიკა. მრავალეროვნული კორპორაციების მიერ მშობლიური ქვეყნების მთავრობების მისამართით ხშირად გაჟღერებული ჩივილი უკავშირდება სახელმწიფოების მხრიდან პოლიტიკური მეტოქეების დასაჯას (ეკონომიკურ სანქციებსა და ნაკლებად მძიმე შეზღუდვებს), რამაც შეესაძლოა მშობლიური ქვეყნის მრავალეროვნული კორპორაციები უფრო დააზარალოს, ვიდრე სამიზნე ქვეყანა. იქამდე, სანამ არ აუკრძალავენ, მრავალეროვნული კორპორაციები ჩვეულებრივ აგრძელებენ ხოლმე მომგებიან ბიზნესსაქმიანობას და ნაკლებად ითვალისწინებენ მშობლიური ქვეყნის მთავრობების პოლიტიკურ პრეფერენციებს.

მშობლიურ ქვეყანას მრავალეროვნული კორპორაციის სათაო ოფისის ადგილმდებარეობა განსაზღვრავს. მრავალეროვნული კორპორაციის აქციების მფლობელები და ხელმძღვანელი რგოლი ძირითადად მშობლიური ქვეყნიდან არიან. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრირების ზრდის პარალელურად, ეს უკვე ნაკლებად შეესაბამება სიმართლეს. მრავალეროვნული კორპორაციების მსგავსად, რომლებიც ბიზნესს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებენ და მრავალ სხვადასხვა ქვეყანაში დამზადებული ნაწილებით აწყობენ პროდუქტს, მენეჯერებისა და აქციების მფლობელთა შემადგენლობაც სულ უფრო ინტერნაციონალური ხდება.

ნებისმიერი ბიზნესაქტივობა პოლიტიკის მიერ განსაზღვრულ გარემოში ხორციელდება. მრავალეროვნული კორპორაციების მიერ სიმდიდრის შესაქმნელად განსაკუთრებით ხელსაყრელ საერთაშორისო ბიზნეს-გარემოს საერთაშორისო უსაფრთხოების სტაბილურობა განაპირობებს. საერთაშორისო კონფლიქტის პირობებში ფულის გაკეთება რთული და სარისკოა, განსაკუთრებით ძალადობასა და ომში გადაზრდის საფრთხის არსებობის შემთხვევაში. ომი სიმდიდრეს სპობს, შრომის მიწოდებას ამცირებს და ბაზრების მნიშვნელოვან სახეცვლილებას იწვევს. ცხადია, რომ ბიზნესთა გარკვეული კატეგორია, კერძოდ იარაღის მწარმოებლები და კონტრაბანდისტები სარგებლობენ საერთაშორისო არასტაბილირობითა და ომის საფრთხით, მაგრამ ისინი გამონაკლისები არიან.


საერთაშორისო უსაფრთხოების აღნიშნული ასპექტების გარდა, მრავალეროვნული კორპორაციები მხარს უჭერენ პოლიტიკურ სტაბილურობას საერთაშორისო ბიზნესისთვის არსებული თამაშის წესების კომპონენტშიც. მონეტარული პოლიტიკის თვალსაზრისით, საერთაშორისო ბიზნესი მოგებას ნახულობს სტაბილური გაცვლითი კურსებიდან, რომლის მიღწევასაც რეგულირებული მცურავი კურსის სისტემით ცდილობენ. სავაჭრო პოლიტიკაში, ბიზნესი სარგებლობს სატარიფო განაკვეთების სტაბილურობით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მართულ, ნელა ცვალებად გარემოში. საერთაშორისო სამართლის ნორმების თვალსაზრისით, ბიზნესი სარგებლობს იმ ტრადიციით, რომელიც მთავრობებს პასუხისმგებლობას აკისრებს მათი წინამორბედების მიერ აღებულ ვალებზე და მოითხოვს კომპენსაციის გადახდას უცხოური აქტივების ნაციონალიზაციის სანაცვლოდ.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვცხოვრობთ ეროვნული საზღვრების გარეშე მსოფლიოში, მაგრამ მრავალეროვნული კორპორაციების საერთაშორისო საქმიანობას სწორედ ამ მიმართულებით მივყავართ. მომდევნო თავში ჯერ გაეროს და მის შეზღუდულ სუპრანაციონალურ როლს განვიხილავთ, შემდეგ ევროკავშირს, რომელიც ყველაზე უფრო განვითარებული მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, ბოლოს კი საერთაშორისო სამართლის სტრუქტურასა და ნორმებს შევეხებით და ვიმსჯელებთ, თუ როგორ ცვლის საერთაშორისო სამართალი მსოფლიო წესრიგის ხასიათს.

კარიერა საერთაშორისო ურთიერთობებში: საერთაშორისო ბიზნესი

შეჯამება

საერთაშორისო ბიზნესი მაღალანაზღაურებიან სამუშაო ადგილებს, საინტერესო საქმესა და დატვირთულ გრაფიკს სთავაზობს უცხო ენებისა და კულტურული უნარჩვევების მქონე ინდივიდებს.



სარგებელი და საზღაური გლობალიზაციის ტემპისა და ფოკუსის ზრდასთან ერთად, ძალიან იმატა საერთაშორისო ბიზნესში მუშაობის შესაძლებლობებმა. ბევრი დიდი კომპანიისთვის მიდასა და გლობალურს შორის განსხვავება გაქრა. ახალი კონტექსტი წარმოშობს შესაძლებლობებსა და შანსებს პოტენციური დასაქმებულებისთვის.

კარიერა საერთაშორისო ბიზნესში ბევრ უპირატესობას გვთავაზობს. სამუშაო ადგილები ბიზნესში გაცილებით მაღალანაზღაურებადია, ვიდრე მთავრობაში ან არასამთავრობო ორგანიზაციებში. ის ასევე იძლევა ბევრი მოგზაურობის და საერთაშორისო კავშირების დამყარების შესაძლებლობას. სამუშაო ადგილები საზღვარგარეთ სხვა ქვეყანაში გადაბარგებას და უცხო კულტურის გაცნობას გულისხმობს.

თუმცა, ამგვარ კარიერულ არჩევანს ხარჯებიც ახლავს თან. ბევრი სამუშაო მოითხოვს ინტენსიურ დატვირთვას, დამღლელ მოგზაურობას და საცხოვრებელი ადგილის ხშირ ცვლას. ყველა სხვა სამსახურის მსგავსად, დაწინაურება და წინსვლა შეიძლება შეეწიროს გარე პირობებს, მაგალითად გლობალური ბიზნესის ციკლებს. ამგვარი სამსახური განსაკუთრებით რთულია ოჯახებისთვის.

საერთაშორისო დასაქმების შესაძლებლობები ჩნდება ბიზნესის ბევრ დარგში: ბოლო წლებში უზარმაზარი ზრდა განიცადა საბანკო სფერომ, მარკეტინგმა (საზოგადოებასთან ურთიერთობებმა), გაყიდვებმა, კომპიუტერებისა და ტელეკომუნიკაციების სექტორმა. ამგვარი სამსახური სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: 1. ქვეყნის შიგნით განთავსებული, თუმცა მოიცავს მნიშვნელოვან ურთიერთობებს ფირმებთან საზღვარგარეთ; 2. ქვეყნის შიგნით განთავსებული, მაგრამ უცხოური კომპანიებისთვის; 3. საზღვარგარეთ განთავსებული, უცხოური თუ ადგილობრივი ფირმებისთვის.

საჭირო უნარ-ჩვევები საერთაშორისო ბიზნესში სამუშაო ადგილის მოვნის გასაღებია ორი ტიპის უნარ-ჩვევის განვითარება: ერთი უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობებს და მეორე ბიზნესის საქმიანობას. ბიზნესის ადმინისტრირების (MBA) და ბიზნესის სკოლების პროგრამების მაგისტრები სამივე კატეგორიის სამსახურისთვის გამოდგებიან. თუმცა, საზღვარგარეთული სამუშაო ადგილებისთვის დამსაქმებლები ასევე უყურებენ უფრო ფართო უნარ-ჩვევებს ეკონომიკის, პოლიტიკის მეცნიერების და კომუნიკაციების სფეროებში. ამდენად, არა მხოლოდ ტრადიციული ბიზნესუნარებია საჭირო, არამედ ენებისა და კულტურების ცოდნაც. დამსაქმებლები ეძებენ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ცოდნა ქვეყნის საზოგადოებრივი და

ეკონომიკური გეოგრაფიის ასევე კულტურის შესახებ. საზღვარგარეთ სწავლის, განსაკუთრებით საზღვარგარეთ მუშაობის, გამოცდილება წარმოაჩენს უნარს, რომ ადამიანს შეუძლია სხვა კულტურებთან ადაპტაცია და საქმიანობა. ძლიერი ანალიტიკური და განსაკუთრებით წერითი უნარ-ჩვევები ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დამსაქმებლებისთვის.

კვლევა ასევე ეხმარება სამუშაო ადგილის პოვნას. დამსაქმებლები ხშირად ეძებენ კონკრეტული დარგის ან კომპანიის შესახებ ცოდნას. რა თქმა უნდა, არასაერთაშორისო ბიზნესგამოცდილება არასოდესაა ცუდი, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ერთი ქვეყნის ბიზნესის პრაქტიკა, ჩვევები და მოდელები შეიძლება არ გამოდგეს საზღვარგარეთ. ძალიან ფასობს ბიზნესის საგნობრივ ცოდნასთან მერწყმული კროსკულტურული უნარები, რითაც შესაძლებელი ხდება კომპანიის ოპერაციული საჭიროებების გადატანა ბიზნესის სამყაროდან გლობალურ სამყაროში.

წყაროები:

Resources Mueller, Sherry Lee, and Mark Overmann. *Working World: Careers in International Education, Exchange, and Development.* 2nd ed. Georgetown, 2014.

Penrith, Deborah, ed. *The Directory of Jobs and Careers Abroad.* 13th ed. Vacation, 2007.

https://www.myperfectresume.com/how-to/career-resources/ internat/ https://jobs.goabroad.com

http://www.transitionsabroad.com/listings/work/careers/index.shtml

შეჯამება

- ლიბერალური ეკონომიკა საერთო სიმდიდრის გასაზრდელად (სახელმწიფოთა შორის ამ სიმდიდრის გადანაწილების გათვალისწინების გარეშე) აქცენტს აკეთებს საერთაშორისო თანამშრომლობაზე – განსაკუთრებით მსოფლიო მასშტაბის თავისუფალი ვაჭრობის მეშვეობით.
- მერკანტილიზმი სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში სახელმწიფოს ძალის გასაზრდელად აქცენტს აკეთებს ეკონომიკური პოლიტიკის გამოყენებაზე. ის მრავალი თვალსაზრისით რეალიზმის ანარეკლია. მერკანტილიზმი უპირატესობას ანიჭებს სავაჭრო პოლიტიკას, რომელიც საკუთარ ქვეყანას სავაჭრო პროფიციტს უქმნის. დადებითი სავაჭრო ბალანსი წარმოქმნის ფულს, რომლის გამოყენებაც სახელმწიფოს ძლიერების გასაზრდელად შეიძლება.
- ვაჭრობა ქმნის სიმდიდრეს, რადგან სახელმწიფოები სპეციალიზდებიან იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებაში, სადაც შედარებითი უპირატესობა გააჩნიათ (ხოლო სხვა საჭირო საქონლის იმპორტს ახორციელებენ).
- გაცვლით მიღებული სარგებლის გადანაწილებას გაცვლილი საქონლის ფასი განსაზღვრავს. ბევრი მყიდველისა და გამყიდველის პირობებში, ფასები, როგორც წესი, საბაზრო წონასწორობის მიხედვით დგინდება (მოთხოვნა და მიწოდება).
- პოლიტიკა საერთაშორისო ბაზრებში მრავალი ფორმით ერევა. მათ შორისაა სამიზნე ქვეყნის წინააღმდეგ სანქციების გამოყენება პოლიტიკური ზეწოლის სახით. თუმცა, სანქციების აღსრულება რთულია, თუ მასში ყველა წამყვანი ეკონომიკური აქტორი არ მონაწილეობს.
- სახელმწიფოებმა, რომლებმაც თვითცმარი ავტარკიის მეშვეობით მოახერხეს სხვებზე დამოკიდებულების შემცირება, ვერ შეძლეს ახალი სიმდიდრის შექმნა საკუთარი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. თვითდამოკიდებულება, ცენტრალური დაგეგმვის მსგავსად, დიდწილად დისკრედიტებულ ეკონომიკურ სტრატეგიათა რიცხვს მიეკუთვნება.
- პროტექციონისტული პოლიტიკის მეშვეობით, ბევრი სახელმწიფო ცდილობს უცხოური კონკურენციისგან შიდა მრეწველობის დაცვას. ამგვარი პოლიტიკა ანელებს სიმდიდრის გლობალურ შექმნას, მაგრამ ეხმარება კონკრეტულ ინდუსტრიებს. პროტექციონიზმის მრავალი ფორმა არსებობს. მათ შორისაა იმპორტზე ტარიფები (ამას უფრო ანიჭებენ უპირატესობას), კვოტები, სუბსიდია და სხვა არასატარიფო ბარიერები.
- მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა ძალიან დიდია – გლობალური ეკონომიკური აქტიურობის დაახლოებით მეექვსედი. ის უმეტესწილად ინდუსტრიალიზებული დასავლეთის ქვეყნებსა (დასავლეთი ევროპა, ჩრდილოეთი ამერიკა და იაპონია) და ჩინეთშია კონცენტრირებული.
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც ადრეულ წლებში „გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ" სახელით ფუნქციონირებდა, ყველაზე მნიშვნელოვანი მრავალმხრივი საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებაა. 1995 წელს მოხდა გენერალური შეთანხმების ინსტიტუციონალიზაცია და ჩამოყალიბდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელმაც ნაწარმი საქონლის გარდა, ასევე მოიცვა სოფლის მეურნეობის და მომსახურების სფეროები. ამჟამად მზარდი ყურადღება ეთმობა ინტელექტუალური საკუთრების საკითხს.
- უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმე-

ბის ეგიდით გამართული მოლაპარაკებების რაუნდების შედეგად, სახელმწიფოებმა შეამცირეს საერთო სატარიფო განაკვეთები (განსაკუთრებით მანუფაქტურულ საქონელზე). 1994 წელს დასრულებული ურუგვაის რაუნდით მსოფლიო სიმდიდრეს ასობით მილიარდი აშშ დოლარი შეემატა. მოლაპარაკებების დოჰას რაუნდი 2001 წელს დაიწყო, მაგრამ 2015 წელს შეჩერდა. 2015 წელს მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვნად შემცირდა ტარიფები საფეიქრო ნაწარმზე.

- მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია გლობალური პლატფორმაა, სახელმწიფოები აგრძელებენ ათასობით სხვა სავაჭრო შეთანხმებით ოპერირებას, რომლითაც განსაზღვრულია კონკრეტულ ქვეყნებს შორის კონკრეტული პროდუქტებით ვაჭრობის წესები.
- საერთაშორისო კარტელებს, გარკვეულ შემთხვევებში, ძირითადი მწარმოებლები (ზოგჯერ ძირითად მომხმარებლებთან ერთად) იყენებენ მსოფლიო ბაზარზე პროდუქტის ფასის კონტროლისა და სტაბილიზების მიზნით. უკანასკნელ ათწლეულებში კარტელის ყველაზე ნათელი მაგალითია ნავთობმწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება ოპეკი, რომლის წევრებიც მსოფლიოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ნედლეულის – ნავთობის მსოფლიო ექსპორტის ნახევარს აკონტროლებენ.
- გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს მსოფლიო მთავრობა, რომელიც სავაჭრო წესებს აღასრულებდა, აღნიშნული წესების აღსრულება დამოკიდებულია ნაცვალგების პრინციპზე და სახელმწიფოს ძალაზე. კერძოდ, სახელმწიფოები ბაზრების გახსნას ანალოგიური ქცევით პასუხობენ (ან ერთმანეთს სჯიან უცხოური პროდუქტის შეტანაზე უარის თქმის გამო). მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ამას სავაჭრო ომებიც კი მოჰყვება, ნაცვალგების პრინციპზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა ვაჭრობაში თანამშრომლობის დონის მნიშვნელოვნად ამაღლება.
- მსოფლიო ეკონომიკა უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში დაჩქარებული ტემპით ქმნის ახალ სიმდიდრეს და გლობალურად არის ინტეგრირებული. თუმცა, კვლავ რჩება ფართო უთანასწორობის პრობლემა.
- თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებმა გლობალიზაციის ნეგატიური ეფექტით დაზარებული პოლიტიკურად აქტიური ინტერესთა ჯგუფების წინააღმდეგობა განაპირობა. ამ ჯგუფებში შედიან პროფკავშირები, გარემოს დაცვის და ადამიანის უფლებათა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები და კონკრეტული მომხმარებლები.
- თითოეული სახელმწიფო საკუთარ ვალუტას იყენებს (გამონაკლისია რამდენიმე სახელმწიფო, მათ შორის ისინი, სადაც ევრო მოქმედებს). აღნიშნულ ვალუტებს თანდაყოლილი ღირებულება არ გააჩნიათ, თუმცა მათ ღირებულებას განსაზღვრავს ადამიანთა რწმენა, რომ ეს ვალუტა სამომავლოდ შესაძლოა გაიცვალოს საქონელსა და მომსახურებაში.
- ოქრო და ვერცხლი ერთ დროს მსოფლიო ვალუტებად გამოიყენებოდა. დღევანდელი სისტემა უფრო აბსტრაქტულია: ეროვნული ვალუტის ღირებულება ერთმანეთთან მიმართებაში გაცვლითი კურსის მეშვეობით დგინდება.
- ყველაზე მნიშვნელოვანი ვალუტები, რომელთაც თითქმის ყველა სხვა სახელმწიფოს ვალუტას ვადარებთ, არის ამერიკული დოლარი, ევრო და იაპონური იენი.
- ინფლაცია, რომელიც უმეტესად განპირობებულია ფულის იმაზე სწრაფად ბეჭდვით, ვიდრე საქონელი და მომსახურება იწარმოება, იწვევს ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურებას სხვა ვალუტებთან მიმართებაში. ინფლაციის დონე ქვეყნების მიხედვით განსხვავდება, მაგრამ, ზოგადად, უფრო მაღალია გლობალურ სამხრეთსა და ყოფილ საბჭოთა ბლოკში, ვიდრე ინდუსტრიალიზებულ დასავლეთში.
- სახელმწიფოები მყარი ვალუტისა და ოქროს

რეზერვებს ფლობენ. ამ რეზერვებით მყარდება ეროვნული ვალუტა და იფარება საერთაშორისო ფინანსურ ნაკადებში არსებული მოკლევადიანი დისბალანსი.

- ფიქსირებული გაცვლითი კურსი გამოიყენება ვალუტების ფარდობითი ღირებულების დასადგენად, მაგრამ სახელმწიფოები უფრო ხშირად მცურავ გაცვლით კურსს იყენებენ, რომელსაც მსოფლიო სავალუტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნა-მიწოდება განსაზღვრავს.
- მთავრობები თანამშრომლობენ (მცურავი) გაცვლითი კურსების რყევების სამართავად, მაგრამ მათი მცდელობები შეზღუდულია, რადგან საერთაშორისო ბაზრებზე მიმოცვლაში მყოფი ფულის უმეტესი წილი კერძო საკუთრებაშია.
- გრძელვადიან პერსპექტივაში ეროვნული ვალუტების ფარდობითი ღირებულება განისაზღვრება ეროვნული ეკონომიკების სიჯანსაღისა და მთავრობების მონეტარული პოლიტიკით (ანუ რამდენ ფულს ბეჭდავს მთავრობა). ფულის ბეჭდვის საკითხში დისციპლინის შენარჩუნებისა და ინფლაციის თავიდან არიდების მიზნით, ინდუსტრიალიზებული სახელმწიფოები მონეტარულ პოლიტიკას აშშ-ის ფედერალური რეზერვის მსგავს, ნახევრადავტონომიურ ცენტრალურ ბანკებს ანდობენ.
- მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი სახელმწიფოების ცენტრალურ ბანკებთან ერთად მუშაობენ სტაბილური საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების შესანარჩუნებლად. 1971 წლიდან ეს სისტემა იყენებს სესხის სპეციალური უფლებებს, რომელიც ფონდმა ერთგვარი მსოფლიო ვალუტის რანგში შემოიღო ოქროს ნაცვლად.
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი ეროვნული ანგარიშების სისტემის მეშვეობით თვალყურს ადევნებს სახელმწიფოებში შემავალ და გამავალ ფულად ნაკადებს. სავაჭრო ბალანსი (ექსპორტს გამოკლებული იმპორტი), უნდა დაბალანსდეს კაპიტალის ნაკადებით (ინვესტიციები და სესხები) და რეზერვების ცვლილებით.
- საერთაშორისო დავალიანება წარმოიქმნება კაპიტალის ნაკადებში ხანგრძლივი დისბალანსის შედეგად, კერძოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო მეტისმეტ ვალს იღებს, როგორც წესი, ქრონიკული სავაჭრო დეფიციტის ან სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მიზნით.
- მრავალეროვნული კორპორაციები ბიზნესსაქმიანობას ერთდროულად ერთზე მეტ სახელმწიფოში ახორციელებენ. ყველაზე მსხვილი მრავალეროვნული კორპორაციები წამყვან ინდუსტრიულ სახელმწიფოებშია და მათი უმრავლესობა კერძო საკუთრებაშია. მრავალეროვნული კორპორაციების ძალა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში სულ უფრო იზრდება.
- მრავალეროვნული კორპორაციები ცდილობენ, გავლენა მოახდინონ როგორც მასპინძელი, ისე მშობლიური ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკაზე. ზოგადად, მრავალეროვნული კორპორაციები მხარს უჭერენ ბიზნესისთვის ხელსაყრელ პოლიტიკას, მათ შორის დაბალ გადასახადებს, მსუბუქ რეგულაციებს, სტაბილურ ვალუტებს და თავისუფალ ვაჭრობას. მრავალეროვნული კორპორაციები ასევე მხრს უჭერენ სტაბილურობას საერთაშორისო უსაფრთხოებაში, რადგან ომი ზოგადად ბიზნესს ანადგურებს.

ძირითადი ცნებები

მერკანტილიზმი
ეკონომიკური ლიბერალიზმი
თავისუფალი ვაჭრობა
სავაჭრო ბალანსი
შედარებითი უპირატესობა
ავტარკია
პროტექციონიზმი
დემპინგი
ტარიფი
არასატარიფო ბარიერები
ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია
გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ
უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი
პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა
დოჰას რაუნდი
ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება
კარტელი
ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია („ოპეკი“)
ინტელექტუალური საკუთრების უფლებები
მომსახურების სექტორი
ინდუსტრიალიზაცია
გეგმიური ეკონომიკა
ტრანზიციული ეკონომიკა
სახელმწიფო საწარმო
შერეული ეკონომიკები
ოქროს სტანდარტი
გაცვლითი კურსი
ჰიპერინფლაცია
მყარი ვალუტა
რეზერვები
ფიქსირებული გაცვლითი კურსი
მცურავი გაცვლითი კურსი
რეგულირებული მცურავი რეჟიმი
დევალვაცია
ცენტრალური ბანკი
ეროვნული ბანკის საპროცენტო განაკვეთი
ბრეტონ-ვუდსის სისტემა
მსოფლიო ბანკი
საერთაშორისო სავალუტო ფონდი
სესხის სპეციალური უფლებები
საგადამხდელო ბალანსი
კეინზიანური ეკონომიკა
ფისკალური პოლიტიკა
მონეტარული პოლიტიკა
მრავალეროვნული კორპორაციები
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

კითხვები კრიტიკული აზროვნებისთვის

1. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს სახელმწიფოს შეუძლია მსხვილი სავაჭრო შეთანხმების მიღწევა მნიშვნელოვანი დათმობის ფასად. შეთანხმების შედეგად, თქვენი სახელმწიფოსთვის შეიქმნება 5 მილიარდი აშშ დოლარის დამატებითი სიმდიდრე, ხოლო შეთანხმების მონაწილე ყველა სხვა სახელმწიფოსთვის – 10 მილიარდი აშშ დოლარის ახალი სიმდიდრე (აღნიშნული სახელმწიფოები პოლიტიკური მოკავშირეები, თუმცა ეკონომიკური მეტოქეები არიან). რა რჩევას მისცემდა მერკანტილისტი თქვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებით? რა არგუმენტებით გამყარდებოდა ეს რჩევა? რა განსხვავება იქნებოდა ლიბერალის რჩევასა და შესაბამის არგუმენტებში?

2. ჩინეთმა წარმატებით დაასრულა გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე და მისი ეკონომიკა ძალიან სწრაფად იზრდება. ის მსოფლიოს სიდიდით მეორე ეკონომიკაა. როგორ ფიქრობთ, თქვენი სახელმწიფოსთვის ეს ცუდია თუ კარგი? მსჯელობისას მერკანტილისტურ დაშვებებს იყენებთ თუ ლიბერალურს?
3. ვიდრე ამ თავს გაეცნობოდით, რამდენად ანიჭებდით უპირატესობას სამამულო ნაწარმს? თავის წაკითხვამ თუ შეგიცვალათ აზრი ამ საკითხზე? როგორ?
4. წარმოიდგინეთ, რომ საერთაშორისო მოლაპარაკებებში წარმოადგენთ ისეთ მრავალეროვნულ კორპორაციას როგორიც ტოიოტაა, რომელსაც უცხო ქვეყანაში საავტომობილო ქარხნის აშენება სურს. რა დათმობებს მოითხოვდით მასპინძელი ქვეყნის მთავრობისგან? რას შესთავაზებდით სანაცვლოდ? ტოიოტას მენეჯმენტის ზედა რგოლისთვის გაგზავნილ მოხსენებაში, რომელ ასპექტებს გამოყოფდით როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს? ტოიოტას ნაცვლად მოლაპარაკებებში მასპინძელი ქვეყნის მთავრობას რომ წარმოადგენდეთ და ანგარიშს სახელმწიფოს ხელმძღვანელობას აბარებდეთ, როგორი იქნებოდა მოლაპარაკებების თქვენი მიზანი და მოხსენების ძირითადი აქცენტები?

მოდით, ვიმსჯელოთ

პირდაპირი საგარეო ინვესტიცია: ზრდის მამოძრავებელი თუ ექსპლოატაციის იარაღი?

მიმოხილვა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო ეკონომიკის ცენტრალური ნაწილია. 2.5 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი გადაკვეთს საზღვრებს ინვესტიციების სახით ყოველწლიურად. დღესდღეობით, ამ თანხის დიდი ნაწილი განვითარებად ქვეყნებში (განსაკუთრებით ჩინეთში) მიედინება. 600 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მიდის გლობალური ჩრდილოეთიდან გლობალური სამხრეთის ქვეყნებში. 2017 წელს ინვესტიციების მიმღები პირველი ათეულიდან ხუთი განვითარებადი ეკონომიკა იყო.

ისტორიულად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად გლობალური ჩრდილოეთის ქვეყნებში ხდებოდა. 1960-იან წლებამდე ინვესტიციების დიდი წილი აშშ-ში მიდიოდა. გლობალური ეკონომიკის ზრდასთან და გლობალიზაციასთან ერთად, უცხოური ინვესტიციებიც გლობალურ ფენომენად იქცა. 1970-1980 წლებში ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებში მცირე იყო, საშუალოდ 20 მილიარდ აშშ დოლარამდე 1990-იანი წლების დადგომისთვის. 1990-იანი წლების ბოლოს კი 200 მილიარდ დოლარზე მეტი შევიდა განვითარებად ქვეყნებში უცხოეთიდან. ეს მაჩვენებელი იზრდებოდა და ახლა წლიურ 600 მილიარდს აღემატება.

გლობალურ სამხრეთში მიმავალი ეს ნაკადები წინაღდმეგობების გარეშე არ არსებობს. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად, მაგრამ სხვებისთვის ეს ფული პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხარჯად არ ღირს. ზოგიერთი ქვეყანა შიდა ეკონომიკური რეფორმებით შეეცადა ინვესტიციების მიზიდვას, განსაკუთრებით დიდი დასავლური მრავალეროვნული კორპორაციებისგან. სხვა სახელმწიფოები ამისთვის დიდად არაფერს აკეთებენ, რადგან გარემოსდაცვით, სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებს უფრთხიან. არის თუ არა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითი რესურსი განვითარებადი სამყაროსთვის?

არგუმენტი 1

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს სარგებელი მოაქვს განვითარებადი ქვეყნებისთვის

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მოაქვს კაპიტალდაბანდება, რაც საჭვანძოა ეკონომიკური ზრდისთვის. ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად განვითარებად ქვეყნებს ყველაზე მეტად სჭირდებათ კაპიტალი. განვითარებად ეკონომიკებს უჭირთ კაპიტალის შიგნიდან გენერირება, ამდენად უცხოური ინვესტიცია საუკეთესო საშუალებაა ეკონომიკური ზრდის პოტენციალის გასაზრდელად.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განვითარებადი ეკონომიკებისთვის მოაქვს მეტი დასაქმება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხშირად მოდის ქარხნების სახით, რაც ნიშნავს გაზრდილ დასაქმებას განვითარებადი ქვეყნებისთვის. მართალია, ზოგიერთი ამბობს, რომ ამ სამუშაოსთვის კარგად არ იხდიან, მაგრამ ადგილობრივი სტანდარტებით ხშირად ეს ანაზღაურება უკეთესია, ვიდრე ადგილობრივად გაჩენილი სამუშაო ადგილების შემთხვევაში.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს წვლილი შეაქვს გლობალურ ურთიერთდამოკიდებულებაში. ფირმები და მრავალეროვნული კორპორაციები წარმოებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით შლიან, რითაც ზრდიან ურთიერთდამოკიდებულებას ქვეყნებს შორის და ეხმარებიან მათ კარგ ურთიერთობებს. ინვესტორები ფულს დებენ სხვა ქვეყნების ეკონომიკებში და ამიტომ შეიძლება მათ აღელვებდეთ ამ სახელმწიფოების პოლიტიკა სხვა სფეროებშიც, როგორიცაა ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა. ამან შეიძლება გაზარდოს ზეწოლა ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაზე, რათა მან გაზარდოს სტანდარტები, მაგალითად დასაქმების ან გარემოს დაბინძურების საკითხებში.

არგუმენტი 2

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს პრობლემები მოაქვს განვითარებადი ქვეყნებისთვის

პირდაპირ უცხოური ინვესტიციების გავლენა განვითარებად ეკონომიკებზე შეზღუდულია. **ხშირად,** ინდივიდების მხოლოდ მცირე რაოდენობა იღებს სარგებელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობისთვის მას შედეგი არ აქვს. ამდენად, მართალია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეხმარება ეკონომიკის ზრდას, მაგრამ ეს ნამატი ძალიან არათანაბრად ნაწილდება, რასაც მივყავართ მიმღებ ქვეყანაში მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფრო დიდ უფსკრულამდე.

პოლიტიკა, რომლითაც ხდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, აზიანებს მიმღებ ქვეყანას. დიდი რაოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ქვეყნები ხშირად ირჩევენ პოლიტიკას, რათა ასიამოვნონ მსხვილ მრავალეროვნულ კორპორაციებს. ამგვარი პოლიტიკა შეიძლება მოიცავდეს შეღავათების გადასახადების ნაწილში (ამით მცირდება სახელმწიფოს შემოსავალი), გარემოსდაცვითი სტანდარტების შემსუბუქებას (რასაც მოჰყვება პრობლემები, მაგალითად, დაბინძურება), ან შრომის დაცვის შესუსტებულ პირობებს (რაც იწვევს არაჰუმანურ, მაგალითად ბავშვების შრომას).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილი სამუშაო ადგილები დაბალი ხარისხისაა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილი სამუშაო ადგილები დაბალი ხარისხისაა, ხელფასისგან დამოუკიდებლად. თითქმის ყველა მათგანს არ ახლავს თან დამატებითი სარგებელი, ხოლო პროფესიული კავშირების შექმნა თითქმის ყოველთვის აკრძალულია. ეს სამუშაო ადგილები შეიძლება დროში შეზღუდულიც იყოს – თუკი მრავალეროვნული კორპორაცია უფრო დაბალი ანაზღაურების მუშახელს

იშოვის, ის აიბარგება და უმალ სხვაგან გადაბარგდება. ეს არაა იმ ტიპის სამუშაო ადგილები, რომლებსაც განვითარებადი ქვეყნისთვის ხანგრძლივვადიანი სტაბილურობის მოტანა შეუძლია.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

- როგორ მიგაჩნიათ, მთლიანობაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კარგია თუ ცუდი განვითარებადი ქვეყნებისთვის? გლობალიზაციის ხანაში, მრავალეროვნული კორპორაციებისა და ინვესტიციების გაფართოების პირობებში, შეუძლია განვითარებად ქვეყანას გვერდი აუარის მათ, თუკი ეკონომიკური ზრდა სურს?
- თუკი დავუშვებთ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღებს გარკვეული ზიანიც ადგება, როგორ შეიძლება ამ ზიანის შემცირება? პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნების პოლიტიკა უფრო ადვილად შეიძლება შეიცვალოს თუ განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციის ჩამდები ინვესტორებისა და ბიზნესების ქცევა?
- რა ბერკეტები აქვთ განვითარებადი ქვეყნების ლიდერებს იმ მრავალეროვნულ კორპორაციებთან მიმართებაში, რომლებსაც მათ ქვეყნებში ინვესტირება სურთ? რა საფრთხეები უკავშირდება ქვეყანაში შემომავალ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით მოთხოვნების წაყენებას?

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ:

- Jensen, Nathan. *Nation-States and the Multinational Corporation: A Political Economy of Foreign Direct Investment.* Princeton, 2008.
- Moran, Theodore. *Foreign Direct Investment and Development: Launching a Second Generation of Policy Research.* Peterson Institute, 2011.
- Pinto, Pablo. *Partisan Investment in the Global Economy: Why the Left Loves Foreign Direct Investment and Why FDI Loves the Left.* Cambridge, 2013.
- Razin, Assaf, and Efraim Sadka. *Foreign Direct Investment: Analysis of Aggregate Flows.* Princeton, 2016

თავი 6

საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო სამართალი და ადამიანის უფლებები



Samir Bol/Getty Images

ჩინელი სამშვიდობოები სამხრეთ სუდანში მედიან, 2015 წელი

სასწავლო მიზნები

6.1 განსაზღვრეთ ის წინააღმდეგობრივი ძალები, რომლებთანაც უწევს გამკლავება ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას

6.2 აღწერეთ გაეროს უშიშროების საბჭოს სტრუქტურა და წესები და გამოყავით საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი

6.3 აღწერეთ ევროკავშირის გაფართოება წევრი სახელმწიფოების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით და გამოყავით წევრების გაზრდილი რაოდენობიდან გამომდინარე ორი გამოწვევა

6.4 შეაფასეთ არგუმენტები, რამდენად ეფექტიანი ან არაეფექტიანია საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთა ქცევის შეზღუდვის თვალსაზრისით

6.5 შეადარეთ საერთაშორისო სამართლის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფოების ეფექტიანობა მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

6.1 გლობალიზაცია და ინტეგრაცია

განსაზღვრეთ ის წინააღმდეგობრივი ძალები, რომლებთანაც უწევს გამკლავება ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას.

გლობალიზაციის შესახებ გამართული მსჯელობების უმრავლესობისთვის დამახასიათებელია მოსაზრება, რომ მსოფლიოში არსებობს ძალები, რომლებიც ყველას ერთმანეთთან გვაახლოებს. ზოგიერთი ასეთი ძალა სახელმწიფოების გადაწყვეტილებების შედეგია – როგორც ეს მე-5 თავში განვიხილეთ, სახელმწიფოები თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით ცდილობენ საკუთარი ეკონომიკების ინტეგრირებას. სხვა ძალებს შორის ისეთი ფაქტორებიცაა, როგორიცაა ტექნოლოგიური ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს სახელმწიფოების, არასახელმწიფო აქტორების და თვით ცალკეული მოქალაქეების ყოველდღიურ საქმიანობაზე.

სუპრანაციონალური (Supranational)
ევროკავშირის მსგავსი დიდი ინსტიტუტები ან დაჯგუფებები, რომლებსაც სახელმწიფო ძალაუფლება ან ეროვნული იდენტობა ექვემდებარება.

მოცემული თავი სწორედ ამ „დაახლოების“ ფენომენს განიხილავს. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებებზე ითანამშრომლონ **სუპრანაციონალური** საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის მიზნით, რაც გულისხმობს გარკვეული რაოდენობის სახელმწიფოების და მათი ფუნქციების უფრო დიდი მთლიანობის ფარგლებში თავმოყრას. გაეროს გარკვეული სუპრანაციონალური ასპექტები გააჩნია, თუმცა ამ ასპექტებს გაეროს ქარტია ზღუდავს, რომელიც სახელმწიფოს სუვერენულობაზეა დაფუძნებული. რეგიონულ დონეზე, გაეროზე უფრო მეტად სუპრანაციონალური ერთეული ევროკავშირია. სხვა რეგიონულმა ორგანიზაციებმა ასევე სცადეს ევროკავშირის გზის გავლა, თუმცა ნაკლები წარმატებით.

ყველა ამ სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციაში არსებობს ბრძოლა ნაციონალიზმის და სუპრანაციონალიზმის ურთიერთდაპირისპირებულ ძალებს შორის, კერძოდ, სახელმწიფო სუვერენიტეტსა და სუპრანაციონალური სტრუქტურების ზემდგომ უფლებამოსილებას შორის. გლობალიზაციით მზარდი უკმაყოფილება ინტეგრაციის საკითხვისთვისაც რელევანტურია. არცერთი მოვლენა ისე მკაფიოდ არ გამოხატავს ნაციონალიზმის და სუპრანაციონალიზმის ურთიერთდაპირისპირებულ ძალებს, ვიდრე დიდი ბრიტანეთის 2016 წლის რეფერენდუმი ევროკავშირის დატოვებასთან დაკავშირებით. ბრიტანეთის მოქალაქეების უმრავლესობამ პრიორიტეტი მიანიჭა ნაციონალიზმს ევროპული ინტეგრაციის პროექტთან შედარებით. ამ გადაწყვეტილების შედეგად დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირი ხანგრძლივ მოლაპარაკებებში ჩაერთვნენ, თუ როგორ დაესრულებინათ ათლწეულების მანძილზე ჩამოყალიბებული თანამშრომლობა. დაგეგმილია, რომ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირს 2019 წლის მარტში დატოვებს.

გაეროს და ევროკავშირის მსგავსი ოფიციალური მთავრობათაშორისი ორგანიზაციების გარდა, ადამიანები საზღვრებს მიღმა ერთმანეთს უკავშირდებიან იდეების ერთობლიობით, მათ შორის ნორმებით, წესე-


ბით და საერთაშორისო სამართლით. მიუხედავად იმისა, ინტეგრაციის წყაროდ სახელმწიფო გვევლინება თუ არასახელმწიფო აქტორები, ინტეგრაციის პროცესი ყოველთვის მოიცავს ტრანსნაციონალურ აქტორებს თუ საკითხებს. *ტრანსნაციონალური აქტორები* (მაგალითად მრავალეროვნული კორპორაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები), ეროვნულ საზღვრებს ერთმანეთთან აკავშირებენ და სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ახალ მიმართულებებს აყალიბებენ. *ტრანსნაციონალური საკითხები* (მაგალითად გლობალური დათბობა ან საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელება), ისეთი პროცესებია, რომელიც სახელმწიფოებს ერთად მუშაობისკენ უბიძგებს, რადგან ცალ-ცალკე ამ პრობლემების მოგვარებას ვერ შეძლებენ.

საერთაშორისო ნორმები (International Norms)
მონაწილეების მოლოდინები სახელმწიფოებს შორის ნორმალური ურთიერთობების შესახებ.

წესები, რომლებითაც საერთაშორისო ურთიერთობებში ურთიერთქმედებათა დიდი ნაწილი რეგულირდება, ნორმებიდან მომდინარეობს. **საერთაშორისო ნორმები** არის მოლოდინები, რომლებიც აქტორებს გააჩნიათ ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობების მიმართ.

საერთაშორისო ნორმების განსაზღვრის მცდელობა საუკუნოვან ფილოსოფიურ ტრადიციას მიჰყვება. ფილოსოფოსები, მაგალითად კანტი, ამტკიცებდნენ, რომ ავტონომიური ინდივიდებისთვის (ან სახელმწიფოებისთვის) ბუნებრივი იყო თანამშრომლობა ორმხრივი სარგებლის მისაღებად, რადგან აცნობიერებდნენ, რომ მხოლოდ ვიწრო ინდივიდუალური ინტერესების დაკმაყოფილებაზე ზრუნვით, საბოლოო ჯამში ყველა იზარალებდა. შესაბამისად, სუვერენულ სახელმწიფოებს შეეძლოთ ერთად ემუშავათ ისეთი სტრუქტურებისა და ორგანიზაციების მეშვეობით, სადაც დაცული იქნებოდა თითოეული წევრის ავტონომიურობა და არ მოხდებოდა მათზე ზემდგომი მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბება. მე-19 საუკუნეში, მსგავსი იდეების განსხეულებას წარმოადგენდა პრაქტიკული მიზნით შექმნილი ორგანიზაციები, რომლებშიც სახელწიფოები ისეთი კონკრეტული საკითხების დასარეგულირებლად წევრიანდებოდნენ, როგორიც იყო საერთაშორისო საფოსტო მომსახურებები და ევროპულ მდინარეებზე ნაოსნობის კონტროლი.

ქცევის შეთანხმებული ნორმები, რომელთა ინსტიტუციონალიზაციაც ასეთი ორგანიზაციების მეშვეობით ხორციელდება, დროთა განმავლობაში ჩვეულებითი ხდება და ლეგიტიმაციას იძენს. სახელმწიფოების მეთაურები ეჩვევიან ნორმალურად ქცევას და აღარ ანგარიშობენ, გაამართლებს თუ არა ნორმების დარღვევა ყოველი კონკრეტული ქმედებისთვის. მაგალითად, მე-19 საუკუნის დასაწყისში, აშშ-ში ომის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ პირებს აქტიური საომარი გეგმები გააჩნდათ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის მასშტაბური საზღვაო კონფლიქტის გაჩაღებასთან დაკავშირებით. დღევანდელ დღეს ასეთი გეგმები ღიმილის მომგვრელია. დროთა განმავლობაში, სახელმწიფოები კონკრეტული ქცევისგან თავს იკავებენ არა მხოლოდ ხარჯსარგებლიანობის გათვლებიდან გამომდინარე (როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავენ რეალისტები და ლიბერა-



ეს ნორმა არ არის საერთაშორისო ნორმები ვითარდება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ჰუმანიტარული ინტერვენცია და ადამიანის უფლებები. აღნიშნული ნორმები გვეხმარება საერთაშორისო ორგანიზაციების როლის განსაზღვრაში. მათი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო ბავშვი ჯარისკაცების გამოყენების პრობლემაა, როგორც აი ამ იემენელი ბიჭის შემთხვევაში, რომელიც უერთდება ახლად რეკრუტირებულ ჰუთების მებრძოლებს, 2017 წელს. იემენის სამოქალაქო ომმა შეშფოთება გამოიწვია რამდენიმე საერთაშორისო ნორმის დარღვევის გამო, მათ შორის ისეთის, როგორიც არის საკვების მიწოდების შეწყვეტა, საავადმყოფოების მიზანმიმართული გამოყენება სამიზნეებად და ბავშვი ჯარისკაცების ჩართვა საბრძოლო მოქმედებებში.

ლები), არამედ ნორმატიული მიზეზებითაც (როგორც ამას კონსტრუქტივისტები ამტკიცებენ), რომლებიც ნაკლებად უკავშირდება მატერიალურ გათვლებს. ლეგიტიმურობა და ჩვეულება განაპირობებს საერთაშორისო ნორმების ეფექტიანობას, მაშინაც კი, როდესაც ეს ნორმები კოდიფიცირებული არ არის და მოკლებულია აღსრულების მექანიზმებს.

თუმცა, საერთაშორისო ნორმებისა და მორალური სტანდარტების ძალა შესაძლოა განსხვავდებოდეს, მაშინ როდესაც განსხვავებულ სახელმწიფოებს და მსოფლიოს რეგიონებს განსხვავებული მოლოდინები აქვთ ნორმალურ ქცევასთან დაკავშირებით. 2003 წელს აშშ-ისთვის სადამ ჰუსეინის ხელისუფლებიდან მოშორება მორალურ იმპერატივს წარმოადგენდა. მაგრამ არაბული ქვეყნების მოსახლეობების თვალსაზრისით, ერაყში აშშ-ის შეჭრა ტერიტორიული სუვერენიტეტის უსამართლო დარღვევის მაგალითია. ნორმების განსხვავებულობის შემთხვევაში, მორალურობის ფაქტორი შეიძლება სტაბილურობის ნაცვლად გაუგებრობის და კონფლიქტის ხელშემწყობი აღმოჩნდეს. რეალისტები ასეთ მაგალითებზე მითითებით ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო ნორმებს საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვან საკითხებზე დიდი ზეგავლენა არ გააჩნიათ. ამის ნაცვლად, რეალისტები მიუთითებენ, რომ დღეს მიღებული ნორმების უმეტესობა საერთაშორისო სისტემაში მოქმედი ძლიერი სახელმწიფოების მიერ ჩამოყალიბდა (დომინირების პრინციპი) და ამ ნორმების ინტერპრეტაციაც ხშირად ამავე ძლიერი სახელმწიფოები მიერ ხდება. თუმცა, კონსტრუქტივისტი მკვლევრები აცხადებენ, რომ საერთაშორისო ნორმების დარღვევის შემთხვევაშიც კი, სახელმწიფოები (აშშ-ც კი) უდიდეს ძალისხმევას სწევენ ნორმის დარღვევის გასამართლებლად. აღნიშნული ადასტურებს, რომ ძლიერი ნორმები არსებობს და მათ ყველაზე ძლიერი სახელმწიფოებიც აღიარებენ.


6.1.1. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი

საერთაშორისო ორგანიზაციები (international organizations (IOs)) გაეროს მსგავსი მთავრობათაშორისი ორგანიზაციები და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციები.

საერთაშორისო ორგანიზაციებში შედიან მთავრობათაშორისი (მაგალითად გაერო) და არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგალითად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი). 1945 წლის შემდეგ, საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა ხუთჯერ და მეტად გაიზარდა და ამჟამად 350 დამოუკიდებელი მთავრობათაშორისი და ათი ათასობით არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს (ზუსტი რიცხვი გარკვეულწი-

ლად ორგანიზაციის განსაზღვრებაზეა დამოკიდებული). საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა 6.1. გრაფიკზეა ასახული. სხვადასხვა სახელმწიფოებში მცხოვრები ადამიანების ურთიერთდაკავშირება სპეციალიზირებული ჯგუფების მეშვეობით მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულებას წარმოაჩენს (იხ. თავი 5).

გრაფიკი 6.1 მსოფლიოში არსებული სახელმწიფოები და მთავრობათაშორისი ორგანიზაციები, 1815-2015 წლები



ზოგიერთი მთავრობათაშორისი ორგანიზაცია გლობალური მასშტაბისაა, ზოგიერთი კი რეგიონული ან ორმხრივია (სადაც მხოლოდ ორი წევრი სახელმწიფოა). ზოგიერთ ორგანიზაციას ზოგადი მიზნები გააჩნია, ზოგიერთს კი კონკრეტული ფუნქციური ამოცანები აქვს. საერთო ჯამში, მთავრობათაშორისი ორგანიზაციების საქმიანობა განსხვავებული წარმატებულობით გამოირჩევა. მაგალითად, რეგიონული მთავრობათაშორისი ორგანიზაციები უფრო წარმატებულები არიან, ვიდრე გლობალური ორგანიზაციები, ხოლო კონკრეტული ფუნქციის ან ტექნიკური ამოცანის მქონე ორგანიზაციები უკეთ მუშაობენ, ვიდრე ის ორგანიზაციები, რომელთაც ფართო მიზნები გააჩნიათ (იხ. თავი 8). მთავრობათაშორისი ორგანიზაციები წევრი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების რეალიზებისთვის (ან ბერკეტების გასაძლიერებლად) არსებობსნ და არა ბუნდოვანი იდეალების მსახურებისთვის.

რეგიონულ მთავრობათაშორის ორგანიზაციებს შორის, ევროკავშირი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა, თუმცა ეს უკანასკნელი ერთადერთი მაგალითი არ არის. სხვა მნიშვნელოვან რეგიონულ მთავრობათაშორის ორგანიზაციებს განეკუთვნებიან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ASEAN), მერკოსური (MERCOSUR) და აფრიკის კავშირი (AU).

გლობალურ მთავრობათაშორის ორგანიზაციებს (გაეროს გარდა), როგორც წესი ფუნქციური მიზნები გააჩნიათ, რაც ცალკეული სახელმწიფოების ქმედებების კოორდინირებას გულისხმობს. მაგალითად, მთავრობათაშორისი ორგანიზაცია სახელად „Intelsat" მთავრობებისა და კერძო ბიზნესების კონსორციუმია, რომელიც საკომუნიკაციო სატელიტების ოპერირებას უზრუნველყოფს. ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციის („OPEC") წევრები ნავთობის მსხვილი მწარმოებლები არიან, რომლებიც პერიოდულად ვენაში, ავსტრიაში იკრიბებიან, რათა წევრებს წარმოების კვოტები განუსაზღვრონ, ნავთობზე მაღალი და სტაბილური მსოფლიო ფასების შენარჩუნების მიზნით.

მთავრობათაშორის ორგანიზაციებთან შედარებით, არასამთავრობო ორგანიზაციებს შედარებით უფრო კონკრეტულად განსაზღვრული ფუნქციები გააჩნიათ. მაგალითად, თუ ვინმეს სურს შეხვდეს პოლიტიკის მეცნიერებს სხვა ქვეყნებიდან, შეუძლია გაწევრიანდეს პოლიტიკის მეცნიერების საერთაშორისო ასოციაციაში. ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას ეკონომიკური ან ბიზნესთან დაკავშირებული ფუნქცია აქვს. მაგალითად, საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია საავიაციო კომპანიების საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს. სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს გლობალური პოლიტიკური მიზნები გააჩნიათ. მაგალითად „Amnesty International" ადამიანის უფლებების საკითხზე მუშაობს, „Planned Parenthood" კი რეპროდუქციული უფლებების დაცვასა და ოჯახის დაგეგმვის საკითხებზეა ორიენტირებული. კიდევ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, მაგალითად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, კულტურული მიზნები გააჩნიათ.

რელიგიური ჯგუფები ყველაზე მრავალრიცხოვან არასამთავრობო ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან – მათი წევრები ხშირად ბევრ ქვეყანას ფარავენ. დღევანდელ სამყაროშიც და ისტორიულადაც, ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი, იუდაიზმი, ინდუიზმი და სხვა მსოფლიო რელიგიები ორგანიზდებოდნენ სახელმწიფო საზღვრებს მიღმა, ხშირად სახელმწიფოთა მთავრობების მტრული დამოკიდებულების პირობებშიც კი. ფართო მიზნებისა და გეოგრაფიული წვდომის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირად გააჩნიათ გაეროში დამკვირვებლის სტატუსი და მათთვის საინტერესო საკითხებზე გაეროში გამართულ შეხვედრებში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ. ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას უფლება აქვს დაესწროს მთავრობათაშორისი ორგანიზაციების შეხვედრებს, გაახმოვანონ საკუთარი პოზიცია და ხმის მიცემის პროცესშიც კი ჩაერთონ.

სხვადასხვა ზომისა და ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციათა ქსელი ამჟამად თითქმის ყველა ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს აკავშირებს. აღნიშნული ქსელის სწრაფი გაფართოება და ქსელის ფარგლებს შიგნით კომუნიკაციისა და ურთიერთქმედების ინტენსიფიკაცია მზარდ საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულებაზე მიუთითებს. თავის მხრივ, აღ-

ნიშნული ორგანიზაციები ერთგვარ ინსტიტუციურ საძირკველს ქმნიან, რომელსაც მსოფლიო წესრიგი მაშინაც კი ეფუძნება, როდესაც ადგილი აქვს ლიდერებისა და კონტექსტის ცვლილებას და ძალის თანაფარდობაში მოულოდნელი ცვლილებების შედეგად არსებული ნორმების შესუსტებას. ამ დამაკავშირებელი ქსელის ცენტრში ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია, გაერო იმყოფება.

6.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

აღწერეთ გაეროს უშიშროების საბჭოს სტრუქტურა და წესები და გამოყავით საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი

ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები გააჩნიათ. ასეთი ორგანიზაციების პრაქტიკულ საჭიროებას სახელმწიფოების სუვერენულობა განაპირობებს, რადგან არ არსებობს მსოფლიო მთავრობა, რომლის პასუხისმგებლობაც ორმხრივი სარგებლის მიღების მიზნით სახელმწიფოთა ქმედებების კოორდინაცია იქნებოდა. თუმცა, სახელმწიფოთა სუვერენულობის პრინციპი ასევე მნიშვნელოვნად ზღუდავს როგორც გაეროს, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რადგან მთავრობები ძალაუფლებას თვითონ ინარჩუნებენ და თავს იკავებენ მისი გაეროსთვის ან რომელიმე სხვა ორგანიზაციისთვის დელეგირებისგან. აღნიშნული ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, გაეროს მიღწეული შედეგებიც არაერთგვაროვანია – ზოგიერთ შემთხვევაში გაერო გამორჩეულ გლობალური დონის მენეჯმენტს უზრუნველყოფს და ზოგიერთ შემთხვევაში საშუალო სიდიდის სახელმწიფოების (რომ აღარაფერი ვთქვათ დიდ სახელმწიფოებზე) სუვერენიტეტის წინაშეც კი უძლურია.

6.2.1. გაეროს სისტემა

გაერო შედარებით ახალი ინსტიტუტია და არსებობის 70 წელს ითვლის. კიდევ უფრო ახალია ის როლი, რომელსაც გაერო „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში ასრულებს. ახალშეძენილი მნიშვნელობის მიუხედავად, გაეროს მთავარი მიზნები კვლავაც იგივეა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მისი დაარსების დროს განისაზღვრა.

გაეროს მიზნები გაერო ყველაზე უფრო ახლოს დგას მსოფლიო მთავრობის მოდელთან, რასაც აქამდე უარსებია, თუმცა მსოფლიო მთავრობა მაინც არ არის. გაეროს წევრი ქვეყნები სუვერენული სახელმწიფოებია, რომლებმაც გაეროს არ გადასცეს უფლებამოსილება, რომ მათ ტერიტორიაზე გაეროს ნების აღსრულება მოხდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამაზე მას სახელმწიფოებისგან თანხმობა აქვს. გამომდინარე

გაეროს ქარტია (UN Charter) გაეროს ქარტია გაეროს დამფუძნებელი დოკუმენტია, რომელიც სახელმწიფოთა თანასწორობის, შიდა საქმეებში სუვერენულობის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პრინციპებს ეყრდნობა. ქარტიაში ასევე მოცემულია გაეროს სტრუქტურა და საქმიანობის მეთოდები.

აქედან, მიუხედავად იმისა, რომ გაერო მსოფლიო წესრიგს აძლიერებს, იგი ასევე აცნობიერებს საერთაშორისო ანარქიის რეალობას და სახელმწიფოების მიერ სუვერენიტეტის დათმობის სურვილის არქონას. აღნიშნული შეზღუდვების პირობებში, გაეროს მთავარ მიზანს წარმოადგენს გლობალური ინსტიტუციური სტრუქტურის შექმნა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოები ზოგჯერ შეძლებენ კონფლიქტების დარეგულირებას ძალისმიერი მეთოდებზე ნაკლებად დაყრდნობით.

გაეროს ქარტია ეფუძნება პრინციპებს, რომ სახელმწიფოები თანასწორები არიან საერთაშორისო სამართლის წინაშე, ფლობენ სრულ სუვერენიტეტს მათ შიდა საქმეებზე, უნდა გააჩნდეთ სრული დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, და უნდა შეასრულონ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები, როგორიც არის დიპლომატიური პრივილეგიების პატივისცემა, აგრესიის ჩადენისგან თავშეკავება და მათ მიერ ხელმოწერილი შეთანხმებების პირობების შესრულება. ქარტია ასევე აყალიბებს გაეროს სტრუქტურას და საქმიანობის მეთოდებს.



ყურადღებიანი მეთვალყურე გაეროს ძალიან შეზღუდული ძალაუფლება და რესურსები გააჩნია, თუმცა მსოფლიო გაეროს ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას აკისრებს, მათ შორის, ყოფილ მეომარ მხარეებს შორის მშვიდობის შენარჩუნებას. ამ ფოტოზე, გაეროს მშვიდობისმყოფელები ლიბანის სადამკვირვებლო მისიიდან მორიგეობენ საზღვარზე ისრაელთან, 2017 წელს.

გაერო არსებობს არა იმიტომ, რომ მას აქვს ძალაუფლება საკუთარი ნება თავს მოახვიოს სახელმწიფოებს, არამედ იმიტომ, რომ ის სახელმწიფოებმა შექმნეს საკუთარი საჭიროებების საპასუხოდ. სახელმწიფოს წევრობა გაეროში არსებითად ზეწოლის ბერკეტების ფლობის ირიბი ფორმაა. სახელმწიფოები იძენენ ზეწოლის ბერკეტს გაეროს გამოყენებით კონფლიქტების უფრო ხელსაყრელ გადაწყვეტებს მიაღწიონ (განსაკუთრებით უფრო ზოგად მრავალმხრივ საკითხებზე, რასთან დაკავშირებითაც გლობალური ფორუმი ყველა მხარეს ერთად უყრის თავს). აღნიშნული ბერკეტის საფასური მოკრძალებულია – გაეროს საწევრო და დიპლომატიური წარმომადგენლობების შენახვის ხარჯები, რასაც ემატება გაეროს ქარტიის შესაბამისად ქცევის (უმეტეს შემთხვევაში) ვალდებულება.

სახელმწიფოები გაეროსგან რამდენიმე სახის სარგებელს იღებენ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტაბილურობა (განსაკუთრებით უსაფრთხოების სფეროში), რომლის დაცვასაც გაერო ცდილობს. აღნიშნული სახელმწიფოებს აძლევს ვაჭრობისა და ურთიერთობების სხვა ფორმებისგან მიღებული მოგების რეალიზების საშუალებას (იხ. თავი 5). გაერო საერთაშორისო წესრიგისა და გლობალური იდენტობის სიმბოლოსაც წარმოადგენს. გაერო არის ასევე ფორუმი, სადაც სახელმწიფოები აჟღერებენ საკუთარ შეხედულებებს და განსახილველად შემოაქვთ დავები. გარდა ამისა, გაერო არის საერთაშორისო უსაფრთხოების საქმეებში კონფლიქტების მოგვარების მექანიზმი. გაერო ასევე ხელს უწყობს და კურირებს განვითარების დახმარებას და

გლობალური სამხრეთის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვა პროგრამებს. აღნიშნული პროგრამები ასახავს შეხედულებას, რომ ეკონომიკური და სოციალური პრობლემები – მათ შორის ყველაზე მთავარი, სიღარიბე, საერთაშორისო კონფლიქტისა და ომის მნიშვნელოვანი გამომწვევი მიზეზებია. ბოლოს, გაეროს არის ასეულობით შიდა და გარე უწყებისა და პროგრამის დაგეგმვის, ასევე საერთაშორისო მონაცემთა გამოქვეყნების მაკოორდინირებელი სისტემა.

რთული ამოცანების მიუხედავად, გაერო მაინც შეზღუდული და მყიფე ინსტიტუტია. შედარებისთვის შეგვიძლია განვიხილოთ, თუ რას ხარჯავენ სახელმწიფოები კონფლიქტის დარეგულირების ორი ტიპის ბერკეტზე – შეიარაღებულ ძალებსა და გაეროზე. ყოველწლიურად, მსოფლიო დაახლოებით 2 ტრლნ აშშ დოლარს ხარჯავს სამხედრო სფეროზე და 5 მლრდ დოლარს – გაეროს ბიუჯეტზე. გაეროს ოპერაციების სრული ბიუჯეტი, მშვიდობისმყოფელობის, პროგრამების და სააგენტოების ჩათვლით, მსოფლიო სამხედრო დანახარჯების 3%-ზე ნაკლებია. აღნიშნული თანაფარდობა კიდევ უფრო მკვეთრია აშშ-ში და 150:1-ზეა. თითოეული ამერიკელი მოქალაქე ყოველწლიურად [სამუალოდ] დაახლოებით 2,000 აშშ დოლარს იხდის სამხედრო ხარჯებისთვის, მაგრამ მხოლოდ 15 აშშ დოლარს აშშ-ის მიერ გაეროში გადახდილი საწევროს, შეფასების და გაეროს პროგრამებისა და სააგენტოებისთვის ნებაყოფლობითი შეწირულობის სახით.

ზოგჯერ გაერო წარმატებას აღწევს, ზოგჯერ კი მარცხს განიცდის. გაეროს ალბათ მსოფლიოში ყველაზე რთულ საკითხებთან უწევს გამკლავება. სახელმწიფოთა ჯგუფებს რომ შეეძლოთ ეთნიკური კონფლიქტების, ადამიანის უფლებების, ლტოლვილების და მსოფლიო შიმშილის მსგავსი პრობლემების მარტივად გადაწყვეტა, დიდი ალბათობით უკვე გადაწყვეტდნენ კიდეც. ნაცვლად ამისა, სახელმწიფოები ყველაზე რთული პრობლემების გადაწყვეტას გაეროს გადააბარებენ და იმედოვნებენ, რომ ის შეძლებს გაუმკლავდეს ამ პრობლემებს.

გაეროს გენერალური ასამბლეა (UN General Assembly)

გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლით დაკომპლექტებული ორგანო, რომელიც ანაწილებს გაეროს ფინანსებს, იღებს არასავალდებულო რეზოლუციებს და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით კოორდინირებას უწევს მესამე სამყაროს განვითარების პროგრამებს და სხვადასხვა ავტონომიურ სააგენტოებს.

მაეროს სტრუქტურა გაეროს სტრუქტურის ცენტრალურ ადგილს (იხ. გრაფიკი 6.2) **გაეროს გენერალური ასამბლეა** იკავებს, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენელი ერთად იყრის თავს დიდ დარბაზში, სიტყვით გამოსვლებს უსმენენ და რეზოლუციებს გამოსცემენ. გენერალური ასამბლეა *ეკონომიკური და სოციალური საბჭოს* მეშვეობით კოორდინაციას უწევს სხვადასხვა სახის განვითარების პროგრამებს და სხვა ავტონომიურ სააგენტოებს. გენერალური ასამბლეის პარალელურად მოქმედებს გაეროს უშიშროების საბჭო, სადაც ხუთი მუდმივი და ათი არამუდმივი (როტაციის საფუძველზე შერჩეული) წევრი სახელმწიფო გადაწყვეტილებებს იღებს მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. უშიშროების საბჭო აგზავნის სამშვიდობო ძალებს პრობლემურ ადგილებში. გაეროს მართვა ხორციელდება გაეროს სამდივნოს (აღმასრულებელი შტო) მეშვეობით, რომელსაც გაეროს გენერალური მდივანი

გაეროს უშიშროების საბჭო (UN Security Council)

ხუთი დიდი სახელმწიფოსგან (რომელთაც შეუძლიათ რეზოლიციებზე ვეტოს დადება) და როტაციის საფუძველზე შერჩეული ათი არამუდმივი წევრი სახელმწიფოსგან შემდგარი ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, მათ შორის გაეროს სამშვიდობო ძალების გაგზავნასთან დაკავშირებით.

გაეროს სამდივნო (UN Secretariat)

გაეროს აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს.

ხელმძღვანელობს. გაეროს სასამართლო შტოს მსოფლიო სასამართლო (მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო) წარმოადგენს, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ,.

გაეროში თითოეული წევრი სახელმწიფოს ელჩის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი დელეგაციები ქალაქ ნიუ-იორკში მდებარე გაეროს შტაბბინაში მუშაობენ და იარიბებიან. აღნიშნული წარმომადგენლობების წევრები აშშ-ში დიპლომატიური სტატუსით სარგებლობენ, რომელიც მასპინძელი ქვეყნის რანგში ასევე საკუთარ თავზე იღებს გაეროს ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ვალდებულებების შესრულებასაც. მაგალითად აშშ-მა ფიდელ კასტროს ნიუ-იორკში ჩამოსვლის (რომელსაც ზოგადად ეკრძალებოდა აშშ-ში შესვლა) და გაეროს გენერალური ასამბლეისთვის სიტყვით მიმართვის ნება დართო.


გაეროს სტრუქტურის მთავარი სიძლიერე წევრობის უნივერსალურობაში მდგომარეობს. 2018 წელს გაეროს 193 წევრი ჰყავდა. მსოფლიოს თითქმის ყველა ტერიტორია ან გაეროს წევრია, ან წევრი ქვეყნის ნაწილი ან კოლონიაა (ტაივანი ჩინეთის ნაწილად განიხილება, ტრადიციულად ნეიტრალური შვეიცარია გაეროს 2003 წელს შეუერთდა და 2012 წელს პალესტინამ არაწევრი დამკვირვებლის სტატუსი მოიპოვა). გაეროს ქარტია, მიუხედავად იმისა რომ ხანდახან ირღვევა, ყველა სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ ურთიერთობებში ძირითად წესებს დაემორჩილონ.

ერთ-ერთი გზა, რითიც გაერომ უბიძგა ყველა დიდ სახელმწიფოს ორგანიზაციაში გაწევრიანებულიყვნენ, იყო მათი დარწმუნება, რომ გაერო მათ ეროვნულ ინტერესებს არ დააზარალებდა. მსოფლიო წესრიგში ძალის როლის აღიარებით, გაეროს ქარტიამ ხუთი დიდი სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ვეტოს უფლებით აღჭურვა.

გაეროს ქარტიას შემოაქვს *კოლექტიური უსაფრთხოების* მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიო სახელმწიფოების გაერთიანებას აგრესორის შესაჩერებლად. ქარტიის მე-7 თავი უშიშროების საბჭოს ცალსახად აძლევს აგრესიის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების უფლებას, მე-6 თავში გათვალისწინებული არაძალადობრივი საშუალებების ამოწურვის შემთხვევაში. მაგალითად, 2011 წელს ლიბიის საჰაერო სივრცის ფრენის აკრძალულ ზონად გამოცხადება მე-7 თავის ფარგლებში მოხდა. თუმცა, დიდი სახელმწიფოების ვეტოს უფლების ფაქტორიდან გამომდინარე, გაეროს ფაქტობრივად არ შეუძლია დიდი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული (ან მისი მხარდაჭერით წამოწყებული) აგრესიის შეჩერება. როგორც ხშირად ხდება დომინირების პრინციპის შემთხვევაში, აღნიშნული სტრუქტურა პატარა სახელმწიფოების უკმაყოფილებას იწვევს. 2006 წელს, ირანის პრეზიდენტმა გენერალური ასამბლეის წინაშე დასვა შეკითხვა: „თუ აშშ-ის ან გაერთიანებული სამეფოს მთავრობები ჩაიდენენ დანაშაულს ან დაარღვევენ საერთაშორისო სამართალს,

გრაფიკი 6.2 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

წყარო: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია



გაეროს რომელი ორგანიზაცია შეძლებს მათ პასუხი აგებინოს?"[1] (პასუხი, რა თქმა უნდა არის: ვერცერთი). „ცივი ომის" დროს მე-7 თავი მხოლოდ ერთხელ, კორეის ომის დროს იქნა გამოყენებული, როდესაც საბჭოთა დელეგაციამ წინდაუხედავად გამოუცხადა სხდომას ბოიკოტი (ხოლო ჩინეთის ადგილი კი ტაივანელ ნაციონალისტებს ეკავათ).

ბაერრს ისტორია გაერო 1945 წელს, აშშ-ის ქალაქ სან-ფრანცისკოში 51 სახელმწიფოს მიერ შეიქმნა. ის ერთა ლიგის მემკვიდრე ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელმაც 1930-იან წლებში აგრესიისათან ეფექტური გამკლავება ვერ შეძლო. ერთა ლიგის მსგავსად, გაეროც საერთაშორისო წესრიგის და კანონის უზენაესობის მხარდასაჭერად და კიდევ ერთი მსოფლიო ომის თავიდან ასარიდებლად შეიქმნა. გაეროსა და აშშ-ს, როგორც მსოფლიოს ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს შორის დიდი ხანი არსებობდა გარკვეული დაძაბულობა (აშშ ერთა ლიგაში არ გაწევრიანებულა, ხოლო გაეროს შტაბბინის ნიუ-იორკში განთავსების გადაწყვეტილება, ნაწილობრივ სწორედ აშშ-ის ინტერესის უზრუნველსაყოფად იქნა მიღებული).

1950-იან და 1960-იან წლებში, აზიასა და აფრიკაში კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად გაეროს წევრობა გაორმაგდა და უფრო მეტად გაიზარდა. ამან გამოიწვია ვითარების შეცვლა გენერალური ასამბლეაში, სადაც თითოეულ სახელმწიფოს, ზომის მიუხედავად, ერთი ხმა აქვს. ახალ წევრებს დასავლური ინდუსტრიული სახელმწიფოებისგან განსხვავებული პრობლემები და ინტერესები გააჩნდათ და ბევრ შემთხვევაში გამოხატავდნენ აღშფოთებას დასავლური ქვეყნების მიერ მათი კოლონიზების გამოცდილების გამო. გლობალური სამხრეთის ბევრი სახელმწიფო მიიჩნევდა, რომ აშშ-ს გაეროში ზედმეტად დიდი ძალაუფლება ჰქონდა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ გაერო საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, როგორც წესი, მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როდესაც აშშ იღებს ლიდერობას საკუთარ თავზე (რაც ხდება მაშინ, როდესაც ამერიკის ინტერესები დგას დღის წესრიგში).

1971 წლამდე, ჩინეთის ადგილი უშიშროების საბჭოში (და გენერალურ ასამბლეაშიც) კუნძულ ტაივანზე მოქმედი ნაციონალისტური ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკავათ, რომლებმაც კონტინენტურ ჩინეთზე ძალაუფლება 1949 წელს დაკარგეს. კომუნისტური ჩინეთის გამორიცხვა გაეროს უნივერსალური წევრობის პრინციპთან მიმართებაში გამონაკლისს წარმოადგენდა და 1971 წელს ჩინეთის ადგილი ნაციონალისტებს ჩამოერთვათ და კომუნისტურ მთავრობას გადაეცა. დღევანდელ დღეს ტაივანი, რომელიც ბევრ საერთაშორისო საქმეში ავტონომიურად მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის პროვინციის სტატუსს ფლობს, გაეროს წევრი არ არის. თუმცა, ეს მხოლოდ ერთადერთი მნიშვნელოვანი ასეთი შემთხვევაა.

„ცივი ომის" პერიოდში, გაეროს ცოტა წარმატება ჰქონდა საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში, რადგან აშშ-საბჭოთა კავშირის დაპი-

1 (2006, სექტემბერი 19). აჰმადინეჯადის გაეროს მოხსენების ტრანსკრიპტი. https://www.npr.org/templates/story/story.php?storyId=6107339.

რისპირება კონსენსუსის მიღწევას გამორიცხავდა. ორი ურთიერთდაპირისპირებული სამხედრო ბლოკის გარშემო აგებულ მსოფლიო წესრიგში, გაერო გარკვეულწილად არარელევანტური ჩანდა. გენერალური ასამბლეა, მესამე სამყაროს ქვეყნების დიდი რაოდენობის გამო, ძირითადად ფოკუსირებული იყო ღარიბი ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე და ეს საკითხები გაეროს საქმიანობის მთავარ სფეროდ იქცა. გლობალური სამხრეთის სახელმწიფოები გაეროს ასევე იყენებდნენ ზოგადად მდიდარი ქვეყნების და განსაკუთრებით აშშ-ის კრიტიკისთვის. 1980-იან წლებში, აშშ-ის მთავრობამ უკმაყოფილება გამოხატა აღნიშნულ ტენდენციასთან დაკავშირებით და გაეროში საწევროს გადახდა შეაჩერა (საბოლოო ჯამში თანხამ 1 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია), რომელიც წლების შემდეგ, გაეროს რეფორმირების შემდეგ გადაიხადა.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, დიდ სახელმწიფოებს გაუჩნდათ საერთაშორისო უსაფრთხოების ზომებზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა. ამ კონტექსტში, გაერო საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში ცენტრალურ როლში აღმოჩნდა. 1980-იან წლებში გაერომ რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ძალადობრივი რეგიონული კონფლიქტების დასრულების (ცენტრალურ ამერიკაში და ირან-ერაყის ომი) საქმეში, სადაც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მონიტორინგის მიზნით მშვიდობისმყოფელებიც განალაგა. 1987-1993 წლების პერიოდში, უშიშროების საბჭოს რეზოლუციების რაოდენობა 15-დან 78-მდე, სამშვიდობო მისიების რაოდენობა 5-დან 17-მდე, სამშვიდობო მისიაში მონაწილე ჯარისკაცების რიცხვი 12,000-დან 78,000-მდე, ხოლო სამხედრო მოსამსახურეების წარმგზავნი ქვეყნების რაოდენობა 26-დან 76-მდე გაიზარდა.

თუმცა, ახალ მისიებს სერიოზულ პრობლემებთან მოუხდათ გამკლავება. მწირმა დაფინანსებამ და მართვის პრობლემებმა მნიშვნელოვნად დააზარალა სამშვიდობო ძალისხმევა ანგოლაში, სომალიში და კამბოჯაში. 1993-1995 წლებში, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, გაერომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმებამდე დაიწყო მასშტაბური სამშვიდობო მისია. აღნიშნულ პრობლემებზე პასუხად (და აშშ-ის გადაუხდელი საწევროს გამო), გაერომ 1995-1997 წლებში სამშვიდობო ოპერაციების მასშტაბი (78,000 სამხედროდან 19,000-მდე) შეკვეცა და გაეროს სამდივნოში და პროგრამებში რეფორმები და შემცირებები განახორციელა.

2003 წლის ერაყის ომმა დიდ სახელმწიფოებს შორის სერიოზული უთანხმოება გამოიწვია, რასაც შედეგად პროცესიდან გაეროს გამოთიშვა მოჰყვა. ერაყის განიარაღების და გაეროს შეიარაღების ინსპექტორის დაბრუნების მოთხოვნის საკითხზე კონსენსუსის მიღწევის შემდეგ, უშიშროების საბჭო გაიყო ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით – აშშ და ბრიტანეთი მხარს უჭერდნენ ძალის გამოყენებას, ხოლო საფრანგეთი, რუსეთი და ჩინეთი ეწინააღმდეგებოდნენ. მოგვიანებით

გაეროს გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა ომს „უკანონო“ უწოდა. აშშ-გაეროს ურთიერთობები კიდევ უფრო დაძაბა ერაყის ომის დროს აღმოჩენილი დოკუმენტების გასაჯაროვებამ, რომელთა თანახმადაც 1990-იან წლებში ერაყზე დაწესებული ეკონომიკური სანქციების შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით გამიზნული გაეროს 64 მლრდ აშშ დოლარის ღირებულის პროგრამით „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ უკანონოდ სარგებლობდნენ გაეროს ფრანგი, ჩინელი და რუსი თანამდებობის პირები (ასევე ამერიკული ნავთობკომპანიები). 2005 წელს ჩატარებული დამოუკიდებელი გამოძიებით პროგრამის კორუფციული ხასიათი დადასტურდა. გამოძიებამ ასევე მკაცრად გააკრიტიკა გაეროს პროგრამის არასწორი მენეჯმენტისა და სუსტი ზედამხედველობისთვის.

დღევანდელ დღეს, გაერო „სამი სვეტის“ პრინციპს მიჰყვება, სადაც იგულისხმება უსაფრთხოება, ეკონომიკური განვითარება და ადამიანის უფლებები. ნებისმიერი ჩამოთვლილი „სვეტი“ აუცილებელია დანარჩენი ორის წარმატებული ფუნქციონირებისთვის. 2006 წლის ბოლოს, ახალი გენერალური მდივანი და მისი წინამორბედიც, ორივენი ამ პრინციპზე ახდენდნენ მითითებას. აღნიშნული სვეტები ერთმანეთს განსაკუთრებით აძლიერებენ ომისშემდგომ კონფლიქტურ ვითარებაში.

გარკვეულწილად, გაერო მხოლოდ ახლა იწყებს იმ ჩანაფიქრით მუშაობას, რა ჩანაფიქრითაც შეიქმნა, დიდი სახელმწიფოების ერთობლივი მოქმედებითა და ქარტიის საყოველთაო აღიარებით. თუმცა, რაც ცივი ომის შემდეგ სახელმწიფოებმა უფრო მეტად დაიწყეს გაეროსთვის მიმართვა, მისი შეზღუდული ზომის და რესურსების ფონზე, გაერო ძალიან გადაიტვირთა. აღნიშნულმა კი შედეგად მისიების და დაფინანსების შემცირება გამოიწვია. დღეს გაერო უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე, თუმცა, ის ჯერ კიდევ დგას მარცხის საფრთხის წინაშე. მომდევნო წლებში, გაერომ უნდა განაგრძოს პასუხების გაცემა მისი ცვალებადი როლის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, ბიუჯეტის შეზღუდულობის და სახელმწიფოს სუვერენიტეტის ძლიერების ფონზე.

6.2.2. უშიშროების საბჭო

უშიშროების საბჭო პასუხისმგებელია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე და მშვიდობის აღდგენაზე მისი დარღვევის შემთხვევაში. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის სავალდებულოა. უშიშროების საბჭოს ძალიან დიდი უფლებამოსილება გააჩნია უსაფრთხოების სფეროში საფრთხის არსებობისა და ბუნების განსაზღვრის, ამ საფრთხეზე პასუხის სტრუქტურირების და გაეროს წევრი ქვეყნებისთვის სავალდებულო დირექტივების (მაგალითად აგრესორ ქვეყანასთან ვაჭრობის შეწყვეტა) შემოღების მეშვეობით საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით. 1945 წლიდან, უშიშროების საბჭომ 2,400-ზე მეტი რეზო-

ლუცია მიიღო და ყოველკვირეულად ხდება ახალი რეზოლუციების მიღება. აღნიშნული რეზოლუციები ასახავს დიდი სახელმწიფოების ხედვას მსოფლიოში უსაფრთხოების სფეროში არსებული სხვადასხვა დავის გადაჭრასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რეგიონულ კონფლიქტებში.

ყველაზე მნიშვნელოვანი უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრია – აშშ, ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი და ჩინეთი. მსოფლიოს სხვა ქვეყნები უნდა დაემორჩილონ იმას, რაზეც ეს ხუთი სახელმწიფო შეთანხმდება. საკითხები, რომლებზეც ისინი ვერ შეთანხმდებიან, ხშირად იძენს სადავო ხასიათს. 2008 წელს, როდესაც უშიშროების საბჭომ ვერ გადაწყვიტა, უნდა ყოფილიყო თუ არა სერბეთის პროვინცია კოსოვო დამოუკიდებელი, კოსოვოელებმა ცალმხრივად გამოაცხადეს სერბეთისგან დამოუკიდებლობა. უშიშროების საბჭოს ზოგიერთმა მუდმივმა წევრმა (აშშ, საფრანგეთი და ბრიტანეთი) კოსოვო მალევე აღიარა, მაგრამ სხვებმა (ჩინეთი და რუსეთი) არა. გაბრაზებულმა სერბებმა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება უარყვეს და დასავლური სახელმწიფოები წახალისებაში დაადანაშაულეს . 2010 წელს, მსოფლიოს სასამართლომ დაადგინა, რომ კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება კანონიერი იყო, თუმცა კოსოვოს საბოლოო სტატუსი კვლავაც მწვავე სადავო საკითხად რჩება. 2018 წლის მდგომარეობით, კოსოვოს დამოუკიდებლობა გაეროს 108 წევრმა სახელმწიფომ აღიარა.

უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მისაღებად 15-დან 9 წევრის თანხმობაა საჭირო. თუმცა, ერთ-ერთი მუდმივი წევრის მიერ ვეტოს გამოყენების შემთხვევაში, რეზოლუცია არ მიიღება. უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს ბევრი რეზოლუციისთვის აქვთ ვეტო დადებული და ძალიან ბევრი განსახილველადაც არ წარუდგენიათ გარდაუვალი ვეტოს ფაქტორის გათვალისწინებით. თუმცა, 1995 წლის შემდეგ ვეტოს გამოყენების მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა სულ რაღაც 34 ვეტომდე. აქედან ვეტოს უფლება რუსეთმა 18-ჯერ გამოიყენა, აშშ-მა – 14-ჯერ და ჩინეთმა – 10-ჯერ. (ერთი და იგივე რეზოლუციას შეიძლება ვეტო ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფომ დაადოს).

უშიშროების საბჭოს ათი არამუდმივი წევრი როტაციის საფუძველზე, ორწლიანი ვადით ირჩევა."არამუდმივ წევრებს (ყოველწლიურად ხუთი) გენერალური ასამბლეა არაფორმალურ რეგიონულ სხდომებზე მომზადებული სიიდან ირჩევს. როგორც წესი, არამუდმივ წევრებად სხვადასხვა რეგიონების და სხვადასხვა სიდიდის მქონე სახელმწიფოები შეირჩევიან, თუმცა მკაცრად განსაზღვრული ფორმულა არ არსებობს. ხშირად სახელმწიფოები აქტიურ ლობისტურ ძალისხმევას ახორციელებენ უშიშროების საბჭოში ადგილის მისაღებად. კერძოდ, რეგიონულ სხდომებში მონაწილე სახელმწიფოების ხმების მოსაპოვებლად გამოსცემენ წიგნებს, უკვეთავენ რეკლამებს და შეიმუშავებენ მემორანდუმებს. 2014 წელს საუდის არაბეთმა შეძლო უშიშროების საბჭოს სასურველი ადგილის მიღება, მაგრამ მოგვიანებით უარი თქვა მის დაკავებაზე. ამით საუდის არაბეთი

პირველი სახელმწიფო გახდა, რომელმაც უარი თქვა უშიშროების საბჭოში ყოფნაზე. ასეთი მნიშვნელოვანი პროტესტის გამოცხადება განაპირობა საუდის არაბეთის კრიტიკულმა დამოკიდებულებამ, მათი აზრით, გაეროს სუსტი რეაქციისადმი სირიაში მიმდინარე კონფლიქტზე და ირანის ბირთვულ პროგრამის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებებზე.

ცხრილში 6.1 წარმოდგენილია უშიშროების საბჭოში წევრების ბოლოდროინდელი როტაციის პროცესი. რეგიონული სხდომების შედეგად კანდიდატების ნომინირების სისტემის მეშვეობით, ცალკეული სახელმწიფოების მონაცვლეობის მიუხედავად უშიშროების საბჭოში ხერხდება რეგიონული ბალანსის მუდმივად შენარჩუნება. დიდი რეგიონული აქტორები, არამუდმივი წევრების ადგილს უფრო ხშირად იკავებენ, ვიდრე პატარა სახელმწიფოები.

ცხრილი 6.1 გაეროს უშიშროების საბჭოს რეგიონული წარმომადგენლობა

		არამუდმივი წევრები[b]			
რეგიონი	მუდმივი წევრები[a]	2018	2017	2016	ახალი მუდმივი წევრობის შესაძლო პრეტენდენტები[c]
ჩრ. ამერიკა	**აშშ**				
დას. ევროპა	ბრიტანეთი საფრანგეთი	ნიდერლანდები პოლონეთი შვედეთი	იტალია შვედეთი	ესპანეთი	გერმანია
იაპონია/წყ. ოკეანე			**იაპონია**	**ახალი ზელანდია იაპონია**	**იაპონია**
რუსეთი/დსთ	რუსეთი	ყაზახეთი	ყაზახეთი უკრაინა	უკრაინა	
ჩინეთი	**ჩინეთი**				
ახლო აღმოსავლეთი		ქუვეითი	ეგვიპტე	ეგვიპტე	ეგვიპტე?
ლათინური ამერიკა		**ბოლივია პერუ**	**ბოლივია ურუგვაი**	**ვენესუელა ურუგვაი**	**ბრაზილია მექსიკა?**
სამხრეთ აზია				მალაიზია	ინდოეთი ინდონეზია?
აფრიკა		ეთიოპია ეკვატორული გვინეა კოტ-დ'ივუარი	ეთიოპია სენეგალი	**ანგოლა სენეგალი**	**ნიგერია? სამხრეთ აფრიკა?**

a ხუთ მუდმივ წევრს გააჩნია ვეტოს უფლება


b არამუდმივ წევრებს ორწლიანი ვადით ირჩევს გენერალური ასამბლეა, რეგიონული სხდომებიდან წარდგენილი კანდიდატურების საფუძველზე

c ახალ შესაძლო მუდმივ წევრებს შესაძლოა საერთოდ არ გააჩნდეთ ვეტოს უფლება ან შეზღუდული ფორმით ჰქონდეთ.

უშიშროების საბჭოს ძალაუფლება ორი მნიშვნელოვანი ასპექტით იზღუდება და ორივე საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს სუვერე-

ნიტეტის სიძლიერეს წარმოაჩენს. პირველ რიგში, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები სრულად არის დამოკიდებული წევრი სახელმწიფოების ინტერესებზე (იხ. გრაფიკი 6.3). ელჩებს, რომლებიც საკუთარ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, საკუთარი მთავრობების ნებართვის გარეშე უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შეცვლა არ შეუძლიათ. მეორე მხრივ, უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების სავალდებულო ხასიათის მიუხედავად, წევრი სახელმწიფოები რეალურად ხშირად ცდილობენ მისთვის გვერდის ავლას ან მათი ზეგავლენის შემსუბუქებას. მაგალითად, სავაჭრო სანქციების აღსრულება რთულია. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია რეალურად შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ მაშინ, თუ მას ძლიერი სახელმწიფოების საკმარისი რაოდენობა უჭერს მხარს. მაშინაც კი, როდესაც უშიშროების საბჭო ვერ ახერხებს აღსრულების საშუალებებზე შეთანხმების მიღწევას, მიღებული რეზოლუციები მაინც განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება ამ დავების აღქმა და მათი საბოლოო გადაწყვეტა.

გრაფიკი 6.3 გაეროს უშიშროების საბჭოში არსებული განსხვავებული ინტერესები



* პრობლემეთი შეიძლება იყოს ერაყის ქურთისტანი 1991 წელს ან დარფური (სუდანი) 2007 წელს.



უშიშროების საბჭო გაეროს უშიშროების საბჭოს შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობას და უსაფრთხოებას, როდესაც მისი მუდმივი წევრები უნისონში მოქმედებენ. როდესაც საბჭო დაყოფილია, ის ვერ ახერხებს სამხედრო ინტერვენციების ავტორიზებას, ჰუმანიტარული დახმარების გაწევას ან კონფლიქტის დროს გამოძიების ინიცირებას. ამ ფოტოზე, 2017 წელს რუსეთის ელჩი გაეროში ვეტოს იყენებს რეზოლუციის წინააღმდეგ, რომლის მიზანიც იყო სირიაში, ქიმიური იარაღის გამოყენებაზე პასუხისმგებლობის გამოძიება. ამით ეს რეზოლუცია ჩავარდა.

შემოთავაზებული ცვლილებები უშიშროების საბჭოს სტრუქტურას თავისი პრობლემები გააჩნია. იაპონია და გერმანია დიდი სახელმწიფოებია, რომლებიც საკმაოდ მაღალ საწევროს იხდიან (ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე) და დიდი წვლილი შეაქვთ გაეროს პროგრამების და სამშვიდობო ოპერაციების ფუნქციონირებაში. თუმცა, ეს ორი სახელმწიფო ფორმალურად ზუსტად ისევეა წარმოადგენილი გაეროში, როგორც პატარა სახელმწიფოები, რომლებსაც მათზე 100-ჯერ ნაკლები მოსახლეობა ყავთ: ერთი ხმა გენერალურ ასამბლეაში და შანსი, რომ როტაციის საფუძველზე მოხვდნენ უშიშროების საბჭოში (თუმცა, რეალურად იაპონია და გერმანია სხვებზე უფრო ხშირად ხვდებიან უშიშროების საბჭოში). გამომდინარე იქიდან, რომ იაპონიაც და გერმანიაც წამყვანი სავაჭრო სახელმწიფოებია, მათ დიდი ინტერესი გააჩნიათ საერთაშორისო უსაფრთხოების ძირითად წესებთან დაკავშირებით და მუდმივი წევრის სტატუსის მოპოვება სურთ.

თუმცა იაპონიისა და გერმანიის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებად შეყვანა ადვილი არ იქნება. გერმანიის მიერ მუდმივი წევრის ადგილის დაკავების შემთხვევაში, შვიდიდან სამი წევრი ევროპული სახელმწიფო იქნება, რაც ამ რეგიონს უსამართლოდ დიდ წონას შესძენს. შესაძლებელია სამი ევროპული ადგილის ერთ ადგილად გაერთიანება (როტაციის საფუძველზე, ან ევროკავშირის წარმომადგენლობად ჩამოყალიბება), მაგრამ ეს ბრიტანეთისა და საფრანგეთის ძალაუფლების შემცირებას გამოიწვევს, რომლებსაც შეუძლიათ ვეტო დაადონ ქარტიაში ნებისმიერ ასეთ ცვლილებას. იაპონიის შემთხვევაში წინააღმდეგი იქნება ჩინეთი. ამასთან, თუ იაპონია და გერმანია მიიღებენ მუდმივი წევრის სტატუსს, მაშინ რა უნდა გაკეთდეს ინდოეთთან მიმართებით, რომლის მოსახლეობა დედამიწის საერთო მოსახლეობის 20% შეადგენს? როგორ უნდა მოვიქცეთ ისეთ ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებით, როგორიც ინდონეზიაა? ბოლოს, რა უნდა გავაკეთოთ ლათინურ ამერიკასთან და აფრიკასთან მიმართებით? პოტენციურ ახალ მუდმივ წევრებს შორის შესაძლოა იყოს გერმანია, იაპონია, ინდოეთი, ბრაზილია, ეგვიპტე და ან ნიგერია ან სამხრეთ აფრიკა. ამ გეგმებიდან მნიშვნელოვანი წინსვლა არცერთში შეინიშნება. უშიშროების საბჭოს ნებისმიერი სახის რეფორმირება გულისხმობს გაეროს ქარტიის ცვლილებას და წევრების შემადგენლობაში ცვლილება ხუთი მუდმივი წევრის ძალაუფლების შემცირებას გამოიწვევს, რასაც ვეტო

ნებისმიერმა მათგანმა შეიძლება დაადოს და შესაბამისად, ნებისმიერი ცვლილების მიღწევა პრაქტიკულად ძალიან რთული ხდება

6.2.3. მშვიდობისმყოფელები

გაეროს ქარტიაში მშვიდობისმყოფელები ნახსენები არ არის. ქარტია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რომ გადასცენ შეიარაღებული ძალები გაეროს განკარგულებაში, თუმცა ასეთი შემთხვევა გათვალისწინებულია აგრესიის საპასუხოდ (კოლექტიური უსაფრთხოების ფარგლებში). რეალურად, როდესაც გაერომ აგრესიის შესაჩერებლად ძალის გამოყენების ნებართვა გასცა, როგორც ეს 1990 წლის სპარსეთის ყურის ომის დროს მოხდა, ოპერაციაში ჩართული ძალები ეროვნული ძალები იყვნენ და არ იმყოფებოდნენ გაეროს დაქვემდებარებაში. ასეთი ძალები, როგორც, მაგალითად, ავსტრალიელების დაქვემდებარებაში მყოფი ძალები აღმოსავლეთ ტიმორში, არც გაეროს სიმბოლოს ატარებენ და არც დროშას.

გაეროს საკუთარი ძალები, ანუ წევრი სახელმწიფოების არმიებისგან შეკრებილი ძალები, რომლებიც გაეროს დროშის ქვეშ და გაეროს სარდლობით მოქმედებენ, სამშვიდობო ძალებია, რომლებიც რეგიონული კონფლიქტების განმუხტვისთვის და დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნეიტრალური მოთამაშის როლის შესრულებისთვის გამოიყენება. გაეროს მშვიდობისმყოფელებმა მათი მზარდი მნიშვნელობისა და წარმატების აღსანიშნავად 1988 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაც დაიმსახურეს. თუმცა, როგორც ეს ბოსნიაში გამოჩნდა, ამგვარი ნეიტრალური ძალები წარმატებულად ვერ მოქმედებენ ისეთ ვითარებაში, როდესაც უშიშროების საბჭო აგრესორად ერთ მხარეს მიიჩნევს.

სამშვიდობო მისიები თითოეული მისიისთვის მშვიდობისმყოფელების მობილიზებას გაეროს გენერალური მდივანი უზრუნველყოფს. ასეთი ძალების მობილიზება კონფლიქტისგან სრულად დისტანცირებული რამდენიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებიდან ხორციელდება და მათ საერთო მეთაური ენიშნებათ. ამგვარ მისიაში მონაწილე სამხედროებს *ცისფერჩაფხუტიანები* ეწოდებათ. მშვიდობისმყოფელები მასპინძელი სახელმწიფოს მოწვევით მოქმედებენ და ვალდებულები არიან დატოვონ ტერიტორია ამ სახელმწიფოს მთავრობის მოთხოვნის შემთხვევაში.

უშიშროების საბჭო მშვიდობისმყოფელებს უფლებამოსილებას როგორც წესი სამი ან ექვსი თვით ანიჭებს, რომელიც შეიძლება გახანგრძლივდეს და ზოგიერთ შემთხვევაში ათწლეულებსაც გადააჭარბოს. სამშვიდობო მისიების დაფინანსებას კენჭს გენერალური ასამბლეა უყრის და დღევანდელ დღეს სამშვიდობო ძალების გამოყენების უმთავრეს შემზღუდავ ფაქტორს სწორედ დაფინანსების სიმწირე წარმოადგენს. სამშვიდობო ოპერაციები წევრ სახელმწიფოებზე დაწესებული სპეციალური მოსაკრებლით ფინანსდება. 1988 წლის შემდეგ მშვიდობისმყოფელობის

გაფართოვებასთან ერთად, ამ ძალების ხარჯები (2018 წელს 6 მილირდზე მეტი) რამდენჯერმე აღემატება გაეროს რეგულარულ ბიუჯეტს.

ᲑᲝᲚᲝᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ 2018 წლისთვის, გაეროში დაახლოებით 109 ათასი საერთაშორისო პერსონალი მსახურობდა (სამხედრო ძალები, სამხედრო დამკვირვებლები, პოლიცია და ადმინისტრატორები) 15 მშვიდობისმყოფელ ან სადამკვირვებლო მისიაში, რომელიც ფარავდა მსოფლიოს 5 რეგიონს და იყენებდა სამხედრო პერსონალს მსოფლიოს 128 ქვეყნიდან (იხ. ცხრილი 6.2).

ცხრილი 6.2 გაეროს სამშვიდობო მისიები 2018 წლის მაისის მდგომარეობით

ადგილმდებარეობა	რეგიონი	მისიის წევრთა რაოდენობა	წლიური ბიუჯეტი (მლნ დოლარი)	როლი	დაწყების თარიღი
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	აფრიკა	20,600	1,100	ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის აღსრულება; მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა	2010
სუდანი/სამხრეთ სუდანი	აფრიკა	18,000	1,100	სამშვიდობო შეთანხმების მხარდაჭერა	2011
სუდანი/დარფური	აფრიკა	16,000	500	მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა	2007
მალი	აფრიკა	15,000	1050	არჩევნებისთვის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა	2013
ცენტრ. აფრ. რესპუბლიკა	აფრიკა	14,000	900	მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, დემობილიზაცია	2014
ლიბანი	ახლო აღმოსავლეთი	11,000	500	ისრაელის საზღვართან ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგი	1978
სუდანი/აბიეი	აფრიკა	4,800	300	საზღვარზე სადავო ქალაქის მონიტორინგი	2011
ჰაიტი	ლათინური ამერიკა	4,000	100	ტრანზიციული მთავრობის მხარდაჭერა	2004
ლიბერია	აფრიკა	1600	100	ტრანზიციული მთავრობის მხარდაჭერა	2003
კვიპროსი	ახლო აღმოსავლეთი	1100	60	საბერძნეთ-თურქეთის ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის მონიტორინგი	1964
სირია (გოლანის მაღლობები)	ახლო აღმოსავლეთი	1,000	60	ისრაელ-სირიის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მონიტორინგი	1974
დას.საჰარა	აფრიკა	500	55	ტერიტორიაზე რეფერენდუმის ორგანიზება	1991
ისრაელი	ახლო აღმოსავლეთი	350	70	არაბეთ-ისრაელის საზავო შეთანხმების დაკვირვება	1948
კოსოვო	ევროპა	350	40	სამოქალაქო ადმინისტრირება, დახმარების აღმოჩენა	1999
ინდოეთი/პაკისტანი	სამხრეთ აზია	100	20	ინდოეთ-პაკისტანის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დაკვირვება	1949
სულ		109,000	6,000		

შენიშვნა: რაოდენობით აღნიშნულია საერთაშორისო პერსონალის სრული რაოდენობა (ძირითადად სამხედრო მოსამსახურეები, მაგრამ ასევე სამოქალაქო ადმინისტრატორები და პოლიცია)

წყარო: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

2018 წლის მდგომარეობით ორი ყველაზე დიდი სამშვიდობო მისია იყო სუდანის დარფურის რეგიონში და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. კონგოს მისიაში, 20 ათასზე მეტი მშვიდობისმყოფელი მონიტორინგს უწევდა სამოქალაქო ომის შემდეგ მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და იცავდა მშვიდობიან მოსახლეობას. 2012 წელს, გაეროს სამშვიდობოებმა სისუსტე გამოამჟღავნეს, როდესაც არასტაბილურობით გამორჩეულ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედი მეამბოხე დაჯგუფება იერიშზე გადავიდა, რის შედეგადაც მოსახლეობას მოუხდა საკუთარი საცხოვრებელი ადგილების იძულებით დატოვება. მთავარი ომის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგ, მსგავსი თავდასხმები საკმაოდ პრობლემური იყო გაეროს ძალებისთვის. ადგილობრივ მეამბოხეებთან გასამკლავებლად, 2013-2014 წლებში კონგოში დამატებითი ძალები შეიყვანეს.

2007 წელს, უშიშროების საბჭომ სუდანის მთავრობის რამდენიმე წლიანი წინააღმდეგობის შემდეგ, სუდანის დარფურის რეგიონში 20 ათასისამხედრო მოსამსახურით დაკომპლექტებული მშვიდობისმყოფელების შეყვანას დაუჭირა მხარი. 2018 წლის მდგომარეობით, დარფურში კვლავ რჩება 16,000-ზე მეტი სამხედროსა და პოლიციელისგან შემდგარი მისია. გაეროს სამხედრო მოსამსახურეები აფრიკის კავშირის ადგილზე მყოფ (თუმცა მცირერიცხოვან) კონტინგენტს შეუერთდნენ. სუდანის წინააღმდეგობის მიზეზით, მისიაში გათვალისწინებული სამხედრო მოსამსახურეების სრული რაოდენობით შეყვანას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდა და შეყვანის შემდეგაც გაგრძელდა თავდასხმები მშვიდობიან მოსახლეობაზე. 2012 წელს, სახელისუფლებო ჯარებსა და მეამბოხეებს შორის ბრძოლების შედეგად, 25 ათასამდე-მდე მშვიდობიანი მოსახლე იძულებული გახდა ერთ-ერთი ლტოლვილთა ბანაკი დაეტოვებინა. დარფურის მისია იქ დამატებით მოქმედ გაეროს 18 ათასი-ზე მეტი ჯარისკაცისაგან შემდგარ მისისიასთან ერთად, ცდილობს სუდანსა და ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებულ სამხრეთ სუდანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების აღსრულებას. ასევე, დარფურში წარმოდგენილია გაეროს დაახლოებით 5 ათასი ჯარისკაცისგან შემდგარი დროებით ძალები, რომლებიც სუდანსა და სამხრეთ სუდანს შორის საზღვარზე მდებარე სადავო ქალაქ აბიეიზეა ფოკუსირებული.

გაეროს სხვა დიდი სამშვიდობო ოპერაციები იყო მალიში (ცდილობდნენ სახელისუფლებო ტრანზიციის პერიოდში სტაბილურობის შენარჩუნებას), ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (სამოქალაქო ომის შემდეგ მოქალაქეების დაცვა) და ლიბანში (2006 წლის ისრაელ-ჰეზბოლას ომის შემდეგ). ამჟამინდელი დიდი მისიები ცხადყოფენ, რომ 1990-იანი წლების პრობლემების შემდეგ, ადგილი აქვს გაეროს მშვიდობისმყოფელობის აღორძინებას.

1990-იან წლებში, გაერომ რამდენიმე დიდი კრახი განიცადა სამშვიდობო საქმიანობაში, მათ შორის ყოფილ იუგოსლავიაში, რუანდაში,

ანგოლასა და სომალიში. ნაკლებად საყურადღებო იყო ამავე პერიოდის წარმატებული მისიები. კამბოჯის ხანგრძლივი და დამანგრეველი სამოქალაქო ომის შემდეგ, გაეროს 15 ათასი მშვიდობისმყოფელით და მრავალრიცხოვანი ადმინისტრატორებით დაკომპლექტებულმა მისიამ თითქმის სრულად გადაიბარა კამბოჯის მართვა. ბევრი სირთულის მიუხედავად, გაერომ 1993 წელს შეძლო არჩევნების ჩატარება და კამბოჯის პოლიტიკის გარკვეულწილად დასტაბილურება. კამბოჯაში ნასწავლი გაკვეთილებით, გაეროს შესაძლებლობა მიეცა უფრო ადვილად განეხორციელებინა მსგავსი მისია მოზამბიკში. სამშვიდობო შეთანხმებამ დაასრულა იქ არსებული ხანგრძლივი და დამანგრეველი სამოქალაქო ომი, შექმნა მექანიზმები განიარაღებისთვის, სამხედრო ძალების ინტეგრაციისთვის და მოამზადა სიტუაცია საერთაშორისო მონიტორინგის ქვეშ ახალი მთავრობის არჩევნების ჩასატარებლად. „ცივი ომის" შემდგომი გაეროს მშვიდობისმყოფელობის ადრეულ წარმატებათა ნუსხას განეკუთვნება ასევე ელ-სალვადორისა და ნამიბიის მისიები. აღნიშნულმა გამოცდილებამ ხელი შეუწყო გაეროს ეფექტურ რეაგირებას 2002-2003 წლებში სიერა ლეონეში, კოტ დ'ივუარში და ლიბერიაში მომხდარ სამოქალაქო ომებზე. თუმცა, გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში სექსუალური ხასიათის დანაშაულმა და ომის შემდგომ საზოგადოებებში ქალების მნიშვნელობამ, 2000 წელს უშიშროების საბჭოს უბიძგა რეზოლუცია 1325-ის მიღებისკენ, სადაც ყურადღება იყო გამახვილებული გაეროს სამშვიდობო და აღდგენით მისიებში გენდერულ საკითხებზე (იხ. თავი 3).

უკანასკნელ წლებში გაეროს მშვიდობისმყოფელობის ინტენსიურობის გაზრდასთან ერთად, ახალი მისიების პასუხისმგებლობის არეალი გაფართოვდა და მათ ზოგადად *სამშვიდობო ოპერაციები* ეწოდა. აღნიშნული ტიპის ოპერაციები მოიცავს არა მხოლოდ ტრადიციულ მშვიდობისმყოფელობას, არამედ ძალის გამოყენებას მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად (როგორც კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში), არჩევნების ზედამხედველობას (როგორც ლიბერიაში) და სამთავრობო ფუნქციების შესრულებასაც კი, იქამდე სანამ საზოგადოება ფეხზე წამოდგება (როგორც კამბოჯაში, აღმოსავლეთ ტიმორსა და კოსოვოში). კონფლიქტის შემდგომ ამ გაფართოებულ ოპერაციებს მშვიდობის მშენებლობის ოპერაციები ეწოდებათ. ომების შემდგომ, გრძელვადიანი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, 2005 წელს გაერომ შექმნა მშვიდობის მშენებლობის კომისია, რომლის პასუხისმგებლობასაც წარმოადგენს რეკონსტრუქციის, აღმშენებლობის და ეკონომიკური აღდგენის საკითხების კოორდინირება, მას შემდეგ რაც სამშვიდობო მისია ამოიწურება.

დაკვირვება და მშვიდობისმყოფელობა რეალურად „მშვიდობისმყოფელები" ორ განსხვავებულ ფუნქციას ასრულებენ: დაკვირვება და მშვიდობისმყოფელობა. დამკვირვებლები შეუიარაღებელი სამხედრო ოფიცრები არიან, რომლებიც შეზღუდული კონტინგენტის სახით იგზავნებიან კონფლიქტის ზონაში უბრალოდ არსებულ ვითარებაზე დაკვირვების

და შემდგომ გაეროსთვის მოხსენების მიზნით. გაეროს დამკვირვებლების ყოფნის პირობებში, კონფლიქტის მხარეების მიერ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის ალბათობა უფრო დაბალია. დამკვირვებლებმა შესაძლოა აწარმოონ ქვეყანაში არსებული ვითარების, სხვადასხვა ასპექტის, მათ შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების, არჩევნების, ადამიანის უფლებების პატივისცემის და სხვა საკითხების მონიტორინგი.

მშვიდობისმყოფელობის ფუნქციას მსუბუქად შეიარაღებული სამხედრო მოსამსახურეები (შეჯავშნული მანქანებით და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, თუმცა არტილერიის, ტანკების და სხვა მძიმე შეიარაღების გარეშე) ასრულებენ. აღნიშნული ძალები რამდენიმე როლს თამაშობენ. ისინი შეიძლება ფიზიკურად შუაში ჩადგნენ მეომარ მხარეებს შორის ძალების დაშორიშორების მიზნით (უფრო სწორად აიძულონ, რომ მოწინააღმდეგემდე მისაღწევად ჯერ გაეროს ძალებს დაესხან თავს). გაეროს მშვიდობისმყოფელები ხშირად ცდილობენ ორივე მხარის სამხედრო ოფიცრებთან მოლაპარაკებას. კომუნიკაციის ამ არხის გამოყენებამ შესაძლოა უზრუნველყოს ისეთი ტაქტიკური შედეგები და ურთიერთგაგება, რაც ხელს უწყობს ცეცხლის შეწყვეტას. თუმცა, საომარ ზონაში, გაეროს მშვიდობისმყოფელებს არ შეუძლიათ მოლაპარაკებების საწარმოებლად მარტივად გადაინაცვლონ ერთი მხარის პოზიციებიდან მეორისკენ.

მშვიდობისმყოფელობა კიდევ უფრო რთულდება, თუ ერთი მხარე მიიჩნევს, რომ გაერო ტენდენციურია და მეორე მხარეს უწყობს ხელს. როდესაც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებები ირღვევა, გაეროს ჯარისკაცები საბრძოლო მოქმედებების ცენტრში აღმოჩნდებიან. უკანასკნელ წლებში, გაეროს 3,300-ზე მეტი სამშვიდობო იქნა მოკლული.

გაეროს სამშვიდობო მისიებისთვის სამხედრო ძალებს ბევრი სახელმწიფო გამოყოფს. 2017 წლისთვის, ხუთ წამყვან კონტრიბუტორს (ქვეითი ჯარის და პოლიციელების რაოდენობით) შორის იყვნენ ეთიოპია (8400) ბანგლადეში (7100), ინდოეთი(6400), რუანდა (6300) და პაკისტანი (6300). გაეროს მისიებისთვის სამხედრო მოსამსახურეების გაგზავნის მიზეზები სხვადასხვა ქვეყნისთვის სხვადასხვაა. ზოგიერთი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ გაეროს საერთო სიკეთეში წვლილის შეტანით, ისინი მშვიდობის ინტერესებს ემსახურებიან და ამავდროულად ძლიერი სამხედრო ქვეყნის იმიჯს იქმნიან. ამ გზით, სახელმწიფოები შესაძლოა საკუთარი „რბილი ძალის" გაზრდას ცდილობდნენ. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყნისთვის ასეთ მისიებში მონაწილეობა ფინანსურად მომგებიანია, რადგან სამშვიდობო ძალები გაეროს თანხებით ფინანსდება. ზოგიერთ ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ნეპალი და სიერა ლეონე, შეიარაღებული ძალების ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სამშვიდობო მისიებში გაგზავნა სასარგებლოა სამოქალაქო ომის შემდგომი შიდა სტაბილურობისთვის.

ზოგიერთ კონფლიქტში, გაეროს მეთაურობით მოქმედი ძალების ნაცვლად გაეროს ფარგლებს მიღმა ჩამოყალიბებული სამშვიდობო

მშვიდობის მშენებლობა (Peacebuilding)

სამშვიდობო შეთანხმების მხარდასაჭერად და სამოქალაქო ომის შემდგომი აღდგენის პროცესში მყოფ საზოგადოებებში სტაბილური და დემოკრატიული მთავრობების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად სამხედრო სამშვიდობო ძალების, სამოქალაქო ადმინისტრატორების და პოლიციის ტრენერების გამოყენება, ასევე სხვა მსგავსი ღონისძიებების განხორციელება. 2005 წლიდან, აღნიშნულ საქმიანობის კოორდინაციას და მხარდაჭერას ახორციელებს გაეროს მშვიდობის მშენებლობის კომისია.

ძალები იქნა გამოყენებული. კოტ დ'ივუარში, გაეროს 11,000 მშვიდობისმყოფელთან ერთად 3,500 ფრანგი სამშვიდობო (არ ექვემდებარება გაეროს) მსახურობდა 2003-2017 წლებში. როდესაც კოტ დ'ივუარის სახელისუფლებო ძალების საავიაციო დარტყმების შედეგად 2004 წელს ცხრა ფრანგი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, ფრანგულმა ძალებმა უმჯაცრესად უპასუხეს და სახელისუფლებო სამხედრო-საჰაერო ძალები გაანადგურეს. 2011 წელს, როდესაც მოქმედმა პრეზიდენტმა არჩევნები წააგო, მაგრამ უარი განაცხადა თანამდებობის დატოვებაზე, გაეროს და საფრანგეთის ძალებმა დახმარება აღმოუჩინეს გამარჯვებულ კანდიდატს, ყოფილი პრეზიდენტის ძალის გამოყენებით ჩამოცილების საქმეში.

სამშვიდობო ძალებს როგორც წესი არ შეუძლიათ მშვიდობის დამყარება და მხოლოდ მშვიდობის შენარჩუნება ძალუძთ. ღია ომში ჩართვა და დაპირისპირების ჩახშობა საჭიროებს გაეროს მიერ წარსულში განხორციელებული სამშვიდობო მისიების ზომაზე ბევრად მეტ სამხედრო ძალებს. შესაბამისად, მშვიდობისმყოფელების გაგზავნა არ ხდება ცეცხლის შეწყვეტის მიღწევამდე, შეთანხმების ძალაში შესვლამდე და შეთანხმების ამოქმედებიდან გარკვეული პერიოდის გასვლამდე. ცეცხლის შეწყვეტის ათეულობით შეთანხმება იქამდე ირღვევა, სანამ მხარეები მის შესრულებას დაიწყებენ. ომები შესაძლოა წლობით გაგრძელდეს და უაღესად დიდი დანაკარგები ახლდეს, მანამ სანამ გაეროს მისი მშვიდობისმყოფელების გაგზავნის შანსი მიეცემა.

1990-იანი წლების ბოლოს, შვიდმა სახელმწიფომ – დანიამ, ნორვეგიამ, შვედეთმა, პოლონეთმა, ნიდერლანდებმა, ავსტრიამ და კანადამ 4,000 სამხედრო მოსამსახურისგან დაკომპლექტებული გაეროს მაღალი მზადყოფნის სარეზერვო ბრიგადა შექმნეს. უშიშროების საბჭოს მიერ კონტროლირებადი ბრიგადის შტაბი დანიაში მდებარეობს და ტრადიციული სამშვიდობო ძალების კონფლიქტში გაგზავნისთვის საჭირო თვეების ნაცვლად, მისი შეყვანა კონფლიქტურ ზონებში 2-4 კვირის პერიოდში შეიძლება. ბრიგადამ მონაწილეობა მიიღო 2000-2001 წლების გაეროს მისიაში ეთიოპია-ერიტრეაში. 2005 წელს ბრიგადა შეყვანილ იქნა სუდანში ხანგრძლივი სამოქალაქო ომის შემდეგ ქვეყნის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის სამშვიდობო შეთანხმების მხარდასაჭერად.

6.2.4 სამდივნო

გაეროს გენერალური მდივანი ყველაზე უფრო ახლოს დგას იმასთან, რასაც შეიძლება „მსოფლიოს პრეზიდენტი" ვუწოდოთ. თუმცა, გენერალური მდივანი წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენს და არა დედამიწის 7.6 მილიარდ მოსახლეობას. გენერალური მდივნის ნომინირება ხდება უშიშროების საბჭოს მიერ – ხუთივე მუდმივე წევრის თანხმობაა საჭირო – და შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ უნდა დაამტკიცოს. გაეროს გენე-

რალური მდივნის თანამდებობაზე ყოფნის ვადა ხუთ წელს შეადგენს და შესაძლებელია განახლებაც. გაეროს გენერალური მდივნის პოსტზე სხვადასხვა დრო სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები იყვნენ არჩეულნი, თუმცა არასდროს ყოფილა არჩეული დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლი.

გენერალური მდივანი ანტონიო გუტიერეში ამ თანამდებობაზე 2017 წელს აირჩიეს. გუტიერეში, რომელიც პორტუგალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იყო, ისევე როგორც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი, მისი პირველი ვადის ფარგლებში ფოკუსირებული იქნება საერთაშორისო კონფლიქტების შედეგად წარმოქმნილ ბევრ ჰუმანიტარულ კრიზისზე, განსაკუთრებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით ლტოლვილების მზარდ რაოდენობაზე.

გაეროს სამდივნო აღმასრულებელი შტოა, რომელსაც გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს. სამდივნო ბიუროკრატიული ერთეულია, რომელიც უზრუნველყოფს გაეროს პოლიტიკის და პროგრამების ადმინისტრირებას, ისევე როგორც აშშ-ის შემთხვევაში სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც ამერიკის საგარეო პოლიტიკის ბიუროკრატიული ერთეულია. უსაფრთხოების საკითხებში, გაეროს გენერალური მდივანი პირადად მუშაობს უშიშროების საბჭოსთან. გაეროს სამდივნო დაყოფილია ოთხ ფუნქციურ ნაწილად, რომელთაც ხელმძღვანელობენ გენერალური მდივნის მოადგილეები და თანაშემწეები. აღნიშნული მიმართულებებზე მომუშავე გაეროს პერსონალი მოიცავს ადმინისტრაციულ პერსონალს, ისევე როგორც ტექნიკურ ექსპერტებს და ეკონომიკურ მრჩევლებს, რომლებიც სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებზე მუშაობენ. გაეროს პერსონალი 40,000 ადამიანს შეადგენს, ხოლო გაეროს სისტემაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა (მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლების ჩათვლით) 75,000 აღწევს.

გაეროს სამდივნოს ერთ-ერთი მიზანი დიპლომატებისა და ბიუროკრატების *საერთაშორისო საჯარო სამსახურის* განვითარებაა, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იქნებიან გლობალურ დონეზე და არა საკუთარი სახელმწიფოების მიმართ. გაეროს ქარტია გენერალურ მდივანს და მის აპარატს ეროვნული მთავრობების უფლებამოსილების მიღმა აყენებს და მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს პატივი სცენ გენერალური მდივნის აპარატის წევრების „ექსკლუზიურად საერთაშორისო ხასიათს". ამ მხრივ გაერო საკმაოდ წარმატებულია და გენერალურ მდივანს ხშირად მიიჩნევენ დამოუკიდებელ დიპლომატად, რომელიც მსოფლიოს ინტერესებით ხელმძღვანელობს და არცერთი სახელმწიფოს პაიკი არ არის. თუმცა,



მთავარი აღმასრულებლები გაეროს გენერალური მდივანს მნიშვნელოვანი მისია აკისრია, თუმცა ამ მისიის შესასრულებლად შეზღუდული ძალაუფლება და რესურსები გააჩნია. სურათზე, გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტიერეში ხვდება პრეზიდენტ დონალდ ტრამპს გაეროს რეფორმირების საკითხის განსახილველად. გენერალურმა მდივანმა უნდა სცადოს წევრი სახელმწიფოების დარწმუნება, განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოების, რომ გადადგან ქმედითი ნაბიჯები რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის განვითარების, ადამიანის უფლებების, მშვიდობის და უსაფრთხოების საკითხებზე.

1990-იანი წლების დასაწყისში გაეროს ბიუროკრატია მზარდი კრიტიკის ობიექტი გახდა არაეფექტურობასა და კორუფციასთან დაკავშირებით. ძირითადად აშშ-დან წამოსულმა ასეთმა კრიტიკამ, რომელიც მიიჩნევდა, რომ მას უსამართლოდ უწევდა ძალიან დიდი ხარჯის გაწევა, რეფორმების პროგრამის დაწყებას მისცა ბიძგი. 1990-იანი წლების ბოლოსთვის, გაეროს პერსონალი წინა ათწლეულთან შედარებით ერთი მეოთხედით შეიკვეცა, ხოლო ბიუჯეტი წლიდან წლამდე მცირდებოდა.

გენერალური მდივანი უფრო მეტია ვიდრე ბიუროკრატიული მენეჯერი. გენერალური მდივანი (აქამდე გენერალური მდივნის პოსტზე ქალი არ აურჩევიათ), ცნობადი საჯარო ფიგურაა, რომლის პირადმა ყურადღებამ რეგიონულ კონფლიქტთან დაკავშირებით, შესაძლოა ამ კონფლიქტის გადაწყვეტას შეუწყოს ხელი. გაეროს ქარტია გენერალურ მდივანს ანიჭებს გაეროს „კეთილი სამსახურის“ გამოყენების უფლებას საერთაშორისო კონფლიქტში ნეიტრალური შუამავლის როლის შესრულების და დაპირისპირებული მხარეების მოლაპარაკების მაგიდასთან მიყვანის მიზნით.

გენერალური მდივანი ასევე მუშაობს დიდ სახელმწიფოებს შორის კონსენსუსის მიღწევაზე, რაზეც არის უშიშროების საბჭოს ქმედება დამოკიდებული. გენერალურ მდივანს გაეროს ქარტიით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება უშიშროების საბჭოს წარუდგინოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს საერთაშორისო მშვიდობას და უსაფრთხოებას და გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში გაეროს დღის წესრიგის განსაზღვრაში. მიუხედავად ამისა, გენერალურ მდივანს და უშიშროების საბჭოს შორის მაინც არსებობს გარკვეული დაძაბულობა. როდესაც გენერალური მდივანი ითხოვს სამშვიდობო მისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას ექვსი თვით, უშიშროების საბჭო მოსალოდნელია, რომ მხარს დაუჭერს სამი თვით გაგრძელებას. თუ გენერალური მდივანი ითხოვს 10 მლნ აშშ დოლარს, შესაძლოა გამოუყონ მხოლოდ 5 მლნ. შესაბამისად, გაეროს გენრალური მდივანი, გაეროს მთლიანი სისტემის მსგავსად, სახელმწიფოს სუვერენიტეტით არის შეზღუდული.

6.2.5 გენერალური ასამბლეა

გენერალური ასამბლეა გაეროს 193 წევრი სახელმწიფოსგან შედგება, სადაც თითოეულს ერთი ხმა გააჩნია. გენერალური ასამბლეა როგორც წესი წელიწადში ერთხელ, სექტემბრის ბოლოდან იანვრამდე პერიოდში, *პლენარულ სესიაზე*, იკრიბება. სახელმწიფოს მეთაურები ან საგარეო საქმეთა მინისტრები, აშშ-ის პრეზიდენტის ჩათვლით, სათითაოდ მიმართავენ გენერალურ ასამბლეას. გენერალური ასამბლეის სესიები, გაეროს სხვა შეკრებების მსგავსად, პარალელურ რეჟიმში რამდენიმე ათეულ ენაზე ითარგმნება, რათა დელეგატებს მთელი მსოფლიოდან კომუნიკა-

ციაში ჩართვის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ეს გლობალური თავყრილობა უნიკალური ინსტიტუტია და სახელმწიფოებს საკუთარი იდეებისა და არგუმენტების წამოყენების სივრცესა და საშუალებას აძლევს. გენერალურ ასამბლეას ამავე ორგანოს მიერ არჩეული პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, რომელიც არ არის ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი.

გენერალური ასამბლეა ყოველ რამდენიმე წელიწადში იკრიბება *სპეციალურ სესიაზე*, სადაც განიხილება ზოგადი საკითხები, როგორებიცაა ეკონომიკური თანამშრომლობა. 1982 წელს განიარაღების თაობაზე გაეროს სპეციალური სესიის მსვლელობისას ამერიკის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ პოლიტიკურ მსვლელობას ჰქონდა ადგილი – მილიონი ადამიანისგან შემდგარ მშვიდობიან დემონსტრაციას ნიუ-იორკში. წარსულში გენერალური ასამბლეა ასევე იკრიბებოდა საგანგებო სესიაზე, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების გარდაუვალი საფრთხეების გასამკლავებლად, თუმცა ეს მხოლოდ ცხრაჯერ მოხდა და უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ იშვიათია.



მანასწორთა ასამბლეა უნივერსალური წევრობა გაეროს ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. ყველა წევრ სახელმწიფოს აქვს ხმა გენერალურ ასამბლეაში, სადაც სახელმწიფოს ლიდერები როტაციის პრინციპით ყოველ შემოდგომაზე იცვლებიან. ამ სურათზე, ნაურუს პრეზიდენტი, კუნძულოვანი სახელმწიფო, რომლის ფართობი 8 ათას კვადრატულ მილს, ხოლო მოსახლეობა 9 ათას ადამიანს შეადგენს, მიმართავს გენერალურ ასამბლეას, 2014 წელს.

გენერალურ ასამბლეას გააჩნია ეროვნული დელეგაციების გაეროს წევრებად აკრედიტების ძალაუფლება (საკრედიტაციო კომიტეტის მეშვეობით). მაგალითად, 1971 წელს ტაივანელი ნაციონალისტების ნაცვლად ჩინეთის ადგილი გაეროში (მათ შორის უშიშროების საბჭოში) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას გადაეცა. ზოგიერთი პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელსაც სახელმწიფოებრივი სტატუსი არ გააჩნია, გაეროში მუდმივ სადამკვირვებლო მისიას აგზავნის. ეს მისიები გენერალურ ასამბლეაში ხმის მიცემის გარეშე მონაწილეობენ. ასეთი დელეგაციებია ვატიკანი (წმინდა საყდარი) და პალესტინის ხელისუფლება.

გენერალური ასამბლეის მთავარ ძალაუფლებას წარმოადგენს გაეროს პროგრამებისა და ოპერაციების, მათ შორის სამშვიდობო მისიების ფინანსების კონტროლი. გენერალურ ასამბლეას ასევე შეუძლია რეზოლუციების მიღება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ამ რეზოლუციებს წმინდად სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და დროთა განმავლობაში, მხოლოდ ღარიბი ქვეყნების უმრავლესობის იმედგაცრუების გამოხატვას ემსახურებოდა. გენერალური ასამბლეა ასევე ირჩევს გაეროს ცალკეული სააგენტოებისა და პროგრამების წევრებს. ბოლოს, გენერალური ასამბლეა კომიტეტების, კომისიებისა და საბჭოების საკუთარი სისტემის მეშვეობით კოორდინაციას უწევს გაეროს პროგრამებსა და საagენტოებს.

გაეროსთან დაკავშირებული აქტივობების დიდი ნაწილი არ ხორციელდება გენერალური ასამბლეის ან უშიშროების საბჭოს მკაცრი კონტროლით. ეს აქტივობები ხორციელდება ფუნქციური სააგენტოების და პროგრამების მიერ, რომლებსაც გაეროსგან გარკვეული ხარისხის ავტონომიურობა გააჩნიათ.

6.2.6 გაეროს პროგრამები

გენერალური ასამბლეა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით ათზე მეტ მსხვილ პროგრამას კურირებს, რომლებიც ორიენტირებულია გლობალური სამხრეთის ღარიბ სახელმწიფოებში ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფაზე. აღნიშნული პროგრამების მეშვეობით, გაერო ხელს უწყობს გლობალური ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურთიერთობების მენეჯმენტს: ღარიბი სახელმწიფოების განვითარების მხარდასაჭერად ორგანიზებას უწევს რესურსებისა და უნარ-ჩვევების მსოფლიოს მდიდარი ნაწილებიდან ღარიბ ქვეყანაში გადანაწილებას.

პროგრამები ნაწილობრივ გენერალური ასამბლეის მიერ გამოყოფილი თანხებით ფინანსდება და ნაწილობრივ პროგრამების მიერ პირდაპირ წევრი სახელმწიფოებიდან, ბიზნესებიდან ან კერძო ქველმოქმედი შემომწირველებიდან მობილიზებული ფინანსებით. გენერალური ასამბლეის მიერ გამოყოფილი დაფინანსების მოცულობა და გენერალური ასამბლეისგან ოპერატიული ავტონომიურობის ხარისხი პროგრამების მიხედვით განსხვავდება. გაეროს თითოეულ პროგრამას თავისი აპარატი და შტაბბინა გააჩნია და ასევე, ბევრი აქტივობა, რომელსაც ადგილებზე წევრი სახელმწიფოების მთავრობებთან თანამშრომლობით ახორციელებს.

რამდენიმე ეს პროგრამა მზარდი მნიშვნელობისაა. გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ (UNEP) ცნობადობა შეიძინა 1990-იან წლებში, როდესაც გლობალური სამხრეთის ეკონომიკურმა განვითარებამ და ინდუსტრიალიზებული დასავლეთის მზარდმა ეკონომიკებმა, თავისი დაღი დაასვეს მსოფლიოს გარემოს (იხ. მე-8 თავი). გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა პასუხისმგებელია გლობალურ გარემოსდაცვითი სტრატეგიების შემუშავებაზე. ასევე უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების ტექნიკურ მხარდაჭერას, სტანდარტების დადგენას და რეკომენდაციას უწევს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებას.

UNICEF გაეროს ბავშვთა ფონდია, რომელიც ღარიბ ქვეყნებში მცხოვრები ბავშვების დასახმარებლად ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის პროგრამებს ახორციელებს. სამწუხაროდ, მრავალ ქვეყანაში ბავშვებს კვლავაც გადაუდებელი საჭიროებები გააჩნიათ და UNICEF-ს ამ მხრივ ბევრი საქმე აქვს. UNICEF, რომელიც ნებაყოფლობითი შემოწირულობებით ფინანსდება, ათწლეულების განმავლობაში ამერიკელ ბავ-

შვებში ორგანიზებას უწევდა ყოველწლიურ ჰელოუნის ფონდის შეგროვებას ღარიბ ქვეყანაში მცხოვრები თანატოლების დასახმარებლად.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატსაც ძალიან ბევრი საქმე აქვს. კომისარიატი ყოველწლიურად ომისა და პოლიტიკური ძალადობისგან თავის დაღწევის მიზნით საერთაშორისო საზღვრების გადამკვეთი უამრავი ლტოლვილის დაცვის, დახმარების და საბოლოო რეპატრიაციის ძალისხმევის კოორდინირებას ახორციელებს. პალესტინელი ლტოლვილების უფრო ხანგრძლივ პრობლემას სხვა პროგრამა, გაეროს დახმარებისა და შრომის ორგანიზების სააგენტო კურირებს.

გაეროს ვაჭრობის და განვითარების კონფერენცია (UN Conference on Trade and Development) (UNCTAD)

1964 წელს შექმნილი სტრუქტურა, რომელიც სხვადასხვა სავაჭრო შეთავაზების მეშვეობით ცდილობს გლობალური სამხრეთის განვითარების ხელშეწყობას.

გაეროს განვითარების პროგრამა, რომელიც ნებაყოფლობითი შემოწირულობებით ფინანსდება, კოორდინაციას უწევს ღარიბი ქვეყნების განვითარების მიზნით განხორციელებულ გაეროს საერთო ძალისხმევას. გაეროს განვითარების პროგრამა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ერთდროულად დაახლოებით 5 ათას პროექტს ახორციელებს, მსოფლიოს უდიდესი საერთაშორისო სააგენტოა, რომელიც ქვეყნების ტექნიკური განვითარების დახმარებაზეა ორიენტირებული. გაერო ასევე მართავს განვითარებასთან კავშირში მყოფ რამდენიმე სააგენტოს, რომლებიც განვითარების საკითხებში ქალების როლის წინ წამოწევისა და ტრენინგის საკითხებით არიან დაკავებულნი.

ბევრი ღარიბი ქვეყანა ეკონომიკური განვითარების დასაფინანსებლად ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზეა დამოკიდებული, რაც ზრდის მათ მოწყვლადობას საქონლის ფასების მერყეობასთან და საერთაშორისო ვაჭრობის სხვა პრობლემებთან მიმართებით. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია საქონელზე ფასების დარეგულირებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მოლაპარაკებებს მართავს საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებების შესახებ. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ გლობალური სამხრეთის ქვეყნებს საერთაშორისო ეკონომიკაში ძლიერი პოზიციები არ გააჩნიათ, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია სუსტ ბერკეტებს ფლობს ვაჭრობის საკითხებში ამ ქვეყნების ინტერესების დასაცავად. ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით, მთავარი ორგანიზაცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაა (იხ. თავი 5).

2006 წელს, გაერომ შექმნა ახალი *ადამიანის უფლებათა საბჭო*, რომლითაც ჩაანაცვლა ცნობილი ადამიანის უფლებათა კომისია, რომლის წევრებიც ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევით გამორჩეული სახელმწიფოები იყვნენ. ახალი საბჭოს გაფართოებული უფლებები და უფრო მეტად სელექციური წევრობა აქვს (47 სახელმწიფო). არაერთ შემთხვევაში, სახელმწიფო სადაც ადამიანის უფლებათა მხრივ საეჭვო მდგომარეობაა (მაგ.: სუდანი და სირია), არ იქნა დატანილი საბჭოს ბიულეტენზე, რათა გამოერიცხათ მათ მიერ საბჭოს წევრის ადგილის დაკავება.

გაეროს სხვა პროგრამები დაკავებულნი არიან ისეთი პრობლემების მენეჯმენტით, როგორიცაა კატასტროფების შედეგების აღმოფხვრა, სურ-

სათით დახმარება, საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა და მოსახლეობის საკითხები. სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებში ჩართულობის თვალსაზრისით, გაერო ღარიბ ქვეყნებში აქტიურ ყოფნას ინარჩუნებს.

6.2.7 ავტონომიური სააგენტოები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO)

გაეროს ორგანიზაცია (შტაბ-ბინით ჟენევაში), რომელიც განვითარებად სამყაროში ჯანდაცვის პირობების გასაუმჯობესებლად ტექნიკურ დახმარებას უზრუნველყოფს და ძირითად იმუნიზაციის კამპანიებს ატარებს.

საკუთარი პროგრამების გარდა, გაეროს გენერალური ასამბლეა ოფიციალურ კავშირს ინარჩუნებს კიდევ 20-მდე დამოუკიდებელ საერთაშორისო სააგენტოსთან, რომლებიც მის კონტროლს არ ექვემდებარებიან. ამ სააგენტოების უმრავლესობა სპეციალიზებული ტექნიკური ორგანიზაციებია, რომელთა მეშვეობით სახელმწიფოები ჯანდაცვისა და შრომითი პირობების მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად ერთობლივ ძალისხმევას ახორციელებენ. საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში ერთადერთ ასეთ ორგანიზაციას *ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო* (IAEA) წარმოადგენს, რომლის შტაბბინა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მდებარეობს. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო გაეროს ეგიდით დაარსდა, თუმცა ოფიციალურად ავტონომიურია. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს ეკონომიკური როლი გააჩნია ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით განვითარების თვალსაზრისით, იგი ძირითადად მაინც ბირთვული გაუვრცელებლობის საკითხებზე მუშაობს (იხ. თავი 4). ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ განხორციელდა 2002-2003 წლებში ინსპექციები ერაყში, რომლის შედეგადაც საიდუმლო ბირთვული იარაღის პროგრამის მტკიცებულებებს ვერ მიაკვლიეს. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ასევე ჩართულია ირანის ბირთვული პროგრამის მონიტორინგში. 2005 წელს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო მშვიდობის დარგში ნობელის პრემიით დაჯილდოვდა.



„დახმარების განაწილა, იქ სადაც საჭიროა
გაეროს პროგრამების დიდი ნაწილი, რომლებიც გენერალური ასამბლეის ეგიდით მოქმედებს, მიზნად ისახავს დაეხმარონ გლობალური სამხრეთის ქვეყნებს სოციალური და ეკონომიკური პრობლემების დაძლევაში. ეს პროგრამები სასიცოცხლო როლს ასრულებს ბუნებრივი კატასტროფების და სამხედრო კონფლიქტების დროს. სურათზე ნაჩვენებია, გაეროს დახმარების მიწოდება ბანაკებში ერაყში, ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული კონფლიქტის დროს, 2016 წელს.

ჯანდაცვის სფეროში, **ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია** *(WHO)* (შტაბბინა ჟენევაში) უზრუნველყოფს ტექნიკურ მხარდაჭერას ღარიბ ქვეყნებში ჯანდაცვის პირობების გაუმჯობესების და ძირითადი იმუნიზაციის კამპანიების განხორციელების მიზნით. 1960-იან და 1970-იან წლებში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ყველა დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მიაღწია ჯანდაცვის სფეროში, როდესაც მსოფლიო მასშტაბით მოხერხდა ჩუტყვავილის აღმოფხვრა. დღეს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია წამყვანი აქტორია გლობალურ ეპიდემიებზე რეაგირების და შიდსის კონროლის ბრძოლის თვალსაზრისით (იხ. თავი 8)

სოფლის მეურნეობის სფეროში წამყვანი სააგენტო *სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაა* (FAO). შრომით სტანდარტებში წამყვანი ადგილი *შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას* (ILO) უკავია. *გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია* (UNIDO) გლობალური სამხრეთის ინდუსტრიალიზაციის მხარდაჭერას ახორციელებს. UNESCO – *გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია* ხელს უწყობს საერთაშორისო კომუნიკაციას და სამეცნიერო თანამშრომლობას.

ყველაზე ხანგრძლივად მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულებიც არიან, სპეციალიზებული სააგენტოებია, რომლებიც საერთაშორისო კოორდინაციის ტექნიკურ ასპექტებს კურირებენ, როგორიცაა ავიაცია და საფოსტო გაცვლები. მაგალითად, *საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი* (ITU) რადიო სიხშირეებს ანაწილებს. *მსოფლიო საფოსტო კავშირი* (UPU), საერთაშორისო საფოსტო სტანდარტებს აწესებს. *სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია* (ICAO) საერთაშორისო საჰაერო მოძრაობის სავალდებულო სტანდარტებს აწესებს. *საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია* (IMO), ზღვაოსნობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას უწყობს ხელს. *მსოფლიოს ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია* (WIPO), ცდილობს მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოს საპატენტო და საავტორო უფლებების დაცვა და ხელს უწყობს განვითარებისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში მოქცევას, სადაც დაცულია ინტელექტუალური საკუთრება (იხ. თავი 5). და ბოლოს, *მსოფლიოს მეტეოროლოგიური ორგანიზაცია* (WMO) აკვირდება მსოფლიო ამინდს და ხელს უწყობს ამინდის შესახებ ინფორმაციის გაცვლას.

მსოფლიო ეკონომიკის მთავარი მაკოორდინირებული სააგენტოები (განხილულია მე-5 და მე-7 თავებში), ასევე გაეროსთან დაკავშირებული ორგანიზაციებია, თუმცა, ისინი არსებითად, როგორც ცალკე მდგომი სააგენტოები ისე მოქმედებენ. *მსოფლიო ბანკი* და *საერთაშორისო სავალუტო ფონდი* (IMF) ეკონომიკური განვითარებისთვის სესხების და გრანტების გაცემას და ტექნიკურ დახმარებას უზრუნველყოფენ (საერთაშორისო სავალუტო ფონდი ასევე ახორციელებს საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსის აღრიცხვას). ვაჭრობის *მსოფლიო ორგანიზაცია* (WTO) საერთაშორისო ვაჭრობის წესებს ადგენს.

საერთო ჯამში საერთაშორისო საზღვრების გადამკვეთი კავშირების სიძლიერე, როგორც გაეროს სისტემაში, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში წლიდან წლამდე იზრდება. აღნიშნული ურთიერთკავშირები ყველაზე უფრო გაღრმავებული ევროკავშირშია.

6.3 ევროკავშირი

აღწერეთ ევროკავშირის გაფართოება წევრი სახელმწიფოების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით და გამოყავით წევრების გაზრდილ რაოდენობიდან მომდინარე ორი გამოწვევა.

ევროკავშირი (EU)
ევროპული თანამეგობრობის (წარსულში ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის) და სხვა სახელშეკრულებო ორგანიზაციების ოფიციალური დასახელება. 2018 წლის დასაწყისისთვის, ევროკავშირს 28 წევრი ჰყავს, თუმცა, 2016 წელს დიდმა ბრიტანეთმა ეროვნულ რეფერენდუმში მხარი დაუჭირა კავშირიდან გასვლას. იხ. *ასევე მაასტრიხტის ხელშეკრულება.*

გაეროს მსგავსად, **ევროკავშირიც** მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ შეიქმნა და მას შემდეგ განვითარდა. თუმცა, იმის ფონზე, რომ გაეროს სტრუქტურა ქარტიის დამტკიცებიდან დღემდე უმნიშვნელოდ შეიცვალა, უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში ევროკავშირში ინტეგრაციის გაღრმავების, წევრთა რაოდენობის გაზრდისა და ორგანიზაციის მისიის ახლებურად გადააზრების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. დღეს ევროკავშირი დაახლოებით 500 მილიონ მოქალაქეს აერთიანებს და მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით აშშ-ს ეკონომიკას აღემატება.

6.3.1 ინტეგრაციის თეორია

საერთაშორისო ინტეგრაციის თეორია ცდილობს ახსნას, თუ რატომ ირჩევენ სახელმწიფოები სუპრანაციონალიზმს, რომელიც ენინააღმდეგება რეალიზმის საფუძვლებს (სახელმწიფო სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა). **საერთაშორისო ინტეგრაცია** გულისხმობს პროცესს, როდესაც ხდება ეროვნული ინსტიტუტების სუპრანაციონალური ინსტიტუტებით ჩანაცვლება, ანუ სუვერენიტეტის ეტაპობრივი გადაცემა ქვემოდან ზემოთ – სახელმწიფოდან რეგიონულ ან გლობალურ სტრუქტურებზე. ინტეგრაციის საბოლოო გამოხატულება რამდენიმე (ან ბევრი) სახელმწიფოს შერწყმა ერთ სახელმწიფოდ ან ერთიანი მსოფლიოს მთავრობის ჩამოყალიბება იქნება. სუვერენიტეტის ასეთი გადაცემა სუპრანაციონალურ დონეზე გარკვეული სახის ფედერალიზმს მოიაზრებს, როდესაც სახელმწიფოები ან სხვა პოლიტიკური ერთეულები აღიარებენ ცენტრალური მთავრობის სუვერენიტეტს, მაგრამ ამავდროულად ინარჩუნებენ გარკვეულ ძალაუფლებას. სწორედ მმართველობის ასეთი ფორმა იქნა განსაზღვრული აშშ-ის კონსტიტუციით (თუმცა გარკვეული დებატების შემდეგ).

საერთაშორისო ინტეგრაცია (International Integration)
პროცესი, როდესაც ხდება ეროვნული ინსტიტუტების სუპრანაციონალური ინსტიტუტებით ჩანაცვლება და სუვერენიტეტის ქვემოდან ზემოთ ანუ სახელმწიფოდან რეგიონულ ან გლობალურ სტრუქტურებზე ეტაპობრივი გადაცემა.

რეალურად, ინტეგრაციის პროცესი სახელმწიფოსა და სუპრანაციონალურ სუბიექტებს შორის ძალაუფლების ნაწილობრივ და უხალისოდ გაზიარებაზე შორს არასოდეს წასულა. სახელმწიფოებს არ სურთ სუვერენიტეტზე ექსკლუზიური პრეტენზიის დათმობა და მნიშვნელოვნად ზღუდავენ სუპრანაციონალური ინსტიტუტების ძალაუფლებას და გავლენას. ამ ეტაპზე, ინტეგრაციის ყველაზე წარმატებულ მაგალითს (და ეს წარმატებულობაც მხოლოდ ნაწილობრივია) ევროკავშირი წარმოადგენს. დასავლეთ ევროპაში ახლა მიმდინარე რეგიონული კოორდინაცია ახალი ისტორიული ფენომენია.

70 წლის წინ, ევროპის კონტინენტი ეროვნული სუვერენიტეტის, სახელმწიფოთა მეტოქეობის და ომის ასპარეზს წარმოადგენდა. 1945

წლამდე, 500 წლის განმავლობაში, ევროპა მუდმივად ომებში იყო ჩართული და მე-20 საუკუნეში მომხდარმა ორმა მსოფლიო ომმა კონტინენტი ნანგრევებად აქცია. ევროპული სახელმწიფოები დღემდე ინარჩუნებენ ისტორიულად არსებულ რელიგიურ, ეთნიკურ და კულტურულ განსხვავებებს. 2018 წლის მდგომარეობით, ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოში 24 განსხვავებული ოფიციალური ენაა. თუ ვინმე შეიძლებოდა განწირული ყოფილიყო ინტეგრაციის მარცხისთვის, ეს ევროპა უნდა ყოფილიყო. კიდევ უფრო გასაკვირია ის, რომ ევროპის ინტეგრაცია უკანასკნელი 100 წლის მანძილზე ევროპაში ორი ყველაზე შეურიგებელი მონინააღმდეგის და 1870 წლიდან მომხდარ სამ დიდ ომში ერთმანეთის მტრების – საფრანგეთისა და გერმანიის თანამშრომლობით დაიწყო.

დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების მიერ სუპრანაციონალური ინსტიტუტების ფორმირებამ და თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჰარმონიზების მიზნით ეკონომიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბებამ საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა ყურადღება მიიპყრო, რომლებმაც აღნიშნული პროცესების აღწერის მიზნით ტერმინი *ინტეგრაცია* გამოიყენეს. აშკარად ჩანდა, რომ ინტეგრაცია წინააღმდეგობაში მოდიოდა რეალიზმის დებულებებთან, რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფოები მკაცრად ავტონომიურ ერთეულებს წარმოადგენდნენ და არასდროს დათმობდნენ ძალაუფლებას ან სუვერენიტეტს. აღნიშნულ მეცნიერთა მოსაზრებით, ევროპული სახელმწიფოების მიერ გადადგმული ნაბიჯები ინტეგრაციის გზაზე აიხსნებოდა *ფუნქციონალიზმით*, რაც გულისხმობს სპეციალიზებული ტექნიკური ორგანიზაციების ზრდას, რომლებიც სახელმწიფოთა საზღვრებში აღწევენ. ფუნქციონალისტების შეხედულებით, ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ განვითარებას შედეგად მოჰყვა უფრო და უფრო მეტი სუპრანაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბება, რადგანაც სახელმწიფოები ცდილობენ პრაქტიკული გზები მოძებნონ ისეთი აუცილებელი ფუნქციების შესასრულებლად, როგორიცაა ერთი ქვეყნიდან მეორეში ფოსტის გაგზავნა ან ტრანსსასაზღვრო მდინარეების გამოყენების კოორდინირება. ფუნქციონალისტების გათვლით, აღნიშნული კავშირების სიმჭიდროვის გაზრდა და მიმოცვლის აჩქარება გამოიწვევდა სახელმწიფოების უფრო ძლიერ საერთაშორისო ეკონომიკურ სტრუქტურებში შესვლას.

თუმცა, ევროპული გამოცდილება სპეციალიზებული უწყებების შექმნის მიღმა წავიდა და ევროპარლამენტის მსგავსი უფრო ზოგადი, უფრო მეტად პოლიტიკური სუპრანაციონალური ინსტიტუტების შექმნა დაიწყო.



საზღვრის გადაკვეთა ევროპასა და სხვაგან მიმდინარე ინტეგრაციის პროცესების შედეგად სახელმწიფო საზღვრები უფრო მეტად იხსნება ადამიანებისთვის, პროდუქციისთვის და იდეებისთვის, რაც იწვევს ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებას. ევროკავშირში მიმდინარეობს ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების და აღმოსავლეთით გაფართოების პროცესი. სურათზე 2006 წლის „ტურ დე-ფრანსის" მონაწილეები გერმანიის საზღვარს კვეთენ. დღეს აქ მხოლოდ საგზაო ნიშანი დგას, საუკუნეების წინ კი მასიურ ფორტიფიკაციებში გამაგრებული მრავალრიცხოვანი არმიები ებრძოდნენ ერთმანეთს.

ნეოფუნქციონალიზმი (Neofunctionalism)

თეორია, რომელიც მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია (ფუნქციონალიზმი) წარმოქმნის „გადაღვრის" ეფექტს, რომლის შედეგადაც ვიღებთ პოლიტიკური ინტეგრაციის გაღრმავებას.

აღნიშნული ცვლილებების ასახსნელად, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებმა წამოაყენეს ფუნქციონალიზმის მოდიფიცირებული ვერსია **ნეოფუნქციონალიზმი**. ნეოფუნქციონალისტების მტკიცებით, ეკონომიკური ინტეგრაცია (ფუნქციონალიზმი) წარმოქმნის პოლიტიკურ დინამიკას, რომელიც ხელს უწყობს ინტეგრაციის უფრო მეტად გაღრმავებას. მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ეფექტურად გამოყენებისთვის მოითხოვს პოლიტიკური კოორდინაციის გაზრდას და შედეგად ვიღებთ პოლიტიკური ინტეგრაციის გაღრმავებასაც, ანუ ე.წ. „გადაღვრის პროცესს".

ზოგიერთი მკვლევარი აქცენტს აკეთებდა შედარებით აბსტრაქტულ „თანამეგობრობის განცდაზე" („ჩვენ"-ობის განცდაზე), რომელიც ევროპელებში ჩამოყალიბდა და წინააღმდეგობაში მოდიოდა პარალელურად არსებულ ნაციონალისტურ განწყობებთან. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის ძალადობის დაბალმა მოლოდინმა შექმნა **„უსაფრთხოების თანამეგობრობა"**, სადაც ასეთ განცდებს განვითარების საშუალება მიეცა. ეს არის იდენტობის პრინციპის უმნიშვნელოვანესი მაგალითი, რომელიც პირველ თავში განვიხილეთ.

უსაფრთხოების თანამეგრობრობა (Security Community)

ვითარება, როდესაც სახელმწიფოთაშორისი ძალადობის დაბალი მოლოდინი განაპირობებს მაღალი დონის პოლიტიკურ თანამშრომლობას, როგორსაც ადგილი აქვს მაგალითად ნატო-ს წევრებს შორის.

ევროპაში და სხვა ადგილებში ინტეგრაციის ახალი ტალღა დაბრკოლებებსა და შეზღუდვებს აწყდება. ინტეგრაცია ამცირებს სახელმწიფოების უნარს დაიცვან საკუთარი თავი და მოქალაქეები მსოფლიოში არსებული ბევრი პრობლემისგან და კონფლიქტისგან. კიდევ უფრო მეტიც, რაც უფრო მეტად იზრდება ტრანსნაციონალური ტერორიზმის საფრთხე, ღია საზღვრების პერსპექტივამ შესაძლოა სახელმწიფოს ლიდერები დააფიქროს. 2015 წელს, როდესაც ათეულობით ათასმა სირიელმა ლტოლვილმა დაიწყო შედინება ევროპაში, ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს შეზღუდვების დაწესება საზღვრის კვეთებზე, რომლებიც მანამდე სრულიად ღია იყო ნებისმიერი სახის მოძრაობისთვის, პასპორტის გარეშეც კი.

ინტეგრაცია შესაძლოა ნიშნავდეს უფრო მაღალ ცენტრალიზაციას, მაშინ როდესაც ინდივიდები, ადგილობრივი ჯგუფები და ეროვნული მოსახლეობები საკუთარ საქმეებზე უფრო მეტ ავტონომიურობას ითხოვენ. ინტეგრაციის შედეგად პოლიტიკური ხელისუფლების, ინფორმაციის და კულტურის ცენტრალიზაციამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას როგორც ინდივიდის, ისე ჯგუფის თავისუფლებას. ეთნიკურ ჯგუფებს სურთ საკუთარი კულტურა, ენა და ინსტიტუტები უფერული ჰომოგენურობისგან დაიცვან, რაც შესაძლოა რეგიონულ ან გლობალურ დონეზე ათქვეფას მოჰყვეს. შედეგად, ევროპაშიც და სხვაგანაც, სახელმწიფოები და მოქალაქეები ინტეგრაციის ახალ ტალღას უკანასკნელ ათწლეულში მომძლავრებული ნაციონალიზმით პასუხობენ.

მართლაც, ამ ძალების გავლენით სახელმწიფოთა დეზინტეგრაციის ტალღა ამოქმედდა, რომელიც თანამედროვე სამყაროში არსებულ ინტეგრაციულ ტენდენციებს ეწინააღმდეგება (თუმცა, პარალელურ რეჟიმში არსებობს). დეზინტეგრაციის ტალღა გარკვეულწილად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყოფილი ევროპული იმპერიების კოლონიების დეკოლონი-

ზაციით დაიწყო. „ცივი ომის“ შემდეგ დეზინტეგრაციის ტალღამ რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა კავშირსა და ყოფილ იუგოსლავიაში გადმოინაცვლა. სხვა რეგიონებში მდებარე სახელმწიფოები, მაგალითად სომალი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ერაყი დაშლის ზღვარზე დგანან, თუ ოფიციალურად არა, როგორც მინიმუმ პრაქტიკულად მაინც. ინტეგრაციის თეორეტიკოსების სამომავლო გამოწვევა ინტეგრაციის საწინააღმდეგო ამ ახალი ტენდენციების ახსნა იქნება.

დეზინტეგრაციის ან განცალკევების პროცესები მხოლოდ განვითარებად სამყაროს როდი ეხება. ეკონომიკური ნაციონალიზმის ზრდა თვალსაჩინო იყო 2016 წელს დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილებაში ევროკავშირის დატოვების თაობაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში, პრეზიდენტი დონალდ ტრამპი საარჩევნო კამპანიას მართავდა ლოზუნგით „ამერიკა პირველ რიგში“, რაც ეროვნული სიამაყის და ანტიგლობალიზაციური განწყობების გამომხატველი მესიჯი იყო. სხვა ევროპულ ქვეყნებში, ბოლო 5 წელი გამორჩეული იყო ევროპული ინტეგრაციის მოწინააღმდეგე ნაციონალისტური პარტიების ზრდით.

ინტეგრაციის წარმატებულ თუ წარუმატებელ ძალისხმევაში შეინიშნება საერთო ნიშანი – დაპირისპირება ნაციონალიზმსა და სუპრანაციონალურ (რეგიონულ ან გლობალურ) განწყობებს შორის. ინტეგრაციის ნაკლებად წარმატებულ შემთხვევებში, ნაციონალიზმი თითქმის უკონკურენტოა და წარმატებულ შემთხვევებშიც კი, ნაციონალიზმი მაინც ინარჩუნებს სიძლიერეს და სუპრანაციონალიზმთან მუდმივ ბრძოლაში იმყოფება. ეს ბრძოლა მთავარ ადგილს ინარჩუნებს ევროკავშირშიც, რომელიც ინტეგრაციის ყველაზე წარმატებული შემთხვევაა.

6.3.2 ერთიანი ევროპის ხედვა

1945 წელს ევროპა ომისგან იყო განადგურებული. მომდევნო ათწლეული ძირითადად აშშ-ის მარშალის გეგმით მიღებული დახმარებით ევროპის აღდგენას დაეთმო. თუმცა, ამავე პერიოდში, ორმა ფრანგმა სახელმწიფო მოღვაწემ, ჟან მონემ და რობერტ შუმანმა დაიწყეს ევროპაში ფუნქციონალიზმის იდეის დანერგვის გეგმის შემუშავება, რომლის თანახმადაც მომავალი ომების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა ეკონომიკური კავშირების შექმნით, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნებს პოლიტიკურადაც დააკავშირებდა.

1950 წელს, შუმანმა რომელსაც მაშინ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა, წამოაყენა პირველი მოკრძალებული იდეა, რომელიც ითვალისწინებდა საფრანგეთისა და გერმანიის ფოლადის (რკინის) და ქვანახშირის წარმოებების გაერთიანებას ერთიან მექანიზმში, რომელიც ორი ქვეყნის ქვანახშირის მარაგებისა და ფოლადის ქარხნების ყველაზე ეფექტურად გამოყენებას უზრუნველყოფდა. ევრო-

პის აღდგენისა და ეკონომიკური განვითარებისთვის ქვანახშირსა და ფოლადს საკვანძო მნიშვნელობა გააჩნდა. შუმანის გეგმით 1952 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, სადაც საფრანგეთსა და გერმანიას შეუერთდნენ იტალია (კონტინენტური ევროპის სიდიდით მესამე ინდუსტრიული სახელმწიფო) და სამი პატარა სახელმწიფო – ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი (მათ ბენილუქსის ქვეყნებს უწოდებენ). აღნიშნულმა ექვსმა სახელმწიფომ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ფარგლებში დაიწყო მუშაობა ქვანახშირსა და ფოლადზე სავაჭრო ბარიერების შემცირებისა და ქვანახშირისა და ფოლადის პოლიტიკის კოორდინირების მიზნით. „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში“ ასევე შეიქმნა ე.წ. „უმაღლესი ხელისუფლება“, რომელსაც გარკვეულწილად შეეძლო სახელმწიფო მთავრობებისთვის გვერდის ავლა და პირდაპირი საქმის დაჭერა კომპანიებთან, პროფკავშირებთან და პიროვნებებთან.

ქვანახშირი და ფოლადი საკმაოდ მოსაწყენ საკითხად გამოიყურება, თუმცა ფუნქციონალისტების აზრიც სწორედ ეს იყო. ქვანახშირთან და ფოლადთან დაკავშირებული საკითხები ინჟინრებისა და ტექნიკური ექსპერტების საქმე იყო და პოლიტიკოსებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა. 1952 წლიდან მოყოლებული ტექნიკური ექსპერტები ინტეგრაციის პროცესის ლიდერები იყვნენ ევროპის ცხოვრების სხვა ასპექტებში და ევროპის გარეთაც. თუ გერმანელ და ფრანგ მუშებს უფრო მეტი საერთო ჰქონდათ, ვიდრე გერმანელ და ფრანგ პოლიტიკოსებს, მაშინ ფრანგი და გერმანელი მეცნიერები ერთმანეთთან განსაკუთრებით ახლოს იდგნენ. დღეს საზოგადოებრივი ინტეგრაციის თვალსაზრისით, ევროპის სამეცნიერო საზოგადოება საერთაშორისო ინტეგრაციის ყველაზე მაღალი დონით გამორჩევა. მაგალითად, ევროკავშირში ფუნქციონირებს ევროპის კოსმოსური სააგენტო და ევროპის მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორია.

1952 წლიდან ტექნიკური თანამშრომლობის წარმატებით განვითარების მიუხედავად, გაცილებით რთული აღმოჩნდა თანამშრომლობა სამხედრო და პოლიტიკურ საკითხებში. ერთიანი ევროპის ხედვის შესაბამისად, 1952 წელს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს მეორე ხელშეკრულებას ევროპის თავდაცვის თანამეგობრობის შექმნის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის შეიარაღებული ძალების ინტეგრირებას საერთო ბიუჯეტითა და სარდლობით. თუმცა, საფრანგეთის პარლამენტმა უარი თქვა ხელშეკრულების რატიფიცირებაზე, ბრიტანეთმა კი მიიღო გადაწყვეტილება არ შეერთებოდა ერთიან ძალებს. 1953 წელს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების წევრი სახელმწიფოები ასევე განიხილავდნენ ევროპის პოლიტიკური გაერთიანების შექმნის საკითხსაც, მაგრამ პირობებზე შეთანხმება ვერ მოახერხეს. შესაბამისად, ეკონომიკურ საკითხებში სუპრანაციონალური ინსტიტუტები წარმატებით განვითარდნენ, თუმცა პოლიტიკურ და სამხედრო საქმეებში სახელმწიფო სუ-

ვერენიტეტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

6.3.3 რომის ხელშეკრულება

1957 წელს ზემოხსენებულმა ექვსმა სახელმწიფომ (საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა და ლუქსემბურგმა) ხელი მოაწერა **რომის ხელშეკრულებას**, რომლითაც ორი ახალი ორგანიზაცია შეიქმნა. პირველ ორგანიზაციაში ფოლადისა და ქვანახშირის იდეა ახალ სფეროზე – ატომურ ენერგიაზე გავრცელდა. ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება ანუ ევრატომი ატომური ენერგიის განვითარების კოორდინირების მიზნით ჩატარებული კვლევის, ინვესტიციებისა და მენეჯმენტის გაერთიანების მიზნით შეიქმნა. ევრატომი დღესაც ფუნქციონირებს და მისი წევრების რაოდენობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. რომის ხელშეკრულებით შექმნილი მეორე ორგანიზაცია იყო ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, რომელსაც მოგვიანებით სახელი გადაერქვა და ევროპის თანამეგობრობა ეწოდა.

როგორც უკვე განვიხილეთ მეხუთე თავში, თავისუფალ სავაჭრო ზონას, საბაჟო კავშირსა და საერთო ბაზარს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა გულისხმობს საზღვრებზე საქონლის გადაადგილებაზე ტარიფებისა და შეზღუდვების გაუქმებას, რაც 1957 წლის შემდეგ მალევე განხორციელდა. ამჟამად, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია ევროკავშირთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის გაფართოებული ზონაა, რომლის წევრებიც ასევე არიან ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი და შვეიცარია.

საბაჟო კავშირის წევრი სახელმწიფოები თავისუფალი სავაჭრო ზონის გარედან შემომავალ საქონელზე ერთიან ტარიფებს აწესებენ. ამ მეთოდის გარეშე, ნებისმიერი ტიპის იმპორტული საქონელი შეიძლება შემოიტანონ იმ სახელმწიფოდან, რომელსაც ყველაზე დაბალი ტარიფები აქვს და შემდეგ რე-ექსპორტზე (ტარიფების გარეშე) გაიტანონ თავისუფალი სავაჭრო ზონის სხვა სახელმწიფოებში; ეს არაეფექტური იქნება. რომის ხელშეკრულების მონაწილე ექვსმა სახელმწიფომ ამ ხელშეკრულებით 1969 წლამდე საბაჟო კავშირის ჩამოყალიბების ვალდებულება აიღო. საბაჟო კავშირი წევრებს შორის თავისუფალ და ღია ვაჭრობას უზრუნველყოფს, რასაც დიდი ეკონომიკური სარგებელი მოაქვს. შესაბამისად, საბაჟო კავშირი ევროკავშირის ფუნდამენტია და ამ მოდელის გამოყენებას მსოფლიოს სხვა წერტილებშიც ცდილობენ.

საერთო ბაზარი ნიშნავს, რომ გარდა საბაჟო კავშირისა, წევრ სახელმწიფოებში ასევე ნებადართულია შრომისა და კაპიტალის (ასევე საქონლის) თავისუფალი გადაადგილება. მაგალითად, ბელგიელ ფინანსისტს შეუძლია ზუსტად ისეთივე პირობებით განახორციელოს ინვესტირება გერმანიაში, როგორც გერმანელ ინვესტორს. მიუხედავად იმისა, რომ

რომის ხელშეკრულება (Treaty of Rome) (1957)
ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის, ანუ საერთო ბაზრის დამფუძნებელი ხელშეკრულება. ამჟამად, რომის ხელშეკრულება ევროკავშირის დამფუძნებელი შეთანხმებების ნაწილია.

ევრატომი (Euratom)
1957 წლის რომის ხელშეკრულებით შექმნილი ორგანიზაცია, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს ატომური ენერგიის განვითარების კოორდინაცია კვლევის, ინვესტიციების და მენეჯმენტის თავმოყრის გზით.

თავისუფალი სავაჭრო ზონა (Free Trade Area)
ზონა სადაც საზღვრებს შორის საქონლისა და მომსახურების გადაადგილებაზე ტარიფები ან სხვა შეზღუდვები დაწესებული არ არის. იხ. ასევე *საბაჟო კავშირი*.

საბაჟო კავშირი (Customs Union)
თავისუფალი ვაჭრობის ზონის ქვეყნების მიერ დაწესებული ერთობლივი საგარეო ტარიფი. აღნიშნული გულისხმობს მონაწილე სახელმწიფოების მიერ გარედან იმპორტირებულ საქონელზე ერთიანი ტარიფის დაწესებას. იხ. ასევე *თავისუფალი სავაჭრო ზონა*.

საერთო ბაზარი (Common Market)
თავისუფალი ვაჭრობის ზონა, სადაც ნებადართულია შრომისა და კაპიტალის (ასევე საქონლის) საზღვრებზე გადაადგილების თავისუფლება.

რომის ხელშეკრულება ითვალისწინებდა საერთო ბაზრის შექმნას, ეს მიზანი დღესაც კი მხოლოდ ნაწილობრივ არის მიღწეული.

სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკა (Common Agricultural Policy, CAP)
ევროკავშირის პოლიტიკა, რომელიც ემყარება პრინციპს, რომლის თანახმადაც ერთ წევრ ქვეყანაში ფერმერებისთვის დაწესებული სუბსიდია უნდა გავრცელდეს სხვა წევრი ქვეყნების ფერმერებზეც.

საერთო ბაზრის ერთ-ერთი საკვანძო ასპექტი, როგორც მინიმუმ თეორიულად მაინც, მიღწეულ იქნა 1960-იან წლებში, როდესაც ევროკავშირმა (მაშინ ევროპის თანამეგობრობამ) **სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკა** მიიღო. რეალურად, სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკა ხშირად გვევლინება წევრ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების და ნაციონალიზმსა და რეგიონალიზმს შორის არსებული დაპირისპირების გამომწვევ მიზეზად. გაიხსენეთ, რომ სოფლის მეურნეობა მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული სექტორი იყო თავისუფალი ვაჭრობის მიღწევის თვალსაზრისით (იხ. თავი 5). სურსათით ეროვნული თვითკმარობის მისაღწევად, ბევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს ფერმერებისთვის სუბსიდიის გამოყოფას. სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკა ემყარება პრინციპს, რომ ერთ წევრ სახელმწიფოში ფერმერებისთვის მიცემული სუბსიდია უნდა მიეღოთ სხვა წევრი სახელმწიფოების ფერმერებსაც. შესაბამისად, არცერთი წევრი სახელმწიფოს მთავრობა არ იქნებოდა იძულებული, რომ სუბსიდიების შეწყვეტით გაენაწყენებინა პოლიტიკურად ძლიერი ფერმერები, თუმცა ერთიანი პოლიტიკის გათანაბრება ევროპულ გაერთიანებაში საერთო ბაზრის პრინციპის შესაბამისად უნდა მომხდარიყო. შედეგად, ევროკავშირის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის 40% ფერმერთა სუბსიდიებზე მოდის, სადაც მთავარი ბენეფიციარი საფრანგეთია. ასევე, სუბსიდიები კვლავ რჩება ევროპასა და აშშ-ს შორის სავაჭრო დაპირისპირების უმთავრეს წყაროდ

თავისუფალი სავაჭრო ზონის, საბაჟო კავშირისა და საერთო ბაზრის შემდეგ, ევროპის ინტეგრაციის გზაზე მომდევნო ნაბიჯი იყო ეკონომიკური და სავალუტო კავშირი, რომელიც ეფექტურობისა და სტაბილურობის გაზრდის მიზნით წევრი ქვეყნების საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ჰარმონიზებას ითვალისწინებს. აღნიშნული ნაბიჯი ასევე ითვალისწინებს ეროვნული ვალუტების ერთიანი ვალუტით ჩანაცვლებას (იხ. სავალუტო კავშირი ამავე თავში). სავარაუდო სამომავლო ნაბიჯი შეიძლება ასევე იყოს ფისკალური პოლიტიკის, კერძოდ ბიუჯეტისა და გადასახადების სუპრანაციონალურ დონეზე კოორდინაცია.

სუვერენიტეტის დაკარგვასთან დაკავშირებით სახელმწიფოების მეთაურების შიშის შესამსუბუქებლად, რომის ხელშეკრულებაში ჩადებულია მუხლი, რომლის თანახმადაც მის დებულებებში ცვლილებები შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობით. მაგალითად, 1963 და 1967 წლებში საფრანგეთმა ვეტო დაადო ბრიტანეთის განაცხადს ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში გაწევრიანებაზე. თუმცა, ბრიტანეთი მაინც გაწევრიანდა ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში ირლანდიასთან და დანიასთან ერთად. შედეგად ორგანიზაციის წევრების რაოდენობა ცხრამდე გაიზარდა და რეგიონის ყველაზე დიდი და მდიდარი სახელმწიფოები მოიცვა.

ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას 1981 წელს საბერძნეთი, ხოლო 1986 წელს პორტუგალია და ესპანეთი შეუერთდნენ. ამ უფრო ღარიბი, ნაკლებად ინდუსტრიული და ცხოვრების დაბალი დონის მქონე ქვეყნების გაწევრიანებამ სირთულეები შეუქმნა ევროპული ეკონომიკების ინტეგრაციას (რომლებიც დღემდე ნარჩუნდება). მდიდარი ევროპული სახელმწიფოები მნიშვნელოვან დახმარებას გამოყოფენ შედარებით ღარიბი სახელმწიფოების დასახმარებლად, იმ იმედით, რომ სუსტ რგოლებს გააძლიერებენ. 2015 წლისთვის, ღარიბი ქვეყნების დავალიანებით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად ევროკავშირის მდიდარმა წევრმა სახელმწიფებმა მილიარდობით დოლარი დახარჯეს, თუმცა მიმდინარე ეკონომიკური უწესრიგობა კვლავ საფრთხეს უქმნიდა მთლიანად ევროპული ეკონომიკის სტაბილურობას.

6.3.4 ევროკავშირის სტრუქტურა

ევროკავშირის სტრუქტურა ტექნიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობაში არსებული საფუძვლების ამსახველია. ქვანახშირისა და ფოლადის ექსპერტებს დაემატნენ ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის და ფინანსების ექსპერტები. ევროკავშირის შტაბბინასა და პერსონალს უფერული ბიუროკრატების რეპუტაცია გააჩნიათ, რომლებსაც ზოგჯერ *ევროკრატებსაც* უწოდებენ და რომლებიც უფრო მეტად ტექნიკური პრობლემების გადაჭრით არიან დაკავებულნი, ვიდრე პოლიტიკით. ევროკავშირის სტრუქტურაში ამ სუპრანაციონალურ ბიუროკრატებს აბალანსებს დებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დაცულია სახელმწიფოების და სახელმწიფოების მეთაურების ძალაუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკრატების მმართველობა ფუნქციონალისტურ გეგმას მიჰყვება, ევროკავშირის განვითარების პარალელურად პრობლემებსაც იწვევს. წევრი სახელმწიფოების პოლიტიკოსებს ევროკრატებთან ძალაუფლების დაკარგვა აშფოთებთ. ამ სახელმწიფოების მოქალაქეები ბოლო წლებში სულ უფრო მეტ დისკომფორტს განიცდიან მათ ცხოვრებაზე უსახო ევრობიუროკრატების გავლენის ზრდის გამო. მოქალაქეებს შეუძლიათ არჩევნების გზით გადაირჩიონ საკუთარი პოლიტიკური ლიდერები, თუმცა ევროკრატების ანგარიშვალდებულების ხარისხი დაბალია.

ევროკავშირის სტრუქტურა წარმოდგენილია გრაფიკში 6.4. ევროკრატები აერთიანებს 34,000 ადამიანისგან დაკომპლექტებულ აპარატს, რომელიც ევროკომისიის ხელმძღვანელობით, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში მდებარე ევროკავშირის შტაბბინაში ფუნქციონირებს. კომისიას 28 წევრი ჰყავს (თითო წევრი ყოველი სახელმწიფოდან), რომლებსაც ოთხწლიანი ვადით (განახლების პერსპექტივით) ირჩევენ. მათ ფუნქციას წარმოადგენს პრობლემების იდენტიფიცირება და ევროკავშირის საბჭოსთვის ამ პრობლემების მოგვარების გზების შეთავაზება. ევროკომისიის

ერთ-ერთ წევრს კომისიის პრეზიდენტად ირჩევენ. ევროკომისრები უნდა იცავდნენ ერთიანი ევროპის (სუპრანაციონალური) და არა საკუთარი სახელმწიფოების ინტერესებს, თუმცა ამ მიზნის მიღწევა ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა.

ევროკომისია
(European Commission)

ევროკავშირის ორგანო, რომლის წევრებსაც მართალია სახელმწიფოები ნიშნავენ, თუმცა, ისინი ევროკავშირის ინტერესებს უნდა წარმოადგენდნენ. ევროკომისიას ქალაქ ბრიუსელში მოქმედი მრავალეროვნული სამოქალაქო სამსახური ემსახურება და მის მთავარ ფუნქციას პრობლემების იდენტიფიცირება და ევროკავშირის საბჭოსთვის ამ პრობლემების გადაჭრის გზების შეთავაზება წარმოადგენს. ასევე იხ. *ევროკავშირის საბჭო.*

ევროკომისიას ოფიციალური, დამოუკიდებელი ძალაუფლება არ გააჩნია და მხოლოდ ევროკავშირის ყოველდღიურ საქმიანობას კურირებს. ოფიციალურად, ევროკომისია ანგარიშვალდებულია ევროკავშირის საბჭოს წინაშე (ადრე მინისტრთა საბჭოს უწოდებდნენ) და ამ უკანასკნელის პოლიტიკას აღასრულებს. ევროკავშირის საბჭო არის თითოეული წევრი სახელმწიფოების შესაბამისი მინისტრების (საგარეო საქმეთა, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ფინანსთა და ა.შ.), ანუ ბიუროკრატიული აპარატების მმართველი (ან მართვის მცდელობის მქონე) პოლიტიკოსების შეკრება. მაგალითად, 2015 წელს, 28 საგარეო საქმეთა მინისტრი შეიკრიბა კონტრტერორისტული ზომების და რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესების საკითხების განსახილველად. ეს ოფიციალური სტრუქტურა ასახავს სახელმწიფოების წინააღმდეგობას სუვერენიტეტის დათმობის თაობაზე. აღნიშნული საბჭოს საქმიანობა ასევე გულისხმობს იმასაც, რომ ევროკავშირის საბჭოზე მონაწილე პირები შეკრებიდან შეკრებამდე იცვლებიან და პოლიტიკურ საკითხებთან შედარებით პრიორიტეტი ტექნიკურ საკითხებს ენიჭებათ. აღნიშნული მექანიზმი გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ევროკომისიის აპარატს. გაიხსენეთ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით პოლიტიკოსებსა და კარიერულ ბიუროკრატებს შორის არსებული ანალოგიური დაძაბულობა (იხ. ბიუროკრატიები, მე-3 თავში).

ევროკავშირის საბჭო
(Council of the European Union)

ევროპული კავშირის ინსტიტუტი, სადაც თითოეული წევრი სახელმწიფოს რელევანტური მინისტრები (საგარეო საქმეთა, ეკონომიკის, ფინანსთა, სოფლის მეურნეობის) კანონების მისაღებად და ეროვნული ინტერესების ჰარმონიზებისთვის იკრიბებიან. წარსულში ცნობილი იყო როგორც მინისტრთა საბჭო. სახელმწიფოთა ლიდერების შეკრებას ევროპული საბჭო ეწოდება. იხ. ასევე *ევროკომისია.*


ევროკავშირის საბჭო თეორიულად შეწონილი ხმების საფუძველზე ფუნქციონირებს, რაც თითოეული სახელმწიფოს მოსახლეობის რაოდენობით იანგარიშება, თუმცა პრაქტიკული საქმიანობა მაინც ძირითად პოლიტიკურ საკითხებზე კონსენსუსის საფუძველზე წარმოებს (ყველა წევრი სახელმწიფო თანახმა უნდა იყოს). ლისაბონის ხელშეკრულების მიღების შემდეგ (იხ. ამავე თავი), თითქმის ყველა საკითხის გადაწყვეტა ამჟამად კვალიფიციური უმრავლესობით ხდება. ლისაბონის ხელშეკრულებით კვალიფიციური უმრავლესობა ნიშნავს, რომ საკითხის მისაღებად მას მხარი უნდა დაუჭიროს ევროკავშირის წევრების სულ მცირე 55%-მა, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის მოქალაქეთა 65%. ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტობა (რომელსაც შეზღუდული ძალაუფლება გააჩნია) როტაციულია. ევროკავშირის საბჭომ უნდა დაამტკიცოს ევროკომისიის მიერ შემუშავებული პოლიტიკა და განუსაზღვროს ზოგადი მიმართულებები.

1970-იან წლებში, სახელმწიფოს მეთაურებმა (პრემიერმინისტრებმა და პრეზიდენტებმა) ევროპულ გაერთიანებაში გაერთიანების წინსვლის მიმართულებაზე ზედამხედველობის მიზნით საკუთარი თავებისთვის სპეციალური ადგილი შექმნეს. აღნიშნული გადაწყვეტილებაც მიუთითებს სახელმწიფოთა ლიდერების წინააღმდეგობაზე სუპრანაციონა-

ლური ორგანოს მიერ მართვასთან დაკავშირებით. 28 წევრი სახელმწიფოს მეთაურებისგან დაკომპლექტებული *ევროპული საბჭო* ევროკომისიის პრეზიდენტთან ერთად წელინადში ორჯერ იკრიბება. ეს ის ადამიანები არიან, ვისაც აქვს ძალაუფლება საკუთარ ეროვნულ მთავრობებში პოლიტიკა გაატარონ (რომლებიც ევროპაში ჯერ კიდევ აკონტროლებენ ფინანსების და ძალაუფლების უმეტეს ნაწილს).

გრაფიკი 6.4 ევროკავშირის სტრუქტურა

წყარო: ევროკომისია



არსებობს **ევროპარლამენტი**, რომელიც არ არის ნამდვილი საკანონმდებლო ორგანო, სადაც მთელი ევროპისთვის იღებენ კანონებს. დღეს ის ნაწილობრივ მოქმედებს როგორც კომისიის ზედამხედველი ორგანო, თუმცა, ამავდროულად საკანონმდებლო საქმიანობის გარკვეული უფლებამოსილებაც გააჩნია. ევროპარლამენტი ამტკიცებს ევროპული კომისიის წარდგენილ ბიუჯეტს, თუმცა საგნობრივი კონტროლის უფლებამოსილება არ გააჩნია. ევროპარლამენტსა და ევროპულ კომისიას „თანაგადაწყვეტილების პროცედურის" მიხედვით საზიარო ძალაუფლება გააჩნიათ ისეთ საკითხებში, როგორებიცაა მიგრაცია, დასაქმება, ჯანდაცვა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. ევროპის პარლამენტი ასევე დებატების ფორუმისა და ევროპული ერთიანობის სიმბოლოს ფუნქციას ასრულებს. 2009 წელს მიღებული ლისაბონის ხელშეკრულებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა თანაგადაწყვეტილების პროცედურით გათვალისწინებულ საკითხთა სპექტრი. ის ასევე წარმოადგენს ფორუმს დება-

ევროპარლამენტი (European Parliament)

ევროკავშირის კვაზი-საკანონმდებლო ორგანო, რომლის ფუნქციებსაც წარმოადგენს ევროკომისიის საქმიანობის ზედამხედველობა და ასევე გააჩნია შეზღუდული საკანონმდებლო ძალაუფლება.

ტებისთვის და ევროპული ერთიანობის სიმბოლოა. 1999 წელს, ევროპარლამენტის მიერ შექმნილმა დამოუკიდებელმა კომისიამ ევროკომისიაში თანხების გაფლანგვისა და თაღლითობის ფაქტები გამოავლინა, რასაც შედეგად 20 ევროკომისარის გადადგომა მოჰყვა. 1979 წლიდან, ევროკავშირის მოქალაქეები პირდაპირი წესით ირჩევენ საკუთარ წარმომადგენლებს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ამჟამად, ევროკავშირის 500 მილიონი მოქალაქე 750 პარლამენტარს ირჩევს. თითოეულ წევრ სახელმწიფოს ყავს მინიმუმ 6 და არაუმეტეს 96 წარმომადგენელი. პოლიტიკური პარტიები ეროვნული ხაზების მიხედვით არიან ჩამოყალიბებული.

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტი განიხილავს კონტინენტური მნიშვნელობის მქონე საკითხებს, რომელიც ეხება გარკვეულ წარმოებებს ან ჯგუფებს. კომიტეტის საქმიანობა წმინდად სარეკომენდაციო ხასიათისაა და ევროკომისიაში ლობირებას მისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ახორციელებს. კომიტეტი ერთგვარი ფორუმია, სადაც კომპანიებს, პროფკავშირებს და ინტერესთა ჯგუფებს შეუძლიათ გარიგებებს მიაღწიონ ტრანსნაციონალურ დონეზე.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო (European Court of Justice)

ევროკავშირის სასამართლო შტო, რომელიც ლუქსემბურგში მდებარეობს. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ აქტიურად დაიმკვიდრა საკუთარი იურისდიქცია და ეროვნული კანონმდებლობის დაძლევის უფლება ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონფლიქტის შემთხვევაში.

ლუქსემბურგში მდებარე **მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო** რომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე წარმოქმნილ დავებს არეგულირებს, ასეთი საკითხების რაოდენობა კი საკმაოდ ბევრია. მსოფლიო სასამართლოსგან განსხვავებით (იხ. სექცია 6.4.3), ევროპულმა სასამართლომ აქტიურად განამტკიცა საკუთარი იურისდიქცია და არ შემოიფარგლება მხოლოდ საერთაშორისო მედიაციის ფუნქციით. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შეუძლია დაძლიოს ეროვნული კანონმდებლობა, რომლებიც ევროკავშირის კანონებთან მოდის წინააღმდეგობაში, რაც მას საერთაშორისო სასამართლოებს შორის უნიკალურ მდგომარეობაში აყენებს. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო განიხილავს არა მხოლოდ მთავრობების, არამედ კერძო პირების საქმეებსაც. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ასობით შემთხვევაში გამოიტანა სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის საწინააღმდეგო და კომისიის აპარატის წევრების პენსიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

6.3.5 ერთიანი ევროპული აქტი

ერთიანი ევროპული აქტი (Single European Act) (1985)

აქტი, რომელმაც ევროპის თანამეგობრობაში 1992 წლის ბოლო ნამდვილი საერთო ბაზრის შექმნის სამიზნე თარიღად განსაზღვრა (საზღვარზე საქონლის, კაპიტალის, ადამიანების და სერვისების თავისუფალი გადაადგილება).

ევროპული ინტეგრაცია ეტაპობრივი პროცესის გზით წარიმართა, რაც ხელშესახები წარმატებების მიღწევის საშუალებას იძლევა, სუვერენიტეტის დაკარგვასთან დაკავშირებით პოლიტიკოსთა შიშებს ამსუბუქებს და ამ პროცესის გაგრძელებისთვის საჭირო ზეწოლას წარმოქმნის. მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯებს ხშირად თან სდევს სტაგნაციის ან ინტეგრაციის შებრუნების პერიოდებიც კი. რომის ხელშეკრულების პირველი მასშტაბური გადახედვა, ანუ 1985 წლის **ერთიანი ევროპული აქტი** დაჩქარებული ინტეგრაციის ახალ ფაზას წარმოადგენდა. ევროკავ-

შირმა 1992 წელი ევროპაში ნამდვილი საერთო ბაზრის შექმნის სამიზნე თარიღად გამოაცხადა. აღნიშნული ცვლილებების ამომწურავი ჰაკეტი, რომელსაც სახელად „ევროპა 1992“ ეწოდა, ევროკომისიის მიერ შემუშავებულ 300-მდე დირექტივას მოიცავდა და მიზნად ისახავდა ევროპული თანამეგობრობის შიგნით საქონლით, მომსახურებით, შრომითა და კაპიტალით თავისუფალ ვაჭრობაზე არასატარიფო ბარიერების გაუქმებას. აღნიშნული საკითხები საკმაოდ კომპლექსურ და ტექნიკურ ხასიათს ატარებდა. მაგალითად, ათწლეულების მანძილზე არსებობდა დავა შოკოლადის დეფინიციის შესახებ, რადგან ბელგია, რომელიც ცნობილია საკუთარი შოკოლადით, მის დასამზადებლად მოითხოვდა მხოლოდ კაკაოს ცხიმის გამოყენებას, მაგრამ ბრიტანეთში ნებადართული იყო მისი შემცვლელები, მაგალითად მცენარეული ზეთების გამოყენება. ევროკომისიის ბიუროკრატები მუშაობდნენ ზემოხსენებული შეუსაბამობების აღმოფხვრის და სტანდარტთა უნიფიცირებული სისტემის შემოღების მიზნით. აღნიშნული ზომების განსახორციელებლად თითოეულ მთავრობას შესაბამისი კანონმდებლობა უნდა მიეღო.

1992 წლის პროცესმა ეკონომიკური ინტეგრაცია უფრო პოლიტიკურ და სადავო სფეროებში გადაიყვანა, რამაც სუვერენიტეტის გამოფიტვა უფრო აშკარა გახადა, ვიდრე ადრე. მან ასევე გააღრმავა ევროკავშირის პირდაპირ რეგიონებთან და არა ამ რეგიონების მმართველ სახელმწიფოებთან საქმის დაჭერის ტენდენცია. ამით საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოს „გამოცარიელებას“ როგორც ქვემოდან (რეგიონული მთავრობების გაძლიერება), ისე ზემოდან (ძლიერი ევროპული მმართველობა). თუმცა, 1992 წლის ევროპამ პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაციის რთული პრობლემები კვლავ სამომავლოდ გადადო.

6.3.6 მაასტრიხტის ხელშეკრულება

მაასტრიხტის ხელშეკრულებით, რომელსაც 1992 წელს, ჰოლანდიის ქალაქ მაასტრიხტში მოეწერა ხელი, ევროპის თანამეგობრობას სახელად ევროკავშირი ეწოდა და ხელშეკრულებით განისაზღვრა დამატებითი პროგრესის მიღწევა სამი ძირითადი მიმართულებით. პირველი მიმართულება იყო სავალუტო კავშირი (განხილულია ქვემოთ), რომელიც არსებული ეროვნული ვალუტების გაუქმებას და ერთიანი ევროპული ვალუტით ჩანაცვლებას ითვალისწინებდა. ცვლილებების მეორე მიმართულება, რომელიც სამართალსა და შიდა საქმეებს მოიცავდა, ითვალისწინებდა ევროპის პოლიციის სააგენტოს შექმნას და პასუხობდა ახალ რეალობას, რომ საზღვრები იხსნებოდა იმიგრანტებისთვის, კრიმინალებისთვის, სექსუალურ ტრეფიკინგში მონაწილეებისთვის და კონტრაბანდისტებისთვის. აღნიშნული მიმართულება ასევე ითვალისწინებდა მოქალაქეობის იდეის გაფართოებასაც. კერძოდ, გერმანიაში მცხოვრებ საფრანგეთის მოქალაქეს შეეძლო მონაწილეობა მიეღო გერმანიაში ჩა-

მაასტრიხტის ხელშეკრულება (Maastricht Treaty)
ნიდერლანდების ქალაქ მაასტრიხტში ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომლის რატიფიცირება 1992 წელს განხორციელდა. შეთანხმება ევროკავშირს ავალდებულებს სავალუტო კავშირის (ერთიანი ვალუტის და ევროპის ცენტრალური ბანკის) და საერთო საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებას. იხ. ასევე *ევროკავშირი.*

ტარებულ ადგილობრივ არჩევნებში. მაასტრიხტის მესამე მიზანი, პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაცია, კიდევ უფრო საკამათო აღმოჩნდა. ხელშეკრულება ევროპულ სახელმწიფოებს ავალდებულებს განაგრძონ საერთო საგარეო პოლიტიკისთვის მუშაობა, რომლის საბოლოო მიზანს ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნა წარმოადგენს.

ევროპის ზოგიერთმა მოქალაქემ დაიწყო მწვავე რეაქციის გამოხატვა მაასტრიხიტის ხელშეკრულებით ნაგულისხმევი ეროვნული იდენტობისა და სუვერენიტეტის დაკარგვასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ევროკავშირმა მაინც განახორციელა მაასტრიხტის ხელშეკრულების პირობები, თუმცა უფრო ნელა და უფრო ნაკლები მონაწილე სახელმწიფოთი, ვიდრე თავიდან იმედოვნებდნენ. წინსვლის მუხტი შეინარჩუნა ეკონომიკურმა და ტექნიკურმა ინტეგრაციამ, მათ შორის საწყის 12 წევრს შორის შექმნილმა სავალუტო კავშირმა.

ევროპის ეკონომიკურმა ინტეგრაციამ პოლიტიკური ეკონომიკის გლობალურ დონეზე გარდაქმნა დაიწყო. ევროკავშირი დღეს მსოფლიოს უმსხვილეს ბაზრებზე, წარმოებისა და ტექნოლოგიის მასშტაბურ ქსელსა და მსოფლიოს უძლიერეს ვალუტაზე წვდომის წესებს აწესებს. ევროპის ახალშეძენილი ძალაუფლება გამოიხატება გარემოს დაცვის ინიციატივებში. აშშ-ის ქიმიური ინდუსტრია აშშ-ის რეგულაციებით მუშაობდა, რომლის თანახმადაც ქიმიკატების 80% ამ რეგულაციების მიღმა ხვდებოდა. თუმცა, ევროკავშირმა უფრო მკაცრი ქიმიური რეგულაციები მიიღო, რომელიც პროდუქტებში გამოყენებული ქიმიკატების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის თვალსაზრისით შემოწმებას მოითხოვს და ყოველდღიურ პროდუქტებში შხამიანი ქიმიკატების ჩანაცვლების ვალდებულებას ადგენს. აღნიშნულის მსგავსად, იაპონელმა ავტომწარმოებლებმა ევროკავშირის მოთხოვნის შესაბამისი წარმოების სტანდარტები დანერგეს, რომლის თანახმადაც 2015 წლისთვის ახალი მანქანების 95% გადამუშავებად კომპონენტებს უნდა შეიცავდეს ნაციონალიზმსა და სუპრანაციონალიზმს შორის ბრძოლაში მერყევი ბალანსი არსებობს და სუვერენიტეტსა და საგარეო და სამხედრო პოლიტიკაში სუპრანაციონალიზმზე გარდამავალი პროცესი არ დასრულებულა. 60 წლიანი მომზადების შემდეგაც კი, ეკონომიკური ინტეგრაციიდან პოლიტიკურ საკითხებში „გადაღვრის“ პროცესი კვლავაც რთულია.

6.3.7 სავალუტო კავშირი

ევრო (Euro)
ასევე უწოდებენ ევროპის სავალუტო ერთეულს. ერთიანი ევროპული ვალუტა, რომელსაც ევროკავშირის 19 წევრი სახელმწიფო იყენებს.

ევროპულმა ვალუტა **ევრომ**, ეროვნული ვალუტები ევროკავშირის წევრ 19 სახელმწიფოში ჩაანაცვლა. რამდენიმე წლის განმავლობაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალური სასესხო უფლების (იხ. თავი 5) მსგავსი აბსტრაქტული ერთეულის სახით არსებობის შემდეგ, ევრო მიმოქცევაში 2002 წლიდან შემოვიდა და ამავე წელს შეწყდა ერო-

ვნული ვალუტების არსებობა. ევროპის ცენტრალურმა ბანკმა გადაიბარასახელმწიფოების ცენტრალური ბანკების ფუნქცია.

საავალუტო კავშირი რთულია როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მიზეზების გათვალისწინებით. სავალუტო კავშირში შემავალ სახელმწიფოებში აუცილებლად თანაბარი უნდა იყოს ფუნდამენტური ეკონომიკური და ფინანსური პირობები. ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია საკუთარი ეკონომიკის სტიმულირება დაბალი საპროცენტო განაკვეთებით (მაგალითად რეცესიის მიზეზით), მაშინ როდესაც მეორე სახელმწიფო (მაღალი ეკონომიკური ზრდის მიზეზით) ინფლაციის შემცირებას საპროცენტო განაკვეთების აწევით ცდილობს. მაგალითად, 2018 წელს ესპანეთში უმუშევრობის დონე 17% შეადგენდა, ხოლო გერმანიაში მხოლოდ 3%. ინტეგრირებულ ეკონომიკაში, რომელიც ასევე პოლიტიკურად ცენტრალიზებულია, ცენტრალურ მთავრობას შეუძლია რესურსების გადანაწილება, მაგალითად აშშ-ის ტეხასის შტატში ეკონომიკური ბუმის, ხოლო მასაჩუსეტსის შტატში რეცესიის შემთხვევაში. თუმცა, ევროკავშირს არ გააჩნია ცენტრალიზებული საგადასახადო სისტემა და ვერ აკონტროლებს სახელმწიფო ბიუჯეტებს.



ბრძოლა სამსახურის საშოვნელად მაასტრიხტის ხელშეკრულება წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებდა ერთიანი ვალუტის მქონე საავალუტო კავშირის შექმნისკენ. 2002 წელს, ევრო მშვიდად შევიდა მიმოქცევაში 12 (ამჟამად 19) ქვეყანაში და მსოფლიო ვალუტად ჩამოყალიბდა, რომელიც ამერიკულ დოლარს უწევს კონკურენციას. თუმცა, 2008 წლის რეცესიამ მნიშვნელოვანი პრობლემები გამოავლინა, რამაც ევროზონის დავალიანების კრიზისი და 2012 წელს მეორე რეცესია გამოიწვია. ამ კრიზისების შემდეგ უმუშევრობა ბევრი ევროკავშირის ქვეყნის მნიშვნელოვანი პრობლემაა. მოცემულ სურათზე, 2018 წელს მუშები საფრანგეთში აპროტესტებენ შემოთავაზებულ შრომის კანონმდებლობას, რომლის მიზანიც უმუშევრობის შემსუბუქება იყო.

ერთ-ერთი გამოსავალს წარმოადგენს ევროპული ეკონომიკების გათანაბრებისკენ მუშაობა. მაგალითად, ევროკავშირის მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავებების შესამცირებლად, მაასტრიხტის ხელშეკრულებით ევროკავშირის ბიუჯეტი 25 მლრდ აშშ დოლარით გაიზარდა, რაც ღარიბი წევრი ქვეყნებისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევას უნდა მოხმარებოდა. მაგრამ ამ დახმარების საფასურს ევროკავშირის მდიდარი სახელმწიფოები იხდიან, რომლებიც ევროკავშირის ღარიბ ქვეყნებს ფაქტობრივად ევროკავშირის ინტეგრაციის შედეგად მიღებული საზოგადოებრივი საქონლის ხარჯზე აცხოვრებენ. ნაწილობრივ სწორედ ამ მიზეზით, წლიური 25 მლრდ აშშ დოლარი ძალიან არასაკმარისი აღმოჩნდა მდიდარი და ღარიბი ქვეყნების გასათანაბრებლად.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მთავარი საშუალება, რომელიც მაასტრიხტში იქნა მიღებული, ითვალისწინებდა სავალუტო კავშირის წევრების რაოდენობის შეზღუდვას, როგორც მინიმუმ პირველ ეტაპზე. სავალუტო კავშირში უნდა გაწევრიანებულიყვნენ მხოლოდ ფინანსურად სტაბილური სახელმწიფოები, რომლებიც საფრთხეს არ შეუქმნიდნენ ევროკავშირს. ერთიანი ვალუტის სისტემაში შესასვლელად, სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტი უნდა ყოფილიყო მშპ-ს 3%-ზე ნაკლები, სახელმწიფო ვალი უნდა ყოფილიყო მშპ-ს 60%-ზე ნაკლები და ინფლა-

ციის მაჩვენებელი არ უნდა ყოფილიყო ევროკავშირის ყველაზე დაბალი ინფლაციის მქონე სამი სახელმწიფოს საშუალო მაჩვენებელზე არაუმეტეს 1.5 პროცენტული პუნქტით მაღალი. ამავე ხელშეკრულებით, სახელმწიფოებს ასევე უნდა უზრუნველეყოთ საპროცენტო განაკვეთებისა და ეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსის სტაბილურობა.

ეს ნიშნავდა, რომ საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების მთავრობებს მძიმე არჩევანი უნდა გაეკეთებინათ. კერძოდ, შეეცირებინათ ბიუჯეტი და სოციალური დახმარებები და გადაედგათ სხვა პოლიტიკურად არაპოპულარული ნაბიჯები. საპასუხოდ ფრანგმა მუშებმა რამდენჯერმე მასობრივი დემონსტრაციები მოაწყვეს. რამდენიმე ქვეყანაში ხელისუფლებამ ოპოზიციასთან არჩევნები დათმო, მაგრამ ახალარჩეულმა ლიდერებმა ძირითადად იგივე პოლიტიკა გააგრძელეს. ამ ახალშეძენილი ფისკალური დისციპლინის შედეგად, ევროკავშირის თორმეტივე წევრმა, რომელსაც სურდა ევროზონაში შესვლა, შეძლო ამის გაკეთება. სლოვენია ევროზონაში 2007 წელს შევიდა, კვიპროსი და მალტა 2008 წელს, სლოვაკეთი 2009 წელს, ესტონეთი 2011 წელს, ლატვია 2014 წელს და ლიეტუვა 2015 წელს. ბრიტანეთმა, დანიამ და შვედეთმა საკუთარი ეროვნული ვალუტების შენარჩუნება გადაწყვიტეს.

ფულს უფრო მაღალი პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია, ვიდრე ფოლადის ტარიფებს ან მოკოლადის ინგრედიენტებს. სავალუტო კავშირი სახელმწიფოს მთავარ პრეროგატივას – ფულის ბეჭდვის უფლებას ხელყოფს. გამომდინარე იქიდან, რომ მოქალაქეებს ფულთან ყოველდღიური შეხება აქვთ, ევრომ შესაძლოა გააღრმავოს მოქალაქეთა იდენტიფიცირება ევროპასთან, რაც ნაციონალიზმზე სუპრანაციონალიზმის გამარჯვებაა. როდესაც 2002 წელს ევრო პირველად ჩაეშვა მიმოქცევაში, ადამიანებს პირველად მიეცათ „ევროპის ჯიბეში ჩადების“ შესაძლებლობა. თუმცა, სწორედ ამ მიზეზით ეწინააღმდეგებოდნენ ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერი და მოქალაქეები საკუთარი ეროვნული ვალუტების სიმბოლური მნიშვნელობის დათმობას.

კონფლიქტები ევროზონაშიც ხდება. 2004 წელს, ევროკომისია შეეწინააღმდეგა ევროკავშირის წევრს სახელმწიფოებს, რომლებმაც კენჭისყრის საფუძველზე საფრანგეთსა და გერმანიას ევროზონის წესების დარღვევის ნება დართეს ამ უკანასკნელთა მიერ მაღალი საბიუჯეტო დეფიციტების შენარჩუნების გამო. ლატვიის მთავრობამ ევროზონაში შესვლიდან ექვს თვეში დაკარგა ხელისუფლება, რადგან მომდევნო ოთხი წლის მანძილზე ევროზონის წესებისთვის საჭირო არაპოპულარული საბიუჯეტო შემცირების განხორციელება მოუხდა.

2010 წელს ევრო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. საბერძნეთი, რომელმაც აღიარა, რომ ევროზონაში შესასვლელად ეკონომიკურ მონაცემებს აყალბებდა, წლების მანძილზე სესხულობდა იმაზე მეტს, ვიდრე გადახდა შეეძლო და მსოფლიო ფინანსურ კრიზისში გადასარჩენად

ევროპის დახმარება დასჭირდა. გამომდინარე იქიდან, რომ საბერძნეთი ევროს იყენებდა, საბერძნეთის პრობლემებმა ზეგავლენა იქონია მსოფლიო ინვესტორთა შეხედულებებზე ევროზონის ყველა სახელმწიფოსთან დაკავშირებით.

დავალიანების პრობლემები საბერძნეთის ფარგლებს სწრაფად გასცდა და ვითარება უფრო დამძიმდა. 2010 წელს, რეალურად ევროკავშირის მხოლოდ ორმა სახელმწიფომ (ფინეთმა და ლუქსემბურგმა) დააკმაყოფილა ევროკავშირის სამიზნე ვალის დონე. საბერძნეთმა, ესპანეთმა, პორტუგალიამ, ირლანდიამ და იტალიამ მასშტაბური ეკონომიკური რეფორმები განახორციელეს, საბერძნეთში, იტალიაში და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში მთავრობები არჩევნებში დამარცხდნენ. საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთს დაუპირისპირდნენ იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა დახმარებოდა გასაჭირში მყოფ ევროზონის ქვეყნებს. მას შემდეგ, რაც გერმანიის ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ გერმანია „საბერძნეთს ერთ ცენტსაც არ შესთავაზებს", საღმა აზრმა იმძლავრა და ევროკავშირის ქვეყნები ერთად დადგნენ ერთმანეთის ეკონიმიკების დასახმარებლად.

2012 წლისთვის, ევროკავშირმა აამოქმედა ფინანსური დახმარების სისტემა, რომელშიც აკუმულირებული იყო 1 ტრლნ აშშ დოლარზე მეტი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებულიყო ევროზონის ქვეყნების ეკონომიკების დასახმარებლად. თუმცა, ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიღების პროცესი კვლავ მოუქნელი დარჩა და საბერძნეთსა და ესპანეთში, ასევე სხვა ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც ფინანსური დახმარების სანაცვლოდ მკაცრი ხარჯშემკვეცი ზომების გატარება მოუხდათ, მოქალაქეებს ხშირად უწევდათ ქუჩებში გამოსვლა. ხარჯშემკვეცი ზომების გატარებამ არა მხოლოდ უმუშევრობა გაზარდა, რამაც ესპანეთის შემთხვევაში 2015 წლისთვის 25%-ს მიაღწია (25 წელზე ქვემოთ მყოფ ახალგაზრდებში უმუშევრობა 50%-ს შეადგენდა), არამედ მთელ ევროზონაში შეანელა ეკონომიკური ზრდა. 2014 წელს, მკაცრი ხარჯშემკვეცი ზომებით გაღიზიანებულმა საბერძნეთმა ახალი მემარცხენე მთავრობა აირჩია, რომელიც მოსახლეობას ევროკავშირთან მოლაპარაკებების შედეგად ნაკლებად მკაცრი პირობების მიღებას დაპირდა. საბერძნეთის ახალმა მთავრობამ ამის გაკეთება ვერ შეძლო და 2015 წელს, საბერძნეთმა ევროკავშირისგან ახალი საგანგებო სესხები მიიღო, რომელიც მოიცავდა ბიუჯეტში რთული შემცირებების განხორციელების მოთხოვნას. 2015 წლის მანძილზე საბერძნეთი გაგრძელებდა მაღალი უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლას. თუმცა, 2017 წელს, საბერძნეთმა როგორც იქნა მიაღწია ეკონომიკურ ზრდას დიდი რეცესიის შემდეგ პირველად და უმუშევრობის დონემაც კლება დაიწყო. მართალია, საბერძნეთისთვის აღდგენის გზა ჯერ ისევ გრძელია, თუმცა, 2018 წელმა გააჩინა გარკვეული ოპტიმიზმი, რომ ის ამ გზას ადგას. ევროზონის ამჟამინდელი პრობლემების მიუხედავად, ევროპული ვალუტის შექმნა უდავოდ ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ფინანსური

რეფორმაა და არსებობის პირველი 16 წლის მანძილზე მეტწილად წარმატებული გამოდგა.

6.3.8. ევროკავშირის გაფართოება


ევროკავშირის წარმატებამ მეზობელი სახელმწიფოებიც მოიზიდა. 2004 წლიდან ევროკავშირი 15 წევრიდან 28 წევრამდე გაიზარდა, რაც ევროკავშირის ფუნქციონირების თვალსაზრისით მასშტაბური ცვლილებების საწინდარი შეიძლება გახდეს.

ევროკავშირის ამჟამინდელ გაფართოვებას 2000 წლის ნიცის ხელშეკრულება წარმართავს, რომელიც ძალაში 2003 წელს შევიდა, მას შემდეგ რაც ირლანდიელმა ამომრჩევლებმა შეცვალეს თავდაპირველად გაკეთებული არჩევანი და მხარი დაუჭირეს ხელშეკრულებას (ბოლო ქვეყანა იყო, რომელმაც მისი რატიფიცირება მოახდინა). ახალი წევრები 2004 წელს შეურთდნენ: პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთი, უნგრეთი, სლოვენია, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, მალტა და კვიპროსი. ევროკომისიის წევრების რაოდენობა 25-მდე გაიზარდა, სადაც ხუთ დიდ სახელმწიფოს აღარ ჰყავდა 2 წარმომადგენელი და შემოღებულ იქნა კენჭისყრის ახალი წესები, რომელიც აღარ დგას კონსენსუსის მოთხოვნაზე. 2007 წელს რუმინეთისა და ბულგარეთის გაწევრიანების შედეგად ევროკავშირის წევრთა რაოდენობა 27-მდე გაიზარდა. ხორვატია, როგორც 28-ე წევრი, 2013 წელს დაემატა, რაც აჩვენებდა, რომ მიუხედავად ეკონომიკური სირთულეებისა, ევროკავშირი, მართალია ნელი ტემპებით, თუმცა გაფართოებას განაგრძობდა.

თურქეთი განაგრძობს ევროკავშირში გაწევრიანების მცდელობას, თუმცა თურქეთის პრეზიდენტმა 2018 წელს განაცხადა, რომ ის აღარ გააგრძელებდა ხვენნას გაწევრიანებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა 2002 წელს თურქეთს უარი უთხრა, მოგვიანებით დათანხმდა 2005 წელს გაწევრიანების თაობაზე თურქეთთან ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყებას, რომელიც თავის მხრივ წლებში გაწელილი პროცესია. ევროკავშირმა ვერ შეძლო თურქეთის სულფასოვან წევრობაზე კონსენსუსის მიღწევა. თურქეთის წევრობის მომხრეები შენიშნავენ, რომ ევროკავშირის წევრობისთვის თურქეთმა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები განახორციელა, სიკვდილით დასჯის გაუქმების და ადამიანის უფლებათა გაუმჯობესების ჩათვლით. შესაბამისად, სრული წევრობის მინიჭება ამ ცვლილებების ჯილდო და თურქეთის ქმედებებზე ნაცვალგების ნაგულისხმევი დანაპირების შესრულება იქნება. თურქეთის მშპ, რომელიც უკანასკნელ წლებში სწრაფად იზრდება, ევროკავშირის ეკონომიკას დაახლოებით 5%-ით გაზრდის, ხოლო თურქული მუშახელის მეშვეობით შესაძლებელია დასავლეთ ევროპაში არსებული სამუშაო ძალის დეფიციტის შემსუბუქება. თურქეთის წევრობის მხარდამჭერები ასევე ამტკიცებენ, რომ ევროკავშირის წევრის რანგში თურქეთი

გრაფიკი 6.5 შემოსავლების დონე ევროკავშირის ძველ და ახალ წევრებში, 2017 წელი

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები



შეასრულებს ევროკავშირს და მნიშვნელოვან, თუმცა არასტაბილურ ახლო აღმოსავლეთს შორის ხიდის როლს და სხვა ახლო აღმოსავლური ქვეყნებისთვის იქნება სეკულარული დემოკრატიული სახელმწიფოს მაგალითი. თურქეთი დაეხმარა ევროპას ბევრი სირიელი ლტოლვილის მიღებით, რისთვისაც ევროკავშირმა თურქეთს, 2015 წელს მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, 6 მილიარდი აშშ დოლარი გადაუხადა. თურქეთის წევრობის მოწინააღმდეგეები მიუთითებენ, რომ თურქეთი ევროკავშირში ერთადერთი მუსლიმური, თუმცა გერმანიის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქვეყანა იქნება. გერმანიაში უკვე მცხოვრები 2 მილიონი თურქი მოსახლეობის გათვალისწინებით, მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ევროკავშირის წევრობა დიდი და ღარიბი ქვეყნიდან იმიგრაციის ნიაღვარს გამოიწვევს, რომელიც წალეკავს ევრო-

კავშირის პატარა და მდიდარ სახელმწიფოებს. ეკონომიკურად, თურქეთი ყველაზე ღარიბი სახელმწიფო იქნება (იხ. გრაფიკი 6.5). თურქი ფერმერების სუბსიდირებისა და სოციალური პროგრამების გაფართოების ხარჯები ათობით მილიარდ ევროს მიაღწევს. ბოლოს, ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების მოწინააღმდეგები მოითხოვენ თურქეთის შეიარაღებული ძალების გაყვანას ევროკავშირის წევრი კვიპროსის ტერიტორიიდან, სადაც ბერძნულ-თურქული დაყოფა უკვე ათწლეულებია გრძელდება. 2010 წლიდან ევროზონის ფინანსურმა კრიზისმა დღის წესრიგიდან გააქრო თურქეთის ან სხვა ახალი წევრების მიღების საკითხი.

უკანასკნელ ათწლეულში ევროკავშირმა „შიდა" და „გარე" ფენებად დაყოფის ნიშნები გამოამჟღავნა, როდესაც ისეთი სახელმწიფოები, როგორიც საფრანგეთი და გერმანიაა სავალუტო კავშირს უერთდებიან და ინტეგრაციას აღრმავებენ, ხოლო ბრიტანეთი და სხვა ახალი წევრები ევროკავშირის გარე ზღუდეზე უფრო ავტონომიურად მოქმედებენ. თუმცა, ზოგიერთი მიმართულებით კვლავ ადგილი აქვს ინტეგრაციისკენ თანმიმდევრულ სვლას. 1995 წლიდან, ევროკავშირმა შექმნა და თანდათანობით გააფართოვა *შენგენის ზონა*, სადაც სასაზღვრო კონტროლი გაუქმებულია. შენგენის ზონაში ადამიანების და საქონლის მოძრაობა თავისუფლად,საზღვრებზე გაჩერების გარეშე, ხორციელდება. შენგენის ზონაში შედიან ევროკავშირის დიდი სახელმწიფოები (ბრიტანეთის გარდა, თავისივე სურვილით), ასევე ნორვეგია, ისლანდია და შვეიცარია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები ევროკავშირის წევრები არ არიან.

6.3.9 ლისაბონის ხელშეკრულება

ლისაბონის ხელშეკრულება (Lisbon Treaty)

ევროკავშირის შეთანხმება, რომელმაც ჩაანაცვლა ევროკავშირის კონსტიტუციის მიღების წარუმატებელი მცდელობა. ხელშეკრულებამ გაზარდა ევროკავშირის ცენტრალური ძალაუფლება და შეცვალა ხმის მიცემის პროცედურები წევრთა გაზრდილ რაოდენობას შორის.

ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების 25 მეთაურმა 2004 წელს ხელი მოაწერა ევროკავშირის კონსტიტუციას, რომელსაც 2005 წელს მტკიცედ დაუჭირა მხარი ევროპარლამენტმაც. ევროკავშირის კონსტიტუციის ძალაში შესასვლელად საჭირო იყო ოცდახუთივე წევრი ქვეყნის მიერ რატიფიცირება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვდა. ევროკავშირიის კონსტიტუციით იქმნებოდა ევროკავშირის უფრო ძლიერი პრეზიდენტის, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი, ხოლო ევროკავშირში გადაწყვეტილების მისაღებად კონსენსუსის მოთხოვნა ძირითად შემთხვევებში უმრავლესობის მხარდაჭერით იცვლებოდა. კონსტიტუციას ასევე უნდა შეესრულებინა ევროკავშირის ყველა მოქალაქის ფუნდამენტური უფლებების გარანტის ფუნქცია. თუმცა, ფრანგმა და ჰოლანდიელმა ამომრჩევლებმა საკონსტიტუციო რეფერენდუმები ჩააგდეს და ეს პროცესიც შეჩერდა. 2007 წელს, ევროკავშირმა შეიმუშავა კონსტიტუციის კიდევ ერთი პროექტი, **ლისაბონის ხელშეკრულება**. აღნიშნული ხელშეკრულება წინა კონსტიტუციის მსგავსი იყო, თუმცა რეფერენდუმზე მხოლოდ ირლანდიაში იქნა გატანილი (ლისაბონის ხელშეკრულება არ მოითხოვდა სახელმწიფო მასშტაბის კენჭისყრას,

რადგან კონსტიტუციისგან განსხვავებით არ ანაცვლებდა ევროკავშირის წინა ხელშეკრულებებს და მხოლოდ შესწორებები შეჰქონდა მათში). ხელშეკრულება ძალაში 2009 წელს შევიდა.

ლისაბონის ხელშეკრულებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ევროკავშირის სტრუქტურა და ყოველდღიური საქმიანობა. ზოგიერთი ცვლილება ხელს უწყობს უფრო მეტად სუპრანაციონალური გადაწყვეტილების მიღების პროცესს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ქარტიამ ყველა წევრი სახელმწიფოსთვის სამართლებრივად სავალდებულო ხასიათი შეიძინა. წევრ სახელმწიფოებს შორის საგარეო პოლიტიკის უკეთესი კოორდინაციისთვის შეიქმნა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი კომისრის ახალი თანამდებობა (აღნიშნული თანამდებობა უმალვე დავის საგანი გახდა, როდესაც უმაღლეს კომისრად შედარებით უცნობი ბრიტანელი ლორდი დაინიშნა).

მეორეს მხრივ, ზოგიერთი ცვლილება წევრ სახელმწიფოებსა და ინდივიდუალურ მოქალაქეებს ევროკავშირის ძალაუფლებაზე უფრო მეტი კონტროლის განხორციელების საშუალებას აძლევს. ამჟამად, წევრი სახელმწიფოების პარლამენტებს უფრო მეტი უფლებამოსილება აქვთ ევროკავშირში ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით (სავარაუდოდ ცუდი სიახლე თურქეთისთვის). სახელმწიფოების პარლამენტებს ახლა ასევე ეგზავნებათ კანონმდებლობის პროექტები შეფასებისა და რეაგირების მიზნით, ბრიუსელის მიერ ამ კანონების მიღებამდე. ლისაბონის ხელშეკრულება ასევე ცდილობს გამჭვირვალობის გაზრდას და მოითხოვს ევროკავშირის საბჭოს შეხვედრების საჯაროდ გამართვას. გარდა ამისა, ევროკავშირის მოქალაქეების პირდაპირი ჩართულობის გაზრდის მიზნით, ევროკომისია ვალდებულია განიხილოს ნებისმიერი შეთავაზება ან პეტიცია, რომელიც ერთ მილიონ ხელმოწერას დააგროვებს.

6.3.10 იმიგრაცია, ბრექსიტი და ევროპის მომავალი

ევროპის პოლიტიკურმა კრიზისებმა ევროკავშირისადმი მხარდაჭერაზე ნეგატიური გავლენის მოხდენა დაიწყო ბოლო ათწლეულის განმავლობაში. 2008-2009 წლების დიდი ეკონომიკური რეცესიის და საბერძნეთის ვალის კრიზისის შედეგების შემდეგ, 2015 წელს ევროპა მიგრაციის კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. 2015 წლის იანვარსა და 2016 წლის მარტის პერიოდში, მილიონი ლტოლვილი შევიდა ევროპაში საბერძნეთის გავლით. მათი უმეტესობა ნავებით მოდიოდა თურქეთიდან. ეს მიგრანტები გაურბოდნენ კონფლიქტებს სირიაში, ლიბიასა და ერაყში.

ევროკავშირმა კრიზისს უპასუხა გეგმის დამტკიცებით, რომლის თანახმადაც ლტოლვილების დიდი ნაწილი უნდა დაებინავებინათ, მიუხედავად წინააღმდეგობისა ჩეხეთის რესპუბლიკის, სლოვაკეთის, უნგრეთის და რუმინეთის მხრიდან. გეგმამ დაძაბა ურთიერთობები გერმანიასა და ახალ აღმოსავლეთ ევროპულ წევრებს შორის. ევროკავშირი დათა-

ნხმდა გადაეხადა თურქეთისთვის, რათა ამ უკანასკნელს ის ლტოლვილები, ვინც საბერძნეთში 2016 წლის მარტის შემდეგ ჩავიდნენ, უკან მიეღო. თითოეული ლტოლვილისთვის, რომელიც თურქეთმა საბერძნეთიდან უკან წაიყვანა, ევროკავშირი უზრუნველყოფდა თურქეთში მყოფი ლტოლვილების ევროკავშირში გადასახლებას (თურქეთში იმყოფება სირიის სამოქალაქო ომს გამოქცეული მილიონზე მეტი ლტოლვილი). ამავდროულად, ევროკავშირმა თურქეთს ლტოლვილების კრიზისთან გასამკლავებლად 3 მილიარდი ევრო გადაუხადა და ასევე, ნება დართო თურქეთის მოქალაქეებს სამოგზაურო ვიზის გარეშე ემოგზაურათ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში.

ევროკავშირის ბევრა წევრმა სახელმწიფომ და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებმა ეს შეთანხმება გააკრიტიკეს. დიდწილად ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზების გამო, ევროკავშირის წევრებს არ სურდათ სირიელი ლტოლვილების საკუთარ ქვეყნებში გადმოსახლება. რამდენიმე წევრი სახელმწიფო ჯერ კიდევ ებრძოდა უმუშევრობას დიდი რეცესიის და საბერძნეთის ვალის კრიზისის შემდეგ. წევრი სახელმწიფოები ასევე შეშფოთებულები იყვნენ იმ გარემოებით, რომ თავშესაფრის პროგრამით შესაძლოა ისლამური სახელმწიფოს ტერორისტებს ესარგებლათ, რომელიც სირიის ტერიტორიის ნაწილს აკონტროლებდა. ამ და სხვა წუხილებმა ევროკავშირის მოწინააღმდეგე პარტიების მიმართ მხარდაჭერის ზრდა გამოიწვია რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, საფრანგეთში, უნგრეთში, ფინეთსა და დანიაში.

ევროპის საწინააღმდეგო განწყობებმა დიდ ბრიტანეთში პიკს მიაღწია 2015 წლის ივნისში, როდესაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მომდევნო წლისთვის გეგმავდა რეფერენდუმს ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენასთან დაკავშირებით. მოსალოდნელი იყო, რომ ბრიტანეთის მიერ ევროკავშირიდან გასვლის რეფერენდუმი (ბრექსიტი) მიჯნაზე წარიმართებოდა, თუმცა, ბევრი დამკვირვებლის აზრით, საბოლოოდ მაინც სუპრანაციონალიზმის ძალები გაიმარჯვებდნენ. ბოლოსდაბოლოს, მიუხედავად ევროკავშირის წევრობისა, დიდი ბრიტანეთი ინარჩუნებდა ავტონომიურობას მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიც არის ფინანსები (ბრიტანეთი არ იყენებდა ევროს) და საგარეო პოლიტიკა.

თუმცა, 2016 წლის ივნისში, ბრიტანეთის მოქალაქეებმა მცირე სხვაობით (51.9 პროცენტი მხარდამჭერი) მხარი დაუჭირეს ევროკავშირიდან გასვლას. 2017 წლის 29 მარტს, დიდმა ბრიტანეთმა აამოქმედა ლისაბონის ხელშეკრულების შესაბამისი მუხლი, რომელმაც დაძრა მოლაპარაკებების 2 წლიანი პროცესი. ევროკავშირის წესების თანახმად, დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირი 2019 წლის 29 მარტს უნდა დატოვოს.

ბრექსიტის მოლაპარაკებებმა ბევრი საკითხი უნდა მოიცვას. ბრიტანეთმა უნდა გადაიხადოს ევროკავშირის დატოვების საფასური, რომლის მოცულობა უნდა შეთანხმდეს ბრიტანეთსა და დარჩენილ ევროკავშირის წევრებს შორის. ბრიტანეთში მყოფი ევროკავშირის მოქალაქეების

და ევროპაში მცხოვრები ბრიტანეთის მოქალაქეების სტატუსი უნდა გაირკვეს. ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს შორის საზღვრის გადაკვეთას ახალი წესები დასჭირდება, რამდენადაც ირლანდია გეგმავს ევროკავშირში დარჩენას. რა სტატუსი ექნება სავაჭრო ტარიფებს ბრიტანეთს და ევროკავშირს შორის? მოკლედ რომ ვთქვათ, ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პროცესი რთულია და მაღალი პოლიტიკური მნიშვნელობისაა. მაშინ როდესაც ბევრს შესაძლოა ბრიტანეთის დასჯა სურდეს გასვლის გადაწყვეტილების გამო, მათ შორის ისეთი მეთოდებით, როგორიც არის გასვლის გამო მაღალი საფასურის დაკისრება, ტარიფების დაწესება და მსგავსი, ბრიტანეთი რჩება ევროკავშირის ბევრი ქვეყნის ძირითად სავაჭრო პარტნიორად და ნატოს წევრია. როგორც ინსტიტუციონალური თეორიის მომხრეები გაამახვილებენ ყურადღებას, მომავლის აჩრდილი ჯერ კიდევ არსებობს მხარეებს შორის ურთიერთობებში, რაც გავლენას ახდენს მათ შორის დღეს არსებულ თანამშრომლობაზე. 2018 წლის მდგომარეობით, ჯერ კიდევ ბევრი დეტალია შესათანხმებელი, რომ ბრექსიტი შედგეს 2019 წლის გაზაფხულზე.

ევროკავშირის გარეთ, ევროპა ურთიერთგადაჯაჭვული და განსხვავებული წევრობის მქონე სტრუქტურების მოზაიკაა (იხ. გრაფიკი 6.6). ერთიანი ევროპული აქტის მიუხედავად, ჯერ კიდევ მრავალი ევროპა არსებობს. ევროკავშირის შიგნით არის „შიდა ექვსეული“ და ახალმოსულები, რომელთაც საკუთარი პრობლემები გააჩნიათ. ევროკავშირის საზღვრებთან არიან ევროპული თავისუფალი ვაჭრობის ზონის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ევროპულ ეკონომიკურ ზონაში შედიან. ნატოს წევრობა ნაწილობრივ ფარავს ევროკავშირს. რუსეთი და თვით ამერიკაც კი გარკვეულწილად ევროპული აქტორები არიან. ევროპაში ერთადერთი ნამდვილად უნივერსალური მთავრობათაშორისი ორგანიზაცია არსებობს – ევროპისა უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). 56 წევრისგან დაკომპლექტებული ეუთო კონსენსუსის საფუძველზე მოქმედებს, თუმცა ძალაუფლება თითქმის არ გააჩნია და ძირითადად უსაფრთხოების საკითხების განხილვების ადგილის ფუნქციას ასრულებს.

შესაბამისად, საერთაშორისო ინტეგრაცია მხოლოდ ერთ ჯგუფს ან ორგანიზაციას არ ეხება და უფრო მეტად სტრუქტურების მოზაიკაა, რომელიც სახელმწიფოებს ერთმანეთთან აკავშირებს. ევროპული პოლიტიკური სისტემის ეს განსხვავებული სტრუქტურები, რომელთა ცენტრშიც ევროკავშირი დგას, წარმოადგენენ მთავრობათაშორის ორგანიზაციებს, რომელთა წევრებიც სახელმწიფოები არიან. საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფო ურთიერთოებების დარეგულირების მიზნით ახალი სტრუქტურების შექმნით (როგორც სუპრანაციონალური, ისე ტრანსნაციონალური) ხელყოფენ სახელმწიფო სუვერენიტეტს. საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ნორმები სახელმწიფო სუვერენიტეტს კიდევ სხვაგვარად

გრაფიკი 6.6 ევროპული სახელმწიფოების თანმხვედრი წევრობები.

ზღუდავენ. კერძოდ, ისინი აყალიბებენ საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვის პრინციპებს, რომლებიც უპირისპირდება რეალიზმის ისეთ საკვანძო პრინციპებს, როგორებიცაა სუვერენიტეტი და ანარქია.

6.4 საერთაშორისო სამართალი

შეაფასეთ არგუმენტები, რამდენად ეფექტიანი ან არაეფექტიანია საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთა ქცევის შეზღუდვის თვალსაზრისით.

სახელმწიფო კანონებისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართალი საკანონმდებლო შტოს ან ცენტრალური ხელისუფლების ნაცვლად, ტრადიციისგან და სახელმწიფოთა ხელმოწერილი შეთანხმებებიდან მომდინარეობს. საერთაშორისო სამართალი ასევე განსხვავდება აღსრულების სირთულის ასპექტშიც, რომელიც დამოკიდებულია არა ცენტრალური მთავრობის ძალასა და უფლებამოსილებაზე, არამედ ორმხრივობის პრინციპზე, კოლექტიურ ქმედებასა და საერთაშორისო ნორმებზე.

6.4.1 საერთაშორისო სამართლის წყაროები

სახელმწიფოში მოქმედ კანონებს ცენტრალური ხელისუფლება იღებს, იქნება ეს საკანონმდებლო ორგანო თუ უშუალოდ დიქტატორი. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოები სუვერენულები არიან და ზემდგომ ხელისუფლებას არ აღიარებენ, საერთაშორისო სამართალი განსხვავებულ საფუძველზე დგას. გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციები კანონები არ არის და მათი უმრავლესობა წევრებისთვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. უშიშროების საბჭომ შესაძლოა სახელმწიფოებს გარკვეული ქმედება აიძულოს, მაგრამ ეს უფრო ბრძანებებია, ვიდრე კანონები, რადგან ვითარებაზეა მორგებული. არსებობს საერთაშორისო სამართლის ოთხი აღიარებული წყარო: ხელშეკრულებები, ჩვეულება, სამართლის ზოგადი პრინციპები (როგორიცაა თანასწორობა) და იურიდიული ნაშრომები (მათ შორის წარსულში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები).

საერთაშორისო სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო *ხელშეკრულებები* და სახელმწიფოების მიერ ხელმოწერილი სხვა წერილობითი შეთანხმებებია. საერთაშორისო ხელშეკრულებები ამჟამად ათასობით სქელტანიან ტომეულშია წარმოდგენილი, სადაც თითოეული ათობით ათას ცალკე აღებულ შეთანხმებას მოიცავს. საერთაშორისო სამართლის პრინციპი ადგენს, რომ აუცილებელია ხელმოწერილი და რატიფიცირებული ხელშეკრულებების დაცვა (***pacta sunt servanda***). სახელმწიფოები ხელმოწერილი ხელშეკრულებების პირობებს არღვევენ, თუკი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ან ჯარიმა ამ დარღვევისთვის ძალიან მცირეა. აშშ-ში სენატის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულე-

ბები სახელმწიფოს უმაღლეს კანონად ითვლება და კონგრესის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ტოლფასი იურიდიული ძალა ენიჭებათ.

ხელშეკრულებებს და საერთაშორისო ვალდებულებებს, როგორიცაა ვალი, სავალდებულო ხასიათი გააჩნიათ სამართალმემკვიდრე მთავრობებისთვის. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორ მოვიდა ახალი მთავრობა ხელისუფლებაში – არჩევნების, გადატრიალების თუ რევოლუციის გზით. 1990 წლის პერიოდში აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი რევოლუციების შემდეგ, კომუნისტი ნინამორბედების მიერ დაგროვილ ვალებზე პასუხისმგებლობის აღება ახალ დემოკრატიულ მთავრობებს მოუხდათ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც კი, რუსეთმა, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფომ, საბჭოთა პერიოდში აღებული ვალების გადახდის და საბჭოთა კავშირის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების დაცვის ვალდებულება აიღო. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუცია სახელმწიფოს აღებული ვალდებულებებისგან არ ათავისუფლებს, ზოგიერთ ხელშეკრულებაში თავის დასაღწევი მუხლი დევს, რომლითაც სახელმწიფოებს შესაბამისი ვადების დაცვით ინფორმირების შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის დარღვევის გარეშე ხელშეკრულებიდან გასვლა შეუძლიათ. 2001 წელს აშშ-მა დაიცვა ექვსი თვით ადრე შეტყობინების ვალდებულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან გასვლამდე.

თითოეული სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლის საბაზისო პრინციპების პატივისცემის უნივერსალური ვალდებულებიდან გამომდინარე, გაეროს ქარტია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულებაა. შედარებით კონკრეტული ხასიათის ხელშეკრულებების, მაგალითად თევზის რენვის მენეჯმენტის შესახებ შეთანხმებისგან განსხვავებით, გაეროს ქარტიას უფრო ფართო მნიშვნელობა გააჩნია. თუმცა, სპეციალიზებული შეთანხმებების ინტერპრეტირება, როგორც წესი, უფრო ადვილია და უფრო მარტივად აღსრულებადია, ვიდრე ქარტიის მსგავსი ფართო ხელშეკრულებები. საერთაშორისო სამართლის კიდევ ერთ საკვანძო მნიშვნელობის ხელშეკრულებას წარმოადგენს 1949 წლის ჟენევის კონვენცია (რომლითაც გაფართოვდა 1864 წლის კონვენცია), რომელიც სხვა შესაბამის საკითხებთან ერთად განსაზღვრავს ომის კანონებს მშვიდობიან მოქალაქეების და ტყვეების დაცულობასთან დაკავშირებით.

ჩვეულება საერთაშორისო სამართლის მეორე უმთავრესი წყაროა. თუ სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთნაირად იქცევიან, აღნიშნული ქცევა შესაძლოა ზოგადად მიღებულ პრაქტიკად დამკვიდრდეს და კანონის სტატუსი მიიღოს. ამ მხრივ, დასავლური საერთაშორისო სამართალი (თუმცა არა ისლამური სამართალი) პოზიტივისტურია, ანუ საღვთო ან ბუნებითი სამართლის აბსტრაქტული ცნებების ნაცვლად ეყრდნობა რეალურად არსებულ ჩვე-

ულებას, პირადი ინტერესების პრაქტიკულ რეალობებს და თანხმობის საჭიროებას.

საერთაშორისო სამართლის წყაროს ფუნქციას ასევე ასრულებს *სამართლის ზოგადი პრინციპები*. უმრავლეს სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემაში, ისეთი ქმედებებს, როგორებიცაა ქურდობა და თავდასხმა, დანაშაულის კვალიფიკაცია ენიჭებათ და საერთაშორისო კონტექსტშიც მსგავსად აღიქმებიან. ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობა უკანონო იყო ერაყის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების (მათ შორის გაეროს ქარტიის და არაბთა ლიგის) და იმ ჩვეულების გამო, რომლის ფარგლებშიც ერაყს და ქუვეითს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოებს, მშიდობიანი თანაცხოვრების გამოცდილება გააჩნდათ. გარდა ხელშეკრულებებისა თუ ჩვეულებისა, ინტერვენციამ დაარღვია საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპი, რომ ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორია დაიპყროს და ძალის გამოყენებით მისი ანექსია მოახდინოს (რა თქმა უნდა, რეალობაში სახელმწიფო შესაძლოა მაინც ფიქრობდეს, რომ მას შერჩება საერთაშორისო სამართლის ასეთი დარღვევა).

საერთაშორისო სამართლის მეოთხე წყარო, რომელსაც მსოფლიო სასამართლო სხვა წყაროების დამხმარე წყაროდ მიიჩნევს არის *იურიდიული ნაშრომები* – მთელი მსოფლიოს მოსამართლეებისა და იურისტების მიერ სადავო საკითხების შესახებ წერილობითი ფორმით წარმოდგენილი არგუმენტები. მხედველობაში შესაძლოა მიღებულ იქნას მხოლოდ სამართლის დარგში მაღალი კვალიფიკაციის მქონე და პატივსაცემი ფიგურების ნაშრომები და ისიც მხოლოდ ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა გადაწყვეტა საერთაშორისო სამართლის დანარჩენი სამი წყაროს გამოყენებით ვერ ხერხდება.

საერთაშორისო სამართალი ხშირად ჩამორჩება ნორმების ცვლილებებს; სამართალი საკმაოდ არის მიჯაჭვული ტრადიციებს. კონკრეტული ქმედებები, მაგალითად შპიონაჟი, ტექნიკურად უკანონოა, მაგრამ მასზე იმდენად ფართოდ ხუჭავენ თვალს, რომ საერთაშორისო ნორმების დარღვევად არ განიხილება. ზოგიერთი სხვა ქმედება ჯერ კიდევ ლეგალურია, თუმცა მას ნეგატიურად აღიქვამენ და არანორმალურად მიიჩნევენ. მაგალითად, 1989 წელს ჩინეთის მიერ სტუდენტური დემონსტრაციის დახვრეტით დაირღვა საერთაშორისო ნორმები, მაგრამ არა საერთაშორისო სამართალი.

6.4.2 საერთაშორისო სამართლის აღსრულება

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის ეს წყაროები მას სახელმწიფო სამართლისგან განასხვავებს, კიდევ უფრო მეტად განსხვავდება ამ ორი ტიპის სამართლის აღსრულება. საერთაშორისო სამართლის აღსრულება გაცილებით უფრო რთულია. არ არსებობს მსოფ-

ლიოს საპოლიციო ძალა. საერთაშორისო სამართლის აღსრულება დამოკიდებულია უშუალოდ სახელმწიფოების ძალაზე, რომ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად დასაჯონ საერთაშორისო სამართლის დამრღვევები.

საერთაშორისო სამართლის აღსრულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ორმხრივობის პრინციპზე (იხ. თავი 1). სახელმწიფოები საერთაშორისო სამართალს ძირითადად იმიტომ იცავენ, რომ უნდათ სხვა სახელმწიფოებმაც იგივე გააკეთონ. მეორე მსოფლიო ომში, მხარეების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე თავშეკავებას განაპირობებდა არა ის ფაქტი, რომ რომელიმე მხარეს ასეთი იარაღის ამკრძალავი ხელშეკრულების აღსრულება შეეძლო, არამედ ის, რომ მეორე მხარეც გამოიყენებდა ქიმიურ იარაღს და ორივე მხარეს ძალიან მაღალი საფასურის გადახდა მოუწევდათ. საერთაშორისო სამართალი გარკვეულ გარემოებებში აღიარებს რეპრესალიების ლეგიტიმურობას: ქმედებები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით არალეგალურია, შეიძლება ზოგჯერ კანონიერი იყოს, თუ სხვა სახელმწიფოს უკანონო ქმედებების პასუხად იქნება გამოყენებული.

საერთაშორისო სამართლის დამრღვევმა სახელმწიფომ, შესაძლოა სახელმწიფოთა ჯგუფის ერთობლივი პასუხი მიიღოს. ეს შესაძლოა იყოს სანქციების დაწესება, ანუ სახელმწიფოებს შორის შეთანხმება დამრღვევი სახელმწიფოს დასჯის მიზნით მასთან ვაჭრობის, ან გარკვეული საქონლით ვაჭრობის (ყველაზე ხშირად სამხედრო პროდუქცია) შეჩერების შესახებ. დროთა განმავლობაში, სანქცირებული სახელმწიფო შესაძლოა სახელმწიფოთა საზოგადოებიდან გარიყულად იქცეს, რომელიც მოკლებულია სხვებთან ნორმალური ურთიერთობების საშუალებას. დღევანდელ სამყაროში ამის ფასი ძალიან მაღალია, რადგან ეკონომიკური კეთილდღეობა დამოკიდებულია ვაჭრობასა და ეკონომიკურ გაცვლაზე მსოფლიო ბაზრებზე. ლიბია საერთაშორისო თანამეგობრობაში იზოლირებული სტატუსის გამო ათწლეულების მანძილზე იმყოფებოდა მძიმე ვითარებაში და 2003 წელს სუფთა ფურცლიდან დაწყება და ნორმალური სტატუსის დაბრუნება გადაწყვიტა. კერძოდ, ლიბიამ აღიარა გასულ წლებში მომხდარ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა, დაიწყო მსხვერპლებისთვის კომპენსაციის გადახდა და დათანხმდა საკუთარი ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის პროგრამების დახურვასა და დემონტაჟზე.

მსოფლიოს ზესახელმწიფოც კი საერთაშორისო სამართლის დაცვის მიზნით, ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარ თავს გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს. მაგალითად, 2002 წელს დააკავეს ჩრდილოეთ კორეული სატვირთო გემი, რომელსაც იემენში ფარულად გადაჰქონდა 15 ერთეული სკად-ის ტიპის რაკეტა. აშშ-ს, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა, ასეთი შეიარაღების გავრცელების წინააღმდეგ მკაფიოდ გამოხატული სახელმწიფო ინტერესი გააჩნდა და მისი პრევენციის ძალაც შესწევდა. თუმცა, როდესაც აშშ-ის მთავრობის იურისტებმა დაადგინეს, რომ ამ ტვირთის

ტრანსპორტირება არ არღვევდა საერთაშორისო სამართალს, ამშ-მა უკან დაიხია და ხომალდს გზის გაგრძელების საშუალება მისცა.

საერთაშორისო სამართლის აღსრულებას ორმხრივობის და კოლექტიური რეაგირების მეშვეობით ერთი დიდი სისუსტე აქვს – ის მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფო ძალაზე. ორმხრივობა მხოლოდ მაშინ მუშაობს, როდესაც დაზარალებულ სახელმწიფოს შეუძლია დამრღვევს ზარალი მიაყენოს. თუ საერთაშოროსო სამართალი იქამდე ვრცელდება, სადამდეც ამის საშუალებას ძალა იძლევა, მაშინ რა სარგებელია მასში? პასუხი არის ძალასთან დაკავშირებულ გაურკვევლობაში (იხ. თავი 2). თამაშის წესების შესახებ საერთო მოლოდინების და აქტორების უმრავლესობის მიერ დროის უმეტეს პერიოდში ამ წესების დაცვის გარეშე, მხოლოდ ძალა ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში დიდ არასტაბილურობას გამოიწვევდა. საერთაშორისო სამართალი, სრულყოფილი აღსრულების გარეშეც, ქმნის მოლოდინებს, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოთა სამართლებრივი ქცევა. რადგან დარღვევები და გადაცდომები აშკარა ხდება, იმ სახელმწიფოების იდენტიფიცირება და დასჯა, ვინც მიღებულ წესებს არ ემორჩილება, შედარებით ადვილია. როდესაც სახელმწიფოები წესებს ეთანხმებიან ხელშეკრულებების ხელმოწერით (როგორიც არის გაეროს ქარტია) დარღვევები უფრო ცხადი ხდება და მკაფიოდ არალეგიტიმურიც. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ძალაუფლება კვლავ სახელმწიფოთა ხელში რჩება, საერთაშორისო სამართალი აწესებს სამუშაო წესებს, რომლებიც ამ სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან. ამის შედეგად შექმნილი სტაბილურობა იმდენად მომგებიანია, რომ როგორც წესი, წესების დარღვევასთან დაკავშირებული საფასური უფრო მაღალია, ვიდრე ის მოკლევადიანი სარგებელი, რაც ასეთი დარღვევით შეიძლება მიიღო.

6.4.3 მსოფლიო სასამართლო

მსოფლიო სასამართლო (World Court)

ასევე უწოდებენ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს. – გაეროს სასამართლო შტო, რომელიც ჰაagaში მდებარეობს. მსოფლიო სასამართლო იხმენს მხოლოდ სახელმწიფოთა შორის არსებულ დავებს.

საერთაშორისო სამართლის განვითარების ფონზე, დაიწყო ზოგადი სახის მსოფლიო სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება, სადაც სახელმწიფოებს ერთმანეთის წინააღმდეგ დავის წარმოება შეუძლიათ. აღნიშნული სისტემა ჩანასახოვანი სახით მსოფლიო სასამართლოს ფორმით არსებობს (ოფიციალური სახელწოდება არის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო), თუმცა მისი იურისდიქცია შეზღუდულია, განსახილველ საქმეთა რაოდენობა კი მცირე. მსოფლიო სასამართლო გაეროს შტოა. მსოფლიო სასამართლოში სარჩელის შეტანა, ან მოპასუხედ წარდგომა მხოლოდ სახელმწიფოებს შეუძლიათ და არა ინდივიდებს, ან ბიზნესებს. როდესაც სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ უკმაყოფილების საბაბი გააჩნია, მაშინ მიუკერძოებელი განხილვისთვის საქმე შესაძლოა გადაცემულ იქნას მსოფლიო სასამართლოზე. გაეროს უშიშროების საბჭომ ან გენერალურმა ასამბლეამ შესაძლოა ასევე მოი-

თხოვონ სასამართლოს სარეკომენდაციო შეფასება საერთაშორისო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით.

მსოფლიო სასამართლო ცხრაწლიანი ვადით არჩეული 15 მოსამართლოსგან (ყოველ სამ წელიწადში 5 მოსამართლე ირჩევა) შედგება, რომელთაც უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის წევრთა უმრავლესობა ირჩევს. სასამართლო ნიდერლანდების ქალაქ ჰააგაში იცრიბება. ერთ-ერთი მოსამართლე როგორც წესი ყოველთვის არის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის მოქალაქე, თუმცა, ეს უფრო ჩვეულებით არის ასე განსაზღვრული და არა რაიმე ოფიციალური წესით. აღნიშნულ 15 მოსამართლეს შესაძლოა კიდევ დაემატოს საგანგებო მოსამართლე, თუ განსახილველი საკითხის მხარეს არ ჰყავს თავისი მოქალაქე მოსამართლის რანგში.

მსოფლიო სასამართლოს დიდ სისუსტეს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს ამომწურავი შეთანხმების მიღწევა, თუ როგორ უნდა მოხდეს სასამართლოს იურისდიქციის გავრცელება ან სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება. თითქმის ყველა სახელმწიფომ მოაწერა ხელი სასამართლოს შექმნის ხელშეკრულებას, მაგრამ მხოლოდ მესამედმა მოაწერა ხელი ხელშეკრულების დისპოზიტიურ ნორმას, რომლითაც სახელმწიფო თანხმდება კონკრეტულ შემთხვევებში სასამართლოსთვის იურისდიქციის მინიჭებაზე, ხოლო ხელმომწერთა დიდმა ნაწილმა საკუთარი დათქმები დაამატა, რომელიც უზრუნველყოფს მათ უფლებებს და ზღუდავს სასამართლოს მიერ ეროვნული სუვერენიტეტის დარღვევის მასშტაბს. მაგალითად, 2012 წელს კოლუმბია ხელშეკრულებიდან გავიდა, მას შემდეგ რაც მსოფლიო სასამართლომ სადავო ტერიტორიული წყლები ნიკარაგუას მიაკუთვნა. მსგავსად ამისა, ირანმა უარყო სასამართლოს იურისდიქციის აღიარება, როდესაც აშშ-მა სარჩელი შეიტანა 1979 წელს ირანის მიერ თეირანში აშშ-ს საელჩოს დაკავების გამო. ასეთ შემთხვევებში სასამართლო მაინც განიხილავს შემოტანილ სარჩელს და როგორც წესი მონაწილე სახელმწიფოს სასარგებლო გადაწყვეტილებას იღებს, მაგრამ გადაწყვეტილების აღსრულების საშუალება არ გააჩნია. სამართალი ასევე ნელა მოძრაობს. 2007 წელს, 14 წლიანი წინასწარი მანევრირების შემდეგ, სასამართლომ ბოსნიის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო, ბოსნიის სარჩელზე, რომელიც სერბეთს გენოციდში ადანაშაულებდა.

მის ერთ-ერთ ყველაზე უფრო აღსანიშნავ წარმატებულ შემთხვევაში, 2002 წელს, მსოფლიოს სასამართლომ კამერუნ-ნიგერიის საზღვარზე არსებულ ნავთობით მდიდარ ნახევარკუნძულთან დაკავშირებით არსებული ხანგრძლივი და პერიოდულად ძალადობრივი კონფლიქტი მოაგვარა. ნახევარკუნძული კამერუნს გადაეცა და ნიგერიამ (რომელიც უფრო ძლიერი სახელმწიფოა) საკუთარი ჯარები 2006 წელს გაიყვანა.

მსოფლიო სასამართლო ძირითადად ერთმანეთთან საერთო ჯამში მეგობრული ურთიერთობების მქონე სახელმწიფოებს შორის მეორადი მნიშვნელობის საქმეების არბიტრაჟს ახორციელებს. აშშ-მა კანადასთან

და იტალიასთან კომერციული დავები სასამართლოს მეშვეობით დაარეგულირა. გამომდინარე იქიდან, რომ ფსონზე უსაფრთხოების საკითხები არ დევს და კონკრეტულ საკითხთან შედარებით ზოგადად მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფოები სასამართლოს იურისდიქციას ემორჩილებიან. 2004 წელს სასამართლომ დაავალდებულა აშშ გადაეხედა მექსიკის მოქალაქეებისთვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენისთვის და ენახა, საქმეში პრობლემატურ ასპექტს ხომ არ წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ სიკვდილმისჯილ პირებს მექსიკის ოფიციალურ პირებთან კომუნიკაციის საშუალება არ ჰქონდათ. გრაფიკი 6.7. ასახავს სასამართლოს ერთ-ერთ ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებას, არგენტინასა და ურუგვაის შორის დავასთან დაკავშირებით.

მსოფლიო სასამართლოში მნიშვნელოვან კონფლიქტებთან დაკავშირებით აღსრულებადი შეთანხმებების მიღწევის სირთულიდან გამომდინარე, სახელმწიფოები წლების განმავლობაში სასამართლოს იშვიათად მიმართავენ. წელიწადის განმავლობაში 10 ან კიდევ უფრო ცოტა საქმე განიხილება (1947 წლის შემდეგ სულ მიღებულ იქნა 150 გადაწყვეტილება და სარეკომენდაციო მოსაზრება).

6.4.4 საერთაშორისო საქმეები ეროვნულ სასამართლოებში


საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით არსებული სამართლებრივი საქმეების უმრავლესობა, მათი წარმდგენი სუბიექტის – მთავრობების, კერძო პირების ან კომპანიების მიუხედავად, სრულად რჩება ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში. სახელმწიფო სასამართლოები განიხილავენ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენილ საქმეებს და განაჩენის აღსრულება ზარალის ანაზღაურებით (სამოქალაქო სარჩელებში) ან სასჯელის მისჯით (სისხლის სამართლის დანაშაულებში) შეუძლიათ.

მხარე, რომელსაც აქვს დავა, რომელიც საერთაშორისო საზღვრებს კვეთს, რამდენიმე უპირატესობას იძენს საქმის ერთი ან რამდენიმე შესაბამისი სახელმწიფოს სასამართლოებში და არა საერთაშორისო არხებით განხილვის შემთხვევაში. პირველ რიგში, განაჩენი აღსრულებადია. მხარეს, რომელიც ეროვნულ სასამართლოში სხვა მხარის წინააღმდეგ იმარჯვებს, შეუძლია სახელმწიფოში მეორე მხარის აქტივებიდან უზრუნველყოს ზარალის ანაზღაურება. მეორე რიგში, ეროვნული სასამართლოების მეშვეობით სასამართლო დავის წარმოება შეუძლიათ ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს (ისევე როგორც ქვესახელმწიფოებრივ სამთავრობო უწყებებს), მაშინ როდესაც საერთაშორისო სამართალში უმეტესწილად სახელმწიფოებს უწევთ საკუთარი მოქალაქეების სახელით სარჩელის შეტანა (რეალურად, მთავრობებიც კი ერთმანეთის საწინააღმდეგო სამართლებრივ დავებს ეროვნული სასამართლოებში ეწევიან).

გრაფიკი 6.7 მსოფლიო სასამართლოში წარდგენილი საქმე არგენტინა ურუგვაის წინააღმდეგ

წყარო: **მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საფუძველზე.**

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო 1975 წელს არგენტინამ და ურუგვაიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საზღვრისპირა მდინარის შესახებ.



მესამე მხრივ, ხშირად არსებობს არჩევანი რამდენიმე სახელმწიფოს შორის, სადაც შესაძლებელია საქმის სასამართლო განხილვა. კერძოდ, შესაძლებელია შეირჩეს ერთ-ერთი მხარისთვის ყველაზე ხელსაყრელი სამართლებრივი სისტემა. თითოეული სახელმწიფოს სასამართლო სისტემამ უნდა გადაწყვიტოს გააჩნია თუ არა მას იურისდიქცია მოცემულ საქმეზე (განხილვის უფლება), სასამართლოები კი საკუთარი უფლებამოსილების ფართო ინტერპრეტირებისკენ იხრებიან. ტრადიციულად, ეროვნულ სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმეები, რომლებიც ეხება ნებისმიერ ქმედებას ჩადენილს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ სახელმწიფოს მოქალაქეების ქმედებას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და ამ მოქალაქეების მიმართ განხორციელებულ ქმედებას ასევე მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ ეროვნული სასამართლოების გამოყენება ზარალის ასანაზღაურებლად მოქალაქეების იძულების მიზნით, რადგან ეროვნულ სასამართლოებს გააჩნიათ ჯარიმის შეფარდების და საჭიროების შემთხვევაში საბანკო ანგარიშებისა და ქონების დაყადაღების უფლებამოსილება.

აშშ-ს დავების განხილვისთვის ხელსაყრელი მართლმსაჯულების სისტემა გააჩნია, რასაც ორი მიზეზი განაპირობებს. პირველ რიგში, აშშ-ის ნაფიც მსაჯულებს აქვთ რეპუტაცია, რომ დავებზე უფრო მაღალ კომპენსაციებს ადგენენ, ვიდრე სხვაგან მთელ მსოფლიოში (შეიძლება იმიტომაც, რომ აშშ მდიდარი ქვეყანაა). მეორე მხრივ, გამომდინარე იქიდან, რომ ბიზნესს აშშ-ში ძალიან ბევრი ადამიანი და მთავრობა ეწევა, ხშირად შესაძლებელია აშშ-ის სასამართლოს მიერ დადგენილი ზარალის ანაზღაურება.

თუმცა, საერთაშორისო დავების განსახილველად ეროვნული სასამართლოების გამოყენებაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვები არსებობს. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ეროვნული სასამართლოს უფლებამოსილება ქვეყნის საზღვრებთან ჩერდება, იქ სადაც წყდება ქვეყნის სუვერენიტეტიც.

სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მყოფი პირის სასამართლოზე წარსადგენად, ამ სახელმწიფოს მთავრობამ თხოვნით უნდა მიმართოს მეორე სახელმწიფოს მთავრობას, რომ დააპატიმროს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი პირი და გადასცეს პირველი ქვეყნის მართლმსაჯულებას. აღნიშნულ პროცესს *ექსტრადიცია* ეწოდება და საერთაშორისო სამართლის სფეროს განეკუთვნება, რადგან სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. ასეულობით ასეთი ხელშეკრულება არსებობს და ბევრი მათგანი ასობით წლის წინ არის დადებული. ასეთი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, ძებნილი პირი ქვეყნის ტერიტორიის გარეთ დარჩენით ახერხებს მართლმსაჯულებისთვის თავის დაღწევას.

უცხოელებთან მიმართებაში ეროვნული სასამართლოების იურისდიქციასთან დაკავშირებით რუხი ზონები არსებობს. თუ სახელმწიფო

შეძლებს ექვმიტანილის ღია ზღვებში გატყუებას, მაშინ შეუძლია ამ პირის დაკავება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიულობის დარღვევის გარეშე. უფრო მეტად პრობლემურია შემთხვევები, როდესაც ქვეყანა ეროვნულ სასამართლოზე გადაცემის მიზნით ექსტრადიციის პროცედურების გარეშე უცხო ქვეყანაში აკავებს უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

ტერიტორიულობის პრინციპი ასევე აწესრიგებს *საიმიგრაციო სამართალს*. როდესაც ადამიანები ახალი ქვეყნის საზღვარს გადაკვეთენ, აღნიშნული სახელმწიფო ადგენს, თუ რამდენ ხანს და რა პირობებში შეუძლიათ ამ ადამიანებს იქ დარჩენა. მშობლიურ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ადამიანების დაბრუნება აიძულოს. სახელმწიფოს კანონმდებლობით უცხოელებისთვის დადგენილია სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამგზავრების, შესვლის, შრომითი საქმიანობის წარმოების და ზოჯერ მოქალაქეობის მოპოვების პირობები (ნატურალიზაცია). საკუთარი ქვეყნებიდან გასული ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ხალხის მიერ მრავალი სხვა იურიდიული საკითხიც წარმოიქმნება – პასპორტები და ვიზები, უცხო ქვეყანაში დაბადებული ბავშვები, უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ქორწინება, საბანკო ანგარიშები, ბიზნესები, გადასახადები და ა.შ. აღნიმნული საკითხების დარეგულირების პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, მაგრამ ზოგად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოს ტერიტორიაზე უპირატესი ძალა ამ სახელმწიფოს კანონებს ენიჭებათ.

საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებში ეროვნულ სასამართლოთა სისტემის მნიშვნელობის და მსოფლიო სასამართლოში აღსრულების ძალის დეფიციტის მიუხედავად, არასწორი იქნებოდა დასკვნა, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტი უზენაესია, ხოლო საერთაშორისო სამართალი უძლური. რეალურად, საერთაშორისო ურთიერთქმედებებში არსებობს ბალანსი სუვერენულობასა და სამართალს შორის. ამ თავის დანარჩენ ნაწილში შევეხებით საერთაშორისო სამართლის კონკრეტულ ასპექტებს, მათ შორის ყველაზე მტკიცედ ფესვგადგმულ და უნივერსალურად დაცულ და შედარებით ახალ და ნაკლებად დამკვიდრებულ მიმართულებებს. თითოეულ ამ მიმართულებაზე, სამართლისა და ნორმების გავლენა სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუზღუდავი განხორციელების წინააღმდეგობას აწყდება. აღნიმნული ბრძოლა კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს დიპლომატიური სამართლის ხანგრძლივი ტრადიციებიდან ადამიანის უფლებების შედარებით ახალ ნორმებზე გადასვლის ფონზე.

6.4.5 დიპლომატიის კანონები

საერთაშორისო სამართლის ქვაკუთხედს დიპლომატების უფლებების პატივისცემა წარმოადგენს. ამ სფეროში ქცევის სტანდარტები დეტალურად არის განსაზღვრული, უნივერსალური ხასიათისაა და ძალიან მნიშ-

ვნელოვნად არის მიჩნეული. სახელმწიფოთა შორის ნებისმიერი ურთიერთობებისთვის, ალბათ საყოველთაო ომის გარდა, აუცილებელია დიპლომატიური საქმიანობის წარმართვა. ხუთი საუკუნის წინ საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებიდანმოყოლებული, გაუმართლებლად მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში გაგზავნილი ემისარისთვის ზიანის მიყენება ამ სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

დიპლომატიური აღიარება (Diplomatic Recognition)
საელჩოებისა და ელჩის, როგორც სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლის სტატუსის ოფიციალურად განსაზღვრის პროცესი.

საელჩოების და ელჩის, როგორც სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლის სტატუსი მკაფიოდ არის განსაზღვრული **დიპლომატიური აღიარების** პროცესით. მასპინძელ სახელმწიფოში ხდება დიპლომატების აკრედიტება ხელისუფლებასთან (დიპლომატები გადასცემენ რწმუნებულებებს) და ამის შემდეგ მასპინძელ ქვეყანაში აკრედიტებული პირები უცხოელი დიპლომატის რანგში სათანადო უფლებებითა და დაცულობით სარგებლობენ. დიპლომატებს აქვთ მასპინძელ ქვეყანაში საელჩოს გახსნის უფლება, რომელზეც წარმგზავნი ქვეყნის ნებართვის გარეშე არ ვრცელდება მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობა. აქედან გამომდინარე, საელჩოები ზოგჯერ თავშესაფარს აძლევენ დისიდენტებს, რომლებიც საკუთარ ხელისუფლებას გაურბიან.

დიპლომატიური იმუნიტეტი (Diplomatic Immunity)
პრივილეგია, რომლის თანახმადაც დიპლომატების საქმიანობა მასპინძელი ქვეყნის ეროვნული სასამართლოების იურისდიქციას არ ექვემდებარება.

დიპლომატები **დიპლომატიური იმუნიტეტით** სარგებლობენ საელჩოს ტერიტორიის დატოვების შემთხვევაშიც კი. დიპლომატების მგზავრობის უფლება ქვეყნების მიხედვით განსხვავდება – შეიძლება დიპლომატს მხოლოდ ერთ ქალაქში გადაადგილების უფლება გააჩნდეს, ან მთელ ქვეყანაში თავისუფალი მიმოსვლის საშუალებას ჰქონდეს. ყველა სხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისგან განსხვავებით, დიპლომატებზე არ ვრცელდება მასპინძელი სახელმწიფოს სასამართლოების იურისდიქცია. მათ მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, წითელზე გავლა იქნება ეს თუ მკვლელობა, შესაძლოა მათი დაპატიმრება არ მოხდეს. მასპინძელ ქვეყანას მხოლოდ დიპლომატის აკრედიტაციის გაუქმება და მისი ქვეყნიდან გაძევება შეუძლია. თუმცა, ძლიერი სახელმწიფოები ზოგჯერ ზეწოლას ახდენენ სუსტ ქვეყნებზე, რომ მათ საკუთარ დიპლომატებს იმუნიტეტი მოუხსნან და ჩადენილი დანაშაულის გამო მასპინძელი ქვეყნის სასამართლოს წინაშე წარდგნენ.

დიპლომატიური იმუნიტეტის ფაქტორის გათვალისწინებით, შპიონაჟი ყველაზე ხშირად, საელჩოს გარეთ, დიპლომატიური კორპუსის მეშვეობით ხორციელდება. ჯაშუშებს ხშირად ნიშნავენ საელჩოების დაბალ თანამდებობაზე, როგორიცაა კულტურის ატაშე, პრესასთან ურთიერთობის ოფიცერი ან სამხედრო ატაშე. თუ მასპინძელი სახელმწიფო ჯაშუშობის ფაქტს გამოავლენს, მას ჯაშუშების პასუხისგებაში მიცემა არ შეუძლია და მხოლოდ გაძევებით უნდა შემოიფარგლოს. დიპლომატიური ნორმები (თუმცა არა სამართალი) ჯაშუშების გაძევებისას ეთიკური ნორმების დაცვისკენ მოუწოდებს. ამ შემთხვევაში სტანდარტულ მიზეზად სახელდება „დიპლომატიურ სტატუსთან შეუფერებელი საქმიანობა“. თუ ჯაშუში ბიზნესმენის ან ტურისტის საფარქვეშ მოქმედებს, მაშინ მასზე იმუნიტეტი არ



მიუნჯდომელი საერთაშორისო სამართალი კრძალავს დიპლომატებსა და საელჩოებზე თავდასხმას. საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპების მსგავსად, ამ ფუნდამენტური პრინციპის აღსრულებაც ორმხრივობის პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება. როდესაც „ვიკილიქსის“ დამფუძნებელმა მვედეთში ექსტრადიციისგან თავის დაღწევის მიზნით თავი ლონდონში მდებარე ეკვადორის საელჩოს შეაფარა, ბრიტანეთის მთავრობა განიხილავდა საელჩოში ძალით შესვლისა და მისი დაკავების გეგმას, მაგრამ საბოლოოდ მასზე უარი თქვა. სურათზე, 2017 წლის გაზაფხულზე „ვიკილიქსის“ დამფუძნებელი საელჩოს აივნიდან განცხადებას აკეთებს, რომ ის გააგრძელებს საელჩოში ცხოვრებას (ის იქ 2012 წლიდან ცხოვრობს).

ვრცელდება და შესაძლებელია მისი დაკავება და გასამართლება მასპინძელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა ნიშნავს დიპლომატების გამოყვანას მასპინძელი სახელმწიფოდან და ამ სახელმწიფოს დიპლომატების გაძევებას საკუთარი ტერიტორიიდან. აღნიშნული ტაქტიკა გამოიყენება სხვა სახელმწიფოს მიმართ უკმაყოფილების გამოსახატად და გულისხმობს ურთიერთობების ჩვეულებრივი ფორმით გაგრძელებაზე უარის თქმას. როდესაც ორ ქვეყანას დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვთ, საქმიანობას ხშირად მესამე ქვეყნის მეშვეობით, ამ ქვეყნის საელჩოში *ინტერესთა სექციით* ახორციელებენ. შესაბამისად, დიპლომატიის პრაქტიკული საჭიროება შესაძლოა უფრო ძლიერი აღმოჩნდეს ვიდრე სახელმწიფოებს შორის ოფიციალური ურთიერთობების არქონა. მაგალითად, ორმხრივი არაღიარების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, აშშ-ის ინტერესთა სექცია წარმოდგენილი იყო კუბაში მდებარე შვეიცარიის საელჩოში, ხოლო კუბის ინტერესთა სექცია წარმოდგენილი იყო აშშ-ში მდებარე შვეიცარიის საელჩოში. რეალურად, აღნიშნული ინტერესთა სექციები განთავსებული იყო აშშ-ის და კუბის ყოფილი საელჩოების შენობებში და პერსონალიც ამერიკელ და კუბელი დიპლომატებით იყო დაკომპლექტებული.

შედარებით მცირე უკმაყოფილების გამოსახატად სახელმწიფოები გარკვეული პერიოდით დიპლომატების გამოწვევის პრაქტიკას მიმართავენ. დიპლომატიური ნორმების შესაბამისად, სამმობლოში დაბრუნების მიზეზად „კონსულტაციების გამართვა“ სახელდება, მაშინ როდესაც ყველამ იცის, რომ რეალური მიზეზი უკმაყოფილების გამოხატვაა. უკმაყოფილების გამოხატვის კიდევ უფრო მსუბუქ ფორმას წარმოადგენს ოფიციალური საჩივრის წარდგენა.

დიპლომატიური სამართალი მუდმივად ირღვევა ტერორიზმის კონტექსტში (იხ. თავი 4). გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოები განსაკუთრებით ზრუნავენ დიპლომატების ხელშეუვალობაზე, ტერორისტებისთვის დიპლომატები მიმზიდველი სამიზნეები არიან. ამასთან, რადგანაც ტერორისტული ჯგუფები არ სარგებლობენ დიპლომატიური სამართლით (სახელმწიფოებისგან განსხვავებით), დიპლომატიური ნორმებისა და სამართლის დარღვევისგან თავს არ იკავებენ. დიპლომატებზე ან საელჩოებზე თავდასხმა მათ სახელმწიფოს ტერიტორიაზე თა-

ვდასხმის ტოლფასია, თუმცა შესაძლოა ამ სახელმწიფოს ტერიტორიიდან ძალიან შორს განხორციელდეს. უკანასკნელ ათწლეულებში საკმაოდ ბევრი დიპლომატი მოკლეს.

6.4.6 სამართლიანი ომის დოქტრინა

დიპლომატიური სამართლის შემდეგ, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული მიმართულება ომის საერთაშორისო სამართალია. ომის სამართალი ორ ჯგუფად იყოფა – ომის კანონები (როდის არის ომი დასაშვები) და კანონები ომში (ომის წარმართვის კანონები). ომის კანონების ასპექტში, საერთაშორისო სამართალი განასხვავებს სამართლიან ომებს (რომლებიც კანონიერია) და აგრესიულ ომებს (რომლებიც უკანონოა). (ომში გამოყენებულ კანონებს მოგვიანებით, ადამიანის უფლებების კონტექსტში განვიხილავთ). საერთაშორისო სამართლის აღნიშნული მიმართულება გამომდინარეობს საუკუნოვანი რელიგიური სწავლებებიდან სამართლიანი ომის შესახებ (რომელთა აღსრულება ერთ დროს ინდივიდების ეკლესიიდან განკვეთის მუქარით ხდებოდა). დღევანდელ დღეს, ომის კანონიერებას გაეროს ქარტია განსაზღვრავს, რომელიც აგრესიას უკანონოდ მიიჩნევს. სამართლებრივი სტატუსის გარდა, სამართლიანი ომის დოქტრინამ მძლავრი საერთაშორისო ნორმის სტატუსი შეიძინა, რომელსაც ყველა სახელმწიფო არ ემორჩილება, მაგრამ ევროპაში ომისა და მშვიდობის დასარეგულირებლად არსებული თანამედროვე ინტელექტუალური ტრადიციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

სამართლიანი ომები (Just Wars)
საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკური თეორიის კატეგორია, რომელიც ადგენს, როდის არის ომების დაწყება სამართლიანი (jus ad bellum) და როგორია ომის სამართლიანი წარმოების კანონები (jus in bello). იხ. ასევე ომის დანაშაულები.

აგრესიის იდეა, რომლის გარშემოც სამართლიანი ომის დოქტრინა ჩამოყალიბდა, სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას ეფუძნება. აგრესია გულისხმობს სახელწიფოს მიერ ძალის გამოყენებას ან ძალის გარდაუვალი გამოყენების მუქარას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ, თუ ძალის გამოყენება აგრესიის პასუხი არ არის. ტანკებით ქვეყნის საზღვრის გადალახვა აგრესიას წარმოადგენს, მაგრამ ტანკების საზღვარზე თავმოყრა, როდესაც ერთი სახელმწიფო მეორეს დაპყრობით ემუქრება, ასევე აგრესიაა. განმასხვავებელი ხაზები გარკვეულწილად ბუნდოვანია. თუმცა, მუქარის აგრესიად განსახილველად (და საპასუხო ძალის გამოყენების დასასაბუთებლად), უნდა არსებობდეს ძალის გამოყენების რეალური მუქარა და არა უბრალოდ მტრული პოლიტიკა ან ზოგადი მეტოქეობა.

სახელმწიფოებს აგრესიაზე რეაგირების უფლება აქვთ ერთადერთი სათანადო გზით, რაც სამხედრო ძალის გამოყენებას გულისხმობს. შესაბამისად, სამართლიანი ომის დოქტრინა არაძალადობრივ მიდგომას არ ემყარება. საპასუხო ქმედება შეიძლება მოიცავდეს უშუალოდ თავდასხმის მოგერიებას ან აგრესორის დასჯას. რეაგირება შეიძლება მოახდინოს

როგორც აგრესიის მსხვერპლმა სახელმწიფომ, ისე სხვა სახელმწიფოებმა, რომლებიც პირდაპირ არ არიან ჩართული, მაგრამ დაინტერესებულები არიან საერთაშორისო სისტემაში არაagრესიულობის ნორმის შენარჩუნებით. სამართლიანი ომის დოქტრინის თანახმად სამხედრო ძალის გამოყენება მხოლოდ აგრესიაზე საპასუხოდ არის დასაშვები. შესაბამისად, სამართლიანი ომის დოქტრინა ღიად გამორიცხავს ძალის გამოყენებას სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ან პოლიტიკის შეცვლის მიზნით, ან ეთნიკურ და რელიგიურ კონფლიქტებში ჩართვას. რეალურად, გაეროს ქარტიაში არსებობს მითითება არა ომზე, არამედ „საერთაშორისო საპოლიციო ქმედებაზე“ აგრესორების წინააღმდეგ.

სამართლიანი ომის დოქტრინას, უფრო მეტად, ვიდრე ომის დანაშაულების სამართალს, ძირს უთხრის ომის ცვალებადი ხასიათი. სამოქალაქო ომებსა და დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებში, რთულია დაადგინო ვინ არის აგრესორი, რადგან მეომარი მხარეები შესაძლოა იყვნენ არადისციპლინირებული შეიარაღებული დაჯგუფებები და სახელმწიფო არმიებიც, ხოლო ბრძოლის ველი კი ანკლავებისა და პოზიციების მოზაიკას წარმოადგენდეს, სადაც მკაფიო ფრონტის ხაზი (და მით უმეტეს საზღვრები) არ არსებობს. ასეთ ვითარებაში აგრესორის დადგენა ძნელია და კიდევ უფრო რთულია განისაზღვროს, თუ მშვიდობასა და სამართლიანობას შორის, რომელს უნდა მიენიჭოს შედარებითი უპირატესობა.

6.5 ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებები (Human Rights)
ნებისმიერი ადამიანის უფლება იყოს თავისუფალი ისეთი ცუდი მოპყრობისგან, როგორიცაა საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამო წამება ან დაპატიმრება (პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები) და გააჩნდეს გარკვეული მინიმალური ეკონომიკური და სოციალური დაცულობა (ეკონომიკური და სოციალური უფლებები).

შეადარეთ საერთაშორისო სამართლის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფოების ეფექტიანობა მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე ახალი მიმართულება ადამიანის უფლებებს ეხება – ანუ ადამიანების უფლებებს მათივე მთავრობის მიერ ჩადენილი კონკრეტული გადაცდომების წინააღმდეგ.

6.5.1 ინდივიდის უფლებები სუვერენიტეტის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებების იდეა, თავისი არსით, სახელმწიფოების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობასთან წინააღმდეგობაში მოდის. სუვერენიტეტი სახელმწიფოებს საკუთარ ტერიტორიაზე საკუთარი სურვილისამებრ მოქცევის უფლებას ანიჭებს: არავის შეუძლია მიუთითოს სახელმწიფოებს, თუ როგორ მოეპყრონ საკუთარ მოქალაქეებს.

შესაბამისად, კონსენსუსის მიღწევა, თუ რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებები, რთულია. ადამიანის უფლებათა ერთი მიდგომა ამტკიცებს, რომ უფლებები უნივერსალურია. კერძოდ, ადამიანის საცხოვრებელი ადგილის, მისი ეთნიკურობის და წარმომავლობის,

ასევე მისი რელიგიური ან კლანობრივი კუთვნილების მიუხედავად, ადამიანს გააჩნია გარკვეული უფლებები, რომელთა დაცვა სავალდებულოა. ადამიანის უფლებების დაცვის მეორე მიდგომას ხშირად რელატივიზმს უწოდებენ. ამ უკანასკნელის თანახმად, ადგილობრივ ტრადიციებსა და ისტორიას სათანადო პატივი უნდა ვცეთ, მიუხედავად იმისა, თუ ამით ის უფლებები შეიზღუდება, რაც ამ კონკრეტული ადგილობრივი კონტექსტის გარეთ მყოფებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. სახელმწიფოები, სადაც დასავლური სტანდარტებით ადამიანის უფლებები ცუდად არის დაცული (ჩინეთისა და რუსეთის ჩათვლით) ხშირად აკრიტიკებენ ადამიანის უფლებების დაცვისკენ მიმართულ ძალისხმევას „შიდა საქმეებში ჩარევის“ საბაბით. აღნიშნული ბრალდება ადამიანის უფლებათა სამართალს მერყევ ნიადაგს უქმნის და რელატივისტური დამოკიდებულების ამსახველია.

ადამიანის უფლებათა კონცეფცია სულ მცირე სამი წყაროდან მომდინარეობს. პირველი წყარო არის რელიგია. თითქმის ყველა წამყვანი მსოფლიო რელიგია ემყარება იდეას, რომლის თანახმადაც ადამიანები უმაღლესი ძალის სახედ შეიქმნენ და შესაბამისად ისინი ამ უმაღლესი ძალის შესაფერის ღირსებასა და პატივისცემას იმსახურებენ. არსად არ არის ეს იდეა ისე ცხადად გადმოცემული, როგორც თომას ჯეფერსონის მიერ შედგენილ ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, სადაც აღნიშნულია, რომ ყველა ადამიანს „ ღმერთისგან აქვს მინიჭებული გარკვეული ხელშეუვალი უფლებები“[2]. მეორეს მხრივ, პოლიტიკური და სამართლებრივი ფილოსოფია საუკუნეების მანძილზე მსჯელობს ბუნებითი სამართლისა და ბუნებითი უფლებების არსზე. პოლიტიკის ფილოსოფოსებმა, არისტოტელედან ჯონ ლოკამდე და იმანუელ კანტიდან ჟან-ჟაკ რუსომდე, წამოაყენეს ბუნებითი სამართლის არსებობის იდეა, რომელიც ადამიანებს ანიჭებს სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებას.

ბოლოს, მე-18 საუკუნეში მომხდარმა რევოლუციებმა, მათ შორის ამერიკულმა და ფრანგულმა რევოლუციებმა ბუნებითი სამართლისა და ბუნებითი უფლებების თეორია პრაქტიკაში გადაიტანეს. აშშ-ში დამოუკიდებლობის დეკლარაციით და საფრანგეთში ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციით შეიქმნა კანონები, რომლითაც გამყარდა იდეა, რომ ადამიანებს გააჩნიათ კონკრეტული უფლებები, რომელთა ხელყოფა არც ერთ სახელმწიფოს ან სხვა ინდივიდს არ შეუძლია.

რა თქმა უნდა, არსებობს ადამიანის უფლებების აღნიშნული იდეების კრიტიკა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სიბრტყეზე. თეორიულ დონეზე, რელატივისტები მიუთითებენ, რომ ადამიანის უფლებათა იდეის წარმოშობას და განვითარებას (ზემოხსენებული სამი წყაროდან სულ მცირე ორს) დასავლური საფუძველი აქვს. არადასავლურ საზოგა-

2 ამერიკის ეროვნული არქივების ადმინისტრაცია. [https://www.archives.gov/founding-docs/ declaration-transcript].

დოებებს განსხვავებული ფილოსოფიური ტრადიციები გააჩნიათ და შესაძლოა ინდივიდუალურ უფლებებს ჯგუფური ან ოჯახური უფლებები ერჩივნოთ. პრაქტიკულ დონეზე, მრავალი (განსაკუთრებით არადასავლელი) კრიტიკოსი უმალვე შენიშნავს, რომ ევროპასა და ამერიკაში მე-18 საუკუნის რევოლიციების შემდეგაც კი, უფლებებმა უნივერსალური ხასიათი ვერ დაიმკვიდრა. ქალებს, ბავშვებს და როგორც წესი არათეთრკანიანებს არ გააჩნდათ იგივე უფლებები, როგორც მინის მესაკუთრე თეთრკანიან მამაკაცებს, რაც მცდარად წარმოაჩენდა საკუთრივ უნივერსალური უფლებების იდეას.

ნაწილობრივ სწორედ ამ დაპირისპირების გამო, ადამიანის ძირითადი უფლებების საყოველთაოდ შეთანხმებული განსაზღვრება არ არსებობს. უფლებებს ხშირად ორ ფართო ჯგუფად ჰყოფენ: სამოქალაქო-პოლიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური უფლებები. სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებებს ზოგჯერ „ნეგატიურ უფლებებსაც“ უწოდებენ და მათში ერთიანდება ტრადიციული დასავლური უფლებები, როგორებიცაა სიტყვის თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორობა და დაუსაბუთებელი/თვითნებური პატიმრობისგან თავისუფლების უფლება. აღნიშნული უფლებების დაცვის საუკეთესო მექანიზმად ხალხზე მთავრობის უფლებების შეზღუდვა მიიჩნევა. ეკონომიკურ-სოციალურ უფლებებს „პოზიტიურ უფლებებს“ უწოდებენ და აქ ერთიანდება ღირსეული საცხოვრებელი გარემოს უფლება, საკვების უფლება, ჯანდაცვის უფლება, სოციალური უსაფრთხოება და განათლების უფლება. აღნიშნული უფლებების დაცვის საუკეთესო მექანიზმად ამ მხრივ მოსახლეობისთვის მინიმალური სტანდარტების უზრუნველსაყოფად მთავრობის ძალაუფლების გაფართოება მიიჩნევა.

ნებისმიერი ტიპის ადამიანის უფლებები სრულყოფილად არც ერთ ქვეყანაში არ არის დაცული და სახელმწიფოები განსხვავდებიან იმით, თუ რომელი მიმართულებით არღვევენ ან იცავენ ადამიანის უფლებებს. როდესაც აშშ ჩინეთს აკრიტიკებს სიტყვის თავისუფლების აკრძალვისთვის, ტუსაღთა შრომის გამოყენებისთვის და პოლიტიკური დისიდენტების წამებისთვის (სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებები), ჩინეთი შენიშნავს, რომ აშშ-ში 40 მილიონი ღარიბი ადამიანი ცხოვრობს, პატიმართა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში ყველაზე მაღალია და ამერიკას რასიზმისა და ძალადობის გამოცდილება აქვს (ეკონომიკურ-სოციალური უფლებები). „ცივი ომის“ დროს აშშ და მისი მოკავშირეები მუდმივად აკრიტიკებდნენ საბჭოთა კავშირს და ჩინეთს სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებების დარღვევის მიზეზით, თუმცა უარს ამბობდნენ სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის შეთანხმებების ხელმოწერაზე. ამის მსგავსად, კომუნისტური სახელმწიფოები ხელს უწყობდნენ სოციალურ-ეკონომიკური უფლებების განვითარებას და ყურადღებას არ აქცევდნენ მოწოდებას სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებების დაცულობის უზრუნველყოფაზე. საერთო ჯამში, ცალკეულ სახელმწიფოებში გა-

რკვეული მიმართულებით ჩავარდნების მიუხედავად, ადამიანის უფლებათა სხვა კომპონენტების დაცულობის თვალსაზრისით მაინც პროგრესი შეინიშნება. მაგალითად მონობა, რომელსაც ერთ დროს ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევდნენ, უკანასკნელი 150 წლის მანძილზე თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა.

6.5.2 ადამიანის უფლებათა ინსტიტუტები

1948 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებების მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელსაც **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის** სახელით ვიცნობთ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას საერთაშორისო სამართლის ძალა არ გააჩნია, მაგრამ მასში დადგენილია (გადმოცემულია იმედოვნება) სახელმწიფოების მიერ საკუთარ მოქალაქეებთან და უცხოელებთან მოპყრობის საერთაშორისო ნორმები. დეკლარაცია ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმადაც ადამიანის უფლებათა დარღვევები საერთაშორისო წესრიგს არყევს (იწვევს უკმაყოფილებას, აჯანყებებს და ა.შ.) და ფაქტს, რომ გაეროს ქარტია ავალდებულებს სახელმწიფოებს პატივი სცენ ფუნდამენტურ თავისუფლებებს. დეკლარაცია აცხადებს, რომ „ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორი იბადება"[3] რასის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური კუთვნილების ან დაბადების ადგილის სტატუსის მიუხედავად. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში მოცემულია ნორმების ფართო სპექტრი, რომელთა შორის არის წამების აკრძალვა, რელიგიური და პოლიტიკური თავისუფლების დაცულობა და ეკონომიკური კეთილდღეობის უფლების უზრუნველყოფა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (Universal Declaration of Human Rights (UDHR) (1948)

გაეროს საკვანძო დოკუმენტი ადამიანის უფლებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციას არ გააჩნია საერთაშორისო სამართლის ძალა, იგი ადგენს სახელმწიფოების მიერ საკუთარი მოქალაქეებთან და უცხოელებთან მოპყრობის საერთაშორისო ნორმებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდეგ, გაერომ ადამიანის უფლებათა დაცულობის შემდგომი განსაზღვრის მიზნით ცხრა ხელშეკრულება შეიმუშავა სახელმწიფოების მიერ ხელმოსაწერად (იხ. ცხრილი 6.3). ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისგან განსხვავებით, აღნიშნული ხელშეკრულებები სამართლებრივად სავალდებულო შეთანხმებებია, რომლებსაც ხელს სახელმწიფოები აწერენ. რა თქმა უნდა, საერთაშორისო სამართლის სარგებლიანობას აღსრულების მექანიზმების ეფექტურობა განაპირობებს. თუმცა, აღნიშნული ხელშეკრულებები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ადგენს, თუ ინდივიდების საბაზო დაცულობის როგორ სტანდარტებს მოელის საერთაშორისო საზოგადოება.

ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება არის *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების* შესახებ და *საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების* შე-

3 Universal Declaration of Human Rights (UDHR), Paris, France. (December 10, 1948). [http://www. un.org/en/universal-declaration-human-rights/].

სახებ. აღნიშნულ ორი ხელშეკრულებაში, რომლებიც ძალაში 1976 წელს შევიდა, სახეზე გვაქვს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დანაპირებების კოდიფიცირება და დეკლარაციაში წარმოდგენილი უფლებების სამოქალაქო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ-სოციალურ უფლებებად დაყოფა. ზემოხსენებული ორი პაქტი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასთან ერთად ხშირად მოიხსენება, როგორც *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი*.

ცხრილი 6.3 გაეროს ადამიანის უფლებათა 9 საკვანძო ხელშეკრულების რატიფიცირების სტატუსი, 2018 წელი

ხელშეკრულება	ძალაში შესვლის თარიღი	ხელმომწერთა რაოდენობა	მნიშვნელოვანი არახელმომწერი სახელმწიფოები
კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ	**1969 წლის 4 იანვარი**	**178**	**ბირმა, მალაიზია, ჩრდილოეთ კორეა**
საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ	1976 წლის 3 იანვარი	165	ბოცვანა, საუდის არაბეთი, აშშ
საერთაშორისო პაქტი სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ	**1976 წლის 23 მარტი**	**169**	**ბირმა, ჩინეთი, საუდის არაბეთი**
კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ	1981 წლის 3 სექტემბერი	189	ირანი, სომალი, სუდანი, აშშ
კონვენცია წამების წინააღმდეგ	**1987 წლის 26 ივნისი**	**162**	**ანგოლა, ბირმა, ინდოეთი, ირანი, სუდანი**
კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ	1990 წლის 2 სექტემბერი	196	აშშ
საერთაშორისო კონვენცია მიგრანტი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ	**2003 წლის 1 ივლისი**	**51**	**საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ჩინეთი, აშშ**
კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვის შესახებ	2008 წლის 3 მაისი	157	ჩადი, ილიბია, აშშ
კონვენცია იძულებით გაუჩინარებისაგან ყველა პირის დაცვის შესახებ	**2010წლის, 23 დეკემბერი**	**57**	**ავსტრალია, ჩინეთი, რუსეთი, აშშ**

წყარო: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

დანარჩენ ხელშეკრულებებში მოცემულია ადამიანის უფლებათა კონკრეტული ჯგუფები, რომელთაც საერთაშორისო საზოგადოება მოწყვლადად მიიჩნევს. 1969 წელს მიღებული კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კრძალავს ინდივიდების დისკრიმინაციას რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ ან ეროვნულ ნიადაგზე. კონვენციაში არაფერია ნათქვამი გენდერული დისკრიმინაციის

წინააღდეგ. თუმცა, ამ მიმართულებით არსებულ დეფიციტს ავსებს კონვენცია ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც ძალაში 1981 წელს შევიდა.

კონვენცია წამების წინააღმდეგ, რომელიც ძალაში 1987 წელს შევიდა, კრძალავს ადამიანების სასტიკ, დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას, ომის დროსაც კი. ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელიც ძალაში 1990 წელს შევიდა, ხელს უწყობს ბავშვთა ჯანდაცვას, განათლებას და ფიზიკურ კეთილდღეობას (ბავშვთა უფლებების კონვენციაზე აშშ-ის გარდა ყველა სხვა სახელმწიფომ მოაწერა ხელი). მიგრანტი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია ძალაში 2003 წელს შევიდა და მიზნად ისახავს მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 100 მილიონი მიგრანტი მუშაკის პოლიტიკური, შრომითი და სოციალური უფლებების დაცვას.

კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც ძალაში 2008 წელს შევიდა, იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ღირსების, სამართლებრივი დაცვის თანასწორობის და ცხოვრების ყველა სფეროში სრულყოფილი მონაწილეობის უფლებას. ყველაზე ბოლოს მიღებული ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება არის კონვენცია იძულებით გაუჩინარებისაგან ყველა პირის დაცვის შესახებ, რომელიც ძალაში 2010 წელს შევიდა. ეს ხელშეკრულება იცავს ადამიანებს იძულებით გაუჩინარებისგან, რაც, ნაწილობრივ განმარტებულია, როგორც „თავისუფლების წართმევა“ ამ ფაქტის დამალვის გზით. უშუალოდ გაეროს ხელშეკრულებებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია არასავალდებულო ოქმები, რომლებიც თან ერთვის ზოგიერთ ამ ხელშეკრულებას. აღნიშნული ოქმები ამ ხელშეკრულების დანამატად განიხილება, რადგან მათში გათვალისწინებულია დამატებითი დაცვები, რასაც ხელშეკრულების ტექსტში ვერ ვხვდებით. ზოგადად, ამ ოქმებს ხელს ძალიან ცოტა სახელმწიფო აწერს, რადგან ამ ოქმებით გათვალისწინებული დაცვები საკმაოდ საკამათოა ძირითადი დოკუმენტის შინაარსთან შედარებით. გარდა ამისა, ზოგიერთი არასავალდებულო ოქმი აღსრულების უფრო ძლიერ მექანიზმს ითვალისწინებს, მაგალითად, ხელმომწერი სახელმწიფოების მოქალაქეებს ანიჭებს საკუთარი მთავრობების ნებართვის გარეშე გაეროს საზედამხედველო უწყებებისთვის მიმართვის უფლებას. სახელმწიფოებს, რომლებიც არ უერთდებიან ძირითად ხელშეკრულებას, შეუძლიათ არასავალდებულო ოქმებზე ხელმოწერა, როგორც ეს მოხდა აშშ-ის შემთხვევაში, როდესაც იგი არ შეუერთდა ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენციას, მაგრამ ხელი მოაწერა ხელშეკრულების ორ არასავალდებულო ოქმს.

გაეროს ფარგლებში მიღებული ადამიანის უფლებების ხელშეკრულებების გარდა, რამდენიმე რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია ასევე ცდილობს წვლილის შეტანას ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ.

აღნიშნული პროცესი ყველაზე წარმატებით ევროპაში მიმდინარეობს, სადაც ევროკავშირი, ევროსაბჭო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთობლივ ძალისხმევას ახორციელებენ რეგიონის ყველა სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცულობის ხელშეწყობის მიზნით. ლათინურ ამერიკაშიც, *ადამიანის უფლებათა ამერიკულმა სასამართლომ* გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ადამიანის უფლებათა დაცულობის თვალსაზრისით, თუმცა მისთვისაც შემზღუდველ გარემოებას წარმოადგენს სახელმწიფოთა უარი სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე. ბოლოს, აფრიკის კავშირი ცდილობს დახმარება აღმოუჩინოს ადამიანის უფლებათა აფრიკულ კომისიას, მაგრამ კომისიის მუშაობას აფრიკული სახელმწიფოებიდან ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის დეფიციტი აფერხებს.

უკანასკნელ ათწლეულებში, განვითარებულმა სახელმწიფოებმა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით დაიწყეს განვითარებად სახელმწიფოებზე ზეწოლა ადამიანის უფლებათა დაცულობის მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები (იხ. მე-5 თავი) ხშირად შეიცავს დებულებებს ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით შრომითი უფლებების დაცულობის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გავითარებადი ქვეყნები მოგებას ნახულობენ, აღნიშნული შეთანხმებების გამოყენება შესაძლებელია მზა მექანიზმის სახით იმ სახელმწიფოების დასასჯელად, რომლებიც უღირსად ეპყრობიან საკუთარ მოქალაქეებს. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური სარგებლის შეზღუდვა ზიანს აყენებს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, რაც კიდევ უფრო აუარესებს ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ ვითარებას.

Amnesty International
გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებს ადამიანის უფლებების მხრივ არსებული ვითარების მონიტორინგს და ცდილობს ადამიანის პოლიტიკური (არა ეკონომიკური ან სოციალური) უფლებების განსაკუთრებით მძიმე დარღვევების აღმოფხვრას.

დაცვის ვალდებულება (Responsibility to Protect) (R2P)
2005 წელს მსოფლიო ლიდერების მიერ მიღებული პრინციპი, რომელიც მთავრობებს ავალდებულებს მშვიდობიანი მოსახლეობის სუვერენულ სახელმწიფოში მიმდინარე გენოციდისგან ან კაცობრიობისა და ომის წინამე ჩადენილი დანაშაულებისგან დაცვას.

დღეს არასამთავრობო ორგანიზაციები საკვანძო როლს თამაშობენ ავტორიტარული სახელმწიფოების მოსახლეობისთვის ძირითადი პოლიტიკური უფლებების მოპოვების საქმეში, რომელიც მოიცავს განსხვავებული პოლიტიკური ან რელიგიური მრწამსის მქონე პირების წამების, მოკვდინების ან დაპატიმრების შეჩერებას. ამ ბრძოლაში წამყვანი როლს არასამთავრობო ორგანიზაცია **Amnesty International** ასრულებს, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ახორციელებს ადამიანის უფლებებზე დაკვირვებას და ცდილობს განსაკუთრებით მძიმე დარღვევების აღმოფხვრას. Amnesty International-ს მიუკერძოებელი ორგანიზაციის რეპუტაცია აქვს და მკაცრად გაუკრიტიკებია ადამიანის უფლებათა დარღვევები ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. სხვა ორგანიზაციები, მაგალითად Human Rights Watch, იგივე პრინციპით მუშაობენ, თუმცა ხშირად აქცენტს უფრო რეგიონულ ან სახელმწიფო დონეზე აკეთებენ. არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად აწვდიან ინფორმაციას გაეროს და სხვა რეგიონულ ორგანიზაციებს და ადვოკატირების ფუნქციასაც ახორციელებენ. არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად ას-

რულებენ გლობალურ ან რეგიონულ ორგანიზაციებს შორის ხიდის ფუნქციას და ხელს უწყობენ ადამიანის უფლებების დაცვას „ადგილზე“.

ადამიანის უფლებების ნორმების აღსრულება რთულია, რადგან სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევას ითვალისწინებს. ადამიანის უფლებების დამრღვევ სახელმწიფოსთან ვაჭრობის ან კონტაქტების გაწყვეტა უფრო იმ მოქალაქეებს აზარალებს, რომელთა უფლებებიც ირღვება, მათი კიდევ უფრო მეტად იზოლაციის გზით. თუმცა, ასეთი ზომების შედეგად ადამიანის უფლებათა დარღვევები უკეთესად ჩანს და მსხვერპლთა გასაჭირს უფრო დიდი ყურადღება ექცევა.

იშვიათად აქვს ადგილი სამხედრო ძალის გამოყენებით ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ან საველე მეთაურების შეიარაღებული წინააღმდეგობის ჩასახშობად და ომებისა და კატასტროფების მსხვერპლთათვის დახმარების აღმოსაჩენად. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში ფიქსირდება საერთაშორისო ნორმების სუვერენიტეტიდან საფრთხეში მყოფ მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვისკენ გადახრის მზარდი ტენდენცია. 2005 წლის მსოფლიო ლიდერთა სამიტზე აღიარებულ იქნა დაცვის ვალდებულების კონცეფცია, რომელიც მსოფლიო მთავრობებს ავალდებულებს მშვიდობიანი მოსახლეობების დაცვას მათივე მთავრობების მიერ ჩადენილი ან ნებადართული გენოციდისგან ან კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებისგან. 1990-იანი წლების სამი მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული ინტერვენცია განხორციელდა ერაყის ქურთულ მხარეში, სომალისა და კოსოვოში (სერბეთი). გაეროს მიერ 2011 წელს ლიბიაში ავტორიზებული ნატოს კამპანია დაცვის ვალდებულების პრინციპს ეფუძნებოდა. თუმცა სირიის მოსახლეობამ ვერ მიიღო მსგავსი დაცვა 2011-2018 წლებში, როდესაც ათეულობით ათასი ადამიანი იქნა მოკლული მათივე მთავრობის და 2014 წლიდან კი ისლამური სახელმწიფოს მეამბოხეების მიერ (იხ. რუბრიკა საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები).

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი 1970-იანი წლებიდან აქტიურ ძალისხმევას ახორციელებს ადამიანის უფლებების დაცულობის უზრუნველსაყოფად. აშშ-ის მთავრობისადმი წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშში ფასდება მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობა. სახელმწიფოებს, სადაც ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევები ფიქსირდება ან ვითარება უარესდება, აშშ უწყვეტს უცხოურ დახმარებას (თუმცა სხვა შემთხვევებში, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს დაუფინანსებია დამრღვევები). ამ ანგარიშების საპასუხოდ, ჩინეთი თავის ანგარიშს ამზადებს ამერიკაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ, რომელსაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ანგარიშის გამოქვეყნებისთანავე აქვეყნებს.

6.5.3 ომის დანაშაულები და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

ომის დანაშაულები (War Crimes)
ომის სამართლის დარღვევა, მათ შორის სამხედრო ტყვეების არაადამიანური მოპყრობა ან მშვიდობიანი მოსახლეობაზე განზრახ თავდასხმა. იხ. ასევე *სამართლიანი ომის დოქტრინა*

ადამიანის უფლებათა მასშტაბურ დარღვევას ხშირად აქვს ადგილი ომიანობის დროს. განსაკუთრებით მძიმე დარღვევები **სამხედრო დანაშაულებად** განიხილება. საომარ ვითარებაში საერთაშორისო სამართლის აღსრულება განსაკუთრებით რთულია, მაგრამ ომის წარმოებისას სამართლებრივი ქცევის ნორმები, ისევე როგორც საერთაშორისო შეთანხმებები, დიდწილად დაცულია. ომის შემდეგ, დამარცხებულები შესაძლოა დაისაჯონ ომის კანონების დარღვევისთვის, როგორც ეს გერმანიის შემთხვევაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამართულ ნიურნბერგის ტრიბუნალზე მოხდა. გამომდინარე იქიდან, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დახოცვა არ არღვევდა ნაცისტური გერმანიის კანონებს, ნიურნბერგის ტრიბუნალმა ეს დანაშაულები ახალ კატეგორიას მიაკუთვნა და მსჯავრდებულები **კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების** ბრალდებით გასამართლდნენ, რომელიც მოიცავს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ უსამართლო მიზნების მისაღწევად ჩადენილ არაჰუმანურ ქმედებებსა და განადგურებას. (იხ. საზოგადოებრივი საქონლის მიღწევის რუბრიკა)

დანაშაულები კაცობრიობის წინაშე (Crimes against Humanity) – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნიურნბერგის ტრიბუნალზე შემოტანილი სამართალდარღვევათა კატეგორია, რომელიც მოიცავს გენოციდს და მესამე რაიხის (ნაცისტური გერმანია) სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ ჩადენილ სხვა ქმედებებს. იხ. ასევე *არაადამიანური მოპყრობა და გენოციდი*

1990-იან წლებში, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაეროს უშიშროების საბჭომ ყოფილ იუგოსლავიაში ჩადენილ სამხედრო დანაშაულებთან დაკავშირებით საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის ნებართვა გასცა. მსგავსი ტიპის ტრიბუნალები მოგვიანებით რუანდის გენოციდისთვის და სიერა ლეონეს სამოქალაქო ომისთვისაც შეიქმნა. ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე შექმნილმა ტრიბუნალმა, რომლის შტაბბინა ჰააგაში, ნიდერლანდებში მდებარეობდა, ბრალი წაუყენა უმაღლესი თანამდებობის ბოსნიელ სერბ ლიდერებს და სხვა სერბ და ხორვატ ოფიცრებს, და 1999 წელს სერბეთის ყოფილ პრეზიდენტს სლობოდან მილოშევიჩს მის მიერ ალბანელების კოსოვოდან გაძევების გამო. ტრიბუნალი შეაფერხა დაფინანსების და ძალაუფლების ნაკლებობამ, რათა დაეპატიმრებინათ ეჭვმიტანილები, რომლებიც სერბეთის და ხორვატიის მფარველობის ქვეშ იყვნენ. მილოშევიჩის მიერ ხელისუფლების დაკარგვის შემდეგ, სერბეთის ახალმა მთავრობამ 2001 წელს მილოშევიჩი ტრიბუნალს გადასცა. ის 2006 წელს პატიმრობაში გარდაიცვალა. 2011 წლისთვის დაპატიმრებულ იქნა ბოსნიაში სამხედრო დანაშაულების ყველა ჩამდენი, ხოლო 2012 წლის ბოლოს, რუანდის ტრიბუნალმაც დაასრულა 71-ივე საქმის განხილვა.

საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები

საზოგადოებრივი აზრი ამერიკაში და ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების საკითხი ამერიკულ საზოგადოებას ხშირად აღელვებს. გრაფიკი 6.8. აჩვენებს ორ მკაფიო ტენდენციას აშშ-ში საზოგადოებრივი აზრის მონაცემებში ბოლო 15 წლის განმავლობაში. პირველი ის არის, რომ საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებები არ უნდა იყოს პრიორიტეტული ამერიკის საგარეო პოლიტიკისთვის. ეს რაოდენობა 10 პროცენტის ფარგლებში მერყეობს ბოლო 2 ათწლეულის უმეტესობის განმავლობაში. მეორე არის ის, რომ იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებები „უმთავრესი პრიორიტეტი" უნდა იყოს ბოლო ათწლეულის მანძილზე მუდმივად იზრდებოდა. ეს შესაძლოა უკავშირდებოდეს სირიის დაუნდობელ ომს ან ლიბიის და სირიის კონფლიქტების შედეგად ლტოლვილების მასშტაბურ ნაკადებს.

თუმცა, ამერიკელების დამოკიდებულება ადამიანის უფლებების მიმართ უპირობო მხარდაჭერის შემთხვევაც არ არის. საზოგადოებრივი განწყობები აშშ-ში საკმაოდ შერეული ხდება, როდესაც ადამიანის უფლებების მხარდასაჭერი (ან ადამიანის უფლებების მასშტაბური დარღვევების დასრულების მიზნით) რეალური ნაბიჯების განხილვა ხდება. ყველაზე მკაფიო მტკიცებულება ამის თაობაზე შეგვიძლია ვნახოთ განწყობებში ჰუმანიტარულ ინტერვენციებთან დაკავშირებით – კერძოდ, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამერიკის საზოგადოებას აშშ-ის სამხედრო ძალის გამოყენების გზით იმ კონფლიქტების დასრულებასთან დაკავშირებით, სადაც ადგილი აქვს ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებს. როდესაც კითხვა ეხება, თუ რა კონკრეტული ინტერვენციები უნდა განხორციელდეს ამ კონფლიქტების დასასრულებლად, ამერიკელთა მოსაზრებები მნიშვნელოვნად განსხვავდება. გრაფიკი 6.9. აჩვენებს ოთხი სხვადასხვა გამოკითხვის შედეგებს, რომლებიც შეეხება ოთხ სხვადასხვა კონფლიქტს, სადაც ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან დარღვევებს. ამ გამოკითხვებში რაიმე გამოკვეთილი ტენდენციის ნიშნები ნაკლებად ჩანს. როდესაც გამოკითხვებში კითხვა არის დასმული „გენოციდის" შესახებ, ინტერვენციის მხარდაჭერა იზრდება, თუმცა, ზოგადად, ეთნიკურ კონფლიქტში სამხედრო ჩარევის მხარდაჭერა მაღალი არ არის. რა დასკვნის გაკეთება შეგვიძლია ამერიკული საზოგადოების ადამიანის უფლებების საკითხისადმი დამოკიდებულებაზე? ტრადიციულად ამერიკელები სკეპტიკუ-

გრაფიკი 6.8 აშშ-ის საზოგადოებრივი განწყობები საერთაშორისო ინტერვენციებთან მიმართებაში

შენიშვნა: რიცხვები დამრგვალებულია, შესაბამისად ჯამი შესაძლოა 100 არ შეადგენდეს

წყარო: PEW Research Center, მარტი 2011


ცოტა ამბობს, რომ აშშ-ს აქვს ლიბიაში მოქმედების პასუხისმგებლობა

აქვს აშშ-ს ვალდებულება ხელი შეუშალოს რაიმე...	კი	არა	არ ვიცი
ლიბიის ომში (3/2011)	27	63	10=100
გენოციდი დარფურში (12/2006)	51	36	13=100
ეთნიკური კონფლიქტი კოსოვოში (3/1999)	47	46	7=100
სერბებსა და ბოსნიელებს შორის ბრძოლებში (6.1995)	30	64	6=100

რად არიან განწყობილები სხვა ქვეყნების ეთნიკურ კონფლიქტებში ჩარევასთან დაკავშირებით – ტრადიცია, რომელიც სავარაუდოდ, უკავშირდება ამერიკელების გამოცდილებას ვიეტნამში და უფრო ბოლო პერიოდში, ავღანეთსა და ერაყში. თუმცა, სწორედ ამ კონფლიქტებში აქვს ადგილი ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიან დარღვევებს: ომის ნფლიქტებში ჩარევისგან თავის შეკავების მიუხედავად, ამერიკული საზოგადოება ზოგადად უფრო მეტ მხარდაჭერას უცხადებს სანქციების ან ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერის შეწყვეტას იმ სახელმწიფოებისთვის, ვინც ადამიანის უფლებებს არღვევენ. ასეთ შემთხვევებში, ამერიკული საზოგადოება მზადაა გასწიოს მსოფლიოს გარშემო ადამიანის უფლე-

გრაფიკი 6.9 ადამიანის უფლებები, როგორც ამერიკის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი

წყარო: Roper Center for Public Opinion



დანაშაულებს, დანაშაულებს კაცობრიობის წინაშე და გენოციდს. შესაბამისად, რთულია პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება იმ რეალურ კონფლიქტებში ჩართვის თვალსაზრისით, სადაც ადამიანთა უფლებები ყველაზე მეტად ირღვევა. ამავდროულად, კობების დაცვის ხარჯები. სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ ამერიკელები მხარს უჭერენ საგარეო ნაბიჯებს ადამიანის უფლებების დასაცავად, თუმცა, მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე და ეს ზღვარი ღია სამხედრო ინტერვენციაა.

სიერა ლეონეს სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, სიერა ლეონეს მთავრობამ და გაერომ სამხედრო დანაშაულების ერთობლივი ტრიბუნალი შექმნეს. 2003 წელს, ტრიბუნალმა მეზობელი სახელმწიფოს, ლიბერიის მოქმედ პრეზიდენტს ჩარლზ ტეილორს ბრალი წაუყენა უკიდურესი სისასტიკით ჩადენილ სამხედრო დანაშაულებში. ბრალდების

წაყენების შემდეგ ჩარლზ ტეილორი მალევე გაიქცა ნიგერიაში, თუმცა ის იქ შეიპყრეს და 2006 წელს ტრიბუნალს გადასცეს და 2012 წელს პატიმრობა მიუსაჯეს.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (International Criminal Court (ICC)

ომის დანაშაულებისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების მუდმივმოქმედი ტრიბუნალი.

ყოფილი იუგოსლავიის და რუანდის საქმეებზე გაეროს ტრიბუნალების შექმნის შემდეგ, 1998 წელს მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას მუდმივმოქმედი **სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს** შექმნის შესახებ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩადენილი გენოციდის, სამხედრო დანაშაულებისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების საქმეებს განიხილავს. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ფუნქციონირება 2003 წელს ჰაagაში, ნიდერლანდებში დაიწყო და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (მაგრამ არა აშშ-დან) დანიშნული 18 მოსამართლით დაკომპლექტდა. 2008 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაიწყო პირველი პროცესი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედი შეიარაღებული დაჯგუფების მეთაურთან დაკავშირებით, რომელსაც ბრალად ედებოდა 15 წლის ქვემოთ ასაკის ბავშვების ჯარისკაცებად გაწვევა და მშვიდობიანი მოქალაქეების დახოცვა. ბრალდებულს 2012 წელს პატიმრობა მიესაჯა.

აშშ-მა უარი განაცხადა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ხელშეკრულების რატიფიცირებაზე და ამჟამადაც ეს ნაკლებად აინტერესებს (პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამოიღო ამერიკის ხელმოწერა ხელშეკრულებიდან). ამავე დროს, აშშ-მა ზეწოლა განახორციელა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრ ბევრ ქვეყანაზე ამ ქვეყნებში დისლოცირებული ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების სისხლის სამართლის დევნისგან დასაცავად იმუნიტეტის შეთანხმებებზე (ცნობილია როგორც ორმხრივი იმუნიტეტის შეთანხმებები) ხელმოწერის მიზნით. 2005 წელს, როდესაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ უარი განაცხადა ორმხრივი იმუნიტეტის შეთანხმების ხელმოწერაზე, აშშ-ის კონგრესმა მათ უცხოური დახმარება შეუწყვიტა. აშშ-ის ლიდერებს აშფოთებთ, რომ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც სამშვიდობო მისიებში ან ნატო-ს წევრ ქვეყნებში მსახურობენ, შესაძლოა ამერიკის შეიარაღებული ძალების სამართლებრივი სისტემის ნაცვლად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში აღმოჩნდნენ. და მართლაც, 2017 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წამყვანმა პროკურორმა განაცხადა, რომ შესაძლოა ამერიკელ სამხედროებს ავღანეთში ომის დანაშაულები ჩაედინათ – შედეგად, ამით ფაქტობრივად გაქრა ნებისმიერი შესაძლებლობა, რომ აშშ შესაძლებელია შეერთებოდა სასამართლოს ახლო მომავალში. 2005 წელს, აშშ-ის წინააღმდეგობის შეწყვეტის შემდეგ (მას შემდეგ, რაც აღდგა სამშვიდობო მისიებში ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეებისთვის დაშვებული გამონაკლისი) სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ასევე გადაეცა დარ-

ფურში (სუდანი) ჩადენილი სამხედრო დანაშაულები, რომელსაც გაეროს კომისიამ მძიმე შეფასება მისცა, თუმცა გენოციდის კვალიფიკაცია არ მიუნიჭებია. დარფურის საქმე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის რთულ გამოწვევას წარმოადგენს. 2009 წელს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ, სუდანის მოქმედ პრეზიდენტს ომარ ალ-ბაშირს ბრალი წაუყენა სამხედრო დანაშაულებსა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებში და მისი დაკავების ორდერი გამოსცა. წაყენებულმა ბრალდებამ გააღიზიანა სუდანის მთავრობა, რომელმაც დარფურიდან ჰუმანიტარული ორგანიზაციები გააძევა. 2010 წელს, ალ-ბაშირმა პირველად დატოვა სუდანი და ჩადიში ჩავიდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა ალ-ბაშირის დაპატიმრებაზე და მიზეზად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ტენდენციურობა დაასახელა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რთული ბალანსის დაცვა უწევს ერთის მხრივ სუდანის ხელისუფლების პირთა გასამართლების და მეორეს მხრივ დარფურში ძალადობის დასრულების ძალისხმევის სიფრთხილესთან დაკავშირებით.

ომის კანონების ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპს საომარი მოქმედებების მებრძოლებს შორის წარმართვის შენარჩუნება და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ომში მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმა უკანონოა. თუმცა, უკანონო არ არის სამხედრო ძალებზე იერიშის განხორციელება მაშინ, როდესაც ვიცით, რომ ამას მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი მოჰყვება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, გამოყენებული ძალა სამხედრო მიზნის პროპორციული უნდა იყოს და გამოყენებულ უნდა იქნას ძალის მხოლოდ აუცილებელი რაოდენობა.

მებრძოლებისა და სამოქალაქო პირების გასარჩევად, სამხედრო მოსამსახურეებმა ფორმა და სამხედრო ნიშნები, როგორიც არის ეროვნული დროშის სამკლაური, უნდა ატარონ. აღნიშნული წესი ხშირად ირღვევა პარტიზანულ ომში, რაც განაპირობებს მსგავსი ტიპის საომარ მოქმედებებში გამოჩენილ განსაკუთრებულ დაუნდობლობას და მსხვერპლს მშვიდობიან მოსახლეობაში. როდესაც მებრძოლი ვერ ხედავს განსხვავებას მებრძოლსა და უბრალო მოქალაქეს შორის, მოსალოდნელია რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ორივეს მოკლავს.

პოლიტიკის პერსპექტივები

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარი პროკურორი ფატუ ბენსუდა.

პრიორიტეტი *როგორ დააბალანსებთ საერთაშორისო სამართლის პრინციპების პატივისცემას და ეროვნულ ინტერესებს?*



წინაისტორია 2001 წლის ინტერვენციამდე და განსაკუთრებით 1979 წელს საბჭოთა ინტერვენციის შემდეგ, ავღანეთში კონფლიქტი უფრო ნორმას წარმოადგენდა, ვიდრე გამონაკლისს. აშშ-ის ლიდერობით 2001 წელს თალიბანის რეჟიმის დასამხობად დაწყებული ომის შემდეგ, მყიფე მშვიდობა ჩამოყალიბდა. ეს მშვიდობა დაირღვა განახლებული თალიბანის და სხვა ანტი-დასავლური ჯგუფების მიერ, როგორიც არის ჰაქანის ქსელი, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ აშშ-ის მიერ მხარდაჭერილ ავღანეთის მთავრობას.

თქვენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარი პროკურორი ხართ. 2003 წელს ავღანეთი გახდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წევრი. 2016 წელს, თქვენ დაიწყეთ წინასწარი ფაქტების დამდგენი მოკვლევა, რათა შეგესწავლათ თალიბანის ძალების მიერ შესაძლო ომის დანაშაულების ჩადენის ფაქტები, როგორც 2001 წლის ინტერვენციის, ასევე მისი მიმდინარეობის დროს. 2017 წლის ბოლოს, თქვენ მოითხოვეთ უფლებამოსილება სრულფასოვანი გამოძიების ჩასატარებლად თალიბანის და ჰაქანის ქსელის ძალების მიერ ომის დანაშაულების ჩადენის გამოსავლენად. კიდევ უფრო მეტი, თქვენ მოითხოვეთ ნებართვა, რომ გაგერკვიათ, იყვნენ თუ არა ავღანეთის მთავრობა და დასავლეთის სახელმწიფოების სამხედრო ძალები (მათ შორის ამერიკელი სამხედროები) წამების ფაქტებში ჩართულები კონფლიქტის დროს.

შიდა ფაქტორები ძალადობა და კონფლიქტი კვლავ ხშირია ავღანეთში. ნელა მოძრავი სამშვიდობო პროცესი შესაძლოა უახლოვდებოდეს მთავრობასა და ისლამისტ მეამბოხეებს შორის, როგორიც არის თალიბანი, ძალადობის დასრულებას. ეს მშვიდობა ბუნდოვანია და მოლაპარაკებების სხვადასხვა ეტაპზე, როგორც მთავრობა, ასევე მისი ოპონენტები გამოეთიშნენ მოლაპარაკებებს. ბევრი დიპლომატი თვლის, რომ ავღანეთში სტაბილურობის გასაღები მხარეებს შორის ყოვლისმომცველ სამშვიდობო შეთანხმებაში დევს.

სცენარი წარმოიდგინეთ, რომ აშშ-ის და ავღანეთის მთავრობები მოითხოვენ, რომ თქვენ შეწყვიტოთ ომის დანაშაულების გამოძიება ავღანეთში. ავღანეთის მთავრობა იმუქრება, რომ გამოეთიშება მოლაპარაკებების პროცესს, თუკი მისი რომელიმე სამხედრო პირი პასუხისგებაში იქნება მიცემული. დიპლომატები ამტკიცებენ, რომ გამომძიებლებმა შესაძლოა დააფრთხონ მეამბოხე ჯგუფები და ისინი გამოეთიშონ მოლაპარაკებებს. აშშ მოითხოვს, რომ თქვენ შეწყვიტოთ გამოძიება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იძულებული გახდება, რომ ყველა ამერიკელი სამხედრო გაიყვანოს ავღანეთიდან. ადამიანის ულფებათა დამცველი ორგანიზაციები, მეორე მხრივ, მიუთითებენ რომ ავღანეთის მოსახლეობა არ ენდობა ავღანეთის მთავრობას და აჯანყებულ ისლამისტურ ჯგუფებს, ნაწილობრივ იმ სასტიკი დანაშაულების გამო, რაც მათ ჩაიდინეს. ისინი ამტკიცებენ, რომ ომის დანაშაულების მსხვერპლებთან მიმართებაში სამართლიანობის აღდგენის გარეშე, საზოგადოება არასოდეს დაუჭერს მხარს მთავრობას ან სამშვიდობო პროცესს.

აირჩიეთ თქვენი პოლიტიკა შეაჩერებთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მცდელობებს, ავღანეთის კონფლიქტში სხვადასხვა აქტორების ომის დანაშაულების გამო გასამართლების მიზნით? როგორ დაბალანსებთ ერთმანეთს შორის, ავღანეთის მთავრობის, მეამბოხე ჯგუფების და აშშ-ის მოთხოვნებს? როგორ შეათავსებთ თქვენს სუ-

რვილს, რომ სამართლიანობა უზრუნველყოთ ავღანეთის კონფლიქტის მსხვერპლთათვის სამშვიდობო პროცესის რეალიებთან, რომლის პერსპექტივები ბუნდოვანია? შესაძლებელია სამართლიანობის აღდგენის დროებით გადადება, მოკლევადიან პერსპექტივაში სიცოცხლეების გადასარჩენად? და თუ სამართლიანობის აღდგენას გადავდებთ, ოდესმე შევძლებთ კი მის მიღწევას?

უკანასკნელ წლებში, ომებში, განსაკუთრებით კი ერაყში, კერძო სამხედრო ძალების გამოყენების უპრეცედენტო ზრდა ომის სამართლისთვის გამოწვევას წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ კერძო სამხედრო ძალები ქვეყნის შეიარაღებული ძალების ნაწილს არ წარმოადგენენ, მათზე ომის საერთაშორისო სამართალი არ ვრცელდება (ჟენევის კონვენციის ხელმომწერები მხოლოდ სახელმწიფოები არიან და არა კორპორაციები). აშშ-ის მთავრობამ ერაყში მოქმედი კერძო სამხედრო კომპანიები გაათავისუფლა საერთაშორისო სამართლის დარღვევებზე პასუხისგებისგან და მხოლოდ ერაყის სახელმწიფო სამართლის იურისდიქციის ქვეშ დატოვა. თუმცა, რადგანაც ოფიციალურად ერაყის მთავრობა არ არსებობდა, აღნიშნული კომპანიების მიერ შიდა კანონმდებლობის დარღვევაზე მართლმსაჯულების აღსრულება არავის შეეძლო. ერაყში მომხდარმა რამდენიმე გახმაურებულმა ინციდენტმა (მათ შორის აბუ-გრაიბის ციხის სკანდალმა და მშვიდობიანი მოსახლეობის მისამართით ცეცხლის გახსნის რამდენიმე შემთხვევამ) აშშ-ის კონგრესს, გაეროს და ერაყს კერძო სამხედრო კომპანიებზე ანგარიშვალდებულების დაკისრებისკენ უბიძგა.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (International Committee of the Red Cross (ICRC)

არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ომში მოხვედრილ მშვიდობიან მოსახლეობასა და სამხედრო ტყვეებს პრაქტიკულ დახმარებას უწევს (მაგ. ჯანდაცვითა და საკვებით უზრუნველყოფა და სახლიდან გამოგზავნილი წერილების გადაცემა). სამხედრო ტყვეების გაცვლაზე მოლაპარაკებები როგორც წესი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის შუამავლობით ნარმოებს.

ომის კანონებით სამხედრო მოსამსახურეებს დანებების უფლება აქვთ, რაც გულისხმობს, რომ დანებების მემდეგ, უქმდება მათი, როგორც მებრძოლების სტატუსი და სამხედრო ტყვეები ხდებიან. სამხედრო მოსამსახურეები ყრიან იარაღს და უარს ამბობენ ბრძოლის უფლებაზე, რის სანაცვლოდაც აღარ არიან თავდასხმის ობიექტები (მშვიდობიანი მოსახლეობის მსგავსად). არ შეიძლება სამხედრო ტყვეების მოკვლა, არაადამიანური მოპყრობა ან სახელზე, ღირებასა და სერიულ ნომერზე მეტი ინფორმაციის გამჟღავნების იძულება.

ომის კანონებში განსაკუთრებული როლი ენიჭება **წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს**. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი საომარი მოქმედებების დროს შეპყრობილ სამოქალაქო პირებს და სამხედრო ტყვეებს პრაქტიკულ დახმარებას უწევს, რაც მოიცავს ჯანდაცვითა და საკვებით უზრუნველყოფას და სახლიდან გამოგზავნილი წერილების გადაცემას. სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ მოლაპარაკებები, როგორც წესი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მეშვეობით ნარმოებს. შეიარაღებული ძალები ვალდებულები არიან პატივი სცენ წითელი ჯვრის ნეიტრალურობას და უმეტეს შემთხვევაში ამ წესს იცავენ კიდეც (ამ მხრივ კიდევ ერთხელ აღსანიშნავია პარტიზანული ომის პრო-

ბლემურობა). ტერორიზმის წინააღმდეგ ომში, აშშ არ მიიჩნევს „მტრის მებრძოლებს“ სამხედრო ტყვეებად, მაგრამ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს მათ უმრავლესობასთან (თუმცა არა ყველასთან) კავშირის უფლებას აძლევს. შედარებით უფრო საკამათოა აშშ-ის „საგანგებო ექსტრადიციის“ პოლიტიკა, რომლითაც ხდება უცხო ქვეყნებში შეპყრობილი ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების სხვა ქვეყნებისთვის გადაცემა, მათ შორის ისეთი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც დაკითხვის დროს წამებას იყენებენ.


საომარი მოქმედებების წესები ომიანობის დროს მორალურ პასუხისმგებლობას **აკისრებს** როგორც ინდივიდებს, ისე სახელმწიფოებს. ნიურნბერგის **ტრიბუნალმა** დაადგინა, რომ მონაწილეები შესაძლებელია გასამართლდნენ **მათ** მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულებისთვის. გერმანელი ოფიცრები **საკუთარ** ქმედებების გასამართლებლად აცხადებდნენ, რომ „უბრალოდ **ბრძანებას** ემორჩილებოდნენ“ მაგრამ ტრიბუნალმა ეს არგუმენტი **უარყო**. დამნაშავე ოფიცრები დაისაჯნენ და ზოგიერთს სასიკვდილო **განაჩენიც** გამოუტანეს.

კარიერა საერთაშორისო ურთიერთობებში: საერთაშორისო სამართალი

შეჯამება

საერთაშორისო სამართლის სფეროში შესაძლოა მაღალანაზღაურებად პოზიციაზე დასაქმება და საერთაშორისო საკითხების ფართო არეალზე მუშაობა, თუმცა, ასეთი სამსახურები დამატებით განათლებას საჭიროებს, რაც შესაძლოა ძვირადღირებული იყოს.

სარგებელი და საზღაური საერთაშორისო სამართლის სფეროში ბევრი სამუშაო ადგილი არსებობს. ისევე როგორც შიდა სამართლის შემთხვევაში, იურისტებს შეუძლიათ სპეციალიზაცია მოახდინონ საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა სფეროდან რომელიმეში. მართლაც, იურიდიული პრაქტიკის და სწავლების ბევრ ტრადიციულ მიმართულებას, როგორც არის სახელშეკრულებო სამართალი, საგადასახადო სამართალი და რეგულირების სამართალი, გააჩნიათ საერთაშორისო სპეციალიზაციებიც. ასე რომ, იურიდიული პრაქტიკის მრავალფეროვანი სფეროები არსებობს, დაწყებული ომის კანონებით და გაგრძელებული ადამიანის უფლებათა სამართლით, საერთაშორისო ბიზნეს სამართლით და სახელშეკრულებო სამართლით. რეალურად, ბევრი იურისტი საერთაშორისო სამართალში საკითხთა ასეთ მრავალფეროვნებას ამ სფეროში დასაქმების თვალსაზრისით სასარგებლოდ მიიჩნევს – თითოეულ საქმეს თან ახალი გამოწვევა



მოსდევს, რაც ხანდახან პრაქტიკოს იურისტს აიძულებს კვლევის და სწავლების სხვა სფეროებშიც ჩაიხედოს. საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი შეიძლება ერთ დღეს ბიზნეს კონტრაქტებზე აწარმოებდეს მოლაპარაკებებს სხვადასხვა ქვეყანაში, და მეორე

დღეს კლიენტს რჩევას აძლევდეს გარემოსდაცვითი რეგულაციების საკითხზე მეორე ქვეყანაში. ამასთან ერთად, საერთაშორისო სამართლის სფეროში ბევრი (თუმცა, არა ყველა) სამუშაო ადგილი შედარებით მაღალანაზღაურებადია.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შიდა სამართლის მსგავსად, საერთაშორისო სამართალშიც დასაქმების ბევრი შესაძლებლობა არსებობს, ისეთი სამსახურები, რომლებიც მაღალი მნიშვნელობის საკითხებზე მუშაობენ, იშვიათია და იქ მოხვედრაც რთულია. შესაბამისად, უფრო მაღალია ალბათობა, რომ თქვენი საქმიანობა დაკავშირებული იქნება სხვადასხვა ქვეყნებში ფირმებს შორის სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტასთან, ვიდრე ისეთ საკითხებთან, როგორიც არის ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო დავის გადაწყვეტაში მონაწილეობა ან კონკრეტული ადამიანის დახმარება ადამიანის უფლებების კუთხით პრობლემების მოგვარებაში.

საერთაშორისო სამართლის სფეროში დასაქმება თითქმის ყოველთვის მოითხოვს იურისტის განათლებას. სამართლის ფაკულტეტზე ჩაბარება სულ უფრო და უფრო რთული ხდება. დღეს, სამართლის ფაკულტეტები თითქმის 18,000 აპლიკანტით ნაკლებს იღებენ, ვიდრე 2010 წელს. ამას ემატება ისიც, რომ სამართლის ფაკულტეტზე სწავლა ძვირია და ფინანსური მხარდაჭერაც შედარებით იშვიათია, რადგან, იგულისხმება, რომ ბევრი მათგანი, ვინც შეძლებს სამართლის ფაკულტეტის დასრულებას, ახერხებს მაღალანაზღაურებადი სამსახურის პოვნას და შედეგად სწავლისთვის აღებული სესხის გადახდას. 2017 წელს, ამერიკის 10 ყველაზე ძლიერ სამართლის ფაკულტეტზე სწავლის საშუალო გადასახადი 60,000 აშშ დოლარს აღემატებოდა (აქ არ იგულისხმება წიგნების და ცხოვრების საფასური).

საშირო უნარ-ჩვევები სამართლის ფაკულტეტზე მოხვედრის კრიტერიუმები ერთნაირია, მიუხედავად იმისა, თუ მომავალში პრაქტიკაში რა კუთხით აპირებთ მუშაობას. მნიშვნელოვანია კარგი წერითი და ანალიტიკური უნარები. სამართლის ფაკულტეტების მოთხოვნაა, რომ სტუდენტებს შეეძლოთ რთული შემთხვევების განხილვა, მათში კრიტიკული საკითხების იდენტიფიცირება და დეტალურად გარჩევა, თუ რას ამბობს კანონი ამ საკითხებზე.

ზეპირი კომუნიკაციის უნარები ასევე ბევრი კუთხით არის მნიშვნელოვანი სამართლის სპეციალობისთვის. არ აქვს მნიშვნელობა, თქვენ სასამართლოს წინაშე გამოდიხართ არგუმენტებით, თუ კომუნიკაციას ამყარებთ თქვენს კლიენტთან, კარგად განვითარებული კომუნიკაციის უნარები გადამწყვეტია. ისევე როგორც ნებისმიერი ისეთი სამსახურის შემთხვევაში, რომელსაც საერთაშორისო პროფილი აქვს, უცხო ენების ცოდნა მნიშვნელოვანი დამხმარე ინსტრუმენტია, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც თქვენ მუშაობთ ისეთ სამსახურში, სადაც სხვა ქვეყნების კანონმდებლობის გაცნობა აუცილებელია.

და ბოლოს, მაშინ როდესაც საბაკალავრო განათლება პოლიტიკის მეცნიერებაში ტრადიციულად მიიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვან სპეციალობად სამართლის სკოლაში მოსახვედრად, სტუდენტები, ვისაც სურთ სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა, მზად უნდა იყვნენ ბევრ სხვა სფეროში კურსების ასაღებადაც. გქონდეთ ძირითადი სპეციალობა პოლიტიკის მეცნიერებაში ცუდი ნამდვილად არ არის, მაგრამ სამართლის მაგისტრატურის მისაღები კომიტეტის წევრები ხშირად ღირებულად მიიჩნევენ კანდიდატის ფართო ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც მხოლოდ პოლიტიკის და მმართველობის ცოდნით არ შემოიფარგლება.

წყაროები:

Rist, D. Wes. ASIL Careers in International Law: A Guide to Career Paths in International Law. American Society for International Law, 2013.

Swartz, Salli A. Careers in International Law. 4th ed. American Bar Association, 2013.

https://www.asil.org

https://www.americanbar.org/groups/international_law.html

ცვალებადი კონტექსტი – ომის ცვალებადი ბუნება ძირს უთხრის ომის კანონებს. განსაზღვრული შეიარაღებული ძალების მიერ განსაზღვრულ ბრძოლის ველზე წარმოებული კონვენციური ომები გზას უთმობს პარტიზანებისა და სიცვდილის ბრიგადების მიერ ქალაქებში ან ჯუნგლებში წარმოებულ ასიმეტრიულ და არარეგულარულ ომებს. ასეთი ვითარებაში სამოქალაქო პირებსა და მებრძოლებს შორის არსებული განმასხვავებელი ნიშნები ფერმკრთალდება და ომის დანაშაულები უფრო ხშირად ხდება. ვიეტნამის ომში აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა მოწინააღმდეგე, რომელიც თან ყველგან იყო და თან არსად. ეს კი გაღიზიანებულ ამერიკელ სამხედროებს უბიძგებდა თავს დასხმოდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის სოფლებს, რომლებიც ეგონათ, რომ პარტიზანებს უჭედნენ მხარს. 1968 წლის ერთ გახმაურებულ შემთხვევაში, ამერიკელმა ოფიცერმა თავის ჯარისკაცებს უბრძანა დაეხოცათ სოფელ მაი ლაიში მცხოვრები ასობით შეუიარაღებელი მშვიდობიანი მოქალაქე, რისთვისაც სამხედრო სასამართლომ გაასამართლა (სასამართლომ ოფიცერი დამნაშავედ ცნო, მაგრამ მსუბუქი სასჯელი შეუფარდა). დღევანდელი ასიმეტრიული საომარი მოქმედებების დროს, რომლებსაც ხშირად ეთნიკური ან რელიგიური კონფლიქტი უდევს საფუძვლად, ომის კანონების დაცვა განსაკუთრებით რთულია.

ომის კანონების კიდევ ერთი შემასუსტებელ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოები იშვიათად აცხადებენ ომს, სადაც მოცემულია მოწინააღმდეგე მხარე და ომის დაწყების მიზეზი. თუმცა, ასეთი ომის დეკლარაციები ისტორიულადაც გამონაკლისს წარმოადგენდა და არა მიღებულ წესს. აღნიშნული ტენდენცია დღესაც გრძელდება, რადგან ომის გამოცხადებას ომის გამომცხადებელი სახელმწიფოსთვის სარგებელი თითქმის არ მოაქვს და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს აკისრებს.

ზემოთ განხილული ახალი ნორმები კვლავაც მოუწესრიგებელია. ახალი მოლოდინები იქმნება ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, გაეროს მშვიდობისმყოფელობა, ჰუმანიტარული ინტერვენციები, რუსეთის და ჩინეთის როგორც დიდი სახელმწიფოების და აშშ-ის როგორც ზესახელმწიფოს როლი. აღნიშნული ცვლილებები თავს იჩენს მსოფლიოში, რომელზეც დიდ ზეგავლენას ახდენს მდიდარ და ღარიბ სახელმწიფოებს შორის არსებული ნაპრალი, რასაც მეშვიდე თავში განვიხილავთ.

შეჯამება

- სუპრანაციონალური პროცესები სახელმწიფოებს ფართო სტრუქტურებში და იდენტობებში აერთიანებს. აღნიშნულ პროცესებს როგორც წესი თან სდევთ ბრძოლა ნაციონალიზმსა და სუპრანაციონალიზმს შორის
- გაერო განასახიერებს დაპირისპირებას სახელმწიფო სუვერენიტეტსა და სუპრანაციონალურ ხელისუფლებას შორის. ნაწილობრივ იმის გამოც, რომ გაეროს სისტემაში სუვერენიტეტი მნიშვნელოვანი ძალაა, გაერომ თითქმის უნივერსალურ ნევრობას მიაღწია, ყველა დიდი სახელმწიფოს ჩათვლით. გაეროს 193-ივე ქვეყნიდან გენერალურ ასამბლეაში თითოეულს ერთი ხმა გააჩნია, რომელიც ძირითადად ფორუმის და სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხებზე ქოლგა ორგანიზაციის ფუნქციას ასრულებს
- გაეროში ადმინისტრაციულ ფუნქციას სამდივნოში მომუშავე საერთაშორისო საჯარო მოხელეები ასრულებენ, რომელთაც გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს
- გაეროს სამშვიდობო ძალები მსოფლიოს ხუთ რეგიონში მიმდინარე რეგიონულ კონფლიქტებში ასრულებენ საკუთარ ფუნქციას. სამშვიდობო ძალების უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენს შეთანხმებების შესრულების კონტროლი, რომელთა შორის შეიძლება იყოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, განიარაღების გეგმა და სამართლიანი არჩევნების წესები.
- საერთაშორისო სამართალს, რომელიც სახელმწიფოთა ურთიერთობების წესების ოფიციალურ კოდექსს წარმოადგენს, შემდეგი წყაროები აქვს: ხელშეკრულებები (მნიშვნელობით ყველაზე აღმატებული), ჩვეულება, სამართლის ზოგადი პრინციპები და იურიდიული ნაშრომები. მთავრობების მიერ მიღებული კანონები არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის წყაროს.
- საერთაშორისო სამართლის აღსრულება რთულია, თუმცა პრაქტიკაში მისი აღსრულება ხდება სახელმწიფოს ძალის, საერთაშორისო კოალიციების და ორმხრივობის პრინციპის მეშვეობით.
- მსოფლიო სასამართლო ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელს განიხილავს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევა არ შეუძლია. ის კარგი შესაძლებლობაა შედარებით ნაკლები მნიშვნელობის კონფლიქტების მოსაგვარებლად;
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო 2003 წელს ამოქმედდა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო განიხილავს გენოციდის, სამხედრო დანაშაულების და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების საკითხებს;
- ომის კანონებიც, ასევე, კარგად არის განსაზღვრული და დიდი ხანია რაც არსებობს. ომის სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებს მებრძოლებსა და მშვიდობიან მოსახლეობას და თითოეულ მათგანს კონკრეტულ უფლებასა და პასუხისმგებლობას ანიჭებს. პარტიზანულ ომებში და ეთნიკურ კონფლიქტებში ასეთი განსხვავებები ფერმკრთალდება.
- საერთაშორისო ინტეგრაცია – სუვერენიტეტის სახელმწიფოდან სუპრანაციონალურ ინსტიტუტებზე ნაწილობრივ გადაცემის პროცესი – მიჩნეულია ფუნქციურ (ტექნიკურ და ეკონომიკურ) სფეროებში საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად
- ევროკავშირი ინტეგრაციის ყველაზე განვითარებულ შემთხვევას წარმოადგენს. ევროკავშირის 28 წევრმა სახელმწიფომ ეკონო-

მიკურ საკითხებში გადაწყვეტილების მიღების სფეროში მნიშვნელოვანი ძალაუფლება გადასცა ევროკავშირს. თუმცა, ეროვნული ძალაუფლება კვლავ აღემატება სუპრანაციონალურ ძალაუფლებას, მათ შორის ევროკავშირში.

- ევროკავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული ელემენტი მისი საბაჟო კავშირია (და თავისუფალი სავაჭრო ზონა). წევრი სახელმწიფოების საზღვარს საქონელი თავისუფლად გადაკვეთს, ხოლო წევრ სახელმწიფოებს ევროკავშირის საზღვრებს გარედან იმპორტირებულ პროდუქციაზე ერთიანი ტარიფები აქვთ დაწესებული. ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა უზრუნველყოფს გაერთიანების ფარგლებში ფერმერებისთვის გამოყოფილი სუბსიდიების თანასწორობას. სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის განსახორციელებლად ევროკავშირის ბიუჯეტის 40% იხარჯება. ევროკავშირის სუბსიდიები სოფლის მეურნეობის სფეროში აშშ-თან სავაჭრო კონფლიქტის ძირითადი წყაროა.
- ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოდან 19-ს სავალუტო კავშირი და ერთიანი ვალუტა (ევრო) გააჩნია. ევროს შემოღება ისტორიაში ფულთან დაკავშირებით განხორციელებული უდიდესი ექსპერიმენტია და პირველ წლებში დიდი წარმატებითაც გამოირჩა. თუმცა, 2010-2015 წლებში კრიზისულ ვითარებაში აღმოჩნდა ზოგიერთი წევრ სახელმწიფოში დაგროვილი დავალიანების მიზეზით. სავალუტო კავშირი საჭიროებს მეტნაკლებად მსგავს ინფლაციის დონეს და ფინანსურ სტაბილურობას წევრ სახელმწიფოებში
- სტრუქტურულად ევროკავშირი „ევროკრატებით“ დაკომპლექტებული ევროკომისიის მუდმივი აპარატის გარშემო ტრიალებს. კომისიის პრეზიდენტი, ცალკეული წევრები და აპარატი ყველა ერთად ევროპას ემსახურებიან, ანუ სუპრანაციონალურ როლს ასრულებენ. თუმცა, ევროკავშირის საბჭოს, რომელიც წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენს (ეროვნულ როლებში), კომისიაზე აღმატებული ძალაუფლება გააჩნია.
- ევროპარლამენტის წევრები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში პირდაპირი წესით აირჩევიან, თუმცა შეზღუდული ძალაუფლება აქვთ და ევროკავშირის კანონმდებლობის მიღების უფლებამოსილება არ გააჩნიათ. მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს ასევე შეზღუდული ძალაუფლება აქვს, თუმცა, სასამართლომ სხვა საერთაშორისო სასამართლოებზე ფართო იურისდიქცია დაიმკვიდრა და სახელმწიფო კანონების გაუქმება შეუძლია.
- 2004, 2007 და 2013 წლებში ევროკავშირს 13 ახალი წევრი შეუერთდა, ძირითადად აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოები. ევროკავშირის წევრების რაოდენობის 15-დან 28-მდე გაზრდის ფონზე შეიცვალა ევროკავშირის სტრუქტურა და პროცედურები. ევროკავშირი დგას დილემის წინაშე, თუ სადამდე უნდა გაფართოვდეს. ეს საკითხი განსაკუთრებით თურქეთთან მიმართებაში არის აქტუალური.
- გლობალიზაციის საწინააღმდეგო ნაციონალისტურმა რეაქციებმა და დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვების გადაწყვეტილებამ, მნიშვნელოვანი დებატები დაძრა ევროკავშირის შესახებ. ნაციონალისტურმა და ევროკავშირის საწინააღმდეგო პარტიებმა მოიპოვეს მხარდაჭერა ევროკავშირის რამდენიმე აღმოსავლეთ ევროპულ წევრ ქვეყანაში.

ძირითადი ცნებები

სუპრანაციონალური
საერთაშორისო ნორმები
საერთაშორისო ორგანიზაციები
გაეროს ქარტია

გაეროს გენერალური ასამბლეა
გაეროს უშიშროების საბჭო
გაეროს სამდივნო
მშვიდობის მშენებლობა
გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია
ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
ევროკავშირი
საერთაშორისო ინტეგრაცია
ნეოფუნქციონალიზმი
უსაფრთხოების თანამეგობრობა
რომის ხელშეკრულება
ევრატომი
თავისუფალი სავაჭრო ზონა
საბაჟო კავშირი
საერთო ბაზარი
სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკა
ევროკომისია
ევროკავშირის საბჭო
ევროპარლამენტი
მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო
მაასტრიხტის ხელშეკრულება
ევრო
მსოფლიო სასამართლო (მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო)
დიპლომატიური აღიარება
დიპლომატიური იმუნიტეტი
სამართლიანი ომები
ადამიანის უფლებები
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
Amnesty International
დაცვის ვალდებულება (R2P)
ომის დანაშაულები
დანაშაულები კაცობრიობის წინაშე
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი

კითხვები კრიტიკული აზროვნებისთვის

1. დავუშვათ, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელებასთან (განსაკუთრებით მუდმივი წევრების და ვეტოს საკითხში) დაკავშირებით რჩევის მიცემა გთხოვეს. რა ცვლილებებს ურჩევდით, თუ ურჩევდით საერთოდ? რაზე დაყრდნობით ურჩევდით ამ ცვლილებებს?
2. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ საუბრობთ ევროკომისიის პრეზიდენტთან, რომელიც შეწუხებულია ევროპული სახელმწიფოების საზოგადოებების უკმაყოფილო რეაქციებით კომისიის ევროკრატების გაზრდილი ძალაუფლების გამო. რა რჩევას მისცემდით მას? რა ნაბიჯები შეიძლება კომისიამ გადადგას ამ შიშების შესამსუბუქებლად, ისე რომ ინტეგრაციის პროცესი არ შეფერხდეს? როგორ უპასუხებს თქვენი შეთავაზებები იმ უკმაყოფილებებს, რაც ევროპის ბევრ მთავრობას თუ მოქალაქეს აქვს ევროკომისიის მისამართით?
3. რა შედეგები მოყვება ბრიტანეთის გადაწყვეტილებას ევროკავშირიდან გასვლის შესახებ? არის ეს პირველი ნიშანი, რომ ნაციონალისტური განწყობები დაანაწევრებს ევროკავშირს თუ პირიქით, სუპრანაციონალური ძალები უფრო გაძლიერდებიან?
4. საერთაშორისო სამართლის აღსრულებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, როგორ შეიძლება მომავალში მსოფლიო სასამართლოს როლის გაძლიერება? რა წინააღმდეგობა შეიძლება ასეთ გეგმას შეხვდეს? როგორ შეცვლის ეს წინააღმდეგობები სასამართლოს როლს, თუ ისინი ეფექტური იქნება?
5. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული

საერთაშორისო ნორმების გაძლიერების მიუხედავად, ჩინეთი და ბევრი სხვა სახელმწიფო ადამიანის უფლებებს შიდა საქმედ მიიჩნევენ, რომელზეც სახელმწიფოს საკუთარი ტერიტორიის შიგნით სუვერენიტეტი გააჩნია. როგორ ფიქრობთ, ერთი სახელმწიფოს მეორე მეორისთვის ადამიანის უფლებების საკითხის წამოჭრა ლეგიტიმურია? თუ ეს ლეგიტიმურია, რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და უნივერსალური უფლებების დაბალანსების თვალსაზრისით? რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისთვის, რომ სუვერენულმა სახელმწიფოებმა ადამიანის საყოველთაო უფლებები აღიარონ?

მოდით, ვიმსჯელოთ

ადამიანის უფლებები: მსოფლიოსთვის მიცემული ცარიელი დაპირება?

შესავალი

70 წელზე მეტი ხნის წინ, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდეგ, სახელმწიფოები მოწადინებულები იყვნენ უზრუნველეყოთ ადამიანის უფლებების დაცვა. გაეროს 9 სხვადასხვა ხელშეკრულება, რომლებსაც მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა, გარანტიას ქმნის, რომ ადამიანის უფლებები დაცული იქნება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის: ქალთა უფლებების, ბავშვთა უფლებების, მიგრანტი მშრომელების უფლებების და წამებისგან დაცვის უფლებების მიმართულებით. სხვა არაერთი რეგიონული ხელშეკრულება და პროტოკოლი ხელს უწყობს ეკონომიკურ კეთილდღეობას, იცავს საპროცესო წესებს და მხარს უჭერს თვითგამოხატვის უფლებას.

სახელმწიფოების ლიდერები მუდმივად ხაზს უსვამენ ადამიანის უფლებების მნიშვნელობას სამართლიანობის და თანასწორობის უზრუნველყოფაში. ეს ასეა, როგორც დემოკრატიული, ასევე არადემოკრატიული სახელმწიფოების შემთხვევაში. რიტორიკის დონეზე, ადამიანის უფლებების გავრცელება და დაცვა უნივერსალურად არის მიჩნეული. თუმცა, ყველა ამ ხელშეკრულების დარღვევა მაინც ხდება და ხშირად ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევა. დარღვევები სხვადასხვა სახისაა და ვარირებს შედარებით მცირე დარღვევებიდან (ზოგიერთ სახელმწიფოში არათანაბარი დაცვა უმცირესობებისთვის, რამდენიმე ადამიანის წამების დამვება) დიდ დარღვევებამდე (გენოციდი დარფურში). არ აქვს მნიშვნელობა დარღვევის მასშტაბს, ყველა ეს შემთხვევა აჩვენებს უპატივცემულობას ადამიანის უფლებების მნიშვნელობის მიმართ. ეს გარემოება კი ბევრს უბიძგებს კითხვისკენ, შეასრულებენ კი ოდესმე სახელმწიფოები გლობალურ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებას? შეუძლიათ თუ არა ადამიანებს საკუთარი მთავრობების იმედი ჰქონდეთ, რომ ისინი დაიცავენ და ხელს შეუწყობენ ადამიანის უფლებებს?

არგუმენტი 1

სახელმწიფოები ძალიან მცირე მცდელობას ახორციელებენ ადამიანის უფლებების ხელშესაწყობად და დასაცავად.

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული გაეროს ხელშეკრულებების უმეტესობა არ სრულდება. გაეროს ძირითად ადამიანის უფლებების ხელშეკრულებებს ძალიან სუსტი (თუ საერთოდ აქვს) აღსრულების მექანიზმები აქვს. პირიქით, ხშირად ამ ხელშეკრულებების

ყველაზე ცუდი დამრღვევები ხშირად ის სახელმწიფოები არიან, ვინც პირველმა მოაწერა ამ შეთანხმებებს ხელი, რადგან მათ იციან, რომ ამ წესების აღსრულება მაინც ვერ მოხდება. ეს ხელშეკრულებები უბრალოდ ქაღალდის ნაგლეჯია.

პოლიტიკური მიზნები ყოველთვის დაჯაბნის ადამიანის უფლებების გავრცელებას. როდესაც გადაწყვეტილება იქნება მისაღები, სახელმწიფოები ყურადღებას არ მიაქცევენ ადამიანის უფლებების დარღვევებს პოლიტიკური მიზნების მიღწევის გამო. არ აქვს მნიშვნელობა ეს იქნება ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც აიგნორებს პოლიტიკურ რეპრესიებს ჩინეთში, ჩინეთი, რომელიც აიგნორებს გენოციდს სუდანში თუ სამხრეთ აფრიკა, რომელიც აიგნორებს ძალადობრივ დარბევებს ზიმბაბვეში, ყველა ტიპის სახელმწიფო, თვალებს დახუჭავს ადამიანის უფლებების დარღვევებზე, თუ ეს მათ ინტერესებში შედის.

ადამიანის უფლებების სტანდარტის არათანაბრად გამოყენება ხდება. როდესაც ხდება ამ საკითხისთვის ყურადღების მინიჭება, როგორც წესი, ეს არ ხდება თანასწორად. უფრო ხშირად, ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტების სააშკარაოზე გამოტანა ხდება იმ სახელმწიფოების შემთხვევაში, ვინც მტრებად არის მიჩნეული ან პოლიტიკურად უმნიშვნელოა. ამასობაში, მსგავსი დარღვევები იგნორირებულია მოკავშირე ქვეყნებში ან პოლიტიკურად ძლიერ სახელმწიფოებში

არგუმენტი 1

სახელმწიფოები ხელს უწყობენ ადამიანის უფლებების გავრცელებას.

დემოკრატიის მზარდი ნორმები ხელს უწყობს ადამიანის უფლებების გავრცელებას. მსოფლიოს გარშემო დემოკრატიული ქვეყნების მზარდი რაოდენობა ემსახურება ადამიანის უფლებების გარშემო პატივისცემის გაზრდას. დემოკრატიები უფრო მეტად დაიცავენ და გაავრცელებენ ადამიანის უფლებებს. ბევრმა დასავლეთის ქვეყანამ დახმარების ხელი გაუწოდა ახალგაზრდა დემოკრატიებს, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების დაცვას გლობალურად.

არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე მუშაობენ სახელმწიფოებთან ერთად ადამიანის უფლებების გასავრცელებლად. ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიც არის Amnesty International და Human Rights Watch განაგრძობენ სახელმწიფოებისთვის და მათი მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ადამიანის უფლებების დარღვევებზე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები ყველა ასეთ შემთხვევაზე არ რეაგირებენ, ისინი ზოგიერთ ასეთ მცდელობას მაინც პასუხობენ, რათა გაუმჯობესდეს ადამიანის უფლებების პატივისცემა გლობალურ დონეზე. არასამთავრობო ორგანიზაციები ამგვარად მნიშვნელოვანი მხარდამჭერები არიან იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც სურთ ადამიანის უფლებების ხელშეწყობა.

სახელმწიფოები ადამიანის უფლებებს სხვა ინსტიტუტების გამოყენებითაც უჭერენ მხარს. ბევრი სახელმწიფო უცხოური დახმარების და თავისუფალი ვაჭრობის წინაპირობად სახელმწიფოთა ადამიანის უფლებებთან მიმართებაში დამოკიდებულებას აყენებს. ევროკავშირი სავაჭრო ხელშეკრულების ყველა ხელისმომწერს ავალდებულებს, რომ დაიცვან გარკვეული სტანდარტები ადამიანის უფლებების კუთხით, ხოლო აშშ ყველა თავისუფალი ვაჭრობის კუთხით პარტნიორს ავალდებულებს აღიარონ მუშათა და ბავშვთა უფლებები. ეს მოთხოვნები, რომლებიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ ხელშეკრულებებშია ჩადებული, მეტად მოსალოდნელია, რომ შესრულდეს

კითხვები

- ახერხებენ სახელმწიფოები, განსაკუთრებით დასავლური სახელმწიფოები, ადამიანის უფლებების ეფექტიანად გავრცელების ხელშეწყობას? როგორ ფიქრობთ, გასულ

ათწლეულში უფრო მაღალი თუ დაბალი იყო ადამიანის უფლებების სტანდარტის აღსრულება? არის მნიშვნელოვანი შემთხვევები, სადაც სახელმწიფოები მხარს უჭერდნენ ადამიანის უფლებებს? ან პირიქით, როდესაც სახელმწიფოები არღვევდნენ მათ?

- როგორ შეიძლება ადამიანის უფლებების სტანდარტის უფრო ეფექტიანად გავრცელება? უფრო ეფექტიანი იქნება დასჯის მუქარის გამოყენება თუ წახალისება?
- ნიშნავს თუ არა, რომ ადამიანის უფლებების სტანდარტის გავრცელება გულისხმობს გარკვეული მორალის და ნორმების თავსმოხვევას არა-დასავლურ სახელმწიფოებზე? არსებობს კი ისეთი რამ, რაც არის უნივერსალური ადამიანის უფლებები?

დამატებითი საკითხავი:

- Donnelly, Jack, and Daniel Whelan. International Human Rights. 5th ed. Westview, 2017.
- Hafner-Burton, Emilie. Making Human Rights a Reality. Princeton, 2013.
- Mahoney, Jack. The Challenge of Human Rights: Origin, Development and Significance. Wiley-Blackwell, 2006.
- Simmons, Beth. Mobilizing for Human Rights: International Law in Domestic Politics. Cambridge, 2009

თავი 7

ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობები



Dan Kitwood/Getty Images

აფრიკელი მიგრანტები გემზე ჩასხდომისას, იტალია, 2015წ..

სასწავლო მიზნები

7.1 გამოყავით ადამიანის მინიმუმ ოთხი ძირითადი საჭიროება და აღწერეთ, როგორ აკმაყოფილებს მათ გლობალური სამხრეთის სულ მცირე ერთი რეგიონი მაინც

7.2 მოიყვანეთ იმ ქვეყნების მაგალითები, რომლებსაც მსოფლიო სისტემის თეორია განიხილავდა ბირთვის, ნახევრადპერიფერიის და პერიფერიის ნაწილებად

7.3 შეადარეთ ერთმანეთს კოლონიალიზმის სამი განსხვავებული შედეგი და ახსენით, როგორ გამოიწვია ამ შედეგებმა პრობლემები გლობალური სამხრეთის ეკონომიკურ განვითარებაში

7.4 შეადარეთ და ერთმანეთისგან განასხვავეთ ჩინეთისა და ინდოეთის გამოცდილებები ეკონომიკური განვითარების მიღწევის თვალსაზრისით

7.5 დააასახელეთ და შეაფასეთ ორი განსხვავებული სტრატეგია, რომლებიც განვითარებადმა ქვეყნებმა გამოიყენეს ეკონომიკური ზრდის მიღწევის მცდელობისას

7.6 აღწერეთ სამი მიზეზი, რატომ შეიძლება ქვეყნები დაეხმარონ გლობალური სამხრეთის სახელმწიფოებს

7.1 ვითარება სამხრეთში

გამოყავით ადამიანის მინიმუმ ოთხი ძირითადი საჭიროება და აღწერეთ, როგორ აკმაყოფილებს მათ გლობალური სამხრეთის სულ მცირე ერთი რეგიონი მაინც.

ეს და ამის შემდეგი თავი მსოფლიოს ღარიბ რეგიონებზე – გლობალურ სამხრეთზეა – სადაც ყველაზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ამ რეგიონების ქვეყნებს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, რომლებიც ერთმანეთის შემცვლელად გამოიყენება: *მესამე სამყაროს ქვეყნები, ნაკლებად განვითარებული ქვეყნები (LDCs), განუვითარებელი ქვეყნები (UDCS),* ან **განვითარებადი ქვეყნები.** ამ თავში განხილულია ინდუსტრიულ რეგიონებსა (ჩრდილოეთი) და დანარჩენ მსოფლიოს (სამხრეთი) შორის არსებული უფსკრული სიმდიდრის თვალსაზრისით. კიდევ უფრო განვრცობილია მესამე თავში მოყვანილი იმპერიალიზმის თეორია, რომელიც ცდილობს ამ უფსკრულის ახსნას ჩრდილოეთის მიერ სამხრეთის ისტორიული კოლონიზაციის ჭრილში. ამის შემდეგ, მიმოხილულია სამხრეთში ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ასპექტები.

განვითარებადი ქვეყნები (developing countries)
სახელმწიფოები გლობალურ სამხრეთში, მსოფლიოს ყველაზე ღარიბ რეგიონებში. იგივე განუვითარებელი ქვეყნები (underdeveloped countries).

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები ვერ თანხმდებიან გლობალურ სამხრეთში არსებული სიღარიბის ვერც მიზეზებსა და შედეგებზე და ვერც პრობლების გადაჭრის გზებზე (თუ ასეთი საერთოდ არსებობს). ამიტომაც აქვთ აზრთა სხვადასხვაობა მდიდარ და ღარიბ სახელმწიფოებს (ჩრდილოეთსა და სამხრეთს) შორის ურთიერთოებების ბუნებაზე. თუმცა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ გლობალური სამხრეთის უმეტესი ნაწილი ღარიბია, გარკვეული ნაწილი კი უკიდურესად ღარიბი.

საერთო ჯამში, დაახლოებით ერთი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში, არსებობისთვის აუცილებელი მინიმალური საკვებისა და სამედიცინო მომსახურების გარეშე. ეს ადამიანები თავმოყრილნი არიან აფრიკაში, სადაც უკვე ათწლეულებია შემოსავლის დონე მინიმალურია. ორი ათწლეულის წინ მსგავსი ვითარება იყო სამხრეთ აზიაში, მაგრამ ეკონომიკურმა ზრდამ დიდწილად შეამცირა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებთა რიცხვი. და მაინც, სამხრეთ აზიაში, რომელშიც ორი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს, საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 6 000 აშშ დოლარია ყოველწლიურად, ხოლო აფრიკაში – 3 700 აშშ დოლარი (ამ ციფრებში გათვალისწინებულია ცხოვრების დაბალი ხარჯები სხვა, უფრო მდიდარ რეგიონებთან შედარებით). მილიარდობით ადამიანი თავს აღწევს სიღარიბეს, მაგრამ უკიდურესად ღარიბთა რიცხვი მაინც არ მცირდება სწრაფად, მოსახლეობის ზრდის გამო.

ყველაზე მთავარი ისაა, რომ ყოველ ათ წამში ერთხელ, სადღაც მსოფლიოში, ერთი ბავშვი იღუპება საკვების უკმარისობის გამო – მას ან საკვები არ ეყო ან არ მიიღო ის საკვები, რომელიც ავადმყოფობასთან გამკლავებაში დაეხმარებოდა. ასეთი კი ყოველწლიურად 3 მილიონზე მეტი ბავშვია. მსოფლიოში ამ ბავშვების გამოსაკვებად საკმარისი საკვები და

შემოსავალია, მაგრამ მათ ოჯახებს ან ქვეყნებს არ აქვთ საკმარისი სახსრები. საბოლოო ჯამში, ისინი იღუპებიან სიღარიბისგან. იმავდროულად, სწორედ იმავე ათ წამში, მსოფლიო ხარჯავს 500 000 აშშ დოლარს შეიარაღებულ ძალებზე. ამ თანხის მეათასედსაც კი შეუძლია ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინოს და მეტიც გააკეთოს. ამის მსგავსად, ხალხი ვერ იღებს სათანადო რაოდენობის სასმელ წყალს, საცხოვრისს, სამედიცინო მომსახურებას და სხვა აუცილებელ საჭიროებებს იმიტომ, რომ მათ ამის საშუალება არ აქვთ. საჭიროებებს მოკლებული ადამიანების უკიდურესი სიღარიბე უფრო ნაკლებად შესამჩნევია, ვიდრე ომითა თუ გვალვით გამოწვეული შიმშილობის დრამატული მაგალითები, მაგრამ ის ბევრად უფრო მეტ ადამიანს ეხება.

2000 წელს გაერომ შეიმუშავა **ათასწლეულის განვითარების მიზნები (MDGs)**, რომელმაც დაადგინა 2015 წლისთვის მისაღწევი ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებელი სამიზნეები. პირველი რვა გულისხმობდა მსოფლიოს „უკიდურეს სიღარიბეში“ მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის განახევრებას. უკიდურესი სიღარიბე განისაზღვრებოდა დღეში 1.25 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლით. ეს მიზანი დაგეგმილზე ადრე, 2010 წელს შესრულდა, თუმცა აფრიკა მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა აზიას სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით. 1990 წლიდან მოყოლებული 2 მილიარდი ადამიანისთვის ხელმისაწვდომი გახდა გაუმჯობესებული სასმელი წყალი, მაგრამ 800 მილიონზე მეტი ადამიანი კვლავაც შიმშილობს მთელს მსოფლიოში.

ათასწლეულის განვითარებისგან მიღებული გამოცდილებით, გაერომ 2015 წელს გამოაცხადა ახალი, **მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs)**, რომელიც ძირითად საჭიროებებთან დაკავშირებულ, 2030 წლამდე მისაღწევ 17 მიზანს მოიცავს. მიზნები ფარავს ფართო სპექტრს, სიღარიბის, შიმშილობის, განათლების, ხელმისაწვდომი ენერგიის, შემცირებული უთანასწორობის, კლიმატის ცვლილების და ეკონომიკური ზრდის ჩათვლით. ჩვიდმეტივე მიზნის შიგნით გამოყოფილია სამიზნეები, მათ შორის გაზომვადი ინდიკატორები, რომლებიც შესაძლებელს გახდის შეფასებას, მიიღწა თუ არა მიზანი, სრულად თუ ნაწილობრივ.


მდგრადი განვითარების მიზნები (Sustainable Development Goals (SDGs)
გაეროს მიზნები ძირითად საჭიროებებთან მიმართებაში. მიიღეს 2015 წელს.

გლობალური სამხრეთის ხუთი რეგიონი ერთმანეთისგან განსხვავდება არა მხოლოდ სიღარიბის შემცირების, არამედ შემოსავლის დონისა და ზრდის თვალსაზრისითაც. როგორც გრაფიკი 7.1 აჩვენებს, ის რეგიონები, სადაც ეკონომიკა ყველაზე სწრაფი ტემპით იზრდება – ჩინეთი და სამხრეთ აზია – არც ყველაზე მაღალი და არც ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონეა. ახლო აღმოსავლეთი დაახლოებით ჩინეთივითაა განვითარებული ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) თვალსაზრისით, მაგრამ მისი ზრდის მაჩვენებელი ჩინეთის ნახევარს უდრის. მოგვიანებით ამ თავში გამოვიკვლევთ ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული ამ განსხვავებების მიზეზებს, მაგრამ აქ უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოს რეგიონები ერთმანეთისგან განსხვავდება რო-

გორც შემოსავლების ისე ეკონომიკური ზრდის მიხედვით, ამ ორ განზომილებას შორის კორელაციის გარეშე.

გრაფიკი 7.1 შემოსავლების დონე და ზრდის მაჩვენებლები მსოფლიოს რეგიონების მიხედვით

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით



შენიშვნა: გლობალური ჩრდილოეთის მშპ ერთ სულზე არის 40 ათასი აშშ დოლარი

ექსპერტები ვერ თანხმდებიან, თუ რამდენად შემცირდა სიღარიბე და უთანასწორობა. ზოგი ამტკიცებს, რომ სიღარიბე განახევრდა სწრაფი ეკონომიკური ზრდის გამო და შემოსავლების გლობალური განაწილება იცვლება მდიდარი-ღარიბის უკიდურესობისგან ზარის ფორმის მრუდის განაწილებისკენ, საშუალო შემოსავლების მქონე მოსახლეობის დიდი წილით, რომელიც აღმოცენებადი გლობალური საშუალო კლასია. მსოფლიო ბანკს პროგრესი უფრო ნელი მიაჩნია. 1990-დან 2015 წლამდე ერთ სულზე შემოსავალი (გათანაბრებული ინფლაციისა და ცხოვრების ხარჯის მიხედვით) გლობალურ სამხრეთში მთლიანობაში დაახლოებით 3 000-დან 8 000 აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო გლობალურ ჩრდილოეთში დაახლოებით 20 000-დან 40 000 აშშ დოლარამდე. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის უფსკრული თანდათანობით მცირდება, რადგან ურთიერთშეფარდება 6.7-დან 5.0-მდე დაეცა სამხრეთში ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებლის გამო? თუ ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩრდილოეთსა და სამხრეთში მცხოვრებ ადამიანებს შორის უფსკრული ფართოვდება, რადგან აბსოლუტური მაჩვენებლით შემოსავლებს შორის განსხვავება გაიზარდა17 000-დან დაა-

ხლოებით 32 000 აშშ დოლარამდე? თითოეულ ამ მოსაზრებაში არის სიმართლის მარცვალი.

7.1.1 ადამიანის ძირითადი საჭიროებები

გლობალური სამხრეთის ზოგიერთმა ქვეყანამ მკვეთრ პროგრესს მიაღწია შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით, მაგრამ სხვები ისევ სიღარიბის მოჯადოებულ წრეში არიან. იმისათვის, რომ ეკონომიკურ ზრდას მყარი საფუძველი ჰქონდეს, მოსახლეობის დიდი ნაწილის **ძირითადი საჭიროებები** უნდა დაკმაყოფილდეს. ხალხს სჭირდება საკვები, საცხოვრისი და ყოველდღიური მოთხოვნილების ნივთები იმისათვის, რომ თავი დაცულად იგრძნოს. მანამ, სანამ გლობალურ სამხრეთში მცხოვრებლები იმპერიალიზმს ადანამაულებენ ძირითადი საჭიროებების არასაკმარისად დაკმაყოფილებაში, უკიდურესი სიღარიბე კვლავაც გამოიწვევს რევოლუციას, ტერორიზმსა და ანტიდასავლურ განწყობებს.

ადამიანის ძირითადი საჭიროებები (Basic human needs)
ფუნდამენტური საჭიროებები, როგორებიცაა ადეკვატური საკვები, საცხოვრისი, ჯანდაცვა, სანიტარული პირობები და განათლება. ამ საჭიროებების დაკმაყოფილება შეიძლება იყოს როგორც მორალური იმპერატივი, ისე „ადამიანურ კაპიტალში" ინვესტირების ფორმა, რაც აუცილებელია ეკონომიკური ზრდისთვის.

მოსახლეობის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით ცენტრალური ადგილი უკავიათ ბავშვებს. კერძოდ, განათლება საშუალებას **აძლევს** ახალ თაობას, დაიკმაყოფილოს სხვა ძირითადი მოთხოვნილებანი და გაუძღვეს დემოგრაფიული ტრანზიციას. წიგნიერება, რაც იუნესკო განმარტებით მარტივი წინადადების კითხვისა და წერის უნარს წარმოადგენს, განათლების მთავარი კომპონენტია. წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს შეუძლია უამრავი ინფორმაცია მოიძიოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე, ჯანდაცვაზე, შობადობის კონტროლსა და სხვა საკითხებზე. ზოგიერთმა ღარიბმა ქვეყანამ შეძლო არსებითად გაეზარდა წერა-კითხვის მცოდნეთა მაჩვენებელი, თუმცა დანარჩენები კვლავაც უკან არიან.



მხარდაჭერა მომავალს თითქმის ერთი მილიარდი ადამიანი გლობალურ სამხრეთში (მათი უმრავლესობა აფრიკასა და სამხრეთ აზიაში) უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, არ აქვს სუფთა წყალი, საცხოვრებელი, საკვები, არ იცის წერა-კითხვა. ბუნებრივი კატასტროფების, გვალვებისა და ომების შედეგად ნატურალურ მეურნეობაში დასაქმებულები თავიანთ მიწებს წყდებიან, რაც ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს. თუმცა, მდგრადი წინსვლა ჯანდაცვის სფეროში, მაგალითად ამ სურათზე ნაჩვენები ქალების პრენატალური დიაგნოსტიკა ინდოეთში 2013 წელს, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას იწვევს.


დიდი სხვაობაა ზოგადი სასკოლო განათლების თვალსაზრისითაც: დაწყებით კლასებში ჩარიცხვის მაჩვენებელი 90%-ზე მეტი იყო მსოფლიოს რეგიონების უმეტესობაში 2016 წელს, ხოლო აფრიკაში ეს ციფრი მხოლოდ 70%-ს უდრიდა. იგივე სურათია ზოგადი განათლების – საბაზო ზოგადი და სრული ზოგადი – საფეხურებზე. გლობალურ ჩრდილოეთში, ბავშვების დაახლოებით 90% დადის ამ საფეხურის სკოლებში, ხოლო გლობალური სამხრეთის უმეტეს ნაწილში, ეს მაჩვენებელი მკვეთრად ნაკლებია. უმაღლესი განათლება (ბაკალავრიატი) მოსახლეობის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილისთვისაა ხელმისაწვდომი.

UNICEF-ის მონაცემებით, გლობალურ სამხრეთში 2017 წელს ოთხიდან ერთ ბავშვს არ ჰქონდა საკმარისი საკვები, შვიდიდან ერთს ხელი არ მიუწვდებოდა სამეცი-

დინო მომსახურებაზე, ასევე შვიდიდან ერთს არ ჰქონდა უსაფრთხო სასმელი წყალი. შიდსის ეპიდემიამ გააქარწყლა ის პროგრესი, რაც ბავშვთა მოკვდაობის შემცირებისა და განათლების დონის გაზრდის თვალსაზრისით იქნა მიღწეული ბოლო ათწლეულებში.

გრაფიკი 7.2 ძირითადი საჭიროებების ინდიკატორები რეგიონების მიხედვით, 2016 წ.

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით



გრაფიკი 7.2 აჩვენებს რეგიონებს შორის განსხვავებებს ბავშვების კეთილდღეობის ორი ძირითადი მაჩვენებლის თვალსაზრისით – იმუნიზაცია და ზოგადი განათლება, ოღონდ მხოლოდ მამრობითი სქესისთვის (მდედრობითი სქესის გათვალისწინება კიდევ უფრო შეამცირებდა სამხრეთის მაჩვენებლებს). ორივე შემთხვევაში, ბავშვებისთვის აუცილებელი ამ ორი ძირითადი საჭიროების დაკმაყოფილების დონე მეტნაკლებად შეესაბამება რეგიონების შემოსავლების დონეებს. ეფექტური ჯანდაცვა ღარიბ ქვეყნებში ძვირი არ არის – პირველადი ჯანდაცვა ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 5 აშშ დოლარზე ნაკლები ჯდება. 1990 წლიდან, მიუხედავად ომებისა და შიდსის/აივ-ინფექციის ეპიდემიით შექმნილი საგანგაშო პრობლემებისა, გლობალურ სამხრეთში საზოგადოებრივმა ჯანდაცვამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია რამდენიმე თვალსაზრისით. განახევრდა ჩვილებში ტეტანუსით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევები, უსაფრთხო წყალი ხელმისაწვდომი გახდა ერთ მილიარდზე მეტი ადამიანისთვის. პოლიომიელიტი თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა, თუმცა ვაქცინაზე რეზისტენტულობამ ნიგერიის რამდენიმე რაიონში დაავადების ხელახალი აფეთქება გამოიწვია და სამ ქვეყანაში (პაკისტანი, ავღანეთი და ნიგერია) ვირუსის ადგილობრივი შტამები და-

ფიქსირდა 2016 წლისთვის. სხვა ქვეყნებში ცდების წარმატებით ჩატარების შემდეგ, 2006 წელს რვა აფრიკულ ქვეყანაში მალარიის მწერების საწინააღმდეგო ხსნარით დამუშავებული ბადეების დარიგებასთან ერთად დაიწყეს წითელასა და პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, პარაზიტი ჭიების საწინააღმდეგო აბების, A ვიტამინის შემცველი დანამატებისა და საგანმანათლებლო მასალების გავრცელება. კომპლექსურმა მიდგომამ გაამართლა. 2016 წელს, 5 წლის ასაკის ქვემოთ ბავშვების გარდაცვალების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა – 6 მილიონზე გაცილებით ნაკლები, რაც 1990 წლის შემდეგ არსებული მონაცემების განახევრებას ნიშნავდა. წითელათი გარდაცვალების შემთხვევები სამი მეოთხედით შემცირდა სულ რაღაც ათი წლის განმავლობაში, 2000-2010 წლებში, რაც უზარმაზარი წარმატებაა.

კარიერა საერთაშორისო ურთიერთობებში: არასამთავრობო ორგანიზაცი

შეჯამება

არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობა დიდ პირად გამოცდილებას სძენს მათ, ვისაც გარკვეული მიზნისთვის ბეჯითად გარჯა სურს, თუმცა ასეთი სამუშაოსთვის ანაზღაურება დიდი არაა და მისი შოვნაც ჭირს.

სარგებელი და საზღაური დაახლოებითი 40 ათასი არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს და მათი რიცხვი სულ იზრდება. ათასობით ადამიანი ინტერესდება ასეთ ორგანიზაციებში მუშაობით. მართალია, არასამთავრობო ორგანიზაციები ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ ბევრი ასრულებს რამდენიმე ფუნქციას – მუშაობს განვითარებად ქვეყნებში სხვადასხვა საკითხებზე, ეწევა საზოგადოების ინფორმირებას შინ და საზღვარგარეთ, ხელისუფლების წინაშე ლობირებს, რომ მათ შეცვალონ პოლიტიკა, ადგენენ პროექტებს პრობლემების გადასაჭრელად და ეძებენ დაფინანსებას მათ განსახორციელებლად.



არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობა მრავალ სარგებელთანაა დაკავშირებული. აქ მომუშავეთა ირგვლივ თავს იყრიან ადამიანები, რომლებსაც იგივე საკითხები აწუხებთ: გარემოს გაუმჯობესება, ადამიანის უფლებების დაცვა, ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა, უკეთესი ჯანდაცვის ხელშეწყობა. ეს მეგობრული სულისკვეთება შეიძლება იყოს გამამხნევებელიც და სიამოვნების მომგვრელიც.

არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობა ინდივიდუალურად ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ის არ არის ასეთივე სარგებლის მომგვრელი ფინანსურად. ამ ორგანიზაციების უმრავლესობა არამომგებიანია და საკუთარ თანამშრომლებს ხანგრძლივი სამუშაო საათებისთვის არასაკმარის ანაზღაურებას უხდის. მეტიც, ბევრი მცირე არასამთავრობო ორგანიზაცია მუდმივად იბრძვის ხელისუფლებისაგან, კვლევითი ცენტრებისაგან, კერძო ფონდებისა თუ ინდივიდებისგან დაფინანსების მისაღებად. ფონდების მოძიება საკმაო დროს მოითხოვს.

არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი რაოდენობის, შედარებით დაბალი ანაზღაურებისა და ხანგრძლივი სამუშაო საათების მიუხედავად, ამ ორგანიზაციებში სამუშაო ადგილის პოვნა შეიძლება რთული იყოს. შესაძლო გამოსავალია მეტი სპეციფიკა. ეცადე,

დაავიწროო შენი ინტერესი რამდენიმე არსებითი სფეროს (ანუ, ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა) და/ან გეოგრაფიული რეგიობის თვალსაზრისით. ასევე, დაფიქრდით, თქვენს საკუთარ ქვეყანაში მუშაობა გსურთ თუ საზღვარგარეთ. საზღვარგარეთ სამსახური შეიძლება უფრო სარგებლის მომტანი იყოს, მაგრამ რაოდენობით ცოტაა და უფრო მოთხოვნადია.

საჭირო უნარ-ჩვევები არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად დამოუკიდებელ, ინიციატივის მქონე ადამიანებს ეძებენ. მათ აქვთ ცოტა დრო და რესურსი თანამშრომელთა მომზადებისთვის. არსებითია ძირითადი საოფისე უნარ-ჩვევები (მაგალითად, კომპიუტერის ცოდნა), მაგრამ თანამშრომლებს ყოველდღიურად სჭირდებათ სხვადასხვა მოვალეობების შესრულება. თქვენი შრომის აღწერა მოიცავს ყველაფერს. წერითი და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამუშაოს ნაწილია ფონდების მოძიება. უცხო ენების ცოდნა ასევე არსებითია, რადგან ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს კავშირი ან მუშაობს საზღვარგარეთ მდებარე ოფისებთან.

არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად თანამშრომლებისგან მოელიან მოხალისეობას მომზადების პერიოდში, ანუ ვიდრე დაასაქმებენ. სულ უფრო იზრდება შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი კომპანია მოხალისეობრივი ან დამწყები პოზიციისთვის თანხას ითხოვს. მუშაობაში თანხის გადახდის სანაცვლოდ თქვენ იღებთ გამოსაცდელ პერიოდს, რა დროსაც ივითარებთ უნარ-ჩვევებს, ეცნობით ორგანიზაციის საქმიანობას და შედეგიანი ხდებით მანამ, სანამ ანაზღაურებად სამსახურს შეუდგებით.


და ბოლოს, იქ სადაც არასამთავრობო ორგანიზაციებია თავმოყრილი (მაგალითად, დედაქალაქ ვაშინგტონში), პირადი კონტაქტები მნიშვნელოვანია კარგი შესაძლებლობებისთვის. თანამშრომლები ხშირად გადადიან ერთი ორგანიზაციიდან მეორეში. ამ მიზეზით, ბევრი თანხმდება მოხალისეობრივ ან ნებისმიერ სამუშაოს თუნდაც იმ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც უშუალოდ არ შეესაბამება მათი ინტერესების სფეროს, რათა შეიძინონ გამოცდილება და კონტაქტები, რაც მათ კარიერის სამომავლო განვითარებაში დაეხმარება.

წყაროები:

King, Richard M. From Making a Profit to Making a Difference: How to Launch Your New Career in Nonprofits. Planning/
Communications, 2000.
Weiss, David. Careers in International Development and Humanitarian Assistance NGOs. In Careers in International Affairs.
9th ed. Georgetown School of Foreign Service, 2014.
http://www.ngo.org/links/index.htm
http://www.idealist.org
http://www.wango.org/resources.aspx?section=ngodir

და მაინც, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული გლობალური უთანასწორობა თვალში საცემია. გლობალურ სამხრეთში მცხოვრები მსოფლიო მოსახლეობის 75% მსოფლიოში არსებული ექიმებისა და ექთნების დაახლოებით 30%-ის ამარადაა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიხედვით, სამედიცინო კვლევებზე გლობალური დანახარჯების 5%-ზე ნაკლებია მიმართულია განვითარებად ქვეყნებში არსებული პრობლემების მოგვარებისკენ. ყველაზე მეტი ადამიანი იღუპება შიდსის, მწვავე რესპირატორული ინფექციების, დიარეის, ტუბერკულოზის, მალარიისა და ჰეპატიტისგან. 400 მილიონზე მეტი ადამიანია დასნეულებული ტროპიკული დავაადებებით – მარტო 200-დან 300 მილიონამდე მალარიით. რადგანაც ასეთი დაავადებების მქონე ადამიანები ღარიბები არიან, ინდუსტრიული სამყაროს ფარმაცევტული კომპანიებისთვის (რომლებიც ტრანსნაციონალური კორპორაციები არიან) ხშირ შემთხვევაში ბაზარი საკმარისად დიდი არ არის იმისთვის, რომ კომპანიებმა საჭირო მედიკამენტებში ინვესტირება მო-

ახდინონ. ხოლო როდესაც ღარიბ ქვეყნებს სჭირდებათ მდიდარი ბაზრებისთვის შექმნილი მედიკამენტები, ეს წამლები მათთვის წარმოუდგენლად ძვირი შეიძლება იყოს (იხ. მე-8 თავი). მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის მცდელობების წყალობით, მალარიის სიკვდილიანობის მაჩვენებელი 29%-ით შემცირდა 2010 წლის შემდეგ.




მათემატიკის გაკვეთილი. ბავშვებს მთავარი ადგილი უკავიათ გლობალურ სამხრეთში ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე მიმართულ მცდელობებში. განათლება გადამწყვეტი ფაქტორია როგორც ეკონომიკური განვითარებისთვის ისე დემოგრაფიული ტრანზიციისთვის. მსოფლიოს მასშტაბით გოგოები უფრო ნაკლებ განათლებას იღებენ, ვიდრე ბიჭები. ავღანეთში, თალიბების რეჟიმის პირობებში, მათ სკოლებში სიარულიც კი აეკრძალათ. სურათზე ნაჩვენებია მათემატიკის გაკვეთილი ავღანეთში, ყანდაარში 2002 წელს, თალიბების პირველი რეჟიმის დაცემის შემდეგ.


უსაფრთხო სასმელი წყალი ადამიანის ძირითად საჭიროებათა დაკმაყოფილების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ბევრ სასოფლო დასახლებაში ხალხს ყოველდღიურად კილომეტრების გავლა უწევს სასმელი წყლისთვის. წყლის ხელმისაწვდომობა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა სახლში წყალი უნდა მოდიოდეს, არამედ გულისხმობს სუფთა ჭის ან ონკანის არსებობას სოფელში. 1990-2010 წლებში განახევრდა მათი რიცხვი, ვისაც ხელი არ მიუწვდებოდა წყალზე, ანუ „ათასწლეულის განვითარების მიზნების“ ამ ამოცანის შესრულება დაგეგმილზე უფრო ადრე მოხდა. თუმცა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ათიდან სამი ადამიანი კვლავ უსაფრთხო სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდის. ორჯერ მეტს არ აქვს გამწმენდი სანიტარული ობიექტები (როგორიცაა საკანალიზაციო სისტემები და ჰიგიენური ტუალეტები). 4.5 მილიარდ ადამიანს ხელი არ მიუწვდება კანალიზაციაზე. ამის შედეგია ეპიდემიების განმეორება და ფართოდ გავრცელებული დიარეა, რომელიც მილიონით ბავშვის გარდაცვალების მიზეზი ხდება ყოველწლიურად. ვითარება გაცილებით უფრო რთულია სოფლებში, ვიდრე ქალაქებში. ცუდმა სანიტარულმა პირობებმა ჰაიტიზე ხელი შეუწყო ქოლერას ეპიდემიას, რამაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა 2010-2013 წლებში (ბედის ირონიით, ეს დაავადება ჰაიტიზე დასახმარებლად ჩასულმა ნეპალელმა მშვიდობისმყოფელებმა ჩაიტანეს).

საცხოვრისი ადამიანის კიდევ ერთი პირველადი საჭიროებაა. მსოფლიოში ექვსიდან ერთი ადამიანი ცხოვრობს არასათანადო საცხოვრებელში ან სულაც უსახლკაროა. სხვადასხვა მონაცემების შედარებისას, ჩანს, რომ ერთ მილიარდ ადამიანს უბრალოდ არაფერი გააჩნია. სხვადასხვა მაჩვენებელი იდეალურად არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიო მოსახლეობის ერთი მილიარდი ადამიანი, რომელთა უმეტესობა სასოფლო არეალებშია თავმოყრილი, გაუსაძლის სიღარიბეში ცხოვრობს. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რაც ამ ადამიანების უკიდურეს სიღარიბეს განაპირობებს, როგორც ჩანს, არის სამოქალაქო ომი, კორუფცია, „რესურსების წყევლა“ და ზღვაზე გასასვლელის არქონა, რაც ვაჭრობაზე თავისუფალი წვდომისთვისაა საჭირო.

გრაფიკი 7.3 წყლისა და საკვების ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები, 2015

წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მაჩვენებლებზე დაყრდნობით





გლობალურ სამხრეთში როგორც საერთაშორისო ისე სამოქალაქო ომი არის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი ძირითადი ადამიანური საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის. ომი იმაზე უფრო დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას, ვიდრე მხოლოდ ომის შედეგად დაღუპულები და დაშავებულებია. საომარ ზონებში, ნადგურდება ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, როგორიცაა სატრანსპორტო კომუნიკაციები, იგივე ბედი ეწევა საჯარო სერვისებს, მაგალითად, ჯანდაცვას და განათლებას. ომები რადიკალურად ამცირებს ნდობას ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მიმართ, რასაც ინვესტიცია და ვაჭრობა ეფუძნება.

გრაფიკი 7.3 აჩვენებს უსაფრთხო წყალისა და საკვების ხელმისაწვდომობის მაჩვენებლებს მსოფლიო რუკაზე. ეს მოდელი მეტნაკლებად ჩააგავს მიმდინარე ომების რუკას (იხ. მე-4 თავი). თუკი მართლა არსებობს კავშირი ბოლოდროინდელ ან ამჟამად მიმდინარე ომებსა და პირველადი საჭიროებების ნაკლებობას (თავის მხრივ, კავშირშია შემოსავლების დონესთან) შორის, მაშინ ისმის კითხვა, რომელი იწვევს რომელს? აღარიბებს თუ არა ომი საზოგადოებას და ხელს უშლის თუ არა მას, რომ დააკმაყოფილოს თავისი მოსახლეობის პირველადი საჭიროებები? თუ პირიქით, სიღარიბე, პირველადი საჭირობებების დაუკმაყოფილებლობა ხომ არ ხდის საზოგადოებას ომის მიმართ უფრო მიდრეკილს? სავარაუდოდ, ორივე მოსაზრება სწორია. ომი ხშირად მოჯადოებული წრის ნაწილია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც სიღარიბიდან ამოსვლას ვერ ახერხებენ.

7.1.2 შიმშილობა მსოფლიოში

საკვების უკმარისობა (იგივე კვების დეფიციტი) გულისხმობს საჭირო საკვების, მათ შორის, პროტეინებისა და ვიტამინების ნაკლებობას. ტერმინი „შიმშილობა“ ზოგადად ეხება არასათანადო კვებას ან კვების აშკარა დეფიციტს – კალორიების სიმცირეს. ამგვარი შიმშილი, როგორც წესი, არ კლავს ადამიანს უშუალოდ საკვების მიუღებლობის მიზეზით, მაგრამ ის ასუსტებს მას და დაუცველს ხდის ორგანიზმს ინფექციური დაავადებების მიმართ, რომლებიც, ჩვეულებრივ შემთხვევაში, ფატალურ შედეგს არ მოიტანდა.

საკვების უკმარისობა (Malnutrition)
საჭირო საკვების, მათ შორის პროტეინისა და ვიტამინების ნაკლებობა; დაახლოებით 3 მილიონი ბავშვი იღუპება ყოველწლიურად არასათანადო კვებასთან დაკავშირებული მიზეზებით.

დაახლოებით 800 მილიონი ადამიანი, გლობალური სამხრეთის დიდი უმრავლესობა, ქრონიკული საკვების ნაკლებობას განიცდის (იხ. ცხრილი 7.1). 1996 წლის მსოფლიოს სურსათის სამიტზე მსოფლიო ლიდერებმა მიზნად დაისახეს შიმშილობის მაჩვენებლის განახევრება 2015 წლისთვის. მსოფლიო მიუახლოვდა ამ მიზანს, თუმცა მისი მთლიანად შესრულება ვერ მოახერხა. მოსახლეობის ზრდის პროპორციულად, შიმშილობის მაჩვენებელი 19-დან 11 პროცენტამდე შემცირდა 1991-დან 2014 წლამდე პერიოდში. 2015 წელს მსოფლიო ლიდერებმა პირობა დადეს, რომ მიზნად დაისახავდნენ შიმშილობისა და უკიდურესი სიღარიბის

დაძლევას 2030 წლისთვის. ჩინეთმა დიდი პროგრესი განიცადა ბავშვთა არასათანადო კვების მაჩვენებლის შემცირების საკითხში, გაანახევრა რა ეს რიცხვი 1990 წელთან შედარებით. თუმცა, პროგრესი სამხრეთ აზიაში საკმაოდ ნელი იყო, აფრიკა კი საერთოდაც ვერ მიიწევდა წინ. მსოფლიოს ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებიდან ყოველი მეექვსე, ხოლო ამ ასაკის ბავშვების ნახევარი ინდოეთში, არასაკმარისი წონის იყო. 2014 წლისთვის შემცირდა ინდოელ ბავშვებში არასრულფასოვანი კვების მაჩვენებელი, თუმცა ეს არ შეხებია უკიდურესად ღარიბი ადამიანების 20 პროცენტს.

ცხრილი 7.1 გლობალური საკვების უკმარისობა

ქრონიკულად შიმშილის პირას მყოფი ადამიანები რეგიონების მიხედვით, 2016 წ.

რეგიონი	რიცხვი (მილიონში)	წილი მოსახლეობაში (%)	15 წლით ადრე (%)
სამხრეთი აზია	270	15	19
სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია	65	10	22
ჩინეთი	135	10	16
აფრიკა	205	21	25
ლათინური ამერიკა	40	6	11
ახლო აღმოსავლეთი	40	9	9
განვითარებადი სამყარო	755	13	18

წყარო: გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიხედვით, *საკვების უთანასწორობის მდგომარეობა მსოფლიოში*, 2017

ნატურალური მეურნეობა (subsistence farming)
სოფლის თემი საკვებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს და არა ადგილობრივ ან მსოფლიო ბაზრებზე გასაყიდად.

ტრადიციულად, სოფლის მოსახლეობას თავადვე მოჰყავდა თავისი საკვები, ეწეოდა რა **ნატურალურ მეურნეობას.** კოლონიალიზმა დაარღვია ეს მოდელი. რღვევა გაგრძელდა ამის შემდგომაც. გლობალური სამხრეთის ქვეყნებმა ნატურალური მეურნეობა კომერციული სოფლის მეურნეობით შეცვალეს. მცირე ნაკვეთები დიდ პლანტაციებად გაერთიანდა, რომლებსაც ხშირად მდიდარი მემამულეები აკონტროლებდნენ. კაპიტალის კონცენტრირებითა და მსოფლიო ვაჭრობაში ადგილის დაკავებისკენ ეკონომიკის მიმართვით, ეს პროცესი თანხვედრაშია ლიბერალურ ეკონომიკასთან. თუმცა, ეს მიწიდან განდევნის ნატურალური მეურნეობის ფერმერებს. ომი კიდევ უფრო სწრაფად და იგივე შედეგებით აშორებს ფერმერებს მიწას.

სასაქონლო კულტურები (cash crops)
სასოფლო სამეურნეო პროდუქტი, რომელიც მოჰყავთ მსოფლიოს ბაზრებზე ექსპორტისთვის.

კომერციული სოფლის მეურნეობა ემყარება მანქანა-დანადგარებს, სამრეწველო საწვავს და ხელოვნურ სასუქებსა და პესტიციდებს, რომლის შეძენა ხდება ნაღდი ფულით და ხშირად იმპორტირებულია. ამის შესაძენი ფულისთვის, დიდ მეურნეობებს მოჰყავთ **სასაქონლო კულტურები** – სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომელიც გამიზნულია მსოფლიო

ბაზრებზე ექსპორტისთვის. ასეთ კულტურებს, როგორც წესი, ნაკლებად შეუძლია ადგილობრივი გლეხების გამოკვება. ამის მაგალითებია ყავა, ჩაი და შაქრის ლერწამი. ნატურალურ მეურნეობებში დასაქმებული ფერმერები, საბოლოო ჯამში, დიდ პლანტაციებში იწყებენ მუშაობას დაბალ ხელფასზე ან გადასახლდებიან ქალაქებში სამუშაოს შოვნის იმედით. ხშირად ისინი შიმშილობის პირობებში აღმოჩნდებიან. ბედის ირონიაა, მაგრამ აგრარულ რაიონებში სურსათზე მაღალი ფასები ზრდის დიდი ფერმერების შემოსავალს, მაგრამ ბევრი ვეღარ ახერხებს სურსათის შეძენას.

სტიქიურ უბედურებებს შეუძლია გაზარდოს საკვები პროდუქტების დეფიციტი. მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა პაკისტანი 2010 წლის გამანადგურებელი წყალდიდობების შემდეგ. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიხედვით, თითქმის რვაასი ათასი ჰექტარის მარცვლეული კულტურები წალეკა პაკისტანის წყალდიდობამ, რამაც საკვების დეფიციტი შექმნა ადამიანებისა და შინაური ცხოველებისთვის. სახელმწიფოებმა, საერთაშორისო მთავრობათაშორისმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, უდიდესი ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, დაუყოვნებლივ გააგზავნეს სურსათი წყალდიდობაგადატანილ პაკისტანში.

ზოგჯერ საერთაშორისო სასურსათო დახმარების პროგრამებმაც შეიძლება წარმოშვას პრობლემა. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა შეიძლება უპირატესობას ანიჭებდეს მექანიზებული კომერციული მეურნეობის განვითარებას. ასევე, თუ საერთაშორისო ორგანიზაციები დაზარალებულ ტერიტორიებზე უხვად დაარიგებენ სურსათს, ეს გამოიწვევს ფასები ვარდნას ადგილობრივ ბაზარზე, რამაც შეიძლება ადგილობრივი ფერმერები განდევნოს ბაზრიდან და გაზარდოს მოსახლეობის დამოკიდებულება მთავრობისა თუ საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებაზე. ასევე, გვალვისა და შიმშილობის დროს ადამიანებს უწევთ სურსათის მისაღებად კვების ცენტრებში მისვლა, რაც აფერხებს აფერხებს მათ საქმიანობას მიწაზე.

7.1.3 სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა

გლეხების მოწყვეტა ნატურალური მეურნეობებისგან ხელს უწყობს ადამიანების მასობრივ გადაადგილებას, რაც, როგორც წესი, თან ახლავს დემოგრაფიულ ტრანზიციას. უფრო მეტი და მეტი ადამიანი გადადის სოფლიდან ქალაქში საცხოვრებლად. ამ მოვლენას **ურბანიზაცია** ეწოდება. აღნიშნული პროცესის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. არ არსებობს სტანდარტული განსაზღვრება იმისა, თუ როდის გადაიქცევა დაბა ქალაქად. თუმცა, ინდუსტრიული ქვეყნები აცხადებენ, რომ მათი მოსახლეობის დაახლოებით 70-90 პროცენტი ცხოვრობს ქალაქებში. შედარებისთვის, ჩინეთი 2017 წელს მხოლოდ 55 პროცენტით იყო ურბა-

ურბანიზაცია (urbanization)
მოსახლეობის გადასვლა სოფლიდან ქალაქში, რაც, ჩვეულებრივ, თან ახლავს ეკონომიკურ განვითარებას და გაძლიერებულია გლეხების იძულებითი გამოდევნით ნატურალური მეურნეობიდან.



ქალების ძალა გლობალური სამხრეთის ქვეყნებში ქალების სტატუსი გავლენას ახდენს ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. ქალებს ცენტრალური ადგილი უკავიათ აგრარულ ეკონომიკაში, დემოგრაფიული სტრატეგიების და ადამიანის ძირითადი საჭიროებების, მათ შორის განათლების მიღების, დაკმაყოფილების თვალსაზრისით. სურათზე გამოსახული ქალები წარმოადგენენ ურბანული სოფლის მეურნეობის პროექტს ნიგერიაში, 2018 წ.

ნიზებული (მთავრობის მიზანი იყო 60 პროცენტი 2020 წლისთვის),[1] ხოლო აზიისა და აფრიკის უმეტეს ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 30-სა და 40 პროცენტს შორის მერყეობდა. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უმეტესში 50 პროცენტიანი ურბანიზაციაა, ხოლო სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში – 70-85 პროცენტიანი.

ურბანიზაცია არ არის გამოწვეული ქალაქებში მოსახლეობის ზრდის უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრე სოფლებში. სინამდვილეში, პირიქით ხდება. ქალაქებში ადამიანები უკეთესს განათლებას იღებენ, უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ. ისინი უფრო ნინ არიან წასული დემოგრაფიული ტრანზიციის თვალსაზრისით და სოფლად მაცხოვრებლებთან შედარებით, მობადობის ნაკლები მაჩვენებელიც ახასიათებთ. ამდენად, ქალაქის მოსახლეობას სოფლიდან ქალაქში გადასახლებული ადამიანები უფრო ზრდის, ვიდრე შობადობა. ისინი ამას აკეთებენ უკეთესი შემოსავლის (ეკონომიკურ შესაძლებლობები) და უფრო საინტერესო ცხოვრების იმედით. ქალაქში გადასახლების მიზეზი ასევე ისაა, რომ სოფლებში მოსახლეობის ზრდა წარმოქმნის საკვების, წყლის, სახნავ-სათესი მიწისა და სხვა რესურსების ნაკლებობას.

ბევრმა ქვეყანამ დაიწყო ფიქრი დიდი ზომის მიწის ნაკვეთების დანაწევრებასა და ღარიბი გლეხებისთვის გადანაწილებაზე, რათა მათ ნატურალურ მეურნეობას მისდიონ – ესაა **მიწის რეფორმა.** მიწის რეფორმის ძირითადი მოწინააღმდეგები არიან მსხვილი მემამულეები, რომლებიც ხშირად იყენებენ დიდ პოლიტიკურ გავლენებს, რაც მომდინარეობს მათი სიმდიდრიდან და კავშირებიდან საერთაშორისო ბაზრებთან, მრავალეროვნულ კორპორაციებთან და მყარი ვალუტის სხვა წყაროებთან.

მიწის რეფორმა (land reform)
პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მსხვილი მამულების დანაწევრებას და მიწის გადანაწილებას ღარიბ გლეხებზე მათი ნატურალური მეურნეობებისთვის.

7.1.4 ქალების როლი განვითარებაში

ღარიბ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარება მჭიდრო კავშირშია საზოგადოებაში ქალების სტატუსთან. ეს შედარებით ახალი აღმოჩენაა, რადგან ათწლეულების განმავლობაში მეტი ყურადღება ეთმობოდა მამაკაცებს, როგორც კაპიტალის ძირითად გენერატორებს. მთავრობებისა და საერთაშორისო ანგარიშები ყურადღებას ამახვილებდა ხელფასის მიმღები მამაკაცების მიერ შესრულებულ სამუშაოზე. ამის საპირისპიროდ, ქალების მიერ გაწეული შრომა ხშირად არ ნაზღაურდება ფულით და არც

1 2021 წლისთვის ჩინეთის მოსახლეობის 64 პროცენტზე მეტი ცხოვრობდა ქალაქებში. *რედ. შენ.*

ფინანსურ სტატისტიკურ მონაცემებში აისახება. თუმცა, ქალები მსოფლიოს უმეტეს ნაწილში კაცებზე უფრო მუყაითი მშრომელები არიან და მეტი წვლილი შეაქვთ თავიანთი ოჯახების და საზოგადოებების კეთილდღეობაში. ქალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჭარბბავშვიანობის პრობლემის მოგვარებისა და შობადობის შემცირების თვალსაზრისით (იხ. ჩანართი საზოგადოებრივი აზრისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ). ღარიბ ქვეყნებში ქალები საკვანძო ფუნქციას ასრულებენ ადამიანების ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების საქმეში, როგორიცაა საკვები, განათლება, ჯანდაცვა და საცხოვრისი.

და მაინც, ქალებს მამაკაცებზე უფრო დაბალი სოციალური სტატუსი აქვთ სამხრეთის ქვეყნებში (უფრო, ვიდრე ჩრდილოეთში). მაგალითად, სურსათის დეფიციტის დროს მამაკაცები და ბიჭები პირველები ჭამენ, ქალები და გოგონები კი იმით იკვებებიან, რაც დარჩება. ფართოდაა გავრცელებული გოგონების დისკრიმინაცია განათლების მიღებისა და წერა-კითხვის ცოდნის თვალსაზრისით. მსოფლიოს მასშტაბით, წერა-კითხვის უცოდინარი 775 მილიონი ზრდასრულიდან ორ-მესამედს ქალები შეადგენენ. აზიაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში (მაგრამ არა ლათინურ ამერიკაში), უფრო მეტი ბიჭი იღებს განათლებას, განსაკუთრებით საშუალო სკოლის დონეზე, თუმცა ეს სხვაობა საგრძნობლად შემცირდა ბოლო წლების განმავლობაში. საუნივერსიტეტო დონეზე, ქალების მხოლოდ 30 პროცენტია სტუდენტი ახლო აღმოსავლეთში, ოდნავ მეტი, ვიდრე სამხრეთ აზიასა და აფრიკაში, სადაც ეს მაჩვენებელი 20 პროცენტს შეადგენს (45 პროცენტი ჩინეთსა და ლათინურ ამერიკაში). ავღანეთში თალიბანის რეჟიმმა სასტიკი ზომები გაატარა ქალების განათლების წინააღმდეგ, გოგონებს სკოლაში სიარული, ყველა ქალს კი ანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმება აუკრძალა.

ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს ყურადღების მიქცევა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სასკოლო განათლებაში დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ქალებისთვის ჯანდაცვისა და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე ხელმისაწვდომობა, დედების ინფორმირება ორსულობისა და ახალშობილთა ჯანმრთელობაზე და ზოგადად, საზოგადოებაში ქალთა სტატუსის ამაღლება (გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი გააქტიურება). მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციები ეხმარებიან ქალებს მცირე ბიზნესის, ფერმებისა და სხვა, შემოსავლების მომტანი აქტივობების ორგანიზებაში. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) დაეხმარა ქალებს ხელსაყრელი პირობებით საბანკო სესხების მიღებაში მცირე ბიზნესის წამოსაწყებად ეგვიპტესა და პაკისტანში, ასევე კოოპერატიული ფერმერული მეურნეობებისთვის ინდონეზიაში. ქალებმა კოოპერატივები ჩამოაყალიბეს მთელი გლობალური სამხრეთის მასშტაბით, ხშირად სასოფლო დასახლებში, რათა დააგროვონ შემოსავალი ფეიქრობით, ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოებით, საცალო ვაჭრობის მაღაზიებით, სოფლის მეურნეობით და ა.შ.

საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები

მორალურობა და ჯანმრთელობა

მობადობის კონტროლის რაიმე საშუალებებზე წვდომა ხშირად განიხილება ქალთა ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვან ფაქტორად. კვლევები მუდამ აჩვენებს, რომ მობადობის კონტროლზე წვდომა სასიცოცხლოა ქალისა და ბაშვების ჯანმრთელობისთვის. კონტრაცეპტივების გამოყენებას შეუძლია ასობით ათასობით დედის სიცოცხლის გადარჩენა სამხრეთში. ბაშვების გაჩენას შორის შუალედის გაზრდით შესაძლებელია ხუთ წლამდე ბავშვთა მოკვდაობის 25 პროცენტით შემცირება.

მიუხედავად ამისა, რელიგიური რწმენა, კულტურული ნორმები და ოჯახი დიდი გავლენას ახდენს მობადობის კონტროლის მიმართ განწყობებზე. ინდივიდებს შეიძლება ჰქონდეთ ძალიან განსხვავებული შეხედულებები მობადობის კონტროლის მორალურობაზე. ეს ასეა ოჯახების შიგნითაც კი. ერთ-ერთი ცნობილი კვლევის დროს, ქალების ნაწილს მობადობის კონტროლის საშუალებები შესთავაზეს ქმრების თანდასწრებით და ნაწილს – მათგან დამოუკიდებლად. ერთი თვის შემდეგ, არასასურველი ორსულობის ალბათობა 50 პროცენტით უფრო დაბალი იყო მათში, ვისაც კონტროლის საშუალებები დამოუკიდებლად შესთავაზეს.

შესაბამისად, მოსაზრებების მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს ქვეყნებს შორის, როდესაც კითხვას ვსვამთ მობადობის კონტროლის როგორც ოჯახის დაგეგმვის საშუალების მორალურობაზე. 2013 წელს 39 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის დროს დაისვა კითხვა, კონტრაცეპტივების გამოყენება იყო მორალურად მისაღები, მორალურად მიუღებელი, ვითარების მიხედვით მორალური თუ საერთოდ არ იყო მორალის საკითხი. შედეგები მოცემულია გრაფიკზე 7.4.


ქვეყნების უმრავლესობაში რესპონდენტებისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი პასუხი იყო, რომ კონტრაცეპტივების გამოყენება არის მორალურად მისაღები. მართლაც, ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში მოსახლეობის უმრავლესობამ უპასუხა, რომ კონტრაცეპტივების გამოყენება არის ან მორალურად მისაღები ან სულაც არ არის მორალის საკითხი. თუმცა, განვითარებად სამყაროში უფრო დიდი მრავალფეროვნებაა. ორ ქვეყანაში – პაკისტანსა და ნიგერიაში, რესპონდენტების უმრავლესობისთვის კონტრაცეპტივების გამოყენება მორალურად მიუღებელია. კონტრაცეპტივების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება საკმაოდ დიდია სხვა განვითარებად ქვეყნებშიც. ამის მაგალითებია განა, ტუნისი და უგანდა. ლიბანში მედარებით ცოტა ადამიანს მიაჩნია კონტრაცეპტივების გამოყენება მორალურად მისაღებად, მაგრამ კიდევ უფრო ცოტას მიაჩნია ის მორალურად მიუღებლად. ამ ქვეყანაში უფრო მეტი ადამიანის პასუხი ხვდება სხვა ორ კატეგორიაში – ვითარების მიხედვით მორალური და არ არის მორალის საკითხი.

რადგან ოჯახის დაგეგმვა მნიშვნელოვანია როგორც ქალების ისე ბავშვების ჯანმრთელობისთვის, ხოლო ორივე ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის, ამ საკითხზე საზოგადოების ინფორმირება და განათლება უნდა იყოს მგრძნობიარე სხვადასხვა რელიგიური და კულტურული ნორმების მიმართ. ოჯახის დაგეგმვის მიდგომა ლიბანში უნდა განსხვავდებოდეს პაკისტანისგან. ამდენად, აღნიშნულ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის გავლენა ძალიან მნიშვნელოვანია საჯარო პოლიტიკის თვალთახედვით.

გრაფიკი 7.4 გლობალური აზრი კონტრაცეფციაზე

წყარო: Pew Research Center.

კონტრაცეპტივების გამოყენება არის ...



7.1.5 მიგრაცია და ლტოლვილები

ზემოთ განხილული პროცესები – პირველადი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, გლეხების მიწიდან მოწყვეტა და ურბანიზაცია – კულმინაციას აღწევს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხში, რომელიც გავლენას ახდენს ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ურთიერთობებზე: ესაა **მიგრაცია** ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში. გლობალურ სამხრეთში მცხოვრებმა მილიონობით ადამიანმა გადაკვეთა სახელმწიფოთაშორისი საზღვრები ჩრდილოეთში მოსახვედრად, ხშირ შემთხვევაში არალეგალურად.

მიგრაცია (migration)
გადაადგილება ქვეყნებს შორის. როგორც წესი, ძველი ქვეყნიდან ემიგრაცია ნიშნავს ახალ ქვეყანაში იმიგრაციას.

ადამიანი, რომელიც საცხოვრებლად გადადის ახალ ქვეყანაში უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობების, უკეთესი სამუშაო პირობების, ან მისი ოჯახის, კულტურის თუ რელიგიისთვის უფრო კარგ გარემოში მოსახვედრად, ერთვება პროცესში, რომელსაც მიგრაცია ეწოდება (ემიგრაცია ძველი სახელმწიფოდან და იმიგრაცია ახალში). ასეთი მიგრაცია ნებაყოფლობითად განიხილება. მშობლიურ ქვეყანას არანაირი ვალდებულება არ აქვს, იზრუნოს მიგრაციის მსურველი ხალხის ქვეყნიდან გასვლაზე. მითუმეტეს, არცერთ ქვეყანას არ აქვს მიგრანტების მიღების ვალდებულება. როგორც ეს ხდება ვაჭრობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ



მზაში ლტოლვილები არიან როგორც საერთაშორისო კონფლიქტის შედეგი, ასევე კონფლიქტის წყაროც. იმათ გარდა, ვინც ომსა და რეპრესიებს გაურბის ან ეკონომიკური შესაძლებლობის იმედად მიდის სხვა ქვეყანაში, ყოველწლიურად საზღვრებს კვეთს ასობით ათასი ადამიანი, როგორც სექსმონა ან შრომითი მონა. სურათზე 2015 წელს ლტოლვილები ტოვებენ უნგრეთს და სავარაუდოდ, მიემართებიან გერმანიაში ან ავსტრიაში. უნგრეთი ძირითად სატრანზიტო გზად იქცა სირიიდან ლტოლვილებისთვის.

საკითხში, მიგრაცია ქმნის მოგებულისა და წაგებულის რთულ მოდელს. იმიგრანტები ხშირად იაფ მუშახელს წარმოადგენენ, რითაც მთლიანობაში სარგებელი მოაქვთ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკისთვის, თუმცა ისინი ასევე კონკურენციას უწევენ მიმღებ ქვეყნებში მცხოვრებ (ღარიბ) მოქალაქეებს.

ინდუსტრიული ქვეყნების უმეტესობა გლობალური სამხრეთიდან იმიგრანტთა ნაკადის შეზღუდვას ცდილობს. მესაზღვრეებისა და სასაზღვრო ბარიერების მიუხედავად, უამრავი ადამიანი ახერხებს არალეგალურ მიგრაციას. ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი იმიგრანტები მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიდიან, თუმცა ძირითადად მაინც მეზობელი მექსიკიდან, ცენტრალური ამერიკიდან და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიდან. დასავლეთ ევროპაში ისინი უმეტესწილად შედიან ჩრდილოეთ აფრიკიდან, თურქეთიდან და სირიიდან. ზოგიერთი დასავლეთევროპული ქვეყნის ლიდერი შიშობს, რომ ინტეგრაციის პროცესში სასაზღვრო კონტროლის შესუსტება გაართულებს არალეგალ იმიგრანტთა შეჩერებას. მართლაც, იმიგრაციის შიში იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც შვეიცარიელმა ამომრჩევლებმა უარი თქვეს ევროკავშირში გაწევრიანებაზე.

საერთაშორისო სამართალი და ჩვეულება მიგრანტებს განასხვავებს **ლტოლვილებისგან** – ომს, სტიქიურ უბედურებასა თუ პოლიტიკურ დევნას გამოქცეული თავშესაფრის მაძიებელი ხალხისგან (ქრონიკული დისკრიმინაციისგან გაქცევა შეიძლება გახდეს ან ვერ გახდეს ლტოლვილის სტატუსის მიღების საფუძველი). საერთაშორისო ნორმები ვალდებულს ხდის ქვეყნებს, შეიფარონ მათ საზღვრებთან მისული ლტოლვილები. ომებითა და სტიქიური უბედურებებით დაზარალებულ ლტოლვილებს, როგორც წესი, დროებით განათავსებენ ლტოლვილთა ბანაკებში, მანამ, სანამ ისინი თავიანთ სახლებში დაბრუნებას შეძლებენ (თუმცა, ეს დრო შეიძლება წლები გაგრძელდეს). პოლიტიკურ დევნას გამოქცეულმა ლტოლვილებმა შეიძლება ახალ ქვეყანაში სამუდამო თავშესაფარი მიიღონ. ლტოლვილების მიღება და საკითხი, თუ ვინ გაიღებს ამისთვის ხარჯებს, განეკუთვნება საზოგადოებრივი საქონლის რიგს.

2017 წელს საერთაშორისო ლტოლვილთა რაოდენობა 25 მილიონზე მეტი იყო მთელს მსოფლიოში. გარდა ამისა, დაახლოებით 40 მილიონი ადამიანი იძულებით გადაადგილდა მშობლიური ქვეყნების ფარგლებში. იძულებით გადაადგილებულ პირთა (IDPs) სამი მეოთხედი ცხოვრობდა კოლუმბიაში, კონგოში, სომალიში, სუდანში, ერაყში, ავღანეთსა და სირიაში. დამატებით კიდევ 5 მილიონ პალესტინელ ლტოლვილზე ზრუნავდა სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი გაეროს დახმარებისა და სამუ-

შაეების ორგანიზების სააგენტო (UNRWA). ადამიანებს უმრავლესობას ლტოლვილებად და იძულებით გადაადგილებულ პირებად აქცევს ომი (იხ. ცხრილი 7.2). ბოლო ხანებში ასეთი იყო სამოქალაქო ომი სირიაში, რის გამოც 2015 წელს 3 მილიონი ლტოლვილი გაიქცა თურქეთში, ერაყსა და იორდანიაში, ხოლო ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილდა 6.5 მილიონი ადამიანი. ისინი გაურბოდნენ ძალადობას ზოგადად და მათ შორის, სექსუალურ ძალადობას.[2]

ცხრილი 7.2 ლტოლვილი მოსახლეობა, 2017 წ.

რეგიონი	მილიონი	თავმოყრის ძირითადი ადგილები
ახლო აღმოსავლეთი	22	ერაყი, სირია, ირანი, თურქეთი
აზია	8	ავღანეთი, პაკისტანი, ტაილანდი, მიანმარი (ბირმა)
პალესტინა	5	პალესტინა, იორდანია, ლიბანი
აფრიკა	21	ნიგერია, სომალი, უგანდა, სუდანი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა
ლათინური ამერიკა	9	კოლუმბია, ამშ
ევროპა	7	გერმანია, უკრაინა
სულ მსოფლიო	72	

წყარო: გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR). მოიცავს ლტოლვილებს, თავშესაფრის მაძიებლებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს.

ლტოლვილების საკითხის პოლიტიკური გავლენა არაერთხელ გამხდარა თვალსაჩინო. ათწლეულების განმავლობაში ყველაზე პოლიტიზებული თემა იყო 1948-1967 წლების არაბეთ-ისრაელის ომების პალესტინელ ლტოლვილთა (ასევე, მათი შვილებისა და შვილიშვილების) საკითხი. ისინი დიდი ხანია ცხოვრობენ „ბანაკებში“ იორდანიაში, ლიბანში და ღაზას სექტორისა და მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს პალესტინურ ტერიტორიებზე. პალესტინელ ლტოლვილთა სიღარიბე, თავის მხრივ, კვებავს მათ შორის არსებულ რადიკალურ პოლიტიკურ მოძრაობებს. პალესტინელ ლტოლვილთა უფლება, დაბრუნდნენ ტერიტორიაზე, რომელიც ახლა ისრაელად იწოდება, წლების განმავლობაში რჩება კონფლიქტის ყოვლისმომცველი სამშვიდობო მოწესრიგების ყველა მცდელობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.


ყოველთვის ადვილი არაა, ომსა და პოლიტიკურ დევნას გამოქცეული ლტოლვილი განასხვავო ეკონომიკური შესაძლებლობის მაძიებელი მიგრანტისგან. არალეგალ იმიგრანტებს შეიძლება ლტოლვილის სტატუსზე ჰქონდეთ პრეტენზია ახალ ქვეყანაში დარჩენის უფლების მოპოვებისთვის, მაგრამ სინამდვილეში მათი მოტივაცია ეკონომიკური შე-

2 2022 წლის განმავლობაში, რუსეთის აგრესიის შედეგად, უკრაინიდან ლტოლვილთა რიცხვი, სხვადასხვა შეფასებებით, შეადგენდა 8 მილიონამდე ადამიანს, ხოლო ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 2022 წლის აგვისტოსთვის 7 მილიონი იყო. *რედ. შენ.*

პოლიტიკის პერსპექტივები

ბოტსვანას პრეზიდენტი მოკვეტსი მასისი

პრობლემა *როგორ გაუმკლავდებით რეგიონულ ჰუმანიტარულ კრიზისს ისე, რომ არ აზარალოთ თქვენი საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობა?*



ნინა ისტორია წარმოიდგინეთ, რომ ბოტსვანას პრეზიდენტი ხართ. თქვენმა აღმოსავლელმა მეზობელმა ზიმბაბვემ პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი არეულობების წლები გამოიარა. ახლახან, სამხედრო გადატრიალების შედეგად გადააყენეს ქვეყნის ხანგრძლივი დიქტატორი რობერტ მუგაბე. ამან გააჩინა იმედი, რომ ზიმბაბვე პოლიტიკურად უფრო სტაბილური გახდება. თუმცა, ზიმბაბვეს ახალ მთავრობას ჯერ კიდევ უჭირს. ქვეყნის ნაწილებში გვალვების გამო, საკვების უკმარისობით გამოწვეული კრიზისის საფრთხე არსებობს. ზიმბაბვეს ეკონომიკური პრობლემები აქვს – ინფლაციის მაჩვენებელი 200 პროცენტს აღემატება. ახალი მთავრობის მცდელობამ, რომ ფული მიეზიდა ქვეყანაში, ძალიან მცირე შედეგი გამოიღო. და ბოლოს, ზიმბაბვეში ქოლერის ეპიდემიის რამდენიმე აფეთქება მოხდა, რამაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა იმ ფაქტმა, რომ ზიმბაბველი ექიმები გაიფიცნენ და ამან ჯანდაცვის ისედაც მყიფე სისტემა ჩამოშლის პირამდე მიიყვანა.

შიდა ფაქტორები თქვენი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა კი საკმაოდ განსხვავებულია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში თქვენი ქვეყანა აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყნიდან გარდაიქმნა სახელმწიფოდ, სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე 16 ათასი აშშ დოლარია. თქვენი ქვეყნის ეკონომიკური ვითარება მყარია და პოლიტიკური – შედარებით სტაბილური. ახლადახლადგაჩენილი სიმდიდრის წყალობით, თქვენ დაიწყეთ კომპლექსური პროგრამა, რომელიც მიმართულია აივ ინფექციის/შიდსის ძალიანი მაღალი მაჩვენებლების საწინააღმდეგოდ და დიდი უმუშევრობის (ზოგი მონაცემით, 40 პროცენტი) შესამცირებლად.

სცენარი ახლა წარმოიდგინეთ, რომ ზიმბაბვეს ახალი სამხედრო რეჟიმი არასტაბილურობას განიცდის. რადგან ის ვერ ახერხებს ეკონომიკის შემობრუნებას, ოპონენტები იწყებენ სამხედრო მთავრობის წინააღმდეგ პროტესტებს. სამხედროები პასუხობენ სასტიკი რეპრესიებით, რომელიც გადაიზრდება ძალადობრივ სამოქალაქო კონფლიქტში სამხედროებსა და ოპოზიციურ პარტიებს შორის. ოპოზიციური პარტიები გარბიან და თავშესაფარს თქვენს ქვეყანაში ეძებენ, რაც ქმნის მიგრაციულ კრიზისს.

მართალია, თქვენი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ზიმბაბვესაზე აშკარად უკეთესია, მაგრამ არაა ცალსახა, რომ შეძლებთ თქვენთან შემოსული ათეული ათასობით ზიმბაბველის დახმარებას ან შეფარებას. კერძოდ, თქვენს ჯანდაცვის სისტემას, რომელიც ისედაც გადატვირთულია შიდსის ეპიდემიის გამო, მალევე მძიმე ტვირთად დააწვება ზიმბაბვედან შემოდენილი ლტოლვილთა ნაკადი. ასევე, თქვენივე მოსახლეობა შეიძლება გაგებით ეკიდება ლტოლვილების მცირე ნაკადის მიღებას, მაგრამ ისინიც კი წინააღმდეგი იქნებიან დახმარების მსურველი ყველა ზიმბაბველისთვის ხელის გამართვის. და ბოლოს, არის შანსი, რომ თუკი ზიმბაბველი სამხედროების მოწინააღმდეგეების მფარველად გამოიყურებით, თქვენს მეზობელთან კონფლიქტში აღმოჩნდეთ ჩათრეული.

პირჩიენთ პოლიტიკა რას უზამთ ლტოლვილებს? აიძულებთ მათ, რომ ზიმბაბვეში დაბრუნდნენ? ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს ლტოლვილების შესახებ და კიდევ უფრო დააამძიმებს არასტაბილურობას ზიმბაბვეში. მისცემთ მათ ბოტსვანაში დარჩენის უფლებას? ამას შეიძლება მოჰყვეს უკმაყოფილება თქვენს მოსახლეობაში, როცა ლტოლვილები დაიწყებენ სამუშაო ადგილების დაკავებას, საკვების მარაგების მოხმარებას, ან ტვირთად დააწვებიან ჯანდაცვის სისტემას. ამას თან ახლავს მეზობელთან კონფლიქტის რისკიც. როგორ დაბალანსებთ ჰუმანიტარულ საჭიროებებს თქვენი ხალხის ფიზიკურ და ეკონომიკურ კეთილდღეობასთან?


საძლებლობების გაუმჯობესება იყოს. უკანასკნელ ათწლეულებში ეს საკითხი მწვავედ დადგა მთელ ჩრდილოეთში. გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში უცხოელი იმიგრანტებით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ ამ ქვეყნების შიდა პოლიტიკაში მემარჯვენე ნაციონალიზმის გაღვივება გამოიწვია.

ფულადი გზავნილები (remittances)
ფული, რომელსაც მიგრანტი მშრომელები უგზავნიან სამშობლოში ინდივიდებს (როგორც წესი, ნათესავებს).

ფულადი გზავნილები მიგრაციისა და იმიგრაციის მნიშვნელოვანი ასპექტია **ფულადი გზავნილები** – მიგრანტების მიერ მშობლიურ ქვეყანაში ნათესავებისთვის გაგზავნილი ფული. ფულადი გზავნილები ბევრ ღარიბ ქვეყანაში შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ის არსებითია ბევრი სახელმწიფოსთვის მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. მსოფლიო ბანკის მიხედვით, 2016 წელს მსოფლიო მასშტაბით ფულადი გზავნილების ოდენობამ თითქმის 600 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ათი წლის წინანდელ ციფრებს სამჯერ აღემატებოდა და ასევე, მთელ გლობალურ უცხოურ დახმარებაზე სამჯერ მეტი იყო (ეს არის ოფიციალური ციფრები, რეალური მაჩვენებელი შეიძლება უფრო მეტიც იყოს).

გრაფიკი 7.5 ფულადი გზავნილების გლობალური ნაკადები, 1970-2016 წწ.

წყარო: მსოფლიო ბანკის გამოთვლები



ფულადი გზავნილები სულ უფრო ხდება გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი (იხ. გრაფიკი 7.5). პირდაპირი უცხოური ინვესტიციისგან (FDI) განსხვავებით, ფულადი გზავნილების გადარიცხვები ხდება არა კომპანიებს ან მდიდარ ინდივიდებს, არამედ ოჯახის წევრებს შორის. ამდენად, არ ხდება ფულადი გზავნილების გამოტანა მიმღები ეკონომიკიდან. ასევე, გზავნილებს არ გასცემენ მთავრობები. შესაბამისად, ისინი არ არიან კორუფციის ან სამთავრობო ფლანგვის საგანი. უცხოური დახმა-

რებისგან განსხვავებით, მათზე არ ვრცელდება დონორების პირობები. ისინი თავისუფლად გადაეცემა ოჯახიდან ოჯახს. ფულადი გზავნილების ეს თვისებები (მზარდ მოცულობასთან ერთად) ხდის მას მნიშვნელოვანს, თუმცა რთულად შესასწავლს.

ფულადი გზავნილები ეხმარება ქვეყნებს გლობალურ სამხრეთში. ისინი აძლევს ღარიბ ოჯახებს მეტ სახარჯ შემოსავალს. გზავნილები დაეხმარა რამდენიმე ღარიბ ქვეყანას, მაგალითად, ფილიპინებსა და ბანგლადეშს, გაეუმჯობესებინათ თავიანთი საინვესტიციო მაჩვენებლები, გაეყიდათ ობლიგაციები და მოეზიდათ უფრო მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. თუმცა, ამავდროულად, ფულადი გზავნილების მოცულობა მგრძნობიარეა მდიდარ ქვეყნებში ეკონომიკური რყევების მიმართ. ფულადი გზავნილები აგრძელებს ღარიბი ქვეყნების მდიდარ ქვეყნებზე დამოკიდებულების წრეს. იმ შემთხვევაში, თუ მდიდარი ქვეყნები ჩაკეტავენ საზღვრებს ან გააძევებენ მიგრანტებს, ეს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს როგორც ცალკეულ ოჯახებს, ასევე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებს.

ტრეფიკინგი მიგრაციისა და ლტოლვილების გარდა, ადამიანების მზარდი რიცხვი, ყოველწლიურად დაახლოებით 700 ათასი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი – თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ უწევთ საერთაშორისო საზღვრების გადაკვეთა. ამაში იგულისხმება როგორც სექსუალური ისე შრომითი ექსპლუატაცია. ორივე კატეგორია მოიცავს მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანებს, ზრდასრულებსა და ბავშვებს. ამ ადამიანებიდან დაახლოებით 20 ათასი ყოველწლიურად გადაჰყავთ აშშ-ში. 2017 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა წარმოადგინა 27 ქვეყნის სია, რომლებიც არასაკმარის ზომებს იღებენ ადამიანთა ტრეფიკინგის შესაჩერებლად. მათ შორის იყო რუსეთი, ვენესუელა, ჩინეთი და ბელარუსი.

ზოგადად, ყველა ტიპის მიგრაცია სამხრეთიდან ჩრდილოეთში ინდუსტრიულ სახელმწიფოებს უქმნის ისეთ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მხოლოდ თავად სამხრეთში არსებული პრობლემების გადაჭრითაა შესაძლებელი.

7.2 დაგროვების თეორიები

მოიყვანეთ იმ ქვეყნების მაგალითები, რომლებსაც მსოფლიო სისტემის თეორია განიხილავდა ბირთვის, ნახევრადპერიფერიის და პერიფერიის ნაწილებად.

როგორ შეიძლება ავხსნათ მსოფლიოს ინდუსტრიულ რეგიონებსა და სამხრეთის რეგიონებს შორის შემოსავლების დონეების მიხედვით არსებული უზარმაზარი განსხვავება? რა შედეგები აქვს ამ უფსკრულს საერთაშორისო პოლიტიკისთვის? ამ კითხვებთან დაკავშირებით ერთმანეთისგან განსხვავებული მიდგომები არსებობს. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სიმდიდრის დაგროვების ორ ურთიერთსაპირისპირო თეორი-

აზე. მათგან ერთი ემყარება უფრო ლიბერალურ ხედვებს, ხოლო მეორე – უფრო რევოლუციურს.

7.2.1 ეკონომიკური დაგროვება

კაპიტალიზმის პერსპექტივიდან საკითხის ხედვა ეფუძნება ლიბერალურ ეკონომიკას – ხაზს უსვამს *ეკონომიკური ზრდის* მაქსიმიზების ზოგად ეფექტიანობას. ამ მოსაზრების მიხედვით, გლობალური სამხრეთი უბრალოდ ჩამორჩება ინდუსტრიულ ჩრდილოეთს. გლობალურ ჩრდილოეთში მეტი სიმდიდრის შექმნა ისევე კარგია, როგორც კარგია სამხრეთში – ეს ორი რამ ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.

სოციალიზმის განსხვავებულ ხედვას აფიქრებს როგორც სიმდიდრის გადანაწილება ისე ზოგადად სიმდიდრის წარმოქმნა. ის ჩრდილოეთსა და სამხრეთ შორის დაყოფას აღიქვამს უფრო ნულოვანჯამიან თამაშად, რომელშიც ჩრდილოეთი სამხრეთის ხარჯზე მდიდრდება. ის პოლიტიკას (სახელმწიფოს) უფრო მეტ როლს ანიჭებს სიმდიდრის გადანაწილებასა და ეკონომიკის მართვაში, ვიდრე კაპიტალიზმი. ამგვარად, სოციალიზმი რაღაცნაირად მერკანტილიზმის მსგავსია. თუმცა, სოციალისტები, სახელმწიფოებზე მეტად, ეკონომიკურ კლასებს მიიჩნევენ მსოფლიო სიმდიდრის გადანაწილებაზე პოლიტიკური მოლაპარაკებების მთავარ აქტორებად. მერკანტილიზმი ავითარებს სიმდიდრის (როგორც ძალის ელემენტის) დაგროვების იდეას, ხოლო სოციალიზმი მოუწოდებს სიმდიდრის უფრო ფართოდ გადანაწილებისკენ.

კაპიტალისტური და სოციალისტური მიდგომები ერთმანეთთან შეუთავსებელია იმ ფორმულირებებსა და დაშვებებში, რომლებიც მესამე მსოფლიოს ქვეყნების სიღარიბის პრობლემასა და მის საერთაშორისო შედეგებს შეეხება. მომდევნო რამდენიმე პარაგრაფი გარკვეულწილად სოციალისტურ მიდგომებს ანიჭებს უპირატესობას. იქ ყურადღება გამახვილებულია იმპერიალიზმის ისტორიაზე, როგორც ჩრდილოეთ-სამხრეთის დაყოფის ძირითად მიზეზზე, ასევე რევოლუციურ სტრატეგიებსა და სიმდიდრის მასიურ ხელახლა გადანაწილებაზე, როგორც გამოსავალზე. ამავე თავის დასკვნითი პარაგრაფები კი უფრო კაპიტალისტური მიდგომებისკენ იხრება.

7.2.2 მსოფლიო სისტემა

მსოფლიო სისტემა (world-system)
მსოფლიოს ხედვა რეგიონული კლასობრივი დაყოფის თვალსაზრისით, სადაც ინდუსტრიული ქვეყნები არიან ბირთვი-სახელმწიფოები და ღარიბი ქვეყნები – პერიფერია, ხოლო სხვა ტერიტორიები (მაგალითად, ზოგიერთი ახალი ინდუსტრიული ქვეყანა) – ნახევრადპერიფერია.

საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი მკვლევარი რეგიონულ კლასობრივ დაყოფას **მსოფლიო სისტემას** ან *კაპიტალისტურ მსოფლიო ეკონომიას* უწოდებს. ეს შეხედულება მარქსისტულია (ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკურ კლასებზე; იხ. მე-3 თავი) და ეფუძნება ანალიზის გლობალურ დონეს. მსოფლიო სისტემაში კლასობრივი დაყოფა რეგიონების მიხედვით ხდება. გლობალური სამხრეთის რეგიონების მთავარი საქმიანობა ნედლეულის მოპოვებაა (მათ შორისაა სოფლის მეურნეობა)

– ესაა სამუშაო, რომელიც მოიხმარს ბევრ შრომას, მცირე კაპიტალს და სადაც ანაზღაურება დაბალია. ინდუსტრიული რეგიონები ძირითადად აწარმოებენ გასაყიდ საქონელს – ესაა სამუშაო, რომელიც მოიხმარეს მეტ კაპიტალს, საჭიროებს მეტ მცოდნე მუშახელს და სადაც ანაზღაურება უფრო მაღალია. სამრეწველო რეგიონებს მსოფლიო სისტემის *ბირთვი* (ან *ცენტრი*) ეწოდებათ; ნედლეულის მომპოვებელ რეგიონებს კი – *პერიფერია*.

ამ მოსაზრების მიხედვით, დღესდღეობით კლასებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა არის ბრძოლა მსოფლიო სისტემის ბირთვსა და პერიფერიას შორის. ბირთვი ისევე იყენებს თავის ძლიერებას (რომელიც მისი სიმდიდრიდან გამომდინარეობს) პერიფერიიდან მოგების მისაღებად, როგორც ამას აკეთებდა ბოლო 500 წელი. დიდ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების, მათ შორის ორი მსოფლიო ომისა და ცივი ომის, ძირითადი მიზეზი ბირთვ სახელმწიფოებს შორის პერიფერიის ექსპლოატაციის გამო გაჩაღებული კონკურენციაა.

მსოფლიო სისტემის თეორიაში, *ნახევრადპერიფერია* არის ტერიტორია, სადაც ხდება ზოგიერთი ტიპის წარმოება და ასევე, გარკვეული ოდენობით კაპიტალიც არის თავმოყრილი, მაგრამ არა იმ დოზით, რა დოზითაც ბირთვის ყველაზე მოწინავე რეგიონებში. აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთს, ჩვეულებრივ, ნახევრადპერიფერიებად მიიჩნევენ, ისევე, როგორც რამდენიმე ახალ ინდუსტრიალიზებულ ქვეყანას, მაგალითად, ტაივანსა და სინგაპურს. ნახევრადპერიფერია ასრულებს პოლიტიკური ბუფერის როლს ბირთვსა და პერიფერიას შორის, რადგან ღარიბ ქვეყნებს უჩნდებათ ნახევრადპერიფერიასთან მიერთების სურვილი, ნაცვლად ბირთვი სახელმწიფოების ბატონობის წინააღდეგ აჯანყებისა. დროთა განმავლობაში, მეტნაკლებად იცვლება ბირთვის, ნახევრადპერიფერიისა და პერიფერიის წევრთა შემადგენლობა, მაგრამ უცვლელი რჩება კლასებს შორის ურთიერთობის საერთო გლობალური სისტემა.

ნახევრადპერიფერიის რეგიონები, რომლებსაც ექსპორტზე გააქვთ სამრეწველო საქონელი, მოიცავს მხოლოდ იმ ქვეყნებს (ჩინეთი და სამხრეთ აზია), სადაც ბოლო წლებში სწრაფი ეკონომიკური ზრდა იყო (იხ. გრაფიკი 7.1). სამი რეგიონი, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკაში ძირითადად როგორც ნედლეულის მიმწოდებლები არიან ჩართული (აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი და ლათინური ამერიკა), უფრო ნელა ვითარდება.

რესურსების წყევლა (resource curse)

სიძნელეები, რომელთა წინაშეც დგანან რესურსებით მდიდარი განვითარებადი ქვეყნები, მათ შორის, დამოკიდებულება ერთი ან რამდენიმე საქონლის ექსპორტზე, რომელთა ფასებიც მერყეობს. ამასვე უკავშირდება კორუფციისა და უთანასწორობის პოტენციური საფრთხეები.

საექსპორტო ბუნებრივი რესურსების ქონა ეკონომიკის დიდ უპირატესობად შეიძლება გამოიყურებოდეს, მაგრამ რეალურად პრობლემებს, რომლებიც ეკონომიკის ზრდის რესურსების ექსპორტზე დამყარებას მოჰყვება, უწოდებენ **რესურსების წყევლას**. ისეთ საშუალოშემოსავლიან ქვეყანაშიც კი, როგორიც ჩილეა, მის მთავარ საექსპორტო საქონელზე, სპილენძზე ფასის გაოთხმაგებას 2003-2006 წლებში დადებითთან ერთად უარყოფითი მხარეც ჰქონდა. საპროტესტო აქციის მონაწილეები მილიარდობით დოლარის დახარჯვას მოითხოვდნენ ღარიბების სოციალურ

მომსახურებაზე, მაგრამ პრეზიდენტი (მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტი იყო), წინააღმდეგი წავიდა, ფული დახარჯულიყო იმაზე, რასაც მხოლოდ დროებითი ეფექტი ექნებოდა. იმავდროულად, ექსპორტიდან მაღალმა შემოსავალმა გაამყარა ჩილეს ვალუტა და გაურთულა სხვა წარმოებებს მათი პროდუქციის ექსპორტი. 2008 წლის ბოლოს, როცა გლობალური ეკონომიკური რეცესიის პირობებში სპილენძზე ფასები მკვეთრად დაეცა, ჩილეს შემოსავლები დრამატულად შემცირდა.

7.3 იმპერიალიზმი

შეადარეთ ერთმანეთს კოლონიალიზმის სამი განსხვავებული შედეგი და ახსენით, როგორ გამოიწვია ამ შედეგებმა პრობლემები გლობალური სამხრეთის ეკონომიკურ განვითარებაში.

გლობალურ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებულ განსხვავებებს, როგორც სიმდიდრის ისე საექსპორტო სპეციალიზაციის მხრივ, დიდი ხნის ისტორია აქვს. მესამე თავში ჩვენ განვიხილეთ იმპერიალიზმის მარქსისტული თეორიები, რომლებიც კონკრეტული სახის განმარტებას იძლევა იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოიშვა უფსკრული ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ახლა ჩვენ მიმოვიხილავთ, რა გავლენას ახდენდა **იმპერიალიზმი** სამხრეთზე საუკუნეების განმავლობაში და ასევე, თუ როგორ ეტყობა მსოფლიოს მისი კვალი დღესაც. იმპერიალიზმმა, განსაკუთრებით მე-16-დან მე-20 საუკუნის შუამდე, მსოფლიო წესრიგი ჩამოაყალიბა დომინირების პრინციპის ირგვლივ, თავისი ბატონებითა და მონებით, დამპყრობლებითა და დაპყრობილი ხალხებით, რომლებიც დაიპყრეს მათივე მიწებთან, შრომასთან და სხვა საგანძურთან ერთად. იმავდროულად, იმჰერიალიზმი ემყარებოდა იდენტობის პრინციპს, რითაც მან ჩრდილოეთი გააერთიანა საერთო რასობრივი იდენტობის ირგვლივ, რომელიც არათეთრ ადამიანებს გარე-ჯგუფად წარმოადგენდა (მართალია, იდენტობის საკითხი დღეს უფრო კომპლექსურია, მაგრამ რასიზმი კვლავაც ახდენს გავლენას ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურთიერთობებზე).


იმპერიალიზმი (imperialism) კოლონიების შეძენა დაპყრობების ან სხვა საშუალებებით. იმპერიალიზმის ლენინისეული თეორიით, ევროპელი კაპიტალისტები ინვესტიციებს დებდნენ კოლონიებში, რადგან იქ შეეძლოთ დიდი მოგების მიღება და ამ მოგების ნაწილს იყენებდნენ მუშათა კლასის ნაწილის მოსასყიდად შინ.

ევროპულმა იმპერიალიზმმა სტარტი აიღო მე-15 საუკუნეში, საოკეანო იალქნიანი გემების განვითარებასთან ერთად. ამ გემებით მცირე ეკიპაჟს შეეძლო მოცულობით დიდი ტვირთის გადაზიდვა შორ მანძილზე. პორტუგალია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც მოაწყო ექსპედიციები ევროპის ფარგლებს გარეთ. მას მალევე მიბაძეს ესპანეთმა, საფრანგეთმა და ბრიტანეთმა. სამხედრო ტექნოლოგიაში უპირატესობის გამოყენებით, ევროპელებმა კონტროლი დაამყარეს სანაპირო ქალაქებსა და მომარაგების პუნქტებზე ძირითადი სავაჭრო მარშრუტების გასწვრივ. თანდათანობით ამ კონტროლმა სანაპიროებიდან შეაღწია ტერიტორიების სიღრმეებში, თავდაპირველად ლათინურ ამერიკაში, შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში, მოგვიანებით კი მთელს აზიასა და აფრიკაში (იხ. გრაფიკი 7.6).

გრაფიკი 7.6 მსოფლიოს დაპყრობა

ევროპული სახელმწიფოების ყოფილი კოლონიური სამფლობელოები

წყარო: ადაპტირებულია Andrew Boyd, An Atlas of World Affairs. 9th ed. NY: Routledge, 1992, p. 91.



B = ბრიტანეთი
Belg = ბელგია
F = საფრანგეთი
G = გერმანია
I = იტალია
J = იაპონია
N = ნიდერლანდები
P = პორტუგალია
S = ესპანეთი

ევროპულმა იმპერიებმა გაანადგურეს ადგილობრივი მოსახლეობა და კულტურები, ადამიანებს უზარმაზარი ტანჯვა მიაყენეს. დროთა განმავლობაში, კოლონიების ეკონომიკები განვითარდა ძირითადი სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, ქარხნებისა და ა.შ. შექმნასთან ერთად. თუმცა ეს ეკონომიკები მორგებული იყო კოლონიზატორების და არა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებზე.

მე-20 საუკუნეში ევროპის ბატონობის ქვეშ მყოფმა რეგიონებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს და უკვე სუვერენული სახელმწიფოების სახით ჩაერთნენ საერთაშორისო სისტემაში. დამოუკიდებლობა უფრო ადრე მიიღეს ამერიკის კონტინენტის ქვეყნებმა (დაახლოებით 1800-იანი წლებისთვის).

დეკოლონიზაცია გაგრძელდა 1970-იანი წლების შუამდე, ვიდრე თითქმის ყველა ევროპული კოლონია არ გაქრა. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების უმრავლესობა უზარმაზარი გამოწვევებისა და სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა პოსტკოლონიურ ეპოქაში, მათი კოლონიური ისტორიის გამო.

7.3.1 კოლონიალიზმის შედეგები

სამხრეთის ქვეყნების უმრავლესობისთვის ევროპელების კოლონიად ყოფნის ისტორიულ ფაქტი ცენტრალური მნიშვნელობისაა მათი ეროვნული იდენტობის, საგარეო პოლიტიკისა და მსოფლიოში ადგილის თვალსაზრისით. ამ სახელმწიფოებისთვის – განსაკუთრებით მათთვის, სადაც უპირატესობას სოციალისტურ შეხედულებებს ანიჭებენ – საერთაშორისო ურთიერთობები ვითარდება ინდუსტრიულ ქვეყნებთან მათი ასიმეტრიული ურთიერთობების ირგვლივ.

კოლონიად ყოფნას დამანგრეველი შედეგი მოაქვს ხალხებისა და მათი კულტურისთვის. უცხოელები ძალით იპყრობენ ტერიტორიას და მასზე კონტროლს ავრცელებენ. ისინი ამყარებენ საკუთარ მმართველობას, რომელშიც თავიანთ მოქალაქეებს ასაქმებენ. ადგილობრივები იძულებული არიან, რომ კოლონიზატორების ენაზე ისაუბრონ, კოლონიზატორთა კულტურული ტრადიციები მიიღონ და მათი მითითებების მიხედვით მოქმედ სკოლებში ისწავლონ. ადგილობრივ მოსახლეობას ეუბნებიან, რომ ისინი უცხოელებზე დაბლა დგანან რასობრივი თვალსაზრისით.

თეთრკანიანი ევროპელები დიდ რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ აფრიკისა და აზიის ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ინარჩუნებდნენ ძალაუფლებას ძალის და (რაც მთავარია) ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. კოლონიზაციის უღელქვეშ თაობების გაზრდის შემდეგ, ბევრი ადგილობრივი თეთრების ბატონობას ან ნორმალურ მოვლენად აღიქვამდა, ან მიაჩნდა, რომ ვერაფერს შეცვლიდნენ. თეთრკანიანები ხშირად ადგილობრივი მოსახლეობისგან განცალკევებით, იზოლირებულად ცხოვრობდნენ.

კოლონიალიზმმა ასევე მოიტანა ნეგატიური *ეკონომიკური* შედეგები. კოლონიზატორებმა მოიპოვეს და გაიტანეს ყველაზე იოლად ხელმისაწვდომი ძვირფასი მინერალები. საუკეთესო მიწებზე მოჰყავდათ საექსპორტო კულტურები, ადგილობრივებისთვის საჭირო მოსავლის ნაცვლად და ამან ხშირად ეს მიწები გამოიფიტა. აშენებული ინფრასტრუქტურა იმპერიალიზმის მიზნებს ემსახურებოდა და არა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. მაგალითად, რკინიგზა მაღაროდან პირდაპირ ნავსადგურებში მიდიოდა. ეკონომიკის მართვისთვის საჭირო განათლება და უნარ-ჩვევები ხელმისაწვდომი მეტწილად მხოლოდ თეთრკანიანებისთვის იყო.

თუმცა, ეკონომიკური შედეგები ყოველთვის უარყოფითი როდი იყო. კოლონიალიზმი ხშირად აძლიერებდა ადგილობრივი ეკონომიკის ზრდას (მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს თეთრკანიანები აკონტროლებდნენ). იზრდებოდა ქალაქები. იხსნებოდა მაღაროები და ხდებოდა ფერმების გაშენება. მესამე სამყაროს ქვეყნებში დღეს არსებული ინფრასტრუქტურის უმეტესი ნაწილი კოლონიზატორების მიერაა შექმნილი. ზოგიერთ (თუმცა არა ყველა) შემთხვევაში, კოლონიზაცია განსხვავებულ საზოგადოებებს აერთიანებდა შეკრულ პოლიტიკურ ერთეულებად, რომლებსაც საერთო რელიგია, ენა და კულტურა ჰქონდათ. ამგვარად იქმნებოდა ეკონომიკური განვითარების მეტი შესაძლებლობა. ზოგჯერ კოლონიალიზმით ჩანაცვლებული ადგილობრივი პოლიტიკური კულტურები თავად იყო მჩაგვრელი ადამიანების უმრავლესობისთვის.

სადაც იყვნენ კოლონიზატორები, იყო ანტიკოლონიური მოძრაობებიც. აფრიკასა და აზიაში განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა ძალა მოიკრიბა მეორე მსოფლიო ომის დროსა და მის შემდგომ წლებში, ევროპული სახელმწიფოების შესუსტების პარალელურად. 1960-იან წლებში წარმატებული განმათავისუფლებელი მოძრაობების ტალღა ერთი ქვეყნიდან მეორეზე გადადიოდა, რადგანაც ხალხი აღარ აღიქვამდა იმპერიალიზმს როგორც ნორმალურ ან გარდაუვალ მოვლენას. სულ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, თითქმის მთელმა აფრიკამ მოიშორა თეთრკანიანთა მმართველობა (იხ. გრაფიკი 7.7).


მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ თითქმის ერთდროულად მოიპოვა დამოუკიდებლობა, განსხვავდებოდა მეთოდები, რომლებიც მათ ამისთვის გამოიყენეს. ინდოეთში, ყველაზე დიდი იმპერიის (დიდი ბრიტანეთის) ყველაზე მნიშვნელოვან კოლონიაში, განდი სათავეში ედგა მოძრაობას, რომელიც ბრიტანელების მმართველობისთვის არაძალადობრივი გზით წინააღმდეგობის გაწევას ეფუძნებოდა (იხ. მე-3 თავი). თუმცა, არაძალადობრივი მეთოდი დასრულდა ინდურ-მუსლიმური სამოქალაქო ომის დროს, რამაც ინდოეთი ორ ქვეყანად გაყო – ინდოეთად, რომელშიც უმეტესად ინდუსები ცხოვრობენ და პაკისტანად (დღევანდელი ბანგლადეშის ჩათვლით, რომლის მოსახლეობის უმეტესობა მუსლიმია.

ზოგიერთმა კოლონიამ, მაგალითად, ალჟირმა და ვიეტნამმა, დამოუკიდებლობა მოიპოვა ომის გზით. ასე განდევნეს მათ საკუთარი ტერიტორიებიდან ევროპელი ბატონები. სხვა ქვეყნებმა იმავე შედეგს მშვიდობიანი მოლაპარაკებით მიაღწიეს და ასე გადაიბარეს ძალაუფლება უკვე მისუსტებული ევროპელებისგან.

გრაფიკი 7.7 აფრიკის ტერიტორიები თეთრკანიანთა უმცირესობის მმართველობის ქვეშ

კოლონიალიზმის დასრულებიდან ორმოც წელზე მეტი ხნის შემდეგაც კი პოსტკოლონიური დამოკიდებულება ბევრ ყოფილ კოლონიაში იყო შემორჩენილი.

წყარო: ადაპტირებული Adapted from Andrew Boyd, An Atlas of World Affairs. 9th ed. Routledge, 1992, p. 91.



7.3.2 პოსტკოლონიური დამოკიდებულება

თუკი იმპერიალიზმი ბირთვ სახელმწიფოებში სიმდიდრის დაგროვებას ახდენდა პერიფერიებიდან ეკონომიკური ნამატის გამოწურვის ხარჯზე, გამოდის, რომ კოლონიზაციის დასრულებასთან ერთად სამხრეთში უნდა დაწყებულიყო სიმდიდრის დაგროვება. თუმცა, ზოგადად ეს ასე არ მომხდარა. რამდენიმე სახელმწიფომ, მაგალითად, სინგაპურმა წარმატებით დააგროვა კაპიტალი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მაგრამ სხვა ქვეყნების, მათ შორის ბევრი აფრიკული ქვეყნის საქმე, უკან წავიდა. ისინი მხოლოდ მცირე კაპიტალის თავმოყრას თუ ახერხებენ ძველი კოლონიური ინფრასტრუქტურის შესაცვლელად. ბევრ ყოფილ კოლონიამი ნელი პროგრესი შეიმჩნევა აკუმულირების თვალსაზრისით. პოლიტიკური დამოუკიდებლობა ყველა ღარიბი ქვეყნისთვის თანაბრად სასარგებლო არ აღმოჩნდა.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ კოლონიალიზმის პერიოდში ეკონომიკის მართვისთვის აუცილებელი წვრთნა და გამოცდილება ხშირად ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ თეთრკანიანი ევროპელებისთვის, დამოუკიდებლობის შემდეგ კი ამ მხრივ დიდი პრობლემა შეიქმნა – გაჩნდა ტექნიკური და ადმინისტრაციული უნარ-ჩვევების მქონე კადრების უზარმაზარი დეფიციტი. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ახლადდამოუკიდებლობამოპოვებულ სახელმწიფოებს შეექმნათ, იყო ის, რომ მათი ეკონომიკა ვიწროდ, ევროპული კოლონიზატორი ქვეყნის საჭიროების მიხედ-

ვით განვითარდა. მათი უმრავლესობა ერთი ან ორი პროდუქტის ექსპორტს ეფუძნებოდა. მაგალითად, ზამბიისთვის ეს იყო სპილენძის მადანი, სალვადორისთვის – ყავა, ბოტსვანასთვის – ალმასები. ასეთი ვიწრო საექსპორტო ეკონომიკა თითქოს კარგად უნდა ყოფილიყო მორგებული იმაზე, რომ ქვეყანას შედარებითი უპირატესობით ესარგებლა მსოფლიო ბაზარზე ნიშის დასაკავებლად. თუმცა, სინამდვილეში, ეს ქვეყანას საერთაშორისო ბაზარზე ფასების ცვალებადობაზე დამოკიდებულს ხდის. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ფარგლებში შემოღებულმა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმმა მხოლოდ ნაწილობრივ გამოასწორა ჩრდილოეთის უპირატესი მდგომარეობა ჩრდილოეთისა და სამხრეთის სავაჭრო ურთიერთობაში. თანაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ ბირთვ სახელმწიფოებს სოფლის მეურნეობის (რასაც პერიფერია აწარმოებს) პროტექციის ნება დართო, ხოლო ბირთვის მიერ ექსპორტირებულ სამრეწველო საქონელზე პირიქით, ლიბერალიზაცია წაახალისა.

ახალმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა მემკვიდრეობით მიიღეს სახელმწიფო საზღვრები, რომლებიც ევროპის დედაქალაქებში, ძირითადად სამხედრო ოფიცრებმა გაავლეს რუკებზე ცქერით. შედეგად, განსაკუთრებით აფრიკაში, ეთნიკური ჯგუფებისა და რეგიონების შიდა ქიშპობამ ძნელი გახადა ახალი ქვეყნებისთვის თანმიმდევრული ეკონომიკური გეგმების შესრულება. ბევრ შემთხვევაში, ყოფილი კოლონიების ეთნიკურმა კონფლიქტებმა ქვეყნები სამოქალაქო ომებამდე მიიყვანა, რამაც შეაფერხა ან სულაც უკუაგდო კაპიტალის დაგროვების პროცესი.

საბოლოოდ, ბევრი პოსტკოლონიური ქვეყნის მთავრობა ეფექტურად ვეღარ ფუნქციონირებდა, რაც კიდევ ერთი დაბრკოლება იყო კეთილდღეობის დაგროვებისთვის. ზოგ შემთხვევაში, კორუფცია კიდევ უფრო გაიზარდა დამოუკიდებლობის შემდეგ. სხვა შემთხვევებში, მთავრობები შეეცადნენ ეკონომიკაზე ნაციონალიზმის, მერკანტილიზმისა თუ სოციალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ცენტრალიზებული კონტროლი და დაგეგმვა განეხორციელებინათ.

მთლიანობაში, კოლონიური კონტროლისგან გათავისუფლებამ ფუნდამენტური ეკონომიკური რეალობა ვერ შეცვალა. ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების მთავარი სავაჭრო პარტნიორები, ჩვეულებრივ, მათივე ყოფილი კოლონიური ბატონები იყვნენ. მთავარი პროდუქტები ძირითადად იგივე იყო, რაც კოლონიზაციის დროს იწარმოებოდა. ადმინისტრაციული ერთეულები და ტერიტორიული საზღვრები ევროპელების მიერ იყო შექმნილი. ქვეყნებს დამოუკიდებლობის შემდეგაც ის პერიფერიული მდგომარეობა ეკავათ მსოფლიო სისტემაში, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ჰქონდა. ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი ისევ ყოფილი კოლონიზატორი ქვეყნის იმედად რჩებოდნენ უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ამ მიზეზების გამო, დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდს ხანდახან უწოდებენ **ნეოკოლონიალიზმს** – კოლონიური ექსპლუატაციის გაგრძელებას ფორმალური პოლიტიკური კონტროლის გარეშე. ამ ცნებაში ასევე

იგულისხმება გლობალური სამხრეთის ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელიც (მცირე გამონაკლისის გარდა) არ ყოფილა ფორმალური კოლონიზატორი. ის ასევე მოიცავს ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობებს ლათინური ამერიკის სახელმწიფოების შემთხვევაში, რომლებიც თითქმის ორი საუკუნეა დამოუკიდებლები არიან.

დამოკიდებულება საერთაშორისო ურთიერთობების მარქსისტმა მკვლევრებმა განავითარეს **დამოკიდებულების თეორია**, რათა აეხსნათ გლობალურ სამხრეთში კაპიტალის დაგროვების სიმცირე. ისინი დამოკიდებულებას განმარტავენ როგორც ვითარებას, რომლის დროსაც კაპიტალის დაგროვება შეუძლებელია საკუთარი ძალებით. დამოკიდებულმა ქვეყანამ ფული უნდა ისესხოს საქონლის საწარმოებლად, ვალის გასტუმრება კი ამცირებს მოგებას. (დამოკიდებულება საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმაა – მდიდარ რეგიონებს ისევე სჭირდებათ თავისი ფულის გასესხება, როგორც ღარიბებს სჭირდებათ მისი სესხება. თუმცა, ესაა ურთიერთდამოკიდებულება ძალებს შორის უკიდურესი დისბალანსით).

დამოკიდებულების თეორეტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ არა მსოფლიო სისტემის (ცენტრი და პერიფერია) მთლიან სტრუქტურაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ მუშაობს პერიფერიული ქვეყნის შიდა კლასობრივი ურთიერთობები. მესამე სამყაროს ქვეყნის განვითარება (ან განვითარების ნაკლებობა) დამოკიდებულია მის ადგილობრივ პირობებსა და ისტორიაზე, თუმცა მასზე გავლენას ახდენს იგივე გლობალური პირობები, როგორც სხვა პერიფერიულ ქვეყნებში.

დამოკიდებულების ერთ-ერთი, ისტორიულად მნიშვნელოვანი ფორმაა **ანკლავის ეკონომიკა**, რა დროსაც უცხოური კაპიტალის ინვესტირება ხდება მესამე სამყაროს ქვეყანაში კონკრეტული ნედლეულის მოსაპოვებლად კონკრეტულ ადგილიდან – მაგალითად, მაღაროდან, ნავთობის ქაბურღილიდან ან პლანტაციიდან. განსხვავებული ისტორიული მოდელია ეროვნული მასშტაბით გაკონტროლებული წარმოება. ამ დროს ადგილობრივ კაპიტალისტთა კლასი აკონტროლებს დაგროვების ციკლს, რომელიც საექსპორტო პროდუქტების წარმოებას ეფუძნება. ციკლი კვლავაც დამოკიდებულია უცხოურ ბაზრებზე, მაგრამ მოგება ადგილობრივ კაპიტალისტთა ჯიბეებში მიდის, რა დროსაც ქვეყნის შიგნით ყალიბდება მდიდარ მესაკუთრეთა ძლიერი კლასი. ამ კლასის, ანუ ადგილობრივი ბურჟუაზიის ქცევა შეესაბამება მდიდარი ინდუსტრიული ქვეყნების ინტერესებს (რომელთა ბაზრებზეც ისინი არიან დამოკიდებული). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფართოდ გავრცელდა დამოკიდებულების მესამე ფორმა – მრავალეროვნული კორპორაციების შეღწევა ეროვნულ ეკონომიკაში. ამ შემთხვევაში კაპიტალის უზრუნველყოფა ხდება გარედან (როგორც ეს ანკლავებშია), მაგრამ პროდუქცია ადგილობრივი ბაზრებისთვისაა განკუთვნილი. მაგალითად, ბრაზილიაში ჯენერალ მოტორსის (GM) ქარხანა ავტომანქანებს ძირითადად ქვეყნის შიგნით გასაყიდად აწარმო-

ნეოკოლონიალიზმი (neocolonialism)
ყოფილ კოლონიაში კოლონიური ექსპლუატაციის გაგრძელება ფორმალური პოლიტიკური კონტროლის გარეშე.

დამოკიდებულების თეორია (dependency theory)
მარქსიზმზე დაფუძნებული თეორია, რომელიც მესამე სამყაროში კაპიტალის დაგროვების სიმცირეს ხსნის როგორც ქვეყნის შიგნით კლასობრივი ურთიერთობების და უცხოურ კაპიტალთან დაკავშირებული ძალების ურთიერთქმედების შედეგს. იხ. ასევე *ანკლავის ეკონომიკა*.

ანკლავის ეკონომიკა (enclave economy)
დამოკიდებულების ისტორიულად მნიშვნელოვანი ფორმა, რა დროსაც ხდება უცხოური კაპიტალის დაბანდება განვითარებად ქვეყანაში კონკრეტული ნედლეულის მოსაპოვებლად კონკრეტული ადგილიდან, როგორც წესი, ესაა მაღარო, ქაბურღილი ან პლანტაცია. იხ. ასევე *დამოკიდებულების თეორია*.

ებს. ასეთი სამრეწველო საქონლისთვის ადგილობრივი ბაზრების შესაქმნელად საჭიროა საკმარისი შემოსავლების თავმოყრა, რაც ჩამოაყალიბებს საშუალო კლასს, რომელიც ამ საქონლის შეძენას შეძლებს. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს შემოსავლების უთანასწორობას ქვეყნის შიგნით (ადამიანთა უმრავლესობა ღარიბი რჩება).

დამოკიდებულების თეორიის მიხედვით, ქვეყნის შიგნით ძალთა კონკრეტული დაჯგუფებები განსაზღვრავს, თუ რა სახის კოალიცია ჩამოყალიბდება სახელმწიფოს, სამხედროებს, მსხვილ მემამულეებს, ადგილობრივ თუ უცხოელ კაპიტალისტებს (მრავალეროვნული კორპორაციები), უცხოურ მთავრობებსა და საშუალო კლასებს შორის (პროფესიონალები და კვალიფიციური სამრეწველო მუშახელი). მეორე მხარეს, ალიანსებს ქმნიან გლეხები, მუშები, ხანდახან სტუდენტები და ეკლესია, რათა მიაღწიონ შემოსავლების უფრო თანაბრად გადანაწილებას, ადამიანის და პოლიტიკური უფლებების დაცვას და ეკონომიკაზე ადგილობრივ კონტროლს. ასეთი კლასობრივი ალიანსები და შედეგად წარმოქმნილი სოციალური ურთიერთობები განისაზღვრება არა საერთო წესით, არამედ თითოეული ქვეყნის კონკრეტული პირობებითა და ისტორიული განვითარებით. სხვა მარქსისტული თეორიების მსგავსად, დამოკიდებულების თეორიაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კლასობრივ ბრძოლას, როგორც სოციალური ცვლილების წყაროს. ზოგიერთის აზრით, დამოკიდებულების პირობებში ეკონომიკური განვითარება თითქმის შეუძლებელია. სხვების აზრით კი, გარკვეული სირთულეები არსებობს, მაგრამ, ამის მიუხედავად, განვითარება მაინც შესაძლებელია. ამ შესაძლებლობებს ამავე თავში კიდევ დავუბრუნდებით.

მთლიანობაში, ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობები აჩვენებს, თუ როგორ რთული გასამიჯნი გახდა ერთმანეთისგან პოლიტეკონომია და საერთაშორისო უსაფრთხოება. ევროპული იმპერიალიზმის თავდაპირველმა პოლიტიკურმა ურთიერთობებმა ისეთი ეკონომიკური პირობები შექმნა სამხრეთში, როგორიცაა მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი, ურბანიზაცია და სიმდიდრის დაგროვება. მათ, თავის მხრივ, გამოიწვიეს პოლიტიკური მოძრაობები დამოუკიდებლობისთვის, მოგვიანებით კი რევოლუციები. ამ თავში განხილული ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული უფსრულის სხვადასხვა ასპექტი – მათ შორის, შიმშილი, ლტოლვილები და სასაქონლო ექსპორტის სტრუქტურა – შეიცავს როგორც ეკონომიკურ, ისე სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტებს. თავის დანარჩენ ნაწილში დავუბრუნდებით იმას, თუ როგორ შეუძლიათ სამხრეთის ეკონომიკებს განავითარონ დაგროვების პროცესი და რა როლი აქვს ჩრდილოეთს ამ პროცესში.

7.4 განვითარების გამოცდილებები

შეადარეთ და ერთმანეთისგან განასხვავეთ ჩინეთისა და ინდოეთის გამოცდილებები ეკონომიკური განვითარების მიღწევის თვალსაზრისით.

ეკონომიკური განვითარება (economic development)
კაპიტალის დაგროვების, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდის (მობადობის თანმდევი შემცირებით), მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და სხვა, მასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების კომბინირებული პროცესები.


ეკონომიკური განვითარება გულისხმობს კომბინირებულ პროცესებს – კაპიტალის დაგროვებას, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდას (შობადობის თანმდევი შემცირებით), მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალი ტექნოლოგების დანერგვას და სხვა, მასთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს. ყველაზე მთავარია კაპიტალის დაგროვება (სიმდიდრის უწყვეტად გენერირების პოტენციალით). განვითარების კონცეფციას აქვს სუბიექტური მხარე, რომელსაც ვერ შეაფასებ სტატისტიკურად – რამდენად კარგია ქვეყნისა თუ მისი ხალხისთვის სიმდიდრის შექმნისა და გადანაწილების კონკრეტული მოდელი. თუმცა, ეკონომიკური განვითარების ერთი მარტივი საზომია მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე – ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი ერთ ადამიანზე. ეს მაჩვენებელი განთავსებულია ჰორიზონტალურ ღერძზე გრაფიკზე 7.1, ხოლო მასში მომხდარი ცვლილება ნაჩვენებია ვერტიკალურ ღერძზე.

ამ მონაცემებით ჩვენ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ წარმატებასა თუ წარუმატებლობას მთლიანად გლობალურ სამხრეთში და რაც მთავარია, მის სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში. ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ის მოიცავს შესაძლო დასკვნების და სტრატეგიების ჩანასახებს, რომლებსაც შეიძლება დაეფუძნოს სამხრეთის წარმატებები მომავალში. გლობალური სამხრეთის უმეტესმა ნაწილმა ეკონომიკურ განვითარებაში პროგრესი განიცადა 1970-იან წლებში, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი შემცირდა 1980-იან წლებში ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. მხოლოდ ჩინეთი იზრდებოდა სტაბილურად. 1990-იან წლებში რეალური ეკონომიკური ზრდა განახლდა სამხრეთის უდიდეს ნაწილში და მთლიანად გლობალურ სამხრეთში შეადგინა ყოველწლიურად 5-6%, ხოლო ჩინეთში უფრო მეტი. ჩრდილოეთში ეს მაჩვენებელი 2-3% იყო. ჩინეთი გამოირჩეოდა სამხრეთის რეგიონებს შორის ეკონომიკური ზრდის სწრაფი დაჩქარებით.

21-ე საუკუნეში სამხრეთის ზრდის ტემპი დაჩქარდა და ახლანდელი მონაცემებით ეს მაჩვენებელი ჩრდილოეთისას უსწრებს (იხ. გრაფიკი 7.7). თუმცა, ზრდა არათანაბარია. სამხრეთ აზია (წლიური 6-7%) შეუერთდა ჩინეთს (წლიური 7-8%) სწრაფი ზრდით. ვინაიდან ჩინეთი და სამხრეთ აზია ერთობლივად ქმნიან გლობალური სამხრეთის მოსახლეობის უმეტესობას, ეს განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია.


გრაფიკი 7.8 რეალური მშპ-ს ზრდა შერჩეული ქვეყნების მიხედვით, 2016 წ.

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები



გრაფიკი 7.9 მშპ ერთ სულზე სამ. კორეა, ჩინეთი, ინდოეთი და განა, 1950-2016 წწ.

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით



ეს ზრდა აჩვენებს, რომ შესაძლებელია სიღარიბიდან თავის დაღწევა და შედარებით კეთილდღეობაში გადასვლა. ეს მოახერხა სამხრეთ კორეამ, მას მიჰყვა ჩინეთი და როგორც ჩანს, ინდოეთიც იგივე გზაზეა (იხ. გრაფიკი 7.9). აფრიკაში ქვეყნების ეკონომიკები 4%-ზე მეტით იზრდებოდა ყოველწლიურად 2011-2013 წლებში (რაც, დიდწილად, ნავთობისა და სასარგებლო წიაღისეულის ექსპორტიორი ქვეყნების დამსახურება იყო, თუმცა არა მხოლოდ). მართალია, 2008-2009 წლების მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა საფრთხე შეუქმნა განვითარებად სამყაროს, მაგრამ გლობალური სამხრეთის ქვეყნების უმეტესობამ უფრო სწრაფად დააღწია თავი კრიზისს, ვიდრე ჩრდილოეთმა, რაც აღსანიშნავი ტენდენციაა. 2015-2017 წლებში ეკონომიკური ზრდა შენელდა, მაგრამ შენარჩუნდა ჩინეთში, სამხრეთ აზიაში და აფრიკის უმეტეს ნაწილებში. ლათინურმა ამერიკამ რეცესია განიცადა 2015-2016 წლებში, მაგრამ ეკონომისტები ვარაუდობდნენ, რომ ეკონომიკური ზრდა ისევ დაიწყებოდა შემდგომ წლებში.[3]

3 კოვიდის პანდემიამ და მასთან ბრძოლამ შეანელა ეკონომიკური ზრდა 2019 წელს და რეცესია განაპირობა 2020 წელს, თუმცა არა მხოლოდ სამხრეთში, არამედ ჩრდილოეთშიც და მთლიანად მსოფლიოში. გლობალური სამხრეთი, ისევე როგორც მსოფლიო, ზრდას დაუბრუნდა 2021 წლიდან. *რედ. შენ.*

დღეს დიდი ყურადღება ეთმობა ქვეყნების ჯგუფს, რომელიც BRICS-ის სახელითაა ცნობილი (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა). მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი ეკონომიკური განსხვავებები არსებობს, თითოეულ მათგანს აქვს დიდი ეკონომიკა და ჰყავს მრავალრიცხოვანი მოსახლეობა. მათ მიიჩნევენ ქვეყნების მნიშვნელოვან ჯგუფად, განვითარებადი ქვეყნების ძლიერ ხმად, განსაკუთრებით უფრო მდიდარ ჩრდილოეთ ამერიკულ და ევროპულ ქვეყნებთან მოლაპარაკებებების დროს.

7.4.1 ახალი ინდუსტრიული ქვეყნები

ახალი ინდუსტრიული ქვეყნები (newly industrializing countries, NICs)

მესამე სამყაროს სახელმწიფოები, რომლებმაც მიაღწიეს თვითმყარ კაპიტალდაგროვებას, მთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდით. ყველაზე მეტად წარმატებულები არიან აღმოსავლეთ აზიის „ოთხი ვეფხვის" ან „ოთხი დრაკონის" სახელით ცნობილი ქვეყნები: სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონ-კონგი და სინგაპური.

„ოთხი ვეფხვი"/"ოთხი დრაკონი" ("four tigers"/"four dragons")

აღმოსავლეთ აზიის ყველაზე წარმატებული ახალი ინდუსტრიული ქვეყნები: სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონ-კონგი და სინგაპური.

სანამ ჩინეთი აღმავლობის გზას დაადგებოდა, რამდენიმე ღარიბმა ქვეყანამ, რომლებსაც **ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს** უწოდებენ, მიაღწია თვითმყარ კაპიტალდაგროვებას და მთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდაც მოახერხა. ამ ნახევრადპერიფერიულმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ახორციელებდნენ მსუბუქი სამრეწველო საქონლის ექსპორტს, დიდი ეკონომიკური ზრდა დააფიქსირეს 1980-იან წლებში და 1990-იანი წლების დასაწყისში. 1997 წლის აზიის ეკონომიკური კრიზისის დროს მათ უკუსვლა განიცადეს, რადგან ეკონომიკური ზრდა მეტისმეტად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რასაც თან ახლდა გადაჭარბებული მოლოდინებით გამოწვეული სესხები, სპეკულაციური ინვესტიციები და კორუფციული გარიგებები. მიუხედავად ამისა, ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა მალევე განაახლეს განვითარება და იმაზე შორს და იმაზე სწრაფად წავიდნენ წინ, ვიდრე გლობალური სამხრეთის დანარჩენი ნაწილი.

აღმოსავლეთ აზიის ყველაზე წარმატებული ახალი ინდუსტრიული ქვეყნებია „ოთხი ვეფხვი" ანუ „ოთხი დრაკონი": სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონ-კონგი და სინგაპური. თითოეულმა მათგანმა წარმატებით განავითარა ცალკეული დარგები და წარმოებები, რომლებიც კონკურენტუნარიანი გახდა მსოფლიოს ბაზრებზე. ამ დარგებსა და წარმოებებს შეუძლიათ დააგროვონ საკმარისი კაპიტალი ქვეყნის შიგნით, რათა გაზარდონ შემოსავლების დონე არა მხოლოდ მცირე ელიტური ნაწილისთვის, არამედ მოსახლეობის უფრო ფართო ფენებისთვის. მეცნიერებმა არ იციან, ახალი ინდუსტრიული ქვეყნები წარმოადგენენ უბრალოდ მცირერიცხოვან იღბლიან სახელმწიფოებს, რომლებიც მსოფლიოს სისტემაში პერიფერიიდან ნახევრადპერიფერიაში გადავიდნენ, თუ მათი წარმატება საბოლოოდ შეიძლება სხვა ქვეყნებმაც გაიმეორონ გლობალურ სამხრეთში.

სამხრეთ კორეამ რკინისა და ქვანახშირის რესურსებით განავითარა ფოლადისა და ავტობომილების კონკურენტუნარიანი ინდუსტრიები, რომელთა პროდუქცია ექსპორტზე გააქვს და ამ ვაჭრობით მოგებას ნახულობს. ტაივანმაც გამოიყენა სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკა, მიმართული ელექტრონიკისა და კომპიუტერული მრეწველობის, ასევე მსუბუქი მრეწველობის განვითარებისკენ. ჰონ-კონგს, რომელიც 1997

წლიდან ჩინეთის შემადგენლობაშია, ასევე აქვს მსოფლიოს მასშტაბის კონკურენტული ელექტრონიკისა და სხვა ნვრილი ტექნიკის წარმოება, მაგრამ მისი მთავარი სიძლიერე ბანკები და ვაჭრობაა. სინგაპური მალაიზიის ნახევარკუნძულის კიდეზე მდებარე სავაჭრო ქალაქია, რომელიც სამხრეთ ჩინეთის ზღვის, ინდოეთის ოკეანისა და ავსტრალიის რეგიონებთან ვაჭრობისთვისაა ხელსაყრელი.


სხვადასხვა მიზეზით, თითოეულ ამ ქვეყანას გარკვეულწილად უჩვეულო პოლიტიკური სტატუსი აქვს საერთაშორისო სისტემაში. მაგალითად, სამხრეთ კორეა და ტაივანი საერთაშორისო კონფლიქტების ცხელი წერტილები არიან, რომლებიც აშშ-ს უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მოექცნენ ცივი ომის დროს. ორივე იყო მილიტარიზებული, ავტორიტარული სახელმწიფო, შეუწყნარებელი განსხვავებული აზრის მიმართ და მოგვიანებით იქცა დემოკრატიად. ამ შემთხვევაში სამხედრო კონფლიქტს არ შეუფერხებია განვითარება.

ჰონ-კონგსა და სინგაპურს განსხვავებული პოლიტიკური ისტორია აქვს. ორივე ბრიტანეთის ყოფილი კოლონიაა. ისინი უფრო ქალაქ-სახელმწიფოებს წარმოადგენენ, ვიდრე ერ-სახელმწიფოებს. ისინი სავაჭრო ნავსადგურები და ფინანსური ცენტრებია. მართალია, ცივი ომის დროის სამხრეთ კორეისა და ტაივანის მსგავსად რეპრესიული ან მილიტარიზებული არ ყოფილა, მაგრამ არც ჰონ-კონგი და არც სინგაპური დემოკრატიულები არ ყოფილა. ჰონ-კონგს ბრიტანელი გუბერნატორი მართავდა (და 1997 წლიდან ჩინეთის ნაწილია), სინგაპურს კი დომინანტი ლიდერი.

7.4.2 ჩინეთის გამოცდილება

თუკი ოდესმე არსებობდა ეჭვი, იყო თუ არა შესაძლებელი ახალი ინდუსტრიული ქვეყნების წარმატების გამეორება სხვაგან და უფრო დიდი მასშტაბით, ჩინეთმა ეს ეჭვები სრულად გაფანტა. ჩინეთში თითქმის 1.4 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს და სხვა რომ არაფერი, მხოლოდ ეს მაჩვენებელი ხდის ჩინეთის მიერ კაპიტალის თვითკმარი დაგროვების მცდელობის შესწავლას საინტერესოს. ასევე, ჩინეთს ჰქონდა მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა 1990-იანი წლების დასაწყისიდან.

1976 წელს მაოს გარდაცვალების შემდეგ, დენ სიაოპინის მმართველობის დროს ჩინეთმა დაიწყო ეკონომიკური რეფორმები და მისი სამხრეთი სანაპირო პროვინციები თავისუფალ ეკონომიკურ ზონებად გადაქცია, რითაც კარი გაუღო უცხოურ ინვესტიციებს და ეკონომიკის მართვა კაპიტალისტური პრინციპების მიხედვით დაიწყო. გლეხები, კოლექტიური მეურნეობების ნაცვლად, საკუთარ კერძო მიწის ნაკვეთებს ამუშავებდნენ და როცა ამას წარმატებით ახერხებდნენ, მდიდრდებოდნენ კიდეც (ჩინური სტანდარტებით). მეწარმეებმა ჩამოაყალიბეს კომპანიები, დაიქირავეს მუშახელი და მიიღეს მოგება. ჩინეთის სამხრეთში შედინება და-



ავტომობილების კულტურა ჩინეთის სწრაფმა ეკონომიკურმა ნინსვლამ წარმოუდგენლად გაზარდა მემოსავლეები, განსაკუთრებით, მზარდი სამუალო კლასისთვის. ეს წარმატებები შედეგად მოჰყვა ჩინეთის გახსნას მსოფლიო ეკონომიკის მიმართ და საბაზრო რეფორმების გატარებას. ჩინეთი ასევე ცდილობს ადგილობრივი ბაზრის განვითარებას და სამომხმარებლო ხარჯების გაზრდას, რათა ძალიან არ იყოს დამოკიდებული ექსპორტზე ეკონომიკური ზრდისთვის. სურათზე ჩინელი მომხმარებლები თავიანთ როლს ასრულებენ ამ ყველაფერში, მოუყრიათ რა თავი პეკინის საავტომობილო მოუზე 2017 წელს, იმ იმედით, რომ შეძლებენ ჩასხდომას ჩინეთის ყველაზე სატრფიალო, ძვირადღირებულ სამომხმარებლო საგანში, ავტომობილში.

იწყო უცხოურმა ინვესტიციებმა, რადგანაც აქ ხელსაყრელი მდებარეობა, იაფი მუშა-ხელი და შედარებითი პოლიტიკური სტაბილურობა დახვდა.

თუმცა, ჩინეთმა ახლიდან აღმოაჩინა კაპიტალიზმის ზოგიერთი თავისებურება, რომლებიც თავის დროზე მაოს რევოლუციონერებმა მოსპეს. წარმოიშვა ახალი კლასობრივი უთანასწორობა – მდიდარი მენარმეები იმპორტულ მდიდრულ მანქანებს მართავდნენ, ღარიბები კი სამსახურს კარგავდნენ. არამომგებიანი სახელმწიფო საწარმოებიდან 10 მილიონი მუშახელი დაითხოვეს 1990-იან წლებში და მათ სხვებიც ემატებოდნენ ყოველწლიურად. სასოფლო არეალებში, რომლებსაც განვითარებამ გვერდი აუქცია, დღემდე ცხოვრობს 200 მილიონი უკიდურესად ღარიბი ჩინელი გლეხი. ხელახლა იჩინა თავი სოციალურმა პრობლემებმა, მაგალითად, პროსტიტუციამ, ისევე როგორც ეკონომიკურმა პრობლემებმა, როგორიცაა ინფლაცია (რომელიც ადრე კონტროლდებოდა). რიგით ჩინელში ყველაზე მეტ იმედგაცრუებას იწვევს ფართომასშტაბიანი საჯარო კორუფცია, რომელიც გამდიდრებისკენ სწრაფვის ატმოსფეროს ახლავს თან.

ფართო უკმაყოფილებამ ისეთ პრობლემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ინფლაცია და კორუფცია, მრენველობაში დასაქმებულ მუშებსა და სახელმწიფო მოხელეებსაც კი უბიძგა, შეერთებოდნენ 1989 წელს პეკინში, ტიანანმენის მოედანზე სტუდენტების მიერ ორგანიზებულ ანტისამთავრობო აქციებს. ხელისუფლებამ სამხედრო ძალის გამოყენებით, ძალადობრივი გზით ჩაახშო საპროტესტო ტალღა, ასობით ადამიანი დახოცა და ყველას აჩვენა, რომ მთავრობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მკაცრი პოლიტიკური კონტროლის შენარჩუნება, ეკონომიკური რეფორმების გაგრძელების პარალელურად. პარტიის ლიდერები იმეორებდნენ, რომ ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკური ორთოდოქსულობის შერწყმის ერთგული რჩებოდნენ და ეს დადასტურდა კიდეც შემდგომი ეკონომიკური შედეგებით. მრავალეროვნული კორპორაციების უცხოურმა ინვესტიციებმა ბიძგი მისცა ჩინეთის ექსპორტის სწრაფ ზრდას – 250 მილიარდი აშშ დოლარიდან 2000 წელს 2.1 ტრილიონზე მეტ დოლარამდე 2017 წლისთვის. ჩინეთი მსოფლიოს უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყნად იქცა 2010 წელს.

2012 წელს, ქვეყნის სათავეში მოვიდა ჩინელი ლიდერების ახალი თაობა პრეზიდენტ სი ძინპინის მეთაურობით. ჩინეთმა შეძლო შეენარჩუნებინა სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპი (საშუალოდ წლიური 10%) 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგაც კი, რო-

მელმაც ჩინურ ექსპორტს დიდი დარტყმა მიაყენა. ამაში მას დიდი სამთავრობო ინფრასტრუქტურული ხარჯები დაეხმარა. თუმცა, მზარდმა უთანასწორობამ და ფართოდ გავრცელებულმა კორუფციამ საფრთხის ქვეშ დააყენა კომუნისტური პარტიის ლეგიტიმურობა. ნიუ-იორკ ტაიმსში 2012 წელს გამოქვეყნებულ ჟურნალისტურ გამოძიებაში ნათქვამი იყო, რომ ჩინეთის ექს-პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრებმა მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს 3 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ქონება დააგროვეს. პასუხად ჩინეთის მთავრობამ ქვეყანაში დაბლოკა ნიუ-იორკ ტაიმსის ვებგვერდი. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება მკაცრ ზომებს იღებს პოლიტიკური აზრის გამოხატვის წინააღმდეგ, ბევრი ჩინელი საკუთარ შეხედულებებს არა მხოლოდ აქციებსა და დემონსტრაციებზე აფიქსირებს, არამედ ინტერნეტში პოპულარული მიკრობლოგების მეშვეობითაც (როგორიცაა ტვიტერის ჩინური ვერსიები). სოფლებში გლეხები ღიად აპროტესტებდნენ მიწების მიტაცებას, გადასახადებს, დაბინძურებასა და ადგილობრივი მოხელეების კორუფციას. პრეზიდენტმა სიმ კორუფციასთან ბრძოლა მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა, პარალელურად კი ყველანაირად ცდილობდა, ჩაეხშო საპროტესტო აქციები და კრიტიკული მოსაზრებების დაფიქსირება, რომლებიც ეხებოდა კორუფციაში პარტიული თანამდებობის პირების მონაწილეობას.

ის ფაქტი, რომ ჩინეთს აქვს ინტერნეტზე წვდომა, ძალიან სასარგებლოა ქვეყნის ეკონომიკისთვის, მაგრამ ამავდროულად, ხალხსაც ეძლევა საშუალება, გვერდი აუაროს მთავრობის მიერ კონტროლირებულ ინფორმაციას. ზოგიერთ მიმომხილველს იმედი აქვს, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია საინფორმაციო ხანაში გარდაუვლად გახსნის ჩინეთის პოლიტიკურ სისტემას და ქვეყანას დემოკრატიზაციამდე მიიყვანს. თუმცა, სხვების აზრით, სანამ ჩინელი ლიდერები ეკონომიკურ ზრდას ახერხებენ, მოსახლეობას პოლიტიკური ცვლილებების ნაკლები სურვილი ექნება.

ჩინეთის ეკონომიკურმა წარმატებამ ქვეყანას შესძინა მეტი პრესტიჟი საერთაშორისო სისტემაში და უფრო ფართო გლობალური პერსპექტივა საერთაშორისო ურთიერთობებში ჩინეთის ფარგლებს გარეთ. 2013 წელს ჩინეთმა განაცხადა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის შექმნის თაობაზე, რომელიც აზიის განვითარების ბანკისა და მსოფლიო ბანკის ანალოგია. ბევრმა ეს აღიქვა ჩინეთის მიერ საკუთარი „მსოფლიო ბანკის" შექმნის მცდელობად, სადაც კონტროლის სადავეები მის ხელში იქნება. დღემდე ბანკს 61 ქვეყანა შეუერთდა. აშშ მას არ შეერთებია და გააკრიტიკა ის პარტნიორები (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი), ვინც ასე მოიქცა. ბანკმა დაიწყო ინფრასტრუქტურული სესხების გაცემა და მისი საწყისი კაპიტალი 100 მილიარდ აშშ დოლარია, ანუ მსოფლიო ბანკის ნახევარი.[4]

ჩინეთი ასევე არის დიდი ოცეულის (G20) საკვანძო წევრი. 2009 წელს დიდმა დასავლურმა ქვეყნებმა განაცხადეს, რომ დიდი ოცეული ჩაანაც-

4 2023 წლის იანვრის მდგომარეობით, ბანკში 105 ქვეყანაა გაერთიანებული. რედ. შენ.

ვლებდა დიდ შვიდეულს როგორც ეკონომიკური კოორდინაციის ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტიტუტს. ეს ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის ჩინეთს. ჩინეთს ასევე აქვს მჭიდრო ეკონომიკური კავშირები სხვა აზიურ ქვეყნებთან. ჩინეთის მზარდი საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო გაამყარა ოლიმპიადის მასპინძლობამ 2008 წელს, რაც ძალიან წარმატებული გამოდგა.

ჩინეთის ეკონომიკურმა სასწაულმა დარტყმა მიიღო 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს. ფინანსური კრიზისის გამო, მნიშვნელოვნად გაუფასურდა ჩინური ინვესტიციები აშშ-ში, რომლებიც წლების განმავლობაში ჩინეთის დადებითი სავაჭრო ბალანსიდან მიღებული კაპიტალით იყო დაგროვებული. ჩინელმა ლიდერებმა შეიმუშავეს დიდი მასტიმულირებელი პაკეტი, რომელიც მიმართული იყო ჩინეთში შიდა მოხმარების ხელშეწყობისკენ. თუმცა ამ იდეას მოკლევადიანი პრობლემები შეექმნა, მათ შორის კულტურული ხასიათის, რადგან წარსულში ღარიბი ადამიანები უფრო დაზოგვას იყვნენ მიჩვეულები, ვიდრე ხარჯვას. ასევე, ეკონომიკურად პრობლემური აღმოჩნდა ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის შიდა ბაზრებისკენ მოტრიალება. ამ საფრთხეებისა და რისკების მიუხედავად, ჩინეთის ეკონომიკამ ეკონომიკურ კრიზისს თავი დააღწია.

ჩინეთისთვის მომავალში ერთ-ერთ პრობლემად შეიძლება იქცეს ნაციონალისტური და ანტიგლობალისტური განწყობების ზრდა მსოფლიოში. ისევე როგორც ბევრი ბრალს დებს შეერთებულ შტატებს, რომ ის საკუთარ კულტურას ავრცელებს გლობალიზაციით, ბევრიც, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებში, ახლა ჩინეთს აბრალებს საკუთარ ეკონომიკურ გამოწვევებს. ჩინეთის დიდი დადებითი სავაჭრო ბალანსის გამო, ის ადვილი სამიზნეა მათთვის, ვისაც არ მოსწონს ვაჭრობა გლობალიზაციის პირობებში. 2017-18 წლებში აშშ-ს პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა დაიწყო ტარიფების დაწესება ჩინურ იმპორტზე, რითაც სავაჭრო ომი გამოიწვია. ჩინეთთან ვაჭრობის საწინააღმდეგო გლობალურმა მოძრაობამ შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს ჩინური ეკონომიკური მოდელი, თუმცა მან ასევე შეიძლება აზარალოს მომხმარებლები იმ ქვეყნებში, რომლებიც ჩინური საქონელს ყიდულობენ.

წლების მანძილზე ისე ჩანდა, რომ თითქოს ჩინეთის მრავალრიცხოვან მოსახლეობას შეეძლო, ულიმიტო იაფი მუშახელით უზრუნველეყო ამ ქვეყანაში პროდუქციის მწარმოებელი უცხოელი ინვესტორები. თუმცა, ბოლო წლებში, ჩინეთის მზარდი ეკონომიკის ფონზე, შემცირდა ხელმისაწვდომი სამუშაო ძალა და ხელფასებმა მოიმატა. მუშახელის მიერ უკმაყოფილების გამოხატვა ჩვეული რამ გახდა ჩინეთში და ისინი უფრო მაღალ ჯამაგირსა და უკეთეს სამუშაო პირობებს ითხოვენ. მრავალეროვნულმა კორპორაციებმა დაიწყეს ზოგიერთი მსუბუქი წარმოების გადატანა აზიის სხვა ქვეყნებში, სადაც მუშახელი უფრო იაფი იყო, მაგალითად, ვიეტნამში.

ნათელი არაა, თუ რა გაკვეთილს იძლევა ჩინეთის ეკონომიკური წარმატება უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე დანარჩენი გლობალური სამხრეთისთვის. უდავოა, რომ მისი წარმატების მთავარი ფაქტორი იყო ცენტრალური გეგმური ეკონომიკიდან კერძო საკუთრებაზე გადასვლა, თუმცა სახელმწიფო განაგრძობს მთავარი როლის შესრულებას ეკონომიკის საერთო კონტროლის თვალსაზრისით (უფრო მეტადაც კი, ვიდრე ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში). ეს საკითხები ისევ აქტიურად განიხილება, რადგან ჩინეთი შედის კეთილდღეობისა და გაზრდილი მოლოდინების ახალ ერაში და ეძებს საკუთარ გზას ახალ ტურბულენტურ მსოფლიო ეკონომიკაში, სხვა ღარიბი ქვეყნები კი ცდილობენ ისწავლონ ჩინეთის გამოცდილებიდან.

7.4.3 ინდოეთი კრეფს სიჩქარეს

ინდოეთი, ჩინეთის მსგავსად, თავისი ზომისა და ბოლოდროინდელი მძლავრი ეკონომიკური ზრდის გამო იმსახურებს ყურადღებას. 1996-2016 წლებში ინდოეთის წლიური ზრდის საშუალო მაჩვენებელმა 6 პროცენტს გადააჭარბა. მართალია, ინდოეთის პროგრესი ერთი ათწლეულის განმავლობაში ვერ შეედრება ჩინეთის სამი ათწლეულის წარმატებას და ინდოეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ჯერაც ოდნავ აღემატება ჩინეთის მშპ-ს ნახევარს, მაგრამ მთავარია, რომ ინდოეთის წარმატებისკენ სვლა უკვე დაწყებულია და შემდგომ წლებში მას შეუძლია სიღარიბიდან თავის დაღწევის ჩინეთის სცენარის გამეორება.

ათწლეულების განმავლობაში ინდოეთის ეკონომიკა ეფუძნებოდა სოციალიზმსა და სახელმწიფო კონტროლს დიდი საწარმოების ნაწილში და კერძო კაპიტალიზმს სოფლის მეურნეობასა და პირველადი მოხმარების საქონლის წარმოებაში. სახელმწიფო ძირითადი მოთხოვნილებების საქონლის სუბსიდირებას ახდენს და განსაკუთრებულ პირობებს ქმნის ფერმერებისთვის. ჩინეთისგან განსხვავებით, ინდოეთს დემოკრატიული ხელისუფლება ჰყავს, მაგრამ ის დაქსაქსული ქვეყანაა, სხვადასხვა ავტონომიური მოძრაობებითა და ეთნიკური კონფლიქტებით. ინდოეთის მთავრობის წინაშე დგას კორუფციის პრობლემა, თუმცა ბოლო წლებში მდგომარეობა ამ თვალსაზრისით გამოსწორდა.

გლობალიზაციის ხანის მსოფლიო ეკონომიკაში ინდოეთმა თავისი ნიშა დაიკავა მომსახურებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში. მართალია, მომსახურების სფეროში დასაქმებულია ინდოეთის მუშახელის (დიდი უმრავლესობა ისევ სოფლის მეურნეობაში საქმიანობს) მხოლოდ 30 პროცენტი, მაგრამ ის გამოიმუშავებს მშპ-ს თითქმის 60 პროცენტს. მაშინ, როცა სამხრეთ კორეა მძიმე მრეწველობის საქონლის, ხოლო ჩინეთი მსუბუქი მრეწველობის საქონლის ექსპორტს ახდენს, ინდოეთს ექსპორტზე გააქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების პროდუქტები, როგორებიცაა პროგრამული უზრუნველყოფა და სატელეფონო მო-



თქვენს სამსახურში მვიბგულეთ ინდოეთი სწრაფად გაიზარდა ბოლო წლებში. მან გამოიყენა თავისი მრავალრიცხოვანი, განათლებული, ინგლისურად მოსაუბრე მოსახლეობა საექსპორტო შემოსავლების მისაღებად მომსახურების სექტორში. ესაა კომპიუტერული უზრუნველყოფის კომპანიები, ამერიკელ მომხმარებლებზე გათვლილი ქოლცენტრები და პროფესიონალური მომსახურებები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ბუღალტერია, არქიტექტურა, ინჟინერია და მედიცინა. სურათზე რადიოლოგი ბანგალორიდან, ინდოეთის ტექნოლოგიური დედაქალაქიდან, ეცნობა სხეულის ტომოგრაფიას, რომელიც მას შეერთებული შტატების საავადმყოფოდან ინტერნეტით გადაუგზავნეს და ტელეფონით განიხილავს შედეგებს პაციენტის ექიმთან კონსულტაციაში. 2004 წ.

მსახურება. როგორც ჩანს, თითოეული ქვეყანა იყენებს თავის სამუშაო ძალას, რათა ღირებულება შემატოს პროდუქტებს, რომლებიც ექსპორტზე გადის მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი, მსხვილ ამერიკულ ბაზარზე. ინდოეთის შემთხვევაში, იქაური მუშახელი განათლებულია და ინგლისურადაც საუბრობს. ინდოეთის უდავო უპირატესობაა მისი ადგილმდებარეობაც, რადგანაც იქ ჩვეულებრივი სამუშაო საათები ემთხვევა ღამის საათებს ჩრდილოეთ ამერიკაში. პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიებს შეუძლიათ ღამის ცვლასავით გადააბარონ პროექტები ინდოელ კოლეგებს, ხოლო ამერიკულ საავადმყოფოებს შეუძლიათ გადაუგზავნონ მათ სამედიცინო ჩანაწერები გასაშიფრად. მრავალეროვნული კორპორაციები ფართოდ იყენებენ ინდოელ მუშახელს მთელი მსოფლიოდან შესულ ზარებზე საპასუხოდ, მაგალითად კომპანიის პროდუქტებთან დაკავშირებული ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურებისას.


ინდოეთის სამომავლო წარმატება თუ წარუმატებლობა დიდ გავლენას მოახდენს ეკონომიკური განვითარების შესახებ რამდენიმე კონკურენტულ თეორიაზე. კერძოდ, ჩინეთმა წარმატებას მიაღწია ხისტი, ცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემის პირობებში, ინდოეთში კი შეუზღუდავი დემოკრატიაა. ამდენად, თუ ინდოეთი ვეღარ შეძლებს ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებას, ჩაითვლება, რომ განვითარებას ავტორიტარული მთავრობა უწყობს ხელს, დემოკრატიამ კი შემდგომ ეტაპამდე უნდა დაიცადოს. იმ შემთხვევაში კი, თუ ინდოეთი წარმატებისკენ სვლას განაგრძობს, აშკარა იქნება, რომ ავტორიტარული მმართველობა განვითარების წინაპირობა არაა.

გრაფიკი 7.10 ადარებს ინდოეთისა და ჩინეთის პროგრესს ორი მთავარი ინდიკატორის მიხედვით – ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის (საზოგადოებრივი ჯანდაცვის კარგი ზოგადი საზომი) და შობადობის კოეფიციენტი. ჩინეთმა ძალიან სწრაფად მოახერხა ორივე მაჩვენებლების აშკარა გაუმჯობესება თავისი ავტორიტარული მმართველობის გამო, რომლის კონტროლიც (თეორიულად მაინც) ნებდებოდა თითოეულ სოფელსა თუ თითოეულ საძინებელს. 1950-იან წლებში ჩინეთმა დაიწყო მასობრივი კამპანიები, რომლის ფარგლებშიც ადამიანებმა გაანადგურეს დაავადებების გადამტანი პარაზიტები და ააშენეს საკანალიზაციო ნაგებობები. შედეგად, 1960-იან წლებში შემცირდა ჩინეთის მაჩვენებლები ისეთ ეპიდემიურ დაავადებებზე, როგორებიცაა ქოლერა და შავი ჭირი. მსგავსი რამ მოხდა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემთხვევაშიც. 1970-იან წლებში,

„ერთი ოჯახი-ერთი ბავშვის“ მკაცრი პოლიტიკის მეშვეობით, ჩინეთმა შეამცირა შობადობის კოეფიციენტი. ქალებს, რომლებიც წინაღმდეგ წავიდოდნენ, სტერილიზაციაც კი შეიძლება დამუქრებოდა. ამგვარად, ჩინეთის მთავარი პრინციპი იყო, ეიძულებინა თავისი მოქალაქეები, ემოქმედათ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. ჯანდაცვის სფეროში მიღწეულმა შედეგებმა და შობადობის დონის დაწევამ საფუძველი მოამზადა ჩინეთის შემდგომი ეკონომიკური წარმატებისთვის, ცხადია, ინდივიდუალური თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე.

გრაფიკი 7.10 ჩინეთისა და ინდოეთის განვითარების შედარება

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით



* გლობალური ჩრდილოეთის მაჩვენებელი ამის ქვევითაა

* მოსახლეობის მარტივი აღწარმოება, სტატიკურობა


ამის საპირისპიროდ, ინდოეთი უფრო დაეყრდნო გაცნობიერების პრინციპს, დაარწმუნა რა ადამიანები, შეეცვალათ თავიანთი პრიორიტეტები – მოენდომებინათ ნაკლები ბავშვის ყოლა და დახმარებოდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესებას. მორჩილებისკენ დიქტატორული ძალდატანების გარეშე, ინდოეთის პროგრესი უფრო ნელი იყო. თუმცა, დროთა განმავლობაში, ინდოეთიც იგივე შედეგს მიაღწევს, რასაც ჩინეთი. ალბათ, ამისთვის ათწლეულებით მეტი დრო დასჭირდება, მაგრამ უარს არ იტყვის მის ეროვნულ მახასიათებელზე – დემოკრატიაზე.

7.4.4 სხვა ექსპერიმენტები

სხვა, მეტნაკლებად დიდი განვითარებადი ქვეყნები მიჰყვებიან განვითარების სხვადასხვა სტრატეგიას, ხან წარმატებით, ხანაც წარუმატებლად. ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა აზიამ. გრაფიკზე 7.11 ჩანს გლობალური სამხრეთის ყველაზე ხალხმრავალი 16 ქვეყნის შემოსავლების დონეები და ეკონომიკური ზრდის ტემპები. შეიძლება პარალელის გავლება 7.1 გრაფიკზე მოცემულ მსოფლიო რეგიონების მონაცემებთან. აშკარაა, რომ სამხრეთის დიდი ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან

გრაფიკი 7.11 ყველაზე დიდი ქვეყნების შემოსავლის დონეები და ზრდის ტემპები, 2013 წ.

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით



შენიშვნა: 16 ყველაზე ხალხმრავალი ქვეყნის მონაცემები

ერთმანეთისგან შემოსავლების დონის მიხედვით. ყველაზე მაღალი შემოსავლების მქონე ხუთი ქვეყანა (თურქეთი, ირანი, ტაილანდი, მექსიკა და ბრაზილია) მდებარეობს სამ სხვადასხვა რეგიონში და მათი ზრდის მაჩვენებელი 5-დან 4 პროცენტამდე მერყეობს. ყველაზე სწრაფად მზარდი ქვეყნებიდან სამი (ბანგლადეში, ფილიპინები, ეთიოპია და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა), 7-9 პროცენტიანი ზრდის მაჩვენებლებით, შემოსავლების დონის მიხედვით ქვედა რიგებს იკავებს. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ჩინეთი უფრო სწრაფად განვითარდა, ვიდრე სამ-

ხრეთის სხვა 15 დიდი ქვეყანა და ზრდის ასეთი მაჩვენებლით გაუთანაბრდა ამ ჯგუფის ყველაზე მაღალშემოსავლიან ხუთ ქვეყანას. ისიც აშკარაა, რომ რეგიონულ მდებარეობასაც აქვს მნიშვნელობა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება გამოიყოს რეგიონული ზონები, რომლებიც ვითარდება კონკრეტული, მისთვის დამახასიათებელი მოდელით.

ყველაზე დიდი განვითარებადი ქვეყნები მიუყვებიან გარკვეულწილად სხვადასხვა სტრატეგიებს, ასევე განსხვავებული შედეგებით. თუმცა, არსებობს რამდენიმე საერთო საკითხიც. ეს ეხება ვაჭრობას, კაპიტალის კონცენტრაციას და კორუფციას.

7.4.5 იმპორტის ჩანაცვლება და ექსპორტით გამოწვეული ზრდა

მთელს გლობალურ სამხრეთში, სახელმწიფოები ცდილობენ, გამოიყენონ საერთაშორისო ვაჭრობა სიმდიდრის დასაგროვებლად. მე-5 თავში განხილულ მიზეზთა გამო, თვითკმარობის პოლიტიკა, ანუ ავტარკია მეტისმეტად ნელი საშუალებაა სიმდიდრის შესაქმნელად. დადებითი სავაჭრო ბალანსით კი ქვეყანას შეუძლია დააგროვოს მყარი ვალუტა და ააშენოს მრეწველობა და ინფრასტრუქტურა.

იმპორტის ჩანაცვლება (import substitution)
ადგილობრივი წარმოების განვითარების სტრატეგია, ხშირად პროტექციონისტული ბარიერების გამოყენებით. მისი მიზანია იმ პროდუქტების წარმოება, რომლებიც ქვეყანას იმპორტზე შემოაქვს.

ექსპორტით გამოწვეული ზრდა (export-led growth)
ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც ცდილობს, განავითაროს მსოფლიო ეკონომიკის კონკრეტულ სფეროებში კონკურენტუნარიანი წარმოების დარგები.

დადებითი სავაჭრო სალდოს მიღების ერთი გზა, რომელსაც ხშირად იყენებდნენ რამდენიმე ათწლეულის წინ, არის **იმპორტის ჩანაცვლება** – ადგილობრივი წარმოების დარგების განვითარება იმ საქონლის საწარმოებლად, რომლის იმპორტსაც ახდენს ქვეყანა. ამ დარგებმა შეიძლება მიიღონ სახელმწიფო სუბსიდიები ან სატარიფო დაცვა. ეს შეიძლება კარგი საშუალება იყოს სხვაზე დამოკიდებულების შესამცირებლად, განსაკუთრებით, როცა საუბარია ყოფილ კოლონიზატორ ქვეყანაზე. ამ დროს ხდება ვაჭრობის დეფიციტის შემცირება ან დადებითი სავაჭრო სალდოს შექმნა. თუმცა, ეს ეწინააღმდეგება შედარებითი უპირატესობის პრინციპს და უმრავლეს შემთხვევაში, მისი ეფექტურობა არ დადასტურებულა. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ იმპორტის ჩანაცვლება სასარგებლო პოლიტიკაა ეკონომიკური განვითარების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რის შემდეგაც ის კონტრპროდუქტიული ხდება. სხვების აზრით კი, ის არასდროს არაა სარგებლის მომტანი.

სულ უფრო მეტი და მეტი ქვეყანა გადადის **ექსპორტით გამოწვეული ზრდის** სტრატეგიაზე, რომელიც გამოიყენეს ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა. ამ სტრატეგიის მიზანია, განავითაროს მრეწველობის ის დარგები, რომლებსაც შესწევთ კონკურენციის უნარი მსოფლიო ეკონომიკის კონკრეტული სფეროებში. ამ დარგებისთვის შეიძლება შეიქმნას განსაკუთრებული პირობები, როგორებიცაა სუბსიდიები და დაცვა ადგილობრივ ბაზრებზე. ექსპორტი ამ დარგებიდან გამოიმუშავებს მყარ ვალუტას და ქმნის ხელსაყრელ სავაჭრო ბალანსს. ქვეყანას შეუძლია ამ თანხის გამოყენება იმ საგნების იმპორტზე, რომლებიც უფრო იაფად იწარმოება

სხვაგან. თუმცა, ამგვარ სტრატეგიას რისკებიც ახლავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყანა სპეციალიზდება მცირე რაოდენობის ნედლეულის ექსპორტზე (იხ. პოსტკოლონიური დამოკიდებულება ამავე თავში). ასეთი რამ ღარიბ ქვეყნებს დაუცველს ხდის მათ საექსპორტო საქონელზე ფასების მოულოდნელი ცვალებადობის მიმართ.

7.4.6 კაპიტალის თავმოყრა წარმოებაში

წარმოება მთავარი ფაქტორია როგორც ექსპორტით გამოწვეული ზრდის, ასევე თვითმარობაზე ორიენტირებული ინდუსტრიალიზაციის დროს (შიდა წარმოება ადგილობრივი ბაზრებისთვის). წარმოებაში ინვესტირებისთვის, ქვეყანამ თავი უნდა მოუყაროს თავისი ეკონომიკის მიერ წარმოქმნილ ნამატს. ქარხნების ასაშენებლად დახარჯული ფული ვეღარ დაიხარჯება სურსათის ფასების სუბსიდირებისთვის ან უკეთესი სკოლების ასაშენებლად. ამდენად, მრეწველობისთვის კაპიტალის თავმოყრამ შეიძლება გაამძაფროს შემოსავლებში უთანასწორობა. რადგან სამრეწველო წარმოება ღარიბ ქვეყნებში არ არის თავიდანვე კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზრებზე, ზოგადი სტრატეგიაა, რომ პირველად უნდა ჩამოყალიბდეს შიდა ბაზარზე ორიენტირებული ინდუსტრია (რომელიც დაცული იქნება ტარიფებითა და სუბსიდიებით). თუმცა, სამრეწველო საქონლისთვის შიდა ბაზარი ვერ შეიქმნება სოფლად მცხოვრები ღარიბი გლეხებისგან ან ქალაქის ღარიბ გარეუბნებში მოსახლე უმუშევარი ახალგაზრდობისგან. ამის ნაცვლად, სიმდიდრის თავმოყრა უნდა მოხდეს *საშუალო კლასში,* რომელსაც აქვს სამრეწველო საქონლის შეძენისთვის საჭირო შემოსავალი. ამ უთანასწორობამ შეიძლება შედეგად მოიტანოს ბრბოს ამბოხი ქალაქის ქუჩებში ან პარტიზანების თარეში სასოფლო დასახლებებში.

სამრეწველო წარმოებისთვის საჭირო კაპიტალი შეიძლება შემოვიდეს უცხოური ინვესტიციის ან უცხოური სესხის სახით, მაგრამ ეს ხანგრძლივი ვადით შეამცირებს ქვეყნისთვის სასურველი ნამატის მოცულობას. საჭირო კაპიტალის შემცირების სხვა გზაა დაბალბიუჯეტიანი წარმოება. ამ წარმოებამ შეიძლება დაიწყოს კაპიტალის გამომუშავება, რაც შემდეგ გამოყენებული იქნება ტექნოლოგიურად უფრო მოთხოვნადი და კაპიტალტევადი წარმოების შესაქმნელად. პოპულარული სასტარტო წარმოებაა საფეიქრო მრეწველობა. მრეწველობის ეს დარგი საკმაოდ შრომატევადია, უპირატესობას ანიჭებს იაფი მუშახელის მქონე ქვეყნებს და არ მოითხოვს კაპიტალის დიდ ინვესტიციებს საქმის დასაწყებად. 2005 წელს საბაჟო ტარიფები გაუქმდა საფეიქრო ნაწარმზე მთელი მსოფლიო მასშტაბით. ასე რომ, განვითარებადი ქვეყნებიდან ტექსტილის ექსპორტიორებისთვის გაიხსნა დასავლური ბაზრები, მაგრამ ისინი ჩინეთთან ინტენსიური კონკურენციის წინაშე აღმოჩნდნენ.


ძალიან ღარიბ ქვეყნებში კაპიტალის დაგროვების გავრცელებული სახეობა, რომლის პოპულარობა ბოლო წლები სულ უფრო იზრდება, არის მიკროკრედიტი (ან მიკროსესხი). ემყარება რა ბანგლადეშის წარმატებულ მოდელს (გრამინ ბანკი, რომელმაც 2006 წელს ნობელის პრემია მიიღო მშვიდობის დარგში და ამჟამად 2 400-ზე მეტი ფილიალი აქვს), მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მცირე სესხებს აძლევენ ღარიბ ხალხს, განსაკუთრებით ქალებს, რათა დაეხმარონ მათ ეკონომიკურ თვითმარობაში. მსესხებლები გაერთიანებული არიან მცირე ჯგუფებად. ისინი ერთმანეთზე იღებენ პასუხისმგებლობას, როგორც წარმატების, ისე სესხების დაფარვის თვალსაზრისით. იდეა სწრაფად აიტაცეს რამდენიმე რეგიონში. ერთ ცნობილ შემთხვევაში, სოფლად მცხოვრებმა ქალებმა მცირე სესხით დაიწყეს ბიზნესი, კერძოდ მობილურ ტელეფონზე დროის გაქირავება. ფერმერები ამ მომსახურებას იყენებდნენ ბაზარზე არსებული პირობების გასაგებად, ვიდრე პროდუქტების გასაყიდად გრძელ გზას გაუდგებოდნენ. ამგვარად, საინფორმაციო რევოლუციის დაწყებამ იზოლირებულ სოფლებში გაზარდა როგორც ფერმერების და მეწარმე ქალების შემოსავლები და ბანკმაც იხეირა – ხალხმა სესხები დაფარა. მიკროკრედიტს ამჟამად მაკრო მასშტაბით იყენებენ. ათობით მილიონმა ოჯახმა მიიღო სესხები ათასობით მსგავსი დაწესებულებისგან მთელ მსოფლიოში. მიკროკრედიტი ფინანსების „ზემოდან ქვემოთ ჩამოჟღენთვის" მიდგომის საპირისპიროა – მას კაპიტალი შეაქვს ეკონომიკური იერარქიის ძირში. თხის ან მობილური ტელეფონის შესაძენად აღებულმა სესხმა შეიძლება გაცილებით მეტი სიკეთე მოიტანოს (ერთმა დოლარმა მეორე მოიგოს), ვიდრე კაშხლის ასაშენებლად გაცემულმა სესხმა.

მიკროკრედიტი (microcredit)
ძალიან მცირე სესხების მიცემა ინდივიდების, ხშირად ქალების, მცირე ჯგუფისთვის, ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად.

მსოფლიო ბანკმა შეისწავლა შემოსავლების არათანაბარი გადანაწილების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე და დაასკვნა, რომ უთანასწორობა აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, რადგან არ ხდება ადამიანური პოტენციალის გამოყენება. მსოფლიო ბანკი რეკომენდაციას იძლევა, რომ სწრაფი ეკონომიკური ტემპის სტიმულირების მიზნით, სამხრეთის ღარიბი მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ჯანდაცვა, განათლება და სამუშაო ადგილები, ისევე როგორც პოლიტიკური ძალაუფლება.

7.4.7 კორუფცია

კორუფცია მნიშვნელოვანი უარყოფითი ფაქტორია ბევრი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. იგი ფოკუსირებულია ხელისუფლებაზე, როგორც ეკონომიკური განვითარების ცენტრალურ აქტორზე, განსაკუთრებით მის საერთაშორისო ასპექტში. საგარეო პოლიტიკის საშუალებით, მთავრობა განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის ურთიერთობას მსოფლიო ეკონომიკასთან. ის არეგულირებს პირობებს, რომლის მიხედვითაც მრავალეროვნული კორპორაციები ფუნქციონირებენ ქვეყანაში. ის აიძულებს მუშახელს დისციპლინის დაცვას, საჭიროების შემთხვევაში



გაწმინდეთ! კორუფცია ეკონომიკური განვითარების მთავარი შემაფერხებელია როგორც მდიდარ, ისე ღარიბ ქვეყნებში, მაგრამ უფრო გამანადგურებელი შედეგები აქვს გლობალურ სამხრეთში და ყოფილი კომუნისტური, გარდამავალი ეკონომიკებისთვის. ინდოეთში ფართოდ გავრცელებულმა კორუფციამ წლებით უკან დაბია ეკონომიკური განვითარება და თანასწორობა. სურათზე გამოსახულია კორუფციასთან მებრძოლი ცნობილი ინდოელი აქტივისტს, ანნა ჰაზარეს ერთ-ერთი მხარდამჭერი, რომელსაც ხელში უჭირავს კორუმპირებული ჩინოვნიკების შვეიცარული საბანკო სეიფების „გასაღები“, 2012 წ.

მიმართავს რა შეიარაღებულ ძალებს აქციების დასაშლელად ან რევოლუციების ჩასახშობად. ის ადგენს საგადასახადო განაკვეთებს და იყენებს სხვა მაკროეკონომიკურ ბერკეტებს ეკონომიკის გასაკონტროლებლად. ბევრ განვითარებად ქვეყანაში მის ხელშია საკმაოდ დიდი წილი მრეწველობის წამყვან დარგებში – ზოგიერთ შემთხვევაში, მონოპოლიაც კი.

სახელმწიფოს ოფიციალური პირები წყვეტენ, შემოუშვან თუ არა ქვეყანაში მრავალეროვნული კორპორაციები, რომელ კორპორაციას მისცენ წიაღისეულის მოპოვების უფლება და რა პირობები წაუყენონ. ესაა კომპლექსური ხასიათის შეთანხმებები, რომლებიც ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ მიიღება. კორუფცია ბენეფიციართა წრეს უმატებს ახალ მოთამაშეს, კორუმპირებულ თანამდებობის პირს. მაგალითად, უცხოურმა ნავთობკომპანიამ შეიძლება მოისყიდოს თანამდებობის პირი ხელსაყრელი კონტრაქტის მისაღებად და ამით ორივე იხეირებს. 2003 წელს, აშშ-ს ბრალმდებლებმა „ექსონ-მობილ-ოილის“ აღმასრულებელ დირექტორს ბრალი წაუყენეს იმაში, რომ მან ყაზახეთში მდებარე უზარმაზარ ნავთობსაბადოში „ექსონ-მობილისთვის“ მილიარდდოლარიანი წილის გამოყოფისთვის ამ ქვეყნის მაღალი თანამდებობის ორ პირს გადაუხადა 78 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო ამ თანხიდან 2 მილიონი მისთვის უნდა დაებრუნებინათ უკან. საბოლოოდ ის გაამტყუნეს გადასახადების დამალვაში, მიუსაჯეს პატიმრობა და გადასახადების გადახდა 2 მილიონ აშშ დოლარზე.

კორუფცია, რასაკვირველია, მხოლოდ გლობალური სამხრეთით არ შემოიფარგლება, მაგრამ რამდენიმე მიზეზის გამო, ის ღარიბ ქვეყნებზე უფრო დიდ გავლენას ახდენს. პირველი, რადგან აქ უბრალოდ უფრო ნაკლებია ვაჭრობიდან მიღებული ნამატი ეკონომიკური ზრდის ტემპის შესანარჩუნებლად, უფრო მყიფეა კაპიტალის დაგროვებაც. მეორე განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ რამდენიმე ნედლეულის ექსპორტზე დამოკიდებულ განვითარებად ქვეყნებში შემოსავლებს კონკრეტული, ერთგვაროვანი ფორმა აქვს – ესაა მსხვილი გადახდები მყარ ვალუტაში – რაც კორუფციას უფრო ფართო გასაქანს აძლევს, ვიდრე დივერსიფიცირებული ეკონომიკის პირობებში. ეს „რესურსების წყევლის“ მთავარი ელემენტია. გარდა ამისა, განვითარებად ქვეყნებში ანაზღაურება ხშირად ისეთი მცირეა, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკები უფრო ადვილად ცდუნდებიან, აიღონ ქრთამი.

გლობალურ სამხრეთში არსებული კორუფცია წარმოადგენს პრობლემას ჩრდილოეთის სახელმწიფოებისა და მრავალეროვნული კორპორაციებისთვის კოლექტიური სიკეთეების თვალსაზრისით: ეს კორპორა-

ციები და მათი მშობლიურ ქვეყნები ინდივიდუალურად ხეირობენ კერძო პირებზე ქრთამის მიცემით, მაგრამ კოლექტიურად, კორპორაციები და ჩრდილოეთის ქვეყნები ქრთამის გადახდით ფულს კარგავენ. ამდენად, არსებობს კორუფციასთან ბრძოლის მოტივაცია, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ინდუსტრიული ქვეყნებიც იმავეს გააკეთებენ. კოლექტიური სიკეთის პრობლემას წყვეტს გამჭვირვალობა. ბერლინში განთავსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობა“ წარმატებით უწყობს ხელს საერთაშორისო ბიზნესგარიგებებში კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს. ეს ორგანიზაცია აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს, სადაც მოცემულია ქვეყნები, რომლებსაც ბიზნესსრეების წარმომადგენლები ყველაზე კორუმპირებულებად მიიჩნევენ. 2014 წლის სიის პირველ ხუთეულში იყო სომალი, ჩრდილოეთ კორეა, ავღანეთი, სუდანი და სამხრეთ სუდანი. 1997 წელს მსოფლიოს 29 წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფო შეთანხმდა, თავიანთი კომპანიებისთვის უცხოელი სახელმწიფო მოხელეების მოქრთამვა აეკრძალათ. მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა არის დიდი ბრიტანეთის მიერ 2002 წელს დაფუძნებული კოალიცია, სადაც სახელმწიფოები, არასამთავრობი ორგანიზაციები და მრავალეროვნული კორპორაციები შედიან. ის ებრძვის კორუფციას ნავთობის, გაზისა და ნიაღისეულის მოპოვების განსაკუთრებით მოწყვლად სფეროებში მსოფლიოს მასშტაბით, უბიძგებს რა კომპანიებს განვითარებად ქვეყნებში განხორციელებული გადახდების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისკენ.

კარიერა საერთაშორისო ურთიერთობებში: სწავლება და კვლევა

შეჯამება

დასაქმება სწავლებასა და კვლევაში იძლევა თავისუფლებას, რომ მისდიო იდეებს და იმუშაო კოლეგებთან ერთად, თუმცა ის მრავალწლიან მომზადებას საჭიროებს.

სარგებელი და საზღაური ადამიანები საკუთარ ინტერესებს სხვადასხვა გზით იკმაყოფილებენ საერთაშორისო ურთიერთობების სწავლებისა და კვლევის დროს. ალბათ, თქვენს პროფესორს ან ლექტორსაც თავისი, უნიკალური ამბავი აქვს, თუ რატომ დაინტერესდა საერთაშორისო ამბებით.

აკადემიურ კარიერას, იქნება ეს სწავლებაზე ორიენტირებული დაწესებულება თუ დიდი კვლევითი უნივერსიტეტი, აქვს ერთი უპირატესობა – ინტელექტუალური თავისუფლება. შეიძლება კარიერა მიუძღვნა სხვადასხვა საკითხებს, რომლებიც საინტერესო და მუდმივად ცვალებადია, იმოგზაურო უცხო ქვეყნებში საველე სამუშაოებისთვის და დაუკავშირდე ასობით კოლეგას, რომლებსაც მსგავსი საკითხები აინტერესებთ.

კვლევითი სამუშაოების უმრავლესობა (მაგალითად, ანალიტიკურ ცენტრებში) ორი ასპექტითაა გამორჩეული. პირველი, სამუშაო ინდივიდს უფრო მეტად აძლევს მიმართულებას შესასრულებელ კვლევასთან დაკავშირებით. მეორე, მცირედით ან საერთოდ არაა გათვალისწინებული სწავლების კომპონენტი. მიუხედავად ამისა, მათ, ვისაც საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა აინტერესებთ, ასეთი სამუშაოს წყალობით საკუთარი შრომის შედეგები შეუძლიათ გა-

აცნონ უფრო ფართო აუდიტორიას, რომელიც პოლიტიკის შემქმნელებსაც მოიცავს.

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის სწავლება ზედა საფეხურებზე, კვლევა ანალიტიკური ცენტრებისთვის ან სამთავრობო დაწესებულებებისთვის, როგორც წესი, მოითხოვს მაგისტრის ხარისხს და ხშირად დოქტორისას. სამაგისტრო პროგრამები ერთიდან ორ წლამდე ხანგრძლივობისაა, ხოლო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მიღებას საერთაშორისო ურთიერთობებში ზოგადად ხუთი წელი სჭირდება. ხშირად სამაგისტრო საფეხურის შემდეგ სტუდენტები პაუზას იღებენ და საზღვარგარეთ მოგზაურობენ, ან მუშაობენ, რათა საკუთარი ინტერესები გამოკვეთონ. რა თქმა უნდა, ბევრი სტუდენტი არასოდეს აგრძელებს განათლებას, თუკი ისინი ისეთ სამსახურს იპოვიან, რომელიც მათ პირადი და კარიერული მიზნების მიღწევაში დაეხმარება.

და ბოლოს, ზედა საფეხურების აკადემიური ხარისხის მიღება მოითხოვს თვითორგანიზებას. სალექციო მუშაობა მხოლოდ ნაწილია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების – აუცილებელია ნაშრომის მომზადება. ნაშრომის დაწერა მოიცავს საკუთარი დროის დამოუკიდებლად მართვას, თან ამის შეთავსებას სხვა მოვალეობებთან (მაგალითად, სასწავლო ან კვლევით ასისტენტობასთან), რამაც შეიძლება აღვილად გადაგიტვირთოთ გრაფიკი საკუთარი ნაშრომის ხარჯზე. ბევრი, ვინც ასრულებს სალექციო კომპონენტს, აღარ აგრძელებს ნაშრომზე მუშაობას ან ამას ძალიან ბევრ წელს ანდომებს.

საჭირო უნარ-ჩვევები ყველა, ვისაც სურს სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხის მოპოვება, რათა შემდეგ ასწავლოს აკადემიურ გარემოში ან ჩაერთოს გამოყენებით კვლევებში, საჭიროებს უნარ-ჩვევების მნიშვნელოვანი ნაკრების განვითარებას. ყველაზე არსებითია კრიტიკული აზროვნება. მკვლევრებმა საკვლევ კითხვებზე საპასუხოდ უნდა განიხილონ მრავალი ალტერნატივა, თანაც შეეძლოთ ამ ალტერნატივების ვალიდურობისა და მნიშვნელობის შეფასება. მეორეა წერის უნარი. ესაა აკადემიური პერსონალისთვის



Hill Street Studios/Blend Images/Getty Images

ყველაზე მთავარი უნარ-ჩვევა, რომელიც იხვეწება ხარისხის მისაღებად საჭირო ნაშრომის შექმნამდე, შექმნის დროს და შექმნის შემდეგაც. და ბოლოს, გაითვალისწინეთ გამოყენებითი უნარ-ჩვევები, ერთგვარი ინსტრუმენტები, რომლებიც საკითხების ანალიზისას გამოგადგებათ. ამ ინსტრუმენტებს განეკუთვნება უცხო ენები, რაც საზღვარგარეთ საველე კვლევაში დაგეხმარებათ. ასეთივე შეიძლება იყოს სტატისტიკა და მონაცემთა დამუშავების უნარ-ჩვევები რაოდენობრივი ანალიზისთვის, ან მათემატიკა თამაშების თეორიის მოდელირებისთვის. არ აქვს მნიშვნელობა, რომელ სპეციფიკურ უნარ-ჩვევას განივითარებთ, ის დაგეხმარებათ საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემაში, იქნება ეს აკადემიური, კერძო თუ სამთავრობო კვლევითი ორგანიზაციის ფარგლებში.

წყაროები:

American Political Science Association. Earning a PhD in Political Science. 4th ed. Washington, DC, 2004.
The Chronicle of Higher Education (weekly).
http://www.chronicle.com/
http://www.apsanet.org
http://www.apsia.org
http://www.isanet.org

7.5 კაპიტალის მოძრაობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის

დაასახელეთ და შეაფასეთ ორი განსხვავებული სტრატეგია, რომლებიც განვითარებადმა ქვეყნებმა გამოიყენეს ეკონომიკური ზრდის მიღწევის მცდელობისას.

კაპიტალი გლობალური ჩრდილოეთიდან სამხრეთში მიედინება რამდენიმე ფორმით (უცხოური ინვესტიცია, ვალი და უცხოური დახმარება) და პოტენციურად ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ამ თავის დარჩენილ ნაწილში განხილულია კაპიტალის მოძრაობა ჩრდილოეთიდან სამხრეთში.

7.5.1 უცხოური ინვესტიცია

ღარიბ ქვეყნებს მცირე სახსრები გააჩნიათ ახალ ქარხნებში, ფერმებში, მაღაროებსა თუ ნავთობის ჭაბურღილებში ინვესტირებისთვის. უცხოური ინვესტიცია, ანუ ფულის დაბანდება უცხოელების მიერ (უმეტესად მრავალეროვნული კორპორაციების მიერ), არის ერთ-ერთი საშუალება კაპიტალის დაგროვების პროცესის დასაწყებად (იხ. მე-5 თავში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები). უცხოურმა ინვესტიციებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩინეთისა და აზიის სხვა განვითარებადი ქვეყნების წარმატებაში. საერთო ჯამში, გლობალურ სამხრეთში შესულმა კერძო კაპიტალმა 700 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა 2014 წელს – ეს ოთხჯერ აღემატებოდა განვითარებისთვის გამოყოფილი ოფიციალური დახმარების ოდენობას.

უცხოელები, რომლებიც ინვესტირებას ახდენენ ქვეყანაში, ხდებიან იქაური საწარმოო ობიექტების მფლობელები. ინვესტორს, საკუთრების უფლებიდან გამომდინარე, შეუძლია გააკონტროლოს გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანი დასაქმდეს, გაზარდოს წარმოება თუ შეამციროს, რა პროდუქტები აწარმოოს და როგორ გაყიდოს. გარდა ამისა, უცხოელ ინვესტორს შეუძლია მიღებული მოგების გატანა ქვეყნიდან (მოგების რეპატრიაცია). თუმცა, მასპინძელი ქვეყნის მთავრობაც ნახულობს სარგებელს მოსაკრებლებითა და გადასახადებით, მიწის იჯარით ან მოპოვების ლიცენზიის გაცემით (იხ. მე-5 თავი).

წარსული კოლონიური გამოცდილებიდან გამომდინარე, ბევრ მთავრობას გლობალურ სამხრეთში ეშინოდა კონტროლის დაკარგვის, რაც მრავალეროვნული კორპორაციების მიერ მოტანილ უცხოური ინვესტიციებს ახლავს თან. ზოგჯერ ამგვარი კორპორაციების ქვეყანაში შემოსვლა ასოცირდებოდა კაპიტალის ერთეულთა ხელში კონცენტრირების მტკივნეულ პროცესთან და კლასობრივი უთანასწორობის გამწვავებასთან მასპინძელ სახელმწიფოში. ეს შიში კვლავაც არსებობს, მაგრამ მას აბათილებს უცხოელი ინვესტორების მიერ კაპიტალის დაბანდების და

ნამატის შექმნის პერსპექტივა. 1980-1990 წლებისთვის, მას შემდეგ, რაც ავტარკიასა თუ სახელმწიფოს საკუთრებაზე დაფუძნებული მოდელების საბოლოო დისკრედიტაცია მოხდა და ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა მიაღწიეს წარმატებას, ბევრმა ღარიბმა სახელმწიფომ კარი გაუღო უცხოურ ინვესტიციებს. ჯერჯერობით მათგან ყველაზე წარმატებული ჩინეთია.

ერთ-ერთი საშუალება, რომლის გამოყენებითაც ქვეყნებმა სცადეს კონტროლის დაკარგვის თავიდან არიდება, არის ერთობლივი საწარმოები – კომპანიები, რომლებსაც ნაწილობრივ უცხოური კორპორაციები და ნაწილობრივ ადგილობრივი ფირმები ან სულაც მასპინძელი ქვეყნის მთავრობა ფლობენ. ხანდახან უცხოელების მონაწილეობა ერთობლივ საწარმოში იზღუდება პროცენტულად (ხშირად 49%-ით), იმის უზრუნველსაყოფად, რომ საკონტროლო პაკეტი მასპინძელი ქვეყნის ხელში იყოს. როგორც წესი, წილის პროცენტი დაბანდებული კაპიტალის ოდენობის პირდაპირპროპორციულია. თუ მასპინძელ ქვეყანას მეტი კონტროლი უნდა, მაშინ მან მეტი ფული უნდა ჩადოს. ერთობლივი საწარმოები ხელსაყრელია მრავალეროვნული კორპორაციებისთვის, რადგან ეს ზრდის მასპინძელი ხელისუფლების მხარდაჭერას ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებასა და წარმატების გარანტირებაში (მასპინძელი ხელისუფლება პირდაპირაა დაინტერესებული შედეგით).

მრავალეროვნული კორპორაციები ქვეყანაში ინვესტირებას ახდენენ იქ ბიზნესის კეთებისთვის გარკვეული უპირატესობების არსებობის გამო. ზოგ შემთხვევაში, ესაა ბუნებრივი რესურსები, ზოგჯერ – იაფი მუშახელი, ხოლო ზოგჯერ გეოგრაფიული მდებარეობაც ფაქტორია. ზოგ სახელმწიფოს განვითარებული ინფრასტრუქტურისა და კვალიფიციური მუშახელის წყალობით აქვს სხვებზე მეტი *აბსორბციის უნარი* (ანუ ინვესტიციის პროდუქტიულად ათვისების უნარი). ხშირ შემთხვევაში ესაა საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნები. ამდენად, ინვესტიციების მიმართვა აბსორბციის მეტი უნარის მქონე ქვეყნებისკენ აძლიერებს დისპროპორციას გლობალური სამხრეთის შიგნით. კორპორაციები ასევე ეძებენ ხელსაყრელ *მარეგულირებელ გარემოს*, რომელშიც მასპინძელი ქვეყანა ხელს კი არ შეუშლის, არამედ შეუწყობს მის ბიზნესს.

მრავალეროვნული კორპორაციების გადაწყვეტილება უცხოეთში ინვესტირებაზე ასევე დამოკიდებულია *ფინანსური სტაბილურობის* პერსპექტივაზე, განსაკუთრებით ეს ეხება ინფლაციის დაბალ დონეს და სტაბილურ სავალუტო გაცვლით კურსს. თუ ვალუტა არ არის კონვერტირებადი, მაშინ კორპორაცია ვერ შეძლებს მოგების სამშობლოში გატანას ან ინვესტიციის ჩადებას სხვაგან. ინვესტიციის მოსაზიდად იმავენაირად მნიშვნელოვანია *პოლიტიკური სტაბილურობა*. ბანკები და კორპორაციები ატარებენ *პოლიტიკური რისკების ანალიზს*, რათა შეფასდეს პოლიტიკური არეულობის შესაძლებლობა იმ განვითარებად ქვეყნებში, რომლებშიც მათ ინვესტიციები შეიძლება ჩადონ.

ფინანსური ანალიზის გარდა, უცხოელი ინვესტორი, რომელიც პროდუქციას ადგილობრივი ბაზრისთვის აწარმოებს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მასპინძელი ქვეყნის *ეკონომიკური ზრდა* შესაძლებელს გახდის მის მიერ წარმოებულ საქონელზე მოთხოვნის შენარჩუნებას. ანალოგიურად, იმისგან დამოუკიდებლად, ადგილობრივი მოხმარებისთვის აწარმოებს თუ ექსპორტისთვის, კორპორაციას სჭირდება, რომ ადგილობრივი *შრომის ბაზარი* (იქნება ეს ნახევრადკვალიფიციური თუ უბრალოდ იაფი მუშახელი) იყოს სტაბილური. უცხოელი ინვესტორები ხშირად ეყრდნობიან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, მაგალითად, მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ასევე კერძო ანალიზებს, რათა შეაფასონ ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა მანამ, სანამ იქ ინვესტირებას მოახდენენ.

ტექნოლოგიების ტრანსფერი ეწოდება ღარიბი ქვეყნის მიერ ტექნოლოგიის ათვისებას (ცოდნა, უნარ-ჩვევები, მეთოდები, სქემები და სპეციალური მოწყობილობები) უცხოური წყაროებისგან, ჩვეულებრივ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციასთან ან მსგავს ბიზნესოპერაციასთან ერთად. განვითარებადმა ქვეყანამ შეიძლება საშუალება მისცეს მრავალეროვნულ კორპორაციას, ქვეყანაში აწარმოოს გარკვეული საქონელი მისთვის ხელსაყრელ პირობებში, იმ დათქმით, რომ კორპორაცია გაუზიარებს მას პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიასა და სქემებს. ქვეყანა შეიძლება შეეცადოს, უცხოური ინვესტიციით შექმნილი ქარხნებისა თუ ობიექტების მართვასა და პროფესიულ სამუშაო ძალაში ჩართოს თავისი მოქალაქეები. ქვეყანაში შეიძლება დაგროვდეს არა მხოლოდ მატერიალური კაპიტალი, არამედ მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური ცოდნაც, როგორც საფუძველი შემდგომი განვითარებისთვის. რა თქმა უნდა, მრავალეროვნულ კორპორაციებს დიდად არ სურთ დაპატენტებული ტექნოლოგიების გაზიარება.

ტექნოლოგიების ტრანსფერი (technology transfer)
მესამე სამყაროს ქვეყნების მიერ ტექნოლოგიის ათვისება (ცოდნა, უნარ-ჩვევები, მეთოდები, სქემები, სპეციალური მოწყობილობები და ა.შ) უცხოური წყაროებისგან, ხშირად პირდაპირ უცხოურ ინვესტიციასთან ან მსგავს ბიზნესოპერაციასთან ერთად.

ღარიბი ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს, შექმნას განათლებული ელიტა, რომელსაც ექნება ცოდნა და უნარ-ჩვევები ეროვნული ეკონომიკის სამართავად. ამის ერთ-ერთი საშუალებაა სტუდენტების გაგზავნა ინდუსტრიულ ქვეყნებში უმაღლესი განათლების მისაღებად. თუმცა, ეს რისკიანი გადაწყვეტილებაა. შეიძლება სტუდენტებს მოეწონოთ ჩრდილოეთში ცხოვრება და სამშობლოში აღარ დაბრუნდნენ. მდიდარ ქვეყნებში კვალიფიციური მუშახელის დაკარგვის პრობლემას ეწოდება **ტვინების გადინება**. ის ხელს უშლის ისეთი ქვეყნების განვითარებას, როგორებიცაა ინდოეთი, პაკისტანი და ფილიპინები (სადაც 2000-2004 წლებში უფრო მეტმა ექთანმა დატოვა ქვეყანა, ვიდრე დაამთავრა საექთნო სკოლა).

ტვინების გადინება (brain drain)
ღარიბი ქვეყნების კვალიფიკაციური მუშახელის გადინება მდიდარ ქვეყნებში.

7.5.2 სამხრეთის ვალი ჩრდილოეთის მიმართ

ფულის სესხება უცხოური ინვესტიციის ალტერნატივაა ეკონომიკური დაგროვების ციკლისთვის ბიძგის მისაცემი სახსრების მოსაპოვებლად.

თუ დაგროვების პროცესი წარმატებული იქნება, ის საკმარის ნამატს მოიტანს ვალის დასაფარად და თან მოგების მისაღებადაც. ფულის სესხებას რამდენიმე უპირატესობა აქვს. ის კონტროლის სადავეებს სახელმწიფოს (ან სხვა ადგილობრივი კერძო მსესხებლის) ხელში ტოვებს და ადგილობრივ მოსახლეობას მტკივნეული მსხვერპლის გაღება აღარ უწევს, სულ მცირე, მოკლევადიან პერსპექტივაში მაინც.

ვალს უარყოფითი მხარეებიც აქვს. მსესხებელი ვალდებულია, მოემსახუროს ვალს – რეგულარულად დაფაროს პროცენტი და ძირი თანხა სესხის პირობების მიხედვით. *საგარეო ვალის მომსახურება* ინვესტიციით წარმოშობილი ნამატის მუდმივ გადინებას გულისხმობს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დროს, ზარალიანი ბიზნესი უცხოური კორპორაციის პრობლემაა. უცხოური ვალის დროს კი ეს სესხის ამღები ქვეყნის პრობლემა ხდება, რომელსაც ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს ამ ფულის შოვნა, თუნდაც სხვაგან. ხშირად, მოვალე იძულებულია, ახალი ვალი აიღოს ძველი სესხების გადასაფარად, რითაც უფრო მეტად ეფლობა ვალებში. საგარეო ვალის მომსახურებამ ბოლო წლებში მძლავრი ფინანსური ნაკადები წარმოშვა სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, რადგან სამხრეთმა მილიარდობით დამატებითი თანხა გადაუხადა პროცენტის სახით ჩრდილოეთის ბანკებსა და მთავრობებს, ვიდრე უცხოური ინვესტიციისა და განვითარების დახმარების სახით მიიღო.

დეფოლტი (default)
ვალის ვერ გადახდა დადგენილ ვადებში.

ვალის გადახედვა (debt renegotiation)
ვალის გადახდის პირობების ხელახლა შემუშავება. ხშირად ამაზე აწარმოებენ მოლაპარაკებებს მესამე სამყაროს მოვალე მთავრობები დეფოლტის თავიდან ასაცილებლად.

გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების არშესრულება, რომელსაც **დეფოლტი** ეწოდება, რადიკალურ ქმედებად მიიჩნევა, რადგან ის ანადგურებს მსესხებლის მიმართ ნდობას, რაც სამომავლოდ სესხების მიღების შესაძლებლობას ამცირებს. დაკისრებული ვალდებულების არშესრულების ნაცვლად, მსესხებლები ცდილობენ მიაღწიონ **ვალის გადახედვას** – გადახდის პირობების თავიდან გაწერას, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს სესხის გადაფარვა. კრედიტორებთან პირობებზე მოლაპარაკების საშუალებით, მსესხებლები ცდილობენ, შეიმუშაონ ორივე მხარისთვის მისაღები გადახდის სქემა, რომლის მიხედვითაც გაგრძელდება გარკვეული ოდენობის თანხის გადახდა კრედიტორისთვის. თუ საპროცენტო განაკვეთი შემცირდა სესხის აღების დროს არსებულთან მიმართებაში, მსესხებელს შეუძლია მოახდინოს რეფინანსირება. მსესხებელსა და კრედიტორს ასევე შეუძლიათ ვალის რესტრუქტურიზაცია, სესხის ხანგრძლივობის ვადის შეცვლით (ჩვეულებრივ, გადასახდელი პერიოდის გაზრდით) ან სხვა პირობებზე შეთანხმებით. დრო და დრო ხდება სახელმწიფოთაშორის გაცემული სესხების მთლიანად ჩამოწერაც, ანუ პატიება, პოლიტიკური მიზნებისთვის, მაგალითად, როგორც ეს გააკეთა აშშ-მა ეგვიპტის ვალებთან მიმართებაში სპარსეთის ყურის ომის დროს.

სამხრეთის საგარეო ვალები ჩრდილოეთის მიმართ რამდენიმე ტიპის სასესხო ურთიერთობას მოიცავს და ყველა მათგანზე საერთაშორისო პოლიტიკა ახდენს გავლენას. მსესხებელი შეიძლება იყოს განვითარებადი ქვეყნის კერძო ფირმა ან ბანკი ან თავად მთავრობა. მთავრო-

ბისთვის გაცემული სესხები უფრო ხშირია, რადგან კრედიტორების აზრით, უფრო ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მთავრობამ თავი აარიდოს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, ვიდრე კერძო მსესხებელმა. კრედიტორი შეიძლება იყოს კერძო ბანკი თუ კომპანია ან კიდევ სახელმწიფო. ჩვეულებრივ, ბანკები უფრო დაჟინებით მოითხოვენ გადასახადების დროულ გადახდას და უფრო შეუვალნი არიან სესხის პირობების გადახედვის დროს, ვიდრე სახელმწიფოები. ზოგი სახელმწიფოთაშორისი სესხი განგებ გაიცემა *შეღავათიანი პირობებით* და ამით კრედიტორი მსესხებელი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების ახალისებს.

ვალის გადახედვის მოთხოვნა მუდმივი საქმიანობა გახდა გლობალური სამხრეთისთვის. ფაქტობრივად, ეს პროცესი კომპლექსურ საერთაშორისო მოლაპარაკებებად იქცევა ხოლმე. კრედიტორებისთვის ვალის გადახედვას თან ახლავს საზოგადოებრივი საქონლის პრობლემა: მხარეები უნდა შეთანხმდნენ ყველასათვის მისაღებ პირობებზე, თუმცა, რეალურად, თითოეულ მათგანს მხოლოდ თავისი ფულის უკან დაბრუნება აღელვებს. ამ პრობლემის გადასაჭრელად და პირობების შესათანხმებლად სახელმწიფო კრედიტორები პერიოდულად იკრიბებიან *პარიზის კლუბის* ფარგლებში, ხოლო კერძო კრედიტორები – *ლონდონის კლუბის* ფარგლებში.

ასეთი მოლაპარაკებების და შესაბამისად, ბანკების მიერ ვალების კორექტირების საშუალებით, განვითარებადმა ქვეყნებმა მეტწილად მოახერხეს დეფოლტის თავიდან აცილება. თუმცა, 2001 წელს არგენტინამ დეფოლტი გამოაცხადა. იმ დროისთვის ფინანსური ინსტიტუტები ფსიქოლოგიურად უკვე შეგუებული იყვნენ რეალობას, რომ არგენტინას არ შეეძლო ვალის გადახდა. შემდეგ არგენტინა ფეხზე დადგა – 2001 წლიდან მისი ეკონომიკა ყოველწლიურად 9 პროცენტით იზრდებოდა. 2005 წელს მან ახალი პირობები შესთავაზა კრედიტორებს, რომლის მიხედვითაც ყოველ ნასესხებ დოლარზე 30 ცენტით ნაკლებს გადაიხდიდა. უმეტესობა შეთავაზებას დათანხმდა.[5]

გასულ ათწლეულში, მსგავსმა საკრედიტო პრობლემებმა გადაინაცვლა გლობალურ ჩრდილოეთში, როცა ევროზონა შეეჭიდა მისი ზოგიერთი, შედარებით უფრო ღარიბი წევრი ქვეყნის დავალიანების პრობლემას – განსაკუთრებით ეს ეხებოდა საბერძნეთს, მაგრამ ასევე პორტუგალიას, ესპანეთსა და ირლანდიას. 2011 წლის ფინანსური დახმარების შეთანხმებით, საბერძნეთის კრედიტორი ბანკები იძულებული გახდნენ, რომ ყოველ გაცემულ დოლარზე 50 ცენტის მიღებით დაკმაყოფილებულიყვნენ. მიუხედავად ამისა, ბერძენი ამომრჩევლები მაინც აპროტესტებდნენ იყო იმ საბიუჯეტო შემცირებებს, რაც საჭირო იყო ფინანსური დახმარებით დადგენილი პირობების დასაკმაყოფილებლად. 2014 წელს,

5 არგენტინამ 2014 და 2020 წლებში ისევ გამოაცხადა დეფოლტი. არგენტინას სულ ცხრა დეფოლტი ჰქონდა 1816 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე. *რედ. შენ.*

ფინანსური დახმარების მოთხოვნებით უკმაყოფილო ბერძნებმა აირჩიეს ახალი პარტია, რომელსაც ახალი, ნაკლები ნინაპირობების მქონე შეთანხმებისთვის უნდა მიეღწია.

მიუხედავად იმისა, რომ ვითარება უფრო სტაბილური გახდა, განვითარებადმა ქვეყნებმა ჯერაც ვერ გადაჭრეს საგარეო ვალების პრობლემა. როგორც 7.3 ცხრილშია ნაჩვენები, სამხრეთს 6 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი საგარეო ვალი აქვს და დაახლოებით 2 ტრილიონ აშშ დოლარს იხდის წელიწადში ამ ვალის მომსახურებისთვის. ვალის მომსახურება (მყარ ვალუტაში) მთანთქავს ლათინური ამერიკის ექსპორტიდან მიღებული მთლიანი მყარი ვალუტის მესამედზე მეტს. მთელი გლობალური სამხრეთისთვის იგივე მაჩვენებელი ექსპორტის 35 პროცენტზე მეტია.

უკანასკნელი წლებია აქტივისტები და არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვენ საგარეო ვალის საყოველთაო პატიებას უღარიბესი ქვეყნებისთვის, რომელთა უმეტესობა აფრიკაშია. კრიტიკოსების აზრით, ამგვარი რამ უფრო მეტ ფულს დაუტოვებს კორუმპირებულ და არაფრის მაქნის მთავრობებს. თუმცა, დიდი შვიდეულის წევრები 2005 წლის დასაწყისში შეთანხმდნენ, რომ ჩამოწერდნენ 37 ძალიან ღარიბი ქვეყნის ყველა დავალიანებას მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ. ეს უღარიბესი ქვეყნების დაახლოებით 200 მილიარდი დოლარის მოცულობის ვალის თითქმის ნახევარს უდრიდა. პირველი 40 მილიარდი აშშ დოლარის დავალიანება 18 ქვეყანას ჩამოეწერა 2006 წელს. 2017 წლისთვის, საერთაშორისო სავალუტო ფონდს ჩამოწერილი ჰქონდა 76 მილიარდიანი საგარეო ვალი, რომელიც 36 უღარიბეს სახელმწიფოს მართებდა.

ცხრილი 7.3. გლობალური სამხრეთის ვალი, 2017 წ.

	საგარეო ვალი		სესხის წლიური მომსახურება	
რეგიონი	მლრდ $	მშპ-ს %*	მლრდ $	მშპ-ს %
ლათინური ამერიკა	2 000	41	510	51
აზია	2 900	18	1 500	43
აფრიკა	480	34	90	30
ახლო აღმოსავლეთი	1 000	39	300	29
სამხრეთი მთლიანად	6 380	33	2 400	38

* მშპ არაა დათვლილი მსყიდველობის უნარიანობის პარტიტეტით.

წყარო: IMF, World Economic Outlook Database, October 2017 დაყრდნობით.

7.5.3 საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პირობები

საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს კაპიტალის დიდი მარაგები თავიანთი წევრი სახელმწიფოებისგან აქვთ (იხ. მე-5

თავი). ეს კაპიტალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის დაგროვების საწყისი ეტაპის დაფინანსებაში. ის ასევე ეხმარება მათ კრიზისების ურთულესი მოკლევადიანი პერიოდების დაძლევაში. სავალუტო ფონდს, რომელიც უფრო პოლიტიკური გაერთიანებაა, ვიდრე ბანკი, შეუძლია თანხების გამოყოფა შეღავათიანი პირობებით.

ფონდი გულდასმით სწავლობს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ გეგმებსა და პოლიტიკას და არ გასცემს სესხს მანამ, სანამ სწორი პოლიტიკის განხორციელებაში არ დარწმუნდება. ამის შემდეგ ის იძლევა მიზნობრივ სესხებს ქვეყნების დასახმარებლად, რათა მათ ფონდის მიერ მოწონებული ეკონომიკური პოლიტიკა გაატარონ ცხოვრებაში. ის ასევე მნიშვნელოვან სიგნალებს უგზავნის კერძო კრედიტორებსა და ინვესტორებს. მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური გეგმის აღიარება არის დასტური, რომელსაც ბანკირები და მრავალეროვნული კორპორაციები იყენებენ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად გონივრულია ამ კონკრეტულ ქვეყანაში ინვესტირება. ამგვარად, ფონდს დიდი ძალა აქვს, გავლენა მოახდინოს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

შეთანხმებას, როდესაც ფონდი სესხს გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა კონკრეტულ ეკონომიკურ პოლიტიკას გაატარებს, ეწოდება **საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირობები.** ამ პირობების განხორციელებას უწოდებენ *სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამას.* ბევრი განვითარებადი ქვეყანა დათანხმდა მსგავს შეთანხმებებს უკანასკნელ ათწლეულებში. ეს პირობები, როგორც წესი, მტკივნეულია მოქალაქეებისთვის (და აქედან გამომდინარე, ქვეყნის პოლიტიკოსებისთვის). სავალუტო ფონდი მოითხოვს, რომ გააკონტროლონ ინფლაცია, რაც გულისხმობს სახელმწიფო ხარჯების შემცირებას და ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრას. ეს ხშირად ზრდის უმუშევრობას და ამცირებს ან სულაც აუქმებს სუბსიდიებს სურსათსა და პირველადი მოხმარების საქონელზე. მოკლევადიანი მოხმარება მცირდება გრძელვადიანი ინვესტირების სასარგებლოდ. ნამატი უნდა გამოიყენონ დაგროვებული საგარეო ვალის მომსახურებისთვის და ახალი კაპიტალის დასაგროვებლად. საერთაშორისო სავალუტო ფონდს სურს, უზრუნველყოს, რომ ინფლაციამ არ შეჭამოს მიღწეული პროგრესი და რომ ეკონომიკა იყოს საკმარისად სტაბილური ინვესტიციების მოსაზიდად. გარდა ამისა, ის მოითხოვს ნაბიჯების გადადგმას კორუფციის აღმოსაფხვრელად.

ვინაიდან მტკივნეულია მსგავსი პირობების თაობაზე, ისევე როგორც, რაღაც დოზით, ვალის გადახედვაზე შეთანხმებები, ისინი ხშირად პოლიტიკურად არაპოპულარულია გლობალურ სამხრეთში. რამდენიმე შემთხვევაში სავალუტო ფონდის პირობებზე შეთანხმებამ გამოიწვია ქუჩის არეულობა, როდესაც ხალხი მოითხოვდა სუბსიდიების აღდგენას სურსათზე, საწვავზე და სხვა ძირითად საქონელზე. ამგვარი ზეწოლის გამო, ზოგჯერ მთავრობებს უარიც კი უთქვამთ შეთანხმებაზე ან მიცემული პი-

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირობები (IMF Conditionality)
შეთანხმება, რომლის მიხედვითაც სესხები გაიცემა მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში. მესამე სამყაროს ბევრი ქვეყანა დაეთანხმა ამგვარ შეთანხმებებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

რობა დაურღვევიათ. იშვიათ შემთხვევაში, ამას მთავრობის დამხობაც მოჰყოლია.

რასაკვირველია, ფონდის მსგავსი მოთხოვნები პოპულარული არ ყოფილა არც განვითარებულ ქვეყნებში, როდესაც მათ დასჭირდათ დახმარება 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს. ფონდისგან 6 მილიარდდოლარიანი ფინანსური დახმარების პაკეტის მიღების შემდეგ, ისლანდია იძულებული გახდა, ძირეული რეფორმები გაეტარებინა საბანკო სექტორში. საბერძნეთი, რომელმაც ფონდისგან 133 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი მიიღო, დათანხმდა, რომ გააუქმებდა რამდენიმე ანაზღაურებად დასვენების დღეს და საჯარო მოხელეთა ხელფასებს შეამცირებდა 3 პროცენტით.

7.5.4 სამხრეთი საერთაშორისო ეკონომიკურ რეჟიმებში

კაპიტალისა და საერთაშორისო ვაჭრობიდან მისაღები სიმდიდრის საჭიროების გამო, გლობალური სამხრეთის ქვეყნების უმრავლესობა თავის მომავალ ეკონომიკურ განვითარებას უფრო მსოფლიო ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირში ხედავს და არა ეროვნულ ავტარკიასა თუ რეგიონულ ეკონომიკურ საზოგადოებებში. ამისათვის, ღარიბმმა ქვეყნებმა უნდა ითამაშონ იმ წესებით, რომლებიც ჩადებულია საერთაშორისო ეკონომიკურ რეჟიმებში (იხ. მე-5 თავი).



ილუსტრაცია პურის საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირობებთან დაკავშირებული შეთანხმებები ხშირად ითვალისწინებს სუბსიდიების შემცირებას საკვებზე, ტრანსპორტზე და პირველადი მოხმარების სხვა საქონელზე. ბოლივიაში მთავრობა ახდენდა იმპორტირებული ფქვილის სუბსიდირებას, რათა შეემცირებინა ფასები პურზე. როდესაც ეს სუბსიდირება დასრულდა 2015 წელს, პურის მწარმოებლები გაიფიცნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით, რამაც ქვეყანა თითქმის პურის გარეშე დატოვა. მთავრობამ სამხედროებს დაავალა პურის ცხობა, რათა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა. სურათზე, სამხედროებს ყაზარმებიდან პური მიაქვთ მაღაზიებში.

თუმცა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რეჟიმი ზოგჯერ ღარიბი ქვეყნების წინააღმდეგ მოქმედებს და კარგადაა მორგებული ინდუსტრიულ ქვეყნებზე. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ღარიბ ქვეყნების ურთულებს ახალბედა წარმოებების დაცვას, რაც საჭიროა, რომ მათ დაიწყონ თვითკმარი კაპიტალის დაგროვების პროცესი. რეჟიმი მათ ტექნოლოგიურად დაწინაურებულ ქვეყნებთან კონკურენციას აიძულებს. ღარიბ ქვეყანას კონკურენტული შეუძლია იყოს მხოლოდ იაფი მუშახელის და მცირე კაპიტალის სფეროებში – განსაკუთრებით მათ, ვისაც აქვს ის ბუნებრივ რესურსები, რაც მწირია გლობალურ ჩრდილოეთში. ასეთია, მაგალითად, ტროპიკული სოფლის მეურნეობა, მოპოვებითი (სამთო და საბურღი) და საფეიქრო მრეწველობის დარგები.

მიუხედავად ამისა, ეს ეკონომიკური სექტორები (სოფლის მეურნეობა და საფეიქრო მრეწველობა), რომლებშიც ღარიბ ქვეყნებს შედარებითი უპირატესობა აქვთ მსოფლიო ბაზრებზე, ათწლეულების განმავლობაში ამოღებული იყო თავისუფალი ვაჭრობის წესებიდან. პირიქით, საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები თავისუფალი ვაჭრობის პირობებით წარიმართებოდა ნაწარმ პროდუქტებზე, რაშიც შედარებითი უპირატესობა ჩრდილოეთის ქვეყნებს აქვთ. შედეგად,

განვითარებად ქვეყნებს უწევდათ, თავიანთი შიდა ბაზრები გაეხსნათ უცხოური პროდუქტებისთვის, რომლებსაც შიდა წარმოება კონკურენციას ვერ უწევდა, ხოლო თავიანთი საექსპორტო პროდუქტებისთვის უცხოურ ბაზრები დახურული რჩებოდა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარე ამჟამინდელი მოლაპარაკებები სწორედ ამ უთანასწორობის აღმოფხვრას ცდილობს, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მისამართით სხვა სახის კრიტიკა უკავშირდება სავაჭრო დავების გადაჭრის სისტემას, სადაც ქვეყნებს უსამართლო სავაჭრო პრაქტიკების წინააღმდეგ საჩივრების შეტანა შეუძლიათ. ასეთი სამართლებრივი დავების გარჩევა შეიძლება მილიონობით დოლარი დაჯდეს. ეს პროცესი მოითხოვს ძვირადღირებული ადვოკატების მომსახურებას და ჟენევაში, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შტაბ-ბინაში ბევრი თანამშრომლის ყოლას. სამხრეთის ცოტა ქვეყანას თუ შეუძლია ასეთი სამართლებრივი დავის წამოწყება, შესაბამისად, ცოტა თუ იყენებს მას საკუთარი წარმოების დასახმარებლად უსამართლო ბარიერების დაძლევაში. ცნობისთვის, სახელმწიფომ რომც მოიგოს დავა, ის მხოლოდ მოიპოვებს უფლებას, დააწესოს შესაბამისი ოდენობის ტარიფები დამრღვევი ქვეყნის საქონელზე. ამგვარმა სამაგიეროს მიზღვამ კი შეიძლება ისევ პატარა სახელმწიფოს ეკონომიკა დააზარალოს.

ამ უთანასწორობის კომპენსაციისთვის და იმისთვის, რომ ღარიბმა ქვეყნებმა ვაჭრობა ეკონომიკური განვითარებისთვის გამოიყენონ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას აქვს „პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა“ (GSP) (იხ. მე-5 თავი). ეს და სხვა მექანიზმები, როგორებიცაა ლომესა და კოტოუნის კონვენციები, სადაც ევროკავშირის სახელმწიფოებმა შეარბილეს შეზღუდვები სამხრეთის საქონელზე, წარმოადგენს ვაჭრობის დადგენილი წესებიდან გამონაკლისებს და მათი მიზანია, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა ხელს უწყობდეს და არა ხელს უშლიდეს განვითარებას. ამისდა მიუხედავად, კრიტიკოსების აზრით, განვითარებადი ქვეყნები მსოფლიო სავაჭრო რეჟიმში ზოგადად უფრო წაგებულები გამოდიან.

სამხრეთის ქვეყნები განაგრძობენ ახალ-ახალი წინადადების წამოყენებას საერთაშორისო ვაჭრობის გარდასაქმნელად, რათა ის უფრო მომგებიანი გახდეს სამხრეთისთვის. ეს მცდელობები დღეისთვის ძირითადად თავს იყრის *გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის* (UNCTAD) ფარგლებში, რომელიც პერიოდულად კი იკრიბება, მაგრამ არ აქვს საკმარისი უფლებამოსილება ჩრდილოეთ-სამხრეთის ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესატანად. სამხრეთ-სამხრეთის ვაჭრობის ხელშეწყობის (და ამით ჩრდილოეთზე დამოკიდებულების შემცირების) ყველა მცდელობა ძირითადად მარცხით დასრულდა. ჩინეთი ზოგჯერ იყენებს სამხრეთული სოლიდარობის არგუმენტს ახალი მეგობრების მოსახიბლად აფრიკაში. ასევე გრძელდება სხვადასხვა მცდელობები, მაგალითად მიუმხრობლობის მოძრაობის და

გაეროს მხრიდან, რათა გაიზარდოს თანამშრომლობა და სოლიდარობა გლობალური სამხრეთის შიგნით. თუმცა, ამგვარ მცდელობებს დიდად არ შეუცვლია სამხრეთის დამოკიდებულება ჩრდილოეთზე.

7.6 უცხოური დახმარება

აღწერეთ სამი მიზეზი, რატომ შეიძლება ქვეყნები დაეხმარონ გლობალური სამხრეთის სახელმწიფოებს.

განვითარების ხელშეწყობის კომიტეტი (Development Assistance Committee, DAC)

კომიტეტი, რომლის წევრები - დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოები - უზრუნველყოფენ გლობალური სამხრეთის ქვეყნებისთვის გათვალისწინებული ოფიციალური განვითარების დახმარების 95 პროცენტს.

უცხოური დახმარება არის ფული ან სხვა სახის დახმარება, რომელიც გადაეცემა მესამე სამყაროს ქვეყნებს იმისთვის, რომ მათ დააჩქარონ ეკონომიკური განვითარება ან დაიკმაყოფილონ ჰუმანიტარული საჭიროებები. სხვადასხვა სახის განვითარების დახმარებას სხვადასხვა მიზანი აქვს. ისინი ხშირად ერთმანეთს გადაფარავს კიდეც. ზოგი ჰუმანიტარული ხასიათისაა, ზოგი პოლიტიკური, სხვები კი არის მცდელობა, რომ სამომავლო ეკონომიკური უპირატესობები შეუქმნას დახმარების გამცემ ქვეყანას. სახელმწიფოს ან ორგანიზაციას, რომელიც დახმარებას სწევს, *დონორი* ეწოდება, ხოლო ქვეყანას, რომელსაც დახმარებას უწევენ, *მიმღები*. უცხოური დახმარება აყალიბებს ან აფართოებს დონორსა და მიმღებს შორის ურთიერთობებს, რომელიც ერთდროულად პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ხასიათისაა. უცხოური დახმარება შეიძლება ძალის ერთგვარი ფორმა იყოს, რომლითაც დონორი ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს მიმღებ ქვეყანაზე. მას შეიძლება ურთიერთდამოკიდებულების ფორმა ჰქონდეს, რა დროსაც დონორი და მიმღები ორმხრივად სასარგებლოდ თანამშრომლობენ. ამ თავის დარჩენილ ნაწილში გაანალიზებულია უცხოური დახმარების მოდელები და ტიპები, მასთან დაკავშირებული პოლიტიკა და დახმარების პოტენციური შედეგები.

უცხოური დახმარება (foreign assistance)

ფული ან სხვა სახის დახმარება, რომელიც გადაეცემა მესამე სამყაროს ქვეყნებს იმისთვის, რომ მათ დააჩქარონ ეკონომიკური განვითარება ან დაიკმაყოფილონ ჰუმანიტარული საჭიროებები. უცხოური დამხარების უმეტესობა მოდის მთავრობებზე და ეწოდება ოფიციალური განვითარების დახმარება (official development assistance, ODA).

ორმხრივი დახმარება (bilateral aid)

სამთავრობო დახმარება, რომელიც პირდაპირ მიემართება მესამე სამყაროს მთავრობებისკენ, სახელმწიფოთაშორისი დახმარების სახით.

მრავალმხრივი დახმარება (multilateral aid)

მთავრობისთვის განკუთვნილი დახმარება რამდენიმე ქვეყნისაგან, რომელიც მასთან მესამე მხარის, მაგალითად, გაერო ან სხვა ორგანიზაციის საშუალებით ხვდება.

7.6.1 უცხოური დახმარების მოდელები


უცხოური დახმარების დიდი წილი მოდის ჩრდილოეთის ქვეყნების მთავრობებისგან. 2016 წელს უცხოური მთავრობების მიერ გაცემული 160 მილიარდი აშშ დოლარის დახმარებიდან, თითქმის 90 პროცენტი მოვიდა **განვითარების ხელშეწყობის კომიტეტის** წევრებზე, რომელშიც შედის დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკისა და აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოები. რამდენიმე ნავთობ-ექსპორტიორი არაბული ქვეყანა ასევე გასცემს განვითარების დახმარებას. 2003 წლიდან გარდამავალი ეკონომიკების მქონე სახელმწიფოებიც გახდნენ ფინანსური დახმარების „ექსპორტიორები“. კომიტეტის წევრი ქვეყნების დახმარების სამი-მეოთხედი პირდაპირ მიემართება სამხრეთის მთავრობებისკენ, როგორც სახელმწიფოთაშორისი **ორმხრივი დახმარება.** დანარჩენი კი იგზავნება გაეროსა და სხვა საერთაშორისო სააგენტოების გავლით, როგორც **მრავალმხრივი დახმარება.**

კომიტეტის წევრმა ქვეყნებმა მიზნად დაისახეს, რომ უცხოური დახმარებისთვის გაეღოთ თავ-თავიანთი მთლიანი ეროვნული პროდუქტის (GNP) 0.7 პროცენტი. თუმცა დღეისთვის ისინი მთლიანობაში გასცემენ ამ მოცულობის ნახევარზე ნაკლებს. დასახულ მიზანთან მხოლოდ ნორვეგია, ლუქსემბურგი, შვედეთი, დანია და გაერთიანებული სამეფო მივიდნენ. სინამდვილეში, დახმარების ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შემცირდა 1960-იანი წლების ბოლოს და 1990-იან წლებში, როგორც ეს ნაჩვენებია გრაფიკზე 7.12. ეს მაჩვენებელი დაუბრუნდა ზრდას 2000-იან წლებში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ბოლო ხანების ანტიგლობალისტურ სენტიმენტებს, ეს ზრდაც შეიძლება გაბათილდეს.

ამერიკის შეერთებული შტატები დახმარების სახით გასცემს საკუთარი მთლიანი ეროვნული პროდუქტის ყველაზე დაბალ პროცენტს (0.2%-ს) დასავლეთის იმ 30 ინდუსტრიული ქვეყნიდან, რომლებიც ქმნიან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას (OECD). თუმცა, მთლიანობაში გაცემული თანხის მიხედვით აშშ-ს შენატანი ყველაზე დიდია. მთლიანი ეკონომიკური დახმარების მიხედვით (34 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი 2016 წელს) აშშ-ს გასცემს გერმანიაზე (25 მილიარდი) და დიდ ბრიტანეთზე მეტს (18 მილიარდი). იაპონიამ და საფრანგეთმა იმავე ხანებში გასცეს დაახლოებით 10-10 მილიარდი აშშ დოლარი.

გრაფიკი 7.12 უცხოური დახმარება როგორც დონორი ქვეყნების შემოსავლების წილი, 2016 წ. და 1960-2016 წწ.

წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საერთაშორისო განვითარების სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით.



შენიშვნა: მთლიანი ეროვნული შემოსავლის პროცენტი

ჩინეთი მნიშვნელოვანი აქტორი გახდა უცხოური დახმარების სფეროში 2010 წლიდან. ერთ-ერთი შეფასებით, ქვეყანამ 2000-2014 წლებში გასცა დაახლოებით იგივე ოდენობის დახმარება, რაც აშშ-მა (350 და 390 მილიარდი აშშ დოლარი შესაბამისად). უმეტესობა გაიცა სესხების სახით და მთლიანი დახმარების დაახლოებით ნახევარი მიმართული იყო აფრიკის კონტინენტისკენ.

გაეროს განვითარების პროგრამა (UN Development Program, UNDP)

პროგრამა, რომელიც კოორდინაციას უწევს მრავალმხრივი დახმარების ნაკადებს და ერთდროულად ხელმძღვანელობს 6000 პროექტს მთელი მსოფლიოს მასშტაბით (მეტწილად ყურადღებას აქცევს ტექნიკური განვითარების დახმარებას).

უცხოური დახმარების კიდევ ერთი მთავარი წყაროა *გაეროს პროგრამები*. გაეროს სტრუქტურაში ამ პროგრამების ადგილი აღწერილია მე-6 თავში. გაეროს გზით გაწეული დახმარებების მთლიან ნაკადს კოორდინაციას უწევს **გაეროს განვითარების პროგრამა**, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ერთდროულად 6 000 პროექტს ახორციელებს (განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ტექნიკური განვითარების ხელშეწყობაზე). გაეროს სხვა პროგრამები მიმართულია კაპიტალის დაგროვებაზე, ტექნოლოგიის გადაცემაზე და წარმოებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაზე მუშახელში. გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) მუშაობს ინდუსტრიალიზაციაზე, გაეროს ტრენინგისა და კვლევის ინსტიტუტი (UNITAR) კი – ტრენინგსა და კვლევაზე. მიუხედავად ამისა, გაეროს პროგრამების უმეტესობა, როგორებიცაა გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), მაინც ფოკუსირებულია ძირითადი ჰუმანიტარული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

გაეროს პროგრამებს სამი უპირატესობა აქვთ ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით. პირველი, ადგილობრივი ხელისუფლებები და მოქალაქეები გაეროს გლობალური სამხრეთის მეგობრად აღიქვამენ და არა მტრულ ძალად, სუვერენიტეტის საფრთხედ ან კოლონიალიზმის შეხსენებად. მეორე, გაეროს თანამშრომლებმა შეიძლება უფრო სათანადო გადაწყვეტილებები მიიღონ, მათი სამსახურებრივი გამოცდილების გამო. გაეროს თანამშრომლები, რომლებიც წარმოშობით გლობალური სამხრეთიდან არიან ან უმუშავიათ რეგიონის სხვა ღარიბ ქვეყნებში, შეიძლება უფრო მგრძნობიარენი იყვნენ ადგილობრივი პირობების და განვითარების ხელშეწყობის ფარული საფრთხეების მიმართ, ვიდრე ჰუმანიტარული მუშაკები მდიდარი ქვეყნებიდან. მესამე, გაეროს შეუძლია დახმარების ორგანიზება გლობალურ დონეზე, პრიორიტეტული პროექტების განსაზღვრა და ასევე დუბლირებების ან თითოეულ ქვეყანაში ველოსიპედის ხელახლა გამოგონების თავიდან აცილება.

ერთი მთავარი ნაკლი, რაც გაეროს განვითარების პროგრამებს აქვს, არის ის, რომ ისინი ძირითადად მდიდარი ქვეყნების ნებაყოფლობითი შენატანებით ფინანსდება. თითოეულ პროგრამას უწევს შემოწირულობების თხოვნა თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად და ეს შემოწირულობები შეიძლება უცბად შეწყდეს კიდეც, თუ პროგრამა დონორი მთავრობის უკმაყოფილებას გამოიწვევს. ასევე, მთავრობებმა, რომლებმაც და-

ფინანსების პირობა დადეს, შეიძლება არ შეასრულონ იგი. მაგალითად, გაერომ 2005 წლის დასაწყისში წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ სამხრეთ სუდანისთვის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ხუთი თვით ადრე დაპირებული 500 მილიონი აშშ დოლარიდან მხოლოდ 5 პროცენტი იყო გამოყოფილი. გაეროს პროგრამების მეორე ძირითად ნაკლს წარმოადგენს მათი რეპუტაცია, რომ მათ არაეფექტიანი, ბიუროკრატიული საქმიანობის სტილი აქვთ და აკლიათ ის თანმიმდევრულობა და რესურსები, რაც ჩრდილოეთის მთავრობებსა და მრავალეროვნულ კორპორაციებს ჩვეულებრივ მოცემულობად მიაჩნიათ.

7.6.2 უცხოური დახმარების ტიპები

ორმხრივ დახმარებას სხვადასხვა ფორმა აქვს. *გრანტი* ისეთი დაფინანსებაა, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცემა მიმღებ ქვეყანას, როგორც წესი, გარკვეული დანიშნულებით. *ტექნიკური თანამშრომლობა* გულისხმობს ზოგ პროექტში საექსპერტო დახმარებას და არა ფულს ან მატერიალურ საქონელს. *კრედიტი* გრანტია, რომელიც გამოიყენება გარკვეული პროდუქტების შესაძენად დონორი სახელმწიფოსგან. მაგალითად, აშშ რეგულარულად გასცემს კრედიტს, რომელიც შეიძლება გამოიყენონ ამერიკული მარცვლეულის შესაძენად. თუკი მიმღები ქვეყნის მოსახლეობა შეეჩვევა დონორი სახელმწიფოს პროდუქტებს, მომავალში მათ შეიძლება უფრო მეტად შეიძინონ იგივე საქონელი.

სესხი ეკონომიკურ განვითარებაში დახმარების მიზნით გაცემული ფულადი სახსრებია, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს მომავალში, განვითარების პროცესში წარმოქმნილი ნამატის საფუძველზე (ხშირად სესხიც მიბმულია დონორი ქვეყნისგან პროდუქტების შეძენაზე). კომერციული სესხებისგან განსხვავებით, სახელმწიფოთაშორისი განვითარების სესხები ხშირად შეღავათიანი პირობებით გაიცემა, დაფარვის გრძელვადიანი პერიოდით და დაბალი საპროცენტო განაკვეთით. მიუხედავად იმისა, რომ მიმღები ქვეყნისთვის ის კვლავაც ვალდებულებას წარმოადგენს, ასეთი სესხების მომსახურება შედარებით იოლია.

სასესხო გარანტია, რომელიც მხოლოდ ხანდახან გამოიყენება, არის დონორი ქვეყნის მიერ სესხის მიმღებისთვის მიცემული დაპირება კომერციული სესხების დაზღვევის თაობაზე. თუ მიმღები სახელმწიფო მოემსახურება ასეთ სესხებს და საბოლოოდ გადაიხდის მათ, დონორს ეს არაფრის დაუჯდება. მაგრამ თუ მიმღებს არ შეეძლება გადახდა, მაშინ დონორს მოუწევს საქმეში ჩართვა და ვალის დაფარვა. სასესხო გარანტია საშუალებას აძლევს მიმღებ ქვეყანას, კომერციული ბანკებისგან ისესხოს ფული დაბალი საპროცენტო განაკვეთით (რადგან ბანკისთვის რისკი გაცილებით დაბალია).

სამხედრო დახმარება, ჩვეულებრივ, არ მოიაზრება განვითარების დახმარებაში, მაგრამ უფრო ფართოდ თუ შევხედავთ, ის მისი ნაწილია.

ესაა ფული, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთში, მთავრობისგან მთავრობის ხელში მიედინება და, რომელიც გარკვეულ ფასეულობას გადასცემს გლობალური სამხრეთის ეკონომიკებს. თუ ქვეყანა აპირებს, იყოლიოს გარკვეული ზომის არმია რაღაც დონის შეიარაღებით და ამ ყველაფერს დონორი ქვეყნისგან იღებს, რასაკვირველია, თავისუფლდება სახსრები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ეკონომიკაში. თუმცა, განვითარების დახმარების ყველა სხვა ფორმისგან განსხვავებით, სამხედრო დახმარება ყველაზე ნაკლებად ეფექტიანია და ახასიათებს ტენდენცია, რომ, დახმარების ნაცვლად, ხელი შეუშალოს ეკონომიკურ განვითარებას. ასევე, ის თითქმის ექსკლუზიურად მიმართულია პოლიტიკური ალიანსების შექმნაზე და არა განვითარების საჭიროებებზე.

მთავარი დაწესებულება, რომელიც ანაწილებს აშშ-ს ეკონომიკურ დახმარებას (არა სამხედრო დახმარებას) არის სახელმწიფო დეპარტამენტის *საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID),* რომელიც ძირითადად საქმიანობს ცალკეულ მიმღებ ქვეყანაში განთავსებული აშშ-ს საელჩოს მეშვეობით. აშშ-ს უცხოური დახმარების მთავარ მიმღებ სახელმწიფოებს შორის არიან ისრაელი, ეგვიპტე და თურქეთი – ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული მოკავშირე არასტაბილურ ახლო აღმოსავლეთში.

მშვიდობის კორპუსი (Peace Corps)

პრეზიდენტ კენედის მიერ 1961 წელს ინიციირებული ორგანიზაცია, რომელიც ამერიკელ მოხალისეებს აგზავნის მესამე სამყაროს ქვეყნებში ტექნიკურ განვითარებაში დახმარებისთვის.

აშშ-ს **მშვიდობის კორპუსი** გზავნის ამერიკელ მოხალისეებს განვითარებად ქვეყნებში ტექნიკური განვითარების დახმარების მიზნით. ისინი მასპინძელი მთავრობის მოთხოვნითა და მითითებებით მუშაობენ, მაგრამ მათ ანაზღაურებას აშშ-ს მთავრობა უხდის. 1961 წელს პრეზიდენტ კენედის მიერ ინიცირებული მშვიდობის კორპუსი ახლა 7 000-ზე მეტ მოხალისეს აგზავნის დაახლოებით 70 ქვეყანაში, სადაც ისინი მონაწილეობენ პროექტებში, რომლებიც დაახლოებით მილიონი ადამიანის ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.

უცხოური დახმარების ფარგლებში, დონორს უნდა ჰქონდეს მიმღები ქვეყნის ნებართვა მის ქვეყანაში მუშაობაზე. ეს გვაბრუნებს ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპთან და კოლონიალიზმის ისტორიასთან. ეროვნულ მთავრობებს აქვთ უფლება, გააკონტროლონ დახმარების განაწილება და უცხოელი მუშაკების ყოფნა მათ ტერიტორიაზე. ეს პრინციპი მხოლოდ ზოგჯერ თუ ირღვევა. მაგალითად, სპარსეთის ყურის პირველი ომის შემდეგ, აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა დახმარება გაუწიეს ერაყელ ქურთებს ერაყის მთავრობის სურვილის საწინააღმდეგოდ. ალბათ, ამ მხრივ საერთაშორისო ნორმები იცვლება. გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება სულ უფრო აღიქმება როგორც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულად, რომელიც არ უნდა დაექვემდებაროს მთავრობის ვეტოს.

კერძო დახმარება კერძო შემოწირულობები შედარებით მცირე მოცულობისაა ხოლმე, თუმცა ხანდახან ის ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, ბილ და მელინდა გეიტსების ფონდი ყოველწლიურად 4.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს გასცემს სხვადასხვა პროგრამებზე, განსაკუთრებით მსოფლიო ჯანდაცვის საკითხებზე. კერძო დახმარება დახმარების მნიშ-

ვნელოვანი წყაროა გლობალური სამხრეთისთვის. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, 2016 წელს კერძო დახმარებების ნაკადმა განვითარების ხელშეწყობის კომიტეტის ქვეყნებიდან დაახლოებით 300 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე მთავრობების მიერ ოფიციალურად გაღებული განვითარების დახმარება.

კერძო დახმარების მრავალი წყარო არსებობს. ადამიანებმა მდიდარი ქვეყნებიდან შეიძლება გაიღონ დახმარება, როგორც ცალკეულმა ინდივიდებმა (მაგალითად, ბილ გეიტსის ან ჯორჯ სოროსის შემთხვევები). სხვებმა შეიძლება შემოწირულობა მისცენ ფონდებს, რომლებიც ფულს ან საკვებს აგზავნიან საზღვარგარეთ, მაგალითად წითელ ჯვარს, ორგანიზაციას „ექიმები საზღვრებს გარეშე", ან რელიგიურ დაწესებულებებს. ერთ-ერთი მსხვილი კერძო საქველმოქმედო ჯგუფია **ოქსფამი ამერიკა** (მთელს მსოფლიოში მოქმედი შვიდი ჯგუფიდან ერთ-ერთი, რომელიც წარმოიშვა 1942 წელს დიდ ბრიტანეთში დაარსებული შიმშილის დაძლევის ოქსფორდის კომიტეტისგან).

ოქსფამი ამერიკა (Oxfam America)

კერძო საქველმოქმედო ჯგუფი, რომელიც მუშაობს მესამე სამყაროს ადგილობრივ თემებთან იმისთვის, რომ მათ თავად განსაზღვრონ საკუთარი ხალხის საჭიროებები და განახორციელონ განვითარების პროექტები. ოქსფამი არ ახორციელებს პროექტებს, მაგრამ დაფინანსებას აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციებს ამ მიზნით.

ოქსფამმა განავითარა უცხოური დახმარების უნიკალური მოდელი. თავიდან მისი მუშაობა მოიცავდა შიმშილობის მსხვერპლთა გადაუდებელ დახმარებას. ამ მიმართულებით იგი კვლავაც აქტიურია. თუმცა, ოქსფამმა გააცნობიერა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ადამიანებს სჭირდებოდათ არა მხოლოდ სურსათის მიცემა, არამედ საკუთარი თავის გამოკვების საშუალებებიც – მიწა, წყალი, მარცვლეული, სამუშაო იარაღები და ტექნიკური მომზადება.

ოქსფამის მოდელს გამოარჩევს ის ასპექტი, რომ ის მიანდობს ადგილობრივ თემებს საკუთარი ხალხის საჭიროებების განსაზღვრას და განვითარების პროექტების განხორციელებას. ოქსფამი თავად არ მართავს პროექტებს, არამედ აფინანსებს ადგილობრივ ორგანიზაციებს. ის თავის თავს არ უწოდებს დონორს და არც ამ ორგანიზაციებს – მიმღებებს. ამის ნაცვლად, ის ორივე მხარეს მოიხსენიებს „პროექტის პარტნიორებად" – რომლებიც ერთობლივად მუშაობენ საერთო ამოცანის შესასრულებლად. ამ მოდელში, გარედან შემოსულმა მცირე ფულმა უნდა გაიაროს გრძელი გზა ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისკენ. გარდა ამისა, პროექტი ეხმარება მონაწილეებს, გაძლიერდნენ იმით, რომ ორგანიზდნენ თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ჯგუფებისთვის, როგორებიცაა ოქსფამი და მათი პროექტის პარტნიორები, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ურთიერთობა ასოცირდება კარგ ქორწინებასთან, რომლის დროსაც გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივად და არ ვითარდება ცალმხრივი დამოკიდებულება. ამ მოდელში, ეკონომიკური განვითარება არაა ქველმოქმედება, არამედ ის არის როგორც მდიდარ ისე ღარიბ ქვეყნებში მცხოვრები ხალხის ინტერესებში. ჩრდილოეთისა და სამხრეთის თანამშრომლობითი ურთიერთობა არსებითია მშვიდობიანი და აყვავებული მსოფლიოსთვის. ვიწრო ეკონო-

მიკური მნიშვნელობითაც კი, სამხრეთის განვითარება ქმნის ახალ ბაზრებსა და ახალ პროდუქტებს, რაც გაამდიდრებს ინდუსტრიულ ქვეყნებსაც. ეკონომიკაში, სიმდიდრის შექმნა დადებითშედეგიანი თამაშია.

ოქსფამის მიდგომა მიზნად ისახავს განვითარების ხელშეწყობის კონცეფციის გადახედვას გრძელვადიან განვითარებაზე ფოკუსირებით, რაც მოითხოვს ძირითადი საჭიროებების ქვემოდან-ზემოთ პრინციპით განსაზღვრის სტრატეგიასა და ღარიბი ხალხის პოლიტიკური გაძლიერებას. ჯგუფის ფილოსოფიამ „უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა განვითარებისადმი", ადამიანის უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან სათანადოდ აღიარება მოიპოვა. წარსულში უცხოური დახმარების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებით გამოწვეული იმედგაცრუების გამო, ოქსფამი შეეცადა თავის პროექტებში მინიმუმამდე შეემცირებინა ხელისუფლებების როლი, როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში. მაგალითად, ოქსფამი არ იღებს სამთავრობო გრანტებს და არც თავად გასცემს გრანტებს მთავრობებისთვის.

უცხოური დამხარების ოქსფამის მოდელის ზოგადი მიზნები თანხვედრაშია გლობალურ სამხრეთში ადგილობრივი აქტორების, ე.წ. გრასრუტების გაძლიერების უფრო ფართო მოძრაობასთან. ოქსფამის პარტნიორების ღონისძიებებს ორგანიზებას უკეთებს ღარიბი ხალხი, რათა მათ თავიანთ ვითარებაზე გარკვეული კონტროლი მოიპოვონ და დაიკმაყოფილონ ძირითადი მოთხოვნილებები. წარმატების გასაღები ორგანიზებულობის, ინფორმირებულობის, თავდაჯერებულობის მიღწევა და სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად საჭირო რესურსების მოპოვებაა.

მაგალითად, ინდოეთში ადგილობრივ ქალთა ჯგუფებმა, მხოლოდ არგუმენტისა და ლოგიკის ძალით, ზოგიერთი მიწის მესაკუთრე დაარწმუნეს, გადაეცათ მათთვის მიწები შემოსავლიანი კოოპერატიული პროექტებისთვის, როგორებიცაა ბოსტნეულის მოყვანა და აბრეშუმის ჭიის მოშენება. ინდოეთის სხვა ადგილებში, ხე-ტყის მასალისა და ტყის პროდუქტების შემგროვებელმა ქალებმა მიაღწიეს ტყეში მომუშავე 250 ათასი ქალისთვის მინიმალური ჯამაგირის განსაზღვრას კანონმდებლობით – ეს სამჯერ მეტი იყო ადრინდელთან შედარებით. ამ შემთხვევაში, მთავრობის მოქმედება გახდა საჭირო, მაგრამ ზეწოლა მოდიოდა ადგილობრივი ორგანიზაციებისგან. ქალებმა თავისი გასაჭირი საზოგადოებისა და მედიის წინაშე გამოიტანეს, მოაწყვეს საპროტესტო მსვლელობები და პროვინციის დედაქალაქში მათი საქმიანობის ამსახველი გამოფენაც გამართეს.

ამგვარი მაგალითები არ ნიშნავს, რომ ეროვნული და უცხოური მთავრობები უმნიშვნელონი არიან. პირიქით, მთავრობის სტრატეგიები გავლენას ახდენს მილიონობით ადამიანზე უფრო სწრაფად და ფართომასშტაბიანად, ვიდრე ადგილებიდან წამოსული მცდელობები. ხშირად ადგილებზე ორგანიზების საბოლოო მიზანი ისევ ეროვნული პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების გარდაქმნაა, რათა სახელმწიფო პოლი-

ტიკამ ასახოს ღარიბი ხალხის საჭიროებები. მაგრამ ადგილობრივი ძალების წარმატებული გაძლიერება მოწმობს, რომ ღარიბ თემებს შეუძლიათ იყონ უფრო მეტი, ვიდრე სხვისი დახმარების იმედად მყოფი სიღარიბის მსხვერპლნი, ან პასიური დამკვირვებლები ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურთიერთობებში. ღარიბებმა ცვლილების იმედი არც ძალადობრივ რევოლუციებზე უნდა დაამყარონ, რომლებიც მიზნად ისახავს ეროვნული მთავრობების ჩამოგდებას. რევოლუციებს ხშირად კიდევ უფრო მეტი ტანჯვა მოაქვს, ვიდრე სტაბილური ეკონომიკური განვითარება.

ოქსფამის მოდელის გამოცდა დღემდე მხოლოდ მცირე მასშტაბით მოხდა. ეს მოდელი შეიძლება ეფექტური იყოს იმ ადგილობრივ თემებში, რომლებსაც ის აღწევს, მაგრამ განვითარების მთლიან პრესპექტივაზე გავლენის მოსახდენად ის უნდა გავრცელდეს და გადავიდეს უფრო ფართო მასშტაბებზე.

ოქსფამის მსგავსი კერძო დახმარების გაცემის ერთ-ერთი უპირატესობა არის მისი მოქნილობა. კერძო ჰუმანიტარული ორგანიზაციები შეიძლება უფრო ეფექტიანი იყვნენ (მათი მცირე ზომის გამო) და უკეთესადაც შეძლონ ადგილობრივ მიმღებებთან თანამშრომლობის დამყარება. სამწუხაროდ, ამგვარი ორგანიზაციების მცირე მასშტაბი და ოფიციალური სტატუსი არქონა შესაძლოა მათი ნაკლიც აღმოჩნდეს. ისინი შეიძლება არ შეუშვან ქვეყანაში (ზიმბაბვემ აკრძალა ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია 2008 წელს; უნგრეთში განიხილავდნენ მიგრანტების დახმარებაზე მომუშავე ორგანიზაციების აკრძალვის შესაძლებლობას 2018 წელს). მათ შეიძლება ვერ შეძლონ ფართომასშტაბიანი დახმარების გაწევა კრიზისების დროს. შესაძლოა, ისინი ასევე ხელი უწყობდნენ განვითარების იმგვარ პოლიტიკას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის მთავრობის პოლიტიკასთან, რაც ამ ორგანიზაციებს დააპირისპირებს სხვა დონორ მთავრობებთან.



პარტნიორი განვითარებაში უცხოური დახმარების ოქსფამის მოდელი ხაზს უსვამს ადგილობრივი ჯგუფების მხარდაჭერას, რასაც მეუძლია თვითკმარი ეკონომიკური განვითარების წახალისება ადგილობრივ დონეზე. ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობა არის ამგვარი პროექტების გლობალური მიზანი. ფოტოზე ქალები ოქსფამთან დაკავშირებული ჯგუფის წარმომადგენლებთან საქმიან შეხვედრას მართავენ. კენია, 2007 წ.

7.6.3 უცხოური დახმარების პოლიტიკა

ბევრი ხელისუფლება და კერძო ორგანიზაცია განვითარების დახმარებას სამხრეთის ადგილობრივ თემებში ახორციელებს პროექტის სახით, რომლებსაც უძღვება ჩრდილოეთში არსებული დაწესებულებები და მიზნად ისახავს ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ასეთი საქველმოქმედო პროგრამები სასარგებლო საშუალებაა იმისთვის, რომ ჩრდილოეთის მაცხოვრებლებმა რესურსები მიაწოდონ სამხრეთში მცხოვრებთ, მაგრამ ამ პროგრამებს შეიძლება გაუთვალისწინებელი პრობლემებიც მოჰყვეს. კერძოდ, ისინი არ პასუხობენ სიღარიბის გამომწვევ მიზეზებს, როგორებიცაა ღარიბი ქვეყნების ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში

ან ადგილობრივი პოლიტიკური პირობები, მაგალითად სამხედრო მმართველობა ან კორუფცია. მეტიც, ჟურნალის გვერდიდან მშიერი ბავშვი უმზერს მკითხველს და იქვეა წარწერა, რომ დღეში რამდენიმე ცენტს ბავშვის „გადარჩენა“ შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მიდგომა ზრდის ჩრდილოეთის ინფორმირებულობას სამხრეთის ქვეყნებში არსებულ სიღარიბეზე, ცუდ შემთხვევაში ის ასევე აღვივებს რასისტულ და პატერნალისტურ სტერეოტიპებს გლობალური სამხრეთის ხალხის უმწეობის შესახებ.

მეტიც, მართალია უცხოური მხარდაჭერის მიზანია დაეხმაროს მათ, ვისაც ნაკლებად გაუმართლა, მაგრამ დონორმა ქვეყნებმა ისიც დაინახეს, რომ ის ასევე მნიშვნელოვანი ბერკეტია მიმღებ ქვეყნებზე გავლენის მოსაპოვებლად. ამგვარად, ბევრი დონორი ცდილობს, უცხოური დახმარება გამოიყენოს მიმღებ ქვეყნებში ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების გამოსაწვევად.

თითქმის ყველა დონორი სახელმწიფოს მსგავსად, შეერთებული შტატები უცხოური დახმარების თაობაზე დაპირებას ან დახმარების შეწყვეტის მუქარას იყენებს მიმღებ ქვეყნებთან პოლიტიკური ვაჭრობის საშუალებად. მაგალითად, როცა 1980-იან წლების ბოლოს, აშშ-ს გაფრთხილების მიუხედავად, პაკისტანმა გააგრძელა ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამა, აშშ-ს დახმარების მნიშვნელოვანი ნაკადი შეწყდა, ხოლო როცა პაკისტანმა მხარი დაუჭირა აშშ-ს სამხედრო მოქმედებას მეზობელ ავღანეთში 2001 წელს, შეერთებული შტატების დახმარების პროგრამა განახლდა.

2004 წელს შეერთებულმა შტატებმა დაარსა „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“ (MCC), რითაც გაიზარდა აშშ-ს დახმარება, ოღონდ იმ მთავრობების მიმართ, რომლებიც გარკვეულ პოლიტიკას ატარებენ, კერძოდ სამართლის უზენაესობის, კორუფციის კონტროლის, განათლების სფეროში ინვესტირებისა და ჯანსაღი ფისკალური მართვის მიმართულებებით. მას შემდეგ, რაც პოტენციურ კანდიდატებს განაცხადები შეაქვთ დახმარების მიღებაზე, საჯარო და კერძო პირებისგან დაკომპლექტებული საბჭო განიხილავს მათ. შემდეგ ხდება თავად აპლიკანტთა შეფასება კორპორაციის მიერ დადგენილი დახმარების მიღების კრიტერიუმების საფუძველზე. ამ გზით, შეერთებულ შტატებს იმედი აქვს, რომ შეამცირებს დახმარების დანაკარგებს კორუფციისა და არამიზნობრივი ფლანგვის თვალსაზრისით.

რასაკვირველია, უცხოური დახმარება ასევე რთული შიდაპოლიტიკური პროცესია. დახმარების გაწევა შეიძლება არაპოპულარული იყოს საზოგადოების ნაწილში, რომელსაც მიაჩნია, რომ გადასახადების ფული მიდის საზღვარგარეთ და არ რჩება შინ. ამას მოჰყვება მოთხოვნები, რომ მხოლოდ კონკრეტული სახის დახმარებების გაწევა მოხდეს. მაგალითად, დახმარების მხარდამჭერები იბრძვიან აშშ-ს კანონის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს, რომ აფრიკაში გასაგზავნი საკვები მოყვანილი იყოს შე-

ერთებულ შტატებში და მისი გადაზიდვა ამ ქვეყნისავე სატრანსპორტო საშუალებებით მოხდეს. ფაქტობრივად საკვები პროდუქტის გადაცემის ნაცვლად, მათი წინადადებაა, რომ შეერთებული შტატების სახსრებით სურსათის შეძენა მოხდეს აფრიკაში ადგილზე, რაც დაზოგავდა უამრავ ფულს, თვეებით უფრო სწრაფად მოხდებოდა მშიერი ხალხის დახმარება და ეს ხელს შეუწყობდა აფრიკელ ფერმერებს. მაგრამ ამ წინადადებას წინააღმდეგობა გაუწიეს საკვებით დახმარების ე.წ „რკინის სამკუთხედმა"[6] – აგრობიზნესმა, რომელიც სარგებელს იღებს მთავრობისთვის სურსათის მიყიდვით; აშშ-ს გადამზიდავმა კომპანიებმა, რომლებიც მოგებას ნახულობენ სურსათის მიმღებ ქვეყანაში გადაზიდვით და აშშ-ს საქველმოქმედო ორგანიზაციებმაც (მათ შორის, CARE და კათოლიკური დახმარების სამსახურები), რომლებიც თავიანთი ბიუჯეტის დიდ ნაწილს აშშ-დან აფრიკაში მარცვლეულის გაყიდვით ივსებენ. ეს საქველმოქმედო ორგანიზაციები გახდნენ მარცვლეული კულტურებით საერთაშორისო მოვაჭრეები და ადგილობრივ ბაზრებს იაფი სურსათით ამარაგებენ (როგორც გასაყიდი, ისე უფასოდ დარიგებული), რითაც კონკურენციას უწევენ ადგილობრივ ფერმერებს და ამცირებენ ადგილობრივ ფასებს, ანუ აზიანებენ გრძელვადიანი დოვლათის წარმოქმნას. და მაინც, „რკინის სამკუთხედის" ლობირების ძალით, კონგრესმა ჩააგდო წინადადება, რომელიც გულისხმობდა ადგილობრივი საკვების შეძენას აფრიკაში.

კატასტროფის შედეგების შემსუბუქება (disaster relief)

ხალხის მოკლევადიანი დახმარება სურსათით, წყლით, თავშესაფრით, ტანსაცმლით და სხვა საჭიროებებით ბუნებრივი კატასტროფების დროს.

უცხოური დახმარების პოლიტიკურად ყველაზე ნაკლებად მოტივირებული სახეა **კატასტროფის შედეგების შემსუბუქება.** ის გულისხმობს უცხოური დახმარების გაცემას ღარიბ ადამიანებზე, რომლებიც დაზარალდნენ შიმშილის, გვალვის, მიწისძვრის, წყალდიდობისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების გამო (ომიც კატასტროფაა და შეიძლება შეერწყას ბუნებრივს). როცა კატასტროფა თავს ატყდება ღარიბ სახელმწიფოს, ბევრი ადამიანი რჩება საარსებო საშუალებების გარეშე და ხშირად უსახლკაროდაც. კატასტროფებით გამოწვეული ზიანის შესამცირებლად ადამიანებს ეწევათ მოკლევადიანი დახმარება სურსათის, წყლის, თავშესაფრის, ტანსაცმლისა და სხვა პირველადი მოხმარების საგნების სახით.

კატასტროფის შედეგების შემსუბუქება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სტიქიურ უბედურებებს შეუძლია ერთი ხელის მოსმით გაანადგუროს ეკონომიკურ განვითარებაში წლების განმავლობაში მიღწეული პროგრესი. ზოგადად, ასეთ დროს საერთაშორისო საზოგადოება ცდილობს, ადეკვატური დახმარება გაუწიოს დაზარალებულ ადამიანებს და ხელი შეუწყოს მათ ფეხზე წამოდგომაში. ამგვარი დახმარების ხარჯები შედარებით მოკრძალებულია, თუმცა სარგებელი – თვალსაჩინო და გადამწყვეტი. გლობალური სამხრეთისთვის კატასტროფის შედეგების შე-

6 ასე მოიხსენიებენ კონგრესის, აღმასრულებელი ბიუროკრატიისა და ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებისგან წარმოქმნილ კოალიციას, რომელსაც სასურველი საჯარო პოლიტიკის განხორციელება სურს. რედ. შენ.

მსუბუქების პროგრამების არსებობა წარმოადგენს ერთგვარ დაზღვევას მოულოდნელი დანაკარგებისგან, რის გარეშეც შეიძლება ეკონომიკური დაგროვების დესტაბილიზაცია მოხდეს.

ბუნებრივი კატასტროფები მოულოდნელად ხდება, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. სწრაფი რეაგირების კოორდინირება რთულია. კატასტროფის შედეგების შემსუბუქების საერთაშორისო ძალისხმევა უფრო ორგანიზებული და უკეთ კოორდინირებული გახდა უკანასკნელ ათწლეულებში, თუმცა ის კვლავაც რთული პროცესია, რომელიც შემთხვევიდან შემთხვევაში განსხვავებულია. სახელმწიფოების, კერძო საქველმოქმედო ორგანიზაციების, სხვა ჯგუფებისა და დაწესებულებების კონტრიბუციების კოორდინაცია ხდება ჟენევაში, *გაეროს კატასტროფის შედეგების შემსუბუქების კოორდინატორის ოფისში (UNDRO)*. 2006 წელს გაერომ შექმნა 500 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ფონდი, რომელიც საშუალებას მისცემს მას, კატაკლიზმების შემთხვევაში მყისიერად იმოქმედოს და აღარ დაელოდოს სახსრების შეგროვებას ბუნებრივი კატასტროფის ყოველ ჯერზე. როგორც წესი, საერთაშორისო დახმარება საჭირო თანხის ერთ-მესამედზე მეტს არ შეადგენს ხოლმე, დანარჩენი სახსრები დაზარალებული სახელმწიფოს ადგილობრივი თემებისა და მთავრობისგან მოდის.

კატასტროფის შედეგების შემსუბუქება საჯარო სიკეთის მსგავსია. მართალია, ჩრდილოეთის მთავრობები შემოწირულობებისგან ინდივიდუალურ სარგებელს არ პოულობენ, მაგრამ მათთვის სამხრეთის ქვეყნების სტაბილურობა ხელსაყრელია გრძელვადიან პერსპექტივაში. ბევრი აქტორის არსებობით გამოწვეული კოლექტიური მოქმედების პრობლემის მიუხედავად, კატასტროფის შედეგების შემსუბუქება ზოგადად საერთაშორისო თანამშრომლობის პოზიტიური მაგალითია: ეკლესიების მსოფლიო საბჭოს მიერ გაცემული სურსათი სტიქიის ზონაში შეიძლება ჩაიტანოს აშშ-ს სამხედრო თვითმფრინავმა და შემდეგ გაანაწილოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა. 1990-იანი წლების შემდეგ შემცირდა წარსულის უხერხული წარუმატებელი მაგალითები – რეაგირების ნაკლებობა ან გადაჭარბებული რეაგირება, დუბლირებები და ორგანიზაციები, რომლებიც ერთმანეთს უშლიდნენ ხელს. 21-ე საუკუნეში სხვადასხვა ჯგუფები უკეთ კოორდინაციას უწევენ თავიანთ საქმიანობებს.

2010 წელს ჰაიტიზე მომხდარმა დამანგრეველმა მიწისძვრამ წარმოაჩინა საერთაშორისო დახმარების სისტემის როგორც პროგრესი, ასევე ნაკლოვანებები. ერთ ღამეში მილიონობით ადამიანმა დაკარგა ოჯახის წევრები, სახლი, ქონება, უსაფრთხო სასმელი წყალი და ცხოვრების საშუალებები. მოქმედი საჯარო თუ სამედიცინო სერვისების სისტემის გარეშე, დახმარების თავდაპირველი მცდელობები ქაოტური იყო და საერთაშორისო დახმარება არაკოორდინირებულად მოქმედებდა. კატასტროფით დაზარალებული ბევრი ადამიანი გარდაიცვალა იმიტომ, რომ პატარა აეროპორტი გაიჭედა და ვერ მოხერხდა დახმარების დროული მიწოდება.

თუმცა, რამდენიმე დღეში აშშ-ს სამხედრო ძალებმა თავის თავზე აიღეს აეროპორტზე კონტროლი და მასშტაბურმა საერთაშორისო დახმარებამ შედინება დაიწყო ქვეყანაში. მთავრობებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მილიარდობით დოლარის გაღების პირობა დადეს, რათა ჰაიტის ფეხზე წამოდგომაში დახმარებოდნენ გაეროს ეგიდით.

როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ისე არასამთავრობოებმა სწრაფად მოახდინეს მობილიზება და განახორციელეს „კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი დახმარების ოპერაცია". ამ ორგანიზებას კოორდინაციას უწევდა სხვადასხვა დახმარების სააგენტო, მათ შორის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და ოქსფამი. თავდაპირველად ისე ჩანდა, რომ თითქოს შეერთებული შტატები თავადვე, გაეროს გარეშე, უხელმძღვანელებდა დახმარების საკუთარ ღონისძიებებს, თუმცა აშშ-მ პოზიცია შეიცვალა და წამყვანი როლი ამ საქმეში გაეროს დაუთმო. სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების ეს, გარკვეულწილად სპონტანური კოორდინაცია ერთგვარად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სისტემის ანარქიულ ხასიათს.

კატასტროფებსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის კავშირი ერთგვაროვანი არ არის და რეაგირებაც განსხვავდება ადგილმდებარეობის, კატასტროფის ტიპისა და მასშტაბის, რეაბილიტაციის ფაზის მიხედვით. სხვადასხვა რესურსებია საჭირო საგანგებო მდგომარეობს ფაზაში (მაგალითად, საკვები და სამედიცინო დახმარება) და რეკონსტრუქციის ფაზაში (მაგალითად, მიწისძვრაგამძლე სახლების დაპროექტება). მასშტაბით მცირე ან დროში არასაკმარისმა რეაგირებამ შეიძლება ვერ მიაღწიოს აუცილებელ შედეგებს, ხოლო მეტისმეტმა და ზედმეტად ხანგრძლივმა დახმარებამ შეიძლება გადატვირთოს ადგილობრივი ეკონომიკა და გააჩინოს დამოკიდებულება (შეამციროს საკუთარი თავის იმედად ყოფნის მოტივაცია).

იცვლება საერთაშორისო ნორმები, რომლებიც სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ დაეხმარონ სხვა ქვეყნებს ბუნებრივი კატასტროფების დროს და ასევე, თავადაც მიიღონ დახმარება, საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, ზოგიერთი გამოდის დაცვის ვალდებულების კონცეფციის გავრცელების იდეით კატასტროფის არეალებთან მიმართებაში. ეს იდეა განსაკუთრებით რელევანტური გახდა 2008 წელს, როდესაც ციკლონი დაატყდა თავს ბირმას. დაახლოებით 130 ათასი ადამიანი შეეწირა სტიქიურ უბედურებას. ამის მიუხედავად, ბირმის რეპრესიულმა ხელისუფლებამ გააჭიანურა ან სულაც უარი თქვა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სტიქიით დაზარალებულთათვის განკუთვნილი დახმარების მიღებაზე. საერთაშორისო დახმარება საბოლოოდ მაინც გაეწია ბირმას, მაგრამ კვირები გაიფლანგა მანამ, სანამ მთავრობა უარყოფდა, რომ მას დახმარება სჭირდებოდა.

7.6.4 უცხოური დახმარების შედეგი



პირის ღრუს სავლები მავრიტანიისთვის. ხანდახან უცხოური დახმარებით მესამე სამყაროს გადაეცემა ისეთი რამ, რაც ნაკლებად ითვალისწინებს ადგილობრივთა საჭიროებებსა და გრძელვადიან სტრატეგიას. სურათზე, აშშ-ს ელჩმა და გემის კაპიტანმა, ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, ადგილობრივებს ჩაუტანეს უფასო პროდუქტები, მათ შორის პირის ღრუს სავლები სამუალებები, 1989 წ.

უცხოურ დახმარებას – განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი სამთავრობო პროგრამების ფარგლებში – თან ახლავს ის საფრთხეც, რომ ჩრდილოეთმა შეიძლება იმგვარი დახმარება გაუწიოს განვითარებად ქვეყანას, რომელიც შეუფერებელია ადგილობრივ პირობებთან და კულტურასთან. ეს კარგად გამოჩნდა კენიის შემთხვევაში 1970-იან წლებში. საჰარის უდაბნოსთან ახლოს, ტურკანას ტბის მიდამოებში მცხოვრები ტურკანას ტომის ღარიბი მწყემსები დაუცველნი იყვნენ პერიოდული გვალვების წინაშე. დასავლელმა დონორებმა და კენიის მთავრობამ გადაწყვიტეს, რომ მწყებსების ტრადიციული ცხოვრების წესი არ იყო ეკოლოგიურად მდგრადი და უნდა შეცვლილიყო კომერციული თევზჭერით, კერძოდ ტურკანას ტბაში უხვად მობინადრე თევზ ტილაპიაზე გათვლით. ნორვეგიას, რომელსაც თევზჭერის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, სთხოვეს ტურკანას ტომისთვის ესწავლებინათ თევზჭერისა და ნავების კეთების მეთოდები. კომერციულად ეფექტური ადგილობრივი ეკონომიკის შესაქმნელად, ნორვეგიელი კონსულტანტების რეკომენდაციით, თევზის გაყინული ფილე უნდა გაეყიდათ როგორც კენიაში და ასევე მთელს მსოფლიოში. ამგვარად, 1981 წელს ნორვეგიამ დაასრულა ტურკანას ტბის სანაპიროზე 2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების თანამედროვე თევზის სამაცივრე საწარმოს და კენიის სატრანსპორტო სისტემასთან დამაკავშირებელი 20 მილიონდოლარიანი გზის მშენებლობა.

მხოლოდ სამი პრობლემა შეიქმნა: პირველი, გარეთ 40 გრადუსამდე სიცხის გამო (ნორვეგიისგან განსხვავებით!), საყინულეების მუშაობის დანახარჯმა გადააჭარბა ფილეს შემოსავალს. ამიტომ, რამდენიმე დღის შემდეგ, მაცივრები გამორთეს და შენობა ძალიან ძვირადღირებული ხმელი თევზის საწყობად გადაიქცა. მეორე, ტურკანას კულტურისთვის თევზჭერა დაბალი სტატუსის პროფესია იყო, რომელიც მხოლოდ მას შეეფერებოდა, ვინც არაკომპეტენტური იყო მესაქონლეობაში. მესამე, რამდენიმე ათწლეულში ერთხელ, ტურკანას ტბაში წყლის შედინება მცირდება გვალვის გამო. 1984-1985 წლებში ასეთმა გვალვამ დააშრო ტბის ყურე, რომელშიც თევზჭერა მიმდინარეობდა. ნორვეგიელებს შეეძლოთ, გაეთვალისწინებინათ ეს პრობლემები, საშინაო დავალება უკეთ რომ შეესრულებინათ და პირდაპირ არ გადმოეტანათ ის მოდელი, რომელიც წარმატებული იყო ნორვეგიაში. როცა გვალვა თავს დაატყდა იქაურობას, 20 ათასი მწყემსი, რომელიც ტბაზე თევზაობის შესასწავლად ჰყა-

ვდათ მიყვანილი, აღმოჩნდა გადატვირთულ, გაპარტახებულ გარემოში, სადაც ხეები შეშისთვის მოჭრეს და მსხვილფეხა საქონლის უმეტესობა დაიხოცა. იმის ნაცვლად, რომ ეკონომიკურად თვითკმარი გამხდარიყვნენ, ტურკანელები უცხოური დახმარების შემყურეებად გადაიქცნენ.

გასული ათწლეულის განმავლობაში, ბევრმა მეცნიერმა ჩაატარა კვლევა იმის გასარკვევად, იყო თუ არა უცხოური დახმარება ეფექტური სამხრეთში ეკონომიკური ზრდისთვის და სიღარიბის შემსუბუქებისთვის. ცხარე კამათი მიმდინარეობს სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში, არის თუ არა დახმარება ეფექტური და შესაბამისად, უნდა გაიზარდოს თუ უნდა შემცირდეს ის. ერთი მხრივ, მეცნიერები ფიქრობენ, რომ უცხოური დახმარება უნდა გაიზარდოს, რათა პასუხი გაეცეს გამანადგურებელ უთანასწორობას ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ვინაიდან სამხრეთს არ შესწევს უნარი, საკმარისად მდგრადად უზრუნველყოს კაპიტალის დაგროვება, აუცილებელია ჩრდილოეთის დახმარება ეკონომიკური ზრდის ამოსაქოქად.

თუმცა, ამის საწინააღმდეგოა კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, დახმარება ყოველთვის არ ეხმარება ღარიბ ქვეყნებს განვითარებაში. კერძოდ, სანამ მიმღებ ქვეყნებს არ ექნებათ ინსტიტუტები კარგი მმართველობით, დახმარება მეტწილად ამაო იქნება ან კორუმპირებული ლიდერების ხელში აღმოჩნდება. ეს კვლევა ინსპირაციის წყარო გახდა აშშ-ს „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ შესაქმნელად და ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი პირობებისთვის.

დახმარების სხვა კრიტიკოსები გვთავაზობენ, რომ ის მთლიანობაში უნდა შემცირდეს. ისინი ამტკიცებენ, რომ დახმარების ნაკადებმა საშუალება მისცა ღარიბი ქვეყნების ლიდერებს, თავი აერიდებინათ რთული პოლიტიკური ცვლილებებისთვის, რაც გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას გაუხსნიდა გზას. ისინი ამტკიცებენ, რომ ზოგ აფრიკულ ქვეყანაში კოლონიზაციის შემდეგ უცხოური დახმარების მასობრივმა შედინებამ სიმდიდრისა და დამოუკიდებულობის ხარისხის გაზრდის ნაცვლად, გაზარდა სიღარიბე და ქვეყნები ქველმოქმედებაზე დამოკიდებული გახადა.

ჩრდილოეთ-სამხრეთის უფსკრულის პირისპირ უცხოური დახმარების გაცემა და მიღება პოლიტიკურია, თუნდაც მისი გაცემის მოტივები არ ატარებდეს პოლიტიკურ ხასიათს. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ჩრდილოეთში მცხოვრებლებმა გააცნობიერონ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული უზარმაზარი უფსკრულის არსებობა და უპასუხონ ამ პრობლემას. სამხრეთის ქვეყნებში გამეფებული სიღარიბე შეიძლება ისეთ დაუძლეველ პრობლემად მოეჩვენოთ, რომ მდიდარი ქვეყნების მოქალაქეებმა ზურგი აქციონ ამ საკითხს და ეცადონ, თავიანთი ცხოვრებით გააგრძელონ ცხოვრება.

თუმცა, დღევანდელ ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში ამის გაკეთება მართლა შეუძლებელია. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურთიერთობა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. ინტეგრირებულ გლო-

ბალურ ეკონომიკას ჩრდილოეთში სამხრეთიდან მოაქვს პროდუქტები და მოჰყავს ხალხი. საინფორმაციო რევოლუციის შედეგად, სიღარიბის კადრები ჩნდება კომფორტულ ოთახებში განთავსებულ ტელეეკრანებზე. გაეროს მზარდი როლის წყალობით, ჩრდილოეთი და სამხრეთი ერთად არიან მსოფლიო თანამეგობრობაში. ეს გლობალური ინტეგრაცია განსაკუთრებით აშკარაა გარემოს დაცვისა და ტექნოლოგიური ცვლილების სფეროებში, რაც განხილულია მე-8 თავში.

თავის შემოხილვა

შეჯამება

- მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს სიღარიბეში გლობალურ სამხრეთში. დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში, ადეკვატურ სურსათზე, წყალზე და სხვა საჭიროებებზე წვდომის გარეშე.
- სიმდიდრის დაგროვება (მე-8 თავში განხილული დემოგრაფიული ტრანზიციაც) დამოკიდებულია ადამიანის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, როგორებიცაა საკვები, წყალი, განათლება, საცხოვრისი და ჯანდაცვა. მესამე სამყაროს ქვეყნებს განსხვავებული შედეგები აქვთ საკუთარი მოსახლეობის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.
- შიმშილი და არასათანადო კვება ძალიან გავრცელებულია სამხრეთში. ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია ნატურალურ მეურნეობაში ჩართული ფერმერების იძულებით გადაადგილება ომის, მოსახლეობის მზარდი სიმჭიდროვის, ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწების პლანტაციებად გადაქცევის გამო, სადაც საექსპორტო კულტურები მოჰყავთ მყარი ვალუტის მისაღებად.
- ურბანიზაცია იზრდება მთელს გლობალურ სამხრეთში, რადგან ადამიანები სოფლიდან ქალაქებში გადადიან. ქალაქებში წარმოიშვა უზარმაზარი მივარდნილი უბნები, სადაც დასახლდა ღარიბი ხალხი, რომელიც ვერ შოულობს სამსახურს.
- დაიწყო ქალის როლის მნიშვნელობის აღიარება კაპიტალის დაგროვების პროცესში. ჩრდილოეთის საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს ქალების მიერ გლობალური სამხრეთის ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი წვლილის მხედველობაში მიღება.
- სამხრეთში არსებული სიღარიბის გამო, უამრავმა მიგრანტმა უკეთესი ცხოვრების იმედით ჩრდილოეთს მიაშურა. ამან საერთაშორისო პოლიტიკური დაპირისპირებები გამოიწვია. ომმა და რეპრესიებმა სამხრეთში წარმოშვა მილიონობით ლტოლვილი. საერთაშორისო სამართლისა და ნორმების მიხედვით, სახელმწიფოები, როგორც წესი, ვალდებული არიან, მიიღონ ლტოლვილები, მაგრამ არა მიგრანტები.
- ომი არის მთავარი დაბრკოლება ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების გზაზე და ზოგადად, სიმდიდრის დაგროვებისთვის ღარიბ ქვეყნებში.
- სიღარიბიდან სიმდიდრეში გადანაცვლება საჭიროებს კაპიტალის დაგროვებას. კაპიტალიზმი და სოციალიზმი განსხვავებულად უყურებს ამ პროცესს. კაპიტალიზმი ხაზს უსვამს ეკონომიკის მთლიან ზრდას სიმდიდრის მნიშვნელოვანი კონცენტრაციით, ხოლო სოციალიზმი ემხრობა სიმდიდრის სამართლიანად გადანაწილებას.

- სახელმწიფოების უმრავლესობას აქვს შერეული ეკონომიკა კაპიტალზე კერძო საკუთრების და სახელმწიფო საკუთრების რაღაც დოზით. თუმცა, სახელმწიფო საკუთრება ძალიან წარმატებული ჯერ არ ყოფილა სიმდიდრის დაგროვების თვალსაზრისით. შესაბამისად, ბევრი ქვეყანა ყიდის სახელმწიფოს კუთვნილ საწარმოებს (პრივატიზაცია), განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში.
- ლენინის დროიდან მოყოლებული, ბევრი მარქსისტი სამხრეთში არსებულ სიღარიბეს მიაწერს სიმდიდრის თავმოყრას ჩრდილოეთში. ამ თეორიის მიხედვით, ჩრდილოელი კაპიტალისტები სამხრეთს ეკონომიკურ ექსპლოატაციას უწევენ და შედეგად მიღებული სიმდიდრით ყიდულობენ მუშების ლოიალობას ჩრდილოეთში. ამიტომაც, რევოლუციები ხდება სამხრეთში და მიმართულია ჩრდილოეთის წინააღმდეგ.
- მსოფლიო სისტემის სკოლის მიმდევარი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები ამბობენ, რომ ჩრდილოეთი არის ბირთვი რეგიონი, რომელიც სპეციალიზდება სამრეწველო საქონლის წარმოებაში, სამხრეთი კი პერიფერიაა, რომელიც დაჯავებულია სოფლის მეურნეობით და ნედლეულის სამთო-მოპოვებითი საქმიანობით. ამ ორს შორის არიან ნახევრადპერიფერიული ქვეყნები მსუბუქი მრეწველობით.
- დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მესამე სამყაროს ქვეყნებს კოლონიალიზმის მემკვიდრეობა ერგოთ წილად, კერძოდ, მარტივი ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, რაც გარკვეულწილად ართულებდა სიმდიდრის დაგროვების პროცესს. ეს პრობლემები კვლავაც რჩება ბევრ ქვეყანაში.
- გლობალურ სამხრეთში ეკონომიკური განვითარება არათანაბრად მიმდინარეობს. უკანასკნელ წლებში ბევრი ღარიბი ქვეყანა, ჩინეთის მეთაურობით, საგრძნობლად გაიზარდა. ზრდა გლობალურ სამხრეთში ძლიერი იყო 2008-2009 წლების რეცესიის შემდეგ, თუმცა ბოლოს დროს შენელდა.
- არ დასტურდება ეკონომიკური ზრდის ძლიერი კავშირი სიმდიდრის გადანაწილების თვალსაზრისით შინ არსებულ არც თანასწორობასთან და არც უთანასწორობასთან.
- აზიაში მდებარე ახალი ინდუსტრიული ქვეყნების (NICs) – სამხრეთ კორეის, ტაივანის, ჰონ-კონგის და სინგაპურის მაგალითებიდან ჩანს, რომ სიღარიბიდან თავის დაღწევა და კაპიტალის მდგრადი დაგროვება შესაძლებელია.
- ჩინეთმა 1990-იანი წლებიდან ძლიერი ეკონომიკური ზრდა აჩვენა ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა კვალავაც ღარიბია ერთ სულ მოსახლეზე მონაცემების თვალსაზრისით, ეკონომიკური განვითარებით ის მსოფლიოში ყველაზე წარმატებულ მაგალითად რჩება.
- ექსპორტით გამოწვეულმა ზრდამ მნიშვნელოვანწილად შეცვალა იმპორტის ჩანაცვლება როგორც განვითარების სტრატეგია. ეს ასახავს ახალი ინდუსტრიული ქვეყნებისა და ჩინეთის გამოცდილებას და ასევე ეხმიანება შედარებითი უპირატესობის თეორიას.
- სახელისუფლებო კორუფცია განვითარების მთავარი დაბრკოლებაა გლობალურ სამხრეთში.
- ღარიბი ქვეყნების უმრავლესობაში ადგილობრივი კაპიტალის სიმწირის გათვალისწინებით, მრავალეროვნული კორპორაციების მიერ განხორციელებული უცხოური ინვესტიცია შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდის სტიმულირების საშუალება. კორპორაციები ეძებენ ხელსაყრელ ადგილობრივ პირობებს, მათ შორის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, რათა გადაწყვიტონ, თუ სად დააბანდონ ფული.
- 1970-იან და 1980-იანი წლების დასაწყისში ჭარბი სესხებისგან დაგროვილი ვალი მთავარი პრობლემაა გლობალურ სამხრეთში. პირობების თაობაზე ხელახალი მოლაპარაკებებით და ვალის მართვის სხვა ღონისძიე-

ბებით ჩრდილოეთმა და სამხრეთმა ბოლო წლებში გააუმჯობესეს ვითარება ამ თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, სამხრეთს კვლავაც მართებს ჩრდილოეთის 6 ტრილიონი აშშ დოლარი.

- საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) სამხრეთის ქვეყნებს სესხებს აძლევს ეკონომიკური და მმართველობითი რეფორმების პირობით. ეს შეთანხმებები პირობების თაობაზე ხშირად მოითხოვს პოლიტიკურად არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას, მაგალითად სურსათზე სუბსიდიების შეკვეცას.
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) სავაჭრო რეჟიმი გლობალური სამხრეთის წინააღმდეგ მუშაობს, რადგან ნებას რთავს მდიდარ ქვეყნებს, დაიცვან ის დარგები, სადაც სამხრეთს აქვს უპირატესობა – განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობა და საფეიქრო მრეწველობა. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) ამის კომპენსირებას სამხრეთიდან ექსპორტისთვის ბარიერების შემცირებით ცდილობს.
- უცხოური დახმარება, რომლის უმეტესობა ჩრდილოეთის ქვეყნების მთავრობებისგან მოდის, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამხრეთის ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების გეგმებში.
- უცხოური დახმარების უმეტესი ნაწილი შედგება ორმხრივი გრანტებისა და სესხებისგან, რომელსაც ჩრდილოეთის მთავრობები აძლევენ სამხრეთის კონკრეტული ქვეყნების მთავრობებს. ამგვარ დახმარებას ხშირად პოლიტიკურ ბერკეტად იყენებენ. ის ხელს უწყობს პროდუქტების ექსპორტს დონორი ქვეყნებიდან.
- ჩრდილოელი დონორები სხვადასხვა ჰუმანიტარულ მოდელს იყენებენ განვითარებად მსოფლიოში დახმარების გასანაწილებლად. ამ მოდელებს უპირატესობაც აქვთ და ნაკლიც.

ძირითადი ცნებები

განვითარებადი ქვეყნები
ათასწლეულის განვითარების მიზნები(MDG)
ადამიანის ძირითადი საჭიროებები
არასათანადო კვება
ნატურალური მეურნეობა
სასაქონლო კულტურები
ურბანიზაცია
მიწის რეფორმა
მიგრაცია
ლტოლვილები
ფულადი გზავნილები
მსოფლიო სისტემა
რესურსების წყევლა
იმპერიალიზმი
ნეოკოლონიალიზმი
დამოკიდებულების თეორია
ანკლავის ეკონომიკა
ეკონომიკური განვითარება
ახალი ინდუსტრიული ქვეყნები (NICs)
„ოთხი ვეფხვი"/ „ოთხი დრაკონი"
იმპორტის ჩანაცვლება
ექსპორტით გამოწვეული ზრდა
მიკროკრედიტი
ტექნოლოგიების ტრანსფერი
ტვინების გადინება
დეფოლტი
ვალის გადახედვა
საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირობები
უცხოური დახმარება
განვითარების ხელშეწყობის კომიტეტი(DAC)
ორმხრივი დახმარება
მრავალმხრივი დახმარება
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
მშვიდობის კორპუსი
ოქსფამი ამერიკა
კატასტროფის შედეგების შემსუბუქება

კითხვები კრიტიკული აზროვნებისთვის

1. ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში კოლონიალიზმისგან დამოუკიდებლობა თავად კოლონიზატორების შთამომავლებმა მოიპოვეს, აზიასა და აფრიკაში კი ძირითადად საკუთარი ძველი ისტორიის მქონე ადგილობრივმა მოსახლეობამ. როგორ ფიქრობთ, იქონია თუ არა გავლენა ამ ასპექტმა თითოეული ჯგუფიდან ერთი ან მეტი, კონკრეტული ქვეყნის პოსტკოლონიალურ ისტორიაზე?
2. ამჟამად შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე ჩრდილოეთში ხუთჯერ უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთში. თქვენ რომ მაგიური ძალით შეგეძლოთ მსოფლიოს შემოსავლების ისე გადანაწილება, რომ ყველას თანაბარი შემოსავალი ჰქონდეს (ერთ სულზე 16 ათასი აშშ დოლარი ყოველწლიურად), გააკეთებდით ამას? რა შედეგები ექნებოდა ამგვარ ცვლილებებს ჩრდილოეთსა და სამხრეთში?
3. მოცულობისა და შედეგების თვალსაზრისით, როგორ ედრება სამხრეთის ვალის პრობლემა აშშ-ის ვალის პრობლემას, რომელიც მე-5 თავშია განხილული? გამომდინარეობს ეს ორი ვალის პრობლემა მსგავსი მიზეზებიდან? რომელი პრობლემა მიგაჩნიათ უფრო სერიოზულად და რატომ?
4. ზოგიერთი მეცნიერი აკრიტიკებს საერთაშორისო სავალუტო ფონდს ღარიბი ქვეყნებისთვის პირობების წაყენების გამო, სხვები კი ტაშს უკრავენ მას ფინანსური დახმარების გაწევამდე სერიოზული რეფორმების მოთხოვნისთვის. თქვენ რომ იყოთ ლიდერი, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რა პირობებს დათანხმდებოდით და რას არა? რატომ?

მოდით, ვიმსჯელოთ

უცხოური დახმარება: განვითარების წამალი თუ პრობლემების სათავე?

მიმოხილვა

მილიარდობით დოლარის მოცულობის უცხოური დახმარება მიედინება ყოველწლიურად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებადი ქვეყნებისკენ. თუმცა, როგორც ამ თავში განვიხილეთ, განვითარების ხელშეწყობის კომიტეტისგან წამოსული უცხოური დახმარება ძალიან იცვლებოდა დროთა განმავლობაში. კომიტეტის წევრების მშპ-თან პროცენტული მიმართებით, უცხოური დახმარება სტაბილურად მცირდებოდა ბოლო ოთხ ათწლეულში. ამასთან, თუ აბსოლუტურ მაჩვენებლებში გავზომავთ, მოცულობა გაიზარდა. არის კი კომიტეტის წევრი ქვეყნების მიერ გაცემული დახმარება საკმარისი?

კომიტეტის არაწევრი ქვეყნებისგან წამოსული უცხოური დახმარებაც გაიზარდა აბსოლუტურ მაჩვენებლებში. მულტილატერალური ორგანიზაციები (საინვესტიციო ბანკები და გაერო) 40 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს აძლევენ გლობალურ სამხრეთს. კომიტეტის წევრი ქვეყნების კერძო დონორები დაახლოებით 50 მილიარდ აშშ დოლარს იძლევიან დახმარების სახით.

ბოლო ხანებში აღმოცენდა დებატები იმის თაობაზე, თუ რამდენი უნდა იყოს დახმარება. ზოგიერთი ცნობილი ეკონომისტი და პოლიტიკოსი კომიტეტის წევრებს მოუწოდებდა უცხოური დახმარების არსებითი გაზრდისკენ, იმაზე მეტადაც, რაც 11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ ვიხილეთ. თუმცა, არიან ისეთებიც, ვინც ეჭვით უყურებს ამ კურსის გონივრულობას. მართალია, სკეპტიკოსები არ ითხოვენ დახმარების შემცირებას, მაგრამ ისინი ირწმუნებიან, რომ დახმარების გაზრდა არ წაადგება საბო-

ლოო მიზნების მიღწევას, ანუ ეკონომიკურ განვითარებას. უნდა გაზარდონ კომიტეტის წევრმა ქვეყნებმა დახმარებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტები? ეს გაზრდა ხელს შეუწყობს განვითარებას თუ ხელს შეუშლის?

არგუმენტი 1

კომიტეტის წევრმა ქვეყნებმა არსებითად უნდა გაზარდონ უცხოური დახმარება

უცხოურ დახმარებას შეუძლია მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა. ჯანდაცვის კრიზისიდან დაწყებული, ინფრასტუქტურის, წერა-კითხვის გავრცელების პროგრამების ჩათვლითა და საკვები პროდუქტებით დახმარებით დამთავრებული, უცხოური დახმარება არსებითი შეიძლება იყოს ღარიბი სახელმწიფოებისთვის, რათა მათ განვითარების პროცესი დაიწყონ. უფრო მეტი დახმარება სიღარიბეში მცხოვრები მილიონობით ადამიანის ცხოვრების ხარისხს გაუმჯობესებს.

უცხოური დახმარების გაზრდა გაზრდის კეთილგანწყობას. შეერთებული შტატები და ევროკავშირი ეჯიბრებიან ჩინეთს გავლენაში ისეთ ადგილებში, როგორიცაა აფრიკა და ლათინური ამერიკა. ასეთ დროს, უცხოური დახმარება გააჩენს უფრო მჭიდრო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ კავშირებს მიმღებ ქვეყნებთან, რაც სავარაუდოდ ხელს შეუშლის ჩინეთს, შეიძინოს მოკავშირეები განვითრებად სამყაროში.

მეტი უცხოური დახმარება გაზრდის დასავლეთის უსაფრთხოებას. ღარიბი ქვეყნების სტაბილიზაციის მიზნით ფულისა და სხვა რესურსების გამოყოფით, კომიტეტის წევრი ქვეყნები სავარაუდოდ შეამცირებენ ისეთ უკმაყოფილო ინდივიდებს ამ ქვეყნებში, რომლებიც მათ პრობლემებს დასავლეთს დააბრალებენ. ამგვარი წყენა ხშირად ანტიდასავლურ ქცევაში გადაიზრდება ხოლმე – რადიკალური ფორმით, ტერორიზმის მხარდაჭერაში.

არგუმენტი 2

კომიტეტის წევრმა ქვეყნებმა არსებითად არ უნდა გაზარდონ უცხოური დახმარება

უცხოური დახმარების დიდი ნაწილი იფლანგება ან იპარავენ. ზოგიერთი ეკონომისტის გამოთვლით, ცალკეულ შემთხვევებში, უცხოური დახმარების ნახევარს კორუმპირებული ლიდერები და სახელმწიფო მოხელეები იპარავენ, ხოლო სხვა შემთხვევებში ის იფლანგება. უცხოური დახმარების გაზრდა არ ნაადგება განვითარებად ქვეყნებს. ეს უბრალოდ უიმედო საქმეში კიდევ მეტი ფულის ჩაყრას ჰგავს.

დიდი მოცულობის უცხოური დახმარება აჩენს დამოკიდებულებას. განვითარებადი ქვეყნები შეიძლება მიეჩვიონ დახმარების დიდ მოცულობებს და აღარ იზრუნონ განათლების, ჯანდაცვის ან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართულ საკუთარ პროგრამებზე. ეს დამოკიდებულება სამიშია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან მათ მოწყვლადს ხდის დონორი ქვეყნების პოლიტიკის მიმართ.

უცხოურმა დახმარებამ შეიძლება ხელყოს მიმღები ქვეყნის სუვერენიტეტი. დახმარების პროგრამების უმრავლესობას თან ახლავს პირობები. დახმარების მიღების წინაპირობაა, რომ განვითარებადმა ქვეყანამ უნდა მოახდინოს კონკრეტული ცვლილებები და შეასრულოს დავალებები. ეს სუვერენიტეტის ხელყოფის საკმაოდ აღმაშფოთებელი შემთხვევაა, რადგან მიმღები ქვეყნის დახმარების საფარქვეშ ხდება.

კითხვები

- უნდა გაზარდონ კომიტეტის წევრმა ქვეყნებმა დახმარებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტები არსებითად? ეს გაზრდა ხელს შეუშლის განვითარებას თუ ხელს შეუწყობს?
- ძალუძთ კომიტეტის წევრ ქვეყნებს უცხოური დახმარების არსებითი გაზრდა? რა უშლის ხელს მათ, რომ გასცენ მეტი დახმარება?

- კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციები (ეკლესიები, გეიტსების ფონდი და ა.შ.) ასევე გასცემენ მსუყე სახსრებს განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად. როგორ უნდა ითანამშრომლონ სახელმწიფოებმა და ამ ორგანიზაციებმა, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს საგარეო დახმარებაზე მიმართული მათი ძალისხმევა? როგორ ფიქრობთ, ზოგიერთ ამოცანას კერძო ორგანიზაციები უფრო უკეთ ხომ არ გაართმევენ თავს, ხოლო სახელმწიფოები – სხვა ამოცანებს?

დამატებითი საკითხავი:

- Easterly, William. The White Man's Burden: Why the West's Efforts to Aid the Rest Have Done So Much Ill and So Little Good. Penguin, 2007.
- Honig, Dan. Navigation by Judgment: Why and When Top Down Management of Foreign Aid Doesn't Work. Oxford, 2018.
- Swedlund, Haley J. The Development Dance: How Donors and Recipients Negotiate the Delivery of Foreign Aid. Cornell, 2017.
- Whitfield, Lindsay. The Politics of Aid: African Strategies for Dealing with Donors. Oxford, 2009.

თავი 8

გარემო და ტექნოლოგია



Oliver Berg/picture-alliance/dpa/AP Images

ქარის წისქვილი და ატომური ელექტროსადგური, ბრიტანეთი, 1980-იანი წლების შუა ხანები.

სასწავლო მიზნები

8.1 აღწერეთ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე არსებული კოლექტიური ქმედების პრობლემა ერთი კონკრეტული გლობალური გარემოსდაცვითი საკითხის მაგალითზე

8.2 შეაფასეთ წინაღობები, რომელიც ხელს უშლის გლობალური დათბობის პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო წარმატებულ საერთაშორისო შეთანხმებას

8.3 აღწერეთ სამი ვითარება, როდესაც ბუნებრივი რესურსების საჭიროებამ შეიძლება საერთაშორისო კონფლიქტი გამოიწვიოს

8.4 დაახასიათეთ დემოგრაფიული ტრანზიცია და ის, თუ რატომ არის ზოგიერთი ქვეყანა დაუცველი მოსახლეობის სწრაფი ზრდის მიმართ

8.5 აღწერეთ ორი გზა, თუ როგორ შეიძლება ინფორმაცია მთავრობების იარაღად იქცეს და ორი გზა, როდესაც ინფორმაცია შეიძლება მთავრობების წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული

8.1 ურთიერთდამოკიდებულება და გარემო

აღწერეთ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე არსებული კოლექტიური ქმედების პრობლემა ერთი კონკრეტული გლობალური გარემოსდაცვითი საკითხის მაგალითზე.

გარემოს წინაშე არსებული გლობალური საფრთხეები ურთიერთდამოკიდებულების მზარდი ნაყაროა. სახელმწიფოთა ქმედებები, რომელიც უკავშირდება დაბინძურებას, კონსერვაციას და ბუნებრივ რესურსებს, როგორც წესი, გავლენას სხვა სახელმწიფოებზეც ახდენს. იმის გამო, რომ გარემოსთან დაკავშირებული ეფექტები დიფუზიური ხასიათისაა, ხანგრძლივი დროით გრძელდება და ასევე ადვილად ვრცელდება ერთი ადგილიდან მეორეზე, საერთაშორისო გარემოსდაცვითი პოლიტიკა საზოგადოებრივი საქონლის სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს (იხ. თავი 1). მდგრადი ბუნებრივი გარემო საზოგადოებრივი საქონელია და ქვეყნები მოლაპარაკებებს აწარმოებენ იმაზე, თუ როგორ გადაინაწილონ ამ საქონლის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ხარჯები. გარემოს მართვასთან დაკავშირებული ტექნიკური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხები მრავალფეროვანია, მაგრამ სახელმწიფოების ინტერესების ძირითადი არსი არა. საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას ვაწყდებით ნებისმიერ საკითხზე, რომელიც გარემოს, რესურსებსა და მოსახლეობას უკავშირდება.

მაგალითად, საერთაშორისო წყლებში თევზჭერის არეალები არ ეკუთვნის არცერთ სახელმწიფოს; ისინი საზოგადოებრივი საქონელია. სხვადასხვა თევზმჭერმა ქვეყანამ უნდა ითანამშრომლოს ერთმანეთთან (ნაწილობრივ იმით, რომ დაარეგულირონ არასახელმწიფო აქტორების საქმიანობა, როგორიცაა მრავალეროვნული კორპორაციები), რათა თავიდან აიცილონ თევზის მარაგების ამოწურვა. თუ ქვეყნების საკმარისად დიდი რაოდენობა არ დათანხმდება თანამშრომლობას, თევზის რაოდენობა შემცირდება და შესაბამისად თითოეული ქვეყნის თევზჭერის მაჩვენებელი დაეცემა. და მართლაც, 1997-2007 წლებში, თევზჭერა მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვნად შემცირდა. შეფასებების თანახმად, დიდი თევზის მარაგების 90 პროცენტი გაუჩინარდა. თევზის სარეწი სახეობების მარაგების ამოწურვის შემდეგ, მეთევზეები ზღვის პროდუქტების ახალ სახეობებზე გადავიდნენ, თუმცა მათ უკვე ამოწურეს ამ სახეობების მესამედი, დარჩენილი რაოდენობის ამოწურვა კი ამ საუკუნის შუა წლებშია ნავარაუდევი. იმის გამო, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით სახელმწიფოებმა ვერ გადაწყვიტეს თევზჭერის, როგორც საზოგადოებრივი საქონლის პრობლემა, მათ ყოველწლიურად თავიანთი ქვეყნების გაკოტრებულ თევზჭერის ინდუსტრიებში 20 მილიარდი აშშ დოლარის სუბსიდიების გადახდა უწევთ. ამ სუბსიდიების გაცემის შეჩერების მცდელობამ კრახი განიცადა 2017 წლის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეხვედრებზე, რამაც ევროკომისარს სავაჭრო საკითხებზე უბიძგა წუწუნით ეთქვა, რომ

„ჩვენ იმაზეც კი ვერ ვთანხმდებით, რომ უკანონო თევზჭერის სუბსიდირება შევაჩეროთ!“


მარაგის ამოწურვის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ყოველი ზედმეტი თევზსაჭერი ნავი – და შესაბამისად, ის მრავალეროვნული კორპორაცია თუ სახელმწიფო, რომელსაც ის ეკუთვნის – სარგებელს იღებს დამატებითი რაოდენობის თევზის დაჭერისგან. ამ თევზით მიღებული სარგებელს მხოლოდ მომპოვებელი იღებს, მაშინ როცა ამოწურული მარაგებისგან მიყენებულ ზიანს ყველა იზიარებს, ვინც იმ კონკრეტულ ადგილას თევზაობს. მაგრამ რა რაოდენობის თევზის დაჭერა იქნება სამართლიანი განაწილება ერთი სახელმწიფოს შემთხვევაში? რადგან არ არსებობს მსოფლიო მთავრობა, რომელსაც შეუძლია ასეთი საკითხის გადაწყვეტა, სახელმწიფოებმა უნდა გამართონ მრავალმხრივი მოლაპარაკებები, გააფორმონ ხელშეკრულებები და ჩამოაყალიბონ რეჟიმები. ასეთი მცდელობები ახალ პერსპექტივებს აჩენს ფუნქციონალიზმისა და საერთაშორისო ინტეგრაციისთვის, მაგრამ პარალელურად ქმნის ახალ შესაძლებლობას კონფლიქტისა და ე.წ. „პატიმრის დილემისთვის“.

1999 წელს გაეროს ეგიდით მიღწეული შეთანხმება მსოფლიოს წამყვან თევზმჭერ ქვეყნებს შორის მიზნად ისახავს თევზსაჭერი ფლოტილიის ჭარბი საწარმოო სიმძლავრეების შემცირებას. (მსოფლიოში ოთხი მილიონი თევზსაჭერი გემი ოპერირებს, რომელთაგან 40 ათასი ას ტონაზე მეტი წყალწყვისაა). ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები თევზმჭერი ფლოტილიების ზომას ზედა ზღვრებს უწესებენ, შემდეგ თანდათანობით კვეცენ მათ მასშტაბს და პარალელურად კი ამცირებენ სუბსიდიებს. უმუშევრობითა და ახალ საქმიანობაზე გადაწყობით გამოწვეული უხერხულობა ყველამ უნდა გაიზიაროს. მაგრამ, იმის გამო, რომ ეს შეთანხმება ნებაყოფლობითია, განხორციელება ფერხდება და მისი ეფექტებიც განადგურების პირას მყოფ თევზსარეწ ადგილებზე, ალბათ, არასაკმარისი და დაგვიანებულიც კია.

საზოგადოებრივი საქონლის ამ ტიპის დილემას **„საერთო საკუთრების ტრაგედიას“** უწოდებენ. საუკუნეების წინ საერთო საკუთრებაში შედიოდა საძოვარი მიწა დიდ ბრიტანეთში. როგორც მეთევზეობის შემთხვევაში, თუ მეტისმეტად ბევრ ადამიანს ეყოლებოდა მეტისმეტად ბევრი ცხვარი, ეს საძოვრები გაპარტახდებოდა. თუმცა, ფარასთვის თითო ცხვრის მიმატება მომგებიანი იყო მისი მფლობელისთვის. ბრიტანეთმა პრობლემის გადასაჭრელად საერთო საკუთრების **შემოღობვა** დაიწყო – დაყო რა ის კერძო მფლობელობაში არსებულ პატარა ნაწილებად, რითაც თითოეულ მესაკუთრეს სტიმული მისცა პასუხისმგებლობით მოეხდინა რესურსების მართვა. მსოფლიოს ქვეყნებიც სანაპირო თევზსაჭერებთან დაკავშირებით მსგავსად მოიქცნენ, გაზარდეს რა ტერიტორიული წყლების არეალი და ცალკეული ქვეყნის კონტროლის ქვეშ უფრო მეტი თევზი მოაქციეს. *გლობალური საერთო საკუთრება* გულისხმობს დედამიწის იმ ნაწილებს, რომლებიც ყველას ეკუთვნის, მაგალითად, ოკეანეებსა და კოსმოსს.

საერთო საკუთრების ტრაგედია (Tragedy of the Commons)
საზოგადოებრივი საქონლის დილემა, რომელიც წარმოიშობა, როდესაც საერთო საკუთრებაში არსებული ეკოლოგიური რესურსები (როგორიც არის მსოფლიოს თევზის მარაგები) გამოილევა ან გაუარესდება, იმის გამო, რომ სახელმწიფოები ეფექტიანად თანამშრომლობას ვერ ახერხებენ. ერთ-ერთი გამოსავალი არის საერთო საკუთრების „შემოღობვა“ (მისი დანაწილება ინდივიდუალურ მესაკუთრეებს შორის); ასევე ნაწილობრივი გამოსავალი შესაძლოა საერთაშორისო რეჟიმების შექმნაც იყოს.

შემოღობვა (Enclosure)
საერთო სივრცის ან საქონლის დანაწევრება კერძო მფლობელობაში გადაყვანის გზით და ინდივიდუალური მესაკუთრეებისთვის რესურსების უფრო პასუხისმგებლიანად გამოყენების მოტივაციის გაჩენა.



რატას სავქმა გლობალური თევზსარენი მარაგების შემცირება საერთო საკუთრების ტრაგედიის მაგალითია, როდესაც საზოგადოებრივი საქონლის (ამ შემთხვევაში თევზი) გადაჭარბებული მოხმარება ხდება, რის შედეგადაც საბოლოოდ ყველა უფრო ზიანდება. მესაძლოა მეთანხმება მედგეს და საზოგადოებრივი საქონელი გარკვეულ ქვეყნებს გადაეცეთ, თუმცა ეს შეთანხმებები უნდა შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთო საკუთრების ტრაგედია ისევ იჩენს თავს. ამ სურათზე, ტაილანდის ფლოტის წევრები ამორმებენ ნავს უკანონო თევზჭერის გამოვლენის მიზნით, 2016 წელს)

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის სხვა სფეროების მსგავსად, გარემოსდაცვითი საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის მოგვარება დამოკიდებულია საზიარო სარგებლის მიღწევაზე, რაც, თავის მხრივ, ინტერესთა კონფლიქტის დაძლევის შედეგად არის შესაძლებელი. *რეჟიმები* პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (იხ. თავი 3). ისინი ორმხრივობის პრინციპის შესაბამისად განსაზღვრავენ წესებს, რომელთა საფუძველზე დგება გარიგებები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ მიიღებს სარგებელს და ვინ გასწევს გარემოსდაცვით ხარჯებს. ფუნქციონალური საერთაშორისო ორგანიზაციები სპეციალიზდებიან გარემოსდაცვითი საკითხების ტექნიკურ და მართვით ასპექტებში.

ეს ორგანიზაციები სულ უფრო მეტად ითქვიფებიან სხვადასხვა ქვეყნის გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარების გზებზე მომუშავე ექსპერტების ფართო წრესთან; ამ საზოგადოებებს *ეპისტემიურ საზოგადოებებსაც* უწოდებენ (ცოდნაზე დამყარებული საზოგადოებები). მაგალითად, ეპისტემიური საზოგადოებაა ხმელთაშუა ზღვაში დაბინძურების საკითხის შემსწავლელი ექსპერტებისა და ამ სფეროში გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტების ტრანსნაციონალური ერთობა.

გლობალურ გარემოსდაცვით პოლიტიკაში აქტორების სიმრავლე ართულებს საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის მართვას. საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფა უფრო იოლია მცირე ჯგუფებში, რომელშიც ინდივიდუალური ქმედებები უფრო დიდ გავლენას ახდენს მთლიან სურათზე და თაღლითობა მეტადაა შესამჩნევი. სხვა სიტუაციაა გარემოს დაცვის შემთხვევაში. თითქმის 200 სახელმწიფოს ქმედებები (თუმცა ზოგი უფრო მეტად, ვიდრე დანარჩენები) ერთობლიობაში არაპირდაპირ, მაგრამ სერიოზულ შედეგებს იწვევს მსოფლიოს მასშტაბით.

8.1.1 მდგრადი განვითარება

მდგრადი განვითარება ისეთ ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს, რომელიც არ იწვევს რესურსების ამოწურვას და ეკოსისტემის იმდენად სწრაფ განადგურებას, რომ თავად ეკონომიკურ ზრდას საფუძველი გამოეცალოს. ეს კონცეფცია ესადაგება როგორც ინდუსტრიულ რეგიონებს, ასევე გლობალურ სამხრეთს.

1992 წელს „დედამიწის სამიტის“ ფარგლებში შეიქმნა მდგრადი განვითარების კომისია, რომელიც მონიტორინგს უწევს, რამდენად ასრულებენ ქვეყნები „დედამიწის სამიტზე“ გაცემულ დაპირებებს და ამისთვის

ის ასევე განიხილავს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, მაგალითად, „გრინპისის“ (Greenpeace) მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. 2013 წელს კომისია მდგრადი განვითარების შესახებ მაღალი დონის პოლიტიკურმა ფორუმმა ჩაანაცვლა. თუმცა, ამ ახალ ფორუმს, მისი წინამორბედის მსგავსად არ აქვს იმის უფლებამოსილება, რომ ეროვნულ მთავრობებს დანაპირებების აღსრულება აიძულოს – რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქვეყნის სუვერენიტეტის უპირატესობას სუპრანაციონალურ ორგანოებზე. გაეროს ყველა წევრს შეუძლია ფორუმის საქმიანობაში მონაწილეობა. ფორუმის შესაძლებლობამ, რომ ზედამხედველობა გაუწიოს და გაასაჯაროვოს სახელმწიფოთა ქმედებები, წესით, სახელმწიფოებს უნდა გადააფიქრებინოს მოტყუება (კონსტრუქტივისტი მეცნიერების მიერ შემოთავაზებული „საჯაროდ გაკიცხვის“ ერთგვარი ვერსიაა). თუმცა, პროგრესი ნელია.

ჩინეთი და აზიის სხვა განვითარებადი ქვეყნები მდგრადი განვითარების ირგვლივ მიმდინარე დებატების ეპიცენტრში არიან. სწრაფი ეკონომიკური ზრდის პროცესში, ამ ქვეყნებმა სერიოზული დაბინძურება და სხვა გარემოსდაცვითი პრობლემები გამოიწვიეს. 2013 წლის დასაწყისში პეკინის დაკვამლიანებამ საგრძნობლად გადააჭარბა საშიშ დონეს და ადამიანებს, რომლებსაც ქუჩაში ხანგრძლივად ყოფნა უწევდათ, თვალის ლორწოვანი გარსი გაუღიზიანდათ და ფილტვები დაუზიანდათ. ჩინეთის მასშტაბის გათვალისწინებით, მისი ეკონომიკის განვითარებას ინდუსტრიალიზაციის დასავლური სტანდარტების შესაბამისად (მაგალითად, ავტომობილების მასობრივი შეძენა), შეუძლია დარტყმა მიაყენოს გლობალურ გარემოს. უკანასკნელ წლებში, ჩინეთის მიერ ბუნებრივი ნედლეულის მოსაპოვებლად მთელი პლანეტის მასშტაბით აქტიურობის პარალელურად, ის ასევე ლიდერი გახდა მწვანე ტექნოლოგიის განვითარებაში. მაგალითად, ამჟამად ჩინეთი დომინირებს მზის პანელების წარმოებაში. 2013 წელს ჰაერის დაბინძურების კრიზისის შემდეგ ჩინეთის მთავრობამ მკაცრი შეზღუდვები დააწესა ჰაერის დაბინძურებაზე. მაგრამ ჩინეთის ზრდა მეტწილად კვლავაც ბინძური, ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურების ხარჯზე მიმდინარეობს.

8.2 გარემოს მართვა

შეაფასეთ წინაღობები, რომელიც ხელს უშლის გლობალური დათბობის პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო წარმატებულ საერთაშორისო შეთანხმებას.

გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების უმრავლესობა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა თუ ხალხების წინაშე არსებულ საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას უკავშირდება.

8.2.1 ატმოსფერო

დედამიწის ატმოსფეროს სიჯანსაღის შენარჩუნება სასარგებლოა ადამიანებისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მიუხედავად იმისა, თუ რა როლს ასრულებს მათი ქვეყანა ატმოსფეროსთვის პრობლემის შექმნასა თუ მის მოგვარებაში. ატმოსფეროს ორი პრობლემა გახდა ძირითადი საერთაშორისო საზრუნავი: გლობალური დათბობა და ოზონის შრის შემცირება.

გლობალური დათბობა (Global Warming)

მსოფლიოს საშუალო წლიური ტემპერატურის ნელი მაგრამ გრძელვადიანი ზრდა, რომელიც გამოწვეულია ნიაღისეული საწვავის – ნავთობი, ქვანახშირი და ბუნებრივი აირი – წვისგან წარმოქმნილი სათბურის გაზების ემისიის შედეგად. იხ. ასევე *სათბურის გაზები*.

გლობალური დათბობა გლობალური კლიმატის ცვლილება იგივე **გლობალური დათბობა** არის საშუალო წლიური ტემპერატურის გრძელვადიანი ზრდის პროცესი. სულ უფრო მეტი და უდავო მტკიცებულება მიუთითებს, რომ გლობალური დათბობა ნახშირორჟანგისა და სხვა გაზების ემისიით გამოწვეულ რეალურ პრობლემას წარმოადგენს და, რაც მთავარია, მომავალში ეს პრობლემა უფრო გაუარესდება. გასულ ათწლეულში გლობალური დათბობის საკითხმა პოლიტიკური დღის წესრიგის მოწინავე რიგებში გადაინაცვლა არქტიკული ყინულის მასიური ლღობის, ჭირვეული ამინდის და გამანადგურებელი ქარიშხლების, მათ შორის 2017 წელს, სამი მთავარი ქარიშხლის გამო, რომელთა მიერ მიყენებულმა ზარალმა 250 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. სამწუხაროდ, საერთაშორისო საზოგადოებამ მხოლოდ მცირედ წარმატებას მიაღწია ამ პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით.




არამდგრადი განვითარებადი ქვეყნები, როგორიც ჩინეთია, მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ქვანახშირზე და სხვა ბინძურ ტექნოლოგიებზე საჭირო ნედლეულის და ენერგიის მისაღებად. სწრაფი ეკონომიკური ზრდის პარალელურად, ჩინეთი, პირდაპირი მნიშვნელობით, იგუდება მის მიერვე გამოწვეული ჰაერის დაბინძურებით. 2013 წელს, პეკინის ჰაერის ხარისხი დიდად აღემატებოდა დაბინძურების შკალის ყველაზე სამიშ მაჩვენებელს, რამაც ჩინეთის მთავრობას უბიძგა მნიშვნელოვნად შეეზღუდა ნიაღისეული საწვავის გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი პოლიტიკის წყალობით ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი გაუმჯობესდა, დაბინძურება კვლავ მნიშვნელოვნად ნარჩუნდება. სურათზე, ოჯახის წევრები იღებენ ფოტოს სმოგში ჩაფლული შანხაის ფონზე, 2018 წელს.

პროგნოზთა უმეტესობის თანახმად, თუ არაფერი გაკეთდა, მომავალი ათწლეულების განმავლობაში, გლობალურმა ტემპერატურამ შესაძლოა, 3-დან 10 გრადუს ფარენგეიტამდე მოიმატოს. რამდენიმე ათწლეულში პოლარულმა „ყინულის ქუდებმა“ შეიძლება დნობა დაიწყოს, რაც გამოიწვევს ზღვის დონის რამდენიმე ფუტით აწევას. 2012 წლის კვლევებმა დაადასტურა, რომ დათბობის ტენდენცია იმაზე უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ამის წარმოდგენა ყველაზე ცუდი სცენარით შეიძლებოდა. არსებული მონაცემების თანახმად, ათი ყველაზე თბილი წელი 1998 წლიდან ფიქსირდება და აქედან ხუთი 2010 წლის შემდეგ იყო. გლობალურ დათბობას შეუძლია დატბოროს სანაპირო ქალაქები და გაანადგუროს დაბლობი ტერიტორიები, როგორიცაა, მაგალითად, ბანგლადეშის და ჩინეთის მჭიდროდ დასახლებული სანაპიროები. სასწრაფო რეაგირებას ითხოვენ წყნარი ოკეანის აუზის სახელმწიფოები, რომელთა არსებობა სავარაუდოდ, ამ საუკუნეში შეწყდება. მართლაც, იმის გამო, რომ საერთაშორისო საზოგადოებისგან რეაგირების იმედი თითქმის

არ ჰქონდათ (საფუძვლიანადაც), ზღვის დონიდან დაბალ სიმაღლეზე მდებარე მალდივებმა ფონდი შექმნეს იმისთვის, რათა სხვა ქვეყანაში შეიძინონ მიწა, სადაც საკუთარი 300,000 მცხოვრების გადაყვანას შეძლებს, რადგან მათ ტერიტორიას გაქრობა ემუქრება.

გრაფიკი 8.1 პოტენციური არქტიკული ნაოსნობის მარშრუტები

წყარო: გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა



გლობალური კლიმატის ცვლილებამ უკვე იჩინა თავი ბევრ რეგიონში გამოწვეული გვალვებით, წყალდიდობებით, ყინვითა თუ ბუნებრივი ეკოსისტემების ფართომასშტაბიანი ნგრევით. თუმცა, პარალელურად შესაძლებელია, რომ კლიმატურმა ცვლილებებმა ზოგიერთ რეგიონს სარგებელიც მოუტანოს და გაზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის დონე. პოლარული ყინულის გადნობა გზას გაუხსნის საზღვაო გადაზიდვის ახალ მარშრუტებს კანადის ჩრდილოეთსა და რუსეთისთვის, რადგანაც ტრანზიტის სავარაუდო დრო ჩრდილოეთ ევროპასა ან ამერიკასა და აზიას შორის შეიძლება რამდენიმე კვირითაც კი შემცირდეს (იხ. გრაფიკი 8.1). ეს ბუნებრივია, უზარმაზარი მეღავათია მსოფლიო ბიზნესისთვის. მეტიც, არქტიკის ზღვები ნავთობისა და გაზის დიდ მარაგს შეიცავენ, რაც ყინულის დნობის შემდეგ კომერციულად ხელმისაწვდომი გახდება (და, რაც არ უნდა ირონიულად ჟღერდეს, კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს გლობალურ დათბობას).

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) რომლის მთავარი ფუნქციაა ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი, მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციასთან ერთად გლობალურ კლიმატში წლიდან წლამდე მიმდინარე ცვლილებებს იკვლევს. 1989 წლიდან გაეროს ეგიდით მომუშავე კლიმატის ცვლილების მთავრობათშორისი კომისია (IPCC) ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებების ფორუმის ფუნქციას ასრულებს. 2013 წელს კომისიამ გამოაქვეყნა მთელი მსოფლიოს მასშტაბით

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UN Environmental Program)

გაეროს პროგრამა, რომელიც გარემოსდაცვითი მდგომარეობის მონიტორინგს ახორციელებს და სხვა აქტივობებთან ერთად თანამშრომლობს მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციასთან გლობალური კლიმატის ცვლილებების გამოსაკვლევად.

მოღვაწე მეცნიერების ანგარიში, რომელიც ასკვნიდა, რომ გლობალური დათბობა „უდავოდ“ ადამიანის ქცევის შედეგად იყო გამოწვეული.

სათბურის გაზები (Greenhouse Gases)

ნახშირორჟანგი და სხვა გაზები, რომლებიც ატმოსფეროში კონცენტრაციის პირობებში სათბურის მინის ეფექტს იძენენ, აკავებენ ენერგიას ატმოსფეროში და იწვევენ გლობალურ დათბობას.

გლობალური დათბობის გამომწვევი გაზების – ძირითადად ნახშირორჟანგის – შემცირება ძვირი ჯდება. ეს გაზები ინდუსტრიული ეკონომიკის წარმმართველი აქტივობების ფართო სპექტრის შედეგად წარმოიქმნება. ისინი წიაღისეული საწვავის (ნავთობის, ნახშირის და ბუნებრივი აირის) წვისგან წარმოქმნილ პროდუქტებს წარმოადგენენ, რაც საჭიროა მანქანების, ტრაქტორების, ღუმელების, ქარხნების და ა.შ. სამუშაოდ. ეს აქტივობები წარმოქმნის სათბურის გაზებს. მათ „სათბურის გაზებს“ იმიტომ უწოდებენ, რომ ატმოსფეროში თავმოყრისას ისინი მოქმედებენ სათბურის მინის მსგავსად: იღებენ ენერგიას მოკლე ტალღური მზის რადიაციის სახით, მაგრამ ირეკლავენ უკან, როცა ენერგია ცდილობს ისევ გავიდეს, როგორც გრძელტალღოვანი სიცხის ტალღები. სათბურის გაზებია *ნახშირორჟანგი* (რომელიც პასუხისმგებლია დათბობის ეფექტის ორ მესამედზე), *მეთანის გაზი, ქლორფტორნახშირბადი* (CFCs) და *აზოტის ოქსიდი*. დიზელის ძრავებიდან გამოყოფილ ნაწილაკებს (გლობალურ ჩრდილოეთში) და ჭუჭყიან გაზქურებს (სამხრეთში) ასევე შეაქვთ მნიშვნელოვანი წვლილი. ირონიულია, რომ „ქლაუდზე“ შენახული ინფორმაცია, რომელსაც ერთი შეხედვით შეხება არ აქვს გარემოსთან, რეალურად განთავსებულია მონაცემთა ცენტრებში, რომლებიც უზარმაზარი რაოდენობის ელექტროენერგიას იყენებენ და ამუშავებენ დიზელის დიდ გენერატორებს, რითიც წვლილი შეაქვთ გლობალურ დათბობაში.

ამგვარად, სათბურის ეფექტის შემცირება ნიშნავს ეკონომიკის ზრდის შეფერხებას ან მის გადაყვანას სრულიად ახალ ტექნოლოგიურ რელსებზე, რაც ორივე შემთხვევაში მეტისმეტად ძვირადღირებულია. ამგვარი ქმედებების პოლიტიკური საფასური – სავარაუდოდ, გაზრდილი უმუშევრობის, შემცირებული კორპორატიული მოგებისა და პირადი შემოსავლების გამო – უმკაცრესი იქნება. თუ არქტიკული ყინული დადნება, პოლარულ დათვებს გადაშენების საფრთხე დაემუქრება, მაგრამ მათ არ აქვთ ადგილი კლიმატის შესახებ გამართულ საერთაშორისო მოლაპარაკებების მაგიდასთან. ასეთი ადგილი არც დღევანდელ ბავშვებს აქვთ, რომლებსაც ხმის მიცემა არ შეუძლიათ, მაგრამ მოუწევთ იცხოვრონ უფროსების გადაწყვეტილებების და ქმედებების გრძელვადიან შედეგებთან ერთად.

ცალკეული სახელმწიფოებისთვის სათბურის გაზების ემისიის შემცირებასთან დაკავშირებული ხარჯები ფაქტობრივად არ არის დაკავშირებული პრობლემის მოგვარების სარგებელთან. თუ ერთი სახელმწიფო შეამცირებს თავის სამრეწველო წარმოებას ან ძვირადღირებულ ინვესტიციებს ჩადებს ახალ ტექნოლოგიებში, ამას გრძელვადიან პერსპექტივაში ნაკლები ეფექტი ექნება იმ შემთხვევაში, თუ სხვა ქვეყნებიც იგივეს არ გააკეთებენ. მაგრამ თუ ქვეყნების უმრავლესობა მსგავს ნაბიჯებს გადადგამს, „უბილეთო მგზავრი“, ვინც არ მიბაძავს სხვებს, დაზოგავს ფულს

და მაინც მოგებული დარჩება ამ გადაწყვეტილებით.

ამგვარად, გლობალური დათბობა ქვეყნებს სამმაგი დილემის წინაშე აყენებს. პირველი: აირჩიოს მოკლევადიანი (და პროგნოზირებადი) ხარჯები გრძელვადიანი (და ნაკლებად პროგნოზირებადი) სარგებლის მისაღებად; მეორე: მხოლოდ კონკრეტულ ჯგუფებს, მათ შორის ნავთობკომპანიებს და სამრეწველო სფეროს უწევთ საფასურის გაღება, მაშინ როცა, სარგებელს მთელი საზოგადოება იღებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე. მესამე: ქვეყნებს შორის არსებობს საზოგადოებრივი საქონლის დილემა: სარგებელი ნაწილდება გლობალურად, მაგრამ ხარჯები უნდა იქნას ამოღებული თითოეული ქვეყნიდან ინდივიდუალურად (იხ. რუბრიკა საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები).

საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ურთიერთობები

კლიმატის ცვლილება

კლიმატის ცვლილება და ამის შედეგად ჩვენი ბუნებრივი გარემოსთვის შექმნილი საფრთხეები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში წამყვანი პოლიტიკური საკითხი გახდა. გლობალური დათბობის საწინააღმდეგო მიდგომები ფართოდ განიხილება და ხორციელდება საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე. თუმცა, ეს მიდგომები, შესაძლოა საკმაოდ საკამათოც კი იყოს.

როგორც ამ თავში ვნახეთ, ძირითადი უთანხმოება გლობალური დათბობის შემცირების მიზნით გატარებულ პოლიტიკებთან მიმართებაში უკავშირდება დანახარჯების და მათი გადანაწილების საკითხებს. გარდა ამისა, სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად აფასებს საფრთხის სიმწვავეს. ზოგიერთი კლიმატის ცვლილებას მნიშვნელოვან საფრთხედ მიიჩნევს და სასწრაფო ცვლილებებს მოითხოვს საფრთხის შესამცირებლად. სხვები კლიმატის ცვლილებებს ნაკლებ საფრთხედ მიიჩნევენ.

2017 წელს Pew-ის გლობალური დამოკიდებულებების კვლევის ფარგლებში 38 ქვეყანაში ჩაატარეს გამოკითხვა გლობალური დათბობის საფრთხის აღქმასთან დაკავშირებით. გრაფიკი 8.2. აჩვენებს ამ გამოკითხვის შედეგებს. ქვეყნების უმრავლესობაში, მოსახლეობის ნახევარზე მეტი გლობალურ დათბობას მთავარ საფრთხედ მიიჩნევს (მედიანა ქვეყნების მიხედვით იყო 61 პროცენტი). ამ შეხედულებების ქვეყნების მიხედვით განხილვა საინტერესო ტენდენციებს აჩვენებს, თუმცა, თითოეულ ამ ტენდენციას გამონაკლისებიც გააჩნია. მაგალითად, იმ ქვეყნებში, რომლებსაც დიდი სანაპირო ზოლი აქვთ და რომლებიც შესაძლოა უფრო მეტად დაზარალდნენ გლობალური დათბობის შედეგად, მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს კლიმატურ ცვლილებებს პრობლემად. მოსახლეობის 75 პროცენტზე მეტს ჩილეში, საბერძნეთში, პერუში, სამხრეთ კორეასა და ესპანეთში სჯერა, რომ კლიმატის ცვლილება მთავარი საფრთხეა. თუმცა, ამ მხრივ გამონაკლისებიც არსებობს: ისრაელის და ინდოეთის მოსახლეობის უფრო მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ გლობალური დათბობა საფრთხეა, მაშინ როცა ორივე ქვეყანას შესაძლოა უზარმაზარი ზიანი მიადგეს ზღვის დონის მომატების შედეგად.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, ზოგადად,


უფრო ნაკლებ საფრთხედ მიიჩნევენ გლობალურ დათბობას. ისრაელში, იორდანიაში, ტუნისსა და თურქეთში მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ღელავს კლიმატის ცვლილებებზე. თუმცა, ლიბანში (სანაპირო სახელმწიფო) მოსახლეობის 60 პროცენტამდე მიიჩნევს კლიმატის ცვლილებას გამოწვევად. როგორც ჩანს, სიმდიდრე და წუხილები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ერთმანეთთან კორელაციაშია. იმ სახელმწიფოებში, სადაც ერთ სულ მოსახელზე მშპ-ს მაჩვენებელი დაბალია, ასევე მცირეა მოსახლეობის რაოდენობა, ვინც კლიმატის ცვლილებას საფრთხედ აღიქვამს. ამ ქვეყნებს შორის არის: განა, ინდოეთი, იორდანია, ნიგერია და ტუნისი. ამავდროულად, კენიელების და ტანზანიელების შემთხვევაში ეს მონაცემები ყველაზე მაღალია.

რა თქმა უნდა, მაშინაც კი როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი თანხმდება, რომ კლიმატის ცვლილება საფრთხეა, ეს არ არის გარანტია, რომ ქვეყანა გარკვეულ ზომებს მიიღებს. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ მთავრობა არადემოკრატიულია და არ რეაგირებს საზოგადოებრივ აზრზე. ან შესაძლოა ინტერესთა ჯგუფებმა, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით ცდილობენ პოლიტიკის განხორციელებას, გავლენა მოახდინონ მთავრობის პოლიტიკაზე. მაგალითად, გამოკითხვამ აჩვენა, რომ მაშინ

გრაფიკი 8.2 კლიმატის ცვლილება მთავარი საფრთხეა

წყარო: Pew Research Center

პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ეთანხმება, რომ კლიმატის ცვლილება მთავარი საფრთხეა



როცა ამერიკელების 56 პროცენტი კლიმატის ცვლილებას საფრთხედ მიიჩნევდა, სწორედ ამ წელს მიიღო ტრამპის ადმინისტრაციამ აშშ-ის პარიზის შეთანხმებიდან გასვლის გადაწყვეტილება.

ეს მრავალმხრივი ტენდენციები აჩვენებს კლიმატის ცვლილების საკითხის კომპლექსურ ხასიათს და თუ რატომ გართულდა საერთაშორისო შეთანხმებების მიღწევა. ამ საკითხზე სახელმწიფოთა კოალიციის ჩამოყალიბება უფრო რთულია. ამ მდგომარეობამ, რომელსაც თან ერთვის სათბურის გაზების ემისიასთან ბრძოლის ხარჯები, საბოლოო ჯამში საერთაშორისო დონეზე მცირე პროგრესი მოიტანა.

მესამე დილემას ართულებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაყოფა. როგორ შეძლებენ დღევანდელ ღარიბი ქვეყნები (ჩინეთი და განსაკუთრებით, ინდოეთი) ინდუსტრიალიზაცია ისე მოახდინონ, რომ სათბურის გაზების ემისიის დაშვებულ ზღვარს არ გასცდნენ? სათბურის გაზები წარმოიქმნება თითოეული ქვეყნის მიერ განხორციელებული ინდუსტრიული საქმიანობის პროპორციულად. სათბურის გაზების ემისიის 70 პროცენტი ამჟამად მოდის ჩინეთზე, აშშ-ზე, ევროკავშირის სახელმწიფოებზე, იაპონიაზე, რუსეთსა და ინდოეთზე. მთლიანი ემისიის 45 პროცენტი კი შეერთებული შტატებიდან და ჩინეთიდან არის. აშშ-ს ნახშირორჟანგის ემისიები, რომელიც წლიურად ერთ ადამიანზე 18 ტონას შეადგენს, ორჯერ აღემატება ევროპის და ჩინეთის ანალოგიურ მონაცემებს (თუმცა, ახლა ჩინეთის ემისიის მთლიანი მაჩვენებელი აჭარბებს შეერთებული შტატებისა და კანადის ერთობლივ მაჩვენებელს). და მაინც, გლობალური დათბობის ყველაზე მკაცრი შედეგები, ალბათ, გლობალურ სამხრეთში იგრძნობა. მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში, მაგალითად, ბანგლადეშში, ასობით მილიონი ადამიანის საცხოვრებელი ადგილი და სამეურნეო ფართი საშიშროების წინაშე დგას ზღვის მზარდი დონის გამო. თუმცაღა ჩრდილოეთ-სამხრეთს შორის განსხვავებებს იმის გაცნობიერება აქარწყლებს, რომ გლობალური კლიმატის ცვლილებას თანაბრად შეუძლია ეკოლოგიური კატასტროფების გამოწვევა, როგორც ჩრდილოეთში, ასევე სამხრეთში.

ყველა ეს ელემენტი ქმნის რთული, მრავალმხრივი მოლაპარაკების სიტუაციას – ისეთს, რომელიც ჯერ კიდევ გადაუჭრელია. 1992 წლის „დედამიწის სამიტზე“ მიღებული კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში დაისახეს ამოცანა, რომ 2000 წლისთვის სათბურის გაზების ემისია 1990 წლის დონემდე შეემცირებინათ. ეს მიზანი არ მიღწეულა. ხელშეკრულება არ ავალდებულებდა ხელისმომწერ ქვეყნებს სათბურის გაზების გამოყოფის შემცირების განსაზღვრული დონის მიღწევას კონკრეტულ ვადაში, რადგან აშშ ამგვარი ვალდებულების დაკისრების წინააღმდეგ წავიდა. დასავლეთ ევროპას და იაპონიას მეტად ჰქონდათ სათბურის გაზების გამოყოფის რეგულირების სურვილი, ვიდრე შეერთებულ შტატებს (რომელიც უფრო მეტ წიაღისეულ საწვავს მოიხმარს ერთ სულ მოსახლეზე).


კიოტოს პროტოკოლი (1997) (Kyoto Protocol)

გლობალური დათბობის შესახებ არსებული ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ძალაში 2005 წელს შევიდა და აწესებს მოთხოვნებს ნახშირორჟანგის ემისიების შემცირებაზე. მსოფლიოს ყველა ძირითადი სახელმწიფო, გარდა აშშ-სა, ხელშეკრულების მონაწილეა.

1997 წელს **„კიოტოს პროტოკოლის"** ფარგლებში მიიღეს კომპლექსური ფორმულა, რომელიც გულისხმობს დაახლოებით ათწლეულის განმავლობაში გლობალურ ჩრდილოეთში სათბურის გაზების ემისიის შემცირებას 1990 წლის დონემდე. გლობალური სამხრეთის ქვეყნებს შეღავათი მისცეს, რადგან მათი მაჩვენებლები (ერთ სულ მოსახლეზე) გაცილებით დაბალი იყო. და მაინც, ჩინეთის სწრაფად მზარდი, ქვანახშირზე მომუშავე ეკონომიკა გლობალურ დათბობაში მნიშვნელოვანი ფაქტორია (იხ. გრაფიკი 8.3). ინდოეთი ნახშირორჟანგის კიდევ ერთი დიდი წყაროა. შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, მაგრამ კონგრესმა მისი რატიფიცირება არ მოახდინა.

გრაფიკი 8.3 1990-2030 წლებში აშშ-ის და ჩინეთის მხრიდან ნახშირორჟანგის მოსალოდნელი ემისია

წყარო: ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო



მიუხედავად აშშ-ს მხრიდან მხარდაჭერაზე უარისა, 2001 წელს 160 ქვეყანამ „კიოტოს პროტოკოლის" მესრულებაზე თანხმობა განაცხადა. შეთანხმების მიხედვით, 40 ინდუსტრიულ ქვეყანას 2012 წლისთვის 1990 წლის დონესთან შედარებით 5 პროცენტით უნდა შეემცირებინა ემისია. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სავალდებულო ჯარიმის გადახდა მოუწევდათ. ევროკავშირმა პირობა დადო, რომ წელიწადში 400 მილიონ დოლარს გამოყოფდა გლობალური სამხრეთისთვის გაზების ემისიის დონის შემცირებაში დასახმარებლად. საკმარისი რაოდენობის ქვეყნების მიერ რატიფიცირების შემდეგ, ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2005 წელს და ქვეყნებმა 2008 წელს დაიწყეს ნახშირორჟანგის სავალდებულო შემცირება, თუმცა დადგენილ სამიზნე ნიშნულებს მაინც ჩამორჩებიან.

ევროკავშირმა ევროპის მასშტაბით შექმნა ბაზარი 11,000 ინდუსტრიულ ობიექტს შორის ნახშირბადის ემისიის კრედიტებით ვაჭრობისთვის. თუმცა, ევროპაში ეკონომიკური ზრდის შეფერხებამ ნახშირბადის კრედიტების ფასების მკვეთრი ვარდნა გამოიწვია 2011 წელს. დაბალი ფასები შენარჩუნდა 2014 წლის მანძილზეც, რამაც ზოგიერთს ეჭვები გაუჩინა ევროპის გაზების ემისიებით ვაჭრობის ბაზრის მომავალთან დაკავშირებით. თუმცა, ამავდროულად, სხვა ქვეყნებმა შექმნეს ემისიებით ვაჭრობის ანალოგიური სქემები, მათ შორის, სამხრეთ კორეამ, ჩინეთმა და იაპონიამ. ნახშირბადის ყველა ეს ბაზარი იყენებს თავისუფალი ბაზრის პრინციპებს ნახშირბადის ემისიების უფრო ეფექტურად შესამცირებლად. მაგალითად, საწარმომ ბრაზილიაში გამოიმუშავა ნახშირბადის კრედიტები იმით, რომ ნაგავსაყრელის მეთანის გაზი დაწვა (ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად) იმის ნაცვლად, რომ ჰაერში გაეფრქვია ის, როგორც ძლიერი სათბურის გაზი. ევროპელმა ინვესტორებმა შეიძინეს კრედიტები და შემდგომში შეუძლიათ მიჰყიდონ ჰაერის დამაბინძურებელ საწარმოს, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპაში.

2012 წელს, კიოტოს შეთანხმების ვადის ამოწურვის შემდეგ, 180 ქვეყანა წლების განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებებს შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით. ამ მოლაპარაკებებს ხელახლა შეუერთდა შეერთებული შტატები. 2011 წლის ბოლოს დურბანში (სამხრეთ აფრიკაში) შეხვედრაზე შეთანხმდნენ „კიოტოს პროტოკოლის" 2013-2017 წლებზე გავრცელებაზე. პერუში 2014 წლის დასასრულს გამართულ შეხვედრაზე, მხარეები შეთანხმდნენ პრინციპზე, რომ ყველა ქვეყანა, მდიდარი თუ ღარიბი, სათბურის გაზების ემისიას შეზღუდავდა.

ამავე დროს, 2014 წლის ბოლოს შეერთებული შტატები და ჩინეთი შეთანხმდნენ, რომ ორივე ქვეყანა ინტენსიურად შეეცდებოდა გაზების ემისიების შემცირებას. აშშ-მ თანხმობა განაცხადა, ემისიის მაჩვენებელი 2025 წლისთვის 25 პროცენტზე მეტად შეამციროს (2005 წ. დონეზე დაბლა) მაშინ, როცა ჩინეთი დათანხმდა, გაეგრძელებინა ქვანახშირის ქარხნების ენერგიის ალტერნატიულ წყაროზე გადაყვანის პროცესი. შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთმა აღნიშნული მიზნებისკენ სვლა ჯერ კიდევ შეთანხმების გაფორმებამდე დაიწყეს. 2013 წლისთვის შეერთებული შტატების ემისიის მაჩვენებელი 2005 წლის დონეზე 10 პროცენტით დაბლა იყო, იმავე წელს, ჩინეთში საუკუნეში პირველად შემცირდა ქვანახშირის გამოყენება. 2008-2009 წლების გლობალური ეკონომიკური რეცესიის შემდეგ პირველად 2015 წელს შემცირდა გლობალური ემისიის მაჩვენებელი (როგორც წესი, ემისიები ეკონომიკური კრიზისების დროს მცირდება, რადგან ბევრი ქარხანას წყვეტს ფუნქციონირებას). 2015 წლის შემცირება აშშ-ში, ევროკავშირსა და ჩინეთში უფრო დაბალი ემისიების შედეგი იყო.

2015 წლის **პარიზის კლიმატის შეთანხმება** გლობალური კლიმატის პოლიტიკის საკვანძო შეთანხმებად იქცა. შეთანხმება თავიდანვე უნივერსალური გახდა – 195-მა მხარემ მოაწერა მას ხელი (გაეროს ზოგიერთ და-

პარიზის კლიმატის შეთანხმება (Paris Climate Agreement)

გლობალური დათბობის შესახებ ძირითადი საერთაშორისო შეთანხმება, რომელსაც ხელი 2015 წელს მოეწერა. შეთანხმება მოუწოდებს სახელმწიფოებს შეზღუდონ გლობალური ტემპერატურის ზრდა პრეინდუსტრიული პერიოდის ტემპერატურის მაჩვენებელზე 2 ცელსიუსით ქვევით. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა არის ხელშეკრულების მონაწილე.

მკვირვებელსაც მიეცა ხელის მოწერის უფლება). შეთანხმება მოუწოდებს სახელმწიფოებს შეზღუდონ გლობალური ტემპერატურის ზრდა პრეინდუსტრიული პერიოდის ტემპერატურის მაჩვენებელზე 2 ცელსიუსით ქვევით. შეთანხმების თანახმად, ამ მიზნის მიღწევის გზას სახელმწიფოების მიერ საკუთარი თავისთვის ემისიების შემცირების სამიზნეების განსაზღვრა და შემდეგ ამ მიზნების შესრულების თაობაზე ინფორმაციის გაზიარება წარმოადგენს. შეთანხმებას არ აქვს აღსრულების მექანიზმი, რომელიც იქნებოდა გამოყენებული იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, ვინც ამ მიზნების მიღწევას ვერ შეძლებდა.

2017 წლის ზაფხულში, ტრამპის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ის აღარ გააგრძელებდა შეთანხმებაში მონაწილეობას. შეთანხმებაში ჩადებული პირობების გამო გასვლის პროცესი არ დასრულდება 2020 წლამდე. ამ გადაწყვეტილებამ ამერიკის პოზიციის გლობალურ დონეზე გაკრიტიკება გამოიწვია. ამის საპასუხოდ, ევროკავშირის სახელმწიფოებმა პარიზის შეთანხმებაზე ხელმოწერა სამომავლო პარტნიორობის (მაგალითად, სავაჭრო შეთანხმებების) წინაპირობად გამოაცხადეს.

ამერიკის პარიზის შეთანხმებიდან გასვლის საშუალო და გრძელვადიანი შედეგები ჯერჯერობით უცნობია. ერთი მხრივ, აშშ-მა მხარი დაუჭირა შეთანხმების შემუშავებას და სხვა სახელმწიფოების მონაწილეობას. როგორც ემისიების მნიშვნელოვანი წყარო, აშშ-ის პოლიტიკა მნიშვნელოვანია გლობალური დათბობის შემცირების მიზნით განხორციელებული მცდელობებისთვის. კლიმატის ცვლილებებზე ამერიკის არასაკმარისი ლიდერობა შესაძლოა საფრთხეს წარმოადგენდეს გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში. თუმცა, სხვა სახელმწიფოებიც მნიშვნელოვანი არიან: ჩინეთი, ინდოეთი და ევროკავშირის ქვეყნებიც. ეს ქვეყნები ერთგული რჩებიან პარიზის შეთანხმების. ბევრი გლობალური მრავალეროვნული კორპორაციაც კი, მათ შორის ისინიც, ვინც ენერგეტიკის სექტორში საქმიანობენ, მზად არიან წიაღისეული საწვავის გამოყენებაზე უარი თქვან, ისევე როგორც ამერიკის ბევრი შტატი და ქალაქი.

ამ დროისთვის სახელმწიფოებმა დაიწყეს პარიზის შეთანხმებით განსაზღვრული სამიზნეების განხორციელება ბევრი სხვადასხვა გზით. საფრანგეთმა პირობა დადო, რომ 2022 წლისთვის ელექტროენერგიის საწარმოებლად აღარ გამოიყენებდა ქვანახშირს. ჩინეთმა გააორმაგა 2020 წლისთვის დაგეგმილი მზის ენერგიის გამოყენების მაჩვენებელი და ქვანახშირის გამოყენებაზე ახალი შეზღუდვები დააწესა. ინდოეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება ჰაერის დაბინძურების მზარდი პრობლემების შემცირების მიზნით.

გარდა ამისა, აშშ-ს შტატების დაახლოებით ნახევარში (განსაკუთრებით კალიფორნიაში) და რამდენიმე დიდ ქალაქში, დაიწყეს ზომების მიღება სათბურის გაზების გამოყოფის შეზღუდვაზე. თუმცა, არცერთი ეს ნაბიჯი საკმარისი არაა ან გარკვეულწილად დაგვიანებულიცაა, რომ კლი-

მატის ცვლილების პროცესს მიმართულება რადიკალურად შეუცვალოს. გლობალური დათბობის დილემა კვლავაც გადაუჭრელია, და მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები იმედოვნებენ, რომ პარიზის შეთანხმება შედეგად გამოიღებს ემიციების შემცირებას და ტემპერატურის სტაბილიზაციას, აღსრულების არასაკმარისი ზომების არსებობა გულისხმობს, რომ ისევ სახემწიფოებზეა დამოკიდებული აკონტროლონ მათ მიერვე დადგენილ სამიზნეებთან შესაბამისობა.

ოზონის შრე (Ozone Layer)
ატმოსფეროს ნაწილი, რომელიც დედამიწას იცავს მზის ულტრაიისფერი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისგან. ინდუსტრიულ ეკონომიკებში გამოყენებული გარკვეული ქიმიკატები ოზონის შრის შემცირებას და დაზიანებას იწვევს.

ოზონის შრის შემცირება მეორე მნიშვნელოვანი ატმოსფერული პრობლემა, რომელზეც მსოფლიოს მთავრობები მსჯელობენ, არის ოზონის შრის შემცირება. ატმოსფეროს ზედა ფენაში განთავსებული ოზონის საფარი გვიცავს მზის მავნე ულტრაიისფერი სხივებისგან. ინდუსტრიული ეკონომიკებისგან გამოყოფილი გარკვეული ქიმიკატები გროვდება ატმოსფეროს ზედა ნაწილში და ურთიერთქმედებენ ოზონის შრეზე იმგვარად, რომ მისი მთლიანობის დარღვევას იწვევენ. მთავარი დამნაშავე ქლორფტორნახშირბადებია (CFCs), რომელსაც დღემდე იყენებენ სამაცივრო დანადგარებსა და აეროზოლებში. (სამწუხაროდ, წიაღისეულის საწვავის წვისგან მიღებული ოზონი ვერ ანაცვლებს ოზონის ზედა შრეს, პირიქით, ის მხოლოდ ატმოსფეროს ქვედა ფენას აბინძურებს). ოზონის შრის შემცირების პარალელურად, სულ უფრო მეტი ულტრაიისფერი რადიაცია აღწევს დედამიწის ზედაპირამდე. ანტარქტიკაში ოზონის შრეში სეზონური ხვრელი ყოველწლიურად ფართოვდებოდა. ოზონის დონეს შემცირება რომ გაეგრძელებინა საბოლოოდ მაღალ რადიაციას შეეძლო გაენადგურებინა მცენარეული საფარი, შეემცირებინა სასოფლო-სამეურნეო მოსავლები და დაენგრია ეკოსისტემები.

აშკარაა, რომ ესაა საზოგადოებრივი საქონლის კიდევ ერთი პრობლემა, რომელშიც ერთი სახელმწიფო სარგებელს იღებს თავის ეკონომიკაში ქლორფტორნახშირბადების გამოყენებით, იმ შემთხვევაში თუ ქვეყნების უმრავლესობა აკრძალავს მათ მოხმარებას. მაგრამ ქლორფტორნახშირბადების ჩანაცვლების ხარჯები მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე გლობალური დათბობის აღმოხვრის ხარჯები: ქლორფტორნახშირბადების გამოყენების ჩანაცვლება მოკრძალებული დანახარჯებით არის შესაძლებელი. მეტიც, ოზონის შრის შემცირების შედეგები უფრო უკეთაა გააზრებული და შედეგებიც უფრო მყისიერია, რასაც ვერ ვიტყოდით გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით.

მონრეალის პროტოკოლი (Montreal Protocol) (1987)
შეთანხმება ოზონის შრის დაცვის შესახებ, რომლის მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, რომ შეამცირებენ ქლორფტორნახშირბადების გამოყენებას. პროტოკოლი გარემოსდაცვით საკითხებზე დღემდე ყველაზე წარმატებულ საერთაშორისო შეთანხმებად მიიჩნევა.

შესაძლოა, ხარჯებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, გლობალური დათბობისგან განსხვავებით, სახელმწიფოებმა გაცილებით მეტ წარმატებას მიაღწიეს მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებებთან და რეჟიმების შემუშავებასთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა ოზონის შრის შემცირების პროცესის მართვას. 1987 წელს, **მონრეალის პროტოკოლით,** 22 ქვეყანამ განაცხადა თანხმობა 1998 წლისთვის 50 პროცენტით შეემცირებინათ ქლორფტორნახშირბადების გამოყენება. 1990 წელს პროცესი დაჩქარდა და მონაწილე ქვეყნების რაოდენობა გაიზარდა: 81 ქვეყანამ გა-

მოაცხადა მზადყოფნა, სრულად ამოეღო მოხმარებიდან ქლორფტორნახშირბადები 2000 წლისთვის. 1992 წელს, ოზონის შრის შემცირების მტკიცებულებების მატებასთან ერთად, პროცესი კიდევ უფრო მეტად დაჩქარდა და წამყვანმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა მოითხოვეს ქლორფტორნახშირბადების გამოყენების ეტაპობრივი შეწყვეტა 1995 წლისთვის. ხელშეკრულების ხელისმომწერები პრინციპულად შეთანხმდნენ, რომ შეექმნათ ფონდი, რომელიც დაეხმარებოდა განვითარებად ქვეყნებს ალტერნატიული სამაცივრო ტექნოლოგიების შეძენაში, რომელიც არ იქნებოდა დაფუძნებული ქლორფტორნახშირბადებზე. რომ არა ეს გადაწყვეტილება, გლობალური სამხრეთის ქვეყნები ცდუნებას ვერ გაუძლებდნენ, ემოქმედათ სხვების ხარჯზე, რაც საბოლოო ჯამში წყალში ჩაუყრიდა პროტოკოლის მონაწილე ქვეყნებს ყველანაირ მცდელობას. ამ ქვეყნებს ასევე 2010 წლამდე მისცეს ვადა წარმოების ეტაპობრივად შესაწყვეტად. 1997-1999 წლებში მოხდა „მონრეალის პროტოკოლის" ხელახლა გადახედვა და გაძლიერება. მდიდარმა ქვეყნებმა შეწყვიტეს ქლორფტორნახშირბადების გამოშვება 1996 წელს და დაახლოებით 3 მილიარდი აშშ დოლარი შესწირეს ფონდს. ფონდი, რომელიც ათასობით პროექტს აფინანსებს 100-ზე მეტ ქვეყანაში, დაეხმარა სამხრეთის ქვეყნებს ემისიების შემცირებაში უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში. თუ მიმდინარე ღონისძიებები გაგრძელდება, ნავარაუდევია, რომ ოზონის ხვრელი ნელ-ნელა აღდგება მომავალი 40-50 წლის განმავლობაში. რეალურად, 2018 წელს გათვლებმა აჩვენა, რომ 2005 და 2016 წლებს შორის პერიოდში, ოზონის შრის შემცირება 20 პროცენტით დაეცა.

მონრეალის პროტოკოლი ქლორფტორნახშირბადების საკითხზე ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებაა, რაც აქამდე მიღწეულა საერთაშორისო მოლაპარაკებებში გლობალური გარემოს დაცვის თვალსაზრისით. გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მას უწოდა „შესაძლოა დღემდე ყველაზე წარმატებული საერთაშორისო ხელშეკრულება". შეთანხმებამ დაადასტურა, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ წარმატებით განახორციელონ მოლაპარაკება გადაუდებელ გარემოსდაცვით საფრთხეებთან დაკავშირებით, მოახდინონ მიზნებისა და ზომების ჰარმონიზაცია ამ საფრთხეებთან დასაპირისპირებლად, საჭირო ხარჯები შეუძლიათ გაანაწილონ ყველა მხარისთვის მისაღები პირობებით და როცა ამის დრო მოვა, გადაიხადონ. მაგრამ ოზონის პრობლემასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილება ჯერჯერობით სხვა გარემოსდაცვით საკითხებზე ფართოდ არ გაუზიარებიათ.

ბიომრავალფეროვნება (Biodiversity)

ცხოველთა და მცენარეთა სახეობების უზარმაზარი მრავალფეროვნება, რომელიც ქმნის დედამიწის (გლობალურ, რეგიონულ და ლოკალურ) ეკოსისტემებს.

8.2.2 ბიომრავალფეროვნება

ბიომრავალფეროვნება შეეხება მცენარეთა და ცხოველთა სახეობების უზარმაზარ მრავალფეროვნებას, რომელიც ქმნის დედამიწის (გლობალურ, რეგიონულ და ადგილობრივ) ეკოსისტემებს. ადამიანების მიერ

ეკოსისტემების განადგურების გამო, სახეობების დიდი რაოდენობა უკვე გადაშენებულია. ამის მიზეზია გადაჭარბებული ნადირობა, თევზაობა და ასევე არაადგილობრივი სახეობების შემოტანა, რომელიც საარსებო სივრცეს უზღუდავს ადგილობრივ სახეობებს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია *საცხოვრებელი გარემოს დაკარგვა* – ურბანიზაციის შედეგად ტროპიკული ტყეების განადგურება, ტბებისა და ნაკადულების დაბინძურება და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირება. რადგანაც ეკოსისტემები ეფუძნება სახეობებს შორის კომპლექსურ ურთიერთკავშირებს, რამდენიმე სახეობის გადაშენებამ გარემოში შეიძლება უფრო ღრმა ცვლილებები გამოიწვიოს. მაგალითად, ადგილობრივი მიკროორგანიზმების გაქრობა შეიძლება გახდეს მდინარეების ქრონიკული დაბინძურების ან სახნავ-სათესი მიწების უდაბნოებად გადაქცევის მიზეზი.

ეკოსისტემები იმდენად კომპლექსურია, რომ ჩვეულებრივ, შეუძლებელია, სახეობების გადაშენების, საცხოვრებელი გარემოს ან ეკოსისტემის გაქრობის შედეგების პროგნოზირება. ზოგადად, ქმედებები, რომელიც სახეობათა საცხოვრებელი გარემოს გაქრობას იწვევს, ეკონომიკურად მომგებიანია. შესაბამისად ძირითადი დანახარჯები ასეთი ქმედებების შეზღუდვას უკავშირდება. ამგვარად, ბიოლოგიური სახეობების შენარჩუნება გლობალურ დათბობის მსგავსი საზოგადოებრივი საქონელია; ხარჯები მყისიერი და მასშტაბურია, თუმცა სარგებელი შორეული პერსპექტივაში იჩენს თავს და ბუნდოვანია.

რთული იყო საერთაშორისო შეთანხმების მიღწევა ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის საჭირო ხარჯების განაწილებაზე. გაეროს კონვენციამ გადაშენების პირას მყოფი სახეობებით ვაჭრობის შესახებ შეამცირა, მაგრამ ვერ აკრძალა ამგვარი სახეობებით ვაჭრობა. 1992 წლის „დედამიწის სამიტზე", ხელშეკრულებამ ბიომრავალფეროვნების შესახებ ხელმომწერი მხარეები დაავალდებულა, დაიცვან სახეობათა საცხოვრებელი ადგილები და მდიდარმა ქვეყნებმა დაცულ ადგილებში გავრცელებული იშვიათი სახეობებისგან მოპოვებული კომერციულად მომგებიანი ბიოლოგიური პროდუქტების (მაგალითად, წამლები ტროპიკული ტყეებში გავრცელებული ხეებიდან) გამოყენებისთვის შესაბამისი საფასური გადაუხადონ ღარიბ ქვეყნებს. თუმცა, იმის შიშით, რომ მას შეეძლო შეეზღუდა შეერთებული შტატების საპატენტო უფლებები ბიოტექნოლოგიაზე, აშშ-მა მისი რატიფიცირება არ მოახდინა – და ის გაეროს ერთადერთი წევრია, რომელსაც ეს არ გაუკეთებია. 2018 წლის მდგომარეობით კონვენციას 196 წევრი სახელმწიფო ჰყავს. თუმცა, აშშ მონაწილეობს სხვა ბიოლოგიურ ხელშეკრულებებში, როგორიცაა მაგალითად, 1971 წლის კონვენცია ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ და 1973 წლის კონვენცია „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ".

საერთაშორისო რეჟიმებს, რომლებიც იცავენ ვეშაპებსა და დელფინებს აქამდე შეზღუდული წარმატება ჰქონდათ. **„ვეშაპებზე ნადირობის საერთაშორისო კომისია (International Whaling Commission)** მთავრობათშორისი ორგანიზაცია, რომელიც აწესებს კვოტებს ვეშაპების გარკვეული სახეობებზე ნადირობაზე; კომისიაში სახელმწიფოთა მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

საერთაშორისო კომისია" (სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია) კვოტებს ანესებს ვეშაპების კონკრეტულ სახეობებზე ნადირობაზე, მაგრამ მონაწილეობა ნებაყოფლობითია და სახელმწიფოები არ არიან ვალდებული დაემორჩილონ იმ გადაწყვეტილებებს, რომელსაც არ ეთანხმებიან.

ტროპიკული თინუსის ამერიკული კომისია (კიდევ ერთი სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია) დელფინების დანაკარგების შემცირების მიზნით ადგენს თინუსზე თევზაობის მეთოდებს. შეერთებული შტატები, რომელიც მსოფლიოში დაჭერილი თინუსის რაოდენობის ნახევარს მოიხმარს, უფრო შორს წავიდა და ზღვის ძუძუმწოვართა დაცვის აქტის საფუძველზე ცალმხრივად მოითხოვა, რომ აშშ-ის ტერიტორიაზე გასაყიდი თინუსის დაჭერა დელფინებისთვის უსაფრთხო მეთოდების გამოყენებით მოხდეს. სხვა ქვეყნები დაუპირისპირდნენ აქტს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციების საშუალებით, როგორც შეერთებულ შტატებში თინუსის ექსპორტზე უსამართლო შეზღუდვას. ასეთი კონფლიქტები მომავალ დაპირისპირებას მოასწავებს გარემოს დამცველებსა და თავისუფალი ვაჭრობის მომხრეებს შორის. ეს უკანასკნელნი ამტკიცებენ, რომ ქვეყნებმა არ უნდა გამოიყენონ მიდა კანონმდებლობა გლობალური გარემოსდაცვითი მიზნების განსახორციელებლად.

ამგვარად, ბიომრავალფეროვნების საკითხების მიმართ ცალმხრივი მიდგომები პრობლემატურია, რადგან ისინი აფერხებენ თავისუფალ ვაჭრობას; მრავალმხრივი მიდგომები კი პრობლემატურია საზოგადოებრივი საქონლის პრობლემის გამო. გასაკვირი არაა, რომ საერთაშორისო რეაგირება დღემდე საკმაოდ არაეფექტურია.

8.2.3 ტყეები და ოკეანეები

ბიომრავალფეროვნებისთვის და ატმოსფეროსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საცხოვრებელი გარემოს ორი სახეობა – ტროპიკული ტყეები და ოკეანეები. ორივე მათგანი ასევე წარმოადგენს კომერციულად მომგებიანი რესურსების წყაროს. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ მაშინ როცა, ტყეები თითქმის მთლიანად სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული, ოკეანეები მეტწილად სცდება ქვეყნის საზღვრებს და გლობალურ სივრცეში იშლება.

ტროპიკული ტყეები ცხოველთა და მცენარეთა სახეობების თითქმის ნახევარი ბინადრობს ტროპიკულ ტყეებში, რომელიც ატმოსფეროში ჟანგბადის დონეს აღადგენს და ნახშირორჟანგის შემცირებას უწყობს ხელს – ამით კი ანელებს გლობალური დათბობის პროცესს. ამგვარად, ტროპიკულ ტყეებს სარგებლობა მოაქვს მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის; ის საზოგადოებრივი საქონელია.

საერთაშორისო მოლაპარაკებებმა ტროპიკული ტყეების დაცვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, ალბათ, იმიტომ, რომ

მათი უმრავლესობა მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს კუთვნილებაა. მათ აქვთ იმის ძალა, რომ დააჩქარონ ან შეანელონ ტყეების განადგურების პროცესი – საერთაშორისო მოლაპარაკებები უტოლდება შეთანხმებებს, რომელიც გულისხმობს დანახარჯების გადატანას აღნიშნული რამდენიმე ქვეყნიდან ქვეყნების უფრო ფართო ჯგუფისკენ, რომელიც სარგებელს იღებს ტროპიკული ტყეებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მდიდარ სახელმწიფოს (მათ შორის, შეერთებულ შტატებს) ტყის დიდი მასივები აქვს, უდიდესი ტროპიკული ტყეების უმეტესობა ისეთ ღარიბ ქვეყნებშია განლაგებული, როგორიცაა ბრაზილია, ინდონეზია, მალაიზია და მადაგასკარი. ასეთ ქვეყნებს ეკონომიკური მოგების მიღება შეუძლიათ ტყეების ექსპლუატაციით – ხე-ტყის თავისუფლად მოჭრით სოფლის მეურნეობისთვის მიწის გაწმენდით და მაღაროების გათხრით. ბოლო დრომდე (და რაღაც დონეზე, ახლაც), მდიდარი ქვეყნების ლიდერები ძალიან იყვნენ დაინტერესებულები ღარიბ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ხელშეწყობით, რათა ამ უკანასკნელებს საგარეო ვალების გასტუმრება შესძლებოდათ – გარემოსთვის მიყენებულ ზიანს კი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

ახლა, როცა ამ მდიდარ ქვეყნებს ტროპიკული ტყეების დაცვა სურთ, ისინი ბერკეტად იყენებენ განვითარების დახმარებებს, რათა წაახალისონ ღარიბი ქვეყნები, რომ ექსპლუატაციის ნაცვლად, გაუფრთხილდნენ თავიანთ ტროპიკულ ტყეებს. ადრეულ 1990-იან წლებში მიღწეული შეთანხმებების ფარგლებში, მდიდარი ქვეყნები ასეულობით მილიონი აშშ დოლარის უცხოურ დახმარებას გასცემენ ამ მიზნებისთვის. მსხვილი საგარეო ვალის მქონე ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში გარემოს დამცველებმა და ბანკირებმა მდიდარი ქვეყნებიდან შეიმუშავეს პრინციპი „ვალი ბუნების სანაცვლოდ“, რის მიხედვითაც ქვეყანას ჩამოეწერება ვალი იმ შემთხვევაში, თუ ის დათანხმდება შეთანხმებას ტყეების დაცვის შესახებ. მაგალითად, 2006 წელს შეერთებული შტატების მთავრობა და არასამთავრობო ორგანიზაციები დაეხმარნენ გვატემალას, გაექვითათ 20 მლნ. აშშ დოლარზე მეტი ოდენობის ვალი კონსერვაციების პროგრამების გაფართოების სანაცვლოდ. 2014 წელს ლიბერიამ და პერუმ ტყის განადგურების შეწყვეტაზე განაცხადეს თანხმობა ნორვეგიისგან დაპირებული მნიშვნელოვანი უცხოური დახმარების სანაცვლოდ. 2008 წელს ბრაზილიამ გამოაცხადა, რომ ტყეების გაჩეხვის შეწყვეტას მომდევნო ათწლეულის მანძილზე გეგმავს. გარემოს დამცველებმა გეგმა ზედმეტად ოპტიმისტურად ჩათვალეს. ბრაზილია ახლა იმედოვნებს, რომ ტყის გაჩეხვის პროცესს 2020 წლისთვის შეანელებს.



შეინახეთ გენეტიკურ ბანკში ზოგიერთი გარემოსდამცველი აკრიტიკებს მსოფლიო ბანკს და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ღარიბ ქვეყნებში ეკონომიკურ განვითარებას, რომ ისინი დესტრუქციულად ერევიან ადგილობრივ ეკოსისტემებში, როგორიც არის ტროპიკული ტყეები. სასოფლო სამეურნეო რევოლუციამ გაზარდა მოსავლიანობა, თუმცა შეცვალა სასოფლო სამეურნეო პროცესები კომპლექსური გზით, როგორიც არის პესტიციდების და სასუქების ქარბად გამოყენება. დღეს გენეტიკურად მოდიფიცირებული მარცვლეული კიდევ უფრო მეტ ზრდას გვპირდება სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის თვალსაზრისით – უფრო მეტი საკვები იქნება მაგიდაზე – მაგრამ თუ რა გარემოსთან დაკავშირებული შედეგები მოყვება ამ ყველაფერს ეს ბოლომდე გარკვეული არ არის. სურათზე ნაჩვენები გენეტიკური ბანკი ფილიპინებში ინახავს ბრინჯის სხვადასხვა სახეობებს მთელი მსოფლიოდან.

ღია ზღვა (High Seas)
ოკეანეების ის ნაწილი, რომელიც საერთო საკუთრებაშია და მასზე რომელიმე ერთი კონკრეტული სახელმწიფოს ექსკლუზიური იურისდიქცია არ ვრცელდება.

გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ (UN Convention on the Law of the Sea (UNCLOS)
საერთაშორისო შეთანხმება, (1982) რომელიც ადგენს წესებს ოკეანეების გამოყენებასთან დაკავშირებით. კონვენციამ განსაზღვრა წესები ტერიტორიულ წყლებთან და 200 მილის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონასთან დაკავშირებით. იხ. ასევე *ტერიტორიული წყლები.*

ოკეანეები *ოკეანეები,* რომლებიც დედამიწის ზედაპირის 70 პროცენტს ფარავს, (ტროპიკული ტყეების მსგავსად) მნიშვნელოვანია კლიმატის დარეგულირებისა და ბიომრავალფეროვნების დასაცავად. ტყეების მსგავსად, ოკეანეები მიმზიდველი სამიზნეებია მოკლევადიანი ეკონომიკური მიზნებისთვის, რაც გრძელვადიან ეკოლოგიურ ზიანს აყენებს გარემოს. ამგვარი მიზნებია ჭარბი თევზჭერა, ტოქსიკური და ბირთვული ნარჩენებით (და სხვა ნაგვით) დაბინძურება და ნავთობის გრძელ მანძილზე გადაზიდვები ოკეანეში ჩაღვრის რეციდივებით. ტროპიკული ტყეებისგან განსხვავებით, ოკეანეები არცერთ ქვეყანას არ ეკუთვნის, ისინი გლობალური საკუთრებაა. ეს უფრო ართულებს საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას, რადგან არ არსებობს ხელისუფლება, რომელიც დაიცავდა რეგულაციებს. ოკეანეების დაცვა დამოკიდებულია 100-ზე მეტი სახელმწიფოს და ათასობით არასახელმწიფო აქტორის თანამშრომლობაზე. „უბილეთო მგზავრებს" სარგებლის მიღების დიდი შანსი აქვთ. მაგალითად, *მოტივტივე ბადეები* უზარმაზარი სათევზაო ბადეებია, რომლებიც ყველაფერს იჭერს, რაც გზაზე შეხვდება. ისინი ძალიან მომგებიანია, მაგრამ დამანგრეველ ზიანს აყენებს ოკეანის გარემოს. ქვეყნების უმრავლესობამ აკრძალა მათი გამოყენება (გარემოსდაცვითი მოძრაობის მხრიდან ზეწოლის შედეგად). თუმცა, არცერთ ქვეყანას არ გააჩნია უფლებამოსილება, შევიდეს **ღია ზღვაში** (არატერიტორიულ წყლებში) და შეაჩეროს ამ ბადეების არალეგალური გამოყენება.

ერთი გამოსავალი, რომელსაც სახელმწიფოებმა მიმართეს გულისხმობს ოკეანის დიდი ნაწილის „შემოღობვას". ტერიტორიული წყლების საზღვარი სანაპიროდან და კუნძულებს ირგვლივ ასობით მილზე გაიშალა, ისე რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ მოექცა რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი (თევზით მდიდარი ადგილები, ფსკერზე არსებული ნავთობისა და მინერალების საბადოები). ოკეანის მართვის მიზნით ასეთი გამოსავლის პოვნა – ფართო, მრავალმხრივი მოლაპარაკებების კონტექსტში მოხერხდა.

გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ (UNCLOS), რომელზეც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 1973-1982 წლებში, ოკეანეების გამოყენების წესებს ადგენს. ღრმა წყლებში წიაღისეულის მოპოვების საკითხებზე მოლაპარაკებების ათწლეულით გადადების შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერა კონვენციას 1994 წელს, მაგრამ ჯერ არ მოუხდენია მისი რატიფიცირება. კონვენციამ ტერიტორიული წყლების განსაზღვრის წესები დაადგინა: – 12 მილი ნაოსნობისთვის და 200 მილი სიგრძის ექსკლუზიური ეკონომიკური ზონა ეკონომიკური აქტივობებისთვის, როგორიცაა თევზჭერა და ღრმა წყლებში წიაღისეულის მოპოვების სამუშაოები. 200 მილიანმა ლიმიტმა ბევრ ქვეყანას გადასცა კონტროლის მექანიზმი ეკონომიკურად მომგებიანი საოკეანო რესურსების მნიშვნელოვან ნაწილზე(იხილეთ გრაფიკი 8.4).

განსხვავებულმა ინტერპრეტაციებმა რამდენიმე ადგილას სადავო გახადა ეკონომიკური უფლებების საკითხი. სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მდებარე პატარა კუნძულებსა და რიფებზე ჩინეთი, ფილიპინები, მალაიზია, ტაივანი, ბრუნეიი, ვიეტნამი – ყველა პრეტენზიას აცხადებს. ისინი ნავთობის მარაგებთანაა ახლოს, რაც მეტისმეტად ღირებულს ხდის ამ ადგილების კონკრეტული სახელმწიფოს მიერ ფლობას. ბოლო 5 წელიწადში, ჩინეთი ქვიშის ექსკავატორების მეშვეობით მიწას ამატებდა ამ რიფებს. ახლა ჩინეთი პრეტენზიას აცხადებს ამ ხელოვნურ კუნძულებზე და მათ საზღვაო და საჰაერო ძალების სამხედრო ბაზებად იყენებს.

გაეროს კონვენციამ საზღვაო სამართლის შესახებ ასევე ჩამოაყალიბა ზოგადი პრინციპი, რომ ოკეანეები კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობაა. საზღვაო ფსკერის საერთაშორისო ორგანოს ეგიდით შეიქმნა

პოლიტიკის პერსპექტივები

ირლანდიის პრემიერ-მინისტრი, ლეო ვარადკარი

პრობლემა როგორ აბალანსებთ გარემოსდაცვით და ეკონომიკურ ინტერესებს?



ნინაისტორია წარმოიდგინეთ, თქვენ ხართ ირლანდიის პრეზიდენტი. გენმოდიფიცირებული ორგანიზმები (GMOs) უაღრესად პრობლემური საკითხია ევროპაში და მათ შორის, თქვენს ქვეყანაშიც. მაგალითად, 1997 წელს ირლანდიამ მისცა უფლება გლობალურ მრავალეროვნულ კორპორაცია „მონსანტოს“ მოეყვანა მაქრის ჭარხალი დუბლინთან ახლოს. რამდენიმე წარუმატებელი სამართლებრივი მცდელობის შემდეგ, შეეჩერებინათ მოსავლის დათესვა, აქტივისტებმა მოსავალი მის აღებამდე გაანადგურეს.

წარსულში თქვენმა ქვეყანამ გაუხმაურებლად დაუჭირა მხარი რამდენიმე ირლანდიურ ბიოტექნოლოგიურ ფირმას, რომელიც ერთობლივ კვლევებს ანარმოებდა. ამან საკმაო წარმატება მოიტანა, რამაც, სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, ირლანდიას მნიშვნელოვანი უპირატესობა მისცა ამ სფეროში. რამდენიმე მრავალეროვნული კორპორაცია სარგებელს მიიღებს ამ კვლევისგან, რის შედეგადაც თქვენ ინვესტიციებს და საგადასახადო შემოსავლებს მიიღებთ.

შიდა ფაქტორები სამწუხაროდ, ეს „პოზიტიური მაგრამ რისკის შემცველი“ მიდგომა საზოგადოებაში პოპულარობით არ სარგებლობს. ზოგი შეშფოთებულია, რომ ამით ირლანდიის, როგორც „მწვანე კუნძულის“ რეპუტაცია დაზარალდება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტურიზმს – ქვეყნის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს. სხვები უერთდებიან გენმოდიფიცირებული პროდუქტების მოწინააღმდეგეთა გუნდს ევროპაში, ამ პროდუქტების შესაძლო უარყოფითი გარემოსდაცვითი შედეგების მოტივით.

2004 წლის გაზაფხულზე ევროკავშირმა გააუქმა მორატორიუმი გენმოდიფიცირებული პროდუქტების გაყიდვებზე (თქვენმა ქვეყანამაც მხარი დაუჭირა), ნაწილობრივ შეერთებული შტატების მუქარის გამო, რომ აამოქმედებდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) რეგულაციას, რომლის თანახმადაც გენმოდიფიცირებული ორგანიზმების

აკრძალვა იყო უკანონო. შეერთებული შტატები თქვენი ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, მაგრამ ევროკავშირის ყველა წევრი-სახელმწიფო ერთად ყველაზე მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს. მიუხედავად აშშ-ის მუქარისა, 2015 წელს ევროპარლამენტმა ხმა მისცა დადგენილებას, რომ ევროკავშირის ცალკეულ წევრ-სახელმწიფოებს შეეძლოთ გენმოდიფიცირებული პროდუქტების წარმოების აკრძალვა.

და მაშინ როდესაც ირლანდიაში ამ კანონის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერა არსებობდა, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, როგორიც არის ირლანდიის ფერმერთა ასოციაცია ეწინააღმდეგებოდა აკრძალვას.

სცენარი წარმოიდგინეთ, რომ ევროკავშირის უკანასკნელი ნორმატიული აქტის გათვალისწინებით, ინტერესთა ჯგუფები ზეწოლას ახდენენ თქვენს პარტიაზე, აიკრძალოს გენმოდიფიცირებული პროდუქტები ირლანდიაში. უარის შემთხვევაში მომდევნო არჩევნებში ოპოზიციური პარტიებისთვის მხარდაჭერით იმუქრებიან.

გენმოდიფიცირებულ მარცვლეულს შეუძლია ეკონომიკური სარგებელი მოუტანოს თქვენს ქვეყანას. ამ სფეროში თქვენი შედარებითი ტექნიკური უპირატესობის გათვალისწინებით, თქვენი ეკონომიკა სარგებელს მიიღებს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ფართოდ გამოყენებით, გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება და ასევე მრავალეროვნული კორპორაციების ბიზნეს აქტივობაც. შეერთებულ შტატებს არ აქვს გენმოდიფიცირებული პროდუქტების იმპორტთან დაკავშირებული რეგულაციები, შესაბამისად ღია იქნებოდა ამ მარცვლეულის ექსპორტისთვის.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმები ასევე შეიცავს შესაძლო საფრთხეებს. ზოგიერთი გარემოსდამცველი გაფრთხილებას იძლევა, რომ აღნიშნული პროდუქტები შესაძლოა უარყოფითად მოქმედებდეს ეკოლოგიაზე, ცოცხალ ბუნებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ევროკავშირის წევრი ბევრი პარტნიორი ქვეყანა თავს აარიდებს გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს და შესაძლოა ჩამოგაშორონ დიდ საექსპორტო ბაზარს. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ადგილობრივი წარმოების გაფართოების საკითხი საკამათო გახდება.

აირჩიე შენი პოლიტიკა. კვლავაც გაუხმაურებლად გააგრძელებთ გენმოდიფიცირებული მარცვლეულის მოყვანის წახალისებას? გამოიყენებთ ევროკავშირის ახალ კანონმდებლობას საბაბად რომ აიკრძალოს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების წარმოება იმ ინტერესთა ჯგუფების მხრიდან ზეწოლაზე საპასუხოდ, ვინც ღელავს ამგვარი პროდუქტების გარემოზე უარყოფით გრძელვადიან ეფექტებზე? იმუშავებთ მრავალეროვნულ კორპორაციებთან ერთად, რათა გამოიყენოთ შედარებითი უპირატესობა ეკონომიკური სარგებლისთვის? როგორ დააბალანსებთ ეკონომიკურ კეთილდღეობასა და გარემოზე ზრუნვას


მექანიზმი იმისთვის, რომ გაზიარებულ იქნას ის სარგებელი, რომელიც შეიძლება მდიდარმა ქვეყნებმა მიიღონ ოკეანის ფსკერზე (200 მილს მიღმა) წიაღისეულის მოპოვების პროცესში.

ანტარქტიდა ოკეანეების მსგავსად, *ანტარქტიდა* არცერთ ქვეყანას არ ეკუთვნის. თუმცა, კონტინენტის სტრატეგიული და კომერციული ღირებულება შეზღუდულია და არც ბევრ ქვეყანას ანაღვლებს მისი ბედი. ისტორიულად, ქვეყნები წარმატებით აღწევდნენ შეთანხმებს ანტაქტიდის თაობაზე, რადგან ხარჯები დაბალი იყო, მოთამაშეები კი – ცოტა. **შეთანხმება ანტარქტიდის შესახებ (1959)**, რომელიც არის ერთ-ერთი პირველი მრავალმხრივი ხელშეკრულება გარემოს დაცვის თაობაზე, კრძალავს სამხედრო აქტივობებს და ასევე ბირთვული იარაღის არსებობას ან ბირთვული ნარჩენების გადაყრას ამ კონტინენტზე. ხელშეკრულების

გრაფიკი 8.4 სახელმწიფოს კონტროლქვეშ არსებული წყლები

ჭარბი თევზჭერის და მსოფლიო ოკეანის „საერთო საკუთრების“ მართვასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების მოგვარებაოკეანეების უმნიშვნელოვანესი არეალების სახელმწიფოთა ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ მოქცევით განხორციელდა. მუქად გამოყოფილია 200 მილის ეკონომიკური ზონის შიგნით არსებული წყლები, რომელთაც სახელმწიფოები საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციის თანახმად აკონტროლებენ.

წყარო: Andrew Boyd, An Atlas of World Affairs, 9th ed. New York: Routledge, 1992.



თანახმად, კონტინენტთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვა სამომავლოდ გადაიდო. მან ჩამოაყალიბა რეჟიმი, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სახელმწიფო აწარმოებს მეცნიერულ კვლევას ანტარქტიდაში. კონტინენტით დაინტერესებულმა ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, მათ შორის, ორივე ზესახელმწიფომ. 1991 წლისთვის, „გრინპისმა" დაარწმუნა ხელმომწერები, რომ კონტინენტი „მსოფლიო პარკად" გადაექციათ. ანტარქტიდა საერთაშორისო გარემოსდაცვითი პოლიტიკის წარმატების მაგალითია.

8.2.4 დაბინძურება

ზოგადად, დაბინძურებაც საზოგადოებრივი საქონლის პრობლემების კატეგორიიდანაა, თუმცა ხშირად გლობალური მასშტაბის არ არის. დაბინძურება უფრო მეტად რეგიონული ან ორმხრივი საკითხია. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, როგორიცაა ნარჩენების გადაყრა ზღვაში – დაბინძურების შედეგები ეხება იმ სახელმწიფოებს, სადაც ეს ხდება და ასევე მის მეზობელ ქვეყნებს; შეერთებული შტატების მიერ ინდუსტრიული გამონაბოლქვის გამოყოფამ კანადაში მჟავა წვიმები გამოიწვია, მაგრამ ამ მოვლენას პირდაპირი გავლენა არ მოუხდენია მოშორებით მდებარე ქვეყნებზე. ჩინეთში ჰაერის საშინელი დაბინძურება თითქმის ნახევარ მილიონ ჩინელს კლავს ყოველწლიურად, თუმცა მხოლოდ ძალიან ცოტა უცხოელს. მაშინაც კი, როცა დაბინძურება სცდება სახელმწიფოს საზღვრებს, მას ყველაზე ძლიერი ზიანი დაბინძურების წყაროსთან ახლოს მოაქვს. ამ მიზეზით დაბინძურება გარკვეულწილად საზოგადოებრივი საქონლის ნაკლებად მძიმე პრობლემაა, რადგან დამაბინძურებელ სახელმწიფოს იშვიათად შეუძლია სრულად დანაკარგების გარეშე გამოსვლა ამ სიტუაციიდან და პროცესშიც აქტორთა მცირე რაოდენობაა ჩართული.

რამდენიმე რეგიონში, განსაკუთრებით დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში, ქვეყნები მჭიდროდაა განლაგებული ერთსა და იმავე ატმოსფერულ, სამდინარო და საზღვაო აუზებში. ასეთ შემთხვევებში, ხშირად უნდა გაიმართოს მრავალმხრივი მოლაპარაკებები დაბინძურებაზე კონტროლის დაწესებასთან დაკავშირებით. ცივი ომის დროს ევროპაში, საერთაშორისო დაბინძურების პრობლემა გაამწვავა იმ ფაქტმა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები ვერ უწესებდნენ შეზღუდვებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომელთა მიერ გამოწვეული დაბინძურების მაჩვენებელი ძალიან მაღალი იყო.

მჟავა წვიმა (Acid Rain)
ჰაერის დაბინძურებისგან გამოწვეული წვიმა, რომელიც აზიანებს ხეებს და ხშირად რამდენიმე ქვეყანაში ვრცელდება. მჟავა წვიმების შეზღუდვა (აზოტის ოქსიდის ემისიების შეზღუდვით) ბევრი რეგიონული შეთანხმები საგანს წარმოადგენდა.

რამდენიმე რეგიონული შეთანხმება მიზნად ისახავს **მჟავა წვიმის** შემცირებას, რომელსაც ჰაერის დაბინძურება იწვევს. ევროპული სახელმწიფოები, რომელთა ტყეებიც ძლიერ დაზიანდა, შეთანხმდნენ, რომ საერთო სარგებლის მიღების მიზნით შეეზღუდათ ჰაერის დაბინძურება და მჟავა წვიმა. 1988 წელს 24 ევროპულმა ქვეყნამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებდა აზოტის ოქსიდის ემისიების შეზღუდვას 1995 წლისთვის 1988 წლის მაჩვენებლამდე. ხანგრძლივი

მოლაპარაკებების შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა და კანადამ ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას ამგვარი დაბინძურების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამ რეგიონულმა შეთანხმებებმა საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო.

წყლის დაბინძურება ასევე ხშირად სცდება ქვეყნის საზღვრებს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, სასოფლო-სამეურნეო სასუქები და პესტიციდები – ყველაფერი ერთად ჩაედინება მდინარეებსა და ზღვებში. მაგალითად, 2005 წელს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში უზარმაზარმა ქიმიურმა ჩაღვრამ დააბინძურა მდინარე, რომელიც რუსეთში მიედინება. დიდი ხნის განმავლობაში არსებული რეგიონული სააგენტოები, რომლებიც არეგულირებენ გადაზიდვებს გადატვირთულ ევროპულ მდინარეებზე, ახლა ასევე ცდილობენ გადაჭრან დაბინძურების პრობლემა. ხმელთაშუა ზღვის აუზი სერიოზულად არის დაბინძურებული და ამ საკითხის მოგვარება რთულია, რადგან ბევრი ქვეყანა ესაზღვრება მას. 2010 წელს ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ნავთობის შემთხვევითი ჩაღვრა დაფიქსირდა მექსიკის ყურეში. ჩაღვრა გამოიწვია ნავთობის პლატფორმაზე აფეთქებამ. გაჟონვის შეჩერებას თვეები დასჭირდა. ამ ფაქტმა ხაზი გაუსვა ღრმა წყლებში ნავთობის მომპოვებელ ჭაბურღილებთან დაკავშირებულ საფრთხეებს. კომპანიამ, British Petroleum, რომელიც სამუშაოებს აწარმოებდა, თანხმობა განაცხადა, გამოეყო მილიარდობით დოლარი აშშ-ს რამდენიმე სამხრეთული შტატის მოსახლეობის დასახმარებლად, რომლებიც ნავთობის ჩაღვრამ დააზარალა.

ტოქსიკური და *ბირთვული* ნარჩენები განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს, რადგანაც ისინი გრძელვადიან საფრთხეებს ქმნიან. ქვეყნები დროგამოშვებით ცდილობენ, ამგვარი ნარჩენები ქვეყნიდან გაიტანონ. თუმცა, ამჟამად საერთაშორისო შეთანხმებების თანახმად, იკრძალება ტოქსიკური და ბირთვული ნარჩენების გადაყრა ზღვაში (საზოგადოებრივი საქონლის აშკარა პრობლემა). მაგრამ ამგვარი ნარჩენები გასანადგურებლად გაიგზავნა განვითარებად ქვეყნებში გარკვეული თანხის სანაცვლოდ. მაგალითად, ტოქსიკური ფერფლი პენსილვანიიდან გვინეაში აგურების მასალებად იქნა გამოყენებული და იტალიის ბირთვული ნარჩენები კი ნიგერიაში გაიგზავნა.

უკანასკნელ წლებში რეგულაციები შემუშავდა ტოქსიკური ნარჩენების ექსპორტის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც არსებული პრაქტიკა მიმღები ქვეყნის ექსპლუატაციას ახდენს. 1989 წელს ასმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც მიზნად ისახავდა ტოქსიკური და ბირთვული ნარჩენების გადაზიდვის დარეგულირებას და კორუფციული გარიგებების გზით საიდუმლო გადაზიდვების თავიდან აცილებას. კიდევ ორმოცმა ქვეყანამ (აფრიკაში) ხელი არ მოაწერა აღნიშნულ დოკუმენტს, მაგრამ მოუწოდა ქვეყნებს, შეეწყვიტათ ტოქსიკური ნარჩენების გადაზიდვა აფრიკაში. მიუხედავად ამისა, 2006 წელს მრავალეროვნულმა კორ-

პორაციამ სცადა ტანკერიდან ტოქსიკური ნარჩენები ჩაეყარა ჰოლანდიაში, მაგრამ გადაიფიქრა, როცა აღმოაჩინა, რომ ჰოლანდიამ გაზარდა ნარჩენების გადაყრის საფასური და უკან გაბრუნდა სხვა ადგილის მოსაძებნად.ექვსი კვირის შემდეგ, გემმა გადმოტვირთა ტოქსიკური ნარჩენები აბიჯანში, კოტ'დ'უარში, სადაც ადგილობრივმა კომპანიამ ნარჩენები ქალაქის შემოგარენში დაყარა. ათასობით მაცხოვრებელი გახდა ავად, რვა ადამიანი კი დაიღუპა. 2007 წელს, კომპანიამ თანხმობა განაცხადა, გადაეხადა 200 მლნ აშშ დოლარი საჩივრების დასაკმაყოფილებლად.

1986 წელს ჩერნობილში საბჭოთა ატომური ელექტროსადგურის აფეთქებამ ატმოსფეროში წარმოქმნა რადიოაქტიურობა, რომელიც გავრცელდა ევროპის დიდ ნაწილში – იტალიიდან შვედეთამდე. კატასტროფამ ახალი რეალობა ასახა – ერთ ქვეყანაში მიღებულმა ეკონომიკურმა და ტექნიკურმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება უმძიმესი ეკოლოგიური შედეგები მოუტანოს სხვა ქვეყნებს. საბჭოთა ლიდერებმა სიტუაცია გააუარესეს, როცა მათ დაუყოვნებლივ არ აცნობეს მეზობელ ქვეყნებს კატასტროფის შესახებ.

წყლისა და ჰაერის დაბინძურების სხვადასხვა საკითხზე, როგორც სახელმწიფოს ცალმხრივი ქმედებები, ისე საერთაშორისო შეთანხმებები ხშირად შესაძლებელი და ეფექტურია. უკანასკნელ ათწლეულებში მდინარის წყლის ხარისხი გაუმჯობესდა უმეტეს სამრეწველო რეგიონში. საბაზრო ეკონომიკები მიუდგნენ დაბინძურების პრობლემას, როგორც წარმოების კიდევ ერთი ხარჯს, რომელიც იმან უნდა გადაიხადოს, ვინც აბინძურებს გარემოს და არა მთელმა საზოგადოებამ. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობამ დაიწყო „დაბინძურებაზე უფლებების" განაწილება, რომლის შეძენა და გაყიდვა კომპანიებს თავისუფალ ბაზარზე შეუძლიათ.

ყოფილ საბჭოთა ბლოკში, ათწლეულების მანძილზე ცენტრალურად დაგეგმილმა ინდუსტრიალიზაციამ სერიოზული გარემოსდაცვითი პრობლემები შექმნა. შემაძრწუნებელი ეკოლოგიური ზიანის და ადამიანის ჯანმრთელობაზე ასახული უარყოფითი გავლენის გამო, ეკონომიკურად შებოჭილ რესპუბლიკებს მოუწიათ ვაჭრობა დაბინძურების შემცირებასა და ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მაგალითად, სერიოზულად დაბინძურებული არალის ზღვა, რომელიც ადრე მხოლოდ ერთ ქვეყანას, საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა, ახლა ორი ქვეყნის საკუთრებაა – ყაზახეთის და უზბეკეთის. ოდესღაც მსოფლიოს მეოთხე უდიდესი შიდა ზღვა განახევრდა, მისი უზარმაზარი სათევზაო ადგილები განადგურდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ეპოქის მეგა-საირიგაციო პროექტმა არალის ზღვაში ჩამდინარე მდინარეებს კალაპოტი შეუცვალა და დააბინძურა პესტიციდებით. ყოფილი სათევზაო დაბები ძალიან შორს აღმოჩნდა სანაპირო ზოლიდან. ადგილობრივმა და საერთაშორისო პოლიტიკურმა ლიდერებმა ვერ შეძლეს გეგმების განხორციელება ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ამგვარად, კატასტროფამ დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას.

8.3 ბუნებრივი რესურსები

დაასახელეთ სამი ვითარება, როდესაც ბუნებრივი რესურსების საჭიროებამ შეიძლება საერთაშორისო კონფლიქტი გამოიწვიოს.

ბუნებრივი გარემო არაა მხოლოდ ფაქიზი ეკოსისტემა, რომელსაც დაცვა სჭირდება. იგი, ამავდროულად, ბუნებრივი რესურსების საცავიცაა. რესურსების მოპოვებას ქვეყნებისთვის სიმდიდრე (და შესაბამისად, ძალაუფლება) მოაქვს, რის გამოც ეს რესურსები რეგულარულად ხდება საერთაშორისო კონფლიქტების გამწვავების საბაბი. იმის გამო, რომ ისინი მეტწილად ცალკეულ ქვეყნების შიგნით მდებარეობენ, ისინი არ ქმნიან საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას. პირიქით, ქვეყნები ვაჭრობენ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე რესურსების მოპოვებისთვის.

სამი ასპექტი განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსების როლს საერთაშორისო კონფლიქტში. პირველი: ისინი საჭიროა ინდუსტრიული ეკონომიკის (ზოგჯერ აგრარულისაც) ფუნქციონირებისთვის. მეორე: ეს რესურსები – წიაღისეულის საბადოები, მდინარეები და მისთანანი – დაკავშირებულია კონკრეტულ ტერიტორიებთან, რომელზეც კონტროლის მოსაპოვებლად ბრძოლა შეიძლება გააჩაღონ სახელმწიფოებმა. მესამე: როგორც წესი, ბუნებრივი რესურსების განაწილება არათანაბრად ხდება – ზოგ ქვეყანაში რესურსები უხვადაა, მაშინ როცა, არიან სახელმწიფოები, რომელთაც ისინი საერთოდ არ გააჩნიათ. ეს ასპექტები იმის მიმანიშნებელია, რომ ბუნებრივი რესურსებით ვაჭრობა უაღრესად მომგებიანია; გაცილებით მეტი სიმდიდრე იქმნება ამგვარი ვაჭრობისგან; ასევე იმის დასტურიცაა, რომ რესურსებით ვაჭრობა საკმაოდ პოლიტიზირებულია – წარმოშობს ბაზრის ნაკლოვანებებს, როგორიცაა მონოპოლია, ოლიგოპოლია და ფასებით მანიპულირება, ხანდახან კარტელების მხრიდან (ის. თავი 5).

8.3.1 მსოფლიო ენერგია

სახელმწიფოსთვის საჭირო სხვადასხვა ბუნებრივ რესურსს შორის ცენტრალური ადგილი ენერგო რესურსებს უჭირავს. კომერციული დანიშნულების საწვავის სახეობები, რომლებზეც დგას მსოფლიოს სამრეწველო ეკონომიკები არის ნავთობი (მსოფლიოს ენერგომოხმარების დაახლოებით 40 პროცენტი), ქვანახშირი (30 პროცენტი), ბუნებრივი აირი (25 პროცენტი) და ჰიდროელექტრო და ატომური ენერგია (5 პროცენტი). ამგვარად, წიაღისეული საწვავი (ქვანახშირი, ნავთობი და გაზი) მსოფლიოს ენერგომოხმარების 95 პროცენტს შეადგენს. ელექტროენერგიის ნაწილი, რასაკვირველია, ჰიდროელექტრო კაშხლების ან ატომური ელექტროსადგურების მიერ არის გამომუშავებული, მაგრამ მისი უმეტესი ნაწილი თბოელექტროსადგურებში წიაღისეული საწვავის წვისგან მიიღება.

ცხრილი 8.1 აჩვენებს ენერგიის მოხმარებას ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოს ცხრა რეგიონში. ჩრდილოეთის ოთხი სამრეწველო რეგიონი

ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტ ენერგიას მოიხმარს, ვიდრე სამხრეთის რეგიონები. ჩრდილოეთ ამერიკა ერთ სულ მოსახლეზე 15-ჯერ მეტ ენერგიას იყენებს, ვიდრე სამხრეთ აზია ან აფრიკა, რადგან ამ უკანასკნელებს ნაკლებად განვითარებული მრეწველობა აქვთ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის არსებობს განსხვავებები ენერგიის მოხმარების ეფექტურობის მხრივ, კერძოდ, ენერგიის ერთ ერთეულზე გამომუშავებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის თვალსაზრისით. ნაკლებად ეფექტურები არიან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები; ჩრდილოეთ ამერიკაც კი შედარებით ნაკლებად ეფექტურია; ევროპა და იაპონია კი ყველაზე ენერგოეფექტური არიან.

ცხრილი 8.1 ერთ სულ მოსახლეზე ენერგიის მოხმარება და ენერგიით ვაჭრობა, 2015 წ.

	მოხმარება ერთ სულზე (მილიონი ვტ)	წმინდა ნეტ ექსპორტირებული ენერგია*
ჩრდილოეთ ამერიკა	285	-3
ევროპა	135	-37
იაპონია/ოკეანეთი	180	-40
რუსეთი/დსთ	155	+31
ჩინეთი	80	-12
ახლო აღმოსავლეთი	140	+47
ლათინური ამერიკა	60	+3
სამხრეთ აზია	18	-6
აფრიკა	16	+13
მთლიანად მსოფლიო	75	

* ნეტ ექსპორტი ნიშნავს წარმოებას მინუს მოხმარება. ტექნიკური მიზეზების გამო, ნეტ ექსპორტი მსოფლიოს მასშტაბით არ უტოლდება ნეტ იმპორტს

წყარო: US Department of Energy.

ენერგიით საერთაშორისო ვაჭრობა წამყვან როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. როგორც ამას ცხრილი 8.1 გვიჩვენებს, დასავლეთის ინდუსტრიული რეგიონები ენერგიის მსხვილი იმპორტიორები არიან. ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა და რუსეთი – ენერგიის ექსპორტიორები. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ბაზარზე ყველა სახის ენერგომატარებელი იყიდება, ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ნავთობია, რომლის შორს მანძილზე ტრანსპორტირება შედარებით იაფი ჯდება. რუსეთი მყარი სავალუტო შემოსავლების ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს ნავთობის ექსპორტისგან იღებს. ვენესუელა და მექსიკა (ლათინურ ამერიკაში) და ნიგერია და ანგოლა (აფრიკაში) ასევე მსხვილი ნავთობექსპორტიორები არიან. თუმცა, ნავთობის ექსპორტის უდიდესი წყარო ახლო აღმოსავლეთია – განსაკუთრებით, სპარსეთის ყურის გარშემო განლაგებული ქვეყნები (საუდის არაბეთი, კუვეიტი, ერაყი, ირანი და არაბთა

გაერთიანებული საამიროების პატარა საშეიხოები, კატარი, ბაჰრეინი და ომანი). საუდის არაბეთი უმსხვილესი ნავთობექსპორტიორია და ნავთობის ყველაზე დიდ მარაგებს ფლობს (იხ. ცხრილი 8.1.). ამგვარად, მსოფლიო ენერგეტიკის პოლიტიკა ტრიალებს ახლო აღმოსავლეთის ნავთობის გარშემო, რომელიც დასავლეთ ევროპაში, ჩინეთში, იაპონიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში გადის ექსპორტზე.

ინდუსტრიული ეკონომიკებისთვის ნავთობის მნიშვნელობა გვეხმარება მსოფლიო პოლიტიკაში ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ზონის კარგად გაგებაში. ენერგოსექტორი არამხოლოდ ეკონომიკისთვის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დარგს (რომელზეც ყველა სახის საწარმოო საქმიანობაა დამოკიდებულია), არამედ ის ასევე პოლიტიკურად არის ყველაზე სენსიტიური – ახლო აღმოსავლეთიდან და გლობალური სამხრეთის სხვა ნაწილიდან იმპორტირებულ ნავთობზე დასავლეთის დამოკიდებულების გამო.

იმისათვის, რომ ახლო აღმოსავლეთიდან ნავთობის მიწოდება უზრუნველეყო, ბრიტანეთმა და სხვა ევროპულმა ქვეყნებმა მეოცე საუკუნის დასაწყისში ამ ტერიტორიების კოლონიზაცია მოახდინეს, დაანაწევრეს რა პროტექტორატებად, სადაც ადგილობრივ მონარქებს ტახტი შეუნარჩუნეს. მართალია, შეერთებულ შტატებს პრეტენზია არ განუცხადებია კოლონიებსა თუ პროტექტორატებზე, მაგრამ ამერიკული მრავალეროვნული კორპორაციები 1920-1960 წლებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ რეგიონში ნავთობის რესურსების მოპოვების განვითარების პროცესში და ხშირად უზარმაზარ ძალაუფლებასაც ფლობდნენ. ამერიკული და ევროპული ნავთობკომპანიები დაბალ ფასს უხდიდნენ სახელმწიფოებს, თავად კი დიდ მოგებას იღებდნენ. თუმცა, ადგილობრივი მმართველები დამოკიდებულები იყვნენ ამ კომპანიების გამოცდილებასა და კაპიტალდაბანდებაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბრიტანეთმა უარი თქვა თავის კოლონიურ ამბიციებზე ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ დასავლეთის ნავთობკომპანიები კვლავაც აგრძელებდნენ იაფი ნავთობის მოპოვებას დასავლეთის ქვეყნებისთვის. 1973 წელს არაბეთ-ისრაელის ომის დროს, რეგიონის ნავთობმწარმოებელმა არაბულმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, დაესაჯათ შეერთებული შტატები ისრაელის მხარდაჭერისთვის. მათ შეწყვიტეს აშშ-ში ნავთობის ექსპორტი, ამასთანავე მთლიანი ექსპორტიც შეამცირეს. ამან ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ფასების კატასტროფული ზრდა გამოიწვია. ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციამ (ოპეკი) გააცნობიერა თავისი პოტენციური ძალაუფლება და ასევე ის ფაქტი, რომ მსოფლიო მზად იყო ნავთობში მაღალი ფასი გადეხადა. 1973 წლის *ნავთობის კრიზისმა* ღრმა კვალი დატოვა მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაზე. მყარი ვალუტის უზარმაზარი რაოდენობა დაგროვდა ახლო აღმოსავლეთის ნავთობ ექსპორტიორი ქვეყნების ხაზინებში, რომლებიც თავის მხრივ ინვესტირებას მთელს მსოფლიოში ახდენდნენ (ამას


ეწოდებოდა *ნავთობდოლარები*). მომდევნო წლებში მაღალი ინფლაცია დაატყდა თავს აშშ-სა და ევროპას. ეკონომიკური არასტაბილურობა და აშშ-ის უსუსურობის განცდა – ვიეტნამის ომის ფონზე – თითქოს ამერიკული ძალაუფლების შესუსტებასა და, გლობალური სამხრეთის აღზევებაზე მიანიშნებდა.

1979 წელს ირანის რევოლუციამ მსოფლიოში ნავთობის მეორე კრიზისი გამოიწვია. მაგრამ ნავთობზე მაღალმა ფასებმა გააფართოვა ნავთობის წარმოება ოპეკის გარეთ ახალ ტერიტორიებზე – ჩრდილოეთის ზღვაში (ბრიტანეთი და ნორვეგია), ალასკაში, ანგოლაში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. 1980-იანი წლების შუა ხანებში ახლო აღმოსავლეთი სწრაფი ტემპით კარგავდა თავის წილს ნავთობის მსოფლიო ვაჭრობაში. ამავე დროს, ინდუსტრიული ეკონომიკები უფრო ენერგოეფექტურები გახდნენ. მიწოდების გაზრდასთან და მოთხოვნის შემცირებასთან ერთად, 1980-იანი წლების მიწურულს ნავთობზე ფასები ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა – 1 ბარელის ღირებულებამ 20 აშშ დოლარზე ნაკლები შეადგინა.

1990-იანი წლების მიწურულს, კასპიის ზღვის რეგიონი გამოვიდა წინა პლანზე, როგორც ნავთობის ახალი და მეტწილად აუთვისებელი წყარო (იხ. გრაფიკი 8.5.). თუმცა, რადგან კასპიის ზღვა მიდა ზღვაა ნავთობის ტრანსპორტირება მსოფლიო ბაზრებამდე სახმელეთო ნავთობსადენით უნდა განხორციელდეს. მთავარ ნავთობსადენს ნავთობმწარმოებელი აზერბაიჯანიდან შავ ზღვამდე (სადაც ტანკერების დატვირთვა ხდება) ომისგან განადგურებული ჩეჩნეთის ტერიტორია უნდა გაევლო, რუსეთის სამხრეთ ნაწილში. ამის შემდეგ რუსეთმა დიდი რაოდენობით კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება შავი ზღვის გავლით ექსპორტისთვის ახალი მარშრუტით დაიწყო, რომელიც გვერდს უვლიდა ჩეჩნეთს. დასავლეთის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ნავთობსადენის ახალი მარშრუტი შეექმნათ, რომელიც არ გაივლიდა რუსეთის ტერიტორიაზე. ამავე დროს, თურქეთი ცდილობდა, რომ უფრო დიდ საბაზრო წილზე მოეპოვებინა კონტროლი და შეემცირებინა ბოსფორის სრუტისთვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანი (რომლის გავლითაც უნდა იმოძრავონ რუსულმა ტანკერებმა). ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, 2002-2004 წლებში, სახელმწიფოებმა და ნავთობკომპანიებმა ააშენეს მაღალი გამტარობის ნავთობსადენი, რომლის ღირებულება მილიარდობით აშშ დოლარს შეადგენდა და რომლის გამოყენებითაც აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთის ხმელთაშუაზღვის სანაპირომდე ხდება ნავთობის ტრანსპორტირება.

გრაფიკი 8.5 კასპიის ზღვის გაყოფა

კასპიის ზღვა მსოფლიოში უდიდესი შიდა წყლის რეზერვუარია. საერთაშორისო სამართლის თანახმად ის შეიძლება განისაზღვროს როგორც ტბად, ისევე როგორც ზღვად*. ტბას აქვს საერთო შუა ნაწილი (გამუქებულია მწვანედ მარცხენა სურათზე, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ მოსაზღვრე ქვეყნების მიერ საერთო პირობებზე შეთანხმების შემთხვევაში. გარდა ამისა, არსებობს თითოეული ქვეყნის კონტროლქვეშ არსებული სანაპირო ზონები. ზღვის შემთხვევაში, რომლის სიგანეც 400 მილზე ნაკლებია, მოსაზღვრე ქვეყნების 200 მილის ეკონომიკური ზონები ყოფენ მთელ ზღვას (მარჯვენა სურათი). თუკი მთელი ზღვა გაყოფილია, როგორც მარჯვენა რუკაზე, სექტორების საზღვრები გაივლიდა მედიანის ხაზებზე (წყვეტილი ხაზები) ან დაიყოფოდა ხუთი თანაბარი ფართის სექტორად (წერტილოვანი ხაზები), რის შედეგადაც ირანს უფრო დიდი სექტორი შეხვდებოდა. 2010 წელს, ხუთივე მოსაზღვრე ქვეყნის სანაპირო ზოლში ნავთობის მოპოვების აღმავლობის პარალელურად, სამიტზე შეთანხმდნენ, რომ თითოეული მხარე მიიღებდა 25 მილიან სანაპირო ზოლს. 2012 წელს, რუსეთმა ყაზახეთთან ერთობლივი სამხედრო წვრთნები ჩაატარა, რომლის მიზანსაც ირანისგან თავდასხმის შემთხვევაში ნავთობსაბადოების დაცვაში მომზადება წარმოადგენდა. ეს კონფლიქტი დიდწილად მოგვარდა, თუმცა, არა დომინირების, არამედ ორმხრივობის პრინციპით. 2018 წელს, ხუთივე მოსაზღვრე ქვეყანამ საბოლოოდ მიაღწია შეთანხმებას და ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც კასპიის ზღვა განიხილება, როგორც ზღვად, ასევე ტბად. ხელშეკრულების თანახმად, წყლის ზედაპირი საერთაშორისო ზონად მიიჩნევა, ხოლო ზღვის ძირი ტერიტორიულ წყლებად.



ძალადობრივი კონფლიქტები მილსადენის მარშრუტებს განსაკუთრებით ართულებს. სამივე ქვეყანა, რომელზეც ახალი მილსადენის გზა გადის, უკანასკნელ დროს ომში იყო ჩართული. ამასობაში, 2003 წელს, ახალმა 4 მილიარდი დოლარის ღირებულების მილსადენმა საექსპორტოდ დაიწყო ნავთობის გადაზიდვა ჩადიდან კამერუნის გავლით, რაც ორივე ქვეყნისთვის სიღარიბის დაძლევის პერსპექტივას ქმნიდა. მაგრამ

მას შემდეგ რაც სუდანში გამაგრებული მეამბოხეები თავს დაესხნენ ჩადს, ნავთობიდან შემოსული ფული სიღარიბის ნაცვლად, სამხედრო მიზნებისკენ მიმართეს. მიუხედავად იმისა, რომ საზღვრები და გეოპოლიტიკა შეიძლება სულ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს კომუნიკაციასა და ბიზნესში, მათ კვლავაც დიდი როლი აქვთ საერთაშორისო ეკონომიკურ საკითხებში, როგორიცაა ნავთობსადენები.

8.3.2 სასარგებლო წიაღისეული

იმისათვის რომ შექმნან ინფრასტრუქტურა და სხვა სამრეწველო საქონელი, რომელსაც მოაქვს სიმდიდრე ეროვნულ ეკონომიკაში, სახელმწიფოებს ენერგორესურსების გარდა, სხვა ნედლეულიც სჭირდებათ. ესენია ლითონები, სხვა სასარგებლო წიაღისეული და მასთან დაკავშირებული მასალები, რომლებიც მიიღება სამთო მოპოვების გზით. სასარგებლო წიაღისეულის – რკინა, სპილენძი, პლატინა და სხვ – პოლიტიკური ეკონომიკა განსხვავდება მსოფლიო ენერგიის პოლიტიკური ეკონომიკისგან. ნავთობის ღირებულება საერთაშორისო ვაჭრობაში მრავალჯერ აღემატება ნებისმიერი სასარგებლო წიაღისეულის ფასს. მისი მარაგი არ არის კონცენტრირებული მსოფლიოს ერთ რომელიმე რეგიონში. გარდა ამისა, ინდუსტრიულმა ქვეყნებმა ასევე შეამცირეს თავიანთი მოწყვლადობა და სტრატეგიული სასარგებლო წიაღისეულის რეზერვები გაიკეთეს.


ინდუსტრიული ეკონომიკებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საწარმოო მოწყობილობაში გამოყენებული სასარგებლო წიაღისეული. ტრადიციულად, ყველაზე მნიშვნელოვანია რკინა, რომელიც გამოიყენება ფოლადის დასამზადებლად. ფოლადის მთავარი მწარმოებელი ქვეყნები არიან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, იაპონია, შეერთებული შტატები, ჩინეთი და გერმანია, მათ მოსდევს ბრაზილია, იტალია, სამხრეთ კორეა, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. ამგვარად, წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნები თავადვე აწარმოებენ საკუთარ ფოლადს (გერმანია და იაპონია მთავარი ექსპორტიორები არიან მსოფლიოს მასშტაბით). ფოლადის წარმოებაში თვითუზრუნველყოფის შესანარჩუნებლად, შეერთებულმა შტატებმა და სხვა ქვეყნებმა გამოიყენეს სავაჭრო სტრატეგიები ფოლადის შიდა ინდუსტრიების დასაცავად (როგორიცაა 2018 წლის აშშ-ს ფოლადის ტარიფები). ზოგიერთი ინდუსტრიალიზებული ქვეყანა, განსაკუთრებით იაპონია, დიდად არის დამოკიდებული მათი ფოლადის ინდუსტრიისთვის რკინის მადნის იმპორტზე. რკინის მარაგები არ არის თავმოყრილი ერთ კონკრეტულ არეალში და მისი ექსპორტი მსოფლიოს მასშტაბით ხორციელდება როგორც განვითარებადი, ასევე ინდუსტრიალიზებული ქვეყნებიდან.სხვა მნიშვნელოვანი სამრეწველო მადნეულისთვის, როგორიცაა სპილენძი, ნიკელი და თუთია, მომარაგებისა და ვაჭრობის სტრუქტურა უფრო დაქსაქსულია, ვი-

დრე ნავთობის შემთხვევაში და ინდუსტრიული ქვეყნებიც მეტწილად თვითმარი არიან. მაშინაც კი, როცა გლობალური სამხრეთის ქვეყნები მთავარი მიმწოდებლები არიან, მათ არ მოუპოვებიათ ოპეკის მაგვარი ძალაუფლება. ცალკეულ შემთხვევებში არსებობს კარტელების სხვადასხვა სახეობები, მაგ, მწარმოებელი კარტელი (სპილენძი), მწარმოებელ-სამომხმარებლო კარტელი (კალა), ასევე ცალკე მწარმოებელი და ცალკე სამომხმარებლო კარტელები (ბოქსიტი/ალუმინის მადანი). ჩინეთს ამჟამად პრაქტიკულად მთლიანი მონოპოლია უპყრია ხელთ დედამიწის იშვიათი მინერალების მსოფლიო მარაგისა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია (მცირე რაოდენობით) ელექტროაპარატურის წარმოებისთვის. დროდადრო ჩინეთი ექსპორტს ამცირებდა ხოლმე ამ სასარგებლო წიაღისეულზე ფასების ასაწევად. თუმცა, ბოლო რვა წელიწადში ზოგიერთმა ქვეყანამ, როგორიცაა, მაგალითად, ვიეტნამი, ამ ელემენტთაგან რამდენიმეს წარმოება დაიწყეს და ამით შეასუსტეს ჩინეთის მონოპოლიური პოზიცია.

ცალკეულმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებმაც გამოიწვია მწარმოებელთა კარტელების მომრავლება, როგორიცაა, მაგალითად, ბანანის ექსპორტიორი ქვეყნების კავშირი (UBEC) და მიწის თხილის აფრიკული საბჭო. სასარგებლო წიაღისეულის მსგავსად, ზოგიერთი საექსპორტო კულტურები ძირითადად რამდენიმე ქვეყნიდან მოდის. ესენია: შაქარი (კუბა), კაკაო (კოტ დ'იუვარი, განა, ნიგერია), ჩაი (ინდოეთი, შრი-ლანკა, ჩინეთი) და ყავა (ბრაზილია, კოლუმბია). კონცენტრაციის მიუხედავად, მწარმოებელთა კარტელები ძალიან წარმატებულები მაინც არ აღმოჩნდნენ ამ პროდუქტებზე ფასების ზრდის თვალსაზრისით, რომლებიც ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ენერგეტიკული რესურსები.

8.3.3 დავები წყლის რესურსების გამო

ენერგომატარებლებისა და სასარგებლო წიაღისეულის გარდა, ქვეყნებს წყალი სჭირდებათ. ეს საჭიროება იზრდება საზოგადოების ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის განვითარების და მოსახლეობის ზრდის პარალელურად. დღეს მსოფლიოს მიერ წყლის მოხმარება 35-ჯერ აღემატება რამდენიმე საუკუნის წინანდელ მაჩვენებელს. მე-20 საუკუნეში იგი ორჯერ უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე მოსახლეობა. თუმცა, ხელმისაწვდომი წყლის მარაგების მაჩვენებელი შედარებით უცვლელია და ბევრგან უკვე ამოწურვის პირასაც კია. მსოფლიოს მოსახლეობის ერთ-მეხუთედს არ აქვს უსაფრთხო სასმელი წყალი, 80 ქვეყანა კი წყლის დეფიციტს განიცდის. წყლის რესურსები – მდინარეები და გრუნტის წყლები – ხშირად კვეთს საერთაშორისო საზღვრებს. ამგვარად, წყალზე ხელმისაწვდომობა სულ უფრო მეტად ხდება საერთაშორისო კონფლიქტის წყარო. ხანდახან იმის გამო, რომ რამდენიმე ქვეყანას გრუნტის წყლებთან საზი-



თხევადი ოქრო მოსახლეობის ზრდის და ეკონომიკური განვითარების, ასევე კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული სალექის რაოდენობის ცვლილების ჰარალელურად წყალზე მოთხოვნა იზრდება. შედეგად წყალი კიდევ უფრო მეტად ღირებული რესურსი ხდება. არსებობს საფრთხე, რომ ცალკეულ, ჭარბად დასახლებულ რეგიონებს წყლის რესურსების სიმწირე დაემუქრებათ. რაც გამოიწვევს ჰუმანიტარულ და პოლიტიკურ კრიზისებს. ამ სურათზე, სამხრეთ აფრიკელები წყლის რიგში დგანან კეიპტაუნის სიახლოვეს, 2018 წელს.

არო ნვდომა აქვს, ეს კონფლიქტები საზოგადოებრივი საქონლის პრობლემებად ყალიბდება.

წყალთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთში. მაგალითად, მდინარე ევფრატი მანამ სანამ მიაღწევს სპარსეთის ყურეს, თურქეთიდან მოედინება და სირიის გავლით ჩადის ერაყში. ერაყი სირიის მიერ მდინარის ნაკადისთვის მიმართულების შეცვლას, ხოლო ორივე, ერაყიც და სირიაც – თურქეთის მხრიდან მსგავს ქმედებას ეწინააღმდეგებიან.

მდინარე იორდანე სათავეს იღებს სირიასა და ლიბანში და მიედინება იორდანიაში ისრაელის გავლით. 1950-იან წლებში ისრაელმა დაიწყო არხის მშენებლობა, რათა „უდაბნოს ასაყვავებლად“ გამოეყენებინა მდინარე იორდანეს წყალი. იორდანიამ და მისმა არაბმა მეზობლებმა საჰივარი შეიტანეს გაეროს უშიშროების საბჭოში, მაგრამ საბჭომ ვერ შეძლო დავის გადაწყვეტაში შუამავლის როლის შესრულება. ორივე ქვეყანა თავიანთი გეგმების განხორციელებას შეუდგა (თუმცა, ისრაელი და იორდანია შეთანხმდნენ, დარჩენილიყვნენ გაეროს მიერ დადგენილ ჩარჩოებში). 1964 წელს სირია და ლიბანი შეუდგნენ, აეშენებინათ კაშხლები და სანამ ის მიაღწევდა ისრაელს, წყლისთვის მიმართულება შეეცვალათ, რაც ისრაელის ახალ სარწყავ სისტემას უსარგებლოს გახდიდა. მხოლოდ სამშენებლო მოედანზე ისრაელის მიერ მიყენებულმა საჰაერო და საარტილერიო დარტყმებმა აიძულა სირია გეგმაზე ხელი აეღო. 1967 წელს ისრაელის მიერ გოლანის მაღლობების ხელში ჩაგდებამ გადააფიქრებინა სირიას, ხელახლა ეცადა მსგავსი პროექტის განხორციელება. ასე რომ, ბუნებრივი რესურსებისთვის დაწყებული კონფლიქტების მოგვარებისთვის დომინირების პრინციპი ხდება მნიშვნელოვანი.

რასაკვირველია, ეს რესურსები შეიძლება ასევე პირდაპირ უკავშირდებოდეს საერთაშორისო უსაფრთხოებას. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებმა განავრცეს თავიანთი გარემოსდაცვითი პოლიტიკის კვლევები, რათა შეესწავლათ სამხედრო და უსაფრთხოების საკითხების ურთიერთკავშირი გარემოსთან. ამ ურთიერთობის ერთ მხარეს არის გარემოს როლი, როგორც საერთაშორისი კონფლიქტის წყაროსი. რამდენადაც კლიმატის ცვლილება იწვევს ცვლილებებს ამინდში და ნალექის პატერნებში, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ადგილი უფრო უხვია წყლის რესურსების თვალსაზრისით, მაშინ როცა სხვა ადგილები აღმოჩნდნენ ახალი დეფიციტების წინაშე გვალვების სახით. 2017 წელს, ქალაქმა კეიპტაუნმა სამხრეთ აფრიკაში განაცხადა, რომ 2018 წლის გაზაფხულზე მას წყლის რესურსები ამოეწურებოდა. საპასუხოდ, მთავრობამ მკაცრი შეზღუდვები დააწესა წყლის მოხმარებაზე, რის შედეგადაც დღიური მოხ-

მარება განახევრდა. ამ პოლიტიკამ „ნულოვანი დღის“ დადგომა, როდესაც წყალი გამოილეოდა, რამდენიმე თვით გადასწია. თუმცა, მანამ სანამ წყლის ახალი რესურსები არ იქნება ნაპოვნი ან ატმოსფერული ნალექის რაოდენობა არ გაიზრდება, კეიპტაუნს წყლის მწირი რესურსებით გაურკვეველი მომავალი ემუქრება.

8.4 მოსახლეობა


დაახასიათეთ დემოგრაფიული ტრანზიცია და ის, თუ რატომ არის ზოგიერთი ქვეყანა დაუცველი მოსახლეობის სწრაფი ზრდის მიმართ.

მსოფლიოს მოსახლეობა, რომელიც 2018 წელს 7.6 მილიარდს შეადგენდა, ყოველწლიურად 80 მილიონი ადამიანით იზრდება. მოსახლეობის რაოდენობის დინამიკის პროგნოზორება გარკვეული თვალსაზრისით ადვილია. ბირთვული ომისა და ეკოლოგიური საფრთხის არარსებობის პირობებში, დღევანდელი ბავშვები გაიზრდებიან და თავად გახდებიან მშობლები. მომავალი 20-30 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის ზრდა გლობალური სამხრეთის მოსახლეობაში ბავშვების დიდი ნილის ხარჯზე წარიმართება. პროგნოზის მიხედვით, 2030 წელს მსოფლიო მოსახლეობა 8-9 მილიარდი იქნება და ცოტა რამ თუ შეიძლება გაკეთდეს ამ ტენდენციის შესაცვლელად. ამ პერიოდში მოსახლეობის ზრდის მთლიანი მაჩვენებლის 96 პროცენტი იქნება თავმოყრილი გლობალურ სამხრეთში. ამჟამად, მსოფლიო მოსახლეობის ზრდის ნახევარი მოდის მხოლოდ ექვს ქვეყანაზე. ესენია: ინდოეთი, ჩინეთი, პაკისტანი, ნიგერია, ბანგლადეში და ინდონეზია. მომდევნო 50 წელიწადში მოსალოდნელია მოსახლეობის გასამმაგება მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებში მაშინ როცა, ამავე პერიოდში ბევრი მდიდარი ქვეყნის მოსახლეობა შემცირდება.

უფრო გრძელვადიანი პროგნოზები შედარებით ბუნდოვანია (იხ. გრაფიკი 8.6). 2002 წელს ახალმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ქალების მაღალი სტატუსი და განათლების დონე მოსალოდნელზე მეტად ამცირებს მოსახლეობის ზრდას დიდ ღარიბ ქვეყნებში. სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დღეს გადადგმული ნაბიჯები განსაზღვრავენ დედამიწის მოსახლეობის რაოდენობას მომდევნო 200 წლის მანძილზე. ორასი წლის წინ, ბრიტანელმა მწერალმა თომას მალთუსმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპები აჭარბებდა ხელმისაწვდომი საკვების ოდენობის ზრდის ტემპებს და იწინასწარმეტყველა, რომ მოსახლეობის ზრდათავისთავად შეფერხდებოდა საყოველთაო შიმშილობისა და ავადმყოფობების გავრცელების შედეგად. თუმცა, ამ მოსაზრების კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ტექნოლოგიური პროგრესი ფეხდაფეხ მიყვებოდა მოსახლეობის რაოდენობის ზრდას, რის შედეგადაც ბევრად უფრო მეტი საკვების და რესურსების მოპოვება გახდა გარემოდან შესაძლებელი, თუნდაც მზარდი მოსახლოების პირობებში.

გრაფიკი 8.6 მსოფლიო მოსახლეობის ტენდენციები და პროგნოზები

წყარო: გაეროს მოსახლეობის ფონდი



8.4.1 დემოგრაფიული ტრანზიცია

მოსახლეობის ზრდა ყოველ 1000 ადამიანზე შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლებს შორის სხვაობის შედეგად გამოითვლება. აგრარულ (პრეინდუსტრიულ) საზოგადოებებში, ორივე, როგორც შობადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლები მაღალია. შესაბამისად, მოსახლეობის ზრდა მცირდება – ან გარკვეულ შემთხვევებში სულაც ნეგატიური ხდება – როცა სიკვდილიანობის მაჩვენებელი აჭარბებს შობადობის მაჩვენებელს (მაგალითად, შიმშილობის დროს).


დემოგრაფიული ტრანზიცია (Demographic Transition)
ტენდენცია, რომლის დროსაც, ინდუსტრიალიზაციის და ეკონომიკური განვითარების შედეგად, ჯერ სიკვდილიანობის მაჩვენებელი ეცემა, ხოლო შემდეგ ამას მოსდევს შობადობის მაჩვენებლის კლება.

ეკონომიკური განვითარების პროცესს – ერთ სულ მოსახლეზე ინდუსტრიალიზაციის მაჩვენებლისა და სიმდიდრის ოდენობის გაზრდას – ცვლილებები მოაქვს შობადობის და სიკვდილიანობის ტემპებში, რასაც თან სდევს საკმაოდ უნივერსალური პატერნი, სახელწოდებით **დემოგრაფიული ტრანზიცია.** (იხ. გრაფიკი 8.7). აღნიშნული პერიოდის პირველ ეტაპზე, როცა იზრდება სურსათის მარაგი და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ფართოვდება, სიკვდილიანობის მაჩვენებელი ეცემა.. მოგვიანებით, შობადობის მაჩვენებელი იკლებს, როგორც კი ადამიანები მეტად განათლებულები, მეტად უზრუნველყოფილები და მეტად ურბანიზებულები ხდებიან და როცა საზოგადოებაში ქალების სტატუსი უმჯობესდება. ტრანზიციის დასასრულს ისევე, როგორც დასაწყისში, შობადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლები თითქმის ერთნაირია, მოსახლეობის ზრდა კი – მეზღუდული. მაგრამ ტრანზიციის პერიოდში, მაშინ როცა გარდაცვალების მაჩვენებელი უფრო სწრაფად იკლებს, ვიდრე შობადობის, მოსახლეობა რადიკალურად იზრდება. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ღარიბებს ბევრი შვილი ჰყავთ არის ის, რომ უკიდურესი სიღარიბის პირობებში, ბავშვის გადარჩენა სათუოა. ავადმყოფობა, არასათანადო კვება ან ძალადობა, შესაძლოა, გახდეს ბავშვების გარდაცვალების მიზეზი, მშობლებს კი არავინ დარჩებათ გვერდით, ვინც მათ სიბერეში მოუვლით. ბევრი ბავშვის ყოლა კი იმის გარანტიაა, რომ ზოგიერთი ბავშვი მაინც გადაურჩება სიკვდილს.

გრაფიკი 8.7 დემოგრაფიული ტრანზიცია

შემოსავლის ზრდასთან ერთად, ჯერ სიკვდილიანობის მაჩვენებელი იკლებს, შემდეგ კი შობადობის. სხვაობა მათ შორის არის მოსახლეობის ზრდის ტემპი. ტრანზიციის აღრეულ ეტაპზე, მოსახლოებაში დიდი რაოდენობით ბავშვია; მოგვიანებით კი – დიდი რაოდენობით ასაკოვანი ადამიანი.

წყარო: გაერო



როგორც კი სახელმწიფო იწყებს დემოგრაფიულ ტრანზიციას, მისი მოსახლეობის სტრუქტურა დრამატულად იცვლება. პროცესის დასაწყისსა და შუაში მოსახლეობის უმრავლესობას ახალგაზრდები წარმოადგენენ. ოჯახებს ჰყავთ ბევრი ბავშვი, ზრდასრული ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა მაღალი არ არის. იმის გამო, რომ ბავშვები არ არიან ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან პროდუქტიულები, ღარიბ ქვეყნებში მათი სიჭარბე აფერხებს სიმდიდრის დაგროვების პროცესს. მაგრამ დემოგრაფიული ტრანზიციის დასასრულს, ზრდასრულები უფრო დიდხანს ცხოვრობენ, ოჯახებს კი უფრო ნაკლები შვილი ჰყავთ, ასე რომ მოსახლეობის საშუალო ასაკი გაცილებით უფრო დიდია. საბოლოო ჯამში ისე გამოდის, რომ მოსახლეობის კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ნაწილი ხანში შესულია – შედეგად ვიღებთ სხვა არაპროდუქტიულ მოსახლეობას, რომელიც ეკონომიკამ უნდა შეინახოს.

ინდუსტრიულმა ქვეყნებმა დაასრულეს დემოგრაფიული ტრანზიცია და ამჟამად ამ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდა ნელი ტემპით მიმდინარეობს. მოსახლეობა მცირდება რუსეთში, ევროპასა და იაპონიაში. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ტრანზიციის შუა ეტაპზეა და მოსახლეობის ზრდის სწრაფი ტემპით გამოირჩევა.

დემოგრაფიული ზრდის დილემა შემდეგია: სწრაფი დემოგრაფიული ზრდა და მოსახლეობის სტრუქტურაში ბავშვების დიდი წილი ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის შემცირების მნიშვნელოვანი მიზეზია. თუმცა, მოსახლეობის ზრდის პროცესის შესანელებლად საუკეთესო გზა ერთ

სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდაა. ამგვარად, მოსახლეობის ზრდა ბევრ ღარიბ ქვეყანაში მოჯადოებულ წრეს წარმოადგენს. იქ, სადაც მოსახლეობის ზრდა და მთლიანი სიმდიდრის ზრდა ერთი ტემპით მიმდინარეობს, დროთა განმავლობაში რიგითი მოქალაქის მდგომარეობა არ უმჯობესდება. მაშინაც კი, როცა ეკონომიკა მოსახლეობაზე სწრაფად იზრდება, ისე რომ საშუალო შემოსავალიც მატულობს, ღარიბი მოსახლეობის საერთო რაოდენობა მაინც შეიძლება გაიზარდოს.

დემოგრაფიულ ტრანზიციას ასევე ახასიათებს საერთაშორისო დონეზე სიმდიდრის არათანაბარი განაწილების გაზრდის ტენდენციაც. ქვეყნები, რომლებიც ცოტათი მაინც ახერხებენ შემოსავლების ზრდას, შედიან აღმავალ სპირალურ ფაზაში – მოსახლეობის ზრდის შენელებასთან ერთად, სულ უფრო მეტად იზრდება ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონე, რაც მომავალში უფრო მეტად შეანელებს მოსახლეობის ზრდას და ასე შემდეგ. ამავდროულად, ქვეყნებს, რომლებშიც არ იზრდება შემოსავალი, ახასიათებთ მოსახლეობის ინტენსიური ზრდა; ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი დაბალ დონეს ინარჩუნებს, რაც მოსახლეობის ზრდას უწყობს ხელს – ესაა დაღმავალი სპირალური ფაზა.

გლობალურად, ეს სხვაობა ქმნის სიმდიდრის არათანაბარი განაწილებას ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის (იხ. თავი 7). სამხრეთში, უთანასწორობას ასევე ამწვავებს ის ფაქტი, რომ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა თუ ახერხებს მოსახლეობის ზრდის ტემპის შენელებას და შემოსავლების ზრდას, მაშინ როცა სხვა ქვეყნებს ეს არ გამოსდით. დემოგრაფიული ტრანზიცია ერთი ქვეყნის შიგნითაც კი ამწვავებს უთანასწორობას. ქალაქები, მდიდარი კლასები, მდიდარი ეთნიკური ჯგუფები და უფრო მდიდარი პროვინციები მიდრეკილნი არიან შობადობის დაბალი მაჩვენებლისკენ, ვიდრე სოფლები, ღარიბი კლასები, ღარიბი ეთნიკური ჯგუფები და ღარიბი პროვინციები. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი, ისრაელი და შეერთებული შტატები, უფრო მდიდარ ეთნიკურ ჯგუფებს მოსახლეობის ზრდის გაცილებით უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე ღარიბ ეთნიკურ ჯგუფებს.

ბოლო ათწლეულებში სამხრეთის ქვეყნები ორ ჯგუფად იყოფიან. პირველი ჯგუფი, მათ შორის, ჩინეთი და ინდოეთი, შევიდა დემოგრაფიული ტრანზიციის ფაზაში და შობადობის დაბალი მაჩვენებელით გამოირჩეოდა 1970-იან წლებში. მაგრამ სხვა თითქმის 70 ღარიბ ქვეყანაში, სიცვდილიანობის მაჩვენებელი კვლავ შობადობაზე სწრაფად ეცემოდა, რაც მოსახლეობის ზრდას აჩქარებდა. მოსახლეობის ამ ტენდენციებმა ხელი შეუწყო უთანასწორობის წარმოშობას გლობალური სამხრეთის შიგნით 1990-იან წლებში, განსაკუთრებით აფრიკასა და აზიას შორის.

8.4.2 დემოგრაფიული პოლიტიკები

არა მხოლოდ ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობა, არამედ მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯებიც ახდენს გავლენას შობადობის მაჩვენებლებზე. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რაც ეხება შობადობის კონტროლს (კონტრაცეფციას). სახელმწიფოთა მიდგომები მკვეთრად განსხვავებულია.

ერთი უკიდურესობაა ჩინეთის პოლიტიკა, რომელიც მრავალი წელია ძლიერი სამთავრობო კონტროლის გზით ცდილობს წყვილებს ერთზე მეტი შვილის ყოლის უფლება შეუზღუდოს. მეორე შვილზე დაწესებულ ჯარიმებში შედის იმ მომსახურებებზე გადასახადის დაკისრება, რაც პირველი შვილისთვის უფასო იყო. ჩინეთმა დაიწყო მდიდარი და უფრო განათლებული ოჯახების წაქეზება, ჰყოლოდათ ორი შვილი. მაგალითად, შანხაიში წყვილებს ორი შვილის ყოლის უფლება მისცეს. ორ ბავშვზე მეტის ყოლის შემთხვევაში, ჯარიმები იზრდება. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები და აბორტი უფასოა. ჩინეთის პოლიტიკამ მნიშვნელოვნად დაწია მოსახლეობის ზრდის ტემპი ქალაქებში, თუმცა სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ ადამიანების უმეტესობა ცხოვრობს, შედარებით ნაკლებად. და მაინც, მხოლოდ ერთ ათწლეულში (1970-იან წლებში), ჩინეთში შობადობის კოეფიციენტი ერთ ქალზე 6 ბავშვიდან დაახლოებით 2.5-მდე დაეცა, რაც მკვეთრი ცვლილებაა. 2015 წლისთვის, შობადობის კოეფიციენტი უკვე 1.6 იყო.

მაგრამ ჩინეთის პოლიტიკას ნაკლოვანებები აქვს. ის ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას მთავრობის კონტროლის სასარგებლოდ. დაფიქსირდა იძულებითი აბორტის შემთხვევები. ტრადიციულ ჩინურ საზოგადოებაში (ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში), ბიჭი შვილების ყოლას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ვიდრე ვიდრე გოგოების. წყვილმა, რომელსაც ქალიშვილი ჰყავს, შეიძლება მანამ აჩინოს ბავშვები, სანამ ვაჟიშვილი არ გაუჩნდებათ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩინელ გლეხებს მოუკლავთ ახალდაბადებული ქალიშვილები, რომ ვაჟის გაჩენის შანსი ჰქონოდათ. 1990-იან წლებში მოხელეების მოსყიდვა ჩვეულებრივი მეთოდი გახდა ერთი შვილის პოლიტიკისთვის გვერდის ასაქცევად. უფრო ხშირად ჩინეთში (და ინდოეთის ზოგიერთ ნაწილში) მშობლები ულტრასონოგრაფიულ სკანირებას იყენებენ ნაყოფის სქესის გასაგებად და მდედრობითი სქესის შემთხვევაში, აბორტს იკეთებენ. ჩინეთის 2000 წლის მოსახლეობის აღწერამ გამოააშკარავა სქესთა შორის სხვაობა, რაც წელიწადში მილიონობით „დაკარგულ" გოგონას უდრის.

ამ გენდერულ უთანასწორობაზე და მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილის დაბერების ტენდენციაზე საპასუხოდ, ჩინეთის მთავრობამ 2013 წელს დაიწყო ერთი შვილის პოლიტიკის შემსუბუქება. თუმცა, რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახების მხოლოდ 12 დან 18 პროცენტამდე გააჩინა მეორე შვილი. ჩინეთის მავრობამ გამოხატა უკმაყოფილება, რომ უფრო მეტმა წყვილმა არ გამოიყენა ეს ახალი შესაძლებლობა.

ინდოეთის პოლიტიკა ნაკლებად ექსტრემალურია, თუმცა უფრო ნელი ტემპით აღწევს შედეგს. შობადობის მაჩვენებელი ერთ ქალზე 6-დან 4.8 მდე დაეცა 1970-იან წლებში და 2.4-მდე 2018 წელს. ინდოეთის მთავრობამ, რომელიც შობადობის კონტროლის მომხრე იყო, სცადა ინფორმაცია და საშუალებები ფართოდ ხელმისაწვდომი გაეხადა, მაგრამ რადგან ის დემოკრატიული ქვეყანაა, საზოგადოებას ჩინეთივით ვერ გააკონტროლებდა. ის ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებსაც შედარებით უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ, ვიდრე ჩინეთსა და ინდოეთში, უფრო ადვილად შეძლებენ შობადობის შემცირების წახალისებას.

ჩინეთისგან განსხვავებულ უკიდურესობას წარმოადგენენ სახელმწიფოები, რომლებიც ხელს უწყობენ ან ძალდატანებით ახორციელებენ შობადობის მაჩვენებლის გაზრდას და არაკანონიერად აცხადებენ ან ზღუდავენ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე ხელმისაწვდომობას. ამგვარ პოლიტიკას ეწოდება **პრონატალისტური** (შობადობის ზრდისკენ მიმართული). ტრადიციულად, ბევრ მთავრობას გაუტარებია ამგვარი პოლიტიკა, რადგან მოსახლეობა სახელმწიფოს ძლიერების შემადგენელ ელემენტად მიიჩნეოდა. ბევრი ჩვილი დღეს ნიშნავდა ბევრ ჯარისკაცს ხვალ. ამჟამად მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს აქვს რადიკალური პრონატალისტური პოლიტიკა, მაგრამ ბევრი ისევ არ უზრუნველყოფს ღარიბი ქალებისთვის შობადობის კონტროლზე ან სექსუალური განათლებაზე ხელმისაწვდომობას. ზოგიერთ ასეთ ქვეყანაში მოსახლეობა არ განიხილება პრობლემად (და პირიქით, შეიძლება აქტივადაც კი მიაჩნდეთ); სხვა ქვეყნებში მთავრობას უბრალოდ არ აქვს იმის საშუალება, რომ ეფექტური ღონისძიებები გაატაროს შობადობის შესამცირებლად. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიხედვით, 200 მილიონი ქალისთვის არაა ხელმისაწვდომი ეფექტური კონტრაცეფცია.

პრონატალისტური (Pronatalist)

სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც ახალისებს ან აიძულებს ოჯახებს ბავშვის ყოლას და არაკანონიერად აცხადებს ან ზღუდავს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე ხელმისაწვდომობას.

შობადობაზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაში ქალების სტატუსი. ის კულტურები, რომლებიც ტრადიციულად ქალის მოვალეობას მხოლოდ ბავშვების გაჩენაში ხედავენ, ქალების წინააღმდეგ დიდ ზეწოლას ახორციელებენ, როცა ისინი ამ ფუნქციის შესრულებაზე უარს ამბობენ. ბევრი ქალი არ იყენებს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს, რადგან ქმრები ამის უფლებას არ მისცემენ. ეს ქმრები შესაძლოა, ფიქრობენ, რომ ბევრი შვილის ყოლა მათ მამაკაცურობაზე მეტყველებს. თუმცა, როგორც კი ქალების სტატუსი უმჯობესდება და მათ საშუალება ეძლევათ იმუშაონ სხვადასხვა პროფესიით, ჰქონდეთ უძრავი ქონება და მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, ისინი იძენენ ძალაუფლებას, ისევე როგორც განათლებას და ფულს, რაც აუცილებელია, რომ მათ შეძლონ შეზღუდონ თავიანთი ოჯახების ზომა. გაეროს მოსახლეობის ფონდის თანახმად, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის გასაკონტროლებლად. მთავრობების პოლიტიკა ქალთა სტატუსის შესახებ სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვაგვარია. საერთაშორისო პროგრამები და სააგენტო-

ები, როგორიცაა გაეროს კომისია ქალების სტატუსზე, მუშაობენ იმაზე, რომ ეს საკითხი გლობალური მასშტაბით მოგვარდეს.

8.4.3 დაავადებები

მოსახლეობის ზრდას განსაზღვრავს როგორც სიკვდილიანობის, ისე შობადობის მაჩვენებელი. ადამიანები სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა მიზეზით იღუპებიან. ღარიბ ქვეყნებში ადამიანებს ახალგაზრდა ასაკში, ხშირად ინფექციური დაავადებები კლავს; მდიდარ ქვეყნებში კი ადამიანები უფრო ხანგრძლივად ცოცხლობენ და მეტწილად სიმსივნით ან გულის დაავადებებით იღუპებიან. იმ ჩვილების პროპორციას, რომლებიც დაიღუპნენ დაბადებიდან პირველივე წელს, **ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი** ეწოდება. ეს მაჩვენებელი საუკეთესოდ ასახავს ზოგადად ჯანმრთელობის კუთხით არსებულ ვითარებას, რადგან ის აჩვენებს მოსახლეობის ხელმისაწვდომობას საკვებზე, წყალზე, თავშესაფარსა და ჯანდაცვაზე. ჩვილთა სიკვდილიანობა 4 პროცენტს შეადგენს მთელი მსოფლიო მასშტაბით: ერთი ან ერთზე ნაკლები პროცენტია მდიდარ ქვეყნებში, 10 პროცენტზე მეტი კი – ღარიბ სახელმწიფოებში, მაჩვენებელი უფრო მაღალია უკიდურესად ღარიბ ტერიტორიებზე (განსაკუთრებით აფრიკაში და ახლახან ომგამოვლილ ადგილებში).

ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (Infant Mortality Rate)
ერთი წლის ასაკის მიღწევამდე გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობის მაჩვენებელი.

მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იცვლება ერთი სახელმწიფოდან ან რეგიონიდან მეორემდე, ზოგადი ტენდენცია სტაბილურობას ინარჩუნებს ათწლეულების მანძილზე. ომები, გვალვები, ეპიდემიები და ბუნებრივი კატაკლიზმები მოქმედებენ უფრო ლოკალურად, ვიდრე გლობალურად. უღარიბეს ქვეყნებში, რომლებიც დემოგრაფიული ტრანზიციის საწყის ეტაპზე არიან, სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა – 1950 წელს ათას ადამიანზე 30 გარდაცვალების ფაქტიდან 8-მდე 2014 წლიდან. ინდუსტრიულ ქვეყნებში 1960 წლისთვის ეს რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა – დაახლოებით 10-მდე ათას ადამიანზე, ამჟამად კი – შვიდამდე დასავლეთის სახელმწიფოებში. სიკვდილიანობის ეს სტაბილური ტენდენციები იმის მანიშნებელია, რომ გარდაცვალების მაჩვენებელი არ არის საშუალება, რომლითაც მთავრობები ან საერთაშორისო სააგენტოები შეძლებენ, გავლენა მოახდინონ მოსახლეობის ზრდაზე – სიღარიბის გაუარესებას შეუძლია, გამოიწვიოს შიმშილი და გაზარდოს სიკვდილიანობის დონე, მაგრამ ეს არაა რეალისტური გზა მოსახლეობის ზრდის გასაკონტროლებლად. ეს იქნებოდა უკან გადადგმული ნაბიჯი დემოგრაფიულ ტრანზიციაში, რაც გაანადგურებდა შობადობის შემცირების ნებისმიერ შანსს. არც ომებში იღუპება იმდენი ადამიანი, რომ ამან მოსახლეობის ზრდა შეანელოს. მოკლედ რომ ვთქვათ, მსოფლიოს უმეტესი ნაწილი უკვე არის ან უახლოვდება ტრანზიციის დასასრულს სიკვდილიანობის მაჩვენებლის თვალსაზრისით; საკვანძო კითხვაა: რამდენი ხანი დასჭირდება შობადობის მაჩვენებელს ტრანზიციის დასასრულებლად.

თუმცა, სიკვდილიანობის სამი გამომწვევი მიზეზი – შიდსი, სხვა ინფექციური დაავადებები და მოწევა – განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან ისინი ძალიან მაღალ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არსებითად არ ზემოქმედებდეს დემოგრაფიულ ტენდენციებზე. ამ შემთხვევებში, მოკლევადიან ნაბიჯებს გრძელვადიანი, ხშირად საერთაშორისო შედეგები აქვს და კიდევ ერთხელ, ადგილი აქვს მოკლევადიან დანახარჯებს და გრძელვადიან სარგებელს.

შიდსი. მთელს მსოფლიოში ერთი ქვეყნის მიერ მიღწეული წარმატება თუ წარუმატებლობა შიდსის (ადამიანის იმუნური დეფიციტის სინდრომი) გავრცელების შეზღუდვაზე გავლენას ახდენს ინფექციებზე სხვა ქვეყნებშიც. ვირუსით დაინფიცირების შემდეგ, სიმპტომები მხოლოდ ხუთიდან ათი წლის შემდეგ ჩნდება და ამ პერიოდის განმავლობაში დაინფიცირებულმა პირმა შეიძლება სხვებს გადასდოს დაავადება (სქესობრივი გზით ან სისხლით). შიდსი ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბებით – ბიზნესით, ტურიზმით, მიგრაციითა და სამხედრო ოპერაციებით – რაცასახავს სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულებას ერთმანეთზე.

2017 წლისთვის შიდსის ეპიდემიამ 35 მილიონზე მეტი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. ნავარაუდევია, რომ 36-37 მილიონზე მეტი დაინფიცირდა – თუმცა უმეტესობამ არც იცოდა ამის შესახებ. დაავადებულების ორი-მესამედი ცხოვრობს აფრიკაში და დანარჩენის ნახევარი კი – სამხრეთ აზიაში (იხ. ცხრილი 8.2). ეპიდემიამ ასევე 16 მილიონი ბავშვი დაობლა (75 პროცენტზე მეტი აფრიკაში). ყოველწლიურად დაახლოებით 1.8 მილიონი ადამიანი ინფიცირდება შიდსით და 1 მილიონი კი იღუპება, მათგან თითქმის 100,000 ბავშვია.

ცხრილი 8.2 მოსახლეობა და შიდსი მსოფლიო რეგიონების მიხედვით, 2016 წ.

რეგიონი	მოსახლეობა (მილიონებში)	მოსახლეობის ზრდის ტემპი 1992-2016	აივ ინფიცირებული (მილიონი)
მსოფლიო	7.600	1.3%	37
გლობალური ჩრდილოეთი	1.450	0.8	4
გლობალური სამხრეთი	6.150	2.7	33
მათ შორის:			
ჩინეთი	1.450	0.8	1
ახლოა აღმოსავლეთი	500	1.8	0.2
ლათინური ამერიკა	660	1.4	2
სამხრეთ აზია	2.500	1.8	4
აფრიკა (საჰარის სახმრეთი)	1.050	2.7	25

* რეგიონები შესაძლოა ზუსტად არ ემთხვეოდეს წიგნში ნახსენებს.

წყარო: World Development Indicators. World Bank, 2017. UNAIDS Data 2017. UNAIDS.

აფრიკაში, მსოფლიოში უკვე უღარიბეს რეგიონში, შიდსი გახდა მნიშვნელოვან ფაქტორთაგან ერთ-ერთი, რომელიც რეგიონს კიდევ უფრო მეტი სიღარიბისკენ მიაქანებს. ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 5 პროცენტია დაინფიცირებული შიდსით, აქედან ნახევარზე მეტი ქალია. ყველაზე მეტად დაინფიცირებულ აფრიკულ ქვეყნებში – აფრიკის სამხრეთ ნაწილში – ექვსი ზრდასრული ადამიანიდან ერთი შიდსის მატარებელია (უარეს შემთხვევაში, მაგალითად, ბოტსვანაში ოთხი ადამიანიდან ერთი). ინფექცია ასევე მოდებულია აფრიკული ქვეყნების შეიარაღებულ ძალებშიც, რასაც პირდაპირი შედეგები აქვს საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის.

1990 წლების ბოლოდან ახალმა მედიკამანტურმა მკურნალობამ (რაც წლების განმავლობაში ვირუსის გაკონტროლების საშუალებას იძლევა) ჩრდილოთ ამერიკასა და სხვა ინდუსტრიულ რეგიონებში, დრამატულად შეამცირა შიდსით სიკვდილიანობის მაჩვენებელი. მაგრამ ეს მკურნალობა საკმაოდ ძვირადღირებული გამოდგა აფრიკისა და სხვა ღარიბი რეგიონებისთვის. ინდოეთმა და ბრაზილიამ დაიწყეს ამ მედიკამენტის იაფფასიანი გენერიკული ნაირსახეობების ექსპორტი, რითაც დაარღვიეს დასავლეთის ფარმაცევტული კომპანიების საპატენტო უფლებები. შეერთებული შტატები სანქციებით დაემუქრა სამხრეთ აფრიკას და სხვა ქვეყნებს, თუ ისინი თავიანთ ქვეყანაში ამ მედიკამენტებს იმპორტს განახორციელებდნენ შეერთებული შტატების პატენტის მფლობელი კორპორაციებისთვის კომპენსაციის გადახდის გარეშე. აშშ-მა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ბრაზილიის წინააღმდეგ შეიტანა საჩივარი. ამის საპასუხოდ, შიდსის წინააღმდეგ მებრძოლმა აქტივისტებმა ხმაურიანი დემონსტრაციები მოაწყვეს და მობილიზება გაუკეთეს საზოგადოებრივ აზრს პოლიტიკის ცვლილების მოთხოვნით.

შეერთებულმა შტატებმა 2001 წელს ბრაზილიის წინააღმდეგ საჩივარი უკან გაიტანა. ამავდროულად, ფარმაცევტულმა კომპანიებმა დაიწყეს უფრო დაბალი ფასების შეთავაზება ღარიბი ქვეყნებისთვის, მაგრამ მილიონობით ღარიბისთვის მედიკამენტების დარიგების პროცესი კვლავაც უკიდურესად ნელი ტემპით მიმდინარეობდა. 2004 წელს საერთაშორისო საზოგადოებამ საბოლოოდ დაიწყო ანტივირუსული მედიკამენტების ფართომასშტაბიანი მიწოდება ღარიბ ქვეყნებში მცხოვრები შიდსით დაავადებული პაციენტებისთვის. ამჟამად უზარმაზარი პროგრესია ამ მედიკამენტების მიწოდების თვალსაზრისით. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში იმ ხალხის რაოდენობა, რომელიც გადის მკურნალობის კურსს, მკვეთრად გაიზარდა. გაეროს შიდსთან ბრძოლის სააგენტოს (UNAIDS) ამჟამინდელი მონაცემებით, თითქმის 20 მილიონ ადამიანს მიუწვდება ხელი ამ მედიკამენტებზე. ამავდროულად, 2003 წლიდან შეერთებულმა შტატებმა დაახლოებით 20 მილიარდი აშშ დოლარი გამოყო შიდსთან საბრძოლველად. აშშ-მა 48 მილიარდის გამოყოფის პირობა დადო შიდსის, ტუბერკულოზის, მალარიის წინააღმდეგ 2009-2014 წლებში. 2006



პანდემიის პრევენცია მილიონობით ადამიანის მიერ ყოველწლიურად საზღვრების გადაკვეთასთან ერთად, ყოველთვის არსებობს იმის საფრთხე, რომ ერთ კონკრეტულ ადგილში დაწყებული ეპიდემია შესაძლოა სწრაფად გავრცელდეს. 2017 წელს, ამერიკის შეერთებული შტატები ებრძოდა ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე ცუდი გრიპის სეზონს, რომლის დროსაც ერთი კვირის განმავლობაში დაახლოებით 4 ათასი ადამიანი იღუპებოდა. სხვა ქვეყნებმაც, მათ შორის, კანადამ, რუსეთმა და ჩინეთმაც გამოიარეს რთული გრიპის სეზონები. ამ სურათზე, სკოლის მოსწავლეები რუსეთში ატარებენ პირბადეს ვირუსისგან თავის დასაცავად, 2018 წელს.

წელს, ხუთი ქვეყანა – საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, ბრაზილია და ჩილე – შეთანხმდნენ, რომ ყოველწლიურად 300 მილიონ აშშ დოლარს შეაგროვებდნენ შიდსით, ტიბერკულოზით და მალარიით დაავადებული ბავშვებისთვის მედიკამენტების შესაძენად. შიდსმა გლობალურ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული ნაპრალი გარკვეულწილად კიდევ უფრო გააღრმავა. 2001 წლის გაეროს სესიაზე მკვეთრი აზრთა სხვადასხვაობა გამოვლინდა დასავლეთის სეკულარულ ქვეყნებსა და რამდენიმე ისლამურ სახელმწიფოს შორის, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ჰომოსექსუალ ადამიანებთან დაკავშირებული საკითხების ნებისმიერი ფორმით დაყენებას. ეს პოზიცია კიდევ ერთხელ ხაზგასმით გააჟღერა ირანის მაშინდელმა პრეზიდენტმა, 2007 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას, როდესაც თქვა, რომ ირანში ჰომოსექსუალები არ არსებობდნენ. კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა მთელი მსოფლიოდან გააპროტესტეს პროგრამები, რომლებიც ახალისებენ პრეზერვატივის გამოყენებას. როგორც ეს მაგალითებიც აჩვენებს, ზოგიერთი ყველაზე ეფექტიანი პრევენციული საშუალება (როგორიც არის საზოგადოებრივი განათლება, რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებთან მუშაობა, პრეზერვატივების დარიგება, ნარკოტიკების მომხმარებლების სუფთა სამედიცინო ნემსებით უფასოდ უზრუნველყოფა) კულტურულად და პოლიტიკურად სენსიტიური თემებია.

სახელმწიფოებმა ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ, თუ მათ სურთ ეპიდემიის გაკონტროლება. ამ საერთაშორისო მცდელობებს, უმეტეს შემთხვევაში კოორდინაციას უწევს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) და ძირითადად ინდუსტრიული ქვეყნები აფინანსებენ. მაგრამ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მთლიანი ბიუჯეტი გლობალური ჩრდილოეთის ერთი საშუალო ზომის საავადმყოფოს ბიუჯეტს უტოლდება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია დამოკიდებულია ეროვნული მთავრობების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე და მათ მიერ შესაბამისი პოლიტიკის გატარებაზე და როგორც წესი, მთავრობები ნელა რეაგირებენ. ზოგი მთავრობა აყალბებს სტატისტიკურ მონაცემებს, რომ შემთხვევათა უფრო ნაკლები რაოდენობა დაფიქსირდეს, ვიდრე რეალურადაა (ტურისტები რომ არ დააფრთხოს), ბევრ მთავრობას კი არ სურს დააფინანსოს სექსუალური განათლება და პრეზერვატივების გავრცელება რელიგიური თუ კულტურული ტაბუს გამო.

უკანასკნელ წლებში შიდსი სწრაფად გავრცელდა სამხრეთ აზიაში, ჩინეთში, რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც პროსტიტუცია და ნარკოტიკების მოხმარება იზრდება. ჩინეთში მთავრობა ნელი ტემპით რეაგირებს, სტიგმა კი კვლავაც ხელს უშლის ეფექტურად მოხდეს შიდსით ინფიცირებული მოსახლეობის იდენტიფიკაცია და მკურნალობა. 2018 წელს ჩინეთს სავარაუდოდ 1 მილიონი დაინფიცირებული ადამიანი ჰყავდა, თუმცა რთულია ამ მონაცემების დადასტურება.

შიდსი ილუსტრირებას ახდენს იმ ტრანსნაციონალური კავშირების, რომლებიც სახელწიფო საზღვრებს უფრო უმნიშვნელოს ხდის, ვიდრე ეს წარსულში იყო. ეფექტურ საერთაშორისო თანამშრომლობას მომავალ ათწლეულებში შეუძლია გადაარჩინოს მილიონობით სიცოცხლე და მნიშვნელოვნად გაზარდოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები ღარიბ ქვეყნებში. თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საზოგადოებრივი საქონლის პრობლემა ხარჯებისა და მოგების განაწილებასთან დაკავშირებით. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დახარჯულ ერთ დოლარს იგივე ეფექტი ექნება მიუხედავად იმისა, რომელმა ქვეყანამ გაიღო ის.

სხვა ინფექციური დაავადებები შიდსი ერთადერთი საზრუნავი არაა. უკანასკნელ ათწლეულებში ხელახლა გამოჩნდა ან გავრცელდა ტუბერკულოზი, მალარია, ჰეპატიტი, დენგეს ცხელება და ქოლერა, რომლებიც ხშირად მუტირებენ არსებული მედიკამენტებისადმი რეზისტენტულ ფორმებად. ამჟამად თითქმის 1.7 მილიონი ადამიანი იღუპება ტუბერკულოზით ყოველწლიურად (შიდსით დაავადებულ ადამიანებთან ერთად, რომლებიც პარალელურად ავადდებიან ტუბერკულოზით). მალარია ასობით მილიონ ადამიანს ასნეულებს და 1 მილიონზე მეტი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება ყოველწლიურად, თითქმის სრულად აფრიკაში. ახალი კამპანიების ფარგლებში, მთელს აფრიკაში გაავრცელეს კოღოების საწინააღმდეგო ბადეები მალარიის გავრცელების შესამცირებლად – ნაცადი და ეკონომიკური თვალსაზრისით რენტაბელური მეთოდი. ახალ ვაქცინას, რომელიც დამტკიცდა მასშტაბური გამოყენებისთვის 2015 წელს, შეეძლო გაენახევრებინა მალარიის შემთხვევები. პროგრამები, რომლებსაც უნდა შეეფასებინა ვაქცინების ფართო გამოყენება, 2018 წელს ამოქმედდა. ვაქცინაციის პროგრამებმა უკანასკნელ წლებში შეამცირა პოლიომიელიტის და წითელას შემთხვევები. წითელას აცრები მთელი მსოფლიოს ჩვილი მოსახლეობის 85 პროცენტისთვის არის ხელმისაწვდომი, რის შედეგადაც წითელათი გარდაცვალების შემთხვევებმა 80 პროცენტით იკლო 2000 წლიდან. სამწუხაროდ, პაკისტანში პოლიომიელიტის ვაქცინაცია შეწყვიტეს 2012 წელს, მას შემდეგ, რაც თალიბანის მებრძოლებმა დახოცეს ჯანდაცვის მუშაკები. ისინი აცხადებდნენ, რომ რომ ვაქცინაცია დასავლეთის შეთქმულება იყო, რომელიც მიზნად მუსლიმი ბავშვების სტერილიზაციას ისახავდა.

2014 წელს მსოფლიო დაავადების სერიოზული კრიზისის პირისპირ აღმოჩნდა დასავლეთ აფრიკაში. ებოლას ვირუსი ფართოდ გავრცელდა გვინეაში, ლიბერიასა და სიერა ლეონეში. დადგენილია, რომ თითქმის 10,000 ადამიანი დაიღუპა ამ დაავადების შედეგად. მთელი მსოფლიო შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ შემთხვევები დაფიქსირდა აფრიკის ფარგლებს გარეთაც, მათ შორის, შეერთებულ შტატებსა და ესპანეთში. ქვეყნებმა მიიღეს სამოგზაურო შეზღუდვები და კარანტინი დააწესეს იმ ადამიანებთან დაკავშირებით, ვისზეც არსებობდა ეჭვი, რომ ვირუსის მატარებელი იყო. მილიარდობით დოლარის დახმარება გამოიყო დასავლეთ აფრიკის ქვეყნებისთვის ვირუსის შესაჩერებლად და მისი მსხვერპლთათვის ჯანდაცვის გასაუმჯობესებლად. ეს იყო კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ურთიერთდაკავშირებულ და გლობალიზებულ მსოფლიოში დაავადებები შეიძლება გავრცელდეს ფართოდ, ოკეანეების გაღმაც კი.

მოწევა მსოფლიოში ერთ მილიარდზე მეტი მწეველია, აქედან ხუთი-მეექვსედი განვითარებად ქვეყნებზე მოდის. 5 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება ყოველწლიურად თამბაქოსთან დაკავშირებული დაავადებებით. ქვეყნებს, რომლებმაც ვერ შეძლეს ნიკოტინზე დამოკიდებულების გავრცელების შეჩერება, მომავალში მაღალი საზღაურის გადახდა მოუწევთ ჯანდაცვაში – საფასურის, რომელიც ესესაა ვლინდება ბევრ ღარიბ ქვეყანაში. ეს ხარჯები ძირითადად სახელმწიფოს აწვება; მისი მოქალაქეები და ეკონომიკა იხდის ამ საფასურს. მიუხედავად ამისა, თამბაქოთი ვაჭრობა მოწევას საერთაშორისო პრობლემად აქცევს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, უკანასკნელ მარკეტინგულ კამპანიებს, რომლებიც გათვლილია გლობალურ სამხრეთში მცხოვრებ ქალებზე, შეუძლია, დიდად გაზარდოს მწეველი ქალების რაოდენობა.

2001 წელს თამბაქოს კომპანიები, შეერთებული შტატების ერთგვარი მხარდაჭერით შეეცადნენ, შეესუსტებინათ ახალი შემოთავაზებული საერთაშორისო ხელშეკრულება – თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენცია, მაგრამ 2003 წელს შეერთებულმა შტატებმა უარი განაცხადა წინააღმდეგობაზე და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებმა მიიღეს აღნიშნული ხელშეკრულება, რომელიც ძალაში 2005 წელს შევიდა. წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, აეკრძალათ თამბაქოს რეკლამა და მასზე დაწესებული გადასახადი გაეზარდათ ინფლაციის ყოველწლიურ მაჩვენებლზე 5 პროცენტით მაღლა წელიწადში. შეერთებული შტატები ერთადერთია მსოფლიოს სხვა წამყვან სახელმწიფოებს შორის, ვისაც 2018 წელს ჯერ კიდევ არ მოუხდენია ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ამ თავში განხილულ გარემოსდაცვითი და დაავადებების საფთხეების სამართავად სახელმწიფოებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა წარმატებით დაიწყეს ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. მათ შორის, განსაკუთრებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების, რომელიც საშუალებას აძლევს მეცნიერებს დაადასტურონ გლობალური დათბობის რეალუ-

რობა, არასამთავრობო ორგანიზაციებს – მობილიზება გაუკეთონ საზოგადოებრივ აზრს, მრავალეროვნულ კორპორაციებს კი – აწარმოონ საწვავის მოხმარების თვალსაზრისით უფრო ეკონომიური ავტომობილები. ამ საინფორმაციო რევოლუციას გარემოსდაცვითი საკითხების მიღმა შორს მიმავალი შედეგები მოაქვს მსოფლიო პოლიტიკისთვისაც. ამ თავის დანარჩენ ნაწილში განხილულია ეს ღრმა, თუმცა ჯერ კიდევ ბუნდოვანი შედეგები.

8.5 ინფორმაციის ძალა

აღწერეთ ორი გზა, თუ როგორ შეიძლება ინფორმაცია მთავრობების იარაღად იქცეს და ორი გზა, როდესაც ინფორმაცია შეიძლება მთავრობების წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

გლობალური ტელეკომუნიკაციები ძირფესვიანად ცვლის საერთაშორისო ურთიერთობებში ინფორმაციისა და კულტურის როლს. ეს ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც გლობალიზაციის ცენტრალური ფენომენია, წინა პლანზე სწევს იდენტობის პრინციპს საზოგადოებებს შორის მანძილისა და საზღვრების მიუხედავად გაზრდილი ინტერაქციის ფონზე. ასპარეზზე გამოსული ახალი ინდივიდები და ჯგუფები სახელმწიფოების გვერდის ავლით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქმნიან ახალ ტრანსნაციონალურ ქსელებს.

8.5.1 მსოფლიოს დაკავშირება

ტექნოლოგიური განვითარების შედეგად საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი შესაძლებლობები ჩნდება. მედია, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია ვრცელდება – ტელეფონები, ტელევიზია, ფილმები, ჟურნალები და ა.შ – აყალიბებს იდეებს და ავრცელებს ერთი ადგილიდან მეორეში. ყველაზე ძლიერი პოლიტიკური გავლენის მქონე მედია საშუალებებია ტელევიზია, რადიო, ტელეფონები და ინტერნეტი.


ტელევიზია და რადიო მსოფლიოში 1.4 მილიარდი ოჯახია, რომელსაც ტელევიზორი აქვს და 5 მილიარდი ადამიანი უსმენს რადიოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. რადიო, და განსაკუთრებით მზარდად ტელევიზია, აღწევს გლობალური სამხრეთის უღარიბეს სოფლებშიც. ჩვეულებრივ, სატელევიზიო და რადიო საჰაერო სიგნალები არის კონკრეტული სიხშირის რადიო ტალღები, რომელიც წარმოადგენს მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფ მოთხოვნად შეზღუდულ რესურსს. რადგანაც რადიო ტალღებს სახელმწიფოთა საზღვრები ვერ აკავებს, სიხშირეების განაწილება სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების საგანი ხდება. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რეგულაციის მიზნით საერთაშორისო რეჟიმები შეიქმნა, რომლებიც ცენტრალური საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) გარშემოა კონცენტრირებული.

სატელიტური ტელევიზია გვერდს უვლის სახელმწიფო კონტროლს და აძლიერებს ტრანსნაციონალური თუ სუპრანაციონალური იდენტობის პოლიტიკას იმით, რომ მაგალითად, მსოფლიოში ყველა არაბს საშუალებას აძლევს უყუროს არაბული სატელიტური ტელევიზიის რეპორტაჟს პალესტინის საკითხზე. კატარში დაფუძნებული „ალ ჯაზირა“, რომელმაც მაუწყებლობა დაიწყო 1996 წელს, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში სერიოზული ძალაა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვანი აუდიტორია ჰყავს. არაბულ ქვეყნებში ჩატარებული გამოკითხვები რეგულარულად აჩვენებს, რომ „ალ ჯაზირა“, როგორც საერთაშორისო ახალი ამბების მთავარი წყარო, დიდი მაჩვენებლით უსწრებს სხვა საერთაშორისო ახალი ამბების სატელიტურ ტელემაუწყებლებს.

ტელეფონი და ინტერნეტი რიგითი მოქალაქეებისთვის უფრო მეტი შესაძლებლობის მიმნიჭებელი ტელეფონი და ინტერნეტია. ესაა ორმხრივი მედია, რომლის საშუალებითაც მომხმარებლები ერთმანეთს ეკონტაქტებიან რაიმე ცენტრალური საინფორმაციო წყაროს გარეშე. 2017 წელს მსოფლიოს 7.5 მილიარდი მობილური ტელეფონის აბონენტი ჰყავდა, თითქმის იმდენივე, რამდენი ადამიანიცაა მსოფლიოში და ბევრად უფრო მეტი ვიდრე 1.1 მილიარდი სახლის ტელეფონი.ოთხ მილიარდზე მეტს, მათ შორის კორეისა და სინგაპურის მოსახლეობის 100 პროცენტს, ჰქონდა მაღალი სიჩქარის მობილური ინტერნეტი. ინდოეთმა გაახუთმაგა მობილურის აბონენტთა რაოდენობა 2007 წლიდან, მაშინ როცა, ჩინეთს 1.4 მილიარდზე მეტი აბონენტი ჰყავდა 2017 წლისთვის. მსოფლიოში საერთაშორისო სატელეფონო საუბრების დიდი ტალღა და სახლის თუ მობილური ტელეფონების წვდომა ინტერნეტთან, გლობალიზაციის აშკარა მაჩვენებელია (იხ. გრაფიკი 8.8).

გრაფიკი 8.8 ტელეფონის და ინტერნეტის მოხმარება მსოფლიოში, 2005–2017 წწ.

წყარო: საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემები



ამ ტექნოლოგიების პოლიტიკურად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მობილური ტელეფონის კამერა აღმოჩნდა. ის საშუალებას აძლევს რიგით მოქალაქეებს, შექმნან ვიზუალური ჩანაწერები, როგორიცაა ერთ ქვეყანაში პოლიტიკური დემონსტრაციების ამსახველი ვიდეო კადრები, რომელიც სხვა ქვეყნის ტელევიზიაში აღმოჩნდება. 2011-2012 წლებში „არაბული გაზაფხულის" რევოლუციების დროს, განსაკუთრებით სირიაში, მობილური ტელეფონით გადაღებულმა ვიდეოებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა მხარდაჭერის მოპოვებაში. სწორედ, ამ ვიდეოების საშუალებით აჩვენებდნენ, თუ როგორ სასტიკად უსწორდებოდნენ და ხოცავდნენ მთავრობები საკუთარ მოქალაქეებს. უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ტექნოლოგიურ მიღწევად სოციალური მედიის გაძლიერება იქცა, როგორიცაა Facebook და Twitter, რომლებიც მთავრობის კონტროლის გვერდის ავლით და ხშირად საზღვრებს მიღმაც ხელს უწყობს საზოგადოებების ფორმირებას და იდეების გაზიარებას (მათ შორის მობილური ტელეფონით გადაღებული ვიდეოების).

აფრიკაში, იაფფასიანი მობილური ტელეფონები იაფი სადეპოზიტო სიმ-ბარათით მილიონობით ღარიბს კომუნიკაციაში ეხმარება. დაახლო-

ებით ათ წელიწადში სუბ-საჰარულ აფრიკაში აბონენტთა რაოდენობა თითქმის 750 მილიონამდე გაიზარდა 2017 წლისთვის. ეს ტელეფონები ახალ შესაძლებლობებს ანიჭებს ადამიანებს, მაგალითად, ფერმერებს, რომლებსაც ახლა შეუძლიათ ჯერ საბაზრო ფასები შეამოწმონ და ამის მიხედვით გადაწყვიტონ, როდის აიღონ მოსავალი. ერთ-ერთი მკაფიო წარმატებული მაგალითი კენიაა, რომელიც გახდა მსოფლიო ლიდერი საბანკო საქმიანობისთვის მობილური ტელეფონების გამოყენების თვალსაზრისით. ქვეყანა 10 მილიონ საბანკო ტრანზაქციას ახორციელებს ყოველდღიურად (საშუალოდ თითო 20 აშშ დოლარის მოცულობის), მაგრამ მოსახლეობის ნახევარს არ აქვს საბანკო ანგარიში, ამიტომაც მეწარმეებმა შემოიღეს M-Pesa მობილური გადახდის სისტემა. ქალაქში მაცხოვრებლებს შეუძლიათ, ფული გადარიცხონ თავიანთ მშობლიურ სოფლებში ტელეფონის საშუალებით, ნაცვლად იმისა, რომ ფულის დასტა გრძელ გზაზე ავტობუსით ატარონ. 2017 წლისთვის 20 მილიონი მომხმარებლის (კენიის მოსახლეობის დაახლოებით 2/3) მიერ მობილურით განხორციელებულმა თანხის გადარიცხვებმა კენიის მთლიანი შიდა პროდუქტის მეოთხედი შეადგინა.


2012 წლის დეკემბერში, დუბაიში გამართულ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) კონფერენციაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ინტერნეტსა და გლობალურ ტელეკომუნიკაციებზე ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, ყურადღების ცენტრში მოექცა პოლიტიკური უთანხმოებები ინტერნეტთან დაკავშირებით. რუსეთი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები ინტერნეტს აღიქვამდნენ როგორც მთავრობის მიერ კონტროლირებად ქსელებს, მაშინ როცა შეერთებული შტატებისა და სხვებისთვის, მათ შორის Google და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისთის, ის უფრო ამორფული სივრცე იყო, რომელიც აიოლებდა ინფორმაციის თავისუფალ მიმოქცევას. აშშ-ს წარმომადგენელთა პალატა, რომელიც იმ დროს ორპარტიული იყო, ერთხმად შეეწინააღმდეგა ახალ ხელშეკრულებას. საბოლოოდ, 89 ქვეყანამ დაუჭირა მხარი ხელშეკრულებას, მაგრამ 55 ქვეყანამ კი არ მოაწერა ხელი.

ციფრული დაყოფა (Digital Divide)
საინფორმაციო ტექნოლოგიებზე წვდომის თვალსაზრისით არსებული ნაპრალი მდიდარ და ღარიბ ადამიანებს და გლობალურ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

ციფრული დაყოფა თავისთავად, ღარიბ ქვეყნებში ტელეფონისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდა შთამბეჭდავია. მაგრამ მდიდარი რეგიონებისგან განსხვავებით, უთანასწორობა კვლავაც შენარჩუნებულია (იხ. გრაფიკი 8.9). გლობალურ ჩრდილოეთში მცხოვრებ ადამიანს მეტი შანსი აქვს, ჰქონდეს სახლის და მობილური ტელეფონები და ინტერნეტი, ვიდრე სამხრეთში მცხოვრებს. ამ სხვაობას, ქვეყნებს შიგნით ტექნოლოგიებთან წვდომის თვალსაზრისით დაკავშირებულ განსხვავებებთან ერთად, **ციფრული დაყოფა ეწოდება.**


გრაფიკი 8.9 ჩრდილოეთ-სამხრეთის ციფრული დაყოფა, 1994-2017

წყარო: საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემები



მაშინ როცა ინტერნეტი მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილს მჭიდრო ქსელად კრავს, რომლის ცენტრიც შეერთებულ შტატები, ევროპა და აღმოსავლეთ აზიაა, სადაც ინტერნეტის მომხმარებლების უმრავლესობა ცხოვრობს – სხვა რეგიონები მეტწილად ინტერნეტის გარეშე არიან დარჩენილები. 2015 წელს ინტერნეტის სიჩქარე ერთ მომხმარებელზე 25-ჯერ მეტი იყო ევროპაში, ვიდრე აფრიკაში. ინტერნეტმა მიაღწია გლობალური ჩრდილოეთის ოჯახების 85 პროცენტს, ხოლო გლობალური სამხრეთისას – მხოლოდ 40 პროცენტს. მობილური ინტერნეტი 97 პროცენტს აქვს ჩრდილოეთში, სამხრეთში კი 50 პროცენტზე ნაკლებს. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის მოხმარება გლობალურ სამხრეთში იზრდება, მნიშვნელოვანი ციფრული დაყოფა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მაინც ნარჩუნდება.

ზოგიერთ აქტივისტს იმედი აქვს, რომ ინტერნეტს შეუძლია გარდაქმნას გლობალური სამხრეთის ღარიბი სოფლები, ნაწილობრივ იმით, რომ მათ უჩნდებათ შესაძლებლობა ადგილობრივი საქონლის და წარმოების გლობალურ დონეზე მარკეტინგი განახორციელონ და ასევე, დააჩქარონ განათლების დონის ზრდა. 2012 წელს, ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ პლანშეტებით სავსე ყუთები გაუგზავნა დაწყებითი სკოლის ასაკის მოსწავლეებს ეთიოპიის ორ შორეულ სოფელში, რომელთაც არც სკოლები ჰქონდათ და არც წერა-კითხვა იცოდნენ. პროექტს სხვა ინსტრუქცია არ ახლდა, გარდა იმისა, რომ რამდენიმე მოზარდს აჩვენეს, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ მზის ენერგიაზე მომუშავე დამტენები. მო-



დაასკანერეთ, რომ გადაიხადოთ გლობალური კომუნიკაციები, საერთაშორისო სისტემისთვის ძალიან ახალი შესაძლებლობა, ცვლის საერთაშორისო ურთიერთობების ნესებს და ახალ შესაძლებლობებს ანიჭებს არასახელმწიფოებრივ ტრანსნაციონალურ აქტორებს. ტელეკომუნიკაციებს შეუძლია შეცვალოს განვითარების მიმართულება ღარიბ ქვეყნებში, ტრადიციული ინფრასტრუქტურის, როგორიც არის სადენიანი სატელეფონო სისტემების გვერდის ავლით და უსადენო ქსელის ეკონომიკასთან დაკავშირებით. სურათზე მაღაზიის მფლობელი ელოდება მომხმარებელს და თან აცხადებს, რომ გადახდებისთვის იყენებს M-Pesa სისტემას – მობილური გადახდის სისტემას კენიაში, 2017 წელს.

სწავლებამ 4 წუთში გახსნეს ყუთები და მოახერხეს პლანშეტების ჩართვა. ხუთ დღეში, სამუალოდ ერთი ბავშვი იყენებდა 50-მდე აპლიკაციას ყოველდღიურად, ორ კვირაში ბავშვები ანბანის სიმღერებს მღეროდნენ და თავადვე სწავლობდნენ კითხვას. ხუთ თვეში მათ შეაღწიეს ანდროიდის ოპერაციულ სისტემაში კამერის გასააქტიურებლად და სამუშაო ეკრანის შესაცვლელად.

8.5.2 ინფორმაცია, როგორც ინსტრუმენტი მთავრობების ხელში

იმის გათვალისწინებით, რომ ადრინდელზე მეტი ინფორმაცია ვრცელდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ინფორმაცია სახელმწიფოს ძლიერების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის შორის ურთიერთობებში). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებულმა რესპუბლიკებმა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჰკითხეს: „როგორ ვუყუროთ CNN-ს?“[1] მათ ინფორმაციის მიღება სწყუროდათ. დღეს მთავრობებს შეუძლიათ დააგროვონ, ორგანიზება გაუკეთონ და შეინახონ უზარმაზარი რაოდენობის ინფორმაცია. ამ თვალსაზრისით, ინფორმაციული რევოლუცია ხელისუფლებებს დღემდე არნახულ შესაძლებლობებს ანიჭებს. წარსულში ძებნაში მყოფ დამნაშავეს, ნარკობარონს ან ტერორისტს შეეძლო გაეღწია საზღვარს მიღმა და უცხოეთში ეპოვნა თავშესაფარი. 2001 წელს ამერიკაზე თავდასხმაში მონაწილე ტერორისტებმა აჩვენეს თუ რამდენად მარტივი იყო ეს. დღეს უბრალო სამგზავრო ბილეთის შეძენაც კი უცხო ქვეყანაში პირის ამოცნობისა და დაკავების მიზეზი შეიძლება გახდეს. მეორე მხრივ, საინფორმაციო ტექნოლოგიები რეპრესიულ მთავრობებს აძლევს მეტ შესაძლებლობებს აკონტროლონ მოქალაქეები, უთვალთვალონ დისიდენტებს და მართონ საზოგადოებრივი აზრი. ამჟამად ხდება ამ ტექნოლოგიების მობილიზება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

როგორც მოქალაქეებს და ტერორისტებს უძნელდებათ, დაემალონ მთავრობებს, ასევე ვერ უმალავენ ინფორმაციას ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები. თანამგზავრიდან დაზვერვის სამხედრო მნიშვნელობაზე უკვე ვისაუბრეთ (იხ. თავი 4). შეერთებული შტატების მსგავს ძლიერ ქვეყნებს შეუძლიათ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით კიდევ უფრო გაზარდონ თავიანთი ძლიერება. აშშ-ს შეუძლია – და

1 Peter Arnett. (1992). Exporting the First Amendment to the World. Published by University of Arizona

ამას იყენებს კიდეც – გააკონტროლოს სატელეფონო ზარები, ფაქსები, მონაცემთა გაცვლები და რადიოგადამცემი საშუალებებით საუბრები უცხო ქვეყნებში. სკანდალურმა აღმოჩენამ, რომ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსა (NSA) და სხვა ამერიკულ სააგენტოებს ჰქონდათ მასობრივი სათვალთვალო პროგრამები, აჩვენა, რომ თვით დემოკრატიულ მთავრობებსაც კი შეუძლიათ გამოიყენონ ტექნოლოგიები იმისთვის, რომ აკონტროლონ საკუთარი მოქალაქეები.

2011 წელს ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ დროს მარტო აქციის მონაწილეებმა კი არა, არამედ მთავრობებმაც გამოიყენეს ინტერნეტის შესაძლებლობები. ეგვიპტემ წარმატებით შეზღუდა საერთაშორისო ვებ-გვერდებთან წვდომა. სირიის მთავრობამ კი საკუთარი ჰაკერების გამოყენებით მიაკვლია პროტესტის მონაწილეებს, რომლებიც ანონიმურად ტვირთავდნენ ვებ-გვერდზე ანტისამთავრობო ვიდეორგოლებსა და შეტყობინებებს. საპასუხოდ, შეერთებული შტატების მთავრობამ გაწვრთნა დემოკრატიული აქტივისტები ინტერნეტსა და სოციალური მედიის ტექნოლოგიებში და უცხო ქვეყნებში, რომელთა მთავრობები საკომუნიკაციო წყაროების გადაკეტვას ცდილობდნენ, შექმნა ჩრდილოვანი ინტერნეტი და მობილური ქსელები.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ღირებულების შემცირების პარალელურად, იზრდება იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომი ხდება იგი. ახლა უკვე პატარა ქვეყნებსაც შეუძლიათ, მოიპოვონ მსგავსიშესაძლებლობები ელექტრონულად.. თვით ყველაზე თანამედროვე ინფორმაციის მოპოვება უფრო ხელმისაწვდომი და იაფია – მაღალი რეზოლუციის სატელიტური ფოტოები კომერციულად ხელმისაწვდომი და იაფი ან საერთოდ უფასო გახდა. ამ გამოსახულებების გამოყენება შესაძლებელია როგორც სამხედრო მიზნებისთვის, ასევე ბუნებრივი რესურსების მართვის მიზნით.

მთავრობები საერთაშორისო გავლენის მოსახდენად ავრცელებენ, როგორც სწორ ასევე მცდარ ინფორმაციას. ამას *დეზინფორმაციას* უწოდებენ. 1930-იან წლებში, ნაცისტებმა აღმოაჩინეს, რომ „დიდ ტყუილს“, თუკი მას საკმარისად ხშირად გაიმეორებდი, მოსახლეობის უმრავლესობა როგორც სიმართლეს ისე მიიღებდა. დღეს ბევრად უფრო რთულია შეცდომაში შეიყვანო საერთაშორისო აუდიტორია, თუმცა, შიდა აუდიტორია შეიძლება ჯერ კიდევ წამოეგოს პროპაგანდისტულ დეზინფორმაციაზე.

და მართლაც, 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები რუსი ჰაკერების, მათ შორის რუსული ორგანიზაციის, ინტერნეტის კვლევის სააგენტოს, სამიზნე გახდა. ათასობით რუსი წერდა Facebook-ზე და Twitter-ზე ცალკეული საპრეზიდენტო კანდიდატების (ჰილარი კლინტონის და ტედ კრუზის) სალანძღავი შინაარსის ტექსტებს და მხარს უჭერდნენ სხვა კანდიდატებს (დონალდ ტრამპს და ბერნი სანდერსს). ეს ე.წ. „ტროლები“, რითიც მოიხსენიებენ იმ ინტერნეტ მომხმარებლებს, რომლებიც ხშირად აქვეყნებენ ტექსტებს, რომელთა მიზანია დათესონ განხეთქილება



ახლად დაბეჭდილი ინფორმაცია, რომელიც იოლად კვეთს სახელმწიფოს საზღვრებს, საერთაშორისო თუ შიდა პოლიტიკაში მთავარი ფაქტორია. მთავრობები სხვადასხვა საშუალებით ცდილობენ ინფორმაციის გაკონტროლებას. სურათზე, პალესტინელი ჟურნალისტები ალ ჯაზირასთან სოლიდარობით საპროტესტო აქციას მართავენ, მას შემდეგ რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისრაელის მთავრობა განიხილავდა ტელემაწუყებლობის ოფისის დახურვას იერუსალიმში, 2017 წელს.

ინტერნეტში, აქვეყნებდნენ ათასობით და მეტ პოსტს Facebook-ზე და Twitter-ზე და ამით ცდილობდნენ ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენას. ასევე, ისინი ყალბ პოლიტიკურ მოვლენებსაც კი ქმნიდნენ, რომ ნაეხალისებინათ დაპირისპირება. მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ამ მცდელობებს გავლენა არჩევნების შედეგებზე, ცხადია, რომ რუსეთი (სხვა ქვეყნებს შორის) იყენებდა კიბერთავდასხმებს, როგორც იარაღს სხვა ქვეყნებზე ზეგავლენის მოსახდენად.

8.5.3 ინფორმაცია, როგორც ინსტრუმენტი მთავრობის წინააღმდეგ

ინფორმაცია ასევე შეიძლება იქნას გამოყენებული მთავრობების წინააღმდეგ სხვა ქვეყნის მთავრობების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან შიდა პოლიტიკური ოპონენტების მიერ. მთავრობებს, განსაკუთრებით, კი რეპრესიულ ხელისუფლებებს, გასაგები მიზეზების გამო, ეშინიათ ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები შიდა ოპოზიციის და სხვა ქვეყნებში მათი მოკავშირეების მძლავრ იარაღად იქცა. სწორედ სატელევიზიო გაშუქებამ გააღვივა სახალხო უკმაყოფილება როგორც აშშ-ში ერაყის და ვიეტნამის ომების დროს, ასევე რუსეთში ჩეჩნეთის ომის დროს.

700 მილიონზე მეტი ჩინელი სარგებლობს ინტერნეტით (თუმცაცენზურის პირობებში). ცალკეული შეფასებების თანახმად ჩინეთის მთავრობა 6 მილიონამდე ვებ-გვერდს ცენზურის ფარგლებში აქცევს. ირანში, სადაც მილიონობით ადამიანი იყენებდა ინტერნეტს ტაბუდადებული თემების, როგორიცაა სექსი, მოდა და პოლიტიკა, განსახილველად, 2009 წლის არჩევნების შემდეგ გამართული საპროტესტო აქციების მონაწილეების წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარების გამო მთავრობა კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა. ინფორმაცია ამ სადამსჯელო ღონისძიებების შესახებ „Twitter“-ზე და „Facebook“-ზე გავრცელდა. ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს ცემის და ერთ-ერთი მომიტინგე ქალის მკვლელობის ამსახველი კადრები. იგივე მეთოდები გამოიყენეს „არაბული გაზაფხულის“ მომიტინგეებმა 2011 წელს.

ინფორმაციის ამ მიზნით გამოყენების საპირისპიროდ, მთავრობები მთელს მსოფლიოში ცდილობენ, შეზღუდონ არასასურველი ინფორმაციის ნაკადები – განსაკუთრებით, ინფორმაცია უცხოური წყაროებიდან. ეს მცდელობები შესაძლოა მოიცავდეს ცალკეული ვებ-გვერდების ცენზურის ქვეშ მოქცევას ან შესაძლოა ინტერნეტის სრულად აკრძალვასაც. მა-

გალითად, ჩინეთში, რამდენიმე სხვა განვითარებადი ქვეყნის მსგავსად, ინტერნეტზე ყველანაირ წვდომა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მიმწოდებლის გავლით არის შესაძლებელი. ასევე, ჩინეთი ფილტრავს ასობით მილიარდ ტექსტურ შეტყობინებას, რომელიც ყოველწლიურად იგზავნება მობილური ქსელის 1 მილიარდზე მეტ ჩინელ აბონენტს შორის. ცნობილი ფაქტია, რომ ჩინეთმა აკრძალა Facebook და Twitter, თუმცა ამ სოციალური მედიების ჩინურ ალტერნატივებს, როგორიც არის WeChat და Weibo, ბევრი მილიონი მომხარებელი ყავს (WeChat-ს დაახლოებით 1 მილიარდი მომხამერებლი ყავს და Weibo-მ 2017 წელს Twitter-ს გადაასწრო 350 მილიონი მომხმარებლით)

აშშ-ში დაფუძნებული ინტერნეტ კომპანიების პასუხი ჩინეთის ცენზურასთან დაკავშირებით, რაც დასავლეთში „Great Firewall" სახელით არის ცნობილი, განსხვავებული იყო. 2010 წელს Google-მა განაცხადა, რომ ის აღარ აპირებდა ჩინეთის კანონის დაცვას, რომელიც ცენზურას აწესებდა ინტერნეტის საძიებო მექანიზმებზე პოლიტიკურად სენსიტიური სიტყვების ჩინურ საძიებო სისტემაში დაბლოკვის გზით. მოგვიანებით, Google დათმობაზე წავიდა ჩინეთის მთავრობასთან, რითაც ზოგიერთი ამერიკელი კრიტიკოსის გულისწყრომა დაიმსახურა. 2017 წელს Apple დათანხმდა, რომ ყველა მონაცემი, რომელიც ქლაუდის სერვერზე ინახებოდა გადატანილი იქნებოდა ფიზიკურად ჩინეთში მდებარე სერვერებზე. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის კომპანიები შესაძლოა არ ეთანხმებოდნენ ჩინეთის მთავრობის მიერ დადგენილ შეზღუდვებს, რთულია გაუძლო ცდუნებას, რომელსაც ჩინეთი, როგორც ასუელობით მილიონი ინტერნეტ მომხმარებლის ბაზარი ქმნის.

სხვა ქვეყნებიც განაგრძობენ ინტერნეტის მოხმარებაზე ინტენსიური შეზღუდვების დაწესებას. ირანი კრძალავს Twitter-ს, თურქეთმა აკრძალა წვდომა Wikipedia-ზე. 2017 წლის მონაცემებით, ჩრდილოეთ კორეაში მხოლოდ 4 პროცენტს აქვს წვდომა ინტერნეტთან, საუდის არაბეთი ბლოკავს 400 ათასამდე ვებ-გვერდს და ვიეტნამი აიძულებს ყველა ინტერნეტ მიმწოდებელს, მიაწოდონ ინფორმაცია ყველა ინტერნეტ ბლოგერთან დაკავშირებით. ქვეყნებმა შესაძლოა გარკვეულ დროს ინტერნეტი სრულად აკრძალონ. მაგალითად, 2015 წელს ქვეყნის პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო ტალღის საპასუხოდ, კონგოს სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ პროტესტის გაძლიერების თავიდან ასაცილებლად ინტერნეტი საერთოდ დაბლოკა.

მთავრობების წინაშე არსებულ სხვა გამოწვევას კრიპტო ვალუტების ან ვირტუალური ვალუტების მზარდი პოპულარობა წარმოადგენს. მომხმარებლები ქმნიან ამ ვალუტებს საქონლის და მომსახურებების გაცვლის გამარტივების მიზნით, მთავრობების კონტროლის გარეთ. არც მთავრობები და არც ბანკები არ აკონტროლებენ ვირტუალურ ვალუტებს (დროის ამ კონკრეტულ მონაკვეთში). ვირტუალური ვალუტების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ გლობალური ღირებულება აქვთ:

ვირტუალური ვალუტები (Virtual Currencies)
მომხმარებლების მიერ შექმნილი ვალუტები საქონლის და მომსახურებების გაცვლის გამარტივების მიზნით, მთავრობების კონტროლის გვერდის ავლით.

არცერთი კონკრეტული ქვეყანა არ აღგენს ამ ვალუტების საბაზრო ღირებულებას და მათი გამოყენება შესაძლებელია ყველგან, სადაც მას მიიღებენ როგორც გადახის ფორმას. ერთი რისკი იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობის მხარდაჭერის გარეშე, ცოტა რამ თუ უზრუნველყოფს ვალუტის ღირებულების სტაბილურობას და შესაბამისად, ისინი მიდრეკილი არიან ფართო ცვლილებებისადმი ღირებულების თვალსაზრისით. ასევე, არსებობს რისკი, რომ მთავრობებმა შესაძლოა სცადონ ტრანზაქციები კრიპტოვალუტების გამოყენებით უკანონოდ გამოაცხადონ (ჩინეთმა აკრძალა ზოგიერთი ვირტუალური ვალუტის გამოყენება 2017 წელს). ბიტკოინი ყველაზე პოპულარული ვირტუალური ვალუტაა, თუმცა ბევრი სხვაც არსებობს.



Kin Cheung/AP Images

ვირტუალური ფული სახელმწიფოები არ აკონტროლებენ ინფორმაციის გლობალურ მიმოქცევას. ინფორმაცია მნიშვნელოვანი ძალა გახდა მსოფლიო პოლიტიკაში და გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფოს ძლიერებისთვის. ეს გამოწვევა თვით ფულის სამყაროზეც კი გავრცელდა, რომელსაც ტრადიციულად სახელმწიფოები ბეჭდავდნენ და აკონტროლებდნენ. ვირტუალური ვალუტები, როგორიც არის ბიტკოინი, არ კონტროლდება მთავრობების ან ბანკების მიერ და მათი დახარჯვა ანონიმურად არის შესაძლებელი. ამ სურათზე, ქალი ბიტკოინის ბანკომატთან გაივლის, ჰონგ-კონგში, 2017 წელს.

სულ უფრო და უფრო მეტი მთავრობა შიშობს, რომ ტერორისტებს ინტერნეტის გამოყენებით მასობრივი არეულობის გამოწვევა შეუძლიათ. 2017 წელს, ისლამურ სახელმწიფოსთან აფილირებულემა ჰაკერთა ჯგუფმა კონტროლი მოიპოვა ბრიტანეთის ეროვნული ჯანდაცვის ვებ-გვერდებზე და მათზე სირიის ომის მსხვერპლთა საზარელი ფოტოები განათავსა. ამერიკელმა სამხედრო ოფიციალურმა პირებმა ასევე ხაზი გაუსვეს იმ საფრთხეებს, რასაც კიბერშეტევებითავდაცვის სისტემისთვის ქმნის.

საერთო ჯამში, ტექნოლოგიის ტალღა მთავრობების წინააღმდეგ მუშაობს. ინფორმაცის ნაკადი მიედინება და როგორ ჩანს, არცერთ პოლიტიკურ ძალას არ შეუძლია მისი დიდი ხნით შეკავება. რაც უფრო ბევრ საკომუნიკაციო არხს გადააქვს ინფორმაცია მეტ ადგილას, ხელისუფლება არა ერთადერთ, არამედ კიდევ ერთ მოთამაშედ გადაიქცევა გადაჭედილ მოედანზე.


8.5.4 ტელეკომუნიკაციები და გლობალური კულტურა

საინფორმაციო რევოლუციის გაგრძელებასთან ერთად, კიდევ უფრო გაიზრდება საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულება – ერთ ქვეყანაში მომხდარი მოვლენები უფრო მძაფრად აისახება სხვა ქვეყნებზეც, ვიდრე ეს ხდებოდა წარსულში. ამგვარად, ინფორმაცია ნელ-ნელა არყევს რეალისტების მოსაზრებებს ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე. ამავდროულად, ქვესახელმწიფოებრივი და ტრანსნაციონალური აქტორებისთვის ახალი შესაძლებლობების მინიჭებით, საინფორმაციო ტექნოლოგიები ძირს უთხრის თავად სახელმწიფოების ცენტრალურ როლს მსოფლიო პოლიტიკაში.

საინფორმაციო რევოლუცია მნიშვნელოვნად ზრდის საერთაშორისო ურთიერთობების *გამჭვირვალობას*. შედეგად, სახელმწიფოებს აღარ სჭირდებათ, შეიარაღდნენ უცნობი პოტენციური საფრთხეების წინააღმდეგ, რადგან ისინი ნამდვილ საფრთხეებს ხედავენ. ანალოგიურად, შესაძლებლობა იმისა, რომ მოხდეს შეთანხმებების შესრულების მონიტორინგი, აიოლებს საზოგადოებრივი საქონლის პრობლემების გადაჭრას, რადგან მატყუარები და „უბილეთო მგზავრები" იოლად ამოსაცნობია. სწრაფი საკომუნიკაციის არხების ხელმისაწვდომობა მთავრობების უნარს ერთი ორად აუმჯობესებს, ეფექტური გარიგება დადონ ერთმანეთთან და მიაღწიონ ორმხრივად სასარგებლო შედეგებს. ახალი ტექნოლოგიებით გაზრდილი გამჭვირვალობა, ამ გზით აძლიერებს ორმხრივობის პრინციპს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტების მოგვარების მეთოდს. კომპლექსური მონიტორინგი და ანგარიშგება, რაც აუცილებელია ორმხრივობის პრინციპზე დაფუძნებულ საერთაშორისო შეთანხმებებში – ვაჭრობიდან დაწყებული იარაღზე კონტროლით დამთავრებული – უფრო იოლი ხდება გამჭვირვალე მსოფლიოში.

ტელეკომუნიკაციის საშუალებები, რომელიც საზოგადოებებს აძლევს შესაძლებლობას ერთმანეთს ფიზიკური სივრცის მიღმა დაუკავშირდნენ, ასევე აძლიერებს იდენტობის პრინციპს საერთაშორისო ურთიერთობებში, რადგან ადამიანების იდენტობებს უჩნდება ახალი წყაროები და გამოხატვის ახალი შესაძლებლობები, რაც ხშირად სცდება ეროვნულ საზღვრებს. წარსულში ჯგუფური იდენტობის მძლავრი განმსაზღვრელი ნაციონალიზმი იყო, რამაც ლეგიტიმაცია მესძინა სახელმწიფოს არსებობას, როგორც მისი მოსახლეობის მისწრაფებებისა და იდენტობის ძირითად განსახიერებას. ახლა საინფორმაციო რევოლუციას შეუძლია ხელი შეუწყოს ტრანსნაციონალური და სუპრანაციონალური იდენტობების განვითარებას. ჟურნალისტები, მეცნიერები და სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები მუშაობენ საზოგადოებებში, რომლებიც სცდებიან ეროვნულ საზღვრებს. ასევეა ტრანსნაციონალური მოძრაობების წევრების შემთხვევაში, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ ქალებს, გარემოსდამცველებს ან ადამიანის უფლებების აქტივისტებს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ამგვარ ტრანსნაციონალურ საზოგადოებებს შორის შექმნილ კავშირებს შეუძლია შექმნას ახალი ფუნქციონალიზმი, რომელმაც შეიძლება წაახალისოს გლობალური მასშტაბის საერთაშორისო ინტეგრაცია.

სპორტიც ქმნის ტრანსნაციონალურ საზოგადოებებს. სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები ერთმანეთს უზიარებენ სპორტის ვარსკვლავების მიმართ თავიანთ აღფრთოვანებას, რომლებიც საერთაშორისოდ ცნობილი ადამიანები ხდებიან. ოლიმპიადა (რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მართავს, არასამთავრობო ორგანიზაცია) გლობალური მოვლენაა, რომელსაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჰყავს მაყურებელი. 1971 წელს აშშ-ჩინეთის დაახლოება იმდენად დელიკატურ თემას წარმოადგენდა, რომ შეუძლებელი იყო მათ შორის პოლიტიკური



სპორტი როგორც დიპლომატია ინფორმაციის ძალას შეუძლია შექმნას და გააძლიეროს გლობალური საზოგადოებები, რომლებიც კვეთენ და სცდებიან ეროვნულ საზღვრებს. ოლიმპიურ თამაშებს და ათლეტების შეჯიბრებებს უყურებენ ტელევიზიით და ინტერნეტით მსოფლიოს მასშტაბით. 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადა, რომელსაც სამხრეთ კორეამ უმასპინძლა, გაიმართა კორეის ნახევარკუნძულზე მნიშვნელოვანი სამხედრო დაძაბულობის დროს. მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ოლიმპიური გუნდები შეთანხმდნენ, რომ ოლიმპიადის გახსნით ღონისძიებაზე, როგორც ერთიანი გუნდი ისე გავიდოდნენ.

თანამშრომლობა მანამ სანამ პირველად სპორტმა არ მოამზადა ამისთვის ნიადაგი, კერძოდ აშშ-ის სამაგიდო ჩოგბურთის გუნდის ვიზიტმა, რომელიც ჩინეთში აშშ-ის პირველი ოფიციალური ვიზიტი იყო.

და ბოლოს, ტურიზმიც ქმნის ტრანსნაციონალურ საზოგადოებებს. უცხოელი ტურისტები 600 მილიონჯერ კვეთენ საზღვრებს ყოველწლიურად. ტურიზმი მსოფლიოს წამყვან ექსპორტიორ ინდუსტრიას შორისაა. ადამიანები, რომლებიც სხვა ქვეყნებში მოგზაურობენ, ხშირად უკეთ უგებენ და აფასებენ ამ ქვეყნებს. ამას ემატებიან ასევე გაცვლითი სტუდენტები და ისინიც, ვინც უცხო ქვეყნების სასწავლებლებში სწავლობენ.

საერთაშორისო ინტეგრაციის და, ზოგადად, გლობალიზაციის მსგავსად, გლობალურ კულტურასაც აქვს ნაკლოვანებები. ჩანასახში მყოფი გლობალური კულტურა ძირითადად, მსოფლიოს მდიდარ რეგიონებში მცხოვრები თეთრკანიანი ევროპელების და მათი შთამომავლების კულტურაა (ოდნავ შერეული იაპონიის და გლობალური სამხრეთის ადგილობრივი ელიტების კულტურულ ელემენტებთან). ამგვარ კულტურულ დომინანტობას **კულტურულ იმპერიალიზმად მოიხსენიებენ.** ბევრი ადამიანისთვის, განსაკუთრებით, გლობალურ სამხრეთში მცხოვრებთათვის, საინფორმაციო რევოლუცია, რომელსაც მათთან შემოაქვს გლობალური კულტურა, მიუხედავად იმ შესაძლებლობებისა რასაც აჩენს, დამპყრობლურ ძალად არის მიჩნეული. რამდენადაც კულტურები ერთმანეთს ერწყმიან, იუნესკოს თანახმად, მსოფლიოს 7000 ენიდან თითქმის ნახევარს, ამ საუკუნეში გაქრობა ემუქრება.

კულტურული იმპერიალიზმი (Cultural Imperialism)

კონცეფცია, რომელიც კრიტიკულად უყურებს ამერიკის დომინანტურ პოზიციას აღმოცენებადი გლობალური კულტურის ფარგლებში.

ყველაფერთან ერთად, ახლად წარმოქმნილ გლობალურ კულტურაში დომინანტი მსოფლიოს ზესახელმწიფო – შეერთებული შტატებია; აშშ-ს კულტურული გავლენა მინიმუმ, ისეთივე ძლიერია როგორც მისი სამხედრო გავლენა. კულტურა შეიძლება იყოს კიდევ მორიგი ეკონომიკური პროდუქტი, რომელიც უდიდესი შედარებითი უპირატესობის პირობებში იქმნება, მაგრამ მას ასევე ცენტრალური ადგილი უჭირავს ეროვნულ იდენტობასა და პოლიტიკაში. ამგვარად, კულტურული იმპერიალიზმის პერსპექტივა მეორე ფრონტის ხაზს ქმნის ლიბერალიზმსა და მერკანტილიზმს შორის კონფლიქტში.

უკანასკნელი ტენდენციები, როგორც ჩანს, უფრო მეტად მრავალმხრივი მსოფლიო კულტურის ჩამოყალიბების მიმართულებით მოძრაობს. მაგალითად, სამხრეთ კორეის კულტურის სამინისტრომ მხარი დაუჭირა ახალი, სწრაფად მზარდი, მილიარდ დოლარიანი საექსპორტო პროდუქ-

ტის, კორეული პოპმუსიკის (K-pop) მასობრივ წარმოებას. მუსიკალური ბენდებისთვის სისტემატურად არჩევენ და ამზადებენ ახალგაზრდა ბიჭებსა და გოგონებს, შემდეგ კი მსოფლიო ბაზარზე უწევენ პოპულარიზაციას სოციალური მედიის საშუალებით.

ეს სუპრანაციონალური კულტურული გავლენები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. მომდევნო წლებსა და ათწლეულებში, მათი ფორმა უკეთ გამოიკვეთება და მკვლევრები შეძლებენ უფრო ზუსტად განსაზღვრონ, რა გავლენას ახდენენ ისინი მსოფლიოს პოლიტიკასა და სახელმწიფოს სუვერენიტეტზე.

დასკვნა

საბოლოო ჯამში, საერთაშორისო ურთიერთობების კონფლიქტები და დრამატული მოვლენები, როგორიცაა ბრძოლა ძალაუფლებისა და სიმდიდრისთვის, თანამშრომლობის მცდელობა მიუხედავად განსხვავებებისა, სოციალური დილემები და საზოგადოებრივი საქონლის პრობლემები, ბალანსის დაცვა თავისუფლებასა და წესრიგს შორის,, დებატები გლობალისტებსა და ნაციონალისტებს შორის, კომპრომისები სამართლიანობასა და ეფექტურობას, გრძელვადიან და მოკლევადიან შედეგებს შორის, ადამიანთა საზოგადოებების პრობლემებია. ამ თემებს ვერ გაექცევიან ადამიანთა საზოგადოებები,უმცირესი ჯგუფებიდან საერთაშორისო საზოგადოებამდე. ამ გაგებით, საერთაშორისო ურთიერთობები ყოველდღიური ცხოვრების გაგრძელებაა და ცალკეული ინდივიდების გადაწყვეტილებების ანარეკლია. საერთაშორისო ურთიერთობები ყველას გვეკუთვნის – ჩრდილოეთსა და სამხრეთს, ქალებსა თუ კაცებს, მოქალაქეებსა და ლიდერებს – ამ პლანეტის მოსახლეობას.

ამ წიგნმა აჩვენა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში მეტად, ვიდრე სხვა სოციალურ სტრუქტურებში, საზოგადოებრივი საქონლის პრობლემა სერიოზულ საფრთხეს უქმნის დამოუკიდებელ (სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტორებს შორის წარმატებულ თანამშრომლობას. ცენტრალური მთავრობის არარსებობის პირობებში, რომელიც წესრიგს დაიცავდა, აქტორებმა სამი სახის გამოსავალი მოძებნეს საერთაშორისო ურთიერთობებში საზოგადოებრივი საქონლის პრობლემასთან მიმართებაში. საუბარია ჩვენ მიერ განხილულ სამ ძირითად პრინციპზე. დომინირების პრინციპს, განსაკუთრებით სამხედრო ძალას ქვეყნები ყველაზე ხშირად მიმართავენ , საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში (თავი 4). იდენტობის პრინციპი მეტწილად ინტეგრაციის მთამბეჭდავ პროცესშია მნიშვნელოვანი (თავი 6). თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ორმხრივობის პრინციპია, რომელიც საფუძვლად უდევს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, საერთაშორისო სამართალსა და ორგანიზაციებს, დაწყებული გაეროთი და დამთავრებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციით. ორმხრივობის პრინციპისთვის დამახასიათებელი გადაწყვეტი-

ლებები კომპლექსურია, შეთანხმებას დიდი დრო მიაქვს და ამის შემდეგ საგულდაგულო მონიტორინგს საჭიროებს. მაგრამ ყველაფერი ერთად რომ ავიღოთ, ორმხრივობის პრინციპზე დაფუძნებული შეთანხმებები საფუძველს ქმნის საერთაშორისო სისტემისთვის, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ომიანობისადმი ძლიერი მიდრეკილებიდან მყარი მშვიდობისა და კეთილდღეობისკენ გადაიხარა, მიუხედავად იმისა, რომ, მსოფლიოში ჯერ კიდევ ბევრი მოუგვარებელი სერიოზული პრობლემა არსებობს.

ამ წიგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა საერთაშორის სისტემის ბუნება, როგორც კარგად განვითარებული წესების ერთობლიობა, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო სუვერენიტეტს, ტერიტორიულობას და „ანარქიულობას" – ცენტრალური მთავრობის არარსებობას. და მაინც, საერთაშორისო სისტემა სულ უფრო მეტად კომპლექსური ხდება, მეტად დეტალიზებული და მეტად დაკავშირებული შიდა საზოგადოებების სხვა საკითხებთან. სახელმწიფოს სუვერენიტეტს ახლა უპირისპირდება თვითგამორკვევის პრინციპი. საერთაშორისო ნორმები ზღუდავს მთავრობების უფლებას მართონ საკუთარი მოსახლეობა ძალისმიერი მეთოდებით მათი ნების საწინააღმდეგოდ და ადამიანის უფლებების დარღვევით. ასევე პრობლემურია ტერიტორიული ერთიანობა, რადგან სახელმწიფო საზღვრებს არ შეუძლია ინფორმაციის, გარემოსდაცვითი ცვლილებების და რაკეტების შეჩერება. ინფორმაცია საშუალებას აძლევს სახელმწიფოებრივ, ქვესახელმწიფოებრივ და სუპრანაციონალურ აქტორებს, გაიგონ, რა ხდება მსოფლიოში და მოქმედებების გლობალურად კოორდინაცია მოახდინონ.

ტექნოლოგიური განვითარება არის საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე ძირეული, თუმცა ეტაპობრივი ცვლილებების ერთი ასპექტი. ახალი აქტორები ძალაუფლებას მოიპოვებენ; ძველი პრინციპები ეფექტურობას კარგავენ და ახალი გამოწვევების წინაშე დგანან სახელმწიფოები, ჯგუფები და ინდივიდებიც. ტექნოლოგია ასევე მნიშვნელოვნად ცვლის სამხედრო ძალის სარგებლიანობას და როლს. დღეს, ანტიპარტიზანულ ომებში, და ასევე, მსოფლიოს სხვა 14 აქტიურ საომარ მოქმედებაში, ტექნოლოგია ორივე მხარესთვის საკვანძო როლს თამაშობს.

ზემოქმედების არასამხედრო საშუალებები, განსაკუთრებით, ეკონომიკური სარგებელის მიღება, ძალაუფლების გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ბერკეტად გადაიქცა. ცივი ომის შემდგომი პერიოდი მშვიდობიანია, თუმცა მშვიდობა არამყარია. გადავა თუ არა, სხვა ომის შემდგომი ეპოქების მსგავსად, ნელ-ნელა ეს ეპოქაც, მომდევნო ომის წინარე ფაზაში? თუ ის სტაბილურ და ხანგრძლივ „მუდმივ მშვიდობას" მოიტანს, როგორსაც კანტი ვარაუდობდა?

საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიაში ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოებს შორის ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის ერთდროულ ტენდენ-

ციებს. ხალხი განაგრძობს საკუთარ ენაზე საუბარს, საკუთარი დროშის ფრიალს და საკუთარი ვალუტის გამოყენებას საკუთარი სურათებითა და ემბლემებით. ნაციონალიზმი კვლავაც მნიშვნელოვან ძალად რჩება. ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები აიგივებენ საკუთარ თავს თავიანთ ქვეყნებთან, მათ ასევე აქვთ სხვა იდენტობები, რომელიც ეფუძნება ეთნიკურ კავშირებს, გენდერს და (ევროპის შემთხვევაში) რეგიონს. საერთაშორისო ვაჭრობაში, ლიბერალური ეკონომიკა დომინირებს, რადგან ის კარგად მუშაობს. სახელმწიფოებმა ისწავლეს, რომ თუ სურთ გადარჩენა, მაშინ მათ სიმდიდრე უნდა შექმნან მრავალეროვნული კორპორაციებისა და სხვა აქტორების დახმარებით.

გარემოსადმი მიყენებული ზიანი შეიძლება გახდეს უდიდესი დაბრკოლება ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად ჩრდილოეთსა და სამხრეთში. მაღალი ხარჯების, აქტორების დიდი რაოდენობისა და საზოგადოებრივი საქონლის პრობლემების გამო, საერთაშორისო შეთანხმებები გარემოსდაცვასთან დაკავშირებით რთულია.

ამავდროულად, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ურთიერთობები მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში გადადის. დემოგრაფიული და ეკონომიკური ტენდენციები აღრმავებს გლობალურ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებულ ნაპრალს – ჩრდილოეთი განაგრძობს სიმდიდრის დაგროვებას, მაშინ როცა სამხრეთის უმეტესი ნაწილი ჩამორჩება მას. საბოლოო ჯამში, ჩრდილოეთს მოუწევს მაღალი საფასურის გადახდა იმისთვის, რომ ვერ შეძლო სამხრეთის ეკონომიკური განვითარებისთვის მიეხედა. შესაძლებელია, რომ კომპიუტერული და ბიოტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებით, ღარიბმა ქვეყნებმა შეძლონ, უფრო ეფექტურად და მდგრადად განავითარონ თავიანთი ეკონომიკები, ვიდრე ეს ევროპამ ან ჩრდილოეთ ამერიკამ შეძლო.

დღეს არ ვიცით, როგორი იქნება მომავალი, თუმცა დროის გასვლასთან ერთად თქვენ შეგიძლიათ სხვადასხვა ეტაპზე შეადაროთ ის იმ სამყაროებს, რომელიც გსურთ და რომელსაც ელოდებით. მაგალითად, შეგიძლიათ დასვათ ქვემოთ მოცემული კითხვების მსგავსი კითხვები (ჰკითხოთ საკუთარ თავს, თითოეულ შეკითხვაზე, რატომ პასუხობთ იმას, რასაც პასუხობთ, თქვენი სასურველი მომავლის ან იმ მომავლის კონტექსტში, რომელსაც ელოდებით):

1. სახელმწიფოს სუვერენიტეტს გამოუთხრის ძირს სუპრანაციონალური ძალაუფლება?
2. ნაციონალიზმი დასუსტდება თუ შეინარჩუნებს სიძლიერეს?
3. გახდება ადამიანის უფლებები და დემოკრატიული ნორმები გლობალური მასშტაბის?
4. გადაიქცევა გაერო მსოფლიოს კვაზი-მთავრობად?
5. მოხდება გაეროს (განსაკუთრებით უშიშროების საბჭოს) გარდაქმნა?

6. გახდება თუ არა მსოფლიო სასამართლოს გადაწყვეტილებები აღსრულებადი?
7. გაიზრდება თუ შემცირდება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წევრობა?
8. გახდება ჩინეთი დემოკრატიული ქვეყანა?
9. რა გავლენას მოახდენს საინფორმაციო ტექნოლოგიები საერთაშორისო ურთიერთობებზე?
10. გავრცელდება მასობრივი განადგურების იარაღი?
11. სამხედრო ზეწოლის ტრადიციული ფორმები ნაკლებად გამოსადეგი გახდება?
12. მოხდება განიარაღება?
13. ქალები საერთაშორისო ურთიერთობებში უფრო მეტად ჩაერთვებიან? რა ეფექტები ექნება ამ ფაქტს?
14. იქნება მსოფლიოს ერთიანი ვალუტა?
15. დამყარდება გლობალური თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი?
16. ბევრ ხალხს განუვითარდება გლობალური იდენტობა?
17. მსოფლიო კულტურა უფრო ჰომოგენური თუ უფრო პლურალისტული გახდება?
18. შეძლებენ თუ არა ევროკავშირი და სხვა რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები სრული პოლიტიკური გაერთიანების მიღწევას?
19. გლობალური გარემოსდაცვითი კატასტროფა სერიოზული იქნება? თუ კი, რამდენად მალე მოხდება ეს?
20. შეძლებს ახალი ტექნოლოგიები ეკოლოგიური პრობლემების თავიდან აცილებას?
21. გლობალური პრობლემები ძლიერ მსოფლიო წესრიგს შექმნის თუ სუსტს?
22. დასტაბილურდება თუ არა მოსახლეობის ზრდა? თუ დიახ, როდის და რა დონეზე?
23. მოახერხებენ უღარიბესი ქვეყნები სიმდიდრის დაგროვებას? თუ კი, რამდენად მალე და რომელი ქვეყნები?
24. რა როლს შეასრულებს ჩრდილოეთი სამხრეთის განვითარების პროცესში?

თქვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განხორციელებული ქმედებები საბოლოო ჯამში გავლენას მოახდენს იმ მსოფლიოზე, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ. თქვენ არ შეგიძლიათ გამოეთიშოთ საერთაშორისო ურთიერთობებს. თქვენ უკვე ჩართული ხართ და ყოველწლიურად საინფორმაციო რევოლუცია და ურთიერთდამოკიდებულების სხვა ასპექტები სულ უფრო გაახლოვებთ დანარჩენ მსოფლიოსთან. თქვენ სხვადასხვა მეთოდით შეგიძლიათ მოახერხოთ, შექმნათ ის მსოფლიო, რომელსაც მოელით და რომელიც გსურთ რომ იხილოთ. თქვენ

შეგიძლიათ გააფართოვოთ საკუთარი შესაძლებლობი იმით, რომ განსაზღვროთ ქმედებები და გააკეთოთ არჩევანი, რომელიც განსაზღვრავს თქვენს ადგილს საერთაშორისო ურთიერთობებში.

ახლა, როცა თქვენ დაასრულეთ ამ წიგნში მოცემული თემების გაცნობა, აქ არ გაჩერდეთ. განაგრძეთ თქვენი ქვეყნის საზღვრების მიღმა არსებული მსოფლიოს შესწავლა. განაგრძეთ ფიქრი იმ მსოფლიოზე, რომელიც შეიძლება მომავალში არსებობდეს. გახდით ცვლილებების მონაწილე, რომელიც ამ მსოფლიოს მომავალ ათწლეულებში წარუძღვება. ეს თქვენი მსოფლიოა; შეისწავლეთ, გაუფრთხილით მას და თქვენად აქციეთ.

თავის მიმოხილვა

შეჯამება

- გარემოსდაცვითი პრობლემები არის საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებუ-ლების მაგალითი, რომლებიც ხშირად ქმნიან საზოგადოებრივი საქონლის პრობლემებს მასში მონაწილე სახელ-მწიფოებისთვის. გლობალურ გარემოსდაცვით პრობლემებში ჩართული დიდი რაოდენობის აქტორები განსაკუთრებულად ართულებენ მათი მოგვარების პროცესს.
- ამგვარი საზოგადოებრივი საქონლის პრობლემების მოსაგვარებლად სახელმწიფოებმა გამოიყენეს საერთაშორისო რეჟიმები და საერთაშორისო ორგანიზაციები და ზოგ შემთხვევაში გააფართოვეს სახელმწიფოს სუვერენიტეტი (განსაკუთრებით ტერიტორიულ წყლებში).
- გლობალური დათბობა წიაღისეული საწვავის წვის შედეგია, რაც საფუძვლად უდევს დღევანდელ ინდუსტრიულ ეკონომიკებს. ინდუსტრიული ქვეყნები მეტად პასუხიმგებელნი არიან ამ პრობლემის წარმოშობაზე, ვიდრე გლობალური სამხრეთის ქვეყნები, თუმცა ზოგმა ქვეყანამ, მაგალითად, ინდოეთმა და ჩინეთმაც, წვლილი შეიტანეს ამ პრობლემის წარმოშობაში. რთულია გამოსავლის მოძებნა, რადგან ხარჯები მნიშვნელოვანია და საფრთხეები-გარკვეულწილად შორეული და ბუნდოვანი.
- დედამიწის ოზონის შრისთვის ზიანი კონკრეტული ქიმიური ნაერთების გამოყენების შედეგია, რაც ამჟამად შეჩერებულია საერთაშორისო შეთანხ-მების წყალობით. გლობალური დათ-ბობისგან განსხვავებით, მოგვარების ხარჯები გაცილებით დაბალია და პრობლემაც უკეთაა გააზრებული.
- მცენარეთა და ცხოველთა ბევრ სახეობას გადაშენება ემუქრება საბინადრო ადგილების, მაგალითად, ტროპიკული ტყეების გაქრობის გამო. საერთაშორისო ხელშეკრულება ბიომრავალფეროვნებაზე და შეთან-ხმება ტყეების შესახებ მიზნად ისახავს ადგილობრივი ეკოსისტემების განად-გურების შემცირებას და ქვეყნებს შორის ხარჯების განაწილებას.
- გაეროს კონვენცია საზღვაო სამართ-ლის შესახებ (UNCLOS)აყალიბებს საოკეანო რეჟიმს, რომლის მიხედ-ვითაც სახელმწიფოთა კონტროლის ქვეშ, ისევე როგორც ტერიტორიული წყლები, ექცევა კომერციული სათევზაო ადგილების უმეტესობა და ოფშორული ნავთობი.
- დაბინძურებას, მათ შორის მჟავა წვიმას, წყლისა და ჰაერის დაბინძუ-რებას, ასევე ტოქსიკურ და ბირთვულ ნარჩენებს, როგორ

წესი, ლოკალური ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე გლობა-ლური და მეტწილად მისი მოგვარება ხდება ცალმხრივი, ორმხრივი ან რე-გიონულ დონეზე მიღებული გადაწყ-ვეტილებით, ვი-დრე გლობალურად.

- დასავლეთის ქვეყნების უმეტესობა ენერგო-რესურსების, განსაკუთრებით კი, ნავთობის იმპორტს ახლენს მაშინ, როცა მსოფლიოს სხვა რეგიონებს ექსპორტზე გააქვს ისინი. ნავთობის ფასები მკვეთრად გაიზარდა 1970-იან წლებში, დაეცა 1980-იან წლებში და კვლავ გაიზარდა 2008 წელს, მაგრამ მას შემდეგ და-ბალ ნიშნულს ინარჩუნებს. ასეთი ცვალება-დობა ძირს უთხრის მსოფლიოს ეკონო-მიკურ სტაბილურობას.
- მსოფლიოში გაყიდული ნავთობის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ახლო აღმოსავლეთ-ში სპარსეთის ყურის მიმდებარე ტერიტორია. შედეგად, ეს არეალი დიდი ხანია საერთაშო-რისო პოლიტიკური კონფლიქტის ცენტრა-ლურ ადგილს წარმოადგენს.
- მსოფლიო მოსახლეობის ზრდა (ამჟამად 7.6 მილიარდი ადამიანი) საბოლოოდ, შესაძ-ლოა 10 მილიარდ ადამიანზე დასტაბილუ-რდეს. ზრდის ყველაზე დიდი მაჩვენებელი გლობალურ სამხრეთში დაფიქსირდება.
- შემდგომ წლებში შიდსის გლობა-ლური ეპიდემია უზარმაზარ ხარჯებს დააკისრებს ბევრ ღარიბ ქვეყანას. ამჟამად, 35 მილიონი ადამიანია შიდსით დაავადებული, 37 მილი-ონზე მეტი გარდაიცვალა. დაავადებულთა უმეტესობა აფრიკაშია და ახალი ინფექციები ჩნდება აზიასა და რუსეთში.
- ახალი საინფორმაციო ტექნოლო-გიები ხელს უწყობს სუპრანაციონალურ ურთიერთობებს და იდენტობებს, თუმცა, ეს პროცესი კვლავაც ადრეულ სტადიაშია.
- ინტერნეტის მართვის დარეგუ-ლირება მო-ლაპარაკებების საგანია გაეროს შეხვედრების დროს; განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ე-რთი ასეთი შეხვედრა 2012 წელს, რომელზეც 89 ქვეყანამ მხარი დაუჭირა ახალ ხელშეკრუ-ლებას, რომელიც მეტ ძალაუფლებას აძლე-ვდა მთავრობებს, მაგრამ 55 ქვეყანამ არ მო-აწერას მას ხელი.
- მთავრობისთვის ინფორმაციის ხელმისა-წვდომობა ზრდის საერთაშორისო ურთი-ერთობების სტაბილურობას, რადგან უსა-ფრთხოების დილემა და საზოგადოებრივი საქონლის სხვა პრობლემები ნაკლებად რთული მოსაგვარებელია გამჭვირვა-ლე მსო-ფლიოში;
- მსოფლიოში ინფორმაციის დიდი დოზით და თავისუფლად მიმოსვლამ შეიძლება დააზა-რალოს მთავრობების ავტორიტეტიც და ძა-ლაუფლებაც. ინფორმაციულ ტექნოლოგიებს შეუძლია გააძლიეროს რიგითი მოქალაქეები და წვლილი შეიტანოს ტრანსნაციონალური და სუპრანაციონალური სტრუქტურების გა-ნვითარებაში, რომლებიც გვერდს უვლიან სა-ხელმწიფოს.
- ვირტუალური ვალუტები ინდივიდებს და ჯგუფებს შესაძლებლობას აძლევს აწარმოონ ტრანზაქციები მთავრობის მეთვალყურეო-ბის გარეშე. ამასთანავე, ავტორიტარულ მთა-ვრობებს, მიუხედავად ბევრი მცდელობისა, სულ უფრო უჭირთ ინფორმაციის მოძრაობის შეზღუდვა;ტელეკომუნიკაციებს წვლილი შე-აქვს გლობალური კულტურული ინტეგრაციის განვითარების საქმეში. ამ პროცესს შესაძლოა გააჩნდეს პოტენციალი ერთიანი მსოფლიო კულტურის განვითარებისთვის. თუმცა, ზო-გიერთი პოლიტიკოსი და მოქალაქე სწუხს კულტურული იმპერიალიზმის თაობაზე – რომ ამ კულტურაზე დიდი გავლენა ექნება ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ძირითადი ცნებები

საერთო საკუთრების ტრაგედია
შემოღობვა
გლობალური დათბობა
გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)
სათბურის გაზები
კიოტოს პროტოკოლი
პარიზის კლიმატის შეთანხმება
ოზონის შრე
მონრეალის პროტოკოლი
ბიომრავალფეროვნება
ვეშაპებზე ნადირობის საერთაშორისო კომისია
ღია ზღვები
გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ (UNCLOS)
მჟავა წვიმა
დემოგრაფიული ტრანზიცია
პრონატალისტი
ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა
ციფრული დაყოფა
ვირტუალური ვალუტები
კულტურული იმპერიალიზმი

კითხვები კრიტიკული აზროვნებისთვის

1. საერთაშორისო საზოგადოების მიერ მიღწეული შედეგები გარემოსდაცვითი საკითხების მართვასთან დაკავშირებით ასახავს მერკანტილისტების, ლიბერალების თუ ორივეს ერთად შეხედულებებს? როგორ?
2. როგორც ჩანს, უამრავი ღარიბი ქვეყანაა გაჭედილი დემოგრაფიული ტრანზიციის შუა გზაზე; დაეცა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, შობადობა კვლავაც მაღალია და ერთ სულ მოსახლეზე არ იზრდება შემოსავალი. როგორ ფიქრობთ, შეძლებენ ეს სახელმწიფოები უცხოური დახმარების გარეშე ან მისი დახმარებით, მოძრაობა განაგრძონ და დაასრულონ დემოგრაფიული ტრანზიციის პროცესი?
3. თქვენი აზრით, რა არის გლობალური კომუნიკაციების და კულტურის წარმოშობის დადებითი და უარყოფი მხარეები ? უნდა გვიხაროდეს თუ უნდა გვწყინდეს ერთიანი მსოფლიო კულტურის გაჩენის შესაძლებლობა? პასუხი იმაზე ხო არ არის დამოკიდებული თუ მსოფლიოს რომელ ნაწილში ცხოვრობს ადამიანი? მოიყვანეთ ამ შედეგების კონკრეტული მაგალითები.

მოდით, ვიმსჯელოთ

გლობალური დათბობის შეჩერება: ვინ უნდა გადაიხადოს?

მიმოხილვა

პარიზის კლიმატის შეთანხმება ერთ-ერთი ბოლო მცდელობაა გაკონტროლდეს გლობალური დათბობის გამომწვევი დაბინძურების წყაროები. მისი წინამორბედი, კიოტოს პროტოკოლი, იყენებდა საბაზრო მექანიზმს სხვადასხვა ქვეყნის ემისიების რაოდენობის შეზღუდვაზე. თუმცა, პროტოკოლის თანახმად მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს მოეთხოვებოდათ სამიზნე ნიშნულების დაკმაყოფილება. განვითარებად ქვეყნებს ემისიების სავალდებულო ზედა ზღვრები დაწესებული არ ქონდათ.

პარიზის მოლაპარაკებებზე პროგრესის მისაღწევად, სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ უარს იტყოდნენ სავალდებულო შეზღუდვების დაწესებაზე ყველა ქვეყნისთვის. ეს კი ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას, თავად განსაზღვრონ ემისიების შემცირების როგორც ნიშნულები, ასევე თუ როგორ შეძლებენ ისინი ამ ნიშნულების მიღწევას. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს მოქნილობა აუცილებელი იყო, რომ სახელმწიფოებს პარიზის კლიმატის შეთანხმებისთვის ხელი მოეწერათ. განვითარებული ქვეყნები განაგრძობდნენ მოთხოვნის დაყენებას, რომ განვითარებად ქვეყნებს (განსაკუთრებით ჩინეთს და ინდოეთს) შეესრულებინათ აქტიური როლი გლობალური დათბობის პრევენციაში, მაშინ როდესაც განვითარებადი ქვეყნები განაგრძობდნენ რესურსების (ფულის და ტექნოლოგიების) მოთხოვნას იმ ხარჯების დასაფარად, რაც ამ შემთხვევაში წარმოიქმნებოდა.

პარიზის შეთანხმება შეიცავს პირობებს, რომლის თანახმადაც ყოველწიურად 100 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფა უნდა მოხდეს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკების ადაპტაციისა და გლობალური დათბობის შემცირებისთვის. ეს პირობა უნდა შესრულდეს 2020 წლისთვის და უნდა გაგრძელდეს 2025 წლამდე. უნდა მოსთხოვონ თუ არა განვითარებად ქვეყნებს, როგორიც ჩინეთია, წვლილი შეიტანონ გლობალური დათბობის შეჩერებაში? ვის უნდა მოეთხოვოს ამ საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფაში წვლილის შეტანა?

არგუმენტი 1

განვითარებადმა ქვეყნებმა გლობალური დათბობის შესამცირებლად საკუთარი წილი საფასური უნდა გადაიხადონ.

განვითარებად ქვეყნებს შეაქვთ წვლილი გლობალურ დათბობაში, შესაბამისად მათ უნდა გადაიხადონ. განვითარებადი ქვეყნები დიდი ოდენობის კარბონის დიოქსიდებს გამოყოფენ ატმოსფეროში. მათ არ უნდა მიეცეთ უფლება იმ მდიდარი სახელმწიფოების ხარჯზე გავიდნენ ფონს, ვისაც სურს გლობალური დათბობის შემცირება.

ტექნოლოგიები ხელს შეუწყობს დანახარჯების შემცირებას გრძელვადიან პერსპექტივაში. მაშინ როცა გლობალური დათბობის შენელების ხარჯები საწყის ეტაპზე მაღალი იქნება, დროთა განმავლობაში, ტექნოლოგიები დაეხმარება სახელმწიფოებს ემისიების შემცირების პარალელურად ხარჯების შემცირებაში. ასე რომ, არ ღირს ზედმეტად წუხილი იმის თაობაზე, რომ პოლიტიკის ცვლილების საფასური განვითარებად ქვეყნებში ძალიან მაღალი იქნება.

განვითარებადმა ქვეყნებმა შესაძლოა ეკონომიკურად ისარგებლონ კლიმატის შეთანხმებებისგან. კიოტოს პროტოკოლის მსგავსად, პარიზის შეთანხმებაც შეიცავს მსგავს საბაზრო მექანიზმებს, რამაც შესაძლოა განვითარებად ქვეყნებს ეკონომიკური სარგებელი

მოუტანოს. თუკი ეს ქვეყნები შეძლებენ ემისიების მათ მიერვე განსაზღვრულ ნიშნულებზე ქვევით ჩამოყვანას, მათ შეეძლებათ გაყიდონ მათი „აუთვისებელი“ დაბინძურების ქვოტები შეთანხმების შესასრულებლად გაწეული ხარჯების სანაცვლოდ.

არგუმენტი 2

გლობალური დათბობის შესამცირებლად ხარჯი მხოლოდ განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა გასწიონ.

განვითარებად ქვეყნებზე ხარჯების დაკისრება ძირს გამოუთხრის განვითარებას. გლობალური დათბობის შეჩერების ხარჯები დიდი იქნება. ამ ხარჯების თუნდაც ნაწილის განვითარებად ქვეყნებზე დაკისრება ეკონომიკურ სირთულეებს გამოიწვევს, რაც კიდევ უფრო მეტად შეუშლის ხელს განვითარებას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ემისიების გაზრდას, რადგან ამ ქვეყნებს არ ექნებათ ფული უკეთესი ტექნოლოგიების ან უფრო სუფთა ინდუსტრიების განვითარებისთვის

განვითარებულ ქვეყნებს ჰქონდათ უფლება დაებინძურებინათ, რათა განვითარებულიყვნენ. ბევრი წლის განმავლობაში, განვითარებული ქვეყნები მცირე ყურადღებას უთმობდნენ გარემოს, როდესაც ისინი აშენებდნენ საწარმოებს, აღწევდნენ ეკონომიკურ ზრდას და ხდებოდნენ წარმატებულები. ახლა მაშინ როდესაც ინდოეთი და ჩინეთი შესაძლოა გახდნენ ეკონომიკურად წარმატებულები, დასავლურ სახელმწიფოებს სურთ დააწესონ შეზღუდვები, თუ როგორ უნდა განვითარდნენ სხვა სახელმწიფოები და როგორ უნდა მოექცნენ ისინი გარემოს. არა-დასავლურ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ უფლება განვითარების იგივე გზა გაიარონ, რაც დასავლეთმა გაიარა

ეს რეალურად განვითარებული ქვეყნების მიერ გამოწვეული დაბინძურებაა. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებადი ქვეყნებიც იწვევენ საკუთარ წილ დაბინძურებას, ამ ემისიების დიდი ნაწილი იმ ინდუსტრიების მიერ არის გამოწვეული, რომლებიც განვითარებული ქვეყნებიდან იქნა გადმოტანილი. დასავლურ სახელმწიფოებს არ სურდათ ამ დამაბინძურებელი ინდუსტრიების ქონა საკუთარ სიახლოვეს და შესაბამისად, ისინი საზღვარგარეთ გადაიტანეს და ახლა მოითხოვენ, რომ მასპინძელმა სახელმწიფოებმა გადაიხადონ დასუფთავების გადასახადი.

კითხვები

- უნდა იყოს თუ არა პარიზის შეთანხმება სავალდებულო განვითარებული ქვეყნებისთვის და უნდა გადაიხადონ თუ არა მათ განვითარებად ქვეყნებში ემისიების შემცირების ხარჯები? ეს მოთხოვნა ზრდის თუ ამცირებს პარიზის შეთანხმების წარმატების შანსებს (გლობალური ტემპერატურის შემცირებას)?
- გჯერათ, რომ გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტა, როგორიც არის გლობალური დათბობა, უფრო მეტად თუ ნაკლებად რთული გახდება მზარდი ანტიგლობალიზაციური მოძრაობების პირობებში? რატომ?
- ფიქრობთ, რომ გლობალური დათბობის პრობლემის გადაჭრა ტექნოლოგიური განვითარების გზით იქნება შესაძლებელი? თუ გლობალური დათბობის შესამცირებლად უკეთესი გზა იქნება, ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდეს ადამიანების მიერ ენერგიის მოხმარების არსებულ პრაქტიკებში?

დამატებითი საკითხავი:

- Klein, Daniel, Maria Pia Carazo, Meinhard Doelle, Jane Bulmer, and Andrew Higham, eds. *The Paris Agreement on Climate Change: Analysis and Commentary.* Oxford, 2017.
- Nordhaus, William D. *The Climate Casino: Risk, Uncertainty, and Economics for a Warming World.* Yale, 2015.
- Vogler, John. *Climate Change in World Politics.* Palgrave, 2016.
- Zedillo, Ernesto. *Global Warming: Looking Beyond Kyoto.* Brookings, 2008.

ინდექსი

„ოთხი ვეფხვი"/„ოთხი დრაკონი" 550
Amnesty International 360, 428
Human Rights Watch 428, 444

ა

აბე, სინძო 129
აბსორბციის უნარი 498
აგრესია 42, 49, 60, 67, 78, 85, 114, 140, 362, 364, 465
ადამიანის უფლებათა ამერიკული სასამართლო
ადამიანის უფლებათა საბჭო, გაერო 428
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 425-426, 443
ადამიანის უფლებები 29, 51-52, 69, 151, 166-167, 182
ადამიანის ძირითადი საჭიროებები 451, 460, 520
ადამსი, ჯეინ 168
ავიამზიდები 78, 234, 238-239, 241, 280
ავტარკია 157, 287-288, 347
ავღანეთი 41, 46-47, 54, 80-81, 105-106, 115, 131, 173
აზია 18, 27-28, 30, 32, 49-50, 186, 206. 213, 461, 470
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) 485
ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია 514, 519
ათასწლეულის განვითარების მიზნები 449, 455, 522
ალ-ბაშირი, ომარ 434
ალიანსები 6, 9, 13-14, 21, 25, 28 82, 87, 89, 220-221, 241, 290, 478
ალიანსის შეკავშირებულობა 81-82
ალჟირი 105, 173, 207
ალ-ქაიდა 45, 47, 49
ალ-შაბაბი 213, 218
ალ ჯაზირა 574, 580
ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა 297-298
ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია (OAS) 115
ანალიზის დონეები 23-26, 193
ანალიზის ინდივიდუალური დონე 23
ანალიზის სახელმწიფო დონე *იხ.* ანალიზის შიდა დონე 119, 193
ანალიზის სახელმწიფოთაშორისო დონე *იხ.*სისტემური დონე 120
ანალიზის სისტემური დონე 158
ანალიზის შიდა დონე 119, 193
ანანი, კოფი 169, 368, 542
ანარქია 59, 63, 67-68, 70-71, 78, 99
ანგოლა 34, 41, 49, 105, 220-221, 230, 302, 367, 370, 376, 426, 554, 556
ანდების ქვეყნების თანამეგობრობა 299
ანტარქტიკა 541
ანტიგლობალიზაციური მოძრაობა 593
ანტიკოლონიური მოძრაობები 474
ანტიპარტიზანული ომი 189, 235
არაბული გაზაფხული 48, 54, 119, 161, 206, 217, 268, 575, 579-580
არაბული ქვეყნების ლიგა 21, 115
არანულოვანჯამიანი თამაში 95
არასამთავრობო ორგანიზაციები 9, 21, 23, 26, 51, 54-57
არასატარიფო ბარიერები 289-290, 294, 297
არასახელმწიფო აქტორები 20, 22, 27, 29, 54-56
არასწორი აღქმები 139
არაძალადობრივი 48, 157, 161, 167, 206, 233, 235, 250, 364, 421, 474
არბიტრაჟი 111, 159, 222, 292, 307, 414
არგენტინა 33, 75, 131, 255, 297, 299, 324-325
არისტოტელე 323
არისტოფანე 168
არქტიკული ნაოსნობის მარშრუტები 533
ატმოსფერო 40, 255, 264, 337, 484, 532
ატომბირთვის ხლეჩის იარაღი 252
ატომური ბომბი 117, 252, 261
ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო 260-261, 365, 384
აფექტური მიკერძოება 139
აფრიკა xxv, 13, 18, 21
აფრიკის კავშირი 21, 115, 201, 213, 218, 359, 375, 428
აქტორები 1-2, 4, 9, 13, 90, 93-95, 123, 135, 145, 148, 153, 225-226, 245-246, 253, 275, 356-357, 370, 407, 413, 435, 512, 582, 585-587, 589
აღმოსავლეთი აზია xxviii
აღმოსავლეთი ევროპა xxvii

აშშ/შეერთებული შტატები xv, 2, 18, 63, 79, 84, 101-102, 106, 114, 116, 129, 132, 146, 200, 301, 444, 507, 537
აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულება 87
ახალი ინდუსტრიული ქვეყნები 482
ახლო აღმოსავლეთი xxvii

ბ

ბავშვები 23, 155, 158, 202, 310, 352
ბაზრები 2-3, 8, 22, 26-28, 64, 70, 94, 275-276, 398, 412, 482, 486, 556
ბალისტიკური რაკეტები 47-48, 129, 138, 241, 251, 254
ბალკანები 32
ბანანის ექსპორტიორი ქვეყნების კავშირი (UBEC) 559
ბანგლადეში 19, 23, 34, 171, 181, 203, 207, 304, 315
ბელგია 32, 82, 201, 390-391, 393, 397, 403, 507
ბენილუქსის ქვეყნები 390
ბენსუდა, ფატუ 435
ბინ ლადენი, ოსამა 45, 47, 54, 217
ბიოლოგიური იარაღი 234, 251, 256-258
ბიოლოგიური იარაღის შესახებ კონვენცია 257, 270
ბიომრავალფეროვნება 542
ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის შესახებ ხელშეკრულება 264
ბირთვული იარაღი 11
ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება 40
ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება (NPT) 260
ბირთვული ნარჩენები 546
ბირთვული სტრატეგია 262, 270
ბირმა 32, 49, 120, 203
ბიტკოინი 327-328, 582
ბიუროკრატიები 114, 121
ბოკო ჰარამი 213, 218
ბოლივია 157, 221-222, 232
ბოსნია 43-45, 83-85, 105, 126
ბოტსვანა 466, 476
ბრაზილია 75, 89, 239, 255
ბრეტონ-ვუდსის სისტემა 330-331, 350
ბრიტანეთი 3, 9, 71-74, 101, 275, 302, 471
ბუდიზმი 360
ბულგარეთი 82-85, 402-403
ბუნებრივი კატასტროფები 9, 384, 451, 516-517
ბუნებრივი რესურსები 51, 66, 73, 189, 227, 282
ბუში, ჯორჯ უმცროსი 284

გ

გადამეტებული ღირებულების ვალუტა 326
გადასახადები 5, 16, 56, 285, 313
გადაწყვეტილებები 3, 11, 13, 15-16, 24, 28
გაერო 7, 9, 12, 15-16, 18, 20-21
გაეროს ბავშვთა ფონდი 365, 382
გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) 365, 508
გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) 365, 533, 591
გაეროს გენერალური ასამბლეა 364-365, 384, 409, 442
გაეროს გენერალური მდივანი 379
გაეროს დახმარებისა და სამუშაოების ორგანიზების სააგენტო (UNRWA) 465
გაეროს ვაჭრობის და განვითარების კონფერენცია (UNCTAD) 505
გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) 508
გაეროს კატასტროფის შედეგების შემსუბუქების კოორდინატორის ოფისი (UNDRO) 516
გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ (UNCLOS) 546
გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი 365, 517
გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) 365, 508, 566
გაეროს სამდივნო 364, 442
გაეროს სამშვიდობო მისიები 375, 377
გაეროს ტრენინგისა და კვლევის ინსტიტუტი (UNITAR) 365, 508
გაეროს უშიშროების საბჭო 372, 560
გაეროს ქარტია 362, 425
გამალებული შეიარაღება 263-264
გამბია 34, 118
განდი, მაჰათმა 157, 161
განვითარებადი ქვეყნები 592-593
განვითარების ხელშეწყობის კომიტეტი (DAC) 506, 522
განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი (IBRD) *იხ.* მსოფლიო ბანკი 330-331, 365
განსხვავების ფემინიზი 164
გარემო 297, 528, 553

გაფართოებული შეკავება 82
გაცვლითი კურსი 323, 326, 329, 400
გეგმიური ეკონომიკა
გეიტსების ფონდი 510, 525
გენდერი 164, 376, 426, 565, 587
გენდერული ნაპრალი 168
გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 292
გენეტიკურად მოდიფიცირებული მარცვლეული 545
გენოციდი 431-432
გეოგრაფია 360, 454, 498
გეოპოლიტიკა 67
გერმანია 536, 558
გეიტსი, ბილ 511
გლობალიზაცია 573-574, 584
გლობალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი სისტემა (GPS)240, 242
გლობალური დათბობა 593
გორბაჩოვი მიხეილ 41
გრამში, ანტონიო 77

დ

დაბალი ინტენსივობის კონფლიქტი 422
დაბინძურება 550, 592-593
დამოკიდებულების თეორია 477
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) 88
დამოუკიდებლობის დეკლარაცია 423
დანაშაული კაცობრიობის წინამე 433
დარფური 371, 431, 434, 443
დაცვის ვალდებულება (R2P) 428, 517
დედამიწის სამიტი 543
დევალვაცია 326
დეზინფორმაცია 579
დეკოლონიზაცია 473
დემოგრაფიული ტრანზიცია 562
დემოკრატიები 194, 444
დემოკრატიული მშვიდობა 194
დემპინგი 2894
დენ სიაოპინი 483
დეფიციტური ხარჯვა 334
დეფოლტი 324, 334, 500
დეჰუმანიზაცია 191, 200, 202, 204
დიდი დეპრესია 312-313, 334
დიდი ექვსიანი (G6) 331
დიდი ოცეული (G20) 323, 331
დიდი რვიანი (G8) 331
დიდი სახელმწიფოები 6-7, 44, 51, 54
დიპლომატები 3, 9, 14, 70, 90
დიპლომატია 9, 14, 76
დიპლომატიის კანონები 418
დიპლომატიური აღიარება 419
დიპლომატიური იმუნიტეტი 419
დოლარი, აშშ 234, 246
დომინირება 5-6
დონორი 468, 506-508
დოჰას რაუნდი 290, 295, 304
დრონები 234, 243-244
დროშის გარშემო დარაზმვის სინდრომი 130

ე

ებოლას ვირუსი 51, 572
ეგვიპტე 46, 48, 54, 119, 122, 162
ევრო 398
ევროატომი (ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება) 391
ევროზონა 50, 400-401
ევროკავშირი (ევროპის კავშირი)
ევროკავშირი საბჭო 394
ევროკავშირის საბჭო 3, 26-28, 50-51, 57, 83-84
ევროკომისია 393-394
ევროკრატები 393, 441
ევროპა xxvii, 30, 36, 57
ევროპარლამენტი 387, 395-396, 404, 441
ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა 386, 391
ევროპის თავდაცვის თანამეგობრობა 390
ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია 391
ევროპის თანამეგობრობა 123, 391-392
ევროპის კონცერტი 73
ევროპის ცენტრალური ბანკი 397
ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება 390
ევროპული საბჭო 390
ეთიოპია 40, 49, 105, 173, 189
ეთნიკური კონფლიქტი 24-25, 48, 191, 198
ეთნიკური წმენდა 44, 49, 200, 270

ეთნიკური ჯგუფები 57, 124, 154
ეთნიკური კლასები 154
ეთნოცენტრიზმი 202
ეკონომიკური განვითარება 157, 250
ეკონომიკური გლობალიზაცია 18, 309
ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი 365, 395
ეკონომიკური კლასები 154
ეკონომიკური კონფლიქტი 230-231
ეკონომიკური ლიბერალიზმი 277
ეკონომიკური ნაციონალიზმი 290, 389
ეკოსისტემები 533
ელექტრონული ვალუტები 327
ელჩები 121, 371
ელცინი, ბორის 42, 143
ემბარგო 53, 287
ემისიებით ვაჭრობის სქემები 539
ეპიდემიები 112, 384, 455, 567
ეპისტემიური საზოგადოება 530
ერაყი 12, 42, 46, 48
ერაყის ომი 72, 80, 86
ერთა ლიგა 38, 60, 79
ერთიანი ევროპული აქტი 396
ერთობლივი საწარმოები 498
ერი-სახელმწიფო 18
ეროვნული ანგარიშები 280
ეროვნული ბანკის საპროცენტო განაკვეთი 350
ეროვნული ინტერესები 64, 81-82, 93
ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო (NSA) 242, 579
ეროვნული უსაფრთხოების საბჭო (NSC) 135
ესენციალიზმი 164
ესკალაცია 8, 49, 92
ესპანეთი 19, 50, 75, 82, 84, 127
ესტონეთი 82, 85, 88, 400, 402-403
ეუთო (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE)) 407-408
ექსკლუზიური ეკონომიკური ზონა 546
ექსტრადიცია 417-418, 420, 437

3

ვაზედი, შეიხ ჰასინა 203
ვალების გადახედვა 334, 410
ვალი 11, 16
ვარადკარი,ლეო 546
ვარშავის პაქტი 36, 83, 86, 100
ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია 21, 27-28, 56
ვაჰაბიზმი 215, 217
ვენესუელა 34, 87, 101, 157, 299
ვესტფალიის ზავი 67
ვეშაპებზე ნადირობის საერთაშორისო კომისია 543-544
ვიეტნამი 19, 34, 40-41
ვიეტნამის ომი 40, 52, 61, 126, 132
ვიეტნამის სინდრომი 140
ვილსონი, ვუდრო 60, 79
ვირტუალური ვალუტა 328, 581

ზ

ზაირი 45
ზამბია 476
ზესახელმწიფოები 7, 12, 20, 36
ზიმბაბვე 119, 266
ზუტნერი, ბერტა ფონ 168
ზღვის ძუძუმწოვართა დაცვის აქტი 544

თ

თავისუფალი ვაჭრობა 53, 64, 79, 277
თავისუფალი ეკონომიკური ზონა 483
თავშესაფარი, როგორც ადამიანის ძირითადი საჭიროება 45, 419, 464
თალიბანი 45, 47, 54
თამაშის თეორია 10, 94-95
თერმობირთვული იარაღი 252-253
თვალი თვალის წილ (პრინციპი) 7, 110
თვითგამორკვევა 42, 69, 114
თვითმკვლელთა ტერორიზმი 210
თუკიდიდე 61, 163
თურქეთი 23, 32-33, 39

ი

იაპონია 13, 30, 32-33
იარაღით ვაჭრობა 71, 231, 265
იდეალიზმი 60, 63
იდენტობა 5-6
იდეოლოგიური კონფლიქტი 219

იემენი 106, 213
იენი (იაპონური) 320, 322, 348
იზოლაციონიზმი 79
იმპერიალიზმი 25
იმპორტის ჩანაცვლება 491
იმუნიზაციის პროგრამა 384, 452
ინდოეთი 9, 18-19, 34, 57
ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი 197, 223
ინდონეზია 19, 32, 34, 49
ინდუიზმი 205, 360
ინდუსტრიალიზაცია 51, 79, 294, 309
ინდუსტრიალიზებული ქვეყნები 5, 294, 314
ინდუსტრიული რევოლუცია 310
ინ-ვენი, ცაი 329
ინტეგრაციის თეორია 386
ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია 306, 365
ინტელექტუალური საკუთრების უფლებები 305
ინტერესთა ჯგუფები 103, 120
ინტერნეტი 22, 126, 244
ინფლაციის მაჩვენებელი 399-400, 466
ინფორმაცია 15, 66, 70
ინფორმაციის სკრინინგი 122, 138
ირანი 12, 33, 41, 47, 49
ირან-კონტრას სკანდალი 142
ირედენტიზმი 222
ირლანდია 105, 392, 401-402
ისლამისტური ჯგუფებები 221-212, 214
ისლამური სახელმწიფო 46, 48, 106
ისრაელი 9, 12, 47, 49
ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი 197, 226
იუგოსლავია (ყოფილი) 18, 43, 197
იუდაიზმი 205, 360
იურიდიული ნაშრომები 409, 411, 440
იურისდიქცია 396, 413
იძულება 188, 292, 436

კ

კათოლიკური ეკლესია 21, 570
კამბოჯა 34, 236, 238, 367
კამერუნი 34, 238, 557
კანადა 9, 19, 32, 75, 82, 89, 230
კანტი, იმანუელ 107, 423
კაპიტალის დაგროვება 476-477, 479
კარიბის გაერთიანება (CARICOM) 299
კარიერა 146, 345,437, 453, 495
კარტელი 232, 301
კასპიის ზღვა 556-557
კასტრო, ფიდელ 39, 364
კატალონია 224
კატასტროფის შედეგების შემსუბუქება 515
კეინზიანური ეკონომიკა 334
კენედი, ჯონ 24, 40, 144
კენია 513, 518, 576
კერძო დახმარება 510
კვიპროსი 207, 400, 402
კვოტები 181
კიბერთავდასხმები x, 244, 580
კიმ ჩენ ინი 129
კიმბერლის პროცესი 222
კინგი, მარტინ ლუთერ 161
კიოტოს პროტოკოლი 438
კლასობრივი ბრძოლა 155
კლიმატის ცვლილება 299, 449, 532
კლიმატის ცვლილების მთავრობათშორისი კომისია 533
კლინტონი, ჰილარი 122
კოალიციები 25, 57, 71
კოგნიტური ბალანსი 139-140
კოგნიტური დისონანსი 139-140
კოგნიტური მიკერძოება 139-140
კოენი, უილიამ 141
კოკაინის კარტელები 232
კოლექტიური მოქმედების პრობლემა 516
კოლექტიური უსაფრთხოება 114
კოლონიალიზმი 70, 156-157, 197
კოლუმბია 33, 186, 232, 296
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა 35, 45, 302, 374
კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ 426
ვენცია იძულებით გაუჩინარებისაგან ყველა პირის დაცვის შესახებ 427
კონვენცია მიგრანტი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ 426
კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 426
კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 426

კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვის შესახებ 426-427
კონვენცია წამების წინააღმდეგ 426-427
კონვერტირებადი ვალუტა 320
კონსტრუქტივიზმი xvi, 145, 147
კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები 47, 250, 270
კონტრაბანდა 231-232, 307
კონტრტერორიზმი 185, 245, 249
კონფლიქტის მოგვარება 159, 179
კორეის ომი 39, 87-88, 129, 366
კორეული პოპმუსიკა (K-pop) 585
კორუფცია 42, 46, 119, 124, 144, 285
კოსმოსი 1, 39-40, 229
კოსმოსური ძალები 241
კოსოვო 44, 83-84, 105
კოსტა-რიკა 34, 230, 265
კრედიტები 2, 289
კრიპტოვალუტა 582
კრუზი, ტედ 579
კუბა 34, 39-40
კუბის სარაკეტო კრიზისი 24, 39
კულტურული იმპერიალიზმი 341, 584, 590-591

ლ

ლათინური ამერიკა 30, 33, 35, 56-57, 151
ლატვია 32, 82, 85, 88, 400
ლეგიტიმურობა 64, 77, 128, 352, 412
ლენინი, ვლადიმერ 24, 156-157
ლიბერალიზმი 112, 147, 150, 158
ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი 107-108
ლიბერალური ფემინიზმი 164, 170, 174
ლიბერია 35, 105, 171, 374
ლიბია 2, 13, 33, 48
ლიეტუვა 32, 82, 85, 88, 400
ლისაბონის ხელშეკრულება 394-395
ლობირება 123-124, 288, 303
ლოკი, ჯონ 423
ლონდონის კლუბი 501
ლტოლვილები 50, 203, 218

მ

მაასტრიხტის ხელშეკრულება 397
მაკიაველი, ნიკოლო 61, 163
მაკროეკონომიკა 277, 335, 494
მალარია 571
მალთუსი, თომას 561
მალი 119, 213, 216, 218
მალტა 400, 402-403
მაო ძედუნი 81
მართებულობის ლოგიკა 150
მართვის ჯაჭვი 266-267
მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო 396, 442
მარიონეტული ომი 40
მარქსი, კარლ 155
მარქსიზმი 62, 77, 125, 145, 154
მარშალის გეგმა 38, 311-312, 389
მასისი, მოკვეტსი 466
მასმედია 125
მასობრივი განადგურების იარაღი 116, 234, 251
მასპინძელი ქვეყნები/მთავრობები 342
მდგრადი განვითარება 530
მდგრადი განვითარების კომისია 530
მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) 449
მდგრადი სიმდიდრე 333-334
მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირი 219
მდოგვის გაზი (იპრიტი) 257
მედიაცია 159, 179-180
მეკობრეები 57, 149, 237
მერკანტილიზმი 277-278
მერკოსური (საერთო ბაზარი, MERCOSUR) 299-359
მესამე სამყაროს ქვეყნები *იხ.* განვითარებადი ქვეყნები 331, 367
მთავრობათაშორისი ორგანიზაციები 21, 54
მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 19, 32, 35
მიგრაცია 3, 26, 28, 52-53
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) 517
მიკროეკონომიკა 277
მიკროკრედიტი 493, 522
მილიტარიზმი 13, 88, 159
მილოშევიჩი, სლობოდან 44, 430
მიმდინარე ანგარიში 333
მიუნხენის შეთანხმება 60
მინის თხილის აფრიკული საბჭო 559

მიწის რეფორმა 559
მობილური ტელეფონები 574-576
მოდი, ნარენდრა 91
მოზამბიკი 34, 49, 105, 238, 376
მომსახურების სექტორი 306, 338, 350
მონე, ჟან 389
მონეტარული პოლიტიკა 111, 335
მონრეალის პროტოკოლი 541
მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა 495
მორალურობა 67, 462
მორგენთაუ, ჰანს 61
მოტივტივე ბადეები 546
მჟავა წვიმა 550, 589
მრავალეროვნული კორპორაციები 2, 9, 16
მრავალმხრივი დახმარება 506
მსოფლიო ბანკი 19, 28, 35, 56
მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია 533
მსოფლიო მთავრობა 5, 70, 109
მსოფლიო ომები 36, 54, 101, 104
მსოფლიო სასამართლო (მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო) 364, 396, 411, 413
მსოფლიო საფოსტო კავშირი 385
მსოფლიო სისტემა 447, 468-469
მსოფლიო წესრიგი 49, 188, 195, 208
მსოფლიოს რეგიონები 358, 449, 451
მტაცებლური პრაქტიკები 288
მუგაბე, რობერტ 466
მულტილატერალიზმი 79-80
მუსლიმები 91, 201, 206, 208
მყარი ვალუტა 322-324, 331, 333
მშვიდობა 11, 38, 71, 76, 99
მშვიდობის კვლევები xiv, 14, 62, 145, 158
მშვიდობის კორპუსი 510
მშვიდობის ქალთა პარტია 168
მშვიდობისმყოფელები/სამშვიდობო ოპერაციები 4, 75, 168
მშობლიური ქვეყნები/მთავრობები 343, 464
მცირე რადიუსის ბალისტიკური რაკეტა (SRBM) 129, 255, 263
მცურავი გაცვლითი კურსი 322

ნ

ნავთობდოლარები 21
ნავთობი 21, 41, 51
ნათელი გზა 245, 250
ნაკლებად განვითარებული ქვეყნები 448
ნამიბია 34, 238
ნაპოლეონის ომები 78, 188, 197
ნარკოტიკებით ვაჭრობა 231
ნატო (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) x-xi, 21, 28, 36, 38, 43-44
ნატურალიზაცია 418
ნატურალური მეურნეობა 418
ნაფტა (ჩრდილო-ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება) 418
ნაღმები 235-237
ნაციონალიზაცია 318, 342, 344
ნაციონალიზმი x, 17-18, 24, 50, 196
ნახევრადპერიფერია 447, 468, 470
ნდობის აღდგენის ზომები 159
ნეოკლასიკური რეალისტები 76
ნეოკოლონიალიზმი 476-477
ნეოკონსერვატორები 61
ნეოლიბერალიზმი 110, 158, 166, 178
ნეორეალიზმი 60, 62, 75-76
ნეოფუნქციონალიზმი 387-388
ნიგერია 19, 34, 72, 75, 119
ნიდერლანდები 20, 32, 75, 82, 127, 198, 370
ნიკარაგუა 34, 41, 115, 158
ნიურნბერგის ტრიბუნალი 430, 437
ნიქსონი, რიჩარდ 24, 39
ნიცის ხელშეკრულება
ნობელი, ალფრედ 168
ნობელის პრემია 167-168, 373, 384
ნორვეგია 32, 82, 171, 228
ნორთი, ოლივერ 142
ნორიეგა, მანუელ 232
ნორმატიული მიკერძოება 159
ნორმების მეწარმეები 151
ნულოვანჯამიანი თამაში 95

ო

ობამა, ბარაკ 95,
ოზონის შრე 80, 95, 122, 126, 132, 212
ოკეანეები 228-229, 238, 529
ოლიგოპოლია 285, 553
ომის გამოცხადება 132, 439
ომის გამოცხადების უფლებამოსილების აქტი 132
ოპეკი (ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია (OPEC)) 21, 301-303
ოპტიმიზაცია 141
ორგანიზაციული პროცესის მოდელი, გადაწყვეტილების მიღება 136, 178
ორმხრივად გარანტირებული განადგურება (MAD) 262-263
ორმხრივი დახმარება 506
ორმხრივი იმუნიტეტის შეთანხმებები 433
ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებები 296
ორმხრივობა 7, 110
ოქროს სტანდარტი 319-320, 331
ოქსფამი ამერიკა 511
ოცდაათწლიანი ომი 67

პ

პაკისტანი 34, 46-47, 167, 170, 180
პალესტინა 110
პანამა 33, 160
პარეტოს ოპტიმუმის ზღვარი 278
პარიზის კლიმატის შეთანხმება 592
პარიზის კლუბი 501
პარტიზანული ომი 189, 249, 269
პარტნიორობა მშვიდობისათვის 87
პატიმრის დილემა 5, 59, 90, 94, 110
პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ 425-426
პაქტი სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ 426
პენტაგონი 45, 248
პერიფერია 447, 468, 470
პერსპექტივის თეორია 141
პერუ 174, 232, 245, 250
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 337-338
პლუტონიუმი 13, 252-253, 261, 269
პოზიტიური მშვიდობა 160-161
პოლიომიელიტი 452, 571
პოლიტიკური თანამდებობის პირი 121
პოლიტიკური რისკების ანალიზი 498
პოლიტიკური სტაბილურობა 484, 498
პოლონეთი 32, 75, 82, 85, 127, 211
პორტუგალია 32, 50, 82, 319
პოსტმოდერნიზმი 145, 152
პოსტმოდერნული ფემინიზმი 164-165, 176
პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა 505, 522
პრეფერენციების იერარქია 96, 285
პროლიფერაცია 258-259
პრონატალისტი 566
პროპაგანდა 125, 204, 579
პროტექციონიზმი 287

ჟ

ჟანა დ'არკი 173
ჟენევის ოქმი 256-257
ჟურნალისტები 126, 128, 583

რ

რადიო 385, 573
რადიოელექტრონული ბრძოლა 244
რაისი, კონდოლიზა 122
რაკეტები 18, 129, 254
რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა
რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება 262, 270
რაციონალური აქტორები 93, 95
რაციონალური მოდელი, გადაწყვეტილების მიღება 135-136
რბილი ძალა 65, 377
რეალიზმი 104, 112, 134-135
რეალიზმის მასკულინურობა 165
რეგიონები 27, 119
რეგულაციები 233, 289-290
რევოლუციები 155-156
რეზერვები (სავალუტო) 321-322, 328, 333, 349
რეიგანი, რონალდ 41, 142, 262
რეიდები 188, 269

რელატივიზმი 423
რელიგიური კონფლიქტები 219
რელიგიური ჯგუფები 200, 205, 360
რეჟიმები 111-112, 291
რესურსების წყევლა 455, 470
რომის ხელშეკრულება 391-392
რუზველტი, თეოდორ 79
რუმინეთი 32, 82, 85, 402
რუსეთი 30, 32-33, 35, 42-44, 48
რუსო, ჟან-ჟაკ 423

ს

საბაჟო კავშირი 297, 391-392, 441
საბერძნეთი 32, 50, 61, 80, 82, 124, 127
საბჭოთა კავშირი 18, 20, 24, 27, 30, 36, 38
საგადამხდელო ბალანსი 331, 333-334
საგარეო პოლიტიკა 14, 22, 133
საგარეო პოლიტიკის პროცესი 103, 120, 133-134
სადათი, ანვარ 193
საელჩოები 121, 136, 242, 419
საერთაშორისო განვითარების სააგენტო, აშშ (USAID) 507, 510
საერთაშორისო ვალი 319, 322, 331, 333
საერთაშორისო ვაჭრობის კომისია (ITC) 308, 365
საერთაშორისო ინტეგრაცია 386, 390, 407, 410
საერთაშორისო კონფლიქტები 177, 186, 193-194
საერთაშორისო ნორმები 68-69, 150-151
საერთაშორისო ორგანიზაციები 2, 14, 355, 358
საერთაშორისო პოლიტიკა xiv, xvi-xvii, 13-14, 23, 29, 54
საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია xvii, 5, 15-16
საერთაშორისო რეჟიმები 78,111
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) 26, 28, 56, 502
საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირობები 503-504
საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO) 365, 385
საერთაშორისო სამართალი 15, 29, 60, 114, 227, 229, 344
საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU) 365, 573, 575, 385
საერთაშორისო ურთიერთობები ix, x xiv, xv xvi, 1
საერთაშორისო უსაფრთხოება xvi, xv, 5, 14, 29, 54
საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალები (ISAF) 83
საერთო ბაზარი 299, 391
საერთო საკუთრების ტრაგედია 5, 529-530, 546, 549
სავალუტო სისტემები 268, 317, 319,
სავაჭრო ბალანსი 280, 282, 333, 347
საზოგადოებრივი აზრი x, xv, xvi, 25, 51-53, 72-73
საზოგადოებრივი საქონლის პრობლემა ხივ, 5-8, 10, 13, 54
საზოგადოებრივი ჯანდაცვა 488-489
საზღვრები 20, 22, 56, 69-70, 86, 158, 166, 196-197
სათბურის გაზები 532, 537-540
საიმიგრაციო სამართალი 418
საინფორმაციო ბრძოლა 244
საინფორმაციო ტექნოლოგიები 23, 29, 70, 112, 126
საკანონმდებლო ორგანოები 117, 120, 131
საკვები 19, 136, 247, 271
საკვების უკმარისობა 448, 457-458
სალვადორი 33, 189, 340
სამართლიანი ომის დოქტრინა 421-422
სამართლის ზოგადი პრინციპები 409, 411, 440
სამხარეულოს კაბინეტი 409, 411, 440
სამთავრობო ვაჭრობის მოდელი 136
სამიტები 28, 39, 163
სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO) 365, 385
სამოქალაქო ომი 40-41, 48-49, 55
სამოქალაქო ხელისუფლების აღმატებულობის პრინციპი 267
სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები 185, 265, 267, 270
სამუშაო ადგილები *იხ.* კარიერა 3, 28-29, 284
სამშვიდობო მოძრაობები 161
სამხედრო დანაშაულები 430, 432-434, 437, 440
სამხედრო დახმარება 91, 199, 509-510
სამხედრო ეკონომიკა 265
სამხედრო მთავრობები 119,266
სამხედრო მრეწველობა 231
სამხედრო ძალები xiv, 14, 42-43, 46,64, 66-67, 75, 80, 87-88
სამხედრო ხარჯები 233-234, 265, 269
სამხედრო-საზღვაო ძალები 233-234, 265, 269
სამხედრო-საჰაერო ძალები 239-241
სამხრეთ ამერიკის ერთა კავშირი (UNASUR) 299

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ASEAN) 298, 359
სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია 458
სამხრეთი აზია 452, 458
სამხრეთი აფრიკა 13, 49, 75, 105, 119, 191, 259-260
სამხრეთი კორეა 59, 227, 271
სამხრეთი სუდანი 49, 105, 201, 223, 238
სამხრეთი, გლობალური ix-xvii, 30, 582
სანდერსი, ბერნი 29, 300, 579
სანქციები 13, 42-43, 47, 53, 79
საპარლამენტო სისტემა 132-133
საპასუხო დარტყმის უნარი 256, 259, 262
სარაკეტო ტექნოლოგიების კონტროლის რეჟიმი 255
სარგებლის მატრიცა 97
სარკისებური გამოსახულება 140, 208
სასარგებლო წიაღისეული 481, 558-559
სასაქონლო კულტურები 458
სასურველი აზროვნება 139, 143
სატელიტები 360
საუდის არაბეთი 3, 48, 106, 150
საფეიქრო წარმოება 304-305, 311, 348, 492, 504, 522
საფრანგეთი 20, 32, 34, 36
საფრანგეთის რევოლუცია 108, 197
საქართველო xviii, 20, 33, 43, 85, 87, 89, 105,144
საშუალო სახელმწიფოები 73, 75, 89
სახელმწიფო აქტორები 16, 112, 179, 246, 253
სახელმწიფო გადატრიალება 266, 303
სახელმწიფო საწარმოები 289, 484
სახელმწიფო ტერორიზმი 249
სახელმწიფოები 2, 4-7, 9, 12, 73, 249, 265
სახელმწიფოთაშორისი საზღვრები 226, 463
სახელმწიფოს მართვის ხელოვნება 90
სახეობები 528, 542-544, 553, 559
სახმელეთო ძალები 86, 235
საჰაერო სივრცე 228-229, 239, 243
სეკულარული 205-206, 208, 213, 268
სელექციური აღქმები (გადაწყვეტილების მიღება) 138-139
სენეკა 192
სერბეთი 43-44, 87, 200
სესხები 314, 318, 328, 330, 349
სესხის სპეციალური უფლებები (SDR) 331, 349
სეცესიური კონფლიქტები 222-223, 225
სი ძინპინი 484
სიერა-ლეონე 105, 186, 191
სიმართლის დამდგენი კომისიები 191
სინგაპური 191
სინო-საბჭოთა განხეთქილება 38-39
სირია 2, 46, 48-50, 55
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო 80, 430
სიღარიბე x, 160, 203, 250, 332, 363
სლოვაკეთი 32, 82, 400, 402, 405, 408, 507
სომალი 20, 40, 45
სოროსი, ჯორჯ 511
სოფლის მეურნეობა 70
სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკა (CAP) 392, 442
სოციალიზაცია 149, 152
სოციალური თეორიები xiv, 103, 108, 147, 154
სოციალური მედია 575, 579, 581, 585
სპარსეთის ყურის ომი 42-43, 115, 214, 240
სპარტლის კუნძულები 226-227
სპორტი 159, 583
სტალინი, იოსებ 39, 81, 157, 195
სტრატეგიები 98, 100, 133, 159, 161
სტრატეგიული ბირთვული იარაღი 39
სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა (SDI) 262
სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებები (SALTs) 254, 264
სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება (START) 264
სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულება (SORT) 264
სტრუქტურული რეალიზმი 75, 203, 441
სტრუქტურული ძალადობა 115, 160
სუბსიდიები 285, 288-290, 295, 304
სუდანი 34-35, 201, 223
სუვერენიტეტი 16, 68, 422
სუნ ძი 61
სუნიტები, მუსლიმები 214
სუპრანაციონალური 344, 356, 386-387
სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაცია (FAO) 365, 385, 459
სუფრაჟისტული მოძრაობა 168

ტ

ტაივანი 20, 30, 90, 101-102
ტაილანდი 34, 119, 122, 171
ტარიფები 110, 120, 123, 285, 289
ტაქტიკური ბირთვული იარაღი 254
ტეილორი, ჩარლზ 433
ტელევიზია 125, 573-575
ტელეკომუნიკაციები 16, 18, 23, 25-26, 312, 345, 582
ტელეფონები 104, 242, 573-574
ტერიტორიული დავები 200-221
ტერიტორიული წყლები 228
ტერორიზმი 45, 48, 52, 102, 185, 245
ტეტჩერი, მარგარეტ 126, 170
ტექნოლოგია 2, 16, 22-23, 25, 29, 38, 243, 527
ტექნოლოგიების ტრანსფერი 16, 385, 499
ტვინების გადინება 499
ტვირთის განაწილება 5, 82
ტიანანმენის მოედანი (დემონსტრაცია) 41, 484
ტოტალური ომი 188
ტოქსიკური ნარჩენები 551-552
ტრამპი, დონალდ 55, 80, 128, 132
ტრანზიციული ეკონომიკები 313
ტრანსატლანტიკური ვაჭრობისა და საინვესტიციო პარტნიორობა (T-TIP) 298
ტრანსაქციის ხარჯები 230-231, 277
ტრანსნაციონალური აქტორები 357, 582
ტრანსწყნაროკეანური პარტნიორობა (TPP) 298
ტრეფიკინგი 169, 397, 468
ტროპიკული თიხუსის ამერიკული კომისია 544
ტროპიკული ტყეები 543-545
ტროცკი, ლევ 157
ტრუმენი, ჰარი 137
ტუბერკულოზი 454, 569, 571
ტურიზმი 454, 568, 584

უ

უზბეკეთი 33, 89, 408, 552
უკრაინა 33, 43, 63, 69, 75, 87-89
უნილატერალიზმი 79-80
უნიტარული აქტორები 98, 109, 122, 135, 153
უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი 293
ურბანიზაცია 459
ურთიერთდამოკიდებულება ხვ, 102, 108, 118, 166
ურუგვაი 33, 294, 299, 348
უსაფრთხოების დილემა 70, 81
უსაფრთხოების თანამეგობრობა 388
უსაფრთხოების სექტორის რეფორმა
უცხოური ინვესტიციები 22, 226, 337

ფ

ფაშიზმი 198
ფედერალური რეზერვი 325,328, 349
ფემინიზმი 164
ფილიპინები 19, 32, 34, 72, 79, 119, 170, 186
ფინანსური ბაზრები 317
ფინანსური კორპორაციები 317, 336
ფინანსური კრიზისები 127, 128, 314, 318, 324
ფისკალური პოლიტიკა 335
ფიქსირებული გაცვლითი კურსი 322, 324, 327, 349
ფოლადის წარმოება 558
ფოლკლენდის კუნძულები 20, 126, 131, 170
ფრანც ფერდინანდი 192
ფრთოსანი რაკეტა 254
ფულადი გზავნილები 535-536
ფუნდამენტალისტური მოძრაობები 205
ფუნქციონალიზმი 387-389, 449, 503

ქ

ქალები 44, 163-164, 167-169, 460
ქალების საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და სამართლიანობისთვის 168
ქაშმირი 91
ქვესახელმწიფო აქტორები 22, 123, 145
ქიმიური იარაღი 48, 185, 251, 256-257
ქიმიური იარაღის შესახებ შესახებ კონვენცია 257
ქლორფტორნახშირბადი 454, 461-462
ქრისტიანობა 205, 360
ქუვეითი 33, 42, 188, 302, 370
ქურთები 199-200, 256

ღ

ღაზას სექტორი 213, 219, 226, 533
ღია ზღვა 149, 280, 418, 466
ღორების ყურის ოპერაცია 39, 88-89, 238, 302, 370, 408, 472

ყ

ყაზახეთი 33, 88-89, 302, 370, 472
ყირიმი 43, 87, 196, 230
ყურადღების გადატანის საგარეო პოლიტიკა 130

შ

შარპი, ჯინ 161
შედარებითი პოლიტიკა 14, 552
შედარებითი უპირატესობა 282-283
შედარებითი ძლიერება 24, 65
შედეგების ლოგიკა 150
შევარდნაძე, ედუარდ 144
შეზღუდული ომი 188
შეზღუდული რაციონალურობა 141
შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების 306
უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS) 306
შეიარაღების კონტროლი 8, 12, 111, 262-263
შეკავება (Containment) 36
შეკავება (Deterrence) 36
შემოღობვა 449, 466
შენგენის ზონა 404
შერეული ეკონომიკები 314
შვეიცარია 32, 39, 150, 364
შიდაჯგუფური მიკერძოება 202, 204
შიდსი ხივ, 306, 384, 388-389, 490
შიიტი მუსლიმები 206
შიმშილობა, მსოფლიო 457, 525
შობადობა 483-484, 486
შპიონაჟი 411, 419
შრი-ლანკა 34, 49, 170, 197, 247-248, 479
შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია 365, 385
შუმანი, რობერტ 390

ჩ

ჩადი 390, 434, 477, 480
ჩარჩო-კონვენცია თამბაქოს კონტროლის შესახებ 492
ჩარჩო-კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ 299, 452-453, 456
ჩერნობილი 472
ჩეჩნეთი 43, 207, 219, 476, 500
ჩეჩნეთის ომი 500
ჩეხეთის რესპუბლიკა 402-403, 405
ჩვეულება 358, 409-410, 440
ჩვეულებრივი (კონვენციური) შეიარაღებული ძალები 254
ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა 487
ჩილე 222, 298-299, 455, 490, 538-539
ჩინეთი 18, 20, 30, 33, 35, 38-39, 41, 44, 51-52, 483
ჩრდილოეთ ამერიკა xvii, 30-32, 49, 79, 82, 84, 297-299, 304
ჩრდილოეთ კორეა xi-xii, 12-13, 33, 39, 47-48, 69, 140
ჩრდილოეთი (გლობალური) 30, 347, 507-508, 537, 539, 588-589
ჩრდილოეთ-სამხრეთის ნაპრალი 25
ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობები xv, 16, 156, 447, 515, 545-546

ც

ცენზურა 501
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა 34, 207, 375
ცენტრალური ბანკი 323, 326-328
ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო 122, 135, 142
ცივი ომი 1, 12, 14, 20, 29, 36
ცისფერჩაფხუტიანები 373
ციფრული დაყოფა xiv, 496

ძ

ძალა 27, 61, 63-68, 71, 73, 77-79, 81-82
ძალადობა xv, 14, 23, 28, 46, 48-50, 54, 92
ძალთა ბალანსი 25, 71
ძალის პოლიტიკა 60, 104, 149, 153
ძალის პროექცია 238-239, 241

ძალის ტრანზიციის თეორია 77, 99, 194
ძალისხმევის გამართლება 139
ძვირფასი ლითონები 319
ძლიერი ლიდერის დამვება 93

წ

წიაღისეული საწვავი 4, 310, 454, 460, 473
წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი 358, 436-437
წინააგრარული საზოგადოებები 194
წიწილის თამაში (თამაშის თეორია) 94, 97-98
წყალი 479-480
წყნარი ოკეანის სარტყელი 32

ხ

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი 94, 265
ხლეჩადი მასალა 252-253, 269
ხორვატია 32, 43-44, 82, 85, 224, 402
ხრუშჩოვი, ნიკიტა 144, 196

ჯ

ჯანდაცვა 9, 112, 130, 306, 384
ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია 112, 365, 384
ჯგუფური აზროვნება 142-144, 178
ჯგუფური იდენტობა 202, 503
ჯგუფური ფსიქოლოგია 142-143
ჯონსონი, ლა დევიდი 267
ჯონსონი, ლინდონ 126
ჯოუ ენლაი 122

ჰ

ჰაერის დაბინძურება 5, 451, 460, 470, 472
ჰაზარე, ანნა 562
ჰაიტის 34, 374, 523, 584-585
ჰამასი 49, 120, 213, 219, 247
ჰეგემონია 7, 27, 77
ჰეგემონური ომი 188
ჰეგემონური სტაბილურობის თეორია 78-79
ჰეზბოლა 49, 213-215, 242, 375
ჰიპერინფლაცია 321, 325
ჰიტლერი, ადოლფ 60, 81
ჰოლოკოსტი 200
ჰონდურასი 34, 122
ჰონკონგი 20, 28, 33, 225
ჰუმანიტარული ინტერვენცია 150-151, 358, 429, 439
ჰუსეინი, სადამ 12, 45, 116, 188, 199
ჰუსიტები 213, 218